უილიამ თეკერეი
ამაოების ბაზარი (წიგნი I)

რომანი

თარგმანი ალექსანდრე გამყრელიძისა

წიგნი I

ფარდის ახდამდე

წარმოდგენის გამმართველს, ფარდის წინ ბაქანზე რომ ზის და ბაზარს გადაჰყურებს, ღრმა კაეშანი იპყრობს ამ აურზაურიანი ადგილის თვალის მოვლებაზე. დიდი სმა-ჭამაა გამართული, დიდი არშიყობა და პრანჭვა-გრეხა, სიცილი და ტირილი, თუთუნის წევა, მოღორება, აყალმაყალი, ცეკვა და ვიოლინოს წრიპინი. ჩხუბისთავები მუჯლუგუნებით იკაფავენ გზას, დარდიმანდები თვალს უპაჭუნებენ ქალებს, ჯიბგირები ჯიბგირობენ, პოლიციელები თვალებს აცეცებენ, თაღლითები (სხვანაირი თაღლითები, ჭირი ეცათ მათ!) თავიანთი ფარდულების წინ დგანან და ღრიალით იწვევენ მუშტრებს. სოფლელი ხეპრეები თვალდაჭყეტილი მისჩერებიან ზიზილ-პიპილებით მორთულ მოცეკვავეებს და ფერ-უმარილით მოთხუპნულ საცოდავ ბებერ მუშაითებს, მარჯვე ჯეელები კი ხელებს უფათურებენ ჯიბეებში. დიახ, ეს გახლავთ ამაოების ბაზარი! რა თქმა უნდა, ვერაფერი ზნეკეთილი ადგილია; ვერც მხიარული, თუმცა ხმაურიანი კი გახლავთ. დაუკვირდით მსახიობებისა და ტაკიმასხარების გამომეტყველებას, როცა ისინი თავიანთ საქმეს ამთავრებენ და როცა ტაკიმასხარა სახიდან საღებავს ჩამოირეცხავს, სანამ ცოლით და პატარა ტაკიმასხარებითურთ ფარდულში სადილს მიუჯდებოდეს, მაგრამ როგორც კი ფარდა აიხდება, იგი კვლავ შეუდგება აყალმაყალსა და ძახილს: „როგორ ბრძანდებით?“

ფიქრის მოყვარე კაცს ამნაირი სანახაობის ჭვრეტა, საკუთარ ან სხვათა მხიარულების წყალობით, მგონი, არ მოეწყინება. ხან აქ, ხან იქ სასაცილო ან გულისამაჩუყებელი ამბავი გულს

აუჩვილებს და ართობს: ლამაზი ბავშვი, ილიანი ნამცხვრების გასაყიდ ფარდულს რომ შესციცინებს; ლამაზი გოგო, რომელსაც სახე უფაკლდება, სატრფო რომ ელაპარაკება და თან საყიდლებს ურჩევს; საცოდავი უფროსი ტაკიმასხარა, აგერ იქ, თავისი ურმის უკან, ძვალს რომ ღრღნის პატიოსანი ჯალაბითურთ, რომელიც მისი ტაკიმასხარაობით ირჩენს თავს. მაგრამ საერთო შთაბეჭდილება უფრო სევდიანია, ვიდრე მხიარული, შინ რომ მიბრძანდებით, გულდადინჯებული, ჩაფიქრებული და ლმობიერი მიუჯდებით თქვენს წიგნებს ან საქმეს.

ამის გარდა სხვა არაფერი შეგონება მაქვს ამ თხზულების, „ამაოების ბაზრის“, წინ წასამძღვარებლად. ზოგს ბაზრები სრულიად უზნეოდ მიაჩნია და თავისი მსახურებითა და ჯალაბითურთ გაურბის მათ. შესაძლოა, ისინი მართალნიც ბრძანდებოდნენ, მაგრამ ვინც სხვაგვარად ფიქრობს და ზანტი, გულმოწყალე, ან მქირდავია, ეგებ მოისურვოს, რომ ერთი ნახევარი საათით შემობრძანდეს და წარმოდგენას უცქიროს. აქ ყოველნაირი სანახაობაა: საზარელი ბრძოლები, დიდებული და ზვიადი საქმენი; ხან წარჩინებულთა, ხან კი სწორედ შუათანათა ცხოვრება; მიჯნურობანი გრძნობამორეულთათვის და მსუბუქი სალაღობო სახიობანიც. ყოველივე ამას თან ახლავს შესაფერი მოხატულობა და თვალისმომჭრელადაც არის გაკაშკაშებული თვით წარმომდგენის საკუთარი ჩირაღდნებით.

რაღა დარჩა სათქმელი წარმოდგენის გამმართველს? მან მხოლოდ უნდა აღიაროს ის გულკეთილობა, რითაც მიიღეს ინგლისის ყველა დიდ ქალაქში, სადაც კი ნახეს წარმოდგენა, და სადაც მეტისმეტად გულთბილად გამოეხმაურნენ სახალხო ჟურნალ-გაზეთების პატივცემული მესვეურნი, აგრეთვე კეთილშობილნი და მდაბიონი. იგი ამაყობს, მისმა ტიკინებმა ამ ქვეყნის საზოგადოების ყველაზე საუკეთესო ნაწილს რომ ასიამოვნეს. სახელგანთქმულ ბეკი-ტიკინა არაჩვეულებრივ ჯამბაზად და მუშაითად აღიარეს; ემილია-თოჯინა, რომელმაც, მართალია, თაყვანისმცემელთა უფრო ნაკლები ჯგუფი შემოიკრიბა, მაინც დიდი გულმოდგინებით არის გამოკვეთილი და მორთული ხელოვნისგან; დობინის ფიგურა თუმცა უთუოდ ტლანქია, ერთობ სასაცილოდ და ბუნებრივად კი თამაშობს; პატარა ბიჭების თამაში ზოგს მოეწონა. გეთაყვათ, დაუკვირდით აგრეთვე ცოდვილი დიდკაცის მდიდრულად

მოკაზმულ ფიგურას, რომლისთვისაც არაფერი დაგვიშურებია და რომელსაც ამ უბადლო წარმოდგენის დასასრულს ეშმაკი დაითრევს.

ამით და თავის მფარველთადმი უმდაბლესი თაყვანისცემით წარმოდგენის გამმართველი გადის და ფარდა იხდება.

ლონდონი, 1848 წლის 28 ივნისს.

თავი I. ჩიზიკის ხეივანი

ამ საუკუნის მეორე ათეულის შუა წლებში, ივნისის ერთ მზიან დღეს, ქალბატონ პინკერტონის დედათა სასწავლებლის რკინის ალაყაფის კარს, ჩიზიკის ხეივანში, დიდი საოჯახო ეტლი მიადგა. ეტლში პრიალა მოსართავებიანი ორი მსუქანი ცხენი ება და კოფოზედაც სამკუთხაქუდიანი, პარიკოსანი, ჩასუქებული მეეტლე იჯდა, რომელიც საათში ოთხი მილის სიჩქარით მოერეკებოდა ცხენებს. ზანგმა მსახურმა, მეეტლის გვერდით კოფოზე არხეინად რომ მოკალათებულიყო, მაშინვე გამართა დაბრეცილი ფეხები, როგორც კი ეტლი ქალბატონ პინკერტონის კარის ბრინჯაოს მოლაპლაპე ფირფიტას გაუსწორდა და ზარი რომ დარეკა, სულ ცოტა ოცამდე ქალიშვილის თავი მაინც გამოჩნდა აგურის ძველებური, დარბაისლური სახლის ვიწრო სარკმლებში. დაკვირვებული კაცი არა მარტო მათ, არამედ თვით გულკეთილ მის ჯიმაიმა პინკერტონის პატარა წითელ ცხვირსაც შეამჩნევდა, რომელსაც ამ მანდილოსნის საკუთარი სასტუმრო ოთახის ფანჯარაში ნემსიწვერას ქოთნებს ზემოთ ამოეყო თავი.

- ეს ქალბატონ სედლის ეტლია, დაო, - თქვა მის ჯიმაიმამ. - ზანგმა მსახურმა სემბომ ეს-ეს არის ზარი დარეკა, მეეტლეს კი ახალი წითელი ჟილეტი აცვია.

- მოათავეთ ყოველი საჭირო სამზადისი მის სედლის გასასტუმრებლად, მის ჯიმაიმა? - იკითხა თვით ქალბატონმა პინკერტონმა, ამ დიდებულმა მანდილოსანმა, ჰემერსმითის სემირამიდამ, დოქტორ ჯონსონის მეგობარმა, რომელიც თვით ქალბატონ შაპონსაც კი სწერდა წერილებს.

- გოგოები დილის ოთხ საათზე წამოიშალნენ ზანდუკების ჩასალაგებლად, დაო, - მიუგო მის ჯიმაიმამ; - ჩვენ მას ბაუ-პოტი გავუკეთეთ.

- სთქვით „ბუკეტი“, დაო ჯიმაიმა, ეს უფრო ჯეროვანი და ზრდილობიანია.

- ჰო, თითქმის თივის ზვინისტოლა ბუკი[1]. ემილიას ყუთში კი მათიოლას წყლის ორი ბოთლი და მისი შესამზადებელი რეცეპტიც ჩავდე ქალბატონ სედლისთვის.

- და მე დარწმუნებული ვარ, მის ჯიმაიმა, მის სედლის ანგარიშის პირსაც გადასწერდი. ეს უნდა იყოს, არა? კეთილი, ოთხმოცდაცამეტი გირვანქა და ოთხი შილინგი. გეთაყვა, ამას ჯონ სედლის, ესკვაირის, მისამართი დააწერე და იმის მეუღლისადმი მიწერილი ეს ჩემი ბარათიც დალუქე.

მის ჯიმაიმას თვალში, მისი დის, ქალბატონ პინკერტონის ხელნაწერი ბარათი ისევე დიდი მოწიწების ღირსი იყო, როგორც ხელმწიფის სიგელი. ცნობილი იყო, რომ ქალბატონი პინკერტონი საკუთარი ხელით მხოლოდ მაშინ თუ მისწერდა მოწაფეთა მშობლებს წერილს, როცა მისი შეგირდები სასწავლებელს ამთავრებდნენ, ანდა როცა თხოვდებოდნენ. ერთხელაც კიდევ მაშინ გამოიღო ხელი, საბრალო მის ბერჩი ყელჭირვებით რომ გარდაიცვალა და, ჯიმაიმის აზრით, თუ რაიმეს შეეძლო ენუგეშებინა ქალბატონი ბერჩი შვილის დაკარგვის გამო, ეს სწორედ ის ღვთისნიერი და მჭევრმეტყველი თხზულება იქნებოდა, რომლითაც ქალბატონი პინკერტონი გამოეხმაურა ამ ამბავს.

ამჟამად ქალბატონ პინკერტონის ბარათი ასეთი გახლდათ.

„ჩიზიკის ხეივანი, ივნისის 15, 18... წელი.

„ქალბატონო! ჩიზიკის ხეივანში ექვს წელიწადს ჩემთან ყოფნის შემდგომ მაქვს პატივი და ბედნიერება წარმოვუდგინო მის ემილია სედლი თავის მშობელთ, როგორც ახალგაზრდა მანდილოსანი, ღირსი დაიჭიროს სათანადო ადგილი მათ განათლებულ და წარმოჩინებულ წრეში. ღირსებანი, რომელნიც უნდა ახასიათებდეს ახალგაზრდა წარჩინებულ ინგლისელ მანდილოსანს, სრულყოფილებანი, რომელნიც შეეფერება მის წარმოშობასა და მდგომარეობას, არ აკლია ტურფა მის სედლის, რომლის ბეჯითობამ და გამოგონებამ ძვირფასი გახადა იგი მის

მწვრთნელთათვის და რომლის ხასიათის საამო სიტკბომაც მოხიბლა მისი ხნიერი და აგრეთვე ახალგაზრდა თანამყოფნი.

„მუსიკის, ცეკვის, მართლწერის, ყოველი ჯურის ქარგვისა და ჭრა-კერვის შესწავლით მან განახორციელა მეგობართა უგულითადესი ნატვრანი. ოღონდ გეოგრაფია, სასურველია, უკეთ იცოდეს; აგრეთვე ვურჩევთ, ზურგის გასასწორებელი ფიცარი ბეჯითად და განუწყვეტლივ იხმაროს ყოველდღიურად ოთხ საათს, შემდგომ სამი წლის განმავლობაში. ეს აუცილებელია, ღირსეული მიხრა-მოხრისა და ქცევის შესაძენად, რაც ეგოდენ საჭიროა მაღალი საზოგადოების ყოველი ახალგაზრდა მანდილოსნისათვის.

„რწმენითა და ზნეობით, მის სედლი ღირსი გახლავთ ამ სასწავლებლისა, რომელსაც პატივი დასდო თავისი სტუმრობით დიდმა ლექსიკოგრაფმა და რომელსაც სათაყვანო ქალბატონი შაპონი მფარველობდა. სტოვებს რა ხეივანს, მის ემილია თან წარიტაცებს ამხანაგთა გულებს და გულითად სიყვარულს მისი აღმზრდელისა, რომელსაც ქვემორე ხელისმოწერის პატივი აქვს.

დავშთები, ქალბატონო, თქვენი უმორჩილესი და უმდაბლესი მონა

ბარბარა პინკერტონი.

„P.S - მის სედლის თან ახლავს მის შარპი. განსაკუთრებით გვერდით, მის შარპის რასელ-სკვერს ყოფნა ათ დღეს არ გადასცდეს. წარჩინებულ ოჯახს, რომელმაც ის დაიქირავა, სწადია, რაც შეიძლება მალე ისარგებლოს მისი სამსახურით“.

ეს წერილი რომ დაასრულა, ქალბატონმა პინკერტონმა საკუთარი და მის სედლის სახელები წააწერა თავფურცელზე ჯონსონის ლექსიკონს - საყურადღებო თხზულებას, რომელსაც ყოველთვის უბოძებდა შეგირდებს, როცა ისინი ხეივანს სტოვებდნენ. ყდაზე მოთავსებული იყო პირი მიმართვისა: „სტრიქონები ახალგაზრდა მანდილოსანისადმი, რომელიც სტოვებს ქალბატონ პინკერტონის სასწავლებელს ჩიზიკის ხეივანში; განსვენებულ პატივცემულ დოქტორ სემუელ ჯონსონისა“. ლექსიკოგრაფის სახელი, ჭეშმარიტად, მარადის პირზე ეკერა დიდებულ დიაცს და ამ დარბაისლის სტუმრობა კიდეც გახდა მისი სახელისა და კეთილდღეობის მიზეზი.

უფროსმა დამ რომ უბრძანა, კარადიდან „ლექსიკონი“ გადმოიღეო, მის ჯიმაიმამ ხსენებული საცავიდან ორი ცალი გადმოიღო. როცა ქალბატონმა პინკერტონმა პირველ წიგნზე წარწერა დაამთავრა, ჯიმაიმამ კრთომით და კრძალვით მეორე მიაწოდა.

- ეს ვისთვისღაა, მის ჯიმაიმა? - ჰკითხა ქალბატონმა პინკერტონმა შემაძრწუნებლად ცივად.

- ბეკი შარპისთვის, - მიუგო ჯიმაიმამ თრთოლვით და გაფითრებული სახე და კისერი აელეწა, დას რომ ზურგი შეაქცია. - ბეკი შარპისთვის, ისიც მიდის.

- მის ჯიმაიმა! - უდიდესი აღშფოთებითა და გაგულისებით შეჰკივლა ქალბატონმა პინკერტონმა. - ხომ არ გაგიჟდით? შედეთ ისევ თახჩაში ლექსიკონი და კვლავ აღარ გაბედოთ ასეთი თავხედობა!

- მაგრამ, დაო, ეს მხოლოდ ორი შილინგი და ცხრა პენი ღირს და საბრალო ბეკი ხომ ცოდო იქნება, რომ არ ერგოს!

- ახლავე გამომიგზავნე მის სედლი! - უბრძანა ქალბატონმა პინკერტონმა. საბრალო ჯიმაიმამ ვეღარ გაბედა სიტყვის შებრუნება და წატუსტუსდა ფრიად აღელვებული და შეწუხებული.

მის სედლის მამა შეძლებული ლონდონელი სოვდაგარი ბრძანდებოდა, მის შარპი კი ხელშეკრულებით აყვანილი შეგირდი იყო, რომელსაც, ქალბატონი პინკერტონი ფიქრობდა, საკმაოდ ბევრი მადლი ვუქენიო და ახლა აღარა სთვლიდა ღირსად, განშორების დროს ლექსიკონის ბოძების მაღალი პატივიც მოენიჭებინა.

თუმცა სკოლის პატრონის წერილები სასაფლაოს ეპიტაფიებზე არც უფრო მეტად სანდოა და არც უფრო ნაკლებად; მაინც როგორც ხანდახან მოხდება, რომ ისეთი ვინმეც განშორდება ამ წუთისოფელს, რომელსაც ჭეშმარიტად დაუმსახურებია მისი საფლავის ქვაზე ჩუქურთმის მჭრელისაგან ამოჭრილი ყოველი ხოტბა - რომელიც იყო კარგი ქრისტიანი, კარგი მშობელი, შვილი, ცოლი ან ქმარი; რომელმაც მართლაც უნუგეშოდ დააგდო ოჯახი, მის დაკარგვას რომ გლოვობს - ასევე დედათა და ვაჟთა სასწავლებლებში აქა-იქ ხდება, რომ შეგირდი უეჭველად ღირსია პირუთვნელი მწვრთნელის ქებისა. მის

ემილია სედლიც სწორედ ამ განსაკუთრებული ჯურის ყმაწვილი ქალი გახლდათ და ღირსი იყო არა მარტო ყველა იმ ხოტბისა, რაც ქალბატონმა პინკერტონმა გამოთქვა, არამედ ბევრი, სხვა მომხიბლავი თვისებაც მოეპოვებოდა, რომელთა დანახვა ამ მედიდურ, ბებერ მინერვას არც შეეძლო, შეგირდსა და მას შორის, ხარისხითა და ასაკით განსხვავების გამო.

ემილია არა მარტო მღეროდა ტოროლასავით ან ქალბატონ ბილინგტონივით და ცეკვავდა ჰილისბერგივით ან პარისოსავით, ქარგავდა ლამაზად და მისი მართლწერა ისევე შეუმცდარი იყო, როგორც თვით ლექსიკონისა; არამედ მას ისე კეთილი, მხიარული, ნაზი, სათნო და დიდსულოვანი საკუთარი გული ჰქონდა, რომ ვინც კი დაუახლოვდებოდა, ყველას გულს მოინადირებდა, დაწყებული თვით მინერვადან - გათავებული ჭურჭლის მრეცხავი უბადრუკი გოგოთი და ცალთვალა მეღვეზელე დედაკაცის ქალიშვილით, რომელსაც ნებადართული ჰქონდა, ხეივნის ახალგაზრდა მანდილოსანთათვის კვირაში ერთხელ მიეყიდა თავისი საქონელი. ოცდაოთხი ქალიშვილიდან თორმეტი გულითადი მეგობარი ჰყავდა ემილიას. შურიანი მის ბრიგზიც არასოდეს იტყოდა მის ავს. დიდებული და ზვიადი მის სოლტაირი (ლორდ დექსტერის შვილიშვილი) აღიარებდა, მას კეთილშობილი გარეგნობა აქვსო; ხოლო რაც შეეხება მის სუორცს, სენტ-კიტსელ თმახუჭუჭა მდიდარ მულატს, ემილიას გამგზავრების დღეს მან იმდენი ცრემლი ღვარა, რომ იძულებული გახდნენ ექიმი ფლოსი მოეწვიათ და ნახევრად გააბრუეს იგი სასუნებელი მარილის ყნოსვით. ქალბატონ პინკერტონის გრძნობანი, როგორც საგულვებელია ამ მანდილოსნის მაღალი მდგომარეობისა და ნაქები სიქველის მიხედვით, მშვიდი და ღირსეული გახლდათ, მაგრამ მის ჯიმაიმამ უკვე ბევრჯერ წაიფშლუკუნა ემილიას გამგზავრების მოგონებაზე და რომ მისი დის შიში არა, სულაც გულს შემოეყრებოდა სენტ-კიტსელ მემკვიდრესავით (რომელიც ორმაგ ქირას იხდიდა); მაგრამ მწუხარების ასე გამოჩენის ფუფუნება მხოლოდ წარჩინებულ შეგირდებს ჰქონდათ ნებადართული. პატიოსან ჯიმაიმას ებარა ყველა ანგარიში, რეცხვა, დაკერება, პუდინგები, ჯამ-ჭურჭელი და მსახურთა ზედამხედველობა. მაგრამ რატომ ვლაპარაკობთ მასზე? ალბათ, შემდეგ ამ ქალისას ვეღარას გავიგონებთ აქედან მოყოლებული ბოლომდე, და როცა გრეხილი რკინის დიდი ალაყაფის კარი

ერთხელ გადაერაზება, ის და შიშის ზარის დამცემი მისი და აღარ გამოჩნდებიან ამ ამბის პატარა სამყაროში.

მაგრამ ვინაიდან დიდხან უნდა ვხედავდეთ ემილიას, არაფერი დაშავდება თუ ჩვენი ნაცნობობის დასაწყისს ვიტყვით, რომ იგი საყვარელი პატარა არსება გახლდათ. ცხოვრება და რომანები (განსაკუთრებით კი უკანასკნელნი) აღვსილია უპირქუშესი არამზადებით და სწორედ დიდი მადლია, რომ მუდმივ თანამგზავრად, ჩვენ ასე უწყინარი და გულკეთილი ადამიანი უნდა გვახლდეს. რადგან გმირი არაა, არც საჭიროა მისი გარეგნობის აღწერა, მართლაც ვშიშობ, რომ ცხვირი უფრო მოკლე ჰქონდა, ვიდრე გრძელი და ღაწვები გაცილებით მრგვალი და ღაჟღაჟა, ვიდრე გმირს შეჰფერის. მაგრამ მისი პირისახე ვარდისფრად ჰყვაოდა სიჯანსაღით, ხოლო ბაგენი - უმანკო ღიმილით. მისი თვალებიც უწრფესი გულკეთილობით ჟუჟუნებდა და ბრწყინავდა; ოღონდ რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, ცრემლით რომ არ ჰქონდა აღვსილი; ცრემლით აღვსილი კი ძალიან ხშირად ჰქონდა, რადგან ის უგუნური მკვდარ იადონსაც დასტიროდა, ან ბედკრულ წრუწუნას, რომელიც კატამ ხელთ იგდო ან კიდევ რომანის დასასრულს, რაგინდ სულელურიც უნდა ყოფილიყო იგი. ხოლო რაც შეეხება ვინმესგან მის გაწყრომას, თუკი გულქვა ვინმე აღმოჩნდებოდა - მით უარესი გამწყრომისთვის. თვით ქალბატონმა პინკერტონმა, ამ სასტიკმა და ღვთისადარმა მანდილოსანმაც, პირველი ცდისთანავე დაანება თავი მის დატუქსვას და თუმცა ისევე არა გაეგებოდა რა გულჩვილობისა, როგორც ალგებრისა, განსაკუთრებით უბრძანა ყველა ოსტატს და მასწავლებელს, უდიდესი სისათუთით მოეპყარით მის სედლის, რადგან უხეში მოპყრობა ვნებსო.

ასე რომ, როცა გამგზავრების დღე დადგა, მის სედლი სრულიად დაიბნა და არ იცოდა, სიცილისა და ტირილის ამ ორი ჩვეულებიდან რომლისთვის მიემართა. მას შინ წასვლაც უხაროდა და სასწავლებლის დატოვებაც მეტისმეტად ეძნელებოდა. სამი დღეა ფინიასავით უკან დასდევდა ობოლი პატარა ლაურა მარტინი; უნდა გაებოძებინა და მიეღო, სულ უკანასკნელი, თოთხმეტი საჩუქარი და მიეცა ყოველგვარი წერილის მიწერის თოთხმეტი საზეიმო ფიცი. „წერილები პაპიჩემის, გრაფ დექსტერის, მისამართით გამომიგზავნე“, ეუბნებოდა მის სოლტაირი (რომელიც, სხვათა შორის, ცოტა არ იყოს გაღატაკებული ბრძანდებოდა). „ფოსტის ფულს ნუ

ინაღვლებ, ოღონდ ყოველდღე მომწერე, გენაცვალე“, ევედრებოდა ფიცხი და თმახუჭუჭა, მაგრამ ხელგაშლილი და მოსიყვარულე მის სუორცი; ხოლო ობოლმა პატარა ლაურა მარტინმა (რომელიც სწორედ იქვე უტრიალებდა გარს ემილიას) ხელი მოჰკიდა მეგობარს, ნაღვლიანად შეხედა სახეში და უთხრა: ემილია, მე როცა მოგწერ, დედიკოს გიწოდებო.

ყველა ამ წვრილმანს, ეჭვი არ მეპარება, ჯოუნზი, რომელიც ამ წიგნს თავის კლუბში კითხულობს, მეტისმეტად უგუნურ, სასაცილო, ჭორხაბარა და უზომოდ გულისამაჩუყებლად გამოაცხადებს. დიახ, მე იმ წუთს ვჭვრეტ ცხვრის სუკითა და ნახევარ პინტ ღვინოთი ცოტა შეჟინჟღილებულ ჯოუნზს, რომელიც ამოიღებს ფანქარს, ხაზს უსვამს სიტყვებს: „უგუნური, ჭორხაბარა“, და სხვ. და უმატებს თავის საკუთარ შენიშვნას: „სრული ჭეშმარიტებაა“. ჰო, მაღალი გონების კაცი ბრძანდება იგი და ცხოვრებაშიც და რომანებშიც დიდებულსა და გმირულს სცემს თაყვანს. ამიტომ ურჩევნია, ყურად იღოს გაფრთხილება და სხვაგან მიბრძანდეს.

მაშ, აბა, განვაგრძოთ. მის სედლის ყვავილები, საჩუქრები, ზანდუკები და თავსაბურების ყუთი რომ ჩაალაგა ბატონმა სემბომ ეტლში, მერე ტყავის ერთობ პატარა, გაქუცული ძველი ჩემოდანიც მიაყოლა, რომელსაც კოხტად ჰქონდა მიკრული მის შარპის სადარბაზო ბარათი. ეს ტვირთი ღრეჭით გადასცა სემბომ მეეტლეს, იმანაც შესაბამი ჩაქირქილებით მიიღო... და განშორების დროც დადგა. მაგრამ გაყრის სევდა შესამჩნევად შეამცირა ქალბატონ პინკერტონის შესანიშნავმა სიტყვამ, რომლითაც მან შეგირდს მიმართა.

ამ გამოსათხოვარ სიტყვას არც ბრძნული აზრები აღუძრავს ემილიასთვის, არც კიდევ საბუთიანობითა და დამაჯერებლობით უნუგეშებია და დაუშოშმინებია იგი. ეს სიტყვა ფრიად გულგადამლევი, მოსაწყენი, ზარზეიმიანი და მომაბეზრებელი რამ იყო და ქალბატონი პინკერტონის წინაშე ემილია მხოლოდ იმიტომ ვერ ბედავდა გასაქანი მიეცა პირადი მწუხარებისათვის, რომ დიდი შიში ჰქონდა გულში თავისი წინამძღვრისა.

სასტუმროში ანისულით შეზავებული ნამცხვარი და ერთი ბოთლი ღვინო მოიტანეს, როგორც მშობელთა მოსვლის საზეიმო დროს იცოდნენ. ეს სასმელ-საჭმელი იგემეს და მის სედლისაც მიეცა წასვლის ნება.

- შეხვიდოდით და გამოემშვიდობებოდით ქალბატონ პინკერტონს, ბეკი! - წაულაპარაკა მის ჯიმაიმამ ყმაწვილ ქალს, რომელსაც არავინ აქცევდა ყურადღებას და რომელსაც თავისი მუყაოს კოლოფი ეჭირა ხელში და კიბეზე ჩამოდიოდა.

- დიახ, მგონია, მოვალე ვარ შევიდე, - მიუგო მის შარპმა მშვიდად და ამით უზომოდ გააოცა მის ჯიმაიმა.

მის ჯიმაიმამ კარზე დაუკაკუნა და შესვლის ნებართვა რომ მიიღეს, მის შარპი თამამად შებრძანდა და წმინდა ფრანგული გამოთქმით მიმართა: - Mademoislle je visn voue mes adieux[2].

ქალბატონმა პინკერტონმა ფრანგული არ იცოდა - ის მხოლოდ მცოდნეებს წინამძღვრობდა. მაგრამ მან მოიკვნიტა ჩარბი, მაღლა აღმართა დარბაისლური, რომაულცხვირიანი თავი (რომლის თხემსაც ვეება, დიდებული დოლბანდი ამშვენებდა) და ბრძანა: - მშვიდობის დილას გისურვებთ, მის შარპ.

ჰემერსმითის სემირამიდა რომ ლაპარაკობდა, თან ცალ ხელს აქნევდა ორი მიზნით: გამოსალმებისათვის და აგრეთვე უნდოდა მის შარპისთვის ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, გაწვდილი ხელის ერთ-ერთი თითი ჩამოერთმია.

მის შარპმა მხოლოდ გულხელი დაიკრიფა, ძალიან ცივად გაიღიმა, თავი დაუკრა და ამით სრულიად უარჰყო შეთავაზებული პატივი ამიტომ სემირამიდამ უფრო დიდი გულისწყრომით გადაიწია დოლბანდი, ვიდრე ოდესმე. ჭეშმარიტად, ახალგაზრდა მანდილოსანსა და ბებერს შორის ეს პატარა შეტაკება გახლდათ და უკანასკნელი დამარცხდა.

- უფალმა გაკურთხოს, შვილო ჩემო, - თქვა მან და მოეხვია ემილიას, თან ქალწულის მხარს იქით მის შარპს უბღვეროდა.

- წამო, ბეკი, - უთხრა მის ჯიმაიმამ; დიდად შეშფოთებულმა გარეთ გასაყვანად დაითრია ყმაწვილი ქალი და ამ სასტუმრო ოთახის კარი სამუდამოდ დაიხურა მისთვის.

ამას მოჰყვა ჩოჩქოლი და გამოსალმება ქვემოთ. სიტყვით ვერ აიწერება ეს. ყველა მსახური იქ იყო, დარბაზში... ყველა ძვირფასი მეგობარი... ყველა ყმაწვილი ქალი... და სწორედ ახლა მოსული ცეკვის მასწავლებელიც, ისეთი ჩარფუზანა, ხვევნა-კოცნა და ტირილი გაიმართა, ხოლო მის სუორცის, წარჩინებული შეგირდის ოთახიდან ისეთი გულამოსკვნილი

ზლუქუნი ისმოდა, რომ არც ერთ კალამს არ ძალუძს აღწერა და გულჩვილი ადამიანი კიდეც აუვლის ამას გვერდს. გულში ჩახუტებანი დამთავრდა; გამოეთხოვენ ერთმანეთს - ესე იგი, მის სედლი გამოეთხოვა თავის მეგობრებს, მის შარპი კი წინდახედულად რამდენიმე წუთით ადრე ჩაჯდა ეტლში: მასთან განშორებისთვის არავის უტირია.

თვალცრემლიანი ახალგაზრდა ქალბატონი ეტლში ჩაბრძანდა, ფეხებმოღრეცილმა სემბომ კარი მიუხურა და თვითონ უკან შეახტა ეტლს.

- შესდექ! - მოაძახა მის ჯიმაიმამ. იგი ალაყაფის კართან მოიჭრა. ხელში ამანათი ეჭირა.

- ეს ცოტა სენდუიჩებია, გენაცვალე, - უთხრა მან ემილიას. - ხომ იცით, შეიძლება მოგშივდეთ; და ბეკი, ბეკი შარპ, ეს კი წიგნია თქვენთვის, ჩემმა დამ რომ... ესე იგი, მე... ჯონსონის ლექსიკონი, ხომ იცით, თქვენ უამისოდ არ უნდა წახვიდეთ აქედან. მშვიდობით! გასწი, მეეტლეე, უფალმა გაკურთხოთ!

და გრძნობამორეულმა კეთილმა დედაკაცმა პირი ბაღისკენ იბრუნა.

მაგრამ, აი! როგორც კი ეტლი დაიძრა, მის შარპმა ფანჯრიდან გამოყო გაფითრებული სახე და პირდაპირ სასწავლებლის ბაღში გადაუძახა წიგნს. ამან თავზარი დასცა მის ჯიმაიმას და, კინაღამ გულსაც შემოეყარა.

- მაშ, მე აღარასოდეს... - შესძახა მან, - ეს რა თავხედი... - აღელვებამ ენა დაუბა და არც ერთი წინადადება არ დაუმთავრებია.

ეტლმა გასწია; დიდი ალაყაფის კარი დაიკეტა; ცეკვის გაკვეთილის ზარი დაირეკა. ცხოვრება ეგებება ორ ახალგაზრდა მანდილოსანს და მაშ, მშვიდობით, ჩიზიკის ხეივანო.

თავი II. რომელშიაც მის შარპი და მის სედლი სალაშქროდ ემზადებიან

როცა მის შარპმა წინა თავში მოხსენებული გმირობა ჩაიდინა და თვალი მოჰკრა, როგორ გადაევლო ლექსიკონი პატარა ბაღის ფილაქანს და გაოგნებულ მის ჯიმაიმას ფეხთით დაენარცხა, ყმაწვილი ქალის აქამდე მძულვარებით თითქმის გალურჯებულ სახეს ღიმილი გადაეფინა, რაც იქნებ წინანდელ გამომეტყველებაზე ბევრად უფრო მიმზიდველი არც იყო. მერე არხეინად გადაესვენა ეტლში და დააყოლა: - ესეც იმ ლექსიკონს! მადლობა ღმერთს, თავი დავაღწიე ჩიზიკს!

ამ გამომწვევმა ქცევამ მის სედლიც თითქმის ისევე განაცვიფრა, როგორც მის ჯიმაიმა; რადგან თვით განსაჯეთ: ერთი წუთიც არ გასულიყო, რაც სკოლა დასტოვა და ექვსი წლის შთაბეჭდილებანი ამ ხანში ჯერ კიდევ ვერ დაეძლია. ზოგს ხომ ყრმობის ეს ძრწოლა და შიში მარად თან ახლავს! მე ვიცი, მაგალითად, სამოცდარვა წლის მოხუცი დარბაისელი, რომელსაც ერთ დილას საუზმის დროს ერთობ შეშფოთებული სახე ჰქონდა, როცა მითხრა: წუხელის მესიზმრა, თითქოს დოქტორ რეინმა გამწკეპლაო. იმ ღამეს, წარმოსახვამ ორმოცდათხუთმეტი წლით უკან გადაისკუპა. დოქტორი რეინი და მისი წკეპლა სწორედ ისევე თავზარდამცემი იყო მისთვის გულის სიღრმეში მაშინ, სამოცდარვა წლის ასაკში, როგორც ცამეტი წლის ბიჭისათვის იყო არყის ხის გრძელწკეპლიანი დოქტორი თვით ამ სამოცდარვა წლის ბერიკაცსაც კი ხორცშესხმული გამოეცხადა და ზარდამცემი ხმით დასჭყივლა: აბა, ბიჭო, ჩაიხადე შარვალიო!.. დიახ, დიახ, მის სედლი უზომოდ შეაშფოთა ამ კადნიერებამ.

- ეგ როგორ გაბედე, რებეკა? - ძლივს ამოილუღლუღა მან.

- რაო, შენა გგონია, ქალბატონი პინკერტონი გამოვარდება და ბრძანებს, უკან, ბნელ სოროში შემაგდონ? - მიუგო სიცილით რებეკამ.

- არა, მაგრამ...

- მძულს მთელი ეს სახლი, - განაგრძო გაცოფებით მის შარპმა. - მე მგონი, აღარც არასოდეს შეხედავს მას ჩემი თვალი. ნეტავი სწორედ ტემზის ფსკერზედაც იყოს ჩაძირული და ქალბატონი პინკერტონიც იქ რომ ეგდოს, თითსაც არ გავანძრევდი მის ამოსაყვანად - არა და არა! ოჰ, ნეტავ დავინახავდე, როგორ მიტივტივებს იგი წყალში, მისი დოლბანდი და ყველაფერი; როგორ მიმოიკლაკნება მისი კიბის კუდი და როგორ

ამოუშვერია ნავის ქიმივით წაწვეტებული ცხვირი.

- ხმა გაიკმინდე! - შეჰკივლა მის სედლიმ.

- რაო, განა ზანგი მსახური გაგვამხელს? - შესძახა სიცილით მის შარპმა. - დაე, უკან დაბრუნდეს და ქალბატონ პინკერტონს მოახსენოს, რომ მე ის მთელი გულითა და სულით მძულს. ნეტავ დაბრუნდებოდეს! ნეტავი კი როგორმე შემეძლოს დაგარწმუნო, რომ დაბრუნდეს! - ორ წელიწადს მხოლოდ შეურაცხყოფასა და ლანძღვას ვითმენდი მისგან, სამზარეულოს ყველა მსახურზე უარესად მეპყრობოდნენ. შენს გარდა არასოდეს მყოლია მეგობარი და არც არასოდეს გამიგონია ტკბილი სიტყვა. დაბალი კლასის პატარა გოგოებისათვის უნდა მომევლო და ფრანგულად მელაპარაკა ქალიშვილებთან, მანამ, ვიდრე ჩემი დედაენა არ მომბეზრდა. მაგრამ ქალბატონს ფრანგულად რომ დაველაპარაკე, ეს კი საუცხოო ოინი იყო, არა? ერთი ფრანგული სიტყვაც არ ესმის, მაგრამ ძალიან ამპარტავანია და იხტიბარს არ იტეხს. დარწმუნებული ვარ, ამან აიძულა, რომ თავიდან მოვეშორებინე. მაშ მადლობა უფალს ფრანგულისთვის! Vive la France! Vive I’Empereurt! Vive Bonaparte![3].

- ოჰ, რებეკა, რებეკა, გრცხვენოდეს! - შესძახა მის სედლიმ რადგან ეს იყო უდიდესი მკრეხელობა, რაც კი აქამდე რებეკამ წარმოსთქვა. იმ დროს ინგლისში თქმა: „გაუმარჯოს ბონაპარტს!“ იგივე იყო, რაც „გაუმარჯოს ლუციფერს!“ - როგორ ამბობ... როგორ ბედავ, ასე ბოროტი, შურისმგებელი ფიქრები იქონიო?

- შურისგება იქნებ ბოროტება იყოს, მაგრამ ბუნებრივია, - მიუგო მის რებეკამ, - მე ანგელოზი არ გახლავარ!

და მართალი მოგახსენოთ, დიაღაც არ ბრძანდებოდა; ამ მოკლე საუბარშივე (რომელიც იმ დროს მოხდა, როცა ეტლი ტაატით მიუყვებოდა მდინარის ნაპირს) შეიძლება შევნიშნოთ, რომ თუმცა მის რებეკა შარპმა ორჯერ შესწირა მადლი ზეცას, ერთხელ საძულველი პიროვნებისაგან თავის დახსნისათვის და მეორედ იმიტომ, რომ შეაძლებინა თავისი მტრები ცოტაოდენად შეეშფოთებინა და დაებნია; მაინც არც ერთი არ არის ჭეშმარიტად საამო საბაბი ღვთისადმი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად ან ისეთი, სათნო და უწყინარ ვინმეს რომ შეეფერებოდეს სათქმელად.

მის რებეკა სულაც არ ყოფილა სათნო ანდა უწყინარი. მთელი ქვეყნიერება ავად მეპყრობაო, ამბობდა ეს ახალგაზრდა კაცთმოძულე (ანუ ქალთმოძულე, ვინაიდან უნდა ვაღიაროთ, რომ მამაკაცთა სამყაროს ჯერ კიდევ მხოლოდ ოდნავ თუ იცნობდა) და სრულიად გულდაჯერებული უნდა ვიყოთ, რომ მათ, ვისაც მთელი ქვეყნიერება ავად ეპყრობა, ჭეშმარიტად დაუმსახურებიათ ასეთი მოპყრობა. ქვეყნიერება სარკეა და ყველა კაცს საკუთარ სახეს დაანახვებს. წარბშეკვრით შეხედე და სამაგიეროდ თვითონაც პირქუშად შემოგხედავს; შესცინე და გაიცინე მასთან ერთად და თვითონაც მხიარულ, გულკეთილ ამხანაგად გაგიხდება; და დაე, ყველა ახალგაზრდამ თავისებურად ირჩიოს. ეს კი ნამდვილია, თუ ქვეყნიერებამ ზურგი შეაქცია მის შარპს, არასოდეს არავის გაუგონია, რომ თვით იმასაც კეთილი რამ მოემოქმედოს ვინმესთვის. არც უნდა მოველოდეთ, რომ ოცდაოთხი ახალგაზრდა მანდილოსანი ყველა ისევე საყვარელი ყოფილიყო, როგორც ამ თხზულების გმირი მის სედლია (რომელიც ჩვენ სწორედ იმიტომ ვირჩიეთ, რომ ყველაზე უკეთესი ბუნებისა იყო; თორემ, აბა ხელს რა შეგვიშლიდა, იმის მაგიერ გმირად მის სუორცი, მის კრამპი ან მის ჰოპკინზი გამოგვეყვანა?) - არც იმას უნდა მოველოდეთ, რომ ყველა მის ემილია სედლივით თავმდაბალი და სათნო იყოს, ყოველი მოხერხებული შემთხვევით ისარგებლოს რებეკას გულღრძოობისა და ავგუნებობის დასათრგუნად და ათასი კეთილი სიტყვითა და საქმით ერთხელ მაინც დასძლიოს მისი მძულვარება თავისი მოდგმისადმი.

მის შარპის მამა მხატვარი გახლდათ და ამ ხელოვნებას ასწავლიდა ქალბატონ პინკერტონის სასწავლებელში. ჭკვიანი კაცი იყო, ენაწყლიანი მოსაუბრე, დაუდევარი მოსაქმე და ძალიან უყვარდა ვალის აღება და დუქნები. როცა დათვრებოდა, ცოლ-შვილსა სცემდა, მეორე დილას კი თავი სტკიოდა და მოჰყვებოდა ქვეყნიერების ლანძღვა-გინებას მისი ნიჭის დაუფასებლობისათვის და შეურაცხყოფდა საკმაოდ გონებამახვილურად, და ხანდახან ჭეშმარიტად საბუთიანადაც, ბრიყვებს - თავის მოძმე მხატვრებს. რადგან დიდი გაჭირვებით არჩენდა თავს და რადგან ერთ მილზე სოჰოს გარშემო, სადაც ის ბინადრობდა, ყველას ვალი ემართა, მდგომარეობის გამოკეთება ოპერის მსახიობი ფრანგი ყმაწვილი ქალის შერთვით განიზრახა. მშობელი დედის უბრალო, მდაბიურ

ხელობას მის შარპი არასოდეს ახსენებდა, ხოლო ანტრეში გასკონის კეთილშობილი გვარიაო, ხშირად და ბეჯითად იმეორებდა; დიდადაც ამაყობდა ამ გვარის შთამომავლობას და უცნაურია, რაც უფრო წინ მიიწევდა ცხოვრებაში, ამ მანდილოსნის წინაპრებს მით უფრო ემატებოდათ ხარისხი და ბრწყინვალება.

რებეკას დედას სადღაც რაღაც ესწავლა და ქალიშვილი წმინდად და პარიზული გამოთქმით ლაპარაკობდა ფრანგულს. იმ დროს ეს საკმაოდ იშვიათი მიღწევა გახლდათ და კიდეც ამან მოუპოვა ადგილი მართლმორწმუნე ქალბატონ პინკერტონის სასწავლებელში. დედა უკვე გარდაცვლილი ჰყავდა, როცა მამამისმა delirium tremens-ის მესამე შეტევის მერე იგრძნო, ვეღარ მოვრჩებიო; გაბედული და ამაღელვებელი წერილი მისწერა ქალბატონ პინკერტონს, ობოლს თქვენს მფარველობას ვანდობო და ჩაასვენეს სამარეში მას შემდეგ, რაც სასამართლოს ორი ბოქაული იმის ცხედართან ერთმანეთს წაეკიდა.

რებეკა ჩვიდმეტი წლისა იყო, ჩიზიკს რომ მივიდა, ვითარცა სამადლოდ აყვანილი შეგირდი. მას, როგორც წინათაც მოგახსენეთ, ფრანგულად ლაპარაკი ევალებოდა, ხოლო ის შეღავათი კი ენიჭებოდა, რომ უფასოდ იცხოვრებდა იქ და წელიწადში რამდენიმე გინეად მეცნიერებათა ნამცეცებს მოჰკრეფდა სასწავლებლის პროფესორთაგან.

რებეკა ტანმორჩილი, სუსტი, ფერმკრთალი და მოჟღალო თმიანი გახლდათ. ჩვეულებრივ თვალდახრილი სიარული უყვარდა, ხოლო როცა ზევით აიხედავდა, დიდრონი, უცნაური და მიმზიდველი თვალები გამოუჩნდებოდა, ისე მიმზიდველი, რომ ოქსფორდიდან ახლახან მოსულ ღირს მამა კრისპს, ჩიზიკის მოძღვრის ღირს მამა ფლაუერდიუს თანაშემწეს, გულში ჩაუვარდა მის შარპის სიყვარული. სასიკვდილოდ განგმირა იგი ჩიზიკის მთელი ეკლესიის სიგრძეზე შეგირდთა სკამებიდან საწიგნემდე გატყორცნილმა თვალთა ისრებმა. ეს თავბრუდახვეული ჭაბუკი ხანდახან ჩაის მიირთმევდა ქალბატონ პინკერტონთან, რომელსაც მისმა დედიკომ გააცნო იგი. მან მართლაც განიზრახა რაღაც ჯვრისწერის მაგვარი, მაგრამ ბარათი, რომელშიც ეს ამბავი ეწერა და რომლის გადაცემა ცალთვალა მეღვეზელე დედაკაცმა იკისრა, ხელთ ჩაუვარდა ქალბატონ პინკერტონს. ბაქსტონიდან ქალბატონი

კრისპი გამოიწვიეს და მან მყის გაიტაცა თავისი ძვირფასი ბიჭიკო. მაგრამ ჩიზიკის სამტრედეში ასეთი არქივის გამოჩენის ფიქრმაც კი დიდი გულის ფრიალი აუტეხა ქალბატონ პინკერტონს, რომელიც სიამოვნებით გაისტუმრებდა მის შარპს, პირობის მიხედვით ჯარიმის გადახდის მოვალე რომ არ ყოფილიყო. მას ნამდვილად არც არასოდეს დაუჯერებია ყმაწვილი ქალის უარყოფანი: ერთი სიტყვაც არასოდეს მითქვამს ბატონ კრისპისთვის, გარდა ორი შემთხვევისა, როცა ჩაის სმის დროს შევხვდი თქვენს თვალწინო.

სასწავლებლის ბევრი მაღალი და წარმოსადეგი ქალიშვილის გვერდით რებეკა შარპი ბავშვად გამოიყურებოდა. მაგრამ მას სიღატაკის წყეული ნაადრევი სიმწიფე ახლდა თან. ბევრი მოვალე გაებრუნებინა მამის სახლის ზღურბლიდან, ბევრი მედუქნე მოეთაფლა, თავის ქლესობით კარგ გუნებაზე დაეყენებინა და ამით ერთი ულუფით მეტი დაეცინცლა მისთვის. ჩვეულებრივ, მამასთან იჯდა, რომელიც დიდად ამაყობდა მისი ჭკუით, და ყურს უგდებდა მამის მრავალი დამთხვეული ამხანაგის ლაპარაკს, რაც ხშირად ვერაფერი შესაფერისი იყო გოგოს მოსასმენად. მაგრამ მისი თქმით, იგი არ ოდეს ყოფილა გოგონა - რვა წლიდან ის უკვე დედაკაცი იყო. ოჰ, რატომ შეუშვა ქალბატონმა პინკერტონმა თავის გალიაში ასე საშიში ფრინველი?

რებეკა ასე დიდებულად ასრულებდა ingenue-ს[4] როლს, როცა მამამისი ჩიზიკს მოიყვანდა ხოლმე, რომ ბებერ მანდილოსანს ნამდვილად სჯეროდა, რებეკასთანა უწყინარი არსება ქვეყნის ზურგზე მეორე არ მოიპოვებაო. მხოლოდ ერთი წლის წინათ, ვიდრე იმ ხელშეკრულებას დადებდნენ, რომლითაც რებეკას იმის სახლში შემოსვლის ნება ებოძა და როცა რებეკა თექვსმეტი წლისა იყო, ქალბატონმა პინკერტონმა მოკლე, მედიდური სიტყვით მიმართა, მას და თოჯინა უძღვნა. ეს თოჯინა კი, სხვათა შორის, ჩამორთმეული საკუთრება გახლდათ მის სუინდლისა, რომელსაც მაშინ წაასწრეს, როცა უჩუმრად ეალერსებოდა მას გაკვეთილის დროს. როგორ ხითხითებდა მამა-შვილი, საღამოს წვეულებიდან შინ რომ მილასლასებდნენ (ეს წვეულება სიტყვების წარმოსათქმელად იყო გამართული და ყველა მასწავლებელი გახლდათ მიწვეული) და როგორ განრისხდებოდა ქალბატონი პინკერტონი, თავისი კარიკატურა რომ დაენახა, რომელიც პატარა ოინბაზმა რებეკამ მოახერხა და იმის თოჯინიდან

გამოიყვანა! ბეკი გაბაასებას მართავდა მასთან. მათ ბინა ნიუმენისა და ჯერარდის ქუჩებისა და მხატვართა უბნის თავის შესაქცევი ადგილი გახლდათ და ახალგაზრდა მხატვრები უბნის თავის შესაქცევი ადგილი გახლდათ და ახალგაზრდა მხატვრები თავის ზარმაც, დაუდევარ, ჭკვიან და მხიარულ უფროს მეგობართან რომ მივიდოდნენ ჯინის დასალევად, ყოველთვის ჰკითხავდნენ რებეკას, ქალბატონი პინკერტონი შინ ბრძანდება თუ არაო. ის საბრალო მათთვის ისევე კარგად ცნობილი გახდა, როგორც ბატონი ლორენსი ანდა პრეზიდენტი უესტი. ერთხელ რებეკას წილად ხვდა პატივი, ჩიზიკში რამდენიმე დღე გაეტარებინა. მას შემდეგ თან მოიტანა ჯიმაიმა და მეორე თოჯინა - მის ჯიმი - აღმართა; და თუმცა ამ პატიოსანმა არსებამ გაუკეთა და მიართვა მას ჟელე, სამი ბავშვის საყოფი ნამცხვრები და განშორებისას შვიდშილინგიანიც, ამ გოგოს გაცილებით უფრო მძლავრი დამცინაობის გრძნობა აღმოაჩნდა, ვიდრე მადლიერებისა და ისევე ულმობლად გასწირა მის ჯიმი, როგორც მისი და.

მოხდა უბედურება და ბეკი მოიყვანეს ხეივანში, როგორც მის სახლში. აქაური მკაცრი გარეგნული წესრიგი სულს უხუთავდა. მონასტრული სიბეჯითით განრიგებული ლოცვები და იჯრები, გაკვეთილები და გასეირნებანი ისე აწუხებდა, რომ თითქმის აღემატებოდა მის მოთმინებას და ისეთი დანანებით გასცქეროდა უკან სოჰოს ძველი სტუდიის თავისუფლებას და სიღატაკეს, რომ ყველას და თვითონ მასაც ეგონა, მამას თუ გლოვობსო. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა მიჩენილი სხვენში. იქიდან ქალიშვილებს ღამღამობით ბოლთის ცემის ხმა და ქვითინი ესმოდათ, მაგრამ ეს გააფთრებისა იყო და არა მწუხარების. ის წინათ არ ყოფილა თვალთმაქცი, ვიდრე ახლა მარტოობამ არ ასწავლა თავის მოკატუნება. ქალთა საზოგადოებაშიც ოროდეს გარეულა მანამდე. მამამისი, როგორი მანკიერიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ნიჭიერი კაცი იყო. მისი საუბარი ათასჯერ უფრო ეამებოდა, ვიდრე საკუთარი სქესის იმნაირ პირთა ყბედობა, რომელთაც ახლა გადაეყარა. სასწავლებლის ბებერი დიასახლისის მედიდური ამაოება, მისი დის სულელური გულკეთილობა, უფროსი გოგოების ბრიყვული რატრატი, კინკლაობა და აღმზრდელთა ცივი თავაზიანობა თანაბრად უწყალებდა გულს. დედობრივი ნაზი გულიც არ მოეპოვებოდა ამ ბედშავ გოგოს, თორემ ტიკტიკს და ყბედობას უმცროსი ბავშვებისა, რომელნიც უმთავრესად მას

ჰყავდა მინდობილი, იქნებ ენუგეშებინა იგი და მიეპყრო მისი ყურადღება. მაგრამ მათთან ორი წელი დაჰყო და არც ერთს დასწყვეტია გული, ის რომ იქიდან გაემგზავრა.

ბედნიერება - მის გარშემო მყოფ ყმაწვილ ქალთა ეს აღმატებული უპირატესობა - შურიანობის გამოუთქმელ ტკივილს აგრძნობინებდა რებეკას. „დახე როგორ იბღვირება ეს გოგო, აქაოდა ვიღაც გრაფის შვილიშვილი ვარო!“ იტყოდა ის ერთისთვის. „როგორ ელაქუცებიან და ეთაყვანებიან ამ კრეოლს იმის ასი ათასი გირვანქა სტერლინგისათვის! ათასჯერ უფრო ჭკვიანი და მომხიბლავი ვარ, ვიდრე ეს გომბიო, მიუხედავად მთელი მისი ავლადიდებისა. ისევე კარგად ვარ აღზრდილი, როგორც გრაფის შვილიშვილი, მიუხედავად მთელი მისი წარჩინებული გვარტომობისა; მაგრამ ყველა ტუჩს მიბზუებს. მამაჩემთან კი როცა ვიყავი, განა ჩემთვის არ აწყობდნენ თავიანთ უმხიარულეს ლხინებსა და წვეულებებს, რომ საღამო ჩემთან გაეტარებინათ?“ მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, თავი უნდა დავაღწიო ამ სატუსაღოსო. ახლა შეუდგა თავისთვის ზრუნვას და პირველად მომავლის გეგმა დააწყო.

ამიტომ ისარგებლა იმ ხელსაყრელი პირობებით, რომელთაც მისი ადგილი ანიჭებდა და რადგან მუსიკა და ენები უკვე კარგად იცოდა, სწავლა-განათლების ის პატარა კურსიც მსწრაფლ შეითვისა, რაც აუცილებლად ითვლებოდა იმ დროის მანდილოსანთათვის. გულმოდგინედ ვარჯიშობდა მუსიკაში და ერთ დღეს, როცა გოგონები წასული იყვნენ, თვითონ კი შინ იყო დარჩენილი, მინერვამ ყური მოჰკრა რებეკას ისე კარგ დაკვრას, რომ ბრძნულად გაიფიქრა, უმცროსების მასწავლებლის ხარჯს ჩამოვირჩენო და აცნობა მის შარპს, მომავალში შენ უნდა ასწავლო მათ მუსიკაო.

ქალმა იუარა. ეს უარი პირველი იყო და სკოლის დიდებული დიასახლისი განაცვიფრა.

- მე აქ ბავშვებთან ფრანგულის სალაპარაკოდ გახლავარ და არა მუსიკის მასწავლებლად და თქვენთვის ფულის დასაზოგად! - მკვახედ მიახალა რებეკამ, - მომეცით ფული და ვასწავლი!

მინერვა იძულებული გახდა დაეთმო და, რასაკვირველია, იმ დღეს აქეთ კიდეც შეიძულა.

- ოცდათხუთმეტი წელიწადია, - ბრძანა მან, და სრული

ჭეშმარიტებაც იყო, - არავინ შემხვედრია, საკუთარ ჭერქვეშ ჩემთვის სიტყვის შებრუნება გაებედოს. მე ჩემს მკერდზე ასპიტი გამომიზრდია!

- ასპიტი... მიქარვაა! - მიაძახა მის შარპმა ბებერ მანდილოსანს, რომელსაც ელდისაგან კინაღამ გულს შემოეყარა. - თქვენ იმიტომ ამიყვანეთ, რომ სასარგებლო ვიყავი. ჩვენ შორის მადლიერება მოსახსენებელი არ გახლავთ! მძულს აქაურობა და მწყურია აქედან თავის დაღწევა; აქ რაც მევალება, იმაზე მეტს არაფერს გავაკეთებ!

ამაოდ ეკითხებოდა ბებერი, შეგნებული გაქვს თუ არა, რომ ქალბატონ პინკერტონს ელაპარაკებიო. რებეკამ მოურიდებლად გადაიხარხარა შემაძრწუნებელი, სარკასტული, ჯოჯოხეთური ხარხარით, რომელმაც ქალბატონს კინაღამ ბნედა დაჰმართა.

- მომეცით ცოტაოდენი ფული და თავიდან მომიშორეთ... - უთხრა ქალმა, - ან თუ გირჩევნიათ, მიშოვნეთ აღმზრდელის კარგი ადგილი ვინმე წარჩინებულის ოჯახში... თქვენ თუ მოინდომებთ, მოახერხებთ - და მათ შემდგომ დავაში, რებეკა ყოველთვის ამ პირობას უბრუნდებოდა: „მიშოვნეთ ადგილი... ჩვენ გვძულს ერთმანეთი და მე მზად ვარ წავიდეო“.

ღირს ქალბატონ პინკერტონს თუმცა რომაული ცხვირი ჰქონდა, თავს დოლბანდი უმშვენებდა, გრენადერივით ახოვანი გახლდათ და აქამდე თვითმპყრობელი დედოფალიც ბრძანდებოდა, თავისი პატარა შეგირდისოდენი ნებისყოფა და სიმტკიცე არ გააჩნდა. ამაოდ ებრძოდა და ამაოდ ცდილობდა იმის დაჯაბნას. ერთხელ საჯაროდ გაკიცხვაც სცადა, მაგრამ რებეკამ ფრანგულად გამოპასუხების ზემოხსენებული ხერხი იხმარა და, ჭეშმარიტად, კუდით ქვა ასროლინა ბებერს. სკოლაში ძალაუფლების შენარჩუნებისათვის აუცილებელი გახდა, ქალბატონ პინკერტონს განეძო ეს მეამბოხე, ეს ურჩხული, ეს გველი, ეს ჯანყისთავი. ამ დროს შეიტყო, სერ პიტ კროულის ოჯახს აღმზრდელი სჭირდებაო და, თუმცა მის შარპი ჯანყისთავი და გველი იყო, მაინც მაშინვე ურჩია იგი იმ ადგილისათვის.

- ჭეშმარიტად, - ბრძანა მან, - ვერაფერ მწიკვლს ვუპოვნი მის შარპის ქცევას. გარდა ჩემდამი მოპყრობისა. და უნდა ვაღიარო, რომ მისი ნიჭიერება და წარმატება მაღალი ღირსებისაა. ხოლო

რაც შეეხება ჭკუას, ჩემი სასწავლებლის სწავლა-განათლების წესრიგის სახელს მაინც არ შეარცხვენს.

ასე ინუგეშებდა თავს სასწავლებლის წინამძღვარი ამ რჩევისათვის. ხელშეკრულება გაუქმდა, შეგირდი გათავისუფლდა და რადგან მის სედლი, რომელიც ახლა მეჩვიდმეტე წელში გადადგა, სკოლას ამთავრებდა და მის შარპს მეგობრობდა („ეს ემილიას ყოფაქცევის ერთადერთი ნაკლია, რომლითაც თავისი აღმზრდელი ვერ ასიამოვნაო“, - იტყოდა მინერვა), მან მეგობარი ერთი კვირით შინ სტუმრად მიიპატიჟა, ვიდრე იგი კერძო ოჯახში შეუდგებოდა აღმზრდელის მოვალეობის აღსრულებას.

ასე დაიწყო ცხოვრება ამ ორი ყმაწვილი ქალისათვის. ემილიასთვის ეს სულ ახალი, ბრწყინვალე ცხოვრება იყო, ყოველნაირად აყვავებული. ხოლო რებეკასთვის არცთუ სულ ახალი გახლდათ... (მართლაც, თუ კრისპის საქმისათვის ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, მეღვეზელე დედაკაცმა ვიღაცას გადაუკრა სიტყვა, იმან კიდევ სხვა ვიღაცასთან დაიფიცა, ბატონ კრიპსა და მის შარპს შორის გაცილებით მეტი რამ მოხდა, ვიდრე ეს საჯაროდ გამოცხადდაო, და რომ ბატონ კრისპის წერილი სხვა წერილის პასუხი იყოო). მაგრამ აბა ვის ძალუძს მიაკვლიოს ჭეშმარიტებას? ყოველ შემთხვევაში თუ რებეკა ახლა არ იწყებდა ცხოვრებას, კვლავ ხელმეორედ მაინც იწყებდა.

იმ დროისათვის, ქალიშვილებმა კენსინგტონის სადარაჯოს რომ მიაღწიეს, ემილიას თუმცა არ დავიწყებია მეგობრები, ცრემლები კი მოიწმინდა; სახეზე ალმური მოედო და ძალიანაც ეამა, როცა ლეიბგვარდიის ახალგაზრდა ოფიცერმა, ცხენით გვერდს რომ ჩაუარა მათ, შეამჩნია იგი და წამოიძახა: „დალახვროს ღმერთმა, რა ლამაზი გოგოა!“ და ვიდრე ეტლი რასელ-სკვერს მივიდოდა, ქალიშვილებმა საკმაოდ ბევრი იმუსაიფეს სამეფო კარის დარბაზობის თაობაზე. ნეტავი ახალგაზრდა მანდილოსნები იპუდრებიან თუ არა, ან იკეთებენ თუ არა კაბაში რგოლებს, როცა პირველად წარსდგებიან მეფის კარს, ან ემილიას წილად ხვდებოდა თუ არა ეს პატივი - ლორდმერის წვეულებაში რომ იქნებოდა, ეს მან უკვე იცოდა. ბოლოს, სახლს რომ მიაღწიეს, მის ემილია სედლიმ მიშველება არ დააცალა სემბოს და ხელიდან გამოუსხლტა. იგი ისე ბედნიერი და ტურფა იყო, რომ მთელ დიდ ლონდონ-ქალაქში

არ იქნებოდა ასეთი ქალიშვილი. ორივემ, სემბომ და მეეტლემ, ერთმანეთს კვერი დაუკრეს ამაზე და ასევე მოიქცნენ დედ-მამა და სახლის ყველა მსახურნი, როცა ისინი დარბაზში იდგნენ, თავს აკანტურებდნენ, რევერანსებს აკეთებდნენ და იღიმებოდნენ ახალგაზრდა ქალბატონისადმი მისალმების ნიშნად.

შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ემილიამ რებეკას სახლის ყველა ოთახი და ყველაფერი უჩვენა, რაც რამ მოეპოვებოდა თავის ყველა უჯრაში - თავისი წიგნებიც, თავისი ფორტეპიანოც, თავისი კაბებიც და ყველა თავისი ფარღული, გულის ქინძისთავი, მაქმანი და ზიზილ-პიპილები. იგი არ მოეშვა რებეკას, სანამ არ აჩუქა თეთრი ქალკედონის და ფირუზის ბეჭდები და მარმაშის მშვენიერი ფოთლიანი კაბა, რომელიც ახლა თვითონ მეტისმეტად ვიწრო ჰქონდა, მის მეგობარს კი ჩინებულად მოადგებოდა; აგრეთვე გულში გადასწყვიტა, დედას ნებართვას ვთხოვ, თეთრი ქიშმირის შალი ვაჩუქო ჩემ მეგობარსაო. განა უამისოდ იოლად ვერ წავიდოდა? და განა მისმა ძმამ ჯოზეფმა ახლახან ორი ცალი არ ჩამოუტანა ინდოეთიდან?

რებეკამ ჯოზეფ სედლისგან დისთვის ჩამოტანილი ქიშმირის ორი საუცხოო შალი რომ იხილა, გულწრფელად აღიარა: „ძმის ყოლა სასიამოვნო უნდა იყოსო“ და გულჩვილ ემილიას ადვილად შეაბრალა თავი, ქვეყანაზე მარტოდმარტო რომ იყო იგი - ობოლი და მეგობარ-ნათესავებს მოკლებული.

- მარტოდმარტო რადა, - უთხრა ემილიამ. - შენ იცი, რებეკა, რომ ყოველთვის ვიქნები შენი მეგობარი და დასავით მეყვარები... მართლა მეყვარები!

- ეჰ, მაგრამ მე ხომ არა მყავს მშობლები, შენისთანა მშობლები... კეთილი, მდიდარი, მოყვარული მშობლები; რასაც სთხოვ, ყველაფერს რომ აგისრულებენ. მერე მათი ყველაფერზე უფრო ძვირფასი სიყვარული! საწყალ მამაჩემს არაფრის მოცემაც არ შეეძლო და მთელი დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორად ორი კაბა მომეპოვებოდა! და მერე გყავდეს ძმა, ძვირფასი ძმა! ოჰ, ალბათ როგორ გიყვარს!

ემილიას გაეცინა.

- რა! განა არ გიყვარს? შენ, რომელიც გაიძახი, ყველა მიყვარსო?

- ოჰ, რასაკვირველია, - მიყვარს... ოღონდ...

- ოღონდ ჯოზეფს არ ეტყობა, რომ დიდ ყურადღებას აქცევდეს, მე მიყვარს იგი თუ არა. ათი წელი არ ყოფილა შინ და რომ ჩამოვიდა, ორი თითი გამომიშვირა ჩამოსართმევად! ხმასაც კი ძლივსა მცემს. მე მგონი, თავისი ჩიბუხი გაცილებით უფრო მეტად უყვარს, ვიდრე... - მაგრამ აქ ემილია შედგა, რადგან აბა რად უნდა ეთქვა ძმის ავი? - ერთობ გულკეთილად მეპყრობოდა ბავშვობაში, - დასძინა მან, - მე მხოლოდ ხუთი წლისა ვიქნებოდი, ის რომ გაემგზავრა.

- ძალიან მდიდარია? - ჰკითხა რებეკამ, - ამბობენ, ყველა ინდოელი ნაბობი უზომოდ მდიდარიაო.

- მე მგონი, ძალიან დიდი შემოსავალი უნდა ჰქონდეს.

- მერე შენი რძალი ტურფა და ლამაზია?

- ოჰ, ჯოზეფი ცოლიანიც არ არის, - კიდევ გადაიკისკისა ემილიამ.

ეს ამბავი იქნებ კიდეც ჰქონდა ნათქვამი რებეკასთვის, მაგრამ ამ მანდილოსანს არ გამოუმჟღავნებია, რომ ახსოვდა. მართლაც იფიცებოდა და საზეიმოდ აცხადებდა, რომ მას ეგონა, ემილიას კარგა ბლომად ძმისწულებს იხილავდა. ერთობ ეწყინა, ბატონი სედლი რომ უცოლო ბრძანდებოდა. დარწმუნებული იყო, ემილიამ უთხრა, ცოლშვილიანიაო და მას ხომ ისე ძალიან უყვარდა პატარები!..

- მე მგონი, ბავშვები საკმაოდ გყავდა ჩიზიკში და თავიც მოგაბეზრეს, - უთხრა, მეგობრის ანაზდად გაალერსიანებით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა ემილიამ.

და მართალი მოგახსენოთ, შემდეგში მის შარპს არასოდეს წამოსცდენია ისეთი რამ, ტყუილში ასე ადვილად რომ დაეჭიროთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ მხოლოდ ცხრამეტი წლისაა და სიცრუის ხელოვნებას შეუჩვეველია. საბრალო უმანკო არსება! მერედა საკუთარ გამოცდილებას თვითონვე იძენს. ზემოხსენებულ კითხვების აზრი, ამ ყმაწვილი ქალის გულში თუ ჩავიხედავთ, უბრალოდ ეს გახლდათ: „თუ ბატონი ჯოზეფ სედლი მდიდარი და უცოლოა, რატომ არ უნდა მივთხოვდე მე? მართალია, მხოლოდ ორი კვირა მაქვს დრო, მაგრამ ცდით არა დაშავდება რა“. გულში

კიდეც გადასწყვიტა, ამ საქებარ ცდას შევუდგებიო. ემილიას ალერსი გაუორკეცა, დაჰკოცნა თეთრი ქალკედონის ფურცელი, როცა იკეთებდა და დაიფიცა, არიდეს, არიდეს მოვიშორებ თავიდანო. სადილის ზარი რომ დაირეკა, ქვევითკენ გაემართა მეგობრის წელზე მკლავშემოხვეული, როგორც ქალიშვილებს სჩვევიათ. სასტუმროს კართან ისე ღელავდა, ძლივს მოიკრიბა გამბედაობა შესვლისათვის.

- გულზე ხელი დამადე, გენაცვალე. ნახე როგორ მიცემს! - მიმართა მან მეგობარს.

- ოჰ, არაფერიც, - მიუგო ემილიამ, - შემო, ნუ გეშინია, მამიკო სულაც არას დაგიშავებს!

თავი III. რებეკა მტრის პირისპირ

ერთობ მსუქანი, ღიპიანი კაცი ცეცხლაპირა იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ტყავის შარვალი და ჰესენური ჩექმები ეცვა. ყელზე უშველებელი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული, რომელიც თითქმის ცხვირამდე სწვდებოდა. წითელზოლიან ჟილეტსა და თითქმის კრონისოდენა ფოლადის ღილებიან, მკვახე ვაშლისფერ ხალათში იყო გამოწყობილი (ეს გახლდათ იმდროინდელ დარდიმანდთა და წარჩინებულთა დილის მორთულობა). ქალები რომ შევიდნენ, იგი მყის წამოხტა სავარძლიდან, უზომოდ წამოჭარხლდა და მათ გამოჩენაზე თითქმის მთელი პირისახე ყელსახვევში ჩამალა.

- მხოლოდ შენი დაიკოა, ჯოზეფ, - სიცილით მიმართა ემილიამ და გამოწვდილი ორი თითი ჩამოართვა. - ხომ იცი, სამუდამოდ დავბრუნდი შინ. ეს კი ჩემი მეგობარი მის შარპია, რომ ვახსენებდი ხოლმე.

- ოჰ, არა, არასოდეს გიხსენებია, გეფიცები, - წაიბურტყუნა ყელსახვევში ჩაფლულმა თავმა, თან გაცხარებით აქეთ-იქით ყანყალებდა, - ესე იგი, დიახ... რა საძაგელი სუსხიანი ამინდია, მის... - და მერე მთელი ძალღონით დაუწყო ცეცხლს ჩუჩხური, თუმცა შუა ივნისი იდგა.

- ძალიან ლამაზია! - საკმაოდ ხმამაღლა ჩაუჩურჩულა რებეკამ ემილიას.

- ეგრე გგონია? - უთხრა ემილიამ. - აბა ვეტყვი მას.

- ძვირფასო, ეგ არამც და არამც არ ჰქნა. - წაულაპარაკა მის შარპმა და დამფრთხალი შველივით უკან მიაწყდა. ის ადრევე მიესალმა ამ დარბაისელს მოწიწებული ქალწულური რევერანსით, ახლა კი კდემამოსილი მზერა ისე დაჟინებით დაეშტერებინა ნოხისთვის, რომ, საკვირველია, ჯოზეფის შეთვალიერება როგორ მოახერხა.

- გმადლობ მშვენიერი შალებისთვის, ძმაო, - უთხრა ემილიამ ცეცხლფარეშს. - ხომ მშვენიერებია, რებეკა?

- ოჰ, დიდებული! - დაუდასტურა მის შარპმა და მისმა თვალებმა ნოხიდან პირდაპირ შანდალზე გადაინაცვლა.

ჯოზეფი კვლავ განაგრძობდა ასტამით და მაშით უსაზომო ჩხარაჩხურს, თანაც საბერველივით ქშინავდა, უბერავდა და ისე გაწითლდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა მისი ყვითელი პირისკანის გაწითლება.

- ასე საუცხოო საჩუქრებს მე ვერ მოგცემ, ჯოზეფ, - განაგრძო დამ, - მაგრამ სასწავლებელში რომ ვიყავი, ერთი წყვილი ძალიან კოხტა შარვლის დასამაგრებლები კი მოგიქარგე.

- უფალო შემიწყალე! ემილია, - შეჰყვირა არასახუმაროდ დაფეთებულმა ძმამ. - რას ლაპარაკობ? - და მთელი ძალღონით დაჰქაჩა ზარის თოკს, რადგან ავეჯის სწორედ ეს საგანი მოხვდა ხელთ. ამან კიდევ უფრო განადიდა საწყალი კაცის დაბნეულობა. - ღვთის გულისთვის, გაიხედე, ჩემი ბაგი ხომ არა დგას კართან!.. ვერ დავიცდი. უნდა წავიდე, ეშმაკმა დალახვროს ის ჩემი მეჯინიბე!.. უნდა წავიდე!

სწორედ ამ დროს, ოჯახის უფროსი შემოვიდა საათის სამკაულებისა და ძეწკვის წკარუნით, როგორც ჭეშმარიტ ბრიტანელ სოვდაგარს შეჰფეროდა.

- რა ამბავია, ემი? - იკითხა მან.

- ჯოზეფი მგზავნის, ნახე ჩემი ბაგი კართან დგას თუ არაო. რა არის ბაგი, მამილო?

- ერთცხენიანი ტახტრევანია, - მიუგო მოხუცმა, რომელსაც

თავისებური ოხუნჯობა უყვარდა.

ამაზე ჯოზეფს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა; მაგრამ ანაზდად მის შარპის თვალს შეეფერა და ისე უცბად შედგა, თითქოს ტყვია მოხვდა გულშიო.

- ეს მანდილოსანი შენი მეგობარია? მის შარპ, ფრიად მიხარია თქვენი ნახვა. განა თქვენ და ემი უკვე ეჩხუბეთ ჯოზეფს, წასვლას რომ ეპირება?

- ჩვენს თანამშრომელ ბონემის დავპირდი, ბატონო, შენთან ვისადილებ-მეთქი, - თქვა ჯოზეფმა.

- ფუი! განა დედაშენს არ უთხარი, აქ ვისადილებო?

- კი, მაგრამ ამ ტანისამოსით შეუძლებელია.

- შეხედეთ ამას, მის შარპ, განა საკმაოდ კოხტა არ ბრძანდება, სადაც არ უნდა სადილობდეს?

ამაზე, რასაკვირველია, მის შარპმა მეგობარს გადახედა და ორივე აკისკისდა, რაც მოხუც დარბაისელს ძალიან ეამა.

- ქალბატონ პინკერტონთან განა ოდესმე გინახავთ ტყავის ასეთი შარვალი? - განაგრძო თავისი ხუმრობის წარმატებით წახალისებულმა მოხუცმა.

- უფალო შემიწყალე! მამა! - შესძახა ჯოზეფმა.

- ოჰო, ბებერაზე ფეხი დავადგი, აი! ქალბატონო სედლი, გეთაყვა, შენს ვაჟს ბებერაზე ფეხი დავადგი - მისი ტყავის შარვალი ვახსენე. ჰკითხე მის შარპს, თუ არა გჯერა. აბა, აბა, ჯოზეფ, დაუმეგობრდი მის შარპს და, მოდი, ყველანი სასადილოდ წავიდეთ.

- შენ რომ გიყვარს, ისეთი ფლავი გვაქვს, ჯოზეფ, და მამამ კიდევ ბილინგსგეიტიდან ყველაზე საუკეთესო კარიდი მოიტანა.

- აბა, აბა ვაჟბატონო, წააბრძანე ქვევით მის შარპი და მეც მოგყვები ამ ორი ახალგაზრდა მანდილოსნითურთ, - უთხრა მამამ. ხელი მოჰკიდა ცოლ-შვილს და მხიარულად გასწია სასადილოსაკენ.

თუ მის რებეკა შარპმა ამ ზორზოხი, პრანჭია დარდიმანდის

დაპყრობა გადასწყვიტა გულში, არა მგონია, მანდილოსანნო, მისი გაკიცხვის რაიმე უფლება გვქონდეს, რადგან, თუმცა ქმრებზე ნადირობის საქმე, საზოგადოდ და თანაც შესაფერი კდემამოსილებით, ახალგაზრდებს თავიანთი დედიკოებისათვის აქვთ მინდობილი, გაიხსენეთ, რომ მის შარპს გულკეთილი მშობლები არ გააჩნდა ამ საჩოთირო საქმის მოსაგვარებლად, და თუ თავად არ იშოვნიდა ქმარს, სხვა არავინ იყო ამ ვეებერთელა ქვეყნიერების ზურგზე, ვინც თავიდან ააცილებდა ამ საზრუნავს.

განა რა აიძულებს ყმაწვილ ქალებს „საზოგადოებაში გამოსვლას“, თუ არ ქორწინების კეთილშობილური წადილი? რა ჰგზავნის მათ სალაშქროდ სამკურნალო წყლების აგარაკებზე? რა აძლებინებთ, დილის ხუთ საათამდე იცეკვონ მთელი მოსაწყენი სეზონის განმავლობაში? რა აიძულებს მათ, რომ ფორტეპიანოს სონატებს ჩაჰკირკიტებდნენ, გაკვეთილში თითო გინეას იხდიდნენ და სახელგანთქმულ ოსტატისაგან ოთხიოდე სიმღერას იზეპირებდნენ: აგრეთვე ქნარსაც უკრავდნენ, თუ ლამაზად მოყვანილი მკლავები და ნატიფი ნიდაყვები აქვთ? რა აიძულებთ, მშვილდოსნობის მოყვარულთა ლინკონური მწვანე ქუდებითა და ფრთებით მოირთონ, - თუ არ ის, რომ ამ თავიანთი მომაკვდინებელი მშვილდ-ისრით ძირს დასცენ ვინმე „ნანატრი“ ჭაბუკი? რა აიძულებთ პატივდებულ მშობელთ აჰკეცონ ნოხები, ალიაქოთი ასტეხონ სახლში და თავიანთი წლიური შემოსავლის მეხუთედი ვახშმებსა და ყინულით გაცივებულ შამპანურისათვის ჰფლანგონ? ეს ვითომ მოძმეთადმი ლიტონი სიყვარული და ყმაწვილთა ბედნიერებისა და ცეკვის უანგარო წყურვილია? უკაცრავად! მათ თავიანთ ქალიშვილთა გათხოვება ნებავთ. და როგორც პატიოსანმა ქალბატონმა სედლიმ კეთილი გულის კუნჭულში უკვე დააწყო ორიოდე ათეული პატარა გეგმა თავისი ემილიას დასაბინავებლად, ასევე გადაწყვიტა ჩვენმა სიყვარულმა, მაგრამ უპატრონო რებეკამ, ყოველი ღონე ეხმარა ქმრის ხელში ჩასაგდებად, რომელიც იმისთვის უფრო აუცილებელიც იყო, ვიდრე მისი მეგობრისათვის.

ბეკი მეოცნებე გახლდათ, თანაც „არაბული ღამეები“ და „გათრის გეოგრაფია“ ჰქონდა წაკითხული და სადილისთვის რომ იცვამდა, მას შემდეგ რაც ემილიას ჰკითხა, შენი ძმა ძალიან მდიდარია თუ არაო, თავის ოცნებაში უდიდებულესი ბროლის

კოშკი ააგო, რომლის დედოფალი თვითონ ბრძანდებოდა, ქმარი კი სადღაც უკანა მხარეს იყო მიჩქმალული (რებეკას ჯერ კიდევ არ ენახა იგი და მისი გარეგნობა ამიტომ ვერა ჩანდა მკაფიოდ). იგი მოირთო უთვალავი შალით, დოლბანდით, ალმასის ფარღულით და „ლურჯწვერას“ მარშის ხმაზე შებრძანდა სპილოზე, რათა სადარბაზოდ წაბრძანებულიყო დიდ მოღოლთან. ალნაშარის მომხიბლავო ოცნებანო! სიყმაწვილის ბედნიერი უპირატესობაა თქვენი შეთხზვა და რებეკა შარპს გარდა აქამდეც ბევრი მეოცნებე ახალგაზრდა მისცემია ამ საამურ ზმანებებს!

ჯოზეფ სედლი თორმეტი წლით უფროსი იყო ემილიაზე. ის გახლდათ ოსტ-ინდოეთის კომპანიის სამოქალაქო უწყების მოხელე და იმ დროს, ჩვენ რომ ამბავს აღვწერთ, იხსენიებოდა ოსტ-ინდოეთის უწყებათა ბენგალის განყოფილებაში, ვითარცა ბოგლი-უოლაჰის გადასახადების ამკრები. ეს კი, როგორც ყველას მოეხსენება, პატივდებული და მომგებიანი თანამდებობაა. რა მაღალ თანამდებობას მიაღწია ჯოზეფმა სამსახურში, ამის შესატყობად მკითხველს კვალად იმავე გაზეთს მივუთითებთ.

ბოგლი-უოლაჰი მდებარეობს ღალღაზე ნადირობით სახელგანთქმულ, ლამაზ, მივარდნილ, ჭაობიან და ჯუნგლებიან კუთხეში, სადაც არაიშვიათად შეიძლება ვეფხვს შეეფეთოს კაცი. მსაჯულის სამყოფელი რემგანჯი მხოლოდ ორმოცი მილით არის დაშორებული, ხოლო ცხენოსანი ჯარის ბინა კიდევ ოცდაათიოდე მილით უფრო შორს იქნება. ასე რომ ჯოზეფმა მაშინ მოსწერა წერილი შინ მშობლებს, როცა გადასახადის ამკრების თანამდებობა ჩააბარა. სიცოცხლის რვაოდე წელიწადი მარტოდმარტომ გაატარა ამ მომხიბლავ ადგილას. წელიწადში ორჯერ ძლივს თუ ხედავდა ქრისტიანის სახეს, როცა რაზმი მოვიდოდა შეკრებილი გადასახადების კალკუტის წასაღებად.

საბედნიეროდ ამ ხანად ღვიძლი ასტკივდა. ამის სამკურნალოდ დაბრუნდა ევროპაში და ეს გახდა მისთვის სამშობლოში სიამოვნებისა და დროსტარების მიზეზი. ლონდონში როცა იმყოფებოდა, თავის ოთახში არ ბინადრობდა - მხიარული უცოლო ყმაწვილივით ცალკე საკუთარი ბინა ეჭირა. ინდოეთს გამგზავრებამდე ძალიან ახალგაზრდა იყო და ქალაქელის საამური დროსტარება ვერ იგემა, ახლა რომ დაბრუნდა,

შესამჩნევი მუყაითობით დაეწაფა. საკუთარი ცხენებით დასეირნობდა პარკში: სადილობდა იმ დროს სახელგანთქმულ რესტორნებში (რადგან აღმოსავლური კლუბი ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული); მაშინდელ ჩვეულებათა მიბაძვით ხშირად დადიოდა თეატრებში. ან, შემოსხეპილ შარვალსა და სამკუთხა ქუდში გულმოდგინედ გამოწყობილი, ოპერაში მიბრძანდებოდა.

ინდოეთს დაბრუნების შემდგომ, და საერთოდ ამიერიდან, ყოველთვის დიდი აღფრთოვანებით იცოდა თავისი ცხოვრების ამ ხანის დროსტარებათა მოგონება და სიტყვასაც ჩაუკრავდა: იმ დროს მე და ბრამელი ვიყავით დარდიმანდთა მოთავენიო. მაგრამ ის აქაც ისევე მარტოდმარტო იყო, როგორც თავის ბოგლი-უოლაჰის ჯუნგლებში. თითქმის არც ერთ სულიერს არ იცნობდა დედაქალაქში და მისი ექიმი, ღვიძლის ტკივილის დასაამებელი აბების საზოგადოება და თვით ღვიძლის ტკივილი რომ არა, მარტოობისაგან სულს განუტევებდა. მცონარა, ბუზღუნა და bon-vivant-ი[5] ბრძანდებოდა. მანდილოსნის დანახვაც კი უზომოდ აშინებდა; ამიტომ იშვიათად თუ ეწვეოდა მშობლიურ ჭერს რასელსკვერში, სადაც უხვად სუფევდა მხიარულება და სადაც გულკეთილი მოხუცი მამის ოხუნჯობა აფრთხობდა მის amourpropre-ს[6].

უშველებელი ტანი დიდ ფიქრში აგდებდა და აშფოთებდა ჯოზეფს. დროდადრო თავგანწირვით ცდილობდა უზომო ქონისაგან თავის დაღწევას, მაგრამ მცონარეობა და ფუფუნებით ცხოვრების სიყვარული სძლევდა ამ ჩინებულ მისწრაფებას და კვლავ ჩვეულებრივ ყოველდღიურ სამ იჯრასთან აღმოჩნდებოდა ხოლმე. კარგად არასოდეს სცმია, მაგრამ განუზომელ ძალ-ღონეს კი ანდომებდა ვეება გვამის მორთვას და ამ საქმეს ყოველდღე მრავალ საათსა სწირავდა. მისმა ფარეშმა ქონება გაიჩინა მისივე ტანსაცმლით. მისი საპირფარეშო მაგიდა ბებერი კეკლუცის მაგიდასავით იყო სავსე ნელსაცხებლებითა და სურნელებით. ღიპის გასაქრობად მაშინ გამოგონილი ყველა წელსაკრავი, არტახა და სარტყელი სცადა. მსუქანთა უმეტესობის მსგავსად მეტად შემოსხეპილ ტანსაცმელს აკერინებდა და ზრუნავდა, რაც შეიძლებოდა, ბრჭყვიალა და ახალგაზრდული იერისა ყოფილიყო. ბოლოს, ნაშუადღევს, როგორც იქნებოდა მოითავებდა მოკაზმვას და გამობრძანდებოდა პარკში მარტოდმარტო სასეირნოდ. მერე დაბრუნდებოდა კვლავ მოსაკაზმავად და გაემართებოდა

ყავახანა „პიაცაში“ მარტოდმარტო სასადილოდ. ქალიშვილივით თავმომწონე და პატივმოყვარე ბრძანდებოდა და იქნებ მისი უკიდურესი მორცხვობა ამ უკიდურესი მედიდურობისა და პატივმოყვარეობის ერთ-ერთი შედეგიც გახლდათ. თუ მის რებეკა მოახერხებს იმის ხელში ჩაგდებას, და ისიც ცხოვრებაში პირველად ფეხის შედგმისთანავე, მაშინ ეს ყმაწვილი ქალი გასაოცრად გამჭრიახი გონებისა უნდა იყოს.

პირველივე ნაბიჯით გვარიანი სიმარჯვე გვიჩვენა: როცა სედლის ძალიან ლამაზი კაცი უწოდა, იცოდა, ემილია დედას რომ ეტყოდა, რომელიც ალბათ ჯოზეფს გადასცემდა, ან რომელსაც მის შვილზე ნათქვამი ქათინაური მაინც ეამებოდა - ყველა დედას ეამება ხოლმე! სიკორაქსისთვის რომ გეთქვათ, შენი ვაჟი კალიბანი აპოლონსა ჰგავსო, თუმცა გრძნეული იყო, მაინც ეამებოდა. აგრეთვე იქნებ ჯოზეფ სედლის ყურიც მოეკრა ქათინაურისთვის - რებეკამ საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა - და მართლა მოჰკრა კიდეც ყური და რადგან გულში ფიქრობდა, ნამეტანი ლამაზი ვარო, ამ ქებამ მისი ვეება სხეულის ყოველ ძარღვს დაუარა და ნეტარებისაგან აათრთოლა. ოღონდ მერე კი ეჭვი შეეპარა - გაიფიქრა: ეს გოგო მასხარად ხომ არ მიგდებსო? მყის მივარდა ზარს და როგორც ვნახეთ, გაქცევას აპირებდა, რომ მამამისის ოხუნჯობას და დედის ვედრებას არ შეეჩერებინა და არ დაეტოვებინა დაეჭვებით და შეშფოთებით გაჰყვა ყმაწვილ ქალს ქვევით სასადილოდ. „მართლა ლამაზი ვგონივარ? - ფიქრობდა ის, - თუ მხოლოდ მამასხარავებს?“

ჩვენ ვთქვით, ჯოზეფ სედლი ქალიშვილივით მედიდური და პატივმოყვარე რომ იყო. უფალო შეგვიწყალე! ქალიშვილებს შეუძლიათ, პირიქით, სრულიად შეაბრუნონ ეს და თავიანთი საკუთარი სქესის პიროვნებაზე თქვან: „ის ქალი მამაკაცივით მედიდური და პატივმოყვარეაო“, და ჭეშმარიტადაც ექნებათ ამის საბუთი: წვეროსნები სრულიად ისევე ეხარბებიან ქება-დიდებას, სრულიად ისევე ჩაჰკირკიტებენ თავიანთ მორთვა-მოკაზმვას, ისევე ამაყობენ თავიანთი პირადი წარმატებით და უპირატესობით, ისევე აქვთ შეგნებული თავიანთი მომხიბვლელობის ძალა, როგორც დიაცებს და დედამიწის ზურგზე არც ერთ კეკლუცს არ დაუვარდებიან.

მაშ ქვემოთკენ გაემართნენ: ძალიან აწითლებული და ალეწილი ჯოზეფი და ერთობ მორცხვი, მწვანე თვალებდახრილი რებეკა. რებეკას თეთრი კაბა ეცვა და

თოვლივით ქათქათა ბეჭები უჩანდა - ახალგაზრდობის, უმწეო უმანკოებისა და კდემამოსილი უანგარო გულუბრყვილობის სურათი. „მე ძალიან თავდაჭერილად უნდა ვიყო, - ფიქრობდა რებეკა, - და ინდოეთისადმი დიდი ცნობისმოყვარეობა უნდა გამოვიჩინო!“

ჩვენ ხომ მოვისმინეთ, ქალბატონმა სედლიმ ჩინებული კარი რომ შეამზადა ვაჟიშვილისათვის - სწორედ იმას რომ უყვარდა ისეთი. სადილზე ეს კერძი რებეკასაც შესთავაზეს.

- ეს რა არის? - თქვა და კითხვის ნიშნად ბატონ ჯოზეფს გადახედა.

- საუცხოოა! - ბრძანა ჯოზეფმა, რომელსაც პირი გამოტენილი ჰქონდა ამ საჭმლით, სახე კი სულ გაჭარხლებოდა ხარბად თქვლეფის საამური საქმიანობით. - დედაჩემო, ეს სწორედ ჩემი ინდური კარივით კარგი რამ არის!

- ოჰ, თუ ეს ინდური საჭმელია, მეც უნდა გავსინჯო, - თქვა მის რებეკამ. - დარწმუნებული ვარ, ყველაფერი იქაური კარგია.

- მიართვით მის შარპს კარი, ძვირფასო, - თქვა სიცილით ბატონმა სედლიმ.

რებეკას ეს საჭმელი წინათ არროდეს ეგემა.

- ეგეც ისევე კარგი გგონიათ, როგორც ყველაფერი სხვა ინდური? - უთხრა ბატონმა სედლიმ.

- ო, დიდებულია! - მიუგო რებეკამ, რომელსაც პირს უთუთქავდა კარენური პილპილი.

- ჩილი დააყოლეთ, მის შარპ, - ურჩია მართლა დაინტერესებულმა ჯოზეფმა.

- ჩილი? აბა ვსინჯავ, - თქვა რებეკამ, თან სულს ძლივს ითქვამდა. ჩილი რაიმე გრილი ეგონა, როგორც სახელი უმტკიცებდა, და კიდეც აიღო, - რა ქორფა და მწვანე ჩანს! - დაუმატა მან და ერთი ცალი ჩაიდო პირში. ეს კიდევ უფრო ცხარე აღმოჩნდა, ვიდრე კარი. სისხლ-ხორცმა უკვე ვეღარ აიტანა. რებეკამ ჩანგალი ხელიდან გააგდო და შეჰკივლა: - წყალი ღვთის გულისთვის, წყალი!

ბატონ სედლის ხარხარი აუტყდა (იგი საბითუმო ვაჭრობის ბირჟის ტლანქი კაცი გახლდათ; იქ კი ყველა ჯურის ცხარე

ოხუნჯობა უყვართ).

- გარწმუნებთ, ნამდვილი ინდურია, - უთხრა მან. - სემბო, მოართვი მის შარპს წყალი!

მამის სიცილს ბანი მისცა ჯოზეფმა, რომელსაც ეს საუცხოო ოხუნჯობად ეჩვენა. მანდილოსნებმა მხოლოდ ოდნავ გაიღიმეს. ისინი თანაუგრძნობდნენ საბრალო რებეკას, რომელიც, ეტყობოდა, მეტისმეტად იტანჯებოდა. რებეკა სიამოვნებით წაახრჩობდა ბებერ სედლის, მაგრამ ისევე გადაყლაპა ეს შეურაცხყოფა, როგორც იმაზე წინათ საძაგელი კარი გადაყლაპა და როგორც კი მოახერხა ხმის ამოღება, მხიარული, გულკეთილი კილოთი თქვა: - უნდა მომგონებოდა, „არაბულ ღამეებში“ სპარსელი პრინცესა ნაღებით შემზადებულ ნამცხვარში პილპილს რომ ურთავს. ბატონო ჩემო, ნაღებიან ნამცხვარში ინდოეთში ურთავთ კაიენურ პილპილს?

მოხუც სედლის სიცილი აუტყდა და გაიფიქრა, რებეკა გულკეთილი გოგო ყოფილაო. ჯოზეფმა კი გულუბრყვილოდ წამოაყრანტალა: - ნაღებიან ნამცხვრებში, მის? ჩვენი ნაღები ბენგალში ძალიან ცუდია. ჩვეულებრივ, თხის რძესა ვსვამთ; და დალახვროს ღმერთმა, იცით რა, ისე შევეჩვიე, მომწონს კიდეც!

- ახლა აღარა მგონია კიდევ მოგწონდეთ ყველაფერი ინდური, მის შარპ, - უთხრა მოხუცმა დარბაისელმა. მაგრამ როცა ნასადილევს მანდილოსნები გავიდნენ, ხრიკიანმა მოხუცმა ვაჟიშვილს ჩაულაპარაკა: ფრთხილად, ჯო! ეს გოგო ბადეში გახვევას გიპირებსო.

- ოჰ, სისულელეა! - შესძახა ჯოზეფმა, რომელსაც გულში ერთობ ეამა. - მახსოვს, ბატონო, ერთი გოგო იყო იქ, დუმდუმში, არტილერისტ კატლერის ქალიშვილი. მერე ის ლენსმა შეირთო, დასტაქარმა. ჰოდა, იმან თავგანწირულად სცადა რვაასოთხში ჩემი მოხიბლვა... ჩემი და მალიგეტონის მოხიბლვა, მე რომ სადილის წინაც ვახსენე... ჰო, ჰო, ჰო, რა ბიჭია ეს მალიგეტონი!.. მსაჯულად არის ბაჯბაჯში და უთუოდ ხუთ წელიწადში საბჭოშიც მოხვდება. ჰოდა, ბატონო ჩემო, არტილერისტებმა ლხინი გადაიხადეს და მეთოთხმეტე სამეფო ლეგიონელმა კვინტინმა ჩამილაპარაკა: სედლი, გენაძლევები და ათში ცამეტს გაძლევთ, რომ სოფი კატლერი, წვიმებამდე ან შენ წამოგაგებს ანკესზე. ან კიდევ მალიგეტონისო. ყაბულსა ვარ-მეთქი, ვუთხარი... დალახვროს ღმერთმა, ეს რა ჩინებული

კლარეტია, ედემსონის არის თუ კარბონელის?..

პასუხად მხოლოდ მსუბუქი ხვრინვა შემოესმა; პატიოსან მაკლერს ჩასძინებოდა და ამგვარად ჯოზეფის ამბავი იმ დღეს არ დაბოლოებულა. მაგრამ მამაკაცების საზოგადოებაში ჯოზეფი ყოველთვის უზომოდ გულგახსნილი და თამამი მოლაპარაკე ბრძანდებოდა და ეს სასიამოვნო თავგადასავალი უამრავჯერ უამბნია თავის მკურნალ დოქტორ გოლოპისათვის, როცა იგი ღვიძლისა და აბების ამბის გასაგებად შემოივლიდა.

რადგან დაძაბუნებული და სნეული გახლდათ, ჯოზეფ სედლიმ სადილად ერთ ბოთლ მადეირას მხოლოდ ერთი ბოთლი კლარეტიღა მიაყოლა: თავი გაართვა ხენდროთი და ნაღებით სავსე ორიოდე თეფშის მოსუფთავების საქმეს, იქვე ახლოს თეფშზე მიტოვებული ოცდაოთხამდე მომცრო ტკბილი ნამცხვარიც მოინელა და მართლაც (მწერლებს ხომ ის უპირატესობა აქეთ, რომ ყველაფერი იციან!) საკმაოდ ბევრი იფიქრა იმ ქალიშვილზე, ზემო სართულში რომ იყო. „კოხტა, ცელქი, მხიარული გოგნუცაა, - გაიფიქრა მან, - მერე როგორი თვალით შემომხედა, ცხვირსახოცი რომ ავიღე და მივაწოდე სადილზე! ორჯერ კი გაუვარდა ხელიდან. ოჰო, ეს ვინა მღერის სასტუმროში? დალახვროს ღმერთმა! წავიდე ვნახო?“

მაგრამ მორცხვობა შეუკავებელი ძალით ეძგერა. მამამისს ეძინა. ქუდი დარბაზში იყო. სულ ახლოს, საუთემპტონროუმში, საქირაო ეტლები იდგა. წავალ და „ორმოც ქურდსა“ და ქალბატონ დეკამპის ცეკვასა ვნახავო, დაასკვნა და ღირსეული მშობელი რომ არ გაეღვიძებინა, წვეტიანი ჩექმის წვერებით უჩუმრად გასხლტა და მიიმალა.

- აგე, ჯოზეფი მიიპარება, - თქვა ემილიამ, რომელიც სასტუმროს ღია ფანჯრიდან იყურებოდა, როცა რებეკა ფორტეპიანოს უკრავდა და მღეროდა.

- მის შარპმა დააფრთხო, - დასძინა ქალბატონმა სედლიმ. - საბრალო ჯო, რად უნდა იყოს ასე მორცხვი?

საბრალო ჯოზის შეძრწუნებამ ორ თუ სამ დღეს გასტანა და ამ ხანში არც შინ მოსულა, არც მის რებეკას უხსენებია მისი სახელი. რებეკა მთლიანად განიმსჭვალა ქალბატონ სედლისადმი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით. უსაზღვროდ ახარებდა სასყიდლებისათვის სიარული და თეატრის საოცრებათა კორიანტელი, სადაც გულკეთილ მანდილოსანს დაჰყავდა. ერთ დღეს ემილიას თავი სტკიოდა და ვერ შეძლო ლხინში წასვლა. იქ ორივე ყმაწვილი ქალი იყო მიწვეული, მაგრამ ვერაფერმა აიძულა რებეკა, უმეგობროდ წასულიყო.

- როგორ! შენ, ვინც სიცოცხლეში პირველად აჩვენე საცოდავ ობოლს რა არის ბედნიერება და სიყვარული... შენ დაგტოვო? არასოდეს! - და ცრემლმორეული მწვანე თვალები ზეცას აღაპყრო.

მაშინ ქალბატონმა სედლიმ აღიარა, ჩემი ქალის მეგობარს უეჭველად მომაჯადოებელი კეთილი გული ჰქონიაო.

რაც შეეხება ბატონ სედლის ოხუნჯობას, რებეკა გულწრფელად და განუწყვეტლივ კისკისებდა მათ გაგონებაზე, რაც არა მცირედ აამებდა და ახარებდა ამ გულკეთილ დარბაისელს. არამარტო ოჯახის უფროსებს შეაყვარა თავი მის შარპმა. მან ქალბატონ ბლენკინსოპის გულიც მოიგო ჟოლოს მურაბის შემზადებისადმი უღრმესი ყურადღების გამოჩენით (მაშინ ეს საქმიანობა სწორედ მეკუჭნავის ოთახში იყო გაჩაღებული); აგრეთვე დაიჟინა სემბოსათვის „ბატონის“ და „ბატონ სემბოს“ დაძახება, - ამ მსახურის ფრიად გასახარელად; და ზარის დარეკვით შეწუხებისათვის ისეთი სიტკბოებითა და თავმდაბლობით იხდიდა ბოდიშს დიასახლისის პირისფარეშთან, რომ საჯალაბოც თითქმის ისევე მოხიბლა, როგორც სასტუმრო.

ერთხელ, ემილიასაგან შინ გაგზავნილ ზოგ სურათს რომ ათვალიერებდა, რებეკა ანაზდად ერთ ისეთს წააწყდა, რომლის დანახვაზე თვალთაგან ცრემლი წასკდა და ოთახიდან გავიდა. ეს იმ დღეს მოხდა. ჯო სედლიმ მეორედ გამოჩენა რომ ინება.

ემილია სასწრაფოდ დაედევნა მეგობარს ამ გულაჩუყების მიზეზის გასაგებად და გულკეთილი გოგო უთანამგზავროდ დაბრუნდა, თვითონაც ერთობ გულაჩუყებული: - იცი, დედიკო, მამამისი ჩვენი ხატვის მასწავლებელი იყო ჩიზიკში და ჩვენი

სურათების საუკეთესო ადგილებს ისა ხატავდა.

- თვალისჩინო! მე კი მგონია, ქალბატონი პინკერტონი ყოველთვის ამბობდა, ხატვის მასწავლებელი ხელს არ აკარებს ნახატებს - ის მათ მხოლოდ გააწყობსო.

- გაწყობა ამას ერქვა, დედიკო. რებეკას მოაგონდა, ამ ნახატს მამამისი რომ ასწორებდა და ეს მოგონება ისე მოულოდნელი იყო მისთვის... და ამიტომ, ხომ იცი, ის...

- საბრალო ბავშვი ცარიელი გულია, - ბრძანა ქალბატონმა სელიამ.

- ნეტავ ერთ კვირას კიდევ დარჩებოდეს, - თქვა ემილიამ.

- საოცრადა ჰგავს მის კატლერს, დუმდუმში რომ იყო, ოღონდ უფრო ლამაზია. ის ახლა არტილერის რაზმის დასტაქრის, ლენსის ცოლია. იცით, ერთხელ მეთოთხმეტე ლეგიონელი კვინტინი რომ დამენაძლევა...

- ოჰ, ჯოზეფ, ვიცით ეგ ამბავი! - შეაწყვეტინა სიცილით ემილიამ. - მაგის თქმისთვის ნუ გაირჯები, ოღონდ დედიკო დააჯერე, რომ მისწეროს სერ ვიღაც კროულის...

- იმას ვაჟი ხომ არა ჰყავდა ინდოეთში, მეფის მსუბუქ დრაგუნთა ჯარში?

- აბა, მიაწერინებ თუ არა, აქ ყოფნის ნება დართოს საბრალო ძვირფას რებეკას? აგე, თვითონაც მოდის, ტირილით თვალები დასწითლებია.

- ახლა უკეთა ვარ, - თქვა რებეკამ, რაც კი შეიძლებოდა, უტკბესი ღიმილით და გულკეთილ ქალბატონ სედლის გამოწვდილ ხელს მოწიწებით ეამბორა. - ოჰ, ყველანი რა კეთილად მეპყრობით! ყველანი... თქვენს გარდა, ბატონო ჯოზეფ, - სიცილით დაუმატა მას.

- ჩემს გარდა! - შეჰყვირა ჯოზეფმა და მყის შეუდგა გასაქცევად გზის ძებნას. - უფალო შემიწყალე! წმიდაო ღმერთო! მის შარპ!

- დიახ! დანახვის პირველ დღესვე როგორ გამოიჩინეთ ისეთი ბოროტება, სადილად ის საზიზღარი პილპილიანი საჭმელი რომ შემაჭამეთ? თქვენ ისე გულკეთილად არ მეპყრობით, როგორც საყვარელი ემილია.

- ისე კარგად არ გიცნობს და იმიტომ, - სიტყვა ჩამოართვა ემილიამ.

- მე ყველა შემეჯავრება, გენაცვალე, ვინც თქვენ კეთილად არ მოგეპყრობათ, - დაურთო დედამისმა.

- კარი საუცხოო იყო... მართლა საუცხოო... - განაცხადა ჯომ სრულიად სერიოზულად, - იქნებ ცოტაოდენი ლიმონის წვენი აკლდა... დიახ, სწორედ რომ აკლდა...

- მერე ჩილი?

- დალახვროს ღმერთმა, იმან როგორ აგატირათ! - გაიოცა ჯომ და ამ სასაცილო ამბის გახსენებაზე რახრახი აუტყდა, რომელიც ჩვეულებისამებრ, სრულიად მოულოდნელად შესწყვიტა.

- გავფრთხილდები და ვნახოთ როგორ აგარჩევინებთ რაიმეს ჩემთვის მეორედ, - უთხრა რებეკამ, კვლავ ქვევით რომ მიდიოდნენ სასადილოდ. - არ მეგონა, თუ კაცებს უყვარდათ საბრალო, უწყინარი გოგონების ტანჯვა.

- ღმერთს გეფიცებით, მის რებეკა, მთელი ქვეყნიერების გულისთვისაც კი არას გავნებთ.

- ოღონდაც ვიცი რომ არ მავნებთ, - მიუგო რებეკამ და ძალიან ნაზად მოუჭირა პატარა ხელი, მერე შიშისაგან გაოგნებულმა კვლავ გამოსტაცა, ერთი წამით ჯერ სახეში შეხედა, მერე კიბეზე ნოხის დასამაგრებელ ჩხირებს დააშტერდა! და განზრახული არა მაქვს მოგახსენოთ, რომ ჯოს გულს ბაგაბუგი არ აუტეხია გულუბრყვილო ქალიშვილის მხრით ყურადღების დამადასტურებელ ამ მცირე, უნებურ, კდემამოსილ და ნაზ მოძრაობაზე.

ეს გამოწვევა იყო. ასეთი ქცევა კი ზოგიერთმა უდავოდ პატიოსანმა და სათნო მანდილოსანმა იქნებ ურცხვობაშიც ჩამოართვას. მაგრამ გაიხსენეთ, საბრალო, ძვირფას რებეკას თავის საქმე თვით რომ უნდა მოეგვარებინა. თუ კაცი ისე ღარიბია, რომ მსახურის დაქირავება არ ძალუძს, ძალიან თავმომწონეც რომ ბრძანდებოდეს, მაინც თვით უნდა გამოგავოს ბინა. თუ ტურფა ქალიშვილს საყვარელი დედიკო არ გააჩნია, რომ ყმაწვილ კაცთან საქმე გაურიგოს, მაშინ თვითონ უნდა მოაგვაროს თავისი საქმე. ოჰ, რა ღვთის წყალობაა, ეს დიაცები უფრო ხშირად რომ არ იყენებენ თავიანთ

ძალ-ღონეს! ამას რომ სჩადიოდნენ, მაშინ წინ ვეღარ დავუდგებოდით. საკმაოა დიაცებმა სულ მცირე მიდრეკილებაც გამოამჟღავნონ და მამაკაცები მყის მუხლის თავებზე დაუცვივიან, ბებრები იქნებიან ისინი თუ გონჯნი, სულერთია, და ამას მე ვაღიარებ, როგორც სრულ ჭეშმარიტებას - კარგი, მოხერხებული პირობების მქონე დიაცი, თუ სულ კუზიანი არ არის, ვისაც უნდა, იმას მისთხოვდება. ოღონდ მადლიერნი ვიყოთ, რომ ტურფებმა, როგორც ველურმა მხეცებმა, არ იციან საკუთარი ძალ-ღონე; რომ იცოდნენ, მაშინ ხომ სულ ქუსლქვეშ მოგვიქცევდნენ!

„დალახვროს ღმერთმა! - ფიქრობდა ჯოზეფი, სასადილოში რომ შედიოდა, - სწორედ ისე ვგრძნობ თავს, როგორც დუმდუმში მის კატლერთან“. სადილზე მრავალი წვრილმანისთვის ნახევრად ალერსით, ნახევრად კი ხუმრობით, მას ტკბილად მიმართავდა ხოლმე მის შარპი; რადგან ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ დაუახლოვდა ოჯახს, ხოლო ქალიშვილებს ხომ დებივით უყვარდათ ერთმანეთი! ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალებს ყოველთვის ასე სჩვევიათ, თუ ათიოდე დღე მაინც ერთად გაატარეს სახლში.

თითქოს რებეკას გეგმების ყოველნაირი წარმატებისათვის განგებ იღვწისო, რა უნდა ექნა ემილიას, თუ არა, ის, რომ ძმას მოაგონა უკანასკნელ სააღდგომო არდადეგებზე ჩამორთმეული დაპირება - მაშინდელი, მე რომ სკოლაში ვსწავლობდიო, თქვა ემილიამ სიცილით, - დაპირება, რომ ჯოზეფი ვოქსჰოლს წაიყვანდა მას.

- ახლა, - დასძინა ემილიამ, - რებეკაც ხომ ჩვენთან არის და სწორედ კარგი დროა.

- ოჰ, საუცხოოა! - შესძახა რებეკამ და ის-ის იყო ტაში უნდა შემოეკრა, რომ გონს მოეგო და თავი შეიკავა, როგორც კდემამოსილ მანდილოსანს შეჰფეროდა.

- ამ ღამეს ვერა, - თქვა ჯომ.

- მაშ, ხვალ.

- ხვალ მამაშენი და მე სხვაგან ვართ დაპატიჟებული, - ბრძანა ქალბატონმა სედლიმ.

- ხომ არა გგონია, ქალბატონო, რომ მე იმ ბაღში წავალ? -

მიმართა მას მეუღლემ. - ან შენი წლოვანებისა და მოყვანილობის დედაკაცი განა იქ უნდა წავიდეს, რომ გაცივდეს იმ საძაგელ ნესტიან არემარეში?

- ბავშვებს ხომ ვინმე უნდა ახლდეს თან! - შესძახა ქალბატონმა სედლიმ.

- აი, ჯო, წაჰყვეს, - მიუგო სიცილით მამამ. - საკმაოდ მოზრდილი ბრძანდება. - ამ სიტყვებზე ბუფეტთან მდგარ თვით სემბოსაც წასკდა სიცილი და საბრალო გაბღენძილ ჯოს კი თითქმის მამის მკვლელობის ჟინმა მოუარა.

- გაუხსენით საკინძე! - განაგრძობდა ულმობელი მოხუცი, - შეასხურეთ სახეში წყალი, მის შარპ, ან ზემო სართულში აარბენინეთ - ნაზ ყმაწვილს გულს ეყრება. უმწეო მსხვერპლი! აარბენინეთ ზემოთ, ხომ სულ ბუმბულივით მსუბუქია!

- მაშ წყეული ვიყო, თუ ამის მოთმენა შეიძლებოდეს, ბატონო ჩემო!.. - შეჰღრიალა ჯოზეფმა.

- სემბო, მოართვით ბატონ ჯოზს სპილო! - გასძახა მამამ. - გაგზავნე ვინმე ექსეტერის ბირჟაში, სემბო! - მაგრამ აღელვებისაგან თითქმის სატირლად გამზადებული ჯოზი რომ დაინახა, მოხუცმა ქილიკმა სიცილი შესწყვიტა, ხელი გაუწოდა ვაჟს და უთხრა: - საბითუმო ვაჭრობის ბირჟაში ასეთი რამ სულ მარილიან ხუმრობად ითვლება, ჯოზ... და შენ, სემბო, თავი დაანებე სპილოს და მე და ბატონ ჯოზს თითო ჭიქა შამპანური მოგვართვი. თვით ბონისაც არ ექნება თავის მარანში უკეთესი, შვილო ჩემო!

შამპანურის მოზრდილმა სასმისმა ჯოზეფს სულის მშვიდობა დაუბრუნა და სანამ ბოთლს გამოსცლიდნენ, რომლის ორი მესამედი თვით ირგუნა, როგორც სნეულმა, იგი დათანხმდა, ყმაწვილ ქალებს ვოქსჰოლს წაჰყოლოდა.

- ქალიშვილებს სათითაო რაინდი უნდა ჰყავდეთ, - განაცხადა მოხუცმა, - თორემ ჯოზს ისე დაახვევს თავბრუს ეს მის შარპი, რომ, თქმა არ უნდა, ემი სადმე ბრბოში დაეკარგება. გაგზავნეთ ვინმე ოთხმოცდამეთექვსმეტე ლეგიონში და ჰკითხეთ ჯორჯ ოსბორნს, თუ ინებებს მობრძანებას.

ამაზე, არ ვიცი რატომ, ქალბატონმა სედლიმ მეუღლეს გადახედა და გაიცინა. ბატონ სედლისაც ერთობ ეშმაკურად

აუციმციმდა თვალები და ემილიას გადახედა, იმან კი თავი ჩაღუნა და ისე აილანძა, როგორც მხოლოდ ჩვიდმეტი წლის ქალიშვილები აილანძებიან ხოლმე და რაც მის რებეკა შარპს არასოდეს დამართვნია თავის სიცოცხლეში; მას აქეთ მაინც, რვა წლის რომ გახდა და ნათლიამისის სახლში კარადიდან მურაბის მოპარვაზე რომ წაასწრეს.

- სჯობია ემილიამ დაწეროს ბარათი, - თქვა მამამ. - დაე, ჯორჯ ოსბორნმა ნახოს, რა ლამაზი წერა გვასწავლა ქალბატონმა პინკერტონმა. გახსოვს, ემი, სანათლიღებოდ მოწვევის ბარათი რომ მისწერე და ასო რომ გამოგრჩა?

- ეგ დიდი ხნის წინათ იყო, - მიუგო ემილიამ.

- თითქოს გუშინ იყოო, არა, ჯონ? - მიუბრუნდა ქალბატონი სედლი მეუღლეს.

იმ ღამეს მუსაიფი გაიმართა მეორე სართულის ქუჩისპირა ოთახში, კარვისებურ სამყოფელში, გარს რომ მდიდრული და უცნაური ინდური ნახატებით შემკული ფარდები ეკიდა, რომელსაც ნაზი ვარდისფერი ჩითი ჰქონდა გამოკრული. ამ უცნაური კარვის შიგნით, ბუმბულიანი საწოლის ორ ბალიშზე ორი ჩამრგვალებული, ღაჟღაჟა ლოყებიანი სახე ესვენა: ერთი - მაქმანიანი საღამური ქუდით მორთული, მეორე კი - ფოჩიანი უბრალო ჩითის ჩაჩით. ერთი სიტყვით, თვალდათვალ მუსაიფში, ქალბატონმა სედლიმ ქმარს უსაყვედურა, საბრალო ჯოზს ისე ბოროტად რატომ მოეპყარიო.

- ნამეტანი გულქვაობა მოგივიდა, საწყალი ბიჭი ასე რომ სტანჯე, - უთხრა ცოლმა.

- გენაცვალე, - თავი დაიცვა ჩაჩიანმა, - ჯოზი გაცილებით უფრო თავმომწონე და პატივმოყვარეა, ვიდრე შენ იყავი მთელი შენი სიცოცხლე და ძალიან კარგადაც მოვახსენე. თუმცა ერთი ოცდაათიოდე წლის წინათ, ათას შვიდას ოთხმოცდა... რომელ წელს იყო?.. იქნებ შენც ბრძანდებოდი ამპარტავანი და პატივმოყვარე... ამას არ უარვყოფ, მაგრამ ჯოზს და მის დარდიმანდულ მორცხვობას კი ვერ ვითმენ. თვით საკუთარ თავსაც აჭარბებს, გენაცვალე, ჯოზეფი. ეს ბიჭი მხოლოდ თავის თავისათვის ოცნებობს და ფიქრობს, რა კარგი ვარო. ვეჭვობ, ქალბატონო, ჩვენ ჯერ კიდევ უხათაბალოდ ვერ გადავურჩებით მაგას. აი, ემის პატარა მეგობარი თავგადადებით ელაციცება. ეს სრულიად აშკარაა, და თუ ამან

ვერ ჩაიგდო ხელთ, სხვა ვინმეს გადააწყდება. ეს ვაჟბატონი ისევე განწირულია დედაკაცის ნადავლად, როგორც მე ყოველდღე ბირჟაში სასიარულოდ. კიდევ მადლობა უფალს, გენაცვალე, ზანგი რძალი თუ არ მოგაყენა კარს. მაგრამ აი, დაიხსომე ჩემი სიტყვა. პირველი შეხვედრილი დიაცი, რომელიც ანკესს გადმოუგდებს, ზედ წამოაგებს.

- ის გოგო ხვალვე წაბრძანდება აქედან, ის გომბიო, ისა, - გაგულისებით ბრძანა ქალბატონმა სედლიმ.

- რატომ ეს არა და სხვა ვინმე, ქალბატონო? ეს გოგო პირთეთრი მაინც არის. მე არ მენაღვლება, ჯოზი ვის შეირთავს. ვინც უნდა, თვითონ ამოირჩიოს.

მომუსაიფეთა ხმა მალე მიწყდა, ანუ შეიცვალა ცხვირის მსუბუქი, მაგრამ ვერაფერი სასიამოვნო ჰანგით, გარდა ეკლესიის ზარის ხმისა, საათის დასრულება რომ დარეკა, და რომელსაც დარაჯი გამოეხმაურა, ყველაფერი მიწყნარდა რასელ-სკვერელ და საბითუმო ვაჭრობის ბირჟელ ესკვაირ ჯონ სედლის სახლში.

დილა რომ გათენდა, გულკეთილ ქალბატონ სედლის აღარც მოჰგონებია მის შარპისადმი მუქარის აღსრულება. რადგან, თუმცა არაფერია დედობრივ იჭვნეულობაზე უფრო მწვავე, უფრო ბუნებრივი, ან უფრო სამართლიანი, მაინც ვერ დააჯერა გული, რომ ეს პატარა, თავმდაბალი, მადლიერი, წყნარი მასწავლებელი ისეთი დიდებული გვამისთვის თვალის გასწორებას გაბედავდა, როგორიც ბოგლი-უოლაჰის გადასახადების ამკრები ბრძანდებოდა. ყმაწვილი ქალის შვებულების განგრძობის თხოვნაც უკვე გაგზავნილი იყო და ასე მოულოდნელად დათხოვნის საბაბიც ადვილად ვერ მოინახებოდა.

თითქოს ყველაფერი ტურფა რებეკას ხელის შესაწყობად შეითქვა. თვით ბუნებამაც გამოიღო ხელი დასახმარებლად, თუმცა პირველად რებეკას არც უნდოდა ეღიარებინა, რომ ბუნების ძალნი ეხმარებოდნენ. ვოქსჰოლს წასასვლელად დათქმულ საღამოს ჯორჯ ოსბორნი სადილად რომ მოვიდა, ხოლო ოჯახის უფროსები ჰაიბარაბარნს წაბრძანდნენ ოლდერმენ ბოლზის წვეულებაში, ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდა და ისეთი კოკისპირული წვიმა დაასხა, როგორც მხოლოდ ვოქსჰოლს წასასვლელ ღამეებში იცის ხოლმე და

ახალგაზრდები ნება-უნებლიეთ აიძულა შინ დარჩენილიყვნენ. ეს ამბავი, როგორც ეტყობოდა, ბატონ ოსბორნს სულაც არ სწყენია. იმან და ჯოზეფ სედლიმ სასადილოში tete-a-tete[7] საკმაოდ ბევრი პორტვეინი მიირთვეს და ამ სმაში სედლიმ მრავალი საუკეთესო ინდური ამბავი თქვა, რადგან მამაკაცების საზოგადოებაში მეტისმეტად ყბედი გახლდათ. შემდეგ მის ემილიამ მიიწვია ისინი სასტუმროში და ამ ოთხმა ახალგაზრდამ ისე მყუდროდ გაატარა საღამო ერთად, რომ განაცხადეს, უფრო კარგიც არის, რომ გაავდარდა და ვოქსჰოლს წასვლა გადაგვადებინაო.

ოსბორნი სედლის ნათლული გახლდათ და ოცდასამი წელიწადია ყოველ დროსა და ჟამს ამ ოჯახში ტრიალებდა. ექვსი კვირისა იყო, ჯონ სედლიმ ვერცხლის თასი რომ უბოძა, ექვსი თვისას - ოქროს სასტვენიანი და ეჟვნებიანი მარჯანი; და ბალღობიდან მოყოლებული, ყოველ შობას ბეჯითად ასაჩუქრებდა მოხუცი დარბაისელი. ისიც ჩინებულად ახსოვდა, სკოლაში რომ ბრუნდებოდა, ჯოზეფ სედლიმ როგორ მიჰბერტყა. ჯოზეფი მაშინ დიდი, ბღენძია ჯორჯი ამ ოთახში ისე დაშინაურებული გახლდათ, როგორც კი შეიძლებოდა ყოფილიყო გამუდმებით ასე გულკეთილად მოპყრობისა და ურთიერთობის შემდგომ.

- გახსოვთ, როგორ გააფთრდით, სედლი, ჰესენურ ჩექმებს ფოჩები რომ დავაჭერი და მის... ჰმ!.. ემილიამ როგორ გადამარჩინა მიტყეპას, ფეხებში ტირილით რომ ჩაუვარდა თავის ძმა ჯოზს და შეევედრა, პატარა ჯორჯს ნუ სცემო?

ეს შესანიშნავი ამბავი ჯოზს ჩინებულად ახსოვდა, მაგრამ დაიფიცა, სულ არ მაგონდებაო.

- აბა, გახსოვთ, ჩემს სანახავად გიგით რომ მოხვედით დოქტორ სუიშტეილთან, როცა ინდოეთს მიემგზავრებოდით, და ნახევარი გინეა და თავში სილაქი რომ მითავაზეთ? ყოველთვის მეგონა, რომ თქვენ, სულ უკანასკნელი, შვიდი ფუტის სიმაღლე მაინც იყავით და ძალიან გამიკვირდა, ინდოეთიდან დაბრუნების მერე ჩემზე მაღალი რომ არ აღმოჩნდით.

- რა გულკეთილობა გამოუჩენია ბატონ სედლის, თქვენ სანახავად რომ მოსულა სკოლაში და ფულიც უჩუქებია! - უზომო აღტაცებით შესძახა რებეკამ.

- დიახ, და მერე ისიც მას შემდეგ, ჩექმებს ფოჩები რომ

დავუჭერი. ბავშვებს არასოდეს ავიწყდებათ, სკოლაში ყოფნის დროინდელი საჩუქრები და არც მათი მჩუქებელნი.

- ოჰ, როგორ მომწონს ჰესენური ჩექმები, - თქვა რებეკამ. ჯოზ სედლი უზომოდ ამაყობდა თავისი ფეხებით, ყოველთვის ამ მოხდენილ წაღებს იცვამდა და მეტისმეტად ეამა ეს შენიშვნა, თუმცა მის გაგონებაზე ფეხები სკამქვეშ შემალა.

- მის შარპ! - შესძახა ჯორჯ ოსბორნმა, - თქვენ ხომ ძალიან ნიჭიერი მხატვარი ბრძანდებით და მაშ ჩექმების ამბის დიდებული ისტორიული სურათი უნდა დახატოთ. სედლი ტყავის შარვლით გამოწყობილი უნდა დაიხატოს, ცალ ხელში დაზიანებული ჩექმა რომ უჭირავს, მეორეთი კი ჩემი ნაოჭიანი საყელო ჩაუბღუჯავს. ემილია მის წინ მუხლმოყრილი იქნება და პატარა ხელები მისკენ ექნება გაწვდილი. თანაც სურათს დიდებული იგავური წარწერა უნდა მოეპოვებოდეს, როგორც სახელმძღვანელოების და ანბანის წიგნის ყდაზე დახატულ სურათებს აქვს ხოლმე.

- აქ ვეღარ მოვასწრებ, - მიუგო რებეკამ - როცა მე წავალ, მაშინ... მაშ დავხატავ... - და ხმა ჩაუწყდა; თან ისე სევდიანად და შესაბრალისად გამოიხედა, რომ ყველამ იგრძნო, რა მძიმე იყო მისი ხვედრი და რა საწყენი იქნებოდა მათთვის მისი წასვლა.

- ოჰ, საყვარელო რებეკა, ნეტავ კიდევ შეგეძლოს დიდხანს დარჩე, - შესძახა ემილიამ.

- რატომ? - უთხრა მან, კიდევ უფრო სევდიანად. - განა მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო უბედ... უფრო დამენანოს თქვენი მოშორება? - და სახე მიიბრუნა.

ემილიამ გზა მისცა ცრემლთა ღვრის იმ სისუსტეს, რომელიც, როგორც მოვიხსენიეთ, ამ პატარა სულელი გოგონას ერთ-ერთი ნაკლი გახლდათ. გულაჩვილებული ჯორჯ ოსბორნი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ყმაწვილ ქალებს; ჯოზეფ სედლიმ კი ოხვრის მეტისმეტად მიმსგავსებული რაღაც ხმა აღმოუტევა, თავის საყვარელ ჰესენურ ჩექმებს რომ თვალი გადაავლო.

- მოდით, მუსიკით გავერთოთ, მის სედლი... ემილია, - მიმართა ჯორჯმა და თან უჩვეულო, თითქმის უძლეველმა ჟინმა მოუარა, მკლავები შემოეხვია ზემოხსენებული ყმაწვილი ქალისათვის და იქ მყოფთა თვალწინ ჩაეკოცნა.

ქალმაც შეხედა ერთი წამით, და რომ ვთქვათ, ამ ერთი თვალის დახამხამებაში შეუყვარდათ ერთმანეთიო, ალბათ სიცრუე იქნება; რადგან, ნამდვილად, ამ ორ ახალგაზრდას პატარაობიდანვე სწორედ ამ განზრახვით ზრდიდნენ მშობლები. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მათ ნიშნობას ამ ათ წელიწადში, მათ პატივცემულ ოჯახებში წარამარა აცხადებდნენ და ადასტურებდნენ. ისინი ფორტეპიანოსაკენ გაემართნენ, რომელიც, ვითარცა ფორტეპიანოთა წესია, უკანა სასტუმრო ოთახში იდგა. ცოტა ბნელოდა და მის ემილიამ, ქვეყნიერების ზურგზე უუმანკოესი გრძნობით ხელი ხელში გაუყარა ბატონ ოსბორნს, ვინაიდან, რაღა თქმა უნდა, სკამებსა და ტახტებს შორის მას გაცილებით უკეთ შეეძლო გზის გაკვლევა ვიდრე ემილიას. მაგრამ ამ გეგმის წყალობით, ბატონი სედლი და რებეკა tete-a-tete შერჩნენ სასტუმროს მაგიდას, სადაც ეს მანდილოსანი მწვანე აბრეშუმის ქისის ქსოვით იყო გართული.

- საჭირო არ არის ოჯახურ საიდუმლოებათა აღიარება - იმ ორმა თავისი უკვე გამოამჟღავნა. - თქვა მის შარპმა.

- როგორც კი ჯორჯს ასეულს მისცემენ, მე მგონი, მაშინვე გაიჩარხება საქმე. ჯორჯ ოსბორნი ჩინებული ყმაწვილია, - უთხრა ჯოზეფმა.

- თქვენი და კი უსაყვარლესი არსებაა დედამიწის ზურგზე, - ჩამოართვა სიტყვა რებეკამ. - ბედნიერია, ვინც მას შეირთავს. - და მის შარპმა ღრმად ამოიოხრა.

როცა გასათხოვარი და უცოლო ორი ადამიანი ერთად შეიყრება და ასეთ საჩოთირო საგანზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მყის დიდი გულახდილობა და ნდობა დამყარდება მათ შორის. საჭირო არ არის, განსაკუთრებით მოგახსენოთ ბატონ სედლის და ახალგაზრდა მანდილოსნის მუსაიფის ამბავი, რადგან ბაასი, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითით შეიძლება დავასკვნათ, არ გახლდათ განსაკუთრებით გონებამახვილური ან მჭევრმეტყველური, - ასეთი ბაასი ხომ იშვიათიცაა კერძო საუბრებში, ან სხვაგან სადმე, გარდა ერთობ მაღალფარდოვანი და მოჭორილი რომანებისა. რადგან მეორე ოთახში დაკვრისა და სიმღერის ხმა ისმოდა, რასაკვირველია, ამის შესაბამისად ხმადაბლა ბაასობდნენ. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მეზობელ სამყოფელში ისე გართულნი ბრძანდებოდნენ თავიანთი საკუთარი საქმიანობით, რომ ძალიან ხმამაღლა

ლაპარაკითაც არ შეეშლებოდათ ხელი.

თავის სიცოცხლეში თითქმის პირველად იხილა თავი ბატონმა სედლიმ, რომ ოდნავი მორცხვობისა და ბორძიკის გარეშე ელაპარაკებოდა მეორე სქესის ადამიანს. მის რებეკა ბევრს ეკითხებოდა ინდოეთზე, რამაც ხელსაყრელი საბაბი მისცა ჯოზეფს, იმ ქვეყანასა და თავის თავზე ბევრი საინტერესო რამ ეთქვა. აღუწერა გუბერნატორის სასახლის წვეულებანი, პაპანაქებაში როგორ გრილდებოდნენ კანაფით სამოძრაო ვეებერთელა მარაოებით. სარკმელებზე ჩამოფარებული ჭილოფებით და სხვა ხელსაწყოებით და დიდი ენაწყლიანობა გამოიჩინა რამდენიმე შოტლანდიელის მიმართ, რომელთაც გენერალ-გუბერნატორი ლორდ მინტო სწყალობდა. მერე აღუწერა ვეფხვებზე ნადირობა და გამძვინვარებულმა ნადირმა მისი სპილოს ზურგიდან როგორ მოჰგლიჯა წამყვანი. როგორ ისიამოვნა მის რებეკამ გუბერნატორის წვეულებებით! როგორ აცინა შოტლანდიელი ადიუტანტების ამბავმა და ბატონ სედლის გულღრძო, ბოროტი ქილიკი უწოდა; და მერე სპილოს ამბით როგორ გაუსკდა გული!

- დედათქვენს გაფიცებთ, ძვირფასო ბატონო სედლი! - შეევედრა იგი, - გაფიცებთ ყველა მეგობარს, აღმითქვით, რომ აღარასოდეს წახვალთ ასეთ შემაძრწუნებელ ნადირობაზე!

- ფიე, მის შარპ, - ბრძანა მან და თან თავისი პერანგის საყელოს დაეჭიდა, - ხიფათი მხოლოდ კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის გართობას!

ჯოზეფი ერთხელ მეტად არცა ყოფილა ვეფხვზე სანადიროდ, ზემოთქმული უბედურება სწორედ მაშინ მოხდა და ვეფხვმა არა და... შიშმა კი კინაღამ სული გააფრთხობინა. ლაპარაკში სულ გაგულადდა და მართლა გაბედა და ჰკითხა მის რებეკას, მწვანე აბრეშუმის ქისას ვისთვისა ჰქსოვთო? - ჯოზეფს თვითონვე ძალიან გაუკვირდა და ეამა თავისი მოხდენილი და შინაურული ქცევა.

- ვიღაცისთვის, ქისა რომ სჭირია, - მიუგო მის რებეკამ და ერთობ ნაზად და მომხიბლავად გადახედა. სედლი ის-ის იყო განემზადა, რაც შეიძლება უმჭევრესი სიტყვით მიემართა და დაიწყო: - ო, მის შარპ, როგორ... - რომ ამ დროს მეორე ოთახში რაღაც სიმღერა დასრულდა და ამიტომ ისე მკაფიოდ შემოესმა საკუთარი ხმა, რომ შედგა, გაწითლდა და, ფრიად

შეშფოთებულმა, ხმაურით მოიხოცა ცხვირი.

- განა ოდესმე გაგიგია, შენი ძმის ასე ენაწყლიანობა? - ჩასჩურჩულა ოსბორნმა ემილიას. - სწორედ სასწაულები ჰქნა შენმა მეგობარმა!

- რაც მეტს იზამს, მით უკეთესი, - ჩამოართვა სიტყვა ემილიამ.

ემილია, როგორც თითქმის ყველა დიაცი, გულში მაჭანკალი გახლდათ და გაეხარდებოდა, თუ ჯოზეფი ინდოეთს ცოლიანი დაბრუნდებოდა. აგრეთვე ამ რამდენიმე დღეს მუდმივ ერთად ყოფნით რებეკასადმი ისეთი ნაზი და გულთბილი მეგობრობის გრძნობა გაუღვივდა გულში, ისე უთვალავი ღირსება და ისეთი საამური ხასიათი აღმოუჩინა, რაც ჩიზიკში არ შეუმჩნევია. ყმაწვილ ქალთა სიყვარული ხომ ჯეკის ლობიოს ღეროსავით სწრაფად იზრდება და ერთ ღამეში მისწვდება ზეცას. ქალები არ უნდა გავკიცხოთ, დაქორწინების შემდგომ ეს Sehnsucht nach der Liebe[8] რომ უნელდებათ. გრძნობის ამყოლნი, რომელთაც ძალიან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები უყვართ, ამას ოცნებისათვის ლტოლვას უწოდებენ, უბრალოდ კი ეს იმას მოასწავებს, რომ ქალები ჩვეულებრივ მანამდე ვერ მოისვენებენ, სანამ ქმარ-შვილს არ გაიჩენენ და სულ მათკენ არ მიმართავენ თავიანთ გულისყურს, რომელსაც ასე ვთქვათ, წვრილ-წვრილად აქეთ-იქით ანიავებდნენ.

სიმღერათა მცირე მარაგი რომ შემოეხარჯა, ანუ უკანა სასტუმროში საკმაოდ დიდხანს რომ დაჰყო, მის ემილიას მართებულად ეჩვენა, მეგობრისთვისაც ეთხოვა, იმღერეო.

- თქვენ ყურს აღარ დამიგდებდით, - მიმართა მან ბატონ ოსბორნს (თუმცა ჩინებულად იცოდა, რომ სისულელეს როშავდა), - პირველად რებეკასთვის რომ მოგესმინათ.

- ვაფრთხილებ მის შარპს, - განაცხადა ოსბორნმა, - რომ ტყუილია თუ მართალი, მის ემილია სედლი მე მაინც პირველ მომღერლად მიმაჩნია ქვეყნიერების ზურგზე.

- ჯერ აბა მოუსმინეთ! - უთხრა ემილიამ.

ჯოზეფ სედლიმ კი ისეთი თავაზიანობა გამოიჩინა, რომ სანთლები მიართვა ფორტეპიანოსთან. ოსბორნმა ჩამოაარაკა, ისევ სიბნელეში ჯდომა მირჩევნიაო, მაგრამ მის სედლიმ სიცილით იუარა, მე თანამობაასედ აღარ დაგიდგებიო. ამიტომ

ეს ორიც ბატონ სედლის კვალს გაჰყვა. რებეკა გაცილებით უკეთ მღეროდა, ვიდრე მისი მეგობარი (თუმცა, რასაკვირველია, ოსბორნს ხელს არავინ უშლიდა, თავისი აზრი შეენარჩუნებინა); ძალიან ცდილობდა და, ჭეშმარიტად, ემილიაც განაცვიფრა, რომელსაც არასოდეს მოესმინა მისი ასე კარგი სიმღერა. ფრანგული სიმღერა იმღერა, რომელსაც ჯოზეფმა სულ ვერაფერი გაუგო, ხოლო ჯორჯმა აღიარა, არ მესმისო. მერე რამდენიმე ის უბრალო ბალადა მიაყოლა, რომელთაც ამ ორმოციოდე წლის წინათ მღეროდნენ და რომელთა მთავარი გმირები ბრიტანელი მეზღვაურები, ჩვენი მეფე, საბრალო სიუზანი, ცისფერთვალა მერი და მისთანანი არიან. ამბობენ, მუსიკის თვალსაზრისით ეს სიმღერები ვერაფერი ბრწყინვალეაო. მაგრამ ურიცხვი კეთილი, წრფელი, უბრალო გრძნობა არის შიგ ჩაქსოვილი და ხალხსაც უკეთ ესმოდა, ვიდრე უკვდავი დონიცეტის მუსიკის წყალ-წყალა lagrime, sospiri და felicita[9], რომელთაც ამჟამად უხვად გვთავაზობენ.

სიმღერებს შორის ამაღელვებელი ბაასი იმართებოდა სიმღერის შინაარსის მიხედვით. სემბომ (მას შემდეგ, რაც ჩაი მოართვა) აგრეთვე აღფრთოვანებულმა მზარეულმა და თვით მეკუჭნავემ, ქალბატონმა ბლენკინსოპმაც, კეთილი ინებეს და სიმღერას ყური მიუგდეს კიბის ბაქნიდან.

ამ სიმღერებში უკანასკნელი ეს გახლდათ: ოჰ, ველი იყო ცივი, ვერანი

მძაფრი, მსუსხავი იყო ქარბუქი, სახლს ჰქონდა მტკიცე ჭერი და ბანი, ბუხარში კრთოდა ცეცხლი და შუქი.

ობოლმა სარკმლის წინ ჩაიარა

და როს შენიშნა ცეცხლის ლივლივი, ორმაგად იგრძნო ქარიშხლის ძალა, ორმაგად - ღამე და თოვლი ცივი.

მათაც შენიშნეს, რომ მიდიოდა

გულმილეული და ქანცმიხდილი, კეთილად სთხოვეს, მობრძანდიო და

სალამი უძღვნეს წრფელი და ტკბილი.

ირიჟრაჟა და... მიდის სტუმარი.

შინ კი გიზგიზებს კვალად ბუხარი; იწყალე, ღმერთო, მიუსაფარი!

ჩუ, აგე სერზე ზუზუნებს ქარი!

ეს იყო ზემოხსენებულ სიტყვათა აზრის, - „როცა მე წავალ“, - კვლავ განმეორება. სიმღერის უკანასკნელ სიტყვებზე მის შარპს „დაბალი ხმა აუკანკალდა“. ყველამ იგრძნო, თავის გამგზავრებას და ბედშავ ობლობას რომ გულისხმობდა. გულჩვილი ბრძანდებოდა ჯოზეფ სედლი, მუსიკა უყვარდა, აღტაცებით უგდებდა ყურს სიმღერას და ფრიად აუჩუყა გული დასასრულმა. ის რომ გაბედული ყოფილიყო, ხოლო ჯორჯი და მის სედლი, ჯორჯის თქმით, იქითა ოთახში რომ დარჩენილიყვნენ, ჯოზეფ სედლის მარტოხელობას ბოლო მოეღებოდა და ეს თხზულებაც აღარ დაიწერებოდა. მაგრამ სიმღერა რომ დასრულდა, რებეკა ფორტეპიანოს მოშორდა, ემილიას მოჰკიდა ხელი და წინა სასტუმროს ბინდბუნდში გავიდნენ. სწორედ ამ დროს ბატონი სემბო გამოჩნდა სენდუიჩებით, ჟელეებით და რამდენიმე მოლაპლაპე ფიალითა და სურით სავსე ხონჩით, რომელმაც მყის მიიპყრო ჯოზეფ სედლის გულისყური. როცა სედლების ოჯახის უფროსები წვეულებიდან დაბრუნდნენ, ლაპარაკში ისე გართულ ახალგაზრდებს მოუსწრეს, რომ ეტლის მოსვლის ხმაურიც კი გამოჰპარვოდათ და, ის იყო, ბატონი ჯოზეფი ეუბნებოდა რებეკას: - ძვირფასო მის შარპ, ერთი პატარა სავსე ჩაის კოვზი მურაბა კიდევ მიირთვით, რომ ძალ-ღონე მოიკრიბოთ თქვენი ვეებერთელა... თქვენი... თქვენი სასიამოვნო, დაძაბული შრომის შემდეგ.

- ყოჩაღ, ჯოზ! - მიაძახა ბატონმა სედლიმ.

ამ ნაცნობი დამცინავი ხმის გაგონებაზე შეშფოთებულ ჯოზს მყის ენა მუცელში ჩაუვარდა და მალე გაიძურწა. მას ძილი არ გაფრთხობია მთელ ღამეს ფიქრით, მის შარპი მიყვარს თუ არაო; ტრფობის ვნება აროდეს უშლიდა ხელს ბატონ ჯოზეფ სედლის მადას ან ძილს, მაგრამ ფიქრები კი აეშალა: რა საამო იქნება, იმისთანა სიმღერებს რომ მოისმენდეს კაცი, სამსახურიდან როცა დაბრუნდება... ეს ქალიშვილი რა distinguee[10] არის... ფრანგულს რა ჩინებულად ლაპარაკობს, თვით გენერალ-გუბერნატორის მეუღლეზე უკეთ... და რა მითქმა-მოთქმას ასტეხს კალკუტის წვეულებებშიო. „აშკარაა, ამ საცოდავ ეშმაკუნას გულში ჩავუვარდი, - ვარაუდობდა იგი, -

მერე სწორედ ისეთი სიმდიდრის პატრონია, როგორც ინდოეთს წამომსვლელ ქალთა უმეტესობაა. დალახვროს ეშმაკმა, იქნებ ეს გავუშვა და უარესს კი გადავეყარო!..“ და ამ ფიქრებში კიდეც ჩაეძინა.

აქ საჭირო არ არის მოგახსენოთ, მის შარპი თვალმოუხუჭავად როგორ იწვა და ფიქრობდა, ხვალ იგი მოვა თუ არაო. დილა გათენდა, და ისევე ბეჯითად, ვითარცა ბედისწერა, საუზმის წინ ბატონი ჯოზეფ სედლი გამოცხადდა. არავის სმენია, რომ წინათ ოდესმე ასეთი პატივი მიენიჭებინა რასელ-სევერისათვის. ჯორჯ ოსბორნიც როგორღაც უკვე იქ დახვდა (მან სამწუხაროდ „მოაცდინა“ ემილია, როცა იგი თავის ოც უძვირფასეს ჩიზიკის ხეივნელ მეგობარს წერილებს სწერდა). ხოლო რებეკა კი გუშინდელ ხელსაქმეს მისჯდომოდა.

ჯოს ბაგი მოგრიალდა და სანამ ჩვეული მგრგვინვარე დაკაკუნებისა და კართან დარბაისლური ჭოჭმანის შემდგომ ბოგლი-უოლაჰის გადასახადების ყოფილი ამკრები ხვნეშით გამოსწევდა ზემოთ სასტუმროსაკენ, ოსბორნმა და მის სედლიმ ცუღლუტურად ანიშნეს ერთმანეთს თვალით; მერე ორივემ ეშმაკურად გაიღიმა და რებეკას გადახედა, რომელიც მართლა აილანძა და ქერა კულულები ხელსაქმეზე დაჰხარა. ოჰ, როგორი ბაგაბუგი აუტყდა მის გულს, ჯოზეფი რომ გამოჩნდა... პრიალა, ჭრაჭუნა ჩექმებიანი ჯოზეფი, რომელსაც კიბის ამოვლით ქოშინი ავარდნოდა... ჯოზეფი, რომელიც წითელ ჟილეტში იყო გამოწყობილი, სიცხისა და აღელვებისაგან რომ გაწითლებულიყო და თბილ ყელსახვევმოხვეულს ლოყები რომ უღაჟღაჟებდა. ეს ყველასათვის ამაღელვებელი წუთი გახლდათ; ემილიას ხომ, მგონია, უფრო მეტად აებნა თავგზა, ვიდრე იმათ, ვისაც მართლა უნდა დამართოდა ეს.

კარი ყურთამდე რომ მოფლითა და ბატონ ჯოზეფის მობრძანება აუწყა, სემბო მერე ღრეჭით უკან შემოჰყვა გადასახადთა ამკრებს და ყვავილების ორი მშვენიერი თაიგული შემოიტანა, რომელნიც ჩვენს ზორზოხს თავაზიანად და წინდახედულად იმ დილით კოვენტ-გარდენის ბაზარში შეეძინა. ეს თაიგულები თავის ზვინების ტოლა არ იყო, ჩვენს დროში მოჭიკჭიკებული ქაღალდის ძაბრებით მანდილოსნებს რომ დააქვთ, მაგრამ ქალიშვილებმა მაინც ფრიად გაიხარეს ძღვენით, ჯოზეფმა სათითაოდ რომ უთავაზა უღრმესი

საზეიმო თაყვანისცემით.

- ყოჩაღ, ჯოზ! - შესძახა ოსბორნმა.

- გმადლობ, გენაცვალე, ჯოზეფ, - უთხრა ემილიამ და მზად იყო ეკოცნა ძმისთვის, მას რომ საამისო გული ეჩვენებინა (მე კი, მგონია, ემილიასთანა საყვარელი არსების ერთი კოცნისთვის, ბატონ ლის მთელ სათბურებსაც დაუფიქრებლად შევისყიდიდი).

- ოჰ, ღვთაებრივი, ღვთაებრივი ყვავილებია! - შესძახა მის შარპმა. ნაზად უყნოსა, გულს მიიკრა და აღტაცებით აღაპყრო თვალები ჭერისაკენ, იქნებ სწორედ თაიგულში ჩაიჭყიტა, ყვავილებში billet-doux[11] ხომ არ არის ჩამალულიო, მაგრამ ბარათი არ ჩანდა.

- განა ბოგლი-უოლაჰში ყვავილთა ენა იციან, სედლი? - ჰკითხა სიცილით ოსბორნმა.

- ფუი, სისულელეა! - მიუგო მგრძნობიარე ჭაბუკმა. - ნათანთან ვიშოვე. ძალიან მიხარია, თუ მოგწონთ... და ჰმ, ემილია, გენაცვა, ანანასი ვიყიდე კიდევ და სემბოს მივეცი. ერთი საუზმეს დავაყოლოთ, ამ პაპანაქებაში ძალიან გრილი და კარგი რამ არი.

რებეკამ აღიარა, აროდეს მიჭამია ანანასი და ყველაფერზე უფრო ვნატრობ, დავიხელადოო.

ასე გრძელდებოდა საუბარი. არ ვიცი, რა მიზეზით გავიდა ოთახიდან ოსბორნი ან მაშინათვე რატომ გასწია ემილიამაც, ალბათ ანანასის დათლისთვის თვალყურის სადევნებლად. მხოლოდ ჯოზეფი შერჩა რებეკას, რომელიც მიუბრუნდა თავის საქმეს და მწვანე აბრეშუმმა და პრიალა ჩხირებმა მალიმალ დაიწყეს კრთომა მის თეთრ, წვრილ თითებში.

- რა მშვენიერი, მშვინიიერი სიმღერა იყო, აი, გუშინღამ რომ იმღერეთ, ძვირფასო მის შარპ, - მიმართა გადასახადების ამკრებმა. - კინაღამ ვიტირე, ჰო, ჩემმა მზემ!

- იმიტომ რომ კეთილი გული გაქვთ, ბატონო ჯოზეფ: მე მგონი, ყველა სედლის კეთილი გული აქვს!

- წუხელ მთელ ღამეს არ დამაძინა და ამ დილით ლოგინში ჩაღიღინებაც კი ვცადე; ჰო, ჩემმა მზემ. გოლოპი, ჩემი ექიმი,

შემოვიდა თერთმეტზე (ხომ იცით საცოდავი სნეული გახლავარ და გოლოპი ყოველდღე მსინჯავს) და დალახვროს ეშმაკმა!.. მე კი ვჭიკჭიკებდი, თითქო... თითქო იადონიაო.

- აი თქვე ხუმარა! ნეტავი მომასმენინა, როგორა მღერით!

- მეე?.. მე კი არა, თქვენ, მის შარპ, ჩემო ძვირფასო მის შარპ, თქვენ იმღერეთ, გეთაყვა!

- ახლა არა, ბატონო სედლი, - ამოოხვრით მიუგო რებეკამ. - სამაგისო გუნება არა მაქვს; თანაც ქისა უნდა მოვათავო. იქნებ მიშველოთ, ბატონო სედლი? - და ვიდრე მოახერხებდა კითხვას, მერე როგორაო, ბატონი ჯოზეფ სედლი, ოსტ-ინდოეთის კომპანიის თანამშრომელი, მყის tete-a-tete აღმოჩნდა ახალგაზრდა მანდილოსანთან, რომელსაც პირდაპირ თვალებით სჭამდა; მკლავები მავედრებელივით გაეშვირა მისკენ, ხოლო ხელები მწვანე აბრეშუმის ქსელით ჰქონდა შებოჭილი, რებეკა კი ამ ძაფს ახვევდა.

ამ რომანტიკულ ყოფაში იხილეს ოსბორნმა და ემილიამ ეს უცნაური წყვილი, როცა ისინი შემოვიდნენ რომ ეუწყებინათ, საუზმე მზად გახლავთო. აბრეშუმის ძაფის მუყაოზე დახვევა ის-ის იყო დაემთავრებინათ, მაგრამ ბატონ ჯოზეფს კრინტიც არ დაუძრავს.

- დარწმუნებული ვარ, ხვალ გამოგიტყდება, გენაცვალე, - ანუგეშა მეგობარი ემილიამ, რებეკას ხელს რომ ხელს უჭერდა.

აგრეთვე სედლიმაც აწონ-დაწონა გულში და თავისთვის დაასკვნა: დალახვროს ეშმაკმა, მოდი ვოქსჰოლში ჩავურტყამ სიტყვასო.

თავი V. ჩვენი დობინი

კაფის და დობინის ჩხუბი და ამ შეტაკების მოულოდნელი შედეგი დიდხანს ემახსოვრება ყველას, ვინც დოქტორ სუიშტეილის სახელგანთქმულ სკოლაში სწავლობდა. მეორე ყრმა, რომელსაც ოჰო-ჰო დობინს, იჰი-ჰი დობინს და ყმაწვილებისგან აბუჩად აგდების დამადასტურებელ ბევრ სხვა

სახელსაც ეძახოდნენ, გახლდათ დოქტორ სუიშტეილის სკოლის ახალგაზრდა დარბაისელთა შორის ყველაზე წყნარი, უშნო და თითქოს ყველაზე უნიჭოც. მამამისი ბაყალი იყო სიტიში და ხმა დადიოდა, დოქტორ სუიშტეილის სასწავლებელში, როგორც იტყვიან, „ურთიერთშორის ანგარიშსწორების პირობით“ მიიღესო; ესე იგი, მისი შენახვისა და სწავლის ხარჯს მამამისი საქონლით ისტუმრებდა და არა ნაღდი ფულით. სკოლაში თითქმის ყველაზე მდაბიოთა შორის ითვლებოდა. ეცვა უხეში ქსოვილის შარვალი და კურტაკი, რომლებიც ძვალმსხვილ ყმაწვილს უშნოდ შემოსხეპოდა ტანზე; და იმ სასწავლებელში ის გახლდათ, ვითარცა უამრავი გირვანქა ჩაის, სანთლის, შაქრის, წინწკლებიანი საპნის, ქიშმიშის (რომლის ერთობ მცირე ნაწილი ხმარდებოდა სასწავლებლის პუდინგებს) და სხვა საქონლის წარმომადგენელი. ყრმა დობინისთვის შემაძრწუნებელი იყო ის დღეც, როცა დაშაქრული ნუშისა და ძეხვის საყიდლად ქალაქში გაპარული ერთი პატარა შეგირდი დოქტორის კართან ურემს წააწყდა, რომელსაც ზედ ეწერა: „დობინი და რაჯი, ბაყლები და ცხიმეულით მოვაჭრენი, ტემზის ქუჩა, ლონდონი“, და ამ ფირმის საქონლის ტვირთსა ცლიდნენ.

საწყალ დობინს ამიერიდან მოსვენება აღარ უგემნია. საზარლად და ულმობლად იგდებდნენ მასხარად.

- ეი, დობინ, - მისძახოდა ვინმე ცუღლუტი, - აი რა ჩინებული ამბავია გაზეთში - შაქრის ფასი მატულობს, გენცვა.

მეორე ამოცანას გამოუგონებდა: - თუ ერთი გირვანქა ქონის სანთელი შვიდი პენი და ნახევარია, რა ეღირება დობინი?

ამის პასუხად ერთი ღრიანცელი ატყდებოდა პატარა თაღლითთა, მასწავლებლის თანაშემწეთა და ყველა იმ პირთა ბრბოში, ვინც სამართლიანად თვლიდა, რომ წვრილმანი ვაჭრობა სამარცხვინო და სათაკილო საქმეა, ღირსი ყველა ჭეშმარიტი წარჩინებულის ზიზღისა და გაკიცხვისა.

- მამაშენიც ხომ ვაჭარია, ოსბორნ, - მარტომ რომ დაიხელთა, უთხრა დობინმა იმ პატარა ბიჭს, ვინც მეხი დაატეხა თავს. იმან კი ქედმაღლურად მიახალა: მამაჩემი აზნაურია და თავისი ეტლი აქვსო. და ბატონი უილიამ დობინი სათამაშო ეზოს მიყურებულ ფარდულში წაბრძანდა, სადაც უქმე დღის ნახევარი დიდი ურვასა და მწუხარებაში დაჰყო.

ჩვენს შორის ვის არ მოაგონდება ყმაწვილური სევდის მსგავსი მწარე, მწარე წუთები? კეთილშობილ ყმაწვილზე უფრო კარგად ვინ იგრძნობს უსამართლობას, ვინ უფრთხის აბუჩად აგდებას, ვისა აქვს ბოროტებისადმი იმაზე უფრო მკვეთრი და გულკეთილობისადმი იმაზე უფრო წრფელი მადლიერების შეგრძნობა? მერე რამდენ ნაზ სულს ამახინჯებთ, აუცნაურებთ და აწამებთ არითმეტიკაში ცოტა ჩაკოჭლებისა ან უბადრუკი, წარყვნილი ლათინურისათვის?

ჰოდა, უილიამ დობინმა ვერ შეძლო ზემოხსენებული ენის ანაბანას შეთვისება, რომელიც საოცარ წიგნში, იტონის ლათინურ გრამატიკაშია ჩამოყალიბებული. ამიტომ იძულებული გახდა დოქტორ სუიშტეილის შეგირდთა შორის სულ უკანასკნელთა რიგში დარჩენილიყო და მარადის ამცირებდნენ ღაჟღაჟალოყებიანი და წინსაფრიანი პატარები, როცა უმცროს კლასებში მიაბოტებდა და მათ შორის ბუმბერაზივით მოჩანდა; გამოშტერებული თვალები ძირს დაეხარა, ხელთ ფურცლებჩაკეცილი სახელმძღვანელო ეჭირა, უხეში ქსოვილის შარვალი და ტანზე შემოსხეპოდა. დიდი და პატარა ყველა მასხარად იგდებდა. იმ შემოსხეპილ შარვალს კიდევ გამოუკერავდნენ; საწოლის საბმურებს უჭრიდნენ, ფეხებში სათლებსა და მერხებს წაუქცევდნენ, რომ წამოსდებოდა და წვივები ეტკინა, და ამის იმედსაც ხომ არასოდეს გაუმტყუნებდათ! უგზავნიდნენ ამანათებს, რომლებშიც მშობლიური საპონი და სანთლები აღმოჩნდებოდა. არც ერთი პატარა ცუღლუტი არ ყოფილა, რომ არ გაემასხარავებინა და არ გაექირდა დობინი. ეს კი ყველაფერს ჭეშმარიტი მოთმინებით იტანდა და სრულიად უენო და ბეჩავი ვინმე იყო.

კაფი, პირიქით, სუიშტეილის სასწავლებლის დიდი ბელადი და დარდიმანდი ბრძანდებოდა. ღვინოსაც შემოაპარებდა ხოლმე, ქალაქის ბიჭებსაც ეჩხუბებოდა. შაბათობით მისთვის პონიც მოჰყავდათ შინ წასაყვანად. თავის ოთახში გრძელყელიანი ჩექმებიც ეწყო, რომლითაც არდადეგებზე სანადიროდ დადიოდა. ჰქონდა ოქროს საათი, რომელიც ღილზე თითის დაჭერით განვლილი საათების რიცხვს რეკავდა. დოქტორივით ცხვირში ბურნუთს იყრიდა. ოპერაშიაც ნამყოფი იყო. იცოდა მთავარ მსახიობთა ფასი და ბატონი კონი უკეთეს მსახიობად მიაჩნდა, ვიდრე ბატონი კემბლი. ორმოც ლათინურ ტაეპს ერთ საათში გაგიზეპირებდათ. თხზავდა ფრანგულად ლექსებს.

სხვა კიდევ რა არ იცოდა, ან რაღა არ შეეძლო! ამბობდნენ, იმისი თვით დოქტორსაც კი ეშინიაო.

სკოლის უცილო მეფე, კაფი, განაგებდა ქვეშევრდომთ, აშინებდა და იმორჩილებდა მათ თავისი ბრწყინვალე უპირატესობით. ეს წაღებს უპრიალებდა. ის პურს უბრაწავდა, სხვები კიდევ ხელზე ემსახურებოდნენ და მთელი ზაფხულის განმავლობაში ნაშუადღევს, კრიკეტის თამაშის დროს, ბურთებს მოართმევდნენ ხოლმე. „ლეღვი“ ყველაზე უფრო ზიზღის ღირსად მიაჩნდა და თუმცა ყოველთვის აბუჩად და მასხარად იგდებდა, თავს თითქმის არც უყადრებდა, რომ პირადად გამოლაპარაკებოდა მას.

ერთ დღეს, პირისპირ მარტო შეხვედრის დროს, ამ ორ ვაჟბატონს ერთმანეთში შეხლა-შემოხლა მოუვიდათ. ლეღვი მარტოდმარტო იჯდა კლასში და დიდის ვაი-ვაგლახით შინ გასაგზავნ წერილს წერდა. კაფი შემოვიდა და რაღაცისთვის, ალბათ ღვეზელისთვის, წასვლა უბრძანა.

- არა მცალია, - უთხრა დობინმა, - წერილი უნდა დავასრულო.

- არა გცალია? - ჩაეკითხა ბატონი კაფი და ხელი სტაცა თხზულებას, რომელშიც ბევრი სიტყვა წაშლილი იყო, ბევრი - შეცდომით დაწერილი და რომლისთვისაც არ ვიცი რამდენი ფიქრი, შრომა და ცრემლი დაიხარჯა, რადგან საბრალო ყმაწვილი დედამისს სწერდა, რომელსაც ერთობ უყვარდა იგი, თუმცა ბაყლის ცოლი კი იყო და ტემზის ქუჩაში, სახლის უკანა ოთახში, ბინადრობდა.

- არა გცალია? - ჩაეკითხა ბატონი კაფი, - ერთი მიბრძანე, რატომაო? ვითომ არ შეგიძლია ბებერ დედაშენ ლეღვს ხვალ მისწერო?

- ნუ ილანძღები! - შესძახა დობინმა და აღელვებული წამოიჭრა ზეზე.

- აბა, ვაჟბატონო, წაბრძანდები თუ არა? - დასჭყივლა სკოლის ყოჩმა.

- დადე წერილი, - მიუგო დობინმა, - პატიოსანი კაცი სხვის წერილებს არ კითხულობს.

- აბა, ახლა წახვალ თუ არა? - ჩაეკითხა მეორე.

- არა, არ წავალ; ხელი, თორემ გთხლიშავ, - დაიღრიალა დობინმა: მივარდა ტყვიის სამელნეს და ისე ბოროტად გადაუბრიალა თვალები მოპირდაპირეს, რომ ბატონი კაფი შედგა, დაკაპიწებული სახელოები კვლავ ჩამოუშვა . ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ღრეჭით წაბრძანდა. მაგრამ ამიერიდან პირადად აღარასოდეს შეტაკებია ბაყალის ვაჟიშვილს. თუმცა, სიმართლე უნდა ვაღიაროთ, ზურგს უკან ყოველთვის ზიზღით ახსენებდა ბატონ დობინს.

ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გამოხდა და ერთ მზიან ნაშუადღევს ბატონი კაფი საბრალო უილიამ დობინის მეზობლად აღმოჩნდა. დობინი ეზოში ხის ქვეშ წამოწოლილიყო და თავისი საყვარელი „არაბული ღამეების“ წიგნს ჩაჰკირკიტებდა. იგი გამოცალკევებოდა სხვა მოწაფეებს, რომელნიც სხვადასხვა თამაშით ერთობოდნენ, და მარტოდმარტო თითქმის ბედნიერადაც გრძნობდა თავს. ბავშვებს რომ თავიანთ ნებაზე მიუშვებდნენ, მასწავლებლები რომ არ აფრთხობდნენ და მშობლები რომ გულმოდგინედ არ ცდილობდნენ უხელმძღვანელონ მათ ფიქრებს და განაგონ მათი გრძნობები, ის გრძნობები და ფიქრები, რომელნიც ყველასათვის გამოცანაა (რადგან აბა რა ვიცით თქვენ და მე ერთმანეთის, ჩვენი შვილების, ჩვენი მამებისა და ჩვენი მეზობლებისა; და ალბათ რამდენად უფრო მშვენიერი და წმინდაა ფიქრები იმ საბრალო ყრმისა ან გოგონასი, რომლის გაწვრთნაც ალბათ თქვენა გნებავთ, ვიდრე იმ ყეყეჩი და წუთისოფლისაგან გარყვნილი ადამიანისა, ვინც მათ მოძღვრავს?) - დიახ, მე მოგახსენებთ: მშობლები და ოსტატნი ცოტა მეტ ხანს რომ მიუშვებდნენ ბავშვებს თავიანთ ნებაზე, დიდად არაფრად ავნებდა საქმეს და იქნებ ახლანდელზე უფრო ნაკლები ზიანიც მოჰყოლოდა.

დიახ, უილიამ დობინმა ერთხელ მაინც დაივიწყა ქვეყნიერება და თავი ამოჰყო ალმასების ხეობაში სინდბად მეზღვაურთან, თუ უფლისწულ აჰმედსა და ფერია ჰერიბანუსთან იმ მშვენიერ გამოქვაბულში, სადაც უფლისწულმა იპოვა ფერია და საითკენაც ყველა ჩვენგანი სიამოვნებით გაისეირნებდა. სწორედ ამ დროს ატირებული ბავშვის ყვირილ-ჭყივილის მსგავსმა ხმამ გამოაფხიზლა დობინი ტკბილი ოცნებიდან. გაიხედა და კაფი დაინახა, რომელიც პატარა ბიჭს უბარტყუნებდა.

ეს სწორედ ის ყრმა ბრძანდებოდა, ბაყალის ურმის ამბავი რომ მოიტანა, მაგრამ დობინის გულში ნაკლებად მოიპოვებოდა შურისძიების გრძნობა, ყოველ შემთხვევაში, უმცროსებისა და პატარებისადმი მაინც.

- როგორ გაბედე, ვაჟბატონო, ბოთლის გატეხა? - უყვირის კაფი პატარა ცელქს და თავზე კრიკეტის ყვითელ ჯოხს უტრიალებს.

ამ ბიჭს ნაბრძანები ჰქონდა, გადაფოფხებულიყო ეზოს გალავანზე (ამორჩეულ ადგილას, სადაც თავზე შუშის ნამსხვრევები გადაეცალათ, შიგადაშიგ კედელში აგურებიც გამოემტვრიათ და ადვილი გადასასვლელი იყო), გაერბინა მეოთხედი მილი, ნისიად ეყიდა ლიმონის წვენით შეზავებული ერთი პინტი რომი, ვაჟკაცურად გაეცურებინა დოქტორის ყველა გარეთ მოსიარულე ჯაშუში და კვლავ შემომძვრალიყო. ამ სამამაცო საქმის აღსრულებაში ფეხი დაუსხლტა, ბოთლი გატყდა, სასმელი დაიღვარა, შარვალი გაფუჭდა და ბატონის წინაშე წარსდგა ბოროტმოქმედი და აცახცახებული, თუმცა კი უდანაშაულო ბედშავი ბალღი.

- როგორ გაბედე, ვაჟბატონო, იმის გატეხა? - დასძახის კაფი, - აი შე ცრუპენტელა ქურდბაცაცავ! სასმელი გადაჰკარი და ახლა ვითომდა ბოთლი გამიტყდაო! აბა მიბოძე ხელი, ვაჟბატონო!

დაეშვა ჯოხი და ბავშვის ხელზე ხმამაღალი, მძიმე ტყაპანი მოიღო, გაისმა კვნესა. დობინმა თავი ასწია. ფერია პერიბანუ უფლისწულ აჰმედიანად გამოქვაბულის სიღრმეში გადაიხვეწა; ფასკუნჯმა რუხმა ალმასების ხეობიდან თვალუწვდენელ სიმაღლეზე ღრუბლებში აიტაცა სინდბად მეზღვაური და პატიოსან უილიამს ყოველდღიური ცხოვრება გადაეშალა თვალწინ: დიდი ბიჭი პატარას უმიზეზოდ უბრაგუნებდა.

- მომე მეორე ხელი, ვაჟბატონო! - დაღრიალებდა კაფი პატარა ამხანაგს, რომელსაც ტკივილისაგან პირსახე დაღმეჭოდა.

დობინს გააჟრჟოლა და შეიშმუშნა თავის ვიწრო, ძველ ტანსაცმელში.

- ესეც შენ, ჭინკავ! - დასჭყივლა ბატონმა კაფმა და კიდევ დაეშვა ბავშვის ხელზე ჯოხი... ნუ შეძრწუნდებით, მანდილოსანნო, საჯარო სკოლის ყველა შეგირდს ჩაუდენია ეს. ალბათ თქვენი შვილებიც ასე იზამენ, ან თქვენ შვილებსაც ასე

უზამენ.

კიდევ დაეშვა კრიკეტის ჯოხი და დობინი წამოხტა. ვერ გეტყვით, რა მიზეზით ჩაიდინა ეს. ტანჯვა-წამება საჯარო სკოლაში ნებადართულია. ამის წინააღმდეგობა კეთილშობილთათვის თითქმის შეუფერებლადაც კი ითვლება. იქნება დობინის ბრიყვული სული ამ ჩაგვრას აუჯანყდა, ან იქნებ შურისძიების მძაფრი წყურვილი ედო გულში და შერკინება ეწადა იმ ბრწყინვალე ჩხუბისთავსა და მტარვალთან, რომელსაც მოეპოვებოდა ყოველი დიდება, სიამაყე, ბრწყინვალება, სიმდიდრე, რომლისთვისა ალმები ფრიალებდა, დაფდაფები გრიალებდა და რომელსაც გვარდია სალამს უძღვნიდა. რაც უნდა ყოფილიყო დობინის აღმძვრელი მიზეზი, წამოხტომით წამოხტა ეს ყმაწვილი და გაჰკივლა: - შესდექ, ნუ სცემ მაგ ბიჭს, კაფ, თორე...

- თორე რაო? - დაეკითხა ამ ხელისშეშლით განცვიფრებული კაფი. - შენ კი გამომიშვირე ხელი, ლეკვო!

- შენს სიცოცხლეში რომ არ გინახავს, ისეთ დღეს დაგაყრი, - უპასუხა კაფის ნათქვამის პირველ ნაწილს დობინმა.

გაოცებულმა პატარა ოსბორნმა, რომელიც ზლუქუნებდა და იმდუღრებოდა, თვალები უნდობლად დააჭყიტა მფარველად უცბად მოვლენილი ამ საოცარი რაინდის დანახვაზე. არც კაფის განცვიფრება იქნებოდა ნაკლები. წარმოიდგინეთ ჩვენი განსვენებული ხელმწიფე გეორგ III, როცა მან ჩრდილო ამერიკის ახალშენთა აჯანყების ამბავი შეიტყო; წარმოიდგინეთ გათავხედებული გოლიათი, პატარა დავითი რომ წარუდგა და ბრძოლა შესთავაზა - და თქვენ მიხვდებით ბატონ რეჯინალდ კაფის იმ გრძნობებს, რომელიც მას ამ ბრძოლაში გაწვევამ აღუძრა.

- გაკვეთილების შემდეგ! - რასაკვირველია, ეუბნება იგი, ოღონდ ჯერ ცოტა შედგება და ისეთი თვალით გადახედავს, თითქოს აფრთხილებდეს: „ანდერძი დააგდე და, რაც რამ სათქმელი გაქვს, შენს მეგობრებს შეატყობინეო“.

- როგორც გენებოს, - მოახსენა დობინმა. მერე პატარა ბიჭს მიუბრუნდა და დასძინა: - ოსბორნ, შენ ჩემი სეკუნდანტი უნდა იყო!

- ჰო, თუკი გინდა, - მიუგო პატარა ოსბორნმა; რადგან, ხომ

იცით, მამამისს საკუთარი ეტლი მოეპოვებოდა, და, ცოტა არ იყოს, თავისი ფალავანი კიდეც ეთაკილებოდა.

დიახ, კრივის დრო რომ დადგა, ოსბორნს თითქმის სრცხვენოდა, როცა ამბობდა, „მისცხე ლეღვოო“ და იქ დამსწრეთაგან, ამ სახელოვანი ბრძოლის პირველი ორი-სამი რაუნდის განმავლობაში, არც ერთ სხვა ბიჭს არ დაუძრავს კრინტი ასეთი წამახალისებელი შეძახილისათვის. კრივის დასაწყისში, ჩხუბში გამოჯეკილ კაფს პირზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა და ისე ხალისიანად და მხიარულად გრძნობდა თავს, თითქოს ლხინში ყოფილიყო. გულდამშვიდებით უბაგუნებდა მოწინაღმდეგეს და ის ბედშავი ფალავანი ზედიზედ სამჯერ გააგორა მიწაზე. ყოველ წაქცევაზე სიხარულის ჟრიამული ატყდებოდა და ყველა მოწადინებული იყო გამარჯვებულისათვის მუხლის შეთავაზების პატივი მოეპოვებინა.

„ოჰ, როგორ მიმჟეჟავს, ეს რომ დამთავრდება!“ - ფიქრობდა პატარა ოსბორნი, როცა თავის ფალავანს წამოდგომას შველოდა.

- ჯობს თავი დაანებო, - ურჩია მან დობინს. - ბევრი-ბევრი მცემონ და ხომ იცი, ლეღვო, ამას შეჩვეულიც ვარ.

მაგრამ ლეღვმა, რომელსაც ყველა კუნთი უთრთოდა და ნესტოები რისხვით ებერებოდა, განზე გასწია თავისი პატარა სეკუნდანტი და მეოთხედ შეება მტერს, რადგან დობინს იოტისოდენადაც არა გაეგებოდა რა მისთვის დამიზნებული მუშტების თავიდან აცდენისა, აქამდე კი სამივეჯერ პირველად კაფი დაესხა თავს და არც დააცალა ხელის განძრევა - ახლა ლეღვმა დაასკვნა, კრივს მე თვითონ დავიწყებ და თავსაც მე დავესხმიო. ამიტომ თავისი ცაცია გამოიყენა (იგი ცაცია გახლდათ) და ორიოდეჯერ მთელი ძალ-ღონით სთხლიშა ბატონ კაფს. ერთხელ მარცხენა თვალში, მეორედ კი მშვენიერ რომაულ ცხვირში, ამჯერად, მთელი კრებულის განსაცვიფრებლად, კაფი გაიშხლართა მიწაზე.

- ღმერთმანი, ჩინებული გარტყმაა, - საქმის მცოდნის იერით ბრძანებს პატარა ოსბორნი და ზურგში ხელს უტყაპუნებს თავის ფალავანს. - ლეღვო, მისცხე ცაციათი, გენცვა!

კრივის მთელ დანარჩენ დროს ლეღვის ცაცია განაგრძობდა შემაძრწუნებელ მოქმედებას. კაფი ყოველ დარტყმაზე ძირს

კოტრიალობდა. მეექვსე რაუნდში თითქმის იმდენივე ყმაწვილი გაიძახოდა „მისცხე ლეღვოო“, რამდენიც ყვიროდა „კაფ, მისცხეო“. მეთორმეტე რაუნდში ამ უკანასკნელ ფალავანს, როგორც იტყვიან, სულ ილაჯი წაერთვა - დაკარგა სულის სიმტკიცე და თავდასხმის, ან თავდაცვის ყოველი უნარი. ლეღვი, პირიქით, კვაკერივით გულარხეინად ბრძანდებოდა გაფითრებული სახე, ფართოდ დაჭყეტილი, მობრიალე თვალები გახეთქილი ქვემო ტუჩიდან თქრიალით გადმომდინარე სისხლი ამ ყრმას მრისხანე და თავზარდამცემ იერს აძლევდა, რამაც, ცოტა არ იყოს, ბევრი დამსწრე კიდეც შეაშინა. მისი გულადი მოქიშპე მაინც მოემზადა მეცამეტე შერკინებისათვის.

ნეტავ ნეპირის ან „ბელის ცხოვრების“ მწერლის კალამი მქონდეს, რომ ღირსეულად აღვწერო ეს ბრძოლა. ეს გახლდათ გვარდიის უკანასკნელი იერიში (ესე იგი, ეს იქნებოდა გვარდიის უკანასკნელი იერიში, ოღონდ ვატერლოოს ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი). ეს გახლდათ ათი ათასი ხიშტით აქოჩრილი და ოცი არწივის გვირგვინმოსილი ნეის ლაშქარი, რომელიც გულდაგულ მიიწევდა ლა-ეი-სენტის ბორცვის ფერდობზე; ეს გახლდათ ხორციჭამია ბრიტანელთა კიჟინა, როცა ისინი ხტომა-ხტომით დაეშვნენ თავდაღმა მტერთან სასტიკი ხელჩართული ბრძოლისათვის სხვა სიტყვით რომ მოგახსენოთ, მამაცობით და გამბედაობით აღვსილი კაფი ლასლასით და ბორძიკით წამოიმართა, ლეღვით მოვაჭრემ კი თავისი ცაცია ჩვეულებისამებრ ცხვირში უთავაზა მოწინააღმდეგეს და უკანასკნელად გააგორა ძირს.

- მგონი ახლა კი ეყოფა, - განაცხადა ლეღვმა, როცა მისი მოქიშპე ისევე მოწყვეტით დავარდა მოლზე, როგორც, მე რომ მინახავს, ჯეკ სპოტის ბილიარდის ბურთი ვარდებოდა ბადეში და ჭეშმარიტება გახლავთ, რომ, როცა დრო დადგა, ბატონმა რეჯინალდ კაფმა ვეღარ შეძლო, ან იქნებ არც ამჯობინა, კვლავ წამომდგარიყო.

ახლა კი ყველა ისეთი მხიარული ყიჟინით მიესალმა ლეღვს, იფიქრებდით, მთელი კრივის განმავლობაში ალბათ ეს იყო ამათი საყვარელი ფალავანიო; და ამ ყიჟინამ დოქტორი სიუშტეილი ნამდვილად გამოიყვანა კაბინეტიდან, რათა ღრიანცელის მიზეზი გაეგო. ლეღვს, რასაკვირველია, დაემუქრა, სასტიკად გაგწკეპლავო; მაგრამ კაფი, რომელმაც ამასობაში

სული მოითქვა და ჭრილობებს იბანდა, წინ წამოდგა და მოახსენა.

- ჩემი ბრალია, ბატონო... ლეღვი... დობინი უბრალოა. მე ვუტყაპუნებდი პატარა ბიჭს და სამართლიანად და რიგიან-პირიანად მიმბეჟა.

ამ სულგრძელი სიტყვით არა მარტო თავისი დამმარცხებელი გადაარჩინა გაწკეპვლას, არამედ კიდეც დაიბრუნა ყმაწვილებზე მთელი გავლენა: თორემ, ის-ის იყო, დამარცხება კინაღამ ამ გავლენის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

პატარა ოსბორნმა ასპარეზობის ამბავი მშობლებს მისწერა.

„შუგარკეინ-ჰაუზი. რიჩმონდი. 18... მარტსა.

„ძვირფასო დედიკო, ვიმედოვნებ, რომ სულ კარგად ბრძანდები. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ტკბილ ნამცხვარს და ხუთ შილინგს გამომიგზავნი. აქ კაფის და დობინის ჩხუბი იყო. კაფი, ხომ იცი, სკოლის ყოჩი იყო ცამეტი რაუნდი იჩხუბეს და დობინმა მიჟეჟა. ახლა მაშ კაფი მხოლოდ მეორე ყოჩია. ჩხუბი ჩემი გულისთვის მოხდა: კაფი მე მიჟაპუნებდა - რძიანი ბოთლი რად გატეხეო და ლეღვმა ვერ მოითმინა ლეღვს იმიტომ ვეძახით, რომ მამამისი ბაყალია - ლეღვი და რაჯი, ტემზის ქუჩა, სიტი. მე მგონი, რადგან ჩემი გულისთვის იჩხუბა, თქვენ მამამისის დუქანში უნდა იყიდოთ ჩაი-შაქარი. კაფი ყოველ შაბათს დადის შინ, მაგრამ ამ შაბათს ვეღარ წავიდა. იმიტომ რომ 2 დალილავებული თვალი აქვს. იმას ჰყავს თეთრი პონი, შინ წასაყვანად მოჰგვრიან ხოლმე, და კიდევ ლივრეიანი მეჯინიბე, რომელიც ჭრელ ჭაკზე ზის. ნეტავი ჩემი მამიკოც მიყიდიდეს პონის!

„დავშთები თქვენი მორჩილი ძე, ჯორჯ სედლი ოსბორნი.

„P.S. - მომიკითხეთ სიყვარულით პატარა ემი. მისთვის მუყაოს ეტლს ვჭრი. გეთაყვა, ანისულიანი ნამცხვარი კი არა, ქიშმიშიანი ნამცხვარი მინდა“.

გამარჯვების წყალობით დობინის აბრუ საოცრად ამაღლდა შეგირდების თვალში. აქამდე „ლეღვი“ მასხარად ასაგდებ და სალანძღავ სიტყვად რომ ითვლებოდა, ახლა საპატიო და განთქმულ მეტსახელად იქცა ისევე, როგორც სასწავლებლის შეგირდების სხვა მეტსახელები.

- ბოლოს და ბოლოს, რა მისი ბრალია, მამამისი რომ ბაყალია, - განაცხადა ჯორჯ ოსბორნმა, რომელიც ღლაპი იყო, მაგრამ ერთობ სახელოვანი ვინმე კი ბრძანდებოდა სიუშტეილის სასწავლებლის ყმაწვილკაცობაში და მისი აზრი კიდეც მიიღეს, დიდი მოწონებით აღიარეს, რომ უსინდისობა იქნება დობინს ასეთი წარმოშობისათვის დავცინოთო. „ძველი ლეღვი“ გულკეთილობის მაჩვენებელ და საალერსო სახელად გადაიქცა და გველაძუა ზედამხედველთა ენატანიაობა და ქირდვაც აღარ დევნიდა ამ ყრმას.

მდგომარეობის შეცვლით დობინიც გამხნევდა. სწავლაში განსაცვიფრებელი წარმატება გამოიჩინა. თვით ამპარტავანი კაფი, რომლის თავმდაბლობა მხოლოდ აწითლებდა და აოცებდა დობინს, ლათინური ლექსების დასწავლას შველოდა; „წვრთნიდა“ თამაშობის საათებში; ზეიმით გადაიყვანა უმცროსი კლასიდან შუათანაში და თვით იქაც ჩინებული ადგილი მოუპოვა. აღმოჩნდა, რომ თუმცა კლასიკურ ენებში უნიჭო იყო, მათემატიკას ერთობ ადვილად ითვისებდა. ყველას სასიამოვნოდ შუაზაფხულის საჯარო გამოცდებში მესამე ადგილი მოიპოვა ალგებრაში და ჯილდოდ ფრანგული წიგნიც მიიღო. უნდა გენახათ დედამისის სახე, როცა მთელი სკოლის მშობელთა და დამსწრე საზოგადოების წინაშე დოქტორმა უბოძა მის შვილს „Telemaque“ (სწორედ ეს წარმტაცი წიგნი გახლდათ ჯილდო!) წარწერით Gulielmo Dobbin[12] ყველა ბიჭმა ტაში დაჰკრა მოწონებისა და თანაგრძნობის ნიშნად. ვინ აღწერს, ან მოსთვლის დობინის გაჭარხლებას, წაბორძიკებას, უგერგილობას და იმ დასრესილ ფეხთა რაოდენობას, რომელიც თავისი ადგილისაკენ მობრუნების დროს დააზიანა? მამამისმა, ბებერმა დობინმა, პირველად ახლა იგრძნო შვილისადმი პატივისცემა და საჯაროდ აჩუქა მას ორი გინეა, რომლის უმეტესი ნაწილი სკოლის საერთო ლხინსა და დროსტარებაში დაიხარჯა. დობინი არდადეგების შემდეგ ფრაკში გამოწყობილიც დაბრუნდა.

დობინი მეტისმეტად თავმდაბალი და მორცხვი ყმაწვილი ბრძანდებოდა იმისათვის, რომ ეფიქრა, ყველა ეს ბედნიერი ცვლილება ჩემი სულგრძელობისა და მამაცობის შედეგიაო. რატომღაც ჯიუტად და უკუღმართად ირჩია, თავისი კეთილი სვე-ბედი მხოლოდ და მხოლოდ პატარა ჯორჯ ოსბორნის ხელშეწყობისა და მოწყალებისათვის მიეწერა და მის მიმართ ამიერიდან ისეთი სიყვარული და ერთგულება შთაესახა გულს,

რომელსაც მხოლოდ ბავშვები თუ განიცდიან - ისეთი სიყვარული, რომელსაც მომხიბლავ ზღაპრებში თუ ვკითხულობთ. მაგალითად, უხეში, ტლანქი ორსონი მის დამმარცხებელ დიდებულ ჭაბუკ ვალენტინისადმი რომ გრძნობდა.

დობინი განერთხა პატარა ოსბორნის წინაშე და შეიყვარა იგი ვიდრე გაიცნობდა, თვით მანამდეც ეთაყვანებოდა ჩუმად ოსბორნს; ახლა ხომ მის ფარეშად, მის ნაგაზად, მის მსახურ პარასკევად გადაიქცა. სწამდა, რომ ქვეყნად გაჩენილ ბიჭებში ოსბორნი ყოველი ღირსებით შემკული, ყველაზე ლამაზი, სულგრძელი იყო. უზიარებდა მას ფულს, ყიდულობდა უთვალავ საჩუქრებს: დანებს, საკალმეებს, ოქროს სადაღავებს, შაქარლამას, მგალობელ ჩიტებს და რაინდებისა და ყაჩაღების დიდრონი, ფერად-ფერადი სურათებით შემკულ საინტერესო წიგნებს, რომელთაგან ბევრს წაწერილი ჰქონდა მიძღვნა: „ესკვაირ ჯორჯ სედლი ოსბორნს - გულითადი მეგობრის უილიამ დობინისაგან“. პატივისცემის დამადასტურებელ ან ნიშნებს ჯორჯიც ერთობ მოწყალე თვალით უყურებდა და იღებდა, ვითარცა მის წარჩინებასა ჰფერობდა.

ასე რომ, როცა ლეიტენანტი ოსბორნი ვოქსჰოლს სასეირნოდ წასვლის დღეს რასელ-სკვერს მიბრძანდა, მანდილოსნებს მოახსენა: - ქალბატონო სედლი, ვიმედოვნებ ადგილი მოგეპოვებათ; ჩვენს დობინს ვუთხარი, სადილად აქ მოსულიყო და ვოქსჰოლს წამოგვყოლოდა. ისიც თითქმის ჯოზივით მორცხვია.

- მორცხვი! ფიე!.. - ბრძანა ზორბა და დარბაისელმა და valinqueur[13] თვალით გადახედა მის შარპს.

- ჰო, მორცხვია... მაგრამ შენ კი შეუდარებლად უფრო მოხდენილი ხარ, სედლი, - დასძინა სიცილით ოსბორნმა, - ბედფორდთან შევხვდი, შენ რომ გეძებდი და ვუთხარი, მის ემილია შინ დაბრუნდა და დროს გასატარებლად ყველას გასეირნება გვინდა-მეთქი. თან დავაყოლე: ქალბატონმა სედლიმ, დღეობაში რომ პუნშის თასი გატეხე, მოგიტევა-თქო. ქალბატონო, არ გახსოვთ ეს უბედურება, შვიდი წლის წინათ რომ მოხდა?

- ქალბატონ ფლემინგოს შინდისფერ აბრეშუმის კაბაზე რომ გადაასხა, - მოიგონა გულკეთილმა ქალბატონმა სედლიმ. - ოჰ,

რა ტლანქი და უშნო იყო! და არც თუ მისი დაიკოები არიან უფრო მოხდენილები და კოხტანი. ჰაიბერიში გუშინღამ ლედი დობინიც იყო სამივე ასულითურთ. რა მოყვანილობისანი არიან, გენაცვათ!

- ოლდერმენი ძალიან მდიდარი უნდა იყოს, არა? - ეშმაკურად იკითხა ოსბორნმა. - როგორ გგონიათ, ქალბატონო, რომელიმე მათგანი ხომ კარგი და ხეირიანი საცოლე იქნება ჩემთვის?

- აი, შე სულელო! ნეტავი ვიცოდე, ვინ მისთხოვდება შენისთანა პირყვითელას!

- მე ვარ პირყვითელი? მოითმინეთ, სანამ დობინი არ გინახავთ. იმან ხომ სამჯერ მოიხადა ყვითელი ციება: ორჯერ ნასაუში, ერთხელ კიდე სენტ-კიტსზე!

- აბა, აბა, შენი პირყვითელობაც სრულიად საკმარისია ჩვენთვის, ხომ ემი? - თქვა ქალბატონმა სედლიმ.

ამ ლაპარაკზე მის ემილიამ მხოლოდ გაიღიმა და სახე შეუფაკლდა. თვალი შეავლო ბატონ ჯორჯ ოსბორნის ფერმკრთალ, სანდომიან სახეს, იმ კოხტა შავ, ხუჭუჭ, მბზინავ ქილვაშებს, რომლითაც თვით ამ ვაჟბატონსაც ერთობ მოსწონდა თავი და პატარა გულში გაივლო: მისი უდიდებულესობის ლაშქარში, ან თუნდაც მთელ დუნიაზე, ამისთანა სახე და ამისთანა გმირი მეორე არ მოიპოვებაო.

- ჩემთვის სულ ერთია კაპიტან დობინის პირისფერი, ან მისი სიტლანქე, - თქვა მან. - მე მაინც ყოველთვის მეყვარება იგი. - მისი ნათქვამის პატარა აზრი ის გახლდათ, რომ დობინი ჯორჯის მეგობარი და მფარველიაო!

- ჯარში იმაზე უკეთესი საამხანაგო ყმაწვილი, ან კიდევ უკეთესი ოფიცერი არ მეგულება: თუმცა, რა თქმა უნდა, ვერაფერი ადონისია. - თქვა ოსბორნმა, ერთობ მიამიტად გაიხედა სარკისკენ და ამას რომ სჩადიოდა, შეამჩნია, შარპი დაკვირვებით უჭვრეტდა მას.

ოსბორნი აილეწა და რებეკამ გაიფიქრა: Ah, mon beau Monsicur! [14] მე მგონი, ახლა კი ვიცი შენი ფასიო...“ - პატარა, თაღლითი, უტიფარი გოგნუცა!

ამ საღამოს, ვოქსჰოლის დასაპყრობად გამზადებული, მარმაშის კაბაში გამოწყობილი, ვარდის კოკობივით ქორფა

ემილია ტოროლასებური სიმღერით სასტუმრო ოთახში რომ შემოფრთხიალდა, ერთი აყლაყუდა, უშნო დარბაისელი წარუდგა და ისეთი უხერხული თავის დაკვრით მიესალმა, რომ იმაზე უარესს კაცის თვალი ვერასოდეს ნახავდა. ეს დარბაისელი დიდრონ ხელ-ფეხიანი ბრძანდებოდა, მოკლედშეკრეჭილ შავთმიან თავზე ვეება ყურები ესხა. იმდროინდელი, ზონრებით შესაკრავი, საძაგელი სამხედრო მუნდირი ეცვა და სამკუთხა ქუდიც ეხურა.

სწორედ ეს გახლდათ მისი უდიდებულესობის ...ე ქვეითი ლეგიონის კაპიტანი უილიამ დობინი. იგი ყვითელი ციების მოხდის შემდეგ დაბრუნდა უესტ-ინდოეთიდან, სადაც სამსახურის ბედმა გადაისროლა მისი ლეგიონი მაშინ, როდესაც ბევრი მისი მამაცი ამხანაგი დიდებასა და სახელს იხვეჭდა პირინეის ნახევარკუნძულზე.

როცა მოვიდა, დობინმა ისე მოკრძალებით და წყნარად დააკაკუნა კარზე, რომ ზემოთ მყოფ მანდილოსნებს არც გაუგონიათ, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მის ემილია ვერასგზით ვერ გაბედავდა სიმღერით შემოცქრიალებულიყო დარბაზში. ასე იყო, თუ ისე, ტკბილი, ნაზი, კრიალა ხმა პირდაპირ გულში ჩასწვდა კაპიტანს და იქ ჩაიბუდა. ემილიამ ხელი რომ გაუწოდა ჩამოსართმევად, სანამ ამ ხელს თავის თათში ჩაბღუჯავდა, კაპიტანი შეყოვნდა და თავში გაუელვა: „ნუთუ, ეს შესაძლებელია... განა ის პატარა გოგონა ბრძანდები, ამ ცოტა ხნის წინათ ვარდისფერი კაბა რომ გეცვა... იმ ღამეს, პუნშის თასი რომ გადავაბრუნე; სწორედ იმის შემდეგ, რაც „გაზეთში“ გამომიცხადეს ჯარში თანამდებობის მიღებისათვის? ის პატარა გოგონა ხარ, ჯორჯ ოსბორნი რომ ამბობდა, უნდა შევირთოო? რა გაფურჩქნილი ქმნილება ჩანხართ! დახე რა ჯილდო მიუღია ამ თაღლითს!“ - ყოველივე ეს მანამდე გაიფიქრა, ვიდრე ემილიას ხელს ხელში მოიქცევდა, ხოლო თავისი სამკუთხა ქუდი ძირს დაუვარდებოდა.

მისი თავგადასავალი სკოლის დამთავრებიდან იმ დრომდე, როცა ბედნიერნი ვართ კვლავ შევხვდეთ მას, თუმცა დაწვრილებით არ გვიამბნია, დაკვირვებული მკითხველისათვის, მგონი, მაინც საკმაოდ არის ნაჩვენები წინა გვერდზე. დობინი, ათვალწუნებული ბაყალი, უკვე ოლდერმენი დობინი ბრძანდებოდა; ოლდერმენი დობინი კი გახლდათ პოლკოვნიკი სიტის მსუბუქი მხედრობისა, რომელიც

იმჟამად ფრანგთა შემოსევისათვის წინ აღდგომას ვაჟკაცური თავგამოდებითა და მოუთმენლობით ელოდა. პოლკოვნიკ დობინის რაზმი, რომელშიც თვით მოხუცი ბატონი ოსბორნი მხოლოდ უბრალო კაპრალი იყო, ხელმწიფემ და იორკის მთავარმა დაათვალიერეს და პოლკოვნიკსა და ოლდერმენს აზნაურობა ებოძა. მისი ვაჟიშვილი არმიაში შევიდა და ახალგაზრდა ოსბორნიც მალე მიჰყვა მას იმავე რაზმში. მათ უესტ-ინდოეთსა და კანადაში იმსახურეს. მათი ლეგიონი სწორედ ახლახან დაბრუნდა შინ და ჯორჯ ოსბორნისადმი დობინის ერთგულება და სიყვარული ახლაც ისევე გულთბილი და უანგარო იყო, როგორც სკოლაში ამხანაგობის დროს.

ეს ღირსეული კრებული მაშინვე დაჯდა სადილად. მუსაიფობდნენ ომის და დიდების, ბონის და ლორდ უელინგტონის, აგრეთვე უკანასკნელი „გაზეთის“ ამბებზე. იმ სახელოვან ჟამს ყოველ „გაზეთს“ გამარჯვების ამბავი მოჰქონდა და ორ მამაც ახალგაზრდასაც სწყუროდა თავიანთი სახელებიც ენახათ დიდებით მოსილთა სიაში და თავიანთ უბედურ ბედსა სწყევლიდნენ, რომ ისეთ რაზმს ეკუთვნოდნენ, რომელსაც თავის გამოჩენის პატივი წილად არა ხვდა. მის შარპი აღაგზნო ამ ამაღელვებელმა საუბარმა, მაგრამ მის სედლი კი აათრთოლა და ყურისგდებაში ლამის გულსაც შემოჰყარა. ბატონმა ჯოზმა ვეფხვებზე ნადირობის რამდენიმე თავისი ამბავი თქვა და ერთი მათგანი, მის კატლერის და დასტაქარ ლენსისა, კიდეც დააბოლოვა. სუფრაზე რებეკას ყველაფერს სთავაზობდა და თვითონაც უზომოდ თქვლეფდა და ყლურწავდა.

მანდილოსნები რომ გადიოდნენ, ჯოზი ერთობ სასაცილო მოხდენილობითა და ფართიფურთით წამოხტა, გაუღო მათ კარი, ხოლო სუფრას რომ დაუბრუნდა, სასმისი სასმისზე აავსო კლარეტით და ნერვიული აჩქარებით გადაჰკრა და გადაჰკრა.

- იტენება, აი! - ჩაუჩურჩულა ყურში ოსბორნმა დობინს. ბოლოს დროც დადგა და ვოქსჰოლს წასასვლელი ეტლი მოადგა კარს.

ჰანგი, მე რომ ვუკრავ, ვიცი, ერთობ წყნარი და მშვიდია (თუმცა შემაძრწუნებელი თავებიც მალე იქნება), მაგრამ გულკეთილ მკითხველებს ვთხოვ გაიხსენონ, რომ ამჟამად მხოლოდ რასელ-სკვერელი ბირჟის მაკლერის ოჯახის ამბავს ვამბობთ. ისინი სეირნობენ, საუზმობენ, სადილობენ, მუსაიფობენ და არშიყობენ, როგორც ჩვეულებრივ ხალხი სჩადის და მათი მიჯნურობა არც ერთი ვნებით, ან უცნაური რაიმე ნიშნით არ აღიბეჭდება. მოკლე შინაარსი ეს გახლავთ ემილიას მიჯნურმა ოსბორნმა სადილად და ვოქსჰოლს გასასეირნებლად ძველი მეგობარი მოიპატიჟა, ჯოზ სედლი რებეკას ეტრფის. შეირთავს თუ არა ჯოზი მას? აი დიდი ამბავი, რომელიც ახლა ჩვენს თვალწინაა.

შეგვეძლო ეს ამბავი მაღალფარდოვანი, რომანტიკული, ან კიდევ სალაღობო სტილით გვეთქვა, ვთქვათ, მოქმედება სწორედ იმავე თავგადასავლებითურთ გროვენორ-სკვერს გადაგვეტანა, - განა ზოგიერთი ყურს არ დაუგდებდა? ვთქვათ, ვაჩვენეთ ლორდი ჯოზეფ სედლი როგორ გამიჯნურდა: ხოლო მარკიზ ოსბორნს ლედი ემილიას ტრფობა ჩაუვარდა გულში და დუკაც, ასულის კეთილშობილი მამა, სულითა და გულით თანახმა ბრძანდებოდა. ან ვთქვათ, მეტისმეტად მაღალფარდოვანის მაგიერ სრულიად მდაბალს მივმართეთ და ბატონ სედლის სამზარეულოს ამბავი აღვწერეთ: თუ ზანგი სემბო როგორ ეტრფოდა მზარეულ დედაკაცს (ეს მართლა ასეც გახლდათ) და მისი გულისთვის მეეტლეს როგორ ეჩხუბა. დანების მწმენდელ ბიჭს ცხვრის ცივი ბეჭის მოპარვაზე როგორ წაასწრეს და მის სედლის ახალმა femme de chambre-მა[15] უსანთლოდ დაძინება როგორ იუკადრისა. ასეთი ამბები ბევრს აცინებდა ხალხს, თანაც იტყოდნენ, „ცხოვრების“ სურათებია გამოხატულიო. ან, პირიქით, შემაძრწუნებელი თავგადასავლის მოყოლა რომ მოგვპრიანებოდა და ახალი femme de chambre-ის საყვარელი ხელობით ქურდად და ავაზაკად რომ წარმოგვედგინა, რომელიც თავისი ბრბოიანად შევარდება სახლში, ბატონის თვალწინ განგმირავს სემბოს, გაიტაცებს ღამის პერანგიან ემილიას და მესამე ტომამდე არ გაათავისუფლებს, მაშინ ადვილად მოვჩმახავდით ამაღელვებელ და ამათრთოლებელ თავგადასავალს, რომლის მძაფრ, ამაფორიაქებელ თავებს მკითხველი ფაცაფუცითა და ქოშინით წაიკითხავდა. წარმოიდგინეთ, ამ თავს ეს სათაური რომ ჰქონოდა: ღამის თავდასხმა

ბნელი და შფოთიანი ღამე იყო... ღრუბლები შავი იყო... შავი, მელანივით შავი. მძაფრი ქარი დაძველებული სახლების სახურავებიდან ბუხრის მილებს გლეჯდა და უკაცურ ქუჩებში კრამიტებს ბზრიალ-ტრიალით და ხათქახუთქით მიაფრიალებდა. ვერც ერთ სულიერს ვერ გაებედა ამ ქარაშოტთან შებმა... დარაჯებიც ჯიხურებში შეკრუნჩხულიყვნენ, ოღონდ იქაც არ ასვენებდა მათ სასტიკი ავდარი... მგრგვინავი მეხი ეცემოდა და ანადგურებდა მათ... ერთი სწორედ ასე დაიღუპა ფაუნდლინგის პირდაპირ. მოჭმუჭნილი სქელი მაუდის ხალათი, დამსხვრეული ფარანი, მეხით ორად გადატეხილი კეტი, აი ყველაფერი, რაც ზორბა უილ სტედფესტისაგან გადარჩა. საუთემპტონ-როუში ვიღაც მეეტლე კოფოდან მოგლიჯა და გააქროლა... და საით? ქარაშოტი ხომ თავის მსხვერპლთა ამბავს არ იტყვის, გარდა იმ გამოსასალმებელი კივილისა, რომელსაც გატაცებული აღმოუტევებს!

შემაძრწუნებელი ღამე იყო! წყვდიადი იდგა, კუპრივით წყვდიადი. მთვარე არ ჩანდა; არა, არა, არც მთვარე ჩანდა და არც კიდევ თუნდაც ერთი ვარსკვლავი... არც ერთი პატარა, მქრქალი, მბჟუტავი, ეული ვარსკვლავი, დაისს მხოლოდ ერთი კი გამოჩნდა, ერთი წუთით თრთოლვით გამოაჩინა პირი და კვლავ მიიმალა.

ერთი, ორი, სამი! ეს იყო შავი ნიღბის დათქმული ნიშანი.

- მოფი! შენა გდიხარ? - ამოიძახა სარდაფში ჩასასვლელი კიბიდან ვიღაცამ. - კინაღამ ხანჯალი გატაკე და ტყვიაც მოგაყოლე!

- ხმა ჩაიწყვიტე და იარაღი მოიმარჯვეთ, - უპასუხა შავმა ნიღაბმა და უშვერი გინებაც მიაყოლა. - აქეთ, ბიჭებო, თუ კრინტი დასძრა ვინმემ, ხელათ დანა და მისი ჯანი! ბლაუზერ, შენ ჭურჭლეულობის და ხარახურის ოთახს მიხედე, შენ მარკ, ბებერი ყრანტის ზანდუკსა სტაცე ხელი! მე კი... - დასძინა დაბალი, მაგრამ უფრო შემაძრწუნებელი ხმით, - მე ემილიას მოვუვლი!

- ოჰო! - წამოიძახა ნიღაბმა, - დამბაჩა გავარდა, აი!

ან ვთქვათ მაღალფარდოვანი, პრანჭია ვარდისწყლით ნასხურები სტილი ვირჩიეთ.

მარკიზმა ოსბორნმა ეს-ეს არის ლედი ემილიასთვის billet-doux[16] გაატანა თავის petit tigre-ს[17].

უტურფესმა ქმნილებამ თავის femme de chambre-ის, მადემუაზელ ანასტაზის ხელით მიიღო იგი.

ძვირფასი მარკიზი! რა წარმტაცი თავაზიანობაა! მისი ბრწყინვალება, მარკიზი, ამ ბარათით დ-ს სახლის ლხინში დიდი ხნის ნანატრ მიწვევას ატყობინებდა.

- ვინ არის ეს საოცარი ტურფა? - ბრძანებდა იმავე საღამოს პიკადილის ერთ სრა-სასახლეში semillant[18] თავადი ჯ...რჯ კ...მბრ...ჯი, რომელიც ის-ის იყო ომნიბუსით ჩამობრძანდა ოპერიდან. - ძვირფასო სედლი, ყველა კუპიდონის სახელით გევედრები, გამაცანი!

- მისი გვარი, Monseigneur[19], სედლი გახლავთ! - მძიმედ თავის დაკვრით მოახსენა ლორდმა ჯოზეფმა.

- Yous avez alors un bien beau nom[20], - ბრძანა ახალგაზრდა თავადიშვილმა: ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებული შემოტრიალდა ქუსლზე და ფეხი დაადგა მოხუც დარბაისელს, რომელიც მის უკან იდგა და დიდი აღფრთოვანებით უჭვრეტდა მშვენიერ ლედი ემილიას.

- Trente mille tonnerres![21] - შეჰკივლა მსხვერპლმა და agonie du moment-ით[22] დაიკლაკნა.

- ათასი ბოდიში, თქვენო ბრწყინვალებავ, - ბოდში მოიხადა ალეწილმა ახალგაზრდა etourdi-მ[23] და მდაბლად მოიდრიკა ქერაკულულებიანი თავი: მას თურმე იმ დროის უდიდესი სარდლისათვის ფეხის ცერზე დაუბიჯებია!

- ოჰ, დალახვროს ეშმაკმა! - მიაძახა ყმაწვილმა თავადიშვილმა მაღალ და გულკეთილი სახის აზნაურს, რომლის სახეც კევენდიშების სისხლს ამჟღავნებდა. - ერთი მიბრძანეთ, კიდევ ფიქრობთ თქვენი ალმასის ფარღულის გაყიდვას?

- უკვე მივყიდე კიდეც ორას ორმოცდაათი ათას გირვანქად თავად ესტერჰაზის, აქ რომ ბრძანდება.

- Und das war gar nicht theuer, potztausend![24] - შესძახა დიდებულმა უნგრელმა და სხვა და სხვა და სხვა.

ამით მაშ განიცადეთ, მანდილოსანნო, როგორ შეიძლებოდა

დაწერილიყო ეს ამბავი, მწერალს ერთი რომ მოჰპრიანებოდა; რადგან, მართალი მოგახსენოთ, სწორედ ისევე იცნობს ნიუგეიტს, როგორც ჩვენს პატივცემულ წარჩინებულთა სრასასახლეებს და გარედან ორთავე უნახავს. მაგრამ, ვინაიდან არც ქურდების ენა და ყოფაქცევა მესმის, არც ის მრავალენიანი ლაპარაკი, რომლითაც, ახლანდელ სახელგანთქმულ მწერლებს თუ დავუჯერებთ, ton-ის მესვეურნი ლაპარაკობენ, - ჩვენ, გეთაყვათ, წყნარად მივდიოთ ჩვენს შუათანა გზას იმ სანახაობათა და მოქმედ პირთა შორისთვისაც უკეთ ვიცნობთ. ერთი სიტყვით, ეს ვოქსჰოლის თავი მეტისმეტად მოკლე გამოვიდოდა, ზემოთ მოყვანილი პატარა მსჯელობა რომ არა, და იქნებ სულაც არ ყოფილიყო ღირსი მისთვის თავი დაგვერქმია. და მაინც თავია და ერთობ მნიშვნელოვანი თავიც. განა ცხოვრებაში ყველას არა ხვდება პატარა თავები, რომელნიც თითქოს უმნიშვნელონი ჩანან, მაგრამ მთელ შემდგომ თავგადასავალს კი ცვლიან?

მაშ ჩავსხდეთ რასელ-სკვერიდან მიმავალთა ეტლში და ბაღებისაკენ გავემართოთ. ჯოზი და მის რებეკა წინა სკამზე სხედან და ისე მიჰკვრიან ერთმანეთს, შუაში ადგილი აღარ დაუტოვებიათ; ბატონი ოსბორნი კი მათ პირდაპირ სადგისივით ჩარჭობილა კაპიტან დობინსა და ემილიას შორის.

ყველა, ვინც ეტლში იჯდა, დარწმუნებული იყო, იმ საღამოს ჯოზი რებეკა შარპს სთხოვდა, ქალბატონი სედლი გამხდარიყო. მშობლებიც შეურიგდნენ ამ ამბავს, თუმცა, ჩვენში დარჩეს და, მოხუცი ბატონი სედლი ვაჟისადმი, ცოტა არ იყოს, ზიზღის მსგავს რაღაცას კი გრძნობდა. ამბობდა: ქარაფშუტა, ხარბი, ზარმაცი, ქალაჩუნა და გასათუთებულიაო. ვერ ითმენდა მის დარდიმანდულ ბღინძვას და გულიანად ხარხარებდა მის მაღალფარდოვან, მკვეხარა ამბების გაგონებაზე. „ამ ჯელს ჩემი ქონების ნახევარი უნდა დავუტოვო და თავისი საკუთარიც ბევრი ექნება, - ეუბნებოდა იგი მეუღლეს, - მაგრამ დარწმუნებული ვარ, შენ, მე და მისი და ხვალვე რომ დავიხოცოთ, იტყვის, - „ღმერთო შეგვიწყალეო“, და წინანდებურად არხეინად მიაძღება სადილს. ამიტომ არც მე გავიცხელებ თავს მისთვის. ვინც უნდა, ის შეირთოს, რა მენაღვლება!“

ემილიას კი, როგორც გონიერ და გულფიცხ ყმაწვილ ქალს შეშვენის, ძალიანაც მოსწონდა ამ ქორწინების ამბავი. ერთი-

ორჯერ ჯოზი, ის-ის იყო ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცის თქმას აპირებდა მისთვის. ემილია დიდი სიამოვნებით მოემზადა ყურის დასაგდებად, მაგრამ ჩასუქებული დარბაისელი ვერ ბედავდა გულის გადაშლას და დიდი საიდუმლოს გამჟღავნებას - მხოლოდ ღრმა ოხვრას აღმოუტევებდა, პირს მიიბრუნებდა და დაიკოს იმედგაცრუებულს სტოვებდა.

ეს საიდუმლო ემილიას გამუდმებით უფორიაქებდა ნაზ გულს, თუ რებეკასთან ვერ მუსაიფობდა ამ სათუთ საგანზე, სამაგიეროდ დანაკლისს მეკუჭნავე ქალბატონ ბლენკინსოპთან ხანგრძლივი და გულითადი ჭუკჭუკით ინაზღაურებდა. ბლენკინსოპი სიტყვას გადაუკრავდა ქალბატონის პირისფარეშს; ამას ალბათ უნებურად წამოსცდებოდა მზარეულთან, რომელიც, უეჭველია, ყველა მედუქნეს ჩამოუკაკლავდა; ასე რომ ბატონი ჯოზის ქორწინების ამბავი იმჟამად საკმაოდ ბევრს ეკერა პირზე რასელ-სკვერის სამყაროში.

ქალბატონი სედლი, რასაკვირველია, ფიქრობდა, ჩემი ვაჟი მხატვრის ქალიშვილის შერთვით თავს დაიმდაბლებსო. „მაგრამ ღმერთო ნუ მიწყენ, ქალბატონო, - გაიძახოდა ქალბატონი ბლენკინსოპი, - ჩვენც ხომ მხოლოდ და მხოლოდ ბაყლები ვიყავით, ბატონ სედლის რომ მივთხოვდით. თვითონ ბატონი სედლი კი მარტო მაკლერის მწერალი ბრძანდებოდა და ორთავეს ხუთასი გირვანქაც არ გაგვიჩნდა; ახლა კი გვარიანი შეძლებულები გახლავართ!“ ემილია სულითა და გულით ეთანხმებოდა ამ აზრს და ნელ-ნელა გულკეთილი ქალბატონი სედლიც დაიყოლიეს.

ბატონი სედლი საქმეში არ ერეოდა: „ჯოზმა ვინც უნდა, ის შეირთოს, - იტყოდა იგი, - ჩემი საქმე არ არის. ეს გოგო ღარიბია, მაგრამ არც ქალბატონი სედლი ყოფილა მდიდარი. გულკეთილი და ჭკვიანი ჩანს და ალბათ მოთოკავს კიდეც ჯოზს. ისევ ესა სჯობია, გენაცვალე, ვიდრე ვინმე ზანგი რძალი და წითელი ხის ფერი ათიოდე შვილიშვილი“.

ასე რომ თითქოს ყველაფერი უღიმოდა რებეკას ბედს. სუფრაზე დასაჯდომად რომ მიდიოდნენ, ჯოზის მკლავს ისე ეყრნდობოდა. ვითომდა სწორედ ასეა რიგიო; ჯოზს საკუთარი თავახდილი ეტლის კოფოზეც უჯდა გვერდით (დიაღაც დიდებული დარდიმანდი ბრძანდებოდა ჯოზეფი,

აღუშფოთებლად და ზვიადად რომ წამოჭიმულიყო კოფოზე და მიერეკებოდა თავის ლურჯა ცხენებს) და თუმცა ქორწინებაზე კრინტს არავინა სძრავდა, მაინც ჩანდა, ყველამ იცოდა ეს ამბავი. რებეკას ნატვრა მხოლოდ ხელის თხოვნაღა იყო და ოჰ, ახლა როგორა გრძნობდა უდედობას!.. საყვარელი, ნაზი დედიკოს უყოლობას, რომელიც ათ წუთში გაჩარხავდა საქმეს და პირისპირ მოკლე, ფრთხილი მუსაიფით ახალგაზრდა კაცს მორცხვ ბაგეთ ნანატრ სიტყვებს დააცდენინებდა.

ასე გახლდათ საქმე, ეტლმა უესტმინსტერის ხიდი რომ გადაიარა.

მგზავრები თავის დროს ჩამოხდნენ სამეფო ბაღებთან. როცა დიდებული ჯოზი აჭრაჭუნებული ეტლიდან გადმოდიოდა, ბრბო ღრიანცელით მიესალმა სქელ დარბაისელს. ჯოზეფი წამოჭარხლდა. რებეკასთან ხელიხელგაყრილი რომ მიაბიჯებდა, იგი მართლაც ძალიან ზორბა და მძლავრი ჩანდა. ჯორჯმა, რაღა თქმა უნდა, ემილიას მიხედა, რომელიც ისე ბედნიერად გამოიყურებოდა, როგორც ვარდის ბუჩქი მზის სხვითა შუქში.

- რა გითხრა, იცი, დობინ, - ეუბნება ჯორჯი ამხანაგს, - მოდი, მიხედე ამ შალებსა და ნივთებს, თუ ძმა ხარ!

ჯორჯი მის სედლის ამოუდგა გვერდში, ჯოზი რებეკათურთ ძლივძლივობით შეეტია კარში, პატიოსანი დობინი კი მხოლოდ შალების მკლავზე გადადებით და ყველა თანამგზავრის მაგიერ შესასვლელი საფასურის გადახდით დაკმაყოფილდა.

დობინი დიდი მორიდებით მისდევდა მათ უკან - არ უნდოდა გართობა ჩაეშალა. რებეკასა და ჯოზისთვის ჩირსაც არ გაიმეტებდა, მაგრამ ემილია თვით ბრწყინვალე ჯორჯ ოსბორნის ჯუფთადაც კი მიაჩნდა და როცა ქალიშვილის სიხარულსა და აღტაცებას ხედავდა, იგი ერთგვარი მამობრივი სიამით ადევნებდა თვალყურს მის მიამიტ ნეტარებას. იქნებ გრძნობდა, რომ ერჩივნა, მკლავზე შალის მაგიერ სხვა რამ ჰქონოდა (ხალხი იცინოდა ქალების ავლადიდებით დატვირთულ ამ ახალგაზრდა აყლაყუდა ოფიცრის დანახვაზე); მაგრამ უილიამ დობინს საერთოდ ძალიან ნაკლებად აწუხებდა პირადი გამოჩენის ფიქრები და როცა მისი მეგობარი იხარებდა, აბა როგორ შეეძლო მას მოწყენით ყოფილიყო? თანაც სიმართლე უნდა ვაღიაროთ, ბაღების არც ერთ გასართობს

ყურადღებას არ აქცევდა. გასართობი კი მრავალი იყო: ასიათასობით საგანგებო ლამპები, რომლებიც მუდამ ენთო; სამკუთხაქუდიანი მემუსიკენი, რომელნიც შუაგულ ბაღში აგებულ, გაჭრილ ნახევარსფეროსავით წამოხურულ, ლამაზად მორთულ ბაქანზე გულში ჩამწვდომ ჰანგებს უკრავდნენ; ორთავე, საოხუნჯო და გულისამაჩუყებელი სიმღერების მომღერალნი, რომლებიც სმენას აჯადოებდნენ; ხალხმრავალი საზოგადო ცეკვები, რომლებშიც ზორბა კოკნი ქალები და კაცები მონაწილეობდნენ და ხტუნვა-ბუქნით, ფეხების ბარტყუნით და სიცილ-ხარხარით ასრულებდნენ: ნიშანი, რომელიც აუწყებდა madame საკი ეს-ეს არის ვარსკვლავებისაკენ აჭიმული წვრილი თოკით ზეცისაკენ გამგზავრებას აპირებსო; განდეგილი, რომელიც მარად გაბრწყინებულ სენაკში იჯდა; ჩაბნელებული ბილიკები, ასე ხელსაყრელი რომ იყო ახალგაზრდა მიჯნურთა პაემანისათვის; მაგარი პორტერით ავსილი თასები, რომლებიც გაცვეთილ ძველ ლივრეიან მსახურებს დაჰქონდათ; მოკიაფე ფანჩატურები, რომლებშიც ბედნიერი მონადიმენი ვითომდა მიირთმევდნენ თითქმის უჩინარ ლორის ნათლებს; - მაგრამ ყველა ამეებსა და პატიოსან სიმპსონს, იმ კეთილ, მოღიმარ ბრიყვს, რომელიც, გავბედავ და მოგახსენებთ, ჯერ კიდევ მაშინ განაგებდა იქაურობას, კაპიტანი დობინი ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას.

ის მხოლოდ ემილიას თეთრ ქიშმირის შალს დაატარებდა. მორთულ ბაქანთან შედგა, სადაც ქალბატონი სელმონი „ბოროდინოს ბრძოლას“ ასრულებდა (მძაფრ კანტანტას, მიმართულს იმ კორსიკელ მეტიჩარას წინააღმდეგ, რომელსაც, ის-ის იყო, რუსეთში მარცხი მოუვიდა). ხოლო იქიდან რომ გამოემართა, ბატონმა დობინმა ამ ჰანგის ხმის აყოლება სცადა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ იმ სიმღერას ღიღინებდა, რომელსაც ემილია სედლი მღეროდა, როცა იგი სადილისათვის კიბეზე მოცქრიალებდა. დობინს სიცილი აუტყდა, რადგან ნამდვილად იგი ჭოტზე უკეთაც ვერას მღეროდა.

რასაკვირველია, ადვილად მისახვედრია, რომ ჩვენმა დაწყვილებულმა ახალგაზრდობამ საზეიმო აღთქმა დადო, მთელ საღამოს ერთმანეთს ნუ დავცილდებითო, და ათი წუთის შემდეგ კი განცალკევდნენ. თანამგზავრები ვოქსჰოლში ყოველთვის განიბნევიან ხოლმე, ოღონდ ვახშმად კვლავ შეიყრებიან, რათა ცალკე ყოფნაში გადახდილი

თავგადასავლები ერთმანეთს უამბონ.

რა გადახდათ თავს ბატონ ოსბორნსა და მის ემილიას, საიდუმლო გახლავთ. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სრულიად ბედნიერნი იყვნენ და უკადრისიც არაფერი ჩაუდენიათ. და ვინაიდან ამ თხუთმეტ წელიწადს ერთად ყოფნას შესჩვეოდნენ, მათი tete-a-tete განსაკუთრებით უცხო რამ არ იქნებოდა.

მაგრამ როცა მის რებეკა შარპი და მისი ჩასუქებული თანამგზავრი მიყრუებულ ხეივანში ჩაიკარგნენ, სადაც ასიოდე წყვილი იმათსავით დაბორიალებდა, ორთავემ იგრძნო, მდგომარეობა, ერთობ სათუთი და კრიტიკულიაო. ან ახლა დადგა დრო, ანდა არასოდეს აღარ მოხდება, რომ ბატონ სედლის მორცხვ ბაგეებზე მოცახცახე აღთქმა დავაცდენინოო, გაიფიქრა მის შარპმა. მანამდე მოსკოვის პანორამა მოინახულეს. იქ ვიღაც ტლანქმა ვიგინდარამ მის შარპს ფეხი დაადგა. რებეკამ ოდნავ შეჰკივლა და ბატონ სედლის მკლავებზე გადაესვენა. ამ პატარა შემთხვევამ იმ ზომამდე განადიდა ჩვენი დარბაისლის ალერსიანობა და გაბედულება, რომ ბევრი თავისი საყვარელი ინდური ამბავი კიდევ და კიდევ, სულ უკანასკნელი, ერთი ექვსჯერ მაინც უამბო.

- ოჰ, როგორ მინდა ინდოეთის ნახვა! - ინატრა რებეკამ.

- მართლა? - უბადლო სინაზით ჩამოართვა სიტყვა ჯოზეფმა და, უეჭველია, ამ ნიშანდობლივ კითხვას კიდევ უფრო ნაზ და ალერსიან რაიმეს მოაყოლებდა (რადგან ერთობ იბერებოდა, ხვნეშოდა, ქშინავდა და რებეკას ხელი, რომელიც მის გულთან ახლოს იყო მისვენებული, ამ ორგანოს ციებ-ცხელებიან დაგადუგს გრძნობდა), როცა, - ოჰ, თითქოს გამოჯავრება უნდაო, - ზარი დაირეკა შუშხუნების სანახაობისათვის ატყდა დიდი ორომტრიალი, სირბილი და ეს უცნაური მოტრფიალენი იძულებულნი შეიქნენ ხალხის ნაკადს აჰყოლოდნენ.

კაპიტანმა დობინმა კინაღამ განიზრახა, ვახშამზე საზოგადოებას მეც შევუერთდებიო, რადგან, მართლაც, ვოქსჰოლის გასართობები ვერაფრად მოეწონა. მაგრამ ორჯერ აუარ-ჩაუარა იმ ფანჩატურს, სადაც წყვილები ერთად შეყრილიყვნენ და არავინ მიაქცია ყურადღება სუფრა ოთხისათვის იყო გაშლილი. მიჯნურთა წყვილები მხიარულად ყბედობდნენ და დობინმა იგრძნო, რომ ისევე პირწმინდად

გადავიწყებოდათ იგი, თითქოს ამქვეყნად არც არასოდეს გაჩენილიყო.

„მე მხოლოდ de trop[25] თუ ვიქნები, - ჩაილაპარაკა კაპიტანმა და, ცოტა არ იყოს, შურით გადახედა მათ. - სჯობია, განდეგილთან წავიდე და იმას ვებაასო“. - ლასლასით მოშორდა ხალხის ზუზუნსა და ხმაურს, სუფრის ჩხარაჩხურსა და ლაყბობას და დაადგა ჩაბნელებული ხეივნის ბილიკს, რომლის ბოლოშიც ის სახელგანთქმული მუყაოს მეუდაბნოე იმყოფებოდა. ჭეშმარიტად, ვერაფერი თავშესაქცევი იყო დობინისთვის მარტოდმარტო ვოქსჰოლს ყოფნა. ჩემი საკუთარი გამოცდილებით აღმოვაჩინე, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო საძაგელი დროსტარებაა უცოლო კაცისთვის.

ორი წყვილი კი სრულიად ბედნიერი ბრძანდებოდა ფანჩატურში, სადაც ფრიად საამო და გულითადი მუსაიფი გაიმართა. ჯოზი დიდების მწვერვალს იყო ასული და ერთის ყოფით აქეთ-იქით მბრძანებლობდა მსახურთ. გააკეთა სალათა, შამპანურის ბოთლებსაც ხსნიდა, წიწილებსაც ჰქნიდა, თან შეჭამა და შესვა კიდეც სუფრაზე მოტანილი სანოვაგის უმეტესი ნაწილი. ბოლოს ჩაიჟინა ერთი არყის პუნშიც მოიტანეთ, ვოქსჰოლში ყველა არყის პუნშსა სვამსო.

- ბიჭო, არყის პუნში! - გასძახა მან.

და ის არყიანი თასი გახდა მიზეზი მთელი ამ დიდი ამბისა. ან ვითომ რატომ არ შეიძლება არყის პუნშით სავსე თასი ისევე გამხდარიყო ამ ამბის მიზეზი, როგორც ყველა სხვა რაიმე? განა ციანწყალბადმჟავათი ავსებული თათი არ იყო ამ წუთისოფლიდან ტურფა როზამუნდის წაბრძანების მიზეზი? განა ღვინით სავსე თასი არ იყო მიზეზი ალექსანდრე დიდის გარდაცვალებისა, ანდა ყოველ შემთხვევაში განა დოქტორი ლამპრიერი ასე არა ბრძანებს? - სწორედ ასეთივე დიდი გავლენა იქონია ამ არყის პუნშშიანმა თასმა იმ „უგმირო რომანის“ ყველა მთავარი მოქმედი პირის ბედისწერაზე, რომელსაც ახლა მოგითხრობთ. დიახ, გავლენა იქონია მათ ცხოვრებაზე, თუმცა მათ უმრავლესობას პირიც არ დაუკარებია მისთვის.

მანდილოსნები არ მიირთმევდნენ არაყს, ოსბორნსაც არ უყვარდა: ამიტომ სქელმა მსუნაგმა მთელი თასი მარტომ გამოყლურწა. ხოლო მთელი თასის გამოყლურწვის შედეგი

გახლდათ ის მხიარულება, რომელიც თავდაპირველად გასაკვირი იყო, მერე კი თითქმის აუტანელი შეიქნა; რადგან იგი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა და ხარხარებდა, რომ ფანჩატურს ბევრი მაყურებელი დაეხვია და ფრიად შეაწუხა შიგ მჯდომი უდანაშაულო საზოგადოება. ჯოზეფმა თავი გამოიდო, უნდა ვიმღეროო (და კიდეც იმღერა იმ მტირალა, გამწივანი ხმით, რომელიც გადაკრულში მყოფ დარბაისელთ სჩვევიათ) და თითქმის სულ გადმოიბირა მუსიკოსების ბაქნის გარშემო შემოკრებილი მსმენელები და მათი დიდი ტაშისცემა და მოწონება დაიმსახურა.

- ყოჩაღ, გაბერილო! - დასძახოდა ერთი.

- დასცხე, დენიელ ლემბერტო! - უჭყიოდა მეორე.

- რა მოყვანილია საჯამბაზო თოკისთვის! - ყვიროდა მესამე გარეწარი.

მანდილოსნები უზომოდ შეწუხდნენ, ხოლო ბატონი ოსბორნი ერთობ გაწყრა.

- ღმერთს გაფიცებ, ჯოზ, ავდგეთ და წავიდეთ! - შესძახა ამ ვაჟბატონმა და ყმაწვილი ქალებიც წამოიშალნენ.

- მოითმინეთ, ჩემო უძ-ძ-ძვირფასესო ტ-ტ-ტურფავ! - დაიღრიალა ახლა ლომივით გაგულოვნებულმა ჯოზმა, წელზე ხელი შემოჰხვია მის რებეკას და ჩაბღუჯა იგი.

გარეთ ხარხარი გაორკეცდა. ჯოზი განაგრძობდა ყლურწვას, არშიყობას და სიმღერას. თვალებს აპაჭუნებდა, მოხდენილად და თავაზით უშვერდა სასმისს მაყურებელთ და ყველას ერთად ან ზოგიერთს იწვევდა: მობრძანდით, არაყზე დამეწვიენითო.

ბატონი ოსბორნი, ის-ის იყო, ემზადებოდა, რომ ეთხლიშა და გადაეყირავებინა ერთი გრძელყელა ჩექმებიანი ვაჟბატონი, რომელიც ამ მიპატიჟებით სარგებლობას აპირებდა და ცემა-ტყეპა თითქოს აუცილებლად უნდა ამტყდარიყო, როცა, დიდად საბედნიეროდ და სასიკეთოდ, დარბაისელმა, სახელად დობინმა, რომელიც მანამდე ბაღში აქეთ-იქით დასეირნობდა, ფანჩატურში ამოყო თავი.

- დაიკარგენით აქედან, თქვე ბრიყვებო! - დასძახა მან და თან მხრებით გაიკაფა გზა ბრბოში, რომელიც მყის გაიფანტა მისი

სამკუთხა ქუდისა და გამძვინვარებული სახის დანახვაზე.

- ღმერთო შეგვეწიე! დობინ, სად დაიკარგე? - მიმართა ოსბორნმა. ჩამოართვა თეთრი ქიშმირის შალი და ემილია გამოფუთნა შიგ. - ერთი გაისარჯე და ამ ჯოზს მოუარე, სანამ ქალებს ეტლამდე მივიყვანდე.

ჯოზი წამოდგომას და ხელის შეშლას აპირებდა, მაგრამ ოსბორნის ცალი თითის დადებამ ხვნეშითა და ქშენით კვლავ უკან, სკამზე დაანარცხა იგი და ლეიტენანტმა მოახერხა მშვიდობით განერიდებინა მანდილოსნები. ისინი რომ მიდიოდნენ, ჯოზი ხელებს იკოცნიდა და სლოკინით მისძახოდა: „უფალმა გაკურთხოთ, უფალმა გაკურთხოთ“. მერე კაპიტანი დობინის ხელი ჩაბღუჯა და ერთობ შესაბრალისი ტირილით გაანდო ამ დარბაისელს თავისი დაკოდილი გულის საიდუმლო: სწორედ ახლა რომ წავიდა, იმ ქალიშვილს ვეთაყვანებიო; ვიცი ჩემი ქცევით სასოწარკვეთილი გავისტუმრეო; ოღონდ ხვალ დილითვე კი ჯვარს დავიწერ მასზე წმიდა გიორგის ეკლესიაში, ჰანოვერის მოედანზეო. თვით ლემბეთის სასახლეში მივალ და კენტერბერის არქიეპისკოპოსს გავაღვიძებ, ღმერთსა ვფიცავ, გავაღვიძებ და მზად მეყოლებაო. ჯოზის ამ განზრახვით ისარგებლა კაპიტანმა დობინმა. მზაკვრულად დაარწმუნა, წავიდეთ ბაღიდან და ლემბეთის სასახლეს მივაშუროთო. ხოლო ერთხელვე ჭიშკარს რომ გამოაცილა, ადვილად ჩასვა დაქირავებულ ეტლში და მშვიდობით მიაბრძანა თავის სამყოფელს.

ჯორჯ ოსბორნმაც მშვიდობით მიაცილა ქალიშვილები; ოღონდ, როცა მანდილოსნები შინ შევიდნენ და თვითონ კი რასელის მოედანზე გზას გაუდგა, ისეთი სიცილ-ხარხარი წასკდა, რომ ღამის დარაჯი განაცვიფრა. ემილია ერთობ სევდიანად უცქეროდა მეგობარს, კიბეზე რომ ადიოდნენ; აკოცა და ხმა არ გაუცია, ისე წავიდა დასაძინებლად.

„ხვალ უნდა მითხრას ჯოზმა, ცოლად წამომყეო, - ფიქრობდა რებეკა. - ოთხჯერ მითხრა, ჩემი სულის კლიტე ხარო. ემილიას დასანახადაც მიჭერდა ხელს. ხვალ მეტყვის!“ ემილიაც ამას ფიქრობდა და გავბედავ და მოგახსენებთ, რომ აგრეთვე იმასაც ფიქრობდა, როგორი კაბა ეცმეოდა თვითონ, ვითარცა მდადს; რა თავს გადასაგდებ საჩუქრებს მიართმევდა თავის ტურფა, პატარა სარძლოს; ფიქრობდა აგრეთვე შემდგომ ზეიმზე, რომლის მთავარი მოქმედი პირი თვით უნდა ყოფილიყო და

სხვა და სხვა და სხვა.

ოჰ, უგუნურო ახალგაზრდანო! რა ცუდად იცით არყის პუნშის ძალა! რა იცით, რა ძალა აქვს ღამით გადაკრულ არაყს და რა გავლენას ამჟღავნებდა იგი დილით თავის ტეხაზე? ჩემი ვაჟკაცური სიტყვით ვამტკიცებ იმ ჭეშმარიტებას, რომ ვოქსჰოლის არყისაგან ატეხილი თავის ტკივილის ბადალი ქვეყნიერების ზურგზე არსად მოიპოვება. ოცი წელი გავიდა და ახლაც მახსოვს, ორი ჭიქა რომ დავლიე, იმის შედეგი! - მხოლოდ ორი საღვინე ჭიქა! მხოლოდ ორი, სინდისს გეფიცებით; ხოლო ჯოზეფ სედლიმ, რომელსაც ღვიძლი სტკიოდა, ეს საზიზღარი სითხე, სულ უკანასკნელი ერთი ჩარექი მაინც შთანთქა.

სწორედ იმ დილას, რებეკას რომ ეგონა, დღეს ჩემი ბედნიერების განთიადი დადგებაო, ტკივილებისაგან ჯოზეფ სედლის ისეთი სულთქმა-უში ჰქონდა შემდგარი, რომ კალამი არ მემორჩილება აღვწერო. სოდიანი წყალი ჯერ არ იყო გამოგონილი, განა დაიჯერებთ? - თხელი ლუდით, მხოლოდ თხელი ლუდით იამებდა გახურებულ გულ-მუცელს წინაღამეს ნაბახუსევი ბედშავი დარბაისელი. ეს უწყინარი სასმელი ედგა წინ და თავის ბინაში ტახტზე წამოწოლილი კვნესოდა ბოგლიუოლაჰის გადასახადთა ყოფილი ამკრები, როცა ჯორჯ ოსბორნი შევიდა. დობინი უკვე იქ დახვდა. გულკეთილად უვლიდა თავის წინაღამინდელ ავადმყოფს. ოფიცრებმა გადახედეს ბახუსის გადაშხლართულ, არაქათგამოლეულ თაყვანისმცემელს, მერე ალმაცერად - ერთმანეთს, და ვითომდა თანაგრძნობის ნიშნადაო, მაგრამ ერთობ საძაგლად კი დაკრიჭეს კბილები. თვით სედლის ფარეშიც, დარბაისელთა შორის ყველაზე დინჯი და თავაზიანი, რომელსაც სამგლოვიარო საქმეთა მეურვის მუნჯობა და სერიოზულობა ახასიათებდა, ძლივძლივობით იმორჩილებდა სახის ნაკვთებს, როცა თავის ბედკრულ ბატონს გადაავლებდა თვალს.

- ბატონი სედლი გუშინღამ ნამეტანი შლეგიანობდა, ბატონო, - საიდუმლოდ ჩასჩურჩულა მსახურმა ოსბორნს, როცა ამ უკანასკნელმა კიბეზე ფეხი შედგა. - მეეტლესთან ჩხუბი უნდოდა, ბატონო, კაპტინგმა ვეღარა მოახერხა რა და ღლაპივით ხელში ატატებული აიყვანა ზემოთ. - ამის თქმაზე ერთი წამით ბატონ ბრაშს პირზე ღიმმა გადაუქროლა; მაგრამ მსწრაფლ კი დაიბრუნა ჩვეული უსაზღვრო სერიოზულობა, როცა სასტუმრო ოთახის კარი ყურთამდე მოაღო და მოახსენა,

„ბატონი ჰოსბინი“ მობრძანდაო.

- რასა იქმ, სედლი? - დაიწყო ამ ახალგაზრდა ქილიკმა თავისი მსხვერპლის გასინჯვის შემდგომ. - ძვლები ხომ არ დაგმსხვრევია? აგე, ქვემოთ თვალჩაშავებული და თავშეხვეული მეეტლე დგას და ფიცულობს, უნდა ვიჩივლოო.

- რას ამბობ.... რა უნდა იჩივლოს? - იკითხა არაქათგამოცლილმა სედლიმ.

- რა და, გუშინ რომ მიბეგვე... ხომ, დობინ? ისეთი სთხლიშე, ვაჟბატონო, მოლინე ეგონებოდა კაცს. დარაჯმა თქვა, ერთი გარტყმით ასე მოწყვეტით ძირს გაგორებული კაცი ჯერ არ მინახავსო. აი, დობინსა ჰკითხე.

- დიახ, მართლაც რომ ეჩხუბეთ მეეტლეს და ლაზათიანი ცემა-ტყეპაც გქონდათ. - კვერი დაუკრა კაპიტანმა დობინმა.

- მერე კიდევ ის თეთრპალტოიანი ჯელი ვოქსჰოლში! როგორ ეცა ჯოზი! ქალები როგორა წიოდნენ! ღმერთს გეფიცები, ბატონო ჩემო, სიამით გული გადამეხსნა, რომ გიყურებდი. მეგონა მოქალაქეებს გაბედულება აკლიათ-მეთქი, ახლა კი მე არასოდეს გზაზე აღარ გადაგიდგები, როცა გადაკრულში ბრძანდები, ჯოზ!

- მართლა ნამეტანი შემაძრწუნებელი უნდა ვიყო, როცა გამაჯავრებენ! - წამოიკნავლა ტახტზე მიწოლილმა ჯოზმა და ისე საცოდავად და სასაცილოდ დაიღმიჭა, რომ კაპიტანს თავაზიანობამ ვეღარ უშველა და იმას და ოსბორნს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდათ.

ოსბორნი ულმობლად სარგებლობდა თავისი უპირატესობით. ჯოზს ქალაჩუნად თვლიდა. აწონ-დაწონა ჯოზის და რებეკას მოსალოდნელი ქორწინების ამბავი და ვერაფრად მოსწონდა, რომ წევრი იმ ოჯახისა, რომლის სიძეც იგი, ჯორჯ ოსბორნი, ...ე ლეგიონის ოფიცერი უნდა გამხდარიყო, პატარა ვიგინდარა, პატარა მეტიჩარა აღმზრდელ ქალთან mesalliance[26]-ს აპირებდა.

- შენ გაარტყი განა, შე საცოდავო? - უთხრა ოსბორნმა. - შენ შეაძრწუნებ ვინმეს? შენ, ვაჟბატონო, ფეხზედაც ვერა დგებოდი... შენს ცქერაზე ყველა ხარხარებდა ბაღში; თვითონ შენ კი იმდუღრებოდი, დიაცივით ქვითქვითებდი; განა არ

გახსოვს, რომ მღეროდი?

- რაო? - გაიკვირვა ჯოზმა.

- რა და გულის ამაჩუყებელ სიმღერას რომ ბღაოდი და როზას თუ რებეკას, რა ჰქვიან, აი, ემილიას პატარა მეგობარს, რომ ეძახდი, ჩემო უძ-ძ-ვირფასესო ტ-ტ-ტურფაო? - და ამ უწყალო ახალგაზრდამ, ხელი-ხელში ჩაავლო დობინს და თუმცა იგი გულკეთილად ეხვეწებოდა, შეიბრალეო, მაინც კვლავ წარმოადგინა ის სცენა და ჯავრით კინაღამ გულს შემოჰყარა მის ნამდვილ შემსრულებელს.

- რად უნდა შევიბრალო? - უპასუხებდა ოსბორნი გზაში მეგობარს საყვედურებზე, როცა ავადმყოფი დოქტორ გოლოპის ხელში დატოვეს და წამოვიდნენ. - ვინ ეშმაკმა მისცა უფლება თავის ბღინძვითა და ყოყოჩობით რომ გაგვამასხარავა ვოქსჰოლში? ვინა გდია ეს მოწაფე-გომბიო, თვალს რომ უპაჭუნებს და ეარშიყება? ჯანდაბას, ეს ოჯახი უიმისოდაც საკმაოდ მდაბალია. აღმზრდელი ქალი თავისთავად ძალიან კარგია, ოღონდ ჩემს სარძლოდ უფრო წარჩინებული მანდილოსანი მირჩევნია. ლიბერალი გახლავარ, მაგრამ ზომიერი სიამაყე კი მაქვს და ვიცი ჩემი საკუთარი ადგილი; დაე, იმანაც იცოდეს თავისი. ჰოდა, უნდა მოვაჭკვიანო ეს ტრაბახა, ბაქია ნაბობი და ხელი უნდა შევუშალო, ახლა რომ არის, იმაზე უფრო მეტად მაინც აღარ გატუტუცდეს. ამიტომ მოვახსენე, რომ გაფრთხილდეს და ამ ქალმა ხელთ არ მოიგდოს.

- შენ უკეთ იცი, - ცოტა არ იყოს, დაეჭვებით უთხრა დობინმა. - შენ ყოველთვის ტორი იყავი და თქვენი ოჯახიც ინგლისის ერთ-ერთი უძველესი ოჯახია; მაგრამ...

- მოდი შევიაროთ გოგოებთან და თვითონ გაეარშიყე მის შარპს, - შეაწყვეტინა ლეიტენანტმა მეგობარს.

მაგრამ კაპიტანმა დობანმა უარი თქვა წაჰყოლოდა ოსბორნს, რომელიც ახალგაზრდა მანდილოსანთა სანახავად ყოველდღე დადიოდა რასელ-სკვერს. ჰოლბორნიდან საუთემპტონ-როუში რომ ჩამოიარა და სედლის სასახლეს შეხედა, ჯორჯს გაეცინა ორ სხვადასხვა სართულში ორი თავი მოჩანდა სადარაჯოზე.

მართლაც სასტუმრო ოთახის აივნიდან ემილია გაფაციცებით იჭყიტებოდა მოედნის მოპირდაპირე მხარეს, სადაც ბატონი

ოსბორნი ბინადრობდა, და თვით ლეიტენანტს ელოდა; მესამე სართულის თავის პატარა საწოლი ოთახიდან კი მის შარპი იყურებოდა, ბატონ ჯოზეფის ვეება გვამი როდის გამოჩნდებაო.

- დაიკო ანა საგუშაგო კოშკს არ სცილდება, მაგრამ არავინ მოდის. - ჩაულაპარაკა ემილიას ჯორჯმა. თვითონვე ძალიან მოეწონა და იცინა ამ ხუმრობაზე. მერე ერთობ სასაცილოდ აუწერა მის სედლის ძმის ბედშავი ყოფა.

- ეგ ნამეტანი გულქვაობაა, რომ დასცინი, ჯორჯ, - უთხრა უილიამ და ეტყობოდა, ძალიან უბედურად გრძნობდა თავს.

მაგრამ ჯორჯს კიდევ უფრო ეცინებოდა მისი შესაბრალისი და განაწყენებული სახის ცქერაზე. მაინც არ იშლიდა თავისას, უბადლოდ ვიხუმრეო, და როცა მის შარპი ჩამოვიდა ძირს. მხიარულად დაიწყო მასხარაობა, რებეკას როგორ მოეჯადოებინა ეს ჩასუქებული მოქალაქე.

- ოჰ, მის შარპ! - უთხრა მან, - ნეტავ გენახათ მაინც ამ დილით, ყვავილებით მოხატულ ხალათში გამოწყობილი როგორ კრუსუნებდა და იკლაკნებოდა ტახტზე. ნეტავ გენახათ მაინც, მკურნალ გოლოპს როგორ უყოფდა ენას.

- ვინ მენახა? - ჰკითხა მის შარპმა.

- ვინა? ოჰ, ვინა? რასაკვირველია, კაპიტანი დობინი, რომელსაც სხვათა შორის, ყველანი ასე ყურადღებით მოვექეცით წუხელ!

- ძალიან ბოროტად მოვეპყარით, - აღიარა ემილიამ და უზომოდ გაწითლდა. - მე... მე სულ გადამავიწყდა.

- რასაკვირველია, გადაგავიწყდა, - კვლავ სიცილით შესძახა ოსბორნმა. - ადამიანს, მოგეხსენებათ, ყოველთვის არ შეუძლია დობინი მოაგონდეს, ემილია. განა შეუძლია, მის შარპ?

- გარდა იმ შემთხვევისა, როცა სადილზე ღვინიანი ჭიქა წააქცია!.. კაპიტან დობინის არსებობა ერთი წუთითაც არ მომგონებია! - გაცხარებით და თავის ქნევით მიახალა მის შარპმა.

- კეთილი, მის შარპ, მეც ეგრე ვეტყვი იმას, - უთხრა ოსბორნმა.

და როცა იგი ლაპარაკობდა, მის შარპს უნდობლობისა და სიძულვილის გრძნობა გაუჩნდა ახალგაზრდა ოფიცრისადმი:

მას კი ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ასეთი რამ შთააგონა. „ამას ჩემი მასხარად აგდება უნდა, ხომ? - ფიქრობდა რებეკა. - ნეტავ ჯოზეფთანაც დამცინოდა? ვითომ დააფრთხო? ალბათ აღარც მოვა!..“ - თვალთ დაუბნელდა და გულმა დაგადუგი დაუწყო.

- თქვენ ყოველთვის ხუმრობთ, - რამდენადაც შეეძლო უმანკო ღიმილით უთხრა მან. - იხუმრეთ, ბატონო ჯორჯ, მე არავინა მყავს დამცველი.

როცა რებეკა გარეთ გადიოდა, ემილიამ საყვედურით გადახედა ჯორჯ ოსბორნს, რომელმაც ცოტაოდენი მამაკაცური სინდისის ქენჯნა იგრძნო, ზედმეტად რომ შეურაცხყო უმწეო არსება.

- გენაცვალე, ემილია, შენ ნამეტანი კარგი, ნამეტანი კეთილი ხარ. ამ წუთისოფელს არ იცნობ, მე კი ვიცნობ შენმა პატარა მეგობარმა, მის შარპმა, თავისი ადგილი უნდა იცოდეს!

- ნუთუ გგონია, რომ ჯოზი...

- გეფიცები, გენაცვალე, არ ვიცი, შეიძლება ჰო, შეიძლება არა. მე ჯოზის ბატონი არა ვარ. მხოლოდ ის ვიცი, ერთობ ბრიყვი და ქარაფშუტა რომ ბრძანდება და წუხელ ჩემი საყვარელი პატარა გოგონა ძალიან მძიმე და უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩააგდო. ჩემო უძ-ძ-ვირფასესო ტ-ტ-ტურფავ! - კვლავ სიცილი აუტყდა და ისე ცუღლუტურად ხითხითებდა, რომ ემიმაც ვეღარ შეიმაგრა თავი და გაიცინა.

მთელ იმ დღეს არ გამოჩენილა ჯოზი. მაგრამ ემილია სულაც არ შეშინებულა ამით, პატარა ოინბაზმა ნამდვილად გაგზავნა პაჟი, ბატონი სემბოს თანაშემწე, ბატონი ჯოზის სამყოფელში: სთხოვე, წიგნს რომ შემპირდა, გამოგატანოს და თვითონ როგორ ბრძანდება ისიც გაიგეო. პასუხი ჯოზის კაცმა, ბატონმა ბრაშმა, მოართვა: ჩემი ბატონი ავად გახლავთ, წევს და სწორედ ახლა თავს ექიმი ადგიაო. ალბათ ხვალ მოვა, გაიფიქრა ემილიამ, მაგრამ იმდენი გამბედაობა ვერ მოიკრიბა, რომ რებეკასთან კრინტი დაეძრა ამ საქმეზე. არც თვით იმ ყმაწვილ ქალს უნიშნებია რაიმე ვოქსჰოლს ყოფნის მერე მთელ მეორე საღამოს.

შემდგომ დღეს, როცა ორივე მანდილოსანი ტახტზე იჯდა და ხან ვითომ ხელსაქმობდნენ, ხან წერილებს წერდნენ, ხან ვითომდა რომანებს კითხულობდნენ, ჩვეული თავაზიანი ღრეჭით სემბო შემოვიდა. იღლიაში ამანათი ამოეჩარა, სინით კი

ბარათი მოჰქონდა.

- ბატონ ჯოზის ბარათი გახლავთ, მის, - მოახსენა მათ სემბომ.

როგორ თრთოდა ემილია, ბარათს რომ ხსნიდა!

აი, რა ეწერა შიგ: „ძვირფასო ემილია, გიგზავნი „ტყის ობოლს“, გუშინ ძალიან ავად ვიყავი და იმიტომ ვერ მოვედი დღეს მივდივარ ჩელტნემს. გევედრები, ბოდიში მოიხადე ჩემს მაგიერ, თუკი შესაძლოა, სანუკვარ მის შარპთან ვოქსჰოლს ჩემი ყოფა-ქცევისათვის. შეეხვეწე მომიტევოს და დაივიწყოს ყოველი სიტყვა, რომელიც შესაძლოა იმ საბედისწერო ვახშმის დროს აღგზნებულს წამომცდა. როგორც კი მოვკეთდები, რადგან ჩემი ჯანმრთელობა ნამეტანი შერყეულია, შოტლანდიას გავემგზავრები რამდენიმე თვით.

ჭეშმარიტად თქვენი ჯოზ სედლი“.

ეს კი სასიკვდილო განაჩენი იყო. ყველაფერი გათავდა. ემილიამ ვეღარ გაბედა თვალი გაესწორებინა რებეკას გაფითრებული სახისა და ნაკვერჩხალივით მოელვარე თვალებისათვის, მხოლოდ ბარათი ჩაუგდო მეგობარს კალთაში; წამოდგა, ზემოთ თავის ოთახში ავიდა და ტირილით იჯერა პატარა გული.

მეკუჭნავე ბლენკინსოპი მაშინვე ეახლა ნუგეშისსაცემად. ემილია მხარზე დაეყრდნო მას, მოურიდებლად ღვარა ცრემლი და არამცირედი შვებაცა ჰპოვა.

- გულს ნუ ამოიგდებინებ, მის! არ მინდოდა მეთქვა თქვენთვის აქამდე: პირველად თორე, ისე ამ სახლში ის არავისაც არ ეპიტნავებოდა. მე ჩემი საკუთარი თვალით ვნახე, დედათქვენის წერილს რომ კითხულობდა. პინერი კიდევ ამბობს, ყოველთვის თავს დასტრიალებდა თქვენს ზარდახშასა და უჯრებს და სუყველას უჯრებს და დარწმუნებულია, თქვენი თეთრი ბაბთიც იმან ჩაიჩურთა თავის კოლოფში.

- ის მე მივეცი, მე მივეცი! - შესძახა ემილიამ.

მაგრამ ამას მაინც არ შეურყევია ქალბატონ ბლენკინსოპის აზრი მის შარპის შესახებ.

- აღმზრდელი ქალებისა მე არაფერი მწამს, პინერ, - ჩაულაპარაკა მან მოახლეს. - იბღინძებიან და მატრაკვეცობენ,

თითქო ქალბატონები ბრძანდებიან, ჯამაგირს კი შენზე და ჩემზე მეტს ვერ იღებენ.

ახლა, საბრალო ემილიას გარდა, სახლში ყველა სულიერისთვის აშკარა იყო, რებეკა გაემგზავრებოდა და დიდსა და პატარას (კვლავ ერთის გამოკლებით) სჯეროდა, რომ ეს, რაც კი შესაძლოა, მალე მოხდებოდა. ჩვენმა გულკეთილმა გოგონამ ყველა თავისი უჯრა, კარადა, აბგა და სამკაულების კოლოფი გადაქექა; ყველა კაბა, კისერზე მოსახვევი სამკუთხა ხილაბანდი, ყაითნის წვერი, კოჭი, მაქმანი, აბრეშუმის წინდები და ზიზილ-პიპილები გადაათვალიერა, აქა-იქ ამოარჩია და რებეკას ცოტაოდენი რამ შეუგროვა. მამასთანაც მივიდა, ამ გულუხვ ბრიტანელ სოვდაგართან, რომელიც შეპირებული იყო, რამდენი წლისაცა ხარ, იმდენ გინვას გაჩუქებო, და სთხოვა, ეგ ფული ძვირფას რებეკას მიეცი, იმას სჭირდება, მე კი არაფერი მაკლიაო.

თვით ჯორჯ ოსბორნსაც გადაახდევინა ხარკი: იგი დაუზარებლად გაემართა ბონდ-სტრიტს (რადგან ხელგაშლილობით ეს ყმაწვილი არავის დაუვარდებოდა მთელს არმიაში) და უყიდა რებეკას ყველაზე საუკეთესო ქუდი და სპენსერი, ისეთი, როგორის შოვნაც კი ფულით შეეძლო კაცს.

- ეს, გენაცვალე, რებეკა, ჯორჯის საჩუქარია შენთვის, - უთხრა ემილიამ, რომელსაც ამ ნივთებიანი მუყაოს კოლოფით მეტისმეტად მოსწონდა თავი. - რა გემოვნება აქვს! იმასთან ვერავინ მოვა!

- ვერავინ, - დაუდასტურა რებეკამ. - რა მადლობელი ვარ მისი! - გულში კი ფიქრობდა: „სწორედ ჯორჯ ოსბორნი ბრძანდებოდა, გათხოვების საქმე რომ ჩამიფუშაო...“ და ჯორჯ ოსბორნი შესაბამისადაც უყვარდა.

გამგზავრებისთვის ფრიად აუღელვებლად და გულდამშვიდებით მოემზადა. გულკეთილ პატარა ემილიას საჩუქრები, სწორედ სათანადო ყოყმანის, უარისა და გაპრანჭვის შემდეგ ყველა მიიღო. ქალბატონ სედლის, რასაკვირველია, შეჰფიცა, მარადის თქვენი მადლობელი ვიქნებიო; მაგრამ ძალიანაც არ გადაჰკიდებია ამ კეთილ მანდილოსანს, რომელიც დაბნეული და შეშფოთებული იყო და აშკარად ეტყობოდა. თავს არიდებდა, როცა ბატონმა სედლიმ ქისა უბოძა, რებეკა ხელზე ემთხვია, ნება მიბოძეთ ამიერიდან

ჩემ კეთილ, კეთილ მეგობრად და მფარველად გიგულოთო. რებეკა ისე გულისამაჩუყებლად და გრძნობით იქცეოდა, რომ ბატონი სედლი კიდევ ოცი გირვანქა სტერლინგის ჩეკის დაწერას აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა; სადილად ბრძანდებოდა დაპატიჟებული და ქვემოთ ეტლი ელოდებოდა. ამიტომ იყო, რომ ტუსტუსით გაემართა და თან მოაძახა: - უფალმა გაკურთხოს, გენაცვალე. იცოდე, ყოველთვის შემოიარე ხოლმე, როცა კი ქალაქში ჩამოხვალ... მენშ-ჰაუზისკენ გაუტიე, ჯეიმზ!

ბოლოს მის ემილიასთან გამოთხოვების დროც დადგა. ამ სურათს კი მინდა ფარდა ჩამოვაფარო. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაითამაშეს სცენა, რომელშიც ერთი გულწრფელად, ხოლო მეორე ნამდვილი მსახიობივით იქცეოდა, მას შემდეგ, რაც უნაზესი ალერსი, ცხარე ცრემლები, გულის მოსაბრუნებელი სასუნებლის შუშა და ზოგიერთი საუკეთესო გულითადი გრძნობა გამოიყენეს, რებეკა და ემილია გაიყარნენ და რებეკა ეფიცებოდა მეგობარს, მარად, მარად და მარად მეყვარებიო.

თავი VII. დედოფლის კროუულელი კროული

აზნაურთა გვარების და მათ სამყოფელთა 18... წლის წიგნში, ასო კანით დაწყებულ დიდად წარჩინებულ გვართა შორის, ბარონეტი სერპიტ კროულიც გახლდათ მოხსენებული, რომელიც ლონდონს გრეიტგონტ-სტრიტში და ჰენტს დედოფლის კროულიში ბინადრობდა. აგრეთვე ეს პატივდებული გვარი მრავალ წელს გამუდმებით იხსენიებოდა პარლამენტის წევრთა სიაში სხვა იმ ღირსეულ დარბაისელთა გვერდით, რომელნიც რიგ-რიგად ბრძანდებოდნენ პარლამენტში დაბის სახელით.

დაბა დედოფლის კროულიზე ამბობენ, რომ დედოფალი ელისაბედი მოგზაურობის დროს ერთხელ სასაუზმოდ სწორედ აქ შეჩერებულა და თურმე ისე ეამა და მოეწონა მართლაც საუცხოო ჰემპშირული ლუდი, რომელიც მაშინდელმა კროულიმ მიართვა (ლამაზმა, კოხტაწვერიანმა და მოხდენილფეხებიანმა ვაჟკაცმა), რომ მყის მიანიჭა კროულის დაბობა და პარლამენტში ორი წევრის გაგზავნის უფლება.

ადგილსაც, ამ ბრწყინვალე სტუმრობის დღიდან, დედოფლის კროული ეწოდა და ახლაც ეს სახელი ჰქვია. თუმცა ჟამთა სვლისა და იმ ცვალებათა წყალობით, რომელსაც საუკუნენი სჩადიან სახელმწიფოებსა, ქალაქებსა და დაბებში, დედოფლის კროული აღარ გახლდათ ისე ხალხმრავალი, როგორც დედოფალ ბესის დროს იყო - პირიქით, იმდენად დაქვეითდა, რომ დამპალ დაბათა რიცხვშიც კი მოხვდა. მაგრამ სერ პიტ კროული თავისი ჩვეული ლაზათიანობით მაინც სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებდა, როცა იტყოდა: „დამპალი! ვერ მოგართვეს... ეს მამული წელიწადში კაი თხუთმეტ ათას შემოსავალს მაძლევსო!“

სერ პიტ კროული (ეს სახელი თემთა პალატის დიდი მოღვაწის პატივისცემით ჰქონდა დარქმეული) ბრძანდებოდა ძე პირველი ბარონეტის, უოლპოლ კროულისა, რომელიც გეორგ II-ის მეფობაში ბეჭდისდამსმელი სახელმწიფო უწყების მოხელე გახლდათ და, ისევე, როგორც იმ დროის ბევრ სხვა პატიოსან მოქალაქეს, იმასაც გაფლანგვა დასწამეს. ხოლო უოლპოლ კროული, იქნებ არც იყოს საჭირო ვთქვათ, ბრძანდებოდა ძე ჯონ ჩერჩილ კროულისა; ამას კი დედოფალ ანას დროის სახელოვანი სარდლის სახელი ერქვა. საგვარეულო ხის სურათი, დედოფლის კროულიში რომ კიდია, მერე მოიხსენებს ჩარლზ სტიუარტს, შემდეგ ძვალტყავა კროულის რომ ეძახდნენ, იაკობ I-ის დროის კროულის ძეს; ბოლოს კი - დედოფალ ელისაბედის კროულის, რომელიც სურათის წინაპირზეა დახატული თავის შუაგაყოფილი წვერითა და აბჯრით. მისი ჟილეტიდან, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, ამოსულია ხე და მთავარ შტოებზე ზემოხსენებული ბრწყინვალე სახელებია წაწერილი. ამ ამბის გმირის, ბარონეტ სერ პიტ კროულის, ახლოს წაწერილია მისი ძმის, ღირსი მამის ბიუტ კროულის, სახელი (ეს პატიოსანი დარბაისელი რომ დაიბადა, მაშინ თემთა პალატის სახელოვანი წევრი უკვე შერისხული გახლდათ) - კროულისა და სნეილბის სამრევლოს მოძღვრისა. მერე კი ხეზე აგრეთვე მოხსენებულნი არიან კროულის გვარის მდედრობითი და მამრობითი სქესის სხვა წევრნიც.

სერ პიტის პირველი მეუღლე გრიზელი მანგო ბინკის, ლორდ ბინკის, მეექვსე ასული და, მაშასადამე, ბატონ დანდესის ბიძაშვილი ბრძანდებოდა. მასთან სერ პიტს ორი ვაჟიშვილი შეეძინა: პიტი, რომელსაც ეს სახელი მამის კი არა, უფრო ზეცით

მომადლებული მინისტრის პატივისცემით უწოდეს და როუდონ კროული, უელსის პრინცის იმ მეგობრის სახელით მონათლული, რომელიც ასე სრულად გადაიგდო გულიდან მისმა უდიდებულესობამ გეორგ IV-ემ. ამ მანდილოსნის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგ, სერ პიტმა საკურთხეველთან მიაბრძანა როზა, მადბერელ ბატონ ჯ. დოსონის ქალიშვილი, რომელთანაც ორი ასული ეყოლა და სწორედ ამათ მწვრთნელად მოიწვიეს მის რებეკა შარპი. ცხადია ყმაწვილი ქალი ფრიად წარჩინებული ნათესაობის მქონე ოჯახში მოხვდა და ცხოვრება უნდა დაეწყო გაცილებით უფრო რჩეულ საზოგადოებაში, ვიდრე ის სადა და უბრალო ოჯახი იყო, რომელიც, ეს-ეს არის, რასელ-სკვერს მოიტოვა.

შეგირდებთან ჩასვლის განკარგულება რებეკამ ძველ კონვერტზე წაწერილი ბარათით მიიღო, რომელშიც შემდეგი სიტყვები ეწერა: „სერ პიტ კროული თხოულობს, მის შარპი და ბარგი-ბარხანა აქ იყოს სამშაფათს, იმიტომ, რომა ხვალ სისხამ დილით უნდა გავუტიო დედოფლის კროულისკენ.

გრეიტ-გონტ-სტრიტი“[27].

რებეკას თავის დღეში ბარონეტი თვალით არ ენახა და, როგორც კი ემილიას გამოეთხოვა, გულკეთილ ბატონ სედლის ნაჩუქარი გინეები გადათვალა და ცხვირსახოცით თვალები ამოიწმინდა (ეს საქმეები სწორედ მაშინათვე მოითავა, ეტლმა ქუჩის კუთხეში რომ მოუხვია), იგი შეეცადა წარმოედგინა, როგორი უნდა იყოს ბარონეტიო. „ნეტავი ორდენი თუ აქვს! - ფიქრობდა იგი, - ან იქნებ მხოლოდ ლორდებსა აქვთ ორდენები? მაგრამ ძალიან ლაზათიანად იქნება გამოწყობილი დიდებულთა ტანისამოსში და ნაოჭიანი საყელოთი. თმა კი ოდნავ ექნება შეპუდრული, როგორც კოვენტ-გარდენელ ბატონ როტონსა აქვს. ალბათ საშინლად ამპარტავანია და ძალიან აბუჩად ამიგდებს; მაგრამ როგორც შევიძლებ, მაინც უნდა გავუძლო ჩემს მძიმე ხვედრს. წარჩინებულთა შორის მაინც ვიქნები და არა სიტის მდაბიო ხალხში!“ და თავის რასელ-სკვერელ მეგობრებზე დაიწყო ფიქრი სწორედ იმგვარივე ბრძნული სიმწარით, როგორც ერთ იგავში მელა იხსენიებს ყურძენს.

ეტლი გონტ-სკვერიდან გრეიტ-გონტ-სტრიტში შევიდა და ბოლოს ერთი მაღალი, პირქუში შესახედაობის სახლის წინ შეჩერდა. ეს სახლი ორ სხვა მაღალ პირქუშ სახლს შორის იდგა და ყველას, სასტუმრო ოთახების შუა ფანჯრების თავზე,

საგვარეულო, სამგლოვიარო ღერბები ჰქონდა გაკეთებული როგორც ჩვეულებრივად არის გრეიტ-გონტსრიტის სასახლეებში; - ამ პირქუშ უბანში თითქოს სიკვდილი გამუდმებით მეფობსო. სერ პიტის სასახლის მეორე სართულის დარაბები ჩაკეტილი იყო, სასადილო ოთახისა - ცოტა გამოღებული, ხოლო ფარდები გულმოდგინედ შეეხვიათ ძველ გაზეთებში.

მეჯინიბე ჯონმა, რომელიც მარტო ახლდა რებეკას, თავი არ შეიწუხა კოფოდან ჩამომხტარიყო ზარის დასარეკად; გამვლელ მერძევე ბიჭს შეეხვეწა, ჩემ მაგიერ მიდი და ზარი დარეკეო. ზარის ხმაზე სასადილო ოთახის ჩაკეტილი დარაბების ნაპრალში თავი გამოჩნდა და კარი გააღო სქელ, თალხ შარვალსა და საწვივეებში გამოწყობილმა კაცმა. მას ჭუჭყიანი, ძველი ხალათი ეცვა; ბინძური, ძველი ყელსახვევი შემოესკვნა ჯიგრიან ყელზე; მოტვლეპილი თავი ულაპლაპებდა; თაღლითი, წითური სახე, მოციმციმე, ნაცრისფერი თვალები ჰქონდა და სულ იღრიჭებოდა.

- ეს არი სერ პიტ კროულის სახლი? - კოფოდან გადმოსძახებს ჯონი.

- მაშა! - თავის კანტურით უპასუხებს კართან მდგარი კაცი.

- ხელი მოავლე აპა, აგე, ემაგ ზანდუკებს, - უთხრა ჯონმა.

- თვითონ მოავლე ხელი და ჩამოიღე, - მიუგო მებარგე მუშამ.

- ვერა ჰხედამ, ცხენების ეგრე დაყრა არ შემიძლია? მოდი, მოჰკიდე ხელი, გენცვა, აი ქალბატონი ლუდის გადასაკრავსაც მოგცემს, - უთხრა ხვიხვინით ჯონმა. იგი მისი შარპს აღარ ეპყრობოდა პატივისცემით, რადგან მისი ბატონის ოჯახთან რებეკას უკვე გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი და გამგზავრების დროსაც მსახურებისთვის არაფერი უჩუქნია.

თავმოტვლეპილმა კაცმა ჯიბიდან ხელები ამოიღო, ამ თხოვნაზე წინ წამოდგა, მის შარპის ჩემოდანი მხარზე შეიგდო და სახლში შეიტანა.

- ეს კალათა და შალი წაიღე, გეთაყვა, და კარიც გამიღე, - დაუძახა მის შარპმა და ფრიად განაწყენებული გადმობრძანდა ეტლიდან. - ბატონ სედლის მივწერ წერილს და შევატყობინებ შენს ყოფაქცევას, - მიუბრუნდა მერე მეჯინიბეს.

- ნუ ინებებთ, - დაეღრიჯა მსახური. - ხომ არა დაგვიწყებიათ რა? მის ემილიას კაბაკუბა რომ ხელთ იგდეთ? აი ისა, ქალბატონის პირისფარეშს რომ უნდა ხვდენოდა! იმედი მაქვს კარგად მოგიხდებათ. ერთი კარი მოკეტე, ჯიმ! ამისგან ხეირს ვერა ნახამ, - განაგრძო ჯონმა და ცერით მის შარპზე უჩვენა, - ჩვენში დარჩეს და, ნამეტან გაფუჭებულ ბედს კი გადაეყარე, ნამეტან გაფუჭებულს! - და ამ სიტყვებით დასძრა ეტლი ბატონ სედლის მეჯინიბემ.

სიმართლე რომ ვაღიაროთ, ქალბატონის ზემოხსენებულ პირისფარეშს ჯონი თვითონ ეკურკურებოდა და არ ეჭაშნიკა, სატრფოს ხვედრი ქალბატონის გამონაცვალი ტანსაცმელი ასე ყაჩაღურად რომ მიიტაცეს.

საწვივებიანი კაცი სასადილო ოთახში შეუძღვა მანდილოსანს: რებეკას ეს დარბაზი იმაზე უფრო მხიარულად არ სჩვენებია, როგორც საერთოდ ასეთი ოთახები არის ხოლმე, როცა წარჩინებული ოჯახები ქალაქში არა ბრძანდებიან ერთგული პალატები, ასე ვთქვათ, თითქოს გლოვობენ ბატონების წასვლას: თურქული ხალიჩა დაგრაგნილა და გაბუტული ბუფეტქვეშ განაპირებულა; სურათებს ყავისფერი ქაღალდის ძველი ფურცლებით დაუფარავთ სახეები; ჭერში ჩამოკიდებული ლამპა სქელ ყავისფერ ტილოს ტომარაშია ჩაჩურთული; ფანჯრის ფარდები ყოველნაირი ჯურის გაქიაქებულ საბურველშია დამალული; სერ უოლპოლ კროულის მარმარილოს ბიუსტი ჩაშავებული კუთხიდან გამოსცქერის შიშველ მაგიდებს, გაქონილ საცეცხლფარეშო რკინეულს და ბუხრის თავზე დადებულ, სადარბაზო ბარათების მოსართმევ ცარიელ სინებს; სასმელების შესანახი კიდობანი ხალიჩის ქვეშ შემძვრალა; სკამები თავფეხშექცევით არის ჩამწკრივებული კედლების გაყოლებით; ბნელ კუთხეში კი, ქანდაკების პირდაპირ, თეფშებისა და ბოთლების დასაწყობ პატარა მაგიდაზე, დანების გაქუცული, ძველებური, დაკეტილი ყუთი დგას.

სამზარეულოს ორი სკამი, მრგვალი მაგიდა, გაფუჭებული ძველი ქარცახი და მაშა მაინც შემოკრებილიყვნენ ბუხართან, რადგან მიმქრალ, შიშინა ცეცხლზე ქვაბ-ქოთანი მოჩანდა მაგიდაზე ყველის ნაჭერი და პური იდო, კალის შანდალი იდგა, პინტიან თასში კი მაგარი შავი ლუდი ჩარჩენილიყო.

- ალბათ ისადილეთ კიდეც! ხომ არ დაგცხათ? ცოტა ლუდს ხომ

არ ინებებთ?

- სად არის სერ პიტ კროული? - ამაყად იკითხა მის შარპმა.

- ჰე, ჰე, ჰე! მე გახლავართ სერ პიტ კროული. მაიგონეთ, ერთი ბინტი ლუდი გმართებთ, თქვენი ბარგი-ბარხანა რომ გადმოვათრიე. ჰე, ჰე, ჰე! ჰკითხე, თუ არა გჯერათ. გაიცანით: ქალბატონი ტინკერი - შარპი; ქალბატონი აღმზრდელი - ქალბატონი მოახლე. ჰო, ჰო, ჰო!

მანდილოსანი, რომელსაც ქალბატონი ტინკერი უწოდეს, სწორედ ამ დროს გამოჩნდა. ჩიხუბი და ქაღალდში შეხვეული თუთუნი ეჭირა ხელში. ამისთვის ყოფილიყო გაგზავნილი მის შარპის მოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე. ნაყიდი გადასცა სერ პიტს, რომელიც ცეცხლთან დაბრძანებულიყო.

- სად არი ფართინგი? - ბრძანა მან. - მე შენ სამი ნახევარპენიანი მოგეცი. სად არი ხურდა, ბებერო ტინკერ?

- აჰა, - მიაძახა ქალბატონმა ტინკერმა და მიუგდო ფული, - მარტო ბარონეტი თუ იწუწურაქებს ფართინგებისთვის!

- დღეში ერთი ფართინგი წელიწადში შვიდი შილინგი იქნება, - მიუგო პარლამენტის წევრმა. - წელიწადში შვიდი შილინგი შვიდი გინეას მოგება გახლავთ. დაზოგე შენი ფართინგები, ბებერო ტინკერ, და გინეები თავისთავად ჩაგიჩხრიალდება ხელთ.

- გჯეროდეთ, რომ ეს სერ პიტ კროულია, ქალო, - თქვა ქალბატონმა ტინკერმა დარწმუნებით, - იმიტომ რომ ფართინგებს გამოკიდებია. სულ მალე უკეთ გაიცნობთ.

- და მაინც ნაკლებ არ შეგიყვარდებით, მის შარპ, - თითქმის ზრდილობიანად მიმართა მხცოვანმა დარბაისელმა. - ხელგაშლილობას სამართლიანობა მირჩევნია.

- აროდის ერთი ფართინგი არავისთვის შეუწევია, - წაიბუზღუნა ტინკერმა.

- აროდის შემიწევია და არც შევაწემ; ეს ჩემი ადათია. წადი და სხვა სკამი მოიტანე სამზარეულოდან, ტინკერ, თუ დაჯდომა გინდა, და მერე წავივახშმოთ.

ბარონეტმა მყის ჩაატაკა ჩანგალი ცეცხლზე შედგმულ ქვაბქოთანში და შიგნეულის ნაჭერი და ხახვი ამოათრია;

საკმაოდ თანასწორ ორ ნაწილად გაჰყო და იმან ქალბატონმა ტინკერმა გაინაწილეს.

- აი, მის შარპ, აქ როცა არა ვარ, ტინკერს სახარჯო ეძლევა; როცა ქალაქში ვარ, ოჯახთან მიირთმევს. ჰა, ჰა, ჰა! მიხარია, მის შარპს რომ არა შია. შენ კი არ გიხარია, ტინკ? - და ეცნენ ისინი თავიანთ ღატაკურ ვახშამს.

ნავახშმევს სერ პიტ კროულიმ ჩიბუხი გააბოლა; ხოლო როცა სულ ჩამობნელდა, კალის შანდალში ლერწმისგულიანი სანთელი აანთო, უძირო ჯიბიდან საბუთების უშველებელი გროვა ამოიღო და მათ კითხვასა და დალაგებას შეუდგა.

- აქ მე სასამართლოს საქმეებისთვინ გახლავარ, ჩემო ძვირფასებო, ამიტომ მოხდა, რომ ხვალ ასე ტურფა თანამგზავრთან ყოფნით ვისიამოვნებ.

- ეს სულ სასამართლოს საქმეებშია გაბმული, - დასძინა ქალბატონმა ტინკერმა და ლუდიანი თასი აიღო.

- დალიე, დალიე, - უთხრა ბარონეტმა და განაგრძო, - ჰო, ჩემო ძვირფასო, ტინკერი მართალს ამბობს: ინგლისში არც ერთ კაცს არ მოუგია და წაუგია ჩემოდენი სადაო საქმეები. აი, უყურე, ბარონეტი კროული სნეფლის წინააღმდეგ. მე პიტ კროული არ ვიყო, თუ არ გადავაყირაო! პოდერი და ვიღაცა Versus[28] ბარონეტ კროულისა. სნეილის სამრევლოს მზრუნველნი ბარონეტ კროულის წინააღმდეგ. ვერაფერსაც ვერ დაამტკიცებენ, რომ სათემო მიწაა! აბა სინჯონ! მიწა ჩემია. ისე ეკუთვნის სამრევლოს, როგორც თქვენ, ან კიდევ აგე ამ ტინკერს. ათასი გინვაც რომ დამიჯდეს, მაინც ვაჯობებ. გადახედეთ საბუთებს - თუ გინდათ, ამის ნებას გაძლევთ, ჩემო ძვირფასო. კარგი ხელი გაქვთ? როცა დედოფლის კროულის მივალთ, იმედი იქონიეთ, გამოგიყენებთ საქმისათვის, მის შარპ. ახლა ბებერი მკვდარი და ვინმე მჭირდება.

- ისიც ამისთანა უგვანი იყო, - ჩაერია ტინკერი. - ყველა თავის მედუქნეს ედავებოდა და ოთხ წელიწადში ორმოცდარვა ფარეში გამოიცვალა.

- ჰო, ხელმოჭერილი კი იყო... ძაან ხელმოჭერილი, - უბრალოდ დაადასტურა ბარონეტმა, - მაგრამ ჩემთვის კარგი დედაკაცი იყო და მოურავისთვის ფულს აღარ მახარჯვინებდა.

ასეთი გულითადი მუსაიფი კარგა დიდხანს გაგრძელდა და ახლადმოსული ძალიანაც გაერთო. როგორიც არ უნდა ყოფილიყო სერ პიტ კროულის თვისებები, კარგი თუ ცუდი, იოტისოდენადაც არა ცდილობდა იგი მათ დამალვას. თავის თავზე პირგაუჩერებლად, გამუდმებით ლაპარაკობდა, და ისიც ხან ყველაზე ტლანქი და უწმაწური ჰემპშირული კილოკავით, ხან კი წარჩინებულთა ენასაც იხმარდა. ბოლოს მის შარპს განკარგულება მისცა, დილის ხუთი საათისათვის იყავი მზადაო და ღამე მშვიდობისა უსურვა.

- ამაღამ ტინკერთან დაიძინებთ, - უთხრა მან რებეკას, - დიდი საწოლია და ორთავე დაეტევით. ლედი კროული იმაში მოკვდა. ძილი ნებისა!

ამ წყალობების შემდეგ სერ პიტი წაბრძანდა. ზვიადმა ტინკერმა აიღო ხელში სანთელი და დიდ, ცივ კიბეს შეუდგა. გაუარა სასტუმროს უშველებელ პირქუშ კარს, რომლის სახელურები ქაღალდით იყო შეფუთვნილი და დიდ წინა საწოლ ოთახში შევიდა, სადაც უკანასკნელად განისვენა ლედი კროულიმ. საწოლსა და დარბაზს ისეთი სამგლოვიარო და მოღუშული იერი ედო, გეგონებოდათ, ლედი კროული მარტოოდენ კი არ გარდაცვლილიყო ამ ოთახში, არამედ მისი აჩრდილიც აქ დაბინავებულიყო. რებეკამ მაინც ერთობ მკვირცხლად და ხალისიანად შემოირბინა ოთახი და, სანამ ბებერი ლოცულობდა, შეიჭყიტა ტანისამოსის ვეებერთელა კარადებსა, განჯინებსა და ჭურჭლეულის კარადებში; სცადა უჯრების გამოღება, რომლებიც დაკეტილი დახვდა და გასინჯა პირქუში სურათები და საპირფარეშო ხელსაწყოები. ამასობაში ტინკერმაც მოითავა ლოცვა.

- არ მეამება, რომ ემაგ ლოგინში ცოდომოუნანიებელი ჩავწვე, მის! - წაულაპარაკა რებეკას მოხუცმა.

- ეს საწოლი ჩვენც გვეყოფა და ექვსიოდე აჩრდილსაც, - ამბობს რებეკა. - მითხარით ლედი კროულის, სერ პიტ კროულის და ყველას ამბები, ჩემო ძვირფასო ქალბატონო ტინკერ!

მაგრამ ბებერი ტინკერი ისეთი ვინმე არ გახლდათ, რომ პატარა გამომძიებელს მისთვის რაიმე დაეცინცლა. მოახსენა, ლოგინი საძილე ადგილია და არა სამუსაიფოო და საწოლის მისთვის მიჩენილ კუთხეში ისეთი ხვრინვა და ხმიანობა ამოუშვა, რომელიც მხოლოდ უმანკოს ცხვირს თუ ძალუძს. რებეკას

დიდხანს, დიდხანს არ დასძინებია. ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, ახალ სამყაროზე, რომელშიც აპირებდა ფეხის შედგმას, და თავის გამარჯვების შესაძლებლობებზე. სანთელი კრთოდა ჯამში. ბუხრის თავზე გაკეთებული თარო დიდი, შავი ჩრდილით ფარავდა დაძველებული ნაქარგის ნახევარს, რომელიც, უეჭველია, განსვენებულმა ქალბატონმა ამოქარგა, და ოჯახის ყრმათა ორ პატარა სურათს: ერთზე კოლეჯის შეგირდის სამოსით გამოწყობილი ბიჭი იყო დახატული, მეორეზე კი - წითელ მხედრულ ქურთუკიანი. როცა იძინებდა, რებეკამ მეორე ირჩია ოცნებისა და ზმანებათა გმირად.

ოთხ საათზე, ზაფხულის ისეთ ვარდისფერ დილას, რომელმაც თვით გრეიტ-გონტ-სტრიტსაც კი მხიარული იერი მისცა, ერთგულმა ტინკერმა თავისი თანამეცხედრე გამოაღვიძა; უთხრა სამგზავროდ მოემზადეო; დიდ სადარბაზო კარს ურდულები და სარაზავები ახსნა (ამათმა ჟღარუნმა და ჩხარაჩხურმა ქუჩაში მძინარე ექო გამოაფხიზლა), ოქსფორდის ქუჩაში მივიდა და ეტლების დასადგომი ადგილიდან ეტლი მოიყვანა. არ არის საჭირო, განსაკუთრებით ვახსენოთ, რა ნომერი იყო ეს ეტლი; ან დავადასტუროთ, რომ მეეტლე ასე ადრე იმიტომ დადარაჯებულიყო სუოლოუს ქუჩის ახლოს, ეგებ სამიკიტნოდან ბარბაცით მიმავალ ვინმე ახალგაზრდა დარდიმანდს დასჭირდეს ჩემი ეტლის შველა და ნაბახუსევის ხელგაშლილობით დამაჯილდოვოსო.

ასევე არ არის საჭირო ვთქვათ, რომ მეეტლეს თუკი რაიმე იმედი უღვივოდა გულში, სასტიკად გაუცრუვდა; და რომ პატივდებულმა ბარონეტმა, რომელიც სიტიში ჩაიყვანა, კუთვნილ ქირაზე ერთი პენით მეტიც არ მისცა. ამაოდ თხოულობდა და წყრებოდა მეეტლე, ამაოდ ჩაყარა მის შარპის კოლოფები ეტლების სადგურის წინ გუბეში და ამაოდ იფიცავდა, ვიჩივლებ და ჩემს ქირას კანონის ძალით ამოვიგებო.

- გირჩევნია არ იჩივლო, - უთხრა მას ერთმა მეჯინიბემ, - ეგ სერ პიტ კროული გახლავს!

- სწორედ რომ ეგრეა, ჯო, - კვერი დაუკრა ბარონეტმა, - ნეტავი მანახა იგეთი კაცი, ვინც მე რამეს გამომრჩება.

- ნეტა მეც მანახა! - პირქუში ღრეჭით დასძინა ჯომ და ბარონეტის ბარგი ეტლის თავზე შეაწყო.

- კოფო მე შემინახე, ლიდერ, - მიაძახა პარლამენტის წევრმა

მეეტლეს.

- ბატონი ბრძანდები, სერ პიტ, - ქუდზე ხელის მიდებით მიუგო მან; გულში კი ბოღმა უტრიალებდა, რადგან კოფოს კემბრიჯელ ახალგაზრდა ვაჟბატონს შეჰპირდა, რომელიც, უეჭველია, ერთ კრონს მაინც გაიმეტებდა. მის შარპი კი უკანა სკამზე დასვეს ეტლში, რომელსაც, ასე ვთქვათ, ვრცელ სამყაროში შეჰყავდა.

საჭირო არ იქნება მოგახსენოთ, რა პირმოღუშული ალაგებდა კემბრიჯელი ყმაწვილი თავის ხუთ წამოსასხამს, მაგრამ როგორი ნუგეში ჰპოვა, მის შარპი რომ იძულებული გახდა ეტლიდან ზემოთ ამოსულიყო და მის გვერდით რომ აღმოჩნდა, ხოლო ერთ-ერთი თავის წამოსასხამი რომ წამოახურა, მაშინ ხომ სულ კარგ გუნებაზე დადგა. ასევე არ იქნება საჭირო მოგახსენოთ, როგორ ჩასხდნენ ეტლში ქსენით ავადმყოფი დარბაისელი, პრანჭია მანდილოსანი, რომელიც სინდისს იფიცავდა, საჯარო ეტლით ჯერ არასოდეს მიმგზავრიაო (ეტლში ყოველთვის არის ასეთი მანდილოსანი... მაგრამ მახლას! არის კი არა, იყო! - აბა სადღაა ეტლები?) და ბრენდის ბოთლიანი ფაშფაშა ქვრივი; აგრეთვე ყველას როგორ მოსთხოვა ქირა მებარგემ და როგორ მისცა ექვსი პენი დარბაისელმა და ხუთი გაქონილი ნახევარპენიანი ფაშფაშა ქვრივმა და ბოლოს როგორ გასწია ეტლმა: ჯერ რომ ოლდერზ-გეიტის ბნელი შუკები ჩაათავა, მალე წმიდა პავლეს ცისფერ გუმბათსაც ჩაუხრიგინა და ჟღარაჟღურით მსწრაფლ უკან მოიტოვა შესავალი ფლიტ-მარკიტისა, რომელიც ახლა ექსეტერის ბირჟითურთ აჩრდილთა ქვეყანას გახლავთ გადაბარგებული. როგორ ჩაუარეს პიკადილიში „თეთრ დათვს“ და დაინახეს როგორ იფანტებოდა ნისლი ნაითსბრიჯის ბაღ-ბოსტნებში და როგორ ჩაუარეს ტარნჰემ-გრინს, ბრენტფორდს და ბეგშოტს. ყოველივე ამის თქმა არ არის საჭირო, მაგრამ ამ წიგნის ავტორს კი, რომელსაც გარდასულ ჟამს სწორედ ისეთსავე მოწმენდილ ამინდში იგივე შესანიშნავი გზა გაუვლია, არ ძალუძს ტკბილი და ნაზი დანანებით არ მოიგონოს. სადღაა ახლა ის გზა და მისი მხიარული თავგადასავალი? ნუთუ ბებერ, პატიოსან, ცხვირზღმურდლიან მეეტლეს ჩელსი და გრინიჩი აღარ გააჩნია? ნეტავ სად არიან ეს კაიკაცები? ნეტავ მოხუცი უელერი ცოცხალია თუ გარდაიცვალა? ეს ფარეშები სადღა არიან, ან დუქნები, სადაც ისინი ფარეშობდნენ, ან კიდევ იქაური ცივი სუკები და

ცხვირჩალურჯებული, სათლის ჟღარაჟღურით მოარული სუკები და ცხვირჩალურჯებული, სათლის ჟღარაჟღურით მოარული ჩიკორა მეჯინიბე, - სად არის იგი და მისი თაობა? იმ დიდ გენიოსთათვის, რომელნიც ახლა კაბებში გამოწყობილნი დაბრძანდებიან და მერე კი ძვირფასი მკითხველის ბავშვებისათვის რომანებს შეთხზავენ, ეს ადამიანები და საგნები ისეთივე ისტორიული თქმულებანი იქნებიან, როგორც ნინევია, რიჩარდ ლომგული, ან კიდევ ჯეკ შეპერდი. საფოსტო ეტლები ზღაპრად მოეჩვენებათ, ხოლო ოთხცხენიანი ეტლი ისევე საარაკოდ, ზღაპრად მოეჩვენებათ, ხოლო ოთხცხენიანი ეტლი ისევე საარაკოდ, როგორც ბუკეფალოსი ან შავი ბესი. ეჰ, როგორ უბზინავდა ცხენებს ბალანი, მეჯინიბენი ასალებს რომ გადააცლიდნენ და გზას გაუდგებოდნენ! ეჰ, ფერდებზე ოხშივარავარდნილნი როგორი კუდის ქნევით მიადგებოდნენ სადგურს და რიდით შეჯირითდებოდნენ ეზოში! ვაგლახ! ვეღარ გავიგონებთ შუაღამეში ბუკის ხმას და ვეღარც აფრენილ შლაგბაუმს მოვკრავთ თვალს. მაინც საით მიგვაქროლებს მსუბუქი, შიგნით ოთხადგილიანი ტრაფალგარის ეტლი? მოდით, ბევრს ნუღა გადავუხ-გადმოვუხვევთ, გადმოვსხდეთ დედოფლის კროულიში და ვნახოთ, რა წარმატებასა ჰპოვებს იქ მის რებეკა შარპი.

თავი VIII. პირადად საკუთარ ხელში

მის რებეკა შარპი მის ემილია სედლის, რასელ-სკვერი, ლონდონი

(საფოსტო გადასახადისაგან თავისუფალია - პიტ კროული) „ჩემო უძვირფასესო და უტკბესო ემილია! სიხარულისა და მწუხარების რა შერეული გრძნობით ვიღებ ხელში კალამს ჩემი უძვირფასესი მეგობრისათვის მოსაწერად! ოჰ, როგორი განსხვავებაა დღევანდელ დღესა და გუშინდელს შორის! ახლა უმეგობრო და ეული ვარ, გუშინ კი შინ ვიყავი, ჩემს ტკბილ დაიკოსთან, რომელიც მარად, მარად მეყვარება!

„არ მოგიყვები რა ცრემლის ღვრასა და ვაებაში გავატარე ის საბედისწერო ღამე შენ რომ გამოგეთხოვე. შენ სამშაბათს

სიხარულითა და ბედნიერებით ხვდებოდი, დედიკო და შენი ახალგაზრდა მხედარი მხარში გედგნენ; მთელ ღამეს ვფიქრობდი შენზე, როგორ იცეკვებდი პერკინსებთან, და დარწმუნებული ვარ, იმ წვეულების ყმაწვილ ქალთა შორის ყველაზე ტურფაც იქნებოდი. მე კი მეჯინიბემ დანჯღრეული ეტლით სეტ პიტ კროულის ლონდონის სახლში მიმიყვანა. იქ მეჯინიბე ჯონი ძალიან უზრდელად და თავხედურად მომეპყრო (ვაგლახ! აბა რა საშიში იყო ღატაკისა და ბედშავის შეურაცხყოფა!). მერე სერ პიტის მზრუნველობის ქვეშ მოვხვდი და იძულებული ვიყავი ღამე გამეთია ძველ, პირქუშ საწოლში და ისიც საზარელი, პირქუში, ბებერი, დღიურად დაქირავებული დედაკაცის გვერდით, რომელსაც სახლი აბარია. მთელ ღამეს ერთი წუთითაც არ მომიხუჭავს თვალი.

„სერ პიტი არ არის ისეთი ბარონეტი, ჩვენ, სულელი გოგონები, ჩიზიკში, „სესილიას“ კითხვის დროს რომ წარმოვიდგენდით ხოლმე. ლორდ ორვილს თუ შევადარებთ ჭეშმარიტად, სერ პიტზე უფრო მსგავსი ვინმეს წარმოდგენაც შეუძლებელია, წარმოიდგინე ერთი ბებერი, ბაჯაჯღანა, დაბალი, უხამსი, ერთობ ბინძური, ძველ ტანსაცმელსა და გაცვეთილ ძველ წვივსათბურებში გამოწყობილი კაცი, რომელიც საზიზღარ ჩიბუხს ეწევა და თავის საკუთარ ვახშამს თვითონვე იმზადებს ქვაბ-ქოთანში. ლაპარაკში მდაბიურად უქცევს, უშვერის პირით აგინებს და ლანძღავს ბებერ მსახურ დედაკაცს და მეეტლეს, რომელმაც იმ სასტუმროში მიგვიყვანა, საიდანაც საფოსტო ეტლი გაემგზავრა - ეტლი, რომელითაც მე ვიმგზავრე გზის უმეტესი ნაწილი ღია ცის ქვეშ.

„ბებერმა დედაკაცმა რიჟრაჟზე გამაღვიძა. მივედით სასტუმროში. პირველად შიგ ეტლში ჩამსვეს, მაგრამ როცა ერთ ადგილს, სახელად ლიკინგტონს, მივაღწიეთ, კოკისპირულმა წვიმამ მოგვისწრო და, განა დაიჯერებ? მაიძულეს გარეთ, ეტლის თავზე გადავმჯდარიყავი - რადგან სერ პიტი საფოსტო ეტლების მეპატრონეა და მადბერელი მგზავრი კი შემოგვემატა, რომელსაც ეტლის შიგნითა ადგილი ნებავდა, იძულებული გავხდი გარეთ გამოვსულიყავი ამ წვიმაში. მაგრამ ერთმა კემბრიჯის კოლეჯელმა ყმაწვილმა ძალიან გულკეთილად შემიფარა თავის მრავალ წამოსასხამთაგან ერთ-ერთში.

„ეს ყმაწვილი და კონდუქტორი, ეტყობოდა, ჩინებულად იცნობდნენ სერ პიტს და ბევრსაც დასცინოდნენ. ერთმანეთს

კვერი დაუკრეს, იგი ბებერი ქვაწვია არისო (რაც ერთობ ხელმოჭერილ ძუნწსა და ხარბ კაცს ნიშნავს). როგორც მათ თქვეს არასოდეს არავის არ აძლევს ფულს (ასეთი სიმდაბლე კი მძულს). ყმაწვილმა აგრეთვე მიმაქცევინა ყურადღება, რომ ორი უკანასკნელი სადგურის გზაზე ძალიან ნელა, ტაატით მივდიოდით, ვინაიდან სერ პირტი იჯდა კოფოე და ვინაიდან გზის ამ უბანში ცხენები მისია. „მაგრამ, ოჰ, როგორ გავაძრობ ტყავს სკუოშმორის გზაზე, სადავეებს ხელთ რომ ვიგდებ!“ - ჩამილაპარაკა ახალგაზრდა კემბრიჯელმა. როცა მივხვდი ამ ლაპარაკის აზრს და იმას, რომ მისტერ ჯეკს განზრახული ჰქონდა გზის დარჩენილ ნაწილში თვითონ დამჯდარიყო კოფოზე და სერ პიტის ჯავრი მის ცხენებზე ამოეყარა, რასაკვირველია, მეც გამეცინა.

„მაგრამ მადბერიში, დედოფლის კროულიდან ოთხ მილზე, ოთხ საუცხოო ცხენიანი, ღერბებით შემკული ეტლი დაგვხვდა და დიდრაჯულად შევბრძანდით ბარონეტის პარკში. სახლამდე ერთი მილის მანძილზე მშვენიერი ხეივანი გასდევს გზას. ჯიხურიან ჭიშკართან (მის სვეტებს ამშვენებს გველი და მტრედი, რომლებზედაც კროულის ღერბია დაყრდნობილი) მეკარე დედაკაცმა მრავალგზის გვცა თაყვანი, როცა სასწრაფოდ გაგვიღო ძველი, მოხარატული რკინის ალაყაფის კარი, რომელიც ცოტაოდნად ჩიზიკის საძაგელ ჭიშკარს წააგავს.

„- აგე ეს ხეივანი, - მითხრა სერ პიტმა, - ერთი მილის სიგრძეა. ამ ხეებში ექვსი ათასი გირვანქის ხე-ტყის მასალაა. როგორ გგონია, ეს არაფერია? - სერ პიტი ხეივანს „ხაივანს“ ეძახის, არაფერს „არაფერს“. - სასაცილოა! მერე კიდევ მადბერიში ვიღაც მისტერ ჰოდსონი, თავისი მოიჯარადრე, ჩაისვა ეტლში და გააბეს მუსაიფი იჯარის გადაუხდელობისათვის ქონების ხელში ჩაგდებაზე, გაყიდვაზე, მიწის ამოშრობაზე, გადასაბრუნებელ მიწებზე და ბევრი ილაპარაკეს მოიჯარადრეებსა და მეურნეობაზე, - გაცილებით მეტი, ვიდრე ე შევიძლებდი გამეგო, რაზე საუბრობდნენ. სერ მაილზს ტყეში ნადირობაზე წაასწრეს და დაიჭირეს, პიტერ ბილი, როგორც იქნა, შრომის სახლში გაისტუმრეს.

„- ჰინქ იმას! - წამოიძახა სერ პიტმა, - იმან და მისი ბაჭაჭყუები მთელი საუკუნეა მაცუცურაგებდნენ იმ ფერმაში! - მე მგონი, ალბათ, ვიღაც მოხუცი მოიჯარეა, რომელმაც იჯარის გასტუმრება ვერ შესძლო. სერ პიტს, რასაკვირველია, შეეძლო

ეთქვა: „ის და მისი ოჯახი“. აგრამ მდიდარი ბარონეტები არ დაგიდევენ გრამატიკას ისე, როგორც ეს ღატაკ აღმზრდელ ქალებს ევალებათ.

„რომ მოვდიოდით, გზაში ეკლესიის მშვენიერი გუმბათის წვეროს მოვკარი თვალი, რომელიც პარკში ბებერი თელების ზემოთ მოჩანდა. წინ კი მწვანე პატარა მინდორზე, წვრილ ნაგებობებს შორის, მაღალ საკვამურებიანი, სუროთი დაფარული, ძველი წითელი სხლი იდგა, მისი სარკმლები მზის შუქზე ლაპლაპებდა.

„- ეს თქვენი ეკლესიაა, ბატონო? - ვკითხე სერ პიტს.

„- ხო, ჭირი ეცეს, - მომიგო მან (მაგრამ სერ პიტმა, გენაცვალე, ამაზე გაცილებით უარესი გამოთქმა იხმარა); - რასა იქს ბიუტი, ჰოდსონ? ბიუტი ჩემი ძმა არი, გენცვა... ჩემი ძმა მღვდელი! ბიუტის და ბრუტის ვეძახი მე. ხა, ხა, ხა, ხა!

„ჰოდსონმაც გაიცინა, მერე სიცილს თავი გაანება და თავის ქნევით მოახსენა: „- ვშიშობ, უკეთ უნდა იყოს, სერ პიტ. გუშინ თავის პონიზე გადამჯდარიყო და ჩვენს ყანებს ათვალიერებდა.

„- თავის მეათედს ათვალიერებდა. ჭირი ეცეს! (ოღონდ კვლავ ის სალანძღავი სიტყვა კი იხმარა). ნუთუ არაყი ვერასოდეს გააფშეკინებს ფეხებს? ისე ჩაკირკიტებულია, როგორც აი, ბებერი, რა ჰქვიან... ბებერი მათუნსალა.

„მისტერ ჰოდსონმა კვლავ გაიცინა.

„- ყმაწვილებიც შინ არიან, კოლეჯიდან დაბრუნდნენ. ისე მიამჟავეს ჯონ სკროგინზი, რომ სიკვდილის პირას მიიყვანეს.

„- ჩემი მეველის თანაშემწე მიამჟავეს! - შეჰღრიალა სერ პიტმა.

„- მღვდლის მიწაზე იყო, ბატონო, - მიუგო ჰოდსონმა.

„გააფთრებულმა სერ პიტმა დაიფიცა, თუ ჩემს ადგილებში ნადირობაზე წავასწარი იმათ, გადავასახლებინებ, უფალსა ვფიცავ, გადავასახლებინებო.

„- თუმცა ჰოდსონ, - დასძინა მან ბოლოს, - ამ სამრევლოს მიღების უფლება უკვე გავყიდე და მერწმუნე, მაგ ბღარტებისათვის მაინც ხელიდან წასულია. - და მისტერ ჰოდსონმაც კვერი დაუკრა, მართალი ბრძანებაარ.

„ამიტომ ეჭვი არ მეპარება, რომ ძმებს შორის განხეთქილებაა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ძმებში და დებშიაც. არ გახსოვს ორნი დანი მის სკრეჩლი ჩიზიკში, ყოველთვის როგორ ჩხუბობდნენ და კინკლაობდნენ... კიდევ მერი ბოქსი როგორ უჟაპუნებდა ხოლმე ლუიზას?

„უცბად თვალი მოჰკრეს ორ ბიჭუნას - ტყეში ფიჩხს აგროვებდნენ. სერ პიტის ბრძანებით მისტერ ჰოდსონი გადახტა ეტლიდან და მათრახმომარჯვებული გაექანა მათკენ.

„- მისცხე მაგათ, ჰოდსონ, - ღრიალებდა ბარონეტი, - სულ სიქა გააცალე მაგათ და მოასხი შინ ეგ წუწკები; მე პიტი არ ვიყო, თუ სატუსაღოში არ ვუკრა მაგათ თავი. - და მყის მოგვესმა ჰოდსონის შოლტის ტყლაშუნის ხმა პატარა, საბრალო, ატირებული ბავშვების ზურგზე. სერ პიტმა როცა ინახა, ბოროტმოქმედნი შეპყრობილნი არიანო, სასახლისაკენ გაუტია.

„ყველა მსახური მზად იყო ჩვენს შესახვედრად და...

*

„აქ, ჩემო ძვირფასო გუშინღამ შემაწყვეტინა წერა კარზე ატეხილმა საშინელმა ბრახუნმა და როგორა გგონია, ვინ უნდა ყოფილიყო, სერ პიტ კროული ბრძანდებოდა თავისი საღამური ჩაჩითა და ხალათით. კარგი რამ დასანახავი კი იყო! ასეთი სტუმრის დანახვაზე მე უკან მივაწყდი. სერ პიტი შემობრძანდა, წაავლო ხელი სანთელს და მითხრა: „- თერთმეტი საათის შემდეგ სანთელი აღარ დავინახო, მის ბეკი. ადე და სიბნელეში დაიძინე, შე კუდრაჭავ, შე ლირფო, შენა! (სწორედ ასე მითხრა). - და თუ არ გინდა, რომ ყოველ ღამეს მოვიდე სანთლის გულისათვის, ჭკუაზე მოდი და თერთმეტამდე დაწექი. - და ამ სიტყვებით ის და ჰოროქსი, სახლთუხუცესი სიცილით გავიდნენ.

„რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ასეთი სტუმრობის საბაბს მათ აღარ მივცემ. ღამით ორი ვეება მეძებარი ძაღლი აუშვეს და წუხელ მთელ ღამეს შეჰყმუოდნენ და შეჰყეფდნენ მთვარეს.

- „ემ ძაღლს რჩოლიას ვეძახი, - თქვა სერ პიტმა, - ეგე ამ ძაღლმა კაცი მოახრჩო. გახელებულ მოზვრებსა სჯობნის! დედამისს ფლორას ვეძახოდი, მაგრამ ახლა დოღრიალას ვეძახი; ნამეტანი დაჩაჩანაკდა და ვეღარ იკბინება. ჰამ, ჰამ, ჰამ!

„დედოფლის კროულის სასახლეს, რომელიც მაღალსაკვამურებიანი და დედოფალ ბესის დროის ფრონტონებიანი საძაგელი, ძველებური წითელი აგურის შენობაა, წინ ტერასა აქვს. ამ ტერასის აქეთ -იქით საგვარეულო მტრედი და გველია გამოყვანილი და დიდი სადარბაზო კარი გამოდის. და ოჰ! ჩემო ძვირფასო, დიდი დარბაზი, დარწმუნებული ვარ, ისევე ვეებერთელა და პირქუშია, როგორც უდოლფოს ძვირფასი ციხის დიდი დარბაზი. დარბაზში უშველებელი ბუხარია. შიგ ქალბატონ პინკერტონის მთელი ნახევარი სასწავლებელი დაეტევა, ხოლო თვით ბუხრის კერა იმდენად მოზრდილია, რომ სულ უკანასკნელი, ერთი ხარი მაინც კარგად შეიწვება. კედლებზე კროულების არ ვიცი რამდენი თაობა ერთად კიდია, ზოგი წვერიანი და საყელონაოჭიანია, ზოგი ვეება პარიკიანი და ქუსლებმიტყუპებით გამოხატული. ზოგს გრძელი, კულულები აქვს და ოჰ! ჩემო ძვირფასო კორსეტი მგონი სულაც არ უნდა გააჩნდეს. დარბაზის ერთ ბოლოს მთლიანად შავი მუხის დიდი კიბე ადის, ისე პირქუში, რომ მეტი აღარ შეიძლება. აქეთ-იქით მაღალი კარებია, რომელთაც თავზე ირმის რქები აქვთ მიმაგრებული; ეს კარები საბილიარდოში, წიგნთსაცავში, დიდ ყვითელ დარბაზსა და დილით სამყოფელ ოთახებში გადის. მე მგონი, სულ ცოტა, ერთი ოცი საწოლი ოთახი მაინც იქნება პირველ სართულში. ერთ მათგანში ის საწოლი დგას, რომელშიც დედოფალი ელისაბედი განისვენებდა. ამ დილით ყველა ეს საუცხოო დარბაზი მომატარეს ჩემმა ახალმა შეგირდებმა. უნდა მოგახსენო, მარად დახურული დარაბები ამ სამყოფელთა პირქუშობას არას აკლებს და მათში, მგონი, ერთიც არ იქნება ისეთი, რომ აჩრდილის გამოჩენას არ ელოდე შიგნით, თუ სინათლე არ შეიძღვანე თან. სასწავლო ოთახი მეორე სართულშია, ერთ მხარეს ჩემი საწოლი ოთახი აქვს, მეორე მხარეს - ამ ახალგაზრდა მანდილოსნებისა. შემდეგ ბატონი პიტის სამყოფელი მოსდევს - იმას ბატონი კროულის ეძახიან, ეს უფროსი ვაჟი გახლავს; მერე ბატონი როუდონ კროულის ოთახებია, ეს ოფიცერი და, ერთ ვინმესავით, თავის რაზმში იმყოფება. გარწმუნებ, ოთახები თავზე საყრელად არის. მე მგონი, ამ სახლში მთელი რასელ-სკვერის ხალხი დაეტევა და კიდევაც დარჩება ადგილი.

„ჩვენ რომ მივედით, ნახევარი საათის შემდეგ დიდი სადილის ზარი დაირეკა და ჩემი ორი შეგირდითურთ ძირს ჩამოვედი.

ისინი ძალიან გამხდარი, უთვალადო, ერთიციცქნა გოგონები არიან, ერთი ათისა და მეორე რვა წლისა. შენი ნაჩუქარი საყვარელი მარმაშის კაბა მეცვა (რომლისთვისაც ისე ტლანქად მოიქცა მისის პინერი, აქაო-და ამას რად მიეცითო) - მე ხომ ოჯახის წევრივით უნდა მომექცნენ, გარდა წვეულების დღეებისა! მაშინ კი ჩემს ახალგაზრდა მანდილოსნებთან ერთად ზევით ვისადილებ ხოლმე.

„დიახ, დიდი სადილის ზარი დაირეკა და ყველანი მცირე სასტუმრო ოთახში შევიყარენით, სადაც ლედი კროული ზის ხოლმე. ეს მეორე ლედი კროული გახლავს - ამ ქალიშვილების დედა. რკინეულით მოვაჭრის ქალია და ამ ქორწინებას მისთვის დიდ პატივად თვლიდნენ. ჩანს, ერთ დროს ლამაზი ყოფილა და მისი თვალები თითქოს მუდამ მისტირის წარსულ სილამაზეს. ფერმკრთალი, მჭლე და ბეჭებში მოხრილია. ეტყობა ხმის ამოღებასაც ვერა ბედავს ხოლმე. მისი გერი, ბატონი კროულიც იქვე იყო. იგი სრულ სადარბაზო ტანსაცმელში გამოკაზმულიყო და ისე საზეიმო სახით ეჭირა თავი, გეგონებოდათ დაკრძალვის საქმეთა გამრიგებელია. ეს მისტერ კროული ფერმკრთალი, გამხდარი, უშნო და მდუმარეა. მკერდი არ გააჩნია; წვრილი ფეხები, თივისფერი ქილვაშები და ჩალისფერი თმა აქვს. იგი პირწავარდნილი სურათია თავის განსვენებული დედის, ბინკის კეთილშობილი ქალიშვილის, გრიზელდასი, რომლის სახეც ბუხრისთავიდან გადმოიყურება.

„- ეს ახალი აღმზრდელი ქალი გახლავთ, ბატონო კროული - მის შარპი! - უთხრა მას ლედი კროულიმ, რომელიც წინ წამოდგა და ხელი ხელში მომკიდა.

„ოჰ, - აღმოუტევა მისტერ კროულიმ, ერთხელ გამოიქნია წინ თავი და კვლავ განაგრძო დაწყებული კარგა მოზრდილი წიგნაკის კითხვა.

„- იმედი მაქვს გულკეთილად მოეპყრობით ჩემს გოგონებს, - მითხრა ლედი კროულიმ და შემომხედა თავისი აწითლებული, მუდამ ცრემლით სავსე თვალებით.

„- მაშა, დედი, რასაკვირველია, კეთილად მოგვექცევა, - თქვა უფროსმა და მე ერთი თვალის გადაკვრით შევატყვე, რომ ამ ქალის შიში არ უნდა მქონდეს.

„- ქალბატონო, სუფრა გაშლილი გახლავთ, - მოახსენებს შავებში გამოწყობილი სახლთუხუცესი. თეთრი ნაოჭიანი

საყელო აქვს გაკეთებული, რომელიც ისე გამოიყურება, თითქოს დიდ დარბაზში გამოხატულ დედოფალ ელისაბედის დროის სურათებისა იყოს. ქალბატონი კროული ხელს გაუყრის ბატონ კროულის და მიგვიძღვის სასადილო დარბაზისაკენ. მეც ჩემი შეგირდებითურთ მივყვები - მოწაფეები ხელჩაკიდებულნი მომდევენ.

„სერ პიტი უკვე დარბაზში ბრძანდებოდა. ხელში ვერცხლის სურა ეჭირა. სწორედ ახლახან ამოსულიყო მარნიდან და იმასაც აგრეთვე გამოეცვალა ტანსაცმელი; ესე იგი, გაეძრო წვივსათბურები და მოკლე, სქელი ფეხები შავი მატყლის წინდებით შეემოსა. ბუფეტი გაწყობილი იყო კრიალა ძველებური ჭურჭლეულით - ოქროს და ვერცხლის ძველებური თასებით, ძველებური სინებითა და საწვნეებით, თითქოს რანდელ ბრიჯის მაღაზია ყოფილიყო. სუფრაზედაც ყველაფერი ვერცხლისა იყო და მწითურთმიანი, ღია ყვითელი ფერის ლივრეებში გამოწყობილი ორი ფარეში აქეთ-იქიდან ამოსდგომოდა ბუფეტს.

ბატონმა კროულიმ გრძელი ლოცვა თქვა, სერ პიტმა „ამინო“ დააყოლა და საჭმელებსაც აჰხადეს ვერცხლის დიდრონი ხუფები.

„- რა გვაქვს სადილად ბეტსი? - იკითხა ბარონეტმა.

„- მგონი ცხვრის წვნიანი, სერ პიტ, - მოახსენა ლედი კროულიმ.

„- mouton aux nevets[29] - დასძინა სახლთუხუცესმა მძიმედ (გეთაყვა, წარმოთქვი - <<მუტონგონევი>>); - ხოლო წვენი გახლავთ - potage de mouton a l`, Ecossaise[30] დასაყოლებლად კი - pommes de terre au naturel და coufleur a l`eau[31].

„- ცხვრის ხორცი ცხვრის ხორცია, - განაცხადა ბარონეტმა, - და კარგი რამაც არი ეგა რომელი მცხვარი იყო, ჰოროქს, როდის დაკალით?

„- თავშავა შოტლანდიური ცხვრებისა გახლავთ, სერ პიტ, ხუთშაბათს დავკალით.

„- დანარჩენი ვინ წაიღო?

„- მადბერელმა სტიილმა წაიღო ზურგის შუა წელი და ორი ბარკალი, სერ პიტ: მაგრამ ჩიოდა, ძალიან ახალგაზრდაა და ცარიელი მატყლით, სერ პიტ.

„- ხომ არ გნებავთ potage? მის ჰმ...მის ბლანტ, - ბრძანა ბატონმა კროულიმ.

„- ძაან შოტლანდიური წვენია, გენაცვა, - თქვა სერ პიტმა, - თუმცა ფრანგულ სახელს კი ეძახიან.

„- მე მგონი, წარჩინებულ საზოგადოებაში წესად გახლავთ, ბატონო, - ბრძანა გაფიცხებულმა ბატონმა კროულიმ. - ამ ულუფას ის სახელი უწოდონ, რომელიც მე მოგახსენეთ. - და ეს წვენი კიდეც მოგვართვეს ყვითელლივრეიანმა ფარეშებმა ვერცხლის მათლაფებით და mouton aux nevets-თ. მერე წყალშერეული ლუდი ჩამოგვირიგეს საღვინე ჭიქებით ჩვენ, ახალგაზრდა ქალებს. ლუდის მსაჯულად არ გამოვდგები, მაგრამ გულწრფელად კი უნდა ვთქვა, წყალი მირჩევნია.

„სანამ ჩვენ შევექცეოდით, სერ პიტმა მოასწრო და იკითხა, ცხვრის ბეჭებს რაღა უყავითო?

„- მგონი, საჯალაბოში შეჭამეს, - მორიდებით მოახსენა ქალბატონმა.

„- დიახ, ქალბატონო, - კვერი დაუკრა ჰოროქსმა, - მაგრამ დიდი ვერაფერი გემო ავართვით.

„სერ პიტმა გადაიხარხარა და განაგრძო მუსაიფი მისტერ ჰოროქსთან: „- აი, ი კენტური ნეზვის შავი გოჭი და ახლა გვარიანად ჩათქვირებული იქნება!

„-მაინცდამაინც ჯერ-ჯერობით არც თუ ისე ასკდება კანი, სერ პიტ, - მოახსენა ერთობ სერიოზულად სახლთუხუცესმა, რაზედაც სერ პიტს და მასთან ერთად ახლა ყმაწვილ ქალებსაც თავშეუკავებელი სიცილი აუტყდათ.

„- მის კროული, მის როზ კროული, - ბრძანა ბატონმა კროულიმ, - თქვენი სიცილი სრულიად უმიზეზოდ მეჩვენება!

„- არხეინად იყავ, ბატონო ჩემო, - განაცხადა ბარონეტმა, - გოჭის ხორცს შაბათს ვიგემებთ. ერთი შაბათ დილას გამოსჭერ იმას ყელი, ჯონ ჰოროქს. მის შარპს ძალიან უყვარს ღორის ხორცი, არა, მის შარპ?

„და მე მგონი, ეს არის მთელი მუსაიფი სუფრაზე, რაც მახსოვს. პურობა რომ დასრულდა, სერ პიტს ცხელი წყლით სავსე სურა და, ალბათ, რომიანი ბოთლი დაუდგეს წინ. მისტერ ჰოროქსმა

მე და ჩემს შეგირდებს სამი პაწია ღვინო მოგვართვა, ხოლო ქალბატონს მოზრდილი ფიალა აუვსო. როცა სასადილოდ გავედით, ქალბატონმა თავის სამუშაო უჯრიდან ვეებერთელა, გაუთავებელი საქსოვი ამოიღო, გოგოები კი გაქონილი ბანქოთი კრიბიჯის თამაშს შეუდგნენ. მხოლოდ ერთი სანთელი ენთო, მაგრამ საუცხოო ძველებურ ვერცხლის შანდალში კი იყო ჩამაგრებული. ქალბატონმა ერთი-ორიოდეჯერ მკითხა რაღაც, მერე ჩემს არჩევანზე მიდგა საქმე, რითი შემექცია თავი: ქადაგებათა კრებულით თუ პურის კანონების შესახებ დაწერილი იმ წიგნაკით, რომელსაც სადილის წინ ბატონი კროული კითხულობდა.

„ასე დავყავით ერთ საათს, ვიდრე ფეხის ხმა არ შემოგვესმა.

„- შეინახეთ ბანქო, გოგოებო! - შესძახა უზომოდ დამფრთხალმა ქალბატონმა, - დააწყეთ ბატონ კროულის წიგნები, მის შარპ! - და ძლივს მოვასწარით ამ ბრძანებათა აღსრულება, რომ ბატონი კროული შემოვიდა ოთახში.

„- ჩვენ განვაგრძობთ გუშინდელ ბაასს. ქალიშვილებო, - თქვა მან, - და თქვენ რიგ-რიგობით იკითხავთ თითო გვერდს; ასე რომ მის ე...მის შორტს შესაძლებლობა ექნებათ მოგისმინოთ. - და საწყალი გოგონები შეუდგნენ გრძელი, გულისგამაწვრილებელი ქადაგების ჩამარცვლით კითხვას. ეს ქადაგება ეთქვათ ლივერპულს, ბითესდას ეკლესიაში, ჩიკესოს ინდიელების მოქცევის თაობაზე. განა მომხიბლავი საღამო არ იყო?

„ათზე მსახურებს უბრძანეს, სერ პიტი და შინამოსამსახურეები მოეწვიათ ლოცვისთვის. პირველად სერ პიტი შემოვიდა. ერთობ აღაჟღაჟებული ბრძანდებოდა და ფეხზედაც, ცოტა არ იყოს, მაგრად ვერა გრძნობდა თავს. იმას მოჰყვნენ სახლთუხუცესი, ყვითელსამოსიანი ფარეშები, ბატონი კროულის მსახური, საჯინიბოს სუნით გაჟღენთილი სამი სხვა მსახური და ოთხი დედაკაცი, რომელთაგან ერთი, შევამჩნიე, ძალიან გამოპრანჭულიყო და მუხლებზე რომ ეშვებოდა, დიდის ზიზღით გადმომიტრიალა თვალები.

„მას შემდეგ რაც მისტერ კროულიმ გვიქადაგა და რჩევა-დარიგება მოგვახსენა. სანთლები დაგვირიგეს და დასაწოლად გავემართეთ. სწორედ მაშინ შემაწყვეტინეს წერა, როგორც გიყვებოდი, ჩემო უძვირფასესო, უტკბესო ემილია.

„ღამე მშვიდობისა. ათას, ათას კოცნას გიგზავნი.

„შაბათი. - ამ დილით, ხუთ საათზე, პატარა შავი გოჭის ჭყივილი შემომესმა. როზმა და ვაილიტმა გუშინ გამაცნეს იგი. გამაცნეს აგრეთვე საჯინიბოები, ძაღლების სადგომი და მებაღე, რომელიც ბაზარში გასაგზავნად ხილსა კრეფდა. გოგოები ყელაწეული ემუდარნენ, სათბურში მოწეული ყურძნის ერთი მტევანი მაინც მოგვეციო; მაგრამ მან თქვა, სერ პიტს ყველა მარცვალი დათვლილი აქვს და თქვენ რომ მოგცეთ, აქედან გამაგდებსო. ძვირფასმა გოგონებმა ცხენებისათვის შემორაგულ ადგილში ულაყი დაიჭირეს. მთხოვეს, თქვენ ხომ არ შეჯდებითო და თვითონ დაუწყეს ჭენება, სანამ უშვერი ლანძღვა-გინებით მეჯინიბე არ მივარდა და არ იფრინა იქიდან.

„ლედი კროული სულ თავის შვილის საქსოვებს ჩაჰკირკიტებს. სერ პიტი ყოველ საღამოს შექეიფიანებული და, მე მგონი, ჰოროქსთან, სახლთუხუცესთანა ზის. ბატონი კროული სულ ქადაგებებს კითხულობს საღამოობით; დილაობით ან თავის კაბინეტშია ჩაკეტილი, ანდა მადბერის მიემგზავრება საგრაფოს საქმეებზე, ან კიდევ სკუოშმორს. სადაც ოთხშაბათობითა და პარასკეობით იქაურ მოდარაჯეებს უქადაგებს.

„ასიათასი გულითადი მადლობა შენს ძვირფას მამიკოს და დედიკოს. შენი საბრალო ძმა მომჯობინდა თუ არა არყის პუნშის სმის შემდეგ? ოჰ, ძვირფასო, ძვირფასო! როგორ უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანი საძაგელ არყის პუნშს!

„მარად და მარად შენი ერთგული

რებეკა“.

ყველაფერი რომ ავწონ-დავწონოთ, მე მგონია, რომ, ძალიან კარგიც არის ჩვენი საყვარელი რასელ-სკვერელი ემილია სედლისთვის, მის შარპი და იგი შორი-შორს რომ არიან. უეჭველია, რებეკა ენამოსწრებული, მხიარული გოგონაა; მისი აღწერილობანი უბადრუკი მანდილოსნისა, რომელიც თავის სილამაზეს მისტირის და „თვისიფერ ქილვაშებიან და ჩალისფერ თმიან“ დარბაისლისა, უთუოდ მოხდენილია და ცხოვრების დიდ ცოდნას ამჟღავნებს. ხოლო მას მუხლებზე დაჩოქილს, მის ჰოროქსის ბაბთებზე უკეთესი საფიქრებელი რომ არა ჰქონდა რა თავში, ალბათ ამ გარემოებამ ჩვენ ორთავე გაგვაკვირვა. მაგრამ ჩემმა გულკეთილმა მკითხველმა კეთილი ინებოს და მოიგონოს, რომ ამ ამბავს სახელად „ამაოების

ბაზარი“ ეწოდება და ამაოების ბაზარი კი ერთობ ამაო, საძაგელი, დამთხვეულთა შესაფერი ადგილია, აღვსილი ყველა ჯურის თაღლითობით, მუხანათობითა და თვალის ახვევით. თუმცა გარეკანზე გამოხატული მოძღვარი, რომელიც ხალხის წინაშე წარმომდგარია (იგი თქვენი უმორჩილესი მონის ჭეშმარიტი გამოსახულება გახლავთ), აცხადებს, არც მოსასხამს და არც ბაბთებს არ ვატარებ, არამედ მხოლოდ სწორედ ისეთივე ტაკიმასხარული სამოსი მაცვია, რომელშიც ჩემი მრევლია გამოწყობილიო; - მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ კაცმა, რამდენადაც ძალუძს, ჭეშმარიტება უნდა აღიაროს, სულ ერთია, მას ტაკიმასხარის ეჟვნებიანი ჩაჩი ხურავს თუ მღვდლის ფართოფარფლებიანი ქუდი და გვარიანი არასასიამოვნო შედეგებიც გამოტყვრება ხოლმე საქმის ასე წარმართვით.

ერთხელ ნეაპოლში მეზღაპრეობის ხელობის ერთ ჩემს თანამოძმეს ვუგდებდი ყურს. ზღვის პირს უქნარა, მიამიტო დოყლაპიების ბრბოს უქადაგებდა და რისხვითა და ვნებით ისე აიდუღა გული იმ გარეწართა მიმართ, რომელთა ბოროტ ნამოქმედარსაც ისე აღწერდა და სთხზავდა, რომ მსმენელებმა ვეღარ მოითმინეს და მათ, და თვით პოეტმაც, ღრიალი ატეხეს. დაუწყეს ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა ნაამბობში გამოყვანილ მოგონილ არამზადას. ასე რომ, როცა ქუდი ჩამოატარეს, აღტყინებული თანაგრძნობის ჭეშმარიტ ქარიშხალში ცვიოდა შიგ წვრილი ფული.

სხვა მხრივ კიდევ პარიზის პატარა თეატრებში არა მარტო ყურს მოჰკრავთ ხალხის კივილს: „Ah gredin! Ah monster!“[32] და პიესაში გამოყვანილი მტარვალის ლანძღვას ლოჟებიდან, არამედ თვით მსახიობებიც პირდაპირ უარს ამბობენ უგვანი როლების თამაშზე - ისეთებისა, მაგალითად, როგორიც გახლავთ infames Anglais,[33] ულმობელი კაზაკები და რა არა, და ამჯობინებენ უფრო მცირე ჯამაგირი მიიღონ, ოღონდ თავიანთი ნამდვილი სახით გამოვიდნენ, ვითარცა ჭეშმარიტი ფრანგები. ეს ორი ამბავი განგებ დავუპირისპირე ერთმანეთს, რათა დარწმუნდეთ, რომ ამ წარმოდგენის გამმართველს უბრალო ანგარებიანი განზრახვით კი არა სურს თქვენთვის თავისი არამზადების ჩვენება და მათი სასტიკად გამათრახება, არამედ იმიტომ, რომ მას წრფელი გულითა სძულს ისინი; ეს სიძულვილი ვერ დაუძლევია და სწორედ ეს სიძულვილი ჰპოვებს გამოსავალს შესაფერ ლანძღვა-გინებასა და

ავსიტყვაობაში.

მაშ ვაფრთხილებ ჩემს გულკეთილ მეგობრებს, რომ ვაპირებ აღმაშფოთებელი გარეწრობის და დახლართული, მაგრამ - როგორც მე დარწმუნებული ვარ - ძალიან საინტერესო დანაშაულის ამბის მოყოლას. ჩემი არამზადები, პირობას გაძლევთ, არ გახლავან უბრალო, უსუსური არამზადები. როცა სათანადო ადგილს მივაღწევთ, არ დავზოგავთ ენაწყლიანობას... არა! ოღონდ როცა მშვიდობიან კუთხეში მივემართებით, ჩვენც იძულებული ვართ წყნარად ვიაროთ. ქარიშხლისა და ფრთონის წარმოდგენა ჩაის ჭურჭლის გასარეცხ ჯამში უგუნურებაა. ამისთანებს მძლავრი ოკეანისა და შუაღამის წყვდიადისათვის შემოვინახავთ. ეს თავი ძალიან მშვიდი იქნება. სხვანი... მაგრამ მოდი, ნუ გადავახტებით მათ. და როცა ჩემს გმირებს თანდათან გამოვიყვან, გთხოვთ ნება მიბოძოთ, ვითარცა ადამიანსა და თანამოძმეს, არა მარტო წარმოვიდგინოთ და გავაცნოთ ისინი, არამედ ხანდახან სასცენო ბაქნიდანაც ჩამოვიდე და მოგემუსაიფოთ. თუ კარგნი და კეთილნი არიან, გვიყვარდეს და ვართმევდეთ ხელს; თუ ბრიყვები არიან, პირზე ხელმოფარებით ვიქირქილოთ მკითხველთან ერთად; თუ გარეწარნი და უგულონი არიან, უსასტიკესი სიტყვითა ვლანძღოთ, რამდენადაც უფლებას გვაძლევს თავაზიანობის წესები.

სხვანაირად რომ მოგახსენოთ, თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ეს მე გახლდით, იმ ღვთისმოსაობას რომ მასხრად ვიგდებდი, რომელიც მის შარპს ასე სასაცილოდ ეჩვენება. აგრეთვე მე გახლდით, გულკეთილად რომ დავცინოდი რაცრაცით მიმავალ ბებერ სილენოსს - ბარონეტს; - მაშინ როდესაც იცინის ის, ვინც შეძლებულობის გარდა სხვას არასა სცემს პატივს და წარმატების გარდა სხვას არას უცქერის. ასეთი ხალხი ცხოვრობს და იფურჩქნება ამ წუთისოფელში - ურწმუნონი, უიმედონი, ულმობელნი. მოდით, ძვირფასო მეგობრებო, გავილაშქროთ მათზე მთელი ძალითა და ღონით. ზოგიერთი უბრალო თაღლითი და ტაკიმასხარაა (და დიდი წარმატებაცა აქვთ მოპოვებული) და, უეჭველია, სწორედ ამისთანების წინააღმდეგ საბრძოლველად და განსაქიქებლად არის გამოგონილი სიცილი.

თავი IX. ოჯახის პორტრეტი

სერ პიტ კროული, როგორც იტყვიან, მდაბიური ცხოვრების მოყვარული ბრძენი გახლდათ. პირველი ცოლი, კეთილშობილი ბინკის ასული, მშობლების დაჟინებითი რჩევით შეირთო და ხშირად ეუბნებოდა ლედი კროულის: ისე საძაგელი, ჭირვეული, წმინდა სისხლის ჯაგლაგი ხარ, როცა მოკვდები, დაე ჩამომახრჩონ, თუ კიდევ ოდესმე შენისთანა ვინმე ვითხოვოო. ქალბატონი რომ გარდაიცვალა, სერ პიტმა მართლაც შეასრულა დაპირება და მეორე ცოლად მის როზ დისონი მოიყვანა, რკინეულით მოვაჭრე მადბერელ მისტერ ჯონ ტომას დოსონის ასული. ოჰ, რა ბედი ეწია როზს, ლედი კროული რომ გახდა.

აღვნუსხოთ მისი ბედნიერების მთავარი ამბები. უპირველეს ყოვლის, მან თავი დაანება ახალგაზრდა პიტერ ბატს, რომელთანაც მეგობრობდა. სიყვარულში ასე იმედგაცრუებულმა ყმაწვილმა კი ხელი მიჰყო ფარულ ვაჭრობას, სხვის ტყეებში ნადირობას და ათას სხვა უგვან საქმეს. მერე კიდევ როზი, როგორც მოვალე იყო, ახალგაზრდობის ყველა ამხანაგსა და მეგობარს წაეჩხუბა, რომელთა სტუმრად მიღება, რასაკვირველია, აღარ შეეძლო მას დედოფლის კროულში; თანაც ახალ, წარჩინებულ სამეფოში ვერავინ იპოვა ისეთი, ვინც სიამოვნებით შეხვდებოდა მის მოსვლას. ანდა განა ვინ იზამდა ამას? სერ ჰადლსტონ ფადლსტონს სამი ქალიშვილი ჰყავდა და სამივეს იმედი ჰქონდა, ლედი კროული გავხდებიო. სერ ჯაილზ უოპშოტის ოჯახი შეურაცხყოფილი გახლდათ, რადგან ქორწინებაში უოპშოტის ერთ რომელიმე ქალიშვილს არ მიანიჭეს უპირატესობა; და საგრაფოს დანარჩენი ბარონეტებც განაწყენებული იყვნენ მათი სწორის შეუფერებელი ქორწინების გამო. უბრალო ხალხს ხომ არ ვიხსენიებთ, დაე განაგრძონ ბუზღუნი.

სერ პიტს, როგორც თვითონ ამბობდა, ყველანი ფეხებზე ეკიდა. კოხტა როზი კი იგდო ხელთ და აბა სხვა რაღა უნდოდა თავისი სიამოვნებისათვის კაცს? იგი ყოველღამე თვრებოდა; ხანდახან თავის ლამაზ როზის მობეგვავდა კიდეც, ხოლო როცა ლონდონს, პარლამენტში სესიაზე მიბრძანდებოდა, მთელ ამ ვეება ქვეყნიერების ზურგზე მარტოდმარტო, უმეგობროდ

მიატოვებდა ხოლმე მას ჰემპშირში. თვით მისის ბიუტ კროულიმ, მღვდლის ცოლმაც კი იუკადრისა მასთან მისვლა; როგორც თვითონ განაცხადა, ჩემს ფეხს არასოდეს მივდგამ მედუქნის გომბიოსთანაო.

ვინაიდან ერთადერთი ღირსება, რითაც ბუნებამ დააჯილდოვა ლედი კროული, მხოლოდ წითელი ლოყები და თეთრი პირისკანი გახლდათ, და ვინაიდან მას არც მტკიცე ხასიათი გააჩნდა, არც რაიმე ნიჭი, არც აზრი, არც საქმე, არც გასართობი, არც სულის ის ძალა და სიავე, რომელიც ხშირად ხვდება ხოლმე წილად ძალიან სულელ დიაცებს, ამიტომ სერ პიტის გრძნობებზე ვერაფერი დიდი გავლენა მოეპოვებოდა. მის ღაწვებს ვარდისფერი დაეკარგა, ხოლო ორიოდე ბალღის დაბადების შემდეგ მის ტანადობასაც მოაკლდა საამური სიკოხტავე და სიქორფე და ქმრის ოჯახში უბრალო მანქანადღა გადაიქცა, ისევე არაფრის მაქნისად, როგორც განსვენებული ლედი კროულის როიალი. რადგან თეთრი ქალი იყო, ტანსაცმელსაც ბაცს იცვამდა, როგორც ქერა მანდილოსნების უმრავლესობას სჩვევია, და უმეტესად ჭუჭყიანი-მომწვანო ზღვისფერი, ან მიჩეჩილ-მოჩეჩილი ცისფერი კაბით დადიოდა. დღე და ღამე იმ ნართის საქსოვს ან სხვა სახელსაქმოს ჩაჰკირკიტებდა. რამდენიმე წელიწადში კროულის ყველა საწოლს მოუქსოვა გადასაფარებელი. ერთი პატარა ყვავილების ბაღიც ჰქონდა, რომლისადმიც ცოტაოდენი სიყვარტული ეტყობოდა, მაგრამ ამას იქით კი აღარ მიდიოდა არც მისი სიყვარული, არც სიძულვილი. როცა ქმარი ტლანქად მოექცეოდა, გულგრილად იტანდა, როცა სცემდა - ტიროდა. ხასიათის იმდენი სიმტკიცეც არ გააჩნდა, რომ ლოთობისათვის მიეყო ხელი და, ფლოსტებითა და თმის დასახუჭუჭებელი ქაღალდებით შემოსილი, მთელ დღეს ოხრავდა. ოჰ, ამაოების ბაზარო, ამაოების ბაზარო! შენ რომ არა, ეს ხომ მხიარული ქალი იქნებოდა; პიტერ ბატ და როზი ბედნიერი ცოლ-ქმარი იქნებოდნენ; პატარა მყუდრო მეურნეობას გამართავდნენ სოფლად; გულიან ოჯახს შექმნიდნენ და იწვნევდნენ სიამოვნებითა, ზრუნვათა, იუმედებისა და ჭირ-ვარამის საკმაო წილს. მაგრამ ამაოების ბაზარში წოდება და ოთხცხენიანი ეტლი უფრო ძვირფასი სათამაშოებია, ვიდრე ბედნიერება და ჰარი მერვე ან ლურჯწვერა რომ ახლა ცოცხალნი იყვნენ და მეათე ცოლი მოინებონ, როგორ გგონიათ, განა ვერ ჩაიგდებენ ხელში ამ სეზონის ულამაზეს ქალს?

დედიკოს უნიათო მოწყენილობა, როგორც წარმოსადგენია, ძალიანაც არ აწუხებდათ მის პატარა ქალიშვილებს; პირიქით, ფრიად ბედნიერად გრძნობდნენ თავს საჯალაბოსა და საჯინიბოებში. საბედნიეროდ შოტლანდიელ მებაღეს გულკეთილი ცოლი და რამდენიმე ჩინებული შვილი ჰყავდა და მათ ქოხში ბატონი ქალებმა მცირეოდენი ჯანსაღი საზოგადოება და აღზრდა ჰპოვეს. ეს იყო და ეს მთელი მათი აღზრდა-განათლება მის შარპის მოყვანამდე.

მის დაქირავებას მისტერ კროულის შთაგონებას უნდა ვუმადლოდეთ. მისტერ კროული ხომ ერთადერთი მეგობარი და მფარველი იყო ლედი კროულისა მთელ მის სიცოცხლეში და ერთადერთი პიროვნება, შვილების გარდა, რომლისადმიც ქალბატონი მცირეოდენ, უნიათო სიყვარულსა გრძნობდა. ბატონი პიტი კეთილშობილი ბინკის ოჯახსა ბაძავდა, რომლსაც ენათესავებოდა, და ფრიად ზრდილი და თავაზიანი დარბაისელი ბრძანდებოდა. როცა დავაჟკაცდა და კრაისტ-ჩერჩიდან დაბრუნდა, სასახლის შერყეული წესრიგის განმტკიცებას შეუდგა და არ დაერიდა მამას, რომელსაც ეშინოდა მისი. მისტერ კროული სიფაქიზისა და წესრიგიანობის ისე მკაცრი მიმდევარი გახლდათ, რომ შიმშილით სიკვდილს ამჯობინებდა, თუ სადილად თეთრი ყელსახვევი არ ექნებოდა გაკეთებული. ერთხელ კოლეჯიდან სწორედ ახალი დაბრუნებული რომ იყო და სახლთუხუცესმა ჰოროქსმა სინზე დაუდებლად მოართვა ბარათი, ისეთი თვალით გადახედა ამ შინამოსამსახურეს და ისე მკვახე სიტყვით დატუქსა, რომ მას შემდეგ მუდამ ცახცახებდა იგი მისტერ კროულის წინაშე. მთელი ოჯახი ქედს უხრიდა მას: ლედი კროულის თმის დასახვევი ქაღალდები მანამდე გაჰქრა, ვიდრე მისტერ კროული შინ დაბრუნდებოდა; სერ პიტის წვერიანი წვივსათბურებიც გაუჩინარდა. და თუ ეს გამოუსწორებელი ბერიკაცი ზოგ ძველ ჩვეულებას ვერ იშლიდა, შვილის დასანახად მაინც აღარ ილეშებოდა წყალშერეული რომით; მსახურებსაც მხოლოდ ძალიან თავშეკავებული და თავაზიანი კილოთი ელაპარაკებოდა და იმათაც შეამჩნიეს, რომ სერ პიტი აღარ ლანძღავდა ლედი კროულის, როცა მისი ძე შინ იმყოფებოდა.

მისტერ კროული გახლდათ, სახლთუხუცესს რომ დაასწავლა: „ქალბატონო, სუფრა გაშლილია“, და იმანვე ჩაიჟინა ქალბატონის ხელიხელგაყრილი წაბრძანება სასადილოდ. იგი

იშვიათად ელაპარაკებოდა მას, მაგრამ თუ დაელაპარაკებოდა - დიდის მოწიწებითა და თავაზით. არც არასოდეს გაისტუმრებდა მას ოთახიდან, რომ არ წამომდგარიყო, ერთობ საზეიმო სახით არ გამოეღო კარი და მოხდენილი თაყვანისცემით პატივი არ ეცა ქალბატონის გარეთ გაბრძანებისათვის.

მას იტონში მის კროულის ეძახდნენ და იქ, მწუხარებით უნდა მოგახსენოთ, უმცროსი ძმა როუდონი ერთობ უმოწყალოდ უბარტყუნებდა ხოლმე. დიდი ვერაფერიშვილი ნიჭიერი იყო. მაგრამ ნიჭის ნაკლებობას საქებური შრომისმოყვარეობით ინაზღაურებდა და რვა წელიწადს სასწავლებელში ყოფნის განმავლობაში, არავის სმენია. რომ მას ხვდენოდა ის სასჯელი, რომელსაც, ვითარცა საერთოდ ცნობილია, ქერუბიმნის გარდა ვერავინ გადაურჩება.

კოლეჯში მისი სწავლა, რასაკვირველია, დიდად საპატიო და ქების ღირსი იყო. აქ ემზადებოდა იგი საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობისათვის, რომელშიც პაპამისს, ლორდ ბინკის, მფარველობით უნდა შეედგა ფეხი. დიდის გულმოდგინებით სწავლობდა ძველსა და ახალ ორატორებს, აგრეთვე გაუცდენლად ამბობდა სიტყვებს საჯარო შეკრებილობებში. მაგრამ თუმცა ენაზე ჭალი არ ადგებოდა, წვრილ ხმას დიდის რიხითა და თავის თავისათვის დიდის სიამოვნებით ხმარობდა და არც არასოდეს გამოთქვამდა რაიმე გულისპასუხს ან აზრს, რომელიც სრულიად მოცვეთილი, ძველი და თანაც ლათინური ციტატით შემაგრებული არ იქნებოდა, მაინც მიუხედავად მისტერ კროულის ამ საშუალო ნიჭიერებისა, რომელსაც ყველასათვის უნდა უზრუნველყო წარმატება, იგი რატომღაც ჩაფლავდა გამოცდებში; მან ლექსისთვისაც ვერ მიიღო ჯილდო. თუმცა ყველა მისი მეგობარი დარწმუნებული იყო, რომ მას უნდა რგებოდა.

სასწავლებლის დამთავარების შედმეგ ლორდ ბინკის პირად მდივნად დადგა, მერე კი პუმპერნიკელის საელჩოს ატაშედ დაინიშნა. ამ თანამდებობას სრული ღირსებით აღასრულებდა და ეზიდებოდა სამშობლოში სასამსახურო უწყებებს, რომელიც მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილ შტრასბურგულ ღვეზელებს შეიცავდა. ათ წელიწადს ატაშედ ყოფნის შემდგომ (ღირსსახსოვარ ლორდ ბინკის მიცვალებიდან რამდენიმე წლის მერე), სამსახურში წინსვლას რომ ცუდი პირი

დაეტყო, ცოტა არ იყოს, ზიზღით დააგდო სადიპლომატო მოღვაწეობა და სოფლის ასპარეზს მოუბრუნდა.

ინგლისს დაბრუნებისთანავე დაწერა წიგნი ალაოს შესახებ (რადგან პატივმოყვარე კაცი გახლდათ და ყოველთვის სურდა ხალხში თავის გამოჩენა) და გულმოდგინე მონაწილეობა მიიღო ზანგების განთავისუფლების საკითხზე კამათში. შემდეგ ბატონი უილბერფოსის მეგობარი გახდა, რომლის პოლიტიკასაც ეთაყვანებოდა და გააბა სახელგანთქმული მიწერ-მოწერა ღირს მამა საილეს ჰორნბლოუერთან აშანტიების მოქცევის თაობაზე. მისტერ კროული ხშირად ჩადიოდა ლონდონს, თუ პარლამენტის სესიისთვის არა, მაისში მაინც - სასულიერო შეკრებილობებისათვის. სოფლად მომრიგებელ მოსამართლედ იყო, თანაც გულმოდგინედ დადიოდა და ქადაგებდა იმათ თავყრილობებში, ვინც სულიერ წინამძღვრობას საჭიროებდნენ. ამბობდნენ, ლედი ჯეინ შიიპშენკსს ეტრფისო, ლორდ საუთდაუნის მესამე ასულს, რომლის და, ლედი ემილი, ავტორი გახლავთ ჩინებული წიგნაკებისა: „მეზღვაურის ჭეშმარიტი კომპასი“ და „ფინჩლის სამრევლოელი ვაშლის გამყიდველი დედაკაცი“.

მის შარპისაგან აღწერილი მის მოღვაწეობა დედოფლის კროულიში გაზვიადებული არ იყო. იგი აღასრულებინებდა მსახურებს ზემოხსენებულ საღვთისმოსაო საქმეებს, რომლებშიც (და მით უკეთესი!) მამამისიც კი ჩაითრია. მისტერ კროული კროულის სამრევლოს ინდეპენდენტთა საკრებულოსაც მფარველობდა, რაც ძალიან არ ეჭაშნიკებოდა ბიძამისს, მღვდელს, და, მაშასადამე, ფრიად ახარებდა სერ პიტს, რომელიც ერთი ორჯერ კიდეც დაესწრო ინდეპენდენტთა თავყრილობას; ამან კი კროულის სამრევლოს ეკლესიაში რამდენიმე მრისხანე ქადაგება გამოიწვია და ეს ქადაგებანი პირდაპირ ბარონეტის ძველებური გოთური სავარძლისკენ იყო მიმართული. ოღონდ პატიოსან სერ პიტს ამ სიტყვების ძალა არ უგრძვნია, ვინაიდან სწორე ქადაგების დროს უყვარდა ხოლმე ყოველთვის თვალის მოტყუება.

მისტერ კროული, ერისა და მთელი საქრისტიანოს კეთილდღეობის გულისათვის, დიდად მოწადინებული იყო, მოხუცისათვის პარლამენტის ადგილი დაეთმობინებინა, მაგრამ მამა მუდამ უარით ისტუმრებდა. ორთავე, რასაკვირველია, იმდენად წინდახედული ბრძანდებოდა, რომ

არც ერთს არ ნებავდა წელიწადში თხუთმეტი ასი გირვანქა სტერლინგის დაკარგვა, რომელიც პარლამენტის მეორე ადგილს შემოჰქონდა (ამ დროს ეს ადგილი მისტერ კუოდრუნს ეპყრა და მინიჭებულიცა ჰქონდა უფლება სრულიად შეუზღუდავად ემოქმედა მონათა საკითხის განხილვაში). მართლაც, საგვარეულო მამული ძალზედ დავალიანებული იყო და დაბის საპარლამენტო ადგილის შემოსავალი ძალიან ეშველებოდა დედოფლის კროულის ბატონის სახლს.

ოჯახმა არ იქნა და ვეღარ მოიხადა მძიმე ჯარიმის გადახდევინებით მოყენებული ზარალი, რომელიც პირველ ბარონეტ სერ უოლპოლ კროულის აზღვევინეს სახელმწიფო ბეჭდის უწყებაში სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის. სერ უოლპოლი მხიარული ვაჟბატონი ბრძანდებოდა, უყვარდა ფულის შოვნაც და ხარჯვაც (alieni appetens, sui profusus[34], როგორც მისტერ კროული იტყოდა ხოლმე ოხვრით) და თავის დროის მთელ საგრაფოში დიდი სახელი და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი ლოთიფოთობისა, ღრეობისა და სტუმართმოყვარეობის წყალობით, რაიც სჩვეოდა მაშინდელ დედოფლის კროულის. მაშინ მარნები ბურგუნდიული ღვინით იყო სავსე, ძაღლების სადგომები - ძაღლებით, საინიბოები- საუცხოო ტაიჭებით; ახლა კი დედოფლის კროულში მხოლოდ ისეთი ცხენებიღა მოიპოვებოდა, რომელთაც გუთანში აბამდნენ, ან კიდევ თრაფალგარის საფოსტო ეტლში და მის შარპი სწორედ ასეთმა ცხენებმა მოაბრძანეს უქმე დღეს სასახლეში; რადგან, მართალია, სერ პიტი ტლანქი ვინმე გახლდათ, მაგრამ შინ ყოფნაში თავგამოდებით იცავდა თავის ღირსებას. იშვიათად გამოსდგამდა ფეხს თუ არ ოთხცხენიანი ეტლით და თუმცა სადილად მოხარშული ცხვრის ხორცით გადაივლიდა ხოლმე, ყოველთვის სამი ფარეში კი ადგა თავს.

მარტო ყაირათიანობა რომ კაცს ამდიდრებდეს, სერ პიტ კროული ძალიან მდიდარი იქნებოდა. რომელიმე პროვინციული ქალაქის ვექილი რომ ყოფილიყო და საკუთარი ჭკუის გარდა სხვა არაფერი ჰბადებოდა, ადვილად შესაძლებელია, ჩინებულად მოიხმარდა მას და საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას და ქონებასაც შეიძენდა. მაგრამ მისდა სავალალოდ კარგი გვარისშვილი ბრძანდებოდა, თანაც დიდი მაგრამ დავალიანებული მამულის პატრონი გახლდათ, და ორივე ეს გარემოება უფრო უკან სწევდა მათ საქმეს, ვიდრე წინ. სასამართლოებში სიარული უყვარდა. ეს სიამოვნება

ყოველწლიურად მრავალი ათასი უჯდებოდა და ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობდა, იმდენად ჭკვიანი იყო, რომ თავს არ გააძარცვინებდა ვინმე ერთ ვექილს, საქმეებს ათიოდეს ააფუშ-დააფუშვინებდა და ყველა მათგანს ერთნაირად არ ენდობოდა. ისეთი აჯამი მემამულე იყო, რომ გაკოტრებული მოიჯარადრეთა გარდა სხვა იშვიათად ეკარებოდა. თან ძალიან ხელმოჭერილი მეურნე გახლდათ, ისე ხელმოჭერილი რომ მიწაში ჩაგდებულ თესლსაც კი მისტიროდა, ამიტომ შურისმაძიებელ ბუნებასაც კი არ ემეტებოდა მისთვის ისეთი მოსავალი, რასაც ჩვეულებრივ უფრო ხელგაშლილ მხვნელ-მთესველთ უწყალობებდა ხოლმე.

სერ პიტი ყველგან გამოსარჩენს ეძებდა: ამუშავებდა მაღაროებს, ყიდულობდა არხების წილს, საფოსტო ეტლებისათვის აქირავებდა ცხენებს, ხელშეკრულებით იღებდა სახელმწიფო საიჯარო საქმეებს და საგრაფოს ყველაზე საქმიანი კაცი და მსაჯული გახლდათ. ვინაიდან გრანიტის სამტვრევებში პატიოსანი რწმუნებულების დაქირავება არა ნებავდა, მისდა სასიამოვნოდ გამოირკვა, რომ ოთხი ზედამხედველი გაიქცა იქიდან ამერიკაში და ქონებაც თან გაიტაცეს. შესაფერ უსაფრთხოების სამუშაოებს თავს არიდებდა და მისი ქვანახშირის მაღაროები წყლით ივსებოდა. მთავრობა თავზე გადაახვევდა ხოლმე საიჯარო ხელშეკრულებებს დამპალი ხორცის ჩაბარებისათვის. ხოლო რაც შეეხება საფოსტო ეტლებისათვის მიქირავებულ ცხენებს, სამეფო ფოსტის ყველა მესაკუთრემ იცოდა, რომ იმაზე მეტი ცხენი მთელ სახელმწიფოში არავის დაუკარგავს, რადგან ცხენებს ხეირიანად არ კვებავდა და თანაც ყოველთვის იაფფასიანებსა ყიდულობდა. თავმდაბალი, გულღია ხასიათი ჰქონდა და შორს იყო ამპარტავნობისაგან; პირიქით, ან ცხენის დალალებთან ყოფნას უფროც ამჯობინებდა, ვიდრე წარჩინებულებთან - ისეთებთან, როგორც, მაგალითად, მისი ვაჟბატონი ძე ბრძანდებოდა. უყვარდა სმა, გინება, გლეხი გოგოებთან ლაზღანდარობა. არავის გაუგონია, რომ ვინმესთვის ერთი შილინგიც კი მიეცეს ან რაიმე კეთილი საქმე ჩაედინოს, მაგრამ საამური, ფლიდი, ხითხითა ხასიათისა იყო: შეიძლებოდა გახუმრებოდა მოიჯარეს, ერთი-ორიოდე ჭიქაც გადაეკრა მასთან, მეორე დღეს კი არხეინად გაეყიდა იგი; ან კიდევ ასევე გულარხეინად და მხიარულად იხარხარებდა იმ ქურდ მონადირესთან, რომელსაც კატორღაში აგზავნინებდა.

მშვენიერი სქესისადმი მისი თავაზიანობა რებეკა შარპმაც უკვე მოიხსენია გადაკვრით. ერთი სიტყვით, ინგლისის ბარონთა, პერთა და თემთა პალატის წევრთა შორის ამაზე უფრო გველაძუა, ქვეშქვეშა მდაბალი, ხარბი, თავკერძა, რეგვენი და სახელგატეხილი ბერიკაცი არ მოიძებნებოდა.

სერ პიტ კროულის სისხლივით წითური თათი, თავის საკუთარი ჯიბის გამოკლებით, ყველა სხვის ჯიბეში შეიძლებოდა მოხვედრილიყო. და ჩვენ, ბრიტანეთის წარჩინებულ გვარიშვილთა თაყვანისმცემელნი, იძულებულნი ვართ, მწუხარებითა და გულისტკივილით ვაღიაროთ ამდენი უგვანი თვისების არსებობა იმ პიროვნებაში, ვისი სახელიც Debrett-სა აქვს მოხსენიებული.

მისტერ კროულის რომ ასეთი გავლენა ჰქონოდა მამამისზე, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფულის ანგარიში გახლდათ. ბარონეტს მისი ფული ემართა. დედის დანატოვარი ქონების ნაწილი, და არ სურდა ამ თანხას შელეოდა. იგი თითქმის დაუძლეველ ზიზღსა გრძნობდა ვინმეს გასტუმრებისადმი და ვალს ძალდატანებით თუ გადაახდევინებდნენ ხოლმე. მის შარპმა გამოიანგარიშა (რადგან მას, როგორც მალე შევიტყობთ, მართლაც გაანდეს ოჯახის საიდუმლოებათა უმეტესობა), რომ მოვალეთა მხოლოდ სარგებლის გადახდაც კი კეთილშობილ მებატონეს ყოველწლიურად რამდენიმე ასი გირვანქა უჯდებოდა. მაგრამ ამ განცხრომას მაინც ვერ თმობდა. ველურ სიამოვნებას განიცდიდა, როცა საბრალო მოვალეებს აცდევინებდა, სასამართლოდან სასამართლოში ათრევდა და გადახდის ვადას უჭიანურებდა ერთი ვადიდან მეორემდე. „აბა რა ხეირი ყრია პარლამეტის წევრობაში, თუ ვალები მიანც უნდა იხადოო“, იტყოდა იგი. ამ მხრივ, ჭეშმარიტად, მისი სენატორობა იოტისოდენადაც ვერ ეხმარებოდა მას.

ამაოების ბაზარო, ამაოების ბაზარო! აი კაცი, რომელმაც წერა არ იცოდა, ხოლო კითხვა ჭირივით ეჯავრებოდა; რომელსაც ჩვევანი, გაიძვერობა და ვირეშმაკობა ოტროველა, გაუთლელი ხეპრისა ჰქონდა, რომლის ცხოვრების მიზანს შარიანობა, ფლიდობა და ხრიკიანობა წარმოადგენდა; რომელსაც გარდა ყოველივე მდაბლის, ანგარებიანისა და ბინძურისა, არც გემოვნება ჰქონია, არც გრძნობა, არც სიხარული, და რატომღაც მიანც მოეწოდებოდა წოდება, პატივი და ძალა და სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდებული და ბურჯი

ბრძანდებოდა. თანაც უზენაესი შერიფიც გახლდათ და მოოქრული ეტლით დაბრძანდებოდა. დიდი მინისტრები და სახელმწიფო მოღვაწენი ეპირფერებოდნენ და ექლესებოდნენ და ამაოების ბაზარში მას უფრო მაღალი ადგილი ეპყრა, ვიდრე უბრწყინვალესი ნიჭის პატრონს ანდა უმწიკვლო, ქველ ადამიანს.

სერ პიტს გაუთხოვარი გერი და ჰყავდა, რომელსაც მემკვიდრეობით დედის დიდი ქონება დარჩენოდა. თუმცა ბარონეტი მოწადინებული ბრძანდებოდა სესხად გამოერთმია მისთვის ფული და სამაგიეროდ გირაო მიეცა, მის კროული შორს იჭერდა ამ შეთავაზებას და უხიფათო და საიმედო სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებს ამჯობინებდა, ოღონდ მაინც გამოთქვა განზრახვა, სამკვიდრებელი სერ პიტის უმცროსი ძისა და მღვდლის ოჯახისათვის დაეტოვებინა; თანაც ერთი-ორჯერ კიდეც გაისტუმრა როუდონ კროულის ვალები კოლეჯისა და არმიაში მისი წარმატებული მოღვაწეობის დროს. ამიტომ მის კროული დიდი მოწიწებისა და პატივისცემის საგანი გახლდათ, როცა დედოფლის კროულში მობრძანდებოდა, ვინაიდან ბანკირთან ისეთი ანგარიში მოეპოვებოდა, რომ იგი ყველგან სანუკვარი სტუმარი იქნებოდა.

რა ღირსებასა და პატივს მატებს ბებერს ეს ბანკირის ანგარიშები! რა სინაზით ვჭვრეტთ მის ნაკლოვანებებს, თუ იგი ჩვენი ნათესავია (და ნეტავ ყველა მკითხველსაცა ჰყავდეს ერთი ოციოდე ასეთი ნათესავი!); რა სათნო, გულკეთილ მოხუცად ვსახავთ! რა ღიმილით მიაცილებს მას ჰობზისა და დობზის ფირმის უმცროსი მეპატრონე ეტლამდე, რომელსაც გაუთხოვარ მანდილოსანთა რომბული ღერბი ამკობს და კოფოზედაც ქოშინა მეეტლე წამოსკუპებულა! როცა ჩვენს სანახავად მობრძანდება, საერთო როგორ ვპოულობთ მოხერხებულ შემთხვევას, რათა სიტყვა ჩამოვუგდოთ და გავაგებინოთ ჩვენს მეგობრებს მისი წარჩინებული მდგომარეობა საზოგადოებაში! ჩვენ ვამბობთ (და სრულის ჭეშმარიტებითაც), „კარგი იქნებოდა მის მეკ-უერტერს ერთი ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგიან ჩეკზე მოეწერა ხელი“. „არც თუ უარს გეტყვის“, - გეუბნება ცოლი. „მამიდაჩემია“!“ - ამბობ არხეინი, უზრუნველი კილოთი, როცა მეგობარი გეკითხება, მის მეკ-უერტერი შენი რაიმე ნათესავია თუ არაო.

ცოლი შინ განუწყვეტლივ უგზავნის სიყვარულის დამადასტურებელ პატარა მოსაგონარ საჩუქრებს. შენი პატარა გოგონები ნიადაგ უქსოვენ მატყლის ნართის ქისებსა და ბალიშებს, უკეთებენ ფეხის დასადგმელ პატარა სკამებს . რა საუცხოო ცეცხლი გიზგიზებს მის ოთახში, როცა თქვენს სანახავად ჩამობრძანდება, თუმცა შენი ცოლი კი სიცივისაგან აზღუდის საკრავებს კიდევ უფრო იჭერს! მისი ყოფნის განმავლობაში თქვენი სახლი იღებს საზეიმო, ფაქიზ, სალუქ, თბილ, მხიარულ, მყუდრო ელფერს, რაც სხვა დროს არ ეტყობა. შენ თვითონ, ძვირფასო ბატონო ჩემო, გავიწყდება ნასადილევს ჩვეულებისამებრ თვალის მოტყუება; ანაზდად აღმოაჩენ შენში ბანქოს თამაშის დიდ სიყვარულს (ოღონდ ყოველთვის კი აგებ!). რა დიდებულ სადილებსა შლით; ყოველდღე ნანადირევის ხორცია, მალვეზიამადეირის ღვინოები, უზომო ლონდონური თევზეული. თვით სამზარეულოს შინამოსამსახურენიც კი მონაწილეობენ ამ საყოველთაო განცხრომაში და როგორღაც, მის მეკუერტერის ჩასუქებული მეეტლის იქ ყოფნის განმავლობაში, ლუდი გაცილებით უფრო მაგარი ხდება; ხოლო ჩაი-შაქრის ხარჯვას ბავშვების ოთახში (სადაც ამ მანდილოსნის პირისფარეშს მიერთმევა იჯრა) სულაც აღარავითარი ყურადღება არ ექცევა. ასე არის თუ არა? მივმართავ საშუალო ფენებს. ეჰ, წმინდანო ძალნო! ნეტავი მეც გამომიგზავნიდეთ ერთ ბებრუხანა მამიდას...შინაბერა მამიდას... გაუთხოვრობის ღერბით შემკულ ეტლიან მამიდას, რომელსაც შუბლზე მოქერო წაბლისფერი თმა ექნება... ჩემი შვილები რა აბგებს მოუქსოვენ, ხოლო ჩემი ჯულია და მე როგორ გავართობთ! ტკბილო, ტკბილო, ხილვავ! უგუნურო, უგუნურო ოცნებავ!

თავი X. მის შარპი მეგობრების შეძენას იწყებს

ახლა, როცა ამ საამური ოჯახის წევრი გახდა, რომლის პორტრეტებიც წინა თავში დავხატეთ, ბუნებრივია, რებეკა თავს მოვალედ გრძნობდა, როგორც თვითონ ამბობდა, თავის მწყალობელთა გული მოეგო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეცადა, მათი ნდობა მოეპოვებინა. მაგრამ განა ვის შეუძლია

უმწეო ობლის მხრით მადლიერების გრძნობის ასეთ გამოსახვას აღტაცებით არ შეხვდეს? და თუნდაც თავკერძობის მცირეოდენი წილიც იდოს მის ანგარიშიანობაში, განა ვის შეუძლია წამოსცდეს, რომ მისი წინდახედულება სრულიად მართებული არ არის?

ამ წუთისოფელში მარტოდმარტო ვარ, - ფიქრობდა ეს უმეგობრო ქალი, - ჩემი საკუთარი შრომის გარდა სხვა რის იმედი უნდა მქონდეს? მაშინ როცა პაწაწინა ლოყაწითელ ღლაპს, ემილიას, რომელსაც ჩემი ნახევარი გრძნობა და ჭკუა არ გააჩნია, ათი ათასი გირვანქა სტერლინგი და უზრუნველყოფილი მდგომარეობა მოეპოვება, საბრალო რებეკას (და მე ხომ გაცილებით უკეთესი ტანადიცა ვარ!) მხოლოდ თავის თავისა და საკუთარი ჭკუის გარდა მეტი არაფერი აბადია, რომ იმედი იქონიოს. აბა ერთი ვნახოთ თუ ჩემმა ჭკუამ წარჩინებული მდგომარეობა არ მომაპოვებინოს და ერთ მშვენიერ დღეს არ დავუმტკიცო მის ემილიას, რომ მართლაც ვჯობივარ ყველაფრით. სიძულვილით კი არა მძულს ემილია; აბა ვის შესძულდება ესე უბოროტო, გულკეთილი გოგონა?.. მაგრამ დიდებული დღე დადგება მაშინ, როცა საზოგადოებაში იმაზე მაღალ ადგილს ვიგდებ ხელთ და დიაღაც რომ მეკუთვნის“. ასე ოცნებობდა მომავალზე ჩვენი პატარა რომანტიკოსი მეგობარი და არ უნდა შეგვაკრთოს იმ გარემოებამ, რომ ყველა მისი ჰაეროვანი კოშკის მთავარი ბინადარი ქმარი გახლდათ. ქმრების გარდა აბა, სხვა რა საფიქრელი უნდა ჰქონოდათ ყმაწვილ ქალებს? აბა სხვა რა საფიქრებელი უნდა ჰქონოდათ მათ ძვირფას დედიკოებს? „მე თვითონ უნდა ვიყო ჩემი თავის დედიკო“, - თქვა რებეკამ და თანაც, ცოტა არ იყოს, გულზე უკბინა მარცხის ფიქრმა, როცა ჯოზ სედლის საქმეში თავის მცირედი ბედუკუღმართობა მოაგონდა.

ამიტომ მან ბრძნულად დაასკვნა, დედოფლის კროულის ოჯახში თავისი მდგომარეობა საიმედო, მყუდრო და უზრუნველყოფილი გაეხადა და ამ მიზნით გადაწყვიტა ყველა გარშემო მყოფი დაემეგობრებინა, ვისაც კი საერთოდ ძალა შესწევდა მის კეთილდღეობას წინ გადაღობებოდა.

ვინაიდან ქალბატონი კროული ასეთ პიროვნებას არ წარმოადგენდა, თანაც ისე დონდლო, მცონარე და მტკიცე ხასიათს მოკლებული დედაკაცი იყო, რომ თავის საკუთარ

სახლშიც არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, რებეკამ მალე აუღო ალღო, სულაც არ არის აუცილებელი მისი კეთილგანწყობის მოპოვება და ჭეშმარიტად ეს შეუძლებელიც არისო. მოწაფეებთან მუსაიფში ახსენებდა ხოლმე მათ „საბრალო დედიკო“, და თუმცა გულცივი პატივისცემის ყოველი ნიშნის გამოჩენით ეპყრობოდა, მისი გულისყურის უმთავრესი ნაწილი მაინც ბრძნულად იყო მიმართული ოჯახში დანარჩენ წევრთადმი. გოგონების მოწონებაც საფუძვლიანად მოიპოვა. მისი აღზრდა-განათლების წესრიგი ძალიან მარტივი გახლდათ: იგი ბევრი სწავლითა და ჩიჩინით არ ამღვრევდა მის გონებას, არამედ, პირიქით, თავიანთ ნებაზე ჰყავდა მიშვებული და თვით განისწავლიდნენ თავს, რადგან განა რომელი განსწავლა და წვრთნა შეედრება თვითგანსწავლას? უფროსს უფრო წიგნების კითხვა უყვარდა. დედოფლის კროულის ძველ წიგნთსაცავში წარსული საუკუნის მსუბუქი თხზულებების საკმაოდ მოზრდილი რაოდენობა მოიპოვებოდა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე (ეს წიგნები სახელმწიფო ბეჭდის დამსმელი უწყების მდივნის შენაძენი იყო, მისი შერისხულობის ჟამს). ვინაიდან რებეკას გარდა წიგნების თაროებს არავის არასოდეს აწუხებდა, მას შესაძლებლობა ეძლეოდა თავისდასასიამოვნოდ და, ასე ვთქვათ, თამაშით შთაენერგა სწავლა-განათლების უმეტესი ნაწილი მის როზ კროულისათვის.

რებეკამ და მის როზმა ამნაირად ბევრი საამური ფრანგული და ინგლისური თხზულება გადაიკითხეს ერთად. მათ შორის შეიძლება მოვიხსენიოთ თხზულებანი სწავლულ დოქტორ სმოლეტისა, მახვილგონიერ ბატონ ჰენრი ფოლდინგისა, მოხდენილ და მეოცნებე ბატონ კრებილონ უმცროსისა, რომელსაც ასე დიდ თაყვანსა სცემდა ჩვენი უკვდავი პოეტი გრეი, და უნივერსალურ ბატონ დევოლტერისა. ერთხელ, როცა მისტერ კროულიმ იკითხა, რას კითხულობენ გოგონებიო, აღმზრდელმა მიუგო, „სმოლეტსო“. ოჰ, სმოლეტს? - ბრძანა სრულიად დაკმაყოფილებულმა მისტერ კროულიმ, - მისი ისტორია ცოტა მოსაწყენია, მაგრამ სრულიადაც არ არის სახიფათო, როგორც ბატონ ჰიუმისაა. შენ ხომ ისტორიას კითხულობ?“ „დიახ“, უპასუხა მის როზმა; თუმცა არ დაუყოლებია, რომ ეს ჰამფრი კლინკერის ისტორია გახლდათ, მეორედ, ცოტა არ იყოს, შეკრთა და აიმღვრა, დას ფრანგული პიესების კითხვაზე რომ წაასწრო. მაგრამ, როცა აღმზრდელმა

შენიშნა, ამას ფრანგული იდიომების შესათვისებლად ვაკითხებო, იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო. მისტერ კროულის, ვითარცა დიპლომატს, უზომოდ მოჰქონდა თავი ფრანგულ ენაზე ნატიფი ლაპარაკით (ვინაიდან ჯერ კიდევ მაღალი საზოგადოების ერისკაცი ბრძანდებოდა) და არა მცირედ ეამებოდა ის ქათინაურები, რომელთაც აღმზრდელი ქალი წამდაუწუმ ეუბნებოდა მისი ცოდნისათვის.

მის ვაიოლიტის გემოვნებანი, პირიქით, უფრო ტლანქი, მშფოთვარე და დაუდეგარი გახლდათ, ვიდრე მისი დისა. მან იცოდა მიჩქმალული ადგილები, სადაც ქათმები დებდნენ კვერცხებს. შეეძლო ხეებზე აცოცება და მგალობელ ფრთოსანთა ბუდეებიდან წინწკლებიანი კვერცხების მოტაცება. უყვარდა კვიცების ჭენება და კამილასავით დაძრწოდა ველ-მინდორში. გამორჩევით უყვარდათ იგი მამასა და მეჯინიბეს. მზარეულის თვალისჩინი და თან რისხვაც იყო, რადგან მურაბის ქილების შესანახ ადგილებს ეტანებოდა და მყის მიჰქონდა იერიში, თუკი ხელი მიუწვდებოდა. ის და მისი და მუდამ ეკინკლავებოდნენ და ებრძოდნენ ერთმანეთს. ზოგ დანაშაულზე კიდეც რომ წაესწრო მის შარპს, ქალბატონ კროულის არ ეტყოდა, რომელიც ამას მამას მოახსენებდა, ან, კიდევ უარესი - მისტერ კროულის. იგი შეჰპირდებოდა მის ვაიოლიტს: არ გაგამხელ თუ კარგი გოგო იქნები და შენი აღმზრდელი გეყვარებაო.

მისტერ კროულის მის შარპი რიდითა და მორჩილებით ეპყრობოდა. ეკითხებოდა გაუგებარ ფრანგულ წინადადებათა აზრს, თუმცა ფრანგი დედის შვილი კი იყო თვითონ, და მისტერ კროულიც განუმარტავდა მისდა სასიამოვნოდ. აგრეთვე გარდა საერო უბრალო მწერლობაში წინამძღვრობისა, იმდენ გულკეთილობასაც იჩენდა, რომ უფრო მძიმე შინაარსის წიგნებსაც შეურჩევდა ხოლმე და საუბარშიც უმეტესად მას მიმართავდა ხოლმე. რებეკა უზომოდ იყო მოხიბლული კუოშიმაბუს დამხმარე საზოგადოებაში წარმოთქმული მისი სიტყვით. გულისყურით მოეკიდა ალაოსათვის დაწერილ მის წიგნაკს; ხშირად გრძნობამორეულს ცრემლებიც წამოსცვივდებოდა, საღამოობით მის ქადაგებებს რომ უგდებდა ყურს და „ოჰ, გმადლობთ, ბატონოო“, იტყოდა ოხვრით, თანაც თვალს აღაპყრობდა ზეცისაკენ, რაც ჟამითიჟამად მისტერ კროულსი ხელის ჩამორთმევის ღირსადაც ხდიდა. „ბოლოს და ბოლოს, სისხლია ყველაფერი, -

ბრძანებდა ეს არისტოკრატი სასულიერო მოღვაწე, - როგორ გამოაცოცხლებს ხოლმე ჩემი სიტყვები მის შარპს, მაშინ როცა აქ დამსწრეთაგანს არცერთს არაფერი ეტყობა. მე ამათთვის ერთობ ფაქიზ, ერთობ ნატიფი და დახვეწილი მოლაპარაკე ვარ. ცოტა უნდა გავიუბრალოო ენა... მაგრამ ამას კი ესმის: დედა მონმორანსი ჰყავდა!“

მართლაც დედის მხრივ, როგორც ჩანს, სწორედ ამ სახელგანთქმული გვარის შთამომავალი იყო მის შარპი. რასაკვირველია, ის აღარ უთქვამს, დედამისის სცენაზედაც რომ თამაშობდა - ეს ხომ თავზარის დაცემა იქნებოდა მისტერ კროულის ღვთისმოსაური გულაზიზობისათვის. რამდენი კეთილშობილი émigré[35] ჩაჰყარა სიღატაკეში ამ შემაძრწუნებელმა რევოლუციამ! ამ სახლში რებეკას ბევრი თვე არ ჰქონდა გატარებული, რომ თავის წინაპართა რამდენიმე თავგადასავალის მოთხრობა მოასწრო. ამათგან ზოგიერთი მისტერ კროულიმ დ`ოზიეს ლექსიკონშიაც აღმოაჩინა, რომელიც წიგნთსაცავში ინახებოდა. ამ გარემოებამ მოთხრობილი ამბების ჭეშმარიტებისა და რებეკას დიდგვაროვნების რწმენა განუმტკიცა. ვითომ უფლება გვაქვს დავასკვნათ ამ ცნობისმოყვარეობის გამოჩენითა და ლექსიკონებში ჩხრეკა-ქექით, რომ ჩვენს გმირ ქალს შეეძლო ეფიქრა, მისტერ კროულის მოვწონვარო?.. არა, ეს მხოლოდ მეგობრული განწყობილებით იყო გამოწვეული, განა არ მოგახსენეთ, რომ იგი ლედი ჯეინ შიიპშენკსს ეტრფოდა?

მისტერ კროულიმ ერთი-ორჯერ კიდეც დატუქსა რებეკა, არ არის საკადრისი სერ პიტს ბეკგემონს რომ ეთამაშები; ღვთის საწინააღმდეგო გასართობიაო და ურჩევდა, გაცილებით ემჯობინებოდა „თრამპის მემკვიდრეობა“, „მურფილდზელი უსინათლო მრეცხავი დედაკაცი“, ან სხვა რომელიმე უფრო საგულისხმო შინაარსის თხზულება წაგეკითხაო. მაგრამ მის შარპმა მოახსენა, ჩემი საყვარელი დედიკო სწორედ ამას ხშირად ეთამაშებოდა მოხუც გრაფ დე ტრიკტრაკსა და წმინდა აბატ დიუ-კორნესაო. ასე მოსწმენდდა ხოლმე პირს რებეკა თავის ამ და სხვა ამაო, ფუქსავატურ დროსტარებებს.

მაგრამ მარტო ბეკგემონის თამაშით არ აამებდა პატარა აღმზრდელი ქალი თავის დამქირავებელს - მან ბევრი ნაირ-ნაირი გზა გამონახა სერ პიტის სასარგებლოდ. იგი დაუღალავი მოთმინებითა და გულმოდგინებით თავიდან ბოლომდე

კითხულობდა სასამართლოს ყველა იმ საბუთს, რომლებით გამასპინძლებასაც მანამდე შეჰპირდა მებატონე, ვიდრე რებეკა დედოფლის კროულში მოვიდოდა. თვითონ კისრულობდა მისი ბევრი წერილის გადაწერას და მარჯვედ ცვლიდა მათ მართლწერას, რათა შეხამებოდა იმდროინდელი წერის წესრიგს. იგი ცნობისმოყვარეობით ეკიდებოდა ყველაფერს, რაც უკავშირდებოდა მამულს, მეურნეობას, პარკს, ბაღს და საჯინიბოებს და ისე საამო თანამგზავრი და მობაასე იყო, რო ბარონეტი ნასაუზმევს იშვიათად გაისეირნებდა უიმისოდ (და, რასაკვირველია, ბავშვებითურთ). ამ დროს ურჩევდა ხოლმე რებეკა ხეების გასხვლას ხეივნის გასალამაზებლად, ბაღის კვლების გაკეთებას, უკვე მკის დაწყების საჭიროებას, ურემში ან გუთანში გამოსაყენებელ ცხენებს. ერთ წელსაც არ გაევლო დედოფლის კროულში მისი დაბინავების შემდეგ, რომ რებეკამ ბარონეტის სრული ნდობა მოიპოვა. და სადილზე მუსაიფი, რაც წინათ სერ პიტსა და სახლთუხუცეს ბატონ ჰოროქსს შორის იმართებოდა, ახლა თითქმის მხოლოდ იმასა და მის შარპს შორის გახლდათ. როცა მისტერ კროული შინ არ იყო, რებეკა თითქმის ქალბატონი ბრძანდებოდა სახლში. მაგრამ თავის ახალ, მაღალ მდგომარეობას წინდახედულობით, სიფრთხილითა და მხარდაჭერით ხმარობდა. რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინა სამზარეულოს და საჯინიბოს ხელისუფალთათვის, რომელთაც ყოველთვის უზომო მორიდებით, კრძალვითა და თავაზით ეპყრობოდა. იგი უკვე სრულიად განსხვავდებოდა ამპარტავან, ფიცხ, მფრთხალ, უკმაყოფილო პატარა გოგონასაგან, რომელსაც წინათ ვიცნობდით. ხასიათის ეს ცვალება მოწმობდა დიდ გონიერებას, გამოსწორების გულწრფელ წადილს, ან, რაც არ უნდა იყოს, მისი მხრით დიდ ზნეობრივ სიმტკიცეს მაინც. ხათრიანი, თავმდაბლური, მორჩილი ქცევის ახალ წესს, რაც ჩვენმა რებეკამ შეითვისა, გული უკარნახებდა თუ არა, მისი შემდგომი თავგადასავალი გვამცნობს. მთელი წლების განმავლობაში ფარისევლური და თვალთმაქცური ქცევის გაგრძელებას ოცდაერთი წლის პიროვნება იშვიათად ახერხებს დამაკმაყოფილებლად; მაგრამ მკითხველებმა გაიხსენონ წლებით ახალგაზრდა ჩვენი გმირი ცხოვრებითა და განცდით ხნიერი რომ გახლდათ და ჩვენ ამაოდ დამაშვრალვართ წერით, თუ აქამდე ვერ მიხვდნენ, იგი ერთობ ჭკვიანი დიაცი რომ ბრძანდებოდა.

კროულის სახლის უფროსი და უმცროსი ძენი, ვითარცა ამინდის ყუთის ცოლ-ქმარი, ერთად არასოდეს იყვნენ შინ - გულითა სძულდათ ერთმანეთი. როუდონ კროულის, დრაგუნს, ჭეშმარიტად ეზიზღებოდა მთლიანად აქაურობა და იშვიათადაც ჩამოდიოდა, ისიც მაშინ, როცა მამიდამისი მობრძანდებოდა ჩვეულებისამებრ წელიწადში ერთხელ.

ამ მოხუცი მანდილოსნის დიდი კეთილი ღირსება უკვე მოვიხსენიეთ: სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგის შეძლება ჰქონდა და თითქმის ნაშვილები ჰყავდა როუდონი. უფროსი ძმისწული უზომოდ ათვალწუნებული ჰყავდა და ეზიზღებოდა როგორც ქალაჩუნა და ჯაბანი. სამაგიეროდ მისტერ კროულიც არ ჩამორჩენია და უყოყმანოდ ამტკიცებდა, მისი სული უიმედოდ არის დაღუპული და, მისი აზრით, საიქიოს არც მის ძმას დაადგებოდა იოტისოდენაც უკეთესი დღე, „იგი ფუქსავატი, ურწმუნო ქალია, - იტყოდა მისტერ კროული, - ათეისტებსა და ფრანგებში ცხოვრობს. გონება მემღვრევა, როცა წარმოვიდგენ მის საშინელ, შემაძრწუნებელ მდგომარეობას: სამარის პირას მდგარს ასე რომ მიუცია თავი ამაოების, აღვირახსნილობის, მკრეხელობის, ფუქსავატობისა და ქარაფშუტობისათვის“ მართლაც, მოხუცი მანდილოსანი სრულიად უარყოფდა მისტერ კროულის საღამოს ერთსაათიანი ქადაგების მოსმენას და როცა მამიდა მობრძანდებოდა დედოფლის კროულში, მისტერ კროული იძულებული იყო შეეწყვიტა მისი ჩვეულებრივი საღვთისმოსავო მოღვაწეობა.

- მოკეტე ეგ შენი ქადაგებები, პიტ, მის კროული რომ ჩამოვა, - ეტყოდა მამა, - მოიწერა, ქადაგ-მადაგებები არ მეჯაშნიკებაო!

- ოჰ, ბატონო! გაიხსენეთ მოსამსახურენი!

- ჯანდაბას მათი თავი, - ბრძანებდა სერ პიტი და მისი ძე ფიქრობდა, კიდევ უარესი დაემართებათ, ჩემი წვრთნა-ქადაგებანი რომ მოაკლდეთო.

- აი, დალახვროს ღმერთმა, პიტ! - მიუგებდა მამა, მისტერ კროული რომ სიტყვას შეუბრუნებდა, - ეგრე ბრიყვი როგორ უნდა იყო, რომა სამი ათასი წლიური შემოსავალი ოჯახიდან გაუშვა, ჰა?

- რა არის ფული ჩვენს სულთან შედარებით, ბატონო ჩემო? - განაგრძობდა მისტერ კროული.

- შენ მაგითა გინდა თქვა, რომ ბებერი შენ არ დაგიტოვებს ფულს, არა?.. - და ვინ იცის, იქნებ მართლაც ამასა გულისხმობდა მისტერ კროული?

მოხუცი მის კროული ჭეშმარიტად უზნეო და ცოდვებით დამძიმებული ვინმე გახლდათ. მყუდრო, პატარა სახლი ჰქონდა პარკლეინში და ვინაიდან ლონდონს ყოფნაში ძალიან ბევრ საჭმელ-სასმელს მიირთმევდა, ზაფხულში ჰაროუგეიტს ან ჩელტნემს მიბრძანდებოდა. ყველაზე სტუმართმოყვარე და მხიარული ბებერი ქალწული იყო და ამბობდა, ჩემს დროს ლამაზი ვიყავიო (ძალიან კარგად ვიცით, ყველა ბებერი ერთხელ ლამაზი ყოფილა). იგი გახლდათ bel esprit[36] და იმ დროისათვის - საშინელი რადიკალი. საფრანგეთს ნამყოფი იყო (სადაც, ამბობენ, სენ-ჟუსტს ეტრფოდა უბედური სიყვარულითაო) და მას შემდეგ უყვარდა ფრანგული რომანები, ფრანგული კერძები და ფრანგული ღვინოები. კითხულობდა ვოლტერს და ზეპირად იცოდა რუსო. ფრიად თავისუფლად და მსუბუქად ლაპარაკობდა გაყრაზე და დიდის რიხით - ქალთა უფლებებზე. მისი სახლის ყოველ ოთახში ეკიდა ბატონ ფოქსის სურათები. როცა ეს სახელმწიფო მოღვაწე ოპოზიციაში ბრძანდებოდა, მგონი, დაახლოებულიც იყო მასთან. ხოლო ფოქსმა ძალაუფლება ხელთ რომ იგდო, მის კროულიმ დიდი პატივი მოიპოვა სერ პიტსა და მისი დედოფლის კროულელი კოლეგის ფოქსის მხარეს გადაბირებისათვის. თუმცა სერ პიტი ისედაც მიემხრობოდა ახალ მინისტრს, პატიოსანი მანდილოსანი თუნდაც სულ არ გარჯილიყო. საჭირო არ არის მოგახსენოთ, რომ სერ პიტი იძულებული გახდა შეეცვალა შეხედულებანი, როგორც კი დიდი ვიგი სახელმწიფო მოღვაწე გარდაიცვალა.

ამ ღირსეულ მოხუც მანდილოსანს ბავშობიდანვე უყვარდა როუდონ კროული, გაგზავნა იგი კემბრიჯს (მისი ძმის გამოსაჯავრებლად, რომელიც ოქსფორდს სწავლობდა). და როცა ყმაწვილ კაცს ზემოხსენებული უნივერსიტეტის ხელისუფლებმა ორი წლის იქ გატარების შემდეგ თავაზიანად სთხოვეს, მიბრძანდიო, მანვე უყიდა ლეიბ-გვარდიის მწვანე რაზმის ოფიცრის ჩინი.

ჭეშმარიტი, განთქმული დარდიმანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს ქალაქში ამ ახალგაზრდა ოფიცერს. ჩვენს ბრიტანელ არისტოკრატებს მაშინ კრივი, ვირთაგვებზე

ნადირობა, ბურთაობა, ოთხცხენიანი ეტლით სრბოლა ჰქონდათ ჩვეულებად და როუდონ კროული ყველა ამ კეთილშობილ მეცნიერებაში დახელოვნებული ოსტატი გახლდათ. თუმცა მეფის მცველ ჯარს ეკუთვნოდა, რომელიც, ვითარცა მათი ვალია, შემჭიდროვებულნი იყვნენ პრინც-რეგენტის ირგვლივ და ჯერ კიდევ არ გამოეჩინათ უცხოეთში თავიანთი გულოვნება, როუდონ კროულიმ მაინც მოასწრო სამი სისხლიანი დუელი (ამის მიზეზი გახლდათ თამაში, რაც თავდავიწყებით უყვარდა), რომლითაც საკმაოდ დაამტკიცა თავისი ზიზღი სიკვდილისადმი.

„და რაც სიკვდილს თან მოჰყვება“, - დასძენდა მისტერ კროული და ჭერს მიაპყრობდა თავის კინკრიჟასფერ თვალებს. იგი მარად ფიქრობდა ძმის სულზე, ან იმათ სულებზე, ვინც არ ეთანხმებოდა მას: ის ერთგვარი ნუგეშია, რომელსაც ბევრი ჭკუადამჯდარი ადამიანი ანიჭებს თავს.

სულელი, რომანტიკული მის კროული, რომელსაც აინუნშიაც არ მოსდიოდა საყვარელი ძმისწულის თავზეხელაღებულობის გამო შეშინება, დუელების შემდეგ ყოველთვის ისტუმრებდა მის ვალებს და ყურს როდი ათხოვებდა იმ ხმებს, როუდონის ზნეობას რომ განაქიქებდნენ.

„ახალგაზრდულად მოიგიჟიანებს თავს და დადინჯდება, - იტყოდა ხოლმე მოხუცი, - იმ თავის თვალთმაქც, წუწუნა ძმას კი მიანც ძალიან სჯობიაო“.

თავი XI. არკადიული უბრალოება

გარდა სასახლის ამ პატიოსანი ხალხისა (რომელთა უბრალოება და ტკბილი სოფლური უმწიკვლოება ჭეშმარიტად გვიდასტურებს სოფლის ცხოვრების უპირატესობას ქალაქთან შედარებით), მკითხველს უნდა გავაცნოთ მათი ნათესავი და მეზობელი მღვდლის ოჯახი: ბიუტ კროული და მისი მეუღლე.

ღირსი მამა ბიუტ კროული, მაღალი, ზორბა, მხიარული, ფართოქუდიანი ვაჟკაცი, გაცილებით უფრო სახელგანთქმული იყო თავის საგრაფოში, ვიდრე მისი ძმა - ბარონეტი. კოლეჯში

ყოფნის დროს კრაისტ-ჩერჩის ნავის პირველ მენიჩბედ ითვლებოდა და თავ-პირს ამტვრევდა ქალაქის ყველა საუკეთესო მოკრივეს. კრივსა და ათლეტური ვარჯიშობებისადმი სიყვარული პირად ცხოვრებაშიც შერჩა. ოცი მილის მანძილზე კრივი არ გაიმართებოდა, რომ ის არ დასწრებოდა; არც დოღი, არც მწევრებით ნადირობა, არც ნავებით შეჯიბრი, არც ბალი, არც არჩევნები, არც მოწვევით გამართული სადილი, არც ჭეშმარიტად უბრალო, კარგი სადილი არსად გამოეპარებოდა მთელ საგრაფოში - ყველგან მოახერხებდა დასწრებას. მისი წაბლისფერი ფაშატისა და ორთვლიანი ეტლის ფარნის შუქის დანახვა მღვდლის სახლიდან ოცი მილის მანძილზე ყველგან შეიძლებოდა, როცა სადმე რაიმე წვეულება იყო: ფადლსტონს, როქსბის ან უოპშოტჰოლს, ანდა კიდევ საგრაფოს დიდი თავადებისას, რომელთაც ყველას კარგად იცნობდა. ჩინებული ხმაცა ჰქონდა, ამბობდა სიმღერას: „სამხრეთის ქარი, ცა ნისლიანი“... და გუნდში ყველას მოსაწონად დაჰკივლებდა კიდეც ხოლმე. ძაღლებით ნადირობაზე ჭრელ ანაფორაში გამოწყობილი დაბრძანდებოდა და საგრაფოს ერთ-ერთი საუკეთესო მეთევზე გახლდათ.

ქალბატონი კროული, მღვდლის ცოლი, ცქვიტი პატარა დედაკაცი, ამ ღირსეული ღვთისმეტყველის ქადაგებებს თხზავდა. ოჯახობის მოყვარული ქალბატონი უმეტესად ქალიშვილების შემწეობით უვლიდა ოჯახს; სახლში თვითონ იყო სრულიად გაბატონებული, ხოლო გარეთ ქმარს ანიჭებდა ბრძნულად სრულ თავისუფლებას. მღვდელს თავის ნებაზე შეეძლო წაბრძან-წამობრძანება და სხვაგან იმდენჯერ სადილობდა რამდენჯერაც მოეპრიანებოდა, ვინაიდან ქალბატონი კროული სარისტიანი დედაკაცი გახლდათ და პორტვეინის ფასი იცოდა. როგორც კი მისის ბიუტმა ხელთ იგდო დედოფლის კროულის ახალგაზრდა მღვდელი (მღვდლის ცოლი, ასული განსვენებული პოდპოლკოვნიკ ჰექტორ მეკ-ტევიშისა, კარგი ოჯახიშვილი ბრძანდებოდა; ის და დედამისი ჰაროგეიტში გაეთამაშნენ ბიუტს და კიდეც მოიგეს მისი თავი), მას შემდეგ ჭკვიანი და ყაირათიანი ცოლი იყო მისტის, მუხედავად მეუღლის ხელმომჭირნეობისა, მღვდელი მიანც მუდამ ვალებში იჯდა. სულ უკანასკნელი, ათ წელიწადს მაინც მოუნდა კოლეჯის ვალების გასტუმრებას, რომელიც მამის სიცოცხლეში ჰქონდა ნასესხები. 179... წელს,

როცა, ის-ის იყო, თავი დააღწია გასაჭირს, სანაძლეო დადო, ასი ერთის მიმართ (განუსაზღვრელი რაოდენობით, კენგურუს წინააღმდეგ, რომელმაც დერბის დოღი მოიგო.

მღვდელი იძულებული შეიქმნა დამღუპველი სარგებლით ესესხა ფული და იქიდან მოყოლებული ფართხალებდა ვალებში, მისი და ხანდახან წამოაშველებდა ხოლმე ასიოდე გირვანქას, მაგრამ, რასაკვირველია, მღვდლის დიდი იმედი და ნუგეში მაინც მისი სიკვდილი იყო, როცა „დალახვროს ღმერთმა, - როგორც იტყოდა ხოლმე თვითონ, - მატილდამ თავისი ფულის ნახევარი მე უნდა დამიტოვოსო“.

ასე რომ ბარონეტსა და მის ძმას ყველა ის მიზეზი მოეპოვებოდა საჩხუბრად, რაც შესაძლოა ორ ძმასა ჰქონდეს. სერ პიტს უამრავი საოჯახო საქმე უკეთ ჰქონდეს მოწყობილი, ვიდრე ბიუტს. ახლაგაზრდა პიტი არა მარტო არ ნადირობდა, არამედ დისენტერების სამლოცველო სახლიც კი დაარსა სწორედ ბიძამისის ცხვირწინ. როუდონი, ცნობილი იყო, რომ მხოლოდ მის კროულის ქონების უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდების ეშხით თუ გამოჩნდებოდა სახლში. ეს ფულის ანგარიშები, სიკვდილ-სიცოცხლეზე იმედებისა და ვარაუდების ეს დამყარება, ეს მდუმარე ბრძოლა მომავალი ნადავლის ხელში ჩასაგდებად, ამაოების ბაზარში ძალიან აყვარებს ერთმანეთს ძმებს. მე, ჩემი მხრით, ვიცი, ერთმა ხუთგირვანქა სტერლინგიანმა როგორ გაწყვიტა ურთიერთობა და ბოლო მოუღო ძმების ნახევარი საუკუნის სიყვარულს; და მაინც არ ძალმიძს ჩემი თაყვანისცემა და აღტაცება არ გამოვთქვა, როცა გავიფიქრებ, რა მშვენიერი, ხანგრძლივი და მტკიცე რამ არის სიყვარული ამ ჩვენს წუთისოფელში.

წარმოუდგენელია, რომ ასეთი პიროვნების ჩამოსვლა დედოფლის კროულში, როგორიც რებეკა გახლავთ, მისი იქ თანდათანობით დამკვიდრება და ნელ-ნელა ყველა იქაურის კეთილგანწყობის მოპოვება, შეუნიშნავი დარჩენოდეს ბიუტ კროულის მეუღლეს, იმ ქალბატონ კროულის, რომელმაც იცოდა, რამდენ დღეს ჰყოფნიდათ სასახლეში ძროხის სუკი, რამდენი თეთრეული იყო მომზადებული გასარეცხად, რამდენი ატამი ება სამხრეთის გალავნისაკენ, რამდენი წამალი დალია ქალბატონმა, ავად რომ ბრძანდებოდა. ასეთი ამბები ფრიად საინტერესოა ზოგი სოფლელი ადამიანისათვის და ბიუტის მეუღლე უნდა მოგახსენოთ, გვერდს ისე ვერ აუვლიდა

სასახლის აღმზრდელ ქალს, რომ ყოველმხრივ დაწვრილებით არ გამოეძია მისი თავგადასავალი და ზნე. სასახლის და მღვდლის სახლის მსახურთა შორის მარად საუკეთესო განწყობილება სუფევდა. მღვდლის სახლის სამზარეულოში ყოველთვის მოიძებნებოდა თითო მოზრდილი თასი ლუდი სასახლის მსახურთათვის, რომელთაც ჩვეულებრივ მეტად მცირე სასმელი ხვდებოდათ შინ, და მართლაც, მღვდლის ცოლმა ზუსტად უწყოდა რამდენი ალაო იხარჯებოდა სასახლის ლუდის ყოველი კასრისათვის. ნათესაური კავშირი სასახლის და მღვდლის სახლის შინამოსამსახურეთა შორისაც ისევე არსებობდა, როგორც მათ ბატონებში; და ამ არხების მეშვეობით ორივე ოჯახი დაწვრილებით იცნობდა ერთმანეთის მდგომარეობას. ეს, სხვათა შორის, საერთოდ შეინიშნება; როცა შენ და შენი ძმა ტკბილად ბრძანდებით, მის მდგომარეობასა და მოქმედებაზე ფიქრი აინუნშიაც არ მოგდის; მაგრამ თუ წაიჩხუბეთ, ყველა მისი გასავალ-შემოსავალი ისე იცი, თითქოს მოჩენილი ჯაშუში იყო.

ამიტომ რებეკას აქ ჩამობრძანებიდან დიდ ხან არ გაუვლია რომ ქალბატონ კროულის მიერ სასახლიდან მიღებულ ბიულეტენებში უკვე შესაფერი წესიერი ადგილი დაიჭირა მის შესახებ გადმოცემულმა ცნობებმა. ცნობები ჯერ ასეთი გახლდათ: შავი ნასუქი ბურვაკი დაკლეს... იწონიდა ამდენს და ამდენს... გვერდები დაამარილეს... სადილად ღორის ხორცის პუდინგი და ბარკალი ჰქონდათ. მადბერელი მისტერ კრემპი ეწვია და სერ პიტს ესაუბრა ჯონ ბლეკმორის სატუსაღოში ჩაგდების თაობაზე... მისტერ პიტი მორწმუნეთა კრებაზე იყო (თან ჩამოთვლილია ყველა იქ დამსწრის გვარი და სახელი) ქალბატონი ჩვეულებრივადაა... გოგონები აღმზრდელ ქალთან არიან.“.

მერე კიდევ მოახსენა: ახალი აღმზრდელი იშვიათი თადარიგიანი და მარჯვე ქალი გამოდგა... სერ პიტს ძალიან შეუყვარდა... მისტერ კროულისაც აგრეთვე... მისტერ კროული წიგნაკებსაც კი უკითხავს. „ეს ვინღა ოხერია!“, ჩაილაპარაკა პატარა, ცნობისმოყვარე, ცქვიტმა, ყოჩაღმა, შავგვრემანმა ბიუტ კროულის მეუღლემ.

დასარულ, მოუვიდა ცნობები, რომ აღმზრდელმა ყველას „თავს დაუარა“: სერ პიტს წერილებს უწერს, საქმეებს უკეთებს, ანგარიშებს უდგენს... პარპაშებს მთელ სახლში და მისი

გავლენის ქვეშ მოექცა ქალბატონი, მისტერ კროული, გოგონები და ყველა... რაზედაც ბიუტის მეუღლემ განაცხადა, ეს ქალი ვიღაც გაიძვერა გომბიოა და გულში უეჭველად რაღაც შემაძრწუნებელი ზრახვა უტრიალებსო. ამგვარად, სასახლის ამბები დიდად აცხოველებდა მუსაიფებს მღვდლის სახლში და მღვდლის ცოლის მოელვარე თვალები იძიებდა ყოველივეს, რაც კი ხდებოდა მტრის ბანაკში, - ყოველივეს და ბევრად იმაზე მეტსაც.

„ქალბატონი ბიუტ კროული ქალბატონ პინკერტონს, ჩიზიკის ხეივანი“.

მღვდლის სახლი, დედოფლის კროული... დეკემბერი.

„ჩემო ძვირფასო ქალბატონო, თუმცა მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე ვისარგებლე თქვენი საამური და დაუფასებელი შთაგონებით, მაინც მარად გულს ჩამრჩა უაღრესი სიყვარული და მოწიწება ქალბატონ პინკერტონისა და ძვირფასი ჩიზიკისადმი. იმედი მაქვს ჯანმრთელად ბრძანდებით.

ქვეყნიერება და განათლების საქმე კიდევ მრავალ, მრავალ წელს ვერ შეელევა ქალბატონ პინკერტონს. როდესაც ჩემმა მეგობარმა ლედი ფადლსტონმა ახსენა ჩემი ქალიშვილებისათვის მწვრთნელს ვეძებო (თვითონ მე იმდენად ღარიბი გახლავარ, რომ ჩემი ქალიშვილებისათვის არ ძალმიძს დაქირავება; მაგრამ განა მე ჩიზიკს არ აღვიზარდე?), მე შევძახე: „განა სხვას ვის უნდა ვკითხოთ ამ საქმეში რჩევა-დარიგება, თუ არა აღმატებულ, უებრო ქალბატონ პინკერტონს-მეთქი?“ - ერთი სიტყვით ხომ არა გყავთ, ძვირფასო ქალბატონო, შეთვალთვალებული ვინმე ისეთი მანდილოსნები, რომელთა სამსახური შეიძლებოდა გამოსდგომოდა ჩემს კეთილ მეგობარსა და მეზობელს? გარწმუნებთ თქვენს მიერ არჩეულს გარდა იგი სხვა აღმზრდელს არ დაიჭერს.

ჩემს ძვირფას მეუღლეს უყვარს ხოლმე თქმა, ქალბატონ პინკერტონის სასწავლებლიდან გამოსული ყველაფერი მომწონსო. რარიგ მწადია, შესაძლებლობა, მქონდეს რათა წარმოვუდგინო იგი და ჩემი საყვარელი გოგონები ჩემი ყმაწვილობის მეგობარს და ჩვენი ქვეყნის დიდი ლექსიკოგრაფის სათაყვანო ბანოვანს! თუ ოდესმე

მოგიხდებათ ჰემპშირს მოგზაურობა, ბატონი კროული მთხოვს მოგახსენოთ, რომ იგი იმედოვნებს, მისი, სოფლელი მღვდლის, სახლსაც შეამკობთ თქვენ თქვენის სტუმრობით. ეს გახლავთ საწყალი მაგრამ ბედნიერი ოჯახი.

თქვენი მოსიყვარულე მართა კროულისა.

„P.S. - ბატონ კროულის ძმას, ბარონეტს, რომელთანაც, ვაგლახ! ისეთი მჭიდრო ურთიერთობა არა გვაქვს, როგორიც ძმებს შეჰფერის, თავისი პატარა გოგონებისათვის აღმზრდელი ქალი ჰყავს. ამ ქალს, მითხრეს, ბედი სწვევია და ჩიზიკს უსწავლია. მის შესახებ სხვადასხვა ხმები მოდის და ვინაიდან უნაზესი სიყვარულით და ყურადღებით ვეკიდები ჩემს მაზლისწულებს, რომელთაც მიუხედავად ოჯახებს შორის უთანხმოებისა, ჩემი საკუთარი შვილებიდან არ ვარჩევ, და ვინაიდან მოწადინებული ვარ ყურადღებით მოვეპყრო ყველა თქვენს ნაშეგირდალს, გთხოვთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო პინკერტონ, შემატყობინეთ თავგადასავალი ამ ახალგაზრდა მანდილოსანისა, რომლის დამეგობრებაც, თქვენის პატივისცემით, გულითა და სულით მწადია.

მ. კ.“

ქალბატონი პინკერტონი ქალბატონ ბიუტ კროულის

ჯონსონ-ჰაუზი, ჩიზიკი, დეკ. 18

„ძვირფასო ქალბატონო, „მაქვს პატივი დაგიდასტუროთ, რომ მივიღე თქვენი თავაზიანი ბარათი, რაზედაც ვეშურები სასწრაფოდ გაახლოთ პასუხი. დიდად საამურია ჩემისთანა თავდადებული მუშაკისათვის იმის აღმოჩენა, რომ ჩემს დედობრივ ზრუნვას საპასუხო სიყვარული მოუპოვებია; და თანაც ბატონ ბიუტ კროულის მშვენიერ მეუღლეში ძველი წარჩინებული მოწაფე, მკვირცხლი და სრულყოფილი მის მართა მეკ-ტევიში რომ შევიცანი. ბედნიერი ვარ, რომ ამჟამად იმ პირთა ბევრი ასული მყავს მობარებული, რომელნიც თქვენ დროს იმყოფებოდნენ ჩემს სასწავლებელში. რა სიამე მოეფინება ჩემს გულს, რომ თქვენი საკუთარი საყვარელი ყმაწვილი ქალებიც დაისაჭიროებდნენ ჩემს მწვრთნელ ხელს!

„ვუძღვნი რა ჩემს მოკრძალებული სალამს ლედი ფადლსტონს, პატივი მაქვს წარმოვუდგინო (წერილობით) მის ბრწყინვალებას ჩემი ორი მეგობარი: მის ტაფინი და მის ჰოკი.

„ორივე ყმაწვილი ქალი სრულყოფილად გახლავთ დახელოვნებული და შეუძლიათ ასწავლონ: ბერძნული, ლათინური და ცოტაოდენი ებრაული; მათემატიკა და ისტორია; ესპანური, ფრანგული, იტალიური და გეოგრაფია; მუსიკა - სიმღერა და საკრავების დაკვრა; ცეკვა - სპეციალური მასწავლებლის დაუხმარებლად, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საწყისები. გლობუსის ხმარებაში ორივე ფრიად დაოსტატებულია. ამაზე დამატებით, მის ტაფინს, რომელიც ასული გახლავთ ღირს მამა ტომას ტაფინისა (კემბრიჯის კორპუს-კოლეჯის ნამდვილი წევრისა), შეუძლია ასწავლოს სირიული ენა და საკონსტიტუციო სამართლის ელემენტები, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ თვრამეტი წლისა გახლავთ, თანაც ნამეტანი კოხტა თვალტანადობისა, იქნებ ეს ახალგაზრდა არ მოეწონოთ სერ ჰადლსტონ-ფადლსტონის ოჯახში.

„მის ლეტიცია ჰოკი, პირიქით, გარეგნულად შეუხედავია. ოცდაცხრა წლისაა და პირსახე ძალიან აქვს დაკენკილი ყვავილით. ცალი ფეხით მოიკოჭლებს. წითური თმა აქვს და ცოტა ელამიც გახლავთ. ორთავე მანდილოსანი დაჯილდოებულია ყოველი ზნეობრივი და სარწმუნეობრივი სათნოებითა და ღირსებით. მათი პირობები, რასაკვირველია, მათ ღირსებათა შესაფერიც გახლავთ. მადლიერებისა და უღრმესი ბედნიერების გრძნობით მოვიკითხავ ღირს მამა ბიუტ კროულისა და მაქვს პატივი დავშთე.

ძვირფასო ქალბატონო, თქვენი უერთგულესი და უმორჩილესი მონა

„P.S. - მის შარპი, რომელსაც ახსენებთ ვითარცა ბარონეტის, პარლამენტის წევრის, სერ პიტ კროულის აღმზრდელ ქალს, ჩემი შეგირდი გახლდათ და მის წინააღმდეგ არაფერი მეთქმის. თუმცა შესახედაობითა მიმზიდველი ვერ არის, მაგრამ ბუნების ძალებთან რა გაგვეწყობა! და თუმცა მშობლები სახელგატეხილი ჰყავდა (მამა მხატვარი იყო და რამდენჯერმე გაკოტრდა; დედა კი, როგორც მერე შეძრწუნებულმა შევიტყვე, ოპერის მოცეკვავე ყოფილა), გვარიანი ნიჭიერია და არა ვნანობ, რომ სამოწყალოდ ავიყვანე და გამოვზარდე. ოღონდ თავზარსა მცემს ფიქრი, რომ ხასიათი დედამისისა, - რომელიც მე წარმომიდგინეს, ვითარცა ყოფილი რევოლუციის საშინელებათაგან თავდაღწეული ფრანგი გრაფის ასული, და რომელიც, ვითარცა მე შემდეგ გამოვიკვლიე, ფრიად

უმდაბლესი წრისა ყოფილა და უზნეობის პიროვნება გახლდათ - ოდესმე მემკვიდრეობითი აღმოჩნდება ბედშავი ახალგაზრდა ქალისათვის, რომელიც მე შევიფარე, ვითარცა უპატრონო. მაგრამ მისი ხასიათი და ქცევა აქამომდე წესიერი იყო (მე დარწმუნებული ვარ) და კიდევაც მჯერა, ამიერიდანაც არაფერი ჩრდილი მიადგება მის ყოფაქცევას გამოჩენილ სერ პიტ კროულის განათლებულ და წარჩინებულ წრეში“.

მის რებეკა შარპი მის ემილია სედლის

„ბევრი კვირა გავიდა რაც არ მომიწერია ჩემი საყვარელი ემილიასათვის, რადგან აბა რა ახალი ამბავი უნდა ყოფილიყო მოსაწყენ სასახლეში (როგორც მე მოვნათლე იგი)? აბა რაში გეპიტნავება კარგია თუ არა თალგამის მოსავალი; გასუქებული ბურვაკი იმდენს იწონის თუ ამდენს; ან კიდევ პირუტყვს რგებს და კარგად ასუქებს თუ არა საკვები ჭარხალი? მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გამოგიგზავნე წერილი, ყველა დღე ერთმანეთს ჰგავდა. საუზმემდე გასეირნება სერ პიტთან, რომელსაც ხელში პატარა ნიჩაბი უჭირავს; ნასაუზმევს მეცადინეობა (ისეთი როგორიც არის ხოლმე) სამეცადინო ოთახში; შემდეგ კითხვა და წერა ვექსილების, საიჯარო ხელშეკრულებების, ქვანახშირის მაღაროებისა და არხების შესახებ სერ პიტთან (რომლის მდივანიც მე შევიქენი); ნასადილევს მისტერ კროულის ქადაგება ან ბარონეტის ბეკგემონი; და ამ ორივე დროსტრების განმავლობაში ქალბატონი ერთნაირად მშვიდად იყურება. ამ ბოლო დროს ცოტა უფრო საინტერესო გახდა იგი, რადგან უქეიფოდ ბრძანდება და ამიტომ უცხო მომსვლელიც გაჩნდა სასახლეში - ახალგაზრდა ექიმი. დიახ, ჩემო ძვირფასო, ყმაწვილმა ქალებმა არასოდეს უნდა მისცენ სასოწარკვეთილებას თავი. ახალგაზრდა დოქტორმა თქვენს ერთ მეგობარს აგრძნობინა, თუ იგი დათანხმდებოდა, მისის გალუბერი გამხდარიყო, სიამოვნებით იქნებოდა მიღებული, ვითარცა სადასტაქროს დამამშვენებელი. ამ თავხედობაზე ვუპასუხე, თქვენს კაბინეტს მოოქროვილი ფილთაქვა და როდინი სრულიად საკმარისად ამშვენებს-მეთქი. თითქოს მართლაც მკურნალის ცოლად ვიყო დაბადებული! მისტერ გლაუბერი ამ უარით დიდად განაწყენებული წაბრძანდა შინ, დამაშოშმინებელი წამალი მიირთვა და ახლა სრულიად განკურნებული გახლავს. სერ პიტმა ფრიად მომიწონა გადაწყვეტილება; ვფიქრობ, არ ესიამოვნებოდა თავის პატარა მდივანს დაკარგვა და, მგონია,

ამ ბებრუხანას კიდეც ვუყვარვარ, თუკი ბუნებით ვინმეს სიყვარული ძალუძს. გავთხოვდე - ეგღა მაკლია! და, ისიც სოფლის მეაფთიაქეზე, მას შემდეგ, რაც... არა, არა, ასე ადვილად დასავიწყებელი არ არის ძველი გრძნობანი, რომელზედაც სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დავუბრუნდეთ მოსაწყენ სასახლეს.

„უკვე კარგა ხანია, იგი მოსაწყენი სასახლე აღარ არის. ჩემო ძვირფასო, მის კროული ჩამობრძანდა თავისი ჩასუქებული ცხენებით, ჩასუქებული ფარეშებით, ჩასუქებული სპანიელით - დიდებული, მდიდარი მის კროული, სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი ხუთ პროცენტიან აქციებში რომ აქვს დაბანდებული; ვისაც, ანუ უკეთესი ქონება თუ ვიტყვით, რასაც მისი ორი ძმა თაყვანსა სცემს. ამ სულიკოს ერთობ აპოკალიფსური შეხედულება აქვს და გასაკვირი არ არის, მისი ძმები რომ ასე დაჰკანკალებენ თავს. ნეტავი დაგანახვა, როგორ ეცილებიან ერთმანეთს, რომ ბალიში შეუსწორონ, ან ყავა მიართვან! „როცა სოფელში ჩამოვდივარ, - იტყვის იგი (რადგან გვარიანი ენამოსწრებულია ადამიანი ბრძანდება), - ჩემს მლიქვნელ მუქთახორა ბრიგზს შინ ვტოვებ. აქ, ჩემო ძვირფასო, ჩემი ძამიკოები არიან ჩემი მლიქვნელი მხლებელნი და ჭეშმარიტად ჩინებული წყვილიც არის!“

„როცა ის ჩამობრძანდება, ჩვენი სასახლის კარი მოფლეთილი გახლავს და, სულ უკანასკნელი, ერთ თვეს, გეგონება, სერ უოლპოლი გაცოცხლებულაო. იმართება წვეულებანი, ოთხცხენიანი ეტლით სეირნობანი, ფარეშები ახალ ყვითელ სამოსში არიან გამოწყობილნი. ისე მივირთმევთ კლარეტსა და შამპანურს, თითქოს ყოველდღე ვიყოთ ჩვეულნი. სამეცადინო ოთახში სანთლები და გასათბობად ცეცხლიც გვინთია. ლედი კროული იძულებულია თავის უბრწყინვალესი, ქორფა მუხუდოსფერი კაბა ჩაიცვას. ჩემი მოწაფენი გადაჰყრიან სქელლანჩიან ფეხსაცმელებს და ჭრელი უხეში შალის მოჭერილ ძველ ლაბადებს და აბრეშუმის წინდებსა და მარმაშის კაბებში გამოეწყობიან. ვითარცა წარჩინებული ბარონეტის ასულთ შეჰფერის. გუშინ როზი ფრიად ცხვირჩამოშვებული მობრძანდა; უილტშირული ნეზვი (მისი უშველებელი ნებიერა) გამოსდგომოდა, გასთამაშებოდა და ძალიან კოხტა, იასამნის ყვავილებიანი აბრეშუმის კაბა გაეფუჭებინა მისთვის. ეს რომ ერთი კვირის წინათ მომხდარიყო, სერ პიტი გინებით აიკლებდა იქაურობას, გაასილაქებდა საბრალოს და ერთ თვეს

წყალსა და პურზე დასვამდა. ახლა კი მხოლოდ ეს ბრძანა: „მამიდაშენი რომ წავა, მერე გაგიმასპინძლდები, ქალბატონო, საკადრისადო“, - და ეს ამბავი ხუმრობაში ჩაატარა, თითქოს ძალიან სასაცილო ყოფილიყო. იმედი ვიქონიოთ, რომ მის კროულის წაბრძანებამდე, განქარდება მისი გულისწყრომა. ასე ვიმედოვნებ მის როზის გულისთვის და დარწმუნებულიცა ვარ. რა მომხიბლავი შემრიგებელი და მშვიდობის მოციქულია ფული!

„სხვა განსაცვიფრებელი გავლენის შედეგი მის კროულისა და მისი სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგისა ორთა ძმათა კროულის ყოფაქცევასაც ეტყობა (მე ბარონეტსა და მის ძმა მღვდელსა ვგულისხმობ, ჩვენს ძმებს კი არა!) - მთელი წლის განმავლობაში რომ ერთმანეთსა სჭამენ, საშობაოდ ფრიად შეიტკბობენ ერთურთს. შარშან გწერდი, დოღისმოყვარე საძაგელი მღვდელი როგორ იყო დაჩვეული ეკლესიაში ჩვენთვის უგვანი ქადაგებების თქმას და სერ პიტი საპასუხოდ როგორ ხვრინვას ამოუშვებდა ხოლმე. როცა მის კროული ჩამობრძანდება, ჩხუბის ხმას ვეღარ გაიგონებს კაცი; სასახლე ესტუმრება მღვდლის სახლს და vice versa[37]; მღვდელი და ბარონეტი ძალიან თავაზიანად მუსაიფობენ ბურვაკებსა და ქურდ მონადირეებზე, საგრაფოს საქმეებზე და მგონია, გადაკრულშიაც რომ ბრძანდებიან, მაშინაც არ წაეკიდებიან ხოლმე. ჭეშმარიტად, მის კროულის მათი ჩხუბის გაგონება არ ნებავს და იფიცავს, თუ გამაჯავრეთ, ჩემს ფულს შროპშირელ კროულებს ვუანდერძებო. შროპშირელი კროულები რომ ჭკვიანები იყვნენ, ვფიქრობ, მართლა შეეძლოთ მთელი ეს ქონება ხელში ეგდოთ; მაგრამ შროპშირელი კროულიც, მისი ჰემპშირელი ბიძაშვილივით, მღვდელი გახლავს და მომაკვდილებლად შეურაცხჰყო (რომელიც თავის უჯიათ, ჭინჭყლ ძმებზე გაგულისებული იმას ესტუმრა) ზნეობის ზოგიერთი მკაცრი ჭეშმარიტების აღიარებით. დარწმუნებული ვარ სახლში ლოცვა-ვედრებასაც კი გამართავდა.

„მის კროული რომ ჩამობრძანდება, ჩვენი ქადაგებათა წიგნები დახურულია, მისტერ პიტი, რომელიც მას ეჯავრება, ამჯობინებს ქალაქს გაემგზავროს. მეორე მხრით კი, თავმომწონე ჭაბუკი, დარდიმანდი (მგონი ასე ეძახიან ხოლმე) კაპიტანი კროული გამოჩნდება და ვფიქრობ, გენდომება, შეიტყო, რა ჯურის კაცი ბრძანდება იგი.

„მაშ უნდა მოგახსენო, რომ ეს ერთობ ვეებერთელა ახალგაზრდა დარდიმანდი გახლავს. ექვსი ფუტი სიმაღლისაა და ბუხუნითა ლაპარაკობს; ბევრს იგინება, ბრძანებლობს ფარეშებს, რომელნიც მაინც ყველანი თაყვანსა სცემენ, რადგან ნამეტანი ხელგაშლილობითა ხარჯავს ფულს და შინამოსამსახურენი ცეცხლში ჩაცვივდებიან მისი გულისათვის. წინა კვირაში დარაჯებმა კინაღამ დახოცეს სასამართლოს ბოქაული და მისი კაცი, რომელნიც ლონდონიდან ჩამოსულიყვნენ კაპიტნის დასაპატიმრებლად და პარკის გალავანთან ჩასაფრებულთ წაადგნენ თავს. დარაჯებმა ცემით სიქა გააცალეს მათ და ვითომ ქურდი მონადირენი არიან თოფის სროლასაც უპირებდნენ, რომ ბარონეტი არ ჩარეულიყო საქმეში.

„კაპიტანს, კარგად ვხედავ, გულითა და სულით ეზიზღება მამა - ბებერ ხეპრეს, ბებერ გაიძვერასა და კუდაბზიკას, ყრანტ გაგრიას და სხვა ურიცხვ ტურფა სახელს ეძახის. მანდილოსნებში საშინელი სახელი აქვს დავარდნილი. თავისის სანადირო ბედაურები ჩამოჰყავს შინ, ქეიფობს საგრაფოს აზნაურობაში; ვისაც ნებავს მოიწვევს სადილად, და სერ პიტიც დამფრთხალი, რომ მის კროული არ განაწყენდეს და როცა იგი სულს განუტევებს დამბლით, მემკვიდრეობა არ გამოეცალოს ხელიდან, ვერა ბედავს უარი უთხრას. მოგწერო ქათინაური, კაპიტანმა რომ მითხრა? ისე კარგი რამ არის, რომ უნდა მოგწერო. ერთ საღამოს ცეკვა გვქონდა გამართული; აქა ბრძანდებოდნენ სერ ჰადლსტონ-ფადლსტონი ოჯახითურთ, სერ ჯაილზ უოპშოტი და მისი ქალიშვილები და არ ვიცი კიდე რამდენი სხვა ჰოდა, ყური მოვკარი, კაპიტანმა რომ შესძახა: „ღვთის მადლმა, ეს ერთობ პატარა კოხტა გოგნუცა არისო!“ და სწორედ შენს უმორჩილეს მონას კი ჰგულისხმობდა; თანაც პატივი დამდო და ოჯერ კანტრი-დანსიც მეცეკვა. ძალიან მხიარულად ატარებს დროს ყმაწვილ აზნაურებში: მათთან სვამს, სანაძლეოებს დებს. დააჭენებს ცხენს, მუსაიფობს ნადირობასა და სროლაზე; მაგრამ აქაურ ქალიშვილებზე კი ამბობს, მოსაწყენები არიანო. მართლაც , არა მგონია, ძალიანა ცდებოდეს უნდა ნახო რა ამრეზით დამყურებენ ისინი მე საბრალოს. როცა ცეკვავენ მე ვზივარ და ძალიან მორიდებით და თავმდაბლურად ვუკრავ ფორტეპიანოს. მაგრამ ერთ საღამოს კაპიტანი ჩვეულებრივზე უფრო შექეიფიანებული დაბრუნდა და გაჟინჟღლებული შემობრძანდა სასადილო

დარბაზიდან და იმ საქმეში გართული რომ მიხილა, ხმამაღლა შეჰყვირა, ამ დარბაზში ეს ყველაზე უკეთესი მოცეკვავეაო, და დიდი აღთქმა დადო, უეჭველად ბადბერიდან მოვაყვანინებ მუსიკოსებსო.

„- დავჯდები და მე დავუკრავ კანტრი-დანსს, - დიდის ხალისით ბრძანა ბიუტ კროულის მეუღლემ (იგი პატარა, შავგვრემანი, დოლბანდიანი ბებერია, ცოტა მოკუზულიც და ნამეტანი ციცინა, ეშმაკური თვალები აქვს); დეა როცა კაპიტანმა და შენმა საწყალმა პატარა რებეკამ ერთად იცეკვეს ქათინაურიც მითხრა. ასეთი ამბავი წინათ არავის სმენია! ქედმაღალი ქალბატონი კროული, გარფ ტიფტოფის ღვიძლი ბიძაშვილი, რომელიც გარდა მუსლის სოფლად მობრძანების დროისა, ლედი კროულის ნახვასაც არ კადრულობდა! საბრალო ლედი კროული! ამ დროსტარებათა უმეტეს ხანს ზემო სართულში ატარებს და აბებს ყლაპავს.

„ბატონ ბიუტ კროულის მეუღლეს ანაზდად ჩემი დიდი სიყვარული ჩაუვარდა გულში.

„- ჩემო ძვირფასო მის შარპ, - მითხრა მან, - რატომ არ მოიყვანთ ჩვენთან გოგონებს? ბიძაშვილებს როგორ გაეხარდებათ მათი ნახვა!

„მე ვიცი, რაც ნებავს. სინიორ ლემენტის უფასოდ არ უსწავლებია ჩვენთვის ფორტეპიანოს დაკვრა; ამ ფასად კი ბიუტის მეუღლეს იმედი აქვს მასწავლებელს უშოვნის თავის შვილებს. ისე ვხედავ მთელ მის გეგმებსა და ოინებს თითქოს სულ თვითონვე გადაეშალოს ჩემთვის; მაგრამ მაინც ვესტუმრები, რადგან ხომ გადაწყვეტილი მაქვს, ყველას თავი მოვაწონო და შევაყვარო... განა ეს საწყალი აღმზრდელი ქალის მოვალეობა არ არის, რომელსაც არც მეგობარი გააჩნია და არც მფარველი ქვეყნიერების ზურგზე! მღვდლის ცოლმა ბევრი ქათინაური მითხრა, დიდი წარმატება მოუპოვებია თქვენს შეგირდებსო და უეჭველია, ეგონა, ჩემი გული მოიგო...საცოდავი, მიამიტი, გულუბრყვილო სოფლელი დედაკაცი!... თითქოს ჩირად ვაგდებდე ჩემს შეგირდებს!

„შენი ინდური მარმაში და ალისფერი აბრეშუმი, ძვირფასო ემილია, მეუბნებიან, ძალიან გიხდებაო. უკვე გვარიანადაც გაცვდა, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენ, ღატაკ ქალიშვილებს, სადა შეგვიძლია ვდიოთ და ვეძებოთ des fraiches toilettes[38].

ბედნიერი ხარ, ბედნიერი! მხოლოდ სენტ-ჯეიმზის ქუჩაში ჩაივლი ეტლით და რაც გინდა გულო და სულო, ყველაფერს გიყიდის საყვარელი დედიკო. მშვიდობით, უძვირფასესო მეგობარო.

„შენი მოსიყვარულე

რებეკა.

„P.S. - ნეტავ გენახა მის ბლეკბრუკების სახეები (ადმირალ ბლეკბრუკის ქალიშვილებისა, გენაცვალე), ლონდონურ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩინებული ახალგაზრდა ბანოვანებისა, როცა კაპიტანმა როუდონმა მე საწყალი საცეკვაოდ გამომიწვია!“

როცა ბიუტ კროულის მეუღლემ (რომლის ოინები ჩვენმა გამჭრიახმა რებეკამ ასე მალე განჭვრიტა) მის შარპს ჩამოართვა პირობა, გესტუმრებითო, მერე ყოვლისშემძლე მის კროულის ათქმევინა, სერ პიტს თავისი დასტური დაერთო ამისათვის. გულკეთილი მოხუცი მანდილოსანი, რომელსაც თვითონაც უყვარდა მხიარულება და თავის გარშემო ყველას მხიარული და ბედნიერი სახის დანახვაც უნდოდა, სრულიად მოიხიბლა ამ გეგმით და მზად იყო მშვიდობა და ტკბილი სიყვარული დაემკვიდრებინა ძმებს შორის. ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ორივე ოჯახის ახალგაზრდობა მომავალში ხშირად მოინახულებდა ერთმანეთს და მეგობრობა, რასაკვირველია, მანამდე გაგრძელდა, სანამ მხიარული მოხუცი გამზავებელი იქ ბრძანდებოდა მშვიდობიანობის დასამყარებლად.

- რატომ მოიწვიე სადილად ის არამზადა როუდონ კროული? - უთხრა მღვდელმა მეუღლეს, პარკის გზით შინისაკენ რომ მიბრძანდებოდნენ, - არ მეჭაშნიკება ეს ვაჟბატონი. ისე დაგვყურებს ჩვენ, სოფლელებს, თითქოს ზანგები ვიყოთ. მანამდე არ მოისვენებს, სანამ ჩემს ყვითელ ლუქიან ღვინოს არ გადაყლურწავს; ის ღვინო, კი, დალახვროს ღმერთმა მისი თავი, ბოთლი ათი შილინგი მიჯდება! თან კიდევ ეს ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთის შვილია; ყომარბაზი, ლოთი, ყოველმხრივ გარყვნილი. დუელში კაცი მოკლა, თავიდან ფეხებამდე ვალებშია ჩაფლული და მე და ჩემს შვილებს მის კროულის ქონების საუკეთესო ნაწილსაც ხელიდან გვტაცებს. უექსი ამბობს, მის კროულიმ იმას... - აქ მღვდელმა მუშტი მოუღერა მთვარეს, თან გინების ძალიან მსგავსი რაღაცა წაიდუდუნა და

მოწყენილი კილოთი დააბოლოვა: - ...თავის ანდერძში ორმოცდაათი ათასი დაუტოვაო და გასანაწილებლად ოცდაათიათასზე მეტი აღარც დარჩება.

- მე მგონი, უკვე სულის გაფრთხობას აპირებს, - ბრძანა მღვდლის ცოლმა. - ნასადილევს რომ ადგა, ნამეტანი გაჭარხლებული იყო. ზონრებიც კი მომაშვებინა.

- შვიდი ჭიქა შამპანური გადაჰკრა, - დასძინა წმინდა მამამ ხმადაბლა, - და მერე საძაგელი შამპანური კი არის ჩემი ძმის რომა გვწამლავს, ის... მაგრამ თქვენ, დედაკაცებმა ხომ არ იცით, რა რა არი.

- ჩვენ არაფერიც არ ვიცით, - კვერი დაუკრა მეუღლემ.

- ნასადილევს ალუბალზე დაყენებული არაყიც მიაყოლა, - განაგრძო მისმა მაღალღირსებამ, - და ყავაში კიურასოს ლიქიორიც ჩაიმატა. მე ხუთ გირვანქა სტერლინგიანისთვისაც არ დავლევდი ერთ ჭიქას - გულის წვითა მკლავს. ეგ ვერ გაუძლებს, ქალბატონო... გააფრთხობს სულს... სისხლი და ხორცი ვერ აიტანეს! და მე სანაძლეოდ ხუთს ვდებ ორის წინააღმდეგ, რომ მატილდა ერთ წელიწადს ვეღარ გაატანს.

მღვდელი და მისი თანამეცხედრე ცოტა ხანს ამ დიდებულ ბჭობაში გართულნი განაგრძობდნენ სიარულს. მერე მღვდელმა დაიწყო ფიქრი თავის ვალებზე, კოლეჯში სასწავლებლად გაგზავნილ ვაჟ ჯიმზე და და ვულიჯს მყოფ ფრანკზე; აგრეთვე ოთხ ქალიშვილზე, რომელნიც ვერაფერი ლამაზები იყვნენ საბრალონი და მამიდის წყალობის მოლოდინის გარდა ერთი პენიც არ გააჩნდათ.

- არა მგონია, პიტი ისე გათახსირებული არამზადა იყოს, სამრევლოს მემკვიდრეობის უფლება გაყიდოს. იმ ცინგლიან მეთოდისტს, უფროს ბიჭს, ხომ მაინც პარლამენტისკენ უჭირავს თვალი, - განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ ბატონმა კროულიმ.

- სერ პიტ კროული ყველაფერს ჩაიდენს, - თქვა ცოლმა. - ჩვენ უნდა მის კროული დავიყოლიოთ, სერ პიტს პირობა ჩამოართვას, ჯეიმზს მისცეს სამრევლო.

- პიტი ყველაფერს დაგვპირდება, - მიუგო მისმა ძმამ, - მამაჩემი რომ გარდაიცვალა, პირობა დადო, ჩემი კოლეჯის

ვალებს გაისტუმრებდა; პირობა დადო, მღვდლის სახლს კიდევ მიუშენებდა ახალ ოთახებს; დამპირდა ჯიბის ყანას და ექვსკარიან მინდორს მოგცემო და აბა, ძალიან არ შეასრულა თავის დაპირება! და მერე სწორედ ამ კაცის შვილს - არამზადა, გარეწარ, ყომარბაზ, თაღლით, კაცის მკვლელ როუდონ კროულის უტოვებს მატილდა თავის ფულის უდიდეს ნაწილს. ეს ხომ ურჯულობაა! ღმერთს გეფიცები, ურჯულობაა! ეს წუწკი ქოფაკი პირმოთნმეობისა და თვალთმაქცობის გარდა ყველა მანკით არის აღვსილი და ესეც იმის ძმას დაუსაკუთრებია!

- ჩუმად, ჩემო საყვარელო! სერ პიტის მიწაზე მივდივართ, - ჩაურთო ცოლმა.

- მე ვამბობ, ყველა მაკით არის აღვსილი-მეთქი იგი, ქალბატონო კროული. ნუ მაშინებ, ქალბატონო. განა იმან არ მოკლა კაპიტანი მარკერი? განა იმან არ გაძარცვა ლორდ დავდეილი „ქოქსის პალმაში?“ განა იმან არ გააშველა ბილ სომზი და ჩეშირელი ყოჩი, რის გამოც ორმოცი გირვანქა წავაგე? კარგად მოგეხსენება, სულ იმან ჩაიდინა ეს ოინები. ქალებს რაც შეეხება ხომ, შენ თვითონაც გაიგონე, ჩემ თვალწინ, თვით მოსამართლის საკუთარ ოთახშიც კი...

- თუ ღმერთი გწამს, ბატონო, - სიტყვა ჩამოართვა მანდილოსანმა, - ყველაფერს დაწვრილებით ნუ მეტყვი.

- და შენ ეს არამზადა მოიპატიჟე სახლში! - განაგრძობდა გაგულისებული მღვდელი. - შენ, გასათხოვარი ქალიშვილების დედამ... ინგლისში ეკლესიის მოძღვრის მეუღლემ, ღმერთო შემიწყალე!

- ბიუტ კროული, შენ ნამდვილი რეგვენი ბრძანდები, თქვა ზიზღით მღვდლის თანამეცხედრემ.

- დიახ, ქალბატონო, რეგვენი გახლავარ თუ არა... და არც ვამბობ, მართა, ისე ჭკვიანი ვიყო, როგორც შენ, არც კიდევ ოდესმე მითქვამს. მაგრამ როუდონ კროულის კი გვერდს არ მოვუჯდები, მორჩა და გათავდა! მე ჰადლსტონთან გადავალ; სწორედ ასე ვიზამ, და მის შავ მწევარს გავსინჯავ, ქალბატონო კროული; და ორმოცდაათ გირვანქა სტერლინგად კიდეც დავაჯიბრებ ლანსელოტს. ღმერთმანი, ასე ვიზამ; ანდა თუ გინდა, იმას დავაჯიბრებ, მაგრამ იმ პირუტყვ როუდონ კროულის კი არ შევეყრები.

- ბატონო კროული, შენ ჩვეულებისამებრ შეზარხოშებული ბრძანდები, - მიუგო ცოლმა.

და მეორე დილით, როცა მღვდელმა გამოიღვიძა და თხელი ლუდი მოინება, მეუღლემ მოაგონა, ხომ პირობა დადე, შაბათს სერ ჰადლსტონს ფადლსტონი მოგენახულებინაო; და ვინაიდან იცოდა, ამ ღამეს ყელის ჩასველებას ვერ ასცდებოდა, დაასკვნეს, კვირა დილას თავის დროს მოეჭენებინა ცხენი ეკლესიის კარზე, ამგვარად ხედავთ, რომ კროულის მრევლი თანაბრად ბედნიერი გახლდათ თავიანთი მებატონითა და თავიანთი მღვდლით.

მის კროულის ჩამოსვლას შემდგომ დიდხანს არ გაევლო, რომ რებეკამ უკვე მოხიბლა ამ კეთილი ლონდონელი დარდიმანდი მანდილოსნის გული ისევე, როგორც ადრევე მოაჯადოვა ჩვენ მიერ აღწერილ სოფლელ უმანკოთა გულები. ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ სასეირნოდ რომ მიბრძანდებოდა, იფიქრა, კარგი იქნება, თუ „იმ პატარა მასწავლებელსაც“ მადბერის თან წავიყოლიებო. და სანამ დაბრუნდებოდნენ, რებეკამ სულ დაიმორჩილა იგი, ვინაიდან მთელ ამ პატარა მოგზაურობაში გაართო და ოთხჯერაც გაიცინა.

- მის შარპი და სადილად სუფრაზე არ დასვან!? - შესძახა მან სერ პიტს, რომელიც სადილად დიდ წვეულებასა მართავდა და ყველა მეზობელი ბარონეტი მოიპატიჟა. - აბა, ჩემო ძვირფასო, ხომ არა გგონია, რომ ბალღების აღზრდაზე გავუბა მუსაიფი ლედი ფადლსტონს; ან კიდევ სასამართლოს საქმეებზე დავუწყო კამათი იმ ბატს, დაჩამჩამებულ სერ ჯაილზ უოპშოტს? მე დაჟინებით მოვითხოვ მის შარპის აქ ყოფნას. დაე ლედი კროული ზემოთ დარჩეს, თუ ადგილი აღარა გყოფნით. მაგრამ პატარა მის შარპი! ის ხომ მთელ საგრაფოში ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ხმა გაეცემა!

რა თქმა უნდა, ასეთი სასტიკი განკარგულების შემდეგ, მიშ შარპს, აღმზრდელ ქალს, ებრძანა, ქვემოთ, ბრწყინვალე საზოგადოებაში გარეულიყო და ესადილნა. და როცა სერ ჰადლსტონმა მის კროული დიდის რიხითა და თავაზით წააბრძანა სუფრისაკენ და ემზადებოდა მის გვერდით ჩამოსაჯდომად, ბებერმა მანდილოსანმა ხაფი ხმით დაჰკივლა: - ბეკი შარპ! მის შარპ! მოდი, გვერდით დამიჯექი და გამართე; სერ ჰადლსტონი კი, დაე, ლედი უოპშოტს მიუჯდეს!

როცა წვეულება დაიშლებოდა და ეტლები წავიდ-წამოვიდოდა, გაუმაძღარი მის კროული იტყოდა: „წამო ჩემს საპირფარეშო ოთახში, ბეკი, და ერთი გავთათხოთ ეს ხალხიო“... რასაც ეს ორი მარტოდ დარჩენილი მეგობარი მართლაც დიდის გულმოდგინებით აღასრულებდა. ბებერი სერ ჰადლსტონი ნამეტანი ხვნეშოდა და ქშინავდა სადილზე; სერ ჯაილზ უოპშოტი განსაკუთრებული ხმაურით ხვრეპდა წვენს. ლედი უოპშოტი კი მარცხენა თვალს აფახურებდა, და ყოველივე ამას ბეკი განსაცვიფრებლად აჯავრებდა. ასევე განაქიქებდნენ სიტყვა-სიტყვით იმღამინდელ მუსაიფს; პოლიტიკაზე, ომზე, მომრიგებელ სასამართლოს სესიებზე, სახელგანთქმულ დოღზე მისის უდიდებულესობის მონაწილეობით, და იმ მძიმე და მოსაწყენ ამბებზე, რომელზედაც სოფლის თავად-აზნაურობა ბაასობს. ხოლო რაც შეეხება მის უოპშოტების მორთულობებსა და ლედი ფადლსტონის დიდებულ ყვითელ ქუდს, მის შარპი მათ სულ ნაკუწ-ნაკუწ აქცევდა თავისი მსმენელის უზომოდ გასახარელად.

- გენაცვალე, შენ ნამდვილი trouvaille[39] ხარ , - ეტყოდა მის კროული. - მინდა ჩემთან ლონდონს წაგიყვანო, მაგრამ შენ ისე ვერ აგიგდებ მასხრად, როგორც იმ საბრალო ბრიგზს ვუშვრები...ვერა, ვერა, შე კუდრაჭავ; შენ ძალიან ჭკვიანი ხარ...განა არა ფერკინ?

მისის ფერკინმა (რომელიც მის კროულის კინკრიხოზე შემორჩენილ ფრიად შეთხელებულ თმას ვარცხნიდა - აიქნია თავი და გულის გამგმირავი სარკასტული იერით ბრძანა: „მე მგონია, ქალბატონი ძალიან, ძალიან ჭკვიანი ბრძანდებაო.“ მართლაც მისის ფერკინს სწორედ ის ბუნებრივი მეშურნეობის გრძნობა უღრღნიდა გულს, რაც ყოველი პატიოსანი დედაკაცის უმთავრეს გულისთქმას წარმოადგენდა.

სერ ჰადლსტონ ფადლსტონის გატრიზავების შემდგომ მის კროულიმ ბრძანა, ყოველდღე როუდონ კროულის წაებრძანებინა იგი სასადილოდ, ხოლო ბეკი ბალიშითურთ ხლებოდათ; ან კიდევ იგი ბეკის ხელს დაეყრდნობოდა, როუდონს კი ბალიშიანად იახლებდა.

- ჩვენ ერთად უნდა დავსხდეთ, - განაცხადა მან, - მხოლოდ ჩვენ სამნი ვართ მთელ საგრაფოში ქრისტიანები, გენაცვალე... - ამაზე უნდა შევნიშნოთ, რომ სარწმუნოების საქმენი მაშ ერთობ უკუღმართადა ყოფილა ჰენტის საგრაფოში.

გარდა ასე ჩინებული მორწმუნეობისა, მის კროული, როგორც მოგახსენეთ, ულტრა ლიბერალური აზრების პატრონიც გახლდათ და თანაც ყოველთვის დაურიდებლად და გულწრფელად გამოთქვამდა ხოლმე მათ.

- აბა, რა არის წარმოშობა, გენაცვალე? - ეტყოდა იგი რებელას, - შეხედე ჩემს ძმა პიტს; შეხედე ჰადლსტონებს, ჰენრი მეორის დროიდან რომ არიან აქ დამკვიდრებულნი, შეხედე უბადრუკ ბიუტს, მღვდელს... განა შენ რომელიმე შეგედრება ჭკუით ან აღზრდით? შენ შეგადარონ კი არა, თვით საბრალო, კარგ ბრიგზს, ჩემს კომპანიონს, ან კიდევ ბოულზს, ჩემს სახლთუხუცესსაც კი ვერ გაუტოლდებიან. შენ, ჩემო საყვარელო, პატარა საკვირველი სრულყოფილი არსება ხარ... სწორედ ნამდვილი პატარა პატიოსანი თვალი ხარ... შენ მთელ ნახევარ საგრაფოზე მეტი ტვინი გაქვს... თუ ღირსებას ჯილდო ეკუთვნის, შენ დედოფალი უნდა იყო... არა, დედოფალები ხომ სულაც არ უნდა იყვნენ... მაგრამ შენზე მეტი კი არავინ უნდა იყოს და მე გთვლი შენ, ჩემო საყვარელო, ყოველმხრივ ჩემს ტოლად; და... გენაცვა, ერთი იქნებ ნახშირი შეუმატო ცეცხლს; და იქნებ აიღო ეს ჩემი კაბა და ერთი შენებურად გადააკეთო? შენ ხომ ისე კოხტად იცი ხოლმე გაკეთება!

ამგვარად ეს ბებერი კაცთმოყვარე მანდილოსანი თანაბრად დაარბენინებდა მას პატარა-პატარა საქმეებზე, აკეთებინებდა ხელსაქმეს და ფრანგულ რომანებს აკითხებდა ძილის მოსაგვრელად.

ამ ხანებში, როგორც ხანშესულ მკითხველთ ემახსოვრებათ, წარჩინებული საზოგადოება ორი ამბის წყალობით შეიძრა, რომელთაც, გაზეთებს თუ დავუჯერებთ, გრძელწამოსასხამიანი დარბაისელნი იქნებ კიდეც დაეფაცურებინა. ლეიტენანტმა შეფტონმა გრაფ ბრიუნის ასული და მემკვიდრე ლედი ბარბარა ფიცერზი მოიტაცა; ხოლო საწყალი ვირ ვეინი, დარბაისელი კაცი, რომელიც ორმოც წლამდე ფრიად პატიოსან ხასიათს ამჟღავნებდა და მრავალსულიან ოჯახს ინახავდა, ანაზდად თავქუდმოგლეჯილი გაიქცა შინიდან და ქალბატონ რუჟმონს, სამოცდახუთი წლის მსახიობს, გაეკიდა.

- ძვირფასი ლორდ ნელსონის ბუნების ყველაზე უმშვენიერესი მხარე, - ბრძანებდა მის კროული, - ის იყო, რომ ქალის გულისათვის ეშმაკს მისცემდა სულს. კარგი კაცი უნდა იყოს,

ვინც ასე ჩაიდენს. მე პირადად თაყვანსა ვცემ ყველა თავზე ხელაღებულ, განუსჯელ ქორწინებას. ყველაზე ძალიან მიყვარს, როცა კეთილშობილი ვაჟი მეწისქვილის გოგოს შეირთავს, ლორდმა ფლაურდეილმა რომ ჩაიდინა, ისე. როგორ გაწიწმატდება ხოლმე ყველა ქალი!.. ნეტავი, გენაცვალე, შენც ვინმე დიდი კაცი მოგიტაცებდეს! სილამაზით ხომ, დარწმუნებული ვარ, ძალიან ლამაზიცა ხარ.

- ორფორეიტორიანი ეტლით!.. იჰ, რა კარგი სანახავი იქნება! - გამოტყდა რებეკა.

- და ამის შემდეგ კიდევ ყველაზე ძალიან მომწონს, ღარიბ ვაჟს მდიდარი ქალიშვილი რომ მოატაცებინებს თავს. გულითა და სულით მინდა, როუდონმა ვინმე გაიტაცოს.

- ვინმე მდიდარი, თუ ვინმე ღატაკი?

- აი, შე ბატო! მე რასაც არ მივცემ, იმის მეტი ერთი შილინგიც არ გააჩნია როუდონს. ის ხომ crible de dettes[40] გახლავს... ქონება უნდა შეიძინოს და გაიმარჯვოს ცხოვრებაში.

- ძალიან ჭკვიანია? - იკითხა რებეკამ, - ჭკვიანი, გენაცვალე?.. გარდა მისი ცხენებისა, მისი ლეგიონისა, ნადირობისა და თამაშისა არაფერი არ გაეგება რა ამ ქვეყნისა. მაგრამ ცხოვრებაში კი უნდა გაიმარჯვოს, ისე მომხიბლავი, თავზეხელაღებული ვინმეა. არ იცი? იმან ერთი კაცი გააგორა, შეურაცხყოფილ მამას კი მხოლოდ ქუდი გაუხვრიტა. მის რაზმში პირდაპირ თაყვანსა სცემენ და უოტიერისა და „ქოქოსის პალმის“ მთელი ყმაწვილკაცობა სულ მის მზეს ფიცულობს.[41]

როცა მის რებეკა შარპი თავის საყვარელ მეგობარს აღუწერდა დედოფლის კროულის პატარა წვეულების ამბავს და იმას, თუ პირველად რა ყოფით გამოარჩია იგი კაპიტანმა კროულიმ, მას, უცნაურია მოგახსენოთ, საქმის ჭეშმარიტი ვითარება მაინც არ გადმოუცია. კაპიტანმა მანამდეც მრავალჯერ მიაქცია მას ყურადღება; კაპიტანი ათიოდეჯერ მიანც შეხვედრია მას სეირნობაში; კაპიტანი უსუქებდა ხოლმე მას გზას ათას დერეფნებსა და ტალანებში; კაპიტანი ღამეში ოცჯერ მიანც გადმოეყუდებოდა ხოლმე ფორტეპიანოს, როცა მის შარპი მღეროდა (ქალბატონი ამ დროს უქეიფოდ გახლდათ, ზემოთ ბრძანდებოდა და მისთვის არავინ იცხელებდა თავს); კაპიტანი სწერდა რებეკას ბარათებს (საუკეთესოს, რაც კი შეეძლო

გამოეგონებინა და შეეთხზო უგერგილო, ვეება დრაგუნს; მაგრამ გონებაჩლუნგობა, ისევე როგორც ყველა სხვა თვისება, დიაცების გულს მაინც მოინადირებს). ოღონდ რებეკა რომ მღეროდა, იმ სიმღერის ნოტების ფურცელში რომ ჩაუდო პირველი ბარათი, პატარა აღმზრდელი წამოდგა, ჯიქურ შეხედა მას სახეში, ორი თითი წაავლო სამკუთხიან უსტარს, დაუწყო ქნევა, თითქოს სამკუთხა ქუდი ყოფილიყო, წარსდგა ბიჯი მტრისაკენ, ბარათი ცეცხლში შეუძახა, ერთობ მდაბლად სცა თაყვანი კაპიტანს, დაუბრუნდა მერე თავის ადგილს და კვლავ განაგრძო სიმღერა უფრო მხიარულად, ვიდრე ოდესმე წინათ.

- რა ამბავია? - იკითხა მის კროულიმ, რომელიც სიმღერის შეწყვეტამ ნასადილევს თვლემიდან გამოაფხიზლა.

- ყალბი ხმა გახლავთ, - მიუგო სიცილით მის შარპმა; მიწასთან გასწორებული და გამწარებული როუდონ კროული კი ჯავრისგან ბორგავდა და ქშინავდა.

მის კროულის რომ აშკარად ეტყობოდა ახალი აღმზრდელის მოწონება, ამას ბიუტ კროულის მეუღლე ხომ ხედავდა და რა გულკეთილობა იყო მისი მხრით, შურს რომ არ განიცდიდა; პირიქით ყმაწვილი ქალი თავის ოჯახშიც მიიწვია და არა მარტო ის, არამედ როუდონ კროულიც! - მისი ქმარს მოქიშპე ბერახჩუა შინაბერას ქონების დაპატრონების საქმეში. ქალბატონ კროულის და მის მაზლისწულს ძალიან მოეწონათ ერთმანეთი. კაპიტანმა ხელი აიღო ნადირობაზე, უარი თქვა ფადლსტონებთან დროის სატარებლად სიარულზე; მადბერის ჯარის სადგომებში ოფიცერთა საერთო სუფრაზე სადილობასაც აარიდა თავი. მისი უდიდესი სიამოვნება კროულის მღვდლის სახლისკენ გასეირნება შეიქნა, სადაც მის კროულიც წაბრძანდებოდა ხოლმე და ვინაიდან დედიკო უქეიფოდ ბრძანდებოდა, რატომ მის შარპსაც არ შეიძლებოდა გაედგა იქით ფეხი თავისი შეგირდებითურთ? ამგვარად ბავშვებიც (პატარა ცუგრუმელები!) მოვიდოდნენ მის შარპიანად, ხოლო საღამოთი ამ საზოგადოების ნაწილი ერთად გამობრუნდებოდა ფეხით უკან. ოღონდ მის კროული კი არა, - იგი ეტლს ამჯობინებდა. მაგრამ გასეირნება მღვდლის ყანებში, გავლა პარკის პატარა კარში, ჩაბნელებულ ხოდაბუნებში, დედოფლის კროულისაკენ მიმავალ ჭადრაკულად გაყვანილ ხეივანში ფრიად მომხიბლავი იყო მთვარიანში, წარმტაცი ადგილებისა და სილამაზის ისეთი ორი მოტრფიალისათვის, როგორც

კაპიტანი და მის რებეკა ბრძანდებოდნენ.

- ოჰ, ეს ვარსკვლავები, ეს ვარსკვლავები! - შესძახებდა მის რებეკა და მიაპყრობდა მათ თავის მოციმციმე, ჟუჟუნა თვალებს. - რომ შევყურებ, ჩემი თავი თითქმის სულ მგონია

- ოჰ... ოჰ... ღმერთმანი... ჰო, მეც ეგრე, მის შარპ, - კვერს დაუკრავდა მეორე აღფრთოვანებული პიროვნება. - ხომ არ გეჯავრებათ ჩემი სიგარის ბოლი, მის შარპ, ჰა? - მის შარპს კარგარეთ, ქვეყნიერების ზურგზე, ყველაზე უფრო სიგარის ბოლი უყვარდა... და ახლახან იგემა კიდეც იგი, საოცრად კოხტად დაარტყა ოდნავ ნაფაზი, მერე ოდნავ შეჰკივლა, ოდნავ ჩაიხითხითა, და კვლავ უკან დაუბრუნა ეს პირის ჩასატკბარუნებელი კაპიტანს, რომელმაც ულვაშები გადაიგრიხა და მყის ისე გულმოდგინედ მოქაჩა, რომ წითლად გააღუა, გაანათა ჩაბნელებული ყანები და დაიფიცა: - ღმ-მ-ერთმანი...გ-გ-ეფიცებით, ეგრეთი სიგარა ჩემ დღეში არ გამმ-მი-ბოლებია, აი!... - რადგან მისი ჭკუა და მუსაიფის უნარი თანაბრად ბრწყინვალე გახლდათ და შეესაბამებოდა ზორზოხ ახალგაზრდა დრაგუნს.

ბებერმა სერ პიტმა, რომელიც ჩიბუხსა და ლუიდს შეექცეოდა და ჯონ ჰოროქსს ემუსაიფებოდა დასაკლავი „მცხვრის“ თაობაზე, თავის კაბინეტის სარკმლიდან მოჰკრა თვალი ამ საქმიანობაში გართულ წყვილს და უშვერის ლანძღვა-გინებით დაიფიცა, მის კროული რომ არა, სულ კინწისკვრით გავაბუზარებ აქედან ამ გარეწარ როუდონსო.

- მართლა ფინთი ვინმე კი არი, - შენიშნა ბატონმა ჰოროქსმაც, - და მისი კაცი ფლედერზი ხომ კიდევ უარესი ოხერია, იგეთ ალიაქოთს ასტეხამს ხოლმე მეკუჭნავის ოთახში, აქაოდა კარგი სასმელ-საჭმელი არ არიო, რომ ზოგი ბატონიც ვერ გაბედამს... მაგრამა, მე მგონია მის შარპიც სწორედ იმის ჯუფთია, სერ პიტ, - დასძინა მან ცოტა შეყოვნების მერე.

და დიაღაც რომ ჭეშმარიტად ასე იყო: რებეკა მამის ჯუფთიც იყო და შვილისაც.

თავი XII. ფრიად გულამაჩუყებელი

ახლა უნდა გამოვესალმოთ არკადიას და იმ საყვარელ ხალხს, სოფლურ სათნოებათა განსახიერება რომ ბრძანდება იქ; დავბრუნდეთ ლონდონს და გამოვკითხოთ, რა დაემართა მის ემილიას. „ეგ თქვენი ემილია ჩირადაც არ გვიღირსო, - კოხტა წვრილი ხელით იწერება ერთი უცნობი და ზედაც ვარდისფერი ბეჭედი აზის ბარათს. - უფერული და უნიათოაო“, და ამ ჰანგზე აწყობილ ერთ-ორ გულკეთილ შენიშვნას კიდევ დაურთავს. ამ შენიშვნებს სულაც არ ვახსენებდი, რომ ჭეშმარიტად ძალიან საამური და თავმოსაწონი არ იყოს იმ ბანოვნისათვის, რომელსაც ისინი ეკუთვნის.

განა ძვირფასს მკითხველს, საზოგადოებაში ყოფნის სარბიელზე ამნაირი შენიშვნები ყურში

სჩვევიათ; უკანასკნელთ, ამ უფრო მდაბალი ჯურის დიაცებს, სანუგეშოდ უნდა ჰქონდეთ ის, რომ მამაკაცები ხომ მიანც მათ სცემენ თაყვანს! და რომ, მიუხედავად ყველა ჩვენი გულკეთილი მეგობრის გაფრთხილებისა და წინააღმდეგობისა, კვლავ განვაგრძობთ ამ ჩვენს უგუნურ და განუსჯელ შეცდომას და ვერც მოვიშლით ამას სულ ბოლომდე, ჭეშმარიტად, ჩემის მხრით უნდა მოგახსენოთ, რომ, თუმცა არაერთხელ უთქვამს ჩემთვის ისეთ ხალხს, რომელსაც ფრიად დიდის პატივისცემით ვეპყრობი, მის ბრაუნი ერთი უმნიშვნელო, უსუსური ღლაპია; ქალბატონ უაიტს მხოლოდ თავის petit minois chiffonne[42] თუ მოეპოვება; ხოლო ქალბატონი ბლეკი ერთ სიტყვასაც ვერ წარმოთქვამსო; - მაინც მე ვიცი, რომ დიდი სიამოვნებით ვემასლაათებოდი ქალბატონ ბლეკს (რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ეს მასლაათი გასამჟღავნებელი არ გახლავთ); მე ვხედავ ყველა მამაკაცი როგორ გუნდ-გუნდად ევლება თავს ქალბატონ უაიტის სკამს; და ყმაწვილკაცები ერთმანეთს როგორ ეცილებიან მის ბრაუნთან ცეკვისათვის. ამიტომ მაცდუნებს ის ფიქრი, რომ თავისი საკუთარი სქესის წარმომადგენელთაგან გამოთქმული ზიზღი ფრიად დიდი ქათინაურია დიაცისათვის.

ემილიას საზოგადოების ახალგაზრდა მანდილოსნები ფრიად დამაკმაყოფილებლად ასრულებდნენ ამ საქმეს. მაგალითად, ქვეყანაზე, მგონი, არც კი მოიპოვებოდა სხვა ამისთანა საგანი, რომელზედაც მის ოსბორნები, ჯორჯის დები, და Mesdemoiselles დობინები ისე ტკბილად შეთანხმებულიყვნენ, როგორც ისინი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს ემილიას ღირსებათა შეფასებასა და გაკვირვებაში - რითი იზიდავს იგი ჩვენს ძმებსო. „ჩვენ კი მას გულკეთილად ვეპყრობითო“, - იტყოდნენ მის ოსბორნები, ორი ჩინებული, შავთვალწარბა ახალგაზრდა მანდილოსანი, რომელთაც საუკეთესო აღმზრდელები, მასწავლებლები და მკერავები ახლდათ. ისინი ისეთი უნამეტნავესი თავაზით, გულკეთილობითა და მოწყალებით, ისე აუტანელი მფარველობით ეპყრობოდნენ მას, რომ მათ წინაშე საბრალო გოგონა მართლა ენაჩავარდნილი იყო და ყოველი გარეგნული ნიშნით ისე გამოთაყვანებული ჩანდა, როგორადაც იმ მანდილოსნებს მიაჩნდათ იგი. ის ცდილობდა, როგორც მოვალე იყო, თავი მოეწონებინა მათთვის, მომავალი მულებისათვის. მათთან ატარებდა ხოლმე „გრძელ დილებს“, ყველაზე მოსაწყენ და მოსაბეზრებელ დილებს. დიდრაჯულად

გაისეირნებდა ხოლმე დიდი საოჯახო ეტლით მათთან ერთად და მათ აღმზრდელ ძვალტყავა შინაბერა მის უირტთან ერთად. მათ დაჰყავდათ ის გასართობად ძველებურ კონცერტებზეც, ორატორიებზეც, წმინდა პავლეს ტაძარშიც - სამადლოდ აღსაზრდელ ბავშვთა სანახავად, სადაც ისე დაშინებული იყო თავის მეგობრებისაგან, რომ თითქმის ვერა ბედავდა გამოეჩინა ბავშვების ნამღერი ჰიმნით გამოწვეული მღელვარება.

მათი სახლი მდიდრულად იყო მორთული, მამიკოს სუფრა - დოვლათიანი და საუცხოო, საზოგადოება - ამპარტავნული და წარჩინებული, პატივმოყვარეობა - უზომო. მათ ფაუნდლინგის ეკლესიაში საუკეთესო სავარძლები მოეპოვებოდათ; სულ ამპარტავნული, დიდრაჯული და მართებული ჩვეულებანი ჰქონდათ, ხოლო ყველა მათი დროსტარება იყო აუტანელი, მოსაწყენი და გარეგნული წესრიგით ჩინებულად გამართული. ემილიას ყოველი სტუმრობის შემდგომ (და ოჰ, რა უხაროდა, როცა ამას მოითავებდა!) მის ოსბორნი, მის მარია ოსბორნი და მის უირტი, შინაბერა აღმზრდელი, კიდევ უფრო მომეტებული გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „რა უნდა ენახა ჯორჯს ამ გოგონაშიო?“

ეს რა ამბავია? - შესძახებს ზოგი შარიანი მკითხველი. როგორ მოხდა, რომ ემილიას, რომელსაც სკოლაში იმდენი მეგობარი ჰყავდა და რომელიც ყველას უყვარდა, ფეხს გამოდგამს თუ არა ცხოვრებაში, წიხლსა ჰკრავს მისივე განმაქიქებელი სქესი? ჩემო ძვირფასო ბატონო, იქ, ქალბატონ პინკერტონის სასწავლებელში, ბებერი ცეკვის მასწავლებლის გარდა ერთი მამაკაციც არ მოიპოვებოდა და ქალიშვილები იმის გულისთვის ხომ არ წაიკიდებოდნენ? როცა ჯორჯი, მათი ლამაზი ძმა, საუზმეს მოითავებდა თუ არა, მაშინვე გავარდებოდა გარეთ და კვირაში ექვსჯერ მაინც შინ არ სადილობდა, საკვირველი არ გახლავთ, რომ მიტოვებული დები, ცოტა არ იყოს, წყენას გრძნობდნენ. როცა ახალგაზრდა ბულოკმა (წევრმა ფირმისა: „ჰალკერი, ბულოკი, და კომპანია“, ბანკირები, ლომბარდის ქუჩა), რომელიც წინა ორ სეზონში მის მარიას ეტრფოდა, კოტილონის ცეკვაში გაიწვია ემილია, როგორ გგონიათ, იმ ზემოხსენებულ ახლაგაზრდა მანდილოსანს ეამებოდა? და თანაც, ის ამბობდა, რომ იგი იყო წრფელი, გულუბრყვილო, მიმტევებელი, შემნდობი ქმნილება. „მე ისე მიხარია, ჩვენი ძვირფასი ემილია რომ მოგეწონათ, - ჩაულაპარაკა მან სასწრაფოდ მისტერ ბულოკს ცეკვის შემდეგ. - ჩემი ძმის,

ჯორჯის დანიშნულია. ბევრი კი არაფერია, მაგრამ უზომოდ კარგი გულისაა და ძალიან მიამიტი გოგოა. შინ ყველას ისე ძალიან გვიყვარს, რომ!...“ ძვირფასი ქალიშვილი! განა ვის შეუძლია ამ სიტყვით - „ისე“ - გამოხატული გრძნობის სიღრმე გაზომოს?

მის უირტი და ეს მოსიყვარულე ახალგაზრდა მანდილოსნები დიდის თავგამოდებით წამდაუწუმ ჩასჩიჩინებდნენ ჯორჯ ოსბორნს, რა განუზომელ მსხვერპლსა სწირავ და რა რომანტიკულ სულგრძელობას იჩენ, ემილიას რომ აჩეჩებ შენს თავსაო. დარწმუნებული კი არა ვარ, მაგრამ, მგონია, იგი მართლაც ფიქრობდა, ბრიტანეთის მხედრობაში ჩემზე უფრო ღირსეული არავინ მოიძებნება და მართლა გვარიანი წინდაუხედაობითა და ჩემი თავის შეუფასებლობით ხომ არ მომდის, რომ ემილიას ნებას დავყევი, ვუყვარდეო.

თუმცა ჯორჯი ყოველ დილით გადიოდა შინიდან, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, კვირაში ექვს დღეს სხვაგან სადილობდა და დები დარწმუნებულები ბრძანდებოდნენ, თავდავიწყებით გამიჯნურებული ჭაბუკი მის სედლის წინსაფრის ზონრებზეა გამობმულიო, მაგრამ როცა საზოგადოებას იგი ემილიას ფერხთა წინაშე გართხმული ეგულებოდა, ის ყოველთვის როდი გახლდათ მასთან. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მეგობრის სანახავად არაერთხელ მოსულ კაპიტან დობინს მის ოსბორნი, რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობოდა კაპიტანს, გულითა და სულით იყო მოწადინებული მოესმინა მისი მხედრული თავგადასავალი და მისი საყვარელი დედიკოს ჯანმრთელობის ამბავი, - აი ეს მის ოსბორნი, სიცილით მიუთითებდა მოედნის მოპირდაპირე მხარეს და იტყოდა: „ოჰ, თქვენ სედლისას უნდა მიბრძანდეთ ჯორჯის სანახავად; ჩვენ მას დილიდან დაღამებამდე ვერა ვხედავთო“. ამნაირ პასუხზე კაპიტანი, ცოტა არ იყოს, შეუსაბამოდ, უადგილოდ ჩაიცინებდა, ვითარცა წარჩინებული საზოგადოების სრულყოფილ ყმაწვილ კაცს შეჰფერის, ბანზე ააგდებდა სიტყვას და საუბარს საერთოდ ისეთ რაიმე საინტერესო საგანზე გადაიტანდა, როგორიც არის ოპერა, უფლისწულის უკანასკნელი წვეულება კარლტონ ჰაუზში, ან ამინდი - საზოგადოების ეს ნუგეში და კურთხევა.

- რა უმანკო ვინმეა, ეგ შენი გულისვარდი. - მოახსენებდა მაშინ მის მარია მის ჯეინს, როცა კაპიტანი წავიდოდა, - შეატყვე, როგორ აილეწა, საბრალო ჯორჯის საქმიანობის მოგონებაზე?

- სამწუხაროა, მარია, ფრედერიკ ბულოკს მისი ცოტაოდენი მოკრძალება მაინც რომ არ გამოჰყოლია, - მიუგებს თავის ქნევით უფროსი და.

- მოკრძალება! შენ გინდოდა გეთქვა, ჯეინ, უშნოობა!.. სულაც არ მინდა ფრედერიკმა ფეხი დამადგას მარმაშის კაბის კალთაზე და დამაგლიჯოს, როგორც კაპიტანმა დობინმა შენს კაბას უყო, მისის პერკინზთან რომ ვიყოთ.

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა, შენს კაბაზე!.. აბა როგორ შეეძლო იმას შენს კაბაზე ფეხის დადგმა? ის განა მის ემილიასთან არც ცეკვავდა?

საქმე ის გახლავთ, რომ როცა კაპიტანი დობინი ასე აილეწა და დაიბნა, მას მოაგონდა გარემოება, რომელიც, მისი ფიქრით, არ იყო აუცილებელი ამ ახალგაზრდა მანდილოსნებისათვის გაემხილა: სახელდობრ ის, რომ იგი უკვე ყოფილიყო სტუმრად ბატონ სედლის სახლში, რასაკვირველია, ჯორჯის ნახვის მიზნით, და ჯორჯი იქ არ დახვედროდა. მხოლოდ საბრალო, პატარა ემილია ნახა - იგი მოწყენილი და სევდიანი სახით სასტუმრო ოთახის ფანჯარას მისჯდომოდა. მან ძალიან უმნიშვნელო, სულელურ საგნებზე გაუბა მუსაიფი და მხოლოდ მერე ძლივს გაბედა და ჰკითხა: ვითომ მართალი იქნება, რომ ამბობენ, ლეგიონს მალე უბრძანებენ უცხოეთში გამგზავრებასო? თანაც დაატანა, დღეს ბატონი ოსბორნი ხომ არ გინახავთო.

ლეგიონისთვის ჯერჯერობით არ უბრძანებიათ უცხოეთს გამგზავრება და კაპიტან დობინს არც ჯორჯი უნახავს. „უეჭველად დებთან იქნება, - იტყვის კაპიტანი, - წავიდე და მოვიყვანო ის ზარმაცი!“ მადლიერმა ემილიამ გულკეთილად გაუწოდა ხელი მას და იმანაც გადაჭრა მოედანი. ის კი ელოდა და ელოდა, მაგრამ ჯორჯი არ გამოჩენილა.

საბრალო, პატარა, ნაზი გული! და ასე არ კარგავს იგი იმედს და განაგრძობს ფართხალს; განაგრძობს სიყვარულის წყურვილსა და ნდობას. თქვენცა ხედავთ, რომ დიდი არაფერი ცხოვრებაა ასაწერი. აქ დიდი არაფერი ამბავია. მხოლოდ ერთი გრძნობაა მთელ დღეს: როდის მოვა იგი? მხოლოდ ეს ერთია ძილსა და ღვიძილში საფიქრებელი. მე მგონი, როცა ემილია ჯორჯის ამბავს ეკითხებოდა კაპიტან დობინს, მაშინ ის ბილიარდს ეთამაშებოდა კაპიტან კენონს სუოლოუ-სტრიტში; რადგან იგი მხიარული დროსტარებისა და საზოგადოების მოყვარული

ყმაწვილი გახლდათ და ერთობ დახელოვნებულიც იყო ყოველ თამაშში, რომელსაც სიმარჯვე სჭიროდა.

ერთხელ, სამი დღის უნახაობის შემდეგ, მის ემილიამ დაიხურა ქუდი და თვითონ გაილაშქრა ოსბორნის სახლისაკენ. - „როგორ! ჩვენი ნახვისთვის, ჩვენი ძმა მიატოვეთ? - ჰკითხეს ახალგაზრდა მანდილოსნებმა. - ხომ არ წაიჩხუბეთ ემილია? გვითხარი , რა მოხდა!“ არა, მართლა არ უჩხუბიათ. „ვის შეუძლია მასთან წაჩხუბება?“ - ამბობს ცრემლმორეული ემილია. იგი მხოლოდ გადმოვიდა... გადმოვიდა ძვირფასი მეგობრების სანახავად; ისინი ხომ რამდენი ხანია არ უნახავს! დღევანდელ დღეს ისე სრულიად გამოთაყვანებული, დაბნეული, უშნო და უმარჯვო ჩანს, რომ მის ოსბორნები და მათი აღმზრდელი, რომელნიც თვალდაჭყეტილი მისჩერებიან, როცა იგი მოწყენილი მილასლასებს შინისაკენ, წინანდელზე კიდევ უფრო მეტად ჰკვირობენ, ნეტა რა ნახა ჯორჯმა ამ უბადრუკ პატარა ემილიაშიო.

რა თქმა უნდა, ჰკვირობდნენ. აბა როგორ უნდა გადაეშალა თავისი მორცხვი, ნაზი, პატარა გული იმ კადნიერ, თვალშავა ყმაწვილ მანდილოსანთა წინაშე? ყველას ემჯობინებოდა მოკუნტულიყო და თავი დაემალა. მე ვიცი, მის ოსბორნები საუცხოოდ სცნობდნენ ქიშმირის შალს, ან კიდევ ვარდისფერ ატლასის კაბას და როცა მის ტარნერმა თავისი კაბა ჭიაფრად შეღება და სპენსერად გადაიკეთა, და როცა მის ფიკფორდმა თავისი ყარყუმის მოსახვევი ქუროდ გამოიყენა და კაბაც გააწყობინა, - გაფრთხილებთ, ასეთი ცვლილებანი ზემოთხსენებულ ორ გამჭრიახ ახალგაზრდა ბანოვანს არ გამოეპარებოდა. მაგრამ გთხოვთ, დაუკვირდეთ, გახლავთ საგნები ბეწვსა და ატლასზე, მეფე სოლომონის ყველა დიდებასა და საბას დედოფლის მთელ ტანსაცმელზეც უფრო ნაზი ბუნებისა, - საგნები რომელთა სიმშვენიერეს ბევრი მცოდნის თვალი ვერ შეამჩნევს. შეხვდებით ტკბილ, ტურფა, კდემამოსილ პატარა ყვავილებს, რომელნიც სურნელოვნად, ნაზად და წყნარად ჰყვავიან ჩრდილოვან ადგილებში; გახლავთ აგრეთვე ბაღის დამამშვენებელი თითბრის ტაფისოდენანი, რომელნიც თვით ზეცასაც კი აცვლევინებენ ფერს. მის სედლი მზესუმზირას ყვავილის ჯურისა არ გახლდათ; თანაც უნდა მოგახსენოთ, აბა, რას ემგვანება, ან კანონზომიერებას რა წესი ექნება, ია რომ ვეებერთელა გეორგინის ზომისა დავხატოთ.

დიაღაც რომ არ ივარგებს! ჯერ კიდევ მშობლების ბუდეში მჯდომი კარგი ყმაწვილი ქალის ცხოვრებას ის ამაღელვებელი, გულისამაფორიაქებელი თავგადასავალი და შემთხვევები არ შეიძლება მოეპოვებოდეს, რომელზედაც რომანის გმირ მანდილოსნებს ჩვეულებრივ უფლება მოეპოვებათ. საკვების საძებრად გამოსული ხნიერი ფრთოსნები შეიძლება მახეში გაებან ან ტყვიის მსხვერპლნი გახდნენ. შეიძლება ქორებსაც წააწყდნენ, მაგრამ ან დაუძვრებიან ბრჭყალებიდან, ან კიდევ ავი დღე დაადგებათ; ბარტყები კი ბუდეში ჩინებულად, მყუდროდ, უთავგადასავლოდ ატარებენ დროს ბუმბულსა და ბზეში, სანამ მათი ფრთის გაშლისა და განავარდების ჯერიც არ დადგება. ვიდრე ბეკი შარპი ფრთაგაშლილი დანავარდობდა სოფლად, დახტოდა ყოველნაირ ტოტზე და უამრავ მახეებს შორის კენკავდა საკვებს სრულიად უვნებლად და წარმატებით, ემილიას მყუდროს მოეკალათებინა თავი ოჯახში, რასელ-სკვერში. საზოგადოებაში მხოლოდ უფროსების წინამძღოლობითა და მფარველობით თუ გამოჩნდებოდა. ისე ჩანდა, თითქოს არანაირი უბედურება არ შეიძლებოდა დასტყდომოდა მას, ან იმ დოვლათიან, მხიარულ, ფუფუნებიან ოჯახს, რომელშიც სიყვარულით დასტრიალებდნენ თავს. დედიკოს თავისი დილის საქმეები ჰქონდა, დღისით ეტლით აქეთ-იქით წასასვლელ-წამოსასვლელი, აგრეთვე ის სასიამოვნო სიარული სტუმრად და სასყიდლებისათვის, რომელიც გახლავთ გასართობი, ან, თუ გნებავთ კიდეც, - საქმიანობა, მდიდარი ლონდონელი მანდილოსნისა. მამიკო აჭახრაკებდა თავის უცნაურ საქმეებს სიტიში, რომელიც იმ დროს ერთობ შფოთიანი ადგილი გახლდათ: მთელ ევროპაში ომი მძვინვარებდა და სახელმწიფონი ირყეოდნენ; გაზეთ „შიკრიკს“ ათეული ათასობით ხელისმომწერი ჰყავდა; ერთ დღეს ვიტორიას ბრძოლის ამბავი მოჰქონდა, მეორეს-მოსკოვის დაწვისა; ან კიდევ სადილობისას ბუკის ცემით ჩამოივლიდა რასელ-სკვერში გაზეთის დამტარებელი და გამოაცხადებდა ასეთ ამბავს: „ლაიპციგის ბრძოლა-მონაწილეობდა ექვსასი ათასი კაცი - ფრანგების სრული განადგურება - ორასი ათასი მოკლული!“ მოხუცი სედლი ერთი-ორჯერ ძალიან ცხვიჩამოშვებული დაბრუნდა შინ. არც გასაკვირია - ასეთი ცნობები მთელი ევროპის ყველა გულსა და ყველა ბირჟას აღელვებდა

ამასობაში ცხოვრება სწორედ ისეთივე იყო რასელ-სკვერს,

ბლუმსბერიში, თითქოს ნირიც არ შესცვლოდეს. ლაიპციგიდან უკან დახევას სულაც არ აურევია იჯრათა რიცხვი, რომელსაც მისტერ სემბო მიირთმევდა საჯალაბოში. მოკავშირენი შეიჭრნენ საფრანგეთში და სადილის მაუწყებელი ზარი კი სწორედ ჩვეულებრივ ისევ ხუთ საათზე ირეკებოდა. არა მგონია საბრალო ემილიას რაიმე ყურადღება მიექცია ბრიენის ან მონმირაილისათვის, ან კიდევ ოდნავ მაინც დაინტერესებულიყო ომით, ვიდრე იმპერატორი არ გადადგა; მაშინ კი ტაში დაჰკრა, ლოცვაც აღავლინა - და მერე როგორი მადლიერების გრძნობით აღვსილი! მთელი სულითა და გულით შემოესკვნა ყელს ჯორჯ ოსბორნს და გრძნობის ამ აფეთქებით ფრიად განაცვიფრა იქ დამსწრენი. ნამდვილად გამოცხადდა ზავი, ევროპა დაშოშმინებას ეპირებოდა; კორსიკელი დაემხო და ლეიტენანტ ოსბორნის რაზმს აღარ უბრძანებდნენ საომრად გალაშქრებას. ასე მსჯელობდა მის ემილია. ევროპის ბედ-იღბალი მისთვის ჯორჯ ოსბორნი იყო. რადგან მას საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ემილიამ კიდეც, იგალობა Te Deum. ის იყო მისი ევროპა, მისი იმპერატორი, მისი მოკავშირე ხელმწიფენი და დიდებული უფლისწულ-რეგენტი. ის იყო მისი მზე და მთვარე. მე მგონია, იგი ფიქრობდა, რომ ხელმწიფეთათვის მენშნ-ჰაუზში გამართული დიდებული, ბრწყინვალე დროსტარება და წვეულებაც პირადად ჯორჯ ოსბორნის საპატივცემოდ იყო გამართული.

ჩვენ ვილაპარაკეთ გაიძვერობასა, ანგარებასა და სიღატაკეზე, ვითარცა იმ პირქუშ მწვრთნელებზე, რომელთაც აღზარდეს საბრალო მის ბეკი შარპი. აქ კი მის ემილია სედლის უკანასკნელი აღმზრდელი გახლდათ სიყვარული და სწორედ განსაცვიფრებელი იყო ის წინსვლა, ჩვენმა ახალგაზრდა ბანოვანმა რომ განახორციელა ამ სახელგანთქმული ოსტატის შემწეობით. მთელ თხუთმეტ თუ თვრამეტ თვეს ამ სრულმყოფელი გამოჩენილი აღმზრდელის ყოველდღიური მუდმივი ყურადღების მეოხებით რამდენი ისეთი საიდუმლო შეისწავლა ემილიამ, რომლებისაც პირდაპირ მობინადრე მის უირტსა და შავთვალწარბა ახალგაზრდა ბანოვანებს, ან კიდევ თვით ჩიზიკელ ქალბატონ პინკერტონსაც არაფერი აგეგებათ! ან კი, ჭეშმარიტად, აბა როგორ გაიგებდა რომელიმე იმ წარჩინებულ, ამპარტავან და პატივცემულ ქალწულთაგანი? ქალბატონების პ.-სა და უ.-სათვის ნაზი ვნებანი ყოვლად წარმოუდგენელი გახლავთ, ვერც გავბედავ ამგვარი ფიქრი

თავში გავივლო. ხოლო, მართალია, მის მარია ოსბორნი „შეყვარებული“ ბრძანებოდა ბატონ ფრედერიკ ოგასტეს ბულოკზე, ჰალკერის, ბულოკის და ბულოკის ფირმის წევრზე, მაგრამ მისი სიყვარული ფრიად საპატიო და წესიერი რამ გახლდათ და მას სწორედ ასევე შეეძლო ბულოკ-უფროსის შერთვაც, ვინაიდან მისი გონება მიმართული იყო, როგორც კარგად აღზრდილ ქალბატონს შეჰფერის, ყველა იმ ხელსაყრელ პირობათაკენ, რომელნიც ფრედერიკ ოგასტესის პიროვნებაში გამოსახულიყო, სახელდობრ: სასახლე პარკ-ლეინში, მამული უიმბლდონში, მოხდენილი ეტლი, ორი უზომოდ ახმახი ცხენი და ფარეშები, აგრეთვე ჰალკერისა და ბულოკის გამოჩენილი ფირმის წლიური შემოსავლის ერთი მეოთხედი.

მაშინ ნარინჯის ყვავილები რომ გამოგონილი ყოფილიყო (ეს გულისამაჩუყებელი ემბლემა მდედრული უბიწოებისა, შემოტანილი საფრანგეთიდან, სადაც ხალხი საყოველთაოდ ჰყიდის ქორწინებაში ქალიშვილებს), მის მარია, უნდა მოგახსენოთ, თავს დაირქვამდა ამ ყვავილების უმწიკვლო გვირგვინს და სამგზავრო ეტლში გვერდს დაუმშვენებდა ნიკრისის ქარებით შეპყრობილ, ბერახჩუა, თავმოტვლეპილ, ცხვირძეხვა ბულოკ უფროსს და თავის მშვენიერ სიცოცხლეს ფრიადის მოწონებითა და კრძალვით შესწირავდა მის ბედნიერებას... ოღონდ მოხუცი დარბაისელი უკვე დაქორწინებული გახლდათ. ამიტომ მის მარიამ თავისი სიყვარული ფირმის უმცროს ამხანაგს მიუძღვნა. ნაზი, სათუთი, გაფურჩქვნილი ნარინჯის ყვავილები! წინა დღეს თვალი მოვკარი, ამ ყვავილებით მორთული მის ტროტერი როგორ შეფრთხიალდა ჰანოვერ-სკვერში წმინდა გიორგის ეკლესიასთან მდგარ სამგზავრო ეტლში და მერე შიგ ლორდი მათუსალაც შებობღდა. რა მომხიბლავი კდემამოსილებით ჩამოუშვა ეტლის ფარდები!.. ძვირფასი უმანკო! ამ ჯვრისწერაზე ამაოების ბაზრის ეტლების ნახევარი მიანც იქნებოდა.

ემილიას აღზრდა ამ ჯურის სიყვარულს არ დაუსრულებია! მისმა მიჯნურობამ, ერთ წელიწადში, კარგი ყმაწვილი გოგონა კარგ ყმაწვილ დიაცად აქცია, რათა იგი მყის კარგ ცოლად გამხდარიყო, როცა ის ნეტარი დრო დადგებოდა. ამ ყმაწვილ ქალს მთელი გულითა და სულით უყვარდა მისი უდიდებულესობის მხედრობის ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც შორიდან ცოტაოდნად კიდეც გავიცანით და იქნებ

დიდი უგუნურებას იყო მისი მშობლების მხრით, ასე რომ აქეზებდნენ მას და ხელსაც უწყობდნენ ამნაირ გაღმერთებას და სულელური, რომანტიკული აზრების შთანერგვისათვის. მას ეკუთვნოდა გაღვიძებისთანავე მისი პირველი ფიქრი, მისივე სახელი მოიხსენიებოდა ყველაზე ბოლოს მის ლოცვაში. მას არ ეგულებოდა იმაზე უფრო ლამაზი და ჭკვიანი ვაჟკაცი, ასე მოხდენილი ცხენოსანი, ასეთი მოცეკვავე, ასეთი გმირი საერთოდ. რა სათქმელია მასთან უფლისწულის თავის დაკვრა! - აბა ჯორჯს როგორ შეედრება? ემლიას უნახავს ბატონი ბრამელი, ყველა რომ ასე აქებს. აბა რა გასატოლებელია ასეთი რამე იმის ჯორჯთან! თვით ოპერის კოხტა დარდიმანდებშიაც არავინ მოიძებნებოდა მისებრი და იმ დროს ხომ ნამდვილი საოპერო ქუდიანი კოხტა დარდიმანდები იყვნენ! ჯორჯს მხოლოდ ფერიათა უფლისწულობა თუ დამშვენდებოდა რიგიანად; მერედა, რა დიდსულოვნებას იჩენს, ამისთანა საცოდავ ნაცარქექია გოგონას რომ უყადრებს თავს! ქალბატონი პინკერტონი, ფრიად შესაძლებელია, შეეცდებოდა ეს თაყვანისცემა აღეკვეთა, ემილიას გულის მესაიდუმლე რომ ყოფილიყო; მაგრამ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დიდ ვერაფერ წარმატებას მოიპოვებდა. ეს ზოგ დიაცს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ზოგი ხრიკებისათვის არის შექმნილი, ზოგი - სიყვარულისათვის. და ვისურვებ, ამის წამკითხველ ყველა პატივცემულ უცოლოს, ამათში, რომელი ჯურისაც უფრო მოსწონს, ის ამოირჩიოს.

ამ მძლეთამძლე გრძნობის გავლენით მის ემილიამ, ვითარცა ასეთ თავკერძა ხალხს სჩვევია, სრულიად გულცივად მიივიწყა ჩიზიკელი თორმეტი ძვირფასი მეგობარი. რასაკვირველია, მას მხოლოდ ეს ერთი საფიქრებელი ჰქონდა. მის სოლტაირი გულის მესაიდუმლედ ძალიან ცივი იქნებოდა; ხოლო თმახუჭუჭა სენტ-კიტსელ მდიდარ მემკვიდრე ქალს, მის სუორცს, რომ განდობოდა, ფიქრად არ მოსდიოდა. არდადეგებზე პატარა ლაურა მარტინი ჰყავდა შინ სტუმრად, დარწმუნებული ვარ, იგი გულის მესაიდუმლედაც გაიხადა. შეჰპირდა კიდეც: როცა გათხოვდები, ჩემთან წაგიყვან და გაცხოვრებო და სიყვარულის გრძნობის ბევრი ამბავიც უთხრა, რაც განსაკუთრებით სასარგებლო და საინტერსო იქნებოდა და ამ პატარა მანდილოსნისათვის. ვაგლახ, ვაგლახ! ვშიშობ, რომ დიდი ვერაფერი შვილი ჭკუადამჯდარი ქალი ბრძანდება ჩვენი გმირი!

რას შვებოდნენ მისი მშობლები, რომ არ დაიცვეს ეს პატარა გულიკო ასე გაცხარებული ფეთქვისაგან? მოხუცი სედლი, როგორც ეტყობა, ვერას ამჩნევდა. ბოლოს ხანებში უფრო მოღუშული დადიოდა და თავის სიტის საქმეებში იყო ჩაფლული. ქალბატონი სედლი ისე რბილი და არაცნობისმოყვარე ხასიათის მანდილოსანი ბრძანდებოდა, რომ ეჭვიანიც კი არ იყო. ბატონი ჯოზი სხვაგან გახლდათ. ჩელტნემის ერთ ირლანდიელ ქვრივს შემოერტყა მისთვის ალყა და მიჰქონდა იერიში. მარტოკა ემილიას ჰქონდა მინებებული მთელი სახლი - და ოჰ! ხანდახან მართლაც ძალიანაც იყო მოწყენილი მარტოობით. მაგრამ განა ეჭვიანობდა! რადგან, რასაკვირველია, ჯორჯი ხომ უნდა იყოს მხედრობის მთავარ შტაბში; თანაც ყოველთვის ვერ დაიძვრენს თავს ჩეტემიდან; ქალაქში ყოფნისას ხომ უნდა მოინახულოს მისი მეგობრები, დები და ხომ უნდა გაერიოს საზოგადოებაში (ის, ვინც ასეთი სამკაულია ყოველი საზოგადოებისა!). ხოლო როცა რაზმშია, მაშინ კიდევ ისე იქანცება, რომ გრძელი წერილების დაწერის არაქათი სადღა ექნება? მე ვიცი, სად ინახავდა ემილია იმ წერილებს, შემიძლია იაქიმოსავით შევიპარო და გამოვიპარო მის საწოლ ოთახში. იაქიმოსავით? არა, ეს უგვანი როლია. მე მხოლოდ მთვარის შუქივით მოვიქცევი და უვნებლად ჩავიჭვრეტ იმ საწოლში, სადაც რწმენას, მშვენიერებასა და უმანკოებას ჩასძინებია ტკბილ სიზმრებში.

მაგრამ ოსბორნის წერილები თუ მოკლე და ჯარისკაცული იყო, უნდა ვაღიაროთ, - მის სედლისაგან ბატონ ოსბორნისადმი მინაწერი წერილები რომ გამოგვექვეყნებინა, ამ რომანს ისე ბევრი ტომი მოუნდებოდა, რომ ყველაზე უფრო მგრძნობიარე მკითხველიც ვერ გაუძლებდა. ემილია არა მარტო ავსებდა ქაღალდის დიდ თაბახებს არამედ განდაგანაც წერდა ფრიად განსაცვიფრებელ გულმოდგინებით; იოტისოდენადაც არ ერიდებოდა და მთელ გვერდებს ამოიწერდა ხოლმე ლექსების წიგნებიდან; პირდაპირ გაშმაგებით უსვამდა ქვეშ ხაზს სიტყვებსა და წინადადებებს; და, ერთი სიტყვით, ამჟღავნებდა მისი მდგომარეობის დამახასიათებელ ჩვეულებრივ ნიშნებს. ის არ გახლდათ გმირი, მისი წერილები აღვსილი იყო განმეორებებით. ხანდახან ცოტას მართლწერის კანონებშიც სცოდავდა და მისი ლექსების მეტრშიც ყოველი ჯურის უსწორმასწორობა შეინიშნებოდა. მაგრამ, ქალბატონებო,

თქვენ რომ ხანდახან სინტაქსის უცოდინარადაც არ შეგეძლოთ ვაჟკაცთა გულის აჩქროლება და მანამდე არავინ შეგიყვარებდეთ, ვიდრე ყველანი არ შეიგნებთ ტრიმეტრსა და ტეტრამეტრს შორის განსხვავებას, ჯანდაბამდე გზა ჰქონია მთელ პოეზიას და ყველა მასწავლებელსაც კისერი უტეხია.

თავი XIII. გულამაჩუყებელი და სხვანაირიც

ვშიშობ, დარბაისელი, რომელსაც მის ემილია სწერდა წერილებს, ცოტა არ იყოს, უგულო კრიტიკოსი გახლდათ. სადაც არ უნდა წასულიყო, ლეიტენანტ ოსბორნს ისე უამრავი წერილი დასდევდა თან, რომ მათი წყალობით თითქმის სრცხვენოდა ოფიცერთა სასადილოს თანამეინახეებისა და უბრძანა თავის მსახურს: თუ არა ჩემს საკუთარ სამყოფელში, ისე არასოდეს გადმომცე ეს წერილებიო. ერთი მათგანით სიგარასაც კი უკიდებდა ცეცხლს, ისე წაასწრო კაპიტანმა დობინმა. ამის დანახვამ ფრიად შეაძრწუნა ეს დარბაისელი, ვინაიდან თვითონ, დარწმუნებული ვარ, ამ დოკუმენტისათვის ფულის გადახდასაც არ დაიშურებდა.

ერთხანს ჯორჯი ცდილობდა ეს სატრფიალო კავშირი საიდუმლოდ შეენახა. მხოლოდ იმას კი აღიარებდა, ქალია ჩარეული საქმეშიო. „და არც პირველია, - ეუბნებოდა უმცროსი ლეიტენანტი სპუნი უმცროს ლეიტენანტ სტაბლს. - ეგ ოსბორნი დიდი ოხერი ჯელია. ერთი მსაჯულის ქალიშვილი დემერარაში კინაღამ გაგიჟდა მაგის გულისთვინ. მერე კიდევ, ხომ იცი, სენტ-ვინსენტში რომ ლამაზი კვარტერონი გოგო იყო - მის პაი და ამბობენ რომა, ღმერთმანი, რაც შინ დაბრუნდა, მას შემდეგ ხომ ნამდვილი ჯიოვანი გახდაო“.

სტაბლი და სპუნი ფიქრობდნენ, რომ „ღმერთმანი, ნამდვილ დონ ჯიოვანად“ გახდომა ერთ-ერთი საუკეთესო თვისებათაგანი გახლდათ, რომელიც შესაძლოა ვაჟკაცს ახასიათებდეს, და ოსბორნს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ლეგიონის ყმაწვილკაცობაში. იგი სახელგანთქმული იყო საველე ვარჯიშში, სახელგანთქმული - სიმღერაში, სახელგანთქმული - აღლუმში; ხელგაშლილი -

ფულის ხარჯვაში, რომლითაც უხვად ამარაგებდა მამამისი. ყველაზე უკეთესად შეკერილი და ყველაზე მეტი ტანსაცმელი ლეგიონში იმას მოეპოვებოდა. ჯარისკაცები თაყვანსა სცემდნენ. ოფიცერთა სუფრაზე ყველასა სჯობდა სმაში - თვით მოხუც პოლკოვნიკ ჰევიტოპსაც კი. კრივი უბრალო ჯარისკაც ნაკლზზე უკეთ იცოდა (ეს ნაკლზი ჯილდოზე გამართულ კრივზე გამოდიოდა ხოლმე და ლოთი რომ არ ყოფილიყო, კაპრალობასაც მისცემდნენ) და ლეგიონის კლუბში კრიკეტის თამაშშიაც ბევრად სჯობნიდა ყველას. საკუთარი ბედაური ჰყავდა - „ელვა“ და კვებიკის დოღში გარნიზორნის თასიც მოიგო. ემილიას გარდა სხვა ხალხიც აღმერთებდა მას. სტაბლი და სპუნი თითქმის აპოლონად თვლიდნენ; დობინს საოცარ კრაიტონად მიაჩნდა; ხოლო მაიორის მეუღლე ქალბატონი ო`დაუდი აღიარებდა, მართლაც მოხდენილი ყმაწვილია და თვით ფიცჯერალდ ფოგარტის, ლორდ კასლფოგარტის მეორე ძესაც ჰგავსო.

დიახ, სტაბლი, სპუნი და სხვანი ნებას აძლევენ თავს ოსბორნის ან მდედრობითი სქესის კორესპონდენტის თაობაზე ფრიად რომანტიკული ვარაუდები გამოეთქვათ. ფიქრობდნენ, ვინმე ლონდონელი დუკას მეუღლე ეტრფისო, ან კიდევ - ვინმე გენერლის ქალიშვილი, რომელიც წინათ ვიღაც სხვაზე ყოფილა დანიშნული, ახლა კი ეს შეჰყვარებია გაგიჟებითო; ან კიდევ ვინმე პარლამენტის წევრის მეუღლე უნდა იყოს, რომელმაც ოთხი ცხენი და გაქცევა შემოსთავაზაო; ანდა სხვა ვინმე მსხვერპლი ეგონათ ვნებათა ღელვისა, საამოდ ამაფორიაქებელი, რომანტიკული და ყველასათვის სახელის გამტეხი. მაგრამ ოსბორნი სულაც არა ცდილობდა თუნდაც ოდნავი შუქი მოეფინა რომელიმე ამ ვარაუდისათვის, თავიანთ ნებაზე ჰყავდა მიშვებული ახალგაზრდა თაყვანისმცემელნი და მეგობრები, რათა თვითონვე გამოეგონათ და მოეჩმახათ მთელი ამბები.

და კაპიტან დობინის წინდაუხედაობა რომ არა, ლეგიონში ვერც ვერასოდეს შეიტყობდნენ საქმის ნამდვილ ვითარებას. ერთ დღეს კაპიტანი საუზმეს მიირთმევდა ოფიცერთა სასადილოში, როცა კეკლმა, სამხედრო დასტაქრის თანაშემწემ, და ორმა ზემოხსენებულმა ღირსეულმა ვაჟკაცმა მუსაიფი გააბეს ოსბორნის საიდუმლოზე. სტაბლი ირწმუნებოდა, ის მანდილოსანი დედოფალ შარლოტას კარის ერთ-ერთი დიუფალიაო, ხოლო კეკლი იფიცავდა, ოპერის ერთი

გათახსირებული მომღერალი გომბიოაო. ამ მოსაზრებამ დობინი ისე ააღელვა, თუმცა იმჟამად პირი კვერცხითა და კარაქიანი პურით ჰქონდა გამოტენილი, და თუმცა კრინტი სულაც არ უნდა დაეძრა, მაინც ვერ მოითმინა და წამოაყრანტალა: - კეკლ, შენ გამოთაყვანებული რეგვენი ხარ! ყოველთვის სისულელესა და ჭორსა როშავ! ოსბორნი სულაც არ აპირებს დიუფლის მოტაცებას, ან კიდევ ვინმე მკერავი ქალი დაღუპვას. მის სედლი გახლავთ მთელი დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი ახალგაზრდა ბანოვანი. ოსბორნი რამდენი ხანია დანიშნულია იმაზე და ვინც მის გალანძღვას მოინდომებს, ურჩევნია ჩემს გასაგონად არ ჩაიდინოს ეს!

ამის თქმაზე დობინი ერთობ წამოჭარხლდა, შესწყვიტა ლაპარაკი და ჩაიმ კინაღამ დაახრჩო. ეს ამბავი ნახევარ საათში მოედო მთელ ლეგიონს და სწორედ იმ საღამოს მაიორის მეუღლემ, ქალბატონმა ო`დაუდმა, წერილი გაგზავნა ო`დაუდსტაუნს და შეუთვალა თავის მულს გლორვინას: ნუღა დაეშურები დუბლინიდან გამომგზავრებას, ახალგაზრდა ოსბორნი უკვე ადრევე ყოფილა დანიშნულიო.

ქალბატონმა ო`დაუდმა იმავე საღამოს შესაფერი სიტყვით მიულოცა ლეიტენანტს ვისკი-ტოდის სმის დროს და ოსბორნის გაცოფებული გაექანა შინ საიდუმლოს გამომჟღავნებისათვის დობინთან საჩხუბრად, რომელსაც არ მოენდომებინა ქალბატონ ო`დაუდის ამ წვეულებაში გამოჩენა, იჯდა თავის ოთახში, უკრავდა სალამურს და დარწმუნებული ვარ, ფრიად სევდიან ლექსებსაც თხზავდა, - ვინ ოხერი გეკითხებოდა შენ ჩემს საქმეზე ლაპარაკს? - მიაძახა გაგულისებულმა ოსბორნმა. - რა ჯანდაბად მინდა მთელმა ლეგიონმა გაიგოს, ცოლის შერთვას აპირებსო? რაში მეპიტნავება იმ ყბედმა ბებრუხანა პეგი ო`დაუდმა ილაპარაკოს თავის წყეულ ვახშამზე და მთელ სამივე სამეფოს მოჰფინოს, რომ მე დანიშნული ვარ? თანაც რა უფლება გაქვს, დობინ, ჩემზე რომ ამბობ დანიშნულიაო, ან კიდევ ვინა გკითხავს საერთოდ ჩემს საქმეში რომ ეჩრები?

- მე მგონი... - წამოიწყო კაპიტანმა დობინმა.

- „მგონიას“ ჯანდაბამდე გზა ჰქონია, დობინ! - შეაწყვეტინა უმცროსმა ლეიტენანტმა. - მე ვიცი, შენი მოვალე ვარ. დალახვროს ღმერთმა ძალიან კარგადაც ვიცი! მაგრამ სულაც არ მეჭაშნიკება ყოველთვის შენი ქადაგებანი ვისმინო მხოლოდ

იმიტომ, რომ შენ ჩემზე ხუთი წლით უფროსი ხარ. დაე, ჩამომახრჩონ, თუ კიდევ მოვისმინო შენი უფროსობა და ყოყოჩობა; მერე კიდევ შენი ჯოჯოხეთური შებრალება და მფარველური მოპყრობა. შებრალება და მფარველობა! ნეტავი ერთი ვიცოდე, ვითომ რით დაგივარდები!?

- დანიშნული ხარ თუ არა? - ჩაურთო კაპიტანმა დობინმა.

- მერე რა ეშმაკი გინდა შენ, ან კიდევ სხვა ვინმე აქაურს, თუნდაც ვიყო?

- გრცხვენია ამისი? - განაგრძო დობინმა.

- ერთი მიბრძანე, რა უფლებით მეკითხები მაგას, ვაჟბატონო? - ეუბნება ჯორჯი.

- უფალო შემიწყალე! რას ამბობ, განა ნიშნობის ჩაშლა გინდა? - წამოხტა ზეზე და შესძახა დობინმა.

- ესე იგი შენ მეკითხები, პატიოსანი კაცი ვარ თუ არა მე! - მიახალა გაცხარებით ოსბორნმა; - ამის თქმა გნებავს, არა? შენ ამ ბოლო ხანებში ისეთი კილოთი მელაპარაკები, რომ მე...მე თუ კიდევ მოვითმინო!..

- მე რა ჩავიდინე? მხოლოდ ის გითხარი, რომ საწყალ გოგო თავს ანებებ, ჯორჯ! ის გითხარი, რომ ქალაქს როცა მიდიხარ, უნდა იმასთან შეიარო და არა სენტ-ჯეიმზის სათამაშო სახლებში.

- მე მგონი, შენ შენი ფულების დარდი გაქვს! - მოახსენა ჯორჯმა დაცინვით.

- რასაკვირველია, მაგის დარდი მაქვს... ყოველთვისაცა მქონდა, განა არა? - ეუბნება დობინი. - შენ სწორედ ისე ლაპარაკობ როგორც კეთილშობილ ყმაწვილს შეშვენის.

- არა, დალახვროს ღმერთმა, უილიამ, მაპატიე... - აქ კი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და ჩაურთო ოსბორნმა. - ღმერთმა იცის, რა უთვალავჯერ გაგიწევია ჩემთვის მეგობრობა. რამდენჯერ დაგიხსნივარ გაჭირვებიდან. როცა გვარდიელმა კროულიმ ის ფული მომიგო, შენ რომ არა, დავიღუპებოდი, ვიცი რომ დავიღუპებოდი, მაგრამ ნუ მეპყრობი ეგრე სასტიკად, ნუ ჩამჩიჩინებ და ნუ მიქადაგებ მუდამ: ძალიან მიყვარს ემილია, თაყვანსა ვცემ და სხვა ამისთანები. ნუ

მიყურებ ეგრე გაჯავრებით. ის უმწიკვლოა; ვიცი, უმწიკვლოა. მაგრამ აბა რა ბედენაა ჯილდო, თუ იმის გულისათვის არ გაისარჯე. დალახვროს ღმერთმა, ლეგიონი ეს-ეს არის დაბრუნდა უესტ-ინდოეთიდან. ერთი მეც თვალი გავახილო, დრო გავატარო და როცა ცოლს შევირთავ, მაშინ კი მოვჭკვიანდები, სინდისს გეფიცები, მოვჭკვიანდები. და... რა გითხრა... დობ.. ნუ გამიჯავრდები და ას გირვანქას იმ თვეში მოგცემ; ვიცი, მამაჩემი რამე ხელგაშლილობას გამოიჩენს. ჰევიტოპსაცა ვთხოვ შვებულებას, წავალ ქალაქს და ხვალ ემილიასა ვნახავ... აჰა, ეს ხომ დაგაკმაყოფილებს?

- დიდხანს შენზე ჯავრობა არ შეიძლება, ჯორჯ, - მიუგო გულკეთილმა კაპიტანმა; - ფული კი, ძმაო, ხომ ვიცი, რომ მჭირდებოდეს, უკანასკნელ შილინგსაც არ დაიშურებ ჩემთვის.

- ღმერთს გეფიცები, არ დავიშურებდი, დობინ, - დიდი სულგრძელობით წარმოთქვა ჯორჯმა, თუმცა, უნდა მოგახსენოთ, მას არც არასოდეს გადარჩებოდა ფული.

- მე მარტო ის მინდა, რომ დადინჯდე და ეგ ჭაბუკური თავქარიანობა მოიშალო, ჯორჯ. შენ რომ დაგენახა საბრალო პატარა მის ემის სახე, როცა წინა დღეს შენს ამბავს მეკითხებოდა, ჯანდაბის გზას გაუყენებდი იმ შენს ბილიარდი ბურთებს. წადი და ანუგეშე, შე არამზადავ. წადი და მისწერე გრძელი წერილი. მოახერხე ისე, რომ გაახარო - იმას სულ მცირეც გაახარებს.

- მგონი, მართლაც ძალიან არის ჩემზე შეყვარებული, აი! - ჩაილაპარაკა ლეიტენანტმა კმაყოფილებით და საღამოს დანარჩენი დროს გატარებისათვის ოფიცერთა საკრებულოსაკენ გასწია მხიარული ამხანაგების სანახავად.

- ამასობაში ემილია რასელ-სკვერს იჯდა და შეჰყურებდა მთვარეს, რომელიც ისევე აფრქვევდა შუქს იმ წყნარ მიდამოს, როგორც ჩეტემის ყაზარმების მოედანს, სადაც ლეიტენანტი ოსბორნი ბინადრობდა. ემილიას ფიქრები თავს დასტრიალებდა მის გმირს. იქნებ გუშაგების ჩამოვლაშია ახლა, - ფიქრობდა იგი, - იქნებ ღამის გასათევად ბინავდება; იქნებ დაჭრილ მეგობარს უზის სასთუმალთან, ან კიდევ ომის ხელოვნებას სწავლობს განმარტოებულ სენაკში. და ემილიას კეთილი ფიქრები მიეშურებოდნენ შორს, თითქოს ფრთიანი ანგელოზები ყოფილიყვნენ. ფრენით ჩაუყვებოდნენ მდინარეს

ჩეტემისა და როჩესტერისკენ და ცდილობდნენ შეეჭყიტათ იმ ყაზარმაში, სადაც ჯორჯი ცხოვრობდა.

ყოველივეს თუ ავწონ-დავწონით, მე მგონი, კარგიც არის, ალაყაფის კარი ჩაკეტილი რომ იყო და გუშაგი არავის უშვებდა შიგ. და საბრალო, პაწია თეთრწამოსასხამიან ანგელოზს აღარც შეეძლო ყური მოეკრა იმ სიმღერებისთვის, რომლითაც ვისკის სმაში ყმაწვილები ღრიალებდნენ.

ჩეტემის ყაზარმაში მომხდარი პატარა მუსაიფის ერთი დღის შემდეგ, ახლაგაზრდა ოსბორნი, რათა დაემტკიცებინა, ჩემი სიტყვის პატრონი ვარო, ქალაქს წასასვლელად მოემზადა, რითაც კაპიტანი დობინის მოწონება დაიმსახურა.

- მინდოდა ემილიასთვის რაიმე პატარა საჩუქარი მეყიდა, - გაენდო ოსბორნი მეგობარს. - ოღონდ ახლა, სანამ მამაჩემი არას გაიმეტებს, ფული სულ არ გამაჩნია.

მაგრამ , აბა, დობინი როგორ მოითმენდა, ეს გულკეთილობა და დიდსულოვნება უყურადღებოდ დარჩენილიყო! მაშინვე მიართვა რამდენიმე გირვანქა სტერლინგი, რომელიც მცირე ყოყმანის შემდეგ აიღო ლეიტენანტმა და ვბედავ მოგახსენოთ, რომ ოსბორნი კიდეც იყიდდა რაიმე საუცხოო ნივთს ემილიასთვის, მაგრამ როცა ფლოტ-სტრიტში გადმოხტა ეტლიდან, მისი ყურადღება საიუველირო მაღაზიაში გამოფენილმა პერანგის დასამაგრებელმა საუცხოო ქინძისთავმა მიიპყრო და ცდუნებას ვეღარ გაუძლო. ხოლო ეს ნივთი რომ შეიძინა, ძალიან ცოტა ფულიღა დარჩა სხვა კეთილი განზრახვების აღსასრულებლად. ეგ არაფერი! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ემილია მის საჩუქრებს არც ნატრობდა. როცა ოსბორნმა რასელ-სკვერს მიაღწია, ემილიას სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს ლეიტენანტი მზის შუქი ყოფილიყო. პატარა ზრუნვანი, შიში, ცრემლები, შიშნადეული ავი წინათგრძნობანი, უძილო ოცნებანი, არ ვიცი რამდენი დღე-ღამისა, - ყველაფერი უცბად გადაავიწყდა ამ ნაცნობი, უძლეველი ღიმილის ერთი თვალის მოკვრით. მან სასტუმრო კარიდან მიაშურა ემილიას - დიდებულმა, ღვთაებრივ ქილვაშებიანმა, ვითარცა ღმერთმა. სემბომ როცა კაპიტან „ოსბინის“ მობრძანება აუწყათ (მან უკვე მიანიჭა ამ ახალგაზრდა ოფიცერს შემდგომი სამხედრო ხარისხი!), თავაზიანი ღრეჭით გაებადრა სახე და თვალი მოჰკრა, პატარა გოგონა როგორ შეკრთა, აილეწა და წამოხტა ფანჯარასთან

თავის სათვალთვალო ადგილიდან. სემბო გავიდა და როგორც კი მიიხურა კარი, ემილია აფრთხიალდა და ლეიტენანტ ჯორჯ ოსბორნს გულში ჩაეკონა, თითქოს მხოლოდ ესა ყოფილიყო მისთვის ბუნებრივი თავშესაფარი. ოჰ, შე საბრალო, მთრთოლვარე პატარა სულიკო! მთელ ტყეში ყველაზე უფრო საუცხოო ხე, ყველაზე სწორღეროიანი, ყველაზე მსხვილტოტებიანი და ყველაზე უფრო ხშირფოთლიანი, რომელიც შენ ამოირჩიე ბუდის გასამართავად და საღუღუნოდ, იქნებ უკვე ნიშანდადებულიცაა, გეცოდინებათ რისთვისაც, და იქნებ დიდი ხანიც არ გავა, რომ ძირს დაენარცხება. რა ძველი, ძველი შედარებაა ეს - ხისა და კაცისა!

ამასობაში ჯორჯმა დიდის ალერსით აკოცა შუბლსა და ჟუჟუნა თვალებში და დიდი სინაზითა და გულკეთილობითაც მოეპყრა. და ალმასის ქინძისთავი, რომელიც ტანზე აქამდე ჯერ არასოდეს ეხილა, ემილიას ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე ტურფა სამკაულად მოეჩვენა.

დაკვირვებული მკითხველი, რომელმაც შენიშნა ჩვენი ახლაგაზრდა ლეიტენანტის წინანდელი ყოფაქცევა, აგრეთვე ახსოვს ახლახან კაპიტან დობინთან მოკლე ბაასის შინაარსი, აგრეთვე გარკვეულ დასკვნამდე მივიდა ბატონ ოსბორნის ხასიათის თაობაზე. ერთმა ცინიკოსმა ფრანგმა თქვა, სიყვარულში ორი მხარე მონაწილეობს: ერთს უყვარს, მეორე კი მხოლოდ თავს უყადრებს, რომ იგი უყვარდეთო. სიყვარული იქნებ შემთხვევით მამაკაცსა ხვდეს წილად, იქნებ - მანდილოსანსაც. იქნება ვინმე სიყვარულით დაბრმავებული ჯელი აქამდე კიდეც შემცდარიყო და უგულობა მორცხვობად მიეჩნია, გონებაჩლუნგობა - ქალწულურ თავშეკავებულობად, უბრალო ქარაფშუტობა - ნაზ კდემამოსილებად და ერთი სიტყვით, ბატი - გედად. იქნებ რომელიმე გამიჯნურებულმა მდედრობითი სქესის ხელისმომწერმა ოცნებაში ვირი ბრწყინვალებითა და დიდებით შემოსა; მის გონებაჩლუნგობას ვაჟკაცურ უბრალოებად თვლის და ეთაყვანება; მის თავკერძაობას აღმერთებს, ვითარცა ვაჟკაცური უპირატესობის მაჩვენებელ თვისებას; მისი სირეგვენე დიდებულ დარბაისლობად მიაჩნია და ისე იქცევა, როგორც ფერიათა ბრწყინვალე დედოფალი ტიტანია ეპყრობოდა ერთ ათენელ ფეიქარს. მე მგონი, მინახავს ასეთი შეცდომათა კომედიები ჩვენს წუთისოფელში. მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ემილია დარწმუნებული იყო, მთელ იმპერიაში ჩემი სატრფო ერთ-

ერთი ყველაზე მოხდენილი და ბრწყინვალე ვაჟკაციაო და შესაძლოა, ლეიტენანტი ოსბორნიც ასევე ფიქრობდა.

ოსბორნი ცოტა გიჟმაჟი კი იყო, - რამდენი ყმაწვილი კაცია ასეთი! და განა ქალიშვილებს დარდიმანდები და მოარშიყენი უფრო არ მოსწონთ, ვიდრე ძუძუმწოვარანი? იგი ჯერ კიდევ არ დადინჯებულიყო, მაგრამ მალე კი დაჭკვიანდებოდა. გამოვიდოდა სამხედრო სამსახურიდან: ახლა ხომ უკვე ზავი ჩამოვარდა! კორსიკელი ურჩხული ელბაზეა დამწყვდეული სამსახურში შემთხვევით წარმატების იმედები მოსპობილია და ხელსაყრელი პირობები აღარ რჩება მისი უებრო სამხედრო ნიჭისა და მამაცობის გამოჩენისათვის. მამამისისგან მიცემული სახარჯო ფული და ემილიას მზითევი სიამოვნებით აშოვნინებენ სადმე სოფელ ადგილას მყუდრო სამყოფელს, კარგ სანადირო სანახებში. ჯორჯი ცოტ-ცოტას ინადირებს, ცოტ-ცოტას მეურნეობასაც მიხედავს და ისინი ძალიან ბედნიერნი იქნებიან. ხოლო რაც შეეხება დაქორწინების შემდეგ არმიაში დარჩენას, ეს შეუძლებლად იყო მიჩნეული. წარმოიდგინეთ ქალბატონი ოსბორნი მივარდნილი ქალაქის სამხედრო ყაზარმაში! ან კიდევ უარესი, აღმოსავლეთ ან დასავლეთ ინდოეთში, ოფიცერთა საზოგადოებაში და მაიორ ო`დაუდის მეუღლის მფარველობის ქვეშ! ემილია სიცილითა კვდებოდა, ოსბორნი რომ უყვებოდა ქალბატონ ო`დაუდის ამბებს. ჯორჯს ისე ძალიან უყვარდა ემილია, რომ ვერ გადააქცევდა მას იმ საშინელი დედაკაცის მდაბიური მოპყრობის საგნად და ვერ ჩააგდებდა ჯარისკაცის ცოლის ტლანქ ყოფაში. თვითონ თავის თავზე კი არ ზრუნავდა - არა! მაგრამ მისმა საყვარელმა პატარა გოგონამ უნდა დაიჭიროს საზოგადოებაში ის ადგილი, რომელიც მის მეუღლეს შეჰფერის! - და ამ ვარაუდსაც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეთანხმებოდა ემილია, როგორც დაეთანხმებოდა იგი საერთოდ ამ პიროვნების ყოველ სხვა ნათქვამსაც.

ასე განაგრძობდნენ მუსაიფს და აგებდნენ ჰაერში უთვალავ ბრძოლის კოშკს, რომელთაც ემილია ყოველი ჯურის ყვავილის ბაღებით, სოფლური სასეირნოებით, ეკლესიებით, საკვირაო სკოლებითა და სხვა ამისთანებით ამკობდა; მაშინ როცა ჯორჯს გონების თვალი მიპყრობილი ჰქონდა საჯინიბოებსა, ძაღლების სადგომსა და მარანზე და ამ ახალგაზრდებმა რამდენიმე საათი ერთობ ტკბილად გაატარეს. ხოლო ვინაიდან ლეიტენანტს მხოლოდ ის ერთადერთი დღე მოეპოვებოდა ქალაქში

სამყოფად და უამრავი დიდად მნიშვნელოვანი საქმე კი ჰქონდა აღსასრულებელი, შეთანხმდნენ, რომ მის ემი მომავალ მულებთან ისადილებდა. ეს მიწვევა სიხარულით იქნა მიღებული. ოსბორნმა მიაცილა იგი დებთან და იქ დატოვა ლაპარაკსა და ყბედობაში ისე გართული, რომ ემილიამ განაცვიფრა ის მანდილოსნები და გულს იმედი ჩაუსახათ, ჯორჯი მართლა რაღაცას გამოიყვანს ამისგანო; - თვითონ კი თავის საქმეებს მიაშურა.

ერთი სიტყვით, იგი წაბრძანდა და ნაყინი მიირთვა საშაქარლამოში, ჩერინგ-კროსში; ახლა ქურთუკი გაისინჯა პელ-მელში; შეირბინა სლოტერის ძველ ყავახანაში და კაპიტანი კენონი მოინახულა; თერთმეტი ხელი ბილიარდი ეთამაშა კაპიტანს, რომელთაგან რვა მოიგო და სადილად ნახევარი საათით დააგვიანა რასელ-სკვერს, მაგრამ ძალიან კარგ გუნებაზე კი ბრძანდებოდა.

მაგრამ ასეთივე გუნებაზე არ გახლდათ მოხუცი ბატონი ოსბორნი. როცა ეს დარბაისელი სიტიდან მობრძანდა და სასტუმრო დარბაზში გულთბილად მიესალმნენ მისი ასული და მოხდენილი მის უირტი, მყის შეატყვეს სახის გამომეტყველებაზე (რომელიც კარგ დროს გაფიჟვინებული, გაფუყული და ყვითელი გახლდათ) და აგრეთვე შავი წარბების შეჭმუხვნილობასა და აპრეხაზე, რომ მის ვეება თეთრ ჟილეტს ქვეშ მოთავსებული გული შფოთავდა და ბორგავდა. როცა ემილია წარუდგა მისასალმებლად, რასაც ყოველთვის დიდის თრთოლვითა და კრძალვით სჩადიოდა, ბებერმა ოსბორნმა ცნობის ნიშნად მხოლოდ რაღაც წაიღრინა და ისე გაუშვა თავისი ვეება ბანჯგვლიანი თათიდან პატარა ხელი, რომ ოდნავადაც არ უცდია ცოტა ხანს მაინც შეეყოვნებინა. პირქუშად გადახედა უფროს ქალიშვილს. იგი მიხვდა მისი გამომეტყველების აზრს, რაც უცდომლად ნიშნავდა: „რა ეშმაკმა მოათრია ეს გოგო აქაო“, და მყის მოახსენა: - ჯორჯი არის ჩამოსული ქალაქში, მამა; მთავარ შტაბში წავიდა და სადილად შინ მოვა.

- ჰოო, აქა ბრძანდება? მე იმის გულისათვის სადილობას არ დავაგვიანებ, ჯეინ! - ამ სიტყვებზე ღირსეული დარბაისელი საკუთრად მისთვის მიჩენილ სავარძელში ჩაეშვა და მას შემდეგ მის დიდებულ, კარგად მორთულ სასტუმრო დარბაზში ჩამოვარდნილ სამარისებურ დუმილს მხოლოდ დიდი

ფრანგული საათის შეშფოთებული ტაკატუკი თუღა არღვევდა.

ოდეს ამ ჟამთსაზომმა, რომლის თავზედაც გამოსახული იყო ბრინჯაოს ხალისიანი ჯგუფი იფიგენიას მსხვერპლად შეწირვისა, საკათედრო ტაძრის ზარის მძიმე ხმით ხუთჯერ დარეკა, ბატონმა ოსბორნმა გაშმაგებით დაჰქაჩა ხელმარჯვნით მოთავსებულ ზარის ზონარს და მყის შემოიჭრა სახლთუხუცესი.

- სადილი! - დაიღრიალა ბატონმა ოსბორნმა.

- ბატონი ჯორჯი ჯერ კიდევ არ გხლებიათ, ბატონო, - ჰკადრა მსახურმა.

- ჯანდაბას ბატონი ჯორჯი, ვაჟბატონი. მე ვარ თუ არა ამ სახლის პატრონი? სადილი!

ბატონმა ოსბორნმა წარბი შეიკრა და მოიღუშა. ემილია აცახცახდა. დანარჩენმა სამმა მანდილოსანმა თვალებით ტელეგრაფივით რაღაც ანიშნეს ერთმანეთს. ქვემოთა სამფლობელოებში გაისმა სადილის მაუწყებელი მორჩილი ზარის რეკვა. რეკვა რომ დამთავრდა, ოჯახის უფროსმა ხელები ბრინჯაოს ღილებიან თავის უშველებელი ლურჯი ქურთუკის ვეება ჯიბეებში ჩააწყო, აღარ დაუცადა შემდგომ მიწვევას, მარტო გაემართა ქვემოთ და თან უკან მიმავალი ოთხ დიაცს უბღვერდა.

- ნეტა რა მოხდა, გენაცვალეთ? - ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს, როცა ადგნენ და ფეხაკრეფით ავიდნენ ქვემოთკენ მიმავალ ოჯახისთავს.

- მე მგონი, სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების კურსი ეცემა, - ჩურჩულით ბრძანა მის უირტმა.

და ასე, აცახცახებული, კრიჭაშეკრული და განაბული მისდევდა ქალთა ჯგუფი თავიანთ პირქუშ ბელადს. მდუმარედ დასხდნენ თავისთავის ადგილას. ოსბორნმა ჩაიბურტყუნა ლოცვა, რაც წყევლასავით ტლანქად გაისმა. დიდრონი ვერცხლის ხუფები ახადეს საჭმელებს. ემილია შიშით კანკალებდა თავის ადგილას, რადგან სწორედ შემაძრწუნებელი ოსბორნის გვერდით მოხვდა და მარტო იჯდა სუფრის იმ მხარეს - ჯორჯის არყოფნის გამო მისი ადგილი ცარიელი იყო.

- წვენი გინდათ? - სამარისებური ხმით ბრძანებს ბატონი ოსბორნი, ხელში ჩამჩა ჩაუბღუჯავს და თვალები ემილიასათვის მიუშტერებია. როცა მას და სხვებს დაუსხა, ცოტა ხანს კრინტი აღარ დაუძრავს.

- აართვით მის სედლის თეფში! - თქვა ბოლოს მან. - ვეღარა ჭამს წვენს... ვეღარც მე ვჭამ. საზიზღარია. წაიღე წვენი, ჰიქს, და ხვალვე გააგდე სახლიდან მზარეული, ჯეინ!

წვენზე ლაპარაკი რომ დაასრულა, ბატონმა ოსბორნმა ორიოდე სიტყვით მოიხსენია თევზიც, აგრეთვე ავი და მქირდავი კილოთი, და ქოქოლა მიაყარა ბილინგსგეიტს ისეთი გულმოდგინებით, რისიც სრულიად ღირსი გახლდათ ეს ადგილი. მერე დადუმდა, რამდენიმე ჭიქა ღვინო გადაყლურწა და თანაც კიდევ უფრო შემაძრწუნებელი გამომეტყველება მიიღო, ვიდრე კარზე მოკლე დაკაკუნებამ არ აუწყათ ჯორჯის მოსვლა და ყველამ შვება იგრძნო.

„უფრო ადრე მოსვლა არ შეეძლო. გენერალმა დეგილეტმა დააგვიანა მთავარ შტაბში, წვენის ან თევზისთვის თავს ნუ შეიწუხებთ. მიაწოდეთ რამე, სულ ერთია, რაც გინდა იყოს, დიდებული ცხვრის ხორცია... დიდებულია ყველაფერი!“ მისი ხალისიანი გუნება მამამისის პირქუშობას ეპირისპირებოდა. ჯორჯი მთელი სადილის განმავლობაში განაგრძობდა ყბედობას ყველას სასიხარულოდ - და განსაკუთრებით კი ერთისა, რომლის სახელის ხსენება არც გახლავთ საჭირო.

როგორც კი ახლაგაზრდა მანდილოსნებმა ფორთოხალი და თითო ფიალა ღვინო იგემეს, რაც ბატონ ოსბორნის პირქუშ ნადიმების ჩვეულებრივ დასასრულს მოასწავებდა, და სასტუმრო დარბაზში წაბრძანების დრო ენიშნათ, ყველანი წამოიშალნენ და გავიდნენ. ემილია იმედოვნებდა, ჯორჯიც მალე შემოგვიერთდებაო. მიუჯდა, ვეება, ფეხებმოხარატებულ, ტყავისშალითიან როიალს, ზემოთ, სასტუმრო დარბაზში, და შეუდგა ჯორჯის საყვარელი ვალსების დაკვრას (ვალსები მაშინ ახალი ხილი იყო ინგლისში). ამ პატარა ხერხმა ვერ გასჭრა. ჯორჯი არ გამოჩენილა. ვალსის ხმა არ ესმოდა; ეს ხმა ნელ-ნელა მისუსტდა, იმედგაცრუებულმა დამკვრელმა მალე მიანება თავი უზარმაზარ საკრავს და თუმცა მისმა სამმა მეგობარმა თავიანთი რეპერტუარის ყველაზე ხმამაღალი და ბრწყინვალე ახალი თხზულებანი დაუკრეს, მას ერთი ბგერაც აღარ გაუგონია. ავის მომასწავებელი წინათგრძნობა შეეპარა

გულში და ფიქრებს მისცა თავი. მოხუცი ოსბორნის მარად შემაძრწუნებელი წარბშეკრულობა ასე მომაკვდინებლად თავზარდამცემი ჯერ არასოდეს სჩვენებია. თვალი ისე გამოაყოლა ემილიას, როცა იგი ოთახიდან გადიოდა, თითქოს მას რაიმე დაეშავებინოს. ყავა რომ მოართვეს, ემილია ისე შეკრთა, თითქოს მისტერ ჰიქსს, მებუფეტეს, შხამიანი ფინჯანი შეეთავაზებინოს. რა საიდუმლოება იმალებოდა იქ? ოჰ, ეს ქალები! ისინი ელოლიავებიან და გულში იხუტებენ თავიანთ წინათგრძნობებს და ყველაზე გონჯ ფიქრებს ისე შეიტკბობენ, როგორც საკუთარ მახინჯ შვილებს.

მშობლის დაღრეჯილობამ ჯორჯ ოსბორნიც შეაკრთო. ასე წარბშეჭმუხვნილი და უზომოდ გაგულისებული მამისათვის აბა როგორღა უნდა დაეცინცლა ფული, რომელიც ჯორჯს მეტისმეტად სჭირდებოდა? მან ქება დაუწყო მამის ღვინოს. ამ ხერხის ხმარება საერთოდ წარმატებით გვირგვინდებოდა მოხუცი დარბაისლის თავის მოსაქონად.

- ასეთი მადეირა როგორიც თქვენია, ბატონო, უესტ-ინდოეთში ჩვენ გემოთაც არ გვინახავს. პოლკოვნიკმა ჰევიტოპმა თქვენი გამოგზავნილი ღვინიდან სამი ბოთლი უკვე ჩაიყუდა მუცელში წინა დღეს.

- ჰოო? - ბრძანა მოხუცმა დარბაისელმა. - თითო ბოთლი მე რვა შილინგი მიჯდება.

- თორმეტის ექვს გინეად გაყიდვას ხომ არ ინებებთ, ბატონო? - სიცილით მოახსენა ჯორჯმა. - ჩვენ სამეფოს ერთ დიდ წარჩინებულს უნდა ცოტაოდენი.

- ჰოო? - წაიბუზღუნა უფროსმა. - თუ უნდა იშოვნოს.

- გენერალი დეგილეტი ჩეტემს რომ ბრძანდებოდა, ბატონო, ჰევიტოპმა საუზმე გაუმართა და ამ ღვინის რამდენიმე ბოთლი მთხოვა. გენერალსაც ძალიან მოეწონა... მთავარსარდალისთვისაც მოინდომა ერთი კასრი. ის ხომ მისი მეფური უდიდებულესობის მარჯვენა ხელი გახლავთ!

- ეს ნამეტანი კარგი ღვინოა, - დასძინა წარბამაც და უკეთეს გუნებაზე დადგომა დაეტყო. ჯორჯმა, ის-ის იყო, დააპირა ესარგებლა შემთხვევით და სუფრაზე წამოეჭრა ფულით ხელის შეწყობის საკითხი, რომ მამა კვლავ გაიფუყა, თუმცა შედარებით უფრო გულითადი გამომეტყველება კი მიიღო, და

უბრძანა, ზარი დარეკე, კლარეტი მოატანინეო. - და ერთი ვნახოთ, თუ ესეც იმ მადეირასავით კარგია, ჯორჯ; მის მეფურ უდიდებულესობას კი, რასაკვირველია, სიამოვნებით მიერთმევა, თუ ნებავს. და თანაც სმაში ერთ მძიმე საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

ემილიამ გაიგონა კლარეტისთვის დარეკილი ზარის ხმა, როცა ზემოთ იჯდა მოუსვენრად. რატომღაც თავში გაუელვა, ეს ზარი უცნაური და ავის მომასწავებელიაო. ამ წინათგრძნობათაგან, რომელიც ზოგ ადამიანს ყოველთვის მოეპოვება, ზოგი უეჭველად ახდება ხოლმე.

- მე მინდა გავიგო, ჯორჯ, - ბრძანა მოხუცმა დარბაისელმა და თან ნელ-ნელა წრუპავდა თავის პირველ თასს, - მე მინდა გავიგო, როგორ არის შენი და... ჰმ... იმ ცუგრუმელას საქმეები, ზემოთ რომ არის?

- მე მგონი, ბატონო, ეგ ძნელი დასანახი არ გახლავთ, - განაცხადა ჯორჯმა კმაყოფილი ღიმილით. - სრულიად აშკარაა, ბატონო ჩემო... რა დიდებული ღვინოა!

- მაგით რა გინდა სთქვა, სრულიად აშკარააო, ვაჟბატონო?

- რა და, დალახვროს ღმერთმა, ნუ მაიძულებთ ეგრე პირდაპირ ვთქვა. თავმდაბალი ყმაწვილი გახლავარ. მე... ეჰ... ქალთა გულის მკვლელად არ მომაქვს თავი, მაგრამ უნდა მოგახსენო, რომ მართლაც მეტისმეტად ვუყვარვარ. ყველას შეუძლია ცალი თვალითაც შეამჩნიოს ეს!

- მერე შენ თვითონ რაღას შვრები?

- რა უნდა ვქნა, ბატონო ჩემო, განა თქვენ არ მიბრძანეთ, ეგ შეირთეო? და მე განა კარგი შვილი არა ვარ? განა ჩვენი მამიკოები უხსოვარ დროს არ შეთანხმდნენ ამაზე?

- კარგი ბიჭი კი ხარ, ჭეშმარიტად! განა არ ვიცი შენი ეშმაკობანი, ვაჟბატონო? ლორდ ტარკინთან, გვარდიის კაპიტან კროულისთან, ღირსპატივცემულ ბატონ დიუსისთან და იმისთანებთან რაებს სჩადიხარ? ფრთხილად, ყმაწვილო, ფრთხილად!

მოხუცმა დიდის რიხითა და კმაყოფილებით წარმოსთქვა წარჩინებულთა ეს სახელები. როცა იგი დიდკაცს შეეყრებოდა, ფიანდაზად გაეგებოდა ფეხქვეშ, თაყვანსა სცემდა და დიდი

მოწიწებით მიმართავდა, როგორც მხოლოდ თავისუფალ ბრიტანელს შეუძლია მოიქცეს. მოვიდოდა შინ და ამოიკითხავდა მისი გვარის ისტორიას პერთა წიგნში; ჩაურთავდა მის სახელს თავის ყოველდღიურ ლაპარაკში; იტრაბახებდა მის უგანათლებულობასთან ნაცნობობის თაობაზე თავის ქალიშვილებში. განერთხმებოდა მის ფერხთა ქვეშ და სტკბებოდა მისი ცქერით, ვითარცა ნეაპოლელი გლახა - მზის სხივებით. ჯორჯი შეშფოთდა, ამ სახელებს რომ მოჰკრა ყური. შეშინდა, მამაჩემმა ხომ არ შეიტყო თამაშის ზოგი ამბავიო. მოხუცმა ჭკუისდამრიგებელმა გულს მოუფონა, როცა წყნარად უთხრა: - კარგი, კარგი, ყმაწვილები ყმაწვილები არიან ყოველთვის და ჩემთვის ის არის ნუგეში, ჯორჯ, რომ იმედი მაქვს, ინგლისის საუკეთესო საზოგადოებაში მაინც ტრიალებ; მე მგონი, ეს მართლაც ასეა, რამდენადაც ჩემი შეძლება ამის უფლებას განიჭებს...

- გმადლობთ, ბატონო, - მოახსენებს ჯორჯი და მყის ჩამოაგდებს ლაპარაკს თავის ხბოზე; - კაცი ვერ იტრიალებს ამ დიდ ხალხში უფულოდ. ჩემს ქისას კი, ბატონო ჩემო, აბა ერთი შეხედეთ, - და აჩვენა ემილიას მოქსოვილი პატარა საბუთი, რომელშიც ახლა დობინის მოცემული უკანასკნელი გირვანქაღა იყო მხოლოდ.

- ფული არ მოგაკლდება, ყმაწვილო. ბრიტანელი სოვდგარის ვაჟს ფული არ უნდა მოაკლდეს, ბატონო ჩემო. ჩემი გინეები იმათსას არაფრით დაუვარდება, ჯორჯ, შვილო ჩემო, და არც კიდევ მენანება. შეუარე მისტერ ჩოპერს, ხვალ სიტიში რომ იქნები, შენთვის რაღაცა ექნება შემონახული. არ მენანება ფული, როცა ვიცი, რომ კარგ ხალხში ტრიალებ, რადგან ვიცი, კარგ საზოგადოებაში კაცი არ ასცდება გზას. ამპარტავნობა არ მიყვარს. ერთი საწყალი კაცი ვიყავი, მაგრამ შენ კი კარგი პირობები გაქვს და კარგადაც გამოიყენე. იტრიალე წარჩინებულ ახალგაზრდობაში. ბევრი მათგანი ერთ დოლარსაც ვერ დახარჯავს იქ, სადაც შენ გინეა შეგიძლია მოიხმარო, ჩემო შვილო. ვარდისფერქუდიანებს რაც შეეხება, - აქ გაბანჯგვლულ წარბებს ქვეშიდან მიხვედრილობის ნიშნად, ცოტა არ იყოს, ვერაფერი საამურად, თვალიც ჩაუკრა, - რას იზამ, ბიჭები ბიჭებად დარჩებიან. მაგრამ ერთს კი გაფრთხილებ და თუ არ გამიგონე, ღმერთს გეფიცები, ერთ შილინგსაც აღარ გავიმეტებ შენთვის: ფულზე თამაშს ერიდე, ყმაწვილო!

- ოჰ, რასაკვირველია, ბატონო, - მოახსენა ჯორჯმა.

- მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ემლიას საქმეს: ვითომ რატომ არ უნდა შეირთო ბირჟის მაკლერის ქალიშვილზე უკეთესი ოჯახიშვილი? აი, ჯორჯ, რისი თქმა მინდა!

- ეს ოჯახების საქმეა, ბატონო, - ამბობს ჯორჯი და თანაც თხილს ამტვრევს. - თქვენ და ბატონმა სედლიმ მგონი ასი წლის წინ დაგვნიშნეთ!

- მაგას არ უარვყოფ. მაგრამ ხალხის მდგომარეობა იცვლება, ბატონო ჩემო. არ უარვყოფ, რომ სედლიმ გამაბედნიერა, ან უფრო სწორად, დამაყენა გზაზე, რომლითაც, ჩემი საკუთარი ნიჭითა და უნარით, მივაღწიე იმ ქედმაღალ მდგომარეობას, შემიძლია ვთქვა, რომელიც ახლა მიჭირავს ქონეულით ვაჭრობასა და ლონდონ-ქალაქში. მე დავუმტკიცე ჩემი მადლიერება სედლის და ჩემი საბანკო ანგარიშის წიგნაკს კიდეც ეტყობა, ბატონო ჩემო; არც ჩემს მთავარ კლერკს, მისტერ ჩოპერს, მოსწონს. ის კი გაქექილი ვინმეა და იმაზე უკეთ არავინ იცის ლონდონში ბირჟის მდგომარება. ჰალკერი და ბულოკი უნდობლად ეპყრობიან. ვშიშობ, უკვე ისეა გახლართული თავის საქმეებში, რომ ფართხალებს. ამბობენ „Jeune Amelie“[43] რომელიც იანკების სამეკობრო ხომალდმა - „Molasses“-მა იგდო ხელთ, მისი იყოო. და გადაწყვეტილი საქმეა: თუ ემილიას ათი ათასს თვალწინ არ დამითვლიან, შენ იმას ვერ შეირთავ. მე კოტრის შვილს არ შემოვუშვებ სახლში. კიდევ მოატანინე სხვა ღვინო, ყმაწვილო... ან დაურეკე, ყავა მოგვართვან!

ამ სიტყვებით ბატონმა ოსბორნმა საღამოს გაზეთი გაშალა და ჯორჯმა ამ ნიშნით შეიტყო, რომ ბაასი დაასრულდა და მამიკო თვლემას აპირებდა.

ჯორჯი აღელვებული გაეშურა ზემოთ, ემილიასკენ. რამ გახადა ჯორჯი ამ საღამოს ასე ალერსიანი, როგორიც უკვე დიდი ხანია აღარა ყოფილა! რამ მოანდომებინა უფრო მეტად გაერთო სატრფო. რამ გახადა უფრო ნაზი, უფრო ენამჭევრი? ხომ არ გათბა ემილიასადმი მისი გული უბედურების მოლოდინში? ანდა საყვარელი პატარა საუნჯის დაკარგვის ფიქრმა ხომ არ დააფასებინა და უფრო არ შეაყვარა იგი?

ემილია შემდეგ მრავალ დღეს ცხოვრობდა ამ ბედნიერი საღამოს მოგონებებით. იხსენებდა მის სიტყვებს, მის

გამოხედვას, მის სიმღერებს; როგორ იდგა იგი, როცა დაიხრებოდა მისკენ, ან შორიდან როგორ უჭვრეტდა მას. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ჯერ არასოდეს გაეტარებინა ასე მოკლე საღამო ბატონ ოსბორნის სახლში და მხოლოდ ამ ერთხელ მოხდა. რომ ბატონ სემბოს ნაადრევმა მოსვლამ შალითურთ კინაღამ გამოიწვია ამ ახალგაზრდა მანდილოსნის გულისწყრომა.

მეორე დღეს, დილით, ჯორჯმა მოინახულა ემილია და ნაზად გამოესალმა მას. მერე სიტის გაეშურა, შეუარა ბატონ ჩოპერს, მამამისის თავკაცს, გამოართვა ამ დარბაისელს საბუთი და ეს საბუთი პალკერისა და ბულოკის კანტორაში მთელ ჯიბე ფულად გადაახურდავა. ჯორჯი რომ შემოდიოდა შენობაში, მოხუცი ჯონ სედლი ძალიან სახედაღრეჯილი გამოდიოდა ბანკირის მისაღები ოთახიდან. მაგრამ მისი ნათლული მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა და ბირჟის პატიოსანი მაკლერის მოწყენილობა და ის ნაღვლიანი გადმოხედვა, რომლითაც თვალი შეავლო მას გულკეთილმა მოხუცმა, სულაც არ შეუნიშნავს. ახალგაზრდა ბულოკს აღარ გამოუცილებია სედლი მისაღები ოთახიდან, როგორც ჩვეულებად ჰქონდა წარსულ წლებში. და როგორც კი მიიხურა ბატონ სედლის გასვლის შემდეგ ჰალკერის, ბულოკის და კომპანიის კანტორის ორსაგდულიანი კარი, ბატონმა კილმა, მოლარემ (რომლის მადლიანი მოვალეობა გახლავთ ტკაცუნა საბანკო ბილეთების უჯრიდან ამოღება და მორთმევა, აგრეთვე სპილენძის ნიჩბით ოქროს ფულის გადმოთვლა) თვალი ჩაუკრა ბატონ დარივერს, ხელმარჯვნით მაღალ საწერ მაგიდასთან მიმჯდარ კლერკს. ბატონმა დრაივერმაც თავის მხრივ ჩაუკრა თვალი.

- აღარაფერი ეშველება, - წაიჩურჩულებს ბატონი დ.

- არა, აღარა უშველის რა, - ამბობს ბატონი კ. - ბატონო ჯორჯ ოსბორნ, როგორ ინებებთ ფულს, ბატონო ჩემო? - ჯორჯმა ხარბად ჩაიჩურთა საკმაოდ ბევრი ფული ჯიბეებში და სწორედ იმავე საღამოს გადაუხადა სუფრაზე დობინს ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი.

სწორედ იმ საღამოსვე მისწერა მის ემილიამაც ჯორჯს ყველაზე უნაზესი და უგრძესი წერილი. ემილიას გული პირთამდე იყო გალიცლიცებული სინაზითა და სიყვარულით, მაგრამ კვლავ ავი წინათგრძნობა კი აწუხებდა. რატომ გამოიყურებოდა ისე პირქუშად ბატონი ოსბორნი? - კითხულობდა იგი. ხომ

არაფერზე წაჩხუბებულან ის და მისი მამიკო? საბრალო მამიკო ისე დაღვრემილი დაბრუნდა სიტიდან, რომ ყველა ძალიან შეშფოთდა შინ... ერთი სიტყვით, სიყვარულის, შიშის, იმედებისა და წინათგრძნობათა მთელი ოთხი გვერდი იყო გადაჭრელებული.

„საბრალო პატარა ემი... საყვარელი პატარა ემი. როგორ ვუყვარვარ! - წარმოსთქვა ჯორჯმა, როცა გადახედა უსტარს... - აი, დასწყევლოს ღმერთმა, როგორ ამატკივა თავი ამ შერეულმა პუმშმა!“

საბრალო პატარა ემი, ჭეშმარიტად!

თავი XIV. მის კროული შინ

დაახლოებით ამავე ხანებში, მყუდრო და კარგად გამართულ სახლს პარკ-ლეინში სამგზავრო ეტლი მიადგა. ეტლის კარებზე რომბის მოყვანილობის ღერბები იყო გამოსახული, ეტლის უკანა დასაჯდომზე მწვანე პირბადიანი, თმადახუჭუჭებული უკმაყოფილი დიაცი იჯდა, ხოლო კოფოზე - უშველებელი, ნდობით აღჭურვილი მსახური. ეს გახლდათ ჰენტიდან მომავალი ჩვენი მეგობრის, მის კროულის, ეტლი. ეტლის სარკმლები დაეხურათ და ჩასუქებული სპანიელი, რომლის თავი და ენა ჩვეულებრივ ყოველთვის გამოჩრილი იყო ერთ-ერთი მათგანიდან, ახლა უკმაყოფილო დიაცის კალთაში განისვენებდა. ეტლი რომ დადგა, მრავალი მოსამსახურისა და ახალგაზრდა მანდილოსნის შემწეობით, რომელიც თან ახლდა წამოსასხამთა გროვას, იქიდან ამ წამოსასხამთა და შალების ვეება ფუთა გადმოიღეს. ეს ფუთა მის კროულის შეიცავდა. იგი მყის აიტანეს ზემო სართულში და წინასწარ ავადმყოფისათვის შესაფერ გამთბარ ლოგინსა და საწოლ ოთახში დაასვენეს, ხოლო მკურნალებისა და ექიმების მოსაყვანად კაცები აფრინეს. ექიმები მობრძანდნენ, მოითათბირეს, გამოწერეს წამლები და გაქრნენ. მის კროულის ახალგაზრდა მხლებელი ექიმების თათბირის დასასრულს შევიდა, მოისმინა მათი დარიგებანი და გაუკეთა სნეულს ანთების საწინააღმდეგო წამლები, რომლებიც გამოჩენილმა ვაჟბატონებმა ბრძანეს.

ლეიბ-გვარდიელი კაპიტანი კროული მეორე დღესვე მობრძანდა ცხენით ნაითსბრიჯის ყაზარმებიდან. მისი შავი ტაიჭი ტორს სცემდა ჩალას ავადმყოფი მამიდის კარწინ. კაპიტანი დიდის სიყვარულით და გულმოდგინებით კითხულობდა ამ გულითადი ნათესავის ამბავს. ჩანს, დიდი საფუძველი მოიპოვებოდა შეშფოთებისათვის. მის კროულის პირისფარეში (უკმაყოფილო დიაცი) მოღუშული და გულჩათხრობილი იხილა, მის ბრიგზი, ქალბატონ კროულის dame de compagnie[44], სასტუმრო ოთახში მარტოდ მყოფი იხილა, ცრემლსა ღვრიდა: იგი, ბრიგზი, შინისაკენ გამოეშურა, როცა საყვარელი მეგობრის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო. მას ეწადა მიფრენილიყო მის სარეცელთან, რომელიც მას, ბრიგზს, ასე ხშირად გაუსწორებია ავადობის ჟამს. იმას კი უარი სტკიცეს და მის კროულის სამყოფელში არც შეუშვეს. ვიღაც უცხო უვლიდა და ასმევდა წამლებს მის კროულის... ვიღაც უცხო, სოფლელი... საძაგელი მის... - dame de compagnie ცრემლთა ნიაღვარმა შეაჩერა, ხმა ჩაუწყვიტა და მან თავის დამსხვრეული სიყვარულის გრძნობანი და საბრალო ბებრული წითელი ცხვირი ხელმანდილში ჩამალა.

როუდონ კროულიმ მოღუშული famme de chambre[45] აჰგზავნა ზემოთ და თავისი მოსვლის ამბავი შესთვალა. სნეულის ოთახიდან მის კროულის ახალი კომპანიონი, ახალი მხლებელი ჩამოცქრიალდა. კაპიტანი აჩქარებით რომ მიეგება, მანდილოსანმა პაწია ხელი ჩაუდო ხელში, დიდის ზიზღით გადაჰკრა თვალი გაოგნებულ ბრიგზს; ახალგაზრდა გვარდიელს ანიშნა წამომყეო, გაიყვანა სასტუმროდან და ჩაუძღვა ქვემოთ, ახლა მიტოვებულ სასადილო ოთახში, სადაც ასე მრავალი კარგი ნადიმი გადახდილიყო.

აქ ეს ორნი ათ წუთს ბაასობდნენ - უეჭველია, ზემოთ მყოფი მოხუცი ავადმყოფის მდგომარეობაზე მსჯელობდნენ. ამ დროის დასასრულს სასტუმროს ზარმა აჩქარებით გაიწკრიალა, რასაც მყის გამოეხმაურა ბატონი ბოულზი, მის კროულის უშველებელი, ერთგული სახლთუხუცესი (ჭეშმარიტად ისე მოხდა, რომ იგი სწორედ კლიტის ნახვრეტთან აღმოჩნდა ამ ბაასის უმეტესი ნაწილის განმავლობაში). კაპიტანი ულვაშების გრეხით გამობრძანდა გარეთ, მოახტა შავ ტაიჭს, რომელიც ჩალაში სცემდა ტორს ქუჩაში თავმოყრილ პატარა ავარა ბიჭ-ბუჭების განსაცვიფრებლად და გასახარებლად. ყმაწვილმა ახედა სასადილო ოთახის ფანჯარას, თან თავს უჭერდა ტაიჭს,

რომელიც მოხდენილად ხტოდა და ცმუკავდა... ერთ წამს ახალგაზრდა ქალის სახემაც გაიელვა ფანჯარაში. მერე იგი გაჰქრა, უეჭველია, კვლავ ზემოთ ავიდა, რათა განეგრძო გულშემატკივარი და მადლიანი მოვალეობის სიყვარულით აღსრულება.

ნეტავი ვინ უნდა იყოს ეს ახალგაზრდა ქალი? იმ საღამოს მცირე სუფრა გახლდათ გაშლილი ორი კაცისათვის სასადილო ოთახში. მისის ფერკინი კი, ქალბატონის პირისფარეში, შეჭრილიყო ქალბატონის სამყოფელში და დაფათურობდა, სანამ იქ შემთხვევით არ ბრძანდებოდა ახალი მომვლელი - ეს უკანასკნელი და მის ბრიგზი მცირე, უბრალო სადილს მისჯდომოდნენ.

ბრიგზს ისე ებჯინებოდა ყელში გრძნობანი, რომ ერთი ლუკმა ხორცის გადაყლაპვასაც ვერ ახერხებდა. ახალგაზრდამ უდიდესი გულმოდგინებითა და სინატიფით აჰქნა ქათამი და ისე მკაფიოდ ითხოვა მიეწოდებინათ კვერცხიანი საწებელი, რომ საბრალო ბრიგზი, რომლის წინაც ეს საუცხოო სანელებელი იდგა, შეკრთა, ასტეხა ჩამჩით დიდი ჩხარაჩხური და ერთხელ კიდევ აუტყდა უზომო ცრემლთა დენა და გულამომჯდარი სლუკუნი.

- არ ემჯობინება, ქალბატონ ბრიგზს ცოტა ღვინო მოასმევინოთ? - მიმართა ყმაწვილმა ქალმა ბატონ ბოულზს, უშველებელ ერთგულ მსახურს.

მან მიართვა. ბრიგზმა დაუფიქრებლად მოკიდა ხელი ჭიქას, დააღო პირი, კრუნჩხვით გადაყლაპა ღვინო, ცოტა ამოიგმინა და შეუდგა თეფშზე წიწილის ნაჭრის ცოდვილობას.

- მე მგონი ჩვენ თვითონაც მოვახერხებთ ერთმანეთს ხელი შევუწყოთ, - ბრძანა ახალგაზრდა მანდილოსანმა თავაზიანად, - და არ დაგვჭირდება ბატონ ბოულზის კეთილი სამსახური. ბატონო ბოულზ, გეთაყვა, ჩვენ თვითონ დაგირეკავთ, როცა დაგვჭირდებით!

ბატონი ბოულზი ჩავიდა ქვემოთ, სადაც, სხვათა შორის, უშვერი ლანძღვა-გინებით იყარა გულის ბუხარი უდანაშაულო ფარეშზე, თავის ხელქვეითზე.

- დიდად შესაბრალისია, ასე რომ განიცდით, ქალბატონო ბრიგზ, - მოახსენა ახალგაზრდა მანდილოსანმა ვიცი, ოდნავ

მქირდავი კილოთი.

- ჩემი უძვირფასესი მეგობარი ასე ავად არის და ჩემი ნახვა კი არ უ-უ-უნდა, - ამოიბუყბუყა განახლებული მწუხარებით გაწამებულმა ბრიგზმა.

- ახლა უკვე აღარ არის ისე ძალიან ავად. დაიშოშმინეთ გული, ძვირფასო ქალბატონო ბრიგზ, მხოლოდ ნამეტანი გაძღომა მოუვიდა - მეტი არაფერი. გაცილებით უკეთ გახლავთ. მალე სულ მომჯობინდება. მარტო კოტოშების მოკიდებითა და საექიმო მოვლით არის შესუსტებული, მაგრამ მალე მოკეთდება. გევედრებით, დამშვიდდით დაა მიირთვით კიდევ ცოტა ღვინო!

- კი, მაგრამ, რატომ, რატომ აღარ უნდოდა ჩემი ნახვა? - წაიზლუქუნა ქალბატონმა ბრიგზმა, - ოჰ, მატილდა, მატილდა, ოცდასამი წლის ნაზი მეგობრობის შემდეგ განა ეს არის შენი საბრალო, საბრალო არაბელას ჯილდო!?

- ნუ მოსთქვამთ ბევრს, საბრალო არაბელა, - მოახსენა მეორემ (კვლავ მცირე ღრეჭით); - მხოლოდ იმიტომ არ უნდა თქვენი ნახვა, რომ მეუბნება, ისე კარგად ვერ მივლის, როგორც შენაო. სულაც არ მესიამოვნება მთელ ღამეს თვალმოუხუჭავად ჯდომა, ნეტავი კი ჩემს მაგივრად თქვენ უვლიდეთ!

- განა მთელი წლების განმავლობაში არ მომივლია იმ ძვირფასი სარეცლისათვის? - თქვა არაბელამ, - ახლა კი...

- ახლა კი სხვა ვინმეს ამჯობინებს. დიახ, ავადმყოფები ასე ჭირვეულობენ და ხელიც უნდა შევუწყოთ. როცა გამომრთელდება, წავალ.

- არასოდეს, არასოდეს, - შესძახა არაბელამ და გაშმაგებით დაუწყო ყნოსვა გულის მოსაბრუნებელი მარილის შუშას.

- არასოდეს გამომრთელდება, თუ მე არასოდეს წავალ, ქალბატონო ბრიგზ? - ჩაეკითხა მეორე კვლავ ისეთივე გამომწვევი გულკეთილობით, - ფიე... ის ორ კვირაში ფეხზე დადგება და მეც ჩემს პატარა მოწაფეებს მივხედავ დედოფლის კროულიში და აგრეთვე იმათ დედას. ის კიდევ უფრო მეტად არის ავად, ვიდრე ჩვენი მეგობარი. თქვენ არ გაგაჩნიათ ჩემდამი შურის მიზეზი, ჩემო ძვირფასო ქალბატონო ბრიგზ. მე ერთი საწყალი უთვისტომო, ალალი გოგო გახლავარ. სულაც არ

მინდა თქვენს მაგიერ მოვიპოვო მის კროულის კეთილგანწყობილება და წყალობა. მის კროულის, მე რომ წავალ, ერთ კვირაში დავავიწყდები, თქვენდამი სიყვარული კი წლების განმავლობაშია განმტკიცებული. ერთი ცოტა ღვინო დამისხით, გეთაყვა, ჩემო ძვირფასო ქალბატონო ბრიგზ, და მოდით დავმეგობრდეთ. გარწმუნებთ, მე მეგობრებს ვეძებ!

ადვილად გულმოსანადირებელმა და გულჩვილმა ბრიგზმა უსიტყვოდ მისჩარა ხელი ამ მოწოდებაზე. მაგრამ ყოველივე ეს მაინც ძალიან მწვავედ აგრძნობინებდა მიტოვებულობას და მწარედ, მწარედ ჰგოდებდა თავისი მატილდას გაუტანლობაზე. ნახევარი საათის შემდგომ, პურობა რომ მოთავდა, მის რებეკა შარპი (ვინაიდან, იქნებ გასაკვირიც იყოს მოგახსენოთ, ეს გახლავთ სახელი იმ მანდილოსნისა, რომელსაც აქამდე საზრიანად ვახსენებდით უსახელოდ) კვლავ აბრძანდა ზემოთ, ავადმყოფის სამყოფელში, საიდანაც უნატიფესი და უდიდესი თავაზიანობით გამოაბუზარა საბრალო ფერკინი.

- გმადლობთ, ქალბატონო ფერკინ, ჩინებულად გაგიკეთებიათ ყველაფერი; მერე რა კარგად აკეთებთ! დაგირეკავთ, თუ რაიმე დაგვჭირდა.

- გმადლობთ! - და შურისაგან ქარიშხალივით გამძვინვარებული ფერკინი ჩამორახრახდა ძირს, ოღონდ ქარიშხალზე უფრო საშიში კი იყო, ვინაიდან იძულებული ბრძანდებოდა ეს ბობოქრობა თავის საკუთარ მკერდში ჩაემარხა.

ვითომ ეს ის ქარიშხალი იყო, რომელმაც მაშინ, როცა პირველი სართულის კიბის ბაქანზე ფერკინმა ჩაიქროლა, სასტუმრო ოთახის კარი მოფლითა? არა, ეს კარი უჩუმრად გაიღო ბრიგზის ხელით. ბრიგზი დადარაჯებული გახლდათ. ბრიგზს ჩინებულად ესმოდა, ფერკინი ჩამოსვლისას კიბეს რომ აჭრაჭუნებდა და მიტოვებული, აბუჩად აგდებული დიაცის ხელში როგორ გაუდიოდა ჟღარაჟღური კოვზსა და ფაფის ჯამს.

- აბა, ფერკინ! - მიმართა ბრიგზმა, როცა მეორემ ფეხი შედგა ოთახში. - აბა, ჯეინ, როგორ არის საქმე?

- უარ და უარ, ქალბატონო ბრიგზ! - თავის ქნევით მიუგო ფერკინმა.

- მაშ უკეთ ვერ არის?

- მარტო ერთხელ ამოიღო ხმა და ისიც მე ვკითხე, რომა ცოტა უფრო უკეთ არა ბრძანდები-მეთქი? იმან კი დამიტატანა, დააყე ეგ შენი ტუტუცი ენაო. ოჰ, მის ბრიგზ, სწორედ არ მეგონა, ამ დღეს თუ მოვესწრებოდი! - და წყალსადენი კვლავ ამუშავდა.

- რა ადამიანია ეს მის შარპი, ფერკინ? მე ფიქრადაც არ მომდიოდა, ოდეს შობის დღესასწაულებზე განვიხარებდი ჩემს გულითადი მეგობრების ღირს მამა ლაიონელ დელამირისა და მისი სანუკვარი, ალერსიანი მეუღლის წარჩინებულ ოჯახში, თუ უცხო ვინმე დაიჭერდა ჩემს ადგილს ჩემი უძვირფასესი, ჩემი კვლავ უძვირფასესი მატილდას გულში!

ქალბატონი ბრიგზი, როგორც მისი ლაპარაკის კილოსაც ეტყობა, მწერლობის მოყვარე და მგრძნობიარე ბუნების მანდილოსანი გახლდათ. ერთხელ ხელისმოწერით ლექსების წიგნიც კი დასტამბა - „ბულბულის გალობანი“.

- ქალბატონო ბრიგზ, ყველა გატუტუცებულია ამ გომბიოზე, - მიუგო ფერკინმა. - სერ პიტი არც გამოუშვებდა, მაგრამ მის კროულის უარი ვეღარ ჰკადრა. ქალბატონი კროული, მღვდლის ცოლი, კიდევ უარესი - უამისოდ ვერა სძლებს. კაპიტანი სულ გაგიჟებულია. ბატონი კროული შურით ჭიპზედა სკდება. რაც რომ მის კროული უქეიფოდ გახდა, მის შარპის გარდა სხვა აღარავინ წაიკარა, სწორედ არ ვიცი რატომ და რისთვინ. მე მგონია, რამე ჯადო თუ გაუკეთა ყველას!

რებეკამ მთელი ის ღამე სულ მის კროულის მოვლაში გაატარა. მეორე ღამეს მოხუცს ისე ტკბილად ეძინა, რომ რებეკამაც მთელი რამდენიმე საათი ტკბილად გამოიძინა მისი მფარველის საწოლის ფეხთით მდგარ ტახტზე. ხოლო სულ მალე ქალბატონმა კროულიმ ისე მოიკეთა, რომ წამოჯდა და გულიანად ახითხითდა, როცა რებეკამ ჭეშმარიტად სწორი მიბაძვით ქალბატონი ბრიგზი და მისი გოდების სურათი აუწერა, ბრიგზის სლუკუნით მოთქმა და ხელსახოცის ხმარება ისეთი სრული ზედმიწევნილობით წარმოუდგინა, რომ მის კროული სულ გამხიარულდა და ამით ფრიად გააოცა სანახავად მოსული მკურნალები, რომელნიც, როგორც კი ამ ღირსეულ წარჩინებულ მანდილოსანს სულ უბრალო ავადმყოფობა შეეყრებოდა, ჩვეულნი იყვნენ, იგი სიკვდილის შიშით თავზარდაცემული და ერთობ საძაგელ სასოწარკვეთილ

მდგომარეობაში ჩავარდნილი ეხილათ.

კაპიტანი კროული ყოველდღე მობრძანდებოდა და მის რებეკასაგან იგებდა მამიდის ჯანმრთელობის ამბავს. მის კროული ისე სწრაფად მომჯობინდა, რომ საბრალო ბრიგზს ნება დაერთო, ენახა თავისი მწყალობელი. და ნაზი გულის მკითხველთ შეუძლიათ წარმოიდგინონ ამ მგრძნობიარე მანდილოსნის ჩახშულ გრძნობათა და შეხვედრის გულისამაჩუყებელი სურათი.

მის კროულიმ მალე მოიწადინა ბრიგზის საკმაოდ ხშირ-ხშირად ხილვა. რებეკა, ბრიგზის ცხვირწინვე, საოცარი სერიოზულობით აჯავრებდა მას და ამრიგად წაბაძვას გაორკეცებული მარილი ემატებოდა ღირსეული მწყალობლის თვალში.

მის კროულის სავალალო უქეიფობისა და ძმის სახლიდან გამომგზავრების მიზეზი იმდენად უგვანო გახლდათ, არც შეეფერება ამ ნატიფ და მგრძნობიარე ამბავს, რომ მოგახსენოთ იგი. რადგან, აბა, როგორ შეიძლება სიტყვა გადავკრათ იმაზე, რომ წარჩინებული საზოგადოების ზრდილი მანდილოსანი მეტად ბევრ საჭმელ-სასმელს შეექცა და რომ მღვდლის სახლში გამართულ ვახშამზე მადიანად მირთმეული ცხელი ასთაკვი შეიქნა ლოგინად ჩავარდნის მიზეზი. თვით მის კროულის კი დაეჟინა, მხოლოდ ნესტიანი ამინდის ბრალიაო. ისე მწვავე ტკივილმა მოუარა, რომ მატილდამ, როგორც მისმა მაღალღირსებამ, ბიუტ კროულიმ ბრძანა, კინაღამ ფეხები გაჭიმა. მთელი ოჯახი ანდერძის მოლოდინის ციებ-ცხელებამ შეიპყრო და როუდონ კროული უკვე ბეჯითად იმედოვნებდა, ლონდონის სეზონის დაწყებამდე, სულ უკანასკნელი, ორმოცი ათასი გირვანქა მაინც მექნებაო. ბატონმა კროულიმ სულის მარგებელი რჩეული წიგნაკების ამანათი გაუგზავნა, რათა შეემზადებინა იგი ამაოების ბაზრიდან და პარკ-ღვინიდან სხვა ქვეყანას გადასაბარგებლად. მაგრამ საუთემპტონიდან დროზე მოწვეულმა კარგმა მკურნალმა დათრგუნა მის კროულისათვის თითქმის საბედისწერო ასთაკვი და შთაუნერგა ამ მანდილოსანს საკმაო ძალა ლონდონს დაბრუნებისათვის. ბარონეტი არა მალავდა თავის უდიდეს იმედგაცრუებას საქმეთა ამგვარი შეტრიალების გამო.

როცა ყველა თავს დასტრიალებდა მის კროულის და ყოველ საათში მღვდლის სახლში შიკრიკებს მიჰქონდა მისი ჯანმრთელობის ამბავი იქაურ მოსიყვარულე

ნათესავებისათვის, სასახლის სხვა ოთახში ძლიერ დასნეულებული მეორე მანდილოსანიც იწვა, რომელსაც სულაც არავინ აქცევდა ყურადღებას და ეს მანდილოსანი თვით ლედი კროული ბრძანდებოდა. გამოჩენილმა ექიმმა თავი გადააქნ-გადმოაქნია, როცა იგი გასინჯა (ამ გასინჯვასაც სერ პიტი მხოლოდ იმიტომ დაჰყაბულდა, რომ ფული არ გადაუხდია); იგი მიაგდეს ბედის ანაბარად თავის განმარტოებულ საწოლ ოთახში და ნელ-ნელა ჭკნებოდა ისევე მოუვლელად, როგორც სარეველა ბალახი - ბაღში.

აგრეთვე ყმაწვილი ქალიშვილებიც დიდად დაზარალდნენ წვრთნაში: მოაკლდათ აღმზრდელის დაუფასებელი ხელი. ისე გულმოდგინე და მოსიყვარულე მომვლელი აღმოჩნდა მის შარპი, რომ მის კროული მხოლოდ მისი ხელით თუ სვამდა წამალს, თორემ სხვას არავის იკარებდა. ფერკინი ადრევე, სანამ ქალბატონი სოფლიდან გამოემგზავრებოდა, მანამდე გადააყენეს. ამ ერთგულმა მოახლემ ლონდონს დაბრუნების შემდგომს ჰპოვა პირქუში ნუგეში, როცა ქალბატონი ბრიგზიც ისევე შურით განმსჭვალული და ტანჯული იხილა და იმასაც ისევე ვერაგულად და უმადურად მოეპყრნენ, როგორც თვითონ მას.

კაპიტანმა როუდონმა შვებულების გაგრძელება მოახერხა მამიდის ავადმყოფობის გამო და, როგორც მოვალეობა უკარნახებდა, შინ დარჩა. იგი მარად მის კროულის წინა ოთახში იჯდა (ავადმყოფი დიდ საწოლ დარბაზში იწვა, რომელშიც პატარა ცისფერი სასტუმრო ოთახიდან შეისვლებოდა). მამა ყოველთვის იქა ხვდებოდა ხოლმე; ან კიდევ რაც უნდა ფეხაკრეფით ჩაევლო ტალანში, მამამისის კარი მაინც უეჭველად გაიღებოდა და მოხუცი დარბაისლის აფთრის სახე დაუბრიალებდა თვალებს. რა აიძულებდა ერთს ასე დასდარაჯებოდა მეორეს? - უეჭველია, დიდსულოვანი ქიშპობა, რომელი მეტ გულშემატკივრობას გამოიჩენდა დიდ საწოლ დარბაზში ლოგინად ჩავარდნილი ძვირფასი ტანჯულისადმი. რებეკა გამოვიდოდა და ორთავეს ანუგეშებდა, ან კიდევ ხანდახან სათითაოდაც. ორივე ეს ღირსეული დარბაისელი დიდად მოწადინებული ბრძანდებოდა, ავადმყოფის ამბავი უთუოდ ნდობით აღჭურვილი პატარა შიკრიკის პირით მოესმინა.

სადილად (ამ იჯრაზე ნახევარი საათით ჩამოდიოდა რებეკა!)

ზავს ჩამოაგდებდა ხოლმე იგი მათ შორის, მერე კი მთელ ღამეს გაქრებოდა. მაშინ როუდონიც მადბერის გაემართებოდა, 150-ე ლეგიონის სადგომში, ხოლო მამიკოს ბატონ ჰოროქსისა და წყალგარეული რომის ანაბარა სტოვებდა. რებეკამ ავადმყოფ მის კროულის ოთახში უზომოდ მომქანცველი ნახევარი თვე დაჰყო; მაგრამ მისი პატარა ნერვები, თითქოს რკინისა ყოფილიყო, სულაც ვერ შეარყია სნეულის ოთახში მოვალეობათა აღსრულებამ და მათმა მოსაბეზრებლობამ.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გამოტყდა, რა მძიმე და შემაჭირვებელი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული - რა მიზეზიანი ავადმყოფი ბრძანდებოდა მხიარული მოხუცი მანდილოსანი; რა ანჩხლი, რა ძილგამკრთალი; როგორ იყო შეძრწუნებული სიკვდილის შიშით; რამდენ გრძელ ღამეს იწვა, კვნესოდა, გმინავდა და ჰგოდებდა, თითქმის თავდავიწყებულ ყოფაში ჩავარდნილი, იმ საიქიოზე, რომელსაც ჩირად არ აგდებდა, როცა ჯანსაღად ბრძანდებოდა. წარმოიდგინე, ო, მშვენიერო ახალგაზრდა მკითხველო, წუთისოფლის მოყვარე, თავკერძა, უგვანი, უმადური, ურწმუნო ბებერი, რომელიც ტკივილითა და შიშით იღრიცება და თან პარიკიც არ ახურავს თავზე. წარმოიდგინე ეს თვითონ და, სანამ დაბერდებოდე, ისწავლე სიყვარული და ვედრება!

შეუდრეკელის მოთმინებით დასტრიალებდა თავს მის შარპი ამ უგვანი ავადმყოფის სარეცელს. არაფერი გამოეპარებოდა და, ვითარცა გამჭრიახი და მომჭირნე მოურავი, ყველაფრის გამოყენებას და სარგებლობას ახერხებდა. შემდეგ ხანებში მის კროულის ავადმყოფობის ბევრი კარგი ამბავი უთქვამს რებეკას, ამბები, რომლითაც ამ მანდილოსანს თვითონ ხელოვნურ ხორცისფერ საღებავის ქვეშაც კი არ შეეტყობოდა ხოლმე ღაწვების ალეწილობა. ავადმყოფობის განმავლობაში არასოდეს დაუკარგავს მოთმინება. ყოველთვის მხნედ და ცქვიტად იყო. როგორც სრულიად წმინდა სინდისის პატრონს, ფხიზლად ეძინა და ეს ჯან-ღონის მოსაკრები მოსვენება როცა მოენებებოდა, მაშინ შეეძლო გამოეყენებინა. ასე რომ გარეგნობაზე რებეკას ნაკლებ ეტყობოდა მოქანცულობის ნიშნები. იქნებ სახე კი ჰქონდა ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო ფერმკრთალი, ანდა თვალები ცოტა უფრო მეტად ჩაშავებული; მაგრამ როცა არ უნდა გამოსულიყო ავადმყოფის ოთახიდან, ყოველთვის იღიმებოდა, ქორფა და ფაქიზი, და ისე უხდებოდა პატარა ხალათი და ქუდი, თითქოს თავის ყველაზე უფრო

საუცხოო საღამურ კაბაშია გამოწყობილიო.

ასე ჰგონებდა კაპიტანი და შმაგი, უცნაური სიყვარულით შეუყვარდა იგი სიყვარულის ბასრი ისარი განეწონა სქელ კანში. ექვსი კვირის ახლო ყოფნამ და შემთხვევების ხელის შეწყობამ ხომ სულ იმსხვერპლა კაპიტანი. გულის მესაიდუმლედ მან, მთელი ქვეყნის ზურგზე, მხოლოდ თავისი ძალუა, მღვდლის ცოლი, ამოირჩია. ძალუა ეხუმრებოდა ამაზე; მან შეამჩნია მისი გატაცება, გააფრთხილა იგი; და დააბოლოვა იმით, რომ აღიარა, პატარა შარპი მთელ ინგლისში ყველაზე ჭკვიანი, გამჭრიახი, სასაცილო, უცნაური, კარგი გულის, მიამიტი და გულკეთილი გოგონა არისო. როუდონი არ უნდა ეხუმრებოდეს მის გრძნობებს, თუმცა ძვირფასი მის კროული არასოდეს აპატიებს მას ამ სიყვარულს. თვითონ ისიც, ბიუტის მეუღლეც, აგრეთვე სრულიად დაიპყრო პატარა მასწავლებელმა, და შვილივით უყვარდა იგი. როუდონი უნდა მოშორდეს, უნდა დაუბრუნდეს თავის ლეგიონსა და საძაგელ ლონდონს და არ უნდა ეთამაშოს საბრალო გულუბრყვილო გოგოს განცდებს.

ამ გულკეთილ მანდილოსანს ებრალებოდა ეს ეული, უბადრუკი ლეიბგვარდიელი და ბევრჯერ, ბევრჯერ შეუწყო ხელი მის სახლში მოენახულებინა მის შარპი, ხოლო შემდეგ შინაც მიეცილებინა, როგორც წინათაც ვნახეთ. როცა ზოგიერთი მამაკაცი, მანდილოსანნო, შეყვარებულია, თუნდაც თავის თვალით ხედავდეს ანკესს, კანაფს და ყველა ხელსაწყოს, რომლითაც იგი უნდა იგდონ ხელთ, ის მაინც გადასანსლავს მისატყუებელს, - მაინც უნდა მივიდეს იმასთან, მაინც უნდა გადაყლაპოს! და კიდეც მყის ამოჰკრავენ ანკესს, გადმოსტყორცნიან ხმელეთზე და მოჰყვება იქ პირის ბჩენას. როუდონი ამჩნევდა, რომ მღვდლის ცოლს აშკარად უნდოდა იგი რებეკას ხელში ჩავარდნილიყო. კაპიტანი დიდი ვერაფერი ბრძენი გახლდათ, მაგრამ ქალაქელი ყმაწვილი იყო და რამდენიმე იქაური სეზონი გამოეცადა. ჭეშმარიტების შუქი, როგორც მას ეგონა, ამ ქალბატონ კროულისთან ერთი მუსაიფის შემდეგ მიადგა წყვდიადით მოცულ მის სულს.

- დაიხსომე ჩემი სიტყვა, როუდონ, - უთხრა მან, - თუ ერთ დღეს მის შარპი ნათესავად არ გაგიხდეს.

- რა ნათესავად... ბიძაშვილის ცოლად ხომ არა, ჰა, ქალბატონო? ფრენსისს ხომ არ მოსდის თვალში, ჰა? - ჩაეკითხა ოინბაზი ოფიცერი.

- კიდევ უფრო მეტი! - შავი თვალების ბრიალით მიუგო ბიუტის მეუღლემ.

- ჰიტი ხომ არა? ეგ მაინც ვერ იგდებს ხელთ; ეგ ჯაბანი მაგის ღირსი არ არის. თანაც ის ხომ ლედი ჯეინ შიპშენსკზე არის ატორღიალებული!

- კაცები ვერაფერს ვერ ამჩნევთ. შე სულელო, შე ბრმავ, ლედი კროულის რომ რამე ეწიოს, მის შარპი შენი დედინაცვალი გახდება: აი, რა მოხდება!

როუდონ კროულიმ, ესკვაირმა, ამ ამბის მოსმენით გაკვირვების ნიშნად, ყურის წამღებად დაუსტვინა. ეჭეშმარიტა - მამამისს რომ აშკარად მოსწონდა მის შარპი, არც მას გამოჰპარვია. ბებრის ხასიათი კარგად იცოდა; და იმაზე უფრო ნამუსგარეცხილი ბებერი... ჰვიუ!.. მას აღარ დაუმთავრებია წინადადება, ულვაშების გრეხით გასწია შინისკენ და იგრძნო, ბიუტის მეუღლის უცნაურ საიდუმლოს ალღო ავუღეო.

„ღმერთმანი, ძლიერ ცუდად არის საქმე, - ფიქრობდა როუდონი, - ძლიერ ცუდად, ღმერთმანი! მე მგონია, ამ დედაკაცს უნდა, საწყალი გოგო დაღუპოს, და რომ ის ლედი კროული არ გახდეს“.

როცა რებეკა მარტო იხელთა, თავისი მოხდენილი კილოთი მასხარაობა დაუწყო მამამისის სიყვარულზე. რებეკამ ზიზღით ასწია თავი, პირდაპირ სახეში შეხედა და მიახალა: - მერე, თუნდაც რომ მოვწონდე! ვიცი, მოვწონვარ და სხვებსაც მოვწონვარ კიდევ. ხომ არ გგონიათ, რომ მეშინია, კაპიტანო კროული? ხომ არა ეჭვობთ, რომ მე ვერ მოვახერხებ ჩემი ნამუსის დაცვას? - მოახსენა პატარა დედაკაცმა დედოფლური გულზვიადობით.

- ოჰ... აჰ... რატომ... მარტო გაგაფრთხილეთ... გაფრთხილდით, იცით... ხო და მეტი არაფერი, - წაიბურტყუნა ულვაშბზეკიამ.

- მაშ თქვენ რაღაც უპატიოსნოსა გულისხმობთ? - კვლავ შეუტია ალეწილმა მის შარპმა.

- ოჰ... ღმერთმანი... მართლა... მის რებეკა, - შეაწყვეტინა უშველებელმა დრაგუნმა.

- თქვენ გგონიათ, მე თავმოყვარეობა არ გამაჩნია, რადგან ღატაკი და უმწეო ვარ და რადგან თვითონ მდიდრებს არ

გააჩნიათ? თქვენა გგონიათ, რადგან აღმზრდელი ვარ, იმდენი გრძნობა და გაზრდილობა არა მაქვს, რამდენიც თქვენ, ჰემპშირელ თავად-აზნაურობას მოგეპოვებათ? მე მონმორანსი გახლავარ! გგონიათ მონმორანსი კროულის დაუვარდება?

როცა მის შარპი გაცხარდებოდა და სიტყვას გადაჰკრავდა დედის ნათესავებზე, ყოველთვის ოდნავ შესამჩნევ უცხოურ კილოსაც დაიტყობდა ლაპარაკზე, რაც დიდ მომხიბლაობას ჰმატებდა მის წმინდა, წკრიალა ხმას.

- არა, - განაგრძო მან და თანდათან კიდევ უფრო ფიცხდებოდა კაპიტანთან ლაპარაკში, - მე შემიძლია ავიტანო სიღატაკე, მაგრამ არა სირცხვილი; განაპირება. მაგრამ არა შეურაცხყოფა, და შეურაცხყოფა - ისიც... ისიც თქვენგან!..

რებეკამ თავი ვეღარ შეიკავა და წასკდა ტირილი.

- დალახვროს ღმერთმა, მის შარპ... რებეკა... ღმერთმანი... ჩემს თავს გეფიცებით, ათასი გირვანქისათვისაც კი არ მოვინდომებდი თქვენს შეურაცხყოფას. რებეკა, მოითმინეთ!..

რებეკა გაიქცა. იმ დღეს მის კროულიმ და იმან ეტლით ისეირნეს. ეს ამბავი მამიდის ავადმყოფობამდე მოხდა. სადილზე რებეკა უჩვეულოდ ბრწყინავდა და მხიარულობდა; მაგრამ აინუნშიაც არ იგდებდა მიწასთან გასწორებული, სიყვარულით დაბრმავებული გვარდიელის გადაკრულ სიტყვებს, საიდუმლო ნიშნებსა და უგერგულ ცდებს, თავი ემართლებინა. ამ ჯურის შეტაკებანი განუწყვეტლივ მეორდებოდა იმ მცირე ლაშქრობის განმავლობაში, რომელიც მოსაყოლად მოსაბეზრებელია, და შედეგი ყოველთვის ერთნაირი გახლდათ: კროულის მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დამარცხებით ხელდებოდა - მტერი ყოველდღე სულ კუდით ქვას ასროლინებდა.

დედოფლის კროულელ ბარონეტს რომ არ შინებოდა, ხელსა და თვალშუა არ გამომეცალოს დის წყალობაო, სწორედ არ გამოსწირავდა საყვარელ გოგონებს მათი დაუფასებელი აღმზრდელის განათლების იმ მადლს, რომელსაც იგი ანიჭებდა მათ. ამ ოჯახში ისე სასარგებლოდ და საამოდ გაიხადა თავი რებეკამ, რომ ძველი სასახლე უდაბნოს დაემსგავსა უმისოდ. სერ პიტის წერილებს აღარავინ გადაწერდა და არც არავინ ასწორებდა, დავთრებსაც აღარავინ აწარმოებდა. რაც პატარა მდივანი გამოეცალა ხელიდან მისი საოჯახო-სამეურნეო

საქმეები და ნაირ-ნაირი გეგმები უპატრონოდ დარჩა. რა აუცილებელი იყო მისთვის ასეთი პირადი მდივანი, მკაფიოდ ემჩნეოდა კიდეც სერ პიტის იმ უამრავი წერილის საერთო შინაარსა და მართლწერას, რომელსაც რებეკას უგზავნიდა, თან ემუდარებოდა და უბრძანებდა, შინ დაბრუნდიო. თითქმის ყოველდღე მისდიოდა ქალს ბარონეტის საფოსტო გადასახადისაგან თავისუფალი წერილები. სერ პიტი დიდი დაჟინებით ევედრებოდა ბეკის, დაბრუნდიო, თანაც მის კროულის საყურადღებოდ გულმხურვალედ, ამაღელვებლად ირწმუნებოდა, ქალიშვილების სწავლა-განათლების საქმე წამიხდაო: მაგრამ ასეთ დოკუმენტებს ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდა მის კროული.

მის ბრიგზი, მართალია, ნამდვილად არ დაუთხოვიათ, მაგრამ მისი თანამდებობა, ვითარცა კომპანიონისა და მხლებლისა, მუქთ ჯამაგირიან, მასხარად ასაგდებ მოვალეობად იქცა. და მისი საზოგადოება სასტუმრო ოთახში მხოლოდ მსუქანი სპანიელი გახლდათ, ან კიდევ საკუჭნაოში შემთხვევით მოხვედრის დროს - განაწყენებული ფერკინი. თან კიდევ, თუმცა მოხუც მანდილოსანს ყურის დაგდებაც არა ნებავდა რებეკას წასვლის ამბისათვის, ეს უკანასკნელი საჯაროდ მაინც არ დაუნიშნავთ პარკ-ლეინში ბრიგზის თანამდებობაზე. როგორც ბევრმა შეძლებულმა იცის, მის კროულისაც ჩვეულებად ჰქონდა, რაც შეიძლებოდა მეტ სარგებელს გამორჩენოდა ხელქვეითებს, მერე კი არხეინად მოეშორებინა თავიდან, როცა უკვე საჭიროდ აღარ მიაჩნდა. ზოგ მდიდარ ხალხში მადლიერების გრძნობა თითქმის არც არის ბუნებრივი და მოსალოდნელი. ხელმოკლეთა სამსახურს ისე იყენებენ, როგორც სავალდებულოს. არც შენ გაგაჩნია ჩივილის საბაბი, ო, საბრალო მუქთახორავ და უმწეო, პირმოთნე ჯამილიკიავ! მდიდრისადმი შენი მეგობრობა დაახლოებით ისევე წრფელია, როგორც ჩვეულებრივ ამის საპასუხო გრძნობა. შენ ფული გიყვარს და არა კაცი; და კარგად მოგეხსენება, შე საბრალო გაიძვერავ, კრეზსა და მის მსახურს თავიანთი ადგილები რომ შეეცვალათ, ვინ მოიპოვებდა შენს ერთგულ ყმობას.

და მე დარწმუნებული არ გახლავარ, მიუხედავად რებეკას წრფელობის, გულმოდგინების, სათნოობისა და მოუწყენელი გულკეთილობისა, რომ ანჩხლ მოხუც ლონდონელ ქალბატონს, რომელსაც უხვად დააფრქვიეს თავს მეგობრობის ეს საუნჯე, მთელი ამ ხნის განმავლობაში სადღაც გულის კუნჭულში

ფარული ეჭვი არ უტრიალებდა ამ მოსიყვარულე მომვლელისა და მეგობრისადმი. მის კროულის ალბათ ხშირად გაუელვებდა თავში, არავინ არას აკეთებს აუნაზღაურებლადო. თუ მის კროული საკუთარ გრძნობებს ზომავდა წუთისოფლისადმი, მაშ ამ წუთისოფლის ბინადართა მისდამი მოპყრობის შეფასებასაც ჩინებულად გაართმევდა თავს და ეგებ კიდეც ფიქრობდა, რომ ადამიანები თუ თვითონვე გულგრილნი ბრძანდებიან, მათი ჩვეულებრივი ხვედრია მეგობრები არ გააჩნდეთ.

დიახ, ჯერჯერობით ბეკი მისთვის უდიდესი ნუგეში და საჭირო პირი გახლდათ და მის კროულიმ ორიოდე ახალი კაბა, ძველი ფარღული და შალი უწყალობა; თანაც ახალ გულისმესაიდუმლეს იმით უმტკიცებდა მეგობრობას, რომ ყველა თავის ახლობელ ნაცნობ-ნათესავს მის წინაშე ლანძღავდა და განაქიქებდა (განა შეიძლება სიყვარულის დამადასტურებელი ამაზე უფრო გულს მოსახვედრი საბუთი?) აგრეთვე თავში ბუნდოვნად უტრიალებდა კიდევ უფრო დიდი წყალობის ფიქრიც, - იქნებ მიეთხოვებინა იგი მეაფთიაქე ბატონ კლამპისთვის, ან სხვა რაიმე ხელსაყრელი გზით დაებინავებინა; ანდა სხვა თუ არაფერი, უკან, დედოფლის კროულის, გაეგზავნა იგი, როცა თავს მოაწყენდა და ლონდონის სეზონიც უკვე კარგა ხნის დაწყებული იქნებოდა.

როცა მის კროულიმ მომჯობინებისაკენ ჰქნა პირი და ჩამობრძანდებოდა ხოლმე სასტუმროში, ბეკი უმღეროდა, ან კიდევ როგორმე სხვანაირად ართობდა. როცა იმდენად მომაგრდა, რომ ეტლით სეირნობა შეეძლო, ბეკიც თან ახლდა. ამ ეტლით სეირნობებში, მის კროულის გასაოცარი გულკეთილობით და მეგობრობით ჭეშმარიტად წაქეზებულ რებეკას მთელი დედამიწის ზურგზე აბა, საით გასწევდა გულს, თუ არა ბლუმსბერისა, რასელ-სკვერისა, და ესკვაირ ჯონ სედლის სახლისკენ?

ვიდრე ეს მოხდებოდა, მეგობრებმა ბევრი ბარათი გაუგზავნეს ერთმანეთს. როგორც მკითხველიც წარმოიდგენს, ჰემპშირს რებეკას ყოფნის თვეებში მარადიული მეგობრობა (განა ღირს აღიარება?) გვარიანად შეიფერთხა და ისე დაძაბუნდა და ილაჯი გაუწყდა მოხუცებულობით, რომ, ის-ის იყო, კინაღამ სულიც განუტევა. უნდა ვაღიაროთ, ორივე ქალიშვილს თავიანთი საფიქრებელი საკუთარი საქმეები ჰქონოდა: რებეკას

პატრონების წინაშე დამსახურება და წინსვლა, ხოლო ემილიას - საკუთარი შთანმთქმელი საგანი. როცა ორი ქალი შეიყარა და იმ გულფიცხობით გადაესკვნენ ერთმანეთს, რაც ახასიათებს ახალგაზრდა მანდილოსანთა ერთმანეთისადმი მოპყრობას, რებეკამ თავის წილი მოხვევა დიდად სრულყოფილი სიფიცხით, გულმოდგინებითა და ღონიერებით აღასრულა. ასე, რომ საბრალო პატარა ემილია კიდეც აილეწა, მეგობარს რომ კოცნიდა და თავი დამნაშავედაც ჩათვალა, მისდამი თითქოს გულგრილად მოპყრობისათვის.

პირველი შეხვედრა ძალიან მოკლე გახლდათ: ემილია სწორედ, ის-ის იყო, სასეირნოდ ემზადებოდა. მის კროული ქვევით, ეტლში ბრძანდებოდა და იცდიდა. მისი ხალხი ჰკვირობდა, ეს რა ქვეყანაში მოვხვდითო. და თვალდაჭყეტილი შეჰყურებდნენ პატიოსან სემბოს, ბლუმსბერელ ზანგ ფარეშს, ვითარცა ამ ადგილის ერთ-ერთ უცნაურ მკვიდრს. მაგრამ როდესაც ემილია ჩამოვიდა გულკეთილი, მომღიმარი სახით (რებეკას უნდა გაეცნო იგი თავისი მეგობრისათვის; მის კროული მოწადინებული იყო მის ნახვას, მაგრამ იმდენად ავად გახლდათ, რომ ეტლიდან ვერ იძვროდა); - როდესაც, მოგახსენებთ, ემილია ჩამოვიდა, ბაბთებით ბეჭებშემკული პარკ-ლეინელი წარჩინებულნი კიდევ უფრო და უფრო მეტად ჰკვირობდნენ, ასეთი რამ ნუთუ ბლუმსბერიში შეიძლება მოიპოვებოდესო? მის კროულიც სრულიად მოაჯადოვა ნაზმა, სანდომიანმა, შეფაკლებულმა სახემ ახალგაზრდა ქალისა, რომელიც მორცხვად, კრძალვითა და მოხდენილად წამოდგა წინ, რათა პატივი ეცა თავისი მეგობრის მფარველისთვის.

- რა პირის კანია, გენაცვალე! რა ტკბილი ხმაა! - ამბობდა მის კროული, მცირე საუბრის შემდეგ ეტლით რომ მიემართებოდნენ ქალაქის დასავლეთის მხარეს. - ჩემო ძვირფასო შარპ, შენი ახალგაზრდა მეგობარი მომხიბლავია! მოიწვიე პარკ-ლეინში, გესმის?

მის კროულის კარგი გემოვნება ჰქონდა. მოსწონდა ბუნებრივი ქცევა, მცირე მორცხვობა კი მხოლოდ უფრო ეშხს მატებდა მის თვალში. ირგვლივ ლამაზი სახეების ჭვრეტა ისე ეამებოდა, როგორც ლამაზი სურათები და საუცხოო ფაიფური. იმ დღეს ერთი ექვსჯერ მაინც ახსენა აღტაცებით ემილია. აგრეთვე მოიგონა იგი როუდონ კროულისთან, რომელიც, მოვალეობის მორჩილი, მამიდას ეახლა, რათა მისი წიწილა ეგემა.

რასაკვირველია, ამაზე რებეკამ მყის განაცხადა, ემილია დანიშნულია ლეიტენანტ ოსბორნზე და ძალიან დიდი ხნის მიჯნურებიც არიანო.

- ქვეით ჯარში ხომ არა მსახურობს? - იკითხა კაპიტანმა კროულიმ და, ვითარცა გვარდიელს შეჰფეროდა, ძლივძლივობით მოიგონა იმ ლეგიონის ნომერი, - ...ეში!

რებეკამ კვერი დაუკრა, ეგ რაზმი უნდა იყოსო.

- კაპიტნის გვარი, - დასძინა მერე კიდევ, - კაპიტანი დობინია.

- აყლაყუდა, უშნო ვინმე, - თქვა კროულიმ, - ყველას ფეხს წამოსდებს ხოლმე. ვიცნობ. ოსბორნი კი, არა უჭირს რა, სანდომიანი ჯელია, დიდ, შავ ქილვაშებიანი, არა?

- უშველებელ ქილვაშებიანი, - დაუდასტურა მის რებეკა შარპმა, - და გარწმუნებთ, ძალიანაც ამაყობს.

პასუხის მაგიერ კაპიტან როუდონ კროულის ხრინწიანი ხარხარი აუტყდა. ხოლო მანდილოსნებმა დაჟინებით რომ მოსთხოვეს, აგვიხსენიო, ასეც მოიქცა, მხიარულების აფეთქებამ როცა გაუარა.

- თავი მოაქვს, ვითომდა ბილიარდის თამაში ვიციო, - თქვა მან, - „ქოქოსის პალმაში“ ასი გირვანქა მოვუგე. - ის და მოთამაშე! ღლაპი! იმ დღეს სულ გაიფცქვნებოდა, მის მეგობარს, კაპიტან დობინს, რომ არ წაეთრია. ჯანდაბას მისი თავი!

- როუდონ, როუდონ, ნუ ხარ ეგრე ბოროტი. - შენიშნა ფრიად ნასიამოვნებმა მის კროულიმ.

- რას ბრძანებთ, ქალბატონო, მთელი ქვეითი ჯარის ყმაწვილკაცობაში ამაზე უფრო დოყლაპია მე არ შემხვედრია. ტარკინი და დიუსისი, რამდენსაც უნდათ, იმდენ ფულს დასცინცლავენ ხოლმე. ეშმაკს მიჰყიდის სულს, ოღონდ ლორდებში ჩამდგარი დაინახონ. გრინიჩში ის იხდის ხოლმე მათი სადილების ფასს, თვითონ კი ხალხს ეპატიჟებიან.

- და უნდა მოგახსენოთ, კარგ ხალხსაც პატიჟობენ ალბათ.

- მართალი ბრძანებაა, მის შარპ. როგორც ყოველთვის, მის შარპი მართალი ბრძანდება. ნამეტანი კარგი ხალხი კი არის... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! - კაპიტანი უფრო და უფრო უმატებს ხარხარს და, ჰგონია, დიდებული ხუმრობა გამომივიდაო.

- როუდონ, ნუ ხარ საძაგელი! - შესძახა მამიდამ.

- მერე მამამისი სიტელი ვაჭარია... ამბობენ, უზომოდ მდიდარიაო. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ მაგ სიტელებს, სისხლი უნდა გამოეშვათ! მე კი, უნდა მოგახსენოთ, ჯერ კიდევ არ მიქნია ეს იმისთვინ. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

- ფიჰ, კაპიტანო კროული, მე ემილია უნდა გავაფრთხილო. ყომარბაზი ქმარი!

- საზარელია, არა, ჰა? - დიდის ქედმაღლობით ბრძანა კაპიტანმა. შემდეგ ანაზდად რაღაც ფიქრმა გაუელვა თავში და დასძინა - ღმერთმანი, ქალბატონო, ერთი აქ მოვიწვიოთ ის!

- მერე ხალხში გამოიჩინება? - იკითხა მამიდამ.

- გამოიჩინებაო?.. ოჰ, ჩინებულად. ვერაფერ განსხვავებასაც ვერ შეატყობთ, - მიუგო კაპიტანმა კროულიმ. - მოდი, მოვიწვიოთ, როცა ცოტ-ცოტა სტუმრების მიღებას დაიწყებთ. და იმის... რა ჰქვიან... იმის გულისვარდიც... არა, მის შარპ? ხომ ასე იტყვიან?.. მაშ მოვიწვიოთ. ღმერთმანი, ახლავე მივწერ ბარათს ოსბორნს და დავპატიჟებ. ერთი გამოვცადო, თუ პიკეტის თამაშიც ისე კარგად იცის, როგორც ბილიარდისა. სადა ცხოვრობს, მის შარპ?

მის შარპმა უთხრა ლეიტენანტის ქალაქის მისამართი და ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლეიტენანტმა ოსბორნმა კაპიტან როუდინის მოწაფური ხელით ნაწერი ბარათი მიიღო, რომელშიც მის კროულის პატიჟობის ბარათიც იყო ჩადებული.

რებეკამ კიდევ ემილიას გაუგზავნა მოწვევის ბარათი და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ემილიამ საკმაო მზადყოფნა გამოიჩინა თანხმობისთვის, როცა გაიგო, ჯორჯიც დაპატიჟებულიაო. შეთანხმდნენ, რომ ემილია დილას პარკ-ლეინის მანდილოსნებში გაატარებდა. იქ ყველა ძალიან უალერსებდა რებეკა მფარველობდა მას მძიმე, თავდაჯერებული უპირატესობის იერით. რებეკა ამ ორში იმდენად უფრო ჭკვიანი იყო, ხოლო მისი მეგობარი კი ისე წყნარი და მორიდებული, რომ იგი ყოველთვის უთმობდა; როცა ვინმე მოინებებდა მბრძანებლობას და უდრტვინველად ექვემდებარებოდა. მის კროულის ალერსიანობაც აგრეთვე შესანიშნავი გახლდათ. განაგრძობდა აღტაცებულ ლაპარაკს პატარა ემილიაზე. პირშიაც არ არიდებდა ქათინაურებს,

თითქოს თოჯინა, მსახური ანდა სურათი ყოფილიყო იგი და, რამდენადაც შესაძლოა, კეთილმოსურნე, ალერსიანი განცვიფრებით გამოთქვამდა თავის აღფრთოვანებას. მეც აღტაცებული ვარ იმ აღფრთოვანებით, რომელსაც ხანდახან წარჩინებულთა საზოგადოება გამოიჩენს ხოლმე მდაბიოთადმი. ცხოვრებაში არა არის რა იმაზე უფრო საამო სანახავი, როცა მეი-ფეირის ბინადარნი მოწყალებასა და თავმდაბლობას იჩენენ. მის კროულის გასაოცარმა, უზომო მოწყალებამ, ცოტა არ იყოს, დაღალა საბრალო პატარა ემილია და, ეჭვი მეპარება, რომ პარკ-ლეინის სამ მანდილოსანში, ყველაზე უფრო, მგონი, პატიოსანი მის ბრიგზი მოუვიდა თვალში. მას მოსწონდა მის ბრიგზი, როგორც საერთოდ ყველა დაჩაგრული და წყნარი ადამიანი: ემილია არ გახლდათ, როგორც იტყვიან ხოლმე, მტკიცე ხასიათისა და დიდი გონების დიაცი.

ჯორჯი მოვიდა სადილად... en garcon[46] მიუსხდნენ სუფრას ის და კაპიტანი კროული.

ოსბორნების ოჯახის ვეება ეტლმა მოაბრძანა იგი პარკ-ლეინს რასელ-სკვერიდან. იქაურმა ახალგაზრდა მანდილოსნებმა, რომელნიც თვითონ არ იყვნენ დაპატიჟებულნი და უდიდეს გულგრილობას იჩენდნენ ამ უპატივცემულობისა და არად ჩაგდებისადმი, მაინც ჩახედეს სერ პიტ კროულის სახელს „ბარონთა წიგნში“. დაწვრილებით ამოიკითხეს ყველაფერი, რაც იმ წიგნში ეწერა კროულის ოჯახის, გვარტომობისა და მათი ნათესავების, ბინკის გვარეულობისა და სხვათა შესახებ.

როუდონ კროული დიდის გულითადობითა და ალერსით დახვდა ჯორჯ ოსბორნს. აქებდა ბილიარდის თამაშში მის სიმარჯვეს. ჰკითხა, სამაგიეროს როდის გადამიხდიო. ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა ოსბორნის ლეგიონისადმიც და იმავე საღამოს ჩაუჯდებოდნენ კიდეც პიკეტს, რომ მის კროულის თავის სახლში სრულიად არ ჰქონოდა აკრძალული ფულზე ყოველგვარი თამაში. ასე რომ, ყოველ შემთხვევაში, იმ დღეს მაინც გადარჩა ახალგაზრდა ლეიტენანტის ქისა თავაზიანი მფარველის ხელით შემსუბუქებას. თუმცა შემდეგისთვის სადღაც შესახვედრად კი დათქვეს პაემანი, რათა გაესინჯათ კროულის გასაყიდი ცხენი და გამოეცადათ იგი პარკში, აგრეთვე რათა ესადილათ ერთად და საღამოს დრო გაეტარებინათ ზოგიერთ მხიარულ ამფსონთან.

- ესე იგი, თუ იმ კოხტა მის სედლისთან არა ხართ დაბარებული, - ეშმაკური თვალის ჩაკვრით დასძინა კროულიმ და თანაც იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ კიდევ დაუმატა: - საშინლად ტურფა გოგოა, სინდისს გეფიცები; თანაც, ოსბორნ, ალბათ ფულიც ჩეჩქივით ექნება, არა, ჰა?

ოსბორნი არ გახლდათ დაბარებული, იგი სიამოვნებით შეხვდებოდა კროულის და უკანასკნელი, როცა მეორე დღეს ერთად შეიყარნენ, ხოტბას ასხამდა ახალი მეგობრის ცხენოსნობას, რაც სრულიად დამშვიდებული სინდისით შეეძლო ჩაედინა, და გააცნო სამი თუ ოთხი უპირველესი წარჩინებული ყმაწვილი, რომელთა გაცნობამაც ფრიად გაამხიარულა, გაამხნევა და გააგულდიდა მიამიტი ახალგაზრდა მხედარი.

- მართლა, რასა იქმს პატარა მის შარპი? - ღვინის სმის დროს გაფუყული იერით გადაულაპარაკა მეგობარს ოსბორნმა. - გულკეთილი გოგნუცა კი არის. არგად შეეგუა დედოფლის კროულის? მის სედლის უყვარდა კიდეც იგი.

კაპიტანმა კროულიმ გააფთრებით გადმოუბრიალა თავისი წვრილი, ლურჯი თვალები ლეიტენანტს და თვალიც გაადევნა, როცა იგი ნაცნობობის გასაახლებლად მივიდა მშვენიერ აღმზრდელ ქალთან. რებეკას ქცევას სრული შვება უნდა მიენიჭებინა კროულისთვის, თუკი ამ ლეიბგვარდიელის გულში ოდნავი შურიც კი სადმე ბოგინობდა.

ყმაწვილები ზემოთ რომ ავიდნენ და ოსბორნი გაცნობისთვის ეახლა მის კროულის, მერე რებეკასკენ იბრუნა პირი და გაემართა მისკენ მფარველური, თავმომწონე, ბღენძია იერით. ოსბორნს, განზრახული ჰქონდა, რებეკას გულკეთილად მოვეპყრობი და მფარველობასაც გავუწევო. მზად იყო ხელიც ჩამოერთმია, როგორც ემილიას მეგობრისათვის და სიტყვებით: „აჰ, მის შარპ! რასა იქმთ?“ - მარცხენა ხელი გაუწოდა მას, და კიდეც დარწმუნებული ბრძანდებოდა, იგი სრულიად გაოგნდება და დაიბნევა ამ პატივისცემითაო.

მის შარპმა მხოლოდ მარჯვენა სალოკი თითი გამოუშვირა და ოდნავ დაუკრა თავი, ისე ცივად და მომაკვდინებლად, რომ მეორე ოთახიდან ამ ამბის თვალის მადევნებელმა როუდონ კროულიმ ძლივ-ძლივობით შეიკავა ხარხარი ლეიტენანტის სრული დაბნეულობის დანახვაზე: როგორ შეკრთა იგი, როგორ

შეყოყმანდა, ბოლოს კი როგორ დაიმდაბლა თავი, და რა უხერხულად, უშნოდ ჩამოართვა შეთავაზებული თითი!

- ეგ, ღმერთსა ვფიცავ, ეშმაკსაც რქას მოსტეხს! - თქვა აღტაცებულმა კაპიტანმა, ხოლო ლეიტენანტმა მუსაიფის გამბისათვის, საამებლად ჰკითხა რებეკას, როგორ მოგწონთ თქვენი ახალი ადგილიო.

- ჩემი ადგილი? - მოახსენა მის შარპმა ცივად, - რა გულკეთილი ბრძანდებით, რომ მოგაგონდათ! საკმაოდ კარგი ადგილი გახლავთ: გასამრჯელო ჩინებულია; თუმცა, მე მგონი, არა ისე კარგი, მის უირტს, თქვენი დების აღმზრდელს, რომ მოეპოვება რასელ-სკვერში. როგორ ბრძანდებიან ის მანდილოსნები?.. მაგრამ არ უნდა ვკითხულობდე კი მათ!

- რატომ? - შეეკითხა განცვიფრებული ბატონი ოსბორნი.

- რატომ და იმათ არასოდეს დაუმდაბლებიათ თავი გამომლაპარაკებოდნენ, ან მივეპატიჟებინე თავიანთ სახლში, როცა ემილიასთან ვიყავი სტუმრად. მაგრამ ჩვენ საწყალი აღმზრდელი ქალები, ხომ იცით, შეჩვეულნი გახლავართ ასე გაბიაბრუებას.

- ძვირფასო მის შარპ! - შესძახა ოსბორნმა.

- ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ოჯახში მაინც, - განაგრძო რებეკამ. - მაინც ხომ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი განსხვავებაა ოჯახებში! ჩვენ, ჰემპშირელნი ისე მდიდარნი არ გახლავართ, როგორც თქვენ, სიტის ბედნიერი ხალხი ბრძანდებით. მაგრამ წარჩინებულ ოჯახში ხომ მაინც ვიმყოფები - ძველ, კარგ ინგლისურ ოჯახში! მე მგონი მოგეხსენებათ, სერ პიტის მამამ პერობა რომ იუარა. და თქვენცა ხედავთ, როგორ მეპყრობიან. ძალიან მყუდროდ და კარგად გახლავარ. ჭეშმარიტად მართლა კარგი ადგილია, მაგრამ რა დიდი გულკეთილობაა, ამას რომ კითხულობთ!

ოსბორნი სულ გაცოფდა. პატარა აღმზრდელი დიაცი მფარველობითი იერით გადმოჰყურებდა და მანამდე აპამპულებდა ამ ახალგაზრდა ბრიტანელ ლომს, სანამ სრულიად არ დააბნია და წაახდინა. ყმაწვილმა იმდენი გონების მოკრებაც ვეღარ მოახერხა, რაიმე საბაბი გამოენახა და თავი დაეძვრინა იმ ფრიად ტკბილი მუსაიფიდან.

- მე მგონია, საკმაოდ გვარიანად მოგწონდათ სიტის ოჯახებიც, - გაცხარებით შენიშნა ოსბორნმა.

- თქვენ ალბათ შარშანდელს ბრძანებთ, როცა ახალთახალი გამოსული გახლდით იმ საზარელი, უგვანი სასწავლებლიდან, არა? რასაკვირველია, დიაღაც მომწონდა. განა ყველა გოგონას არ უყვარს არდადეგებზე შინ დაბრუნება? და მე აბა როგორ შემეძლო უკეთესი მცოდნოდა? მაგრამ ოჰ, ბატონო ოსბორნ, რა დიდ განსხვავებას გვაგრძნობინებს თვრამეტი თვის გამოცდილება!.. თვრამეტი თვე გატარებული, ბოდიშს კი ვიხდი ამის თქმისათვის, წარჩინებულ ხალხში. რაც შეეხება ძვირფას ემილიას, გეთანხმებით, სწორედ მარგალიტია და ყველგან მომხიბლავი იქნება. აგე, ახლა ვხედავ უკვე კარგ გუნებაზე დგებით. მაგრამ ოჰ, ეს უცნაური, საკვირველი სიტის ხალხი! და ბატონი ჯოზი!.. რასა იქმს ის საოცარი ბატონი ჯოზეფი?

- მე მგონია, შარშან არც თუ გულგრილად ეპყრობოდით იმ საოცარ ბატონ ჯოზეფს, - გულკეთილად შენიშნა ოსბორნმა.

- რა სასტიკი ხართ! აბა, entre nous[47] იყოს და სულაც არ ვიკლავდი თავს მისი გულისთვის. ოღონდ რომ ეთხოვა ის, რასაც თქვენი გამოხედვით მანიშნებთ (ერთობ მკაფიო და თავაზიანი კი გახლავთ ეგ თქვენი გამოხედვა!), უარს არ ვიტყოდი.

ბატონმა ოსბორნმა ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა: „ოღონდაც, ოჰ, რა დიდი პატივიაო“.

- თქვენა ფიქრობთ, რა დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის თქვენისთანა მულის ქმარი, არა? რა პატივია სძლობა ესკვაირ ჯორჯ ოსბორნისა, რომელიც ბრძანდება ძე ესკვაირ ჯონ ოსბორნისა, რომელიც ბრძანდებოდა ძე... ვინ იყო პაპათქვენი, ბატონო ოსბორნ? ოჰ, ნუკი გაჯავრდებით! გვარტომობას აბა რას მოუხერხებთ და მეც გულით გეთანხმებით, რომ არ დავიწუნებდი და მივთხოვდებოდი ბატონ ჯო სედლის, რადგან ამაზე უკეთესი განა რაღა უნდოდა საბრალო ღატაკ გოგოს? ახლა ხომ იცით მთელი საიდუმლო! მე წრფელი და გულღია გახლავარ; და, ყოველივე რომ ავწონ-დავწონოთ, დიდი გულკეთილობა გამოიჩინეთ ამ ამბის ნართაულად გახსენებით... დიდი გულკეთილობა და დიდი თავაზიანობაც! ემილია, ძვირფასო, ბატონი ოსბორნი და მე შენს საბრალო ძამია

ჯოზეფს ვახსენებდით. როგორ არის?

ამგვარად, რებეკამ ჯორჯს სულ კუდით ქვა ასროლინა. იქნებ რებეკაც არ იყო მართალი, მაგრამ ფრიად წარმატებით კი მოახერხა მოწინააღმდეგის გამტყუნება. და იმანაც სამარცხვინოდ მოჰკურცხლა. გრძნობდა, კიდევ ერთ წუთსაც რომ შეყოვნებულიყო, ემილიას დასანახად ფრიად სულელურ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

თუმცა რებეკამ მარცხი აგემა, ჯორჯი შორს გახლდათ ენატანიაობისა და მანდილოსნისადმი შურისძიების მდაბალი ზრახვებისაგან. ოღონდ სულმა წასძლია და მეორე დღეს ჭკვიანურად გაანდო კაპიტან კროულის თავისი ზოგიერთი მოსაზრება მის რებეკას შესახებ: გაიძვერა, საშიში ვინმეა, თანაც თავგადადებული არშიყიო და სხვანი. ყველა ამ მოსაზრებას კროული სიცილით ეთანხმებოდა და ყოველი მათგანი, ჯერ კიდევ ოცდაოთხი საათი არ გასულიყო, რებეკამ უკვე იცოდა. ამით უფრო შეემატა ბატონ ოსბორნისადმი მისი თავდაპირველი დამოკიდებულების გრძნობას. დიაცური ინსტინქტი ჰკარნახობდა, რომ სწორედ ჯორჯმა ჩაუფუშა ის პირველი მიჯნურობა და ამიტომ შესაფერისადაც სცემდა პატივს ამ დარბაისელს.

- მე მხოლოდ და მხოლოდ გაფრთხილებ, - ეუბნებოდა იგი როუდონ კროულის და თანაც გამოცდილ-გამოჯეკილი კაცის თვალით გადმოჰყურებდა... ოსბორნმა ახლახან იყიდა მისგან ცხენი და რამდენიმე ათეული გინეაც წააგო ნასადილევს; - მე მხოლოდ გაფრთხილებ... ქალებს კარგად ვიცნობ და გირჩევ თვალფხიზლად იყო!

- გმადლობ, გენაცვა, - მიუგო კროულიმ განსაკუთრებული მადლიერი გამოხედვით, - გეტყობა, თვალსა და ხელს შუა არა გაგეპარება რა... - და ჯორჯი გამოემშვიდობა იმ ფიქრით, რომ კროული დიაღაც მართალი იყო.

მან უამბო ემილიას ეს ამბავი: როგორ ურჩია როუდონ კროულის, - ოხრად კარგ, ალალ ჯეელს, - მოფრთხილებოდა იმ პატარა გაიძვერა, თაღლით რებეკას.

- ვისა? - შეჰყვირა ემილიამ.

- ვისა და შენს მეგობარ აღმზრდელ ქალს... ნუ მიყურებ ეგრე გაკვირვებით!

- ოჰ, ჯორჯ, ეგ რა ჩაგიდენია! - შესძახა ემილიამ, რადგან მისმა დიაცურმა თვალმა, რომელსაც სიყვარულმა მხედველობა გაუმახვილა, მყის განსჭვრიტა ის საიდუმლო, რაც უჩინარი გახლდათ მის კროულის, საბრალო ქალწულ ბრიგზისა, და ყველაზე მეტად კი, ქილვაშებიან, ახალგაზრდა, გაფუყულ ვაჟბატონ ლეიტენანტ ოსბორნის გამოთაყვანებული სამზერებისათვის.

რებეკა შალებში რომ ფუთნიდა ემილიას ზემო სართულში, სადაც ორმა მეგობარმა დრო იხელთა იმ მოკლე საიდუმლო გამუსაიფებისა და ჩურჩულისათვის, რაც დედათა ცხოვრების ნეტარებას წარმოადგენს, ემილიამ ხელში დაიჭირა რებეკას ორი პატარა ხელი და უთხრა: „რებეკა, მე ყველაფერსა ვხედავო“.

რებეკამ გადაჰკოცნა იგი.

და ამ საამო საიდუმლოებაზე შემდეგ კრინტიც აღარ დაუძრავს აღარც ერთ ახალგაზრდა ქალს. მაგრამ ეს საიდუმლო განწირული იყო და მაინც მალე გამომჟღავნდებოდა.

ზემოთ მოთხრობილი ამბების შემდეგ მცირე ჟამი რომ გამოხდა, მის რებეკა შარპის კვლავ თავისი მფარველის ოჯახში - პარკლეინს ყოფნაში, გრეიტ-გონტ-სტრიტში, ერთი სამგლოვიარო ღერბი კიდევ გაჩნდა იმ სხვა მრავალთა შორის, ჩვეულებრივ რომ ამკობენ ამ პირქუშ უბანს. იგი სერ პიტ კროულის სახლზე იყო გაკეთებული, მაგრამ ღირსეული ბარონეტის გარდაცვალებას არ მოასწავებდა.

ეს გახლდათ მანდილოსნის სამგლოვიარო ღერბი და, მართლაც, ორიოდე წლის წინათ სერ პიტის ბებერი დედის, განსვენებულ ქვრივ ლედი კროულის, სამგლოვიარო სამკაულს წარმოადგენდა, სამსახურის ყველა რომ გაუვიდა, ეს ღერბი მოიხსნა სახლის წინაპირიდან და შემდგომ სერ პიტის სასახლის სადღაც მივარდნილ კუნჭულში განისვენებდა. ახლა კი კვლავ გამოჩნდა საბრალო როზ დოსონის გულისთვის - სერ პიტი ისევ დაქვრივდა. თვით სერ პიტის საკუთარი ღერბის გვერდით ფარზე ოთხ ნაწილად გამოსახული ღერბი, მართალი მოგახსენოთ, საბრალო როზისა არა ყოფილა. იმას ღერბი არც ებადა, მაგრამ ფარზე გამოხატული ქერუბიმები ისევე შეეფერებოდნენ მას, როგორც სერ პიტის დედას; ხოლო ღერბის ფარქვეშ წარწერილი იყო Resurgam[48], აქეთ-იქით კი მხარში

ედგა კროულის გვარეულობის მტრედი და გველი. ღერბები, სამგლოვიარო ნიშნები და Resurgam - აი, ხელსაყრელი მაგალითი ჭკუის სასწავლებლად!

უფროსი გერი, ბატონი კროული, თავს ადგა უიმისოდ უმეგობროდ მიტოვებული ავადმყოფის სარეცელს და ეს მანდილოსანი განვიდა ამა სოფლითგან იმ სიტყვებითა და ნუგეშით შემაგრებული, რის მინიჭებაც შესძლო ბატონმა კროულიმ. ლედი კროულის მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ მისგან თუ უგემია კეთილი მოპყრობა: ეს იყო ერთადერთი მეგობრობა, რაც მცირეოდნად მაინც ანუგეშებდა ამ სუსტ, უმწეო, ეულ სულს. მისი გული მის სხეულზე დიდი ხნით ადრევე იყო მკვდარი... მან გაჰყიდა იგი, რათა სერ პიტ კროულის მეუღლე გამხდარიყო. დედები და ქალიშვილები ყოველდღე ეწევიან ამგვარსავე ვაჭრობას ამაოების ბაზარში.

ქალბატონი რომ გარდაიცვალა, მისი მეუღლე იმხანად ლონდონს ბრძანდებოდა ზოგი თავისი ურიცხვი გაიძვერული საქმის თაობაზე და ჩაფლული იყო დაუბოლოვებელ სასამართლო პროცესებში. მაგრამ მაინც პოულობდა დროს ხშირად სტუმრებოდა პარკ-ლეინს, მრავალი ბარათი გაეგზავნა რებეკასთვის და შევედრებოდა, ებრძანა, განკარგულება მიეცა მისთვის, სოფელში შენს ნორჩ მოწაფეებს დაუბრუნდი, ახლა, დედის ავადმყოფობაში, სრულიად უპატრონოდა ყრიანო. მაგრამ მის კროულის სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა რებეკას წასვლაზე. რადგან, თუმცა ლონდონის წარჩინებული საზოგადოების არც ერთი ქალბატონი ისე გულგრილად და არხეინად არ მოიშორებდა თავიდან მეგობრებს, როგორც კი მობეზრდებოდა ისინი, და თუმცა მცირეოდენი მოიპოვებოდნენ ისეთნი, რომელთაც მის კროულიზე უფრო მალე მობეზრდებოდათ, მაინც მანამდე, სანამ გატაცება არ განელებულიყო, მისი სიყვარული ჭეშმარიტად საარაკო ჩანდა და იგი კვლავ დიდის გულმოდგინებით ებღაუჭებოდა რებეკას.

ლედი კროულის გარდაცვალების ამბავს მის კროულის ოჯახურ წრეში იმაზე უფრო მეტი გლოვა და მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია რაც მოსალოდნელი იყო.

- მე მგონი, სამისთვის გასამართავი წვეულება უნდა გადაედო, - ბრძანა მის კროულიმ და ცოტა შეყოვნების შემდეგ კიდევ დაუმატა: - იმედი მაქვს ჩემი ძმა იმდენ სინდისიერებას გამოიჩენს, ცოლს აღარ შეირთავს.

- ოჰ, რარიგ გააფრთდება პიტი, მამამ კიდევ ცოლი რომ ითხოვოს! - შენიშნა უფროსი ძმისადმი მისთვის ჩვეული პატივისცემითა და სიყვარულით როუდონმა.

რებეკას ხმა არ ამოუღია. ოჯახში ყველაზე უფრო მეტად დამწუხრებული და შეღონებული ის ჩანდა. იმ დღეს რებეკა მანამდე გავიდა ოთახიდან, ვიდრე კაპიტანი წავიდოდა, მაგრამ შემთხვევით კი ქვემოთ შეიყარნენ, როცა როუდონი გამოსალმების შემდგომ წასვლას ეპირებოდა და იქ ერთად რაღაც მოითათბირეს.

მეორე დილით, როცა მის კროული მშვიდად კითხულობდა ფრანგულ რომანს, ხოლო რებეკა ფანჯარაში იჭვრიტებოდა, ფრიად შეაკრთო ბებერი მანდილოსანი მისმა ერთობ აღელვებულმა შეკივლებამ.

- ქალბატონო, სერ პიტი გეახლათ! - და ამ უწყებას კიდეც მოჰყვა ბარონეტის დაკაკუნება.

- გენაცვალე, მე არ შემიძლია მისი ნახვა!.. არ მინდა მისი ნახვა! უბრძანე ბოულზს უთხრას, შინ არ არის-თქო; ან კიდევ ჩადი ქვემოთ და უთხარი, ძალიან ავად არის და არც ერთ სტუმარს არ იღებს-თქო. ჩემი ნერვები მართლაც ვერ აიტანს ჩემი ძმის ნახვას ამჟამად!.. - შესძახა და კვლავ განაგრძო რომანის კითხვა.

- ძალიან ავად გახლავთ ქალბატონი და თქვენი მიღება არ შეუძლია, ბატონო! - ჩაცქრიალდა რებეკა და მოახსენა სერ პიტს, რომელიც, ის-ის იყო, ზემოთ ასვლას აპირებდა.

- ეგ კიდევ უკეთესი, - მიუგო სერ პიტმა. - მე სწორედ შენი ნახვა მინდა, მის ბეკი - წამო ერთი აქეთ, სასტუმრო ოთახში გავიდეთ - და კიდეც შევიდნენ ამ სამყოფელში ორივენი.

- მე მინდა რომა თქვენ უკან, დედოფლის კროულიში დაბრუნდეთ, ქალბატონო, - მიაპყრო თვალები რებეკას და ბრძანა ბარონეტმა; თან შავ ხელთათმანებსა და უშველებელ ბაბთიან ქუდს იხდიდა.

იგი ისეთი უცნაურის თვალით უცქეროდა და ისე დაჟინებით ჩაშტერებოდა, რომ რებეკა შარპს თითქმის ცახცახი აუვარდა.

- იმედი მაქვს, მალე დავბრუნდები, - თქვა მან ხმადაბლა, - როგორც კი მის კროული მოიკეთებს... დავუბრუნდები...

ძვირფას ბავშვებს.

- შენ ამ სამ თვეს სულ ეგრე ლაპარაკობ, ბეკი, - მიუგო სერ პიტმა, - და მაინც ეტორღიალები ჩემ დას; მერე კიდევა, როცა მობეზრდები, ისე მოგისვრის, თითქო დაგლეჯილი ჩუსტიო. მე გეუბნები, მე მჭირიხარ. აი, უკან მივდივარ დასაფლავებაზე. მოდიხარ თუ არა? ჰო თუ არა?

- მე ვერა ვბედავ... არა მგონია... წესიერი იქნეს... მარტოდ ყოფნა... თქვენთან, ბატონო, - მოახსენა ვითომდა დიდად აღელვებულმა ბეკიმ.

- მე კიდევ ვამბობ, მე მჭირიხარ! - უთხრა მაგიდაზე მუშტის ბაგუნით სერ პიტმა. - მე უშენოდ ვერა ვძლებ. არ ვიცი, რა მოხდა, რაც შენ წამოხველ, ოჯახში ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ძველებურს სულ აღარა ჰგავს. მთელი ჩემი ანგარიშები ისევ დომხალივით აირ-დაირია. შენ უნდა წამოხვიდე უკან. წამოდი, ძვირფასო, ბეკი, წამოდი!

- წამოვიდე... როგორც რა, ბატონო ჩემო, - წამოილუღლუღა რებეკამ.

- წამოდი, როგორც ლედი კროული, თუკი გნებავს, - უთხრა ბარონეტმა, თან თავის ბაბთიან ქუდს აცოდვილებდა ხელში. - აჰა, ეს ხომ დააკმაყოფილებს! წამო და გახდი ჩემი ცოლი. სწორედ რომ შესაფერიცა ხარ. ჯანდაბას გვარიშვილობა! შენზე უკეთესი ქალბატონი მე არც მინახავს. შენ ნეკშიაც კი უფრო მეტი ჭკუა გაქვს, ვინემ საგრაფოს რომელიმე ბარონეტის ცოლს მთელ თავში მოეძევება. წამოხვალ? ჰო თუ არა?

- ოჰ, სერ პიტ! - შესძახა მეტისმეტად აღელვებულმა რებეკამ.

- ჰო-თქო, სთქვა ბეკი, - განაგრძო სერ პიტმა, - მოხუცი ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი. ერთი ოც წელიწადს კიდევ გავძლებ. გაგაბედნიერებ, ნახავ თუ არა! რასაც გინდა, იმას იზამ; ყველაფერი, როგორც მოგეპრიანება, ისე იქნება. ნაჩუქრობის წერილსაც მოგცემ. ყველაფერს კანონით დაგიმტკიცებ. აი, უყურე! - და ბერიკაცი დაეცა მუხლებზე და სატირივით შესციცინებდა ქალს.

რებეკა უკან მიაწყდა გაოგნებული. აქამდე აღწერილ ამბებში ჯერ არსად გვიხილავს იგი დაბნეული; ახლა კი სწორედ რომ ასე დაემართა და თვალთაგან გადმოუგორდა ორიოდე, მის

სიცოცხლეში უწრფესი და ყველაზე ჭეშმარიტის გულით მოწურული ცრემლი.

- ოჰ, სერ პიტ! - შესძახა მან. - ოჰ, ბატონო... მე... მე უკვე გათხოვილი გახლავარ!

თავი XV. რომელშიაც მცირე ხნით გამოჩნდება რებეკას მეუღლე

ყოველ მგრძნობიარე მკითხველს (და სხვანაირი არც გვინდა!) ეამებოდა იმ სურათის დანახვა, რომლითაც ჩვენი პატარა დრამის უკანასკნელი მოქმედება დასრულდა. ვინაიდან აბა რა შეედრება მშვენიერების წინაშე მუხლმოდრეკილი სიყვარულის ხილვას?

მაგრამ ოდეს სიყვარულმა ყური მოჰკრა მშვენიერების შემაძრწუნებელ აღსარებას, უკვე გათხოვილი გახლავარო, იგი წამოიჭრა ხალიჩიდან, რომელზედაც აქამდე მოწიწებით გართხმულიყო, მოჰყვა ღრიალს და საბრალო პატარა მშვენიერება იმაზე უფრო მეტად დააფრთხო, ვიდრე მას ჯერ კიდევ აღსარების თქმამდე ეტყობოდა.

- გათხოვილი!... შენ ხუმრობ! - შესძახა ბარონეტმა, რისხვისა და განცვიფრების პირველი აფეთქების განვლის შემდგომ. - მასხარად მიგდებ, ბეკი! აბა, ვინ შეირთავდა შენისთანა ცარიელ-ტარიელ გოგოს!?

- გათხოვილი ვარ, გათხოვილი! - ამბობდა მწარედ გულამომჯდარი ქალი. გრძნობამორეულს ხმა უწყდებოდა, ხელმანდილი სატირლად მომზადებულ თვალებზე, მოეფარებინა, ბუხრის თავს მისვენებოდა ღონემიხდილი - მწუხარებისა და გოდების ხატება, რაც თვით ყველაზე გულქვა ადამიანსაც კი მოულბობდა გულს. - ოჰ, სერ პიტ, ძვირფასო სერ პიტ, ნუ ჩამთვლით ყველა თქვენი გულკეთილობისადმი უმადურ ადამიანად! მე მხოლოდ თქვენმა დიდსულოვნებამ დამაცდენინა პირიდან ეს ჩემი საიდუმლოება!

- ჭირსაც წაუღია დიდსულოვნება! - შეჰღრიალა სერ პიტმა. -

მაშ, აპა, ვინ არი შენი ქმარი? აპა, სად არი?

- ნება მიბოძეთ, კვლავ დავუბრუნდე სოფელს, ბატონო! ნება მიბოძეთ, კვლავ ძველებურად ერთგულად მოგიაროთ! ნუ, ნუ მომაშორებთ ჩემს ძვირფას დედოფლის კროულის!

- მაშ, იმ ჯეილმა თავი მიგანება? მიგანება, განა? - ჩაეკითხა ბარონეტი. ეგონა, ახლა კი ვხვდები, რა მოხდაო. - მაშ ბეკი... დაბრუნდი, თუ გინდა. აბა როგორ იქნება, ბაბაც გინდოდეს და კაკაც. მე კი მაინც პატიოსნად შემოგთავაზე. დაბრუნდი აღმზრდელად... ყველაფერი მაინც სულ შენ ნებაზე იქნება!

რებეკამ ცალი ხელი გაუწოდა: თან ისე გულამომჯდარი ქვითინებდა, ლამის გული გახეთქოდა. კულულები ჩამოშლოდა სახესა და მარმარილოს ბუხრის თავზე, რომელზედაც თავი ჰქონდა ჩამოდებული.

- მაშ იმ არამზადამ მოძურწა, ჰა! - განაგრძო სერ პიტმა და ამაზრზენად შეეცადა ნუგეში ეცა ქალისათვის, - ნუ სწუხარ ბეკი, მე გიპატრონებ!

- ოჰ, ბატონო! მთელი ჩემი სიცოცხლე საამაყოდ მექნება, კვლავ რომ დავბრუნდე დედოფლის კროულის და მოვუარო ბავშვებსა და თქვენ ისევე ძველებურად, როცა ბრძანდებით, რა ნასიამოვნები იყავით თქვენი პატარა რებეკას სამსახურით. რომ მომაგონდება, რა შემომთავაზეთ სწორედ ახლახან, გული მადლიერების გრძნობით მევსება... ჭეშმარიტად მევსება. არ ძალმიძს თქვენი ცოლობა, ბატონო, მაგრამ ნება მიბოძეთ... ნება მიბოძეთ, თქვენი ასული მაინც ვიყო.

წარმოსთქვა რა ეს, რებეკა ძალიან ტრაგიკული სახით დაეშვა მუხლებზე, მოჰკიდა სერ პიტის დაჯირჯვლებულ, შავ ხელს საკუთარი ორი ხელი (რომელნიც ერთობ ტურფა, თეთრი და ატლასივით ნაზი გახლდათ) და უდიდესი აღფრთოვანებით, ნდობითა და გულწრფელი გამომეტყველებით დაუწყო სახეში ცქერა სერ პიტს, მაგრამ... მაგრამ უცბად გაიღო კარი და მის კროული შემოცურდა ოთახში.

მისის ფერკინი და მის ბრიგზი შემთხვევით სასტუმრო ოთახის კართან აღმოჩნდნენ მაშინვე, როგორც კი ბარონეტი და რებეკა იქ შევიდნენ. აგრეთვე შემთხვევით მოჰკრეს თვალი კარის საკლიტულიდან, მოხუცი დარბაისელი რარიგ განერთხო აღმზრდელი ქალის წინაშე და ის დიდსულოვანი შეთავაზებაც

მოისმინეს, რაც ამ ვაჟბატონმა ბრძანა. სერ პიტს რა წამსაც დასცდა ეს პირიდან, მისის ფერკინი და მის ბრიგზი მყის გაეშურნენ ზემოთ, შეიჭრნენ იმ სასტუმრო დარბაზში, სადაც მის კროული ფრანგული რომანით იქცევდა თავს და მოახსენეს მოხუც მანდილოსანს გამაოგნებელი ცნობა: მუხლმოყრილი სერ პიტი რებეკა შარპს ცოლობას სთხოვოს. და თქვენ თუ გამოიანგარიშებთ იმ დროს, რაც ზემოხსენებულ ბაასს მოუნდებოდა; იმ დროს, რაც ბრიგზს და ფერკინს სასტუმრო დარბაზში ასავარდნად დასჭირდებოდათ; დროს, რაც ქალბატონ კროულის განცვიფრებას და პიგო ლე-ბრენის ტომის მისი ხელიდან გავარდნას მოუნდებოდა, და აგრეთვე დროს, რაც მისი ძირს ჩამობრძანებისათვის იყო საჭირო - დარწმუნდებით, რა ზედმიწევნით ჭეშმარიტი გახლავთ ეს ამბავი და როგორ უნდა გამოჩენილიყო მის კროული სწორედ მაშინ, როცა რებეკამ ისეთი მოწიწებული მდგომარეობა მიიღო.

- კაცი კი არა, მანდილოსანია ძირს! - ბრძანა მის კროულიმ უდიდესი ზიზღით აღვსილი ხმითა და გამომეტყველებით. - ამათ მითხრეს, თითქოს შენ იყავი მუხლებზე დაჩოქილი, სერ პიტ; მოდი ერთი კიდევ წამოიჩოქე და დამატკბე ამ ტურფა წყვილის ჭვრეტით!

- მე მადლობას ვუხდიდი სერ პიტ კროულის, ქალბატონო, - თქვა რებეკამ და წამოდგა, - და მოვახსენე, რომ... რომ მე არ ძალმიძს გავხდე ლედი კროული.

- უარი სტკიცე! - შესძახა უზომოდ განცვიფრებულმა მის კროულიმ.

კართან მდგარმა ბრიგზმა და ფერკინმა განცვიფრებისაგან თვალები დააჭყიტეს და გაკვირვებისაგან პირები დააღეს.

- დიახ... უარი ვუთხარი, - განაგრძო რებეკამ სევდიანი, ცრემლჩამდგარი ხმით.

- და მე მართლა ჩემ ყურებს უნდა დავუჯერო, რომ შენ ნამდვილად ცოლად წამოყოლა სთხოვე, სერ პიტ? - ჰკითხა მოხუცმა მანდილოსანმა.

- ვთხოვე, მაშა! - მიუგო ბარონეტმა.

- და ამან მართლა უარი გითხრა, როგორც თვითონ ამბობს?

- მაშა! - მოახსენა სერ პიტმა ღრეჭით და სახე გაებადრა.

- არა ჩანს, რომ მაინცდამაინც გული გაგტეხოდეს, - შენიშნა მის კროულიმ.

- იოტისოდნადაც არა, - მიუგო სერ პიტმა ისე გულგრილად და არხეინად, რომ მის კროული კინაღამ გაგიჟდა გაოცებისაგან: წარჩინებული მოხუცი დარბაისელი მუხლებზე ეცემა ღარიბ-ღატაკი აღმზრდელი ქალის წინაშე და როცა ქალი უარსა სტკიცავს, სიცილი აუტყდება. ღარიბ-ღატაკი აღმზრდელი უარს ეუბნება ოთხი ათასი გირვანქა სტერლინგის წლიური შემოსავლის პატრონ ბარონეტს! - ყოველივე ეს ისეთი უცნაურობა და საიდუმლოება გახლდათ, რასაც ქალბატონი კროულის გონება ვერასოდეს ჩასწვდებოდა. იგი აღემატებოდა მის საყვარელ ჰიგო ლე-ბრენის რომანებში აღწერილი ინტრიგების ყველა ხლართს.

- მიხარია, რომ კარგ გასართობად მიგაჩნია ეს საქმე, ჩემო ძმაო, - განაგრძო მოხუცმა ქალმა. იგი გაოგნებისაგან აქეთ-იქით აწყდებოდა და არ იცოდა, რა გზას დადგომოდა.

- ზორბა რამეა, - ამბობდა სერ პიტი, - აბა, ვის ეგონებოდა რა გაიძვერა პატარა ეშმაკუნა ყოფილა! ეს რა პატარა მელაკუდა ყოფილა! - ბუტბუტებდა თავისთვის და თან სიამით ხითხითებდა.

- ვის რა ეგონებოდა? - დაჰკივლებს მის კროული და იატაკზე ფეხს აბარტყუნებს. - ერთი მიბრძანე, მის შარპ, რეგენტ-უფლისწულის განქორწინებას ხომ არ ელი, რომ ჩვენი ოჯახი საკმაოდ ღირსეულად არ მიგაჩნია შენთვის?

- ჩემი მდგომარეობა, როცა თქვენ შემობრძანდით, ქალბატონო, - მოახსენა რებეკამ, - არ ამტკიცებდა, რომ მე აბუჩად ამეგდოს ის პატივი, რაც ამ კეთილმა... ამ კეთილშობილმა ადამიანმა ინება ჩემთვის შემოეთავაზებინა. თქვენა გგონიათ, მე უგულო ვარ? თქვენ ყველას გიყვარდით, ისე გულკეთილად მეპყრობოდით მე, საბრალო, ობოლ, უმწეო გოგოს, და მე არაფერს უნდა განვიცდიდე? ო, ჩემო მეგობარნო! ო, ჩემო მწყალობელნო! განა ჩემი სიყვარული, ჩემი სიცოცხლე, ჩემო მოვალეობის გრძნობა არ უნდა ცდილობდეს გაგიმართლოთ და გადაგიხადოთ ის ნდობა, თქვენ რომ გამოუცხადეთ მას? თქვენ ჩემთვის განა მადლიერების გრძნობაც გენანებათ, მის კროული? ეს კი მეტისმეტია... ჩემი გული სწორედ აღვსილია... - და ისეთის აღელვებით დაეშვა სკამზე, რომ დამსწრე

მსმენელთა უმეტესობას ჭეშმარიტად გული აუჩუყა მისმა კაეშანმა.

- მომთხოვდები თუ არა, სულ ერთია, მაინც კარგი პატარა გოგნუცა ხარ, ბეკი, და იცოდე, მე შენი მეგობარი ვარ, აი! - ბრძანა სერ პიტმა. დაიხურა თავისი შავბაბთიანი ქუდი და წავიდა. რებეკას გულს მოეშვა, რადგან აშკარა იყო, მისი საიდუმლო უცნობი დარჩა მის კროულისთვის და ხელსაყრელი დრო ჰქონდა, მცირეოდნად მაინც მოეთქვა სული.

რებეკამ თვალებზე მიიფარა ცხვირსახოცი, თავის გაქნევით მოიშორა პატიოსანი ბრიგზი, რომელსაც უნდოდა თან გაჰყოლოდა და თავისი ოთახისაკენ გაემართა. ხოლო ფრიად აღელვებული ბრიგზი და მის კროული დარჩნენ და შეუდგნენ ამ უცნაური ამბების განსჯას. არა ნაკლებ აღგზნებული ფერკინი კი მყის გაჩნდა ქვემოთ, სამზარეულოს სამფლობელოში, და მამათა და დედათა სქესის ყველა იქაურ წარმომადგენელს უამბო ეს ამბავი. ქალბატონი ფერკინი ისე აღელვებული გახლდათ, რომ საჭიროდ სცნო, სწორედ იმავე ღამის ფოსტით გაეგზავნა წერილი, რომელშიაც „იგი უმდაბლესად მოიკითხავდა ბიუტ კროულის მეუღლესა და მღვდლის მთელ ოჯახს; და სერ პიტი აქ იყო და ცოლობა სთხოვა მის შარპს, იმან კი ყველას გასაკვირველად, უარი უთხრაო“.

სასადილოში დაბრძანებულმა ორმა მანდილოსანმა (ღირსეული ქალბატონი ბრიგზი ფრიად გახარებული გახლდათ, ერთხელ კიდევ რომ მოესწრო პატრონთან უგულითადეს მუსაიფს!) გაკვირვებით ვერ მოიჯერა გული სერ პიტის შეთავაზებასა და რებეკას უარზე. ბრიგზმა ძალიან გამჭრიახად შენიშნა, ალბათ რაღაც დაბრკოლება ეღობება წინანდელი სიყვარულის სახით, თორემ მისი გრძნობების მქონე ვერც ერთი ახალგაზრდა ქალი ვერასოდეს უარყოფდა ასე ხელსაყრელ გათხოვებასაო.

- შენ თვითონ დასთანხმდებოდი, ხომ დასთანხმდებოდი, ბრიგზ?.. - გულკეთილად უთხრა მის კროულიმ.

- განა წარჩინება არ იქნებოდა ჩემთვის მის კროულის რძლობა? - მოკრძალებული ფანდით დაიძვრინა თავი ბრიგზმა.

- ჰოდა, რომ ვთქვათ, ბეკი კარგი ლედი კროული კი იქნებოდა, - შენიშნა მის კროულიმ (მას გული მოულბო ქალის უარმა და

დიდი ლიბერალი და დიდსულოვანი შეიქნა ახლა, რადგან მისი მსხვერპლი უკვე საჭირო აღარ იყო.) - ჭკუა საკმარისი მოეპოვება: იმას გაცილებით უფრო მეტი ჭკუა აქვს ნეკში, ვიდრე შენ, ჩემო საბრალო, ძვირფასო ბრიგზ, მთელ შენს გოგრაში. თავის დაჭერა და ქცევა საუცხოო იცის, ახლა კიდევ ხომ მე მოვუთავე ხელი! მონმორანსია, ბრიგზ, და სისხლი რაღაცას მაინც ნიშნავს; თუმცა ჩემი მხრით კი ჩირადაც არ ვაგდებ. და თანაც იგი უბადრუკი მედუქნის შვილზე გაცილებით უკეთ და ჩინებულადაც დაიცავდა თავის ღირსებას იმ გაფუყულ, ამპარტავან და ბრიყვ ჰემპშირელებში!

ბრიგზმა ჩვეულებისამებრ კვერი დაუკრა და შემდგომ „წინანდელ სიყვარულზე“ დაიწყეს სჯა-ბაასი და მკითხაობა.

- თქვენ, საწყალ, უმწეო სულიერებს, ყოველთვის ვინმე სულელური გულისვარდი მოგეპოვებათ, - ბრძანა მის კროულიმ. - აი, შენ თვითონაც, ხომ იცი, კალიგრაფიის მასწავლებელი გიყვარდა (ნუკი მოჰყვები ახლა ღრიალს, ბრიგზ... ყოველთვის ფშლუკუნს ამოუშვებ ხოლმე და მაინც ვერ აღადგენ მკვდრეთით) და, მე მგონი, ეს უბედური ბეკიც გატუტუცდა, გრძნობას აჰყვა და ალბათ ვინმე მეაფთიაქეს, მოურავს, მხატვარს, ახალგაზრდა მღვდელს ან ვინმე ამისთანას გადაეკიდა.

- საწყალი, საწყალი! - ამბობს ბრიგზი. მას აგონდება ოცდაოთხი წლის წინანდელი ამბავი და კალიგრაფიის ის ჭლექიანი ახალგაზრდა მასწავლებელი, რომლის ქერა თმის კულულებსა და წერილებს, მიუხედავად მათი ძნელად წასაკითხაობისა, კვლავ ელოლიავება და სათუთად ინახავს ძველ კარადაში, - საწყალი, საწყალი! - ამბობს ბრიგზი. ის ერთხელ კიდევ გრძნობს თავს თვრამეტი წლის ლოყაწითელ გოგონად, ესწრება ეკლესიაში მწუხრის ლოცვას და კალიგრაფიის ჭლექიანი მასწავლებელი და იგი ხმის კანკალით კითხულობენ ერთდაიმავე ფსალმუნს.

- რებეკას ასეთი ქცევის შემდეგ, - აღფრთოვანებით თქვა მის კროულიმ, - ჩვენმა ოჯახმა როგორმე უნდა გადაუხადოს მას. გამოძებნოს, ვინ არის მისი მიჯნური, ბრიგზ. მე იმას დუქანში დავაყენებ; ან იცი, ჩემ პორტრეტს შევუკვეთ, ან კიდევ ჩემს ბიძაშვილ ეპისკოპოზს მოველაპარაკები... და გავამზითვებ ბეკის, და ქორწილსაც გავმართავთ. ბრიგზ! შენ კი საუზმეს გააწყობ და დედოფლის მდადიც იქნები.

ბრიგზმა განაცხადა, ეს რა სასიამოვნო იქნებაო და დაიფიცა, ჩემი ძვირფასი მის კროული მარად კეთილი და დიდსულოვანიაო, მერე რებეკას საწოლში ავიდა, რათა ენუგეშებინა იგი და ეყბედა ცოლად თხოვნის, უარის თქმისა და ამ უკანასკნელის მიზეზის ამბებზე; აგრეთვე სიტყვა გადაეკრა მის კროულის სულგრძელ განზრახვებზე და გამოეკვლია, ვინ იყო ის ვაჟბატონი, რომელიც მის შარპის გულს დაჰპატრონებოდა.

რებეკა მეტად გულკეთილად, ალერსიანად და სიყვარულით დახვდა. მადლიერი გულმხურვალებით გამოეპასუხა ბრიგზის ალერსსა და ნუგეშისცემას. აღიარა, მართლაც ფარული სიყვარულია საქმეში ჩარეული... მომხიბლავი საიდუმლოებაო... რა სავალალოა, მის ბრიგზმა ერთი ნახევარი წუთი კიდევ რომ არ შეიცადა საკლიტულთან! რებეკა იქნებ მეტსაც იტყოდა, მაგრამ რებეკას სამყოფელში ქალბატონ ბრიგზის ამოსვლის შემდგომ ხუთ წუთსაც არ გაევლო, რომ თვით მის კროულიც შემობრძანდა იქ, - ეს კი გაუგონარი პატივი გახლდათ; - იგი სულწასულობას დაეძლია, ვეღარ მოეთმინა დესპანის ზოზინა საქმიანობის ლოდინი. ამგვარად პირადად გამოცხადდა და უბრძანა ბრიგზს, ოთახი დაეცალა. მერე მოუწონა რებეკას ქცევა. დაწვრილებით გამოჰკითხა საუბრის შინაარსი და ადრინდელი ვითარების ამბავი, რამაც სერ პიტის განსაცვიფრებელი თხოვნა გამოიწვია.

რებეკამ თქვა, ცოტაოდნად წინათაც შემინიშნავს, რა მიკერძოებით მცემდა პატივს სერ პიტიო (რადგან სერ პიტს ჩვეულებად ჰქონდა ფრიად გულწრფელად, თავშეკავებულად და მოურიდებლად გამოემჟღავნებინა თავისი გრძნობანი); მაგრამ რომ აღარ ეხსენებინა მას ის პირადი მიზეზები, რომელთა თქმითაც ამჟამად არ უნდოდა შეეწუხებინა მის კროული, - თვით სერ პიტის ხნიერება, მდგომარეობა და ჩვევანიც სრულიად შეუძლებელს ხდიდნენ ქორწინებას. და განა თუნდაც ოდნავ თავმოყვარე და ოდნავ პატიოსან მანდილოსანს ძალუძს ყური უგდოს ამგვარ თხოვნას ასეთ დროს, როცა არშიყის განსვენებული მეუღლე ჯერ არც დაუკრძალავთ?

- რას როშავ, ძვირფასო, შენ იმას უარს როგორ ეტყოდი, სხვა ვიღაცა რომ არ იყოს საქმეში ჩარეული! - ერთბაშად მოუჭრა მის კროულიმ. - აბა, მითხარი პირადი მიზეზი, რა საიდუმლო

მიზეზებია? ვიღაც არის! ვინ დაეპატრონა შენს გულს?

რებეკამ ძირს დახარა თავი და აღიარა, მართალიაო.

- თქვენ მართლა გამოიცანით, ძვირფასო ქალბატონო, - მიუგო მან ნაზი, წრფელი, აკანკალებული ხმით, - თქვენ გაოცებთ, ისე საწყალსა და უმწეოსაც რომ სიყვარული შესძლებია, არა? მე არასოდეს გამიგია, რომ სიღატაკე ამ გრძნობისაგან თავდაღწევის საწინდარი ყოფილიყო. ეჰ ნეტავი მართლა ასე ყოფილიყო!

- ჩემო საბრალო, ძვირფასო ბალღო, - შესძახა მის კროულიმ, რომელიც მარად მზად გახლდათ გულაჩუყებისათვის. - შენი სიყვარული მაშ უპასუხოდ არის დარჩენილი? განა მხოლოდ ფარულადა ჭკნები? მითხარი ყველაფერი და მანუგეშებინე თავი.

- ნეტავი კი შეგეძლოთ, ძვირფასო ქალბატონო, - ჰკადრა რებეკამ იმავე ცრემლმორეული კილოთი, - დიაღაც, დიაღაც, რომ მესაჭიროება!

და მან მიაყრდნო თავი მის კროულის მხარს და იქვითინა ისე ბუნებრივად, რომ გაოცებულ მოხუც მანდილოსანს ფრიად შეებრალა; თითქმის დედობრივის გულკეთილობით, ჩაიკრა გულში; სიყვარულისა და სიამტკბილობის ბევრი ალერსიანი, გულის მოსასალბუნებელი სიტყვა უთხრა. შეჰფიცა, საკუთარი შვილივით მიყვარხარ და რაც შემიძლია, ყველაფერს ვიზამ შენთვისო.

- აბა, ახლა მითხარი, ვინ არის, გენაცვალე? იმ ლამაზი მის სედლის ძმა ხომ არ არის? ერთხელ რაღაც კი თქვი იმაზე, აქ მოვიპატიჟებ, გენაცვალე, და შეგრთავ, უეჭველად შეგრთავ!

- ჯერ ნუ მკითხავთ, - სთხოვა რებეკამ, - ყველაფერს სულ მალე გაიგებთ; მართლა სულ მალე, ძვირფასო, კეთილო ქალბატონო კროული... ძვირფასო მეგობარო, ნება მიბოძეთ ასე მოვიქცე!

- ეგრე იყოს, შვილო, - დაეთანხმა მოხუცი და აკოცა.

- ჯერ ვერ გეტყვით, - სლუკუნით ამბობდა რებეკა. - ძალიან უბედური ვარ, მაგრამ ოჰ! გიყვარდეთ ყოველთვის... დამპირდით. გიყვარდეთ ყოველთვის!

და ორივეს ცრემლთა ღვრაში, - ვინაიდან უმცროსი

მანდილოსნის გრძნობამორეულობამ უფროსსაც გული აუჩუყა, - ეს დაპირებაც საზეიმო ფიცით ბრძანა მის კროულიმ. მერე წასვლისას დალოცა თავისი პატარა protegee და თან ჰკვირობდა: ეს რა საყვარელი, წრფელი, ალალი, მოალერსე, ნაზი, მოსიყვარულე, უცნაური გოგონა არისო.

ახლა კი დარჩა რებეკა მარტო და შეუდგა ფიქრს იმ დღის ანაზდეულ საოცარ თავგადასავალზე და იმაზე, რაც მოხდა და რაც შეიძლებოდა რომ მომხდარიყო. როგორ გგონიათ, რა იდუმალი ფიქრები უტრიალებდა თავში მის კი არა (ვთხოვთ გვაპატიოს), მისის რებეკას? თუ ორიოდე ფურცლით წინ ამ სტრიქონების დამწერი აცხადებდა, უფლება მაქვს მის ემილია სედლის საწოლ ოთახში შევიჭვრიტო და რომანისტის ყოვლისმცოდნეობით განვჭვრიტო ყველა ის სათუთი ტანჯვა და ვნებანი, რომელნიც იმ უმანკო სასთუმალს აფორიაქებდაო, რატომ არ შეუძლია მას გამოაცხადოს თავი აგრეთვე რებეკას გულის მესაიდუმლედ, მის ფარულ ზრახვათა ბატონად და იმ ყმაწვილი ქალის სინდისის ბეჭდის მცველად?

აბა, მაშ მოგახსენებთ. უპირველეს ყოვლისა, რებეკამ თავი მისცა, ცოტა არ იყოს, ძალიან წრფელ და გულის ამაჩუყებელ სინანულს, რომ იმას ასე საოცარი, დიდებული ბედი მოადგა კარს და ის კი იძულებული იყო უკუეგდო. ამ ბუნებრივ გრძნობას ყოველი საღი მოაზროვნე ალბათ გაიზიარებს. განა რომელი კარგი დედა იქნება ასეთი, რომ არ თანაუგრძნოს ცარიელ-ტარიელ გასათხოვარ ქალს, რომელსაც შეეძლო ბარონეტის მეუღლე გამხდარიყო და ოთხი ათასი გირვანქა წლიური შემოსავალი ჰქონოდა? განა რომელი კარგად აღზრდილი ახალგაზრდა მოიპოვება მთელ ამაოების ბაზარში ისეთი, რომელსაც გული არ შესტკივა ფრიად მეცადინ, გამჭრიახ, სანაქებო ქალიშვილისათვის, ამ ქალიშვილს რომ ასე საპატიო, ხელსაყრელი და მაცთური პირობა შესთავაზეს სწორედ იმ დროს, როცა არ ძალუძს მიიღოს იგი? დარწმუნებული გახლავართ, ჩვენი მეგობრის, ბეკის უკმაყოფილება ღირსია ყოველნაირი თანაგრძნობისა და კიდეც გვიკარნახებს მის გამოჩენას.

მახსოვს, თვითონ მეც ერთხელ ამაოების ბაზარში გახლდით მიპატიჟებული საღამოს წვეულებაში და შევნიშნე, აქ მყოფმა ბებერმა მის ტოუდიმ როგორ განსაკუთრებით გამოარჩია და უალერსა პატარა ქალბატონ ბრიფლესს, ვექილის ცოლს,

რომელიც მართლაც კარგი ოჯახის შვილი კი არის, მაგრამ, როგორც ყველას მოეხსენება, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე ღატაკია.

რა უნდა იყოს მის ტოუდის ამ პირმოთნეობის მიზეზი, ვკითხე ჩემ თავს; ბრიფლესი რომელიმე საგრაფოს სამსჯავროს მესვეურად ხომ არ დანიშნეს, ან მის ცოლს მემკვიდრეობა ხომ არ დარჩა? მის ტოუდიმ მყის განმიმარტა ეს ვითარება იმ გულახდილობითა და პირაოშობით, რითაც ცნობილია მთელი მისი ყოფაქცევა.

- გეცოდინებათ, - თქვა მან, - ქალბატონი ბრიფლესი სერ ჯონ რედჰენდის შვილიშვილია. ის კი ჩელტნემს ისე ავად არის, ექვს თვეს ვეღარ გაატანს. სამკვიდრო ქალბატონ ბრიფლესის მამას დარჩება. აი, ხომ ხედავთ, იგი უკვე ბარონეტის ასული გახდება! - და ტოუდიმ მომავალი კვირისათვისვე მიიპატიჟა ბრიფლესი მეუღლითურთ.

თუ ბარონეტის ასულად გახდომის უბრალო შესაძლებლობამ ასე დიდი პატივი მიანიჭა მანდილოსანს ამ წუთისოფელში, რასაკვირველია, ოღონდაც რომ უფლება გვაქვს მოწონებით მოვეპყრათ იმ ყმაწვილი ქალის ტანჯვა-ვაებას, რომელსაც ხელსაყრელი პირობები მოეპოვებოდა თვით ბარონეტის მეუღლე გამხდარიყო. „ვინ მოიფიქრებდა ლედი კროულის ასე მალე გარდაცვალებას? ის ისეთი ჯურის სნეული დედაკაცი იყო, მთელ ათ წელიწადსაც რომ გასძლებს ხოლმე, - ფიქრობდა რებეკა თავისთვის და დიდის სინანულით მოსთქვამდა, - მე კი შემეძლო ქალბატონი გავმხდარიყავ! შემეძლო, როგორც მნებავდა, ისე მეპროწიალებინა ეს ბებრუხანა. შემეძლო მადლობა გადამეხადა მღვდლის ცოლისთვის, მფარველობას რომ მიწევდა, და ბატონ პიტისთვის, აუტანელ გულმოწყალეობას რომ იჩენდა ჩემდამი. ქალაქის სახლს ხომ ახლად გავამართვინებდი და შევამკობინებდი. მთელ ლონდონში ყველაზე საუცხოო ეტლს გავიჩენდი; ოპერაშიც ყველაზე კარგ ლოჟას დავიქირავებდი და მომავალ სეზონში კიდეც წარვდგებოდი სამეფო კარზე. ყოველივე ეს შეიძლება მომხდარიყო. ახლა...“ ახლა კი ყველაფერი საეჭვო და ბუნდოვანი ჩანდა.

მაგრამ რებეკა ძლიერ მტკიცე და ენერგიული ხასიათის ახალგაზრდა ქალი ბრძანდებოდა და დაუბრუნებელი წარსულის გულისთვის თავს არ მისცემდა ნებას ფუჭ,

შეუფერებელ და შეუსაბამო დიდ მწუხარებაში ჩავარდნილიყო. ამიტომ, წარსულს მიუძღვნა რა სინანულის მხოლოდ სათანადო წილი, მთელი ყურადღება ბრძნულად მიაპყრო მომავალს, რომელიც ახლა განუზომლად უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის. ასწონ-დასწონა თავის მდგომარეობა, თავის იმედები, ეჭვები და შესაძლებლობანი.

უპირველეს ყოვლისა, გათხოვილი გახლდათ. - ეს იყო დიდი ამბავი. სერ პიტმა იცოდა უკვე. რებეკა იმდენად კი არა ყოფილა გაოგნებული, რომ ეს აღსარება წამოსცდენოდეს, არამედ იძულებული იყო, ვითარების უცბად აწონ-დაწონისა და ანგარიშის შემდგომ განეცხადებინა იგი. ოდესმე ხომ უნდა გამომჟღავნებულიყო და რატომ ახლა უფრო არ უნდა მომხდარიყო ეს, ვიდრე შემდეგ? ის, ვინც თვითონ აპირებდა მის ცოლად შერთვას, ყოველ შემთხვევაში ამ ქორწინებაზე ხმას მაინც არ ამოიღებს. მაგრამ მის კროული როგორ მიიღებდა ამ ამბავს? - ეს კი ერთობ მძიმე საკითხი გახლდათ. გული ავს უგრძნობდა რებეკას, მაგრამ აგონდებოდა მის კროულის ყველა ნათქვამი: მოხუცი მანდილოსნის გულითადი ზიზღი წარმოშობისადმი, მისი გაბედული ლიბერალური აზრები, მისი საერთო რომანტიკული გატაცებანი, ძმისწულისადმი მისი თითქმის თავდავიწყებული და აგრეთვე თვით რებეკასადმი ხშირად გამოთქმული სიყვარული. ისე უყვარს როუდონი მამიდას, რომ ყველაფერს აპატიებსო, ფიქრობდა რებეკა. მეც ისე შემომეჩვია, არა მგონია, უჩემოდ მყუდროდ იგრძნოს თავი. როცა eclaircissement[49] მოხდება, ატყდება ერთი ალიაქოთი, ისტერიკა და დიდი ჩხუბი, მერე კი დიდი შერიგებაც მოჰყვება, ყოველ შემთხვევაში, რა ეყარა დაყოვნებაში? კამათელი გაგორებული იყო და დღეს თუ ხვალ, შედეგი ერთი და იგივე იქნებოდა. ამგვარად, როცა დაასკვნა, მის კროულიმ უნდა იცოდეს ეს ამბავიო, ყმაწვილი ქალი შეუდგა სჯას, როგორ და რა სახით ემჯობინება მისთვის შეტყობინება და როგორ იქნება უკეთესი: თვითონვე პირისპირ შევეგებო ამტყდარ ქარიშხალს, თუ გავიქცე და თავი ავარიდო, ვიდრე მისი პირველი სიმძაფრე არ ჩადგებაო. ამ ფიქრებში გართულმა ეს ბარათი დაწერა: „უძვირფასესო მეგობარო!

„დიდი გასაჭირი, რომელზედაც ასე ხშირად ვლაპარაკობდით, დაგვიდგა. ჩემი საიდუმლოს ნახევარი გამჟღავნებულია. ბევრი ვიფიქრე, სანამ სრულიად არ დავრწმუნდი, რომ ახლა უკვე დადგა დრო მთელი საიდუმლოს გამოცხადებისა. დღეს

დილით სერ პიტი მოვიდა და, თუ იცი, რას იზამდა?.. კანონიერი წესით ცოლად წაყოლა მთხოვა. აბა, წარმოიდგინე! მე საცოდავი! - შემეძლო ლედი კროული გავმხდარიყავი. რა ნასიამოვნები იქნებოდა ბატონ ბიუტის მეუღლე, აგრეთვე ma tante-ც[50], - პირველობა რომ ჩამომერთმია მისთვის! შემეძლო ვყოფილიყავი რომელიღაც სულიერის დედიკო და არა... ოჰ, მაცახცახებს, მაცახცახებს, რომ მომაგონდება, რა მალე უნდა ვთქვათ ყველაფერი!

„სერ პიტმა იცის, გათხოვილი რომ ვარ, მაგრამ არ იცის ვისზე და ჯერ კიდევ არ არის ძალიან განაწყენებული. Ma tante მართლა გაჯავრებულია. მე რომ უარით გავისტუმრე იგი. მაგრამ გულკეთილობითა და მოწყალებით კი მეპყრობა. იმდენად იმდაბლებს თავს, რომ ამბობს კიდეც, შენ იმისთვის ჩინებული ცოლი იქნებოდიო და იფიცავს, რომ დედობას გაუწევს შენს პატარა რებეკას. თავზარი კი დაეცემა, პირველად რომ გაიგებს ამბავს. მაგრამ ვითომ ხანმოკლე გაჯავრების გარდა სხვა რამისაც უნდა გვეშინოდეს? არა მგონია. დარწმუნებული ვარ - არა. შენ ისე თავდავიწყებით უყვარხარ (მე საძაგელო ჩიტირეკიავ!). ყველაფერს გაპატიებს. და ნამდვილად მე მჯერა, იმის გულში შენს შემდეგ ჩემია მთავარი ადგილი და უჩემოდ გასაცოდავებული იქნება. ძვირფასო! გული როგორღაც მეუბნება, გაიმარჯვებთო. შენ გამოხვალ იმ საზიზღარი ლეგიონიდან. თავს დაანებებ ფულზე თამაშს, დოღს და კარგი ბიჭი დადგები. ჩვენ ყველანი ვიცხოვრებთ პარკ-ლეინში და ma tante მთელ თავის ფულებს ჩვენ გვიანდერძებს.

„მე ვცდი და ხვალ სამ საათზე ჩამოვივლი ჩვეულ ადგილას. თუ მის ბ. თან ამედევნა, მაშინ სადილად უნდა მოხვიდე, პასუხი მომიტანო და „პორტიასის ქადაგებათა“ მესამე ტომში ჩადო მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მოდი.

შენი „რ“.

მის ელიზა სტაილზი, ნაითსბრიჯი, ბატონ ბარნეტის, მეუნაგრის, სახლი“.

და მე დარწმუნებული ვარ ამ პატარა მოთხრობის მკითხველთა შორის არავინ მოიძებნება ისეთი, ვისაც იმდენი გამჭრიახობა არ შესწევდეს გამოიცნოს, რომ მის ელიზა სტაილზი (სკოლის ძველი ამხანაგი, როგორც რებეკა იტყოდა, რომელთანაც ბოლო

დროს გაცხარებული მიწერ-მოწერა განაახლა და რომელსაც მეუნაგირისაგან მიჰქონდა ეს წერილები) ბრინჯაოს დეზებსა და ვეება, დაგრეხილ ულვაშებს ატარებდა და კაპიტან როუდონ კროულის გარდა სხვა არავინ ყოფილა.

თავი XVI. ქინძისთავების დასაბნევ ბალიშზე დადებული ბარათი

როგორ დაიწერეს მათ ჯვარი, იოტისოდნადაც არ უნდა იყოს საინტერესო ვინმესთვის. აბა რა დააბრკოლებს ასაკოვან კაპიტანს და მომწიფებულ ახალგაზრდა მანდილოსანს, ქორწინების ნებართვის მოწმობა შეიძინონ, ამ ქალაქის რომელ საყდარშიაც გნებავთ იქ შებრძანდნენ და შეუღლდნენ. აბა, ვის დასჭირდება ახსნა-განმარტება, რომ თუ დიაცმა მოიწადინა, უეჭველია, გზასაც გაიკაფავს? დარწმუნებული გახლავართ, ერთ დღეს, როცა მის შარპი რასელ-სკვერს გაემგზავრა ძვირფას მეგობარ მის ემილია სედლისთან დილის გასატარებლად, მის მსგავს მანდილოსანს შეეძლო სიტის რომელიმე ეკლესიაში შეეხვია ულვაშშეღებილი ვაჟკაცის თანხლებით; თხუთმეტიოდე წუთის შემდგომ კი ამ დარბაისელს მიეცილებინა იგი იქვე მომლოდინე საქირაო ეტლამდე და ყოველივე ეს ყოფილიყო წყნარი საქორწილო მაყრიონი.

და ქვეყნიერების ზურგზე, ჩვენი ყოველდღიური გამოცდილების შემდეგ, ვის შეუძლია სეჭვოდ მიიჩნიოს მამაკაცის უფლება ვინმეს ცოლად შერთვისათვის? რამდენმა ბრძენმა და მეცნიერმა შეირთო თავისი მოახლე? განა თვით ლორდი ელდონი, უბრძნესი კაცი, არ გაიქცა და ისე არ იქორწინა? განა აქილევსსა და აიანტს ორივეს თავიანთი მონა ქალები არ უყვარდათ? და განა უნდა მოველოდეთ ჭკუამოკლე და ფიცხი ვნების მძიმე დრაგუნისაგან, რომელსაც თავის სიცოცხლეში ვერასოდეს შეუკავებია თავი, ანაზდად მოჭკვიანებულიყო და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, არ მოეკლა მორეული ჟინი? ხალხი რომ მხოლოდ წინდახედულად და გონიერად ქორწინდებოდეს, რაღა ეშველებოდა მოსახლეობის ზრდას!

მე, ჩემის მხრით, მგონია, ბატონ როუდონის ქორწინება წინამდებარე წიგნში აღწერილ ამ დარბაისლის მთელ ბიოგრაფიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო უპატიოსნეს მოქმედებად ჩაითვლება. ვერავინ დასძრახავს, თითქოს ჯაბნობა იყოს, დიაცმა რომ მოხიბლა და რაკი მოხიბლა, შემდეგ ჯვარიც რომ დააწერინა. აღტაცება, სიამოვნება, სიხარული, ვნება, გაოცება, უსაზღვრო რწმენა და გულწრფელი თაყვანისცემა, რაც ამ უშველებელმა მხედარმა ნელ-ნელა შეიძინა პატარა რებეკასადმი, ისეთი გრძნობანი გახლდათ, რომ, - იქნებ მანდილოსნებმა მაინც აღიარონ - სულ თავის მომჭრელი და სახელის გამტეხი არ უნდა ყოფილიყო კაპიტნისათვის. როცა რებეკა მღეროდა, ყოველი ბგერა თრთოდა მის მძიმე, ჩლუნგ სულში და ჟღერდა მის ვეება სხეულში. როცა რებეკა ლაპარაკობდა, დრაგუნი მთელ ჭკუა-გონების ძალას იკრებდა მოსასმენად და გაოცებისათვის თავის მისაცემად. თუ ქალი ოხუნჯობდა, იგი მის ნათქვამ ხუმრობაზე კარგა ხანს იტეხდა თავს, მხოლოდ ერთი ნახევარი საათის შემდეგ წასკდებოდა ხოლმე ქუჩაში სიცილი და ფრიად განაცვიფრებდა ეტლში მის გვერდით მჯდომ მეჯინიბეს, ანდა როტენ-როუში მასთან ერთად ცხენით მიმავალ ამხანაგს. რებეკას ნათქვამს მისთვის ორაკულის ფასი ჰქონდა, ქალის უმნიშვნელო ქცევაც კი ჭეშმარიტი, უებრო მოხდენილობითა და სიბრძნით იყო აღბეჭდილი. „რა სიმღერა იცის... რა ხატვა, - ფიქრობდა იგი. - რა კარგად იჯდა იმ ტლინკია ჭაკზე დედოფლის კროულიში!“ და გულითად საუბარში ხანდახან ჩაულაპარაკებდა ხოლმე.

- ღმერთს გეფიცები, ბეკ, შენ სწორედ მთავარსარდლობა, ან კიდევ კენტერბერის არქიეპისკოპოსობა შეგშვენის, ღმერთს გეფიცები!

განა მისი ამბავი უცნაური და იშვიათია? და განა ამ წუთისოფელში ყოველდღე არა ვხედავთ ომფალეს კაბის კალთაზე გამობმულ მრავალ პატიოსან ჰერკულესს და დალილას ფერხთა წინაშე გართხმულ წვერულვაშიან ბუმბერაზ სამსონებს?

როცა მის ბეკიმ უთხრა, გადამწყვეტი დრო მოახლოვდა და მოქმედების ჟამი დადგაო, როუდონმა ისეთივე მზადყოფნა გამოიჩინა მის განკარგულებათა შესრულებისათვის, როგორც სარდლის ბრძანებით გაილაშქრებდა თავისი რაზმითურთ

საიერიშოდ. კაპიტანს აღარ დასჭირვებია პორტიასის მესამე ტომში ჩაედო საპასუხო ბარათი. რებეკამ ადვილად გამონახა საშუალება თანამგზავრ ბრიგზის თავიდან მოსაცილებლად და მეორე დღეს კიდეც შეხვდა ერთგულ მეგობარს „ჩვეულ ადგილას“. რებეკამ იმ ღამეს ასწონ-დასწონა საქმის ვითარება და აცნობა როუდონს თავის გადაწყვეტილებანი. მას, რასაკვირველია, ყველაფერი მოეწონა: სრულიად სჯეროდა, რომ რებეკას ნათქვამი ჩინებული იყო, მისი დაწყობილი გეგმები ყველაზე უკეთესი და რომ მის კროული ცოტა ხნის შემდეგ, უეჭველად მოლბებოდა, ანუ „ჭკუაზე მოვიდოდა“, როგორც თვით კაპიტანმა დასძინა. რებეკას გადაწყვეტილებანი სრულიად სხვანაირიც რომ ყოფილიყო, როუდონი იმათაც ისევე უყოყმანოდ მოიწონებდა.

- შენ ჩვენ ორთავეს საყოფი თავი გაბია, ბეკ, - უთხრა მან. - ამ ხათაბალიდანაც უთუოდ დაგვაძვრენინებ თავს. შენი ტოლი მე არ მეგულება და, უნდა გითხრა, ჩემ სიცოცხლეში გვარიანი ბევრი ყოჩაღი ვინმე კი შემხვედრია.

და თავისი რწმენის ასე გულწრფელად აღიარების შემდგომ, გამიჯნურებული დრაგუნი გამოესალმა მას, რათა აღესრულებინა საკუთარი წილი იმ გეგმისა, რომელიც ორთავესთვის მოისაზრა რებეკამ.

ეს გეგმა ითვალისწინებდა უბრალოდ ბრომტონს, ანუ ყაზარმების ახლო-მახლო, კაპიტნისა და მისი მეუღლისათვის მყუდრო ბინის დაქირავებას; ვინაიდან რებეკამ დაასკვნა - და ჩვენი ფიქრით, ერთობ წინდახედულადაც - გაქცევა. როუდონი მხოლოდ უზომოდ ბედნიერად გრძნობდა თავს ამ გადაწყვეტილების მოსმენით - ის ჯერ კიდევ რამდენი კვირის წინათ ევედრებოდა მას ასე ექნათო.

მიჯნურისათვის ჩვეული თავდავიწყებით გაქანდა როუდონი ბინის დასაქირავებლად და ისე მსწრაფლ დაჰყაბულდა კვირაში ორი გინეის გადახდას, რომ დიასახლისმა ინანა, რატომ მეტი არ დავუფასეო. განკარგულება გასცა, ფორტეპიანო დაედგათ, ნახევარი საყვავილე მაღაზია მაინც მოეტანათ სახლის ასავსებად და აუარება ფუფუნების ნივთებიც ეყიდათ. რაც შეეხება შალებს, ნატიფი ტყავის ხელთათმანებს, აბრეშუმის წინდებს, ოქროს ფრანგულ საათებს, სამაჯურებსა და ნელსაცხებელს, ამათ იგი სიყვარულით დაბრმავებული მიჯნურისა და უსაზღვრო ქონების პატრონის გულუხვობით

ჰგზავნიდა შინ. მოიოხა რა გული ამ ხელგაშლილობის გამოჩენით, შევიდა კლუბში, აღელვებულმა ისადილა და დაუწყო ლოდინი, როდის დაჰკრავდა მისი ცხოვრების უდიდესი ჟამი.

წინა დღის ამბავმა - რებეკას განსაცვიფრებელმა ქცევამ, ასე ხელსაყრელ შეთავაზებაზე რომ უარი თქვა; საიდუმლო უბედურებამ, მას რომ სტანჯავდა; მორჩილებამ, უწყინარობამ და დუმილმა, რითაც იგი იტანდა თავის ბედკრულობას - მის კროული ჩვეულებრივზე გაცილებით მეტად მოსიყვარულე და ნაზი გახადა. ამ ჯურის ამბავი: ქორწინება, უარის თქმა ან ცოლად თხოვა, აღათრთოლებს ხოლმე მთელ დედათა სქესს სახლში და მთელს მათ ისტერიკულ კეთილგანწყობილებებს საქმეს გაუჩენს. ვითარცა ადამიანის ბუნებაზე დამკვირვებელი, მე ხშირად და გულმოდგინედ დავდივარ ჰანოვერ-სკვერის წმიდა გიორგის ეკლესიაში წარჩინებულთა ჯვრისწერების დროს და არასოდეს შემინიშნავს ნეფის მამრ მეგობრებს თვალში ცრემლი მოსდგომოდეთ, ან კიდევ მნათეებსა და ეკლესიის მსახურთ როგორმე გული ასჩუყებოდეთ, მაგრამ სრულიადაც არ გახლავთ უჩვეულო დავინახოთ ცრემლმორეული დიაცები, რომელთაც იოტისოდნადაც არ ეხებათ იმჟამინდელი საქმიანობა: მოხუცი მანდილოსნები, დიდი ხნის წინათ დაქორწინებულნი; ჩასუქებული, შუახნის, მრავალი ქალ-ვაჟის პატრონი დედანი; აგრეთვე რომ აღარ ვახსენოთ ალისფერქუდიანი, ტურფა, ქორფა ქმნილებანი, რომელნიც ხარისხის მომატების მოლოდინში არიან და ბუნებრივია, ცნობისმოყვარეობით ეკიდებოდნენ ამ წეს-ჩვეულებას. მოგახსენებთ, რომ ფრიად ჩვეულებრივია დავინახოთ იქ დამსწრე ქალები, რომელთაც სდით ცრემლთა მილები, გულამომჯდარნი სლუკუნებენ, ქშინავენ, ხვნეშიან და ოხრავენ. თავიანთ პაწია სახეებს, პაწია, უმაქნის ხელმანდილებში მალავენ და დიდსა და პატარას გრძნობა-მორეულობის წყალობით გული აუდ-ჩაუდის. ოდეს ჩემი მეგობარი დიდებული ჯონ პიმლიკო და ტურფა ლედი ბელგრავია გრინპარკერი იწერდნენ ჯვარს, გულაჩუყება ისე საერთო გახლდათ, რომ ეკლესიის სავარძელთა თავმდგურ თვით პატარა, ბურნუთის სუნით გახრჩოლებულ ბებერსაც კი, რომელმაც დასაჯდომი მიშოვნა, ცრემლი მოერია. და მერე რატომ? ჩავეკითხე საკუთარ გულს: იმას არა სწერდნენ ჯვარს!

ერთი სიტყვით, მის კროულიმ და ბრიგზმა, სერ პიტის

თავგადასავლის შემდეგ, პირდაპირ გრძნობიერების ზღვას მისცეს თავი და რებეკა შეიქმნა მათი უნაზესი ცნობისმოყვარეობისა და ყურადღების საგანი. რებეკას შინ არ ყოფნის დროს მის კროული თავს ინუგეშებდა და ირთობდა თავისი წიგნთსაცავის ყველაზე უფრო სენტიმენტალური რომანებით. პატარა შარპი და მისი საიდუმლო ურვანი იყო იმ დროის გმირი.

იმ ღამეს რებეკამ ისე ტკბილად იმღერა და ისე საამოდ იმუსაიფა, რომ ჯერ არ სმენოდათ ოდესმე ასე მოქცეულიყო პარკ-ლეინში. ის ირგვლივ შემოექნა მის კროულის გულს. მხიარულად და სიცილით ახსენებდა სერ პიტის თხოვნას, ამასხარავებდა, ვითარცა ბერიკაცის უგუნურ ახირებულობას, და თვალები აღევსო მას ცრემლებით, ხოლო ბრიგზს კი - გული იმედის გაცრუების გამოუთქმელი ტკივილებით, როცა რებეკამ განაცხადა: მე იმის მეტი არა მწადია რა, მარად ჩემს ძვირფას მწყალობელთან დავრჩეო.

- ჩემო საყვარელო გოგონი, - მიუგო მოხუცმა მანდილოსანმა, - მე სულაც არ ვფიქრობ აქედან გაგიშვა მრავალ, მრავალ წელს; ეს კარგად დაიხსომე. იმ ჩემ საზიზღარ ძმასთან დაბრუნება ხომ, მას მერე რაც მოხდა, სათქმელიც არ არის! აქ დარჩი ჩემთან და ბრიგზთან. ბრიგზს ძალიან ხშირად უნდა ხოლმე თავისი ნათესავების მონახულება. ბრიგზ, როცა გინდა, წაბრძანდი. შენ კი, ჩემო ძვირფასო, შენ კი უნდა დარჩე და მოუარო ბებრუხანას!

როუდონ კროული კლუბში ჯდომისა და კლარეტის აღელვებით ყლურწვის ნაცვლად მაშინ იქ რომ ყოფილიყო, წყვილს შეეძლო მუხლი მოეყარა მიხრწნილ შინაბერას წინაშე, ეღიარებინა ყოველივე და თვალის დახამხამებაში შენდობაც მოეპოვებინა. მაგრამ ეს ხელსაყრელი შემთხვევა ახალგაზრდებს ხელიდან გაუსხლტათ უეჭველად იმისთვის, რათა შესაძლო გამხდარიყო დაწერა ამ ამბისა, რომელშიც მრავალი მათი საოცარი თავგადასავალია მოთხრობილი და ეს თავგადასავალი არც არასოდეს გადახდებოდათ თავს, რომ ისინი მოკალათებულნი და თავშეფარებულნი ყოფილიყვნენ მის კროულის მყუდრო, უფერული წყალობის ფრთათა ქვეშ.

პარკ-ლეინის მსახურთა შორის მისის ფერკინს ერთი ჰემპშირელი გოგო ჰყავდა მიჩენილი ხელქვეითად. სხვა საქმეთა გარდა მას დაკისრებული ჰქონდა მის შარპისთვის

თბილი წყალი მიერთმია, ვინაიდან თვით მისი ფერკინი სიკვდილს ამჯობინებდა და ასეთ სამსახურს კი არ გაუწევდა ამ მატრაკვეცას. სოფლის მამულში აღზრდილ ამ გოგოს კაპიტან კროულის რაზმში ძმა ჰყავდა, და, თუ მართალი გნებავთ მოგახსენოთ, მე მგონი, ცხადია, რომ მისთვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო იმ წინასწარი მზადების ამბავი, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანია ამ მოთხრობისათვის. ასეა თუ ისე, რებეკას ნაბოძები სამი გინეით იყიდა მან ყვითელი შალი, მწვანე ფეხსაცმელები და წითელფრთიანი მტრედისფერი ქუდი. ხოლო ვინაიდან პატარა შარპს სულაც არ უყვარდა ფულის ხელგაშლილად ფანტვა, უეჭველია, ბეტი მარტინმა ეს გასამრჯელო გაწეული სამსახურისათვის მიიღო.

სერ პიტ კროულისაგან მის შარპის ხელის თხოვნის მეორე დღეს მზე ჩვეულებრივად ამოვიდა და მოახლე ბეტი მარტინმაც ჩვეულ დროს მიუკაკუნა აღმზრდელი ქალის საწოლი ოთახის კარი.

პასუხი არავინ გასცა. მან კიდევ მიუკაკუნა. დუმილი არ დარღვეულა. ბეტიმ შეაღო კარი და შევიდა ოთახში.

პატარა, თეთრი მარმაშის ლოგინი ისევე ხელუხლებელი და გაწყობილი დახვდა, როგორც წინა საღამოს, როცა თვით ბეტიმ საკუთარი ხელით გაასწორა იგი. შეკრული ორი პატარა ზანდუკი ოთახის ერთ კუთხეში იდგა, ხოლო სარკმლის წინ მაგიდაზე, ქინძისთავების დასაბნევ ბალიშზე, - ვეებერთელა, ვარდისფერ საპირიან, ქინძისთავების დასაბნევ, გაფუებულ ბალიშზე, რომელიც მანდილოსნის საღამური ჩაჩის მსგავსად ირიბად იყო ამოქარგული - წერილი იდო, ალბათ იგი მთელი ღამე აქ დებულიყო.

ბეტი ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თითქოს ეშინია, ძილი არ გავუფრთხოო. დახედა, მერე ოთახს მოავლო თვალი ერთობ განცვიფრებული და კმაყოფილი სახით. აიღო ბარათი, მხიარულების ნიშნად გულიანად დაკრიჭა კბილები, როცა მას ხელში ატრიალებდა და ბოლოს ქვემოთ, მის ბრიგზის ოთახისაკენ გააქანა.

ნეტავ ვიცოდე, როგორ გაიგო, ბეტიმ, რომ ბარათი მის ბრიგზისადმი იყო მიწერილი? მთელი სწავლა-განათლება ბეტიმ მღვდელ ბიუტ კროულის მეუღლის საკვირაო სკოლაში შეიძინა და ისევე არ შეეძლო ხელნაწერის წაკითხვა, როგორც

ებრაულისა.

- ოჰ, ქალბატონო ბრიგზ! - შესძახა გოგომ, - ოჰ, ქალბატონო: ალბათ რაღაცა მოხდა... მის შარპის ოთახში არავინ არის, ლოგინში არავინ წოლილა, მგონი გაქცეულა და ეს წერილი დაუტოვებია თქვენთვის, ქალბატონო.

- რაო! - შეჰკივლებს ბრიგზი, ხელიდან სავარცხელი გაუვარდება და მხრებზე თხელი, ფერდაკარგული თმა ჩამოეშლება; - გაპარულა! მის შარპი გაქცეულა! რა, რა ამბავია? - და მან ფაცაფუცით გატეხა კოხტად დაბეჭდილი ლუქი და როგორც იტყვიან, მისდამი მიწერილი ბარათის „შინაარსი გადასანსლა“.

„ძვირფასო ქალბატონო ბრიგზ. - იწერებოდა გაპარული, - დედამიწის ზურგზე ყელაზე უფრო კეთილი გული, როგორიც თქვენია, თანამიგრძნობს, შემიბრალებს და მომიტევებს. ცრემლით, ლოცვითა და ვედრებით ვტოვებ სახლს, სადაც საწყალი ობოლი მარად გულკეთილობასა და სიყვარულს ჰპოვებდა. მოვალეობა, თვით იმაზე უმაღლესი, რაც ჩემი მწყალობლისადმი მაქვს დაკისრებული, მაიძულებს აქედან წასვლას. მე ვასრულებ ჩემს ვალს - მივდივარ ჩემს მეუღლესთან. დიახ, მე გათხოვილი გახლავარ. ჩემი მეუღლე მიბრძანებს, თავი შევაფარო ღარიბულ ჭერს, რომელსაც ჩვენსას ვუწოდებთ. უძვირფასესო ქალბატონო ბრიგზ, გაანდეთ ეს ამბავი - იმ სახით, რა სახითაც თქვენი ფაქიზი სიყვარული და კეთილგანწყობილება შთაგაგონებთ, - ჩემს ძვირფას, ჩემს საყვარელ მეგობარსა და მწყალობელს. უთხარით, რომ წასვლამდე მე ცრემლი ვღვარე მის ძვირფას სასთუმალთან, იმ სასთუმალთან, რომელზედაც ასე ხშირად მინუგეშებია იგი ავადმყოფობის დროს და რომელზე კვლავ ზრუნვაც ჩემი ნატვრაა. ოჰ, რა სიხარულით დავუბრუნდებოდი ძვირფას პარკ-ლეინს! როგორ მაცახცახებს იმ პასუხის მოლოდინში, რომელმაც ჩემი ბედი უნდა გადასწყვიტოს! როცა სერ პიტმა ინება ჩემთვის შემოეთავაზებინა თავის ხელი, რა პატივის ღირსიც, ჩემი საყვარელი მის კროულის თქმით, კიდეც ვიყავი (გულით ვლოცავ მას, საწყალი ობლის თავის ტოლად აღიარება რომ არ იუკადრისა!), - მე მოვახსენე სერ პიტს, უკვე ცოლი ვარ-მეთქი. თვით იმანაც კი მომიტევა, მაგრამ მხნეობამ მიმტყუნა და მაშინვე ვერ დავაყოლე: მისი მეუღლეობა იმიტომ არ შემეძლო, რომ მისივე რძალი ვიყავი! მე დაქორწინებული ვარ

ყველაზე უკეთეს და ყველაზე დიდსულოვან ადამიანზე - მის კროულის როუდონია ჩემი როუდონი. მისი ბრძანებით ვხსნი ბაგეებს და მივდევ მას ჩვენს ღარიბულ ქოხში და ასევე წავყვებოდი მას ყველგან, სადაც არ უნდა იყოს, მთელ ქვეყანაზე. ოჰ, ჩემო დიდებულო და კეთილო მეგობარო, იყავით ქომაგი ჩემი როუდონის მამიდის წინაშე როუდონისა და იმ საწყალი ქალისა. რომლისადმიც ვაჟის მთელმა კეთილშობილურმა ნათესაობამ ასეთი უებრო სიყვარული გამოიჩინა. შეევედრეთ მის კროულის, მიიღოს თავისი შვილები. მეტს ვეღარას ვიტყვი! მხოლოდ კურთხევის, კურთხევის და კურთხევის მიღებას შესთხოვს ღმერთს იმ სახლის ყველა ბინადრის თავზე, რომელსაც სტოვებს.

თქვენი მოსიყვარულე და მადლიერი

რებეკა კროული“.

„შუაღამე“

ის-ის იყო ბრიგზმა ჩაათავა ამ გულისამაჩუყებელი და საინტერესო საბუთის კითხვა, რომელმაც კვლავ აღადგინა იგი თავის ძველ თანამდებობაში - მის კროულის პირველი გულისმესაიდუმლისა, რომ მისის ფერკინი შემოვიდა ოთახში.

- ეს არის აგე მისის ბიუტ კროული ჩამოვიდა ფოშტის ეტლით ჰემპშირიდან და ჩაი უნდა. ხომ არ ჩამოხვალთ და საუზმეს არ გააწყობთ, ქალბატონო?

და ფერკინის განსაცვიფრებლად, ბრიგზმა შემოიხვია გარს ხალათის კალთები და საოცარამბიანი წერილით ხელში დაეშვა ბიუტის მეუღლის შესახვედრად. ბრიგზი მიჰქროდა და თან გაჩეჩილ თმას მიაფრიალებდა, ხოლო შუბლზე კი აქა-იქ ბღუჯა-ბღუჯად ჯერ კიდევ შერჩენოდა თმის დასახუჭუჭებელი პაწია ქაღალდის მილები.

- ოჰ, მისის ფერკინ, - ძლივს მოითქვა სული ბეტიმ, - ე რა ხათაბალა შეგვხვდა! მის შარპი გაიპარა, კაფტანს გაეკიდა და გრეტნი-გრინისაკენ მოუსვეს!

ერთ თავს მაინც მივუძღვნიდით მისის ფერკინის გრძნობათა აღწერას, რომ მისი ქალბატონის ვნებანი არა ჰქონდეს საგნად ჩვენს უფრო კეთილშობილურ მუზას.

ღამის მგზავრობით გათოშილი ბიუტ კროულის მეუღლე

ახლადდანთებულ ცეცხლთან თბებოდა სასტუმროში და როცა მის ბრიგზისაგან საიდუმლო ქორწინების ამბავი შეიტყო, განაცხადა, სწორედ განგების ხელი ჩანს ამ საქმეში, მეც სწორედ ახლა რომ ჩამოვედი აქ, რათა თავზარდაცემულ, საბრალო, ძვირფას მის კროულის ნუგეში ვცე და მხარში ამოვუდგეო. თან დასძინა, რებეკა მზაკვარი გომბიოა და იმას ყოველთვის ეჭვით ვუცქეროდიო; ხოლო, რაც შეეხებოდა როუდონ კროულის, მან, ბიუტის მეუღლემ, ვერასოდეს ვერ შესძლო ამოეცნო მამიდის თავდავიწყებული სიყვარული მისდამი და, დიდი ხანია, რაც მას იგი გარყვნილ, დაკარგულ და დაღუპულ კაცად მიაჩნდა და ამ შემაძრწუნებელ ქცევას, მისის ბიუტის თქმით, ის კეთილი შედეგი მაინც მოჰყვება, რომ თვალს აუხელს საბრალო, ძვირფას მის კროულის და დაანახებს ამ ბოროტი კაცის ნამდვილ ბუნებას. მერე ბიუტის მეუღლემ მადიანად მიირთვა შებრაწული ცხელი პური და ჩაი და ვინაიდან სახლში უკვე განთავისუფლებული იყო ერთი ოთახი, აღარა ღირდა, გლოსტერის ყავახანაში დაბინავებულიყო, სადაც იგი ჩამოხტა პორტსმუთის საფოსტო ეტლიდან. ამიტომ მისტერ ბოულიზის ხელქვეით ფარეშს უბრძანა, ჩემი ბარგი აქ გადმოიტანეო.

მის კროული, უნდა მოგახსენოთ, თავისი ოთახიდან თითქმის შუადღემდე არ გამობრძანდებოდა ხოლმე: დილით შოკოლადს ლოგინში მიირთმევდა; ამასობაში ბეკი შარპი „მორნინგ პოსტს“ უკითხავდა, ან როგორმე სხვანაირად შეიქცევდა თავს, ან კიდევ ნებივრობაში ატარებდა დროს. შეთქმულები ქვემოთ შეთანხმდნენ, გავუფრთხილდეთ ძვირფასი მანდილოსნის გრძნობებს და სანამ სასტუმრო დარბაზში არ გამოვა, ნუ გავუმხელთო. მანამდე მხოლოდ ის შეატყობინეს, რომ მისის ბიუტ კროული ჩამოვიდა ჰემპშირიდან, „გლოსტერში“ დაბინავდა, სიყვარულით მოიკითხავს მის კროულის და მის ბრიგზთან ერთად საუზმეს შეექცევა. მისის ბიუტის ჩამოსვლა სხვა დროს დიდად არაფრად ეპიტნავებოდა. ახლა კი ეამა: მის კროული რძალთან სასიამოვნო ჭორაობას ელოდა განსვენებული ლედი კროულის, მომავალ სამგლოვიარო მზადებათა და სერ პიტისაგან რებეკას მოულოდნელ თხოვნაზე.

სანამ მოხუცმა ჩვეულებრივ ლაზათიანად არ მოიკალათა სასტუმროს სავარძელში და წინასწარი ხვევნა-კოცნა და სალამ-ქალამი არ მოითავეს მანდილოსნებმა, მანამდე შეთქმულთ

შესაძლებლად ვერ მიიჩნიეს საქმეს შედგომოდნენ. ვინ არ აღუფრთოვანებია ქალთა ხერხიან ოინებსა და მოხდენილ ნართაულ სიტყვებს, რომლებითაც ისინი „შეამზადებენ“ ხოლმე მეგობრებს ავი ამბების მოსასმენად? მის კროულის ორმა მეგობარმა საიდუმლოების ისეთი ბურუსი დააყენა, სანამ გაუტყდებოდნენ, რა მოხდა, რომ ბებერს ეჭვისა და შეშფოთების სათანადო ხარისხამდე მიაღწევინეს.

- და მან უარი უთხრა სერ პიტს, ჩემო ძვირფასო, ძვირფასო მის კროული; შეემზადეთ მოსასმენად! - უთხრა მისის ბიუტმა, - იმიტომ... იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლო!

- რასაკვირველია, მიზეზიცა ჰქონდა, - მიუგო მის კროულიმ, - ვიღაც სხვა უყვარდა. ეს გუშინაც ვუთხარი ბრიგზს.

- ვიღაც სხვა უყვარდა! - სული მოითქვა ბრიგზმა. - ო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ის უკვე დაქორწინებულიც არის!

- უკვე დაქორწინებულიც არის! - ხმა შეუწყო მისის ბიუტმაც. თან ორთავეს ხელები ჩაებღუჯათ და ხან ერთმანეთს შეჰყურებდნენ, ხან კი თავიანთ მსხვერპლს.

- როგორც დაბრუნდება, მაშინვე აქ მომგვარეთ. ნამცეცა გველაძუა! როგორ გაბედა, რომ არ მითხრა მე? - შესძახა მის კროულიმ.

- ის მალე ვერ დაბრუნდება. შეემზადეთ, ძვირფასო მეგობარო... იგი დიდი ხნით არის წასული... იგი სულ წავიდა!

- უფალო შემიწყალე, მერე ვიღა გამიკეთებს მე შოკოლადს? გაგზავნეთ კაცი და მომგვარეთ აქ; მე მსურს, რომ უკან დაბრუნდეს! - ბრძანა მოხუცმა.

- იგი წუხელის გაიპარა, ქალბატონო! - შესძახა მისის ბიუტმა.

- ჩემთვის წერილი დაუტოვებია, - ჩაურთო ბრიგზმა. - ის შეურთავს...

- შეამზადე, ღვთის გულისთვის. ნუ სტანჯავ, ჩემო ძვირფასო მის ბრიგზ!

- ვის შეურთავს? - შეჰკივლებს გონებადაფანტული და გაცოფებული შინაბერა.

- ნ... ნათესავს...

- სერ პიტს უარი უთხრა, - შესძახა მსხვერპლმა. - სთქვით ერთბაშად, ნუ გამაგიჟეთ!

- ოჰ, ქალბატონო... შეამზადე, მის ბრიგზ... ის შეურთავს... როუდონ კროულის!..

- როუდონმა შეირთო... რებეკა... აღმზრდელი დედაკაცი... არარაობა!.. გაეთრიე ჩემი სახლიდან, შე სულელო. შე ბრიყვო... შე ტუტუცო ბებერო ბრიგზ!.. როგორ ბედავ? შენც ხომ ხელი გირევია შეთქმულებაში... შენ შეართვევინე ის გომბიო. გეგონა ფულს აღარ დავუტოვებდი იმას, მართა, - ისტერიკულად გაჰკიოდა საბრალო მოხუცი.

- მე, ქალბატონო, მე ვურჩევდი ამ ოჯახის წევრს ხატვის მასწავლებლის გოგო შეერთო?

- დედამისი მონმორანსი იყო! - წამოიძახა მოხუცმა მანდილოსანმა და მთელი ძალ-ღონით დასწია ზარის დასარეკ ზონარს.

- დედამისი ოპერის მსახიობი იყო და თვითონაც ყოფილა სცენაზე, თუ უარესი არა! - ჩაურთო მისის ბიუტმა.

მის კროულიმ საბოლოოდ აღმოუტევა კივილი და გულშეღონებული გადაესვენა. იძულებული გახდნენ კვლავ იმ ოთახში შეებრუნებინათ იგი, საიდანაც ახლახან გამობრძანდა. ისტერიკის ერთი შეტევა მეორეს მოსდევდა. გაგზავნეს ექიმის მოსაყვანად. მკურნალი მოვიდა. მისის ბიუტმა მომვლელის ადგილი დაიჭირა ბებრის სასთუმალთან. „მისი ნათესავები თავს უნდა ადგნენო“, - ბრძანა ამ საყვარელმა მანდილოსანმა.

მის კროული, ის-ის იყო, თავის ოთახში მოასვენეს, რომ ახალი პირი გამოჩნდა, რომელსაც აგრეთვე აუცილებლად უნდა განდობოდნენ ახალ ამბავს. ეს პირი სერ პიტი ბრძანდებოდა.

- სად არი ბეკი? - იკითხა შემოსვლისთანავე მან. - სად არის მისი ხარახურა? ის ჩემთან უნდა წავიყვანო დედოფლის კროულის!

- განა არ გაგიგიათ მისი საიდუმლო ქორწინების გასაოცარი ამბავი? - ჰკითხა ბრიგზმა.

- ეგ რა ჩემი საქმეა? - მიუგო სერ პიტმა. - ვიცი, გათხოვილია. გინდ იყოს და გინდ არა, ჩემთვის სულერთია. უთხარი, ახლავე

ჩამოვიდეს და აქ ნუ მალოდინებს!

- განა არ იცით, ბატონო ჩემო, - მოახსენა მის ბრიგზმა, - რომ მან ჩვენი ჭერი დასტოვა მის კროულისთვის დიდად სამწუხაროდ და რომ ქალბატონი კინაღამ არ გაათავა კაპიტან როუდონის რებეკაზე დაქორწინების ამბის ჯავრმა?

როცა სერ პიტ კროულიმ გაიგონა, რებეკა ჩემს ვაჟმა შეირთოო, ისეთი ლანძღვა-გინების ნაკადი წასკდა პირიდან, რომ არა მგონია, კარგი იყოს მისი აქ გამეორება, ვინაიდან, ჭეშმარიტად, საბრალო ბრიგზიც კი იძულებული შეიქნა აკანკალებული გასცლოდა ოთახიდან. მასთან ერთად მივუხურავთ კარს სიძულვილისაგან გამხეცებულსა და შეუსრულებელი წადილით გადარეულ, გაცოფებულ ბერიკაცს.

მეორე დღეს იგი დედოფლის კროულის გაემგზავრა. მისვლისთანავე გიჟივით შეიჭრა რებეკას ყოფილ ოთახში, ფეხით გათელა მისი კოლოფები, გაფანტა აქეთ-იქით მისი ქაღალდები, ტანსაცმელი და სხვა მისი მოსაგონარი ნივთები. ზოგი მათგანი სახლთუხუცესის ქალიშვილმა, მის ჰოროქსმა მიითვისა, ზოგით ბავშვები მოიკაზმნენ და წარმოდგენები გამართეს. ეს იყო საბრალო დედის გვამის განმარტოებულ სამარეს მიბარებიდან მხოლოდ ორიოდე დღის შემდეგ და იქ, უცხოებით სავსე აკლდამაში ესვენა იგი, დაუტირებელი და მივიწყებული.

- ერთიც ვნახოთ და ბებერი არ შეგვირიგდა. - უთხრა როუდონმა თავის პატარა ცოლს, ერთად რომ ისხდნენ ბრომტონის პატარა, მყუდრო ბინაში. რებეკა მთელი დილა ახალ ფორტეპიანოს უკრავდა. ახალი ხელთათმანები საუცხოოდ მოადგა; ახალი შალები საოცრად უხდებოდა; ახალი ბეჭდები უბრჭყვიალებდა პატარა ხელებზე, ხოლო წელთან ახალი საათი უწიკწიკებდა. - ერთიც ვნახოთ და არ შეგვირიგდა ჰა, ბეკი?

- მე გწევ ბედს, - მიუგო მან და დალილამ ლოყაზე მოუთათუნა ხელი სამსონს.

- შენ ყველაფერი შეგიძლია, - ჩამოართვა სიტყვა ქმარმა და ხელზე აკოცა. - ღმერთს გეფიცები, შეგიძლია, ახლა კი „ვარსკვლავსა და ლეკვერთხში“ ჩავიაროთ და ვისადილოთ.

მთელს ამაოების ბაზარში თუ მოიპოვება რომელიმე თავყრილობა ანუ გამოფენა, რომელსაც სატირა და მგრძნობიერება შეიძლება ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი ესტუმრონ; სადაც მოულოდნელად შეხვდებით უცნაურ კონტრასტებს; სასაცილოსა და გულისამაჩუყებელს; სადაც სრული მართებულობითა და გულდაჯერებით შეიძლება ბრძანდებოდეთ ნაზი და აღფრთოვანებული, ან კიდევ პირქუში და დამცინავი, - ეს გახლავთ ის საჯარო შეკრებულებანი, რომელთა დიდი რაოდენობა ყოველდღე ცხადდება გაზეთ „ტაიმსის“ უკანასკნელ გვერდზე და რომლებზედაც განსვენებული ბატონ ჯორჯ რობინზი დიდის ღირსებით თავმჯდომარეობდა ხოლმე. მგონი, იშვიათი უნდა იყოს ისეთი ლონდონელი, რომელიც არ დასწრებოდეს ამგვარ თავყრილობას და ყველა ჭკუათმყოფელს თავში უნდა მოსვლოდა არა მცირედ შემაშფოთებელი და უცნაური გრძნობითა და ცნობისმოყვარეობით გამოწვეული ფიქრი იმ დღეზე, როცა მათი ჯერიც დადგება და ბატონი ჰამერდაუნი დიოგენესის რწმუნებულთა ბრძანებით გაჰყიდის, ან ანდერძის აღმასრულებელთა მითითებით საჯარო მეტოქეობისათვის გამოიტანს ბიბლიოთეკას, ავეჯს, ჭურჭლეულს, ტანსაცმელს და განსვენებული ეპიკურის მარნის თავანკარა ღვინოებს.

გარდაცვლილი მეგობრის გასვენებისა და დაკრძალვას ამ ბინძური ნაწილის დამსწრე, თვით ყველაზე უფრო თავკერძა ამაოების ბაზრელმაც კი არ შეიძლება არ იგრძნოს მცირეოდენი გულისტკივილი და სინანული! ბატონ მდიდრის ნეშტი საგვარეულო აკლდამაში განისვენებს. მოქანდაკენი ქვაზე სჭრიან მის ღირსებათა და მისი ქონების მემკვიდრის მწუხარების მართლად გადმომცემ წარწერას. მდიდრის სუფრის რომელი ძველი სტუმარი ჩაუვლის ნაცნობ სახლს ისე, რომ არ ამოიოხროს? - ნაცნობ სახლს, რომლიდანაც ისე მხიარული შუქი გამოკრთოდა შვიდი საათისათვის; რომლის სადარბაზო კარი ისე სტუმართმოყვრულად იღებოდა; რომელშიც, როდესაც სტუმარი ადიოდა ლაზათიან კიბეზე, ფიანდაზად გაშლილი მსახურნი ბაქნიდან ბაქნამდე აუწყებდნენ მის სახელს, ვიდრე ის მიაღწევდა იმ სამყოფელს, სადაც მხიარული მოხუცი მდიდარი მიესალმებოდა თავის

მეგობრებს. მერე რამდენი ჰყავდა და რა კეთილოშობილურად შეაქცევდა ხოლმე მათ! რა ენამოსწრებული და მხიარული იყო აქ ხალხი, რომელთაც, ამ სახლის კარს გასცდებოდნენ თუ არა, მაშინვე ცხვირ-პირი ჩამოსტიროდათ; და რა თავაზიანი და მოსიყვარულე იყვნენ ადამიანები, რომელნიც ყველა სხვა ადგილას ცილსა სწამებდნენ ერთმანეთს, სძულდათ ერთმანეთი! იგი ამპარტავანი და გოროზი კი იყო, მაგრამ ასეთი მზარეულის პატრონის წინაშე აბა რას არ გადაყლაპავს კაცი? იგი, ცოტა არ იყოს, იქნებ გონებაჩლუნგი და მოსაწყენიც გახლდათ, მაგრამ ასეთი ღვინო განა ყოველ მუსაიფს არ შეალამაზებს? რაც არ უნდა დაგვიჯდეს, რამდენიმე ბოთლი მისი ბურგუნდიული მაინც უნდა ვიგდოთ ხელშიო, გაიძახიან მგლოვიარენი მის კლუბში. „ეს კოლოფი მოხუცის ქონების გაყიდვის დროს შევიძინე, - ამბობს პინჩერი და გასასინჯად ხელიდან ხელში აძლევს მოსაუბრეებს: - ლუი XV-ის ერთ-ერთი სატრფოა... განა ლამაზი რამ არ არის?.. საუცხოო მინიატურაა!“ და ისინი ბაასობენ იმაზე, თუ ახალგაზრდა მდიდარი როგორ ჰფანტავს მის ქონებას.

მაინც როგორ შეცვლილა სახლი! წინა პირი თავიდან ბოლომდე მოჩითულია განცხადებებით: უშველებელი ასოებით დაწვრილებით არის აღწერილი ავეჯი. ზემო სართულის ფანჯრიდან ხალიჩის ნაჭერი გადმოუკიდებიათ. ექვსიოდე მებარგე მუშა გადათხლეშილა ჭუჭყიანი კიბის საფეხურებზე. დარბაზი სავსეა გრძელცხვირიანი, საეჭვო შესახედაობის სტუმრებით, რომელნიც ხელში გაჩეჩებენ დაბეჭდილ სადარბაზო ბარათებს და გთავაზობენ თქვენს მაგიერ ვაჭრობას. დედაბრები და გართობის მოყვარენი ზემო სართულებს მოსდებიან, ხელს ავლებენ და უთათუნებენ საწოლის ფარდებს, თითებს ატაკებენ ბუმბულებს, სრესენ ლეიბებს და წინ და უკან აჯახუნებენ ტანსაცმლის კარადის უჯრებს. თადარიგიანი ახალგაზრდა მეოჯახენი სარკეებსა და ფარდებს სინჯავენ, აბა თუ შეეფერება ჩვენს ახალ ბინასაო (სნობს მრავალ წელს სატრაბახოდ ეყოფა, ესა და ეს ნივთი მდიდრის ქონების გაყიდვის დროს შევიძინეო). ქვემოთ, სასადილო ოთახში, ბატონი ჰამერდაუნი მისჯდომია წითელი ხის ვეება სასადილო მაგიდას; იქნევს სპილოს ძვლის ჩაქუჩს და მჭევრმეტყველების, აღფრთოვანების, მუდარის, შთაგონების და სასოწარკვეთილების ყოველ ხრიკს ხმარობს და იყენებს: დაჰყვირის თავის ხალხს, სასაცილოდ იგდებს

მისტერ მოსს; იხვეწება, მბრძანებლობს, ღრიალებს, სანამ ბედისწერასავით არ დაეშვება ჩაქუჩი და შემდეგ კი სხვა ნივთზე გადავდივართ. ო, მდიდარო, ვინ იფიქრებდა ოდესმე, როდესაც ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულითა და უფაქიზესი თეთრეულით აბრჭყვიალებულ ფართო სუფრას ვუსხედით, რომ ოდესმე ამ სუფრის თავში ამ ღრიალა მოვაჭრისთანა ულუფას ვიხილავდით?

საჯარო ვაჭრობა თითქოს იწურებოდა. საუკეთესო ოსტატების ნახელავი სასტუმროს საუცხოო ავეჯი, იშვიათი და სახელგანთქმული ღვინოები, რომელთა შეგროვებისთვისაც ფასი არ დაუშურებია გემოგახსნილ მყვიდველს, და მდიდრული და სრული საგვარეულო ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეული უკვე წინა დღეებში გაიყიდა. ზოგი საუკეთესო ღვინო (ყველა ამათ დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი იმ კუთხის ღვინის მოყვარულთა შორის) ჩვენი მეგობრის, რასელ-სკვერელ ესკვაირ ჯონ ოსბორნის სახლთუხუცესმა შეისყიდა თავისი ბატონისთვის, რომელმაც ჩინებულად იცოდა მათი გემო. ყველაზე უფრო საჭირო ვერცხლეულის მცირე ნაწილი სიტის რამდენიმე ახალგაზრდა მაკლერმა იყიდა. ახლა კი ხალხი მხოლოდ წვრილმანის საყიდლად იყო მოწვეული. მაგიდასთან მჯდარი ორატორი დიდხანს ასხამდა ქება-დიდებას ნახატს და ცდილობდა მიესაღებინა იგი დამსწრეთათვის; მაგრამ ახლანდელი კრებული სულაც არ გახლდათ ისე რჩეული და მრავალრიცხოვანი, როგორც ეს საჯარო ვაჭრობის წინა დღეებში იყო.

- ნომერი 369, - დაიღრიალა ბატონმა ჰამერდაუნმა. - სპილოზე მჯდომარე დარბაისლის სურათი! ვინ ინებებს სპილოზე მჯდომარე დარბაისლის ყიდვას? ასწიეთ მაღლა სურათი, ბლოუმენ, და კარგად დაანახვეთ საზოგადოებას ეგ ნივთი! - აყლაყუდა, ფერმკრთალმა, მხედრული შესახედაობის ჯენტლმენმა, რომელიც მორიდებით მისჯდომოდა წითელი ხის მაგიდას, მისტერ ბლოუმენისაგან ნაჩვენებ ამ ძვირფასი ნივთის დანახვაზე თავი ვეღარ შეიკავა და გაიღიმა. - მიაბრუნეთ სპილო კაპიტნისაკენ, ბლოუმენ. რას ინებებთ, ბატონო ჩემო, სპილოსთვის? - მაგრამ კაპიტანს მაშინვე ალმური მოედო სახეზე, აირია და პირი აარიდა. ხოლო საჯარო ვაჭრობის მესვეური კვლავ განაგრძობდა მის შეშფოთებას.

- ვერ მივცემთ ხელოვნების ამ ნაწარმოებში ოც გინეას?..

თხუთმეტს, ხუთს! ბრძანეთ თქვენი საკუთარი ფასი! მარტო უსპილოო დარბაისელიც კი ღირს ხუთი გირვანქა!

- საკვირველია, რატომ არ წაიქცევა ეგ სპილო! გვარიანი ოტროველა ვინმე კი დასჯდომია ზედ, - თქვა ხუმრობას ჩვეულმა ვიღაც ქილიკმა. ამ შენიშვნაზე (სპილოს მხედარი მართლაც ერთობ ზორბა და ჩასუქებული ჩანდა!) საერთო სიცილი ატყდა დარბაზში.

- ნუ ინებებთ ნივთის აბუჩად აგდებას, ბატონო მოს, - გამოეკამათა ბატონი ჰამერდაუნი; - დაე, საზოგადოებამ გასინჯოს იგი ვითარცა ხელოვნების ნაწარმოები: კეთილშობილი ცხოველის ახოვნება სრულიად შეეფერება მის ბუნებას; ნაშურის ქურთუკიან დარბაისელს ხელში თოფი უჭირავს და სანადიროდ გეახლებათ. მის უკან მოჩანს ბანიანის ხე და პაგოდა - უეჭველია ჩვენი სახელოვანი აღმოსავლური სამფლობელოების რომელიმე კუთხეს გამოხატავს. რას მისცემთ ამ ნივთში? აბა, ბატონებო, ნუ გამაჩერებთ მთელ დღეს აქ!

ვიღაცამ ხუთი შილინგი შესთავაზა. მხედრული შესახედაობის ვაჟკაცმა გაიხედა იქით, საიდანაც ეს ბრწყინვალე შეთავაზების ხმა მოისმოდა და მეორე ოფიცერს მოჰკრა თვალი, რომელსაც ყმაწვილი ქალი ედგა გვერდით და მისთვის მკლავში ხელი ჰქონდა გამოდებული. ორივეს უზომოდ ახარებდა სანახაობა და ბოლო ის ნივთი კიდეც დარჩათ ნახევარ გინეად. კაპიტანმა ეს წყვილი რომ შეამჩნია, კიდევ უფრო გაკვირვებული და შეშფოთებული სახე მიიღო. თავი მხედრულ საყელოში ჩაიძვრინა და ზურგი შეაქცია მათ ისე, რომ მათთვის თავი აერიდებინა. ყველა დანარჩენი ნივთი, რომელთა საჯარო ვაჭრობით გაყიდვის პატივიც იმ დღესა ჰქონდა ბატონ ჰამერდაუნს, ჩვენ მიზნად არა გვაქვს აქ ვახსენოთ, გარდა მხოლოდ ერთისა. ეს გახლდათ პატარა ოთხკუთხედი ფორტეპიანო, რომელიც სახლის ზემოთა ნაწილიდან ჩამოიტანეს (დიდი როიალი ადრევე გაიყიდა!). ეს პატარა ფორტეპიანო სწრაფი და მარჯვე ხელით ყმაწვილმა ქალმა გასინჯა (მაგიდასთან მჯდარ ოფიცერს კვლავ ალმური მოედო და შეკრთა) და როცა მისი ჯერი დადგა, მათი რწმუნებული ჩაერია ვაჭრობაში.

მაგრამ დაბრკოლებას წააწყდნენ. მაგიდასთან მჯდომი ოფიცრის ებრაელმა ადიუტანტმა გაილაშქრა სპილოს

მყიდველთა სამსახურში მყოფი ებრაელი ვაჟბატონის წინააღმდეგ და ცხარე შეტაკება მოხდა ამ პატარა ფორტეპიანოსთვის; მებრძოლთ კი თავგამოდებით აქეზებდა ბატონი ჰამერდაუნი.

ბოლოს, როცა შეჯიბრი რამდენიმე ხანს გაგრძელდა, სპილოს კაპიტანმა და მანდილოსანმა თავი აარიდეს შემდგომ ქიშპობას. ჩაქუჩი დაეშვა და საჯარო ვაჭრობის მოთავემ განაცხადა: „დარჩა მისტერ ლიუისს ოცდახუთადო“, და მისტერ ლიუისის კლიენტი ამგვარად გახდა პატარა ოთხკუთხედი ფორტეპიანოს მფლობელი. ნივთი რომ შეიძინა, ისე გაიმართა წელში, თითქოს გულს დიდად მოეფონაო. დამარცხებულმა მოქიშპეებმა ამ დროს მოჰკრეს მას თვალი და მანდილოსანმა ჩაულაპარაკა მეგობარს: „ოჰო, როუდონ, ეს ხომ კაპიტანი დობინიაო!“

მე მგონი, ბეკის არ მოსწონდა თავისი ახალი ფორტეპიანო, ქმარმა რომ უქირავა, ან იქნებ მისი პატრონები აღარ ენდნენ ნისიად და წაიღეს უკან, ან იქნებ რაიმე განსაკუთრებული მიზიდულობა იგრძნო იმ ფორტეპიანოსადმი, რომლის ყიდვასაც შეეცადა. ეგებ კიდეც მოაგონდა ძველი დრო, როცა უკრავდა მას ჩვენს ძვირფას ემილია სედლის პატარა სასტუმრო ოთახში.

საჯარო ვაჭრობა გამართული გახლდათ რასელ-სკვერის ძველ სახლში, სადაც ამ მოთხრობის დასაწყისში რამდენიმე საღამო გავატარეთ ერთად. კეთილი მოხუცი ჯონ სედლი გაღატაკდა. იგი გაკოტრებულად გამოაცხადეს საფონდო ბირჟაში და მისი კომერციული სიკვდილიც მალე მოჰყვა. ბატონი ოსბორნის სახლთუხუცესი იყო, რომ მოვიდა, სახელგანთქმული პორტვეინის ნაწილი იყიდა და მოპირდაპირე სახლის სარდაფში გადაგზავნა. რაც შეეხება წონით გაყიდულ, კარგი ოსტატის ნახელავ ვერცხლის კოვზებსა და ჩანგლებს და ამასთანავე სუფრის სადესერტო გაწყობილობას, ისინი სამმა ახალგაზრდა საფონდო მაკლერმა შეიძინა (სწორედ ბატონების დეილის, სპიგოტისა და დეილის ფირმიდან, თრედნიდლ-სტრიტში). წინათ საქმეში ყოფილიყვნენ ჩაბმული მოხუცთან და მისი მაშინდელი სიკეთე ახსოვდათ, როცა იგი ყველას, ვისთანაც კი რაიმე საქმე ჰქონდა, კეთილად ეპყრობოდა. მათ მოართვეს კატასტროფის ეს მცირე ნამსხვრევები, თავიანთი სიყვარულისა და პატივისცემის თანდართვით, კეთილ

ქალბატონ სედლის. ფორტეპიანო ემილიას ეკუთვნოდა, ახლა კი ალბათ თვალში აკლდა - სჭიროდა კიდეც იგი; ხოლო კაპიტან უილიამ დობინს ისევე არ შეეძლო მისი დაკვრა, როგორც გაჭიმულ თოკზე ცეკვა და, სავარაუდოა, მაშ არც თავისთვის შეუძენია იგი.

ერთი სიტყვით, ეს ფორტეპიანო იმ საღამოს ერთ კოხტა, პატარა კოტეჯს მიადგა ფულემ-როუდიდან შესახვევ ერთ-ერთ იმ ქუჩაში, რომელთაც ულამაზესი რომანტიკული სახელები აქვთ მიკუთვნებული (ამას ეწოდებოდა წმიდა ადელაიდის ვილა; ანა-მარია-როუდ, უესტ) და სადაც სახლები ბალღების სათამაშო ხუხულებს ჰგავს; სადაც მეორე სართულის ფანჯრებიდან მაყურებელი უეჭველად ისე მოგეჩვენებათ, თითქოს ფეხები პირველი სართულის სასტუმროს ოთახში უდგასო; სადაც სახლის წინ პაწია ბაღების ბუჩქეულობა მარად ჰყვავის ბალღების წინსაფრებით, წინდებით, ჩაჩებით და სხვა (polyandria, polygynia); საიდანაც ისმის სპინეტების ჟღარუნი და ქალთა სიმღერა; სადაც პატარა სალუდე თასები ღობის წვერებზეა ჩამოცმული და მზეზე შრება; საითკენაც საღამოობით ძლივს მიათრევენ ფეხებს სიტის დაღლილი კლერკები. სწორედ აქ იყო დამკვიდრებული ბატონ სედლის კლერკი მისტერ კლეპი და კატასტროფის შემდეგ ამ თავშესაფარში მიიდრიკა თავი კეთილმა მოხუცმა ცოლშვილიანად.

როცა ოჯახის უბედურების ამბავი შეიტყო ჯოზ სედლიმ, ისე მოიქცა, როგორც სწორედ მისი ბუნების კაცს შეეფერებოდა: არ ჩამოსულა ლონდონს, მხოლოდ დედას მისწერა, რამდენი ფულიც დაგჭირდებათ, ჩემს აგენტებს მიმართეთო. ასე რომ მის კეთილ, გულგატეხილ მშობლებს ამჟამად ულუკმაპუროდ დარჩენის შიში არ უნდა ჰქონოდათ. ეს რომ მოიმოქმედა, ჯოზი, კვლავ არხეინად დაუბრუნდა ჩელტნემის პანსიონს. ძველებურად დასეირნობდა თავისი ორთვალა ეტლით, მიირთმევდა წითელ ღვინოს; თამაშობდა რობერსს; ჰყვებოდა თავის ინდურ ამბებს და ძველებურადვე ანუგეშებდა და ეფარისევლებოდა მას ირლანდიელი ქვრივი. მის ფულად საჩუქარს, რა საჭიროც არ უნდა ყოფილიყო იგი, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მშობლებზე. ოღონდ მე ემილიასაგან მომისმენია: განადგურების შემდეგ მამაჩემი პირველად მხოლოდ იმ დღეს დავინახე თავაწეული, როცა ახალგაზრდა მაკლერებისაგან გამოგზავნილი ვერცხლეული და

გულითადი მოკითხვა მიიღო და თურმე ბავშვივით წასკდა ტირილი მოხუცს - მას გაცილებით უფრო აუჩუყდა გული, ვიდრე მის მეუღლეს, რომელსაც უძღვნიდნენ ამ საჩუქარს. ედუარდ დეილს, ფირმის უმცროს წევრს, რომელმაც მთელი ფირმის სახელით შეიძინა ის კოვზები, ნამდვილად თვალი ეჭირა ემილიაზე და მიუხედავად მომხდარი უბედურებისა, მაინც არ ეშვებოდა მისი ხელის ძიებას. 1820 წელს მან ჩინებულად გამზითვებული მის ლუიზა კატსი შეირთო (პურით მოვაჭრე ჰაიემ და კატსის ცნობილი ფირმის პატრონის ასული) და ახლა მრავალრიცხოვანი ოჯახითურთ ფუფუნებით ცხოვრობს თავისი საუცხოო ვილაში - მასუგლ-ჰილს. მაგრამ ამ კარგი ყმაწვილის მოგონებამ არ უნდა გადაგვავიწყოს ჩვენი უმთავრესი ამბავი.

იმედი მაქვს მკითხველი იმდენად კარგი თვალით უცქერის კაპიტან კროულის და მის მეუღლეს, რომ არ ეგონება, მათ ოდესმე ფიქრადაც გაევლოთ ბლუმსბერის მსგავს მიყრუებულ კუთხეში სტუმრად წაბრძანება, თუ ეცოდინებოდათ, რომ ოჯახი, რომლისთვისაც პატივი უნდა დაედოთ თავიანთი სტუმრობით, არა მარტო დაქვეითებული იყო, არამედ ფულიც აღარ გააჩნდა და ვერავითარ სარგებელს ვეღარ ნახავდნენ მისგან.

რებეკა ფრიად განაცვიფრა იმ ძველებური მდიდრული სახლის ხილვამ, სადაც არა მცირედი ალერსი ეგემა, ახლა კი მიგდებული ჰქონდა იგი საძიძგნად ქორვაჭრებსა და ჩარჩებს და მყუდრო ოჯახის დოვლათი საჯაროდ იბღალებოდა და ნიავდებოდა. გაპარვიდან ერთი თვის შემდეგ მოიგონა რებეკამ ემილია და როუდონმაც ხვიხვინით განაცხადა ახალგაზრდა ჯორჯ ოსბორნის ნახვის წადილი.

- ნამეტანი კარგი ვინმეა ეგ, ბეკ, - დასძინა ლაზღანდარამ. - მინდა ერთი სხვა ცხენიც მივასაღო, ბეკ, თან ერთ-ორ ხელ ბილიარდსაც წავეთამაშები. ახლა ის, რომ იტყვიან, სწორედ მისწრება იქნება ჩვენთვის, ქალბატონო კროული. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ამნაირ ლაპარაკზე არ უნდა დავასკვნათ, თითქოს როუდონ. კროულის რაიმე წინასწარი განზრახვა ჰქონოდეს, მოეტყუებინა ბატონი ოსბორნი თამაშში; მას მხოლოდ უნდოდა იმ პატიოსანი უპირატესობით ესარგებლა, რაც ამაოების ბაზრის თითქმის ყველა სპორტის მოყვარე ვაჟბატონს მოყვასისაგან თავის წილხვდომილად მიაჩნია.

ბებერი მამიდა „მორჯულებას“ არ ფიქრობდა. გავიდა თვე. როუდონს უარით ისტუმრებდა მისტერ ბოულზი; მის მსახურებს ცხვირს არ აყოფინებდნენ პარკ-ლეინის სახლში. მისი წერილები გაუხსნელად ბრუნდებოდა უკან. მის კროულის ფეხი არ გამოუდგამს გარეთ: უქეიფოდ ბრძანდებოდა. ბიუტის მეუღლე კვლავ იქ პარპაშებდა და არასოდეს შორდებოდა გვერდიდან. კროულის და მის მეუღლეს, ორთავეს, ავი წინათგრძნობა არ ასვენებდა მისის ბიუტის დარჩენის გახანგრძლივების გამო.

- დალახვროს ღმერთმა, ახლა კი ვხვდები, რატომ გვახვედრებდა ხოლმე ყოველთვის ერთმანეთს დედოფლის კროულიში, - თქვა როუდონმა.

- რა ეშმაკი დედაკაცი ყოფილა! - კვერი დაუკრა რებეკამ.

- მაგრამ არა უშავს, მე არა ვნანობ, თუ შენ გული არ გეთანაღრება, - შესძახა კვლავ ცოლის სიყვარულით მოჯადოებულმა კაპიტანმა. ცოლმა პასუხის ნაცვლად კოცნით დააჯილდოვა და მართლაც არა მცირედ ეამა ქმრის ასეთი დიდსულოვანი აღიარება.

„სულ ცოტაოდენი ჭკუა მაინც რომ ეყაროს თავში, - გაიფიქრა რებეკამ თავისთვის, - ამისგან კაცს გამოვიყვანდი“; მაგრამ ქმრისთვის კი არასოდეს უგრძნობინებია, რას ფიქრობდა მასზე. დაუღალავი ყურადღებით უსმენდა საჯინიბოებსა და ოფიცერთა სასადილოზე მის ლაპარაკს; ეცინებოდა ამბებს იმაზე, თუ ჯეკ სპეტერდეშს საეტლე ცხენი როგორ დაუვარდა, აგრეთვე ბობ მარტინგეილს ფულის სათამაშო სახლში როგორ წაასწრეს, ანდა ტომ სინკბარზე დაბრკოლებებიან დოღში მონაწილეობას რომ აპირებდა. როცა კაპიტანი შინ ბრუნდებოდა, ცოლი მხიარული და ბედნიერი ხვდებოდა; როცა წასვლას მოინდომებდა, ცოლი თვითონ უწყობდა ხელს და აქეზებდა; როცა შინ იყო, ცოლი უკრავდა და მღეროდა მისთვის, უზავებდა გემრიელ სასმელებს, თავს დასტრიალებდა სადილზე, უთბობდა ფაჩუჩებს და უზომოდ ანებივრებდა. საუკეთესო ქალები ცბიერი და ორპირები არიანო, ბებიაჩემისაგან გამიგონია. ჩვენ არ ვიცით, რამდენად იმალავენ ჩვენგან თავს: როგორი ფხიზელნი არიან, როცა ისინი ყველაზე უფრო გულუბრყვილონი და გულახდილნი ჩანან; რა ხშირად, ის წრფელი ღიმილი, რაც ასე ადვილად მოადგებათ ხოლმე პირზე, ხაფანგად არის დაგებული მოტყუების, მოღორების,

თავის არიდებისა და იარაღის დაყრევინებისათვის. მე თქვენს უბრალო კეკლუცებზე კი არა, თქვენს სამაგალითო მეოჯახე ქალებზე და დიაცური სათნოების სრულყოფილ ნიმუშებზე მოგახსენებთ! ვის არ უნახავს ქალი, რომელიც ტუტუცი ქმრის გონებაჩლუნგობასა მალავს, ან კიდევ ბრაზიანის დაშოშმინებასა ცდილობს? ჩვენ ვიცნობთ ამ საამურ მონობას და ხოტბას ვასხამთ ამისთვის დიაცს - ამ ჩინებულ ცბიერებას ჭეშმარიტების სახელით ვნათლავთ. კარგი ოჯახის ქალი აუცილებლად გაიძვერაა და კორნელიას ქმარი ისევე დოყლაპია და ჩერჩეტი გახლდათ, როგორც პოტიფარი, ოღონდ ცოტა უფრო სხვა სახის.

ამ ყურადღებათა წყალობით, ამ ძველმა დარდიმანდმა როუდონ კროულიმ ფრიად ბედნიერ და მორჩილ მეოჯახე კაცად იხილა თავი. ძველ ჩვეულ საყვარელ ადგილებში აღარა ჩანდა. იქაურებმა ერთიორჯერ კი მიაკითხეს კლუბში, მაგრამ ძალიანაც არ მოუსაკლისებიათ: ამაოების ბაზრის ფარდულებში იშვიათად თუ დააკლდებათ ხოლმე თვალში ერთმანეთი. მის მარად მოღიმარ, მხიარულ და შინჩაკეტილ ცოლს, მის პატარა მყუდრო ბინას, გემრიელ სმა-ჭამასა და შინაურ ტკბილ საღამოებს იდუმალების მთელი ჯადო და სიახლე ახლდა თან. ქორწინება ჯერ კიდევ არ გახმაურებულიყო საზოგადოებაში და არც „მორნინგ პოსტში“ გამოქვეყნებულა. რომ შეეტყოთ, უმზითვო ქალი შეირთოო, ყველა მევალე ერთბაშად დაეცემოდა თავს.

- ჩემი ნათესავები კი ქვას არ მომაგდებენ, - თქვა ბეკიმ ცოტა არ იყოს მწარე ღიმილით და სრულიად თანახმა იყო დაეცადა ბებერი მამიდის შერიგებამდე და მანამდე არ მოეთხოვა კუთვნილი ადგილი საზოგადოებაში.

ამგვარად რებეკა ბრომტონს ცხოვრობდა და ამ ხნის განმავლობაში არავინ უნახავს, ან მხოლოდ ქმრის იმ ორიოდე მამაკაც ამხანაგსა ხედავდა, რომელთაც მის პაწია სასტუმრო ოთახში შესვლის პატივი ჰქონდათ მინიჭებული, ყველა ესენი მოხიბლული იყვნენ რებეკათი. პატარა სადილები, სიცილი, ყბედობა და მერე მუსიკა ამ დროსტარებათა ყველა მონაწილეს ახარებდა. მაიორ მარტინგეილს ფიქრადაც არ მოსვლია ქორწინების ნებართვის ქაღალდის ჩვენება ეთხოვნა. კაპიტანი სინკბარზი სრულიად მოეჯადოებინა პუნშის შემზადების რებეკას ოსტატობას. აგრეთვე ახალგაზრდა ლეიტენანტი

სპეტერდერშიც (რომელსაც პიკეტი უყვარდა და რომელსაც კროული ხშირად ეპატიჟებოდა შინ) აშკარად და მსწრაფლ დაიმორჩილა ქალბატონმა კროულიმ. მაგრამ წინდახედულებას, თავდაჭერილობასა და კდემამოსილებას არასოდეს ერთი წუთითაც არ უღალატია მისთვის; ხოლო კროულის სახელი, ვითარცა თავზეხელაღებული და მძვინვარე მეომრისა, კიდევ უფრო მტკიცე და სრული საფარველი იყო მისი პატარა ცოლისათვის.

ამ ქალაქში ბევრი კარგი გვარიშვილი და წარმოსადეგი ვაჟბატონი მოიპოვება, რომელსაც მანდილოსნის სასტუმრო ოთახში არც შეუხედავს; ასე, რომ როუდონ კროულის ქორწინებაზე იქნებ მის საგრაფოში კი ყბედობდნენ, სადაც, რასაკვირველია, მისის ბიუტმა ქვეყანას მოსდო ეს ამბავი, მაგრამ ლონდონში ეჭვის თვალით უცქეროდნენ, ან ყურადღებას არ აქცევდნენ, ან კიდევ სულაც არ ლაპარაკობდნენ ამაზე. კაპიტანი კროული არხეინად და ხელგაშლილად ცხოვრობდა ვალებით. მას უზარმაზარი ნავალები თანხა ჰქონდა, რომელსაც თუ ჭკვიანურად მოიხმარდა, მრავალ წელიწადს გაიტანდა თავს. ასეთი თანხით ზოგიერთი აქაური კაცი ასჯერ უფრო უკეთ ცხოვრებას ახერხებს, ვიდრე თვით ნაღდფულიანი ხალხი. მართლაც, აბა ლონდონის ქუჩებში რომელ მოსიარულეს არ შეუძლია დაასახელოს რამდენიმე კაცი მაინც, რომელნიც ჩაუქროლებენ ხოლმე დიდებული ეტლით (თვითონ კი ფეხით მიჩანჩალებს!), რომელთაც სულ მოდებზე უჭირავთ თვალი, რომელთაც თავიანთ ეტლებში მძიმედ უკრავენ თავს ვაჭრები, ჩიტის რძესაც არ იკლებენ და ვინ იცის კი რითი ცხოვრობენ. ჩვენ ვხედავთ, ჯეკ თრიფტლესი პარკში დააგელვებს ბედაურს, ან კიდევ ახალმოდის ეტლით პელ-მელზე მიჰქრის. ჩვენ მივირთმევთ მისი განსაცვიფრებელი ვერცხლის ჭურჭლეულით მორთმეულ სადილებს. „საიდან უნდა იყოს ესენი, - ვკითხულობთ ჩვენ, - ანდა ნეტა რითი დაბოლოვდება. - „ჩემო ძვირფასო, ერთხელ ყური მოვკარი, - ამბობდა ჯეკი, - მე ვალი ევროპის ყველა სატახტო ქალაქში ამიღიაო“. რომელიმე დღეს დადგება დასასრულიც, მაგრამ მანამდე კი ჯეკი მაინც ძველებურად პარპაშებს: ხალხს გვარიანად უხარია მისი ხელის ჩამორთმევა; ყურს არიდებენ იმაზე აქა-იქ ჩურჩულით ნათქვამ პატარ-პატარა ბნელ-ბნელ ამბებს და აღიარებენ, გულკეთილი, მხიარული, თავქარიანი ყმაწვილიაო.

ჭეშმარიტება გვაიძულებს გამოვტყდეთ, რომ რებეკამ სწორედ ამ ჯურის ვაჟბატონი შეირთო. ყოველივე უხვად იყო მის სახლში გარდა ნაღდი ფულისა, რომლის ნაკლებობა ფრიად მალე იგრძნო მათმა მეურნეობამ. ერთ დღეს, „გაზეთს“ რომ ათვალიერებდა, ცნობას წააწყდა: „ლეიტენანტი ოსბორნი ნაყიდობით ინიშნება კაპიტნად ნაცვლად სმითისა, რომელიც უცვლის მას ადგილსო“. მაშინ გამოთქვა როუდონმა ის აზრი ემილიას სატრფოს მიმართ და რაც რასელ-სკვერს სტუმრობით დაგვირგვინდა.

როდესაც როუდონმა და მისმა მეუღლემ კაპიტან დობინთან გამოლაპარაკება მოანდომეს საჯარო ვაჭრობის დროს, რათა დაწვრილებით გაეგოთ რებეკას ძველი ნაცნობების თავს დატეხილი უბედურების ამბავი, კაპიტანი სადღაც გაიპარა და ეს ცნობები ვიღაც ბარგის მზიდავი მუშისა თუ საჯარო ვაჭრობაზე უსაქმოდ მოყიალე მაკლერისაგან შეიტყვეს.

- ერთი შეხედე ამ ნისკარტმოკაუჭებულთა ბრბოს, - უთხრა ქმარს ბეკიმ, რომელსაც იღლიაში მხიარულად ამოეჩარა შეძენილი სურათი და ეტლში ჯდებოდა. - სწორედ სვავებს არა ჰგვანან ნაომარზე?

- არ ვიცი. ომში ჯერ არ შემხვედრია ყოფნა, ძვირფასო. მარტინგეილსა ჰკითხე, ესპანეთში იყო გენერალ ბლეიზისის ადიუტანტად.

- ძალიან გულკეთილი ბერიკაცი იყო ბატონი სედლი, - თქვა რებეკამ, - სწორედ რომ მართლა მწყინს მისი გაუბედურება!

- აჰ, მაკლერები... ბანკროტობა... უნდა გითხრა, შეჩვეულნი არიან! - მიუგო როუდონმა და ცხენს ყურზე ბუზი აუფრთხო.

- ნეტავი ცოტაოდენი ვერცხლეულის შეძენა მაინც მოგვეხერხებინა, როუდონ, - მგრძნობიარედ განაგრძო ცოლმა. - ოცდახუთი გინეა გასაგიჟებლად ძვირი იყო იმ პაწაწკინტელა ფორტეპიანოსთვის. ჩვენ ბროდვუდის მაღაზიაში ამოვარჩიეთ ეგ ემილიასთვის, სასწავლებლიდან რომ დავბრუნდით. მაშინ კი მხოლოდ ოცდათხუთმეტი ღირდა.

- რა ჰქვიან იმასა... ოსბორნი ალბათ დაფრთხება ახლა, მე მგონი, ოჯახი რომ გაღატაკდა. რა გულდამწვარი იქნება შენი ცუგრუმელა მეგობარი, ჰა, ბეკი?

- იმედი მაქვს, გამომჯობინდება, - ღიმილით ბრძანა ბეკიმ. მათ გასწიეს და მერე გზაში რაღაც სხვაზე გააბეს მუსაიფი.

თავი XVIII. ვინ უკრავდა კაპიტან დობინის ნაყიდ ფორტეპიანოს

ჩვენი შეყოვნებული მოთხრობა ახლა, მცირე ხნით, ფრიად სახელგანთქმულ ამბებსა და პიროვნებათა შორის აღმოჩნდება და ისტორიის საზღვრების თავზე დაიწყებს ტრიალს. როდესაც კორსიკელი მატრაკვეცის, ნაპოლეონ ბონაპარტის, არწივები მოფრინავდნენ პროვანსიდან, სადაც ელბაზე მოკლე ხანს დაყოვნების შემდეგ ჩამოსხდნენ და შემდეგ კოშკის წვეროდან კოშკის წვერომდე ფრენით პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის კოშკებს მიაღწიეს, ნეტავი იმპერატორის ფრთოსნებს ოდნავ მაინც თუ გადაუვლიათ თვალი ლონდონის ბლუმსბერის სამრეკლოს იმ პატარა კუთხისათვის, რომელიც ისე მყუდრო და მიყრუებული გეგონებოდათ, იფიქრებდით, თვით ამ მძლავრი ფრთების შხუილი და ტყლაშატყლუშიც შეუმჩნევლად ჩაივლის აქაო.

„ნაპოლეონი გადმოჯდა კანაში!“ - ამ ამბავს შეეძლო პანიკა გამოეწვია ვენაში, აეძულებინა რუსეთი ხელთ აეღო თავის გეგმებზე, კვლავ კუთხეში მიეჭუჭკა პრუსია; ტალეირანისა და მეტერნისისათვის, ორთავესთვის ერთად, თავების ქნევა დაეწყებინებინა, ხოლო თავადი ჰარდენბერგი და თვით ახლანდელი მარკიზი ლონდონდერი შეეშფოთებინა. მაგრამ რა უნდა დაეშავებინა ამ ცნობას რასელ-სკვერელი ყმაწვილი ქალისათვის, რომლის კარწინ, მის ძილში, დარაჯი სთვლიდა საათებს, რომელსაც მოედანზე რომ სასეირნოდ გავიდოდა, მესერი და ეკლესიის ყარაული იცავდა; რომელსაც სულ მოკლე მანძილიც რომ ჰქონოდა გასავლელი ბაბთის საყიდლად საუთემპტონროუში, უშველებელჯოხიანი ზანგი სემბო ეახლებოდა თან; რომელსაც მარად უვლიდნენ, აცმევდნენ, ლოგინში აწვენდნენ და ყოველთვის უამრავი დაქირავებული და უქირაო მფარველი ანგელოზი დასტრიალებდა თავს. Bon Dieu[51], მოგახსენებთ მე, განა ბოროტება არ არის, რომ

იმპერიათა უდიდესი ბრძოლის საბედისწერო შეჯახებამ ისე არ ჩაიაროს, თუ არ ავნო საბრალო, პატარა, თვრამეტი წლის უწყინარ გოგონას, რომელიც ალერსიან ღუღუნსა და მარმაშის საყელოების ქარგვაშია გართული რასელ-სკვერს? ო, შენ, უნაზესო, უმწიკვლო, ყვავილო!.. ნუთუ მომავალი აგრიალებული დიდი ომის ქარიშხალი შენს მიწასთან გასწორებას ეპირება აქ, თუმცა ჰოლბორნს შეგიფარებია თავი და კუთხეში მიყუჟულხარ? დიახ, ნაპოლეონი უკანასკნელ გროშს დებს თამაშში და აგრეთვე საბრალო პატარა ემი სედლის ბედნიერება რატომღაც მის ნაწილს შეადგენს.

უპირველეს ყოვლისა ამ საბედისწერო ამბავმა მამამისის ქონება გაანადგურა. ბოლო დროს უბედურ მოხუცს ყველა საჭირო საქმე უკუღმა წაუვიდა. სავინიცობო, გაბედული საქმეები ჩაეფუშა, ვაჭრები გაკოტრდნენ, სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები გაძვირდა მაშინ, როცა მას გაიაფების იმედი ჰქონდა. რა საჭიროა დაწვრილებით ჩამოთვლა? თუ წარმატება და წინსვლა იშვიათი და ნელია, ყველამ იცის, დაქცევა და განადგურება რა სწრაფი და ადვილია. ძველებურად იყო მყუდრო, დოვლათიან სახლში - გულკეთილი დიასახლისი არხეინად განაგრძობდა უქმ ფაციფუცს და ყოველდღიურ ჩვეულ მსუბუქ დროსტარებას; ქალიშვილი კვლავ შთაენთქა იმავე თავკერძა, ნაზ ფიქრს და მის გარდა ქვეყნიერების ზურგზე სრულიად არაფერი ადარდებდა, როცა ის საბოლოო მეხი გავარდა და მიწასთან გაასწორა პატიოსანი ოჯახი.

ერთ საღამოს ქალბატონი სედლი წვეულებისათვის მოსაპატიჟებელ ბარათებს წერდა: ოსბორნებმა უკვე გამართეს და აბა, ის ხომ არ უნდა ჩამორჩენოდა! ჯონ სედლი სიტიდან ძალიან გვიან დაბრუნდა და ჩუმად უჯდა ბუხარს, ცოლი რაღაცას ეყბედებოდა. ემი თავს უქეიფოდ და უგუნებოდ გრძნობდა და თავის ოთახში იყო ასული.

- ემი უბედურია, - განაგრძობდა დედა. - ჯორჯ ოსბორნი უგულოდ ექცევა. ვეღარ ვიტან იმ ხალხის ბღინძვას! სამი კვირაა გოგოები აქ აღარ გამოჩენილან. ჯორჯი კი ორჯერ იყო ქალაქში და არ შემოუვლია. ედუარდ დვილს ენახა ოპერაში ედუარდი, დარწმუნებული ვარ, ითხოვდა ემის. აი, კიდევ კაპიტანი დობინიც არ დაიწევდა უკან, მაგრამ ყველა ოფიცერი მეჯავრება. რა დარდიმანდი გახდა ეს ჯორჯი! მართლა რა

ძალიან იჯგიმება! ჩვენ უნდა დავანახოთ ზოგ ხალხს, რომ არაფრითაც არ დავუვარდებით, ოღონდ ცოტა კი წაახალისე ედუარდ დეილი და ნახავ! ჩვენ წვეულება უნდა გავმართოთ, ბატონო სედლი, რატომ ხმას არ იღებ, ჯონ? გავმართოთ ორი კვირის შემდეგ, სამშაბათს? რატომ არას მეუბნები, ჯონ? ღმერთო მიშველე, ჯონ, რა მოხდა?!

ჯონ სედლი წამოიჭრა სკამიდან და მიეგება მეუღლეს, რომელიც მისკენ გაექანა. მოხვია მკლავები და აჩქარებით უთხრა: - ჩვენ გავღატაკდით, მერი! კვლავ თავიდან უნდა შევუდგეთ ცხოვრებას, ძვირფასო. სჯობია, ყველაფერი ერთბაშად გაიგო!

ამის წარმოთქმაზე ყველა კუნთი უთრთოდა და კინაღამ წაიქცა. ეგონა, ეს ამბავი ბოლოს მოუღებდა მის მეუღლეს, მის მეუღლეს, რომლისთვისაც ხმამაღალი სიტყვა არ უკადრებია. მაგრამ რა მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო ეს თავზარდაცემა, მაინც მოხუცი სედლი უფრო შეწუხებული ჩანდა. როცა იგი კვლავ სკამზე დაეშვა, სწორედ ცოლმა იკისრა მანუგეშებლის მოვალეობა. მანდილოსანმა აიღო მისი აკანკალებული ხელი, აკოცა და ყელზე შემოიხვია. უწოდებდა თავის ჯონს, თავის საყვარელ ჯონს, თავის ბერიკაცს, თავის კეთილ ბერიკაცს. ეუბნებოდა სიყვარულისა და ალერსის გამომხატველ ათას აბდაუბდას. მეუღლის გულითადმა ხმამ და წრფელმა ალერსმა აუწერელი სიამითა და სევდით აღავსო მოხუცის დამწუხრებული გული, გაამხნევა და ანუგეშა მისი დამძიმებული სული.

მთელი გრძელი ღამის განმავლობაში ერთად ისხდნენ და მხოლოდ ერთხელ, როცა საბრალო სედლიმ გაიხსნა გული და უამბო თავისი დანაკლისისა და გაჭირვებათა ამბავი, ზოგი ძველი მეგობრის ღალატი და ზოგი ისეთი კაცის ვაჟკაცური, კეთილი ქცევა, რომელთაგან არასოდეს არ მოელოდა ამას, - როცა მოხუცმა ყოველივე აღიარა, - მხოლოდ ერთხელ ვერ შეიკავა თავი ერთგულმა ცოლმა და წამოსცდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ეს ხომ ემის გულს გაუხეთქსო!“

მამას აღარ მოჰგონებია საბრალო გოგონა. ემი თვალგახელილი, გაუბედურებული იწვა ზემოთ. მეგობართა, ოჯახსა და მოსიყვარულე მშობლებს შორის იგი ეულად გრძნობდა თავს. განა რამდენ ადამიანს შეუძლია მთლიანად გადაუშალოს კაცმა გული? განა ვინ გამოიჩენს გულახდილობას იქ, სადაც

თანაგრძნობას ვერ ხედავს; ან კიდევ ვინ მოინდომებს გაუტყდეს მათ, რომელთაც მისი არაფერი ესმით? ჩვენი ნაზი ემილიაც ასეთი განმარტოებული გახლდათ. მას, ასე ვთქვათ, გულის მესაიდუმლე არ გააჩნდა სწორედ მის შემდეგ, რაც გასანდობი გაუჩნდა. მოხუც დედას ვერ გაუმხელდა თავის ჭირ-ვარამს, ხოლო სამულეები დღედადღე უფრო და უფრო უცხოდ ეჩვენებოდნენ. ავი წინათგრძნობანი და შიში არ შორდებოდა ემის, მაგრამ მთლიანად თავსაც არ გაუტყდებოდა ხოლმე, თუმცა გულის სიღრმეში კი მუდამ მათ დასტრიალებდა მისი ფიქრი.

მისი გული დაჟინებით ცდილობდა დაემტკიცებინა, ჯორჯ ოსბორნი ღირსეულია და ჩემი ერთგულიაო, თუმცა ემიმ იცოდა, რომ ტყუოდა. რამდენი რა არ უთქვამს მისთვის და პასუხი კი არ მიუღია. თავკერძაობისა და უგულისყურობის რამდენი ეჭვი განუცდია და ჯიუტად გადაულახავს. ვისთვის უნდა ეთქვა საბრალო, პატარა წამებულს ეს ყოველდღიური ჭიდილი და ტანჯვა? თვით მის გმირს მხოლოდ სანახევროდ ესმოდა მისი გულისტკივილი. ემი ვერა ბედავდა ეცნო, რომ სატრფო მისი ღირსი არ იყო, ან ეგრძნო, რომ გული ერთობ აჩქარებით გააბოძა. რაკი ერთხელ გააბოძა, წმინდა, კდემამოსილი ქალწული იმდენად მორცხვი, ნაზი, ალალი, სუსტი და იმდენად დიაცი გახლდათ, რომ ამ გულს უკან ვეღარ გამოსწირავდა. ჩვენ თათრებივით ვეპყრობით ჩვენი ქალების გრძნობებს და ამასთანავე ჩვენს აზრებს ვახვევთ თავს. მათ სხეულს ნებას ვაძლევთ საკმაოდ თავისუფლად გამოჩნდნენ ხალხში ღიმილით, კულულებითა და ვარდისფერი ქუდებით, ნაცვლად პირსაბურავებისა და ჩადრებისა, მაგრამ მათი სულის დანახვა კი მხოლოდ ერთადერთ მამაკაცს შეუძლია და ისინი არც თუ უკმაყოფილოდ ემორჩილებიან და თანხმდებიან შინ ჩვენს მონებად დარჩენას, ჩვენს სამსახურსა და ჩვენთვის მძიმე ჯაფას.

ასე იყო დატყვევებული და ნატანჯი ეს ნაზი, პატარა გული, როცა მარტში, ქრისტეს აქეთ 1815 წელს, ნაპოლეონი გადმოჯდა კანაში. ლუი XVIII გაიქცა, მთელი ევროპა შეშფოთებამ მოიცვა, სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების კურსი დაეცა და მოხუცი ჯონ სედლი გაღატაკდა.

ჩვენ არა გვაქვს განზრახული აღვწეროთ გაკოტრებული პატიოსანი მაკლერის ის უკანასკნელი ტანჯვა-წამება და

ფართხალი, რაც მან გამოსცადა მანამდე, სანამ მისი კომერციული გარდაცვალება მოხდებოდა. ეს საფონდო ბირჟაში გამოცხადდა. თვითონ თავის კანტორაში აღარ გამოჩენილა. მისი თამასუქები გააპროტესტეს, მისი გაკოტრება კანონით იქნა აღიარებული. რასელ-სკვერის სახლსა და ავეჯს ყადაღა დაადეს და საჯარო ვაჭრობით გაყიდეს, ის და მისი ოჯახი კი, როგორც ვნახეთ კიდეც, გარეთ გამოჰყარეს - სადაც გნებავთ იქ შეაფარეთ თავიო.

ჯონ სედლის გულმა ვეღარ გაუძლო, კვლავ გადაეხედა თავის შინამოსამსახურეთათვის, რომელნიც წამდაუწუმ გვხვდებოდნენ ამ წიგნის ფურცლებზე და რომელთაც გაღატაკების გამო იძულებული იყო გამოსალმებოდა. ამ პატიოსანი ხალხის გასამრჯელო იმ კეთილსინდისიერებით იქნა გასტუმრებული, რასაც მხოლოდ დიდ ვალებში ჩავარდნილი ადამიანები იჩენენ ხშირად. გული სწყდებოდათ, ასეთ კარგ ადგილებს რომ ეთხოვებოდნენ, მაგრამ ძალიანაც არ დაუხოციათ თავები სათაყვანო ბატონ-ქალბატონთან განშორებაზე. ემილიას პირისფარეშმა უხვად გამოთქვა თანაგრძნობა, მაგრამ სრულიად დაარხეინებული კი წაბრძანდა. სჯობია ქალაქის უფრო წარჩინებულ უბანში ვიშოვო საქმეო. თავისი ხელობის ბრმა სიყვარულით გატაცებულმა ზანგმა სემბომ სამიკიტნოს გახსნა განიზრახა. მხოლოდ პატიოსანმა მოხუცმა ქალბატონმა ბლენკონსოპმა, რომელსაც ეხილა არა მარტო ჯოზისა და ემილიას დაბადება, არამედ ჯონ სედლისა და მისი მეუღლის მიჯნურობის დროც და მათ სამსახურში გვარიან თანხასაც მოუყარა თავი, გადასწყვიტა უჯამაგიროდ დარჩენილიყო მათთან. კიდეც წაჰყვა გაღატაკებულებს ახალ, ღარიბულ თავშესაფარში, დაადგა მათ თავს და თანაც დაბუზღუნებდა იქ ცოტა ხანს.

მოვალეებთან დავამ ისე სასტიკად შეაწუხა დამდაბლებული მოხუცი, რომ ექვსმა კვირამ უფრო მეტად დააბერა. ვიდრე წინანდელმა თხუთმეტმა წელიწადმა. და ამ დავაში ყველაზე უჯიათ და ჯიუტ მოწინააღმდეგედ სედლის ძველი მეგობარი და მეზობელი, ჯონ ოსბორნი ჩანდა, ჯონ ოსბორნი, რომელიც მან ფეხზე დააყენა, რომელიც ათასნაირად ჰყავდა პატივცემული და რომლის ვაჟიც სედლის ქალიშვილზე იყო დანიშნული. ამ ჩამოთვლილ გარემოებათაგან სათითაოდ ყველა საკმარისი იქნებოდა ოსბორნის მტრობის გასამძვინვარებლად.

თუ კაცს დიდი პატივი სცა და დახმარება გაუწია ვინმემ, რომელსაც შემდეგ წაეჩხუბა, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი წესრიგის ძალით, პირველი მათგანი გაცილებით სასტიკ მტრად მოეკიდება თავის კეთილისმყოფელს, ვიდრე ვიგინდარა უცხო. და რათა გაამართლონ თავიანთი გულქვაობა და უმადურება ამ საქმეში, ისინი თავს მოვალედ თვლიან მოპირდაპირე მხრის დანაშაული დაამტკიცონ. ის კი არ არის მთავარი, რომ იგი თავკერძა, ხარბი, სასტიკი და გულმოსულია, რადგან საქმე ჩაეფუშა - არა, არა, აქ ის არის მთავარი, რომ მისმა ამხანაგმა ჩაითრია იგი უმდაბლესი ღალატითა და უბოროტესი განზრახვით. შემდეგ კი, უბრალო ლოგიკური თანამიმდევრობის წყალობით, შემავიწროვებელი და მჩაგვრელი იძულებულია დაანახვოს ქვეყანას, რომ დაცემული კაცი არამზადაა, თუ არა და თვით იგი იქნება მაშინ მიჩნეული თაღლითად.

და საზოგადო წესი, რომლის მიხედვითაც სისასტიკის გამოჩენის მომხრე ყველა მევალე ერთობ არხეინად გრძნობს თავს, ის გახლავთ, რომ ალბათ გასაჭირში ჩავარდნილი არც ერთი კაცი არ უნდა იყოს პატიოსანი. კოტრები რაღაცას მალავენ, აზვიადებენ ხელსაყრელ შემთხვევათა სიკეთეს, ხელს აფარებენ საქმეთა ნამდვილ სურათს. მაშინ, როცა საქმეები უიმედო მდგომარეობაშია, ამბობენ აყვავების გზას ადგასო. პირზე ღიმილი აკერიათ (სედიანი ღიმილი კი არის!), სწორედ გაკოტრების პირას რომ დგანან. მზად არიან ყოველ შესაყოვნებელ საბაბს ჩასჭიდონ ხელი და ყოველნაირი ფული გამოიყენონ, რათა ერთი-ორი დღით მაინც კიდევ შეაგვიანონ გარდუვალი განადგურება. „ასე მოუხდება იმისთანა უსინდისოს“, - ნიშნის მოგებით ამბობს მევალე და ლანძღავს დაცემულ მტერს. სულელო, „რა ხავსს ეჭიდები?“ - ჩასძახის წყნარი, კეთილი გონება წყალწაღებულ კაცს. „არამზადავ, რად უფრთხი გაზეთში მოხვედრას, როცა იცი, რომ თავს მაინც ვერ დაიძვრენ?“ - ეუბნება ბედნიერი შავ მორევში მოფართხალე საწყალ კაცს. ვის არ შეუნიშნავს ის მზადყოფნა, რომლითაც უახლოესი მეგობრები და ყველაზე პატიოსანი ხალხიც კი ეჭვიანობენ და ერთმანეთს ბრალს სდებენ მოტყუებაში, როცა საქმე ფულზე მიდგება? ყველა ასე შვრება. მე მგონი, ყველა მართალია და თვითონ ქვეყნიერება უნდა იყოს თაღლითი.

მერე კიდევ ოსბორნი ვერ იტანდა ძველი პატივისცემის მოგონებას - ეს უფრო აღიზიანებდა და აქეზებდა მას: იგი

ყოველთვის მიზეზია მტრობის გაღრმავებისა. დაბოლოს მას სედლის ქალიშვილისა და თავისი ვაჟის ნიშნობაც უნდა ჩაეშალა და ვინაიდან ეს საქმე უკვე მართლაც შორს იყო წასული, თანაც საბრალო გოგონას ბედნიერება და იქნებ სახელის გატეხაც უკავშირდებოდა ამას, ჯონ ოსბორნმა აუცილებლად მიიჩნია, უმძიმესი მიზეზები წამოეყენებინა განხეთქილების გასამართლებლად, რათა დაემტკიცებინა, რომ ჯონ სედლი ჭეშმარიტად გათახსირებული ვიგინდარა იყო.

ამიტომ მევალეთა კრებებზე სასტიკად და ზიზღით ეპყრობოდა სედლის, რამაც თითქმის ბოლო მოუღო ამ დაცემულ, გაღატაკებულ მოხუცს. ჯორჯ მაშინვე აუკრძალა ემილიასთან ურთიერთობა: ჭაბუკს წყევლა-კრულვით დაემუქრა, ჩემ ბრძანებას არ გადახვიდეო, და ლანძღვა დაუწყო საბრალო უმანკო ქალს - უმდაბლესი, ყველაზე ცბიერი და ანჩხლი გომბიო არისო. ერთ-ერთი უმთავრესი პირობა რისხვისა და სიძულვილისათვის ის გახლავთ, რომ საძულველი პირის საზიანოდ თქვენი ნათქვამი ტყუილი კიდეც უნდა გჯეროდეთ. რათა, როგორც უკვე მოგახსენეთ, საქმეთა ლოგიკურ თანამიმდევრობა სარ უღალატოთ.

როცა მათ უკანასკნელი რისხვა დაატყდა თავს: გაკოტრება საჯაროდ გამოცხადდა, რასელ-სკვერიდან გამოდევნეს და აუწყეს, რომ იმას, ემილიასა და ჯორჯს შორის ყოველივე გათავებული იყო, ყოველივე გათავებული იყო იმასა და სიყვარულს შორის, იმასა და ბედნიერებას შორის, იმასა და ადამიანობის რწმენას შორის; როცა ჯონ ოსბორნის ტლანქმა ბარათმა ორიოდე სიტყვით აცნობა მას, მამაშენი ისე მოიქცა, რომ ჩვენს ოჯახებს შორის აღარავითარი ურთიერთობა აღარ შეიძლება არსებობდესო! - როცა ეს საბრალო მსჯავრი შეიტყო ქალმა, ისე დიდად არ დასცემია თავზარი, როგორც მშობლები, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც დედამისი შიშობდა (რადგან თვით ჯონ სედლი ერთიანად შთაენთქა და მიწასთან გაესწორებინა საკუთარი ქონებისა და სახელის განადგურების მწუხარებას). ფერდაკარგულმა ემილიამ ძალიან წყნარად მიიღო ცნობა. ეს მხოლოდ დიდი ხნის წინანდელი ავბედითი წინათგრძნობანი განხორციელდა. ეს მხოლოდ სასჯელის უბრალო წაკითხვას წარმოადგენდა იმ დანაშაულისათვის, რომელიც დიდი ხანია რაც ჩაიდინა - დანაშაული უგუნურად, თავდავიწყებით, წინდაუხედავად შეყვარებისა. მას ისევე, როგორც წინათ, არც ახლა გაუზიარებია ფიქრები ვინმესთვის. ისე ჩანდა, თითქოს

არც მომატებოდა მის უბედურებას სიმძიმე ახლა, როცა შეიცნო, რომ ყოველი იმედი მიეწურა, ვიდრე მაშინ, როცა გრძნობით გრძნობდა, მაგრამ აღიარებას კი ვერა ბედავდა. ასე რომ დიდი სახლიდან პატარაში გადასვლისას კრინტი არ დაუძრავს და არც შეუმჩნევია განსხვავება. უხმოდ ჭკნებოდა და იცრიცებოდა დღედადღე. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველა მანდილოსანს ასე ემართება. ჩემო საყვარელო მის ბულოკ, არა მგონია, თქვენ ასე გაიხეთქოთ გული. თქვენ გონებასაღი, მტკიცე ხასიათის ყმაწვილი ქალი ბრძანდებით. მე თვითონაც ვერ გავბედავ მოგახსენოთ, თითქოს ჩემი გული ვერ გაუძლებდა: მან განიცადა ტკივილი და უნდა ვაღიარო, მაინც მშვიდობით გადაურჩა. მაგრამ ზოგი ასეთი ნაზი აღნაგობის სულიც მოიპოვება ქვეყანაზე - ასე სათუთი, სუსტი და აზიზი.

როცა მოხუც ჯონ სედლის მოაგონდებოდა ჯორჯის და ემილიას დანიშვნის ამბავი, ან ვინმე სიტყვას გადაუკრავდა, იგი თითქმის ისეთივე სიმწარით ხვდებოდა მას გულში, როგორც თვით ბატონმა ოსბორნმა გამოამჟღავნა. იგი წყევლიდა ოსბორნსა და მის ოჯახს და მათ უგულოებს, ბოროტებსა და უმადურებს უწოდებდა. იფიცავდა, დედამიწის ზურგზე ვერაფერი ძალა ვერ მაიძულებს ჩემი ქალი იმ არამზადის ვაჟს მივათხოვოო. ემის უბრძანა გულიდან ამოერეცხა ჯორჯი და უკანვე დაებრუნებინა მისგან მიღებული ყველა საჩუქარი და წერილი.

ემილიამაც მორჩილად აღუთქვა და სცადა შეესრულებინა. გადასდო, ორი-სამი მცირე რამ ნივთი, რაც შეეხება წერილებს, ამოალაგა და გადაიკითხა თავიდან ბოლომდე, თითქოს უკვე ზეპირად არ სცოდნოდეს ისინი, მაგრამ შელევით მაინც ვერ შეელია. ეს ცდა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. მან კვლავ გულში ჩაიკრა ისინი, როგორც ქალი ჩაიხუტებს ხოლმე გულში და არწევს უკვე გარდაცვლილ შვილს. ახალგაზრდა ემილია გრძნობდა, რომ სული ამოხდებოდა ან გაგიჟდებოდა, თუ ამ ერთადერთ უკანასკნელ ნუგეშსაც წაართმევდნენ. როგორ აუწითლდებოდა და გაუბრწყინდებოდა სახე, როცა ამ წერილებს იღებდა! გულაჩქროლებული როგორ მიფრთხიალებდა სადმე კუთხეში, რომ თავისთვის ჩუმად წაეკითხა! თუ ბარათი ცივი იყო, ეს მოხიბლული პატარა სული მაინც რა ჯიუტად და დაჟინებით გულთბილად განმარტავდა და თარგმნიდა ხოლმე. თუ მოკლე და თავკერძა შინაარსისა იყო, რა ბოდიშს არ მოხდიდა მის მომწერს!

ამ ორიოდე ქაღალდის ნაგლეჯს დასცქეროდა და დასცქეროდა ემი. იგი მხოლოდ წარსულით სულდგმულობდა. ყოველი ბარათი თითქოს რაიმე შორეულ ამბავს აგონებდა. მერე ყველაფერი რა კარგად ახსოვდა! ჯორჯის გამოხედვა და ხმის კილო, მისი ტანსაცმელი, რას და როგორ იტყოდა იგი; - გარდაცვლილი გრძნობის მხოლოდ ეს ნაშთი და სამახსოვრონიღა დარჩენოდა მას ქვეყნიერების ზურგზე და სიცოცხლის მიზნად მხოლოდ სიყვარულის გარეშე თავდგომა მიეჩნია.

გამოუთქმელი წადილით ნატრობდა სიკვდილს. „მაშინ ხომ იმას ვეღარავინ მომაშორებსო“, - ფიქრობდა იგი. მე ხოტბას არ ვასხამ მის ქცევას და არც მისაბაძ ნიმუშად ვუყენებ მის ბულოკს. მის ბულოკმა უკეთ იცის, როგორ უწინამძღვროს თავის გრძნობებს, ვიდრე ამ პატარა საბრალო სულიერმა. მის ბულოკი არასოდეს არ ჩაიგდებდა თავს ამ ყოფაში, როგორც ამ თავქარიანმა ემილიამ ჩაიდინა: სამუდამოდ დაუწინდა გული სიყვარულს, სრულიად დაემორჩილა გრძნობას, შესწირა გული, სამაგიეროდ კი აბა რა მიიღო! მხოლოდ ფუჭი, უმნიშვნელო დაპირება, რომელიც მსწრაფლ განქარდა. ხანგრძლივი ნიშნობა ამხანაგობასა ჰგავს, რომელშიც ერთი მხარე თავისუფალია დაიცვას ან დაარღვიოს ხელშეკრულება, მაგრამ მეორის თანხა კი მთლიანად არის დაბანდებული საქმეში.

მაშ იფრთხილეთ, ახალგაზრდა მანდილოსანნო, წინდახედულად დაინიშნეთ! მოერიდეთ გულწრფელ სიყვარულს. ნურასოდეს გამოთქვამთ მთელ თქვენს გრძნობას, ან კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ ძალიან ცოტას იგრძნობთ. გაითვალისწინეთ ნაადრევი პატიოსნებისა და გულწრფელობის შედეგი და ნუ ენდობით ნურც თქვენს თავს და ნურც სხვა ვინმეს. ისე იქორწინეთ, როგორც საფრანგეთში შვრებიან, სადაც ვექილები არიან საპატარძლოს მდადები და გულის მესაიდუმლე დობილები. ასეა თუ ისე, გულში ნურასოდეს შეუშვებთ ისეთ გრძნობას, რაც შემდეგ შეგაწუხებთ, ან ნუ დადებთ ისეთ პირობას, რომლის შეცვლა და მასზე უარის თქმა ყოველი საჭიროების შემთხვევაში თავისუფლად არ შეგეძლოთ. ეს გახლავთ გზა წარმატებისა, პატივისცემისა და ღირსეული სახელის მოპოვებისა ამაოების ბაზარში.

ემილიას რომ მოესმინა ის მითქმა-მოთქმა, რომელიც ატყდა მის

შესახებ იმ წრეში, საიდანაც მამამისის გაღატაკებამ ახლახან გამოდევნა იგი, მიხვდებოდა, რა დააშავა მან და რა დიდ საფრთხეში იყო ჩავარდნილი მისი სახელი. ასეთი დანაშაულებრივი უგუნურება ქალბატონ სმითს გაგონებითაც არ გაეგონა. ასე საშინლად დაახლოებას ქალბატონი ბრაუნი ყოველთვის კიცხავდა: ამნაირი ბოლო გაკვეთილად მაინც გამოადგებოდა მის ქალიშვილებს.

- კაპიტან ოსბორნს, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო კოტრის ქალის შერთვა, - ბრძანებდნენ დობინის ქალიშვილები. - ისიც სრულიად საკმარისია, მამამისმა რომ გააცურა ისინი. თვითონ პატარა ემილია ხომ რაღა!.. მისმა სიტუტუცემ სწორედ გადააჭარბა ყოველ...

- ყოველ რას? - დაიღრიალა კაპიტანმა დობინმა. - განა ისინი ბალღობიდანვე არ იყვნენ დანიშნულნი? განა ეს ქორწინებას არ უდრიდა? დედამიწის ზურგზე აბა ერთი გაბედოს ვინმემ კრინტი დასძრას და ავად მოიხსენიოს ეს ყველაზე ტურფა, ყველაზე უმანკო, ყველაზე ნაზი და ახალგაზრდა ქალთა შორის ყველაზე უფრო ანგელოზის სადარი ქალწული!

- ოჰო, უილიამ, ნუ გაცოფდები ახლა ჩვენზე. მამაკაცები არ გახლავართ და ვერც ხმალში გამოგყვებით, - უთხრა ჯეინმა. - ჩვენ მის სედლიზე ავი არაფერი გვითქვამს. მხოლოდ ისა ვთქვით, რომ მეტისმეტად უგუნურად იქცეოდა, კიდევ უფრო უარესი სახელით რომ არ მოვიხსენიოთ, და რომ მის მშობლებზე ახია მათი უბედურება.

- არ გირჩევნია, ახლა მის სედლი რომ თავისუფალია, შენ თვითონ ითხოვო იგი, უილიამ?- გესლიანად ჰკითხა მის ენმა. - სწორედ ჩინებულ ოჯახიშვილს კი შეირთავ! ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

- მე ვითხოვო! - გაცხარებით მიუგო დობინმა და სახეზე ალმური მოედო. - თუ თქვენ, ქალბატონო, ასე ადვილად შეგიძლიათ გამოცვლა და ახლების ძებნა, გგონიათ ისიც ასეთია? იცინეთ და უღრიჭინეთ კბილები იმ ანგელოზს. იმას არ ესმის. ის ხომ საცოდავი და უბედურია და ღირსია კიდეც დაცინვისა. აიგდე მასხარად, ენ! შენ ყველაზე ენამოსწრებული ბრძანდები ჩვენს ოჯახში და უყვართ ხოლმე შენი ლაპარაკის მოსმენა!

- კიდევ მოგახსენებ, უილიამ, რომ ჩვენ ყაზარმაში არ გახლავართ! - შენიშნა მის ენმა.

- ყაზარმაში... ღმერთს გეფიცები, აბა, ერთი ყაზარმაში გაებედა ვინმეს, რასაც თქვენ ამბობთ! - შეჰყვირა ამ გამძვინვარებულმა ბრიტანეთის ლომმა. - ნეტავი კი, ღვთის მადლმა, ვინმემ კრინტი დასძრას! მაგრამ ვაჟკაცები მაგას არ იტყვიან, ენ! მხოლოდ დედაკაცებმა იციან ასე - შეიკრიბებიან და სისინებენ, ჭყიპინებენ და კაკანებენ. აბა, კარგი ერთი, ნუ მოჰყვები ახლა ღრიალს. მე მხოლოდ ის გითხარით, რომ ორთავენი წყვილი ბატები ხართ და მეტი არაფერი. - დასძინა უილ დობინმა, როცა შეატყო, რომ მის ენს წითელი თვალები ჩვეულებისამებრ მოეწირპლა. - ოჰ, აბა ბატებიც არა ხართ, გედები ბრძანდებით... რაც გენებოთ ის იყავით, ოღონდ დაანებეთ, დაანებეთ თავი მის სედლის!

ამ ტუტრუცანა, თვალიბრეცია, მოარშიყე, პატარა გომბიოთი უილიამის გაგიჟების მსგავსი ამბავი არ გაგვიგონიაო, ერთხმად აცხადებდნენ დედიკო და დაიკოები. და გული უსკდებოდათ, ოსბორნთან საქმე რომ ჩაეფუშა, ახლა სასწრაფოდ ეს მეორე თაყვანისმცემელი კაპიტანი არ იგდოს ხელთაო. ამ წინათგრძნობებში ეს ღირსეული ახალგაზრდა მანდილოსნები, უეჭველია, თავიანთ საუკეთესო გამოცდილებათა მიხედვით სჯიდნენ. ან უფრო სწორად რომ მოგახსენოთ, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ არა ჰქონდათ შემთხვევა გათხოვების ან გაწბილებისა, ისინი თავიანთ საკუთარ შეხედულებათა მიხედვით მსჯელობდნენ კეთილისა და ბოროტის ცნებებზე.

- დედა! სწორედ ღვთისწყალობაა, რომ ჯარს საზღვარგარეთ გამგზავრება უბრძანეს, - განაცხადეს ქალიშვილებმა. - ამ ხიფათს მაინც გადაურჩება ჩვენი ძმა!

საქმე ჭეშმარიტად ასეც გახლდათ: საფრანგეთის იმპერატორი მართლაც გამობრძანდება როლის შესასრულებლად ამაოების ბაზრის ამ ჩვენს შინაურ კომედიაში და ეს კომედია არც არასოდეს გათამაშდებოდა, რომ ეს უავგუსტოესი მუნჯი პერსონაჟი არ ჩარეულიყო. სწორედ მან დაღუპა ბურბონები და ბატონი ჯონ სედლი, სწორედ თავის სატახტო ქალაქში მისმა ჩასვლამ მოაკიდებინა ხელი იარაღისათვის მთელ საფრანგეთს მის დასაცავად, ხოლო მთელ ევროპას კი - მის გასაძევებლად. სანამ საფრანგეთის ერი და ჯარი მარსის ველზე არწივების ირგვლივ ერთგულებაზე იფიცებოდა, ევროპის ოთხი ძლევამოსილი ლაშქარი დაძვრას ეპირებოდა დიდ chasse a I’aigle-ისთვის[52], და ერთი ამათგანი ბრიტანეთის ლაშქარი

გახლდათ, რომელშიც ჩვენი ორი გმირი, კაპიტანი დობინი და კაპიტანი ოსბორნიც ერია.

ნაპოლეონის გამოქცევისა და ხმელეთზე გადმოჯდომის ამბავი მამაცმა ...ე ლეგიონმა დიდის სიხარულითა და აღფრთოვანებით მიიღო, რაც ყველასათვის, ვინც ამ სახელგანთქმულ რაზმს იცნობს, სრულიად მისახვედრია. პოლკოვნიკიდან დაწყებული ლეგიონის უკანასკნელ მედოლემდე ყველა აღივსო იმედით, პატივმოყვარე განზრახვით, მამულიშვილური გატაცებით და მადლობას უთვლიდნენ საფრანგეთის იმპერატორს, თითქოს ევროპაში მშვიდობიანობის დარღვევით პირადად მათთვის ეცეს პატივი. ახლა დაუდგა მათ ასე დიდხანს სულწასულად ნანატრი დრო, ეჩვენებინათ თანამოლაშქრეთათვის, რომ ისევე მამაცად შეეძლოთ ბრძოლა, როგორც პირინეის ომის ვეტერანებს და რომ ამ ლეგიონის ვაჟკაცობა და გულოვნება ვერ გაენადგურებინა უესტ-ინდოეთსა და ყვითელ ციებას. სტაბლსა და სპუნის იმედი მიეცათ, ასულებს უფულოდ ჩავიგდებთ ხელშიო. ქალბატონი ო’ დაუდი, მაიორის მეუღლე, იმედოვნებდა ლაშქრობის დამთავრებამდე (რომელშიც გადაწყვეტილი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო) უკვე ხელი მოეწერა, ვითარცა პოლკოვნიკ ო’ დაუდის, აბინნოს რაინდის, მეუღლეს. ჩვენი ორი მეგობარიც (დობინი და ოსბორნი) სწორედ სხვებივით იყვნენ აღელვებულნი: ორივე თავისებურად - ბატონი დობინი ერთობ მშვიდად, ბატონი ოსბორნი კი დიდი ფართიფურთით - ფიქრობდა მოვალეობის აღსრულებას და თავისი წილხვედრი პატივისა და წარჩინების მოპოვებას.

ამ ამბებით გამოწვეული აღელვება ქვეყანასა და არმიაში ისე დიდი იყო, რომ პირად საქმეებს ნაკლებადღა უგდებდნენ ყურს. ალბათ ამიტომ, სწორედ ახლახან გაზეთში გამოცხადებული ჯორჯ ოსბორნი, მომავალი უცილობელი ლაშქრისათვის მზადებაში გართული და შემდგომ წარჩინებას სულწასულად მომლოდინე, რომელმაც ასეული ჩაიბარა, იმდენად აღარ შეუწუხებია სხვა ამბებს, უფრო დამშვიდებულ დროს რომ, უეჭველია, არ გამოეპარებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი არც თუ ისე ძალიან დაუღონებია კეთილი მოხუცის, ბატონ სედლის, უბედურებას. იმ დღეს, როცა უბედური ბერიკაცის მევალეთა პირველი კრება გაიმართა, ჯორჯი ახალ მუნდირს ისინჯავდა, რომელიც ძალიან ლამაზად ადგა ტანზე.

მამამ უამბო გაკოტრებულის ბოროტი, თაღლითური, სამარცხვინო ქცევის ამბავი; კვლავ მოაგონა, რაც წინათ უთხრა ემილიას შესახებ - თქვენი ურთიერთობა გაწყვეტილია სამუდამოდაო, და იმ საღამოს კარგი მოზრდილი თანხა უბოძა იმ ახალი მუნდირისა და ეპოლეტების ფასის გასასტუმრებლად, რომლებიც ასე უხდებოდა. ამ ხელგაშლილ ყმაწვილს ფული ყოველთვის სჭირდებოდა და ბევრი აღარ ულაპარაკია, ისე ჩამოართვა. სედლის სახლზე, სადაც ასე მრავალი, მრავალი ბედნიერი საათი გაეტარებინა, განცხადებები გაეკრათ. შინიდან რომ გამოვიდა, იმ ღამეს (ძველი სლოტერისაკენ მიემართებოდა: ქალაქში ყოფნის დროს იქ იცოდა ხოლმე ჩამოხდომა) კედელზე თვალი მოჰკრა მთვარის შუქზე თეთრად მოქათქათე გაკრულ ქაღალდებს, მაშ ემილია და მისი მშობლები უკვე გამოძევებული იყვნენ ამ დოვლათიანი სახლიდან; სად შეაფარეს თავი? მათი განადგურების ფიქრმა არა მცირედ შეაწუხა იგი. იმ ღამეს სლოტერის ყავახანაში ერთობ მოწყენით გამოიყურებოდა ჯორჯი და ამხანაგებმაც შენიშნეს, რომ სმას ეძალებოდა.

დობინმაც იქვე შემოიარა მაშინ და დაუშალა, ნუ სვამო. ამაზე ჯორჯმა მიუგო, ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ და მხოლოდ ამიტომ ვეტანები სასმელსაო. მაგრამ როცა მეგობარმა მიკიბ-მოკიბული გამოძიება დაუწყო და მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველებით ჩაეკითხა, რომ არა გაგიგია რაო, ოსბორნმა თავი აარიდა ლაპარაკს, ოღონდ გულახდილად კი აღიარა, უზომოდ შეღონებული და უბედური ვარო.

სამი დღის შემდეგ დობინი ყაზარმაში, მისსავე ოთახში, წაადგა თავს ოსბორნს, რომელსაც თავი მაგიდაზე ჩამოედო. გარშემო ქაღალდები იყო მიმოფანტული. ეტყობოდა, ახალგაზრდა კაპიტანი ძალიან იყო დაღონებული.

- იმან... იმან უკან დამიბრუნა ჩემი საჩუქრები... რაღაც წყეული ხარახურა. დახე!

იქვე იდო პატარა შეკვრა. ზედ, კარგად ნაცნობი ხელით, კაპიტან ჯორჯ ოსბორნის მისამართი ეწერა, გარშემო კიდევ ზოგი ნივთი ეყარა: ბეჭედი, ვერცხლის დანა, რომელიც, პატარა ბიჭი რომ იყო, მაშინ უყიდა ბაზარში; ოქროს ძეწკვი და თმიანი მედალიონი.

- ყველაფერი გათავდა, - ოხვრით თქვა სინდისის ქენჯნით

შეწუხებულმა ჯორჯმა. - აი, უილ, თუ გინდა წაიკითხე!

და პატარა, ორიოდე სიტყვიან ბარათზე მიუთითა, რომელშიც ეწერა: „მამაჩემმა მიბრძანა, უკან დამებრუნებინა ეს საჩუქრები, რომლებიც ბედნიერ დღეებში გიჩუქნია ჩემთვის და ამ წერილსაც უკანასკნელად გწერ. მე მგონია, შენც ჩემსავით განიცდი ჩვენს თავს დატეხილ უბედურებას. მე თვითონ გათავისუფლებ ჩვენი ნიშნობის პირობისაგან; ჩვენს ახლანდელ ბეჩაობაში ხომ ეს შეუძლებელი არის! მე დარწმუნებული ვარ, შენ არ გიდევს წილი ჩვენს უბედურებაში, ან კიდევ ბატონ ოსბორნის იმ სასტიკ ეჭვებში, რომელმაც ყველაზე უმძიმესი მწუხარება გვარგუნა. მშვიდობით იყავი, მშვიდობით! ღმერთს ვევედრები, რომ შემაძლებინოს გადავიტანო ეს და სხვა ბედშაობანი და გლოცო მარადის.

ე.

„მე ხშირად დავუკრავ ფორტეპიანოს, შენს ფორტეპიანოს. სწორედ შენებური იყო მისი გამოგზავნა“.

დობინი ძალიან გულჩვილი კაცი გახლდათ. შეწუხებული ქალებისა და ბავშვების ხილვა ყოველთვის გულს უჩუყებდა. მარტოდ დაგდებულ, გულდაჩაგრულ ემილიაზე ფიქრი გამწარებით გლეჯდა ამ გულკეთილ სულს და ისე აღელდა, რომ ვისაც ნებავს, დაე, ჯაბნობაშიაც ჩამოართვას. იგი იფიცავდა, ემილია ანგელოზიაო და ამაზე ოსბორნიც მთელი გულითა და სულით კვერს უკრავდა. ჯორჯიც თავიდან ბოლომდე იგონებდა მთელ მათ ცხოვრებას და ბალღობიდან აქამდე ყოველთვის ხედავდა მას უზომოდ ტურფას, უზომოდ უმანკოს, მომხიბლველად წრფელს, თავდავიწყებით მოსიყვარულესა და ნაზს.

რა გულსატკენი იყო ყოველივე ამის დაკარგვა, - რაც მას ეკუთვნოდა და როგორც ღირსი იყო, ისე კი ვერ დააფასა! ათასი უბრალო სურათი და მოგონება დაეხვია თავს ჯორჯს და ყველგან გულკეთილ და ტურფა ემის ხედავდა. თვითონ მას სირცხვილისა და სინდისის ქენჯნისაგან ალმური ავარდა სახეზე, საკუთარი თავკერძა და გულგრილი ქცევა რომ შეუდარა ამ სრულყოფილ სიწმინდეს. დროებით დიდება, ომი, ყველაფერი დაივიწყეს და ორი მეგობარი მხოლოდ ემიზე ბაასობდა.

- სად არიან? - იკითხა ობსორნმა ხანგრძლივი საუბრისა და დიდი დუმილის შემდეგ და, მართალი მოგახსენოთ, არა მცირედი დარცხვენითაც, როცა გაიფიქრა, რომ ჯერ ნაბიჯი არ გადაუდგამს, მისი ნახვისათვის. - სად არიან? აქ მისამართი არა წერია!

დობინმა იცოდა, მან არა მარტო ფორტეპიანო გაუგზავნა, არამედ ბარათიც მისწერა ქალბატონ სედლის და სთხოვა, ნება დაერთო მისულიყო და მოენახულებინა იგი. დობინმა ნახა ის და ემილია გუშინ, სანამ ჩეტემს წამოვიდოდა. რაც მთავარია, მანვე ჩამოიტანა უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი წერილი და შეკვრა, რამაც ასე ააღელვა ისინი.

გულკეთილმა ყმაწვილმა მხოლოდ ის აღმოაჩინა, რომ ქალბატონმა სედლიმ იგი ძალიან გულგაშლით მიიღო და დიდად შეშფოთებული იყო ფორტეპიანოს ჩამოტანით, რაც, როგორც მას დაესკვნა, ჯორჯის ხელიდან უნდა გამოსულიყო და მაშ მისი მხრით კეთილგანწყობილებას მოასწავებდა. კაპიტან დობინს არ უცდია ამ პატიოსანი მანდილოსნის შეცდომის გასწორება. მხოლოდ დიდის გულისყურით უსმენდა მთელ მის წუწუნსა და უბედურებათა ჩამოთვლას, თანაუგრძნობდა მას დანაკარგებისა და გაჭირვებათათვის და კვერიც დაუკრა, ბატონი ოსბორნის ბოროტი ქცევა თავის პირვანდელი კეთილისმყოფლის მიმართ დიაღაც რომ გასაკიცხიაო. როცა ცოტაოდნად მაინც მოიოხა მანდილოსანმა პირთამდე ავსილი გული და გამოთქვა თავისი მძიმე ჭირ-ვარამი, დობინმა მხოლოდ მაშინ გაბედა და იკითხა, ემილიას ნახვა თუ შეიძლებაო. ემილია ჩვეულებისამებრ ზემოთ ყოფილიყო თავის ოთახში და აცახცახებული ჩამოიყვანა იგი დედამ.

სიკვდილის ფერი ედო და სასოწარკვეთა ისე მკაფიოდ გამოსჭვიოდა მის გამოხედვაში, რომ საწყალი უილიამ დობინი შეშინდა მის დანახვაზე; ქალის ფერმიხდილ, გაყინულ სახეში ერთობ ავის მომასწავებელი ბედისწერის მსჯავრი ამოიკითხა. ემილია ორიოდე წუთს ჩამოჯდა, მერე დობინს შეკვრა ჩაუდო ხელში და დააყოლა: - ეს კაპიტან ოსბორნს წაუღეთ, გეთაყვა. მე... მე იმედი მაქვს, იგი სულ კარგად ბრძანდება... და თქვენ რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით და გვნახეთ... ჩვენ კიდევ ისე მოგვწონს ჩვენი ახალი სახლი. და მე... მე, სჯობია, ზემოთ ავალ, დედიკო, რაღაც სუსტადა ვარ...

ამ სიტყვებზე ღიმილით გამოესალმა კაპიტანს და წავიდა საბრალო გოგონა. დედამ, როცა მიაცილებდა შვილს, მწუხარედ გადმოხედა დობინს. გულკეთილ ყმაწვილს აღარა სჭიროდა ვედრება, თვითონაც თავდავიწყებით უყვარდა იგი. გამოუთქმელი სევდა, სიბრალული და შიში იგრძნო გულში და ისე წამოვიდა იქიდან იმის ნახვის შემდეგ, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო.

ოსბორნმა როგორც კი შეიტყო, ჩემს მეგობარს ემილია უპოვნიაო, ფიცხლად და სულწასულად დაიწყო საბრალო ქალის ამბის გამოკითხვა. როგორ არის? როგორ გამოიყურება? რას ამბობდა? ამხანაგმა ხელი ხელში მოჰკიდა ჯორჯს და პირდაპირ შეხედა სახეში.

- ჯორჯ, ის კვდება! - უთხრა უილიამ დობინმა და მეტი ხმის ამოღება ვეღარ შესძლო.

იმ პატარა სახლში, სადაც თავი შეაფარა სედლის ოჯახმა, ერთი ლაზათიანი, მხიარული, ირლანდიელი მოახლე ასრულებდა ყოველნაირ სამსახურს. ამ გოგოს წინათ მრავალჯერ ამაოდ უცდია შესწეოდა ემილიას და როგორმე ენუგეშებინა იგი. ემი იმდენად შეეღონებინა მწუხარებას, რომ არა თუ პასუხს არა სცემდა, არამედ ვერც გრძნობდა, როგორ იღვწოდა სხვა მისი გულისთვის.

დობინისა და ოსბორნის საუბრიდან ოთხი საათის შემდეგ ეს მოახლე შევიდა ემილიას ოთახში, სადაც იგი ჩვეულებისამებრ მდუმარედ ჩაჰკირკიტებდა თავის წერილებს - თავის პატარა საუნჯეს. ბედნიერმა და ეშმაკურად მომღიმარმა გოგომ ბევრჯერ სცადა საბრალო ემის ყურადღება მიექცია, მაგრამ იმას მაინც აინუნშიაც არ მოსდიოდა მისი იქ ყოფნა.

- მის ემი! - შეეხმიანა ბოლოს გოგო.

- მოვდივარ, - თავაუღებლად მიუგო ემიმ.

- ამბავი მოიტანეს, - განაგრძო მოახლემ. - აი, რაღაც არის... ის კი არა, მართლა ვიღაც არი... თქვენთვის ახალი წერილია... ნუღა წაიკითხავთ მაგ ძველძვულებს! - და მიაწოდა წერილი. ემიმ ჩამოართვა და წაიკითხა.

„მე უნდა გნახო შენ, - ეწერა წერილში, - ძვირფასო ემი, ძვირფასო სატრფო, ძვირფასო ცოლიკო. ჩამოდი ჩემთან!“

სანამ იგი ბარათს ჩაიკითხავდა, ჯორჯი და ემის დედა კარგარეთ იცდიდნენ.

თავი XIX. მის კროული მომვლელთა ხელში

ჩვენ ვნახეთ, ქალბატონის პირისფარეში მისის ფერკინი როგორ გრძნობდა თავს მოვალედ, კროულის ოჯახის რაიმე მნიშვნელოვან ამბავს თუ მოჰკრავდა ყურს, მყის შეეტყობინებინა მღვდლის მეუღლის, ქალბატონ კროულისათვის. ისიც ადრევე მოვიხსენიეთ, რა განსაკუთრებული გულკეთილობითა და ყურადღებით ეპყრობოდა ეს კეთილბუნებოვანი მანდილოსანი მის კროულის ნდობით აღჭურვილ მოახლეს. აგრეთვე მის ბრიგზის, ქალბატონის ამხანაგის, კარგი მეგობარიც გახლდათ და უკანასკნელის კეთილგანწყობილება იმ დიდი ყურადღების გამოჩენითა და დაპირებებით ჰქონდა დაბევებული, რაც ასე იაფი ჯდება, ხოლო მათი მიმღებისათვის კი დიაღაც ძვირფასი და საამოა. ჭეშმარიტად ყველა სარისტიანმა მეურნემ და ოჯახის გამგემ კარგად უნდა იცოდეს, რა იაფი და თანაც რა სანუკვარია ეს გულითადი აღიარებანი და ცხოვრებაში თვით ყველაზე უბრალო ულუფასაც რა საუცხოო სურნელებას მატებს. ნეტა ვინ ბრძანდებოდა ის გამოთაყვანებული რეგვენი, რომელმაც თქვა: „ტკბილი სიტყვები ძირთეთრას კარაქს ვერ წაუსვამსო“? საზოგადოების ნახევარს ძირთეთრა მხოლოდ ამ სახით მიერთმევა, მაგრამ ფრიად გემრიელად შეექცევიან. როგორც უკვდავ ალექსის სუაიეს ძალუძს გაცილებით უფრო გემრიელი წვენი მოხარშოს ნახევარი პენის სურსათით, ვიდრე ამას უბირი მზარეული მოახერხებდეს ბოსტნეულისა და ხორცის მრავალი გირვანქით, ასევე ენამჭევრი მსახიობი უფრო დიდი შთაბეჭდილებას მოახდენს ორიოდე სადა და ლაზათიანი გამოთქმით, ვიდრე რომელიმე უბრალო ფინაჩი, რომელსაც ხელთა აქვს საკმაოდ მდიდარი და მადლიანი სიტყვის მასალა. ის კი არა, ჩვენ ვიცით, რომ ზოგ სტომაქს ხშირად კიდეც შეაღონებს ხოლმე მსუყე, მადლიანი საზრდო, მაშინ როცა უმრავლესობა, რამდენსაც გნებავთ იმდენ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვას ჩინებულად მოინელებს და თანაც ყოველთვის იმავე

თავ საჭმელს კიდევ უფრო და უფრო მიეტანება. ბიუტის მეუღლე ისე ხშირად ჩასჩიჩინებდა ბრიგზსა და ფერკინს, უზომოდ მიყვარხართო, და მის კროულის სიმდიდრე რომ მქონდეს, თქვენისთანა საუცხოო, საყვარელი მეგობრებისათვის რას არ ვიზამდიო, რომ ზემოხსენებულ მანდილოსნებს უდიდესი პატივისცემა ჰქონდათ მისი და ისევე ემადლიერებოდნენ და ენდობოდნენ, თითქოს ამ ქალბატონს უძვირფასესი საჩუქრებით უკვე ყელთამდე აევსოს ისინი.

როუდონ კროული კი პირიქით, როგორც თავკერძა, ჭკუამოკლე, მძიმე დრაგუნი, არასოდეს ივიწყებდა თავს მამიდამისის ადიუტანტების გულის მონადირებისათვის. თანაბარი აშკარა ზიზღით ეპყრობოდა ორთავეს: როცა მოენებებოდა, ჩექმებს ახდევინებდა ფერკინს, ან კიდევ წვიმაში გააგდებდა სამარცხვინო ბარათის გადასაცემად, ხოლო თუ ოდესმე გინეას აჩუქებდა, ისე მიათხლეშდა თავში, თითქოს მუშტი ეთავაზებინოს. ვინაიდან მამიდასაც ნიშანში ჰყავდა ამოღებული ბრიგზი, როუდონი მის მაგალითს მისდევდა და არ ეშვებოდა თავისი მასხარაობით. კაპიტნის მასხარაობა და ხუმრობა ხომ მისი ტაიჭის წიხლებსა ჰგავდა! და ეს მაშინ, როცა მისის ბიუტი ეთათბირებოდა ბრიზს გემოვნებისა და სამძიმო საკითხებში, თაყვანსა სცემდა მის ლექსებს, ალერსიანობისა და თავაზიანობის ათასი მაგალითით უმტკიცებდა, რა დიდად აფასებდა მას. ფერკინისათვის ორიოდე პენის საჩუქარიც რომ მიეცა, იმდენ ქათინაურს დააყოლებდა, რომ მადლიერი პირისფარეშის გულში ორი პენი ოქროდ იქცეოდა, თანაც იგი სრულიად კმაყოფილი მოელოდა საკვირველ სარგებელს, რაც უნდა ხვდენოდა წილად იმ დღეს, როცა ბიუტის მეუღლე სიმდიდრეს იგდებდა ხელთ.

ამ ორი ადამიანის სხვადასხვა ქცევას ჩვენ მოწიწებით მივაქცევთ ცხოვრებაში ახლად ფეხშედგმულ პირთა ყურადღებას. შეაქეთ ყველა, ვურჩევ მათ: ნურასოდეს გერიდება და პირდაპირ პირში მიახალე შენი ქათინაურები და ზურგს უკანაც ნუ დაიშურებ ქებას, თუ იცი, რომ უეჭველად მის ყურს მისწვდება. ნურასოდეს გაუშვებ შემთხვევას, რომ კეთილი სიტყვა ჩააგდო. მდიდარი კოლინგვუდი ისე არ დაინახავდა თავისუფალი მიწის ნაგლეჯს თავის ადგილ-მამულში, რომ ჯიბიდან რკო არ ამოეღო და მსწრაფლ ნიადაგში არ ჩაეჩურთა. ასევე მოეპყარით თქვენს ქათინაურებს

ცხოვრებაში. რკო არაფერი ღირს, მაგრამ ეს რკო შეიძლება ვეებერთელა ხის მასალად იქცეს.

ერთი სიტყვით, როუდონ კროული როცა პარპაშებდა, მას მხოლოდ პირქუშად და უგულოდ ემორჩილებოდნენ; როცა შეირისხა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, მაშინ კი ხელი აღარავინ გაუწოდა და არ შეიბრალა. ხოლო ბიუტის მეუღლემ რომ ხელთ იგდო მის კროულის სახლის სარდლობა, იქაური გარნიზონი მოხიბლული იყო ასეთი ბელადის ხელქვეით ყოფნით: მისი დაპირებების, დიდსულოვნებისა და ენატკბილობის შემყურენი ყოველგვარ წარჩინებასა და გაბედნიერებას მოელოდნენ.

კაპიტანი კროული ერთი მარცხის შემდგომ დამორჩილებულად რომ არ ჩათვლიდა თავს და შეეცდებოდა კვლავ ხელთ ეგდო დაკარგული ადგილი, მღვდლის ცოლი არასოდეს ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა. მან იცოდა, რომ რებეკა, ძალიან ჭკვიანი, გაბედული და თავზეხელაღებული ქალი, უბრძოლველად არ დაუთმობდა. ამიტომ გრძნობდა, რომ ამ შეტაკებისათვის უნდა შემზადებულიყო და იერიშის, ძირის გამოთხრისა და ანაზდეული თავდასხმის განზრახვას მუდამ ფხიზლად დახვედროდა.

უპირველეს ყოვლისა, თუმცა ციხე-ქალაქი მას ეპყრა, უნდა ჰქონოდა თუ არა იქაური მთავარი მობინადრის ერთგულების იმედი? ვითომ თვით მის კროული გაუძლებდა? გულში ხომ არა სურდა კვლავ შერიგებოდა გაძევებულ მოწინააღმდეგეს? მოხუცს უყვარდა როუდონი და რებეკაც, რომელიც შეაქცევდა ხოლმე მას. ბიუტის მეუღლე ვერ დაუმალავდა თავს იმ ფაქტს, რომ მისი ოჯახის ვერც ერთი წევრი ისე ვერ ასიამოვნებდა ქალაქელ მანდილოსანს. „იმ ნამცეცა, საზიზღარი აღმზრდელი გომბიოს შემდეგ ჩემი ქალიშვილების სიმღერა, ვიცი, აუტანელია, - გულწრფელად აღიარებდა თავისთვის მღვდლის ცოლი. - მის კროულის ყოველთვის რული მოერეოდა ხოლმე, როცა მართა და ლუიზა დუეტს მღეროდნენ. ჯიმის ტლანქი კოლეჯური ყოფაქცევა და საწყალი ძვირფასი ბიუტის ყბედობა ძაღლებსა და ცხენებზე ყოველთვის თავს აბეზრებდა. ეს რომ ჩვენს ოჯახში ჩავიყვანო, ყველას გაგვირისხდება, მოგვიძულებს და გამოგვექცევა კიდეც... მე ვიცი, რომ გამოგვექცევა! მერე კვლავ იმ საზიზღარ როუდონს შეიძლება ჩაუვარდეს ბრჭყალებში და იმ დალეული ასპიტის, შარპის,

მსხვერპლად იქცეს. ხოლო ამჟამად ჩემთვის ცხადია, რომ იგი ძალიან ავად არის და რამდენიმე კვირას მაინც ვერ წამოდგება. ამასობაში უნდა რაიმე ვიღონო, რომ იმ უზნეო ხალხის ოინებს გადავანარჩუნოთ“.

ჩინებულად როცა გრძნობდა თავს, მაშინაც რომ ვინმეს ეთქვა მის კროულისთვის, უქეიფოდ გამოიყურებიო, აცახცახებული ბებერი მყის თავის ექიმს დაიბარებდა. ახლა კი, მეც გავბედავ და მოგახსენებთ, მართლაც ძალიან ავად გახლდათ ოჯახში მომხდარ იმ თავზარდამცემი ამბის წყალობით, რომელიც იმაზე უფრო გულმაგარსაც არ დააყრიდა ხეირს. ასე თუ ისე, ბიუტის მეუღლემ გადაწყვიტა, ჩემი მოვალეობაა ექიმს, მეაფთიაქეს, ქალბატონის dame de compagnie-ს და შინამოსამსახურეებს ვაცნობო, რომ მის კროული ფრიად სახიფათო მდგომარეობაშია და შესაფერისი მოვლაც ესაჭიროებაო. ქუჩა მუხლებამდე დააფარვინა ჩალით, ხოლო კარზე დასაკაკუნებელი კვერი ბატონ ბოულზს ჭურჭლეულში შეანახვინა. დაიჟინა, ექიმი დღეში ორჯერ უნდა მოვიდესო, და ყოველ ორ საათში წამლებითა სჭყიპავდა ავადმყოფს. როცა ფეხს ვინმე შედგამდა ოთახში, ისეთი სისინითა და ავის მომასწავებელი ხმით აღმოუტევებდა „სსს...უო“, რომ გულს გაუხეთქდა ლოგინადჩავარდნილ საწყალ ბებერს, რომელიც საწოლიდან თავს ისე ვერ გადმოყოფდა, რომ მღვდლის ცოლის ხარბად მიშტერებულ, მძივებივით ბრჭყვიალა, წვრილ თვალებს არ შეჰფეთებოდა, ვინაიდან ეს მანდილოსანი ფეხმოუცვლელად უჯდა საწოლთან მდგარ სავარძელში, მისი თვალები კი თითქოს ნაპერწკლებს აფრქვევდა სიბნელეში (ფარდები მუდამ ჩამოშვებული ჰქონდა), კატასავით ხავერდოვანი თათებით რომ მიდი-მოდიოდა ოთახში. მის კროული იწვა ლოგინში მრავალ დღეს, მრავალ, მრავალ დღეს, და ბიუტის მეუღლე სულის საცხონებელ წიგნებს უკითხავდა მთელი ღამეობით, მთელი გრძელი ღამეობით, როცა მის ყურს სწვდებოდა ქუჩაში მოარული დარაჯის სტვენა და ღამის სანათის შიშინი. ღამეში, ყველაზე ბოლოს, ფეხაკრეფით შემოსული მეაფთიაქე მოინახულებდა. ამის შემდეგ კი იგი მღვდლის ცოლის ბრჭყვიალა თვალებისა და იმ ყვითლად მოციმციმე შუქის ანაბარა რჩებოდა, რომელსაც სანთელი ისროდა პირქუშ, ჩაბნელებულ ჭერზე. თვით ჰიგიაც კი დასნეულდებოდა ასეთი მოვლით, ამ საბრალო, დაბერებულ, ჭირვეულ მსხვერპლზე ხომ რაღა გვეთქმის! უკვე მოგახსენეთ,

რომ როცა ჯანმრთელად და კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა ამაოების ბაზრის ეს ღირსპატივცემული გვამი, სარწმუნოებასა და ზნეობას ისეთი თვალით უყურებდა, თვით ბატონი ვოლტერიც უკეთესს ვერ ინატრებდა; მაგრამ რაკი სენმა დასჯაბნა, ეს სენი კიდევ უფრო გააარჯლა სიკვდილის შემაძრწუნებელმა შიშმა და სრული სულმოკლეობა და სილაჩრე დაეპატრონა არაქათგამოლეულ ბებერ ცოდვილს.

სნეულის სასთუმალთან მოსაწყენ ქადაგებათა და საღვთისმოსავო ბაასის გაბმა, რასაკვირველია, შეუფერებელია უბრალო მოთხრობაში და არც ჩვენა გვაქვს განზრახვა (როგორც ჩვეულებადა აქვთ დღევანდელ მწერლებს), თვალი ავუხვიოთ ხალხს და მივიტყუოთ ქადაგებაზე, როცა მხოლოდ კომედიის სანახავად გადაუხდია მკითხველს ფული. მაგრამ თუნდაც ქადაგებას თავი დავანებოთ, მტკიცედ უნდა ჩავინერგოთ გულში ის ჭეშმარიტება, რომ ალიაქოთი, ფაცი-ფუცი, ზეიმი, სიცილი და მხიარულება, რაც საჯაროდ გამოფენილი ჩანს ამაოების ბაზარში, ყოველთვის თან არა სდევს მსახიობს პირად ცხოვრებაში და რომ ხანდახან მას უსასტიკესი ჭმუნვა და პირქუში სინანულიც დაიბეჩავებს. დიდებული ნადიმის გახსენება ნაკლებ გაამხნევებს დასნეულებულ ეპიკურელს. უნატიფესი მორთულობებისა და წვეულებებზე ბრწყინვალე გამარჯვებათა მოგონებანი ერთობ მცირედ ანუგეშებს დამჭკნარ კეკლუცებს. იქნებ სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი, სიცოცხლის განსაზღვრულ დროს, დიდად არაფრად ეჭაშნიკებათ თვით უდიდესი ზეიმისა და გამარჯვების ხანაზე ფიქრი. და გუშინდელ წარმატებას ან სიამოვნებას ძალიან მცირე მნიშვნელობაღა ენიჭება, როცა ცნობილი (თუმცა კი უცნობი) ხვალინდელი დღე გველის, რომელსაც ყველა ჩვენგანი, დღეს იქნება თუ ხვალ, მაინც უეჭველად უნდა ჩაუფიქრდეს.

ო, ძმანო ტაკიმასხარანო! განა ხანდახან კაცს არ მობეზრდება კბილის კრეჭა, ღრეცა და მასხარის ჩაჩისა და ეჟვნების ჟღარუნი? ეს გახლავთ, ჩემო ძვირფასო მეგობარნო და ამხანაგნო, ჩემი საამური საქმე: ვისეირნო თქვენთან ერთად ბაზარში, ვათვალიერო იქაური დუქნები და სანახაობანი. მერე კი ბრწყინვალებასა, ხმაურსა და მხიარულებაში ყოფნის შემდგომ ყველანი შინ დავბრუნდებით და ბეჩაობაში ჩავცვივით მარტონი.

„იმ ჩემ საცოდავ კაცს ტანზე რომ თავი ებას, - ფიქრობდა ბიუტ კროულის მეუღლე თავისთვის, - როგორ გამოადგებოდა ახალანდელ ყოფაში ამ უბედურ მოხუცს! შეეძლო აეძულებინა, დაეგმო თავისი თავზარდამცემი, თავისუფალი, მკრეხელური აზრები; შეეძლო დაერწმუნებინა იგი, აღესრულებინა თავისი მოვალეობა და მოეშორებინა ის ბილწი არამზადა, რომელმაც თავიც შეირცხვინა და ოჯახიც. აგრეთვე შეეძლო აეგულიანებინა, ჯეროვნად დაეფასებინა ჩემი ძვირფასი გოგოები და ორი ვაჟი, რომელთაც ესაჭიროებათ და, დარწმუნებული ვარ, ღირსიც არიან ნათესაობის მხრით ყოველნაირი შემწეობისა“.

და ვინაიდან მანკიერების სიძულვილი ყოველთვის სათნოებისაკენ გადადგმულ ბიჯს მოასწავებს, ბიუტის მეუღლემ სცადა მულისთვის ბეჯითად ჩაენერგა სათანადო ზიზღი როუდონ კროულის ყველა მრავალფეროვანი შეცდომებისადმი, რომელთა იმ სიგრძე ნუსხა გამოამზეურა ძალუამ, რომ ჭეშმარიტად ახალგაზრდა ოფიცერთა მთელი რაზმის მსჯავრდასადებადაც იკმარებდა. თუ კაცს ცხოვრებაში ფეხი წაუცდა, მისი შეცდომების საქვეყნოდ სააშკარაოზე გამოტანისათვის მე არ მეგულება მის საკუთარ ნათესავებზე უფრო თავგამოდებული ზნეობის მოქადაგენი. ასე რომ, ბიუტის ცოლმა სრულყოფილი ნათესაური დაინტერესება და ცოდნა გამოიჩინა როუდონის თავგადასავლისა. მან სულ დაწვრილებით იცოდა კაპიტან მარკერთან უგვანი ჩხუბის ამბავი, რომელიც თავიდანვე დამნაშავე როუდონმა კაპიტნის მოკვლით დააბოლოვა. მან იცოდა უბედურ ლორდ დავდეილის ამბავიც: მის დედიკოს ოქსფორდში სახლი ჰქონდა მისთვის დაჭერილი, რომ იქ ესწავლა და სანამ ლონდონს არ ჩავიდა, ყმაწვილს თავის სიცოცხლეში ხელი არ უხლია ბანქოსთვის, როუდონმა კი „ქოქოსის პალმაში“ აცთუნა: უმწეოდ დაათრო ახალგაზრდობის ამ საზიზღარმა მაცთუნებელმა და გამხრწნელმა და ოთხი ათასი ააფცქვნა. ბიუტის მეუღლე მეტად თვალსაჩინოდ და მკაფიოდ აღწერდა როუდონისაგან დაღუპული სოფლის ოჯახების ტანჯვა-წამებას: სირცხვილსა და სიღატაკეში ჩაყრილ ვაჟიშვილებს და შეცდენილ და დაღუპულ ქალიშვილებს. იგი იცნობდა მედუქნეებს, რომელნიც მისმა მფლანგველობამ გააკოტრა: იცოდა მისი გაიძვერული ფანდები და ოინები; განსაცვიფრებელი თაღლითობანი, რომლითაც იგი ატყუებდა, ყველაზე

დიდსულოვან მამიდას და უმადურება და მასხარად აგდება, რითიც გადაუხადა მას პატივისცემა. ამ ამბებს თანდათანობით ატყობინებდა მის კროულის და უთქმელი აღარაფერი დაუტოვებია. ასეთი მოქმედება თავის მოვალეობად მიაჩნდა, როგორც ქრისტიან მანდილოსანსა და ოჯახის დედას. იოტისოდნადაც არ განიცდიდა სინანულს ან სინდისის ქენჯნას იმ მსხვერპლისათვის, რომელსაც მისი ენა ზვარაკად სწირავდა. პირიქით, როგორც ეტყობოდა, სრულიად ღირსეულად და საქებურადაც სთვლიდა თავის ქცევას და ყოყოჩობდა და თავი მოჰქონდა იმ სიმტკიცით, რომლითაც იგი აღასრულებდა ამ საქმეს. დიახ, თუ ვინმე გასაჭორავი და გასალანძღია, რაც გინდა ბრძანეთ და, მისივე ნათესავისთანად ამას ვერავინ მოახერხებს. ამ ბედშავი როუდონ კროულის განსასჯელად კი, კაცმა უნდა აღიაროს, მარტო ნამდვილი ამბებიც იკმარებდა და ყოველი მოჭორილი ბოროტმოქმედება აშკარად ზედმეტად მოღებული გარჯა გახლდათ მისი მოკეთეების მხრით.

ახლა რებეკაც რომ დაუნათესავდა, ბიუტის მეუღლის გულკეთილ კვლევა-ძიებაში მისმა საქმეებმაც სათანადო, რაც შეიძლება სრული ადგილი დაიჭირა. ჭეშმარიტების ამ დაუღალავმა მაძიებელმა წინდაწინ გასცა სასტიკი ბრძანება, როუდონის არც ერთი მსტოვარი და არც ერთი მისი წერილი სახლის კარზე არ გააჭაჭანოთო. მერე ჩაჯდა მის კროულის ეტლში, წავიდა და ჩიზიკის ხეივანში, მინერვა-ჰაუზში, თავის ძველ მეგობარს, ქალბატონ პინკერტონს შეატყობინა მის შარპისაგან კაპიტან როუდონის შეცდენის საზარელი ამბავი და მისგანვე მოიპოვა ყოველი დაწვრილებითი ცნობა ყოფილი აღმზრდელი ქალის წარმოშობისა და ადრინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ. ლექსიკოგრაფის მეგობარს უხვად მოეპოვებოდა ცნობები. მის ჯიმაიმას მოატანინა ხატვის მასწავლებლის ხელწერილები და ბარათები. ერთი მოვალეთა საპატიმროდან იყო მოწერილი; მეორეში ავანსს ევედრებოდა; მესამე აღვსილი იყო მადლობის სიტყვებით ჩიზიკის ქალბატონთა მიერ რებეკას მიღებისათვის; ხოლო უბედური მხატვრის უკანასკნელი ბარათი სასიკვდილო სარეცელიდან იყო მოწერილი: მომაკვდავი დაობლებულ შვილს ქალბატონ პინკერტონის მფარველობას ავედრებდა. აქ ერთად შეგროვილი გახლდათ აგრეთვე რებეკას ბავშვობისდროინდელი წერილები და თხოვნები, რომლებშიც ან იხვეწებოდა მამას დაეხმარეთო, ან კიდევ თვითონ უცხადებდა მადლობას. იქნებ ამაოების

ბაზარში წერილებზე უკეთესი სატირა არც მოიპოვებოდეს! აბა, აიღეთ ხელში თქვენი ძვირფასი მეგობრის ათი წლის წინანდელი წერილების შეკვრა, ძვირფასი მეგობრისა, რომელიც ახლა გძულთ. გადახედეთ თქვენი დის ბარათების წყებას, როგორ ებღაუჭებოდით ერთმანეთს, სანამ ჩხუბი არ მოგივიდათ ოცგირვანქიანი მემკვიდრეობის გულისთვის! გადაშალეთ ბატიფეხური ხელით ნაწერი ბარათები ვაჟიშვილისა, რომელმაც მას შემდეგ კინაღამ გულზე გაგხეთქათ თავისი თავკერძა ურჩობითა და გაუგონრობით. ან კიდევ თვალი გადაავლეთ თქვენივე საკუთარ წერილებს, გაჟღენთილს უსაზღვრო გრძნობითა და მარადიული სიყვარულით, რომლებიც უკან გამოგიგზავნათ თქვენმა გულის დედოფალმა, როცა იგი ნაბობს გაჰყვა ცოლად, იმ თქვენმა გულის დედოფალმა, რომელიც ახლა თქვენ ისევე არაფრად გიღირთ, როგორც ელისაბედ დედოფალი. აღთქმანი, ფიცი, სიყვარული, დაპირებანი, აღიარებანი, მადლიერება - რა საოცარი წასაკითხია დროის გასვლის შემდეგ! ამაოების ბაზარში კანონად უნდა იყოს შემოღებული, რომ ყოველგვარი ნაწერი საბუთი განადგურდეს (გარდა მედუქნეების მიერ მოცემული ვალის გასტუმრების ხელწერილებისა) ერთგვარ მოკლე და სათანადო ხნის განვლის შემდგომ. ის თაღლითები, თვალთმაქცნი და კაცთმოძულენი, რომელნიც აცხადებენ, წაუშლელ იაპონურ მელანს ვყიდითო, თავიანთ ბოროტ გამოგონებიანად უნდა დაიღუპონ. ამაოების ბაზარში მოსახმარი საუკეთესო მელანი ის იქნება, რომელიც სრულიად გახუნდება ორიოდე დღეში და ქაღალდს წმინდასა და სუფთას დასტოვებს, რათა შეგეძლოს ახლა კიდევ სხვა ვინმეს მისწერო იმავე ქაღალდით.

ბიუტის დაუღალავმა მეუღლემ შარპისა და მისი ასულის კვალს ქალბატონ პინკერტონისაგან უკან მისდია გრიკ-სტრიტის ბინამდე, რომელიც განსვენებულ მხატვარს ეჭირა. ამ ბინის ქირის სანაცვლოდ დახატული სურათები თეთრი ატლასის კაბაში გამოწყობილი დიასახლისისა და ბრინჯაოს ღილებიან მისი მეუღლისა. ქალბატონი სტოუკსი ენაგრძელი მანდილოსანი აღმოჩნდა და სასწრაფოდ ჩამოუყაჭა ყველაფერი, რაც იცოდა ბატონი შარპის შესახებ: რა ფუქსავატი, თავქარიანი და ღატაკი იყო იგი, რა გულკეთილი და საამური; როგორ დასდევდნენ მუდამ სასამართლოს ბოქაულები და აბეზარა მევალეები, დიასახლისის შესაძრწუნებლად (იგი

ვერასოდეს ვერ შეეგუა იმ დედაკაცს!) მხატვარმა თავის ცოლზე, იმ ქალის სიკვდილამდე მხოლოდ ცოტა ხნით ადრე, როგორ დაიწერა ჯვარი, რა საოცარი პატარა მელაკუდა ქალიშვილი ჰყავდა; ყველას როგორ ახარხარებდა იგი თავისი ხუმრობითა და მანჭვა-გრეხით, როგორ მოჰქონდა ხოლმე ჯინი სამიკიტნოდან და როგორ იცნობდნენ მას ამ უბნის ყველა სტუდიაში.. ერთი სიტყვით, ბიუტის მეუღლემ შეაგროვა თავისი ახალი მაზლისწულის ცოლის შთამომავლობის, განათლებისა და ყოფაქცევის ისე სრული საბუთები, რომ რებეკას არა გვგონია ეამებოდა, თუ შეიტყობდა, რა გამოიძიეს მის შესახებ.

მთელი ამ გულმოდგინე კვლევა-ძიების შედეგი მის კროულის სრულად შეატყობინა მღვდლის ცოლმა. როუდონ კროულის მეუღლე, ოპერის მსახიობ გომბიოს ქალიშვილი, თვითონაც ცეკვავდა. მხატვრებს მოდელად ედგა. აღიზარდა ისე, როგორც დედამისის შვილს შეჰფეროდა. მამასთან ერთად მიირთმევდა ჯინს და სხვა. იგი სრულიად დაღუპული ქალი იყო და დაღუპულ კაცსაც მისთხოვდა. და ბიუტის მეუღლის მოთხრობიდან გამოსატანი შეგონება ის გახლდათ, რომ ამ ცოლ-ქმრის თაღლითობა და არამზადობა განუკურნებელი იყო და რომ წესიერ ადამიანს იმათკენ აღარ უნდა ებრუნებინა პირი.

ასეთ მასალას მოუყარა თავი წინდახედულმა ბიუტ კროულის მეუღლემ პარკ-ლეინში. ეს იყო, ასე ვთქვათ, სურსათი და საომარი ტყვია-წამალი, რომლითაც მან გაამაგრა სახლი როუდონისა და მისი მეუღლის უეჭველად მოსალოდნელი ალყის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ რაიმე წუნი მოეპოვება ბიუტის მეუღლის თადარიგს, მხოლოდ ის, რომ გადამეტებული გულმოდგინება და სიბეჯითე გამოიჩინა და, ცოტა არ იყოს, გადაამლაშა: უეჭველია მის კროული უფრო მეტად დააოსა, ვიდრე საჭირო იყო. აგრეთვე თუმცა ბებერი ავადმყოფი დაემორჩილა მის ბატონობას, ეს მბრძანებლობა ისე შემაღონებელი და სასტიკი შეიქნა, რომ მსხვერპლი მაშინვე შეეცდებოდა თავის დაღწევას, როგორც ოდნავ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა. გამგებელი დედაკაცები, სამკაულნი თავიანთი სქესისა, დედაკაცები, რომელნიც ყველაფერს და ყველას მბრძანებლობენ და ყველაზე უკეთ იციან, მოყვასს რა სჭირია

და რა უკეთესია მისთვის, ხანდახან არ ითვალისწინებენ შინაური ჯანყის შესაძლებლობას, ან კიდევ აუტანელი მბრძანებლობისაგან წარმოშობილ სხვა უკიდურეს შედეგს.

ასე, მაგალითად, ბიუტის მეუღლეს, უეჭველია, ქვეყნიერების ზურგზე საუკეთესო გრძნობები ამოქმედებდა, როცა თავი სიკვდილის პირას მიიყვანა ლოგინად ჩავარდნილი მულის გულისათვის ძილის, ჭამის და სუფთა ჰაერის დათმობით და იმდენად მტკიცედ დაიჯერა მოხუცის დასნეულება, რომ თავისი მოვლით კინაღამ საიქიოს არ გაისტუმრა იგი. ბიუტის მეუღლემ ერთ დღეს მის კროულის მუდმივ მეაფთიაქეს, ბატონ კლამპს, სიტყვა ჩამოუგდო გაღებულ მსხვერპლსა და მის შედეგებზე.

- დარწმუნებული ვარ, ჩემო ძვირფასო ბატონო კლამპ, - უთხრა მან. - ჩემი მხრით ცდა არ დამიკლია ჩვენი ძვირფასი ავადმყოფის განკურნებისათვის, რომელიც ძმისწულის უმადურობამ ჩააგდო ლოგინად. მე არასოდეს ვიხევ უკან. პირადი კეთილდღეობის გულისთვის; მე არასოდეს ვერიდები თავის განწირვას!

- თქვენი თავდადება, უნდა ვაღიაროთ, დიაღაც გასაოცარია, - მდაბლად თავის დაკვრით მოახსენებს ბატონი კლამპი, - მაგრამ...

- რაც ჩამოვედი, თითქმის თვალიც არ მომიხუჭავს; ჩემს ძილს, ჯანმრთელობას და ყოველნაირ მოსვენებას მოვალეობის გრძნობას ვანაცვალებ. ჩემი საბრალო ჯეიმზი რომ ავადა მყავდა ყვავილით, განა მას ვინმე დაქირავებულ ვიგინდარას დავაყენებდი თავს? არა!

- სწორედ ისე მოქცეულხართ, როგორც კარგ დედას შეჰფერის, ჩემო ძვირფასო ქალბატონო... როგორც საუკეთესო დედას შეშვენის; მაგრამ...

- როგორც შვილების დედასა და როგორც ინგლისის ეკლესიის მსახურის მეუღლეს! თავმდაბლად მჯერა, რომ კარგი აზრებით ვწინამძღვრობ, - ბრძანა ქალბატონმა კროულიმ მტკიცე შეგნების ბედნიერი ამპარტავნობით; - და სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს მივატოვებ, ბატონო კლამპ, ჩემი მოვალეობის აღსრულების ადგილს. ზოგმა შეიძლება ეგ ჭაღარა თავი მწუხარებით ლოგინად ჩააგდოს (აქ ბიუტის მეუღლემ ხელი გაიშვირა და მოხუც კროულის ერთ-ერთ წაბლისფერ

პარიკზე მიუთითა, რომელიც სადგამზე იყო ჩამოცმული საპირფარეშო ოთახში), მაგრამ მე კი არასდროს არ მივატოვებ მას. ოჰ, ბატონო კლამპ! ვშიშობ, ვიცი, რომ ამ სარეცელს ექიმობასთან ერთად სულიერი ნუგეშისცემაც ესაჭიროება.

- მინდოდა მომეხსენებინა, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - აქაც ერთხელ კიდევ ჩაურთო შეუდრეკელმა ბატონმა კლამპმა უწყინარი კილოთი, - მინდოდა მომეხსენებინა, როცა თქვენ გამოსთქვით შეხედულებანი, რომელიც აგრერიგად საპატიოდ მიგაჩნიათ, რომ, მე მგონი, თქვენ ტყუილად იწუხებთ თავს ჩვენი კეთილი მეგობრისათვის და ერთობ დაუზოგავად სწირავთ მსხვერპლად თქვენს საკუთარ ჯანმრთელობას.

- მე თავს დავდებ ჩემი მოვალეობის ანდა ჩემი მეუღლის ოჯახის ყოველი წევრისათვის, - ჩაურთო ბიუტის მეუღლემ.

- დიაღაც, ქალბატონო, თუკი საჭირო იქნება; მაგრამ ჩვენ არა გვსურს ბატონ ბიუტ კროულის მეუღლე ეწამოს, - თავაზიანად მოახსენა კლამპმა. - დოქტორმა სკუილზმა და მე, მთელი გულმოდგინეობითა და გულისყურით, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, ავწონ-დავწონეთ მის კროულის მდგომარეობა და დავასკვენით, რომ მას უგუნებობა და ნერვიულობა აქვს დაჩემებული; ოჯახის ამბებმა შეაშფოთა...

- მის ძმისწულსაც ამოხდება სული! - შესძახა ბიუტის მეუღლემ.

- შეაშფოთა და თქვენ კიდევ მფარველ ანგელოზად მოევლინეთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, ნამდვილ მფარველ ანგელოზად, გარწმუნებთ, რათა დააშოშმინოთ უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანი. მაგრამ დოქტორი სკუილზი და მე ვფიქრობდით, რომ ჩვენი საყვარელი მეგობარი ისეთ მდგომარეობაში არ იმყოფება, რომ მისი სარეცელზე მიჯაჭვა აუცილებელი იყოს. ის უგუნებოდ გრძნობს თავს, ეს ოთახში გამომწყვდევა კი იქნებ კიდეც უძლიერებდეს ამ უგუნებობას. გახალისება, სუფთა ჰაერი, მხიარულება სჭირდება - ეს ყველაზე უფრო მარგებელი და საამური წამლები მთელი კარაბადინში, - თქვა ღიმილით ბატონმა კლამპმა და გამოაჩინა თავისი ლამაზი კბილები. - დაარწმუნეთ წამოდგეს, ძვირფასო ქალბატონო, მოაშორეთ სარეცელსა და მის უგუნებობას, ჩააცივდით, ეტლით მაინც გაისეირნოს მცირე ხნით. სეირნობა თქვენს ღაწვებზედაც კვლავ ააყვავებდა ვარდებს, თუ ასე

კადნიერი ლაპარაკი არ გამირისხებდა ბატონ ბიუტ კროულის მეუღლეს!

- შემთხვევით მისი საზიზღარი ძმისწული რომ დაინახოს პარკში! მითხრეს, ის თაღლითი თავისი ბოროტმოქმედი, ლირფი ამხანაგითურთ იქ დასეირნობსო, - თქვა ბიუტის მეუღლემ (თავკერძაობისა და სიხარბის კატამ თავი ამოჰყო საიდუმლოების ხალთიდან). - მაშინვე ისეთი თავზარი დაეცემა, რომ იძულებული შევიქმნებით კვლავ სარეცელს დავუბრუნოთ იგი. მან ფეხი არ უნდა გადგას გარეთ, ბატონო კლამპ, სანამ მე თავს ვადგევარ, ის გარეთ ვერ გავა! ჩემი ჯანმრთელობა კი, აბა რა სახსენებელია? მე სიამოვნებით მიჩუქნია იგი, ბატონო ჩემო. მე მას ვწირავ ჩემი მოვალეობის საკურთხეველს!

- სიტყვას გაძლევთ, ქალბატონო, - ახლა კი პირდაპირ მიახალა კლამპმა, - რომ თუ კვლავ იმ ბნელ ოთახში ჩაკეტილი დარჩა, პასუხს აღარ ვაგებ მისი სიცოცხლისათვის. მის კროული ისე შფოთავს, რომ დღე-დღეზე შეიძლება გამოგვეცალოს ხელიდან. და თუ თქვენ გნებავთ კაპიტან კროულის დარჩეს მისი სამკვიდრო, გულახდილად გაფრთხილებთ, ქალბატონო, თქვენ სწორედ თავგამოდებით ემსახურებით მის საქმეს!

- უფალო შეგვიწყალე! განა მისი სიცოცხლე საფრთხეშია? - შესძახა ბიუტსი მეუღლემ. - რატომ, რატომ ადრევე არ მითხარით, ბატონო კლამპ?

წინა ღამეს ბატონი კლამპი და დოქტორი სკუილზი ღვინოს შეექცეოდნენ სერ ლეპინ უორენი სახლში, რომელსაც მეუღლე მეცამეტეჯერ უპირებდა ღვთისწყალობით დაჯილდოებას, და ლაპარაკი ჩამოვარდა მის კროულზე და იმის მდგომარეობაზე.

- რა ჰარპია ყოფილა ეს ერთი ციცქნა ჰემპშირელი დედაკაცი, კლამპ, - შენიშნა სკუილზმა, - ბებრუხანა ტილლი კროულის რომ გადაეფოფრა თავზე! ძაან კარგი ღვინო კი არის, აი!

- რამ გაატუტუცა ეგ როუდონ კროული, რომ ადგა და აღმზრდელი ქალი შეირთო, - მიუგო კლამპმა. - თუმცა გოგოსაც კი არა უშავდა რა!

- მომწვანო თვალები, თეთრი პირისკანი, კოხტა ტანადობა, შუბლის არის შესანიშნავი განვითარება, - შენიშნა სკუილზმა. - ...დიაღაც რომ არა უშავდა რა ქალს და კროული ხომ ტუტუცია,

კლამპ!

- ნამდვილი ტუტუცია და ყოველთვის იყო კიდეც! - კვერი დაუკრა მეაფთიაქემ.

- რაღა თქმა უნდა, ბებერი ახლოსაც აღარ მიასუნინებს იმას, - თქვა ექიმმა და ცოტა ხნის დუმილის მერე კიდევ დაუმატა, - მე მგონი, სიკვდილის შემდეგ ბლომად ქონება უნდა დარჩეს!

- დარჩება, - კრეჭით ეუბნება კლამპი, - მაგრამ არ კი ვინდომებდი დარჩენოდა ჩემი ორასი გირვანქა სტერლინგის გულისათვის წელიწადში.

- კლამპ, გენაცვა, ის ჰემპშირელი დედაკაცი ორ თვეში მოუღებს ბოლოს, თუ გვერდიდან არ მოშორდა, - თქვა დოქტორმა სკუილზმა, - ბებერი ქალია, მსუნაგი, ანჩხლი, გულის ფრიალიცა აქვს. ცოტა წნევა ტვინზე, დამბლა დაეცემა და ჰაიდა, - გაუდგება გზას! წამოაყენე ფეხზე, კლამპ; გარეთ გამოიყვანე, თორემ ბევრი კვირა აღარ დარჩენია წლიურად შენს ორასგირვანქიან ადგილს. - და სწორედ ამ გადაკრული სიტყვის წყალობით იყო, რომ ასეთის პირაოშობით ელაპარაკა პატიოსანი მეაფთიაქე ბიუტ კროულის მეუღლეს.

მოხუცი რაკი ჩაჭერილი ჰყავდა ლოგინში და ახლოც ადამიანის ჭაჭანება არ იყო, ბიუტის ცოლმა არა ერთხელ მიიტანა მასზე იერიში, რათა ანდერძი შეეცვლევინებინა, მაგრამ სიკვდილის წინაშე ჩვეულებრივი ძრწოლა მის კროულის დიდად უძლიერდებოდა ამნაირ პირქუშ ზრახვათა ხსენებაზე და ბიუტის მეუღლე მიხვდა, რომ მანამდე არ უნდა ჰქონოდა თავის სალოლიაო, ღვთისნიერი მიზნის მიღწევის იმედი, სანამ გუნებაზე არ მოიყვანდა, არ გაახალისებდა და ფეხზე არ დააყენებდა ავადმყოფს. უკვე ამის მომდევნო უმძიმესი საკითხი გახლდათ - საითკენ გაესეირნებინა იგი. ერთადერთი ადგილი, სადაც ალბათ ვერ შეხვდებოდა იმ საზიზღარ როუდონსა და მის ცოლს, ეკლესია იყო, მაგრამ ბიუტის მეუღლე სამართლიანად ფიქრობდა, ეს ვერ გაახალისებს მის კროულის გულსო. „მოდი, ჩვენი ლონდონის მშვენიერი გარეუბნები დავათვალიეროთ, - გაიფიქრა მაშინ, - გამიგონია, ქვეყნის ზურგზე ამაზე უფრო ლამაზი ადგილები არ მოიპოვებაო“. ამიტომ ბიუტ კროულის მეუღლეს ანაზდეულად შეუყვარდა ჰემპსტიდი და ჰორნზი. აგრეთვე აღმოაჩინა, დალიჯი დიდად მხიბლავსო. ჩასვა თავისი მსხვერპლი ეტლში

და გაუტია იმ სოფლური ადგილებისაკენ. მოკლე მოგზაურობებში როუდონისა და მისი ცოლის ამბების შეაქცევდა ბებერს და არაფერს სტოვებდა უთქმელს, რასაც კი შეეძლო განედიდებინა მისი ზიზღი იმ გარეწართა მიმართ.

იქნება ბიუტის მეუღლემ ამაოდ მოსჭიმა ასე უზომოდ ლარი, რადგან, მართალია, მის კროულის ერთგვარი სიძულვილი კი ჩაუნერგა გულში ურჩი ძმისწულისადმი, მაგრამ ავადმყოფს თავისი დამმონავებელიც ჭირივითა სძულდა, მისი ფარული შიში ჰქონდა და ცის მანანასავით მოელოდა მისი ხელიდან თავის დაღწევას. ცოტა ხნის შემდეგ აშკარად აჯანყდა ჰაიგეიტისა და ჰორნზის წინააღმდეგ: მე პარკში გავლა მინდაო. ბიუტის მეუღლემ იცოდა, საძაგელ როუდონს წააწყდებოდნენ იქ და არც მოტყუვდა. ერთ დღეს სასეირნო ბილიკზე როუდონის მსუბუქი ეტლიც გამოჩნდა; რებეკა ქმრის გვერდით იჯდა. მტრის ეტლში მის კროული თავის ჩვეულებრივ ადგილზე ბრძანდებოდა, მარცხნით ბიუტის მეუღლე, ხოლო უკან პუდელი და მის ბრიგზი ისხდნენ. ამაღელვებელი წუთი გახლდათ და, ეტლი რომ გამოიცნო, რებეკას გული აუფანცქალდა. როცა ეტლები ერთმანეთს გაუსწორდა, ხელები ღელვის ნიშნად ურთიერთს ჩასჭიდა და განაწამები სიყვარულისა და ერთგულების გამომეტყველი სახით ჩააშტერდა შინაბერას. თვით როუდონი აცახცახდა და ულვაშშეღებილ სახეზე ჭარხლისფერი დაედო. მეორე ეტლში მხოლოდ მოხუც ბრიგზს მოერია გრძნობა და შეშფოთებით გადაატრიალა დიდრონი თვალები ძველი მეგობრისაკენ. მის კროულის ქუდი ჯიქურ სერპენტაინისკენ იყო შებრუნებული, ბიუტის მეუღლე კი სწორედ ამ დროს გაიტაცა პუდელის ალერსმა და პატარა ტურფასა და საყვარელ პაწაწინა ფინიას ეძახდა. ეტლებმა განაგრძეს თავ-თავისი გზა.

- საქმე წასულია, ღვთის მადლმა! - ჩაულაპარაკა როუდონმა ცოლს.

- ერთხელ კიდევ ვცადოთ, როუდონ, - მიუგო რებეკამ. - ძვირფასო, ვერ მოახერხებ ჩვენი ეტლის თვალი იმათსას გამოსდო?

როუდონს მხნეობამ უღალატა და ეს ფანდი ვერ მოახერხა. როცა ეტლები კვლავ გაუსწორდნენ ერთმანეთს, იგი წამოდგა, ასწია ხელი, მზად ეჭირა ქუდის მოსაშვლეპად და თვალებად გადაქცეული იყურებოდა, მაგრამ ამჯერად მის კროულის აღარ

შეუქცევია პირი; იმან და მღვდლის ცოლმა პირდაპირ შეხედეს სახეში და ულმობლად მოუღეს ბოლო თავიანთ ძმისწულს. როუდონი ლანძღვით დაეშვა სკამზე, გამოიჭრა სასეირნო ბილიკიდან და სასოწარკვეთილი, ოთხამოღებით გაექანა შინისაკენ.

ეს გახლდათ ბიუტის მეუღლის ბრწყინვალე და აშკარა გამარჯვება. მაგრამ იგი მაინც გრძნობდა მრავალი ასეთი შეხვედრის საფრთხეს და გადასწყვიტა, რომ მისი ძვირფასი მეგობრის ჯანმრთელობისათვის, ფრიად აუცილებელი იყო, მცირე ხნით ქალაქს მოშორებოდნენ და დიდი თავგამოდებით ურჩევდა მას ბრაიტონს წასვლას.

თავი XX. კაპიტანი დობინი მოქმედებს ვითარცა ჰიმენაიოსის მოციქული

თვითონაც ვერ გაიგო კაპიტანმა უილიამ დობინმა, როგორ გახდა იგი დიდი ხელისშემწყობი, მომრიგებელი და გამრიგებელი ჯორჯ ოსბორნისა და ემილიას ქორწინებისა. ის რომ არა - ეს საქმე არც მოხდებოდა. გულში თვითონაც აღიარებდა ამას და ცოტა არ იყოს მწარედ ეღიმებოდა, როცა გაიფიქრებდა, რომ მთელი ქვეყნიერების ზურგზე ყველა კაცებს შორის მასა ხვდა წილად ამ ქორწინებაზე ზრუნვა. თუმცა ამ საქმის მოწესრიგებისთანა სამძიმო და მტკივნეული ჯაფა ჭეშმარიტად სხვა მეორე არა ეგულებოდა რა. კაპიტან დობინს როცა რაიმე მოვალეობა ჰქონდა აღსასრულებელი, დაჩვეული იყო ბევრი ყოყმანისა და ლაპარაკის გარეშე შესდგომოდა საქმეს. და როგორც კი გული სრულად დააჯერა, თუ მის სედლის ჯორჯ ოსბორნის შერთვა ვერ მოუხერხდა, იმედის გაცრუების მწუხარება, თან გადაიტანსო, გადასწყვიტა, ყოველი ღონე ეხმარა, რომ იგი სიცოცხლეს არ გამოსალმებოდა.

თავს ვიკავებ დაწვრილებით მოგახსენოთ ჯორჯისა და ემილიას შეხვედრის ამბავი, როცა ვაჟი კვლავ აღმოჩნდა მისი გულის დედოფლის ფერხთა წინაშე (ან ხომ არ გავბედოთ და

ვაღიაროთ სატრფოს მკლავებში?) იმის მეგობრის, პატიოსანი უილიამის, წყალობით. ჯორჯზე უფრო მაგარი გულის პატრონიც გალღვებოდა, მწუხარებითა და სასოწარკვეთილებით ასე მწარედ დაჩაგრული ამ სანდომიანი სახის დანახვაზე და გულწრფელ, ნაზ ლაპარაკზე, როცა იგი მოუყვა თავის მოკლე, სევდიან ამბავს. მაგრამ ვინაიდან ემის გული არ შესწუხებია, როცა აცახცახებულმა დედამ ოსბორნი მოუყვანა და ვინაიდან მან მხოლოდ გზა მისცა დაგუბებულ მწუხარებას - მიაყრდნო თავი სატრფოს მხარს და რამდენიმე ხანს ღვარა უნაზესი, გულისმომბრუნებელი, უხვი ცრემლები - მოხუც ქალბატონ სედლისაც დიდად მოეშვა გულს და იფიქრა, სჯობია მარტო დავტოვო ახალგაზრდებიო და დასტოვა კიდეც ჯორჯის მხარზე მოქვითინე ემი. ქალი კრძალვით ჰკოცნიდა ხელზე ჯორჯს, თითქოს ის ყოფილიყო მისი უნაზესი მბრძანებელი და ბატონი, ხოლო თვითონ კი დიდად დამნაშავე და შერცხვენილი ვინმე და მას ესაჭიროებოდა ყოველნაირი შებრალება და შეწყალება ჯორჯის მხრით.

ასე ფიანდაზად გაშლა და უდრტვინველი, ნაზი მორჩილება უზომოდ ეამა და მოესალბუნა ჯორჯ ოსბორნის გულს. ამ წრფელ, დამყოლ, ერთგულ სულიერში მონას ხედავდა და გული რატომღაც იდუმალად უთრთოდა თავისი სიმძლავრის შეგნებაზე. იგი ფიქრობდა, რომ დიდსულოვნებას გამოიჩენდა: როგორც სულთანი, წამოაყენებდა ფეხზე თავის მუხლმოყრილ ესთერს და დედოფლად დასვამდა. გარდა ამისა, ქალის კაეშანი და სიტურფე, როგორც მისი მორჩილება, გულში ხვდებოდა ოსბორნს, ამიტომ გაამხნევა ემი, წამოაყენა ზეზე და, ასე ვთქვათ, მიუტევა. ამ მზის მოშორებით მიმკვდარებული და მიმჭკნარი ყოველი იმედი და გრძნობა კვლავ მსწრაფლ აუყვავდა და გაეფურჩქნა ემილიას, როგორც კი შუქი ძველებურად შემოადგა. ამ ღამეს ვეღარც იცნობდით ემილიას ბალიშზე დასვენებულ გაბადრულ სახეში წინაღამინდელ ფერმკრთალ, უღიმღამო, ყველაფრისადმი გულგრილად მაყურებელი ადამიანის სახეს. ცვლილებით გახარებულმა, გულწრფელმა ირლანდიელმა მოახლემ ნებართვა სთხოვა, ეკოცნა იმ პირისახისათვის, რომელსაც ასე უცბად მოედო ვარდისფერი. ემილიამ შემოაჭდო კისერზე ხელები, ბავშვივით გულიანად აკოცა და არც ბევრით განირჩეოდა ბავშვისაგან. იმ ღამესაც ბავშვივით ტკბილად, ჯანსაღად ეძინა; ხოლო დილის მზის შუქზე რომ გამოიღვიძა, რა გამოუთქმელი ბედნიერების

ზღვა გადაეშალა თვალწინ!

„ის დღესაც მოვა, - ფიქრობდა ემილია, - იგი ხომ ყველაზე უდიდესი და უკეთესი ადამიანია ქვეყანაზე“. და ნამდვილია, რომ ჯორჯსაც ეგონა, დედამიწის ზურგზე ჩემისთანა დიდსულოვანი სულდგმული მეორე არ მოიპოვება, მე ახლა უზარმაზარ მსხვერპლს ვწირავ, ამ ქალიშვილს რომ ვირთავო.

სანამ ემი და ოსბორნი ტკბილად ღუღუნებდნენ tete-a-tete[53]. ზემოთ, მოხუცი ქალბატონი სედლი და კაპიტანი დობინი ქვემოთ იხილავდნენ საქმის ვითარებას: ახალგაზრდების იმედებსა და მომავლის გეგმებს. ქალბატონმა სედლიმ როცა მიჯნურები ერთად შეჰყარა და შემდეგ კი მთელი თავისი ძალ-ღონით ერთმანეთის გულში ჩაკონებული დასტოვა, ვითარცა ჭეშმარიტი დიაცი, თვითონ იმ აზრს დაადგა, რომ ქვეყნის ზურგზე ვერანაირი ძალა ვერ აიძულებს ბატონ სედლის. დათანხმდეს მისი ქალიშვილი მისთხოვდეს იმ კაცის ვაჟს, რომელიც მას ასე სამარცხვინოდ, ბოროტად და გველურად მოექცაო. მერე მოჰყვა უფრო ბედნიერი დღეებისა და თავიანთი ადრინდელი ბრწყინვალების ამბავს, როცა ოსბორნი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა ნიუ-როუდში და მისი ცოლი დიდი სიხარულით იღებდა ჯოზის ბალღობის დროინდელ გამონაცვალ კაბაკუბას, რომელიც ქალბატონმა სედლიმ მიიტანა ოსბორნის ერთ-ერთი ღვიძლი შვილის დაბადებაზე. ამ კაცის ტარტაროზულმა უმადურებამ, დარწმუნებული იყო ქალბატონი სედლი, გაუტეხა გული ბატონ სედლის. ქორწინებას კი იგი, რასაკვირველია, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს არ დაჰყაბულდებაო.

- მაშ უნდა გაიქცნენ, ქალბატონო, - სიცილით მოახსენა დობინმა, - და მიჰბაძონ კაპიტან როუდონ კროულისა და მის ემის მეგობარ, პატარა აღმზრდელი ქალის მაგალითს.

ნუთუ ეს შესაძლებელია? აბა, იგი ამას როგორ წარმოიდგენდა! ქალბატონი სედლი ამ ამბავმა უზომოდ ააღელვა. ნეტავი ბლენკინსოპი მაინც იყოს აქ, რომ ეს გაეგონაო. ბლენკინსოპი ყოველთვის ეჭვის თვალით უცქეროდა იმ მის შარპს. როგორ გადაურჩა ჯოზი! და ქალბატონმა სედლიმ აღუწერა რებეკასა და ბოგლი-უოლაჰის გადასახადთა ამკრებს შორის მომხდარი, უკვე კარგად ცნობილი ტრფიალების ამბები.

მაგრამ დობინს იმდენად ბატონ სედლის რისხვისა არ ეშინოდა,

რამდენადაც საქმეში ჩასაბმელ მეორე მშობლისა და აღიარებდა, რომ მას ერთობ ეეჭვებოდა და აშფოთებდა შავ, ბანჯგვლიანწარბებიანი ძველი რუსი ვაჭრის ყაიდის რასელ-სკვერელი მტარვალი. დობინი ვარაუდობდა, რომ იმან უკვე საბოლოოდ აუკრძალა შვილს ქორწინება; იცოდა, რა სასტიკი, პირქუში და უჯიათი კაცი იყო ოსბორნი და თავის სიტყვას რომ არ გასტეხდა. „შერიგებას ერთადერთი იმედი ჯორჯისთვის, - მსჯელობდა მისი მეგობარი, - მხოლოდ მომავალ ომში თავის გამოჩენაღაა. თუ მოჰკლეს, ხომ ისიც თან გაჰყვება. მაგრამ თუ წარჩინება ვერ მოიპოვა, მაშინ რაღა? მგონი, დედისაგან დატოვებული ცოტა ფული აქვს, მაიორობის ჩინის საყიდლად მაინც ეყოფა. თუ არა და მაშინ უნდა გაჰყიდოს თავის კაპიტნობა და ან კანადაში მიჰყოს ხელი მიწის ჩიჩქნას, ან კიდევ სოფლად მაინც ეყოფა. თუ არა და მაშინ უნდა გაჰყიდოს თავის კაპიტნობა და ან კანადაში მიჰყოს ხელი მიწის ჩიჩქნას, ან კიდევ სოფლად სადმე უნდა ღაფოს როგორმე სული“. ასეთი თანამგზავრით ციმბირსაც არად ჩააგდებდა დობინი და უცნაურია, ამ ყეყეჩ და სრულიად გამოთაყვანებულ ყმაწვილს თავში არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ნატიფი ცხენ-ეტლის შესანახი ხარჯებისა და მეგობარ-ნაცნობების მდიდრულად გამასპინძლებისათვის საჭირო შემოსავლის მოსაკლისება ჯორჯის და მის სედლის შეერთების დამაბრკოლებელ მიზეზად გამოდგებოდა.

ამ მძიმე მოსაზრებებმა დაარწმუნა ისიც, რომ ქორწინება რაც შეიძლება მალე უნდა მომხდარიყო. ნეტავ თვითონ ასე რად ცდილობდა ამ საქმის მალე დაგვირგვინებას? მას ალბათ იმ ხალხივით ემართებოდა, რომელთაც ვინმე რომ გარდაეცვლებათ, უნდათ მალე მოიშორონ თავიდან დაკრძალვა. ან კიდევ, როცა განშორება გადაწყვეტილია, უფრო აჩქარდებიან ხოლმე. ეს კი ნამდვილია, რომ რაკი ბატონმა დობინმა ხელი მოჰკიდა საქმეს, უჩვეულო თავგამოდებითაც იღვწოდა მისი წინ წაწევისათვის. ჯორჯს აგულიანებდა, აუცილებლად სწრაფი მოქმედებაა საჭიროო: იგი უჩვენებდა საიმედო გზას მამასთან შერიგების, რაც მაშინვე თან მოჰყვებოდა, როგორც კი „გაზეთში“ ჯორჯის სახელი წარჩინებულთა შორის გამოცხადდებოდა. თუ საჭირო იქნებოდა, თვითონ მოელაპარაკებოდა პირდაპირ ორივე მამას. იგი ეხვეწებოდა ჯორჯს, როგორც არ უნდა მოხდეს, ეს საქმე მანამდე მაინც მოათავე, სანამ ჩვენი რაზმის ინგლისიდან

უცხოეთში გამგზავრების დღე-დღეზე მოსალოდნელი ბრძანება მოვაო.

ამ საქორწილო გეგმით შეფიქრიანებული დობინი, ქალბატონი სედლის წაქეზებითა და თანხმობით (რომელსაც თვითონ ვერ შეებედა პირადად გასტეხოდა მეუღლეს), ჯონ სედლის მოსაძებნად გაემართა. საკუთარი კანტორის დაკეტვის შემდეგ, საწყალი, გაღატაკებული მოხუცი სიტიში, ყავახანა „ტაპიოკაში“ მიდიოდა ხოლმე ყოველდღე და იქ აწარმოებდა საქმეებს: წერდა, იღებდა წერილებს, მერე უცნაურ დასტებად კრავდა და დიდ ნაწილს ქურთუკის ჯიბეებით დაატარებდა. გაკოტრებული კაცის საქმიანობასა და საიდუმლო ფაცაფუცზე უფრო საცოდაობა არაფერი მეგულება: მდიდრებისაგან გამოგზავნილი ის წერილები, რომელთაც გიჩვენებს, ეს გაცვეთილი, გაქონილი საბუთები, შემწეობას რომ ჰპირდებიან და თანაგრძნობას სთავაზობენ, რომელთაც ჩაფიქრებით გადმოგილაგებთ წინ და რომლებზედაც ამყარებს ბედნიერების აღდგენისა და კვლავ გამდიდრების იმედებს. ცხოვრებაში, უეჭველია, ჩემი საყვარელი მკითხველიც წასწყდომია გზაში ჩასაფრებულ ბევრ ასეთ უბედურს! იგი მიგიმწყვდევთ კუთხეში, იძრობს ქურთუკის პირდაღებული ჯიბიდან ქაღალდების შეკვრას, მოხსნის ზონარს, დაიჭერს კბილით, მერე ამოარჩევს საპატიო წერილებს და გადმოგიწყობს და ვინ არ იცის სასოწარკვეთილ თვალთა ის სევდიანი, შეშფოთებული და ნახევრად შეშლილი გამომეტყველება, რომელიც მოუშტერებია თქვენთვის!

ამ ჯურის კაცად გადაქცეული იხილა დობინმა ოდესმე ღაჟღაჟა, მხიარული და წარმატების გზაზე მდგარი ჯონ სედლი. წინანდელი, ჩვეულებრივ ალაპლაპებული და ლაზათიანი ქურთუკი ნაკერებში ამოთეთრებულიყო და ღილებიც სპილენძზე ჰქონდა დასული. გაუპარსავი სახე გახდომოდა. ნაოჭიანი მოთელილი საყელო და ყელსაბამი უშნოდ ეკიდა განივრად, ტომარასავით დამდგარ ჟილეტს შიგნით. ძველ დროს ყავახანის მსახურების დაძახება როცა უნდოდა სედლის, ყველაზე მეტს ის ყვიროდა და იცინოდა და ყველა ლაქიაც იმას დასტრილებდა თავს. სწორედ გულსაკლავი საყურებელი იყო, ახლა რა რიდითა და კრძალვით ეპყრობოდა იგი ტაპიოკელ ჯონს, ბინძურწინდებიან და გარღვეულწაღებიან ბრუტიან ბებერ მსახურს, რომელიც მოვალე იყო ფიალებით წებო, კალის თასებით მელანი და ქაღალდის ფურცლები მიერთმია

მუშტრებისათვის ამ პირქუშ სალხინო სახლში, სადაც ისე ჩანდა, თითქოს ამათ გარდა სხვა არც არაფერი იხარჯებოდა. რაც შეეხება უილიამ დობინს, რომლისთვისაც არა ერთხელ უტყაპუნებია ზურგზე ხელი მის პატარაობაში და ათასჯერაც აუგდია მასხრად, მოხუცმა სედლიმ დიდი ყოყმანითა და მოწიწებით გაუწოდა ხელი და ბატონობით მიმართა. სირცხვილი და სინდისის ქენჯნა იგრძნო უილიამ დობინმა მოხუცის ასეთ სალამსა და მომართვაზე. თითქოს თვითონაც რაღაც დამნაშავე ყოფილიყო იმ უბედურებაში, რამაც სედლი ასე დააბეჩავა.

- დიდად მოხარული ვარ, რომ გხედავთ, ბატონო კაპიტანო, - უთხრა მან და ერთი-ორჯერ შემპარავად შეავლო თვალი სტუმარს (რომლის აყლაყუდობამ და მხედრულმა შესახედაობამ, გარღვეულ საცეკვაო წაღებში გამოწყობილი მსახურის ბნესიან თვალებშიაც რაღაც გამოცოცხლების მსგავსი ბჟუტვა გამოიწვია, ხოლო შავით მოსილი მანდილოსანი კი, დახლში ობმოკიდებულ ძველ საყავე ფინჯნებს შორის რომ სთვლემდა, გამოაფხიზლა). - როგორა ბრძანდება პატიოსანი ოლდერმენი და მილედი, თქვენი წარჩინებული დედა, ბატონო? - თანაც გადახედა მსახურს, როცა ახსენა „მილედი“, თითქოს ეუბნებოდა: „დახე, ჯონ, ჯერ კიდევ მყავს მეგობრები და მერე წარჩინებულნი და სახელგანთქმულნიც კი!“ - რაიმე საქმისათვის ხომ არ შემოიარეთ, ბატონო ჩემო? ჩემს მთელ საქმეებს, ამჟამად ჩემი ახალგაზრდა მეგობრები დეილი და სპიგოტი აწარმოებენ, სანამ ჩემი ახალი კანტორა გაიმართებოდეს; რადგან ხმო მოგეხსენებათ, კაპიტანო, აქ მხოლოდ დროებით გახლავარ, რითი გაამოთ, ბატონო ჩემო? ხომ არას მიირთმევთ?

დობინმა დიდის ბორძიკითა და ბლუკუნით იუარა, სულაც არა მშია და არცა მწყურიაო; არც რაიმე გასარიგებელი საქმე მაქვს და მხოლოდ იმისთვის მოვედი, ბატონი სედლი მომეკითხა და ძველი მეგობრისათვის ხელი ჩამომერთმიაო. მერე თავგამოდებითაც დაამახინჯა ჭეშმარიტება და დასძინა: - დედაჩემი ძალიან კარგად გახლავთ... ესე იგი, ძალიან უქეიფოდ გახლდათ და ახლა მხოლოდ კარგ დარიან დღეს ელის, რომ გარეთ გამოვიდეს და ქალბატონ სედლის ესტუმროს. როგორ ბრძანდება, ბატონო, ქალბატონი სედლი? იმედი მაქვს სრულიად კარგად არის?

აქ კი შედგა - თავისი უშვერი თვალთმაქცობა წარმოუდგა თვალწინ, რადგან კოფინ-კორტს, სადაც ტაპიოკას ყავახანა მდებარეობდა, ამაზე უკეთესი დღე და უფრო მოკაშკაშე მზე არც ახსოვდა; და ბატონ დობინს ისიც მოაგონდა, რომ ქალბატონი სედლი ამ ერთი საათის წინ თვითონ ნახა, როცა თავის ორთვლიანი ეტლით ოსბორნი მიიყვანა ფულემს და იქ დატოვა tete-a-tete მის ემილიასთან.

- ჩემი მეუღლე დიდად ბედნიერი იქნება ქალბატონი დედათქვენის ნახვით, - მიუგო სედლიმ და თან ქაღალდები ამოიძრო ჯიბიდან. - აქ მე მამითქვენის ერთობ ტკბილი ბარათი მაქვს, ბატონო ჩემო, და გთხოვთ ჩემი მოწიწებული სალამი მოახსენოთ მას. ქალბატონი დობინი, ჩვენ რომ ვიყავით ჩვეულნი მეგობრების მასპინძლობას, ცოტა არ იყოს, იმაზე მცირე სახლში კი გვიხილავს; მაგრამ მყუდრო გახლავთ და თანაც ჰაერის გამოცვლა ჩემს ქალიშვილსაც რგებს - ქალაქში, ცოტა არ იყოს, უქეიფოდ გახლდათ... თქვენ გეხსომებათ პატარა ემი, ბატონო ჩემო, არა?.. დიახ, - გვარიანად ავადმყოფობდა.

მოხუცი მოუსვენრად აცეცებდა თვალებს ლაპარაკის დროს და სხვა რაღაცას ფიქრობდა, როცა თითებს ათამაშებდა ქაღალდებზე და აცოდვილებდა გაცვეთილ, წითელ ზონარს.

- თქვენ მხედარი ბრძანდებით, - განაგრძო მან; - და მე თქვენ გეკითხებით, ბილ დობინ, განა რომელიმე კაცს ოდესმე ფიქრად მოუვიდოდა, რომ ის კორსიკელი არამზადა ელბიდან დაბრუნდებოდა? შარშან - მოკავშირე ხელმწიფენი რომ აქ შეიყარნენ და ჩვენ სიტიში ის ნადიმი გავუმართეთ, ბატონო ჩემო, და ჩვენ რომ თანხმობის ტაძარი ენახეთ და შუშხუნები და ჩინური ხიდი სენტ-ჯეიმზის პარკში - განა რომელიმე ჭკუათამყოფელი იფიქრებდა, რომ ზავი მართლა ჩამოგდებული არ იყო, მას შემდეგ. რაც, ბატონო ჩემო, ჩვენ უკვე ნაგალობევი გვქონდა იმისთვის Te Deum. მე გეკითხებით, უილიამ, განა ვიფიქრებდი, რომ ავსტრიის იმპერატორი წყეული მოღალატე გამოდგებოდა... ნამდვილი მოღალატე და მეტი არაფერი? მე პირდაპირ ვამბობ... ორპირი, ჯოჯოხეთური მოღალატე და თაღლითი ყოფილა და გულში მუდამ ფიქრობდა, როგორ დაებრუნებინა თავისი სიძე უკან. და მე მოგახსენებთ, რომ ბონის გამოპარვა ელბიდან წყეული გაიძვერობა და ღალატი იყო, ბატონო ჩემო, რომელშიც ევროპის

ნახევარი სახელმწიფოები მაინც არიან ჩარეულნი, რათა ძირს დაეწიათ სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები და გაეკოტრებინათ ეს ქვეყანა. ამიტომა ვარ მე აქ, უილიამ, ამიტომ არის გამოქვეყნებული ჩემი სახელი „გაზეთში“. მერე რატომაო, ბატონო ჩემო? იმიტომ, რომ მე ვენდე რუსეთის იმპერატორსა და რეგენტ-უფლისწულს. დახედეთ ამას, დახედეთ ჩემს ქაღალდებს! დახედეთ, რა ღირდა სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდები პირველ მარტს... და რა ღირდა ფრანგული ხუთიანები, როცა მე ვიყიდე ისინი ნაღდი ანგარიშისათვის და რა ღირს ახლა! პირი მისცეს ერთმანეთს, სად ეგდო ინგლისის კომისარი, რომელსაც იგი დაუძვრა ხელიდან? სწორედ რომ დასახვრეტია, ბატონო ჩემო... სამხედრო-საველე სასამართლოშია მისაცემი და დასახვრეტია, ღმერთმანი!

- სწორედ ბონიზე ნადირობას ვაპირებთ, ბატონო, - ჩაურთო მოხუცის გაშმაგებით ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულმა დობინმა; ვინაიდან სედლის შუბლზე ვენები დაებერა და თან კიდევ მაგრად მოკუმშული მუშტის ბაგაბუგსაც განაგრძობდა ქაღალდების დასტაზე. - იმაზე ნადირობას ვაპირებთ, ბატონო... დუკა უკვე ბელგიაში იმყოფება და ჩვენც დღე-დღეზე გამგზავრების ბრძანებას ველით.

- არ დაინდოთ! გააგდებინეთ თავი იმ არამზადას, ბატონო! გააფრთხობინეთ სული იმ ჯაბანს, ბატონო! - ღრიალებდა სედლი, - მე თვითონ ჩავეწირები მოხალისედ, ვფიცავ... მაგრამ მე ხომ დაჩაჩანაკებული ბერიკაციღა ვარ... დამღუპა იმ წყეულმა გარეწარმა... და ჩვენივე ქვეყნის ქურდ-თაღლითების ხროვამ, რომლებიც მე დავაყენე ფეხზე, ბატონო ჩემო, და რომლებიც ახლა თავიანთი ეტლებით დასეირნობენ, - დაუმატა მან ხმის კანკალით.

დობინი არა მცირედ შეაწუხა ამ ოდესმე კეთილი მოხუცი მეგობრის ცქერამ. ახლა იგი უბედურებით თითქმის გაგიჟებული ჩანდა და ბებრულ რისხვამორეული უმწეოდ აქეთ-იქით აწყდებოდა. შეიბრალეთ განადგურებული კაცი თქვენ, რომელთაც ფული და უმწიკვლო სახელი უმთავრეს სიკეთედ მიგაჩნიათ და ეს ჭეშმარიტად ხომ ასეც არის ამაოების ბაზარში!

- დიახ, - განაგრძო მან, - ქვეყანაზე არიან ისეთი ასპიტები, უხეში გამოიზრდი და მერე შენვე გკბენენ. ზოგ მათხოვარს ცხენზე შესვამ და ყველაზე პირველი სწორედ ის გადაგქელავს.

თქვენ იცით ვის ვგულისხმობ, შვილო უილიამ, რასელ-სკვერელ ჯიბეგასქელებულ, თავგასულ არამზადაზე გეუბნები. მახსოვს, ერთი გახვრეტილი ფულიც არ გააჩნდა და ღმერთს ვევედრები და იმედიცა მაქვს, ისევ ისე მათხოვრად მენახოს, როგორც მაშინ იყო, მე რომ დავიმეგობრე.

- ცოტა ყური მოვკარი მაგ ამბავს, ბატონო, ჩემმა მეგობარმა ჯორჯმა მითხრა, - მოახსენა დობინმა, - რომელიც მოწადინებული იყო, რაც შეიძლება მალე ჩამოეგდო ბაასი თავის საქმეზე. - თქვენმა და მამამისის ჩხუბმა ძალიან შეაწუხა, ბატონო, და მე ახლა სწორედ მისი მოციქული გახლავარ.

- ჰოო, მაშ მაგისთვის მობრძანდი? - შესძახა ბერიკაცმა და ფეხზე წამოიჭრა. - რაო! იქნებ თანაგრძნობასაც მიცხადებს, მიცხადებს განა? დიდი გულკეთილი კი ბრძანდება! გაჯგიმული ბღენძი, დარდიმანდულად რომ იმანჭება და უესტ-ენდურად რომ კუდაბზიკობს. კიდევ დაეთრევა ჩემს სახლის გარშემო, კიდევ დაეთრევა განა? ჩემს ვაჟს რომ გული საგულეს ჰქონდეს, ტყვიას ესროდა. ისიც მამამისივით დიდი არამზადაა. მე არ მსურს მისი სახელის ხსენება ჩემს სახლში. წყეული იყოს ის დღე, რა დღესაც ფეხი შემოვადგმევინე შინ. მირჩევნია მკვდარი ვნახო ჩემი ქალი და იმაზე გათხოვილი კი არა!

- მამამისის გულქვაობა ჯორჯის ბრალი არ გახლავთ, ბატონო. თქვენი ქალისა და მისი სიყვარული თქვენი ნახელავიც ისევეა, როგორც ჯორჯის მამისა. თქვენ ვინა ხართ, რომ ორი ახალგაზრდის გრძნობებით თამაშსა ბედავთ და თქვენს ქეიფზე უჩაგრავთ გულებს?

- დაიხსომეთ, რომ მამამისი კი არა, მე თვითონ ვშლი ნიშნობას! - შესძახა მოხუცმა სედლიმ. - მე ვუკრძალავ ჩემ ქალს იმაზე გათხოვებას. მისი და ჩემი ოჯახის სამუდამოდ გაითიშა. ძირს დავეცი, მაგრამ ეგრეც არ დავმდაბლებულვარ, არა, არა! და სწორედ ისე მოახსენე მთელ მათ ჯილაგს: ვაჟიშვილს, მამას, დებსა და ყველას!

- დარწმუნებული გახლავარ, ბატონო, რომ თქვენ არც ძალა შეგწევთ და არც უფლება გაქვთ, გაჰყაროთ ის ორი ადამიანი, - ხმადაბლა მიუგო დობინმა; - და თუ არ დართავთ ნებას თქვენს ქალს, მაშინ იგი მაინც მოვალეა ნებადაურთველად

გათხოვდეს. რა ჭკუა იქნება მისი სიკვდილი ან მისი გაუბედურებული სიცოცხლე მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ჯიუტობთ. ჩემი აზრით, იგი სწორედ ისევე ჩაითვლება დაქორწინებულად, თითქოს ქორწინების ამბავი უკვე ლონდონის ყველა ეკლესიაში იყოს გამოცხადებული. აბა, იმაზე უკეთესი პასუხი რაღა იქნება ოსბორნისაგან თქვენს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე (ის ხომ მაინც რაღაცას გაბრალებთ!), რომ მის ვაჟს თქვენს ოჯახში შემოსვლა და თქვენი ასულის შერთვა სწადია?

კმაყოფილების მსგავსმა რაღაცა სხივმა გადაუარა თითქოს სახეზე მოხუც სედლის, ეს რომ მოისმინა, მაგრამ კვლავ ჯიუტობდა, ჩემი თანხმობით ემილიას და ჯორჯის ქორწინება არასგზით არ მოხდებაო.

- მაშინ ჩვენ უთქვენოდ მოვახდენთ! - ღიმილით მიუგო დობინმა და უამბო ბატონ სედლის (ისევე როგორც ადრე, იმავე დღეს, ქალბატონ სედლისაც) კაპიტან კროულისაგან რებეკას გატაცების ამბავი. ამ ამბავმა, შეეტყო, გაამხიარულა მოხუცი.

- თქვენ, კაპიტნები, საშინელი ხალხი ხართ, - თქვა მან და ქაღალდებს დაუწყო შეკვრა, თან სახეზე ღიმილის რაღაც მსგავსი დასთამაშებდა, რამაც ახლადშემოსული ბრუტიანი მსახური ფრიად გააოცა: სედლის სახეზე ასეთი გამომეტყველება აქამდე არასოდეს შეემჩნია მას შემდეგ, რაც იგი ამ პირქუში ყავახანის მუშტარი გახდა.

მისი მტრის, ოსბორნისათვის, ასეთი მძიმე დარტყმის მოხვედრების ფიქრმა იქნებ გულს მოუფონა კიდეც მოხუცს და მალე, როცა მუსაიფი გაათავეს, ის და დობინი ძალიან კარგ მეგობრებად განშორდნენ ერთმანეთს.

- ჩემი დები ამბობენ, მტრედის კვერცხისოდენა ბრილიანტები აქვსო, - თქვა ჯორჯმა სიცილით. - რა მოუხდება მის პირისკანს! სწორედ ჩირაღდნებით გაბრწყინებულს დაემსგავსება, როცა ყველა თავისი პატიოსანი თვალი ყელზე ექნება ჩამობმული. გიშრისფერი თმა სემბოსავით ჩაჰხუჭუჭებია. მე მგონი, სამეფო კარს რომ წარუდგა, ცხვირში რგოლს გაიკეთებდა; კინკრიხოზე აკოკოლავებულ თმის ბღუჯაზე კი ფრთების ჯიღა ედგმებოდა და მართლაც რომ ნამდვილი Belle Sauvage[54] იქნებოდა.

ემილიასთან მუსაიფში ჯორჯი მასხარად იგდებდა იმ ახალგაზრდა მანდილოსნის თვალადობას, რომელიც მამამისმა

და დებმა ამას წინათ გაიცნეს და რასელ-სკვერის ოჯახში უზომო პატივისა და თაყვანისცემის საგნად იქცა. ამბობდნენ, უესტ-ინდოეთში უამრავი პლანტაციები და სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებში ბლომად ფული აქვსო; ხოლო ოსტ-ინდოეთის კომპანიის აქციონერთა სიაში მის სახელს სამი ვარსკვლავი უზისო. სარრიში სრასასახლე ედგა, პორტლენდ-პლეისში - სახლი, უესტ-ინდოელი მდიდარი ქალის სახელი დიდის ამბით იყო მოხსენებული „მორნინგ პოსტში“. ნათესავი, ქალბატონი ჰეგისტაუნი, პოლკოვნიკ ჰეგისტაუნის ქვრივი ახლდა თან წვეულებებში და მის სახლ-კარსაც ის უვლიდა. იგი სწორედ ახლახან დაბრუნდა სკოლიდან, სადაც უკვე დაასრულა აღზრდა-განათლება და ჯორჯი თავისი დებითურთ მას დევონშირპლეისში შეხვდა, ერთ საღამოს მოხუც ჰალკერის სახლში გამართულ წვეულებაში (ჰალკერი, ბულოკი და კომპანია დიდი ხანია გახლდათ მისი უესტ-ინდოეთის ოჯახის საქმეთა რწმუნებული). ჯორჯის დაიკოებმა დიდი გულითადობა გამოიჩინეს მისდამი და მდიდარი მემკვიდრეობის პატრონი ქალიც ფრიდ გულკეთილად განეწყო მათ მიმართ. „ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ობოლი... ამდენი ფულის პატრონი... რა საინტერესოა!“ - თქვეს ქალბატონმა ოსბორნებმა. ჰალკერის წვეულებიდან შინ რომ დაბრუნდნენ მის უირტთან, თავიანთ კომპანიონ ქალთან, უკვე აღვსილნი ბრძანდებოდნენ ახალ მეგობარზე ფიქრით: თადარიგი დაიჭირეს მუდამ ერთმანეთის ნახვისათვის და მეორე დღესვე შეაბმევინეს ეტლი და გასწიეს კიდეც მის მოსანახულებლად. ქალბატონმა ჰეგისტაუნმა, პოლკოვნიკ ჰეგისტაუნის ქვრივმა, ლორდ ბინკის ნათესავმა და მარად მისმა მახსენებელმა, ცოტა არ იყოს, გააოგნა საყვარელი მიამიტი გოგონები ზერიაყობითა და ამპარტავნობით და ერთობ დიდ მიდრეკილებას რომ იჩენდა თავის დიდებულ ნათესავებზე ლაპარაკისადმი. ოღონდ თვით როდაზე უკეთესს ვერას ინატრებდნენ: იგი იყო ყველაზე წრფელი, ყველაზე გულკეთილი და ყველაზე საყვარელი ქმნილება, იქნებ ცოტა ხელის შევლება და წვრთნა კი სჭიროდა, მაგრამ სამაგიეროდ რა მოსიყვარულე და ალერსიანი გული ჰქონდა! გოგონებმა მყის შინაურულად სახელებით დაუწყეს ერთმანეთს მიმართვა.

- შენ უნდა გენახა, ემი, სამეფო კარს წარსადგომად როგორ გამოპრანჭულიყო ის ალი! - შესძახა ოსბორნმა სიცილით. - ჯერ ჩემ დებთან მობრძანდა, რომ მოკაზმულობა ეჩვენებინა, სანამ

ლედი ბინკი, ჰეგისტაუნის ნათესავი, სამეფო კარზე წარადგენდა. ის ჰეგისტაუნი ხომ ყველას ენათესავებოდა. მისი ბრილიანტები ისე ბრდღვიალებდა, იმღამინდელი ვოქსჰოლი გეგონებოდა, ჩვენ რომ ვიყავით (გახსოვს ვოქსჰოლი, ემი, ჯოზი რომ უმღეროდა თავის უძვირფასესს ტ-ტ-ურფას?). ბრილიანტები და წითელი ხის ფერი. გენაცვალე! წარმოიდგინე რა მომხიბლავი კონტრასტია... და თეთრი ფრთები კიდევ გარჭობილი თმაში, ესე იგი, უნდა მეთქვა, მატყლში. საყურეები ხომ ჭაღებივითა ჰქონდა, ღმერთს გეფიცები, მათი ანთებაც კი შეიძლებოდა. ყვითელი ფარჩის კიბის გრძელ ბოლოს ცთომილი ვარსკვლავის კუდივით მიითრევდა.

- რა ხნის იქნება? - იკითხა ემიმ, რომელსაც ჯორჯი ეყბედებოდა ამ შავგვრემან ტურფა ბანოვანზე მათი შერიგების დილას და ჭეშმარიტად ქვეყნიერების ზურგზე ვერც ვერავინ მოახერხებდა ეყბედნა ასე.

- ჰო, ეს ზანგი პრინცესა, თუმცა სკოლა კი სწორედ ახლა დაამთავრა, ერთი ოცდაორ-ოცდასამი წლის მაინც იქნება. და ნეტა განახა, რანაირად წერს! ჩვეულებრივ ქალბატონი ჰეგისტაუნი უწერს ხოლმე წერილებს, მაგრამ ერთხელ გულწრფელობას წაუძლევია და თავისი ხელით მოეწერა ორიოდე სიტყვა ჩემი დებისათვის და „ფარჩას“ „ფანჩად“ წერს, - „სენტ-ჯეიმზს“ კი „სენტ-ჯამზ!“

- ოჰო, უეჭველია, ეგ მის სუორცი იქნება, პანსიონში რომ იყო, - თქვა ემიმ. მას მოაგონდა ის გულკეთილი მულატი გოგონა, რომელსაც ისეთი გულყრა დაემართა, როცა ემილია ქალბატონ ჰინკერტონის სასწავლებლიდან მოდიოდა.

- სწორედ მაგ გვარისა არის, - თქვა ჯორჯმა, - მამამისი გერმანელი ებრაელი ყოფილა, ამბობენ, მონების პატრონი, და რაღაც საქმეები ჰქონია გაბმული კანიბალის კუნძულებთან. შარშან გარდაცვლილა და ქალის აღზრდა-განათლება ქალბატონ პინკერტონს დაუბოლოებია. იცის ფორტეპიანოზე ორი პიესის დაკვრა და სამიოდე სიმღერა; წერაც შეუძლია, თუ ქალბატონი ჰეგისტაუნი მხარში უდგას და უსწორებს. და ჯეინმა და მარიამ იგი უკვე დასავით შეიყვარეს და შეიტკბეს კიდეც.

- ნეტავი მეც ასე ვუყვარდე იმათ! - სევდიანად წაილაპარაკა ემიმ. - მე კი ყოველთვის გულცივად მეპყრობოდნენ.

- ჩემო საყვარელო ბალღო, შენც ეყვარებოდი იმათ, ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი რომ გქონდეს, - მიუგო ჯორჯმა. - ასე არიან აღზრდილები. ჩვენი საზოგადოება, ნაღდფულიანი საზოგადოება გახლავს. ჩვენ ვცხოვრობთ ბანკირებსა და სიტის ბობოლებში და, ჯანდაბას მათი თავი, ყოველი კაცი, როცა გელაპარაკება, ჯიბეში გინეებს აჩხრიალებს. ასეთია ის მუტრუკი ფრედ ბულოკი, მარიას რომ ირთავს; ასეთია გოლდმორი, ოსტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორი; ასეთია დიპლი, ქონეულით, ჩვენნაირი საქონლით, მოვაჭრე. - თქვა ჯორჯმა ცალყბა სიცილით და თან შეწითლდა. - ჭირმა წაიღოს ფულს დახარბებული წუპაკების მთელი ეგ ხროვა! ძილი მომერევა ხოლმე მათ დიდრაჯულ, მძიმე სადილებზე. სირცხვილით ვიწვი მამაჩემის დიდ, ბრიყვულ წვეულებებში. მე ნაჩვევი ვარ კეთილშობილთა, წარჩინებულთა და დარდიმანდთა შორის ცხოვრებას, ემი, და არა კუს წვნით ნაპატივებ მედუქნეების ბრბოში ყოფნას. ჩემო საყვარელო ცუგრუმელა, ჩვენი წარმოშობის ხალხში შენ მხოლოდ ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელსაც გამომეტყველება, ფიქრი და ლაპარაკი ყოველთვის წარჩინებული მანდილოსნის შესაფერი გქონდა და ეს იმიტომ, რომ შენ ანგელოზი ხარ და სხვანაირად არც შეგიძლია მოიქცე. არ იუარო! შენ ერთადერთი წარჩინებული მანდილოსანი ხარ. მის კროულიმაც არ შენიშნა განა? ის ხომ ევროპის ყველაზე წარჩინებულ საზოგადოებაში ტრიალებდა! თვითონ ლეიბგვარდიელი კროულიც, ჯანდაბას მისი თავი, ზორბა ბიჭია და იმიტომაც მიყვარს, რომ ვინც თვითონ უნდოდა, სწორედ ის შეირთო კიდეც.

ემილიაც დიდად აღმერთებდა ბატონ კროულის ამისათვის. დარწმუნებული იყო, რებეკა ბედნიერი იქნებოდა მის ხელში და იმედოვნებდა (სიცილით), რომ ჯოზი დაშოშმინდებოდა. ასე განაგრძობდნენ ისინი ყბედობას ძველებურად. ნდობა და რწმენა მთლიანად დაუბრუნდა ემილიას, თუმცა დიდის ამბით გამოსთქვამდა მის სუორცისადმი გვარიან ეჭვიანობასა და შურს და თვალთმაქცურად აღიარებდა, რომ უზომოდ ეშინოდა, ჯორჯს თავი არ დაენებებინა მისთვის და იმ მდიდარი სამკვიდროს პატრონის ფულსა და სენტ-კიტსის მამულებს არ გადაებირებინათ იგი. მაგრამ აშკარაა, ემილია ისე უზომოდ ბედნიერი გახლდათ, რომ რაიმე შიშს ეჭვს ანდა ავ წინათგრძნობებს აღარ დაგიდევდათ. რადგან ჯორჯი კვლავ გვერდით ჰყავდა, არც ვინმე მდიდარი ან ტურფა ქალის შიშიღა

ჰქონდა და, ჭეშმარიტად, არც რაიმე სხვა ხიფათისა.

როცა ორივესადმი დიდმა სიყვარულმა კაპიტანი დობინი ნაშუადღევს კვლავ მიიყვანა ამ ახალგაზრდებთან, გული გაუნათლა ემილიას ხილვამ: იგი ისევ გაახალგაზრდავებულიყო, ისევ კისკისებდა, ტიკტიკებდა და მღეროდა ნაცნობ ძველებურ სიმღერებს ფორტეპიანოს აყოლებით. ეს დროსტარება მხოლოდ ზარის ხმამ შეწყვიტა, რომელმაც აუწყა მათ სიტიდან სედლის დაბრუნების ამბავი; ამის წინ კი ჯორჯს ნიშანიც მისცეს უკვე თავის მორიდებისა და უკან დახევისათვის.

გარდა გამოცნაურების პირველი ღიმილისა - და ეს ღიმილიც თვალთმაქცური იყო, რადგან ემილია დობინის მოსვლას, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნოდ თვლიდა - მის სედლის ერთხელაც არ მიუქცევია ყურადღება დობინისათვის მთელი სტუმრობის განმავლობაში. მაგრამ დობინი მაინც კმაყოფილი გახლდათ, ემის რომ ბედნიერსა ხედავდა და მადლიერი იყო, თვითონ რომ გახდა ამ გაბედნიერების მიზეზი.

თავი XXI. მდიდარი მემკვიდრე ქალისათვის გამართული ჩხუბი

ყველა ახალგაზრდა ქალი შეუყვარდება ადამიანს, თუ იგი დაჯილდოებული იქნება იმ ღირსებებით, რაც მის სუორცს მოეპოვებოდა და დიდი პატივმოყვარული ოცნება ჩაუვარდა გულში მოხუც ბატონ ოსბორნს, ეს ოცნება კი სწორედ მის სუორცს უნდა განეხორციელებინა. ბატონი ოსბორნი უდიდესი აღფრთოვანებითა და გულითადობით აქებებდა თავის ასულებს, ნაზი გრძნობები გაღვივებოდათ ახალგაზრდა მდიდარი მემკვიდრე ქალისადმი და აცხადებდა, როგორც მამას, გულწრფელად მესიამოვნება ჩემს გოგოებს ასე ღირსეული ადამიანი რომ უყვართო.

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო, იმ ბრწყინვალებასა და წარჩინებულ საზოგადოებას, უესტ-ენდში რომ ხართ ჩვეული, აქ, რასელ-სკვერის ჩვენს ქოხში თქვენ ვერ იხილავთ, - ეტყოდა

იგი მის როდას. - ჩემი ქალიშვილები უბრალო, უანგარო გოგონები არიან, მაგრამ გულები კი საგულესა აქვთ. ამ გულებში თქვენი სიყვარული ჩაუვარდათ და ეს მათთვის დიაღაც რომ პატივია; მე მოგახსენებთ, დიაღაც პატივია! მე თვითონ ერთი უბრალო, ალალი, საწყალი ბრიტანელი ვაჭარი გახლავარ, და პატიოსანი ვაჭარიც, როგორც ჩემი პატივცემული მეგობრები ჰალკერი და ბულოკი დამიდასტურებენ, ცხონებული მამათქვენის რწმუნებულები. ჩვენთან თქვენ იხილავთ შეხმატკბილებულ, უბრალო, ბედნიერ და, მე მგონი, შემიძლია მოგახსენოთ, პატივცემულ ოჯახს; უბრალო სუფრას, უბრალო ხალხს, მაგრამ გულითად მასპინძლობას, ჩემო ძვირფასო მის როდა. ნება მიბოძეთ გიწოდოთ, როდა, რადგან გული მომწევს თქვენკენ, სწორედ რომ მომწევს! გულწრფელი კაცი ვარ და პირში გეტყვით: თქვენ მე მომწონხართ. აბა, შამპანური! ჰიქს, მოართვი მის სუორცს შამპანური!

უეჭველია ბებერ ოსბორნს სჯეროდა მთელი თავისი ნათქვამი და გოგოები მართლაც სრულიად გულწრფელად უცხადებდნენ სიყვარულს მის სუორცს. ამაოების ბაზარში ხალხი ძალიან ბუნებრივად იყვარებს მდიდართ. თუ ყველაზე უბრალო ხალხიც კიი არამცირედი გულკეთილობით შესცქერის დიდ კეთილდღეობასა და დოვლათიანობას (ვინაიდან მე ვიწვევ ბრიტანეთის საზოგადოების ყველა წევრს, გაბედოს და განაცხადოს, თუ მართლა სიმდიდრის ცნებას მისთვისაც რაღაც საშინელი და ამასთანავე საამო არ ახლდეს თან; და თქვენც, თუ გითხრეს, სადილად თქვენს გვერდით მჯდომმა კაცმა ნახევარი მილიონი მიიღოო, ერთგვარი ცნობისმოყვარეობით თუ არ შეხედავთ მას), თუ უბრალონიც მოწყალის თვალით უყურებენ ფულს, მაშ რამდენად დიდის პატივით მოეპყრობიან მათ წუთისოფლის ამაოებათა თქვენი ძველი მოჭირნახულენი! მათი სიყვარული გადმოსკდება, რათა შეეგებოს და გულში ჩაიკრას ფული. მათი კეთილი გრძნობანი თავისთავად, ძალდაუტანებლად იღვიძებს ფულის საინტერესო მფლობელთადმი. ბევრ პატივცემულ ადამიანს ვიცნობ, რომელიც თავს უფლებას არ აძლევს დაიმეგობროს ისეთი პირი, ვინც საკმაოდ შეძლებული არ გახლავს. ან რაიმე ღირსეული ადგილი არ უჭირავს საზოგადოებაში. ისინი მხოლოდ სათანადო, განსაკუთრებულ შემთხვევებში მიუშვებენ ხოლმე სადავეს თავიანთ გრძნობებს. ამის დამადასტურებელი საბუთი კი ის გახლავთ, რომ თუმცა

ოსბორნთა ოჯახის უდიდესმა ნაწილმა თხუთმეტ წელიწადს ვერ მოახერხა ემილია სედლის გულიანად შეტკბობა, მის სუორცი ერთადერთი საღამოს განმავლობაში ისე უზომოდ შეიყვარა, რომ მეგობრობის ყველაზე მგრძნობიერი ქომაგიც მეტს ვერ ინატრებდა პირველი ნახვისათვის.

რა ჯუფთი იქნება ჯორჯისთვის (ერთმანეთს ეთანხმებოდნენ დები და მის უირტი) და მერე რამდენად ემჯობინება იმ გამოცრიატებულ, პატარა ემილიას! სწორედ ჯორჯისთანა ლაზათიანი და ყოჩაღი, ასე ლამაზი, წარჩინებული და ნიჭიერი ყმაწვილი იქნება მის სუორცისათვის ნამდვილი მეუღლე. პორტლენდ-პლეისში გამართული წვეულებანი, სამეფო კარს წარდგენანი, პერთა ნახევრის გაცნობა - ეს ოცნებები ავსებდა. ახალგაზრდა ქალთა გონებას და ისინი მხოლოდ ჯორჯზე და მის დიდებულ ნაცნობობაზეღა ემუსაიფებოდნენ თავიანთ სანუკვარ ახალ მეგობარს.

მოხუცი ოსბორნიც ფიქრობდა, მის სუორცი ჩემი ვაჟისთვის დიდებული ცოლი იქნებაო. ჯორჯი მაშინ დაანებებდა თავს სამხედრო სამსახურს, შევიდოდა პარლამენტში და წარჩინებულ საზოგადოებასა და სახელმწიფოში გამოჩენილი კაცი დადგებოდა. ბატონ ოსბორნს სისხლი უდუღდა პატიოსანი ბრიტანული აღფრთოვანებით, როცა წარმოიდგინა თავისი ვაჟის სახით გაკეთილშობილებული საკუთარი გვარი და იფიქრა, იქნებ ბარონეტთა ბრწყინვალე შთამომავლობის მდიდარი მემკვიდრის ქონების ყოველი ამბავი დაწვრილებით არ შეისწავლა: სად იყო მოთავსებული მისი ფული და სად მდებარეობდა მისი მამულები. ახალგაზრდა ფრედ ბულოკი, ოსბორნისათვის ამ ცნობათა ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი, მარია ოსბორნზე რომ არ ყოფილიყო დანიშნული, თვითონაც სიამოვნებით ითხოვდა მის სუორცს (სწორედ ასე ბრძანა ახალგაზრდა ბანკირმა). მაგრამ, ვინაიდან მის სუორცის ცოლად შერთვა არ უხერხდებოდა, უანგარო ფრედს საკმაოდ მოსწონდა მისი რძლად მოყვანის გეგმაც. „დაე, ჯორჯი გულიანად მოეკიდოს საქმეს და არ გაუშვას ეგ ქალი ხელიდან, - ასეთი იყო მისი რჩევა. - ხომ მოგეხსენებათ, დასცხე, სანამ რკინა ცხელია - სანამ ქალი ახალი ჩამოსულია ქალაქში. ორიოდე კვირაში ვინმე დიდგვარიანი და გაოხრებული მამულის პატრონი უესტენდელი წაატყდება და მთელ ჩვენ სიტის ხალხს ყველას პირში ჩალას გამოგვავლებს; როგორც ლორდ ფიცრუფუსმა ჰქნა შარშან: მის გროგრემი

ნამდვილად პოდერისა და ბრაუნის ფირმის პოდერზე იყო დანიშნული, იმან კი ხელიდან გამოაცალა. რაც მალე გაკეთდება საქმე, უკეთესია, ბატონო ოსბორნ. მე ამ აზრის გახლავარ!“ - ეუბნებოდა თაღლითი. თუმცა ოსბორნი ბანკის მისაღები ოთახიდან რომ გავიდა, ბატონ ბულოკს მოაგონდა ემილია, მისი სიტურფე, ჯორჯ ოსბორნისადმი თავდავიწყებული სიყვარული და სულ უკანასკნელი, თავისი ძვირფასი დროის ათი წამი მაინც შესწირა ამ გაუბედურებული, საცოდავი ყმაწვილი ქალის დანანებას.

ამგვარად, ვიდრე ჯორჯ ოსბორნის კეთილი გრძნობანი და მისი გულითადი მეგობარი და მფარველი ანგელოზი დობინი ემილიას ფერხთა წინაშე აბრუნებდნენ უგულისყურო, თავქარიან მიჯნურს, ჯორჯის მშობელი და დები ამ ბრწყინვალე ქორწინებას ამზადებდნენ მისთვის და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ თვით იგი წინააღმდეგი იქნებოდა.

როცა ოსბორნ-უფროსი, როგორც თვითონ იტყოდა, ვინმეს „ნართაულად“ ანიშნებდა რაიმეს, ყველაზე გონებაჩლუნგი და გამოთაყვანებულიც კი შეუძლებელია შეუმცდარად არ მიმხვდარიყო მის აზრს. ფარეშს პანღურისკვრით კიბეზე რომ დააგორებდა, ამას ეძახდა უკანასკნელისათვის ნართაულად გაგებინებას, სამსახურიდან გითხოვო. სწორედ თავისი ჩვეული გულახდილობითა და თავაზიანობით მოახსენა ქალბატონ ჰეგისტაუნს: რა დღესაც თქვენი გაზრდილი ჯვარს დაიწერს ჩემს ვაჟზე, იმ დღესვე ათი ათას გირვანქა სტერლინგს ჩაგითვლი ხელშიო; ამ შეთავაზებას ნართაულად თქმას ეძახდა და ძალიან მარჯვე დიპლომატურ ხერხად მიაჩნდა. ბოლოს ჯორჯსაც ასევე ნართაულად ანიშნა მდიდარ ახალგაზრდა ქალზე და ისე უბრძანა ახლავე ჯვარი დაიწერეო, როგორც თავის ლაქიას უბრძანებდა, ბოთლს საცობი მოაძრეო, ან კიდევ თავის კლერკს - წერილი დაწერეო.

ამ ბრძანებითმა ნართაულმა კილომ გვარიანად შეაშფოთა ჯორჯი. იგი სწორედ ეს-ეს არის ემილიასადმი განახლებული მიჯნურობის პირველ აღტაცებასა და სიამეს განიცდიდა და აუწერელ ნეტარებასა გრძნობდა. ემილიას ყოფაქცევასა და თვალტანადობას რომ უპირისპირებდა მდიდარი ქალისას, ამ უკანასკნელთან შეუღლება ორმაგად სასაცილოდ და საზიზღრად ეჩვენებოდა. კაცმა წარმოიდგინოს, ფიქრობდა იგი, ეტლებსა და ოპერის ლოჟებში ამისთანა წითელი ხისფერ

მზეთუნახავთან გვერდით მჯდომარეს რომ დამინახავენ! და ყველა ამასთან ერთად, ოსბორნ-უმცროსი სწორედ ისეთივე ჯიუტი ბრძანდებოდა, როგორც უფროსი: როცა რაიმე ჰქონდა გადაწყვეტილი, ისიც ისეთივე სიმტკიცით და განუხრელობით მიისწრაფოდა მიზნისაკენ. თან სწორედ ისეთივე მძვინვარე იყო, თუ გააჯავრებდნენ, როგორც უსასტიკესად გაბოროქრებული მისი მშობელი.

პირველ დღეს, როცა მამამ საგულდაგულოდ გადაუკრა სიტყვა, შენი გრძნობანი მის სუორცს უნდა შესწიროთო, ჯორჯმა სცადა ბერიკაცთან მოსარიგებელი პირობების გამოძებნა.

- ამ საქმეზე ცოტა ადრე უნდა გეფიქრათ, ბატონო ჩემო, - მოახსენა მან. - ახლა, აბა, რაღა იქნება - დღე-დღეზე უცხოეთში გალაშქრებას ველით. დავიცადოთ ჩემს დაბრუნებამდე, თუკი დავბრუნდი!

მერე დაუწყო მტკიცება, ეს დრო, როცა ჩემი ლეგიონი ყოველდღე ინგლისიდან გამგზავრების მოლოდინშია, ძალიან შეუფერებელია და სამშობლოში ყოფნის რამდენიმე დარჩენილი დღე საქმეს უნდა შეეწიროს და არა არშიყობას - საამისოდ საკმაოდ დრო მექნება, როცა მაიორის ჩინს გავიკრავ და შინ დავბრუნდებიო.

- რადგან, პირობას გაძლევ, - უთხრა მან კმაყოფილი სახით, - ასე იქნება თუ ისე, ჯორჯ ოსბორნის სახელს მაინც წაიკითხავთ „გაზეთში“.

მამამ ამაზე უპასუხა სიტიში შეკრებილი ცნობების მოშველიებით: თუ დავაყოვნებთ, უესტენდელი ჯეელები უეჭველია ხელთ იგდებენ ამ მდიდარ ქალს. თუ ახლავე ვერ შეირთავ, შეგიძლია დანიშნო მაინც, ნიშნობის ხელშეკრულებას ხელი მოაწერო და ინგლისში რომ დაბრუნდები, მერე აღასრულო და თან, კაცს როცა შინ ჯდომით წელიწადში ათი ათასის შოვნა შეუძლია, გიჟი უნდა იყოს უცხოეთში სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოსო.

- მაშ ისე გამოდის, ბატონო ჩემო, თქვენ მე ლაჩრობას და ჩვენი გვარის შერცხვენას მირჩევთ მის სუორცის ფულების გულისათვის! - ჩაურთო ჯორჯმა.

ამ შენიშვნამ სახტად დასტოვა ბერიკაცი და შეაფიქრიანა; მაგრამ, რადგან პასუხი უნდა გაეცა და თავის განზრახვას მაინც

მტკიცედ ადგა, მიუგო: - შენ, ყმაწვილო, ხვალ აქ ისადილებ და ყოველდღე, როცა მის სუორცი აქ იქნება, შენც მობრძანდები და ალერსიანი მოპყრობითა და თავაზიანობით შეაქცევ. თუ ფული გინდა, შეუარე ჩოპერს!

ამგვარად, ერთი ახალი დაბრკოლება კიდევ გადაეღობა ჯორჯს ემილიასადმი მისი გეგმების აღსრულების საქმეში, ამაზე მან და დობინმა არა ერთი საიდუმლო, გულითადი თათბირი გამართეს. მეგობრის აზრი, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა იგი, ჩვენ უკვე ვიცით. ხოლო ოსბორნს კი, როცა იგი გულში ერთხელვე რაიმეს ამოიჭრიდა, ახალ-ახალი დაბრკოლებანი მხოლოდ მეტსა და მეტ სიმტკიცეს და ჯიუტობას მატებდა.

შავგვრემანმა საგანმა იმ შეთქმულებისა, რომელშიც ოსბორნთა ოჯახის მეთაური ჩაება, სრულიად არაფერი იცოდა მის შესახებ დაწყობილი გეგმებისა (უცნაურად მოგეჩვენებათ, თუ გეტყვით, რომ მის მეგობარსა და აღმზრდელს კრინტიც არ დაუძრავს). მას ხალას გრძნობად მიაჩნდა ახალგაზრდა მანდილოსანთა მთელი პირფერობა და მლიქვნელობა და ვინაიდან, როგორც წინათაც გვქონდა შემთხვევა გვეჩვენებინა, გულთბილი და ფიცხი ბუნების გახლდათ, მათ გრძნობას სწორედ ტროპიკული სიფიცხით უპასუხა. და თუ სიმართლე გნებავთ მოგახსენოთ, გავბედავ და ვიტყვი, რომ იმასაც ჰქონდა ცოტაოდენი თავკერძა მიდრეკილება რასელ-სკვერის სახლისადმი: ერთი სიტყვით, ჯორჯ ოსბორნს ერთობ მოხდენილ ყმაწვილ კაცად თვლიდა. ჯორჯ ოსბორნის ქილვაშები მყის თვალში მოუვიდა სწორედ იმავე პირველ ღამესვე, როცა ისინი დაინახა ბატონ ჰალკერთა წვეულებაში; და, როგორც ვიცით, იგი არა ყოფილა პირველი დიაცი, რომელიც მოიხიბლა მათი ჭვრეტით, ჯორჯს ერთ და იმავე დროს ამპარტავნული, გაფუყული შეხედულება ჰქონდა და სევდიანი, მოთენთილი და ვნებიანიც. ის იმ კაცივით გამოიყურებოდა, რომელსაც მოეპოვება ვნებანი, საიდუმლონი, ფარული მტანჯველი კაეშანი და თავგადასავალი. ხმა ღრმა და მდიდარი ჰქონდა. იგი ისე სევდიანი და საიდუმლო კილოთი იტყოდა, თბილი საღამოაო, ანდა მასთან მოცეკვავე ქალს ისე შესთავაზებდა, ნაყინი მიირთვიო, თითქოს დედამისის გარდაცვალების ამბის შეტყობინებას უპირებდა, ან კიდევ სიყვარულში გატყდომისათვის ემზადებოდა. მამამისის წრის ყველა ყმაწვილ დარდიმანდს თავი დაუარა და იმ მესამე ხარისხოვან ხალხში გმირად ითვლებოდა. აქა-იქ ზოგი

ქირქილებდა მასზე და სძულდათ იგი. ზოგი, დობინივით, თავდავიწყებით თაყვანსა სცემდა მას და მისმა ქილვაშებმა მართლაც იწყეს თავიანთი ზემოქმედება და გარს შემოესკვნენ მის სუორცის გრძნობებსაც.

როცა ჯორჯის შეხვედრის შესაძლებლობა ჩანდა რასელ-სკვერში, ეს მიამიტი, გულკეთილი ყმაწვილი ქალი დიდის ფართიფურთით მიისწრაფოდა ძვირფასი მის ოსბორნების სანახავად. უზომო ფულს ხარჯავდა ახალი კაბების, სამაჯურების, ქუდებისა და უშველებელი ფრთებისათვის. უკიდურესი სიმარჯვითა და ხერხიანობით ცდილობდა მოკაზმულიყო, რათა დამპყრობლისთვის თავი მოეწონებინა და თავის ყველა უბრალო ღირსებას იჩენდა მისი გულის მოგებისათვის. გოგოები დიდის ამბით სთხოვდნენ, ცოტა დაუკარი და იმღერეო, და ისიც იმდენჯერ იმღერებდა თავის სამ სიმღერას და დაუკრავდა ორ პაწია პიესას, რამდენჯერაც სთხოვდნენ და ყოველთვის კიდევ უფრო მეტ და მეტ სიამოვნებას განიცდიდა თვითონვე. ამ ტკბილი დროსტარების განმავლობაში მის უირტი და ქალბატონი ჰეგისტაუნი ერთად იყვნენ ჩამომსხდარნი, დიდის გულმოდგინებით შეისწავლიდნენ „პერთა წიგნს“ და მუსაიფობდნენ თავად-აზნაურობაზე.

მამასთან საუბრის მეორე დღეს, სადილობამდე ცოტა ადრე, ჯორჯი გადაშხლართულიყო სასტუმრო ოთახის რბილ ტახტზე ერთობ მოხდენილი და თანაც სრულიად ბუნებრივი მოწყენილი სახით. მან მშობლის თხოვნით მართლაც შეიარა მისტერ ჩოპერთან სიტიში (მოხუცი მოზრდილ თანხებს აძლევდა ხოლმე შვილს, მაგრამ ერთ განსაზღვრულ თანხას კი არ უნიშნავდა, არამედ როგორც მოეგუნებებოდა, ისე ასაჩუქრებდა). მერე სამი საათი გაატარა ემილიასთან, თავის საყვარელ პატარა ემილიასთან, ფულემს. შინ რომ მოვიდა, სასტუმრო ოთახში დაუხვდნენ გახამებულ მუსლინის კაბებში გამოპრანჭული დები. კუთხეში ქვრივები მიმჯდარიყვნენ და თავისთვის კაკანებდნენ. გულუბრყვილო მის სუორცი საყვარელ ქარვისფერ ატლასის კაბაში გამოწყობილიყო, ფირუზისთვლიანი სამაჯურები, უთვალავი ბეჭდები, ყვავილები, ფრთები და ზიზილ-პიპილები აესხა და დაახლოებით ისევე მოხდენილად იყო შემკული, როგორც ბუხრისმწმენდელი დედაკაცი მაისობას.

გოგოებმა, მას შემდეგ რაც ამაოდ შეეცადნენ ბაასში ჩაეთრიათ ჯორჯი, მუსაიფი გააბეს მოდებსა და სამეფო კარის უკანასკნელ დარბაზობაზე და მანამ ილაპარაკეს, სანამ თავიანთი ყბედობით პირდაპირ ად დააოსეს იგი. ჯორჯი უპირისპირებდა მათ ქცევას პატარა ემისას; მათ მკვახე, ხრინწიან ხმებს მის ნაზ, წკრიალა ბგერებს; მათ მიდგომ-მოდგომას, უშნო ტანადობასა და გაჯგიმულობას, მის მოკრძალებულ, ნაზ მიხრა-მოხრასა და კდემამოსილ ლაზათიანობას. საბრალო სუორცი იმ ადგილას იჯდა, სადაც ემის უყვარდა ჯდომა. პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ხელები ქარვისფერი ატლასის კაბის კალთაზე გაპარჭყული ეწყო. მისი ზიზილ-პიპილები და საყურეები ბრწყინავდა, ხოლო დიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. სრული კმაყოფილებით იჯდა გაუნძრევლად და თავი მზეთუნახავად მიაჩნდა. ამისთანა მოხდენილი ფარჩის კაბა ხომ დებს ჯერ არასოდეს ეხილათ!

- დალახვროს ღმერთმა, - ეუბნებოდა მერე ჯორჯი თავის ერთ გულითად მეგობარს, - სწორედ ფაიფურის ისეთ თოჯინასავით დაეჭყიტა თვალები, კბილები რომ დაუკრეჭია და თავს აკანტურებს. ღმერთმანი, უილ, მთელი ძალ-ღონით ვიკავებდი თავს, რომ მუთაქა არ მეთხლიშა მისთვის თავში. - თუმცა მან მაინც მოახერხა თავი შეეკავებინა ამ გრძნობის გამომჟღავნებისაგან.

დები „პრაღის ბრძოლის“ დაკვრას შეუდგნენ.

- დაანებეთ თავი მაგ ოხერს, - გადმოიღმუვლა ტახტიდან გამძვინვარებულმა ჯორჯმა. - ეგ პირდაპირ მაგიჟებს! თქვენ დაუკარით რამე, მის სუორც, გთხოვთ! იმღერეთ რამე, მის სუორც, გთხოვთ! იმღერეთ რამე, რაც გინდათ, ოღონდ ეგ „პრაღის ბრძოლა“ კი არა!

- რომელი ვიმღერო „ცისფერთვალა მერი“, თუ „კაბინეტის“ არია? - იკითხა მის სუორცმა.

- აი, ის ტკბილი ჰანგი იმღერეთ „კაბინეტში“ რომ არის, - თქვენს დებმა.

- გვეყო ეგ, - ბრძანა ტახტზე წამოწოლილმა კაცთმოძულემ.

- სიტყვები რომ მქონდეს, შემიძლია ვიმღერო „Fluvy du Tajy“, თქვა მოკრძალებული ხმით სუორცმა, - ესღა გახლდათ

პატიოსანი ახალგაზრდა ქალის უკანასკნელი არჩევანი.

- ოჰ, „Fleuve du Tage“,[55] - შესძახა მარიამ, - ჩვენ გვაქვს ეგ სიმღერა. - და გაიქცა იმ რვეულის მოსატანად, რომელშიც მოთავსებული იყო იგი.

ისე მოხდა, რომ ეს სიმღერა, მაშინ დიდად სახელგანთქმული, ყმაწვილ ქალებს ერთმა ახალგაზრდა მეგობარმა აჩუქა, რომლის სახელიც გარეკანზე ეწერა. მის სუორცმა დაასრულა ეს პატარა სიმღერა, ჯორჯის ტაში დაიმსახურა (რადგან ჯორჯს მოაგონდა, რომ იგი ემილიას უყვარდა); იქნებ იმედოვნებდა კიდეც, განმეორებას მთხოვენო. ამის მოლოდინში ხელში აცოდვილებდა ნოტებს და სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრა გარეკანზე, კუთხეში, „ემილია სედლი“ ეწერა.

- ღმერთო! - შესძახა მის სუორცმა და მსწრაფლ შემოტრიალდა ფორტეპიანოს სკამზე, - ეს განა ჩემი ემილიაა? ქალბატონ პინკერტონისას, ჰერმერსმითს რომ ემილია იყო? მე ვიცი, ის იქნება. ის არის!.. მითხარით მისი ამბავი... სად არის?

- იმას ნუ ახსენებთ, - საჩქაროდ თქვა მის მარია ოსბორნმა. - მისმა ოჯახმა თავი შეირცხვინა. მამამისმა ჩვენი მამიკო მოატყუა და ამიტომ აღარც მისი სახელის ხსენება შეიძლება აქ. - ამით გადაუხადა სამაგიერო მის მარიამ ჯორჯს „პრაღის ბრძოლის“ თაობაზე ტლანქად მოქცევისათვის.

- თქვენ ემილიას მეგობარი ხართ? - მიაძახა ჯორჯმა და ფეხზე წამოიჭრა. - ღმერთმა დაგლოცოთ მაგისთვის, მის სუორც! არ დაუჯეროთ, გოგოები რომ ამბობენ. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ არის დამნაშავე. ის ყველაზე უკეთესი...

- ხომ იცი, რომ მისი ხსენება არ შეიძლება, ჯორჯ, - შესძახა ჯეინმა. - მამას აკრძალული აქვს!

- ვინ დამიშლის მე? - ხმამაღლა მიუგო ჯორჯმა. - დიაღაც რომ ვახსენებ. მე ვაცხადებ, რომ ის არის ყველაზე უკეთესი, ყველაზე კეთილი, ყველაზე სათნო და უტურფესი ქალი მთელ ინგლისში; და რომ, გაკოტრებულია თუ არა, ჩემი დები მის ფრჩხილადაც არა ღირან. თუ ემილია გიყვართ, წადით და ნახეთ, მის სუორც. სწორედ მეგობრები სჭირია იმას ახლა. და მე ვამბობ: ღმერთმა დალოცოს ყველა, ვინც მას მეგობრის ხელს გაუწვდის. ყველა, ვინც მას კეთილი სიტყვით მოიხსენიებს, ჩემი მეგობარია; ვინც ავად ახსენებს - ჩემი მტერია! გმადლობთ,

მის სუორც! - მერე მივიდა მასთან და მაგრად ჩამოართვა ხელი.

- ჯორჯ! ჯორჯ! - შესწივლა ერთმა დამ მუდარით.

- მე გეუბნებით, - თქვა ჯორჯმა გაშმაგებით, - მადლობას ვეტყვი ყველას, ვისაც უყვარს ემილია სედ... - მას სიტყვა პირში გაუწყდა: ოთახში რისხვისაგან სახეგალურჯებული ოსბორნ-უფროსი იდგა და თვალებს ნაკვერჩხლებივით აელვარებდა.

თუმცა ჯორჯმა შუაზე გასწყვიტა სიტყვა და შედგა, მაინც, რაკი სისხლი ერთხელვე აუდუღდა, ოსბორნთა მთელი თაობებიც ვეღარ შეაოკებდა; მსწრაფლ მოიკრიბა ძალ-ღონე და მამის განრისხებულ ჭვრეტას ისე აშკარა, მტკიცე და გამომწვევი შეხედვით უპასუხა, რომ ხნიერი კაცი შედრკა და განზე გაიხედა: მან იგრძნო, რომ შეუპოვარი ბრძოლა მოელოდა.

- ქალბატონო ჰეგისტაუნ, ნება მიბოძეთ სუფრასთან მიგაცილოთ, - თქვა მან. - შენ კი მის სუორცს მიეცი ხელი, ჯორჯ. - და სასადილოდ გაემართნენ.

- მის სუორც, მე მიყვარს ემილია. ჩვენ თითქმის მთელი ჩვენი სიცოცხლე დანიშნულები ვართ, - ჩაულაპარაკა ოსბორნმა თავის მეზობელს. მერე მთელი სადილის განმავლობაში ისე ენამოლესილი განაგრძობდა ყბედობას, რომ თვითონაც უკვირდა და მამამისსაც ორჯერ უფრო მეტად აღიზიანებდა იმ შეტაკების წინ, რომელიც მაშინვე უნდა დაწყებულიყო, როგორც კი მანდილოსნები სუფრიდან ადგებოდნენ.

მამა-შვილი იმით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ თუ მამა თავშეუკავებელი და მძვინვარე ბრძანდებოდა, ვაჟი მშობელზე სამჯერ უფრო მეტად ფიცხი და გაბედული იყო და არა მარტო იერიშის მიტანა იცოდა, არამედ იერიშის გამკლავებაც შეეძლო. როგორც კი მიხვდა, მე და მამაჩემის გადამწყვეტი შეტაკების დრო დგებაო, ვიდრე საქმე ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო, სრულიად გულდამშვიდებით, არხეინად და მადიანად მოულხინა სუფრას. ბერიკაცი პირიქით: შფოთავდა, ბევრს სვამდა; გვერდით მჯდომ მანდილოსნებთან ბაასში ბორძიკობდა და ჯორჯის არხეინი ქცევა მხოლოდ აგულისებდა. კინაღამ გაგიჟდა, ჯორჯის მშვიდ მიხრა-მოხრას რომ ადევნებდა თვალს, როცა მან ცხვირსახოცი გააფრიალა და დარდიმანდული თავისდაკვრით გაუღო კარი მანდილოსნებს, ისინი დარბაზიდან რომ გადიოდნენ, მერე დაისხა ღვინო, მოხვრიპა და პირდაპირ სახეში შეხედა მამას, თითქოს

ეუბნებოდა: „ბატონო გვარდიელო, პირველი სროლა თქვენიაო!“ მოხუციც იმარაგებდა საომარ მასალას, მაგრამ ღვინის დასხმას რომ ცდილობდა, მისი ბროლის სურა ფიალის პირს ეხლებოდა და წკრიალებდა. ბოლოს ღრმად ამოიქშინა. სახეზე წამოჭარხლდა, თითქოს ყელში წაუჭირესო, და დაიწყო:
- როგორ გაბედე, ვაჟბატონო, იმ ქალის სახელის ხსენება მის სუორცთან დღეს და ისიც ჩემს საკუთარ სასტუმრო დარბაზში? მე შენ გეკითხები, ვაჟბატონო, როგორ გაბედე?

- მოითმინეთ, ბატონო ჩემო, - მიუგო ჯორჯმა, - „როგორ გაბედეო“ აქ მოსატანი არ გახლავთ. „როგორ გაბედეო“, ბრიტანეთის არმიის კაპიტანს არ ეუბნებიან!

- მე რაც მნებავს, იმას ვეტყვი ჩემს შვილს, ბატონო ჩემო! თუ მომეპრიანა, გახვრეტილ შილინგსაც არ დავუტოვებ, თუ მომეპრიანა, სამათხოვროდ გავუხდი საქმეს. მე, რაც მინდა, იმას ვიტყვი! - თქვა მოხუცმა.

- მე თუმცა თქვენი შვილი ვარ, ჯენტლმენიც გახლავარ, ბატონო ჩემო, - მიუგო გაცხარებით ჯორჯმა. - ყოველი სათქმელი, რაც ჩემთვისა გაქვთ, ან კიდევ ყოველი განკარგულება, რაც გნებავთ მაცნობოთ, უმორჩილესად გთხოვთ იმ ენით ბრძანოთ, რომლის მოსმენასაც ჩვეული გახლავარ!

როცა ჭაბუკი გაფიცხდებოდა, ან დიდ ძრწოლასა და კრძალვას ჰგვრიდა მშობელს, ან კიდევ დიდად გააგულისებდა ხოლმე. ბებერ ოსბორნს გულში ეშინოდა თავისი ვაჟის, როგორც მასზე უკეთესი ჯენტლმენისა. და იქნებ ჩემმა მკითხველებმაც შენიშნეს თავიანთი გამოცდილებით ამ ჩვენს ამაოების ბაზარში, რომ სულმდაბალი ხალხი ყველაზე დიდი რიდით მთელი ქვეყნიერების ზურგზე სწორედ ჯენტლმენებს ეპყრობა.

- მამაჩემს ისე არ გავუზრდივარ, როგორც შენ იზრდებოდი: არც ისე ხელსაყრელი პირობები მქონია, როგორც შენა გქონდა; არც კიდევ იმდენი ფული - როგორც შენ. მეც რომ ისეთ ხალხში მოვხვედრილიყავი, როგორც ზოგი ვინმე მოხვდა, და ისიც ჩემი შემწეობით, იქნებ ჩემს ღვიძლ შვილს აღარ ექნებოდა საბაბი ეტრაბახა, ბატონო ჩემო, თავის წარჩინებულობითა და უესტენდური მანჭვა-გრეხით (ეს სიტყვები ოსბორნ-უფროსმა განსაკუთრებით გესლიანი კილოთი წარმოსთქვა). მაგრამ ჩემს დროს ვაჟკაცის შესაფერად არ ითვლებოდა მშობლის შეურაცხყოფა. მე რომ ასე მექნა, ვაჟბატონო, მამაჩემი სულ

პანღურისკვრით გამიძახებდა გარეთ!

- მე თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია, ბატონო. მე მხოლოდ მოგახსენებთ მოგგონებოდათ, რომ თქვენი ვაჟი, ისევე როგორც თქვენ, ჯენტლმენი და ვაჟკაცი გახლავთ. მე ჩინებულად ვიცი, ბლომად რომ ფულებს მაძლევთ, - უთხრა ჯორჯმა და ხელი დაიკრა იმ დილით მისტერ ჩოპერისაგან მიღებული ფულის დასტაზე. - თქვენ საკმაოდ ხშირად მომაგონებთ ხოლმე ამას, ბატონო ჩემო. ნუ შიშობთ, არ დამავიწყდება!

- მე მინდა სხვა რამეებიც ეგრევე გახსოვდეს, ვაჟბატონო, - მიუგო მშობელმა. - მინდა გახსოვდეს, რომ ამ სახლში, მანამდე, სანამ ჯერ კიდევ ინებებთ თქვენი მოსვლით პატივი დასდოთ ხოლმე მას, ბატონო კაპიტანო, მე გახლავარ ბატონ-პატრონი. და ეგ სახელი, და რომ ეგ... რასაც შენ... მე რომ გეუბნები...

- რომ რას მეუბნებით, ბატონო ჩემო? - თითქმის დაცინვით შეეკითხა ჯორჯი და წითელი ღვინით მეორედ აივსო ფიალა.

- ...!? - დაიღრიალა მამამ და ერთი ლაზათიანად შეიკურთხა, - რომ იმ სედლების სახელი აქ არასოდეს ახსენო, ვაჟბატონო!.. იმ წყეული ჯილაგის არც ერთი სულიერის სახელი, ვაჟბატონო!

- პირველად მე არ მიხსენებია, ბატონო, მის სედლის სახელი. ჩემმა დებმა დაუწყეს იმას ლანძღვა მის სუორცის წინაშე და, ღმერთმანი, სადაც არ უნდა ვიყო, იმას მაინც დავიცავ. ჩემთან ვერავინ აიგდებს აბუჩად მის სახელს. ჩემის აზრით, ჩვენმა ოჯახმა უკვე სრულიად საკმარისად ჩაწიხლა ის და ახლა დროა თავი დავანებოთ მის ლანძღვას, როცა იგი ძირს გართხმულა. თქვენს გარდა, ვინც მის ავად ხსენებას გაბედავს, მოუკლავი ვერ გადამირჩება!

- განაგრძე, ყმაწვილო, განაგრძე, - მიაძახა ბერიკაცმა და განრისხებისაგან თვალები, ლამის იყო, ბუდეებიდან გადმოსცვივდა.

- რა განვაგრძო, ბატონო ჩემო? ის, თუ რა უგვანოდ მოვეპყარით იმ ნამდვილ ანგელოზს? ვინ მითხრა მე ის შეიყვარეო? ეს სწორედ თქვენი ნაბრძანებია! მე შემეძლო სხვაგანაც ამერჩია, და ეგებ უფრო მაღალ საზოგადოებაშიც გამეხედა, ვიდრე თქვენია; მაგრამ დაგემორჩილეთ. ახლა კი, როცა მისი გული უკვე მე მეკუთვნის, მიბრძანებთ ულმობლად მოვიცილო

თავიდან, დავსაჯო და იქნებ სიცოცხლესაც გამოვასალმო, ვიღაც სხვათა დანაშაულისათვის. სწორედ სამარცხვინოა, ზეცას ვფიცავ! - ისროდა სიტყვებს ჯორჯი და, რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, მით უფრო ფიცხდებოდა და ცხარობდა. - კეკემალულობა ? ეთამაშო ყმაწვილი ქალის გრძნობებს დაისიც იმისთანა ანგელოზის გრძნობებს, რომელიც ისე მაღლა დგას მის გარშემო მცხოვრებ ხალხი, რომ შეიძლებოდა შურიც კი აღეძრა მათში; მაგრამ ისე სათნო და კეთილია, სწორედ საოცარი იქნებოდა, ვინმეს შესძულებოდა. მე კიდევ რომ მივატოვო, თქვენა გგონიათ, თვით დამივიწყებს?

- მე სულაც არ მინდა გულის მოსაფხანი ამ წყეული ალთა-ბალთის როტვა და ჩმახვა ვისმინო, ბატონო ჩემო, - დაიღრიალა მამამ. - ჩემს ოჯახში მათხოვრული ქორწინება არ იქნება! თუ გირჩევნია გადააგდო რვა ათასი ყოველწლიური შემოსავალი, რომელიც, პირს გააღებ სათხოვნელად თუ არა, მაშინვე შენი იქნება, - შენი ნებაა. მაგრამ, ღმერთს გეფიცები, მაშინ შენი გუდა-ნაბადიც უნდა აიკრა და მიბრძანდე ამ სახლიდან, ბატონო ჩემო. ისე მოიქცევი, ვაჟბატონო, როგოც მე გეუბნები, ბოლოს და ბოლოს, თუ არა?

- რა, ეს მულატი გომბიო შევირთო? - თქვა ჯორჯმა და პერანგის საყელო მიიწ-მოიწია. - მე მაგის ფერი არ მომწონს, ბატონო. ეს იმ ზანგს უთხარით, ფლიტ-მარკეტის გასწვრივ ქუჩას რომ გვის, ბატონო ჩემო. მე არ ვაპირებ ჰოტენტოტი ვენერას შერთვას!

ბატონმა ოსბორნმა გაშმაგებით დასწია ზონარს, რომლითაც ჩვეული იყო სახლთუხუცესის დაძახებას, როცა ღვინო მოენებებოდა და თითქმის სულ სახეჩაშავებულმა უბრძანა ამ ხელისუფალს, კაპიტან ოსბორნს ეტლი მოჰგვარეო.

- გადავწყვიტე! - თქვა ერთობ ფერდაკარგულმა ჯორჯმა, სლოტერის ყავახანაში რომ შედგა ფეხი ერთი საათის შემდეგ.

- რა, ჩემო ძმაო? - ჰკითხა დობინმა.

ჯორჯმა უამბო, რაც თავს გადახდა.

- ხვალვე უნდა დავიწერო ჯვარი, - აღთქმა დადო მან. - დღედადღე უფრო და უფრო მიყვარს, დობინ!

ყველაზე შეუპოვარი და უმამაცესი მტერიც ვერ უძლებს შიმშილს. ამიტომ ოსბორნ-უფროსი ძალიან არხეინად გრძნობდა თავს იმ მოპირდაპირესთან, როსელსაც ახლახან აღწერილ ბრძოლაში შეება და გულდაჯერებული მოელოდა, როგორც კი ჯორჯს მარაგი შემოელევა, მაშინვე უსიტყვო მორჩილებას გამომიცხადებსო. რასაკვირველია, ვერაფერი სასიამოვნო იყო, ყმაწვილმა სწორედ პირველი შეტაკების დღეს რომ შეივსო სურსათის მარაგი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით მისცემდა შეღავათს და მხოლოდ და მხოლოდ ცოტათი შეაყოვნებდა მის დამორჩილებას. რამდენიმე დღეს მამა-შვილმა ერთმანეთისა არაფერი იცოდა. მოხუცი გულისობდა და გულჩათხრობილი იყო ამ დუმილით, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, რადგან, როგორც ბრძანებდა, იცოდა საიდან მოევლო ჯორჯისათვის და მხოლოდ ამ მოქმედების შედეგს ელოდა. ქალიშვილებს უთხრა, რითი დასრულდა მათი შეჯახება, მაგრამ ბრძანა, ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ და ჯორჯი რომ დაბრუნდება, ისევე გულითადად მიესალმეთ, თითქოს არაფერი მომხდარაო. ჯორჯისათვის ჩვეულებისამებრ ყოველდღე მზად იყო სუფრასთან ადგილი და იქნებ მოხუცი ცოტა გულაჩქროლებულიც მოელოდა, მაგრამ ის არ ჩანდა. ვიღაცამ მოიკითხა კიდეც სლოტერისას და იქ უთხრეს, ჯორჯ ოსბორნი და მისი მეგობარი კაპიტანი დობინი ქალაქიდან წავიდნენო.

აპრილის ბოლოს, ერთ ავდრიან დღეს, როცა წვიმას შხაპუნი გაუდიოდა იმ ძველებური ქუჩის ქვაფენილზე, რომელშიც ოდესღაც სლოტერის ძველი ყავახანა მდებარეობდა, ჯორჯი შევიდა დარბაზში. იგი ძალიან მოთენთილი და ფერმიხდილი გახლდათ, თუმცა, ცოტა არ იყოს, ჩვეულებრივზე კიდევ უფრო კოხტად გამოწყობილი კი ჩანდა ბრინჯაოს ღილებიან ცისფერ ქურთუკსა და ხარის ტყავის ნატიფ ჟილეტში, მაშინ დიდ მოდაში რომ იყო. აქ მას დახვდა ასევე მორთული მეგობარი, კაპიტანი დობინი, რომელიც სადღეისოდ შელეოდა მხედრულ მუნდირსა და რუხ შარვალს - მისი აყლაყუდა სხეულის ჩვეულებრივ საფარველს.

დობინი ყავახანაში უკვე ერთ საათზე მეტი ხანია იჯდა. ყველა გაზეთს წაეპოტინა, მაგრამ გული ვერ დაუდო კითხვას.

უთვალავჯერ შეავლებდა თვალს საათს; გადახედავდა ქუჩას, სადაც კვლავ წვიმა თქარუნებდა; ხალხს - პატენებს რომ მიაბაკუნებდნენ და გრძელ ჩრდილებს სტოვებდნენ ალაპლაპებულ ფილაქანზე; თითებს მაგიდას უბაგუნებდა, თითქოს იგი დოლი ყოფილიყო; ძირამდე, თითქმის ნუნებამდე, დაიკვნიტა ფრჩხილები (მას ჩვეულებად ჰქონდა თავისი უშველებელი ხელების ამ სახით მოლამაზება); მარჯვედ აწონასწორებდა კოვზს სარძევეზე, გადააყირავა იგი და სხვა და სხვა; და ჭეშმარიტად მოუსვენრობის იმ ნიშნებს ამჟღავნებდა და დროის მოსაკლავად იმ თავგანწირულ ცდებს ეწეოდა, რომლებსაც ადამიანები ჩვეულებრივ სჩადიან ხოლმე, როცა ძალიან ღელავენ, მოლოდინში არიან და რაღაც ფიქრი აწუხებთ.

ზოგმა მისმა ამხანაგმა, ყავახანის ძველმა მუშტარმა, ხუმრობა დაიწყო მის გამოპრანჭულობასა და შფოთვაზე. ერთმა ჰკითხა, ჯვარს ხომ არ იწერო? დობინმა ჩაიცინა და მიუგო, როცა ეგ ამბავი მოხდება, ღვეზელის ნაჭერს მაინც გამოგიგზავნიო (იგი საინჟინრო ჯარების მაიორი ბრძანდებოდა - უოგსტაფი). ბოლოს კაპიტანი ოსბორნიც გამოჩნდა, მეტად კოხტად გამოწყობილი, მაგრამ როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ძალიან ფერმკრთალი და აღელვებული. მან ნელსურნელებით მეტისმეტად გახრჩოლებული უშველებელი ყვითელი ბაღდადით მოიწმინდა პირისახე, ჩამოართვა ხელი დობინს, შეხედა საათს და ჯონს, ფარეშს, უთხრა, კიურასო მომიტანეო. ამ გულის გამახალისებელი სასმელის ორიოდე ჭიქა ფაცაფუცით, სულწასულად გადაჰკრა. მეგობარი მზრუნველი კილოთი ჩაეკითხა, როგორა ხარო.

- გათენებამდე თვალის მოხუჭვა ვერ მოვახერხე, დობ, - თქვა ჯორჯმა. - ჯოჯოხეთური თავის ტკივილი და ციებ-ცხელება მქონდა. მერე ცხრაზე ავდექი და თათრულ აბანოში ჩავედი. გეუბნები, დობ, ახლაც სწორედ ისეთ გუნებაზე ვარ, როგორც იმ დილით ვიყავი, როკეტთან დუელში რომ გავდიოდი კვებეკს.

- მეც აგრე ვარ, - მიუგო უილიამმა. - და იმ დილითაც, ეშმაკმა დალახვროს, თვით შენზეც ბევრად უფრო ვღელავდი. მახსოვს, შენ კარგა გუნებიერადაც დანაყრდი. შეჭამე ახლაც რამე!

- შენ მართლა კარგი ბიჭი ხარ, უილ, ერთი შენი სადღეგრძელო უნდა დავლიო, ძმობილო, და გამოვესალმო კიდეც...

- არა, არა. ორი ჭიქა გეყოფა, - შეაწყვეტინა დობინმა. - ეი, წაიღე სასმელი, ჯონ. წიწილს ცოტა პილპილი შეაყოლე და ცოტა აჩქარდი კიდეც, უკვე დროა, რომ იქ ვიყოთ.

დაახლოებით თორმეტის ნახევარი იქნებოდა, ეს ხანმოკლე შეხვედრა და საუბარი რომ მოხდა ორ კაპიტანს შორის. ეტლი, რომელშიც კაპიტან ოსბორნის მხლებელს ბატონის საგზაო ბარგი ჩაეწყო, კარზე იცდიდა. ქოლგის ქვეშ შეფარებული ორი მეგობარი ამ ეტლისაკენ გაეშურა, მხლებელი კოფოზე წამოჯდა და წვიმასა და სველ მეეტლეს სწყევლიდა, რომელსაც მის გვერდით ოხშივარი ასდიოდა.

- კიდევ კარგი, ეკლესიასთან უკეთესი ეტლი მაინც დაგვხვდება. - ინუგეშებს თავს იგი.

ეტლი დაიძრა და პიკადილისაკენ აიღო გეზი, სადაც ექსლი-ჰაუზი და წმიდა გიორგის ჰოსპიტალი ჯერ კიდევ წითელ სამოსელში იყო გახვეული; სადაც ჯერ კიდევ ეკიდა ნავთის ფარნები; სადაც აქილევსი ჯერ კიდევ არ შობილიყო; არც კიდევ პიმლიკოს თაღი იყო აღმართული და არც ის საზიზღარი ცხენებიანი ურჩხული, რომელიც იმასა და მთელ ახლომახლო სანახებს გადაჰფოფრებია. ასე ჩაუარეს მათ ბრომპტონს და იქვე, ფულემროუდის ახლოს, ერთ ეკლესიას მიადგნენ.

კართან ოთხცხენიანი ეტლი იცდიდა, და აგრეთვე ერთი სხვაც, ეგრეთ წოდებული, შუშაბანდიანი ეტლი. პირქუში, წვიმიანი ამინდის გამო უსაქმო დოყლაპიათა მხოლოდ ერთობ მცირე გუნდი შეკრებილიყო.

- დალახვროს ღმერთმა! - წამოიძახა ჯორჯმა. - მე ხომ მარტო ორცხენიანი ვთქვი.

- ჩემმა ბატონმა ოთხცხენიანი მიბრძანა, - მოახსენა ბატონ ჯოზეფ სედლის მხლებელმა, რომელიც მათ ელოდა. ის და ბატონ ოსბორნის კაცი, როცა ჯორჯსა და უილიამს უკან მიჰყვებოდნენ ეკლესიაში, დაეთანხმნენ ერთმანეთს, „ძალიან ქეციანი ჯვრისწერა არის და მარტოკა ერთ უხეირო საუზმეს, ან კიდევ ბევრი-ბევრი ფეშქაშად საქორწილო ბაბთას თუ გამოვრჩებითო“.

- ესეც თქვენ მოხვედით! - მოეგება მათ ჩვენი ძველი მეგობარი ჯოზ სედლი. - შენ, ჯორჯ, ჩემო ძმაო, ხუთი წუთით დაიგვიანე. რა დღეა, ჰა? დალახვროს ღმერთმა, სწორედ ბენგალში

წვიმიანობის დასაწყისსა ჰგავს. მაგრამ ნახავთ, რომ ჩემს ეტლს წყალი ვერას დააკლებს. აბა, გამოადგით ფეხი, დედაჩემი და ემი უკვე ეკლესიაში არიან!

დიდებული სანახავი გახლდათ ჯოზ სედლი. სიმსუქნე წინანდელზე უფრო მორეოდა. პერანგის საყელო კიდევ უფრო ამაღლებული ჰქონდა, ხოლო სახე უფრო გაჭარხლებოდა. პერანგის ნაოჭიანი გულისპირი საამაყოდ გამოსჭვიოდა მის აჭრელებულ ჟილეტს შიგნით. ლაქის წაღები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოგონილი, მაგრამ მის მშვენიერ წვივებზე ჰესენური ჩექმები ისე ლაპლაპებდა, რომ ისინი სწორედ იმ წაღების ორეული უნდა ყოფილიყო, ძველებურ სურათზე გამოხატულ ერთ დარდიმანდს რომ ეცვა. ღია მწვანე ქურთუკზე ბაბთებისაგან შეთხზული საუცხოო საქორწილო ნიშანი უღვიოდა ვეება, თეთრ, გაშლილ მაგნოლიასავით.

ერთი სიტყვით, ჯორჯმა ეშმაკს შეაფურთხა: იგი ჯვარს იწერდა. ამით იყო გამოწვეული მისი ფერმკრთალობა და ბორგვა, მისი უძილო ღამე და დილანდელი შფოთვა. გამიგონია, ამავე საქმეში გამოვლილი სხვა ხალხიც აღიარებს, სწორედ ასეთივე გუნება გვქონდაო. სამ-ოთხჯერ ამ წეს-ჩვეულებაში გავლის შემდგომ, უეჭველია, შეეჩვევი კაცი, მაგრამ პირველად ჩაყვინთვა კი, ყველა დამეთანხმება, შემაძრწუნებელია.

საპატარძლოს წაბლისფერი აბრეშუმის გრძელი ლაბადა ეცვა (როგორც შემდგომ კაპიტანმა დობინმა შემატყობინა) და ალისფერბაბთიანი ჩალის ქუდი ეხურა. ქუდს ზემოდან გადმოფენილი ჰქონდა შანტილის თეთრი მაქმანის საბურავი, ბატონ ჯოზეფ სედლის, ძმის, ნაბოძარი. თვითონ კაპიტანმა დობინმა სთხოვა, ნება მიბოძეთ, ოქროსძეწკვიანი საათი მოგიძღვნათო და იგი ახლა კიდეც ეკიდა გულზე. დედამ თავისი ბრილიანტის გულის ქინძისთავი გადააგდო თავს - თითქმის სულ უკანასკნელი ძვირფასი ნივთი, რომელიც მოხუც მანდილოსანს კიდევ შემორჩენოდა.

ჯვრისწერის დროს ქალბატონი სედლი სავარძელში იჯდა და გულამოსკვნით ქვითინებდა, ირლანდიელი მოახლე და მისის კლეპი კი აშოშმინებდნენ და ანუგეშებდნენ. მოხუცმა სედლიმ არ ინდომა დასწრება. მამის მაგივრობას ჯოზი სწევდა, ის ათხოვებდა ქალს. ხოლო კაპიტანი დობინი თავისი მეგობრის, ჯორჯის, ეჯიბი გახლდათ.

ეკლესიაში არავინ იყო ეკლესიის მსახურთა, ქორწინების მონაწილეთა მცირე ჯგუფისა და მათი ამალის გარდა. ორი მხლებელი ცხვირაბზეკილი ჩამომჯდარიყო მოშორებით. წვიმას თქარათქური გაუდიოდა ფანჯრებზე. ჯვრისწერის წესის აღსრულებაში შეყოვნებების დროს წვიმის ხმა და ქალბატონ სედლის სლუკუნი ისმოდა. მღვდლის ხმა სევდიანი გამოძახილებით ავსებდა ცარიელ შენობას. ოსბორნის „მსურს“ ძალიან ბოხად მოისმა. გულიდან მოწყვეტილი პასუხი ფარფატით მოადგა ემის ბაგეს, მაგრამ კაპიტან დობინის გარდა თითქმის სხვას არავის გაუგონია.

ჯვრისწერა რომ დასრულდა, ჯოზ სედლი წინ წამოდგა და აკოცა დას, პატარძალს, - მრავალი თვის განმავლობაში ეს პირველად. ჯორჯს ზაფრიანობამ გადაურა და კმაყოფილებისაგან ერთობ გაამაყებული და გახარებული ჩანდა.

- ახლა შენი ჯერია, უილიამ, - თქვა ან და ალერსიანად დაადო ხელი მხარზე დობინს; დობინიც მივიდა და ემილიას ლოყას შეეხო ბაგეებით.

მერე ეკვდერში გავიდნენ და ხელი მოაწერეს დავთარში.

- ღმერთმა გაკურთხოს, ძმაო, - უთხრა ჯორჯმა დობინს, მაგრად ჩამოართვა ხელი და თითქოს სისველის რაღაც ძალიან მსგავსი აკიაფდა მის თვალებში. უილიამმა მხოლოდ თავის დაქნევით უპასუხა. გული იმდენად სავსე ჰქონდა, რომ ბევრის თქმა არც შეეძლო.

- წერილი მალე მომწერე და იცოდე, როგორც კი მოახერხო, მაშინვე ჩამოდი, - უთხრა ოსბორნმა.

მას შემდეგ, რაც ქალბატონი სედლი გულისწუხილითა და ქვითინით გამოესალმა ქალიშვილს, ახლად ჯვარდაწერილნი ეტლისაკენ გაემართნენ.

- გზა, თქვე ჭინკებო, - დასჭყივლა ჯორჯმა ბიჭბუჭების გაწუწულ პატარა ბრბოს, რომელიც ტაძრის კართან შექუჩებულიყო.

ეტლისაკენ რომ მიემართებოდნენ, წვიმა სახეში სცემდა ნეფე-დედოფალს. საქორწილო ბაბთები უშნოდ მისტყეპებოდა მეეტლეებს გალუმპულ ქურთუკებზე. მხოლოდ ორიოდე

ბიჭუნამ, და ისიც უღიმღამოდ, მიაყოლა „ვაშა“, როცა ეტლი დაიძრა და ლაფიან გზას თქარათქურით გაუდგა.

უილიამ დობინი ეკლესიის შესავალში იდგა, აყოლებდა ეტლს თვალს და უცნაური შესახედავი ჩანდა. მაყურებელთა პატარა ბრბო შეჰყურებდა პირში და სიცილს აყრიდა, დობინი კი აინუნშიაც არ იგდებდა არც თვითონ მათ, არც მათ სიცილს.

- წამო შინ, ერთი წავისაუზმოთ, დობინ, - მოაძახეს ზურგიდან. კოტიტა თითებიანი ხელი დაადეს მხარზე და საბრალო, პატიოსანი ყმაწვილის ოცნებანი გაფანტეს. მაგრამ კაპიტანს ჯოზ სედლისთან ქეიფის გული არ ჰქონდა. მან ჯოზთან ერთად ეტლში ჩასვა ატირებული მოხუცი მანდილოსანი და მისი მხლებელნი და კრინტი აღარ დაუძრავს, ისე განშორდა მათ. ეს ეტლიც დაიძრა და ავარა ბიჭბუჭებმა კიდევ მიაძახეს დაცინვით „ვაშა“.

- აჰა, თქვენ, პატარა მათხოვრებო, - მობრუნდა ახლა დობინი, რამდენიმე ექვსპენიანი ჩამოურიგა მათ და მერე თავისთვის გაუდგა გზას წვიმაში.

აღსრულდა. ისინი დაქორწინდნენ და გაბედნიერდნენ. იგი ღმერთს ევედრებოდა მათ კარგად ყოფნას. ბავშვობის შემდეგ აღარასოდეს უგრძვნია თავი ასე უბედურად, დაბეჩავებულად და ეულად. გულდამძიმებული ესწრაფოდა პირველი რამდენიმე დღის გასვლას, რომ კვლავ შესძლებოდა ემილიას ხილვა.

ზემოთ აღწერილი ამბიდან ათიოდე დღის შემდგომ, ჩვენი ნაცნობი სამი ყმაწვილი კაცი სტკბებოდა ერთი მხრით მომშვილდული ფანჯრებისა და მეორე მხრით კი ლურჯი ზღვის იმ მშვენიერი სანახაობის ჭვრეტით, რასაც ბრაიტონი სთავაზობს მოგზაურს. ხანდახან მოხიბლული ლონდონელი სწორედ ზღვას გასცქერის, რომელიც უთვალავი ჭავლებით იღიმება, თეთრი აფრებით მოჩითულა, ურიკებზე გაწყობილი ასობით საბანაო კარვები ჰკოცნიან მისი ცისფერი ქათიბის კიდეს. ხან, პირიქით, უფრო ადამიანთა ბუნების დამკვირვებელი და მოტრფიალე, ვიდრე სხვა რომელიმე სანახაობისა, სწორედ მომშვილდული ფანჯრებისა და ცხოვრების იმ ფაცაფუცისაკენ იბრუნებს პირს, რომელიც ფანჯრებიდან გამოსჭვივის. ერთიდან ფორტეპიანოს ხმა გამოდის - კულულებიანი ყმაწვილი ქალი ყოველდღე ექვს-

ექვს საათს ვარჯიშობს, თანამობინადრეთა გულის გასახარელად. მეორეში სანდომიანი პოლი, ახალგაზრდა გადია, მოჩანს - ბატონიშვილი ომნიუმი უჭირავს ხელში და ანანავებს; მაშინ როცა ჯეიკობი, ბალღის მშობელი, ქვემო სართულის ფანჯარაში შეიძლება დაინახოს კაცმა - კრევეტს შეექცევა და საუზმეს თან გაფაციცებით ატანს „ტაიმსის“ გვერდებს. აგე, ლიირის ქალიშვილებიც - ცხენოსანი ჯარის ახალგაზრდა ოფიცრებს უთვალთვალებენ და ისინიც, უეჭველია, მხედრული ნაბიჯით სცემენ ბოლთას სანაპიროზე. ან კიდევ კვლავ ვინმე ზღვაოსნობის მოყვარე, ზარბაზნის ლულისოდენა ჭოგრიტიანი სიტის კაცი ჩანს, რომელსაც ეს ხელსაწყო ზღვისაკენ მიუშვერია, რათა არ გამოეპაროს არც ერთი სასეირნო ან სათევზაო ნავი, ან კიდევ ურიკაზე გაწყობილი საბანაო კარავი, რომელიც მიადგება, ან დასცილდება ნაპირს და სხვ. და სხვ. მაგრამ განა გვაქვს მოცალეობა ბრაიტონის აღწერისათვის? იმ ბრაიტონისათვის, რომელიც პირწმინდა ნეაპოლია, თავის წარჩინებული ლაცარონებით; ბრაიტონისათვის, რომელიც შვიდი საათის სავალზე იყო ლონდონიდან, ამ ჩვენი ამბის ხანაში, ახლა კი მხოლოდ ასიოდე წუთის სავალზეღაა და რომელიც, ვინ იცის, კვლავ უფრო მეტად როგორ დაუახლოვდება, თუ ჟუანვილი არ მოადგა მას და უდროო დროს ზარბაზნები არ დაუშინა.

- ეს რა საშინელი კოხტა გოგნუცა არი, იმ მკერავი დედაკაცის თავზე რომ ბინაა, იმაში, - გადაუგდო სიტყვა სამიდან ერთმა მოსეირნემ მეორეს; - ღმერთო მიშველე, კროული, ვერ დაინახე, თვალი როგორ ჩამიპაჭუნა, გვერდით რომ ჩამოვუარე?

- ნუ გააწბილებ, ჯოზ, შე თაღლითო, - მიუგო მეორემ. - ნუ ეთამაშები მის გრძნობებს, შე დონ ჟუანო!

- მომწყდი თავიდან, - უთხრა ერთობ ნასიამოვნებმა ჯოზ სედლიმ, თან აჰხედა ზემოხსენებულ მოახლეს და ისე ვნებიანად ჩაუკრა თვალი, თითქოს ეს არის გული უნდა განუგმიროსო.

ჯოზი ბრაიტონს კიდევ უფრო დიდებული და ბრწყინვალე ჩანდა, ვიდრე დის ჯვრისწერაზე ვნახეთ. თვალისმომჭრელი ჟილეტები ეცვა, რომელთაგან სათითაოდ ყველა ცალ-ცალკე საკმარისი იქნებოდა ჩვეულებრივი დარდიმანდისათვის. იგი ატარებდა დუგმებით, დამრგვალებული კვანძებით, შავი ღილებით და ლამაზად დახლართული ნაქარგით შემკულ

მხედრულ ქურთუკს. ბოლო დროს თავი მოჰქონდა მხედრული გარეგნობითა და ჩვევებით. იგი დასეირნობდა თავის ორ მეგობართან, მართლაც იმ წოდების ხალხთან, დეზების ჩხარუნით და უზომოდ გაბღენძილი, თან გულის გამგმირავად უბრიალებდა თვალებს ყველა მოახლეს, ვინც ოდნავ მაინც ღირსი იყო გულის განგმირვისა.

- რა უნდა ვქნათ, ყმაწვილებო, სანამ მანდილოსნები დაბრუნდებოდნენ? - იკითხა დარდიმანდმა. მანდილოსნებმა როტინგდინს გაისეირნეს მისი ეტლით.

- მოდი ბილიარდი წავითამაშოთ, - თქვა ერთმა მეგობარმა, მაღალმა და ულვაშებშეღებილმა.

- არა, ჭირსაც წაუღია; არა, კაპიტანო, - მიუგო, ცოტა არ იყოს, შეშფოთებულმა ჯოზმა. - დღეს აღარ გვინდა ბილიარდი, კროული, ჩემო ძმაო, გუშინდელიც გვეყოფა!

- შენ ჩინებულად თამაშობ, - სიცილით უთხრა კროულიმ. - ხომ, ოსბორნ? რა ლაზათიანად ხეთქა ხუთიანში, ჰა?

- დიდებულად, - კვერი დაუკრა ოსბორნმა. - ჯოზი პირდაპირ სატანაა ბილიარდში და სხვა ყველაფერშიც. ნეტა ერთი აქ ახლო-მახლო სადმე ვეფხვებზე ნადირობა შეიძლებოდეს; წავიდოდით და სადილობამდე ორ-სამს მაინც გავაგორებდით (შეხე, აგე, რა კოხტა გოგო მოდის! რა კოჭები აქვს, ჰა, ჯოზ?). მოდი, გვითხარი ვეფხვებზე ნადირობის ამბავი, შენ რომ თავი გამოიჩინე ჯუნგლებში; სწორედ საკვირველი მოსასმენია, კროული! - აქ ჯორჯ ოსბორნმა დაამთქნარა. - გვარიანი მოწყენილობა კი არის აქაობაში, - დასძინა მერე, - რა ვქნათ, ჰა?

- მოდი დავათვალიეროთ სნეფლერის ცხენები, სწორედ ახლახან ჩამორეკა ლიუიზის ბაზრიდან! - თქვა კროულიმ.

- დატონთან რომ შევიაროთ და ჟელე ვიგემოთ? - განაცხადა თაღლითმა ჯოზმა, რომელსაც მამიდის ნახვაც ნებავდა და ცხენის გახედნაც - ნამეტანი ლაზათიანი გოგნუცა კი არი დატონისას!

- არა სჯობია, „ელვის“ ჩამოსვლა ვნახოთ? სწორედ მოსვლის დროცა არის! - ბრძანა ჯორჯმა.

ამ რჩევამ დასძლია საჯინიბოებსა და ჟელეს და პირი იბრუნეს სამგზავრო ეტლების სადგურისაკენ, რომ დასწრებოდნენ

„ელვის“ მოგრიალებას.

გზაში ეტლი შეხვდათ, ჯოზ სედლის თავღია ეტლი, ზედ რომ საუცხოო ღერბები ჰქონდა გამოსახული, ეს ბრწყინვალე სამგზავრო ჩასაჯდომი, რომლითაც იგი დასეირნობდა ხოლმე ჩელტნემს, გულზე ხელებდაჭდობილი და გვერდზე ქუდმოგდებული დიდებული განდეგილი, ან კიდევ უფრო გაბედნიერებული და გაბრწყინებული, თუ გვერდს მანდილოსნები უმშვენებდნენ.

ახლაც ორი მანდილოსანი იჯდა ეტლში: ერთი - ქერათმიანი, უკანასკნელ მოდაზე გამოწყობილი ტანმორჩილი ქალი; მეორე კი - წაბლისფერ აბრეშუმის ლაბადიანი, რომელსაც ალისფერბაბთებიანი ჩალის ქუდი ეხურა და ისე შევარდისფრებული, სანდომიანი და ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ მისი შეხედვა ადამიანს გულს გაუხარებდა. როცა სამ ვაჟბატონს გაუსწორდნენ, მან შეაყენებინა ეტლი, მაგრამ ამ სითამამის გამოჩენამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო, შეაშფოთა იგი და ერთობ უთავბოლოდ მოედო ალმური ღაწვებზე.

- ჩვენ საუცხოოდ ვისეირნეთ, ჯორჯ, - წაიტიტინა მან, - და... და ისე გვიხარია, უკან რომ დავბრუნდით... და ჯოზეფ, ნუ დაანებებ დაგვიანებას, რა!

- ნუ აცთუნებთ ჩვენს ქმრებს, ბატონო სედლი, თქვე ბოროტო ადამიანო! - გადმოსძახა რებეკამ ჯოზს და დაუქნია ნატიფი ფრანგული ტყავის ხელთათმანიანი პაწია, კოხტა თითი. - არ გაბედოთ არც ბილიარდის თამაში, არც თუთუნის წევა და არც სხვა საძაგლობანი!

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო კროული... ოჰ, აბა! სინდისს გეფიცებით! - მხოლოდ ესღა წაიბლუკუნა მან პასუხის მაგიერ. მაგრამ იმდენი კი იმარჯვა, რომ მაინცდამაინც არა უჭირდა რა ისეთი იერისა და შეხედულების მიღება მოახერხა: თავი მხარზე გადაუგდო, ზევით თავის მსხვერპლს უკრეჭდა კბილებს, ხოლო ცალი ხელი ზურგს უკან ეჭირა - ჯოხს ეყრდნობოდა, მეორე ხელს კი (რომელზედაც ალმასის ბეჭედი ჰქონდა წამოცმული) პერანგის ნაოჭიან გულისპირსა და ჟილეტში აცოდვილებდა. ეტლი რომ დაიძრა, ბეჭდიანი ხელით ამბორი გაუგზავნა შიგ მჯდომ ტურფა ბანოვნებს. ჯოზი ნატრობდა, ნეტავ მთელ ჩელტნემს, მთელ ჩაურინგის და მთელ კალკუტასაც შეეძლოს დამინახოს ამ ყოფაშიო, როცა იგი

კალმით ნახატ ასეთ ტურფას უქნევდა ხელს და თანაც ისე სახელგანთქმული დარდიმანდის გვერდში იდგა, როგორიც გვარდიელი როუდონ კროული ბრძანდებოდა.

ჩვენმა ახალგაზრდა ნეფე-პატარძალმა ბრაიტონი აირჩია ქორწილის შემდგომ პირველი დღეების გატარებისათვის. დაიჭირეს ბინა სასტუმრო „ხომალდში“ და სტკბებოდნენ ფუფუნებითა და მყუდროებით, სანამ ჯოზი არ შემოუერთდა. მაგრამ მარტო ჯოზი არ ყოფილა მათი აქაური ამხანაგი: ერთ ნაშუადღევს, ზღვის ნაპირას სეირნობიდან რომ ბრუნდებოდნენ, რებეკასა და მისი თანამეცხედრის გარდა, აბა სხვას ვისღა გადაეყრებოდნენ! მყის იცნეს ერთმანეთი. რებეკა მკერდში ჩაეკონა თავის უძვირფასეს მეგობარს. კროულიმ და ოსბორნმა საკმაოდ გულთბილად ჩამოართვეს ურთიერთს ხელი და ბეკიმ ორიოდე საათში მოახერხა გაექარწყლებინა ჯორჯ ოსბორნისათვის ის მოკლე, უსიამო სიტყვა-პასუხი, რომელიც მათ მოუხდათ.

- გახსოვთ, უკანასკნელად მის კროულისას რომ გნახეთ და მე ისე მკვახედ რომ მოგექეცით, ძვირფასო კაპიტანო ოსბორნ? მომეჩვენა, თითქოს ყურადღებით არ ეპყრობოდით ძვირფას ემილიას. ამაზე მომივიდა გული, ამიტომ გავცხარდი, ამიტომ გავბოროტდი და ამიტომ გამოვიჩინე უმადურობაც. ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ! - უთხრა რებეკამ და ისე წრფელი და მომხიბლავი ლაზათიანობით გაუწოდა ხელი, რომ ოსბორნს ჩამორთმევის მეტი აღარა დარჩენოდა რა.

შეცდომების თავმდაბლური და გულწრფელი აღიარებით, კაცის პირი ვერ იტყვის, შვილო ჩემო, რა სიკეთეს შეიძლება ეწიო. მე ვიცნობდი ერთ ვაჟბატონს, და ამაოების ბაზრის ერთობ გამოჩენილი საქმოსანიც გახლდათ, რომელიც განგებაც კი დაუშავებდა ხოლმე მცირე რაიმეს მოყვასს, რათა მერე გულღიად და ვაჟკაცურად მოეხადა ბოდიში. და მერე რა მოხდა? ჩემი მეგობარი კროკი დოილი ყველას უყვარდა, ოღონდ ცოტა ფიცხ, მაგრამ უპატიოსნეს კაცად სთვლიდნენ. ბეკის თავმდაბლობა ჯორჯ ოსბორნმა გულწრფელად მიიჩნია!

ახალგაზრდათა ამ ორ წყვილს ერთმანეთში ბევრი სალაპარაკო ჰქონდა. ორივე ქორწინებაზე იმსჯელეს და ორივე მხრით მომავალი ცხოვრების გეგმები და იმედები უდიდესი გულწრფელობით, ცნობისმოყვარეობითა და გულმოდგინებით იქნა გაჩხრეკილი. ჯორჯის ქორწინების ამბავი მის მეგობარ

დობინს უნდა შეეტყობინებინა მამამისისთვის და ჭაბუკ ოსბორნს გვარიანად უცახცახებდა გული ამ მოციქულობის შედეგისათვის. მის კროული, როუდინის მთელი იმედი, კვლავ კერპობდა. რაკი მამიდის პარკ-ლეინის სახლში ვერ მოახერხა გზის გაკვლევა, მოსიყვარულე ძმისწული მეუღლითურთ გამოედევნა მას ბრაიტონს, სადაც განუწყვეტლივ მსტოვარები ჰყავდათ მიჩენილი მისი სახლის კარისთვის.

- ნეტავი განახათ როუდონის ზოგიერთი მეგობარი, მუდამ ჩვენი კარის წინ რომ ტრიალებენ, - თქვა სიცილით რებეკამ. - გინახავს ოდესმე უჯიათი მოვალე, გენაცვალე? ან კიდევ სასამართლოს ბოქაული და მისი კაცი? ამათთანა ორი საზიზღარი ვიგინდარა მთელი ერთი კვირა გვიდარაჯებდა ჩვენს პირდაპირ მემწვანილის დუქნიდან და კვირამდე სახლიდან ცხვირი ვერ გამოვყავით. თუ მამიდიკო არ მოლბა, არ ვიცი, რა გვეშველება!

როუდონი ხარხარით მოჰყვა თავის მევალეთა ათიოდე სასაცილო თავგადასავალს და რებეკასაგან მათ ოსტატურად გატრიზავებას. იგი დიდის ამბით იფიცავდა, მთელ ევროპაში ამაზე უკეთ ვერც ერთი დიაცი ვერ მოახერხებს, მევალე ასე პირში ჩალაგამოვლებული გაისტუმროსო. რებეკამ თითქმის ჯვრისწერისთანავე მიჰყო ხელი ამ საქმიანობას და მისმა ქმარმა აღმოაჩინა, რომ მართლაც დაუფასებელი ღირსების მეუღლე შეხვდა. ნისიას არავინ უჭერდა მათ და ბლომადაც ჰქონდათ, მაგრამ თანაც ვექსილებიც ურიცხვი მოეპოვებოდათ და ნაღდი ფულის იშვიათობა აჯახირებდათ. გგონიათ, მუდამ ვალებში ფართხალი როუდინს გუნება-განწყობილებას უფუჭებდა? სრულიადაც არა. ამაოებათა ბაზარში ყველა შენიშნავდა, რა განცხრომით ცხოვრობენ ისინი, ვინც ყელამდე ვალებში სხედან, როგორ ჩიტის რძესაც კი არ იკლებენ, რა მხიარულად და ხალისიანად გრძნობენ თავს. როუდონსა და მის თანამეცხედრეს საუკეთესო ოთახები ეჭირათ ბრაიტონის სასტუმროში; სასტუმროს პატრონი, როცა პირველ თავ საჭმელს მოართმევდა მათ, თაყვანსა სცემდათ, ვითარცა ყველაზე საპატიო მუშტრებს. და როუდონიც ისე თავხედურად ლანძღავდა და განაქიქებდა სადილებს და ღვინოს, რომ ვერც ერთი თავადი ვერ გაბედავდა ამდენს საკუთარ სამფლობელოშიც კი. დიდი ხნის ჩვევანი, ვაჟკაცური გარეგნობა, უმწიკვლო, ფაქიზი ფეხსაცმელ-ტანსაცმელი და ლაღი, თავხედური, ფიცხი ყოფაქცევა ხშირად ისევე შველის

კაცს, როგორც ბანკში ბლომად დაწყობილი ფული.

ახლადჯვარდაწერილთა ორივე წყვილი სულ ერთად ატარებდა დროს. ორი-სამი ღამის შემდგომ, ვაჟკაცებმა ერთ საღამოს პიკეტი წაითამაშეს, მაშინ როცა მეუღლენი განზე მიმჯდარიყვნენ და თავისთვის ჭუკჭუკებდნენ. ამ დროსტარებამ და ჯოზის ჩამოსვლამ, რომელიც თავის დიდებული თავღია ეტლით ჩამობრძანდა და რომელმაც ორიოდე ხელი ბილიარდი ითამაშა კაპიტან კროულისთან, მცირეოდნად მაინც შეავსო როუდონის ქისა და საშუალება მისცა დაეტრიალებინა ის ნაღდი ფული, ურომლისოდაც ხანდახან უდიდესი გამჭრიახი ადამიანებიც გულხელდაკრეფილნი სხედან და ვერა გაუწყვიათ რა.

ამგვარად, სამი ვაჟბატონი ჩაბრძანდა სადგურთან, რომ სამგზავრო ეტლ „ელვის“ მოსვლა ენახათ. ჩვეულებისამებრ, წუთი-წუთზე, გარედან და შიგნიდან მგზავრებით გაჭექილმა ეტლმა, მეეტლის ბუკის ჩვეულ ჰანგზე ტკრციალით, გრიალი მოიღო ქუჩაზე და ეტლების სადგურთან შედგა.

- ჰეი! აგე ჩენი დობინი! - შესძახა ერთობ ნასიამოვნებმა ჯორჯმა ძველი მეგობრის დანახვაზე, რომელიც ახლა ეტლის სახურავზე წამოსკუპებულიყო და აქამდე ვერ მოეხერხებინა ბრაიტონს დაპირებული ჩამოსვლა. - რასა იქმ, ძველო მეგობარო? ძალიან მიხარია შენი ჩამოსვლა. ემისაც ეამება შენი ნახვა, - მიმართა ოსბორნმა და გულიანად ჩამოართვა ხელი ამხანაგს, როგორც კი ეს უკანასკნელი ეტლიდან ჩამოხტა, და მერე უფრო ხმადაბლა და შეშფოთებით დაუმატა, - როგორ არის საქმე? იყავი რასელ-სკვერს? რა თქვა მამამ, მითხარი ყველაფერი!

დობინი ძალიან ფერმიხდილი და დაფიქრებული ჩანდა.

- მამაშენი ვნახე, - მიუგო მან. - როგორც არის ემილია... მისის ოსბორნი? ყველაფერს ახლავე გეტყვი; მაგრამ ყველაზე მთავარი ამბავი კი ის ჩამოვიტანე, რომ...

- გადმოალაგე, გადმოალაგე, ძმობილო! - მიაძახა ჯორჯმა.

- ბელგიაში გალაშქრების ბრძანება მოვიდა. მთელი არმია მოდის... გვარდია და ყველა. ჰევიტოპს ნიკრისის ქარები აუტყდა და გაგიჟებულია, წამოსვლას რომ ვერ ახერხებს. სარდლობა ო’ დაუდს გადაეცემა და ჩვენ ჩეტემიდან მომავალ

კვირაში მივემგზავრებით.

ომის ამბავი სწორედ მეხივით დაატყდა თავს ჩვენს მიჯნურებს და ყველა ეს ვაჟბატონი მძიმედ ჩააფიქრა.

თავი XXIII. კაპიტანი დობინი შუამდგომლობას განაგრძობს

რა ისეთი იდუმალი ჯადო უნდა მოეპოვებოდეს მეგობრობას, რომ, მისი გავლენით, ჩვეულებრივ ზანტი, გულცივი, ან გაუბედავი ადამიანი სხვისი გულისთვის ბრძენი, გამრჯე და შეუპოვარი ხდება? როგორც მაგალითად ალექსისი, რომელიც დოქტორ ელიოტსონის ხელის რამდენიმე გაქნევის შემდეგ არად აგდებს ტკივილს, კეფით კითხულობს წიგნს, ხედავს ათეულ მილებს იქით, წინასწარმეტყველებს მომავალი კვირის ამბებს და სჩადის ისეთ სასწაულებს, რაც მას ჩვეულებრივ მდგომარეობაში არ ძალუძს. სწორედ ასევე ხედავთ, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და მეგობრობის ჯადოს წყალობით, მორცხვი - კადნიერდება, მოკრძალებული - თავდაჯერებული ხდება, ზარმაცი - გამრჯე, ანდა ფიცხი და თავშეუკავებელი - გონიერი და წყნარი. მეორე მხრით, რა მიზეზია, რომ სამართლისმეტყველი საკუთარ საქმეს თავს არიდებს და მრჩევლად სწავლულ თანამოძმეს მოიხმობს? აგრეთვე, რა აიძულებს ლოგინად ჩავარდნილ ექიმს თავისი მოქიშპე მოაყვანინოს და რატომ თვითონ არ დაჯდება და არ გაისინჯავს საკუთარ ენას ბუხრის თავზე მოთავსებულ სარკეში, ანდა საკუთარ საწერ მაგიდაზე რატომ არ გამოიწერს რეცეპტს? მე ვთავაზობ ამ კუთხეებს გონებაგახსნილ მკითხველთ, რომელთაც იციან ერთ და იმავე დროს რა დამჯერნი და რა ურწმუნონი ვართ, რა ნებასდამყოლნი და რა ჯიუტნი, რა მტკიცენი სხვების გულისათვის და რა მორიდებულნი თვით ჩვენთვის.

ამავე დროს, ნამდვილი გახლავთ, რომ ჩვენი მეგობარი უილიამ დობინი, რომელიც პირადად ისე დამთმობი ბუნებისა იყო, რომ თუ მშობლები ცოტა ძალას დაატანდნენ, იქნებ

სამზარეულოშიც ჩასულიყო და მზარეული დედაკაცი შეერთო, და რომელსაც თავისი საკუთარი საქმის წინ წაწევის გულისთვის დაუძლეველ დაბრკოლებად მოეჩვენებოდა ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა, ახლა ჯორჯ ოსბორნის საქმეებისათვის ისეთი გამრჯეობა, გულმოდგინება და მუყაითობა გამოიჩინა, როგორც მხოლოდ ყველაზე თავკერძა ხრიკიან ვინმეს შეეძლო ჩაედინა საკუთარი თავისთვის.

სანამ ჩვენი მეგობარი ჯორჯი და მისი ახალგაზრდა მეუღლე თაფლის თვის პირველი ვარდისფერი დღეებით ტკბებოდნენ ბრაიტონს, პატიოსანი დობინი ჯორჯის მეურვედ იყო დატოვებული ლონდონში ქორწინების მთელი საქმიანი ნაწილის მოსაწესრიგებლად. მისი მოვალეობა იყო სტუმრებოდა ხოლმე მოხუც სედლის და მის მეუღლეს და გაემხნევებინა ბერიკაცი; უფრო დაეახლოვებინა ჯოზი და მისი სიძე ერთმანეთთან, რათა ჯოზის მდგომარეობასა და ღირსებას, ვითარცა ბოგლი-უოლაჰის გადასახადთა შემკრებისას, შესძლებოდა მამამისის დაქვეითებისათვის მონაცვლეობის გაწევა და ქორწინებისადმი შერიგებისაკენ გადმოეხარა მოხუცი ოსბორნი; და ბოლოს, შეეტყობინებინა უკანასკნელისათვის ეს ამბავი იმ სახით, რომ რაც შეიძლება ნაკლებ გაეგულისებინა მოხუცი.

ამიტომ, სანამ ოსბორნთა ოჯახის მეთაურს პირისპირ შეხვდებოდა დავალებული ამბის მოსახსენებლად, დობინმა მოისაზრა, ჭკვიანური იქნება, მანამდე თუ ოჯახის დანარჩენ წევრებს დავიმეგობრებ და, თუ შესაძლებელია, მანდილოსნებს ჩვენ მხარეს გადმოვიბირებო. გულში არ შეიძლება გაჯავრებული იყვნენო, ფიქრობდა იგი - არც ერთ დიაცს გულწრფელად ჯერ არასოდეს სწყენია რომანტიკული ქორწინების ამბავი. ცოტას მოიტირებენ, მერე შეურიგდებიან ძმას და მაშინ ჩვენ სამივენი ერთად შემოვარტყამთ ალყას ბატონ ოსბორნსო. ასე რომ ქვეითი ჯარის ეს მაკიაველისებრი კაპიტანი შეუდგა ფიქრს ხელსაყრელი ხერხებისა და ხრიკების გამოსაგონებლად, რომელთა შემწეობითაც უნდა შესძლებოდა ნელ-ნელა, წყნარად შეეპარებინა ოსბორნის ქალიშვილებისათვის ძმის საიდუმლო.

მცირეოდენი მიკითხვ-მოკითხვით გამოიძია სად და სად იყო დედამისი მიწვეული და ამით სულ მალე მოახერხა მიეკვლია ლედი დობინის რომელი მეგობარი მართავდა იმ სეზონში ისეთ

წვეულებას, სადაც შეიძლებოდა ოსბორნის დებს შეხვედროდა. თუმცა დობინს ეზიზღებოდა ის წვეულებანი და საღამოები, რომლებზედაც ბევრ ჭკუათამყოფელ კაცს, ვაგლახ, ძალიანაც მიუხარია, მალე იპოვნა ისეთი, სადაც დანი ოსბორნებიც უნდა ყოფილიყვნენ მიწვეულნი. დობინი გამოცხადდა წვეულებაში. ორივესთან იცეკვა ერთი-ორჯერ, თანაც საარაკო თავაზიანობას ამჟღავნებდა. ბოლოს კი მართლაც გამოიჩინა გულოვნება და სთხოვა მის ოსბორნს, ნება მიბოძეთ, ხვალ დილაადრიან გეწვიოთ და ორიოდე წუთით მოგელაპარაკოთ, დიდად სამძიმო ამბავი მაქვს თქვენთვის მოსახსენებელიო.

ნეტა რამ დაახევინა უცბად უკან მის ოსბორნს და შეანათებინა თვალები ამ ვაჟკაცისათვის, მერე კი ძირს რომ დახარა ისინი, თავის ფეხებს დააშტერდა და ისე ჩამოეკიდა მკლავზე ყმაწვილს, თითქოს ეს-ეს არის, გული უწუხდებაო, რომ რაინდს სწორედ თავის დროზე არ დაებიჯებინა ფეხის თითზე და ამით კვლავ გონს არ მოეყვანა ახალგაზრდა მანდილოსანი? ასე სასტიკად რად აღელდა დობინის თხოვნაზე? ამას ვერასოდეს ვერ შევიტყობთ. მაგრამ მეორე დილით, დობინი რომ ეახლა, მარია არ ბრძანდებოდა სასტუმრო დარბაზში დასთან, მის უირტიც გარეთ გავიდა ამ უკანასკნელის მოსაყვანად და კაპიტანი და მის ოსბორნიღა შერჩნენ ერთმანეთს. ორივენი ისე მდუმარებდნენ, რომ იფიგენიას შეწირვის ქანდაკებიანი საათის ტიკტიკიც ერთობ მკაფიოდ ისმოდა ბუხრის თავიდან.

- რა საუცხოო წვეულება იყო წუხელ, - წამოიწყო ბოლოს მის ოსბორნმა წამახალისებლად, - და... და რა კარგად გისწავლიათ ცეკვა, კაპიტანო დობინ. უეჭველია, ვინმე გწვრთნიდათ, - დასძინა საამური ცბიერებით.

- ნეტა განახათ როგორა ვცეკვავთ ერთ შოტლანდიურ ცეკვას მე და ჩვენი მაიორის, ო’ დაუდის, მეუღლე; ან კიდევ ჯიგს... გინახავთ ოდესმე ჯიგი? მაგრამ, მე მგონი, ყველა მოახერხებდა თქვენთან ცეკვას, მის ოსბორნ, თქვენ ისე მშვენივრად ცეკვავთ.

- მაიორის მეუღლე ყმაწვილი და ლამაზია, კაპიტანო? - კვლავ შეეკითხა ტურფა. - ოჰ, რა საშინელება უნდა იყოს მხედრის ცოლობა? მიკვირს, რაღა გული აქვთ ცეკვისათვის და მერე ისევ ამ თავზარდამცემი ომიანობის დროს? ოჰ, კაპიტანო დობინ, ხანდახან პირდაპირ კანკალი ამიტანს ხოლმე, ჩვენი

უძვირფასესი ჯორჯი რომ მომაგონდება და საბრალო ჯარისკაცის სახიფათო საქმენი. თქვენს რაზმში ბევრი ცოლიანია, კაპიტანო დობინ?

„გეფიცებით, ნამეტანი აშკარა არშიყობა გამოდის“, - გაიფიქრა მის უირტმა; მაგრამ ეს შენიშვნა იქნებ სახსენებელიც არ იყოს და არც გამოუტანებია ცოტა ღრიჭოდ დატოვებულ კარში, სადაც ამ მანდილოსანმა წაიდუდუნა იგი.

- ერთი ჩვენი ყმაწვილი სწორედ ეს-ეს არის დაქორწინდა, - მიუგო ახლა კი მიზანს მიახლოვებულმა დობინმა. - ძალიან დიდი ხანია უყვარდათ ერთმანეთი და ახალგაზრდები ახლა პირდაპირ ეკლესიის თაგვებივით ულუკმაპურონი არიან - არაფერი აბადიათ!

- ოჰ, რა კარგია! ოჰ, რა მომხიბლავია! - შესძახა მის ოსბორნმა, როცა კაპიტანმა დიდი ხნის სიყვარული და ულუკმაპურობა ახსენა.

თანაგრძნობამ დობინი უფრო წააქეზა.

- მერე მთელ რაზმში იმაზე უკეთესი ყმაწვილი არ მოიპოვება, - განაგრძო მან. - ის კი არა, მთელ არმიაშიც არ იქნება იმაზე უფრო მამაცი და ლამაზი ოფიცერი და მერე ცოლიც რა მომხიბლავი შეირთო! როგორ შეგიყვარდებოდათ თქვენც... როგორ შეიყვარებთ თქვენც, როცა გაიცნობთ, მის ოსბორნ!

ყმაწვილმა ქალმა გაიფიქრა, ახლა კი ნამდვილად დადგა დროო, და დობინის ბორგვაზე, რაც აშკარად დაეტყო მას სახის ათასნაირად დაპრანჭვაზე, იატაკზე უშველებელი ფეხის ბაგაბუგზე, მუნდირის ღილების წამდაუწუმ შეკვრა-გახსნაზე და სხვა., - მის ოსბორნმა, როგორც მოგახსენეთ, გაიფიქრა, ეს ყმაწვილი ცოტა კიდევ რომ გამხნევდეს, უკვე სულაც გადმომიშლის გულსაო და ყურები დაცქვიტა მოსასმენად. და როცა საათი, რომლის საკურთხეველზედაც იფიგენია ესვენა, შესამზადებელი კრუნჩხვის შემდგომ, თორმეტის დარეკვას შეუდგა, უბრალო, მძიმე რეკვა თითქოს პირველ საათამდე მაინც გაგრძელდებაო, ისე დაუსრულებელი მოეჩვენა სულწასულ შინაბერას.

- მაგრამ ქორწინების ამბის სათქმელად კი არ გეახელით მე... ესე იგი ამ ქორწინების... ესე იგი... არა, მე მინდა მოგახსენოთ... ჩემო ძვირფასო მის ოსბორნ, მინდა მოგელაპარაკოთ ჩვენი

ძვირფასი მეგობრის, ჯორჯის საქმეზე, - აღმოთქვა ბოლოს დობინმა.

- ჯორჯის საქმეზე? - ისეთის იმედგაცრუებულის კილოთი წამოიკნავლა მის ოსბორნმა, რომ მარიას და მის უირტს სიცილი წასკდათ კარს იქით და თვით ამ ხელიდან წასულ, გარეწარ დობინსაც კინაღამ პირზე ღიმილი მოერია; რადგან არცთუ მთლიანად არა გაეგებოდა რა საქმის ვითარებისა. ჯორჯს არა ერთხელ წაუხუმრებია მისთვის შნოიანად და უთქვამს: „დალახვროს ღმერთმა, უილ, რატომ არ შეირთავ ჩვენს ბებრუცუნა ჯეინს? რომ ითხოვო, უარს არ გეტყვის. დავნაძლევდეთ, ორში ხუთს მოგცემ, თუ არ წამოგყვესო“.

- დიახ, ჯორჯის საქმეზე მინდა მოგახსენოთ, - განაგრძო მან. - ცოტაოდენი უთანხმოება მოუვიდათ იმას და ბატონ ოსბორნს. და მე ჯორჯი ისე მიყვარს... ხომ იცით, ჩვენ ძმებივით შევიზარდეთ... და მე იმედი მაქვს და გევედრებით, რომ ეს ჩხუბი როგორმე მოვსპოთ. ჩვენ უცხოეთში უნდა გავილაშქროთ, მის ოსბორნ. დღე-დღეზე ველით ბრძანებას. ვინ იცის, რა მოხდება ლაშქრობაში? ნუკი შეშფოთდებით, ძვირფასო მის ოსბორნ, და ეს ორნი მაინც, სჯობია, სიყვარულით გამოესალმონ ერთმანეთს.

- აქ არაფერი ჩხუბი არ ყოფილა, კაპიტანო დობინ, მხოლოდ უბრალო ჩვეულებრივი შელაპარაკება მოუვიდა მამასთან, - მიუგო მანდილოსანმა. - ჩვენ ყოველდღე ველით ჯორჯის დაბრუნებას. მამას მხოლოდ და მხოლოდ კარგი უნდა მისთვის. ჯორჯი მარტო უკან უნდა დაბრუნდეს და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად ჩაივლის. და ძვირფასი როდაც, მართალია აქედან ძალიან, ძალიან გაჯავრებული წავიდა, ვიცი, კვლავ გულს მოიბრუნებს. ქალს ყოველთვის ძალიან მალე მოუბრუნდება ხოლმე გული, კაპიტანო!

- თქვენისთანა ანგელოზს, დარწმუნებული ვარ, რასაკვირველია, მოუბრუნდება, - დათვური ცბიერებით მოახსენა დობინმა ქათინაური, - და არც რომელიმე ვაჟკაცს ეპატიება დიაცის გულის ტკენა. რა გუნებაზე დადგებოდით, ვინმე მამაკაცს რომ გაეწბილებინეთ?

- სულიც ამომხდებოდა... ფანჯრიდან გადავვარდებოდი... თავს მოვიკლავდი... სევდისაგან დავჭლექდებოდი და

მოვკვდებოდი. სწორედ რომ ასე დამემართებოდა! - შესძახა შინაბერა ქალიშვილმა, რომელმაც სიყვარულში ბარე ოთხჯერაც განიცადა იმედის გაცრუება, მაგრამ თავის მოკვლა ფიქრადაც არ მოსვლია.

- და სხვებიც მოიპოვებიან ქვეყანაზე, - განაგრძო დობინმა, - თქვენსავით ერთგულნი და გულკეთილნი. მე უესტ-ინდოელ მემკვიდრეზე არ მოგახსენებთ, მის ოსბორნ, არამედ იმ საბრალო გოგონას ვგულისხმობ, ჯორჯს რომ წინათ უყვარდა და რომელიც ისე გაიზარდა ბალღობიდანვე, რომ სხვა ვინმეზე ფიქრი არ გაჰკარებია მის გულს. მე ვნახე იგი სიღატაკეში ჩავარდნილი, უდრტვინველი და გულგატეხილი და მერე ისიც სულ უდანაშაულოდ. მე მის სედლიზე მოგახსენებთ! ძვირფასო მის ოსბორნ, განა თქვენისთანა დიდსულოვან ადამიანს ძმის მოძულება ძალუძს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ ქალისადმი ერთგულება გამოიჩინა? განა თვით ჯორჯს საკუთარი სინდისი მოასვენებდა, იმისათვის რომ თავი დაენებებინა? უმეგობრეთ მის სედლის... იმას ყოველთვის უყვარდით თქვენ... და... და მეც აქ ჯორჯისაგან ვარ გამოგზავნილი გადმოგცეთ, რომ იგი დანიშნულთან დადებულ პირობას თავის უწმინდეს მოვალეობად თვლის და თქვენ მაინც გთხოვთ, მისი მხარე დაიჭიროთ!

როცა რაიმე ძლიერი გრძნობა გაიტაცებდა ბატონ დობინს, და პირველ ორიოდე სიტყვაზე წაბორძიკებას გადაურჩებოდა, მერე სრულიად თავისუფლად და ლაღად შეეძლო ლაპარაკი და აშკარა იყო, რომ ახლაც მისმა მჭევრმეტყველებამ გვარიანი გავლენა მოახდინა ამ მანდილოსანზე.

- აბა, - დაიწყო მის ოსბორნმა, - ეს გახლავთ... მეტად გასაოცარი... მეტად სამწუხარო... მეტად გაუგონარი ამბავი... რას იტყვის მამა?.. ჯორჯმა ამნაირად გადააგდოს ასე საუცხოო საცოლე, რომელიც ხელში უვარდებოდა!.. ასე თუ ისე, თქვენი სახით ერთობ მამაცი რაინდი კი უპოვნია, კაპიტანო დობინ. მაგრამ მაინც ფუჭი კი არის, - განაგრძო მან, მცირე დუმილის შემდეგ, - ძალიან მებრალება მის სედლი... ძალიან, ძალიან გულწრფელად შემტკივა გული, მე თქვენ გეუბნებით. ჩვენ არასოდეს არა ვთვლიდით მას ჯორჯისთვის შესაფერ საცოლედ, თუმცა ყოველთვის ძალიან, ძალიან ალერსიანად ვეპყრობოდით ხოლმე ჩვენსა. მაგრამ მამა, დარწმუნებული ვარ, არასოდეს არ დათანხმდება და კარგი ოჯახიშვილმა

ახალგაზრდა მანდილოსანმა, მოგეხსენებათ... და წინდახედულმა, უნდა... ჯორჯმა უნდა დაანებოს მას თავი, ძვირფასო კაპიტანო დობინ, სწორედ უნდა დაანებოს!

- მაშ ვაჟკაცმა უნდა დააგდოს საყვარელი ქალი სწორედ მაშინ, როცა მას უბედურება დაატყდა თავს? - გაიშვირა წინ ხელი და თქვა დობინმა. - ძვირფასო მის ოსბორნ! ნუთუ თქვენი პირიდან მესმის ეს რჩევა? ჩემო ძვირფასო ქალბატონო, თქვენ უნდა უმეგობროთ იმ ასულს! ჯორჯს არ შეუძლია მისთვის თავის დანებება. ჯორჯმა არ უნდა დაანებოს მას თავი. აბა იფიქრეთ, თქვენთვის რომ თავი დაენებებინა სატრფოს, აქაო და ღატაკიაო?

ამ ოსტატურმა კითხვამ არა მცირედ მოულბო გული მის ჯეინ ოსბორნს.

- არ ვიცი, ჩვენ საბრალო გოგოები უნდა ვენდოთ თუ არა თქვენს ნათქვამს, კაპიტანო, - უპასუხა მან. - ქალი სათუთია და ამ სისათუთეში რაღაც ისეთი მოეპოვება, რაც ხელს უწყობს მის ადვილად დარწმუნებას. ვშიშობ, რომ თქვენ, კაცები, ბოროტი, ბოროტი მატყუარები ბრძანდებით. - და დობინმა აშკარად იგრძნო მის ოსბორნისაგან გამოწვდილი ხელის მოჭერა.

ცოტა შეშფოთებულმა კაპიტანმა ცივად გაუშვა ხელი მის ხელს.

- მატყუარები! - შესძახა მან. - არა, ძვირფასო ქალბატონო ოსბორნ, ყველა კაცი არ გახლავთ მატყუარა; მაგალითად, თქვენი ძმა! ჯორჯს ემილია სედლი ბავშვობიდანვე უყვარდა. ვერანაირი სიმდიდრე ვერ ააღებინებს იმაზე ხელს და ვერ შეართვევინებს სხვას. მაშ დაანებოს თავი? თქვენ ურჩევთ, რომ ასე ჰქნას?

რა პასუხი უნდა გაეცა მის ჯეინს ამისთანა კითხვისათვის და მერე ისიც ისე თავისებურ შეხედულებათა პატრონს? მას არ შეეძლო პასუხის გაცემა და ამიტომ იგი თავიდანაც აიცილა შემდეგი სიტყვებით: - აბა, თქვენ თვითონაც თუ მატყუარა არა ბრძანდებით, ერთობ მგრძნობიარე და უცნაური მაინცა ყოფილხართ! - მაგრამ კაპიტანმა უილიამ დობინმა ამ შენიშვნას ყური აარიდა.

ბოლოს, როცა შემდგომი თავაზიანი მუსაიფის შემწეობით

დაასკვნა, რომ მის ოსბორნი საკმაოდ იყო შემზადებული ახალი ამბის მოსმენისათვის, კიდეც გადმოულაგა: „ჯორჯს არ შეუძლია ემილიას დაგდება... ჯორჯმა ჯვარი დაიწერა იმაზეო“... და მერე უამბო ქორწინების გარემოებანი, რაც ჩვენ უკვე ვიცით: როგორ გამოესალმებოდა სიცოცხლეს საბრალო გოგო, მის სატრფოს რომ სიტყვა გაეტეხა; როგორ ხელაღებით იუარა მოხუცმა სედლიმ ქორწინებაზე თავის თანხმობის გამოცხადება; ბოლოს როგორ მოიპოვეს ნებართვა და ჯოზ სედლი როგორ ჩამოვიდა ჩელტნემიდან დის გასათხოვებლად, როგორ გაემგზავრა ნეფე-დედოფალი ჯოზის ოთხცხენიანი ეტლით ბრაიტონს თაფლის თვის იქ გასატარებლად; და როგორი იმედი ჰქონდა ჯორჯს თავისი ძვირფასი, გულკეთილი დებისა, რომ ისინი შეარიგებენ მას მშობლებთან და როგორც ქალები, და ისიც ასე გულითადი და ნაზი ბუნების ქალები, დიაღაც რომ იზამენ ამას. დასასრულ სთხოვა, ნება მიბოძეთ კიდევ გესტუმროთო (რაც მყის უბოძეს); თანაც მართებულად ივარაუდა, ჩემ ნათქვამს დანარჩენი მანდილოსნები ხუთიოდე წუთში შეიტყობენო და კაპიტანი დობინი თავის დაკვრით გამოესალმა.

ჯერ სახლიდან არ იქნებოდა გასული, რომ მის მარია და მის უირტი შეიჭრენ მის ოსბორნთან და იმ მანდილოსანმაც მთელი საოცარი საიდუმლო მაშინვე გაუზიარა მათ. სიმართლე მოგახსენოთ, ეს ამბავი არც ერთ დას მეტისმეტად არ სწყენია. ნამალევ ქორწინებას რაღაც ისეთი თვისება მოეპოვება, რომ ასეთი ამბის გაგონებაზე მხოლოდ ორიოდე დიაცი თუ გაწყრება გულწრფელად; და ემილია მათ თვალში თითქოს უფრო ამაღლდა კიდეც, მისი ბუნების ქალი ამნაირ გათხოვებას რომ დათანხმდა. როცა ამ ამბავზე კამათობდნენ, ყბედობდნენ და მკითხაობდნენ, მამა რას იზამს ან რას იტყვისო, კარზე ისეთი კაკუნის ხმა მოისმა, გეგონებოდათ დამნაშავის დამსჯელი მეხი გავარდაო და შეთქმულნი დააფრთხო. მამა უნდა იყოსო, გაიფიქრეს მათ. მაგრამ ის არ ყოფილა. ეს გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ ბატონი ფრედერიკ ბულოკი, რომელიც პირობისამებრ სიტიდან მობრძანდა, რათა მანდილოსნებს ყვავილების გამოფენაზე თან ხლებოდა.

ამ დარბაისლისათვისაც, როგორც მოსალოდნელია კიდეც, დიდხანს არ დაუმალავთ საიდუმლო. მაგრამ მის გაგონებაზე სახეზე ისეთი განცვიფრება გამოეხატა, რაც ძალიან განსხვავდებოდა დების სახეზე გამოხატული, თითქოს

გულისამაჩუყებელი გაოცების გამომეტყველებისაგან. ბატონი ბულოკი წუთისოფლის კაცი და მდიდარი ფირმის უმცროსი მონაწილე გახლდათ. იცოდა რა იყო ფული და მისი ყადრიც ესმოდა. ამიტომ მოლოდინის საამო თრთოლამ გააბრწყინა ბატონ ბულოკის წვრილი თვალები და ღიმილით გადაახედვინა მის მარიასათვის, როცა გაითვალისწინა, რომ ბატონ ჯორჯის ამ სიბრიყვის წყალობით იმის საცოლეს იქნებ ოცდაათი ათასი გირვანქით იმაზე მეტი მოჰყოლოდა მზითვად, ვიდრე ოდესმე წინათ შეეძლო ეოცნება.

- ღმერთო! ჯეინ, - შესძახა მან და თვით უფროს დასაც კი ერთგვარი ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი. - ილზი ახლა კი შემოიკრავს თავში ხელს, ცოლად რომ არ გითხოვა. შენ ახლა ორმოცდაათი ათასი გირვანქა მაინც გექნება!

დებს ფულზე ფიქრი აქამდე ჯერ არ მოსვლოდათ თავში, მაგრამ ფრედ ბულოკი ნატიფი სილაღით ეხუმრებოდა მათ ამის თაობაზე დილის ექსკურსიის განმავლობაში და თავიანთსავე თვალში არა მცირედი ღირსება მოემატათ იმ დროისათვის, როცა ეს დროსტარება მოითავეს და შინისაკენ გაუდგნენ გზას სასადილოდ. და ნუ ინებებს ჩემი პატივცემული მკითხველი ხმა აიმაღლოს ამ სიხარბისა და თავკერძაობის, ვითარცა არაბუნებრივის, წინააღმდეგ. სწორედ დღეს დილით იყო, რომ ომნიბუსით გეახლებოდათ იგი რიჩმონდიდან და სანამ ცხენებს გამოცვლიდნენ, მემატიანემ, რომელიც ომნიბუსის სახურავზე იჯდა, ქვემოთ გუბეში ერთობ ჭუჭყიანი, ერთმანეთთან შეხმატკბილებული და ბედნიერი სამი პატარა ბალღი შენიშნა, - თამაშობდნენ. ამ სამთან უცბად მეოთხე პაწიამ მოირბინა. „პოლი! - მოაძახა მან. - შენმა დამ პენი იპოვნა!“ ამ დაძახილზე ბავშვები მყის ამოცვივდნენ გუბიდან და თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ პეგის თაყვანსაცემად. და ომნიბუსი ადგილიდან რომ დაიძრა, პეგისაც მოვკარი თვალი; ბალღების ამალის თანხლებით დიდის რიხით მიემართებოდა იქვე ახლოს მეშაქარლამე დედაკაცის ფარდულისაკენ.

თავი XXIV. ბატონი ოსბორნი საგვარეულო ბიბლიას გადმოიღებს

დები რომ ასე შეამზადა, დობინი მერე სიტისაკენ გაეშურა ნაკისრი საქმის დარჩენილი, გაცილებით უფრო სამძიმო ნაწილის აღსასრულებლად. მოხუც ოსბორნთან პირისპირ შეხვედრის ფიქრი არა მცირედ აფრთხობდა მას და არა ერთხელ მოუვიდა აზრად, ახალგაზრდა მანდილოსნებისთვის დაეცლია, თვითონ გაემჟღავნებინათ საიდუმლო, რაც, კარგად იცოდა, მათ დიდხანს ვერ გაუჩერდებოდათ პირში. მაგრამ დობინს ჯორჯისათვის პირობა ჰქონდა მიცემული: რა ყოფით მიიღებს უფროსი ოსბორნი ამ ამბავს, გეტყვიო. ამიტომ სიტიში რომ ჩავიდა, ტემზის ქუჩაზე, მამის კანტორაში შეიარა და იქიდან მიართვა კაცის ხელით ბარათი ბატონ ოსბორნს, გთხოვთ ნება მიბოძოთ ნახევარი საათით გესტუმროთ თქვენი ვაჟიშვილის, ჯორჯის, საქმეზე მოლაპარაკებისათვისო. დობინის შიკრიკი დაბრუნდა ოსბორნის კანტორიდან, მოახსენა მისგან მოკითხვა და სურვილიც; დიდად ბედნიერი ვიქნები, კაპიტანი თუკი ახლავე მესტუმრებაო. დობინიც მყის გაუდგა გზას მის სანახავად.

კაპიტანს ნახევრად დანაშაულებრივი საიდუმლო ჰქონდა გასამხელი, თანაც შემაწუხებელი და ქარიშხლიანი საუბარიც მოელოდა; ამიტომ ბატონ ოსბორნის კანტორაში ძალიან სახედაღვრემილი შევიდა - ფეხები უკან რჩებოდა. წინა ოთახში გავლისას, სადაც მისტერ ჩოპერი უჯდა მაგიდას, ეს საქმოსანი ცოტა ეშმაკური ღიმილით მიესალმა და ამან კიდევ უფრო მოუღო ბოლო დობინს. მისტერ ჩოპერმა თვალი ჩაუკრა, თავი დაუქნია, კალმით ანიშნა ბატონის კარზე და თან ფრიად წამახალისებელი, თითქოს ალერსიანი კილოთი დასძინა: პატრონი სწორედ ჩინებულ გუნებაზე გახლავთო.

ოსბორნიც წამოუდგა ფეხზე, გულიანად ჩამოართვა ხელი და „რასა იქმ, ჩემო საყვარელო შვილოო“, ისეთი გულითადობით უთხრა, რომ ჯორჯის საბრალო ელჩმა ორმაგად მეტ დამნაშავედ იგრძნო თავი. მისი ხელი მიცვალებულის ხელივით იდო ბერიკაცის თათში. იგი გრძნობდა, რომ მეტ-ნაკლებად ის, დობინი, იყო მთელი მომხდარი ამის მიზეზი. სწორედ მან დაუბრუნა ემილიას ჯორჯი, მიჯნურთ იგი უწყობდა ხელს, აქეზებდა, ამხნევებდა და თითქმის მანვე მოაწყო ის ქორწინებაც, რომლის ამბავი ჯორჯის მამისათვის

ახლა უნდა გაემჟღავნებინა. ეს უკანასკნელი კი ისეთი ალერსიანი ღიმილით ესალმებოდა, უთათუნებდა მხარზე ხელს და „დობინ, ჩემო საყვარელო შვილოო“, ეძახდა. - მოციქულს დიაღაც რომ ემართლებოდა თავი დაღვრემილობისათვის.

ოსბორნი სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ დობინი მისი ვაჟიშვილის მორჩილების საუწყებლად ეახლა. მისტერ ჩოპერსა და მის ბატონს სწორედ მაშინ ჰქონდათ ბაასი მამა-შვილის უთანხმოებაზე, როცა დობინის შიკრიკი მოვიდა. ორივემ ერთად დაასკვნა, ჯორჯი მორჩილების გამოსაცხადებლად გზავნისო. ორივე უკვე რამდენიმე დღეა ელოდა ამას - და „ღმერთო! ჩოპერ, რა ქორწილს გავმართავთ, ჰა!“ - შესძახა კიდეც ბატონმა ოსბორნმა თავის კლერკს, გაატკაცუნა კოტიტა თითები და ჩხრიალი აუყენა გინეებსა და შილინგებს უშველებელ ჯიბეებში; თან გამარჯვებული მოზეიმის სახით შეჰყურებდა ხელქვეითს.

ორივე ჯიბეში კვლავ იმგვარივე ყოფით განაგრძობდა ფულების ჩხარუნს და გამამხნევებელი, მხიარული იერით შესცქეროდა მის წინ მჯდომ ნირწამხდარ და მდუმარე დობინს. „რა ხეპრე ვინმეა და მერე ოფიცერი მაინც არ იყოს! - ფიქრობდა გულში მოხუცი ოსბორნი. - საკვირველია, ჯორჯმა მაინც როგორ ვერ ასწავლა უფრო ხეირიანი ყოფაქცევა!“

ბოლოს, როგორც იქნა, დობინმა მოიკრიბა მხნეობა.

- ბატონო, - დაიწყო მან, - დიდად სამძიმო ამბავი მოგიტანეთ: ამ დილით არმიის მთავარ შტაბში გახლდით და უკვე უეჭველია, რომ ჩვენი რაზმი უცხოეთში გაიგზავნება და ამ კვირაშივე კიდეც უნდა გაუდგეს ბელგიის გზას. მოგეხსენებათ, ბატონო, რომ მანამდე შინ ვერ დავბრუნდებით, სანამ შეუპოვარ ბრძოლას არ გადავიხდით. ეს ბრძოლა კი ბევრი ჩვენთაგანისთვის იქნებ საბედისწეროც აღმოჩნდეს.

ოსბორნი მოიღუშა.

- ჩემი შ... რაზმი, მე იმედი მაქვს, თავის მოვალეობას მოიხდის, ბატონო ჩემო, - თქვა მან.

- ფრანგები ნამეტანი ძლიერნი არიან, ბატონო, - განაგრძო დობინმა. - ხოლო რუსები და ავსტრიელები სანამ მოგვაშველებდნენ ჯარებს, დიდი დრო გავა. პირველი შეტაკება

ჩვენ შეგვხვდება, ბატონო; დამერწმუნეთ, ბონი გველის ტყავში გაძვრება, რომ ეს შეტაკება, რაც შეიძლება, ძვირად დაგვისვას.

- სად უკაკუნებ, დობინ? - შეაწყვეტინა შეშფოთებულმა თანამოსაუბრემ და წარბი შეიკრა. - არა მგონია, რომელიმე ბრიტანელი შეუშინდეს ვიგინდარა ფრანგს, ჰა?

- მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ სანამ ჩვენ გავილაშქრებდეთ, თუ გავითვალისწინებთ დიდსა და უეჭველ ხიფათს, რაც ყოველ ჩვენგანს თავს დასტრიალებს... თუ რაიმე უთანხმოება არის თქვენსა და ჯორჯს შორის... კარგი იქნებოდა, ბატონო, რომ... რომ ხელი გაგეწოდებინათ ერთმანეთისათვის, ხომ? იმას რომ რამე აუტყდეს, არა მგონია, ოდესმე მიუტევოთ თქვენს თავს, თუ სიყვარულით არ გამოესალმებით.

ეს რომ წარმოთქვა, საბრალო უილიამ დობინი ყაყაჩოსავით გაწითლდა და თვითონ იგრძნო და სცნო კიდეც, მოღალატე ვარო. ის რომ არა, ეს განხეთქილება იქნებ სულაც არ მომხდარიყო. რატომ არ შეაყოვნეს ჯორჯის ქორწინება? რა აუცილებელი იყო ასე სულწასულობა? დობინი გრძნობდა, რომ ჯორჯს მაინცდამაინც არ გადაიტანდა ემილიასთან გაყრის დარდი და თვით ემილიასაც, შესაძლო იყო, ჯორჯის დაკარგვით გამოწვეული მეხის დაცემისათვის ბოლოს მაინც გაეძლო. სწორედ მისი, დობინის, რჩევით განხორციელდა ეს ქორწინება და ყოველი მისი შედეგი, და მერე რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ მას უზომოდ უყვარდა ემილია და არ შეეძლო მისი გაუბედურება ეხილა; ან იმიტომ, რომ მან ვეღარ აიტანა გაურკვევლობის ბურუსში ტანჯვა-წამება და ესწრაფოდა მისთვის ერთბაშად მოეღო ბოლო; ისევე როგორც, ჩვეულებრივ, გარდაცვალების შემდეგ გასვენებას ვჩქარობთ; ან კიდევ, როცა ჩვენთვის საყვარელ ადამიანებთან განშორება აუცილებელია, მანამ ვერ მოვისვენებთ, სანამ არ გავეყრებით.

- შენ კარგი ბიჭი ხარ, უილიამ, - უთხრა შერბილებული კილოთი ბატონმა ოსბორნმა; - და მაგას მართალს ამბობ: მე და ჯორჯი ერთმანეთზე განაწყენებული არ უნდა დავრჩეთ ომში წასვლის წინ. ყური მიგდე: იმდენი ამაგი მიმიძღვის ჯორჯზე, რომ ვერც ერთი მამა ამაზე მეტს ვერ ჩაიდენდა. თავს დავდებ, თუ სამჯერ იმაზე მეტი ფული არ მეძლიოს, რასაც მამაშენი ოდესმე გაძლევდა ხოლმე, მაგრამ ამით თავი არ მომაქვს. არ ვიტყვი, რა ჯაფას ვეწეოდი მისთვის, როგორ ვშრომობდი, რა გველის

ტყავში ვძვრებოდი, როგორ ეხმარებოდი ჩემს ნიჭსა და ძალ-ღონეს. ჰკითხე ჩოპერს, ჰკითხე თვითონ მას, იკითხე ლონდონის სიტიში. ჰოდა, მე ვთხოვ ისეთი ქალი შეირთოს, რომლის შერთვითაც ჩვენი ქვეყნის ყველა წარჩინებული იამაყებდა. ეს არის მთელ ჩემს სიცოცხლეში ერთადერთი სათხოვარი და ამაზედაც უარს მეუბნება. განა მე ვარ დამნაშავე? განა მე ვარ ჩხუბის წამომწყები? მე ხომ მხოლოდ მისი კეთილდღეობისთვისა ვცდილობ და სწორედ მისთვის ვღვრიდი ოფლს კატორღელივით მისი დაბადების დღიდანვე? ვერაკაცი ვერ იტყვის ჩემზე, თავკერძაობით მოსდისო. დაე, დაბრუნდეს. მე გეუბნებით: აი, ჩემი ხელი; მე გეუბნებით: დავივიწყოთ და ვაპატიოთ ერთმანეთს. ახლა ქორწინება სახსენებელიც აღარ არის. დაე, ის და მის სუორცი მორიგდნენ, ქორწილი კი მერე გავმართოთ, როცა გაპოლკოვნიკებული დაბრუნდება უკან; რადგან სწორედ პოლკოვნიკი გახდება ჯორჯი. ღმერთს გეფიცები, უნდა გახდეს, თუკი ფულს რამე ძალა აქვს. მიხარია, რომ ჭკუაზე მოგიყვანია. ვიცი, შენ იზამდი, დობინ, შენ წინათაც ბევრჯერ გამოგიხსნია ბევრი ხათაბალიდან. დაე, დაბრუნდეს, მე არ გამოვიჩენ სისასტიკეს. მოდი შემოიარე დღეს სადილად რასელ-სკვერში - ორთავე მოდით. წინანდელ ადგილს, წინანდელ დროს! სადილად ირმის ხორცი გვექნება და ძველზე კრინტსაც აღარავინ დასძრავს!

ეს შექება და ნდობა ძალიან მწარედ მოხვდა გულში დობინს. მთელი ამ ლაპარაკის განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობდა თავს დამნაშავედ.

- ბატონო, - ამოიღო ბოლოს მან ხმა, - ვშიშობ, რომ უნდა ცდებოდეთ. დარწმუნებულიცა ვარ, ცდებით. ჯორჯი იმდენად დიდსულოვანი კაცია, არასოდეს არ იკადრებს ფულის გულისათვის ცოლის შერთვას. თქვენი მუქარა, თუ არ დამემორჩილე, მემკვიდრეობას წაგართმევთ, მხოლოდ და მხოლოდ მის წინააღმდეგობას წააწყდება.

- ვაჰ, დალახვროს ღმერთმა: კაცო, ნუთუ წელიწადში რვა ათასის შეძლევას მუქარას ეძახი? - კვლავ წამახალისებელი, მხიარული კილოთი მიუგო ბატონმა ოსბორნმა. - ღმერთო ჩემო, მის სუორცი რომ არ დამიწუნებდეს, სწორედ ახლავე ვიფსკვნიდი გვირგვინს! მე მაინცდამაინც არ დაგიდევ სახის ფერს! - და დაბერებულმა ვაჟბატონმა ეშმაკურად დაკრიჭა

კბილები და ჩაიხვიხვინა.

- თქვენ გავიწყდებათ, ბატონო ჩემო, კაპიტან ოსბორნის პირვანდელი დანიშნული და დადებული პირობა, - მოახსენა წარბშეკრულმა მოციქულმა ტკეპნით.

- რის დანიშნული, რა პირობა? რაებს მიჰქარავ? შენ იმას ხომ არ ამბობ... - განაგრძო ბატონმა ოსბორნმა და თან ბრაზმა და გაოცებამ შეიპყრო, როცა ახლაღა მოუვიდა თავში ეს ფიქრი, - შენ ის ხომ არ გინდა თქვა, რომ ჯორჯი იმდენად წყალწაღებული ტუტუცია, რომ კიდევ იმ გამოყეყეჩებული, გაღლეტილი კოტრის გომბიოს აჰკვიატებია? შენ იმისთვის ხომ არ მობრძანდი აქ, მაცნობო, რომ იმას იმ გოგოს შერთვა ნებავს? იმის შერთვა! სწორედ დიდებული საქმე იქნება, აი!.. ჩემმა ვაჟმა და მემკვიდრემ წუმპიდან ამოთრეული მათხოვრის გომბიო უნდა შეირთოს? ჭირსაც წაუღია მისი თავი, თუ ასე ჰქნა! მაშ წავიდეს, იყიდოს ცოცხი და ქუჩის გზაჯვარედინი ჰგავოს. ახლა მაგონდება, ის გოგო ყოველთვის ეტორღიალებოდა და ეარშიყებოდა იმ ბრიყვსა და დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ ბებერი თაღლითის, იმის მამის, შემოჩენილი იყო!

- ბატონი სედლი თქვენი გულითადი მეგობარი გახლდათ, ბატონო ჩემო, - ჩაურთო დობინმა და თითქმის ეამა, როცა თავს შეატყო, გული მომდისო. - ერთ დროს არამზადასა და თაღლითზე უკეთეს სახელებსაც ეძახდით. ეს ქორწინება თქვენი ნახელავია. ჯორჯს რაღა უფლება ჰქონდა კეკემალულობა ეთამაშა...

- კეკემალულობა ეთამაშა! - შეჰღრიალა ბებერმა ოსბორნმა. - კეკემალულობა ეთამაშაო! ბიჭოს! წყეული ვიყო, თუ სწორედ ეს სიტყვები არ ებრძანებინა თვითონ იმ ჩემს ვაჟბატონსაც, როცა ბღინძვა და ყოყოჩობა დაიწყო. მას აქეთ ამ ხუთშაბათს შესრულდა ორი კვირა, საკუთარი მშობელი მამის წინაშე თავი რომ მოჰქონდა, აქაოდა ბრიტანეთის მხედრობის კაცი ვარო. რა, შენ ააგულიანე ისიც, ხომ!.. ხომ შენ ააგულიანე? ოჰ, უმორჩილესად გმადლობთ, ბატონო კაპიტანო! ეს თქვენა ბრძანდებით, რომ ჩემს ოჯახში მაწანწალას ქალიშვილი გნებავთ შემოიყვანოთ? გმადლობთ ტყუილად გარჯისათვის, ბატონო კაპიტანო! მართლაც რომ შეირთოს ის გომბიო! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! და მერე რა ჯანდაბად უნდა? მე სანაძლეოს ვდებ, თუ ჯვარდაუწერლადაც კისრისტეხით არ გამოეკიდოს!

- ბატონო ჩემო! - შესძახა დობინმა და განრისხებული წამოიჭრა ზეზე, - ჩემს გასაგონად არა კაცს არ მივცემ ნებას შეურაცხყოს ის მანდილოსანი და ყველაზე ნაკლებად ხომ თქვენ!

- ოჰო, ბრძოლაში გაწვევას ხომ არ მიპირებ? მიწვევ განა? მოითმინეთ, ერთი ზარი დავრეკო და ორთავესთვის დამბაჩები მოვატანინო. ბატონმა ჯორჯმა იმიტომ გამოგგზავნა, მამაჩემი შეურაცხყეო, არა? - მიუგო ოსბორნმა და ზარის თასმას ჩამოჰკრა ხელი.

- ბატონო ოსბორნ, - მიმართა დობინმა ხმის კანკალით, - მე კი არა თქვენ შეურაცხყოფთ ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უკეთეს არსებას. გერჩივნათ რიდით მოპყრობოდით მას, ბატონო ჩემო, რადგან იგი უკვე თქვენი რძალიც გახლავთ!

ეს სიტყვები რომ თქვა დობინმა კიდეც იგრძნო, მეტის თქმა აღარ შემიძლიაო და გაიარა კარი, ხოლო ოსბორნი კი მოწყვეტით გადაესვენა სავარძელში და გაოგნებულმა დაბნეულად გააყოლა თვალი მიმავალს. ზარის მორჩილი კლერკი სასწრაფოდ შევარდა და კაპიტანი არც გამოსცილებოდა იმ ეზოს, სადაც ბატონ ოსბორნის კანტორა იყო, რომ თავქუდმოგლეჯილი მისტერ ჩოპერი, მთავარი კლერკი, დაეწია.

- ღვთის გულისათვის მიბრძანეთ, რა მოხდა? - კალთაში მისწვდა კაპიტანს და ქაქანით მიაძახა მისტერ ჩოპერმა. - ბატონი გაჯავრებისაგან ლამის გულზე გასკდეს! რა ჩაიდინა ბატონმა ჯორჯმა?

- ხუთი დღის წინათ მის სედლი შეირთო, - მიუგო დობინმა, - მე ვიყავი მისი ეჯიბი, ბატონო ჩოპერ, და თქვენც უნდა გაუწიოთ მას მეგობრობა.

მოხუცმა თავი გააქნია.

- თუ ეგ არის თქვენი ახალი ამბავი, კაპიტანო, ცუდად არის საქმე, ბატონი არასგზით არ აპატიებს!

დობინმა სთხოვა ჩოპერს, შემატყობინეთ ჩემს სასტუმროში, როგორ წავა საქმეო, და წარსულითაც და მომავლითაც ერთობ შეშფოთებული და გულდამძიმებული გაუდგა გზას დასავლეთისაკენ.

საღამოს, რასელ-სკვერის ოჯახი სასადილოდ რომ შეიკრიბა,

ოჯახის უფროსი უკვე თავის ჩვეულებრივ ადგილას მჯდომი იხილეს, მაგრამ სახეზე ის პირქუში იერი ედო, რომელიც, თუკი ოდესმე დააჩნდებოდა, მთელს იქ მყოფ საზოგადოებას ხმას გააკმენდინებდა. მანდილოსნებმა და ბატონმა ბულოკმა, რომელიც მათთან სადილად ბრძანდებოდა, იგრძნეს, ბატონ ოსბორნს ამბავი გაუგიაო. მისი მოღუშულობა იმდენად აფრთხობდა ბატონ ბულოკს, რომ ენა მუცელში ჰქონდა ჩავარდნილი, მაგრამ გვერდით მჯდომ მის მარიასა და სუფრის თავში წამომჯდარ მისი დისადმი კი უჩვეულო ალერსიანობასა და თავაზიანობას იჩენდა.

მაშასადამე, მის უირტი სუფრის ერთ მხარეს მარტო იჯდა. მასა და მის ჯეინ ოსბორნს შორის ადგილი იყო დარჩენილი, ეს ადგილი ჯორჯისა გახლდათ, როცა იგი შინ სადილობდა ხოლმე და, როგორც ვთქვით, ახლაც მომზადებული იყო სასადილო გაწყობილობა ამ მცონარე, გადაკარგული ყმაწვილის დაბრუნების მოლოდინში. სადილობისას არაფერი მომხდარა. პურობის დროს მხოლოდ ბატონ ფრედერიკის უღიმღამო ჩაცინება, საიდუმლო ჩურჩული და ფაიფურისა და ვერცხლეულის წკარუნი და არღვევდა მყუდროებას. ფარეშები ფეხაკრეფით დაიპარებოდნენ და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. სამგლოვიარო ასაბიის დაქირავებული მონაწილენიც არ გამოიყურებიან მიცვალებულთა დაკრძალვის დროს ისე დაღვრემით, როგოც ბატონ ოსბორნის მსახურთ ეტყობოდათ. ირმის მკერდ-კისრის ხორცი, რომლის გემოს გასართმევადაც ჰპატიჟებდა დობინს, ოსბორნმა სრულ მდუმარებაში დასჭრა; მაგრამ თავისი წილისთვის თითქმის პირი არ დაუკარებია, სმით კი ბევრსა სვამდა და მერიქიფეც გულმოდგინედ უვსებდა სასმისს.

ბოლოს, სწორედ სადილის დასასრულს, მისი თვალები, რომლებიც რიგ-რიგად აშტერდებოდა ყველას, ერთი წუთით ჯორჯისთვის გაწყობილ ჭურჭელს შეაცივდა. მან მყის ანიშნა მათზე მარცხენა ხელით. ქალიშვილები შეაჩერდნენ მამას და ვერ მიხვდნენ, თუ არ უნდოდათ, რომ მიმხვდარიყვნენ, რას ანიშნებდათ. პირველად ვერც მსახურებმა გაიგეს, რა უნდოდა.

- მოაშორეთ ეგ ჭურჭელი! - დასჭყივლა მან ბოლოს, წამოდგა ლანძღვით, თანაც მიახეთქა თავისი სკამი და საკუთარი ოთახისაკენ გაემართა.

ბატონი ოსბორნის სასადილო დარბაზის უკან ერთი

ჩვეულებრივი ოთახი იყო, რომელიც მის სახლში კაბინეტად საღდებოდა და ოჯახისთვის წმიდათაწმიდა ადგილს წარმოადგენდა. აქ შებრძანდებოდა ხოლმე კვირა დილაობით ბატონი ოსბორნი, როცა ეკლესიაში წასვლა არ მოენებებოდა, თავის წითელი ტყავის სავარძელში ჩაესვენებოდა და შუადღემდე გაზეთის კითხვაში ატარებდა დროს. ამ ოთახში ორი შუშიანი კარადა იდგა და შიგ საგულდაგულოდ ოქროს ვარაყიან ყდებში მტკიცედ ჩასმული საყოველთაოდ ცნობილი თხზულებები ეწყო: „ყოველწლიური მიმოხილვა“, „დარბაისლის ჟურნალი“, „ბლეირის ქადაგებანი“ და ჰიუმი და სმოლეტი. წელიწადი წელიწადს ისე მისდევდა, რომ ამ ტომებიდან ერთსაც არ გადმოიღებდა თაროდან. მაგარმ ოჯახის ვერც ერთი წევრი ვერ გაბედავდა, რომ სიცოცხლე გაეწირა და მიჰკარებოდა რომელიმეს, გარდა იმ იშვიათი კვირა საღამოებისა, როცა სადილად წვეულება არ იყო გამართული, და როცა ვეება ალისფერ დაბადებასა და ლოცვანს გადმოიღებდნენ იმ კუთხიდან, სადაც „პერთა წიგნის“ გვერდით განისვენებდნენ. მერე ზარის წკარუნით მოუწოდებდნენ მსახურთ მცირე სასტუმრო ოთახში და ოსბორნი მაღალი, როყიო ხმით და საზეიმო კილოთი წაუკითხავდა და ოსბორნი მაღალი, როყიო ხმით და საზეიმო კილოთი წაუკითხავდა თავის ჯალაბს მწუხრის ლოცვას. ჯალაბობიდან ვერავინ, ვერც შვილი და ვერც მსახური, უცნაური ძრწოლის გარეშე ამ ოთახში ვერასოდეს შედგამდა ფეხს. აქ სინჯავდა მეკუჭნავის ანგარიშებსა და ჩხრეკდა მებუფეტის მარნის დავთარს. აქედან შეეძლო თვალყური ედევნებინა, ქვიშა-კენჭით მოგებულ, მოკრიალებულ ეზოს იქით საჯინიბოს უკანა კარისათვის, რომელთანაც ერთ-ერთი ზარითაც იყო დაკავშირებული. მეეტლე თავის სამყოფელიდან ამ ეზოში გამოდიოდა, ვითარცა სამსჯავროში ბრალდებულისათვის გამართულ შემოღობილში და ოსბორნი აგინებდა და ლანძღავდა კაბინეტის სამრეკლოდან. ამ სამყოფელში წელიწადში ოთხჯერ შედიოდნენ: მის უირტი ჯამაგირის, ხოლო ქალიშვილები კი - სამი თვის საყოფი თავიანთი ჯიბის ფულის მისაღებად. ბავშვობაში ჯორჯი ბევრჯერ გამათრახებულა აქ, დედამისი კი მისულფერებული იჯდა ხოლმე კიბეზე და გულისტკივილით უგდებდა ყურს მათრახის შხუილს. თითქმის არავის არასოდეს გაუგონია, რომ ბიჭს ამ დასჯის დროს ეტიროს. საბრალო ქალი ბავშვს უჩუმრად უალერსებდა, ჰკოცნიდა და აძლევდა ხოლმე ფულს

გასამხნევებლად, როცა იგი გარეთ გამოვიდოდა.

ბუხრის თავზე ოჯახის სურათი ეკიდა. ეს სურათი ქალბატონ ოსბორნის გარდაცვალების შემდეგ გადმოიტანეს აქ წინა ოთახიდან. ჯორჯი პონიზე მჯდომი ეხატა, უფროსი და ყვავილების კონას უწვდიდა, ხოლო უმცროსს დედისთვის ეკიდა ხელი. ყველას ღაჟღაჟა ლოყები და ვეებერთელა წითელი პირები ჰქონდა. ბრიყვულად უღიმოდნენ ერთმანეთს, როგორც საერთოდ ოჯახის სურათებში იციან ხოლმე. ახლა დედამიწაში განისვენებდა, უკვე დიდიხნის მივიწყებული, დებსა და ძამიკოს ათასი სხვადასხვა საკუთარი საზრუნავი მოეპოვებოდათ და თუმცა კვლავ განაგრძობდნენ ნაცნობობას, სრულიად გაუცხოებულნი კი იყვნენ ერთმანეთისთვის. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა სურათზე გამოხატული ხალხი ხანში შევა, რა მწარე სატირას წარმოადგენს ეს დიდრაჯული, ბავშვური ოჯახური სურათები თავიანთი სასაცილო გრძნობიერებით, ცრუ ღიმილითა და თანაც ასე გულზვიადი და თვითკმაყოფილი უმანკოებით. თვით ოსბორნის დიდებულმა სურათმა კი, რომელზედაც იგი გამოხატული იყო იმ თავისი უშველებელი სამელნითა და სავარძლითურთ, ოჯახის სურათის ჩამოღებით დაცარიელებული საპატიო ადგილი დაიჭირა სასადილო დარბაზში.

ამ კაბინეტში განმარტოვდა მაშინ მოხუცი ოსბორნი და სასადილოში დარჩენილ პატარა ჯგუფს დიდად მოეშვა გულს. მსახურები რომ გაიკრიბნენ, მათ ერთხანს გაცხარებული, მაგრამ ძალიან ხმადაბალი მუსაიფი გაბეს. შემდეგ ბატონ ბულოკის თანხლებით, რომელიც ფეხაკრეფით მიიპარებოდა ჭრაჭუნა წაღებით, წყნარად ავიდნენ ზემოთ: ბატონ ბულოკს მარტოდმარტო ღვინის სმისა დ და იქვე, ყურის ძირას, კაბინეტში მყოფ, თავზარდამცემ ბერიკაცთან ასე ახლო ჯდომის გული აღარა ჰქონდა.

ჩამობნელებიდან, სულ უკანასკნელი, ერთი საათის შემდგომ, სახლთუხუცესმა, როგორც იქნა, გაბედა: თვითონ დაუკაკუნა კარს და სანთლები და ჩაი შეუტანა. ოჯახის უფროსი სავარძელში იჯდა და თითქოს გაზეთს კითხულობდა. როცა მსახურმა სანათური და საუზმე გვერდით, მაგიდაზე დაუწყო და გარეთ გავიდა, ბატონი ოსბორნი წამოდგა და კარი ჩაკეტა. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა შეცდომა: მთელმა ჯალაბმა

იცოდა, რომ რაღაც დიდი, მძიმე ამბავი უნდა დატრიალებულიყო, რაც, ჩანდა, საზარლად დაატყდებოდა თავს პატარა ბატონს - ჯორჯს.

წითელი ხის დიდრონ, პრიალა საწერ მაგიდაში ბატონ ოსბორნს შვილის საქმეებისა და ქაღალდებისათვის საგანგებო უჯრა ჰქონდა მიჩენილი. ჯორჯის ბალღობის დროიდან მოყოლებული აქ ინახავდა იგი მასთან დაკავშირებულ ყველა საბუთს: აქ იმყოფებოდა მისი ჯილდომიღებული საწერი და სახატავი რვეულები - ყველას ეტყობოდა ჯორჯისა და აგრეთვე მასწავლებლის ხელიც. აქ გახლდათ დიდრონი, მრგვალი ასოებით ნაწერი მისი პირველი ბარათები, სიყვარულით მოკითხვას რომ უთვლიდა მამიკოსა და დედიკოს და ტკბილი ნამცხვრის გამოგზავნას იხვეწებოდა. მისი ძვირფასი ნათლია სედლი არა ერთხელ მოიხსენებოდა მათში. წყევლა-კრულვა მოსწყდებოდა ბებერი ოსბორნის ჩალურჯებულ ტუჩებს და შემაძრწუნებელი სიძულვილი და ბოღმა დაუტრიალდებოდა გულში, როცა ქაღალდების ქექაში ამ სახელს წააწყდებოდა. ყველას ნიშანი ედო, წარწერა ჰქონდა და დახარისხებული წითელი ზონრებით იყო შეკრული. ერთს ეწერა: „ჯორჯისაგან, 5 შილინგს თხოულობდა, 23 აპრილი, 18... წელი. პასუხი გავეცი 25 აპრილს“, ან კიდევ „ჯორჯი პონიზე მწერს, ოქრომბრის 13“, და სხვანი. სხვა შეკვრაში მოთავსებული იყო „ექიმ ს-ის ანგარიშები“, „ჯ-ის მკერავის ანგარიშები და ფორმის ტანსაცმელზე დანახარჯები, ჩემს სახელზე გაცემული ჩეკები ჯ. ოსბორნ-უმცროსის მიერ“ და სხვ. აქვე იყო უესტ-ინდოეთიდან გამოგზავნილი წერილები; აგრეთვე მისი რწმუნებულის წერილები და გაზეთები, რომლებშიც ჯორჯის სამხედრო პატივის მომატების ცნობები იყო დაბეჭდილი. აქ ინახებოდა მისი პატარაობის მათრახი და აგრეთვე ქაღალდში გახვეული მედალიონი, რომელშიც ჯორჯის თმა იდო და დედამისი ატარებდა ხოლმე.

ამ სამახსოვროთა ფურჩქვნა-ქექისა და მათზე ფიქრში გაატარა უბედურმა მრავალი საათი. მისი უძვირფასესი ამაოებანი, პატივმოყვარეობანი, იმედები, ყველა აქ ეწყო. როგორ ამაყობდა თავისი ბიჭით!.. კაცის თვალს არ ენახა იმაზე უფრო ლამაზი ბავშვი. ყველა ამბობდა, სწორედ კეთილშობილის ძესა ჰგავსო. სამეფო გვარის ერთმა პრინცესამაც კი შენიშნა იგი კიუს ბოტანიკურ ბაღში, აკოცა და სახელიცა ჰკითხა. სიტის რომელ კაცს შეეძლო გვერდით ამოეყენებინა მისთვის ვინმე? განა

ვინმე უფლისწულს გაზრდიდნენ ასე ფუფუნებით? ყველაფერი, რისი ყიდვაც ფულით შეიძლებოდა, მისი შვილისა იყო. წლის ბოლოს გამართულ საღამოზე მოხუცმა სკოლაში მისვლა იცოდა ოთხცხენიანი ეტლითა და ახალ ლივრეებში გამოწყობილი ფარეშების თანხლებით და ჯორჯის სკოლის ბიჭუნებში ფანტავდა ახალ-ახალ შილინგებს. კანადას ჯორჯის გამგზავრების წინ, შვილთან ერთად რაზმის სადგომში რომ მივიდა, ისეთი ნადიმი გაუმართა ოფიცრებს, რომ თვითონ იორკის მთავარიც არ იუკადრისებდა იქ ჯდომას. განა ოდესმე გაუბრუნებია ჯორჯისაგან გამოგზავნილი ანგარიში? ყველა აქ ეყარა, უსიტყვოდ გასტუმრებული. ბევრ სარდალს არ ღირსებია იმაზე უკეთესი ბედაურები! ჯორჯი რომ აგონდებოდა, მოხუცს თვალწინ ედგა შვილი ათას სხვადასხვა დღეს: ნასადილევს, როცა იგი ბატონკაცურად ლაღი და თამამი შემოვიდოდა ხოლმე, გვერდით ამოუდგებოდა მამას სუფრის თავში და გადაჰკრავდა ღვინოს: პონიზე მჯდარი ბრაიტონს, როცა ღობეს გადაევლო და მონადირეებს არ ჩამორჩა; რეგენტ-უფლისწულს რომ წარუდგა მიღებაზე და როცა მთელ სენტ-ჯეიმზის სასახლეშიც არ გამოჩენილა იმაზე უფრო ლაზათიანი ჭაბუკი. და ყოველივე ამას ასე მოეღო ბოლო!.. შეირთო კოტრის გომბიო და გაექცა შვილის მოვალეობასა და ბედნიერებას! რა დამდაბლებისა და გაშმაგების, ილაჯის გამწყვეტი რისხვის, პატივმოყვარე იმედების გაცრუებისა და სიყვარულის რა ტკივილების, შებღალული ამაოების რა ჭრილობათა და თვით ალერსის რა ტანჯვანი უნდა განეცადა ახლა წუთისოფლის ამაოებათა მოთაყვანე ამ მოხუცს!

როცა მორჩა ქაღალდების სინჯვას და ხან ამ, ხან იმ საბუთზე გულის გამაწვრილებელ, უმწარეს და სასოწარმკვეთი ვარამით აღვსილ იმ ღრმა ფიქრს, რომლითაც ბედშავთ მოაგონდებათ ხოლმე წარსული ბედნიერი დრონი, ჯორჯის მამამ ამოალაგა მთელი ნივთები იმ უჯრიდან, სადაც ასე დიდხანსა ჰქონდა აქამდე შენახული; საწერ ხელსაწყო-გამართულობისათვის საჭირო ყუთში ჩაკეტა, ზონრით შეჰკრა და თავისი ბეჭდით დალუქა. შემდეგ საწიგნე კარადა გახსნა, გადმოიღო ზემოთ ნახსენები ვეება, წითელტყავგადაკრული დაბადება - დიდრაჯული და იშვიათად ხელმონაკიდები, სულ თავიდან ბოლომდე ოქროთი მოლაპლაპე წიგნი. თავფურცელზე აბრაამისაგან ისაკის მსხვერპლად შეწირვა ეხატა. ამაში, ჩვეულებისამებრ, წინა, სუფთა ფურცელზე, მსხვილი,

მწერლური ხელით ოსბორნს ჩამოწერილი ჰქონდა თავისი ქორწინების, მეუღლის გარდაცვალებისა და შვილების დაბადების თარიღები, აგრეთვე მათი სახელებიც.

პირველად ჯეინი ეწერა, მერე - ჯორჯ-სედლი ოსბორნი, შემდეგ - მარია ფრენსეზი და ყველას ნათლობის დღეები. მოხუცმა აიღო კალამი და გულმოდგინედ წაშალა ჯორჯის სახელი, ხოლო როცა ფურცელი სულ გაშრა, წიგნი კვლავ თავის ადგილას მოათავსა. შემდეგ ამოიღო სხვა უჯრიდან, რომელშიც საკუთარ ქაღალდებს ინახავდა, ერთი საბუთი, გადაიკითხა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია, სანთლით ცეცხლი წაუკიდა და უყურა, სანამ სულ არ ჩაიფერფლა ბუხრის მოაჯირს შიგნით. ეს მისი ანდერძი გახლდათ. ანდერძი რომ დაიწვა, ოსბორნი დაჯდა, წერილი დაწერა, მერე მსახურს დაურეკა და უბრძანა, ეს დილით წაიღეო. გათენებულიყო კიდეც. დასაწოლად რომ გაემართა ზემოთ, მთელი სახლი უკვე ფეხზე წამომდგარიყო მზის ამოსვლისთანავე და ჩიტუნები ჟღურტულებდნენ რასელ-სკვერის ხეთა ქორფა, მწვანე ფოთლებში.

უილიამ დობინს ეწადა, ბატონ ოსბორნის მთელი ოჯახი და ხელქვეითნი კარგ გუნებაზე დაეყენებინა და რაც შეიძლება მეტი მეგობარი გაეჩინა ჯორჯისთვის ამ ავბედობის ჟამს. ამიტომ, ადამიანის განწყობილებაზე ლაზათიანი სადილებისა და თავანკარა ღვინოების ძალა რომ იცოდა, როგორც კი სასტუმროში დაბრუნდა, ფიცხლად კაცი აფრინა და უთავაზიანესი მოპატიჟების ბარათი მიართვა ესკვაირ ტომას ჩოპერს. ამ დარბაისელს სთხოვდა, ხვალ სლოტერთან სადილად მეწვიეთო. ბარათი მისტერ ჩოპერს სიტიდან წამოსვლის წინ მოუვიდა და მყის აახლა პასუხი, რომ „მისტერ ჩოპერი თავაზით მოიკითხავს და პატივისცემითა და სიამოვნებით ეახლება კაპიტან დობინსო“.

დაპატიჟების ბარათი და სახელდახელოდ შედგენილი პასუხის შავი პირი ბატონმა ჩოპერმა ქალბატონ ჩოპერსა და მის ასულებსაც აჩვენა იმ საღამოს სომერზ-ტაუნს დაბრუნებისას და ოჯახი ჩაის რომ შემოუსხდა, ფრიად გაცხარებული სჯა-ბაასი გაიმართა დარდიმანდ ოფიცრებსა და უესტენდელ ხალხზე. როცა გოგოები მოსასვენებლად გავიდნენ, ბატონმა ჩოპერმა და მისმა მეუღლემ აწონ-დაწონეს პატრონის ოჯახში დატრიალებული უცნაური ამბები. ასე გაშმაგებული აქამდე ჯერ არასოდეს ეხილა კლერკს თავისი ბატონი. კაპიტან

დობინის წასვლის შემდეგ ოსბორნთან რომ შევიდა, მისტერ ჩოპერს ბრაზისაგან სულ გაშავებული დახვდა ბატონი - ცოტაღა უკლდა გონის წასვლას. ჩოპერი დარწმუნებული იყო, ალბათ რაღაც საზარელი ჩხუბი მოუვიდა ბატონ ოსბორნსა და ახალგაზრდა კაპიტანსაო. მას უბრძანეს, ამ უკანასკნელ სამ წელიწადს კაპიტან ოსბორნის მთელი ნახარჯი თანხის სრული ანგარიში შეადგინეო. „და მართლა კარგა ბლომად ფულიც მიუჭყლეტია“, დასძინა უფროსმა კლერკმა და უფრო მეტი პატივისცემა იგრძნო თავის მოხუც და ახალგაზრდა ბატონებისადმი, ასე ხელგაშლილად რომ ეფანტათ გინეები. მცირეოდენი მებრალება ეს საცოდავი ყმაწვილი ქალი, „კაფტანისთანა“ ლამაზი ჯეილი რომ ეცლება ხელიდანაო. ხოლო ბატონი ჩოპერი კი დიდად არ დაგიდევდათ მის სედლის, ვითარცა ბედშავი ვაჭრის ქალს, რომლის მამა ნამეტან ქეციან დივიდენდს იძლეოდა. მთელ ლონდონის სიტიში ყველაზე წინ ოსბორნის ფირმას აყენებდა და იმედოვნებდა და სურდა კიდეც, რომ კაპიტან ჯორჯს წარჩინებული ქალი ეთხოვა. იმ ღამით კლერკს გაცილებით უფრო გულიანად ეძინა, ვიდრე მის ბატონს. დილით კი, ნასაუზმევს, რომელსაც ძალიან მადიანად მოულხინა (თუმცა მისი ცხოვრების უბრალო და სადა ფინჯანი მხოლოდ ყავისფერი შაქრით გახლდათ დამტკბარი), გულში ჩაიკრა თავის უჭულ-ბუჭულები და საუკეთესო საკვირაო კოსტუმსა და საყელონაოჭიან პერანგში გამოწყობილი სამსახურისაკენ გაუდგა გზას. ხოლო წინდაწინ თავის მაღმერთებელ ცოლს შეჰპირდა, ამ საღამოს მაინცდამაინც ძალიან არ გამოვიდებ თავს, სულ გამოვუყლურწო მთელი ღვინო კაპიტან დობინსაო.

ბატონი ოსბორნი ჩვეულ დროს სიტიში რომ ჩავიდა, მისი განსაკუთრებით ჩაყვითლებულ-ჩაშავებული და ნატანჯი სახე მყის თვალში ეცა ხელქვეითებს, რომელნიც ყოველთვის უკვირდებოდნენ ხოლმე და დიახ წინდახედულადაც, მისი სახის გამომეტყველებას. დათქმულ დროს, თორმეტ საათზე, მობრძანდა მისტერ ჰიგზი (წევრი ფირმისა ჰიგზი და ბლეთერუიკი, ვექილები. ბედფორდ-როუ) და მაშინვე შეუძღვნენ კიდეც ბატონის კაბინეტში, სადაც საათზე მეტ ხანს ისხდნენ ჩაკეტილნი. დაახლოებით პირველ საათზე მისტერ ჩოპერმა კაპიტან დობინის კაცის ხელით გამოგზავნილი წერილი მიიღო; ხოლო შიგნით კიდევ ბატონ ოსბორნის სახელზე სხვა ბარათი იდო და კლერკმა ოთახში შეუტანა. ცოტა

ხნის შემდეგ მისტერ ჩოპერსა და მისტერ ბერჩს, მეორე კლერკს, დაუძახეს და სთხოვეს, ხელის მოწერით დაემოწმებინათ რაღაც საბუთი.

- ახალი ანდერძი შევადგენინე, - აუხსნა მათ ბატონმა ოსბორნმა და ამ დარბაისლებმაც როგორც საჭირო იყო, მოაწერეს კიდეც ხელი.

სიტყვა არ გაუგრძელებიათ. მისტერ ჰიგზი ფრიად ჩაფიქრებული გამოვიდა წინა ოთახში. ძალიან მკაცრად გადახედა მისტერ ჩოპერს, მაგრამ ახსნა-განმარტებას არ გამოსდგომია. შენიშნეს, რომ ბატონმა ოსბორნმა მთელი დღე უჩვეულოდ წყნარად და თვინიერად გაატარა და გააოცა ისინი, ვინც მის ჩაჟამებულ ქცევა-გამომეტყველებაზე წინასწარმეტყველებდნენ, ავს მოასწავებსო. იმ დღეს არავინ გაუთათხია და ერთხელაც არ გაუგონიათ მისი პირიდან გინება. შინისკენაც მალევე გაემართა. წასვლამდე ერთხელ კიდევ შეიხმო უფროსი კლერკი, ზოგადი განკარგულებანი მისცა და თითქოს ცოტაოდენი ჭოჭმან-ყოყმანის შემდეგ ჰკითხა: ხომ არ იცი, კაპიტანი დობინი ქალაქში იმყოფება თუ არაო?

ჩოპერმა მოახსენა, მე მგონი, აქ გახლავთო, და მართლაც ორივემ დიაღაც რომ ბეჯითად იცოდა მისი ქალაქში ყოფნის ამბავი. ოსბორნმა აიღო ამ ოფიცრის სახელზე დაწერილი ბარათი, გაუწოდა კლერკს და სთხოვა, დაუყოვნებლივ გადაეცი დობინს საკუთარ ხელშიო.

- ახლა კი დამიარხეინდება გული, ჩოპერ, - დააყოლა მან უცნაური გამომეტყველებით და წაავლო ქუდს ხელი.

სწორედ ორი რომ დარეკა, - უეჭველია, პაემანი ჰქონდათ დანიშნული, - ბატონმა ფრედერიკ ბულოკმა შემოუარა და ორივე ერთად გამოვიდა გარეთ.

იმ ლეგიონის მეთაური, რომელშიც ვაჟბატონებს დობინსა და ოსბორნს ასეულები ებარათ, მოხუცი გენერალი გახლდათ. მას პირველი ლაშქრობა ჯერ კიდევ ვულფის სარდლობის ქვეშ გადაეხადა კვებეკს და მას შემდეგ ისე დაჩაჩანაკებულიყო და მიხრწნილიყო, რომ ხელმძღვანელობის თავი აღარა ჰქონდა. მაგრამ ერთგვარი გულისყურით მაინც ეკიდებოდა ლეგიონს, რომლის მეთაურადაც სახელით კვლავ ითვლებოდა და თავის ზოგიერთ ახალგაზრდა ოფიცერს სიამოვნებით ეპატიჟებოდა საკუთარ სუფრაზე. ამ ჯურის სტუმარმასპინძლობით კი, მე

მგონი, სრულიადაც აღარ გახლავთ ჩვეულებრივი მის დღევანდელ თანამოძმეთა შორის. კაპიტანი დობინი გამორჩევით უყვარდა ამ მოხუც გენერალს. დობინი სამხედრო მწერლობაში ჩახედული კაცი გახლდათ და ფრიდრიხ დიდსა, იმპერატორ-დედოფალსა და მათ ომებზე თითქმის ისევე ჩინებულად შეეძლო სჯა-ბაასი, როგორც თვით გენერალს, რომელიც არ დაგიდევდათ ახლანდელ გამარჯვებებსა და ზეიმებს და მისი გული და სული კვლავ ნახევარი საუკუნის წინანდელ მხედართმთავრებს ვერ მოიშორებოდა.

ამ ოფიცერმა მიიპატიჟა დობინის საუზმეზე იმ დილით, როცა ბატონმა ოსბორნმა ანდერძი გადაასხვაფერა და მისტერ ჩოპერი კი თავის საუკეთესო პერანგში გამოეწყო. მაშინ გენერალმა თავის ახალგაზრდა საყვარელ თანამოლაშქრეს ორიოდე დღით ადრე აცნობა ის, რასაც უკვე ყველა ელოდა: ბელგიაში გალაშქრების ბრძანება. ბრძანება, რომ ლეგიონი მზად იყოს გალაშქრებისათვის, დღეს-ხვალ გამოიგზავნება მთავარი შტაბიდან, ხოლო ვინაიდან გემები ბლომად არის, ადგილიდან დაძვრის განკარგულებას ამავე კვირის ბოლომდე მივიღებთო. ჯარისკაცთა ახალი შევსება ლეგიონს უკვე ჩეტემს ყოფნის დროს მოუვიდა და მოხუცი გენერალი იმედოვნებდა, რომ რაზმი, რომელმაც თავი გამოიჩინა კანადაში მონკალმის დამარცხების დროს და კუდით ქვა ასროლინა ლონგ-აილენდში ბატონ ვაშინგტონს, ომით გაცვეთილ ნიდერლანდის ბრძოლის ველებზედაც არ შეირცხვენს თავის ძველ, ღირსეულ სახელსო.

- მაშ, ჩემო კარგო, თუ რაიმე affaire-la[56] ჩაგიდენია, - დასძინა მოხუცმა და თან ერთი მწიკვი ბურნუთი აიღო მოცახცახე, თეთრი, ბებრული ხელით; მერე კი თავის robe de chambre-ის[57] იმ ადგილისაკენ ანიშნა, რომლის ქვეშ კიდევ სუსტად უფართხალებდა გული. - თუ ვინმე ფილისი გყავს სანუგეშებელი, ან თუ დედიკოსთან და მამიკოსთან გამოსალმება გინდა, ან რაიმე ანდერძის დაწერა, გირჩევ ახლავე შეუდგე საქმეს.

ამ სიტყვებით გენერალმა ცალი თითი გაუწოდა ჩამოსართმევად ახალგაზრდა მეგობარს და გაპუდრული, ნაწნავიანი თავის ალერსიანი დაკვრაც დააყოლა. ხოლო როგორც კი დობინმა კარი გაიხურა, დაჯდა და მყის poulet-ს[58] წერას შეუდგა (ბებრუხანას თავის ფრანგულით ერთობ მოჰქონდა თავი!) მისი უდიდებულესობის თეატრის მსახიობის

მადმუაზელ ამენაიდისადმი.

ამ ახალმა ამბავმა დობინი მძიმედ ჩააფიქრა და ჩვენი ბრაიტონელი მეგობრები მოაგონა. თან კი შერცხვა, ემილია ყოველთვის პირველ ადგილს რომ იჭერდა მის ფიქრებში (ყოველთვის ყველაზე წინ იდგა - დედ-მამაზე, დებზე და მოვალეობაზე წინ, ჭეშმარიტად ყოველთვის, ძილსა და ღვიძილში და მთელი დღის განმავლობაშიც). სასტუმროში რომ დაბრუნდა, მოკლე ბარათით აცნობა ბატონ ოსბორნს გაგებული ამბავი, რომელსაც, დობინი იმედოვნებდა, იქნება დაეძლია მოხუცი და ჯორჯთან შეერიგებინა.

ამ ბარათმა, გაგზავნილმა იმავე შიკრიკის ხელით, რომელმაც წინადღით მიპატიჟების ამბავი აახლა ჩოპერს, არა მცირედ შეაშფოთა ღირსეული კლერკი, წერილი მის სახელზე იყო და რომ ხსნიდა, ცახცახებდა, ვაითუ შეპირებული სადილი გადათქვა და იმედი გამიცრუვდესო. გულს უზომოდ მოეშვა, როცა აღმოაჩინა, რომ მხოლოდ კვლავ მოაგონებდნენ დაპატიჟებას („ექვსის ნახევრისთვის გელიო“ - სწერდა კაპიტანი დობინი). კლერკი ძალიანაც გახლდათ დაინტერესებული თავისი ბატონის ოჯახის საქმეებით, მაგრამ que voulez-vous?[59] დიდებული სადილის დაკარგვის შიში უფრო ადარდებდა, ვიდრე რომელიმე სიკვდილისშვილის ჭირ-ვარამი.

დობინი სრული უფლებით იყო მოსილი, გენერლის ნათქვამი ლეგიონის ყველა ოფიცრისათვის გადაეცა, თუკი ვინმეს სადმე წააწყდებოდა. ამიტომაც მოახსენა უმცროს ლეიტენანტ სტაბლს, რომელსაც რწმუნებულთან შეხედა. ჭაბუკი ისეთის მხედრული ჟინით აღეგზნო, რომ მყის გაეშურა მეიარაღისკენ ახლა ხმლის შესაძენად. ეს ყმაწვილი, თუმცა მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, სამოცდახუთი გოჯის სიმაღლისა და თან ერთობ სუსტი აგებულებისა, რაც კიდეც უფრო გაეუარესებინა არყის სმისაკენ ნაადრევ მიდრეკილებას, უეჭველად მამაცი და ლომგული გახლდათ. და იგი ისე შეუდგა მახვილის ხელში ტრიალს, აქეთ-იქით ქნევას, დრეკას და გადაკვრ-გადმოკვრას, თითქოს, ფრანგებში იყო გარეული და მათ ჟლეტდა. ხმამაღლა „ჰა, ჰას“ ძახილით და პაწია ტერფის ძირს გასაოცარი ძალუმი დაცემით ორ-სამჯერ კაპიტან დობინსაც გადაუქნია ხმალი, მაგრამ იმას მხოლოდ ეცინებოდა და ბამბუკის ჯოხით აუკრავდა ხოლმე მოქნეულს.

ბატონი სტაბლი, როგორც მის მოყვანილობასა და ჩიაობაზე შეიძლება დავასკვნათ, მსუბუქი ქვეითი ჯარის მეომარი ბრძანდებოდა. უმცროსი ლეიტენანტი სპუნი კი პირიქით, მაღალი, ზორბა ჭაბუკი იყო და გრენადერთა (კაპიტან დობინის) ასეულში მსახურობდა. ახლა იგი დათვის ტყავის ახალ ქუდს ისინჯავდა, რომელიც მისი წლოვანებისათვის შეუსაბამო, ერთობ პირქუშ და სასტიკ გამომეტყველებას ანიჭებდა. მერე ის ორი ყმაწვილი სლოტერს მიადგა. შეუკვეთეს ერთი კარგი ლაზათიანი სადილი; შემდეგ კი კეთილი, მოსიყვარულე და შეშფოთებული მშობლებისადმი შინ გასაგზავნი წერილების წერას ჩაუჯდნენ - წერილებისა, რომლებიც აღვსილი იყო სიყვარულითა და გულითადობით, თანაც ბაქიობითა და შეცდომებით. ეჰ, იმ დროს ინგლისში ბევრს უძგერდა შეშფოთებით გული, ბევრ სახლში აღევლინებოდა დედათა ვედრებანი და დიოდა ცრემლთა ნაკადები.

ყრმა სტაბლი სლოტერის ყავახანის ერთ მაგიდასთან მიმჯდარი წერილის წერაში გართულიყო, ცხვირზე კი უხვად მოუგორავდა ცრემლები და ქაღალდს ულტობდა (რადგან ყმაწვილს აგონდებოდა დედიკო და ფიქრობდა, იქნებ ვეღარც მეღირსოს მისი ნახვაო). დობინიც ჯორჯისთვის ბარათის მიწერას აპირებდა, მაგრამ ჭაბუკის ამ ყოფას რომ მოავლო თვალი, გადაიფიქრა და ისევ ჩაკეტა საწერი ყუთი. „რისთვის მივწერო? - გაივლო გულში მან. - დაე, ეს ღამე მაინც ბედნიერად გაატაროს ემილიამ. ხვალ დილაადრიან ჯერ ჩემ დედ-მამას ვნახავ, მერე კი ბრაიტონს მე თვითონვე ჩავალო“.

ამიტომ მივიდა სტაბლთან, დაადო მხარზე თავისი ვეებერთელა ხელი, გაამხნევა ეს ნორჩი რაინდი და უთხრა, თუ არყის სმას თავს დაანებებ, ჩინებული ჯარისკაცი დადგები, როგორც ყოველთვის იყავი კიდეც - სულგრძელი და გულკეთილი ყმაწვილიო. ჭაბუკს ამ სიტყვებზე თვალები გაუბრწყინდა, რადგან დობინს, როგორც ყველაზე გამოჩენილ ოფიცერსა და უჭკვიანეს ვაჟკაცს, დიდ პატივსა სცემდნენ ლეგიონში.

- გმადლობთ, დობინ, - უთხრა სტაბლმა და თან მუშტებით თვალებს ისრეს-იწმენდდა. - სწორედ... სწორედ ახლა ვწერდი დედაჩემს, თავს დავანებებ-მეთქი. და მერე ოჰ, ჩემო ბატონო, რარიგ ვუყვარვარ!

აქ ცრემლთა მილები კვლავ გაიხსნა და მე დარწმუნებული არ გახლავარ, რომ გულჩვილ კაპიტანსაც თვალები არ აჰკიაფებოდეს.

ორივე უმცროსმა ლეიტენანტმა, კაპიტანმა და ბატონმა ჩოპერმა ერთად ისადილეს ცალკე პატარა ოთახში. ჩოპერმა მოუტანა ბატონ ოსბორნის წერილი, რომელშიც მოხუცი ორიოდე სიტყვით მოიკითხავდა კაპიტან დობინს და სთხოვდა თანდართული ბარათი გადაეგზავნა ჯორჯ ოსბორნისათვის. ჩოპერმა მეტი არაფერი იცოდა. თუმცა კი აღუწერა ბატონ ოსბორნის სახე და მისი შეხვედრის ამბავი თავის ვექილთან. თანაც ჰკვირობდა, როგორ მოხდა, რომ ბატონს არავისთვის შეუგონებიაო; და უფრო კი მაშინ, როცა უკვე ღვინოც შეუჯდა თავში, გაახშირა მსჯელობანი და ვარაუდები. მაგრამ ეს მჭევრმეტყველება ყოველი ჭიქის დაცლასთან ერთად თანდათან ბუნდოვანი ხდებოდა, ხოლო ბოლოს სრულიად გაუგებარიც შეიქნა. გვიან ღამით კაპიტანმა დობინმა ნაქირავებ ეტლში ჩააბრძანა ასლოკინებული სტუმარი, რომელიც იფიცავდა, რომ „მარად და მარად... ჰიკ... ჰიკ... ვიქნები კაპიტნის მეგობარიო“.

როცა კაპიტანი დობინი გამოესალმა მის ოსბორნს, ჩვენ ვთქვით, რომ კაპიტანმა სთხოვა, ნება მიბოძეთ კიდევ გესტუმროთო. მეორე დღეს შინაბერა მართლაც ელოდა მას რამდენიმე საათს. იქნებ მაშინ რომ იგი მოსულიყო და ეკითხა მისთვის ის კითხვა, რომლის პასუხიც უკვე გამზადებული ჰქონდა, ეს მანდილოსანი გამოაცხადებდა კიდეც თავს ძმის მეგობრად და ამას ეგებ ჯორჯისა და მისი გაგულისებული მამის შერიგებაც მოჰყოლოდა. მაგრამ, თუმცა იჯდა შინ და უცდიდა, მის ჯეინ ოსბორნს კაპიტანი არ მოსვლია. დობინს საკუთარი საქმეები ჰქონდა: მშობლები უნდა ენახა და ნუგეში ეცა, მერე კი დილაადრიანვე „ელვის“ საფოსტო ეტლში უნდა ჩამჯდარიყო და ბრაიტონელ მეგობრებთან ჩასულიყო. სანამ დღე დაილეოდა, მის ოსბორნმა ყური მოჰკრა, მამამისი განკარგულებას იძლეოდა, ის მატრაბაზი არამზადა კაპიტანი დობინი კვლევ აღარ გააჭაჭანოთ ჩემს ჭერქვეშაო და ამგვარად ოდნავ მოკიაფე ნაპერწკალსაც, რომელსაც გულის კუნჭულში იქნებ ჯერ კიდევ ჩუმად ულოლიავებდა შინაბერა, ასე სასტიკად და ტლანქად მოეღო ბოლო. ბატონი ფრედერიკ ბულოკი მობრძანდა და განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა მარიასა და დიდის გულისყურით ეკიდებოდა

დაღვრემილ, გულგატეხილ მოხუცს. რადგან, მართალია, მან თქმით კი თქვა, ახლა დამიარხეინდება გულიო, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანდა, რომ ამ გულის დაარხეინებისათვის ჩადენილ ღონისძიებებს გაეჭრა; წარსული ორი დღის ამბებმა კი შესამჩნევად შეარყია იგი.

თავი XXV. ყველა მთავარი გმირი საჭიროდ თვლის ბრაიტონიდან წასვლას

როცა სასტუმრო „ხომალდში“ მიიყვანეს მანდილოსნებთან, დობინმა მხიარული და უზრუნველი სახე მიიღო და ამით დაამტკიცა, რომ ეს ახალგაზრდა ოფიცერი დღედადღე უფრო და უფრო სრულყოფილი თვალთმაქცი ხდებოდა. იგი, ჯერ ერთი, ცდილობდა მიეჩქმალა პირადი გრძნობანი ქალბატონ ოსბორნის ახალ მდგომარეობაში ნახვისა; მეორეც კიდევ, სურდა შეენიღბა გულში დატრიალებული ავი წინათგრძნობები იმ მძიმე შედეგის მიმართ, რაც, მისი ფიქრით, უეჭველია მოჰყვებოდა მისგან ჩამოტანილი პირქუში ახალი ამბების ემილიასთვის გამჟღავნებას.

- მე მგონი, ჯორჯ, - თქვა მან, - საფრანგეთის იმპერატორი ამ სამ კვირაში მაინც უეჭველად დაგვცხებს მთელი თავისი ცხენოსანი და ქვეითი ჯერით და დუკას ისეთ დღეს დააყენებს, რომ პირინეის ომი ბალღურ თამაშად მოეჩვენება. მაგრამ, იცი, ამას ნუ ეტყვი ქალბატონ ოსბორნს. იქნება სულაც არ მოგვიხდეს ბრძოლა და ჩვენი ბელგიაში ყოფნა უბრალო სამხედრო ოკუპაციად გადაიქცეს. ბევრი ფიქრობს ასე და ბრიუსელი სავსეა წარჩინებული კაცებითა და მანდილოსნებით.

ამიტომ დაასკვნეს, ბრიტანეთის მხედრობის მოვალეობა ბელგიაში ამ უწყინარი სახით წარედგინათ ემილიასთვის.

ეს შეთქმულება რომ მოაწყეს, თვალთმაქცი დობინი ძლიერ ხალისიანად მიესალმა ქალბატონ ოსბორნს. სცადა ერთი-ორი ქათინაურიც მოეხსენებინა, ვითარცა პატარძლისათვის (თუმცა მისი ქათინაურები, უნდა ვაღიაროთ, ნამეტანი უკბილო და

ერთობ უგერგილო რამ გახლდათ). მერე კი გააბა ლაპარაკი ბრაიტონზე, ზღვის ჰავაზე, ამ ადგილის გასართობებზე, გზის სილამაზეზე და „ელვის“ საფოსტო ცხენ-ეტლის ღირსებებზე, და ყოველივე ამას ისე სჩადიოდა, რომ ემილიასთვის სრულიად გაუგებარი რჩებოდა, ხოლო რებეკა დიდად ასიამოვნა: იგი კვირდებოდა კაპიტანს, როგორც ყველა სხვასაც, ვინც ახლო გაეკარებოდა.

პატარა ემილია, უნდა გამოვტყდეთ, ცოტა არ იყოს მდაბალი შეხედულებისა გახლდათ ქმრის მეგობარ კაპიტან დობინზე. დობინმა ბურტყუნით იცოდა ლაპარაკი, ძალიან უბრალო და მოყეყეჩო იყო და თანაც მეტისმეტად უშნო და ულაზათო. ემილია მარტო იმისთვის ესიყვარულებოდა დობინს, რომ კაპიტანს წრფელის გულით უყვარდა მისი ქმარი (და რასაკვირველია, ეს დიდი არაფერი დამსახურება გახლდათ). თანაც ფიქრობდა, რა დიდსულოვანი და გულკეთილია ჯორჯი. ამ თანამოლაშქრესთან მეგობრობას რომ კადრულობსო. ემილიას წინაშე ჯორჯს ბევრჯერ მიუბაძავს დობინის ბურტყუნისა, ენამოჩლექილობისა და უცნაური ყოფაქცევისათვის; თუმცა მართალიც უნდა ვთქვათ: ყოველთვის დიდის ქებითაც იხსენიებდა მეგობრის კარგ თვისებებს. ემილია ჯერ კიდევ არ იცნობდა მას და თავისი ხანმოკლე ზეიმის ხანაში გულისყურით არ ეკიდებოდა პატიოსან უილიამს. იმანაც ჩინებულად იცოდა მეგობრის მეუღლის აზრი, მაგრამ უდრტვინველად და ერთობ მორჩილად ურიგდებოდა მას. დადგა დრო, როცა მან უკეთ გაიცნო და მისდამი აზრიც შეეცვალა, მაგრამ ეს დრო მაშინ ჯერ კიდევ შორს იყო.

რაც შეეხება რებეკას, კაპიტან დობინს ჯერ ორი საათიც არ გაეტარებინა მანდილოსანთა საზოგადოებაში, რომ მან უკვე სრულიად განჭვრიტა მისი საიდუმლო. რებეკას არ მოსწონდა იგი და გულში კიდეც ეშინოდა მისი. არც დობინს უკვდებოდა მისთვის გული. უილიამი ისე პატიოსანი კაცი იყო, რომ ბეკის თვალთმაქცობა და ფარისევლობა ვერ სჭრიდა მასზე და ინსტინქტური ზიზღით გაურბოდა ამ ქალს. თან ვინაიდან რებეკა სულაც არა ბრძანდებოდა ისე ამაღლებული თავის სქესზე, რომ შური არ ეგრძნო, მან კიდევ უფრო მეტად მოიძულა დობინი ემილიას გაღმერთებისათვის. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დიდის პატივისცემითა და გულითადობით ეპყრობოდა კაპიტანს. ოსბორნების მეგობარი! მისი

უძვირფასესი მწყალობლების მეგობარი! იფიცავდა, იგი მარადის წრფელის გულით მეყვარებაო. მას ჩინებულად ახსოვდა დობინი ვოქსჰოლის ღამეს, როგორც ჩაულაპარაკა ემილიას მზაკვრულად. და ცოტა დაცინვითაც, ორივე მანდილოსანი სადილის წინ გადასაცმელად რომ გავიდნენ. როუდონ კროული თითქმის სულ არ აქცევდა ყურადღებას დობინს და ერთ ვინმე გულკეთილ დოყლაპიად და მედუქნის გაუზრდელ შვილად მიაჩნდა. ჯოზი კი დიდის რიხით მფარველობდა მას.

ჯორჯი გაჰყა დობინს მის ოთახში და როცა მარტო დარჩნენ, დობინმა ამოიღო ყუთიდან ბატონ ოსბორნის გამოტანებული წერილი და გადასცა მეგობარს.

- ეს მამაჩემის ხელი არ არის, - შესძახა, ცოტა არ იყოს შეშფოთებული სახით, ჯორჯმა; და მართლაც რომ არ ყოფილა - წერილი ბატონ ოსბორნის ვექილისა გახლდათ, რომელსაც ეს მოეწერა: „ბედფორდროუ. 1815 წლის მაისის 7.

„ბატონო ჩემო, ბატონ ოსბორნისაგან დავალებული მაქვს გაუწყოთ, რომ იგი არ ცვლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ადრევე მოგახსენათ და რომ იმ ქორწინების გამო, რომელიც თქვენ ინებეთ, იგი ამიერიდან უარს ამბობს, მიგიჩნიოთ თავისი ოჯახის წევრად. ეს გადაწყვეტილება საბოლოო და უცვლელი გახლავთ.

„თუმცა ფული, რაც თქვენზე დაიხარჯა თქვენს პატარაობაში და ანგარიშები, რაც უზოგველად მოაყარეთ მამას ბოლო წლებში, გაცილებით აღემატება იმ თანხას, რომლის მოხმარების უფლებაცა გქონდათ თქვენს ნებაზე (ეს გახლდათ თქვენი დედის, განსვენებულ ქალბატონ ოსბორნის ქონების ერთი მესამედი, რომელიც გაგინაწილდათ დედითქვენის გარდაცვალების შემდეგ თქვენ, მის ჯეინ ოსბორნს და მის მარია ფრენსიზ ოსბორნს); მაინც მე ბატონ ოსბორნისაგან ნაბრძანები მაქვს მოგახსენოთ, რომ იგი სრულ უარს აცხადებს თქვენი ქონების მიმართ თავის უფლებებზე და რომ 2.000 გირვანქა სტერლინგს, ოთხპროცენტიანი ყოველწლიური მოგებითურთ, ფულის დღევანდელი ღირებულების მიხედვით (რაც თქვენი ერთი მესამედი წილია 6.000 გირვანქა სტელინგის თანხისა), გადაგიხდით თქვენ თვითონ, ან თქვენს რწმუნებულებს, ოღონდ თქვენი ხელწერილის წარმოდგენით, თქვენი უმორჩილესი მონა ს. ჰიგზი.

„P.S. - ბატონმა ოსბორნმა სურვილი გამოთქვა ერთხელ და სამუდამოდ მოგახსენოთ, რომ იგი უარს ამბობს მიიღოს თქვენგან რაიმე დანაბარები, წერილი ან ამბავი, ამ, ან თუნდაც სხვა საქმეზე“.

- სწორედ დიდებულად კი გაგირიგებია საქმე! - გადახედა უილიამ დობინს და უთხრა ჯორჯმა. - აბა, წაიკითხე! - და მიუგდო მშობლის წერილი. - ღვთის მადლმა ნამდვილი მათხოვარი დავრჩი და მერე სულ იმ ჩემი წყეული გულჩვილობის წყალობით! განა არ შეიძლებოდა მოგვეცადა? იქნებ ომში ერთ ტყვიას მეც გავესტუმრებინე საიქიოს და ეგებ ახლაც არ ამცდეს. მერე რაღა უნდა ეშველოს ემის, მათხოვრის ქვრივად რომ დარჩება? ეს შენი ნახელავია, მანამდე არ მოისვენე, სანამ არ შემართვევინე და არ დამღუპე. რა ეშმაკად მინდა ორი ათასი გირვანქა? ეს ფული ორ წელიწადსაც არ მეყოფა. მარტო აქ რაცა ვარ, ასორმოცი წავაგე კროულისთან ბანქოსა და ბილიარდში. საქმეების დიდებული გამრიგებელი ხარ შენ, ჭეშმარიტად!

- თქმა არ უნდა, მართლა მძიმე მდგომარეობაა, - მიუგო საგონებელში ჩავარდნილმა და ნირწამხდარმა დობინმა, როცა წერილი ჩაიკითხა. - და, როგორც ამბობ კიდეც, ნაწილობრივ ჩემი ნახელავიც არის. იქნებ ზოგი ისეთი კაცი მაინც მოიპოვებოდეს, რომელიც უყოყმანოდ გაგიცვლიდა ადგილს, - დასძინა მერე მწარე ღიმილით. - აბა გასინჯე, ლეგიონში რამდენი ისეთი კაპიტანი იქნება, ვისაც ხელუხლებელი ორი ათასი გირვანქა სტერლინგი უწყვია? სანამ მამაშენი არ შეგირიგდება, ჯამაგირით უნდა გაიტანო თავი, მაგარმ თუ მოგკლეს, მაშინ ას გირვანქა ყოველწლიურ შემოსავალს მაინც დაუტოვებ ცოლს.

- შენა გგონია ჩემი ხასიათის კაცი ჯამაგირითა და წელიწადში ასი გირვანქით წავა იოლად? - შესძახა ერთობ გაანჩხლებულმა ჯორჯმა. - გიჟი ხომ არა ხარ, დობინ! რა ჯანდაბით უნდა მოვახერხო საზოგადოებაში მდგომარეობის შენარჩუნება ამ უბადრუკი და საცოდავი შემოსავლით? მე ვერ შევიცვლი ხასიათს! მე ჩემს ფუფუნებაში უნდა ვიყო! მე ფაფით არ გახლავარ გამოზრდილი მეკიურტერივით, ან კიდევ კარტოფილით - ბებერ ო’ დაუდივით. შენ განა მოელი, რომ ჩემი ცოლი ჯარისკაცების ბინძური სარეცხის რეცხვას დაიწყებს, ან კიდევ სააღალო ურმით ლეგიონის კუდში

ჩანჩალს შეუდგება?

- კარგი, კარგი, - კვლავ გულკეთილად აშოშმინებდა დობინი. - ჩვენ უკეთეს სამგზავრო ეტლს ვუშოვნით, მაგრამ დამშვიდდი და მოიგონე, რომ შენ ახლა მხოლოდ ტახტიდან დროებით ჩამოგდებული პრინცი ბრძანდები, ჩემო ძმაო, და მოითმინე, სანამ ქარიშხალი ჩადგებოდეს. დიდხანს ხომ არ გასტანს! ერთი „გაზეთში“ გამოცხადდეს შენი სახელი და სანაძლეოს ვდებ, თუ მაშინვე არ შეგირიგდეს შენი მოხუცი მამა.

- „გაზეთში“ გამოცხადდესო! - შესძახა ჯორჯმა. - მერეო და „გაზეთის“ რა ადგილას? დახოცილთა და დაჭრილთა სიებში და ისიც სულ თავში, უთუოდ!

- ეჰ, მაშინაც გვეყოფა ტირილი, როცა მართლა რამე დაგვიშავდება, - მიუგო დობინმა. - და, თუ რაიმე მოხდა, ხომ იცი, ჯორჯ, ცოტაოდენი შეძლება მეცა მაქვს, ცოლის შერთვას კი არა ვფიქრობ და ანდერძში ჩემი ნათლული არ დამავიწყდება, - ღიმილით დასძინა მან.

ამაზე შეწყდა სჯა-ბაასი, ვითარცა მრავალი ასეთი მუსაიფი დასრულებულა ხოლმე წინათაც ოსბორნსა და მის მეგობარს შორის. ჯორჯმა განუცხადა, სწორედ რომ დიდხანს არ შეუძლია კაცს გულმოსული იყოს შენზეო და დიდის სულგრძელობით მიუტევა დანაშაული იმის შემდეგ, რაც სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყო პატიოსანი კაცი.

- ბეკი! - გამოსძახა როუდონ კროულიმ ტანისამოსის ჩასაცმელი თავისი ოთახიდან მეუღლეს, რომელიც სადილისათვის იკაზმებოდა საკუთარ ოთახში.

- რაო? - მოისმა ბეკის მკვეთრი ხმა. იგი მხარუკუღმა იცქირებოდა სარკეში. ჩაეცვა წარმოსადგენადაც კი ძნელი, უნატიფესი და უახლესი თეთრი კაბა და ბეჭებგაშიშვლებული, ყელზე პატარა ფარღულშებმული და მსუბუქ, ცისფერსარტყლიანი რებეკა ნორჩი უმანკოებისა და ქალწულური ბედნიერების გამოსახულებას წააგავდა.

- ბეკი, ნეტავ რას იზამს ქალბატონი ოსბორნი, ოსბორნს რომ ომში წაიყვანენ? - თქვა კროულიმ, ოთახში რომ შემოდიოდა, თავზე კი თმის ორი ვეებერთელა ჯაგრისის ცეკვა-თამაში ჰქონდა გამართული და თმის ქვეშიდან აღტაცებით გამოსცქეროდა თავის კოპწია პატარა ცოლს.

- მე მგონი, თვალებს დაითხრის ტირილით, - მიუგო ბეკიმ. - მაგის მოგონებაზედაც კი ერთი ექვსჯერ მაიც წაიფშლუკუნა უკვე.

- შენ კი, რასაკვირველია, აინუნშიაც არ ჩაგიგდია, - მიახალა ცოლის გულგრილობით, ცოტა არ იყოს, გაგულისებულმა როუდონმა.

- აი მე საცოდავო! ვითომ არ იცი, რომ მეც თან მინდა წამოგყვე! - მიუგო ბეკიმ. - თანაც შენი საქმე სხვა არის: შენ გენერალ ტაფტოს ადიუტანტად მიდიხარ. ჩვენ მოწინავე ჯარში მეომართა წყებას არ ვეკუთვნით. - დაატანა ქალბატონმა კროულიმ და ისეთი ყოფით გადაიწია თავი, რომ მოხიბლული ქმარი დაიხარა და აკოცა.

- როუდონ, ძვირფასო... არა მგონია... არ ემჯობინებოდა, ხელთ გქონდეს ის... ის კუპიდონის ფულები, სანამ იგი გაემგზავრებოდეს? - განაგრძო ბეკიმ და თან შემხედვარეთა გამგმირავ და გადასარევ ბაბთას იკეთებდა.

რებეკა ჯორჯ ოსბორნს კუპიდონს ეძახდა მან მრავალჯერ უთხრა კიდევაც ქათინაურები მის ლაზათიანობასა და სანდომიანობაზე. იგი ალერსიანად დასტრიალებდა მას თავს საღამოობით ecarte-ს თამაშის დროს, როცა ოსბორნი ძილის წინ ნახევარი საათით შეირბენდა ხოლმე როუდონთან.

იგი ხშირად ეძახდა მას წყალწაღებულ, დამთხვეულ კაცს და ემუქრებოდა. ემის ვეტყვი შენს ბოროტ ქცევას და საძაგელი, ფუქსავატური ჩვეულებების ამბავსო. ბეკი ხშირად მიართმევდა ხოლმე სიგარას და ცეცხლსაც მოუკიდებდა. მან იცოდა ამ ხრიკის ძალა: წარსულში ჯერ კიდევ როუდონ კროულიზე ჰქონდა დაცდილი. ჯორჯ ოსბორნს იგი მხიარულ, მკვირცხლ, ენამოსწრებულ, მზაკვარ, distinguee[60] და მომხიბლავ ქალად მიაჩნდა. ეტლით მცირე სეირნობებისა და სადილების დროს, ბეკიმ, რასაკვირველია, სრულიად დაჩრდილა საბრალო ემი, რომელიც ნამეტანი დამუნჯებული და მოკრძალებული იჯდა ხოლმე, მაშინ, როცა ქალბატონი კროული და ემის მეუღლე გაუჩერებლივ ლაყბობდნენ ერთად, ხოლო კაპიტანი კროული (და მერე ჯოზიც, ახალგაზრდა ჯვარდაწერილებთან რომ ჩამოვიდა) ხმაამოუღებლად თქვლეფდა საჭმელს.

ემის რაღაც ავად უთქვამდა გული მეგობრისთვის. რებეკას

ჭკუა-გონება, გამჭრიახობა და სრულყოფილებანი გულის მღრღნელი, ჩუმი შეშფოთებით აწამებდა მას. ჯერ მხოლოდ ერთი კვირის დაქორწინებულნი იყვნენ და აი, ჯორჯს უკვე აწუხებდა ennui[61] და სხვა საზოგადოებისაკენ მიუწევდა გული! ემის აკანკალებდა მომავალზე ფიქრი. როგორ უნდა ამოვუდგე მხარში და გავუწიო მეუღლეობა ჯორჯსო, ფიქრობდა ის. იგი ხომ ასე ჭკვიანი და ბრწყინვალეა, მე კი - ასე ბეჩავი და უჭკუო გოგო ვარო. რა კეთილშობილურად მოიქცა, მე რომ შემირთო; ყველაფერი რომ უკუაგდო და ჩემთვის დაიმდაბლა თავი. მე შინ უნდა დავრჩენილიყავი და საცოდავ მამიკოსთვის მომევლო. მშობლების უმწეოდ დაყრა მხოლოდ ახლაღა მოაგონდა პირველად ემის და სირცხვილით გაწითლდა: დიაღაც რომ მოეპოვებოდა ცოტაოდენი საფუძველი იმ ბრალდებას, რომელიც საბრალო ბავშვს წაუყენა შეშფოთებულმა სინდისმა. „ოჰ! - ფიქრობდა იგი, - დიდი ბოროტება და თავკერძაობა გამოვიჩინე... სწორედ თავკერძაობა იყო, გაუბედურებულნი და მწუხარენი რომ მივატოვე... თავკერძაობა იყო, ჯორჯს რომ ძალა დავატანე შევერთე. მე ვიცი, მისი ღირსი არა ვარ... ვიცი, ბედნიერი იქნებოდა უჩემოდ... და მაინც... მაინც ხომ ვცდილობდი, ხომ ვცდილობდი გულიდან ამომეღო იგი!“

ძნელია, როცა შვიდი დღეც არ გასულა ქორწინების მერე და ამნაირი ფიქრები და აღსარებანი უტრიალებს ძალაუნებურად თავში პატარძალს. მაგრამ ასე კი გახლდათ დობინის ჩამოსვლის წინადღით, მშვენიერ, მთვარით გაკაშკაშებულ მაისის ღამეს; ისე თბილ და საამური სურნელებით გაჟღენთილ ღამეს, რომ ფანჯრები ყურთამდე იყო მოფლეთილი აივნის მხარეს, საიდანაც ჯორჯი და ქალბატონი კროული გადასცქეროდნენ მათ წინ გაშლილ, წყნარად მოლივლივე ზღვას, მაშინ როცა როუდონი და ჯოზი ბეკვემონის თამაშში იყვნენ გართულნი, ემილია კი მიწოლილიყო დიდ სავარძელში მარტოდმარტო, თვალს ადევნებდა ამ ორივე ჯგუფს და განიცდიდა სასოწარკვეთასა და სინდისის ქენჯნას, რომელიც ამ ნაზი, ეული სულის მწარე თანამგზავრებად გადაიქცნენ. ერთ კვირასაც არ გაევლო და აქამდე იყო მისული საქმე! მყოფადი, თუკი თვალს გადაავლებდა მას ქალი, პირქუში ჩანდა. მაგრამ ემი, ასე ვთქვათ, ძალიან გაუბედავი გახლდათ, რათა მისთვის თვალი გაესწორებინა და მარტო შეცურებულიყო ამ უნაპირო ზღვაში და თან ღონეც არ

შესწევდა გაეკვლია გზა წინამძღოლისა და მფარველის გარეშე. მე ვიცი, მის სმითი მდაბალი აზრისაა მასზე. მაგრამ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, განა რამდენი გახლავთ ხასიათის საოცარი სიმტკიცით თქვენსავით დაჯილდოებული?

- ღმერთო, რა მშვენიერი ღამეა და მთვარეც როგორ კაშკაშებს! - წამოიძახა ჯორჯმა და სიგარა გააბოლა, რომლის კვამლი ნელ-ნელა მიიკლაკნებოდა მაღლა, ზეცისაკენ.

- რა საუცხოო სურნელება აქვს ღია ცის ქვეშ თამბაქოს! სწორედ თაყვანსა ვცემ. აბა, ვინ იფიქრებს, მთვარე ორასოცდათექვსმეტი ათას რვაასორმოცდაშვიდი მილით არის დაშორებულიო? - დაუმატა რებეკამ და მთვარის დისკოს ღიმილით დაუწყო ჭვრეტა. - განა ჭკუის კოლოფი არა ვარ, რომ მახსოვს? ფუჰ! ჩვენ ყველა ეს ქალბატონ პინკერტონის სკოლაში ვისწავლეთ! რა წყნარია ზღვა და რა მკაფიოდ ჩანს ყველაფერი! მე გეუბნებით, თითქმის საფრანგეთის ნაპირსაც კი ვხედავ! - და მის ბრჭყვიალა მწვანე თვალთაგან გამოკრთა შუქი და ეკვეთა ბნელს, თითქოს მართლა შესძლებოდეს მისი განჭვრეტა.

- იცით, რა მინდა ჩავიდინო ერთ დილას? - განაგრძო მან. - მე მგონი, მეგობარი... ხომ იცით, ბებრუცუნა ბრიგზი... გეხსომებათ... ცხვირკაუჭა დედაკაცი, გრძელ და თხელთმიანი... როცა ბრიგზი საბანაოდ გამოვა, მინდა ჩავიყურყუმალაო, იმის საბანაო კარვის ქვეშ ამოვყო თავი და წყალში დავითანხმო შერიგებაზე. განა კარგი საომარი ხრიკი არ არის?

ჯორჯი სიცილით მოკვდა წყალში შეხვედრის ამ გეგმის მოსმენაზე.

- რა ამბავში ხართ მანდ თქვენ ორნი? - გამოსძახა მათ როუდონმა და თან ბეკგემონის კამათლებს აჩხრიალებდა კოლოფში. ხოლო ემილიამ ვეღარ აიტანა, სულელურად ამოუჯდა გული, ამით თავი გაიმასხარავა და ჩუმად ტირილით გულის მოსაჯერებლად საკუთარ ოთახს მიაშურა.

ჩვენს მოთხრობას ამ თავში თითქოს ბედად აქვს დაყოლილი ფრიად უსწორმასწოროდ იხტუნოს წინ და უკან და როგორც კი მივიყვანთ ამბავს ხვალამდე, კვლავ იძულებული გავხდებით მაშინვე უკან, გუშინდელი დღისაკენ, დავიხიოთ, რათა უთქმელი არაფერი დაგვრჩეს. როგორც მისი

უდიდებულესობის, დედოფლის დარბაზობათა დროს შეამჩნევდით, ელჩებისა და უმაღლეს ხელისუფალთა ეტლები სასწრაფოდ მოსწყდებიან და გაგრიალდებიან ხოლმე განსაკუთრებული კარიდან, მაშინ როცა კაპიტან ჯოუნზის მანდილოსნები ცალცხენიან საქირაო ეტლის მოლოდინში არიან, ან კიდევ ფინანსთა მინისტრის კაბინეტის წინა ოთახში რომ გიხილავთ ექვსიოდე მოთხოვნილი მოთმინებით ელის თავის ჯერს და სათითაოდ იძახებენ კიდეც, რომ უცბად დარბაზში ფეხს შემოდგამს პარლამენტის ვინმე ირლანდიელი წევრი, ან კიდევ სხვა რომელიმე გამოჩენილი გვამი. გადაალაჯებს ყველა იქ დამსწრის თავზე და მყის ეძგერება ბატონ მინისტრის თანაშემწის ოთახის კარს. ასევე გახლავთ მოთხრობის საქმეც - მწერალი იძულებულია სამართლის ეს მეტისმეტად მიკერძოებითი სახე გამოიყენოს.

თუმცა მოთხრობაში ყოველი წვრილმანი უნდა მოგახსენოთ, მაინც ხანდახან ზოგი რამის შემდეგისათვის გადადება მოგვიხდება ხოლმე, როცა მძიმე და დიდი საქმენი იჩენენ თავს. მართლაც, ისეთი ამბავი, როგორიც, მაგალითად, დობინმა ჩამოიტანა ბრაიტონს: ბრძანება გაიცა, გვარდია და მთელი მხედრობა ბელგიას გაიგზავნოს და მოკავშირეთა ჯარებმა იქ მოიყაროს თავი მისი ბრწყინვალების დუკა უელინგტონის მთავარსარდლობითო - ასეთ ღირსშესანიშნავ ამბავს, ვიმეორებ, უპირატესი უფლება მიენიჭებოდა ყველა სხვა წვრილ-წვრილი შემთხვევების მიმართ, რომელთაგანაც უმთავრესად შედგება ეს მოთხრობა და, მაშასადამე, ამიტომ მცირე, უმნიშვნელო გადასმ-გადმოსმა და არეულობა დიაღაც მოსატევებელი და უპრიანიც უნდა იყოს. დროის მიხედვით ჩვენ მხოლოდ ახლაღა გადავცდით ოცდამეორე თავს იმდენად, რომ ჩვენი სხვადასხვა გმირი თავიანთ ტანისამოსის ჩასაცმელ ოთახებში გვყავს იმ სადილის წინ, რომელზედაც ჩვეულებისამებრ უნდა დამსხდარიყვნენ დობინის ჩამოსვლის დღეს.

ჯორჯი ან ნამეტანი კაცთმოყვარე და გულჩვილი უნდა ყოფილიყო, ან კიდევ ძალიან იყო გართული თავისი ყელსახვევის გამოსკვნით, რომ მაშინვე არ შეატყობინა ემილიას ამხანაგისაგან ლონდონიდან ჩამოტანილი მთელი ახალი ამბები. ბოლოს მაინც ვექილის წერილიანად შევიდა ქალის ოთახში, მაგრამ ისე საზეიმო და ზვიადი გამომეტყველება კი აღბეჭდვოდა სახეზე, რომ ცოლმა,

რომელიც გონების თვალით მუდამ უბედურების მოლოდინში იყო, იფიქრა, უკვე ყველაზე დიდი განსაცდელი თუ დაგვატყდა თავსაო. მივარდა ქმარს და დაუწყო ხვეწნა-მუდარა თავის უძვირფასეს ჯორჯს: „მითხარი ყველაფერი, უცხოეთში წასვლის ბრძანება ხომ არ მოვიდა... ალბათ მომავალ კვირაში ბრძოლა იქნება... ვიცი, იქნება!“

უძვირფასესმა ჯორჯმა უცხოეთში გამგზავრების ამბავი უარჰყო, ოღონდ ნაღვლიანად თავის ქნევით უთხრა: - არა ემი, ეგ არ მადარდებს. მე ჩემი ჯავრი არა მაქვს, შენი ყოფა მაფიქრებს! ცუდი ამბავი მომივიდა მამაჩემისგან - უარს ამბობს ჩემს შვილობაზე. თავიდან მოგვიშორა და სიღატაკეში ჩაგვყარა. მე კიდევ შემიძლია როგორმე გავუძლო გაჭირვებას, მაგრამ, გენაცვალე, შენ რაღას აგატანინებს? აი, წაიკითხე! - და ხელში მიაჩეჩა წერილი.

თვალებში შიშჩამდგარი ემილია ნაზად შეჰყურებდა და უსმენდა თავის კეთილშობილ გმირს, როცა იგი ზემოხსენებულ დიდსულოვან მოსაზრებებს გამოსთქვამდა. მერე ჩამოჯდა საწოლზე და გადაიკითხა წერილი, რომელიც ასე მედიდური და მოწამებრივი სახით მიართვა ჯორჯმა. ემის მაინც გადაეწმინდა სახე, ბარათი რომ ჩაათავა. საყვარელ ადამიანთან ერთად სიღატაკესა და ხელმოკლეობაში ჩავარდნის ფიქრი, როგორც წინათაც მოგახსენეთ, სულაც არ დააღონებს გულთბილ დიაცს. ამის მოლოდინი სწორედ სიამოვნებდა კიდეც პატარა ემილიას. მერე, ჩვეულებისამებრ, თავისი თავისა შერცხვა, ამ უდროო დროს თავს ბედნიერად რომ გრძნობდა. ამიტომ გულში ჩაიკლა სიხარული და კრძალვით შეჰკადრა.

- ოჰ, ჯორჯ, ალბათ როგორ გეწურება საბრალო გული, მამიკო რომ დაგემდურა!

- მეწურება, მაშა! - დაუდასტურა სახეგატანჯულმა ჯორჯმა.

- მაგრამ დიდხანს კი ვერ გაჰყვება შენზე გაჯავრება, - განაგრძო ქალმა. - ვერც ვერავის გაჰყვება, დარწმუნებული ვარ. მალე გაპატიებს, ჩემო საყვარელო, კეთილო ქმარიკო. ოჰ, მე კი ჩემს თავს ვერ მივუტევებ, თუ ის არ შეგირიგდა!

- მე ჩემი უბედურება კი არა, შენი მაწუხებს, ჩემო საცოდავო ემი, - უთხრა ჯორჯმა, - მე ცოტა სიღარიბისა არც მეშინია და დაუტრაბახებლად ვიტყვი, იმდენი ნიჭიც შემწევს, რომ თვითონვე გავიკვლიო გზა.

- დიაღაც რომ შეგწევს, - ჩაურთო ცოლმა, რომელსაც ეგონა, ომი შეწყდება და ჩემს ქმარს კი ახლავე გენერლობას უბოძებენო.

- დიახ, მე სხვაზე ნაკლებად არ გავიკაფავ საკუთარ გზას, - განაგრძო ოსბორნმა; - მაგრამ შენ, შენ რაღა გიყო, ჩემო ცუგრუმელა. როგორ უნდა ავიტანო, შენ რომ მოგაკლდეს ფუფუნება და საზოგადოებაში ის მაღალი ადგილი, რომელზედაც ჩემს მეუღლეს უფლება აქვს? ჩემი უძვირფასესი სატრფო ყაზარმაში!.. მეომრის ცოლი მოლაშქრე რაზმში!.. ყველანაირ შეწუხებასა და ნაკლულოვნებაში ჩავარდნილი!.. აი, ეს მიკლავს გულს!

ემიმ, სრულიად გულდამშვიდებულმა, რომ მხოლოდ ეს იყო მისი მეუღლის მოუსვენრობისა და შეშფოთების მიზეზი, მოკიდა ხელი ხელში და სახეგაბრწყინებულმა და მოღიმარმა წამოიწყო გალობა საყვარელი სიმღერის - „უოპინგის ძველი კიბისა“, რომლის გმირი ქალი ჯერ უსაყვედურებს ტომს გულგრილობას, მერე კი ჰპირდება „შარვალიც დაუკეროს და გროგიც შეუმზადოს“, თუ იგი ერთგულებასა და გულკეთილობას გამოიჩენს და თავს არ გაანებებს მას.

- თან კიდევ, - დააყოლა ემიმ, მცირე დუმილის შემდეგ, რომლის განმავლობაში ისე ტურფა, მომხიბლავი და ბედნიერი ჩანდა, რომ ყველა ყმაწვილი ქალი შენატრებდა, - განა ორი ათასი გირვანქა სტერლინგი უზარმაზარი თანხა არ არის, ჯორჯ?

ჯორჯს გაეცინა მის გულუბრყვილობაზე და ბოლოს სადილისათვის გაემართნენ ქვემოთკენ. ემილია მკლავზე ჩამოჰკიდებოდა ჯორჯს, კვლავ გალობდა „უოპინგის ძველი კიბის“ ჰანგს და უფრო გახარებულ-გახალისებული იყო, ვიდრე წინა დღეებში.

ასე რომ პურის ჭამა, რომლის დრო, როგორც იქნა, დადგა, ნაცვლად მოწყენილისა, ფრიად მოლხენილი და მხიარული გამოვიდა. ლაშქრობისათვის აღგზნებამ გაუქარწყლა ჯორჯს მემკვიდრეობის დაკარგვით გამოწვეული უგუნურობა. დობინი კვლავ განაგრძობდა ყბედის როლის თამაშს. იგი ართობდა საზოგადოებას ბელგიაში მდგომი მხედრობის ამბებით და ირწმუნებოდა, იქ ზეიმების, ლხინისა და პრანჭვა-გრეხის მეტი საქმე არ აქვთო. მერე, ვინაიდან განსაკუთრებული რაღაც მიზანი ჰქონდა ამოღებული ნიშანში,

ეს ჩაუქი და ყოჩაღი კაპიტანი შეუდგა იმის აღწერას, თუ მაიორის მეუღლე, ქალბატონი ო’ დაუდი, როგორ ალაგებდა სამგზავროდ თავის და მეუღლის ტანსაცმელს. როგორ ჩაჩურთა მაიორის ყველაზე საუკეთესო სამხრეები ჩაის შესანახ თუნუქის კოლოფში, ხოლო საკუთარი სახელგანთქმული ყვითელი დოლბანდი სამოთხის ფრინველითურთ სქელ ქაღალდში საგანგებოდ შეფუთნა და მაიორის სამკუთხა ქუდისათვის განკუთვნილი თუნუქის ყუთში მოათავსა. და დობინი მკითხაობდა, ნეტავ რა შთაბეჭდილებას მოახდენს იგი გენტში საფრანგეთის სამეფო კარზე, ან კიდევ ბრიუსელის მხედრობის დიდ წვეულებებშიო.

- გენტი! ბრიუსელი! - ანაზდეულად შეჰკივლა შემკრთალმა ემილიამ და ფეხზე წამოიჭრა. - განა გალაშქრების ბრძანება მოვიდა, ჯორჯ.... განა მოვიდა?

შეძრწუნებამ დაფარა მისი სანდომიანი, მოღიმარი სახე და თითქოს შეუგნებლად მოეჭიდა იგი ჯორჯს.

- ნუ გეშინია, გენაცვალე, - ალერსით უთხრა მან. - მხოლოდ თორმეტიოდე საათის სავალი თუ იქნება. სულაც არ გაწყენს. შენც ხომ წამოხვალ, ემი!

- მე კი მივდივარ, - განაცხადა ბეკიმ. - მე შტაბთან ვიქნები. გენერალი ტაფტი ჩემი დიდი მოთაყვანეა, ხომ, როუდონ?

როუდონმა თავისებურად გადაირახრახა. უილიამ დობინი სულ მამლის ბიბილოსავით გაწითლდა.

- ამის წამოსვლა არ შეიძლება, - თქვა მან, - აბა, მოიგონეთ. - „საფრთხეო“ უნდოდა დაემატებინა, მაგრამ მთელი სადილის განმავლობაში სულ იმას არ ლაპარაკობდა, არაფერი საფრთხე არ არსებობსო? ამიტომ ენაზე იკვნიტა და ჩაჩუმდა.

- მე უნდა წავიდე და კიდეც წავალ! - გაცხარებით შესძახა ემილიამ.

ჯორჯმაც მოუწონა გადაწყვეტილება, მოუთათუნა ნიკაპს ქვეშ ხელი, მთელ იქ მყოფ საზოგადოებას დაეკითხა, თუ ოდესმე გინახავთ ასე შეუპოვარი და კაპასი ცოლიო და თანხმობა გამოაცხადა, მეუღლეც თან ხლებოდა.

- ჩვენს ქალბატონ ო’ დაუდს ჩაგაბარებთ საპატრონოდ, - დასძინა ჯორჯმა.

სხვა რაღა ჰქონდა სანაღვლო, თუ ქმარი გვერდში ეყოლებოდა? ამგვარად განშორების სიმწარე როგორღაც მოინელეს. თუმცა ომი და ხიფათი ელოდათ, ეს ომი და ხიფათი, იქნებ მრავალ თვესაც გაევლო და, არც დასტყდომოდათ თავს. ასე იყო თუ ისე, სულის მოსათქმელი დრო მაინც მოეპოვებოდათ და მოკრძალებული პატარა ემილია ამით თითქმის ისევე ბედნიერად გრძნობდა თავს, თითქოს სრულიად დაეღწიათ თავი საფრთხისაგან. ეს სულის მოსათქმელი დრო კი, თვით დობინიც აღიარებდა გულში, ძალიან საამური იყო, რადგან ემილიას ნახვის შესაძლებლობა ამჟამად მისი სიცოცხლისათვის უდიდეს ნუგეშსა და იმედს წარმოადგენდა; თანაც უჩუმრად გეგმებს აწყობდა, როგორ გაუფრთხილდებოდა და მოუვლიდა მას. „ჩემი ცოლი რომ იყოს, არ დავრთავდი ნებას წამოსულიყოო“, ფიქრობდა იგი, მაგრამ უფალი გახლდათ ჯორჯი და მეგობარს უხერხულად მიაჩნდა ხმა ამოეღო.

რებეკამ შემოხვია წელზე ხელი მეგობარს, ბოლოს როგორც იქნა მოაშორა სუფრას, რომელზედაც ასე დიდმნიშნველოვან საქმეებს სჯიდნენ და მანდილოსნებმა მარტო დასტოვეს გვარიანად შექეიფიანებული, სმასა და მხიარულ ლაპარაკში გართული ვაჟკაცები.

იმ საღამოს როუდონს ცოლისგან გამოგზავნილი შინაურული პაწია ბარათი მოართვეს. იგი წაკითხვისთანავე მოჭმუჭნა და სანთელზე დასწვა, მაგრამ ჩვენ მაინც ბედმა გაგვიღიმა და ჯერ კიდევ რებეკას ზურგს უკან მდგომმა მოვახერხეთ მისი შინაარსის ამოკითხვა. „დიდი ამბებია, - სწერდა იგი. - ქალბატონი ბიუტი წასულა. ამ ღამითვე დასცინცლე ფულები კუპიდონს, თორემ, უეჭველია, ხვალვე წავლენ. არ დაგავიწყდეს! - რ.“ ამიტომ, მცირე საზოგადოება ყავის მისართმევად მანდილოსანთა ოთახში გასვლას რომ ეპირებოდა, როუდონმა მორიდებით მოჰკიდა ხელი ნიდაყვში ოსბორნს და ტკბილად ჩაულაპარაკა: - ოსბორნ, გეთაყვა, თუ ძაან არ შეწუხდები, იქნებ ქნა სიკეთე და მომცე ის რაღაც ცოტაოდენი ფული!

არცთუ ისე ცოტათი შესაწუხებელი საქმე გახლდათ, მაგრამ ჯორჯმა მაინც გაიკრა ჯიბეს ხელი და კარგა ბლომად ნაღდი ფული მიუთვალა, ხოლო დანარჩენი თანხისათვის ერთ კვირაში გადასახდელი ვადით თამასუქი მისცა თავის

რწმუნებულთა სახელზე.

ეს საქმე რომ მოითავეს, ჯორჯმა, ჯოზმა და დობინმა საომარი თათბირი გამართეს სიგარების წევის დროს და დაასკვნეს, მეორე დღეს ყველანი ერთად გამგზავრებულიყვნენ ლონდონს ჯოზის თავღია ეტლით. ჯოზს, მგონი, ერჩივნა, როუდონ კროულის დაძვრამდე დარჩენილიყო ბრაიტონს, მაგრამ დობინმა და ჯორჯმა სძლიეს, დაიყოლიეს ლონდონს ჩაეყვანა ისინი და იმანაც განკარგულება გასცა სახვალიოდ ოთხი ცხენი შეებათ, როგორც მის ღირსებას შეშვენოდა, მეორე დღეს ნასაუზმევს ამ ეტლით გაუდგნენ გზას დიდის ყოფითა და რიხით. ემილია სისხამ დილითვე წამოფრინდა ლოგინიდან და სამაგალითო სისწრაფით შეუდგა თავისი მცირე ბარგი-ბარხანის ჩალაგებას, მაშინ როცა ოსბორნი კვლავ ქვეშსაგებში გორაობდა და მწარედ ჰგოდებდა, მის მეუღლეს პირისფარეში რომ არ გააჩნდა შემწედ. მაგრამ ემის ძალიანაც უხაროდა, საქმეს თვითონვე რომ იკეთებდა. რებეკასადმი ბუნდოვანი, უსიამოვნო გრძნობა უკვე ჩასჯდომოდა გულში და თუმცა განშორებისას უნაზესად გადაჰკოცნეს ერთმანეთი, მაინც მოგეხსენებათ, რა ძალა აქვს ეჭვიანობას, ქალბატონ ემილიას კი, მისი სქესის სხვა ღირსებებთან ერთად, ესეც არ აკლდა.

ამ გმირთა გარდა, რომელნიც ხან გამოჩნდებიან, ხან მიიმალებიან, უნდა გავიხსენოთ, რომ ბრაიტონს ზოგი სხვა ჩვენი ძველი მეგობარიც იმყოფებოდა: სახელდობრ, მის კროული და მისი ამალა. ისიც უნდა ითქვას, რომ თუმცა რებეკას და მისი მეუღლის ბინასა და სნეული მამიდის სამყოფელს კენჭის გასატყორცნი მანძილიც არ ჰყოფდა ერთმანეთისაგან, მოხუცი მანდილოსნის კარი, ისევე როგორც აქამდე ლონდონშიც, კვლავ ულმობლად იყო დახშული მათთვის. მას შემდეგ, რაც მღვდლის ცოლი, ქალბატონი კროული, თავს დაადგა მულს, მან იზრუნა, რომ საყვარელ მატილდას გული არ აჩქროლებოდა ძმისწულთან შეხვედრით. როცა შინაბერა ეტლით გაისეირნებდა, თავდადებული ბიუტის მეუღლე გვერდით ჩამოუსკუპდებოდა. როცა მის კროული ხელით საგორებელი სავარძლით სუფთა ჰაერის სასუნთქად გამოსდგამდა ფეხს გარეთ, ბიუტის მეუღლე სავარძლის ერთ მხარეს მიაბიჯებდა მტკიცედ, ხოლო პატიოსან ბრიგზს მეორე მხარე ეჭირა. თუ ისინი შემთხვევით როუდონსა და მის ცოლს შეეყრებოდნენ, თუმცა კაპიტანი მუდამ ქლესურად მოიშვლეპდა ქუდს, მის კროულის ჯგუფი ისე გამყინავი,

მომაკვდინებელი გულგრილობით ჩაუვლიდა ხოლმე გვერდით, რომ როუდონს ბოლოს სასო წარეკვეთა.

- ასე ჩვენ ლონდონშიც კარგად შეგვეძლო ვყოფილიყავით, - ხშირად იტყოდა გულგატეხილი კაპიტანი როუდონი.

- ბრაიტონის მყუდრო სასტუმრო სჯობია ჩენსერი-ლეინის კორტ მოვალეთა სახლში გდებას, - მიუგებდა ცოლი, რომელიც უფრო მხიარული გუნებისა ბრძანდებოდა. - აბა ერთი მოიგონე მისტერ მოზესის, შერიფის კაცის, ის ორი თანაშემწე, ჩვენ სახლს რომ უდარაჯებდნენ მთელ ერთ კვირას! მერე კიდევ, როუდონ, გენაცვალე, ჩვენ აქაური მეგობრები ძალიან ტუტუცები არიან, მაგრამ ბატონი ჯოზი და კაპიტანი კუპიდონი მაინც უკეთესი ამხანაგები უნდა იყვნენ, ვიდრე მისტერ მოზესის კაცები.

- მიკვირს, უწყებები აქაც თან რომ არ დამადევნეს, - განაგრძნობდა ისევ დანაღვლიანებული როუდონი.

- როცა დაგვადევნებენ, მაშინაც მოვახერხებთ თავის დაძვრენას, - იტყოდა შეუპოვარი პატარა ბეკი და კვლავ უხსნიდა ქმარს ჯოზსა და ოსბორნთან ყოფნის შეღავათიანობასა და უპირატესობას, რომლებთან ურთიერთობამ სწორედ თავის დროზე შესძინა როუდონს ნაღდი ფულის მცირეოდენი მარაგი.

- ეგ ხომ სასტუმროს ანგარიშსაც არ ეყოფა, - წაიბუზღუნა გვარდიელმა.

- მერედა სულაც რა საჭიროა გადახდა? - მიუგო მანდილოსანმა, რომელსაც ყველაფრისთვის მზად ჰქონდა პასუხი.

როუდონის მხლებელს ჯერ კიდევ არ გაეწყვიტა უღიმღამო ნაცნობობა მის კროულის საჯალაბოს მამრობითი სქესის წარმომადგენლებთან და ნაბრძანებიც ჰქონდა, როცა კი მეეტლეს შეხვდებოდა, ყოველთვის გადაეკვრევინებინა. იმ მხლებლის წყალობით, მოხუცი მის კროულის საქმენი ჩინებულად იცოდნენ ჩვენმა ახალგაზრდებმა. აგრეთვე რებეკამ, საბედნიეროდ, თავიც მოიავადმყოფა და სწორედ იგივე მკურნალი მოიწვია, რომელიც შინაბერას უვლიდა. ასე რომ, მათი ცნობები უმთავრესად საკმაოდ სრული იყო. არც მის ბრიზგი ყოფილა გულში მტრულად განწყობილი როუდონისა და მისი მეუღლისადმი, თუმცა იძულებული კი ბრძანდებოდა

მტრად მოეჩვენებინა თავი. მას ბუნებით კეთილი და დამთმობი ხასიათი ჰქონდა. ახლა, შურის მიზეზი, რომ მოესპო, რებეკასადმი მძულვარებაც გაუქარწყლდა და აგონდებოდა მისი მარად ტკბილი სიტყვები და ალერსიანი მოპყრობა. თანაც იგი, ქალბატონის პირისფარეში მისის ფერკინი და მის კროულის მთელი შინამოსამსახურენი ფარულად ჭეშმარიტად გმინავდნენ ძლევამოსილ ბიუტის მეუღლის მტარვალობის უღელქვეშ.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამ კარგმა, მაგრამ მბრძანებლობის მოტრფიალე დედაკაცმა ერთობ მოუზომლად გამოიყენა უპირატესობანი და სრულიად შეუბრალებლად - გამარჯვებანი. მან რამდენიმე კვირაში ისეთს ხმაამოუღებელ მორჩილებას შეაჩვია ავადმყოფი, რომ საცოდავი მოხუცი სულ დაემორჩილა რძლის განკარგულებებს და თვით ბრიგზსა ან ფერკინთანაც ვერა ბედავდა თავის ბეჩაობაზე წუწუნს. ბიუტის მეუღლე ყოველდღე ხელაუღებელი, შეუსუსტებელი სიბეჯითით ფიალებით უზომავდა ღვინოს, რომლის სმაც ნებადართული ჰქონდა მის კროულის. ეს კი ძალიან არ ეჭაშნიკებოდა ფერკინსა და სახლთუხუცესს, რომელთაც დაინახეს, რომ მათ თვით საღვინე ბოთლის გამგებლობის უფლებაც ჩამოართვეს. იგი ულუფებად ანაწილებდა ტკბილ ნამცხვრებს, მურაბას, წიწილის ხორცს - მათ რაოდენობასა და რიგს. დღე-ღამის ყოველ დროს ზიდავდა ექიმის გამოწერილ საზიზღარ წამლებს და ავადმყოფს აიძულებდა ისეთი შესაბრალისი მორჩილებით ესვა, რომ ფერკინი ამბობდა: „ჩემი ბეჩავი ქალბატონი სწორედ კრავივით წყნარად ყლაპავს წამალსაო“. ბიუტის მეუღლე უწერდა ხოლმე ეტლით სეირნობას ან გოგორებიანი სავარძლით ტარებას და, ერთი სიტყვით, ამ გამოჯანსაღების ხანაში მოხუცი მანდილოსანი ისე გაიდო ფეხქვეშ, როგორც მხოლოდ თადარიგიან, სათნო, ზნეკეთილ დედაკაცს შეშვენოდა. თუკი ოდესმე ავადმყოფი ოდნავ გაჭირვეულდებოდა და შეევედრებოდა, ერთი-ორი ლუკმა მეტი ულუფა გადმომიდე ან ერთი-ორი წვეთით ნაკლები წამალი დამალევინეო, მომვლელი დაემუქრებოდა, ახლავე სულს განუტევებო და მის კროულიც მყის დაფრთხებოდა. „სულ არაქათი გამოეცალა, - ეტყოდა ფერკინი ბრიგზს, - ამ სამ კვირაში ერთხელაც არ დაუძახია ჩემთვის, ტუტუცი ხარო!“

ბოლოს ბიუტის მეუღლემ გადასწყვიტა დაეთხოვა

ზემოხსენებული პატიოსანი პირისფარეში, მისტერ ბოულზი - ზორბა ერთგული მსახური, თვით ბრიგზი და სანამ ძვირფას ავადმყოფს დედოფლის კროულში გადაასვენებდა, საკუთარი ქალიშვილები ჩამოეყვანა თავს დასადგომად. მაგრამ საძაგელი უბედურება დაატყდა თავს და იძულებული გახდა ხელი აეღო ასე სასიამოვნო ვალდებულებათა აღსრულებაზე: ღამე ცხენით შინ მიმავალი ღირსი მამა ბიუტ კროული, მისი მეუღლე, ცხენიდან გადმოვარდა და ლავიწი ჩაიმტვრია. აუტყდა ციებ-ცხელება, ანთების ნიშნებიც დაეტყო და ცოლი იძულებული გახდა, სასექსიდან ჰემპშირს წაბრძანებულიყო. მულს დაჰპირდა, რა წამს ბიუტი ფეხზე დადგება, მაშინვე ჩემს უძვირფასეს მეგობართან გავჩნდებიო და გაემგზავრა, თან სასტიკი განკარგულებანი მისცა შინამოსამსახურეებს, რარიგად უნდა მოქცეოდნენ თავიანთ ქალბატონს. მაგრამ როგორც კი იგი საუთემპტონის ეტლში ჩაჯდა, მის კროულის მთელ სახლში ისეთი ზეიმი შეიქნა და ისეთი შვება იგრძნეს, რაც იქ შეკრებილთ მრავალ წარსულ კვირას არ უგემიათ. სწორედ იმ დღიდანვე დაანება თავი მის კროულიმ ნაშუადღევს დასალევი წამლის სმას. იმავე ნაშუადღევს ბოულზმა თავისთვისა და მისის ფერკინისთვის საკუთრად გახსნა ხერესის ბოთლი. იმავე ღამეს მის კროული და მის ბრიგზი, პორტიასის ერთ-ერთი ქადაგების კითხვის ნაცვლად, სიამოვნებით გაერთნენ პიკეტის თამაშით. ისე მოხდა, როგორც ძველებურ ზღაპარშია: ჯოხს ძაღლის ცემა რომ დაავიწყდა და ყველაფერი მშვიდობიანად და ბედნიერად შეიცვალა.

კვირაში ორ-სამჯერ, სისხამ დილაობით მის ბრიგზს ჩვეულებად ჰქონდა, ურიკაზე დადგმული ტანთგასახდელი კარავი გამოეყენებინა, ფლანელის საცურაო სამოსსა და მუშამბის ჩაჩში გამოწყობილიყო და ჭყუმპალაობას შესდგომოდა წყალში. რებეკამ, როგორც მოვიხსენიეთ კიდეც, იცოდა ეს ამბავი. თუმცა არ უცდია მუქარა შეესრულებინა, მოულოდნელად დასტყდომოდა თავს ბრიგზს - მართლაც ამოყურყუმელავებულიყო ამ მანდილოსნის წინაშე და თავზარი დაეცა მისივე საკუთარი ნაკრძალი კარვის საფარქვეშ, მაგრამ როუდონის მეუღლემ გადასწყვიტა ნაბანავებს მაინც დასხმოდა თავს ბრიგზს, როცა იგი ბანაობით გახალისებული და გამხნევებული, და ალბათ უფრო კარგ გუნებაზე მყოფიც, ზღვიდან ამოვიდოდა.

ამიტომ მეორე დილით ბეკი ძალიან ადრე ადგა, სასტუმრო

ოთახში, რომელიც ზღვის გადაჰყურებდა, ჭოგრიტი გაიტანა და სანაპიროზე მობანავეთა კარვებს დაუწყო თვალთვალი. დაინახა როგორ ჩამოვიდა ბრიგზი, შევიდა თავის კარავში და მერე ზღვისკენ გაემართა. ბეკიც სწორედ მაშინ გაჩნდა ნაპირზე, როცა მისმა ნანატრმა ნიმფამ ურიკიდან რიყეზე ფეხი გადმოდგა. საუცხოო სურათი გახლდათ: კენჭებითა და ქვიშით დაფარული ოდნავ დაქანებული ზღვის ნაპირი, მობანავე ქალთა სახეები, კლდეებისა და შენობათა გრძელი წყება ალისფრად ელვარებდა და ბრწყინავდა მზის სხივებში. რებეკას გულკეთილი, ნაზი ღიმილი გამოხატვოდა სახეზე და პაწია თეთრი ხელიცა ჰქონდა გაწვდილი, როცა ბრიგზმა კარვიდან თავი გამოჰყო და აბა როგორღა არ უნდა ჩამოერთმია სალამი ბრიგზსაც?

- მის შშ... მისის კროული, - წაბლუკუნა მან.

მისის კროულიმ ჩაბღუჯა მისი ხელი, ჩაიკრა გულში; მერე უცბად ატაცებული შემოეჭდო ბრიგზს და გულიანად ჩაკოცნა.

- ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო! - ღუღუნებდა ისე წრფელი გრძნობის გამომხატველი კილოთი, რომ, რასაკვირველია, მის ბრიგზის გულს მყის ლღობა შეეპარა და თვით ბანაობაში მშველელ დედაკაცსაც კი შეაბრალა თავი.

რებეკას არ გასჭირვებია ბრიგზთან ხანგრძლივი, გულითადი და საამო მუსაიფის გაბმა. ყველაფერი, რაც მოხდა მის კროულის პარკ-ლეინის სახლიდან დილაადრიან ბეკის ნაუცბათევი წასვლის შემდგომ დღევანდელ დღემდე და ბიუტის მეუღლის ბედნიერ უკან გამგზავრებამდე, ყველაფერი გაჩხრიკა და აღუწერა მის ბრიგზმა. მის კროულის სენის ყველა ნიშანი, ავადობის წვრილმანები და ექიმობა მოხუცი მანდილოსნის გულითადმა მეგობარმა ისეთი სისრულითა და ბეჯითობით ჩაუკენჭა, როგორც დიაცებს სჩვევიათ და კიდეც უყვართ ხოლმე. თავიანთ ტკივილებსა და ექიმებზე ერთმანეთთან ლაპარაკი განა ოდესმე მოსწყინდება მანდილოსნებს? ბრიგზს არ მოსწყინდებოდა, არც რებეკა იღლებოდა ყურისგდებით. იგი მადლობელი იყო, ჭეშმარიტად მადლობელი, რომ ძვირფას, კეთილ ბრიგზსა და ერთგულ, ფასდაუდებელ ფერკინს მაინც შეეძლოთ ავადმყოფობაში თავსა სდგომოდნენ მათ მწყალობელს. ღმერთმა დალოცოს იგი! მართალია, ის, რებეკა, თითქოს უმადურად მოექცა მის კროულის, მაგრამ მისი დანაშაული განა ბუნებრივი და

მისატევებელი არ იყო? განა შეეძლო თავისი ხელი დაეჭირა იმ კაცისათვის, რომელსაც გული შესწირა? გრძნობის ამყოლმა ბრიგზმა ამ ღაღადისზე მხოლოდ თვალები ზეცისკენ აღაპყრო, თანაგრძნობის ოხვრა აღმოხდა; თან მოაგონდა, რომ მრავალი წლის წინათ იმასაც შეწირული ჰქონდა გული და სცნო, არც რებეკას ჩაუდენია ძალიან მძიმე დანაშაულიო.

- განა ოდესმე შეიძლება დავივიწყო ის ადამიანი, ვინც ისე უპატრონა უთვისტომო ობოლს? არა და არა! - თქვა რებეკამ. - თუმცა თავიდან მომიშორა, მაინც მუდამ ისევე მეყვარება და ჩემს თავსაც შევწირავ მის სამსახურს. ძვირფასო მის ბრიგზ, ქვეყნიერების ზურგზე ყველა ქალზე მეტად მის კროული მიყვარს და იმას ვეთაყვანები, როგორც ჩემს პირად მწყალობელსა და როგორც ჩემი საყვარელი როუდონის გასაღმერთებელ ნათესავს, იმის შემდეგ კი ყველა მისი ერთგულიც მიყვარს. მე არასოდეს ისე არ მოვეპყრობოდი მის კროულის ერთგულ მეგობრებს, როგორც იმ საზიზღარმა, ცბიერმა და ხრიკიანმა მღვდლის ცოლმა ჰქნა. როუდონი ხომ მთლად გულია! - განაგრძობდა იგი. - თუმცა გარეგნულად ვინმეს იქნებ ტლანქი და გულგრილი მოეჩვენოს, მაგრამ ათასჯერ უთქვამს თვალში ცრემლმორეულს: დაილოცოს განგება, ჩემს უძვირფასეს მამიდას ორი ისე სათაყვანო მომვლელი რომ გამოუგზავნა, როგორც მისი საყვარელი ფერკინი და მისი სათაყვანო მის ბრიგზი არიანო.

მერე რებეკამ დასძინა: თუ იმ საზარელი მღვდლის ცოლს ხრიკებმა გაუმართლა (ძალიან კი მეშინიან, რომ გაუმართლებს!) - მის კროულის ვინც უყვარს, ყველა იქიდან თუ გამოაძევა და ის საცოდავი მოხუცი იმ თავისი ოჯახის სვავებს მიუგდო საჯიჯგნად, მაშინ, გევედრებით, მოიგონოთ (მის ბრიგზს ეუბნება), რომ ჩემი საკუთარი, საწყალი სახლი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნებაო.

- ძვირფასო მეგობარო! - წამოიძახა გატაცებით რებეკამ. - ზოგ გულს არასოდეს არ დაავიწყდება მადლი, ყველა ქალი ბიუტ კროულის ცოლი კი არ არის! თუმცა რად უნდა ვუჩიოდე მე იმას? - დაუმატა მან. - მართალია მისი მზაკვრობის ბრმა იარაღი და მსხვერპლი გავხდი, მაგრამ განა იმას არ უნდა ვუმადლოდე ჩემს უძვირფასეს როუდონს? - და რებეკამ აუხსნა ბრიგზს დედოფლის კროულიში ბიუტ კროულის მეუღლის ყოფაქცევა, რომელიც თუმცა მაშინ არ ესმოდა, ახლა საქმეთა ვითარებით

უკვე სრულიად მკაფიოდ ჩანდა. ახლა, როცა ბიუტის მეუღლის ათასნაირი ხრიკებითა და ხელის შეწყობით ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ; ახლა, როცა ორი უმანკო ადამიანი გაება მისგან დაგებულ ხაფანგში: ერთმანეთი შეიყვარეს, დაქორწინდნენ და მისი ოინების წყალობით თავი დაიღუპეს.

ყველაფერი ეს მართლაც სრული ჭეშმარიტება გახლდათ. ბრიგზი, რამდენადაც შეიძლებოდა, ნათლად ხედავდა ხრიკებს. მღვდლის ცოლმა გაჩარხა როუდონის და რებეკას ქორწინების საქმე. მაინც, მართალია, ყმაწვილი ქალი სრულიად უმანკო მსხვერპლი იყო, მის ბრიგზს არ შეეძლო დაეფარა მეგობრისათვის შიში, რომ მის კროულის სიყვარულის მობრუნების იმედი რებეკას აღარ უნდა ჰქონოდა და რომ მოხუცი მანდილოსანი არასოდეს მიუტევებდა ძმისწულს ასე უგუნურად დაქორწინებას.

ამ საკითხზე რებეკას საკუთარი შეხედულება მოეპოვებოდა და მაინც იხტიბარს არ იტეხდა. თუ მის კროული არ აპატიებთ ახლა, მომავალში მაინც იქნებ მოლბეს. ამჟამადაც კი, როუდინსა და ბარონეტობას შორის მხოლოდ ის წუწუნა, მიკნავებული პიტ კროულიღა იყო ჩაჩხერილი და იმას რომ ერთი კოჭი გადაუბრუნდეს, ყველა საქმე ჩინებულად გაიჩარხება. ასე იყო თუ ისე, მღვდლის ცოლის ხრიკების სააშკარაოზე გამოტანით და საკუთარი თავის შეურაცხყოფილად წარმოდგენით, გულს მაინც იოხებდა რებეკა, თანაც ეს გარემოებანი როუდონის საქმის წარმატებისთვისაც იქნებ სასარგებლო გამომდგარიყო. გულმობრუნებულ მეგობართან ერთი საათის მუსაიფის შემდეგ რებეკა სიყვარულის დამადასტურებელი უნაზესი ალერსით გამოემშვიდობა მას. იგი სრულიად დარწმუნებული იყო, მთელი მათი ნალაპარაკევი ორიოდე საათში წვრილად მოხსენდებოდა მის კროულის.

ეს ბაასი რომ დასრულდა, სწორედ სასტუმროში რებეკას დაბრუნების დროც დადგა. მთელი გუშინდელი საზოგადოება გამოსათხოვარ საუზმეზე შეიკრიბა. რებეკა ისეთის ალერსით დაემშვიდობა ემილიას, როგორც დებივით მოყვარულ ორ ქალს შეშვენოდა: წამდაუწუმ ხმარობდა ცხვირსახოცს; კისერზე ესკვნებოდა მეგობარს, თითქოს სამუდამოდ შორდებაო და ფანჯრიდანაც უქნევდა ცხვირსახოცს (რომელიც, სიტყვა იქით იყოს და, სრულიად მშრალი კი გახლდათ), როცა ეტლი დაიძრა.

მერე მიუბრუნდა გაშლილ სუფრას და, თუ მის მღელვარებას გავითვალისწინებთ, საკმაოდ მადიანად გაართვა გემო კრევეტს. ხოლო სანამ ამ დელიკატესს შეექცეოდა, როუდონს აუხსნა, რაც მოხდა დილანდელი სეირნობის დროს იმასა და ბრიგზს შორის. იმედებით ფრთაშესხმული ბრძანდებოდა და იმედიანობა ქმარსაც გადასდო. საერთოდ იგი ყოველთვის ახერხებდა გადაედო ქმრისათვის თავისი ყოველნაირი შეხედულებანი, მოსაწყენი იქნებოდა ეს თუ სასიხარულო, სულ ერთია.

- აბა, ახლა, გეთაყვა, ჩემო თვალისჩინო, მიუჯექი მაგიდას და ერთი კოხტა, პატარა ბარათი მიმიწერე მის კროულის და გააგებინე, რომ შენ კარგი ბიჭი ხარ, და მაგნაირი რამეები.

როუდონიც დაჯდა და სასწრაფოდ დაწერა: „ბრაიტონი, ხუთშაბათი

„ჩემო ძვირფასო მამიდა!“ - მაგრამ მამაც ოფიცერს აქ კი უღალატა გონებრივმა აღმაფრენამ. დაუწყო კალმისტრის ბოლოს ღრღნა და თან ცოლს შესცქნაოდა. რებეკამ სიცილი ვეღარ შეიმაგრა მისი დაღვრემილი პირისახის დანახვაზე, ზურგზე ხელები დაიწყო, ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში და მერე პატარა დედაკაცი წერილის კარნახს შეუდგა, ქმარმა კი წერას მიჰყო ხელი.

„სანამ სამშობლოს დავტოვებდე და ომში გავემგზავრებოდე, რომელიც ფრიად შესაძლებელია, საბედისწეროც იქნეს“...

- რაო? - იკითხა, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა როუდონმა, მაგრამ სახუმარო აზრს ჩახედა და მყის ღრეჭით დაწერა ქაღალდზე.

- „რომელიც, ფრიად შესაძლებელია, საბედისწეროც იქნეს, მე ჩამოვედი აქა...“

- რატომ არ ამბობ „ჩამოვედი აქ“, ბეკი? „ჩამოვედი აქ“ უფრო სწორი იქნება, - ჩაურთო დრაგუნმა.

- „მე ჩამოვედი აქა, - რებეკამ ტკეპნით გაიმეორა და ფეხიც დასცა იატაკს, - რომ გამოვესალმო ჩემს უძვირფასეს და უძველეს მეგობარს. გევედრებით, სანამ წავიდოდე, იქნებ აღარ დასაბრუნებლადაც, ერთხელ კიდევ მიბოძოთ ნება, ხელთ მოვუჭირო იმ ხელს, რომელსაც მთელ ჩემს სიცოცხლეში წყალობათა მეტი სხვა არაფერი მოუცია“.

- „წყალობათა მეტი სხვა არაფერი მოუცია“, - ბანს აძლევდა როუდონი, ჩხაპნიდა და ფრიად უკვირდა მწერლობის საკუთარი ნიჭი და უნარი.

- „მე მხოლოდ იმას გეხვეწებით, რომ განაწყენებულები ნუ დავშორდებით ერთმანეთს. ზოგი მხრით, თუმცა არა ყოველთვის, ჩემი გვარის სიამაყე მაქვს თანდაყოლილი. მხატვრის ქალიშვილი შევირთე, მაგრამ არა მრცხვენია ამ მეუღლეობისა“.

- არა და არა! ტყვია მომხვდეს გულში თუ მრცხვენოდეს! - წამოიძახა როუდონმა.

- აი, შე ყეყეჩო! - უთხრა რებეკამ ქმარს, ყური აუწია და ჩახედა ნაწერს, რაიმე შეცდომა ხომ არ მოუვიდაო: - „არაფელი“ კი არა, „არაფერი“ უნდა, „გეხვერწები“ კი არა - „გეხვეწები!“

როუდონი დაემორჩილა თავისი პატარა ცოლის აღმატებულ განსწავლულობას და ეს სიტყვები შეასწორა.

- „მე მეგონა, თქვენ მოგეხსენებოდათ ჩემი სიყვარულის ამბავი; - განაგრძობდა რებეკა, - ეს კი ვიცოდი, რომ ბიუტ კროულის მეუღლეს მოსწონდა ეს საქმე და მაქებებდა კიდეც. მაგრამ ბედს მაინც არ ვემდური. ღარიბი ქალი შევირთე და კმაყოფილიცა ვარ ჩემი ნამოქმედარით. ვისაც გნებავთ, იმას დაუტოვეთ თქვენი ქონება, ძვირფასო მამიდა. ენა არასოდეს მომიბრუნდება დავიჩივლო თქვენზე, კარგად არ მომეპყრო-მეთქი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე მხოლოდ თვით თქვენი გულისთვის მიყვარხართ და არა ფულებისთვის. სანამ ინგლისიდან გავემგზავრებოდე, მინდა რომ შემირიგდეთ. ნება მიბოძეთ, ნება მიბოძეთ, გნახოთ წასვლამდე. რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ იქნებ ძალიანაც დაგვიანდეს და მე ვერ ამიტანია იმაზე ფიქრი, რომ თქვენთან ტკბილად გამოუსალმებელი წავალ სამშობლოდან“.

- ასე ვეღარ გამოიცნობს ჩემს ნაწერს, - დააყოლა ბეკიმ. - განგებ ვიხმარე მოკლე და სხარტი წინადადებები.

ეს უტყუარი უსტარი მის ბრიგზის სახელზე გაიგზავნა. ბებერ მის კროულის გაეცინა, როცა ბრიგზმა დიდის საიდუმლოებით გადასცა ეს წრფელი და გულუბრყვილო აღსარება.

- ახლა კი შეგვიძლია წავიკითხოთ ეგ, ბიუტის ცოლი აქ აღარ

არის, - ბრძანა მან. - წამიკითხე, ბრიგზ!

ბრიგზმა ეს წერილი რომ ბოლომდე ჩაიკითხა, ქალბატონს კიდევ უფრო გულიანი სიცილი აუტყდა.

- ვერა ხედავ, შე ბატო, - უთხრა მან ბრიგზს, - რომელმაც აღიარა, ფრიად ამიჩუყა გული აქ გამოთქმულ გრძნობათა გულწრფელობამაო. - ვერა ხედავ, რომ ამაში როუდონის ერთი სიტყვაც არ ურევია? იმას თავს დღეში არ მოუწერია ჩემთვის, თუ ფულის თხოვნა არა სჭირდებოდა, და ყველა წერილი სავსეა შეცდომებითა და ნაჯღაბნებით. აი, ის პატარა გველი, აღმზრდელი დედაკაცი, აცუნდრუკებს თავის ნებაზე!

„ყველანი ერთმანეთსა ჰგვანან, - ფიქრობდა გულში მის კროული. - ყველას ჩემი სიკვდილი უნდა და კბილები უკაწკაწებთ ჩემი ფულებისათვის!“

- როუდონის ნახვა მაინცდამაინც არც თუ მეუნდომლება, - მცირე დუმილის შემდეგ სრულიად გულგრილი კილოთი დასძინა ბებერმა. - რა ბედენაა, ჩამოვართმევ ხელს თუ არა. თუკი აქ რაიმე უსიამოვნებას არ ამიტეხს, ვითომ რატომაც არ უნდა ვნახოთ ერთმანეთი? ვნახოთ რა! მაგრამ ადამიანის მოთმინებას მაინც საზღვარი აქვს და იცოდე, ჩემო ძვირფასო, თავაზიანად უარს ვამბობ როუდონის ცოლის სტუმრობაზე... ამას კი სწორედ ვეღარ ავიტან!

მის ბრიგზი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ სანახევრო შერიგებას და იფიქრა, მოხუცი მანდილოსნისა და ძმისწულის ერთად შეყრა ყველაზე უკეთ ზღვის ნაპირას, სასეირნო კლდეზე მოხერხდებაო. ამიტომ როუდონი გააფრთხილა, მის კროული თავისი საგორებელი სკამით როდის გაისეირნებდა ჰაერის გადასაყლაპავად.

მართლაც აქ შეხვდნენ ერთმანეთს. არ ვიცი, მის კროულის გაეღვიძა თუ არა გულში სიყვარულისა და სიამტკბილობის რაიმე გრძნობა წინათ გამორჩეულად საყვარელი ძმისწულის დანახვაზე, მაგრამ ორი თითი კი ისეთივე ღიმილითა და ხალისით გაუწოდა, თითქოს მხოლოდ გუშინდელს აქეთ არ ენახოთ ერთმანეთი. როუდონს კი ალმური ავარდა სახეზე და ამ შეხვედრით ისე აღფრთოვანდა და თანაც დაიბნა, რომ ხელის ჩამორთმევის დროს კინაღამ მკლავი უღრძო ბრიგზს. იქნებ გამორჩენის წყურვილმა ააღელვა ასე, იქნებ სიყვარულმა; ან კიდევ იმ ცვლილებებმა, რომლებიც ამ ბოლო კვირეების

ავადმყოფობას დაემჩნია მამიდამისისათვის.

- ეს ბებრუცუნა ყოველთვის სწორედ სულზე მომისწრებდა და მიხსნიდა ხოლმე გასაჭირიდან, - უთხრა როუდონმა ცოლს, როცა შეხვედრის ამბავს უყვებოდა, - და იცი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ვიგრძენი თავი და გულმა რაღაც რეჩხი მიყო. გვერდით მივდევდი, ხომ იცი, რაღაც ჯანდაბაა, სკამს რომ ჰგავს და სწორედ სახლის კარამდეც მივყე. ბოულზი გამოეშველა და შეიყვანა შინ... მეც ძალიან მინდოდა შევყოლოდი, მაგრამ...

- მერე არ შეხვედი, როუდონ?! - შეჰკივლა ცოლმა.

- ვერა, გენაცვალე, ჭირი მეცეს თუ არ შემშინებოდეს, როცა საქმე-საქმეზე მიდგა.

- აი, შე ტუტუცო! უნდა შესულიყავი და ფეხიც აღარ მოგეცვალა იქიდან! - მიაძახა რებეკამ.

- ლანძღვას თავი დაანებე! - შეუბღვირა ზონზროხა გვარდიელმა. - იქნებ ტუტუციც ვიყო, ბეკი, მაგრამ ეგრე არ უნდა მითხრა! - და ცოლს ისეთი გამომეტყველებით გადახედა, რომელსაც მისი სახე მიიღებდა ხოლმე განრისხების დროს და რაც ვერაფერი სასიამოვნო გახლდათ თვალის გასასწორებლად.

- კარგი, კარგი, გენაცვა, ხვალაც უნდა იმარჯვო და იცოდე, უეჭველად ნახო, მიგიწვევს თუ არა, სულ ერთია, - დაუყვავა რებეკამ, რათა დაეშოშმინებინა გაგულისებული მეუღლე.

ამაზე თანამეცხედრემ უპასუხა, როგორც მომეპრიანება, ისე ვიზამ, შენი კი მადლობელი ვიქნები, თუ ზრდილობიან ლაპარაკს ისწავლიო. მერე განაწყენებული ქმარი წავიდა და მჭმუნვარემ, გულაღრენილმა და იჭვნეულმა მთელი დილა მდუმარედ გაატარა საბილიარდოში.

მაგრამ ჯერ იმ ღამესაც არ გაევლო, რომ როუდონი იძულებული გახდა დაეთმო და ჩვეულებისამებრ ეღიარებინა ცოლის აღმატებული გონიერება და გამჭრიახობა: რებეკას ავი წინათგრძნობანი ქმრისაგან ჩადენილი შეცდომის შედეგების მიმართ ფრიად სამწუხაროდ დადასტურდა. მის კროულის ალბათ ცოტათი მაინც ააღელვებდა ასე ხანგრძლივი განხეთქილების შემდეგ მისი ნახვა და ხელის ჩამორთმევა იგი კარგა დიდხანს იყო გართული ამ შეხვედრის ფიქრებში.

- როუდონი ძალიან დასქელებულა და მოტეხილა, ბრიგზ, - გადაულაპარაკა მან ამხანაგს, - ცხვირი დასწითლებია და გარეგნობითაც ნამეტანი გატლანქებულა. იმ დედაკაცის შერთვამ უიმედოდ გაამდაბიოვა. ბიუტის ცოლი ყოველთვის ამბობდა, ორთავე ცოლ-ქმარი სვამენო და, უეჭველია, მართალიც არის. ჰოდა, საძაგლად ყარდა ჯინის სუნით. პირდაპირ ცხვირში მეცა. შენ არ გეცა?

ამაოდ ჩაურთო ბრიგზმა, ბიუტის ცოლი ყველას ლანძღავსო და რამდენადაც ჩემისთანა მდაბალი მდგომარეობის ადამიანს ძალუძს იმსჯელოს, იგი გახლავთ...

- ეშმაკი და გველაძუა დედაკაცი, არა? დიახ, სწორედ რომ ეგეთია და ყველასაც ლანძღავს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იმ გომბიომ გაალოთა როუდონი, ყველა მდაბიო ხალხი...

- კაპიტანი ნამეტანი ააღელვა თქვენმა ნახვამ, ქალბატონო, - შეჰბედა ბრიგზმა. - და მჯერა, თუ თქვენ მოიგონებთ, რომ იგი ომში მიდის...

- რამდენ ფულს დაგპირდა, ბრიგზ! - დასჭყივლა მიხრწნილმა შინაბერამ და გულმოსულობით თითქმის კანკალი აუვარდა. - ახლა მოჰყვები, რასაკვირველია, ზლუქუნს! მეჯავრება აყალმაყალი! რა ყველა მე მაწუხებს? წადი შენ საკუთარ ოთახში და იქ იჯერე გული, მე კი ფერკინი გამომიგზავნე... ანდა მოიცა! დაჯექი. მოიხოცე ცხვირი, მორჩი მაგ ფშლუკუნს და წერილი მისწერე კაპიტან კროულის!

საცოდავი ბრიგზი მორჩილად მიუჯდა საწერ დავთარს, რომლის ფურცლები აჭრელებული იყო შინაბერას ყოფილი პირადი მდივნის, მღვდლის მეუღლის, სწორი, მტკიცე და გაკრული ხელით ნაწერის ნაშთებით.

- დაიწყე: „ბატონო ჩემო!“ ანდა „ბატონო!“ - ასე ემჯობინება. და მისწერე, რომ მის კროულიმ გთხოვა... არა, მის კროულიმ კი არა, მის კროულის ექიმმა, ბატონმა კრიმერმა, გთხოვა, აუწყო, რომ ჩემი ჯანმრთელობა ფრიად შერყეულია და ყოველნაირი აღელვება საშიშია ჩემს ახლანდელ მძიმე ყოფაში... და მე თავი უნდა ავარიდო ყოველგვარ ოჯახურ სჯა-ბაასსა და შეხვედრებს. მადლობა მოახსენე ბრაიტონს ჩამოსვლისათვის და სხვანი და სხვანი და თან სთხოვე, ჩემი გულისთვის აქ ნუღა დადგებიან. მერე კიდევ, მის ბრიგზ, თუ გინდა ისიც დაურთე, რომ bon voyage-ს[62] ვუსურვებ. აგრეთვე თუ გაირჯება და ჩემს

ვექილებთან შეივლის გრეიზინ-სკვერში, იქ პატარა რაღაცას დაახვედრებენ. ჰო, ეგრე - იქნებ მაგან მაინც გაიტყუოს ბრაიტონიდან!

გულკეთილმა ბრიგზმა უდიდესი კმაყოფილებით ჩასწერა ეს წინადადება.

- სწორედ იმავე დღეს არ მეცენ ყელში, რა დღესაც მღვდლის ცოლი გაემგზავრა! - განაგრძობდა ბუზღუნს ბებერი, - დიდი უზრდელობა კი არის! ბრიგზ, გენაცვალე, მისწერე ბიუტ კროულის ცოლსაც და მოახსენე, უკან დაბრუნებით თავს ნუღა შეიწუხებ-თქო. არა... ნუ შეიწუხებს... და არც უნდა შეიწუხოს!.. არ მინდა ჩემ საკუთარ ჭერქვეშ ვინმეს მონად ვიქცე... არც კიდევ შიმშილით სიკვდილი და შხამებით დახრჩობა მსურს! ყველას ჩემი სიკვდილი უნდა... ყველას!.. - და ამ ეულ, ბებერ დედაკაცს გული ამოუჯდა და მორთო გამწარებული ქვითინი.

ამაოების ბაზრის მისი მწუხარე კომედიის უკანასკნელი სურათი მსწრაფლ ახლოვდებოდა. ჭრელ-ჭრელი, ზიზილ-პიპილებიანი სანათები ერთიერთმანეთის მიყოლებით ქრებოდა და თალხი ფარდა, ის-ის იყო, ეშვებოდა.

უკანასკნელი წინადადება, რომელიც როუდინს აცნობებდა, მის კროულის ლონდონელ ვექილს შეუარეო, და რომელიც ბრიგზმა ასე ხალისით მიაწერა, დრაგუნისა და მისი თანამეცხედრის გულს ცოტათი მაინც მოესალბუნა იმ თავდაპირველი მწარე იმედგაცრუების მერე, რაც შერიგებაზე შინაბერას უარის წაკითხვამ განაცდევინათ. თანაც სწორედ იმ მიზნისთვისაც გასჭრა, რისთვისაც მოხუცმა მანდილოსანმა მიაწერინა იგი ბოლოში: როუდონს მართლა სული ეცინცქლებოდა ლონდონს ჩასვლისათვის.

ჯოზისა და ჯორჯ ოსბორნის წაგებული ფულით სასტუმროს ნახარჯი გაისტუმრა და მისმა მეპატრონემ ალბათ დღევანდლამდე არ იცის, რა საეჭვოდ იყო ერთ ხანს მისი ანგარიშის გასწორების საქმე. ვინაიდან, როგორც ბრძოლის დაწყების წინ სარდალი ზურგში გაჰგზავნის ხოლმე ბარგს, ასევე რებეკამაც ბრძნულად შეჰკრა უმთავრესი ძვირფასეულობა და ჯორჯის მსახურს გაატანა, რომელსაც საფოსტო ეტლით ლონდონს უნდა ჩაეტანა სკივრები. მეორე დღეს ასევე საფოსტო ეტლით ჩაბრძანდნენ ლონდონს როუდონი და მისი მეუღლე.

- კარგი იყო მენახა ბებრუხანა წამოსვლის წინ, - ჩაილაპარაკა როუდონმა. - ისე მოტეხილა და შეცვლილა, მე მგონი, დიდხანს ვეღარ გაატანს. ნეტავი რამდენიანი ჩეკი დამხვდება უექსისთან? ორასიანი მაინც... ორასზე ნაკლები რაღა იქნება... ჰო, ბეკი?

მიდლესექსის შერიფის ადიუტანტთა გახშირებული სტუმრობის გამო, როუდონი და მისი მეუღლე აღარ დაბრუნებულან თავიანთ ბინაში ბრომპტონს, არამედ სასტუმროში ჩამოხდნენ. მეორე დღეს, დილაადრიან, რებეკას შემთხვევა მიეცა თვალიც მოეკრა ამ ვაჟბატონებისათვის, როცა იგი ფულემს მიდიოდა, მოხუც ქალბატონ სედლის სახლში, ძვირფას ემილიას და ბრაიტონელი მეგობრების სანახავად და ეტლით ჩაუქროლა ამ გარეუბანს. რებეკას მეგობრები ყველანი უკვე ჩეტემს წასულიყვნენ, ხოლო იქიდან კი - ჰერიჯს, რათა თავიანთ ლეგიონთან ერთად გემებით გამგზავრებულიყვნენ ბელგიაში. ერთობ შეწუხებული და ნამტირალევი კეთილი მოხუცი ქალბატონი სედლი მარტოდმარტო იჯდა. სტუმრობიდან დაბრუნებულ რებეკას შინ ბედისწერის შესატყობად გრეიზ-ინს წასული ქმარი დახვდა იგი გაშმაგებული ბრძანდებოდა.

- ღმერთს გეფიცები, ბეკი! - შესძახა მან, - ოცი გირვანქის მეტი არ გადმოუგდია!

თუმცა ეს მათთვის ვერაფერი სახეირო ამბავი იყო, ოინი მართლა ლაზათიანი გამოვიდა და ბეკის სიცილი წასკდა როუდონის ასე იმედგაცრუებაზე.

თავი XXVI. ლონდონიდან ჩეტემამდე

ბრაიტონიდან რომ წამობრძანდა, ჩვენმა მეგობარმა ჯორჯმა, როგორც შეჰფეროდა ოთხცხენიანი ეტლით დიდრაჯულად ნამგზავრ დარდიმანდ, წარჩინებულ გვამს, გულზვიადად მიაყენებინა ეტლი კევენდიშის მოედნის საუცხოო სასტუმროს კარზე. რამდენიმე ოთახიანი ბრწყინვალე ბინა და ექვსიოდე მდუმარე შავი მსახურით გარშემორტყმული, ვერცხლის

ჭურჭლეულობით დიდებულად გაწყობილი სუფრა უკვე ელოდა ახალგაზრდა დარბაისელსა და მის პატარძალს. ჯორჯი მეფურად უმასპინძლდებოდა ჯოზსა და დობინს, ხოლო ემილია კი პირველად, და ისიც დიდის მორიდებით და კრძალვით, დიასახლისობდა, როგორც ჯორჯი უწოდებდა, საკუთარ სუფრას.

ჯორჯი ამრეზით სულ ფუჰ-ფუჰს იძახოდა ღვინოზე და ხელმწიფურად შარსა სდებდა და სტუქსავდა მსახურთ, ჯოზი კი განუზომელი სიამოვნებით თქვლეფდა კუს წვენს. ამ წვნით დობინი უმასპინძლდებოდა ჯოზს, რადგან დიასახლისს, რომლის წინაც იდგა საწვნე, იმდენად არა გაეგებოდა რა ამ ჭურჭელში ჩასხმული კერძისა, რომ მზად იყო თვით კუს მომწვანო სუკის ანდა მისივე მუცლის მოყვითალო ცხიმის გარეშე მიერთმია ბატონ ჯოზისათვის ულუფა.

ნადიმისა და პალატების ბრწყინვალებამ შეაშფოთა ბატონი დობინი და ნასადილევს, როცა ჯოზს ვეება სავარძელში ჩაეძინა, თავისი გულისწყრომა კიდეც გამოსთქვა. მაგრამ ამაოდ ილაშქრებდა იგი კუს წვენის ზომაზე მეტობისა და შამპანურის წინააღმდეგ, რომელიც თვით არქიეპისკოპოსს თუ შეჰფერვოდა.

- მე ყოველთვის ჩვეული ვიყავი განცხრომით მგზავრობას, როგორც წარჩინებულთა წესია, - ბრძანა ჯორჯმა, - და, დალახვროს ღმერთმა, ცხადია, ჩემმა მეუღლემაც წარჩინებული ქალბატონივით უნდა იმგზავროს. სანამდე ჯიბეში ფული მიჭყავის, ჩიტის რძესაც არ მოვაკლებ! - დასძინა თავისივე დიდსულოვნებით ფრიად ნასიამოვნებმა, გულუხვმა ვაჟბატონმა. მაგრამ აღარც დობინს უცდია დაერწმუნებინა, რომ ემილიას ბედნიერება მარტო კუს წვნიანზე არ იყო დამოკიდებული.

მალევე, ნასადილევს, ემილიამ კრძალვით გამოსთქვა სურვილი: დედიკოს სანახავად მინდა ფულემს წასვლაო. ჯორჯმა მხოლოდ ცოტაოდენი ბუზღუნის შემდეგ დართო ნება. ემიც გაცქრიალდა თავის ვეებერთელა საწოლ ოთახში, რომლის შუაგულშიც აგრეთვე ვეებერთელა, ბალდახინისებური საწოლი იდგა და რომელშიც „იმპერატორ ალექსანდრეს დას ეძინა, როცა მოკავშირე ხელმწიფეები აქ იყვნენ“, და დიდის ფაცაფუცითა და სიამოვნებით გამოეწყო პაწია ქუდსა და შალში. ჯორჯი კვლავ წითელ ღვინოს შეექცეოდა, ცოლი რომ შემობრუნდა

სასადილო დარბაზში და არც კი შერყეულა.

- შენ არ წამომყვები, ძვირფასო? - ჰკითხა მას ემიმ.

არა, „ძვირფასს“ „საქმეები“ ჰქონდა იმ საღამოს, მაგრამ მისი მხლებელი კი მოჰგვრიდა ეტლს და კიდეც თან ეახლებოდა. ეტლი სასტუმროს კართანაც იდგა. ემილიამ ერთი-ორჯერ ამაოდ შეხედა სახეში ჯორჯს, ცოტა განაწყენებული რევერანსი უძღვნა და სევდიანად დაეშვა დიდ კიბეზე. კაპიტანმა დობინმა ჩააცილა, ჩასვა ეტლში და გააყოლა თვალი, როგორ გაუდგა გზას. თვით მხლებელსაც კი ერცხვინებოდა ნაქირავები მეეტლისთვის სასტუმროს ფარეშების გასაგონად ეთქვა მისამართი და შეჰპირდა, ცოტა რომ გავცდებით, მაშინ გეტყვიო.

დობინი თავისი ძველი ბინისაკენ, სლოტერისას გაემართა და ალბათ ფიქრობდა, რა საამო იქნება იმ ნაქირავებ ეტლში ქალბატონი ოსბორნის გვერდით ჯდომაო. ჯორჯს, ეტყობოდა, სრულიად განსხვავებული გემოვნება ჰქონდა, რადგან ღვინით გული რომ იჯერა, ნახევარფასად თეატრში შებრძანდა ბატონ კინის სანახავად შაილოკის როლში. კაპიტანი დრამის დიდი მოტრფიალე გახლდათ და ბანაკად დგომისას მრავალ სათეატრო წარმოდგენაში წარმატებითაც ასრულებდა კომიკურ როლებს.

ჯოზს დაბნელების მერეც კარგა დიდხანს ეძინა და მხოლოდ მსახურის ფაცაფუცზე გამოფხიზლდა, როცა იგი სუფრიდან ალაგებდა და სცლიდა სურებს. საქირაო ეტლების სადგომი კვლავ აახმაურეს, რათა ეს ჩასუქებული, ზორბა გმირი თავის ბინასა და საწოლში მიებრძანებინათ.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქალბატონი სედლი გარეთ გაიჭრა აკანკალებული ახალგაზრდა პატარძლის მისაგებებლად, როცა ეტლი ბაღის პატარა ჭიშკარს მოადგა და მთელი დედობრივი გატაცებითა და სიყვარულით ჩაიკრა შვილი გულში. პერანგის ამარა მოხუცი მისტერ კლეპი ბაღსა სხლავდა და შემკრთალი უკან მიაწყდა. ირლანდიელი გოგო სამზარეულოდან გამოვარდა და სახეგაბადრული მიესალმა, „უფალმა გაკურთხოთო“. ემილიამ ძლივს განვლო ქვაფენილი და სასტუმრო ოთახში ასასვლელი კიბე.

როგორ მოხსნეს კოკებს პირი და დედა-შვილმა რა გულამოსკვნით იქვითქვითა, ამ წმიდათა სამყოფელში

ერთმანეთს ჩაკრულნი რომ ისხდნენ, ყოველი ოდნავ გულჩვილი მკითხველისათვისაც ადვილად წარმოსადგენია. განა როდის არ ტირიან ქალები? განა სიხარულის, მწუხარების, ანდა ცხოვრების თუნდაც სხვა რომელიმე ამბავზე, როდის არა ღვრიან ცრემლებს? და ასეთი ამბის შემდგომ, როგორც ქორწინება გახლავთ, დედა-შვილს, რასაკვირველია, სრული უფლება ჰქონდა ნებაზე მიეშვა თავიანთი გრძნობანი და გული მოეოხებინა, რაც სიყვარულისა და სინაზის გამომხატველიც გახლავთ და გამამხნევებელიც. ქორწინების საქმეზე, მინახავს, ერთმანეთის მოძულე დიაცები ფრიად შეხმატკბილებულად როგორ ჰკოცნიან და შესტირიან ერთმანეთს და რამდენად უფრო გრძნობამორეულნი იქნებიან, როცა უყვართ! კეთილი დედანი კვლავ ქორწინდებიან თავიანთი ქალიშვილების ჯვრისწერის დროს. რაც შეხეება ქორწინების მომდევნო სხვა ამბებს ხომ, აბა ვინ იცის, რა ზედედობრივნი ბრძანდებიან ბებიები. და მართლაც, ქალი სანამ ბებია არ გახდება, ხშირად ნამდვილად არც კი იცის, რა არის დედობა. ვცეთ პატივი ემილიას და მის დედიკოს, სასტუმრო ოთახში რომ მისჯდომიან დაისს ერთმანეთს და ჩურჩულებენ, სლუკუნებენ, იცინიან და ტირიან. მოხუცი ბატონი სედლიც ასე მოიქცა. მას არც უცდია გამოეცნო ვინ იჯდებოდა ეტლში, რომელიც ბაღის კარს მოადგა. არც ხელგაშლილი მიჰგებებია შვილს, თუმცა ძალიან გულიანად კი ჩაკოცნა, როცა იგი ოთახში შემოვიდა, სადაც მოხუცი ჩვეულებისამებრ თავისი ქაღალდებით, ზონრებით და ქვითრებით იყო გართული; ცოტა ხანს ჩამოჯდა დედა-შვილთან, მერე კი ბრძნულად დაუტოვა მათ ეს პატარა სამყოფელი.

ჯორჯის მხლებელი დიდის ამრეზით გადმოჰყურებდა პერანგის ამარა მისტერ კლეპს, რომელიც ვარდის ბუჩქებს რწყავდა, მაგრამ მაინც უფრო მეტი მოწყალებით ინება ქუდი მოეხადა ბატონი სედლისათვის. მოხუცმა მოიკითხა სიძე, გამოიკითხა ჯოზის ეტლის ამბავი, მისი ცხენები ბრაიტონს თუ იყვნენო. ახსენა ის ტარტაროზი, მუხთალი ბონაპარტი და ომიც. ამასობაში ირლანდიელმა გოგომ სინზე დადებული ღვინიანი ბოთლი მოართვათ, რომლითაც მოხუცმა არ დაიშალა და, გაუმასპინძლდა მხლებლებს, მერე ნახევარი გინეაც უბოძა, რაც მსახურმა გაკვირვებითა და თან ზიზღით ჩაიჯიბა.

- იდღეგრძელოს შენმა ბატონმა და ქალბატონმა, ტროტერ, - მიმართა ბატონმა სედლიმ, - და აი, ეს პატარა რაღაცა შენ

გქონდეს, შინ რომ მიხვალ შენი სადღეგრძელოც გადაჰკარი, ტროტერ.

მხოლოდ ცხრა დღემ თუ განვლო, რაც ემილიამ დასტოვა ეს პატარა სახლი და მაინც რამდენი ხანი ჩანდა მასთან გამოსალმების შემდეგ! რა უფსკრული იდო ამ ქალსა და მის წარსულ ყოფას შორის. ახლა თავის დღევანდელი მდგომარეობიდან შეეძლო გადაეხედა წარსულისათვის და ემსჯელა თითქმის როგორც სხვა არსებას: ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალიშვილი შთანთქმული იყო თავის სიყვარულში, მხოლოდ ერთი რაღაც მიზნისათვის თუ მოეპოვებოდა თვალში სინათლე; მშობლიურ ალერსს სულ უმადურად თუ არა, გულგრილად მაინც იღებდა და თითქოს ეს მისი მოვალეობა ყოფილიყო, მთელი გული და სული მხოლოდ ერთადერთი ნატვრის განხორციელებას ელტვოდა. ასე ახლობელ და ამასთანავე ასე შორეულ დღეთა თვალის გადავლებამ ემილიას სირცხვილი აგრძნობინა, კეთილი მშობლების ხილვამ კი გული ატკინა და სინდისის ქენჯნა აღუძრა. მიზანი, სიცოცხლის ზეციური ნეტარება, მიღწეული გახლდათ, ხოლო გამარჯვებული კი ისევ ორჭოფულ მდგომარეობაში მყოფი და უკმაყოფილო იყო!

როგორც რომანის გმირი ქალ-ვაჟი ქორწინების ზღვარს გადასცდება, მწერალი, ჩვეულებრივ, ფარდას ჩამოუშვებს ხოლმე, თითქოს დრამა მაშინვე თავდებოდეს, ეჭვსა და ჭიდილს ბოლო ეღებოდეს, თითქოს, რაკი ერთხელვე ქორწინების ქვეყანაში გადასხდნენ, ყველაფერი იქ ქორფა, ამწვანებული და საამოა და ცოლ-ქმარს მეტი აღარა დარჩენია რა გარდა იმისა, რომ საამოა და ცოლ-ქმარს მეტი აღარა დარჩენია რა გარდა იმისა, რომ ხელიხელჩაკიდებულნი წყნარად დაუყვნენ გზას ბედნიერ და ჭეშმარიტად საამური სიბერისაკენ. მაგრამ ჩვენი პატარა ემილია ის-ის იყო გადაჯდა იმ ახალი ქვეყნის ნაპირზე და უკვე გატაცებით იჭვრიტებოდა უკან, სევდიანი, ალერსიანი გამცილებლებისაკენ, რომელნიც შორეული გაღმა ნაპირიდან გამოსალმების ნიშნად ხელს უქნევდნენ.

ახალგაზრდა პატარძლის საპატივსაცემოდ დედამისმა დაასკვნა, აუცილებელია საზეიმო სუფრა გავშალოო. ამიტომ მუსაიფით ცოტათი გული რომ მოიჯერა, მაშინვე მცირე ხნით დასთმო ქალბატონი ოსბორნი და სახლის ქვემოთა სართულში

ჩაძვრა - რაღაც სამზარეულო-სასტუმრო ოთახის ჯურის სამყოფელში. ეს ოთახი მისტერ და მისის კლეპებს ეჭირათ, საღამოობით კი, როცა ჭურჭელს დარეცხდა და თმას დასახუჭუჭებელ მილებსაც მოიცლიდა, მის ფლენიგენი, ირლანდიელი მოახლეც, მიუჯდებოდა ხოლმე მათ გვერდში. აქ განიზრახა ქალბატონმა სედლიმ ჩაის დიდებული სუფრის გაშლა. ყველა ადამიანმა თავისებურად იცის გულკეთილობის გამოჩენა და ქალბატონ სედლისაც ეგონა, ტკბილი ნამცხვრები და პატარა, წახნაგოვან ბროლის ჯამში ბლომად ჩასხმული ნარინჯის მურაბა ამ დროს განსაკუთრებით ეამებოდა ემილიას.

სანამ ძირს ამ ნუგზარი საჭმელების მზადებაში იყვნენ, ემილია სასტუმრო ოთახიდან გავიდა და თვითონაც ვერ გაიგო, ისე მოხვდა იმ პატარა ოთახში, რომელშიც გათხოვებამდე იდგა, და სწორედ იმ სავარძელში, რომელშიც იმდენი მწარე საათი გაეტარებინა იგი ისე ჩაეშვა მის სახელურებს შორის, თითქოს ძველ მეგობარს ჩაჰკონებოდეს და წარსული კვირისა და იმაზე უფრო წინანდელი ცხოვრების ფიქრებში გაერთო. უკვე სევდიანი და დაბნეული ჭვრეტა უკან, მარად გულგადალეული ლტოლვა რაღაცისაკენ, ხოლო ეს რომ განხორციელდა, უფრო ეჭვისა და სევდის, ვიდრე სიამის მოტანა! ეს გახლდათ ჩვენი საბრალო, პატარა ქმნილების, ამაოების ბაზრის ვეება, აჩოჩქოლებულ ბრბოში ჩაკარგული უწყინარი მოხეტიალის ბედი.

იჯდა აქ და ტკბილად იგონებდა ჯორჯის იმ ხატებას, რომელსაც თაყვანსა სცემდა ქორწინებამდე. განა მან უკვე სცნო თავის გულში, რამდენად განსხვავდებოდა ნამდვილი მამაკაცი იმ აღზევებული ჭაბუკი გმირისაგან, რომელსაც იგი აღმერთებდა? ბევრი, ბევრი წელი უნდა გავიდეს და მართლაც მეტისმეტად ცუდი ვინმეც უნდა იყოს კაცი, რომ დიაცს თავისი სიამაყე და ამაოება ნებას მისცემდეს აღიაროს ასეთი ჭეშმარიტება. მერე რებეკას ბრჭყვიალა, მწვანე თვალებმა და ბოროტმა ღიმილმაც შეანათა და აღავსო იგი ძრწოლით. ერთხანს ასე იჯდა, ძველებურად თავკერძა ფიქრებში ჩაფლული, და თავი მიეცა ისეთი უხალისო მჭმუნვარებისათვის, რომელშიც ჰპოვა იგი პატიოსანმა მოახლემ, ჯორჯის ბარათი რომ შემოუტანა, როცა იგი მიჯნურობას კვლავ ანახლებდა.

ემილიამ თვალი გადაავლო პატარა, თეთრ ლოგინს, ორიოდე დღის წინათ იმას რომ ეკუთვნოდა, და იფიქრა, ნეტავი ამაღამაც ამაში დამაძინა და ძველებურად გამაღვიძა, დილით დედა რომ ღიმილით დამცქეროდაო. შემდეგ ძრწოლით მოაგონდა უზარმაზარი, ჩაჟამებულ, დიდრაჯულ საძინებელ ოთახში დადგმული ვეება, ბალდახინისებური აბრეშუმის ფარდებიანი საწოლი, რომელიც ელოდა მას კევენდიშის მოედანზე, დიდებულ სასტუმროში. ძვირფასი, პაწია, თეთრი საწოლი! რამდენი გრძელი ღამე თეთრად გაუთენებია მის ბალიშზე ტირილში! რა სასოწარკვეთილი იყო და როგორ იმედობდა იქ სულის დალევას, ახლა კი განა ყველა მისი ნატვრა არ ახდა და სატრფო, რომლისთვისაც თავს იკლავდა, განა სამარადისოდ მისი არ არის? კეთილი დედიკო! რა გულისყურითა და სათუთობით დასტრიალებდა თავს ამ საწოლს! ემი მივიდა, მუხლი მოიყარა საწოლთან და ეს დაკოდილი, შემკრთალი, მაგრამ სათნო და მოსიყვარულე სული აქ ეძიებდა ნუგეშს; თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, აქამდე ჩვენს პატარა გოგონას იშვიათად თუ უძებნია იგი იქაურობაში. აქამდე სიყვარულის რწმენა ასულდგმულებდა, ახლა კი სევდიანი, დაკოდილი, გატეხილი გული სხვა მანუგეშებელს ითხოვდა.

უფლება გვაქვს გავიმეოროთ და ყური მივუგდოთ მის ლოცვა-ვედრებას? ეს, ჩემო ძმაო, საიდუმლო გახლავს და არ ექვემდებარება ამაოების ბაზრის საბრძანებელს, რომელსაც ჩვენი მოთხრობა დასტრიალებს თავს.

მაგრამ ეს კი შეიძლება ვთქვათ: როცა ბოლოს ჩაისთვის დაუძახეს, ჩვენი ახალგაზრდა მანდილოსანი გაცილებით უფრო მომხიარულებული ჩამოვიდა ქვემოთ. თან არც გულგატეხილობა ემჩნეოდა, არც ბედს უჩიოდა, არც ჯორჯის გულცივობაზე ფიქრობდა და არც კიდევ რებეკას თვალებზე, როგორც ეს ბოლო ხანებში დასჩემდა. ქვემოთ რომ ჩავიდა, დაჰკოცნა დედ-მამა, მერე მუსაიფი გაუბა ბერიკაცს. და ისე გაამხიარულა, რომ დიდი ხანია ასეთ გუნებაზე აღარ ენახათ იგი. ემი მიუჯდა დობინის ნაყიდ ფორტეპიანოს და მამამისის საყვარელი ყველა ძველი სიმღერა თქვა. ჩაი საუცხოო არისო, განაცხადა, და ხოტბა შეასხა ჯამებით მურაბის მორთმევის წესის ლაზათიანობას და რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა გაებედნიერებინა, თვითონაც ბედს ეწია: ბალდახინისებურ, ვეება საწოლში გულიანად ჩაიძინა და

მხოლოდ მაშინ გამოეღვიძა ღიმილით, როცა ჯორჯი მობრძანდა თეატრიდან.

მეორე დღეს ჯორჯს იმაზე უფრო სამძიმო „საქმე“ ჰქონდა მოსაგვარებელი, ვიდრე შაილოკის როლში ბატონი კინის ხილვა იყო. როგორც ლონდონს ჩამოვიდა, მყის აფრინა წერილი მამის რწმუნებულებთან და შეატყობინა მათ თავისი მეფური სურვილი, ხვალ თქვენთან მოლაპარაკება მნებავსო. სასტუმროს ხარჯებმა და კაპიტან კროულისთან ბილიარდსა და ბანქოში წაგებულმა ფულმა თითქმის დაუცარიელა ქისა. სანამ ოსბორნი უცხოეთის გზას გაუდგებოდა ქისას შევსება ესაჭიროებოდა. სხვა სახსარი არაფერი გააჩნდა; ამიტომ ხელი უნდა მიეყო იმ ორი ათასი გირვანქა სტერლინგისათვის, რომლის გასტუმრებაც ვექილებს ჰქონდათ მინდობილი. ჯორჯი დარწმუნებული იყო, რომ მამამისი მალევე მოლბებოდა. განა რომელი მშობელი გაუძლებდა დიდხანს ასეთი საკვირველი ვაჟკაცის მომდურაობას? თუ მისი წარსული და პირადი ღირსებანი ვერ გაულხობდა გულს მამას, ჯორჯმა გადასწყვიტა, ისე საოცრად ვისახელებ თავს მომავალ ლაშქრობაში, რომ მაშინ მაინც უეჭველად შემირიგდებაო. რომ არ შერიგებოდა? ჯანდაბას! მთელი ქვეყნიერება ხომ წინ ჰქონდა გადაშლილი! იქნებ ბედმა გაუღიმოს ბანქოში და ორი ათასი გირვანქა კიდევ არც ისე ადვილად დასახარჯი იყო.

ამიტომ ემილია ერთხელ კიდევ გაგზავნა ეტლით დედიკოსთან, ამასთანავე სასტიკი განკარგულება მისცა და სრული თავისუფლება მიანიჭა ორივე მანდილოსანს, ყოველივე შეეძინათ, რაც საჭირო იქნებოდა უცხოეთში სამოგზაუროდ მიმავალ ქალბატონ ოსბორნისთანა წარჩინებული ბანოვანისათვის. მათ მხოლოდ ერთი დღეღა დარჩენოდათ ამ საქმეთა აღსრულებისათვის და ადვილად წარმოსადგენია, რომ ჯაფა დიდი დაადგებოდათ. ერთხელ კიდევ ძველებურად ეტლში მსხდარნი ფაციფუცით გადადიოდნენ მკერავისა და მექუდის მაღაზიიდან თეთრეულის მაღაზიაში; უკან, ეტლისკენ კი მოლაქუცე ნოქრები და თავაზიანი სოვდაგრები მოაცილებდნენ. ქალბატონი სედლი თითქმის კვლავ ძველებურად გამოიყურებოდა და იმ უბედურებათა შემდეგ ეს პირველი იყო, რომ გულწრფელად განიცდიდა ბედნიერებას. არც ქალბატონი ემილია გახლდათ მოკლებული მაღაზიებში სიარულის, ვაჭრობის, დათვალიერების და კარგი ნივთების ყიდვის

სიამოვნებას. ან რომელი მამაკაცი, რა გინდ ბრძნული ფიქრების პატრონიც არ უნდა ბრძანდებოდეს, თუნდაც გახვრეტილ ფულს გაიმეტებს იმისთანა ქალისთვის, ვინც ამ სიამეს მოკლებული იქნება? ქმრის ბრძანებათა მორჩილმა ემილიამაც ცოტა გაინებიერა თავი და მანდილოსნისათვის საჭირო მრავალი მოსართავ-მოსაკაზმავი შეიძინა, რაშიც როგორც ყველა ნოქარი და მედუქნე აღიარებდა, ნატიფი გემოვნება და დიდი ალღო გამოიჩინა.

მომავალ ომზე ფიქრისთვის ქალბატონი ოსბორნი მაინცდამაინც დიდად არ იწუხებდა თავს: ბონაპარტს ისედაც თითქმის უბრძოლველად დაამხობენო. მარგეიტის საფოსტო გემები ყოველდღე გადიოდა და გადაჰყავდა ბრიუსელსა და გენტს მიმავალი წარჩინებული ვაჟბატონ-ქალბატონები. ხალხი ომში კი არა, უფრო დარდიმანდული სეირნობისათვის მიეშურებოდა. გაზეთები მასხარად იგდებდნენ უბადრუკ მატრაკვეცასა და საზიზღარ თაღლითს. ამისთანა კორსიკელი ვიგინდარა როგორ გაუძლებდა ევროპის არმიებისა და უკვდავი უელინგტონის გენიას! ემილია მას ჩალადაც არ აგდებდა, ვინაიდან, მგონი, საჭიროც არ გახლავთ მოგახსენოთ, ეს სათუთი და ნაზი ქმნილება მის გარშემო მყოფი ხალხისაგან სესხულობდა აზრებს: იგი იმდენად ერთგული და მოკრძალებული იყო, რომ საკუთარი ფიქრები არც გააჩნდა, დიახ, ერთი სიტყვით, ქალბატონმა ოსბორნმა და დედამისმა მთელი ქალაქის დღე შესწირეს საყიდლებს და ხალხში თავის პირველ გამოჩენაზე ემილია გვარიანი სიმარჯვით და მოხერხებით შეეგუა ლონდონის წარჩინებულ საზოგადოებას.

ამასობაში, გვერდზე ქუდმოგდებული და დოინჯშემოყრილი ჯორჯი ამპარტავნულად და გულზვიადად გაუდგა ბედფორდ-როუს გზას და ისეთის რიხით შებრძანდა ვექილის კანტორაში, თითქოს ყველა იქაური ფერმკრთალი მჯღაბნელი კლერკის მბრძანებელი ყოფილიყოს. ისე მკვახედ და ბატონკაცური იერით უბრძანა ვიღაცას, შეატყობინე მისტერ ჰიგზს, რომ კაპიტანი ოსბორნი ელოდებაო, რომ მეტი ჭკუის, ორმოცდაათჯერ მეტი ფულისა და ათასჯერ მეტი გამოცდილების მქონე, ვინმე უბადრუკი ხელქვეითი ყოფილიყოს, რომელიც მყის ხელს აიღებდა ყველა თავის საქმეზე და კაპიტნის ნებაზე იცუნდრუკებდა. ბატონ ოსბორნს არ შეუმჩნევია ზიზღნარევი, დამცინავი ღიმილი, რომელმაც მთელ ოთახში ყველას გადაურბინა სახეზე, დაწყებული

უფროსი კლერკიდან შეგირდებად აყვანილ ვაჟბატონებამდე, შეგირდებიდან კი - ჩამობრანძულ გადამწერამდე და ტანსაცმელშემოსუდრულ, ფერმიხდილ შიკრიკებამდე. იგი არხეინად იჯდა, ჩექმაზე ჯოხს იწკაპუნებდა და გულში ფიქრობდა, აქ ეს რა საცოდავი ჭიაღუები ყრიანო. საცოდავმა ჭიაღუებმა კი მთელი მის ავანჩავანი იცოდნენ, ისინი სხვა კლერკებთანაც მსჯელობდნენ, საღამოთი სამიკიტნოებში ლუდს რომ შეექცეოდნენ. ღმერთო, რა აღარ იციან ლონდონელმა ვექილებმა და მათმა კლერკებმა! არა, გამოეპარება რა ძიების მათ წყურვილს და მათი თანამოძმენი იდუმალად განაგებენ ჩვენს ქალაქს.

ბატონ ჰიგზის სამყოფელში ფეხი რომ შემოდგა, იქნებ ჯორჯი ელოდა, ეს ვაჟბატონი მამაჩემისგან დავალებულ შერიგების ან მორიგების რაიმე ამბავს მეტყვისო; ან იქნებ მისი ფიცხი და ქედმაღლური ქცევა შეუდრეკლობისა და სიმტკიცის მაჩვენებელი იყო. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, მის სიფიცხეს ისეთი გამანელებელი გულგრილობა და განურჩევლობა შეაგება ვექილმა, რომ გულზვაობა სრულიად გაუბათილა. ვექილი თითქოს ქაღალდის წერაში ბრძანდებოდა გართული, როცა კაპიტანი შევიდა.

- გთხოვთ, დაბრძანდეთ, ბატონო, - თქვა მან, - და თქვენს პატარა საქმესაც ახლავე გაგირიგებთ. მისტერ პოუ, გეთაყვა, მოგვიტანეთ ანგარიშსწორების საბუთები! - და კვლავ საწერს მიუბრუნდა.

პოუმ მოართვა ხსენებული საბუთები. უფროსმა გამოიანგარიშა ორი ათასი გირვანქის თანხა იმდროინდელი ფულის კურსით და შეეკითხა კაპიტან ოსბორნს: ბანკირების სახელზე ინებებ ჩეკს, თუ ამ თანხის ფასიანი ქაღალდების შეძენა გნებავთო.

- განსვენებულ ქალბატონ ოსბორნის ერთი მეურვე ქალაქში არ იმყოფება, - გულგრილი კილოთი დასძინა მან. - მაგრამ ჩემს კლიენტს არ სურს თქვენ ხელი შეგიშალოთ და საქმე, რაც შეიძლებოდა, მალე მოვათავეთ.

- მიბოძეთ ჩეკი, ბატონო! - ერთობ გაგულისებით მიაძახა კაპიტანმა. - ჯანდაბას შილინგები და ნახევარპენები, ბატონო ჩემო! - დაუმატა მან. როცა ვექილი ბეჯითად შეუდგა ჩეკზე ანგარიშის გამოყვანას და კაპიტანმა ოსბორნმა,

თავმოტყუებულმა იმით, რომ სულგრძელი ხელისჩაქნევით გააწითლა და შეარცხვინა ახირებული ბერიკაცი, ჯიბეში ჩაიჩარა ქაღალდი და მტკიცე ნაბიჯით ამაყად გაუდგა გზას.

- ეს ჯელი ორ წელიწადში სატუსაღოში ამოყოფს თავს, - ჩაულაპარაკა მისტერ ჰიგზმა მისტერ პოუს.

- ვითომ ოსბორნი გულს არ მოიბრუნებს, ბატონო? თქვენ როგორ გგონიათ?

- განა ქვამ შეიძლება გული მოიბრუნოს? - მიუგო მისტერ ჰიგზმა.

- ნამეტანი გაქსუებული ყმაწვილი კია, - თქვა კლერკმა. - ერთი კვირის ჯვარდაწერილიც არ არის და მე ვნახე, წარმოდგენა რომ დამთავრდა, იმან და სხვა ოფიცრებმა როგორ ჩააბრძანეს ეტლში ქალბატონი ჰაიფლაიერი. - და შემდეგ უკვე სხვა საქმეს მიჰყვეს ხელი და ამიერიდან ბატონი ჯორჯ ოსბორნი ამ ღირსეულ დარბაისელთა ხსოვნიდან გაჰქრა.

ჩეკი ჩვენი ლომბარდ-სტრიტელი მეგობრების, ჰალკერისა და ბულოკის სახელზე გახლდათ გამოწერილი. ჯორჯიც აქეთკენ გაემართა კვლავ იმ ფიქრით გართული, რომ საქმეს აკეთებდა და ფული აიღო. როცა ჯორჯი შევიდა, ესკვაირი ფრედერიკ ბულოკი შემთხვევით საბანკო საქმეთა ოთახში ბრძანდებოდა; მისი ჩაყვითლებული სახე იმ დიდი დავთრის ზემოდან მოჩანდა, რომელსაც ერთი საცოდავი კლერკი ჩაჰკირკიტებდა. კაპიტანს რომ მოჰკრა თვალი, ყვითელ სახეზე კიდევ უფრო მომაკვდავის ფერი დაედო და შიგნითა სადარბაზო ოთახში გაიძურწა დამნაშავესავით. ჯორჯი ხარბის თვალით ისე გაფაციცებული ჩასცქეროდა ფულის თვლას (რადგან აქამდე არასოდეს ჰქონია ხელთ ამდენი თანხა), რომ მისი დის მიმკვდარებული მიჯნურის არც გამომეტყველება შეუნიშნავს და არც გაპარვა.

ფრედ ბულოკმა მოხუც ოსბორნს ჩაუკენჭა ვაჟიშვილის გამოჩენისა და ყოფაქცევის ამბავი.

- ისე შემოვიდა, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნადაო, - დასძინა ფრედერიკმა, - და თან ერთი შილინგიც არ დაუტოვებია, ისე წაიღო სულ. რამდენ ხანს გაუძლებს ეს ორიოდე ასეული გირვანქა ამისთანა ჯელს?

ოსბორნმა გულიანად შეიკურთხა, რა მესაქმება რამდენ ხანში და როგორ გაფლანგავსო. ფრედი ახლა ყოველდღე სადილობდა რასელ-სკვერში. ჯორჯი მაინც ფრიად ნასიამოვნები ბრძანდებოდა იმდღევანდელი საქმიანობით. მთელი მისი ბარგი და მოკაზმულობა სასწრაფოდ იქნა გამზადებული, ხოლო ემილიას ნაყიდობათა ხარჯები რწმუნებულთა სახელზე გაცემული ჩეკებით და თანაც მეფური ხელგაშლილობით გაისტუმრა.

თავი XXVII. ემილია უერთდება თავის ლეგიონს

როცა ჯოზის საუცხოო ეტლი ჩეტემის სასტუმროს კარს მიადგა, ყველაზე უწინ ემილიას კაპიტან დობინის ალერსიანი სახე მოხვდა თვალში. დობინი უკვე მთელი ერთი საათის განმავლობაში ბოლთას სცემდა მეგობრების მოლოდინში. მოსირმულ მუნდირსა დაა შინდისფერ სარტყელში გამოწყობილი ხმლიანი კაპიტანი ისე წარმოსადეგი მხედარი ჩანდა, რომ ჯოზმა ჭეშმარიტად სიამაყე იგრძნო ასეთი ნაცნობის ყოლით. ამიტომ ჩასუქებულმა მოქალაქემ ისეთი გულითადი სალმით გააბედნიერა, რომელიც ფრიად განსხვავდებოდა იმ ცხვირაბზუებული მისალმებისაგან. ჯოზი რომ აღირსებდა ხოლმე მეგობარს ბრაიტონსა ან ბონდ-სტრიტში.

კაპიტანს უმცროსი ლეიტენანტი სტაბლი ედგა გვერდში, რომელმაც, რაწამს ეტლი სასტუმროს გაუსწორდა, მყის შესძახა: „ღმერთო მიშველე, ეს რა კოხტა გოგონა ყოფილაო!“ რითაც გულითა და სულით მოუწონა ოსბორნს არჩევანი. მართლაც, სუფთა ჰაერზე სწრაფი მგზავრობით სახეშეფაკლებული და საქორწინო ლაბადასა და ალისფერ ბაბთებში გამოწყობილი ემილია ისე ქორფა და ტურფა ჩანდა, რომ დიაღაც შეშვენოდა უმცროსი ლეიტენანტის ქათინაური და დობინსაც უფრო შეუყვარდა იგი ამ ქათინაურის თქმისთვის.

როცა სტაბლი წინ წადგა, რათა მანდილოსანს ეტლიდან გადმოსვლაში შეშველებოდა, მან დაინახა, რა ლაზათიანი, პატარა ხელი გამოუწოდა ქალმა და რა ნაზი, კოხტა პატარა

ფეხი ჩამოდგა საფეხურზე. ლეიტენანტს ალმური ავარდა სახეზე და რაც კი შეეძლო უმდაბლესი თაყვანი სცა. ემილიამაც, მოჰკრა თუ არა თვალი ლეიტენანტის ქუდზე ამოქარგულ ლეგიონის ნომერს, გაბედული ღიმილითა და თავაზიანი რევერანსით უპასუხა და ამან ხომ სულ ბოლო მოუღო ყმაწვილს.

დობინმა ამ დღიდან დიდად შეიტკბო ბატონი სტაბლი და მარტონი რომ სეირნობდნენ, ან კიდევ ერთმანეთისას სტუმრად იყვნენ, თვითონაც აგულიანებდა ემილიაზე ლაპარაკისთვის. ლეგიონის პატიოსან ყმაწვილკაცობაში პირდაპირ მოდად იქცა ქალბატონი ოსბორნის გაღმერთება და თაყვანისცემა. მისმა წრფელმა, უეშმაკო ქცევამ და გულკეთილმა, მოკრძალებულმა თავის დაჭერამ ყველა მათი უზადო გული მოიგო. მთელი ის გულწრფელობა, გულუბრყვილობა და ალერსიანობა კი მაინც ყოვლად შეუძლებელია კალამმა აღწეროს. მაგრამ ვის არ შეუჩნევია ესენი მანდილოსნებში და გამოუცვნია ყველა ჯურის თვისებანი მათში, თუნდაც მათ მარტო ის ვთქვათ, რომ ახლა ცეკვისთვის სხვამ მიმიწვიაო, ან კიდევ, რა ცხელაო. ჯორჯი, თავისი ლეგიონის მუდმივი ფალავანი, უზომოდ ამაღლდა ახალგაზრდა თანამოლაშქრეთა თვალში, პატიოსნება და გულითადობა რომ გამოიჩინა და უმზითვო, საწყალი გოგონა შეირთო და თანაც ასე ტურფა და სათნო მეუღლე რომ ამოირჩია.

ემილიას ფრიად გაუკვირდა, მგზავრთა მისაღებად გამზადებულ ამ სასტუმრო ოთახში კაპიტან ოსბორნის მეუღლის სახელზე მოსული წერილი რომ დახვდა. მეს გახლდათ ვარდისფერ ქაღალდზე ნაწერი სამკუთხედად გაკეცილი ბარათი, რომელსაც ბლომად ედო მოცისფრო ლუქი, მტრედისა და ზეთისხილის რტოს გამოსახულების მქონე ბეჭედი ჰქონდა დასმული და დაწერილი იყო დიდრონი ასოებით, მაგრამ ოკრობოკრო დიაცური ხელით.

- ეს პეგი ო’ დაუდის ხელრთვა გახლავთ, - შესძახა ჯორჯმა სიცილით. - ლუქზე მის ნათითურებს ვატყობ! - და მართლაც მაიორ ო’ დაუდის მეუღლეს გამოეგზავნა: სწორედ იმ საღამოსვე მცირე მეგობრულ წრეში ქალბატონ ოსბორნს ჰპატიჟებდა.

- უნდა წახვიდე, - უთხრა ცოლს ჯორჯმა. - იქ მთელ ლეგიონს

გაიცნობ. ო’ დაუდი ლეგიონის მეთაურია, პეგი კი - თვითონ ო’ დაუდისა!

მაგრამ დიდხანს არ გაუვლია ქალბატონ ო’ დაუდის წერილით ტკბობაში, რომ კარი ყურთამდე გაიღო და, ჩვენი რაზმის წყვილი ოფიცრის თანხლებით, საცხენოსნო კაბაში გამოწყობილი ზორბა, მხიარული მანდილოსანი შემობრძანდა ოთახში.

- სწორე გითხრათ, ვეღარ გავძელი ჩაის სმის დრომდი. აბა გამაცანი, ჯორჯ გენცვა, ეგ შენი პატარძალი. ქალბატონო, მიხარიან თქვენი ნახვა! ესეც ჩემი მეუღლე გახლავთ, მაიორი ო’ დაუდი! - ამ სიტყვებით გრძელკაბიანმა, მხიარულმა მანდილოსანმა ერთობ გულთბილად ჩაბღუჯა ემილიას ხელი და ამანაც მყის გამოიცნო ის ბანოვანი, რომელიც არა ერთხელ აუგდია მასხარად მის მეუღლეს. - თქვენ ხშირად გაიგონებდით ჩემს სახელს მაგ თქვენი ქმრისაგან! - მკვირცხლად დაატანა მანდილოსანმა.

- ხშირად გაიგონებდით! - ბანი მისცა მაიორმა მეუღლემაც.

ემილიამ ღიმილით დაუდასტურა: დიახ, გამიგონიაო..

- და ბევრს არაფერს კარგს გეტყოდით ჩემზე, - მიუგო ქალბატონმა ო’ დაუდმა და თან დასძინა, ჯორჯი ბოროტი ჭინკა არისო.

- ამაზე კი თავდებადაც დაგიდგები! - კვერი დაუკრა მაიორმა და სცადა საქმის მცოდნის იერი მიეღო, რაზედაც ჯორჯს სიცილი წასკდა. ქალბატონმა ო’ დაუდმა მათრახის წაცაცუნებით უბრძანა მაიორს, დადუმდიო, მერე კი მოითხოვა სრული წესითა და რიგით გაეცნოთ იგი კაპიტან ოსბორნის მეუღლისათვის.

- ეს მანდილოსანი, გენაცვალე, - მძიმედ და დიდის რიხით წარმოსთქვა ჯორჯმა, - გახლავს ჩემი ძალიან კარგი, კეთილი და დიდებული მეგობარი, ორელია-მარგერიტა, ანუ პეგი.

- მართლაც ეგრეა, - ჩაურთო მაიორმა.

- ...ანუ პეგი, ჩვენი ლეგიონის მაიორ მაიკლ ო’ დაუდის მეუღლე და ასული კილდეირის საგრაფოს გლენმელონელ ფიცჯერალდ ბერსფორდ დე-ბურგო მელონისა...

- ...და დუბლინში კიდევ მერიან-სკვირელისა, - დინჯი გულზვაობით დაურთო მანდილოსანმა.

- ჰო, მერიან-სკვერელისაც, მართლა, - წაიჩურჩულა მაიორმა.

- სწორედ იქ მეტრფიალებოდი, გენცვა, ჩემო მაიორო, - დააყოლა კიდევ ბანოვანმა და მაიორმა ამაზედაც ისევე დაუკრა კვერი, როგორც ყველა სხვა ნათქვამზე, რაც ოდესმე პირიდან ამოსცდენია საზოგადოებაში მის მეუღლეს.

მაიორი ო' დაუდი მსოფლიოს ყოველ კუთხეში ემსახურა თავის ხელმწიფეს. სამსახურში ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ზომაზე უფრო მეტი თავგანწირულებითა და მამაცობის გამოჩენით ჰქონდა მოპოვებული. ერთობ მორიდებული, ჩუმი, ცხვარივით უწყინარი და სათნო კაცუნა იყო და თან ცოლის ისეთი მორჩილი, რომ მისი ხელზე მოსამსახურე ბიჭი გეგონებოდათ. ოფიცერთა სუფრას მდუმარედ უჯდა და ბლომადა სვამდა. როცა სასმელით ყელთამდე მოიყრებოდა, ასევე უხმოდ წაბარბაცდებოდა შინ. ხმას მხოლოდ იმისთვის თუ ამოიღებდა, რომ ყველას ყველაფერში დასთანხმებოდა და სიცოცხლესაც სრული კმაყოფილებით და სიამით ატარებდა. ინდოეთის მცხუნვარე მზემ ვერ გაუფიცხა გული და ვალქერენულმა ციებ-ცხელებამაც ვერ შეაცვლევინა ნირი. მოღერებული ზარბაზნისაკენ სწორედ ისევე მშვიდად მიალაჯებდა, თითქოს გაშლილ სუფრას უახლოვდებაო. ცხენისა და კუს ხორცს თანაბარი ხალისითა და მადით შეექცეოდა. ჰყავდა მოხუცი დედა, მართლაც ო' დაუდსტაუნელი ქალბატონი ო' დაუდი, რომლისადმი ურჩობა თავის დღეში არ გამოუჩენია, გარდა ორი შემთხვევისა: ერთხელ, როცა გაიპარა და სამხედრო სამსახურში შევიდა, მეორედ კიდევ ამ საძაგელი პეგი მელონის შერთვა რომ დაიჟინა.

პეგი გახლდათ ასული გლენმელონის კეთილშობილი სახლისა, რომელშიც სულ თერთმეტი შვილი - მათგან ხუთი ქალიშვილი - ითვლებოდა. მეუღლე პეგის ნამდვილ ბიძაშვილად ერგებოდა, ოღონდ დედის მხრიდან, და მაშასადამე, არ გააჩნდა ფასდაუდებელი უპირატესობა ყოფილიყო მელონის გვარისა, რომელიც, ამ მანდილოსნის რწმენით, დედამიწის ზურგზე ყველაზე სახელოვანი იყო. ცხრა სეზონი დუბლინს დაჰყო და ორი - ბეთსა და ჩელტნემში, მაგრამ რაკი ცხოვრების ამხანაგი იქ ვერ ჰპოვა, მის მელონიმ, როცა იგი უკვე ოცდაცამეტიოდე

წლისა ბრძანდებოდა, თავის ბიძაშვილ მიკს უბრძანა, შემირთეო. ეს საწყალი პატიოსანი კაციც დაემორჩილა და უესტ-ინდოეთში წაიყვანა იგი იმ ...ე ლეგიონის მანდილოსანთა კრებულის მოთავედ, რომელშიც სწორედ ის-ის იყო გადაიყვანეს ო' დაუდი.

ქალბატონ ო' დაუდს ჯერ ნახევარი საათიც არ გაეტარებინა ემილიასთან (და ვინც არ უნდა გაეცნო, ყველასთან ისევე იქცეოდა!), რომ ამ მომხიბლავმა მანდილოსანმა თავიდან ბოლომდე ჩაუკენჭა ახალ მეგობარს მთელი თავისი შთამომავლობისა და გვარტომობის ნუსხა.

- გენაცვალე, - ალერსიანად უთხრა მან ემილიას, - მე ძალიან მონდომებული ვიყავი, ჯორჯი ჩემი სიძე გამხდარიყო და ვფიქრობდი, ჩემი მული გლორვინა სწორედ მაგის ჯუფთი იქნება-მეთქი. მაგრამ რაც იყო, იყო! რახან თქვენზე იყო დანიშნული, რას იზამ, მეც გადაწყვეტილი მაქვს დის მაგიერად მიგიჩნიოთ, დად ჩაგთვალოთ და ჩემი ოჯახის შვილივით შეგიყვაროთ. გეფიცები, თქვენ ისეთი ცუგრუმელა ხართ, ისე ალერსიანი სახე და ქცევა გაქვთ, რომ დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს შევეთვისებით და თქვენც მართლა ჩვენი ოჯახის წევრი გახდებით.

- დიაღაც რომ გახდება! - დაუდასტურა ო' დაუდმა და ემილიამ არა მცირედი სიამოვნება და მადლიერება იგრძნო, ასე ანაზდეულად ამდენი ნათესავი რომ გაიცნო.

- ჩვენ აქ ყველანი კარგი ხალხნი ვართ. - განაგრძობდა მაიორის მეუღლე. - მთელ არმიაში არ მოიპოვება ჩვენს ლეგიონზე უფრო შეხმატკბილებული საზოგადოება და უფრო სიამიანი ოფიცერთა საკრებულო. ჩვენში არც ჩხუბი ვიცით, არც კინკლაობა, არც აყალმაყალი, არც ჭორაობა და არც კიდევ ფუჭი ლაყბობა: ყველას ერთმანეთი გვიყვარს!

- განსაკუთრებით კი ქალბატონი მეჯინისი, - სიცილით დასძინა ჯორჯმა.

- კაპიტან მეჯინისის მეუღლე და მე შერიგებულნი გახლავართ, თუმცა მისი ჩემდამი მოპყრობა მწუხარებისაგან სულ გამაჭაღარავებს და სამარის კარს მიმიყვანს.

- მერე, გენაცვალე, ისიც შენისთანა კოხტა შავქოჩრიანს, პეგი! - შესძახა მაიორმა.

- ენა მუცელში ჩაიგდე, მიკ, შე ბრიყვო! ეს ქმრები, ქალბატონი ოსბორნ, გენცვა, ყოველთვის ეჩრებიან საქმეში და ამიტომ ჩემს მიკს ხშირად კიდეც ჩავჩიჩინებ, პირს ისე ნურასოდეს გააღებ, თუ ბრძანების გაცემა ანდა შიგ საჭმელ-სასმლის ჩადება არა გჭირდებოდეს-თქო. ლეგიონის ამბავს მერე გეტყვი და გაგაფრთხილებ, როცა მარტონი დავრჩებით. ახლა კი თქვენი ძმა გამაცანით. ეტყობა, ნამეტანი კარგი ვაჟკაცი უნდა იყოს და ჩემს ბიძაშვილს დენ მელონისაც მაგონებს. ხომ იცით, აი ის, გენაცვალე, ბოლიმელონელი მელონი რომ არის, ოისტერსტაუნელი ოფილია სკალი რომ შეირთო, ლორდ პოლდუდის ბიძაშვილი. ბატონი სედლი, ფრიად მიხარია თქვენი გაცნობა! იმედი მაქვს ოფიცერთა საკრებულოში ინებებთ დღეს სადილობას. (მოიგონე ის ოხერი ექიმი, მიკ, და როგორც გინდა ჰქენი და ამ საღამოს ჩემი წვეულებისთვის მთვრალი არ გნახო!).

- ასორმოცდამეათე ლეგიონი გამოსათხოვარ სადილს გვიმართავს. ჩემო საყვარელო, - ჩაურთო მაიორმა, - მაგრამ ბატონ სედლისაც ადვილად დავაპატიჟებინებთ.

- გაიქე, სიმპლ (ეს ჩვენი პოლკის უმცროსი ლეიტენანტი სიმპლი გახლავთ, ჩემო ძვირფასო ემილია. დამავიწყდა თქვენთვის გამეცნო), სასწრაფოდ გაიქე. ჩემი სახელით მოიკითხე პოლკოვნიკი ტევიში და უთხარი, კაპიტანმა ოსბორნმა თავისი ცოლისძმა ჩამოიყვანა და სწორედ ხუთ საათზე ასორმოცდამეათე სუფრაზე გეახლებათ-თქო... ჩვენ კი მანამდე, გენცვა, თუ გნებავთ, ცოტა პირი გავისველოთ!

ქალბატონ ო' დაუდს ლაპარაკიც არ დაემთავრებინა, რომ ახალგაზრდა ლეიტენანტი კისრისტეხით დაეშვა კიბეზე ბრძანების აღსასრულებლად.

- მორჩილება ჯარის სული და გულია და სანამ ქალბატონი ო' დაუდი შენთან იქნება და გაგანათლებს, ემი, ჩვენ ჩვენს მოვალეობას მივხედავთ. - თქვა კაპიტანმა ოსბორნმა. ორი ვაჟკაცი იქით-აქეთ მხარში ამოუდგა მაიორს და მასთან ერთად გაუდგნენ გზას, თან მის თავს ზემოდან ერთმანეთს ეკრიჭებოდნენ.

ახლა, რაკი დაიმარტოხელა ახალი მეგობარი, გულფიცხმა ქალბატონმა ო' დაუდმა იმდენი ახალი ამბები გადმოალაგა, რომ ვერც ერთი საცოდავი, პატარა ქალის გონება ვერ

შესძლებდა მათ დამახსოვრებას. მან უამბო ათასი წვრილმანი სწორედ იმ რიცხვმრავალი ოჯახის შესახებ, რომლის წევრადაც ახლახან აღმოაჩინა თავი გაოცებულმა ახალგაზრდა მანდილოსანმა.

- ქალბატონი ჰევიტოპი, პოლკოვნიკის ცოლი, იამაიკაში მოკვდა ყვითელი ციებ-ცხელებითა და გულგატეხილობით. გულგატეხილი კიდევ იმიტომ იყო, რომ ის საძაგელი ბეხრეკი პოლკოვნიკი, თავი რომ ზარბაზნის ყუმბარასავით აქვს მოტვლეპილი, კრეოლ გოგოს უპაჭუნებდა თვალებს. ქალბატონი მეჯინისი მართალია გაუნათლებელი კი არა, მაგრამ კარგი დედაკაცია; ოღონდ ეშმაკის ენა აბია და ვისტის თამაშში საკუთარ დედასაც გააცურებს. კაპიტან კირკის ცოლი სწორედ კიბოსავით დაპრაწავს ხოლმე თვალებს, რომ უხსენოთ, პატიოსნად ერთი თალია ბანქო წავითამაშოთო, მაშინ როცა მამაჩემი (და იმაზე უფრო ღვთისმოსავ კაცს ხომ ეკლესიაში ჯერ ფეხი არც შეუდგამს!), ბიძაჩემი დეინ მელონი და ჩვენი ბიძაშვილი ეპისკოპოსი ერთ საღამოს ისე არ გაუშვებდნენ, რომ მუში ან ვისტა არ ეთამაშათ. მაგრამ ამჯერად არც ერთი ეს დედაკაცი არ მოჰყვება პოლკს ლაშქრობაში, - დასძინა ქალბატონმა ო’ დაუდმა. - ფანი მეჯინისი დედასთან რჩება. დედამისი, მგონი, ნახშირსა და კარტოფილს ყიდის აილინგტონტაუნში, ლონდონის ახლო; თუმცა თვითონ ყოველთვის ტრაბახობს მამამისის გემებით და ვითომ მათ კიდეც დაგვანახვებს ხოლმე მდინარეში, ზემოთკენ რომ მისცურავენ. ქალბატონი კირკი თავისი ბაჭაჭყუებით აქ დადგება, ბითისდა-პლეისში, რომ ახლოს იყოს თავის საყვარელ მოქადაგე დოქტორ რემსჰორნთან. ქალბატონი ბანი საჩოთირო ყოფაში გახლავს; მართალი გითხრა, სულ მუდამ ასეა ხოლმე და ლეიტენანტს აქამდე კიდეც უძღვნა უკვე შვიდიოდე. უმცროს ლეიტენანტ პოსკის ცოლი თქვენზე ორი თვით წინ შემოგვიერთდა, გენაცვალე, მაგრამ თვლა არ უნდა, რამდენჯერ ეჩხუბა უკვე ტომ პოსკის: ყაზარმაშიაც კი ისმის იმათი ჩხუბის ხმა. ამბობენ, თეფშების მტვრევამდეც მივიდა საქმეო, თან კიდევ ტომმა ვერაფერი ვერა სთქვა, რატომა ჰქონდა დალალავებული თვალი. ამიტომაც ქალბატონი პოსკი უკან ბრუნდება დედასთან. დედამისს ქალთა სასწავლებელი აქვს რიჩმონდს. შავი დღე კი დაადგა იქიდან გამოქცევისთვის!.. შენ სადღა სწავლობდი, გენცვა? მე კი მადამ ფლენეჰენისას გავიზარდე ილისუს-გროუვეში, ბუტერსტაუნს, დუბლინის

ახლოს. მარკიზის მეუღლე ნამდვილ პარიზულ ლაპარაკს გვასწავლიდა, საფრანგეთის არმიის სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი კი გვავარჯიშებდა!

განცვიფრებულმა ემილიამ უცბად ამ არეულ-დარეულ ოჯახში ამოჰყო თავი, ქალბატონი ო' დაუდის, ვითარცა თავისი უფროსი დის, ხელში. სანამ ვაჟკაცები ასორმოცდამეათე ლეგიონის წვეულებიდან დაბრუნდებოდნენ, ჩაიზე ემილია დედათა სქესის სხვა ნათესავებსაც გააცნეს და რადგან ირი წყნარი, ალერსიანი და არც თუ ძალიან ლამაზი იყო, საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა. მამათა სქესის წარმომადგენლებმა კი ისე გააღმერთეს ქალბატონი ოსბორნი, რომ, რასაკვირველია, მისმა დებმა ნაკლოვანებანიც გამოუძებნეს.

- მე მგონი, ოსბორნმა უკვე გული იჯერა ახალგაზრდული ოინებით, - ჩაულაპარაკა ქალბატონმა მეჯინისმა ქალბატონ ბანის.

- თუ მორჯულებული თავქარიანი ყმაწვილი კარგი ქმარი გამოვა, რასაკვირველია, ეს ქალი ბედსა სწევია, ჯორჯი რომ შეურთავს! - უთხრა ქალბატონმა ო' დაუდმა პოსკის, რომელიც უკვე გამოეთხოვა ლეგიონის პატარძლობას და მართლა გული მოსდიოდა მიმტაცებელზე.

რაც შეეხება ქალბატონ კირკს, დოქტორ რემსჰორნის შეგირდმა ერთი-ორი მისახვედრი სასულიერო კითხვა შესთავაზა ემილიას, რათა გამოერკვია რამდენად გონებაგახსნილი, ან ჭეშმარიტი ქრისტიანე იყო და სხვა მისთანანი. ქალბატონ ოსბორნის გულუბრყვილო პასუხებზე დაასკვნა, კვლავ უმეცრების წყვდიადში იმყოფებაო, და მყის ხელში ჩასჩარა სამი პაწია, თითო პენიანი, დასურათებული წიგნაკი, სახელდობრ: „აღრიალებული უდაბნო“, „უონდსუორთის მრევლის მოსარეცხე დედაკაცი“ და „ბრიტანელი ჯარისკაცის საუკეთესო ხიშტი“. ქალბატონმა კირკმა მოიწადინა, სანამ ემილია იმ ღამეს ძილს მისცემდა თავს, მანამდე დაეხსნა იგი წყვდიადის ტყვეობიდან და სთხოვა, დაძინებამდე წაიკითხე ესენიო.

მაგრამ ყველა მამაკაცი, როგორც კარგ მეგობრებს შეშვენოდა, შემოეხვია ამხანაგის ტურფა მეუღლეს და მხედრული თავაზიანობითა და შნოთი დაუწყეს ტრფიალი. ეს ემილიას

მცირე ზეიმი გახლდათ, რამაც აღაგზნო მისი სული და ნაპერწკლები ასროლინა თვალთაგან. ჯორჯი ამაყობდა ცოლის მოწონებით და ნასიამოვნები იყო იმ ხალისიანი, მკვირცხლი და ნატიფი, თუმცა კი გულუბრყვილო და მორცხვი ქცევით, რომლითაც ქალი ღებულობდა ვაჟბატონთა არშიყობას და პასუხობდა მათ ქათინაურებს. და მუნდირში გამოწკეპილი თვითონ ჯორჯი!.. რამდენად უფრო ლამაზი იყო იმ ოთახში მყოფ ყველა კაცზე! ემილია გრძნობდა, რომ ჯორჯს მოსიყვარულე და ალერსიანი თვალი ეჭირა მასზე და ქმრის ამ გულკეთილობის ფიქრზე გული სიამით ევსებოდა. „მე ყველა მის მეგობარს ალერსიანად მივიღებ, - გადაწყვიტა ემილიამ გულში, - ყველა მეყვარება, ვისაც ჩემი ჯორჯი უყვარს. ყოველთვის ვეცდები მხიარული და ხალისიანი ვიყო და მისი სახლის ჭერი გავახარო“.

ლეგიონმა მართლაც აღფრთოვანებით ითვისა ემილია. კაპიტნებმა კმაყოფილება გამოთქვეს, ლეიტენანტები აღტაცებულნი იყვნენ, ხოლო უმცროსი ლეიტენანტები ხომ სულ აღმერთებდნენ. მოხუცმა ექიმმა კატლერმა ერთი-ორჯერ წაიხუმრა, მაგრამ ვინაიდან მისი ხელობის კაცის დამახასიათებელია, არა ღირს მათი აქ განმეორება. აგრეთვე ასისტენტმა კეკლმა, ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორმა, ინება ლიტერატურაში გამოეცადა იგი და თავისი სამი საუკეთესო ფრანგული ციტატა შესთავაზა. ნორჩი სტაბლი ხან ერთ კაცთან მივიდოდა, ხან მეორესთან და ჩურჩულებდა: „ღვთის მადლმა, განა კოხტა გოგნუცა არ არისო?“ და თვალი არ მოუწყვეტია მისთვის, სანამ ნიგესი არ შემოიტანეს.

კაპიტანი დობინი არც გამოლაპარაკებია ემილიას მთელ იმ საღამოს. მხოლოდ იმან და ასორმოცდამეათე ლეგიონის კაპიტანმა პორტერმა თავის სასტუმროში წაათრიეს ჯოზი, რომელიც ნასვამობით ფრიად დადედლებულ-დაქალაჩუნებული ბრძანდებოდა, ოღონდ დიდი რიხით კი თქვა ვეფხვებზე ნადირობის ამბავი ოფიცერთა სუფრაზე და soiree-ზეც[63] - დოლბანდითა და სამოთხის ფრინველით შემკობილ ქალბატონ ო’ დაუდის წინაშე. გადასახადების ამკრები მის მხლებელს რომ ჩააბარა, დობინი ბოლთის ცემასა და სიგარის წევას მოჰყვა სასტუმროს კარწინ. ჯორჯმა ამასობაში დიდის გულმოდგინებით შეფუთნა თავისი მეუღლე და წამოიყვანა ქალბატონ ო’ დაუდის სახლიდან. ახალგაზრდა

ოფიცერმა ყველამ სათითაოდ ჩამოართვა პატარძალს ხელი, მიაცილეს ცალცხენიან ეტლამდე და ეტლი რომ დაიძრა, დღეგრძელობა უსურვეს. ამგვარად, ემილიამ, როცა იგი ეტლიდან გადმოდიოდა, თავისი პაწია ხელი დობინს გამოუწოდა და ღიმილით უსაყვედურა, რატომ ყურადღებას არ მაქცევდი მთელ ამ საღამოსაო.

სასტუმროს და ქუჩის ჩაძინების შედეგაც კიდევ დიდხანს განაგრძნობდა კაპიტანი თუთუნის წევით ამ მავნე თავის შექცევას. თვალყურს ადევნებდა როგორ გაქრა სინათლე ჯორჯის სასტუმრო ოთახში და იქვე ახლოს საწოლი ოთახიდან როგორ გამოანათა. თითქმის რიჟრაჟმა მოატანა, როცა იგი თავის ბინაში მივიდა. მდინარეში მდგარი გემებიდან გაძახილ-გამოძახილები ისმოდა: უკვე ტვირთავდნენ იმ გემებს, რომელნიც ტემზას უნდა დაჰყოლოდნენ თავქვე.

თავი XXIX. ბრიუსელი

ბატონმა ჯოზმა თავღია ეტლისთვის ერთი წყვილი ცხენი იქირავა. ამ ოთხფეხებითა და კოხტა ლონდონური ეტლით იგი ბრიუსელის სასეირნო ადგილებში საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა. ჯორჯმა თავისთვის საჯდომი ცხენი შეიძინა და ის და კაპიტანი დობინი ხშირად ახლდნენ ხოლმე ეტლს, რომლითაც ჯოზი და მისი და ყოველდღე სეირნობდნენ თავის შესაქცევად. იმ დღესაც ჩვეულებისამებრ პარკში გამოისეირნეს დ იქ, ჯორჯის ნათქვამი, როუდონ კროული და მისი ცოლიც ჩამოვიდნენო, მართლაც ნამდვილი გამოდგა. ბრიუსელის ერთობ წარჩინებულ გვამთაგან შემდგარ ცხენოსანთა პატარა გუნდში, მამაც გენერალ ტაფტოს გვერდით, ლამაზ, შემოწკეპილ საცხენოსნო კაბაში გამოწყობილი რებეკა მოჩანდა, რომელიც მოხდენილად იჯდა მშვენიერ, მომცრო ტანის არაბულ ცხენზე. ცხენოსნობა ხომ ჩინებულად ისწავლა დედოფლის კროულიში, სადაც იგი ბარონეტმა, მისტერ პიტმა და თვითონ როუდონმა გულმოდგინედ გაწვრთნეს.

- სწორედ თვითონ ჯუკა[66] არის, აი! - გადასძახა მაიორ ო’

დაუდის მეუღლემ ჯოზს, რომელსაც ალმური მოედო სახეზე. - ის კი, ქურანზე რომ ზის, ლორდ აქსბრიჯია. რა თვალტანადია! ჩემი ძმა, მოლოი მელონი, და ეგ, პირდაპირ მუხუდოს მარცვლებივით ჰგვანან ერთმანეთს!

რებეკას არ გამოუწევია ეტლისკენ, მაგრამ როგორც კი იმაში მჯდარ ძველ ნაცნობ ემილიას მოჰკრა თვალი, მეგობრის დანახვა იმითი სცნო, რომ მოხდენილი თავის დაკვრით, ღიმილით, ხელით კოცნის გაგზავნითა და ეტლის მიმართულებით თითების ქნევით მიესალმა მას. მერე კვლავ განაგრძო მუსაიფი გენერალ ტაფტოსთან, რომელმაც ჰკითხა, „ვინ არის ის სქელი ოფიცერი, ოქროს ბაბთიანი ქუდი რომ ახურიაო?“ ბეკიმ მიუგო „ეგ ოფიცერი ოსტ-ინდოეთში მსახურობსო“.

მხოლოდ როუდონ კროული გამოეყო თავის გუნდს, მოუახლოვდა მათ, გულიანად ჩამოართვა ხელი ემილიას და ჯოზსაც გადაულაპარაკა: „ჰა, ძმობილო, შენ რაღას იქმო!“ მერე ქალბატონ ო’ დაუდის სახეს და მის როჭოს ფრთებს დააშტერა თვალი და მანამდე უყურა, სანამ მანდილოსანს არ ეგონა, ამ ვაჟკაცის გული მოვინადირეო.

ჯორჯი უკან ცოტა შეფერხებულიყო, მაგრამ მყის დობინითურთ მოიჭრა და მხედრული სალამი მისცეს დიდებულ გვამებს, რომელთა შორის ოსბორნმა თვალის დახამხამებაში შენიშნა ქალბატონი კროული. ეამა, ეტლისაკენ მეგობრულად გადახრილ და ემილიასთან მომუსაიფე როუდონს რომ მოჰკრა თვალი და ადიუტანტის გულითად სალამს თვითონ კიდევ უფრო გულთბილი სალმით უპასუხა. როუდონისა და დობინის ერთმანეთისადმი მისალმება კი თავაზიანობის გამოხატვის ძალიან უფერულ ნიმუშს წარმოადგენდა.

კროულიმ უთხრა ჯორჯს, გენერალ ტაფტოსთან ერთად Hotel du Pare-ში რომ იყვნენ ჩამომხტარნი, და ჯორჯმაც პირობა ჩამოართვა მეგობარს, მალე სტუმრებოდა იგი თავის სამყოფელში.

- მწყინს, სამი დღის წინათ რომ ვერ შეგხვდი! - დააყოლა ჯორჯმა. - რესტორანში ერთი სადილი გავამართვინე... არა უჭირდა რა. ლორდმა ბეირაკრზმა, გრაფის მეუღლემ და ლედი ბლანშმა პატივი დაგვდეს და ჩვენთან ისადილეს... ნეტავი

თქვენც ყოფილიყავით!

ამგვარად ოსბორნმა აცნობა მეგობარს, დიდებულთა გუნდში მეც ფეხი მიდგიაო, და ჩამოშორდა როუდონს, რომელიც გამოუდგა ხეივანში წყნარი ნავარდით მიმავალ წარჩინებულ მხედართა კრებულს, ხოლო ჯორჯმა და დობინმა კვლავ დაიჭირეს თავ-თავისი ადგილები ემილიას ეტლის იქით-აქეთ.

- რა კარგი შესახედავი იყო ჯუკა! - შენიშნა ქალბატონმა ო' დაუდმა. - უელზლი და მელონი მონათესავენი გახლავან: მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მე საწყალი ოცნებითაც ვერ გავბედავ გამოვეცნაურო, თუ თვითონ მისმა ბრწყინვალებამ არ ინება ჩვენი ოჯახების ნათესაობის გახსენება.

- სწორედ დიდი მეომარი ბრძანდება! - რაკი დიდებული გვამი წაბრძანდა, ახლა უკვე გაცილებით თამამად ამოიდგა ჯოზმა ენა. - სალამანკისთანა ბრძოლა განა ვინმეს მოუგია? ჰა, დობინ? მაგრამ აბა, სად ისწავლა თავისი ხელოვნება? ინდოეთში, ჩემო ძმაო! ჯუნგლები გახლავთ სარდლის პირველი სკოლა, კარგად დაიხსომე. მე პირადადაც ვიცნობდი, ქალბატონო ო' დაუდ: ჩვენ ორთავენი ერთ და იმავე საღამოს ვცეკვავდით მის კატლერთან, არტილერისტ კატლერის ქალიშვილთან, დუმდუმში. ძაან გოგო იყო სწორედ!

ამ დიდებულთა ხილვამ ყველანი დიდხანს ალაპარაკა სეირნობისას, სადილზე და სანამ მათი ოპერაში წასვლის დროც არ დადგა. თითქმის ნამდვილი ძველი ინგლისი გახლდათ. შენობა აევსო ნაცნობ ბრიტანულ სახეებს და იმ ჩაცმა-დახურვას, რომელმაც დიდი ხანია სახელი გაუთქვა ბრიტანელ მანდილოსანს. ქალბატონი ო' დაუდი ბრწყინვალებით სრულიადაც არ ჩამორჩენოდა ვინმეს: შუბლზე ხუჭუჭი კულული სამკაულები ჩამოეშვა, ირლანდიური ალმასებისა და ლეგა ტოპაზიონის ყველას მოკაზმულობათა ელვარებას ჩრდილავდნენ. იმასთან ყოფნა აწამებდა ოსბორნს, მაგრამ, როგორც კი ყურს მოჰკრავდა, ჩემი ახალგაზრდა მეგობრები სადმე დროს გასატარებელ წვეულებაში ან შეკრებილებში მიდიანო, მყის ისიც იქ გაჩნდებოდა უეჭველად. ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მათ მასთან ყოფნით, გარდა სიამით მოხიბლულობისა, სხვა რაიმე გრძნობა გასჭაჭანებოდათ გულში.

- შენთვის ეგ ქალი აქამდე კარგი იყო, გენაცვალე, - ეუბნებოდა

ჯორჯი ცოლს, რომელსაც მაშინ უფრო ნაკლები სინდისის ქენჯნით ელეოდა, როცა ამ მანდილოსნის ხელში სტოვებდა. - მაგრამ ახლა აბა რაღას მაქნისია, როცა რებეკა უკვე ჩამოსულია! შენ შეგიძლია რებეკას უმეგობრო და ეს წყეული ირლანდიელი დედაკაცი თავიდან მოვიშოროთ.

ამაზე ემილია არაფერს უპასუხებდა ხოლმე: არც „არას“ იტყოდა, არც „ჰოს“ და აბა, ჩვენ როგორღა უნდა გავიგოთ რასა ფიქრობდა იგი?..

ბრიუსელის ოპერის შენობის coup-d’oeil-მა[67] ვერ გააკვირვა ქალბატონი ო’ დაუდი, რადგან ეს შენობა არც ისე ლამაზი იყო, როგორც ფიშემბლ-სტრიტის თეატრი დუბლინში, თან კიდევ ფრანგული მუსიკაც, მისი აზრით, ოდნავადაც ვერ შეედრებოდა მისი მშობლიური ქვეყნის ჰანგებს. იგი აბედნიერებდა მეგობრებს: ამ და სხვა ამავე ჯურის აზრებს ძალიან ხმამაღლა გამოსთქვამდა და თანაც განუზომელი კმაყოფილებით იქნევდა აქეთ-იქით თავის ვეება, დანჯღრეულ მარაოს.

- ვინ არის ის საოცარი დედაკაცი ემილიასთან, როუდონ, გენაცვალე? - იკითხა მოპირდაპირე ლოჟაში მანდილოსანმა, რომელიც მარტოობაშიც თითქმის ყოველთვის თავაზიანად ეპყრობოდა ქმარს, ხოლო საზოგადოებაში ხომ სულ ფიანდაზად ეგებოდა. - ვერა ხედავთ იმ ქალს, ყვითელი რაღაც რომ გაურჭვია დოლბანდში, წითელი ატლასის კაბა აცვია და ვეება საათი ჰკიდია?

- თეთრკაბიან, ტურფა, პატარა ქალის გვერდით? - შემოუბრუნა კითხვა მის გვერდით მჯდომმა შუახნის ვაჟბატონმა, რომელსაც საკილოვეში ორდენები ჰქონდა გაკეთებული, რამდენიმე ჟილეტი ეცვა და ყელშიც უშველებელი, თეთრი ყელსახვევი მოეჭირა.

- ის ტურფა, თეთრკაბიანი ქალი ემილია გახლავს, გენერალო, თქვენ ყველა ტურფა ქალი უნდა შეამჩნიოთ, თქვე საძაგელო!

- მხოლოდ ერთი, ქვეყნიერების ზურგზე, ღმერთს გეფიცები! - შესძახა ნასიამოვნებმა გენერალმა და ამაზე მანდილოსანმა დიდრონი თაიგული, ხელში რომ ეჭირა, წაუცაცუნა.

- ღვთის მადლმა, ის ოფიცერია, - წამოიძახა ქალბატონმა ო’ დაუდმა. - და სწორედ ბუკეტიც ის არი, იმან რომ ყვავილების ბაზარში იყიდა!

და როცა რებეკამ თავისი მეგობრის გამოხედვა დაიჭირა და ერთხელ კიდევ გაიმეორა შორიდან თავისი ხელზე ამბორით მისალმება, მაიორ ო' დაუდის მეუღლეს ეგონა, ასე ალერსიანად მე მესალმებაო და თვითონაც მოწყალე და თავაზიანი ღიმილით დაუბრუნა სალამი, რაზედაც იმ უბადრუკ დობინს კვლავ სიცილი წასკდა და იძულებული გახდა ისევ გარიდებოდა ლოჟას.

მოქმედება რომ დასრულდა, ჯორჯი თვალის დახამხამებაში გამოიჭრა გარეთ და რებეკას ლოჟისაკენ გასწია თაყვანისცემისათვის. მაგრამ ტალანში კროულის წააწყდა და თითო-ოროლა სიტყვით შეატყობინეს ერთმანეთს, რა გადახდათ თავს ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში.

- ჩეკის საქმე ხომ არ გაგიჯანჯლა ჩემმა რწმუნებულმა? - ჰკითხა ჯორჯმა ეშმაკურად.

- ოჰ, არა, ჩემო ძმაო,- მიუგო როუდონმა. - სიამოვნებით გეთამაშები, რომ კვლავ ხელი მოიბრუნო. მამა არ მომბალა?

- ჯერ არა, - უთხრა ჯორჯმა, - მაგრამ მოლბება კი! და ხომ იცი, მე დედის ქონებიდანაც მაქვს ცალკე წილი. მამიდა შეგირიგდათ?

- მხოლოდ ოცი გირვანქა გადმომიგდო იმ დაწყევლილმა, ქვაწვია ბებრუხანამ. როდის მოხვალ? გენერალი სამშაბათობით სადილობს სხვაგან. სამშაბათს ვერ შემოივლი? რას გეტყვი: მოაპარსვინე ერთი მაგ სედლის ის ულვაშები. რა ჯანდაბად უნდა უბრალო მოქალაქეს ულვაშები და ისე თვალისმომჭრელად მოსირმულ-აბრჭყვიალებული ქურთუკი! კარგად იყავ! ეცადე სამშაბათს შემოიარო! - და როუდონმა ჩაიარა და სხვა წარჩინებულ ბრწყინვალე ახალგაზრდა ვაჟბატონთან ერთად, რომელნიც იმასავით გენერლის შტაბში მსახურობდნენ.

ჯორჯი მარტო ნახევრად გახლდათ ნასიამოვნები, მხოლოდ იმ განსაკუთრებულ დღეს რომ მოიწვიეს სადილად, როცა გენერალი არ იქნებოდა სუფრაზე.

- მე შევალ და შენს ცოლს მოვინახულებ, - მიაძახა მან.

- ჰმ, როგორც გენებოს! - წაიბურტყუნა როუდონმა და ერთობ მოიღუშა, რაზედაც ორმა ყმაწვილმა ოფიცერმა ერთმანეთს

მზაკვრულად გადახედა.

ჯორჯი განშორდა მათ და ამპარტავნული იერით გაემართა გენერლის ლოჟისაკენ, რომლის ნომერი გულმოდგინედ გამოითვალა.

- Entrez![68] - გამოსძახა კრიალა, წვრილმა ხმამ და ჩვენი მეგობარი აღმოჩნდა რებეკას წინაშე, რომელსაც ისე ეამა მისი ნახვა, რომ ზეზე წამოხტა, შემოჰკრა ტაში და ორივე ხელი ჯორჯს გაუწოდა. ორდენებიანმა გენერალმა კუშტად შეიკრა კოპები და ისე დაიღრიჯა, თითქოს ეკითხებოდა, შენ ვინღა ოხერი გდიხარო?

- ჩემო ძვირფასო კაპიტანო ჯორჯ! - შეჰკივლა აღტაცებით პატარა რებეკამ. - რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით. მე და გენერალი ცხვირჩამოშვებული ვისხედით მარტონი. გენერალო, ეს ჩემი კაპიტანი ჯორჯი გახლავთ, მე რომ გეუბნებოდით ხოლმე!

- ჰოო, - აღმოუტევა გენერალმა ოდნავ თავის დაკანტურებით. - რომელი პოლკისა ბრძანდება კაპიტანი ჯორჯი?

ჯორჯმა მოახსენა თავისი ლეგიონის ნომერი, მაგრამ ოჰ, როგორ ნატრობდა ამის მაგიერ რომელიმე სანაქებო ცხენოსანი ჯარის რაზმი ჰქონოდა სათქმელი!

- მგონი ახლახან დაბრუნდა უესტ-ინდოეთიდან, არა? ბევრად ვერაფრად კი გამოიჩინა თავი ამ ომში! აქა დგახართ, კაპიტანო ჯორჯ?.. - მიწასთან გამასწორებელი ქედმაღლობით და ტუჩაბზუებით ჰგესლავდა გენერალი.

- კაპიტანი ჯორჯი კი არა, შტერო, კაპიტანი ოსბორნი! - შეაწყვეტინა რებეკამ.

გენერალი სულ გაალმასებული ჰბურღავდა თვალებით ხან ერთსა და ხან მეორეს.

- ჰო, კაპიტანი ოსბორნი!.. - ლ-ელ ოსბორნების რამე ნათესავი ხომ არა ხართ?

- ჩვენ ერთი ღერბი გვაქვს, - მოახსენა ჯორჯმა და მართალიც იყო. ბატონმა ოსბორნმა ამ თხუთმეტი წლის წინათ საკუთარი ეტლი რომ გაიჩინა, ჰერალდიკის საქმეთა მცოდნე ლონგ-ეიკრელ დარბაისელს მოეთათბირა და პერთა წიგნიდან ლ-ელ

ოსბორნთა ღერბი ამოსცქვლიფა.

გენერალს აღარაფერი უთქვამს ამაზე, მხოლოდ საოპერო ჭოგრიტი მიიდო თვალზე (დურბინდები მაშინ ჯერ კიდევ არ გახლდათ გამოგონილი!) და ვითომ თეატრის დათვალიერებას შეუდგა. მაგრამ რებეკა ხედავდა, რომ გენერლის თავისუფლად დარჩენილი, ჩასისხლიანებული ცალი თვალი მათ მხარეს ეცეცებოდა და გამგმირავ ისრებს სტყორცნიდა მასა და ჯორჯს. ქალმა გააორკეცა ალერსი.

- როგორა მყავს ძვირფასი ემილია? მაგრამ აბა, რა საკითხავია: რა თვალწარმტაცია! ის ჩინებული, გულკეთილი შესახედაობის ქმნილება ვიღა არის იმის გვერდით... თქვენი გულისვარდია? ოჰ, რა ბოროტები ხართ კაცები! აი, ბატონი სედლიც ნაყინს მიირთმევს და გარწმუნებთ, ჩანს, ძალიანაცა სტკბება. გენერალო, რატომ ჩვენ კი არა გვქონდა ნაყინი?

- ნებას მიბოძებთ, წავიდე და მოგართვათ? - ეს კი ვეღარ მოითმინა და შესძახა გაშმაგებულმა გენერალმა.

- გევედრებით, ნება მიბოძეთ მე წავიდე! - ითხოვა ჯორჯმა.

- არა, მე ემილიას ლოჟაში მინდა წასვლა. ჩემი ძვირფასი, საყვარელი გოგონა! მიბოძეთ თქვენი მკლავი, კაპიტანო ჯორჯ! - ამ სიტყვებით გენერალს თავი დაუკრა და გამოცქრიალდა ტალანში.

მარტონი რომ დარჩნენ, რებეკამ ჯორჯს ძლიერ უცნაური, მზაკვრულ-ეშმაკური თვალით გადახედა, თითქოს ამ გადახედვით ეუბნებოდა, „განა ვერა ხედავ, რა ყოფაში ვართ და როგორ ვატუტუცებ იმ უბადრუკსაო?“ მაგრამ ის კი ვერ მიუხვდა. იგი თავის გეგმებს ჩაკირკიტებდა და მოხიბლვის საკუთარი უბადლო, გასაოცარი უნარის ამპარტავნულ ფიქრებში ბრძანდებოდა შთანთქმული.

ლანძღვა-გინების ნიაღვარი, რომელიც ხმადაბლა წასკდა გენერალს, როგორც კი რებეკა და მისი მომტაცებელი გავიდნენ, ისე უშვერი გახლდათ, რომ დარწმუნებული ვარ, ბატონების ბრედბერისა და ივენზის სტამბის ვერც ერთი ასოთამწყობი ვერ გაბედავდა აეწყო, დაწერილიც რომ ყოფილიყო. ეს ლანძღვა-გინება გენერლის გულის სიღრმიდან მომდინარეობდა და საოცარი გახლდათ იმისი ფიქრი, რომ ადამიანის გულს ძალუძს ასეთი რამ წარმოქმნას და, როცა საჭირო იქნება, კიდეც

გადმოანთხიოს ავხორცი ვნებისა და გაშმაგების, რისხვისა და სიძულვილის ასეთი მარაგი.

ემილიას სათნო თვალებიც აღელვებით დაშტერებოდა იმ წყვილს, რომლის ყოფაქცევამაც ასე გააგულისა მეშურნე და ეჭვიანი გენერალი. მაგრამ ლოჟაში შესული რებეკა მაინც უგულითადესი აღტაცებით ჩაეკრა მეგობარს და მიუხედავად საჯარო ადგილს ყოფნისა, ოდნავადაც არ დაუფარავს თავისი გრძნობანი, ვინაიდან იგი ეხვეოდა თავის უძვირფასეს მეგობარს მთელი თეატრის თვალწინ თუ არა, გენერლის ჭოგრიტის წინაშე მაინც უეჭველად, რომელიც ახლა ოსბორნის გუნდისაკენ გახლდათ მოშვერილი. ქალბატონი კროული ჯოზსაც მიესალმა და ფრიად ალერსიანადაც, აღფრთოვანდა ქალბატონ ო' დაუდის ლეგა ტოპაზიონის გულის ქინძისთავითა და საუცხოო ირლანდიული ალმასებით და არც დაიჯერა, რომ სწორედ ნამდვილი გოლკონდური არ იყო. იგი ფართი-ფურთობდა, ყბედობდა, აქეთ-იქით ბზრიალებდა, იმანჭ-იგრიხებოდა, ერთს უღიმოდა, მეორეს ეკრიჭებოდა და ყველაფერ ამას სწორედ სულ იმ მოპირდაპირე მხრის მეშურნეობით აღვსილ სათეატრო ჭოგრიტის წინაშე სჩადიოდა. ხოლო როცა ბალეტის დრო დადგა (რომლის ვერც ერთი მოცეკვავე ვერ მოახერხებდა რებეკასავით მანჭვა-გრეხას და იმაზე უკეთ მისი კომიკური როლის აღსრულებას), კვლავ წაფრთხიალდა თავის ლოჟაში, ოღონდ ამჯერად უკვე კაპიტან დობინის მკლავს ეყრდნობოდა: არა, მას არ უნდოდა ჯორჯი, იგი უნდა დარჩენილიყო და ემუსაიფა მის უძვირფასეს, უბადლო, პატარა ემილიასთან!

- რა თვალთმაქცია ეს დედაკაცი! - ბურტყუნით ჩაულაპარაკა ჯორჯს პატიოსანმა დობინმა, უკან რომ დაბრუნდა რებეკას ლოჟიდან, სადაც სრული მდუმარებით და ისეთი პირქუში სახით მიაცილა, თითქოს დაკრძალვის საქმეთა გამგებელი ყოფილიყო. - ისე იგრიხება და იხლაკნება, გველი გეგონება. აქ რაც იყო, ვერ შეამჩნიე, ჯორჯ, სულ როგორ აღიზიანებდა აგე იმ გენერალს?

- თვალთმაქცი... აღიზიანებდა!.. დალახვროს ღმერთმა, მთელ ინგლისში იმაზე ტურფა, პატარა მზეთუნახავი არც მეგულება! - მიუგო ჯორჯმა, თან თეთრი კბილები გააელვა და ნელსურნელებით გაჟღენთილი ქილვაშები შეისწორა. - შენ ვერა ხარ დარდიმანდი, დობინ! დასწყევლოს ღმერთმა, აბა,

ერთი შეხედე, თვალის დახამხამებაში უკვე გულიც მოაბრუნებინა ტაფტოს. შეხე, როგორ იცინის, ღმერთო ჩემო, რა თავ-კისერი აქვს! ემი, შენ რატომ არა გაქვს თაიგული? ყველას აქვს!

- დიაღაც, მერედა რატომ არ უყიდე? - მიახალა ქალბატონმა ო'დაუდმა და ორივემ, ემილიამაც და უილიამ დობინმაც, მადლობა შესწირეს მას ამ მოსწრებული შენიშვნისათვის.

მაგრამ ამის გარდა აღარც ერთ მანდილოსანს არ დაუძრავს კრინტი. ემილიას ნირი წაუხდინა დიდებული მეტოქის ელვარებამ, ბრწყინვალებამ და წარჩინებულთა ყაიდაზე ლაყბობამ. თვით ქალბატონი ო'დაუდიც კი დაადუმა და გულჩათხრობილი დააგდო ბეკის თვალისმომჭრელმა გამოცხადებამ და მთელ საღამოს თითქმის ერთი სიტყვითაც აღარ უხსენებია გლენმელონი.

- როდის უნდა დაანებო თავი ბანქოს თამაშს, ჯორჯ, ამდენი ხანია რომ მპირდები? - უთხრა დობინმა მეგობარს, ოპერაში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

- შენ როდისღა მოიშლი ქადაგებას? - შემოუბრუნა კითხვა მან. - კაცო, ან რა ჯანდაბისა გეშინია? ცოტა-ცოტაზე ვთამაშობთ. მაგალითად, წუხელ მე მოვიგე. ხომ არ გგონია, რომ კროული თაღლითობს? პატიოსან თამაშში წაგება-მოგება თითქმის ერთმანეთს ასწორებს კიდეც წლის განმავლობაში.

- მაგრამ არა მგონია იმან კი გადაგიხადოს, რომ აგებდეს, - უთხრა დობინმა და მის რჩევას იგივე ხვედრი ხვდა წილად, რაც რჩევას ჩვეულებისამებრ ერგება ხოლმე.

ოსბორნი და კროული ახლა განუყრელნი იყვნენ. გენერალი ტაფტო თითქმის მუდამ სხვაგან სადილობდა. ჯორჯს ყოველთვის ალერსით იღებდნენ ადიუტანტისა და მისი მეუღლის ბინაში, რომელიც მართლა რომ ძალიან ახლოს გახლდათ გენერლის სამყოფელთან.

ემილია ისე იქცეოდა, როცა იგი და ჯორჯი ეწვივნენ კროულის და მის მეუღლეს ამ ბინაში, რომ, ის-ის იყო, ამის გულისთვის პირველი ჩხუბი არ მოუვიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს. ესე იგი ჯორჯმა სასტიკად დატუქსა ცოლი, რადგან ცხადად ეტყობოდა, არ ეხალისებოდა ქალს იქ წასვლა და თანაც მედიდურად და ამრეზით ეპყრობოდა ქალბატონ კროულის,

თავის ძველ მეგობარს. ხოლო ემილიას პასუხად ერთი სიტყვაც არ უთქვამს მეუღლისთვის, მაგრამ როცა მეორედ ეწვივნენ ქალბატონ კროულის, ქმარს თვალი აღარ მოუშორებია ემილიასთვის, აგრეთვე გრძნობდა, რომ რებეკაც დაკვირვებით უთვალთვალებდა და, თუ შესაძლებელიღა იყო, ემილია უფრო მორიდებითა და დაბნეულად იქცეოდა.

რებეკამ, რასაკვირველია, გააორმაგა სიყვარული და ოდნავადაც არ დაუმჩნევია მეგობრის გულგრილობა.

- თითქო ემი მას შემდეგ უფრო გაამაყდაო, რაც მამამისის სახელი მოხვდა... რაც ბატონ სედლის უბედურება ეწია, - ჩაულაპარაკა რებეკამ და დიდსულოვნად შეამსუბუქა გამოთქმა ჯორჯის გასაგონად.

- გეფიცები, მე მეგონა, ბრაიტონს რომ ვიყავით, პატივსა მცემდა და ჩემზე ეჭვიანობდა. ახლა კი ვფიქრობ, ალბათ ისე თუ ეუკადრისება, რომ როუდონი, მე და გენერალი ერთად ვცხოვრობთ. ჰოდა, ჩემო ძვირფასო, სულაც აბა როგორ უნდა გაგვეტანა თავი, ჩვენი მეგობარი რომ არ შემოგვდგომოდა ხარჯში? და თან კიდევ გგონია, როუდონი იმსიდიდე არ გახლავთ, რომ ჩემი პატივი დაიცვას? მაგრამ მაინც ემის დიდი მადლობელი ვარ, დიდი! - ბრძანა ქალბატონმა კროულიმ.

- ფუჰ, ეჭვიანობა! - მიუგო ჯორჯმა, - ყველა ქალი ეჭვიანია!

- და ყველა კაციც აგრეთვე! განა შენ არ ეჭვიანობდი გენერალ ტაფტოზე, გენერალი კი შენზე, იმ ღამეს ოპერაში? პირდაპირ კინაღამ გადამყლაპა, იმ შენი პატარა, ტუტრუცანა ცოლის სანახავად რად წახვედიო: თითქოს ან ერთი ან მეორე ერთ გამხმარ ჩირად მიღირდეთ! - ტუჩაბზუებით და თავის გაქნევით მოახსენა კროულის მეუღლემ. - ჩვენსას არ ისადილებ? დრაგუნი მთავარსარდალთან არის დაპატიჟებული სადილად. დიდი ამბები ისმის: ამბობენ ფრანგებმა საზღვარი გადმოლახესო. ჩვენ აქ წყნარად ვისადილებთ.

ჯორჯი დაყაბულდა მიპატიჟებას, თუმცა მისი ცოლი ცოტა უქეიფოდ გრძნობდა თავს. ისინი ახლა ჯერ კიდევ სრული ექვსი კვირის დაქორწინებულნიც არ იყვნენ. სხვა ქალი დასცინოდა და ჰქირდავდა მის ცოლს, ქმარს კი არა სწყინდა. მას, ამ გულკეთილ ჯეელს, თავის თავზედაც არ მოსდიოდა გული. სამარცხვინოა, აღიარებდა იგი გულში; მაგრამ ჯანდაბას, თუ ლამაზი ქალი აგეხირება გზაში, მაშინ აბა, ხომ იცი, რაღა

უნდა ჰქნას კაცმა? მე ცოტა აგდებითაც ვეპყრობი ქალებს, ხშირად ეტყოდა ხოლმე, ღიმილითა და ეშმაკურად თავის გადაქნევით სტაბლსა და სპუნის და ოფიცერთა საკრებულოს სხვა თანამეინახეებს და ისინი ამ ვაჟკაცობისათვის უფრო მეტ პატივსა სცემდნენ, ვიდრე კიცხავდნენ. ომში ძლევამოსილების შემდგომ, სიყვარულში ძლევამოსილებმა უხსოვარ დროიდან გახლდათ სიამაყის წყარო ამაოების ბაზრის მამაკაცთა შორის, თორემ სკოლის მოწაფენი. აბა, როგორ იტრაბახებდნენ თავიანთი ტრფიალით. ანდა დონ ჟუანი ასე როგორ გაითქვამდა სახელს?

ბატონ ჯორჯ ოსბორნს ღრმად გასჯდომოდა ძვალ-რბილში ის აზრი, რომ იგი ქალთა გულისმკვლელი ბრძანდებოდა და დაბედებულიცა ჰქონდა მათი დაპყრობა, ამიტომ არ ეურჩებოდა თავის ბედისწერას და სრულის კმაყოფილებით დამორჩილებოდა მას. და რადგან ემი ბევრს არას ეუბნებოდა და არც თავს აბეზრებდა ეჭვიანობით, მხოლოდ უბედურად გრძნობდა თავს და საცოდავად, ჩუმად ჭკნებოდა დარდით, ჯორჯმა ამჯობინა ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს ცოლს სულ არაფერი ესმოდა იმ ამბისა, რაც ყველა მისმა ნაცნობმა ჩინებულად იცოდა - სახელდობრ ის, რომ იგი თავგანწირვით ეარშიყებოდა ქალბატრონ კროულის. როცა კი ქალბატონ კროულის ეცალა, ოსბორნი ცხენით დასეირნობდა მასთან ერთად. ემილიას ატყუებდა, სამსახურის საქმეებზე დავდივარო, მაგრამ ამ სიცრუით არ ტყუვდებოდა ქალი! და ჯორჯი მეუღლეს ან სულ მარტო სტოვებდა, ანდა მის ძმასთან, თვითონ კი საღამოებს კროულის სახლში ატარებდა: ქმართან ფულს აგებდა და თავს იმით იტყუებდა და ინუგეშებდა, კროულის ცოლი ჩემი სიყვარულით კვდებაო. ჭკუასთან ახლოა, რომ ეს ღირსეული წყვილი არასოდეს შეთქმულა და შეთანხმებულა, თუნდაც რამდენიმე სიტყვით, რათა ერთს მოეღორებინა და შემოეტყუებინა ახალგაზრდა დარდიმანდი, ხოლო მეორეს ფულ დაეცინცლა მისთვის ბანქოს თამაშში. მაგრამ ცოლ-ქმარს საუცხოოდ ესმოდა ერთმანეთის გულის წადილი და როუდონი ყოველთვის ერთნაირ გულკეთილობით ხვდებოდა და ისტუმრებდა ოსბორნს.

ჯორჯი ისე გაერთო თავის ახალ ნაცნობებში, რომ იგი და უილიამ დობინი სრულიადაც აღარ იყვნენ ხოლმე წინანდებურად ერთად. ჯორჯი გაურბოდა მას საზოგადოებასა და ლეგიონში და, როგორც ვნახეთ კიდეც, არ ეჭაშნიკებოდა

უფროსი მეგობრის ის ქადაგებანი, რომელთაც იგი ჩასჩიჩინებდა. თუნდაც მეგობრის ყოფაქცევაში ზოგი რამ არ მოსწონებოდა კაპიტან დობინს და ამაზე ძალიან გამწყრალიყო და გაჰგრილებოდა გული, რა აზრი ექნებოდა ეთქვა ჯორჯისთვის, რომ თუმცა მას მოზრდილი ულავაშები ესხა და დიდი წარმოდგენისაც ბრძანდებოდა თავის გამჭრიახობაზე, იგი მხოლოდ მოწაფესავით უსუსური ღლაპი იყო? რომ მას როუდონი მსხვერპლად იწირავდა, როგორც სხვა ბევრი იმისთანა შეუწირავს, და როგორც კი გამოსწუწნიდა წვენს, ზიზღით მოიშორებდა მას თავიდან? - ის ხომ არც ათხოვებდა ყურს. იმ დღეებში, როცა დობინი ოსბორნთან სახლში დადიოდა სტუმრად, იშვიათად ხვდებოდა მას წილად ძველი მეგობრის ხილვა, ამიტომაც ბევრი მტკივნეული და ფუჭი საუბარი თავისთავად ჰქონდათ აშორებული თავიდან. ჩვენი მეგობარი ჯორჯი ყურთამდე გახლდათ ჩაფლული ამაოების ბაზრის სიამოვნებებში.

დარიოსის დროების შემდეგ საომრად გალაშქრებულ მხედრობის მოქალაქეთა ისე ბრწყინვალე ამალა აღარასოდეს ჰყოლია, როგორიც დუკა უელინგტონის არმიას ახლდა თან ნიდერლანდში 1815 წელს და რომელმაც თვით ბრძოლის დაწყებამდეც კი, შეიძლება ითქვას, სულ ცეკვა-თამაშითა და ლხინით მიიყვანა. ერთი წვეულება, რომელიც კეთილშობილმა დუკას მეუღლემ ზემოხსენებული წლის ივნისის თხუთმეტს გამართა ბრიუსელში, ისტორიული მნიშვნელობისა გახლავთ. მთელი ბრიუსელი ააჩოჩქოლა ამ წვეულებამ და მე გამიგონია, მაშინ იმ ქალაქში მყოფ მანდილოსანთაგან, რომ მათი სქესის პირნი გაცილებით მეტს ლაპარაკობდნენ ამ წვეულებაზე და უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით ეკიდებოდნენ მას, ვიდრე თვით მათ წინაშე მდგარ მტერს. შეხლა-შემოხლა, ინტრიგები და ვედრებანი ბილეთების ხელში ჩაგდებისათვის ისეთი ჯურისა გახლდათ, რაც მხოლოდ ინგლისელ მანდილოსნებს შეუძლიათ გამოიყენონ, რათა როგორმე ეღირსონ თავისი ერის დიდებულთა საზოგადოებაში მოხვედრას.

ჯოზი და ქალბატონი ო’ დაუდი, რომელთაც სული ელეოდათ იქ მიწვევის წადილით, ამაოდ ცდილობდნენ ბილეთების შოვნას, მაგრამ სხვა ჩვენს მეგობრებს კი ბედმა გაუღიმა. მაგალითად, მილორდ ბეირიკრზის წყალობით, ვითარცა რესტორანში გამართული ნადიმის საზღაური, ჯორჯმა მიიღო მოსაწვევი ბარათი კაპიტან და ქალბატონ ოსბორნების

სახელზე და ამ გარემოებამ ფრიად აღაფრთოვანა ეს ვაჟკაცი. აგრეთვე დობინი, რომელიც მათი დივიზიის სარდალ-გენერალს მეგობრობდა, ერთ დღეს სიცილით შემოვიდა ქალბატონ ოსბორნთან და იმგვარივე მიწვევის ბარათი დაანახვა, რამაც ჯოზი შურით, ხოლო ჯორჯი კი გაოცებით აღავსო - ნეტა ამას რაღა ჯანდაბად უნდა საზოგადოებაში რომ ეჩხირებაო. დაბოლოს, ბატონი და ქალბატონი კროულებიც, რასაკვირველია, მიწვეულნი ბრძანდებოდნენ, როგორც ცხენოსანი ბრიგადის სარდალ გენერლის მეგობრებს შეშვენოდათ.

ჯორჯის ბრძანებით ემილიას ყოველნაირი ახალი ტანსაცმელი და სამკაული მოართვეს და დანიშნულ ღამეს გაუდგნენ გზას იმ დიდებული წვეულებისაკენ, რომელშიც ოსბორნის მეუღლე ერთ სულსაც არ იცნობდა. ჯორჯმა პირველად ლედი ბეირაკრზს დაუწყო ძებნა, მაგრამ ამ მანდილოსანმა ცხვირი აუბზუა, - იგი თვლიდა, მოსაწვევი ბარათის გაგზავნა სრულიად საკმარისიაო. მერე ოსბორნმა ემილია დასვა მერხზე და საკუთარ ფიქრებს შეატოვა, თანაც გულში ფიქრობდა, რა ძალიან კარგად მოვიქეცი, რომ ემილიას ახალი კაბა ვუყიდე და წვეულებაზედაც წამოვიყვანეო. ახალ კი თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული - როგორც ეამებოდა, ისე გაეტარებინა დრო. ქალს ვერაფერი საამური ფიქრები უტრიალებდა თავში და პატიოსანი დობინის გარდა არც არავის შეუშფოთებია მისი მყუდროება.

მაშინ როცა ემილიას გამოჩენა საზოგადოებაში სრულ ჩაფლავებას მოასწავებდა (როგორც მისი ქმარი გრძნობდა ერთგვარი ბოღმით), როუდონ კროულის მეუღლის debut-ი, ერთობ ბრწყინვალე გახლდათ. იგი ძალიან გვიან მობრძანდა. სახე გასხივოსნებული ჰქონდა, ტანსაცმელი - თვალწარმტაცი, დიდებულ გვამთა კრებულისა და მისკენ მიმართული ჭოგრიტების შუაგულში მოქცეული რებეკა ისე დამშვიდებული და არხეინი ჩანდა, როგორც მაშინ, ქალბატონ პინკერტონის პატარა შეგირდები ეკლესიაში რომ მიჰყავდა მძიმე, საზეიმო ნაბიჯით. ბევრ მამაკაცს უკვე იცნობდა კიდეც და დარდიმანდები ბუზებივით ეხვეოდნენ გარს. რაც შეეხება მანდილოსნებს, მათ შორის ვიღაცამ დააგდო ხმა, როუდონმა დედათა მონასტრიდან გამოიტაცა და იგი მონშორანსების ნათესავიაო. რებეკა ისე საუცხოოდ ლაპარაკობდა ფრანგულს, რომ შესაძლებლად სცნეს ცოტაოდენი ჭეშმარიტებაც

ყოფილიყო ამ ამბავში შერეული და ერთმანეთს იმაზედაც კვერი დაუკრეს, რომ იგი ნატიფი ქცევისა ბრძანდებოდა და თავიც შესანიშნავად ეჭირა. მასთან ცეკვის მოსურნე ორმოცდაათი კაცი შემოხვეოდა ერთბაშად გარს და ერთმანეთს ეცილებოდნენ, არა ჩემთან უნდა იცეკვოს, არა ჩემთანო. მაგრამ ამბობდა, უკვე მიწვეული ვარო და ძალიან ცოტას ცეკვავდა. მერე ანაზდად იქითკენ გაიკვლია გზა, სადაც სრულიად შეუმჩნევლად ჩამომჯდარიყო უზომოდ გაუბედურებული ემილია. და რათა უცბად მოეღო ბოლო საცოდავი გოგონასათვის, ქალბატონი კროული გაცქრიალდა, დიდის გულითადობით მიესალმა თავის უძვირფასეს ემილაის და მაშინვე შეუდგა მის მფარველობასა და პატრონობას. დაუწუნა მეგობარს ტანსაცმელი, თმის დავარცხნილობა. თან ჰკვირობდა, როგორ უნდა ყოფილიყო იგი ასე chaussee[69] და დაიფიცა უეჭველად ხვალ დილითვე გამოგიგზავნი ჩემს corsetiere-სო[70]. იფიცავდა, საუცხოო წვეულებააო და ყველანი ერთმანეთის ნაცნობები არიან. მხოლოდ ერთი-ორი მდაბიო ვინმე თუ ურევია მთელ დარბაზშიო. ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ორ კვირაში და საერთო შეკრებილებაში სამჯერ სადილის მირთმევის შემდგომ, ამ ახალგაზრდა მანდილოსანმა ისე დიდებულად შეისისხლხორცა წარჩინებულთა შესაფერი სიტყვა-პასუხი, რომ ნამდვილი იქაურიც ვერ ილაპარაკებდა უკეთ და მისი ჩინებული ფრანგული რომ არა, ვერც ვერავინ გამოიცნობდა, რომ იგი დიდებულთა შთამომავალი არ ბრძანდებოდა.

ჯორჯი, რომელმაც წვეულების დარბაზში ფეხის შემოდგმისთანავე მერხზე ჩამომჯდარი ემილია მიატოვა, მყის მოიჭრა უკან, როცა რებეკა თავისი ძვირფასი მეგობრის გვერდით იხილა. ბეკი სწორედ მაშინ უქადაგებდა ქალბატონ ოსბორნს მისი ქმრის თავქარიანობის ამბებს.

- თუ ღმერთი გწამს, მოაშლევინე ფულზე თამაში, გენაცვალე, თორემ თავს დაიღუპავს, - ეუბნებოდა იგი. - ის და როუდონი ყოველ ღამე ბანქოს თამაშობენ. მერე ხომ იცი, როგორი ღარიბია და როუდონი ერთ შილინგსაც არ შეარჩენს, თუ არ გაფრთხილდა. რატომ არ უშლი, შე პაწაწინა, უზრუნველო ცუგრუმელავ? რატომ არ შემოივლი ხოლმე საღამოობით ჩვენსა, იმის მაგივრად რომ დაღვრემილი და ცხვირჩამოშვებული იჯდე შინ იმ კაპიტან დობინთან? უნდა გითხრა, რომ tres aimable[71] კია, მაგრამ როგორ შეიძლება ამ

სიდიდე ფეხიანი კაცი უყვარდეს ადამიანს? აი, შენ ქმარს აქვს მართლა კოხტა ფეხები!.. აგე, აქეთ მოდის კიდეც. სადა ბრძანდებოდი, შე უბედურო! ემიმ თვალები დაითხარა შენთვის ტირილით. კადრილის საცეკვაოდ გინდა წამიყვანო? - და თავისი თაიგული და შალი ემილიას გვერდით მიაგდო, თვითონ კი ჯორჯთან ერთად გაფრთხიალდა სათამაშოდ.

მხოლოდ დიაცებმა იციან ასე როგორ დაჰკოდონ ვინმე. მათ პაწია ისრებს წვერზე გესლი აქვს, რაც ათასჯერ უფრო სასტიკად გმირავს, ვიდრე მამაკაცის შედარებით ბლაგვი იარაღი. ჩვენი საბრალო ემი, რომელსაც მის დღეში არასოდეს არავინ სძულებია, მთელ თავის სიცოცხლეში არავინ გაუქირდავს, უმწეო იყო ამ ულმობელი პატარა მტრის ხელში.

ჯორჯმა რებეკასთან ორჯერ-სამჯერ იცეკვა, თუ რამდენჯერ, ემილიამ ვეღარც გაიგო. იგი სრულიად შეუმჩნევლად იჯდა თავის კუთხეში, მარტო როუდონი მივიდა მასთან და ერთი-ორი უთავბოლო სიტყვა უთხრა. ხოლო უფრო გვიან ღამეს კი კაპიტანმა დობინმა, როგორც იქნა გაბედა, გამაგრილებელი სასმელი მოართვა და გვერდითაც მოუჯდა. დობინს არც უნდოდა ეკითხა, ასე რამ დაგაღონაო, მაგრამ იმ ცრემლების გასამართლებლად, რომლითაც თვალები ჰქონდა სავსე, ემილიამ უთხრა, ქალბატონმა კროულიმ ამაღელვა, მითხრა, ჯორჯი არ იშლის თამაშსაო.

- საკვირველია, როცა კაცი თამაშით არის გატაცებული, რა ნამდვილ თაღლითებს ატყუებინებს თავს, - თქვა დობინმა და ემიმაც კვერი დაუკრა, „მართლაცო“. ემილიას სხვა ფიქრები უტრიალებდა თავში მას ფულის დაკარგვა არ აღონებდა.

ბოლოს ჯორჯი დაბრუნდა, რებეკას შალისა და ყვავილებისთვის: ბეკი მიბრძანდებოდა. ისიც არ იკადრა მოსულიყო და გამოსთხოვებოდა ემილიას. საბრალო ქალს კრინტი არ დაუძრავს ქმრის მოსვლა-წასვლაზე, მაგრამ მწარედ კი ჩაჰკიდა თავი. დობინი ამ დროს იქ არ იყო, თავის მეგობარს, დივიზიის სარდალს მიეხმო, ხმადაბლა რაღაცას გაცხარებით ბჭობდნენ და ამიტომ ეს უკანასკნელი განშორების სურათი კაპიტანს აღარ უხილავს. ჯორჯმა წაიღო თაიგული, მაგრამ როცა იგი პატრონს მიართვა, შიგ ყვავილებში გველივით დახვეული პატარა ბარათიც იდო უკვე. რებეკამ მაშინვე მოჰკრა მას თვალი, იგი პატარაობიდანვე გახლდათ შეჩვეული ამისთანა ბარათებს და იცოდა კიდეც თავი როგორ დაეჭირა.

გამოიწოდა ხელი და გამოართვა თაიგული. ოსბორნმა თვალი თვალში გაუყარა და შეატყო, რომ ქალმა იცოდა. რას იპოვნიდა შიგ. ქმარი აჩქარებდა. იგი თითქოს კვლავ თავის ფიქრებში იყო ჩაფლული და ვერ ამჩნევდა, რას ანიშნებდნენ ერთმანეთს მისი მეგობარი და მეუღლე - სულერთია, მაინც არაფერი იქნებაო. რებეკამ გაუწოდა ხელი ჯორჯს, თან ჩვეულებისამებრ ეშმაკურად გადაავლო თვალი, გაუკეთა რევერანსი და გაუდგა გზას. ჯორჯი დაიხარა ქალის ხელზე, კროულის არ გამოპასუხებია შენიშვნაზე - არც გაუგონია, მისი გული თრთოდა ზეიმითა და აღფრთოვანებით და კრინტი აღარ დაუძრავს, ისე გაისტუმრა ისინი.

ოსბორნის მეუღლემ თაიგულის გადაცემის სურათის ერთ ნაწილს მაინც მოჰკრა თვალი. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ჯორჯი რებეკას თხოვნით მოსულიყო და მისი მოსახვევი და ყვავილები წაეღო. უკანასკნელ დღეებში ამისთანა რამ არაერთხელ უქნია, მაგრამ ახლა კიი ვეღარ აიტანა.

- უილიამ, - უცბად წაეპოტინა იქვე ახლო მდგომ დობინს ემილია. - შენ ყოველთვის ძალიან გულკეთილად მექცეოდი... მე... მე... ვერა ვარ კარგად... წამიყვანე შინ!

ქალს არც შეუმჩნევია, რომ შინაურულად სახელი დაუძახა დობინს, როგორც ჯორჯმა იცოდა ხოლმე. დობინმა მაშინვე წაიყვანა. ოსბორნები ძალიან ახლოს იდგნენ და გაჭირვებით ქვეითად მიიკვლევდნენ გზას გარეთ მდგომ ბრბოში. ისე ჩანდა, თითქოს ქუჩები უფრო აჩოჩქოლებული და სავსე იყო, ვიდრე თვით წვეულების დარბაზი.

ჯორჯს ორ-სამჯერ გული მოუვიდა, ცოლი რომ ფეხზე დახვდა, როცა თვითონ საღამოს წვეულებიდან დაბრუნდა, ამიტომ ემილია ახლა მისვლისთანავე ჩაწვა ლოგინში. თუმცა არ ეძინა და თუმცა ქუჩაში ღრიანცელი, დგანდგარი და ცხენების თქარათქური არ შეწყვეტილა, მას სულ არ ესმოდა ეს ხმაური და სრულიად სხვა შემაჭირვებელი დარდები არ აძინებდა.

ამასობაში, აღფრთოვანებული და აფორიაქებული ოსბორნი ბანქოს სათამაშო მაგიდას მიადგა და გიჟივით დაიწყო ფულის დადება. ზედიზედ მოიგო. „ამაღამ ყველაფერში ვიმარჯვებ“, თქვა მან. მაგრამ თამაში მოგებამაც ვერ დააშოშმინა მისი აბორგებული სული. ცოტა ხნის შემდეგ წამოხტა, ჩაიჩურთა ჯიბეში მონაგები, მივიდა ბუფეტთან და ფიალას ფიალაზე

დაუწყო ყლურწვა.

აქ იპოვნა იგი დობინმა: სმით კიდევ უფრო აღგზნებული ოსბორნი ჩამდგარიყო ხალხში, ლაყბობდა და ხარხარებდა. დობინს ჯერ ბანქოს სათამაშო მაგიდებთან მოეთვალიერებინა მეგობარი. რამდენადაც მისი ამხანაგი აყირმიზებული და მხიარული იყო, იმდენად თვით დობინი ფერმიხდილი და პირქუში ჩანდა.

- ეი, დობ! მოდი, დალიე, შე ძველო! დუკას ჩინებული ღვინო ჰქონია. ერთი დამისხი კიდევ, ბატონო ჩემო! - და აცახცახებული ხელით ფიალა გაიწოდა სასმელისთვის!

- წამო, ჯორჯ, - წარბშეკვრით უთხრა დობინმა. - ნუღა სვამ!

- ნუ სვამო! რა სჯობია სმას! შენც გადაჰკარი და შეაჟინჟღილე ეგ შენი ჩავარდნილი ლოყები, ძმობილო! გაგიმარჯოს!..

დობინ მივიდა და რაღაც ჩასჩურჩულა, რაზედაც ჯორჯი შეხტა, მაღალის ხმით შესძახა ვაშა, გადაჰკრა ჭიქა, ჭახანით დადგა მაგიდაზე, გაუგდო მკლავში ხელი მეგობარს და აჩქარებით გავიდნენ გარეთ.

- მტერმა სამბრი გადმოლახა და ჩვენი მარცხენა ფრთა უკვე ბრძოლაშია ჩაბმული, - უთხრა უილიამმა. - წამოდი, ჩვენ სამ საათში უნდა გავილაშქროთ!

ჯორჯი მიჰყვებოდა. ასე დიდხანს ნალოდინევი და მაინც ასე ანაზდეულად თავსდატეხილი ამბის გაგონებაზე აღელვებისაგან თრთოდა. ახლა რაღა იყო მისთვის ტრფობა და ეშმაკობანი? აჩქარებული ნაბიჯით შინისაკენ რომ მიეშურებოდა, ესენი სულაც აღარ ახსოვდა. თავში ათასი სხვა ფიქრი უტრიალებდა: მისი წარსული ცხოვრება და მომავლის იმედები, საეგებისო ბედი, ცოლი, იქნებ შვილიც, რომელსაც უნახავად უნდა განშორებოდა. ოჰ, როგორ ნატრობდა, იმჟამინდელი საქმე არ ჰქონოდა ჩადენილი და შეუბღალავი სინდისით მაინც შესძლებოდა გამოსალმებოდა ნაზსა და უმწიკვლო არსებას, რომლის სიყვარულსაც ასე ნაკლებ აფასებდა!

მან თვალი გადაავლო თავიანთ ხანმოკლე ცოლ-ქმრულ ცხოვრებას. ამ ორიოდე კვირაში საშინლად გაეფლანგა თავისი მცირე შეძლება. რა დამთხვეულობა და თავქარიანობა ჩაიდინა!

რამე უბედურება რომ დაატყდეს, რაღა დარჩება საწყალ ქალს? რა უღირსი გამოვიდა მისთვის! რატომ შეირთო იგი? თვითონ არ ვარგოდა ქმრად. რატომ არ დაუჯერა მამას, რომელიც ყოველთვის ასე სულგრძელად ექცეოდა? იმედი, სინდისის ქენჯნა, პატივმოყვარეობა, სინაზე და თავკერძა სინანული ავსებდა მის გულს. ჯორჯი დაჯდა და მისწერა მამას: მოიგონა მის, რაც ერთხელ წინათაც მიუწერია, როცა დუელში გასვლას ეპირებოდა. რიჟრაჟმა მკრთალი ზოლები დაატყო ზეცას, ჯორჯმა გამოსათხოვარი წერილი რომ დაასრულა. დალუქა, დაბეჭდა და წარწერას ეამბორა. აგონდებოდა, როგორ მიატოვა ეს დიდსულოვანი მამა და დაივიწყა ის ათასი კეთილი საქმე, რაც სასტიკ მოხუცს გაეკეთებინა მისთვის.

შინ რომ შემოვიდა, ჯორჯმა ემილიას საწოლში შეიხედა. ქალი მშვიდად იწვა, თვალები დახუჭული ჰქონდა და გაეხარდა, რომ ეძინა. წვეულებიდან სახლში დაბრუნებულს მხლებელი ჯარისკაცი უკვე სალაშქრო სამზადისში გართული დახვდა. ჯორჯმა ანიშნა, წყნარად ისაქმეო, მსახურიც მიხვდა და ამ ბარგის შეკვრა-ჩალაგებამ ძალიან სწრაფად და დუმილში ჩაიარა. წავიდეს და გააღვიძოს ემილია, ფიქრობდა ჯორჯი, თუ ბარათი დაუტოვოს ცოლისძმას, რათა მერე გაუმხილოს დას მისი წასვლის ამბავი? ჯორჯი შევიდა, რომ ერთხელ კიდევ დაეხედა ცოლისთვის.

როცა ჯორჯი პირველად შევიდა ოთახში, ქალს ეღვიძა, ოღონდ თვალები არ გაუხელია, რომ ფხიზლობით ისე არ მოეჩვენებინა თავი, თითქოს რაიმეს უსაყვედურებდა ქმარს. მაგრამ რაკი ისიც ასე მალე მოჰყვა შინ, ამ ნაზ, პატარა ქმნილებას გულს უფრო მოეშვა, გააყოლა თვალი მეუღლეს, რომელიც ფეხაკრეფით მიიპარებოდა ოთახიდან, და ძილბურანში გაეხვია. ჯორჯი კვლავ შემოვიდა, კიდევ უფრო ფეხაკრეფით, და დახვდა ცოლს. სალამური სანათის მკრთალ შუქზე მოჩანდა ქალის სანდომიანი, გაცრეცილი სახე, წამწამებით შემოჯარული, დაწითლებული ქუთუთოები დახუჭული ჰქონდა და ცალი, სავსე, შნოიანი და ქათქათა მკლავი საბანს ზემოთ გადმოედო. ღმერთო მოწყალეო! რა უმწიკვლო იყო, რა სათნო, რა სათუთი, რა უმწეო! თვითონ ის, ჯორჯი, კი რა თავკერძა, ტლანქი და ბოროტმოქმედებით შებილწული! ნირწამხდარი და სირცხვილეული იდგა საწოლის ფეხთით და დასცქეროდა მძინარე გოგონას. როგორ ბედავდა, ან ვინ იყო იგი, ასე უბიწოსთვის ელოცა! უფალმა აკურთხოს! უფალმა

აკურთხოს! იგი მიუახლოვდა საწოლს, დააცქერდა საბანზე მოსვენებით მდებარე, პატარა, ნაზ ხელს და წყნარად დაიხარა სათნო, ფერმკრთალი სახისაკენ, რომელიც ბალიშზე ესვენა. დახრილს ორი ნატიფი მკლავი ნაზად შემოეჭდო ყელს.

- მე არა მძინავს, ჯორჯ! - შესტიტინა საბრალო ბალღმა ისეთი გულამოსკვნილი ქვითინით, რომ ლამის გასკდომოდა ის პაწია გული, რომელიც ახლა თვით ჯორჯის გულთან ასე ახლოს ფართხალებდა. საცოდავს არ ეძინა და ნეტავ რისთვის? ამ დროს მთავარი ბანაკიდან მკაფიოდ მოისმა ნაღარის ხმა, ქალაქმაც იხმო და ქვეითი ჯარის დაფდაფებისა და შოტლანდიელთა სტვირების ჭყვიტინის ხმაზე მთელმა ქალაქმა გაიღვიძა.

თავი XXX. „საყვარელ სატრფოს გამოვესალმე“

სამხედრო მემატიანეთა შორის შერაცხვის პატივს არ ვჩემულობთ. ჩვენი ადგილი არამეომართა შორის გახლავთ. როცა გემბანი საომრად გაიწყობა, ჩვენ ქვემოთ გეახლებით და იქ მორჩილად ვიცდით. ზემოთ რომ ვყოფილიყავით, მხოლოდ ფეხებში ავებლანდებოდით იმ მამაც ვაჟკაცებს, რომელნიც იბრძვიან. მარტო ქალაქის ალაყაფის კარამდე გავაცილებ ...ე ლეგიონს, იქ კი გამოვემშვიდობებით მაიორ ო’ დაუდს და დავუბრუნდებით მაიორის მეუღლეს, მანდილოსნებსა და ბარგი-ბარხანას.

ახლა უნდა მოგახსენოთ, რომ რაკი მაიორი და მისი თანამეცხედრე არ დაუპატიჟნიათ იმ წვეულებაში, სადაც ჩვენი სხვა მეგობრები ბრძანდებოდნენ, გაცილებით მეტი დრო მოეპოვებოდათ ლოგინში მარგებელი, ბუნებრივი მოსვენებისათვის, ვიდრე იმ ხალხს ხვდებოდა წილად, რომელნიც სიამოვნებით ტკბობასა და მოვალეობის აღსრულებას თანაბრად ეპოტინებოდნენ.

- დარწმუნებული ვარ, პეგი, გენაცვა, - გადაულაპარაკა მაიორმა ო’ დაუდმა მეუღლეს და თან საღამურ ჩაჩს დინჯად იფხატავდა ყურებზე, - ამ ერთ-ორ დღეში ისეთი საცეკვაო

ლხინი გაიმართება, რომ ზოგიერთს თავის სიცოცხლეში არ დასიზმრებია.

და გაცილებით ბედნიერად გრძნობდა თავს წყნარად გადაეკრა ერთი თასი ღვინო და ისე მიეცა თავი მოსვენებისათვის, ვიდრე როგორმე სხვანაირად გაეტარებინა დრო. პეგის, თავის მხრით, იქნებ ესიამოვნებოდა იმ წვეულებაში გამოეჩინა თავისი დოლბანდი სამოთხის ფრინველითურთ, რომ ქმარს არ მოეხსენებინა ეს ამბავი, რამაც მანდილოსანი მძიმედ ჩააფიქრა.

- კარგი იქნება, სანამ თავმოყრის ნიშანს მისცემდნენ, მანამდე ერთი ნახევარი საათი ადრე თუ მაინც გამაღვიძებ, - უთხრა მაიორმა მეუღლეს. - ორის ნახევარზე დამიძახე, გენაცვა, პეგი, და ჩემი ხარახურაც მოამზადებინე. იქნებ, საუზმისთვის ვეღარც მოვახერხო დაბრუნება, ქალბატონო ო’ დაუდ! - ამ სიტყვებით, რომელიც გამოხატავდა მის იმ აზრს, რომ ლეგიონს ხვალ დილით უნდა გაელაშქრა, მოითავა ლაპარაკი მაიორმა და ხვრინი ამოუშვა.

თმის დასახუჭუჭებელ მუყაოს მილებსა და კაბის შიგნით ჩასაცმელ ზედატანში გამოწყობილმა თადარიგიანმა დიასახლისმა ქალბატონმა ო’ დაუდმა იგრძნო, რომ ამ საჭოჭმანო დროს მისი მოვალეობა სწორედ მოქმედება იყო და არა ძილი. „საიმისოდ ისედაც ბევრი დრო დამრჩება, მიკი რომ წავა“, - თქვა მან. და ამგვარად ჩაალაგა და ლაშქრობისათვის გაამზადა სამგზავრო ჩანთა, გაწმინდა ქმრის მოსასხამი, ქუდი, სხვა საომარი მოკაზმულობანი და რიგზე დაუწყო. წამოსასხამის ჯიბეები მსუბუქი, სახელდახელოდ სასაუზმო საჭმელებით ამოუვსო. აგრეთვე შემოწნული სამგზავრო ბოთლი ანუ ჯიბის დამბაჩაც ჩაუდო, რომელშიც ერთ პინტამდე იშვიათი სიმაგრის კონიაკი ესხა და რასაც ფრიად შესწყობოდნენ მაიორიცა და მისი მეუღლეც ხოლო როგორც კი ზანზალაკიანი საათის ისრებმა ორის ნახევარი უჩვენა და მისმა შინაგანმა მოწყობილობამ ეს საბედისწერო ჟამი დარეკა (სწორედ საკათედრო ტაძრის ზარის ხმასა ჰგავსო, აღიარა გულში მისმა მშვენიერმა პატრონმა), ქალბატონმა ო’ დაუდმა გააღვიძა თავისი მაიორი და ისეთი გემრიელი ყავა მიართვა, რომ იმ დილით ბრიუსელში სხვა ვერავინ მოახერხებდა უკეთესს. აბა, ვინ უარყოფს, რომ ამ ღირსეული მანდილოსნის მზადებანი ისევე არ მოწმობდა სიყვარულს, როგორც ცრემლთა ღვრა და გულშემოყრა, რომლითაც მდედრობითი სქესის უფრო

გულჩვილი წარმომადგენელნი გამოამჟღავნებენ ხოლმე თავიანთ გრძნობას? ანდა ვინ უარყოფს, რომ, როცა ისინი ერთად შეექცეოდნენ ყავას, სანამ ნაღარები სალაშქროდ შეკრებას აუწყებდა ჯარს, ხოლო ქალაქის სხვადასხვა უბანში კი დაფდაფების ბაგაბუგი გაისმოდა, ეს ყავის სმა უფრო სასარგებლო და საჭირო არ ყოფილიყოს, ვიდრე გრძნობათა უბრალოდ გადმონთხევა? ამის შედეგი ის გახლდათ, რომ მაიორი აღლუმზე სრული ჯან-ღონით აღსავსე, გამოწკეპილი და მხნე გამოცხადდა. ამხედრებული მაიორის კოხტად გაპარსული, ღაჟღაჟა პირისახე მხნეობასა და სიმტკიცეს უნერგავდა გულში მთელ რაზმს. ყველა ოფიცერი მიესალმე მაიორის მეუღლეს, როცა რაზმში იმ აივანს ჩაუარა, რომელზედაც ეს გულადი მანდილოსანი გადმომდგარიყო და ხელს უქნევდა გამვლელ ლაშქარს. და უნდა მოგახსენოთ, რომ მამაცობის ნაკლებობამ კი არა, მხოლოდ დიაცისათვის შესაფერი კდემამოსილებისა და ზრდილობის გრძნობამ თუ შეაკავებინა თავი პირადად თვითონ არ გასძღოლოდა ომში სახელოვან ...ე ლეგიონს.

კვირაობით და სხვა საზეიმო დროსაც ქალბატონ ო' დაუდს ჩვეულებადა ჰქონდა დიდის გულისყურით ჩასჯდომოდა თავისი ბიძის, დეკანოზის ქადაგებათა უშველებელი კრებულის კითხვას. ეს ქადაგებანი დიდი ნუგეში გახლდათ მისთვის, როცა ისინი უესტ-ინდოეთიდან გემით მიემგზავრებოდნენ შინისაკენ და ის-ის იყო კინაღამ არ დაიღუპნენ ზღვაში. ლეგიონის გალაშქრების შემდგომ, სწორედ ამ სულის მარგებელ წიგნს მოჰკიდა ხელი მან. იქნებ ბევრი არაფერი გაეგებოდა კიდეც წანაკითხისა და მისი გონება სადღაც სხვაგან დაჰქროდა. მაგრამ ძილზე ფიქრი სრულიად ამაო აღმოჩნდა მისთვის, საბრალო მიკის საღამურ ჩაჩს იქვე ბალიშზე დატოვებულს რომ ხედავდა. დიახ, ასეთია წუთისოფელი: ჯეკი ან დონალდი დიდების მოსახვეჭად გაუდგებიან გზას; ზურგზე სალაშქრო გუდა მოუგდიათ და მკვირცხლად მიაბიჯებენ სიმღერის ჰანგზე - „საყვარელ სატრფოს გამოვესალმე". ეს სატრფო კი შინ რჩება, იტანჯება და მოცალეობაც მოეპოვება ფიქრის, ნაღვლიანობისა და მოგონებათათვის.

ქალბატონ რებეკას მოეხსენებოდა, რა ფუჭია სინანული და გულის აყოლა მხოლოდ უფრო რომ აბეჩავებს ადამიანს. ამიტომ ბრძნულად გადაწყვიტა, სევდიანობის ამაო

გრძნობისათვის თავი არ მიეცა და ქმრის მოშორება სულის ჭეშმარიტი სპარტული სიმტკიცით აიტანა. მართლაც თვით კაპიტანი როუდონი გაცილებით უფრო იყო შეწუხებული განშორებით, ვიდრე ის გულმაგარი პატარა დიაცი, რომელსაც ემშვიდობებოდა. ქალს დამონებული ჰყავდა ეს ტლანქი, უხეში ბუნების კაცი და ეს უკანასკნელიც მთელი თავისი გრძნობითა და გატაცებით ეტრფოდა და ეთაყვანებოდა მას. მთელ თავის წარსულს სიცოცხლეში არასოდეს განუცდია ის ბედნიერება, რასაც ამ რამდენიმე თვეს ეწია ცოლის ხელში. მისი ყველა ძველი სიამენი. დოღი, ამხანაგებში ქეიფი, ნადირობა, ბანქოს თამაში, ზორზოხი მხედარი ადონისის ყველა წინანდელი ტრფიალებანი, მკერავ და ოპერის მოცეკვავე ქალებთან არშიყობანი და სხვა მისთანა ადვილი გამარჯვებანი სრულიად დაიჩრდილა იმ კანონიერი ცოლქმრული ნეტარებით, რომლითაც იგი ამ ბოლო ხანებში სტკბებოდა. ქალმა ყოველთვის იცოდა, როგორ შეექცია იგი და ვაჟკაცმა თავისი სახლი და ცოლის საზოგადოება ათასჯერ უფრო საამოდ ჩათვლა, ვიდრე სხვა რომელიმე ადგილი ან საზოგადოება, რომელშიც თავის ბავშვობის დროიდან აქამდე ოდესმე ევლო. დასწყევლა კიდეც თავისი პირვანდელი დამთხვეულობა და თავქარიანობა; ყველაზე მომეტებულად კი უზარმაზარ ძველ ვალებს ჰგოდებდა, რომლებიც მუდამ შეაფერხებდა მისი მეუღლის წინსვლას მაღალ საზოგადოებაში. იგი ხშირად ოხრავდა ამაზე ნაშუაღამევს რებეკასთან მუსაიფში, თუმცა უცოლობაში არასოდეს აინუნშიაც არ იგდებდა მათ. თვითონაც უკვირდა როუდონს ეს სასწაული.

- დალახვროს ღმერთმა! - იტყოდა ის (ან იქნებ თავის უბრალო, მდაბიური სიტყვა-პასუხის მარაგიდან კიდევ უფრო გულისმოსაფხან გამოთქმასაც მიაყოლებდა), - ცოლის შერთვამდე ფეხებზე მეკიდა, რა ვექსილებს ვაწერდი ხელს და სანამ მოზესი მოიცდიდა, ან ლევი განაახლებდა სამი თვით, არასდროს არ ვიწუხებდი თავს. მაგრამ, რაც დავქორწინდი, რასაკვირველია, ვექსილების განახლების გარდა, სინდისს გეფიცები, თითიც აღარ დამიკარებია ღერბიანი ქაღალდისთვის.

რებეკამ ჩინებულად იცოდა, როგორ გაექარვებინა ეს ზაფრიანი ფიქრები.

- მერე რა, ჩემო გამოყეყეჩებულო თვალის ჩინო, - ეტყოდა იგი, - ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია მამიდაშენის საქმე?

ანდა თუ მან გვიმტყუნა, განა ის შენი „გაზეთი“ აქ არა გვაქვს? ან კიდევ, დამაცა, ბიძაშენი ბიუტი რომ საიქიოს წაბრძანდება, მე სხვა გეგმაცა მაქვს! მრევლი ყოველთვის უმცროს ძმას ეკუთვნოდა და ვითომ რატომ არ შეიძლება შენც გაასაღო შენი კაპიტნის ხარისხი და ეკლესიის სამსახურში შეხვიდე?

ქრისტეს რჯულზე მოქცევის ამ ფიქრმა როუდონს თავშეუკავებელი სიცილი აუტეხა. ზორზოხი დრაგუნის ხარხარმა და უშვერმა როხროხმა შუაღამისას მთელი სასტუმრო შესძრა. გენერალმა ტაფტომაც გაიგონა მისი ხმა თავისი ბინაში, მეორე სართულში, მათ ზემოთ. დილით საუზმეზე რებეკამ დიდის გატაცებით გაითამაშა მთელი სცენა, თქვა როუდონის პირველი ქადაგება და უზომოდ აამა გენერალს.

მაგრამ ეს გარდასულ დღეთა საქმენი და ნამუსაიფევი გახლდათ. ხოლო როცა ბოლოს ომის დაწყების ამბავი მოვიდა და ჯარს უნდა გაელაშქრა, როუდონი კიდევ უფრო მომეტებულად გულჩათხრობილი გახდა, მაგრამ ბეკი ისე სასაცილოდ იგდებდა და უქილიკებდა მჭმუნვარებას, რომ ამან, ცოტა არ იყოს, შეურაცხყო გვარდიელის გრძნობანი.

- არა მგონია ფიქრობდე, ბეკი, რომ მე მეშინიან! - უთხრა მან ათრთოლებული ხმით, - მაგრამ ტყვიისთვის მაინც კარგი ლაზათიანი სანიშნო გახლავარ და, ხომ იცი, რომ გამაფრთხობინოს სული, მე აქ ერთი, და იქნებ ორი ადამიანი მრჩება. მათზე ზრუნვა ჩემი ვალია, რადგან მე გავაბი ისინი ხათაბალაში. ეს კი მაინცდამაინც ვერაფერი სასაცილო ამბავია, ქალბატონო კროული!

რებეკამ ათასნაირი ალერსითა და ტკბილი სიტყვით სცადა გულდაკოდილი სატრფოს გრძნობათა დაშოშმინება. რებეკას მხოლოდ მაშინ წასცდებოდა დაცინვა, როცა ხალისიანობა და ჰუმორის გრძნობა სძლევდა ამ მხიარულ, მკვირცხლ არსებას (რაც მართლაც მის სიცოცხლეში საკმაოდ ხშირად ხდებოდა), მაგრამ თავის მოკატუნება და დაძმარებული სახის მიღებაც ძალიან იოლად შეეძლო.

- ჩემო თვალისჩინო, - მიუგო მან, - გგონია მე არაფერი მადარდებს? - თან ხელის სწრაფი გაქნევით რაღაც მოიცილა თვალთაგან და ღიმილით შეხედა სახეში ქმარს.

- ყური მიგდე, - უთხრა როუდონმა. - თუ ვერ დავბრუნდი,

მოდი გავსინჯოთ შენთვის რა ქონება რჩება. აქ მე ჩინებულად გამიღიმა ბედმა და აი ორასოცდაათი გირვანქა სტერლინგი ნაღდი ფულიცა გვაქვს. ჯიბეში ათი ოქროღა ჩავიტოვე. სწორედ მეყოფა კიდეც, იმიტომ, რომ ყველაფერს გენერალი იხდის ხოლმე მეფესავით და თუ ტყვია მომარტყეს, ხომ იცი, არაფერი ვღირვარ. ნუ იტირებ, ჩემო ცუგრუმელავ, იქნებ გადავრჩე და კვლავ სიცოცხლე გაგიმწარო. მერე კიდევ, არც ერთი ჩემი ცხენი არ მიმყავს: გენერლის ლურჯა ტაიჭზე შევჯდები. უფრო სარფიანი იქნება და თან ვუთხარი კიდეც გენერალს, ჩემი ცხენი კოჭლობს-მეთქი. თუ სული გამაფრთხობინეს, ეგ ორი ცხენი ცოტა ფულს მაინც შეგმატებს. გრიგი ფაშატში ოთხმოცდაათს მაძლევდა გუშინ, სანამ ეს წყეული ხმა გავარდებოდა, მე კი გავტუტუცდი და ასზე ფეხი არ მოვიცვალე. გულწითელა ყოველთვის გაიყიდება თავის ფასში, ოღონდ სჯობია აქვე გაყიდო, თორემ ვაჭრებს ჩემი იმდენი ვექსილი აქვთ, რომ ვარჩევდი ეს ცხენი კვლავ აღარ მოხვედრილიყო ინგლისში. გენერლის ნაჩუქარი შენი პატარა ფაშატიდანაც რამე გამოდნება; თან კიდევ აქ ხომ ლონდონივით მაინც არა გვჭირდება იმ ოხერი საჯინიბოს ქირის გადახდა! - სიცილით დაუმატა როუდონმა. - აგე, ის ნესესერი ორასი დამიჯდა, ესე იგი, ამისი ორასი მმართებს. ოქროს საცობები და ფლაკონები ოცდაათი ან ორმოცი გირვანქისა მაინც იქნება. ინებე და ამაებთან ჩაყარე კიდევ, ქალბატონო, ჩემი ქინძისთავები, ბეჭდები, საათი, ძეწკვი და სხვა ნივთები. გვარიანი ბლომად ფული ეღირება. მახსოვს, მის კროულიმ ასი გირვანქა მისცა იმ ძეწკვიან საათში. ოქროს საცობები და ფლაკონები... მართლა, დალახვროს ღმერთმა! ახლა კი ვნანობ, მეტი რატომ არ ავიღე-მეთქი. ედუარდზი ხელში მჩრიდა მოოქრულ ვერცხლის ჩექმის გასახდელს; შემეძლო ვერცხლის ხელსაწყოებიანი სხვა ნესესერიც დამეთრია და ვერცხლის ჭურჭლეულიც. მაგრამ, ხომ იცი, რაც ხელთა გვაქვს, ისინი მაინც რიგიანად გამოვიყენოთ, ბეკი!

ასეთ განკარგულებებს იძლეოდა უკანასკნელად კაპიტანი კროული, რომელსაც საკუთარი თავის გარდა სხვა იშვიათად აგონდებოდა თავისი ცხოვრების ამ ბოლო თვეებამდე, როცა ტრფობის ალმა დაიმორჩილა დრაგუნი. იგი სათითაოდ ჩხრეკდა თავის მცირე ავლა-დიდების ნუსხის სხვადასხვა ნივთს და ცდილობდა გაეთვალისწინებინა, რა ფული დარჩებოდა მის მეუღლეს. ამ ქონებიდან, თუ თვითონ მას,

რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს. მან ასიამოვნა თავს იმითი, რომ ფანქარი აიღო და მსხვილი, მოწაფური ხელით თავისი მოძრავი ქონების ის სხვადასხვა ნივთი, რაც შეიძლებოდა გაყიდულიყო და მის ქვრივს შემატებოდა მათი ფასი, რიგ-რიგად ჩამოწერა. მაგალითად: „ჩემი ორლულიანი თოფი მენტონისა, ვთქვათ - 40 გინეა; ჩემი საცხენოსნო მოსასხამი, სიასამურის სარჩულიანი - 50 გირვანქა სტერლინგი; ვარდის ხის ყუთში ჩაწყობილი სადუელო დამბაჩები (კაპიტანი მარკერი რომ მოვკალი, სწორედ ისინი) - 20 გირვანქა; ჩემი სალაშქრო საუნაგირე დამბაჩის ბუდეები და ყაჯრები; კიდევ იგივენი, ოღონდ ლორის სისტემისა“ და სხვანი; ხოლო მთელი ამ ნივთების ბატონ-პატრონობა რებეკას ჩააბარა.

კაპიტანმა კროულიმ მომჭირნეობისაკენ ერთხელვე აღებულ გეზს არ უღალატა: ყველაზე ძველ, გაცვეთილ მუნდირსა და ეპოლეტებში გამოეწყო, ხოლო უფრო ახლები ცოლს (თუ იქნებ ქვრივსაც) დაუტოვა. უინძორისა და ჰაიდპარკის ეს სახელგანთქმული დარდიმანდი სალაშქროდ ისე მდაბიურად მოკაზმული გაემართა, თითქოს ვინმე უბრალო სერჟანტი ყოფილიყოს და პირზედაც ლოცვა ჰქონდა მომდგარი იმ ქალისათვის, რომელსაც ემშვიდობებოდა. მან აიტაცა იგი ჰაერში და ერთხანს მკლავებში ეპყრა მაგრად მიკრული გულზე, რომელსაც ბაგაბუგი გაუდიოდა. სახე ასჭარხლებოდა, თვალები კი მიბნედოდა კაპიტანს, როცა ქალი ძირს დასვა და განშორდა. იგი გენერლის გვერდით მიერეკებოდა ცხენს და მდუმარედ ექაჩებოდა სიგარას, გენერლის ბრიგადის დაწინაურებული ჯარის დასაწევად რომ მიიჩქაროდნენ; და სანამ რამდენიმე მილი არ მოიტოვეს უკან, მანამდე არ მოშვებია ულვაშების გრეხას და არ დაუძრავს კრინტი.

რებეკამ, როგორც მოვიხსენიეთ, ბრძნულად გადაწყვიტა ქმრის განშორებისათვის ფუჭ გულჩვილობას არ დამორჩილებოდა. იგი ფანჯრიდან უქნევდა ხელს გამოსალმების ნიშნად და მისი ჩავლის შემდეგ ერთი წუთი კიდევ იდგა იქ და გაჰყურებდა. საკათედრო ტაძრის გუმბათებსა და ძველებური, ლამაზი, უცნაური სახლების წვერებს ის-ის იყო ახლად ამოწვერილი ალისფერი მზის შუქი ედებოდა. იმ ღამეს ვერ მოისვენა. კვლავ ნატიფ საწვეულებო კაბაში იყო გამოწყობილი, ცოტა აჩეჩილი ქერა კულულები ყელზე ჩამოშლოდა, ხოლო უძილობისაგან თვალები ჩაშავებოდა.

„რა საფრთხობელასა ვგავარ, - ჩაილაპარაკა თავისთვის, სარკეში რომ გაისინჯა სახე, - ეს ალისფერი რა ფერმკრთალს აჩენს ადამიანს!“ ამიტომ განიძარცვა ალისფერი სამოსელი, ამ საქმიანობაში კორსაჟიდან ბარათი გამოუვარდა; ღიმილით აიღო და ნესესერში ჩაკეტა, მერე წვეულებიდან მოტანილი თაიგული წყალში ჩადგა, ჩაწვა ლოგინში და არხეინად დაიძინა.

ქალაქი უკვე სრულიად დაწყნარებულიყო, როცა მას ათ საათზე გამოეღვიძა და ყავა მიართვა, რაიც ფრიად აუცილებელი და თანაც გამამხნევებელი გახლდათ მისთვის დილანდელი ამბებით ქანცმიხდილობისა და მწუხარების შემდგომ.

ნასაუზმევს რებეკამ განაახლა პატიოსანი როუდონის წინაღამინდელი გამოანგარიშებანი და ასწონ-დასწონა თავისი მდგომარეობა. როცა ყოველივე გაითვალისწინა, დაასკვნა, ყველაზე უარესი ამბავიც რომ დასტეხოდა თავს, მაინც ჩინებულად იყო მისი საქმე. ქმრის დანატოვართან ერთად საკუთარი სამკაულები და მზითევიც მოეპოვებოდა. როუდონის გულუხვობა მათი ქორწინების პირველ ხანებში უკვე მოვიხსენიეთ და შევაქეთ კიდეც. ამ ნივთებსა და პატარა ფაშატის გარდა, გენერალმა, მისმა მონამ და თაყვანისმცემელმა, ბევრი ერთობ ნატიფი ფეშქაშიც უძღვნა: ფრანგი გენერლის ცოლის ქონების საჯარო ვაჭრობაში შეძენილი ქიშმირის შალები, ოქრომჭედელთა მაღაზიებში ნაყიდი უამრავი საჩუქარი და ყველა ეს ნივთი მისი მოტრფიალის გემოვნებასა და სიმდიდრეს მოწმობდა.

რაც შეეხება „ტიკტიკებს“, როგორც საბრალო როუდონი ეძახდა საათებს, რებეკას ბინა შეძრული იყო მათი ხმაურით. ბეკის ერთ საღამოს შემთხვევით წამოსცდა, ჩემი საათი, როუდონის ნაყიდი რომ იყო, ინგლისურია და ცუდად მუშაობსო, და მეორე დილითვე მოერთვა ქალბატონს ერთი პაწაწინა ნატიფი საათი ლერუას ფირმისა, ძეწკვითა და ფირუზით საუცხოოდ მოოჭვილი ბუდითურთ, ხოლო მეორე - ბრეგეტის მარკისა, რომელიც ნახევარკრონიანზე ბევრით მეტი არ იქნებოდა და მარგალიტებით იყო დაფარული. ერთი გენერალმა ტაფტომ უყიდა, მეორე კი კაპიტანმა ოსბორნმა უფეშქაშა თავაზიანად. ქალბატონ ოსბორნს საათი სულაც არ გააჩნდა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას ჯორჯზე, ემილიას რომ ეთქვა, მინდაო, ექნებოდა კიდეც. ინგლისში მყოფ პატივცემულ ქალბატონ ტაფტოს კი დედისეული ძველებური ქრონომეტრი

მოეპოვებოდა, რომელზეც, როუდონი ლაპარაკობდა, ვერცხლის სათბურის მაგივრად თუღა გამოდგებაო. ბატონების ჰოუელისა და ჯეიმზის ფირმას ყველა მათი ძვირფასი ნივთის მუშტართა ნუსხა რომ გამოექვეყნებინა, რა გაოცდებოდა ბევრი ოჯახი! მთელი ეს სამკაულები დარბაისელთა კანონიერ მეუღლეებსა და ასულებს რომ მოსვლოდა, რა უხვად იქნებოდა გამოფენილი ძვირფასეულობა ამაოების ბაზრის წარჩინებულთა ოჯახებში!

როცა ამ ნივთების ფასის გამოანგარიშება მთლიანად მოათავა, ქალბატონმა რებეკამ ზეიმისა და კმაყოფილების არა მცირედი გრძნობით აღმოაჩინა, რომ თუ რაიმე მოხდებოდა, სულ უკანასკნელი ექვსას-შვიდასი გირვანქის იმედი მაინც უნდა ჰქონოდა ახალი ცხოვრების დაწყებისათვის. მთელი დილა დიდი სიამოვნებით გაატარა თავისი ავლა-დიდების გარჩევასა, მილაგ-მოლაგებასა, სინჯვასა და საგულდაგულოდ მიმალვაში როუდონის უბის წიგნაკის ქაღალდებში ოსბორნის ბანკირის სახელზე გაცემულ ოცი გირვანქას ჩეკს წააწყდა. ამან ქალბატონი ოსბორნი მოაგონა. „წავალ ამ ჩეკს დავახურდავებ, - თქვა გულში მან, - მერე კი საცოდავ პატარა ემისაც შევუვლი“. თუ ამ რომანს გმირი ვაჟკაცი არ გააჩნია, ნება გვიბოძეთ გმირი მანდილოსნით მაინც მოვიწონოთ თავი. საომრად გალაშქრებული ბრიტანეთის მხედრობის არც ერთი კაცი, თვით დიდებული დუკაც არ იქნებოდა უფრო აუშფოთებელი და გონებამოკრებილი სათუო საქმეთა და სიძნელეთა წინაშე, როგორც ადიუტანტის ეს პატარა, დაუდეგარი და შეუპოვარი ცოლი გახლდათ.

კიდევ გვყავს ერთი ნაცნობი, რომელიც ომში არ წასულა, შინ დარჩა და რომლის გრძნობათა და საქციელის ცოდნა აგრეთვე ჩვენი ვალია. ს ჩვენი მეგობარი, ბოგლი-უოლაჰის გადასახადთა ყოფილი ამკრები ბრძანდება, რომლის, ისევე როგორც სხვა ხალხის, განცხრომასაც ბოლო მოუღო დილაადრიან ატეხილმა ბუკ-ნაღარის ხმიანობამ. ძილისა და განსვენების დიდი მოყვარე გახლდათ და მიუხედავად ბრიტანეთის ჯარის მთელი დაფდაფების, ნაღარებისა და სტვირების ქოთქოთისა, შესაძლოა კვლავაც განეგრძო თვლემა, ვიდრე მისი ადგომის ჩვეულებრივი ჟამი არ დადგებოდა, ესე იგი, შუადღე არ მოაწევდა. მაგრამ ხელი შეეშალა; ოღონდ ეს ხელის შეშლა არ ყოფილა ჯორჯ ოსბორნის ბრალი, რომელიც ან ჩვეულებისამებრ თავისი საკუთარი საქმეებით იყო გართული, ან ცოლთან გამოსალმების დარდით და მძინარე

ცოლისძმასთან გამომშვიდობებისათვის არა სცხელოდა; დიახ, ჯორჯი არა ყოფილა ის; ვინც ჯოზ სედლის ძილი დაუფრთხო; ეს გახლდათ კაპიტანი დობინი, რომელიც ესტუმრა, გამოაფხიზლა და არ მოეშვა, სანამ გამგზავრების წინ ხელი არ ჩამოართვა.

- დიდი გულკეთილობაა თქვენის მხრით, - მთქნარებით ჩაიბურტყუნა ჯოზმა და გულში ინატრა, ჯანდაბამდე გზა გქონიაო.

- მე... მე ხომ იცი, არ მინდოდა შენთან გამოუსალმებლად წავსულიყავი, - ძლივძლივობით ბლუკუნებდა დობინი, - რადგან, ხომ იცი, იქნებ ზოგი ჩვენგანი ვეღარც დაბრუნდეს უკან. მე კიდევ მინდა ყველა კარგად მეგულებოდეთ და... და ისე რაღა... ხომ იცი...

- რეებს ამბობ? - ჩაეკითხა ჯოზი და თვალები მოიფშვნიტა.

კაპიტანი სულაც არ უსმენდა და არც ზედ უყურებდა საღამურ ჩაჩიან, სქელ დარბაისელს, რომელსაც ასე ნაზ გრძნობებს ეფიცებოდა. იმ თვალთმაქცს თვალი და ყური გულმოდგინედ მიეპყრო ჯორჯის სამყოფელისათვის: დაალაჯებდა ოთახში, აქცევდა სკამებს, შეწყობილად სცემდა ფეხს, იჭამდა ფრჩხილებს და ამჟღავნებდა დიდი შინაგანი ბორგნეულობის სხვა ნიშნებსაც.

ჯოზი, ცოტა არ იყოს, ყოველთვის მდაბალი აზრისა ბრძანდებოდა კაპიტანზე, ახლა კი ფიქრად მოუვიდა, ამის ვაჟკაცობაც როგორღაც საეჭვო ჩანსო.

- რითი შემიძლია გემსახურო, დობინ? - დამცინავი კილოთი დაეკითხა იგი.

- გეტყვი, რისი თქმაც მინდა, - მიუგო კაპიტანმა და საწოლთან მივიდა. - ჩვენ ამ თხუთმეტ წუთში უნდა გავილაშქროთ, სედლი, და იქნებ ვერც ჯორჯი და ვერც მე ვეღარ დავბრუნდეთ. გახსოვდეს, მანამდე არ უნდა მოიცვალო ფეხი ქალაქიდან, სანამ კარგად არ დაიბეჯითებ ამბავს. აქ უნდა დარჩე, ყური უგდო დას, ანუგეშო და მოუარო, რომ არაფერი დაუშავდეს. ჯორჯს რომ რამე დაემართოს, გახსოვდეს, შენს მეტი მიმხედავი აღარავინა რჩება ქვეყანაზე. თუ ჯარი დამარცხდა, ის შენ უნდა ჩაიყვანო მშვიდობით ინგლისში და სიტყვა უნდა მომცე, რომ არასოდეს არ მიატოვებ; ვიცი, რომ არა: ფული

არასოდეს არ გენანებოდა ხოლმე. ხომ არ გინდა კიდევ? მე მინდოდა მეთქვა, უბედურება რომ მოხდეს, იმდენი ოქრო გექნება რომ ინგლისამდე გეყოს?

- ბატონო ჩემო! - ამაყად ბრძანა ჯოზმა, - როცა ფული მჭირდება, მე ვიცი, ვისაც უნდა მივმართო. ჩემს დას კი, თქვენი თქმა არ მესაჭიროება, როგორ უნდა მოვექცე!

- ვაჟკაცურ სიტყვას ამბობ, ჯოზ, - გულკეთილად უთხრა თანამოსაუბრემ, - და მიხარია, რომ ჯორჯი ასე საიმედო ხელში სტოვებს მეუღლეს. მაშ მე შემიძლია, ხომ შემიძლია, ჯორჯს გადავცე შენი პატიოსანი სიტყვა, რომ უკიდურეს გაჭირვებაშიც არ მიატოვებ მას?

- რასაკვირველია, რასაკვირველია, - კვერი დაუკრა ბატონმა ჯოზმა, რომლის ხელგაშლილობა და სულგრძელობა ფულის საქმეში სრულიად სწორად შეაფასა დობინმა.

- და თუ დავმარცხდით, ხომ მშვიდობით გაარიდებ ბრიუსელს?

- დავმარცხდითო! დალახვროს ღმერთმა, ბატონო ჩემო, ეგ შეუძლებელია! ნუ ცდილობ, გული გამიტეხო მე! - შესძახა ლოგინში მწოლარე გმირმა.

დობინს, როგორც იქნა, გულს მოეშვა, ჯოზმა რომ ასე გამოიდო თავი დისთვის: „ყველაზე უარესიც რომ მოხდეს, ინგლისს მშვიდობით უკან დაბრუნება მაინც უზრუნველყოფილი იქნება მითვისო,“ - ფიქრობდა კაპიტანი.

თუ კაპიტანი დობინი პირად ნუგეშსა და კმაყოფილებას ეძიებდა ემილიასთვის ერთხელ კიდევ თვალის მოკვრით, სანამ ლეგიონი გაილაშქრებდა, მისი თავკერძა განზრახვა სწორედ იმრიგად დაისაჯა, როგორც ასეთ საზარელ მეთავისეობას ეკუთვნოდა. ჯოზის საწოლის კარი მთელი ოჯახისთვის საერთო სასტუმრო ოთახში გადიოდა, ხოლო ამ კარის პირდაპირ თვით ემილიას ოთახი იყო. ბუკების ხმამ ყველა გამოაღვიძა, დასაფარავი ახლა უკვე აღარა იყო რა. ჯორჯის მხლებელი ამ ოთახში ალაგებდა ბარგს, ოსბორნი გადი-გამოდიოდა გვერდით ოთახში და უყრიდა მსახურს იმ ნივთებს, რომელთა ლაშქრობაში წაღება საჭიროდ მიაჩნდა. მალე დობინს ნანატრი სურვილი აუსრულდა: ერთხელ კიდევ მოჰკრა თვალი ემილიას სახეს. მაგრამ რა სხე ჰქონდა! ისე გათეთრებული, ისე გაოგნებული და სასოწარკვეთილი, რომ

მისი მოგონება მას უკან დანაშაულივით სდევნიდა კაპიტანს და ამ სანახაობამ კაეშნისა და სიბრალულის გამოუთქმელი ტკივილები აღუძრა გულში.

დილის თეთრ ხალათში გახვეულ ემილიას თმა მხრებზე ჩამოშლოდა, დიდრონი თვალები კი გაშტერებული და თითქოს უსინათლო ჰქონდა წასვლის სამზადისში ხელის შემწეობისა და თანაც იმის დასამტკიცებლად, რომ იმასაც შეეძლო ასეთ მძიმე მდგომარეობაში შნოს გამოჩენა, ამ საბრალომ კამოდის თავიდან გადმოიღო ჯორჯის სარტყელი, დაიჭირა ხელში, იმიანად დასდევდა კუდში ჯორჯს და ხმაგაკმენდილი უცქეროდა ბარგის ჩალაგებას. მერე გამოვიდა, კედელს მიეყრდნო, ხოლო ეს სარტყელი კი გულში ჩაეხუტებინა, რომლიდანაც მძიმე, ალისფერი ქსოვილი სისხლის ფართე ზოლივით ჩამოშვებოდა ძირს. ჩვენს გულჩვილ კაპიტანს დამნაშავესავით გადაუქანდა გული მის დანახვაზე. „ღმერთო შემიწყალე, - გაიფიქრა მან. - მერედა ამისთანა მწუხარებაში ვბედავდი ჩავჩრილიყავი?“ და შველა კი არსაიდან იყო; არ იპოვებოდა ღონე ამ უმწეო, უსასოო, უენო საცოდაობის გაქარვებისა და ნუგეშისცემისათვის. უილაჯო და სიბრალულით გულჩათუთქული დობინი ერთი წუთით შედგა და ისე დააცქერდა მას, როგორც მშობელი დაჰყურებს ტკივილით შეღონებულ შვილს.

ბოლოს ჯორჯმა მოჰკიდა ხელი ემის, კვლავ უკან, საწოლ ოთახში შეიყვანა და იქიდან მატო გამობრუნდა. სწორედ მაშინ გამოესალმა ცოლ-ქმარი ერთმანეთს და ჯორჯი წავიდა.

„მადლობა ღმერთს, ამასაც რომ მოვრჩი!“ - გაიფიქრა ჯორჯმა, იღლიაში ხმალამოჩრილი კიბეზე რომ ჩარბოდა. და როცა იგი გაჩქარებული მიდიოდა განგაშის ადგილისაკენ, სადაც ლეგიონი იკრიბებოდა და საითკენაც თავიანთი სადგომებიდან ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები, მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ლოყებზე ალისფერი ავარდნოდა: ომის დიდი თამაში იწყებოდა და თვითონ ისიც ხომ ერთი მოთამაშეთაგანი იყო! ეჭვი, იმედის და სიამოვნების რა მძაფრი ვნებანი უტრიალებდა გულში! რა საოცრად საალალბედო იქნებოდა თამაში! რა შესადარებელი იყო ყველა მისი წინანდელი ნათამაშევი ამ თამაშთან? ეს ყმაწვილი კაცი ბალღობიდანვე მთელი თავისი ძალ-ღონით ელტვოდა ყოველგვარ შეჯიბრს, რასაც კი სიმარჯვე და გაბედულება

სჭიროდა. მისი სკოლისა და ლეგიონის ფალავანს მარად თან სდევდა ამხანაგების აღტაცება. შეგირდების კრიკეტის თამაშში შეჯიბრებებიდან საგარნიზონო დოღებამდე უამრავი გამარჯვება მოიპოვა და სადაც არ უნდა წასულიყო, ქალნი და კაცნი ეთაყვანებოდნენ და შურდათ კიდეც მისი. აბა, სხვა რა ღირსებებია ისეთი, რომლებისთვისაც კაცს ისე სასწრაფოდ აჯილდოებდნენ ტაშით, როგორც კარგი თვალტანადობა, უნარიანობა, ვაჟკაცობა და გაბედულებაა? ღონე და შემმართებლობა უხსოვარი დროიდან გახლდათ მგოსანთა და თქმულებათა საგანი და ტროის ამბავიდან დღემდე პოეზია მარად და მარად მეომარს ირჩევდა ხოლმე გმირად. ნეტავი ასე იმიტომ ხომ არ სცემენ თაყვანს მამაცობას, რომ ადამიანები გულში მხდალნი არიან და ჯილდოსა და თაყვანისცემისთვისაც მხედრულ გამბედაობას ყველა სხვა ღირსებაზე განუზომლად მაღლა იმიტომ ხომ არ აყენებენ?

ამგვარად, ბრძოლისაკენ მომწოდებელ იმ ამაფორიაქებელ ხმაზე ჯორჯი გამოუსხლტა ნაზ მკლავებს, რომლებშიც იგი ფუჭად ნებივრობდა და თუმცა ცოლი მხოლოდ სუსტად თუ იკავებდა, მაინც ცოტა ერცხვინებოდა, რომ იგი ასე დიდხანს შეფერხდა იქ. მოუთმენლობისა და აღელვების ასეთივე სულისკვეთება სუფევდა ყველა მის იმ მეგობართა შორის, რომელთაც ოდესმე წავწყდომივართ: დაწყებული უფროსი მაიორიდან, ლეგიონისთვის რომ უნდა ეწინამძღვრა ბრძოლაში, უმცროს ლეიტენანტ პატარა სტაბლამდე, რომელსაც ლეგიონის დროშა უნდა სჭეროდა იმ დღეს ხელში.

მზე სწორედ იწვერებოდა, როცა გზას დაადგნენ. დიდებული სანახავი იყო. რაზმს წინ ორკესტრი მიუძღოდა და ლეგიონის ლაშქრულს უკრავდა. მერე ლეგიონის მეთაური მაიორი მოდიოდა, თავის ზორბა ტაიჭ პირამუსზე ამხედრებული. მერე გრენადერები მოაბიჯებდნენ თავისი კაპიტნის წინამძღოლობით. შუაში დროშები მოექციათ, რომელნიც უფროსსა და უმცროს ლეიტენანტებს მოჰქონდათ. მერე ჯორჯი მოუძღოდა წინ თავის ასეულს. მან აიხედა ზევით, გაუღიმა ემილიას, და თვით მუსიკის ხმაც მისწყდა შორს.

თავი XXXI. ჯოზ სედლი დას უვლის

ყველა უფრო მაღალი ხარისხის მოვალეობის აღსასრულებლად სადღაც სხვაგან რომ გაიწვიეს, ჯოზ სედლიღა დარჩა ბრიუსელის პატარა ახალშენის მეთაურად, რომლის მეციხოვნე ჯარს შეუძლოდ მყოფი ემილია, ბელგიელი მსახური იზიდორი და bonne-ი,[72] ყველაფრის ავან-ჩავანი პირისფარეში, შეადგენდნენ. თუმცა დობინის თავდასხმამ და დილანდელმა ამბებმა სულის მშვიდობა შეუშფოთა და განცხრომა მოუშალა, ჯოზი მაინც ვერ შეელია ლოგინს და სანამ ადგომის ჩვეული დრო არ დაუდგა, ფხიზელი განაგრძობდა შიგ გორაობას. მზე უკვე კარგად იყო შემაღლებული და ჩვენს მამაც მეგობრებსაც, ...ე ლეგიონის მეომრებს, რამდენიმე მილი ჰქონდათ უკან მოტოვებული, როცა ყვავილებით მოხატულ ხალათში გამოწყობილმა მშვიდობის მოყვარულმა მოქალაქემ სასაუზმოდ გამობრძანება ინება.

ჯორჯის ომში წასვლას მისი ცოლისძმა აინუნშიაც არ იგდებდა. ის კი არა, იქნებ უფრო ნასიამოვნებიც იყო გულში, ოსბორნი თვალში რომ აღარ ეჩხირებოდა, რადგან ჯორჯის აქ ყოფნაში მას მხოლოდ და მხოლოდ ბეჩავი მეორე ადგილი თუ ეჭირა შინაურობაში, თან ოსბორნი ოდნავადაც არ იწუხებდა თავს დაეფარა თავისი ზიზღი და აბუჩად აგდება ჩასუქებული, ზორზოხი მოხელის მიმართ. მაგრამ ემი ყოველთვის გულკეთილად და ყურადღებით ეპყრობოდა მას. სწორედ ემი იყო, რომ ანებივრებდა და ხელს უწყობდა მის ფუფუნებაში ყოფნას. ის ამზადებინებდა ჯოზის საყვარელ საჭმელებს, ის დასეირნობდა მასთან ერთად ეტლით (საამისოდ დიდი, ძალიან დიდი თავისუფალი დროცა ჰქონდა, რადგან აბა სად იყო ჯორჯი?) და მისი ტურფა, სათნო სახე იყო, რომ ჩადგებოდა ხოლმე ჯოზის გულისწყრომასა და მისი ქმრის ზიზღს შორის. ბევრჯერაც გამოჰქომაგებია რიდითა და კრძალვით ძმას, მაგრამ ქმარი თავისებური ენამწარეობითა და ტლანქად მოუჭრიდა ხოლმე სიტყვას.

- მე პატიოსანი კაცი გახლავარ, - იტყოდა იგი, - და თუ გულში მაქვს რამე, უნდა გამოვთქვა კიდეც, როგორც პატიოსან კაცს შეჰფერის. რა ეშმაკად მთხოვ, გენაცვალე, მინდა თუ არა პატივისცემით მოვექცე იმისთანა რეგვენს, როგორიც შენი ძმა გდია?

ასე რომ ჯოზი ნასიამოვნებიც ბრძანდებოდა ჯორჯის გასტუმრებით. ბუფეტზე შერჩენილმა ჯორჯის უბრალო ქუდმა და ხელთათმანებმა, აგრეთვე მათი პატრონის შორს მყოფობის ფიქრმა, რაღაც უცნაური ნეტარების ჟრუანტელად დაუარა ტანში. „დღეს დილით კი ვეღარას შემაწუხებს ის ვაჟბატონი თავის ცხვირიბზეკიაობითა და ლირფობით“, - გაივლო გულში ჯოზმა.

- გაიტანე კაპიტნის ქუდი წინა ოთახში, - უბრძანა მან მსახურს, იზიდორს.

- იქნებ აღარც დასჭირდეს, - გამოეპასუხა ლაქია და ცბიერად გადახედა ბატონს. იმასაც სძულდა ჯორჯი, რომელიც ამ ფარეშს წმინდა ინგლისური ამპარტავნობითა და შეურაცხმყოფელი ქედმაღლობით ეპყრობოდა.

- და ჰკითხე ქალბატონს, საუზმისათვის გამობრძანდება თუ არა, - დიდის რიხით დააყოლა ბატონმა სედლიმ და დარცხვენილმა იუკადრისა ლაქიასთან გაეგრძელებინა მუსაიფი ჯორჯისადმი სიძულვილზე. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მას წინათაც მრავალჯერ ულანძღია მხლებლის გასაგონად სიძე.

მაგრამ, აფსუს! ქალბატონს არ შეეძლო სასაუზმოდ გამოსვლა და ბატონი ჯოზის საყვარელი „ტარტინების“ დაჭრა. ქალბატონი ნამეტანი უქეიფოდ ბრძანდებოდა და რაც მეუღლე წაუვიდა, მასუკან საშინელ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, - ასე მოახსენა პირისფარეშმა. ჯოზმა გულშემატკივრობა იმით გამოხატა, რომ ერთი მოზრდილი ფინჯანი ჩაი დაუსხა. გულკეთილობას ასე გამოამჟღავნებდა ხოლმე და კიდეც მიმართა ამას. თან არა მარტო საუზმე გაუგზავნა, არამედ ფიქრსაც შეუდგა, ემის რა მაზამაზა საჭმელები უფრო მოეწონებოდა სადილისათვის.

ფარეში იზიდორი ძალიან ამრეზითა და მოღუშვით უცქეროდა, ოსბორნის მხლებელი როგორ ალაგებდა ბატონის ბარგს კაპიტნის გამგზავრების წინ, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ბატონი ოსბორნი სძულდა, რომელიც მას, და ყველა ხელქვეითსაც, საზოგადოდ, მბრძანებლურად ექცეოდა (არც შეიძლება კონტინენტელ შინამოსამსახურეს ისე კადნიერად მოეპყრო, როგორც ჩვენებურ თვინიერ ფარეშებს ვექცევით). მაგრამ იმაზედაც იყო გაგულისებული, რომ ამდენი

ძვირფასეულობა ეცლებოდა ხელიდან და ვიღაც ოხრები უნდა დაჰპატრონებოდნენ, როცა ინგლისელები დამარცხდებოდნენ. და რომ ნამდვილად დამარცხდებოდნენ, ამას იოტისოდენადაც არ ეჭვობდა ბრიუსელისა და ბელგიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. თითქმის საყოველთაოდ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმპერატორი გააცალკევებდა პრუსიისა და ინგლისის არმიებს, სათითაოდ გაანადგურებდა მათ და სამ დღეში ბრიუსელს მოადგებოდა. მაშინ კი ახლანდელი მისი ბატონების მთელ ავლადიდებას კანონიერად დაეპატრონებოდა ბატონი იზიდორი; თვით ბატონები ხომ, ან დაიხოცებოდნენ, ან გაიქცეოდნენ, ან კიდევ ტყვედ ჩაცვივდებოდნენ.

როცა ჯოზს შველოდა მომქანცავსა და რთულ ყოველდღიურ გამოწყობა-მოპრანჭვაში, ეს ერთგული მსახური თან გულში ანგარიშობდა, რა უნდა ექნა შემდეგ სწორედ იმ ნივთებისათვის, რომლებითაც ახლა ბატონსა რთავდა. სურნელებათა ვერცხლის სურებს და სატუალეტო წვრილ-წვრილ ხელსაწყოებს თავის სატრფო ახალგაზრდა მანდილოსანს მიართმევს; ხოლო ინგლისურ სამართებლებსა და დიდრონ ლალის ქინძისთავს კი თავისთვის დაიტოვებს. იგი ძალიანაც მოუხდება ერთ-ერთ საყელონაოჭიან პერანგს. თანაც თუ ოქროსფერ ბაბთიან ქუდს დაიხურავდა და მოსირმულ ქურთუკს ჩაიცვამდა, რომელიც ადვილად გადაკეთდებოდა მისი ტანისთვის, აგრეთვე კაპიტნის ოქროსთავიან ჯოხს თუ დაიჭერდა და ხელთ თუ იგდებდა ლალებიან, დიდრონ, ორმაგ ბეჭედსაც, რომელიც საუცხოო საყურეებად გადაკეთდებოდა - იზიდორი იმედოვნებდა, სწორედ ნამდვილი ადონისი გავხდებიო და მადმუაზელ რენის გულსაც ადვილად მოვინადირებო. „როგორ მომიხდება ეს მაჯის შესაკვრელი ღილები! - გაიფიქრა მან, როცა მსუქან, ფაფუკ მაჯებზე უკეთებდა მათ ბატონ სედლის. - ძალიან კი მინდა ეს ღილები და კაპიტნის ბრინჯაოს დეზებიანი ჩექმებიც, porbleu![73] ყველას როგორ დააჭყეტინებს თვალებს Allee Verte-ში![74]“.

ამნაირად, სანამ ბატონ იზიდორს ხორციელი თითებით ბატონის ცხვირი ეჭირა და ჯოზის პირისახის ქვემოთა ნაწილს პარსავდა, თავისი ოცნებით, მოსირმულ-მობაბთულ ქურთუკში გამოპრანჭული მადმუაზელ რენითურთ მწვანე ხეივანში დასეირნობდა. ფიქრებში წასული, იგი მიყიალობდა

არხის სანაპიროზე და თვალს ადევნებდა ხეების გრილ ჩრდილში ნელად მიმცურავ კარჭაპებს, ან კიდევ ლეკენის გზაზე ლუდხანაში სკამზე ჩამომჯდარი ყელს ისველებდა ბრიუსელური ლუდით.

მაგრამ ბატონმა ჯოზეფ სედლიმ, საკუთარი სულის მშვიდობისათვის, საბედნიეროდ, ისევე არაფერი იცოდა, რა ფიქრები დარიალებდა შინამოსამსახურის თავში, როგორც ჩვენს პატივცემულ მკითხველს და მე არაფერი გაგვეგება, რას ფიქრობენ ჩვენზე ჯონი ან მერი, რომელთაც ჯამაგირს ვაძლევთ. რას ფიქრობენ ჩვენი მსახურები ჩვენზე!.. ეს კი არა, ჩვენ რომ ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ჩვენი მახლობლები და ძვირფასი ნათესავები ჩვენზე, მაშინ ისე გაგვიმწარდებოდა სიცოცხლე, რომ სიხარულით გამოვესალმებოდით მას და ისეთ სულიერ ყოფასა და მუდმივ ძრწოლაში ჩავცვივდებოდით, რომ ჭეშმარიტად ვერ ავიტანდით. ჯოზის ლაქია ისევე ადებდა ნიშანს თავის მსხვერპლს, როგორც მისტერ პეინტერის რომელიმე თანაშემწე დაგინახავთ ლედენჰოლ-სტრიტში, როცა იგი გუმანის არმქონე კუს წარწერას უკეთებს: „ხვალის საწვნე“.

ემილიას მოახლე გაცილებით ნაკლებ თავკერძა გუნებისა იყო. იშვიათად მოინახებოდა ისეთი მსახური, რომელიც დაახლოებოდა ამ გულკეთილ და სათნო არსებას და გულითადობისა და სიყვარულის ჩვეულებრივი ხარკი არ მიეძღვნა მისი ნაზი, სათუთი და მოსიყვარულე ბუნებისათვის. და ნამდვილი გახლავთ, რომ იმ წყეულ დილას ვინც იხილა ემილია, მზარეულ ქალ პოლინზე უკეთ მაინც ვერავინ მოახერხა ენუგეშებინა ქალბატონი, რადგან, როცა მან შეამჩნია მდუმარე, უძრავი და ღონემიხდილი ემილია საათების განმავლობაში როგორ არ მოშორებია იმ ფანჯარას, საიდანაც გააყოლა თვალი გალაშქრებული რაზმის უკანასკნელ ხიშტებს, პატიოსანმა გოგომ ხელი ხელში მოჰკიდა ქალბატონს და უთხრა: - Tenez, madame, est-ce qu’il n’est pas aussi a l’armee, mon homme a moi?[75] - ამ სიტყვების თქმაზე ტირილი წასკდა. ემილიაც მაშინათვე გულში ჩაეკრა, იმასაც ასევე დაემართა და ორივემ ერთმანეთი შეიბრალა და ანუგეშა კიდეც.

ნაშუადღევს ბატონი ჯოზის იზიდორი ბინიდან არა ერთხელ გავიდა ქალაქში ინგლისელებით გავსილი სასტუმროებისა და პარკის გარშემო მდებარე სახლების ალაყაფის კარებთან.

გაერია სხვა მხლებლებსა, შიკრიკებსა და ლაქიებში. მოაგროვა ყველა ყურმოკრული ჭორი და მართალი და მოახსენა თავის ბატონს. თითქმის ყველა ეს ვაჟბატონი გულში იმპერატორის მომხრე ბრძანდებოდა და ფიქრობდნენ, ომი მალე დასრულდებაო. იმპერატორის ავენში გამოშვებული მოწოდება ყველგან უხვად მოებნიათ ბრიუსელში.

„ჯარისკაცნო! - ეწერა მასში. - ეს არის წლისთავები მარენგოსი და ფრიდლანდისა, რომელთაც ორჯერ გადასწყვიტეს ევროპის ბედ-იღბალი. მაშინ, ისევე როგორც აუსტერლიცისა და ვაგრამის შემდეგაც, ჩვენ მეტისმეტი დიდსულოვნება გამოვიჩინეთ. ჩვენ დავუჯერეთ ხელმწიფეთა ფიცსა და აღთქმებს და არ ჩამოვყარეთ ისინი ტახტებიდან. მოდით ერთხელ კიდევ გავილაშქროთ მათზე! ჩვენ და ისინი განა კვლავ იგივე ხალხი არა ვართ? ჯარისკაცნო! სწორედ ეს პრუსიელები, რომელნიც დღეს ასე გათავხედებულან, სამი ერთზე მოდიოდა იენასთან, ხოლო ექვსი ერთზე - მონმირაილთან. რომელი თქვენთაგანიც ტყვედ მოხვდა ინგლისში, ეტყვის ამხანაგებს, რა საზარელი ტანჯვა განიცადეს მათ ინგლისის დაძველებულ საკატორღო გემებზე. უგუნურნი! წუთიერმა წარმატებამ დააბრმავა ისინი და თუ შემოდგეს ფეხი საფრანგეთში, სამარესაც აქ გაითხრიან!“

მაგრამ ფრანგების მომხრენი ამაზე კიდევ უფრო სწრაფად მოსპობას უწინასწარმეტყველებდნენ იმპერატორის მტრებს და ყველა დარწმუნებული იყო, რომ პრუსიელები და ბრიტანელები თუ დაბრუნდებოდნენ, დაბრუნდებოდნენ, როგორც ძლევამოსილი ჯარის კუდში მოჩანჩალე ტყვენი.

ეს მოსაზრებანი მთელი დღის განმავლობაში მოჰქონდა მსახურს ბატონ სედლის გუნებაზე გავლენის მოსახდენად. მას მოახსენეს, დუკა უელინგტონი წავიდა, რომ სცადოს და კვლავ თავი მოუყაროს მხედრობას, რომლის მოწინავე ჯარი წინაღამეს სრულიად განადგურდაო.

- ფიე, განადგურდა კი არა! - ბრძანა ჯოზმა, რომელიც ნამეტანი გულადად გრძნობდა თავს საუზმობისას. - დუკა წავიდა იმპერატორის დასამარცხებლად, როგორც წინათ იმის სარდლებსაც დაიფრენდა ხოლმე!

- მისი საბუთები დაწვეს, ქონება გაიტანეს და ბინა დალმაციის დუკასთვის მოამზადეს, - მიუგო ჯოზის მოამბემ. - ამას

სწორედ მისი maitre d’hotel-ი[76] მელაპარაკა. მილორდ დუკა რიჩმონდის ხალხი ყველაფერს ალაგებს და ჰკრავს. მისი ბრწყინვალება უკვე გაიქცა კიდეც, დუკას მეუღლე კი მხოლოდ ვერცხლეულის ჩაწყობასღა უცდის, რომ საფრანგეთის მეფეს ოსტენდს დაეწიოს!

- საფრანგეთის მეფე გენტშია, ბიჭო, - დაეჭვებით უპასუხა ჯოზმა.

- გუშინ ღამეს ბრიუგეს გაიქცა და დღეს კი ოსტენდს ჩაჯდება გემში. ბერრის დუკა ტყვედ ჩავარდა. ვისაც თავის გადარჩენა უნდა, ურჩევნია მალე წავიდეს, რადგან ხვალ ჯებირებს გახსნიან და მაშინ აბა ვინღა მოახერხებს გაქცევას, როცა მთელი ქვეყანა წყალქვეშ მოექცევა?

- მიჰქარავ, ვაჟბატონო! ჩვენ სამი ერთზე მოვდივართ, ბატონო ჩემო, თუნდაც ბონიმ, რაც კი სადმე ჯერი ჰყავს, ყველანი ბრძოლის ველზე გამოიყვანოს, - შეეკამათა ბატონი სედლი. - ავსტრიელები და რუსები გზაში არიან. იგი უნდა დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც! - დასცა ხელი მაგიდას და შესძახა ჯოზმა.

- პრუსიელები ერთზე სამი მოდიოდა იენასთან და მათ ჯარსა და არმიას ერთ კვირაში მოუღო ბოლო. მონმირაილთან კი ერთზე ექვსი იყო და სულ ცხვრებივით მიმოფანტა. მართალია ავსტრიის ჯარი მოდის, მაგრამ წინ დედოფალი და რომის მეფე მოუძღვის. რუსები ხომ, რაღა! რუსები უკან დაიხევენ. ინგლისელებს არ დაზოგავენ, ჩვენს მამაცებს სასტიკად რომ ეპყრობოდნენ საზიზღარ საკატორღო გემებზე. შეხედეთ, აი, შავით თეთრზე წერია. აი, მისი უდიდებულესობის იმპერატორისა და მეფის მოწოდება! - მიახალა ახლა კი ნაპოლეონის აშკარა ქომაგმა. მერე ამოიღო ჯიბიდან ეს ქაღალდი იზიდორმა, პირქუშად მიათხლიშა სახეში ბატონს და მოსირმულ ქურთუკსა და ძვირფასეულობას უკვე ისე გადაავლო თვალი, როგორც საკუთარ ნადავლს.

ჯოზი ჯერ კიდევ დიდად თუ არ იყო შეშფოთებული, გვარიანად მაინც შეაფიქრიანა ამ ამბავმა.

- მომიტანე ქურთუკი და ქუდი, ყმაწვილო, და თანაც გამომყე! - უბრძანა მან. - მე თვითონ წავალ და გავიგებ, რაცა სთქვი, მართალია თუ არა.

იზიდორი გულზე გასკდა, ჯოზი მოსირმული ქურთუკის ჩაცმას რომ შეუდგა.

- ბატონო, გირჩევნიათ ნუ ჩაიცვამთ მაგ მხედრულ ქურთუკს, - მოახსენა მან. - ფრანგები შეიფიცნენ, არც ერთი ინგლისელი ჯარისკაცი არ დავინდოთო.

- შენ ემანდ ხმა გაკმინდე! - დასჭყივლა ჯერ კიდევ მხნე ჯოზმა და უჯიათი სიმტკიცით გაუყარა ხელი სახელოში.

სწორედ ამ გმირული ჯაფის აღსრულებაში გახლდათ გართული, რომ შემოუსწრო მას როუდონ კროულის მეუღლემ, რომელიც ახლა მოსულიყო ემილიას სანახავად და ზარის დაურეკავად გამოევლო წინა ოთახის კარი.

რებეკას ჩვეულებისამებრ ძალიან კოხტად და ლაზათიანად ეცვა. როუდონის გამგზავრების შემდეგ წყნარმა ძილმა გაახალისა იგი და მისი ვარდისფერი, მოღიმარი ღაწვები სწორედ საამური დასანახავი იყო ქალაქში ამ დღეს, როცა ყველა სხვა სახეზე უღრმესი შეშფოთებისა და დაღონების ბეჭედი დასტყობოდა. მას გაეცინა, ჯოზის ყოფა რომ იხილა და ის გაწამაწია და მტკივნეული კრუნჩხვანი, რომლითაც ზორზოხი, ჩასუქებული მოსირმული ქურთუკის როგორმე ჩაცმას ცდილობდა.

- განა თქვენც ომში წასვლას აპირებთ, ბატონო ჯოზეფ? - იკითხა მან. - ნუთუ აღარავინ უნდა დარჩეს ბრიუსელში ჩვენ, საცოდავი ქალების, მფარველად?

ჯოზმა დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, წამოიცვა ქურთუკი, გაჭარხლებული წამოდგა წინ და ბურტყუნით ბოდიშის მოხდას შეუდგა მშვენიერი სტუმრის წინაშე, თანაც მოიკითხა, როგორ ბრძანდებოდა იგი დილანდელი ამბების შემდეგ... აგრეთვე წუხანდელი წვეულების ქანცმიხდილობის შემდეგ.

ბატონი იზიდორი ამასობაში იქვე, ბატონის საწოლ ოთახში გავიდა და ყვავილებიანი ხალათი გაიტანა.

- რა გულკეთილი ბრძანდებით, ამას რომ კითხულობთ, - მიუგო რებეკამ და ორივე ხელში ჯოზის ცალი ხელი ჩაბღუჯა. - თქვენ რა აუღელვებელი და მტკიცე გამომეტყველება გაქვთ, მაშინ როცა ყველა ასე თავზარდაცემულია! როგორ არის ჩვენი

ძვირფასი პატარა ემი? ალბათ საშინელი, საშინელი გამოსალმება ექნებოდათ!

- საზარელი! - კვერი დაუკრა ჯოზმა.

- თქვენ მამაკაცები ყველაფერს იტანთ, - განაგრძო მანდილოსანმა. - განშორება და ხიფათი თქვენთვის არაფერია. აღიარეთ, რომ თქვენც ომში წასვლას და ჩვენს ბედის ანაბრად დაყრას აპირებდით! ვიცი, წასვლას აპირებდით!.. რაღაც გული მითქვამს, აპირებდით! მე ისე შემეშინდა, როცა თავში ამ ფიქრმა გამიელვა (რადგან ხანდახან მარტოობაში მომაგონდებით ხოლმე თქვენ, ბატონო ჯოზეფ!), რომ მაშინვე დავკარი ფეხი და გამოვეშურე, რათა თქვენთვის მეთხოვა და დამეჩოქა, არ გაქცეულიყავით!

ეს ნათქვამი ასე შეიძლება ითარგმნოს: „ჩემო ძვირფასო ვაჟბატონო, თუ რამე უბედურება დაემართა მხედრობას და გაქცევა აუცილებელი შეიქნა, თქვენ საუცხოო ეტლი მოგეპოვებათ და იმედი მაქვს, შიგ ადგილსაც შემომინახავთ“. არ ვიცი, ჯოზი მიხვდა თუ არა ნალაპარაკევის ამ აზრს, მაგრამ ფრიად შეურაცხყოფილად და დამდაბლებულად კი გრძნობდა თავს ამ მანდილოსნის უყურადღებობით ბრიუსელს ყოფნის განმავლობაში. ჯოზი არასოდეს წარუდგენიათ როუდონ კროულის რომელიმე წარჩინებული ნაცნობისათვის. თითქმის რებეკას მცირე წვეულებებშიც არ ეპატიჟებოდნენ, რადგან თამაშში ბევრი ფულის დადებას ვერა ბედავდა, თანაც მისი იქ ყოფნა თანაბრად ეჯავრებოდა ჯორჯსაც და როუდონსაც, რომელთაგან, მგონი, არც ერთს არ ეჭაშნიკებოდა თავიანთ არჩეულ დროსტარებაში ვინმე მოწმე ჰყოლოდათ.

„ოჰო! - გაიფიქრა ჯოზმა, - ახლა, როცა დავჭირდი, მაშინ კი მომნახა. გარშემო ყველა რომ შემოეფანტა, მაშინღა მოაგონდა საწყალი ჯოზეფ სედლი!“

მაგრამ ამ ეჭვის გარდა, ჯოზს ეამებოდა და გულში უხიცინებდა, რებეკამ მისი გულადობა რომ შეაქო. იგი გვარიანად აილეწა, გაიფუყა და თავი მოიწონა.

- მინდა ომი ვნახო! - ბრძანა მან. - მოგეხსენებათ, რომ ეს ყველა ვაჟკაცს უნდა. ცოტაოდენი რამ ინდოეთშიაც მინახავს, მაგრამ ასე დიდს კი არ შევსწრებივარ.

- თქვენ, კაცები, ყველაფერს შესწირავთ სიამოვნებას, - მიუგო

რებეკამ. - კაპიტანი კროული ისე მხიარულად გამომესალმა ამ დილით, თითქოს სანადიროდ მიდისო. რა ენაღვლება? თქვენ რა გენაღვლებათ საბრალო, მიტოვებული ქალის ტანჯვა-წამება! (ნეტავი თუ მართლა გაბედავდა ბრძოლის ველზე წასვლას ეს დონდლო, გაბერილი ღორმუცელა?) ოჰ, ძვირფასო ბატონო სედლი, მე თქვენთან გამხნევებისთვის, ნუგეშისთვის მოვედი. მთელ დილას სულ მუხლმოყრილი ვიდექი. პირდაპირ შიშით ვკანკალებ, რომ მომაგონდება, რა საზარელ ხიფათში არიან ჩაცვივნულნი ჩვენი ქმრები, მეგობრები, ჩვენი მამაცი ჯარი და მოკავშირენი. და მე თავშესაფრის საძებნად მოვედი, აქ კი ვხედავ ჩემი მეგობარიც, ერთადერთი შემორჩენილი მეგობარიც, აპირებს ამ შემაძრწუნებელ ალიაქოთში გადაერიოს!

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - უთხრა ჯოზმა, რომელსაც ახლა უკვე სრულიად უშიშმინდებოდა გული. - ნუ შეშფოთდებით. მხოლოდ ის მოგახსენეთ, რომ წასვლა მინდა-მეთქი და განა რომელ ბრიტანელს არ ენდომება? მაგრამ ჩემი მოვალეობა მიჭერს აქ - არ შემიძლია ის საცოდავი ადამიანი მივატოვო, მეორე ოთახში რომ მყავს! - და თითით ანიშნა ემილიას ოთახის კარზე.

- ოჰ, გულკეთილო და დიდსულოვანო ძმაო! - შესძახა რებეკამ: თან ცხვირსახოცი თვალებზე მიიფარა და ოდეკოლონის ყნოსვას შეუდგა, რომლის სუნითაც გაჟღენთილი იყო იგი. - თქვენი ფასი არ მცოდნია: თურმე გულიანი ადამიანი ყოფილხართ, მე კი უგულო მეგონეთ.

- ოჰ, სინდისს გეფიცებით! - შეჰღრიალა ჯოზმა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ხსენებულ ორგანოზე ხელის დადება უნდაო. - თქვენ ვერ მაფასებთ, მართლაც რომ ვერ მაფასებთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო კროული!

- ახლა კი ვხედავ, რომ თქვენი დის ერთგული ბრძანდებით; მაგრამ აბა, მოიგონეთ, ორი წლის წინათ მაგ თქვენმა გულმა მე როგორ მიღალატა! - მიუგო რებეკამ, ერთი წუთით დააშტერა თვალები და შემდეგ ფანჯარაში გაიხედა.

ჯოზი უზომოდ გაწითლდა. იმ ორგანომ, რომლის უქონლობასაც რებეკა სწამებდა, გაშმაგებით დაუწყო დაგადუგი. მოაგონდა ის დღენი, როცა იგი გაექცა რებეკას და ის ვნება, რომელიც ერთ დროს ცეცხლად მოედო გულზე; ის

დღენი, როცა თავის ორთვლიანი ეტლით დაასეირნებდა; როცა იგი მწვანე ქისას უქსოვდა, თვითონ ჯოზი კი მოჯადოებული იჯდა და შეჰყურებდა თეთრ ხელებსა და მბზინვარე თვალებში.

- ვიცი, უმადურო გგონივართ, - განაგრძო რებეკამ. ფანჯარას მოშორდა, ერთხელ კიდევ გადახედა ჯოზს და დაბალი, აკანკალებული ხმით მიმართა, - თქვენი გულგრილობა, თქვენი ალმაცერი გადმოხედვა, თქვენი ქცევა, ბოლო ხანებში რომ ვხვდებოდით ერთმანეთს; თუნდაც სწორედ ახლა, აქაც რომ შემოვედი - ყველაფერი ამას მიდასტურებს. მაგრამ განა მიზეზი არა მქონდა მოგრიდებოდით? დაე, თქვენმა საკუთარმა გულმა გაგცეთ პასუხი მაგაზე. თქვენა გგონიათ ჩემს ქმარს ძალიან ესიამოვნებოდა თქვენი სტუმრობა? ავი სიტყვით მხოლოდ თქვენი გულისთვის თუ მოუმართავს ჩემს მეუღლეს (ეს სიმართლე კი უნდა ვაღიარო კაპიტან კროულისათვის) და მერე მეტისმეტად მწარე, მწარე სიტყვები კი მაკადრა.

- უფალო შემიწყალე! განა რა ჩავიდინე, ეგეთი? - იკითხა სიამოვნებითა და დაბნეულობით აფორიაქებულმა ჯოზმა. - განა რა გიქენით მე თ-თ-თქვენ?

- ეჭვიანობა არაფერია? - მოახსენა რებეკამ. - პირდაპირ სიცოცხლეს მიმწარებს თქვენი გულისათვის, და რაც არ უნდა ყოფილიყო ერთხელ ოდესმე, ჩემი გული მაინც სულ იმას ეკუთვნის. მე რა დამნაშავე ვარ ახლა. განა დამნაშავე ვარ, ბატონო სედლი?

თავისი ეშხიანობის მსხვერპლის ჭვრეტაზე ჯოზს სულ სიამით აუჩუხჩუხდა სისხლი. ორიოდე ტკბილი სიტყვა, თვალის ერთი-ორჯერ ალერსიანი, ნიშანდობლივი გადავლება და კვლავ მოედო მის გულს ძველებური ალი, ეჭვიანობა და ყოყმანი კი გაუქარწყლდა. განა თვით მეფე სოლომონის დროიდან მოყოლებული ამაზე უფრო ბრძენი მამაკაცებიც არ მოუღორებია და გაუსულელებია დიაცებს? „სულ უარესი ამბავიც რომ მოხდეს, - ფიქრობდა ბეკი, - ჩემი გაქცევა უზრუნველყოფილია, ამის ეტლში მარჯვენა მხრის ადგილი სწორედ ჩემი იქნება!“

არ ვიცით აბორგებული ვნებანი სიყვარულის და ერთგულების რა აღთქმებს აღმოატევებინებდა ბატონ ჯოზეფს, რომ სწორედ ამ დროს ფარეში იზიდორი კვლავ არ გამოჩენილიყო და

შინაობაში საქმიან ფაცაფუცს არ შესდგომოდა. ჯოზი ის-ის იყო აპირებდა წამოეროშა გულისნადები და იძულებული რომ გახდა თავი შეეკავებინა, გრძნობამორეულობისაგან კინაღამ დაიხრჩო. რებეკამაც გაიფიქრა გულში, ახლა კი დროა შევიდე და ჩემი უძვირფასესი ემილია ვანუგეშოო.

- Au revoir[77], - უთხრა ბატონ ჯოზეფს, გამოსალმების ნიშნად ჰაეროვანი კოცნა უძღვნა და მერე ფრთხილად მიუკაკუნა მისი დის კარს.

როცა რებეკა გავიდა და კარი გაიხურა, ჯოზი დაეშვა სკამზე და მოჰყვა თვალების აქეთ-იქით ფეთებასა და გულამოსკვნილ ოხვრა-ხვნეშას.

- ეგ ქურთუკი ნამეტანი შემოჭერილი გაქვთ, მილორდ, - მოახსენა იზიდორმა, რომელსაც კიდევ ვერ მოეშორებინა თვალი ამოსირმული ღილკილოებისთვის.

მაგრამ ბატონს არ ესმოდა ლაპარაკი. მისი ფიქრები სხვაგან სადღაც ჰქროდა: ხან ალმური ედებოდა და ხელდებოდა მომხიბლავი რებეკას მოგონებაზე, ხან ცოდვილივით კრთოდა ეჭვიანი როუდონ კროულის სახის, მისი დაგრეხილი, შემაშინებელი ულვაშებისა და გატენილი, ჩახმახზე შეყენებული, თავზარდამცემი სადუელო დამბაჩების წარმოდგენაზე.

რებეკას დანახვაზე ძრწოლამ აიტანა ემილია და იგი უკან მიაწყდა. ამან მოაგონა ცხოვრება და გუშინდელი დღე. ხვალისთვის ზრუნვამ და დამჯაბნავმა შიშმა გადაავიწყა რებეკა ეჭვიანობა, ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ქმარი წაუვიდა და საფრთხეში იყო ჩავარდნილი. ვიდრე წუთისოფლის ამ შეუპოვარმა სტუმარმა ფეხი არ შემოდგა, თილისმა არ დაარღვია და ურდული არ გახსნა, ჩვენც აგრეთვე თავს ვიკავებდით და არ შევდიოდით ამ ნაღვლიან სენაკში. რამდენ ხანს ადგა ეს საბრალო გოგონა მუხლმოყრილი! უტყვი ლოცვა-ვედრებისა და მძიმე კაეშნის რა საათები გაატარა იქ? ბრძოლებისა და გამარჯვებების ბრწყინვალე თხრობათა აღმწერი ომის მემატიანენი ძნელად თუ გაიმეტებენ ამეებისათვის სიტყვას. ესენი ფუყე, დიდრაჯული სანახაობის მხოლოდ უმდაბლესი და უმნიშვნელო ნაწილაკებია და გამარჯვების დიდებული ჰიმნის გუგუნსა და აღტაცებულ ზეიმში აღარ გვესმის ქვრივთა და დედათა ქვითინი. მაინც აბა

როდისა ყოფილა ისეთი დრო, რომ ამათ, ამ სასოწარკვეთილ, ბეჩავ მოჩივართ, რომელთა ხმაც გამარჯვების ღრიანცელში შთაინთქმება, არ ეტიროთ!

ელდანაცემობის პირველი წუთების გავლის შემდგომ, როცა რებეკას მწვნე თვალებმა მიაშუქა და შემოსული მანდილოსანი ახალთახალი აბრეშუმის შარიშურითა და თვალისმომჭრელი სამკაულების წკარუნის მკლავებგაშლილი მიცქრიალდა გულში ჩასაკონებლად, ემილიას უკვე რისხვის გრძნობამ სძლია. აქამდე მკვდრის ფერი რომ ჰქონდა, ახლა ალმური ავარდა სახეზე და რებეკას თვალების ჟუჟუნს მცირე ხნით შეკრთომის მერე ისეთი მტკიცე შეხედვით უპასუხა, რომ გააოცა და თითქოს კიდეც დააბნია მეტოქე.

- ძვირფასო ემილია, შენ ძალიან ავადა ხარ! - უთხრა მნახველმა და ხელი გაუწოდა. - რა დაგემართა? მანამ ვერ მოვისვენებ, სანამ არ გავიგებ რა მოგივიდა!

ემილიამ თავისი ხელი მოარიდა: მთელი მის სიცოცხლეში, ამ თვინიერ, სათნო არსებას, კეთილმოსურნეობისა და სიყვარულის მაჩვენებელი რა სახეც არ უნდა შეხვედროდა, ჯერ არასოდეს გამოუჩენია უნდობლობა და არც უპასუხოდ დაუტოვებია; მაგრამ ახლა კი ხელი მოარიდა და სულ კანკალმაც აიტანა.

- რამ მოგიყვანა აქ, რებეკა? - ჰკითხა მან. თან კვლავ ამაყად შესცქეროდა და თავის დიდრონ თვალებს არ აშორებდა.

ამ ცქერამ შეაშფოთა სტუმარი. „ალბათ შეამჩნია, წუხელ მისმა ქმარმა ბარათი რომ გადმომცა წვეულებაში“, - გაუელვა თავში რებეკას.

- ნუ ღელავ, გენაცვალე, ემილია, - უთხრა და თვალები ძირს დახარა. - მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ მენახა, თუ რამე შემეძლო... თუ კარგად იყავი...

- შენ კარგად ხარ? - მიუგო ემილიამ. - მე მგონი, რომ ხარ. შენ არც გიყვარს ქმარი! რომ გყვარებოდა, აქაც არ მოხვიდოდი. მითხარი, რებეკა, მე შენთვის სიკეთის გარდა ოდესმე რამე გამიკეთებია?

- რასაკვირველია, არა, ემილია. - უპასუხა კვლავ თავჩაქინდრულმა რებეკამ.

- შენ რომ სულ ღარიბი იყავი, ვინა გმეგობრობდა? განა დობას არ გიწევდი? ჩვენ ყველა გინახავართ უფრო ბედნიერ დროს, სანამ იგი ცოლად შემირთავდა. მაშინ მე ვიყავი მისი სული და გული; თორემ განა შეელეოდა მთელ თავის სიმდიდრეს, ოჯახს, როგორც მან კეთილშობილურად ჩაიდინა ჩემს გასაბედნიერებლად? რატომ ჩადექი ჩემსა და ჩემს სიყვარულს შორის? ვინ მოგავლინა იმათ განსაშორებლად, ვინც ღმერთმა შეაკავშირა, და ჩემი თვალისჩინის, ჩემი საკუთარი მეუღლის გულის მოსატაცებლად? შენა გგონია ჩემსავით სიყვარული შეგიძლია? მისი სიყვარული ჩემთვის ყველაფერი იყო! შენ ეს იცოდი და მისი წართმევა მოინდომე. გრცხვენოდეს, რებეკა, ავო და ბოროტო ქალო!.. მუხანათო მეგობარო და მუხანათო ცოლო!

- ემილია, ღმერთს გეფიცები, ჩემი ქმრისთვის არა დამიშავებია რა! - უთხრა რებეკამ და პირი მოარიდა.

- მე არაფერი დამიშავე, რებეკა? ვერ მიაღწიე, მაგრამ ცდით კი სცადე! შენ გულსა ჰკითხე, თუ ტყუილს ვამბობ!

„არაფერიც არ იცის“, - გაიფიქრა რებეკამ.

- იგი ისევ მე დამიბრუნდა. ვიცოდი კიდეც, რომ დამიბრუნდებოდა! ვიცოდი, რომ ვერანაირი გველაძუობა და მზაკვრობა დიდი ხნით ვერ მომაშორებდა. ვიცოდი, რომ დამიბრუნდებოდა! ღმერთსაც ამას ვევედრებოდი, რომ დამბრუნებოდა! - ამ სიტყვებს საბრალო გოგო ისეთი აღგზნებითა და სხაპასხუპით ისროდა, რომ რებეკას წინათ არასოდეს ენახა იგი ასეთ ყოფაში და სულ ენა ჩაუვარდა.

- მაგრამ ნეტა რა დაგიშავე ისეთი, რომ ცდილობდი, ჩემთვის წაგერთმია? - განაგრძობდა იგი უფრო შესაბრალისი კილოთი. - მხოლოდ ექვს კვირას თუ მყავდა. ჯერ მაინც დაგეცლია, რებეკა! და მაინც, ჩვენი ჯვრისწერის პირველ დღეებშივე გამოჩნდი და მომიშხამე ბედნიერება. ახლა ჩემი ჯორჯი აქ აღარ არის და იქნებ იმიტომაც მოხვედი, რომ დასტკბე ჩემი უბედურებით? ამ ორ კვირას საკმარისად მაწამე, დღევანდელ დღეს მაინც შეგბრალებოდი!

- მე... მე წინათ აქ არასოდეს არ მოვსულვარ, - ჩაურთო რებეკამ და ამით სამწუხარო ჭეშმარიტება აღიარა.

- არა, არც მოსულხარ. თვითონ ის მიგყავდა შენთან. იქნებ

ახლაც მის წასაყვანად მობრძანდი? - უფრო და უფრო გაგულისებული განაგრძობდა ემილია. - აქ იყო, მაგრამ ახლა წასული გახლავს. აგე, სწორედ იმ ტახტზე იჯდა. არ მიეკარო! ჩვენ ვისხედით მანდ და ემუსაიფებოდით. მე მუხლებზე ვუჯექი, მკლავები მის ყელზე ჰქონდა შემოჭდობილი და „მამაო ჩვენოს“ ვამბობდით. დიახ, აქ იყო, მაგრამ მოვიდნენ და წამართვეს. დამპირდა კი, დავბრუნდებიო!

- დაბრუნდება, დაბრუნდება, გენაცვალე, - ანუგეშა თავისდაუნებურად გულაჩუყებულმა რებეკამ.

- შეხე, აი მისი სარტყელი, - ეუბნებოდა ემილია. - ხომ კარგი ფერია?

მერე მოჰკიდა ხელი მის ფოჩს და აკოცა. ადრე უკვე წელზედაც შემოერტყა იგი. მას თითქოს გადაავიწყდა თავის გულისწყრომა, ეჭვიანობა და თვით მეტოქის იქ ყოფნაც, რადგან მდუმარე და თითქმის პირზე ღიმმომდგარი გაემართა საწოლისკენ და შეუდგა ჯორჯის ბალიშის სწორებას.

რებეკაც ხმაამოუღებლად გავიდა გარეთ.

- როგორ არის ემილია? - ჰკითხა ჯოზმა, რომელიც კვლავ წინანდებურად ესვენა სკამზე.

- ვინმე უნდა დაადგეს თავს, - უთხრა რებეკამ. - მე მგონი, ძალიან ავად არის! - და მეტად ჩაფიქრებული წავიდა: ბატონ სედლის კი უარი მოახსენა ხვეწნა-მუდარაზე, დარჩით და მიირთვით ადრიანი სადილი, უკვე ნაბრძანები მაქვს და მოგვართმევენო.

რებეკა ბუნებით გულკეთილი და თავაზიანი ქალი იყო და ემილია იქნებ ცოტა უყვარდა კიდეც. თვით მისი მკაცრი ლაპარაკი, თუნდაც ასე სასაყვედურო, ქათინაურებივით ესმოდა, როგორც გულმოკლული დამარცხებულის გმინვა. პარკში ქალბატონ ო’ დაუდს შეხვდა, რომელიც სრულიად ვერ ენუგეშებინა დეკანოზის ქადაგებებს და ძალიან აფორიაქებული დააბიჯებდა იქ. რებეკა მიესალმა და ამით, ცოტა არ იყოს, გააოცა მაიორის მეუღლე, რადგან ქალბატონ კროულის მხრით ასეთ თავაზიანობას ჩვეული არ გახლდათ. რებეკამ აცნობა, საბრალო პატარა ქალბატონი ოსბორნი სასოწარკვეთილია და მწუხარებისგან თითქმის გადარეულიო და გულკეთილი ირლანდიელი დედაკაცი პირდაპირ გაგზავნა,

იქნებ როგორმე ანუგეშო თქვენი საყვარელი ყმაწვილი ქალიო.

- მე ჩემი საკუთარი დარდიც მყოფნის, - პირქუშად ბრძანა ქალბატონმა ო’ დაუდმა, - თან კიდევ მეგონა, საცოდავ ემილიას დღეს მაინცდამაინც არცთუ ეპიტნავებოდა სტუმრიანობა, მაგრამ თუ ეგრე ცუდად არის, როგორც ამბობთ, და თქვენ კი, რომელსაც ამე გიყვარდათ, არ შეგიძლიათ მოუაროთ, მართლა მეც ვნახო, იქნებ რამეს გამოვადგე, აბა, მაშ მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! - ამ სიტყვებითა და თავის ქნევით, ზანზალაკიანი საათის პატრონი მანდილოსანი გამოესალმა ქალბატონ კროულის, რომლის საზოგადოება სულაც არა ხიბლავდა.

პირზე ღიმმომდგარმა ბეკიმ თვალი გააყოლა მტკიცე ნაბიჯით მიმავალ ქალბატონს. იუმორის გრძნობა მეტად გამახვილებული ჰქონდა და ქალბატონ ო’ დაუდის მხარუკუღმა ნასროლმა პართიულმა გამოხედვამ ქალბატონ კროულის თითქმის გაუქარვა ჭმუნვარება.

„უმდაბლეს სალამს გიძღვნით, ჩემო მშვენიერო ქალბატონო, და მოხარული გახლავართ, რომ ასე მხნესა გხედავთ, - ფიქრობდა გულში პეგი. - აბა თქვენ კი არ დაითხრით თვალებს ტირილით, აი!“ - და ამ ფიქრებში გართული აჩქარებით განაგრძობდა გზას ქალბატონ ოსბორნის სახლისაკენ.

მწუხარებისაგან თითქმის გაგიჟებული საბრალო ქალი კვლავ იმ საწოლთან იდგა, სადაც რებეკამ დატოვა. მაიორის მეუღლემ, უფრო მტკიცე ბუნების დიაცმა, გულითა და სულით მოიწადინა გაემხნევებინა ახალგაზრდა მეგობარი.

- გული უნდა გაიმაგრო, გენაცვა, ემილია, - ალერსით უთხრა მან. - განა ავადმყოფი უნდა დახვდე, გამარჯვების შემდეგ კაცს რომ გამოგიგზავნის ჯორჯი? მარტო შენ ერთის ბედი არ არის დღეს ღვთის ხელში!

- ეგ კი ვიცი, მაგრამ რა ვქნა, რომ ძალიან ბოროტი და ძალიან უნიათო ვარ, - მიუგო ემილიამ.

იგი საკმაოდ კარგად გრძნობდა თავის უნიათობას, მაგრამ უფრო გულოვანი მეგობრის გვერდით ყოლამ მაინც გაამხნევა და ამ ამხანაგის ფრთის ქვეშ მოიკეთა. ამ ყოფაში იყვნენ ორ საათამდე, მათი გულები მოლაშქრე ჯართან იყო, რომელიც კიდევ უფრო შორს და შორს მიიწევდა. ზარდამცემი ეჭვი და

ნაღველი,, ვედრებანი, ძრწოლა და გამოუთქმელი კაეშანი თან სდევდა რაზმს. ეს გახლდათ დიაცთა ხარკი ომისადმი. იგი თანაბრად ადებს ხარაჯას ორთავეს: ვაჟკაცებს სისხლს ართმევს, ხოლო დიაცებს - ცრემლს.

სამის ნახევარზე ყოველდღიური, მაგრამ ჯოზეფისათვის მაინც დიდი მნიშვნელობის ამბავი მოხდა: სადილობის დრო დადგა. მეომრებმა დაე იომონ და გაწყდნენ. მაგრამ მან კი სადილი უნდა მიირთვას! იგი შევიდა ემილიას სანახავად, თანაც სურდა ჭამაზე დაეყოლიებინა.

- სინჯე, - ურჩევდა იგი, - წვენი ჩინებულია. სინჯე, ემი! - და ხელზე აკოცა. ემილიამ ჯვარი რომ დაიწერა, მხოლოდ მაშინ თუ აღირსა ჯოზმა ასე დიდი პატივი, თორემ წინათ მრავალმა წელმა განვლო და არ გამოუჩენია ასეთი გულისყური.

- შენ ძალიან კარგი და კეთილი ხარ, ჯოზეფ, - უთხრა მან, - ყველაფერი კარგია, მაგრამ, დღეს ჩემს ოთახში დავრჩები, გენაცვალე.

წვენის სურნელება მაინც ეამა ქალბატონ ო’ დაუდის ნესტოებს და იფიქრა ბატონ ჯოზს გავუამხანაგდებიო. ასე რომ ორნი შემოუსხდნენ სუფრას.

- უფალმა აკურთხოს ეს სუფრა! - საზეიმო კილოთი წარმოთქვა მაიორის მეუღლემ. იგი ფიქრობდა თავის პატიოსან მიკზე, რომელიც ცხენით მიუძღოდა წინ რაზმს. - მაგრამ იმ საწყალ ბიჭებს კი ვერაფერი შვილი სადილი ექნებათ დღეს! - ამოოხვრით დაუმატა მან და მერე ბრძენივით შეუდგა პურისჭამას.

რაც მეტს მიირთმევდა, ხალისი უფრო და უფრო ემატებოდა ჯოზს. ლეგიონის სადღეგრძელოსაც გადაჰკრავდა, ან კიდევ ჭეშმარიტად სხვა რამ საბაბსაც გამოძებნიდა, რათა შამპანურით ჩაეკოკლოზინებინა ყელი.

- დავლიოთ ო’ დაუდის და მისი მამაცი პოლკის სადღეგრძელო! - მოხდენილი თავის დაკვრით მიმართა მან სტუმარს. - აბა, ქალბატონო ო’ დაუდ! აუვსეთ ჭიქა ქალბატონ ო’ დაუდს, იზიდორ!

მაგრამ ანაზდად იზიდორი შეკრთა და მაიორის მეუღლემაც ხელი უშვა დანა-ჩანგალს. ოთახის ღია ფანჯრები სამხრეთს

გაჰყურებდა და მზის სხივებით გაშუქებულ სახურავებს იქიდან ყრუ, შორეულმა გრიალმა მოაღწია.

- რა ამბავია! - შესძახა ჯოზმა. - რატომ არ ასხამ, შე მხეცო!

- C’est le feu![78] - მიაძახა იზიდორმა და აივანზე გაიჭრა.

- უფალო დაგვიფარე. ზარბაზნის ხმაა! - შესძახა ქალბატონმა ო’ დაუდმაც. მერე წამოხტა და ისიც ფანჯარას ეცა.

ათასი გაფითრებული და შეშფოთებული სახე ჩანდა სხვა სარკმლებშიაც. და მაშინვე თითქმის ქალაქის მთელი მოსახლეობა დედაბუდიანად გამოცვივდა ქუჩებში.

თავი XXXII. ჯოზი ილტვის და ომიც თავდება

ჩვენ, წყნარი ლონდონ-ქალაქის მცხოვრებთ, არასოდეს გვინახავს და ღმერთმა ნურც ნურასოდეს გვანახოს აურზაურის, ფაციფუცისა და დაფეთების ის სურათი, რომელსაც იმჟამად ბრიუსელი წარმოადგენდა. ბრბო მიაწყდა ნამიურის ჭიშკარს, საიდანაც გრიალი ისმოდა. ბევრი სწორ შარაგზაზედაც გავიდა, რათა წინდაწინვე შესძლებოდა ბრძოლის ამბების შეტყობა. ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, ახალი რა იცითო. თვით ინგლისელმა დიდებულებმაც კი იკადრეს უცნობებთან გამოლაპარაკება. აღფრთოვანებით გაოგნებული ფრანგთა მეგობრები ქუჩებში დაძრწოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, ჩვენი იმპერატორი გაიმარჯვებსო. ვაჭრებმა დახურეს დუქნები, გარეთ გამოვიდნენ და საერთო ღრიანცელისა და ალიაქოთში ჩაერივნენ. ქალებმა ეკლესიებს მიაშურეს. სამლოცველოები აავსეს და ქვაფენილებსა და კიბის საფეხურებზე მუხლმოყრილნი ლოცულობდნენ. ზარბაზნების ყრუ გრიალი კი გრძელდებოდა და გრძელდებოდა. მალე მგზავრებიანმა ეტლებმა იწყო ქალაქიდან დენა და ჭენებით ჩაუვლიდნენ ხოლმე გენტის სადარაჯოს. ფრანგების მომხრეთა წინასწარმეტყველებანი ჭეშმარიტებად საღდებოდა.

- ჯარები შუაზე გააპო, - ამბობდნენ ხალხში. - ახლა პირდაპირ ბრიუსელისკენ მოემართება. ინგლისელებს დაამარცხებს და

ამაღამ აქ იქნება!

- ინგლისელებს დაამარცხებს და ამაღამ აქ იქნება! - ჩასჭყიოდა ყურში იზიდორი ბატონს.

ლაქია შერბი-გამორბოდა სახლიდან ქუჩაში, ქუჩიდან სახლში და ყოველთვის უბედურების რამე ახალი, დაწვრილებითი ცნობა მოჰქონდა. ჯოზს თანდათან უფითრდებოდა სახე. ჩასუქებული მოქალაქე სულ დაიმორჩილა შეშფოთების გრძნობამ. ამდენმა შესმულმა შამპანურმაც ვერ შემატა მხნეობა. დაისამდე, ჯოზის შფოთვამ და ძრწოლამ დაძაბულობის იმ ხარისხს მიაღწია, რომლის დანახვაც ფრიად ახარებდა მის მეგობარ იზიდორს: მოსირმული ქურთუკის პატრონის ქონება ახლა უკვე ნამდვილად საკუთარ დავლად მიაჩნდა.

მთელ ამ დროს ქალები არ ჩანდნენ. როგორც კი მოჰკრა ყურ ზარბაზნების გრიალს, მაიორის ზორბა მეუღლეს მყის მეორე ოთახში მყოფი მეგობარი მოაგონდა და გაეშურა ემილიას მოსავლელად და, თუ შესაძლო იქნებოდა, სანუგეშებლადაც. ფიქრი, რომ მას ჩაბარებული ჰყავდა ეს უმწეო, სათუთი არსება, მომეტებულ ძალას ჰმატებდა პატიოსანი ირლანდიელი მანდილოსნის ბუნებით გულადობას. ხუთ საათს უჯდა გვერდით მეგობარს: ხან ტუქსავდა, ხან მხიარულად ელაყბებოდა, უფრო ხშირად კი დუმდა და შეძრწუნებული გულში ლოცულობდა.

„ერთხელაც არ გამიშვია მისი ხელი, - იტყოდა ხოლმე შემდეგ გულმაგარი მანდილოსანი, - სანამ მზე არ ჩავიდა და სროლა არ შეწყდაო“.

პოლინი, პირისფარეში, იქვე ახლოს ეკლესიაში იდგა მუხლმოყრილი და ღმერთს ევედრებოდა გადაერჩინა son homme a elle[79].

ზარბაზნების გრიალი რომ მიწყდა, ქალბატონი ო’ დაუდი ემილიას ოთახიდან სასტუმრო ოთახში გამობრძანდა, სადაც ჯოზი ორ გამოწრუტულ ბოთლს უჯდა, მხნეობა კი მაინც სრულიად მიჰხდოდა. მან ერთი-ორჯერ დის საწოლ ოთახში შესვლაც გაბედა, ძალიან შეშფოთებული სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც უნდა თქვასო. მაგრამ მაიორის მეუღლე ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან და ჯოზი კვლავ გულმოუოხებელი ბრუნდებოდა. მას ერცხვინებოდა ეთქვა, რომ გაქცევა სურდა.

მაგრამ როცა ქალბატონი ო’ დაუდი სასტუმრო ოთახში შემოვიდა: სადაც იგი დაისის ბინდბუნდში შამპანურის ცარიელი ბოთლების უხალისო საზოგადოებას უჯდა გვერდით, ჯოზმა მოინდომა გული გადაეშალა მისთვის.

- ქალბატონო ო’ დაუდ, - უთხრა მას ჯოზმა, - არ ემჯობინებოდა ემილია მოგეკაზმათ?

- სასეირნოდ გინდათ წაიყვანოთ? - მიუგო მაიორის მეუღლემ, - სწორე მოგახსენოთ, ძალიან სუსტად არის და განძრევა ავნებს!

- მე... მე ეტლის მომზადება ვუბრძანე, - წაიბლუკუნა ვაჟბატონმა, - და... და საფოსტო ცხენებიც შევუკვეთე: იზიდორი გავგზავნე, - განაგრძო ჯოზმა.

- რამ მოგაფიქრათ ამ ღამეში სეირნობა! - გაიკვირვა მანდილოსანმა. - თავის ლოგინში არ ურჩევნია? სწორედ ეს-ეს არი, როგორც იქნა, ჩავაწვინე.

- ისევ ააყენეთ. მე გეუბნებით, უნდა ადგეს! - შესძახა ჯოზმა და ღონივრად დასცა ფეხი ძირს. - მე გეუბნებით, ნაბრძანები მაქვს ცხენები მოიყვანონ... დიახ, ნაბრძანები მაქვს! ყველაფერი მორჩა, და...

- და რაო? - ჩაეკითხა ქალბატონი ო’ დაუდი.

- და მე გენტს მივდივარ, - უპასუხა ჯოზმა. - ყველა მიდის. თქვენთვისაც იქნება ადგილი! ნახევარ საათში გავუდგებით გზას!

მაიორის მეუღლემ უსაზღვრო ზიზღით გადახედა.

- მე მანამდე არ მოვიცვლი ფეხს, სანამ ო’ დაუდი არ შემომივლის, საით წავიდე, - მოახსენა მან. - თუ გნებავთ, თვითონ მიბრძანდით, ბატონო სედლი. ემილია და მე კი, სინდისს ვფიცავ, აქ ვრჩებით!

- ემილია წამოვა! - კვლავ ფეხის ბარტყუნით ბრძანა ჯოზმა.

ქალბატონმა ო’ დაუდმა საწოლი ოთახის კარწინ დოინჯი შემოიყარა.

- დედასთან გინდათ წაიყვანოთ, თუ თქვენ თვითონ გნებავთ დედიკოს კალთას ამოეფაროთ, ბატონო სედლი? - მიუგო მან. - მშვიდობით ბრძანდებოდეთ... გზა მშვიდობისა, ვაჟბატონო!

Bon voyage[80], როგორც იტყვიან ხოლმე. ოღონდ დამიჯერეთ და ეგ ულვაშები მოაპარსვინეთ, თორემ უფათერაკოდ ვერ გადარჩებით!

- დალახვროს ღმერთმა! - დაიჭყივლა შიშით, ბრაზითა და აბუჩად აგდებით გაშმაგებულმა ჯოზმა.

სწორედ ამ გასაჭირში შემოუსწრო იზიდორმა და ის კიდევ თავისი მხრით ილანძღებოდა.

- Pas de chevaux, sacrebleu![81] - წაისისინა გაცოფებულმა შინამოსამსახურემ: ცხენები სულ არ იშოვებოდა. იმ დღეს ბრიუსელში შიშს მარტო ჯოზისათვის არ დაუცია თავზარი.

მაგრამ სანამ გათენდებოდა, ჯოზის ისედაც უზომო და თავზარდამცემ შიშს ბედად ჰქონდა თითქმის გიჟური დაძაბულობისათვის მიეღწია. უკვე მოვიხსენიეთ, პირისფარეშ პოლინსაც son homme a elle რომ ჰყავდა იმპერატორ ნაპოლეონის წინააღმდეგ გალაშქრებული მხედრობის რიგებში. ეს მიჯნური ბრიუსელის მკვიდრი და ბელგიელი ჰუსარი გახლდათ. მისი ერის ჯარს ამ ომში, სხვათი არ ვიცი და, მამაცობით კი არ უსახელებია თავი. ახალგაზრდა ვან-კუცუმიც, პოლინის სატრფო, იმდენად კარგი ჯარისკაცი იყო, რომ წინამძღოლის ბრძანებას, „გავიქცეთო“, აბა, ხომ არ ეურჩებოდა! ვიდრე ბრიუსელს იდგნენ ბანაკად, ჭაბუკი რეგულუსი (რევოლუციის დროს გახლდათ დაბადებული) დიდ შვებასა ჰპოვებდა და თითქმის მთელ თავის მოცლილობასაც პოლინის სამზარეულოში ატარებდა. სწორედ მისი საკუჭნაოს მაზამაზა სანოვაგით ამოიჩურთა ამ მეომრის ჯიბეები და დამბაჩის ბუდეები, როცა ორიოდე დღის წინათ ეთხოვებოდა აცრემლებულ გულისვარდს და ომში მიდიოდა.

რეგულუსის რაზმისათვის ომი ახლა უკვე დამთავრებულად ჩაითვლებოდა. ეს რაზმი იმ დივიზიის ნაწილს შეადგენდა, რომელსაც ტახტის მემკვიდრე, ორანის პრინცი სარდლობდა, და რაც შეეხება ხმლების და ულვაშების სიგრძესა და მუნდირების და მოკაზმულობის მდიდრულობას, რეგულუსი და მისი ამხანაგები უმამაცეს მოლაშქრეებს ჰგავდნენ და საომარი ნაღარის ხმაზე ძნელად ოდესმე შეკრებილა უკეთესი მხედრობა.

როცა ნეიმ მოკავშირეთა მხედრობის მოწინავე ჯარს შეუტია და ერთიერთმანეთზე მიყოლებით მისი სანგრები გადათელა,

ვიდრე ბრიტანეთის არმიის მთავარი ჯარი ბრიუსელიდან მოაღწევდა და კატრბრას ბრძოლის ბედს შეატრიალებდა, რეგულუსმა და მისმა თანამოლაშქრეებმა ფრანგების დახვედრის მაგიერ უდიდესი გულმოდგინება გაქცევაში გამოიჩინეს. ფრანგებმა ერთიმეორეზე ამოყარეს ისინი სანგრებიდან და ელვის სისწრაფით დაეპატრონენ მათ. ბელგიელთა ლტოლვა მხოლოდ მათ უკან მომავალმა ბრიტანეთის ჯარმა შეაფერხა. ასე შეყოვნებულ მამაც ბელგიელებს ბოლოს, როგორც იქნა, წამოეწია მტრის ცხენოსანი ჯარი, რომლის სისხლმწყურვალე ულმობელობა მაინცდამაინც არ შეიძლება სასტიკად გაიკიცხოს, მაგრამ ბელგიელებმა ფრანგების დახვედრას, ბრიტანელებთან შეხვედრა ამჯობინეს - მყის ამოიძუეს კუდი, შეერივნენ ინგლისელთა დასტებში და ყოველ მხარეს გაიფანტნენ. რეგულუსის ლეგიონი ნამდვილად აღარც არსებობდა - იგი აღარსად იყო. შტაბიც აღარ გააჩნდა. როცა რეგულუსი გონს მოეგო, ნახა რომ იგი ბრძოლის ველიდან მრავალი მილის დაშორებით, მარტოდმარტო მიაჭენებდა ცხენს, და, ბუნებრივია, აბა, სად უნდა ეძებნა თავშესაფარი, თუ არა იმ სამზარეულოში და იმ ერთგულ მკლავებში, რომლებითაც პოლინი ხშირად ასე გულითა და სულით ეგებებოდა ხოლმე მას.

მეათე საათი იქნებოდა, რომ ხმლის ჩხარაჩხურს გაიგონებდა კაცი იმ სახლის კიბეზე, სადაც ოსბორნებს, კონტინენტური ჩვეულებისამებრ, ერთი სართული ეჭირათ. სამზარეულოს კარზე დაკაკუნებაც მოისმა და საყდრიდან დაბრუნებულ პოლინს კინაღამ გულს შემოეყარა ელდისაგან, როცა კარი გამოაღო და თავისი ქანცმიხდილი და მილასლასებული ჰუსარი შერჩა ხელთ. ახალგაზრდას ისე მიჰხდოდა ფერი, როგორც იმ შუაღამეს მოსულ მხედარს, რომელმაც ძილი გაუფრთხო ლეონორას. ბატონების ყურადღების მიპყრობისა და მეგობრის გამომჟღავნების შიში რომ არა ჰქონოდა, პოლინი შეჰკივლებდა. მაგრამ თავი შეიკავა, შეუძღვა თავის გმირს სამზარეულოში და მიართვა ლუდი და სადილის ის რჩეული ნაწილები, რომელთა გემოს გართმევის თავიც ჯოზს აღარა ჰქონდა. ჰუსარმა ხორცისა და ლუდის საარაკო რაოდენობის გადასანსვლით დაამტკიცა, რომ აჩრდილი სრულიადაც არ ბრძანდებოდა და სმა-ჭამაში შიგადაშიგ თავის უბედურების ამბავიცა თქვა.

მისმა რაზმმა მამაცობის სასწაულები ჰქნა და ერთ ხანს

საფრანგეთის მთელი მხედრობის თავდასხმას გაუმკლავდა. მაგრამ ბოლოს, ბრიტანეთის მთელი ჯარიანად, ისინიც იძლივნენ. გზაში ნეის რომელი რაზმიც კი შეხვდათ, ყველა გაანადგურეს. ბელგიელები ამაოდ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ინგლისელთა ხოცვა-ჟლეტვისათვის. ბრაუნშვაიგელებიც დამარცხდნენ და გაიქცნენ, მათი ჰერცოგი კი მოჰკლეს. ეს იყო მთელი debacle[82] და ჰუსარი ცდილობდა დამარცხების სევდა ლუდის მორევში ჩაეხრჩო.

იზიდორიც სამზარეულოში შემოსულიყო და ნაამბობი რომ მოისმინა, გავარდა ბატონისათვის შესატყობინებლად.

- ყველაფერი გათავებულია! - ჩასჭყივლა ჯოზს. - მილორდი დუკა ტყვედ ჩავარდნილა. ბრაუნშვაიგის ჰერცოგი მოუკლავთ; ბრიტანეთის მთელი ჯარი გაიქცა. მარტო ერთი კაციღა გადარჩენილა და ისიც ახლა აგერ ჩვენს სამზარეულოში ზის... მობრძანდით და ყური დაუგდეთ რას ამბობს!

ჯოზი შელასლასდა ზემოხსენებულ სამყოფელში. რეგულუსი კვლავ შემოსჯდომოდა სამზარეულო მაგიდას და გუნებიერად მოსწაფებოდა ლუდიან სასმისს. რაც კი შეეძლო თავის საუკეთესო ფრანგულით, რომელიც, მართალი მოგახსენოთ, ძალიან სცოდავდა გრამატიკის წესების მიმართ, ჯოზმა სთხოვა ჰუსარს მისთვისაც ეთქვა ამბავი, რეგულუსის ლაპარაკში გასაჭირი და უბედურებანი კიდევ უფრო და უფრო მრავლდებოდა და დიდდებოდა. მთელ რაზმში იგი ერთადერთი კაცი იყო, რომელიც გადაურჩა ბრძოლის ველზე სიკვდილს. მან თავის თვალით ნახა ბრაუნშვაიგის ჰერცოგის ჩამოგდება, შავი ჰუსარების გაქცევა, ზარბაზნებით შოტლანდიელების გაწყვეტა.

- მერე... ე ლეგიონი? - ძლივსღა წამოილუღლუღა ჯოზმა.

- სულ აჰკეპეს! - მიუგო ჰუსარმა და ამის გამგონე პოლინმა შეჰკივლა: - ოჰ, ჩემო ქალბატონო, ma bonne petite dame![83] - მერე ნამდვილი ისტერიკა დაემართა და მთელი სახლი წივილ-კივილით შესძრა.

შიშით გაოგნებულმა ბატონმა სედლიმ აღარ იცოდა სად შეეფარებინა თავი. სამზარეულოდან კვლავ სასტუმრო ოთახში შეიჭრა და მუდარის თვალით შეხედა ემილიას კარს, რომელიც ცხვირწინ მოუხურა და ჩაუკეტა ქალბატონმა ო' დაუდმა. მაგრამ ჯოზს მოაგონდა, რა ზიზღით მოეპყრო მაიორის

მეუღლე. ამიტომ კართან მცირე ხნით შეყოვნებისა და ყურის მიგდების შემდეგ, მოშორდა მას და გადაწყვიტა, მთელ იმ დღეს პირველად, ფეხი გაედგა ქუჩაში. აიღო სანთელი, ოქროსბაბთიანი ქუდის ძებნას შეუდგა და იპოვნა კიდეც წინა ოთახში იმ სარკის წინ, რომელშიც ჯოზს ჩვეულებადა ჰქონდა შეკოხტავება - სანამ ხალხში გამოსვლას დააპირებდა, ყოველთვის შეილამაზებდა ქილვაშებს და ქუდსაც ლაზათიანად ჩამოიფხატავდა ხოლმე თვალებზე. ჩვეულების ძალა ისეთი გახლავთ, რომ თვით ამ ძრწოლაშიაც უნებურად შეუდგა თმის შეკოხტავება-შეხუჭუჭებასა და დარდიმანდულ ყაიდაზე ქუდის შესწორებას. მაგრამ მერე შეშფოთებული ჩააცქერდა სარკეში თავის ფერმკრთალ სახესა და განსაკუთრებით კი ულვაშებს, რომელიც იმ შვიდ კვირაში, მას შემდეგ, რაც შეუდგა მოშვებას, ერთობ უხვად მოეზარდა. მხედრობის კაცი ვეგონები ფრანგებს, გაუელვა თავში, როცა იზიდორის გაფრთხილება მოაგონდა, ბრიტანეთის მთელ დამარცხებულ არმიას გაჟლეტა არ ასცდებაო. ჯოზი კვლავ უკან, საწოლ ოთახში შებარბაცდა და გაშმაგებით დაუწყო ზარს წკარუნი მხლებლების დასაძახებლად.

იზიდორი ეახლა. ჯოზი დაეშვა სკამზე, მოიგლიჯა ყელსახვევები, გადმოიწია საყელო, ორთავე ხელი ყელზე მიიჭირა და ასე დაჯდა.

- Coupez-moi, იზიდორ, - შესძახა მან, - vite! Coupez-moi![84]

იზიდორს ერთ წუთს თავში გაუელვა, ალბათ გაგიჟდა და ყელის გამოჭრას თუ მეუბნებაო.

- Les moustaches! - ბოლოს როგორც იქნა ამოსთქვა ჯოზმა. - Les moustaches… coupy, rasy vite![85] - მისი ფრანგული ამ ჯურისა გახლდათ: სხაპასხუპით კი ლაპარაკობდა, როგორც მოვიხსენიეთ კიდეც, მაგრამ გრამატიკაზე უკაცრავად ბრძანდებოდა.

იზიდორმა თვალის დახამხამებაში სამართებლის ერთი მოსმით ჩამოაცალა ულვაშები და გამოუთქმელი სიამით მოისმინა ბატონის ბრძანება, უბრალო ქუდი და ტანსაცმელი მომიტანეო.

- Ne porty ploo… habit militair… bonny… bonny… a voo, prenny dehors…[86] - ისროდა სიტყვებს ჯოზი და, როგორც იქნა, ოქროსბაბთიანი ქუდი და მოსირმული ქურთუკი ბატონ

იზიდორს დარჩა.

ეს საბოძვარი რომ გასცა, ჯოზმა თავის ტანისამოსში უბრალო შავი ქურთუკი და ჟილეტი ამოარჩია. გაიკეთა უშველებელი, თეთრი ყელსაბამი და აგრეთვე მაუდის უბრალო ქუდი დაიხურა. ალბათ ფართოფარფლებიანი, სამღვდელოთა ქუდიც რომ ეშოვნა, იმას უფროც დაიხურავდა: მაშინ, როგორც მართლა წააგავდა კიდეც, ინგლისის ეკლესიის გაღაჟღაჟებული, ჩასუქებული მღვდელი ეგონებოდა მნახველს.

- Venny maintenong, - განაგრძობდა იგი, - sweevy… ally… party… dong la roo[87]. - და ეს რომ თქვა, სასწრაფოდ დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გავიდა.

თუმცა რეგულუსმა დაიფიცა, ჩემი რაზმიდან და თითქმის მოკავშირეთა მთელი მხედრობიდანაც მარტოდმარტო მე გადავრჩი ნეისაგან აკაფვასო, მისი მტკიცება ტყუილი გამოდგა: ამ ჰუსარის გარდა საკმაოდ ბევრ სხვასაც, რომელთაც დაღუპულად თვლიდნენ, თავი დაეღწია ხოცვა-ჟლეტისათვის. რეგულუსის მრავალი ათეული ამხანაგი მოაწყდა ბრიუსელს, ყველა ერთხმად აღიარებდა, გამოვიქეცითო, და მთელ ქალაქსაც მოკავშირეთა დამარცხების ამბავი მოედო. ფრანგების გამოჩენას ყოველ წუთს ელოდნენ. თავზარდაცემულობა ძლიერდებოდა და ყველგან გასაქცევად ემზადებოდნენ. „აღარ იშოვება ცხენებიო!“ - უტრიალებდა თავში ელდანაცემ ჯოზს. მან ბევრი ათეული კაცისთვის აკითხვინა იზიდორს, გასანათხოვრებელი ან გასაყიდი ცხენები ხომ არა გყავთო, და გული ჩასწყდებოდა ხოლმე, უარი რომ ესმოდა ყოველი მხრიდან. იქნებ ფეხით გასდგომოდა გზას? მაგრამ თვით შიშის ზარიც ვერ გააყოჩაღებდა ასე ამ ზორზოხსა და ლოხ გვამს.

ბრიუსელში ინგლისელებისაგან დაკავებული თითქმის ყველა სასტუმრო პარკის წინ იდგა. ჯოზი სხვა, მასავით შიშითა და ცნობისმოყვარეობით შეწუხებული ხალხის ბრბოებთან ერთად დაბნეული დაეხეტებოდა ამ უბანში. იგი უცქეროდა ზოგ ოჯახს, რომელსაც ჯოზზე უფრო გაჰღიმებოდა ბედი, ეშოვნა ცხენები და მიაგრიალებდნენ ეტლებს ქუჩაში. აგრეთვე სწორედ მის ბედში მყოფნიც იყვნენ, რომელთაც ვერანაირი ქრთამითა და ხვეწნა-მუდარით ვერ ეპოვნათ გაქცევის ღონე. ამ ვითომცდა ლტოლვილებში ჯოზმა ლედი ბეირაკრზსა და მის ასულსაც მოჰკრა თვალი. სასტუმროს porte-cochere-ში[88] მდგარ ეტლში ისხდნენ, მთელი ბარგი ჩაოწყობილი და დაკრული

ჰქონდათ, ოღონდ მათი შეყოვნების ერთადერთი მიზეზი სწორედ იმავე მამოძრავებელი ძალის უქონლობა გახლლდათ, რომელსაც ჯოზიც ერთ ადგილზე მიელურსმა.

რებეკა კროული ამ სასტუმროში იდგა და აქამდე მრავალი მტრული შეხვედრაცა ჰქონია ბეირაკრზის ოჯახის მანდილოსნებთან. მილედი ბეირაკრზი კიბეზე შემთხვევით რომ შეეყრებოდა ქალბატონ კროულის, ცხვირს უბზუებდა და ყველგან, სადაც მისი სახელის ხსენებას მოჰკრავდა ყურს, მუდამ ავს ლაპარაკობდა თავის მეზობელზე. გრაფის მეუღლე ელდანაცემი ბრძანდებოდა გენერალ ტაფტის და მისი ადიუტანტის ცოლის ახლობლობით. ლედი ბლანში ისე ერიდებოდა მას, როგორც ჭირს. მხოლოდ თვით გრაფი არა სწყვეტდა მასთან მზაკვრულ და ქლესურ შემთხვევით ნაცნობობას, ოღონდ მაშინ, როცა თავის მანდილოსანთა მეთვალყურეობის შიში აღარა ჰქონდა.

რებეკამ ახლა კი იძია შური ამ დაუძინარ და თავხედ მტრებზე. სასტუმროში ხმა გავარდა, კაპიტან კროულის ცხენები აქ დაუტოვებიაო. ხოლო როცა პანიკა ატყდა, ლედი ბეირაკრზმა თავი დაიმდაბლა, მოახლე გაუგზავნა კაპიტნის მეუღლეს, მოიკითხა სიყვარულით და მოინება შეეტყო, რა ფასად გაჰყიდიდა ქალბატონი კროული ცხენებს. ქალბატონმა კროულიმ ორიოდე სიტყვიანი ბარათი აახლა: მოიკითხავდა და თან აცნობებდა, მე ჩვეულებად არა მაქვს მოახლეებთან პირობის შეკვრაო. ამ მკვახე პასუხმა უკვე თვით გრაფი მიიყვანა ბეკის კარს, მაგრამ პირველი მოციქულივით ესეც პირში ჩალაგამოვლებული გამოისტუმრეს.

- პირისფარეშს მიგზავნიან მე! - კიოდა ფრიად გაგულისებული ქალბატონი კროული. - ნეტავი ლედი ბეირაკრზი რატომ იმას აღარ მიბრძანებს ვეახლო და ცხენებიც შევუკაზმო! თავის გადარჩენა მის ბრწყინვალებას ნებავს, თუ მისი ბრწყინვალების femme de chambre-ს? - და გრაფმაც მხოლოდ ეს პასუხიღა მიართვა მეუღლეს.

გაჭირვება მაჩვენე, გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია. მეორე მოციქულიც გატრიზავებული რომ დაბრუნდა, ახლა უკვე ნამდვილად თვით გრაფის მეუღლემ იკადრა ქალბატონ კროულის ხლება. შეევედრა, ბრძანეთ თქვენი ფასიო. თვით ბეირაკრზ-ჰაუზშიაც კი მიიპატიჟა ბეკი, თუ იგი ხელს შეუწყობდა დაბრუნებოდნენ ამ სამყოფელს. ქალბატონ

კროულის სახეზე დამცინავი ღიმილი აუთამაშდა.

- მე სულაც არა მჭირდება თქვენი ლივრეიანი ფარეშების თავზე დგომა, - მოახსენა მან. - თან ფრიად შესაძლებელი გახლავთ, სულაც ვერ დაბრუნდეთ უკან. ასეა თუ ისე, თქვენ და თქვენი ბრილიანტები მაინც ვერ დაბრუნდებით ერთად: მათ ფრანგები იგდებენ ხელში, ისინი ამ ორ საათში აქ გაჩნდებიან, ამასობაში კი მე გენტის შუა გზაზე ვიქნები. ვერ მოგყიდით ჩემს ცხენებს, ვერა, თუნდაც ის ორი დიდრონი ბრილიანიც არ დაიშუროთ, თქვენს ბრწყინვალებას რომ ეკეთა წვეულებაში?

ლედი ბეირაკრზი რისხვისა და ელდისაგან კანკალმა აიტანა. ბრილიანტები კაბაში ჰქონდა ჩაკერებული, აგრეთვე მილორდის ქურთუკის დაბამბულ სარჩულსა და წაღებში ჩამალული.

- ქალო, ბრილიანტები ბანკში აწყვია, მაგრამ ცხენებს კი მაინც ვიშოვნი! - შესძახა მან.

რებეკამ დაურიდებლად გაიცინა. გამძვინვარებული გრაფის მეუღლე ჩავიდა ქვევით და თავის ეტლში ჩაბრძანდა. მისი პირისფარეში, შიკრიკი და მეუღლე ერთხელ კიდევ გაიგზავნენ ქალაქში ცხენების საშოვნელად. ვაი იმას, ვინც ბოლოს დაბრუნდებოდა! მისმა ბრწყინვალებამ გადაწყვიტა, რომელი მხრიდანაც არ უნდა გამოჩენილიყო ცხენები, იმ წამსვე გასდგომოდა გზას - ქმრიანად თუ უქმროდ, სულ ერთი იყო.

რებეკა ტკბებოდა, უცხენო ეტლში ჩაბრძანებულ მის ბრწყინვალებას რომ ხედავდა; თანაც დააშტერებდა ხოლმე თვალებს და ერთობ მაღალი ხმით ჰგოდებდა გრაფის მეუღლის გასაჭირს.

- ადამიანმა და ცხენები ვერ იშოვნოს! - გაიძახოდა იგი. - მერე ისიც იმდენი ბრილიანტები ეტლის ბალიშებში ჰქონდეს ჩაკერებული! რა დავლა იქნება ფრანგებისათვის, აქ რომ მოაღწევენ!.. ესე იგი, მე ეტლსა და ბრილიანტებზე ვამბობ, ქალბატონზე კი არა!

ამას ეუბნებოდა სასტუმროს პატრონს, მსახურებს, ბინადართ და ეზოში მოყიალე ურიცხვ ჩამორჩენილ ჯარისკაცსა და ვიგინდარას. ლედი ბეირაკრზი ისე გაალმასებული იყო, რომ შესძლებოდა, ეტლის სარკმლიდან დამბაჩას დაახლიდა. მტრის მიწასთან გასწორებით რომ ხარობდა, სწორედ მაშინ მოჰკრა

რებეკამ თვალი ჯოზს, რომელმაც რა წამს შეამჩნია იგი, მაშინვე პირდაპირ მოაშურა.

მისი შეცვლილი, შეშინებული, გაფუებული პირისახე საკმაოდ მკაფიოდ ამჟღავნებდა საიდუმლოს; ჯოზსაც გაქცევა ეწადა და თავის გადარჩენის ღონეს ეძებდა. „ეს იყიდის ჩემს ცხენებს, მე კი ჩემი ფაშატითაც წავალ!“ - გაიფიქრა რებეკამ.

ჯოზი მიეახლა მეგობარს და ამ ერთ საათში უკვე მეასეჯერ იკითხა: გასაყიდი ცხენები ხომ არ იცითო?

- რაო, თქვენც გარბიხართ? - სიცილით უთხრა რებეკამ. - მე კი მეგონა ყველა მანდილოსანთა მფარველი რაინდი თქვენა ბრძანდებოდით, ბატონო სედლი!

- მე... მე მეომარი არ გახლავარ, - წაიბლუკუნა ვაჟბატონმა.

- მერე ემილია?.. ვინ დაიცავს იმ თქვენს საბრალო, პაწია დაიკოს? - ჩაეკითხა რებეკა, - თქვენ, რასაკვირველია, უპატრონოდ არ დააგდებთ მას!

- მე რაში უნდა გამოვადგე, ვთქვათ... ვთქვათ, მტერი რომ შემოიჭრას? - მიუგო ჯოზმა. - ქალებს დაინდობენ; მაგრამ ჩემი მხლებელი ამბობს, დაფიცული აქვთ, მამაკაცებს მუსრი გაავლონო... საზიზღარი ლაჩრები!..

- საზარელია! - კვერი დაუკრა მისი შეშფოთების ცქერით ნასიამოვნებმა რებეკამ.

- თან კიდევ არც მისი დატოვება მინდა, - შესძახა ძმამ. - არც არავინ სტოვებს! მისი ადგილი ჩემს ეტლშია და ერთი ადგილიც თქვენთვისა მაქვს შემონახული, ძვირფასო ქალბატონო კროული, თუკი წამობრძანდებით... და თუ ცხენები ვიშოვნეთ!.. - ოხვრით დაუმატა მან.

- მე ორი მყავს გასაყიდი, - მოახსენა მას მანდილოსანმა. ჯოზი კინაღამ ყელზე შემოესკვნა ამის გაგონებაზე.

- გამართე ეტლი, იზიდორ! - მიაძახა მსახურს ბატონმა, - ვიშოვნეთ! ვიშოვნეთ!..

- ჩემი ცხენები ჯერ ეტლში არ ბმულან, - დასძინა რებეკამ. - თუ შეაბით, გულწითელა წიხლისკვრით სულ ლუკმა-ლუკმად აქცევს თქვენს ეტლს.

- მაგრამ ისე სატარებლად ხომ თვინიერია? - იკითხა მშვიდობისმოყვარე ვაჟბატონმა.

- კრავივით თვინიერია და კურდღელივით მალი, - მიუგო მანდილოსანმა.

- როგორ გგონიათ, ჩემს სიმძიმეს გაუძლებს? - უთხრა ჯოზმა. მან უკვე ცხენზე მჯდომი წარმოიდგინა თავი და ფიქრადაც აღარ მოსვლია საბრალო ემილია. ან თუმცა ცხენოსნობის მოყვარე რომელი კაცი გაუძლებდა ამ ცთუნებას?

პასუხის ნაცვლად რებეკამ ოთახში შეიპატიჟა. სუნთქვაშეკრული ჯოზიც შეჰყვა მორიგებისათვის. სიცოცხლეში იშვიათად გაეტარებინა ასე ძვირად დამჯდარი ნახევარი საათი: რებეკამ გასაყიდი საქონლის ფასი გამოზომა, როგორც მისი ყიდვისათვის ჯოზის სულწასულობით, ასევე საქონლის იშვიათობითაც და ცხენებში ისე საარაკო თანხა მოითხოვა, რომ თვით ეს მშვიდობისმოყვარე მოქალაქეც სახტად დარჩა.

- მე ან ორთავეს გავყიდი, ან არც ერთს! - მტკიცედ განაცხადა ქალმა. როუდონს დაებარებინა, ამაზე ნაკლებ არ გაყიდოო. ლორდ ბეირაკრზი, ქვემოთ რომ იდგა, კი მისცემდა ამდენივეს, მაგრამ აბა რა უყოს რებეკამ იმ სიყვარულსა და პატივისცემას, რომელსაც სედლის ოჯახისადმი გრძნობდა? ოღონდ ძვირფასმა ბატონმა ჯოზეფმაც უნდა შეიგნოს, რომ საწყალ ხალხსაც ცხოვრება უნდა... ერთი სიტყვით, ამისთანა საქმოსნობაში ქვეყანაზე სხვა ვერავინ გამოიჩენდა ამდენ გულთბილობას და ამასთანავე ამდენ სიმტკიცესაც.

ჯოზმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დაყაბულებით დააბოლოვა საქმე, მაგრამ გადასახდელი თანხა იმდენი გამოვიდა, რომ იძულებული გახდა ეთხოვა, ნაწილის გასტუმრება მაინც მაცალეო. თანხა მართლაც იმდენი იყო, რებეკასთვის მთელ პატარა ქონებას წარმოადგენდა. ქალბატონმა კროულიმ მსწრაფლ მოიანგარიშა, რომ ამ ფულით, როუდონის დარჩენილი ნივთების გაყიდვითა და, თუ ქმარს მოუკლავდნენ, საქვრივო პენსიითაც, იგი ახლა სრულიად დამოუკიდებელი ადამიანი იქნებოდა და შეძლო მტკიცედ გაესწორებინა თვალი ქვრივის ძაძებისათვის.

იმ დღეს რებეკამ ერთი-ორჯერ მართლა გაიფიქრა, მეც გავიქცევიო. მაგრამ ეს ფიქრი ჭკუაში არ დაუჯდა. „ვთქვათ

ფრანგები შემოვიდნენ, - ფიქრობდა ბეკი, - აბა, რა უნდა უყონ საწყალი ოფიცრის ქვრივს? იჰ! ძარცვა-გლეჯისა და ალყის დროება წასულია. ნებას დაგვრთავენ მშვიდად გავემგზავროთ შინ, ან კიდევ შემიძლია უცხოეთშიც დავრჩე და ტკბილად ვიცხოვრო ჩემი დაუყვედრებელი ცოტა შემოსავლით“.

ამასობაში ჯოზი და იზიდორი საჯინიბოში ჩავიდნენ ახლადშეძენილი პირუტყვების გასასინჯად. ჯოზმა უბრძანა მხლებელს, ახლავე შეკაზმე ცხენები, სწორედ ამ საღამოსვე, სწორედ ამ საათშივე უნდა გავეშუროო. მსახური ცხენების შესაკაზმავად დასტოვა, თვითონ კი შინ წავიდა საგზაოდ მომზადებისათვის. წასვლა საიდუმლოდ უნდა მოხდეს. იგი ეზოს კარიდან შეიპარება თავის ოთახში, მას არ უნდოდა შეჩეხებოდა წინ ქალბატონ ო’ დაუდს ანდა ემილიას და გამოსტეხოდა მათ, რომ გაქცევას აპირებდა.

სანამ ჯოზი და რებეკა მორიგდებოდნენ, ცხენებს ნახავდნენ და გასინჯავდნენ, თითქმის უკვე მეორე დილა ჩამოდგა. თუმცა შუაღამე დიდი ხანია გადასული იყო, ქალაქში ფუსფუსი არა წყდებოდა: ხალხს არ ეძინა, სახლებიდან სინათლე გამოდიოდა, კარებთან კიდევ არ იშლებოდნენ ბრბოები და ქუჩებში ჩოჩქოლი იდგა. სხვადასხვა ჯურის ჭორი კვლავ პირიდან პირში გადადიოდა: ერთნი ირწმუნებოდნენ, პრუსიელები სულ გაანადგურესო; მეორენი - პრუსიელებს კი არა, ინგლისელებს შემოუტიეს და სძლიესო; ხოლო მესამენი - ინგლისელები ჯერ კიდევ უძლებენო. ეს უკანასკნელი ხმა ნელ-ნელა მოღონიერდა. არც ერთ ფრანგს არ გაუჭაჭანებია. არმიიდან ჩამოსული, თავიანთ რაზმებს ჩამორჩენილი ჯარისკაცები გამოჩნდნენ და უფრო და უფრო გულის დამაშოშმინებელი ამბები მოიტანეს. ბოლოს ერთმა ადიუტანტმა მართლაც მოაღწია ბრიუსელს და ქალაქის კომენდანტს ნამდვილი მოხსენება გადასცა. კომენდანტმა მყის მთელ ქალაქში გამოაკვრევინა ოფიციალური განცხადებანი: კატრ-ბრასთან მოკავშირეებმა გაიმარჯვეს და ექვსი საათის ბრძოლის შედეგად ნეის ხელქვეითი ფრანგი მხედრობა სრულიად უკუაგდესო.

ადიუტანტი სწორედ მაშინ ჩამოვიდა, როცა ჯოზი და რებეკა რიგდებოდნენ და ეს ვაჟბატონი თავის შენაძენს სინჯავდა. ჯოზი საკუთარ სასტუმროში რომ დაბრუნდა, კარიბჭეში მდგმურების დიდი გროვა დახვდა: ახლად ჩამოტანილ ამბებზე

ჰქონდათ სჯა-ბაასი. მათი სიმართლე უეჭველი იყო, იგი ავიდა ზევით, რათა მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი მანდილოსნებისთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი; ოღონდ ის კი აღარ ჩაუთვლია აუცილებლად, რომ ეთქვა, როგორ მოინდომა გასცლოდა მათ, როგორ იყიდა ცხენები და რა ფასად დაუჯდა ისინი.

მაგრამ გამარჯვებას თუ დამარცხებას ნაკლები ფასი ჰქონდა მათთვის, ვისაც თავში მხოლოდ თავიანთი საყვარელი ადამიანების გადარჩენის ფიქრიღა უტრიალებდათ. გამარჯვების ამბავმა ემილია წინანდელზე უფროც შეაშფოთა. მაშინვე მოინდომა ბრძოლის ველზე წასვლა. იგი ცრემლმორეული ემუდარებოდა ძმას, იქ წამიყვანეო. მისმა ეჭვიანობამ და შიშმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და საცოდავი გოგონა, მრავალ საათს მწუხარებით გაშეშებული, ახლა გაოგნებული და გაგიჟებული ბორგავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა და შესაბრალისი სანახავი იყო. არც ერთი კაცი, რომელიც ტკივილებით იგრიხებოდა თხუთმეტ მილს იქით, სასტიკი ბრძოლის ველზე, სადაც ამდენი ნაომარი გულოვანი ვაჟკაცი იწვა, არც ერთი კაცი არ იტანჯებოდა ისე სასტიკად, როგორც ომის ეს საბრალო, უწყინარი მსხვერპლი. ჯოზმა ვეღარ გაუძლო მისი წამების ცქერას, თავისი და უფრო მხნე მდედრობითი სქესის ამხანაგს მიუტოვა და ერთხელ კიდევ ჩამოვიდა სასტუმროს კარიბჭეში, სადაც ყველანი კვლავ ყურყუტებდნენ, ყბედობდნენ და ახალ-ახალ ამბებს ელოდნენ.

იქ დგომაში კარგად ინათა კიდეც. ომიდან ცხელ-ცხელმა ამბებმა იწყო ჩამოსვლა, რომლებიც ახლა უკვე თვით ომში ნამყოფ ხალხს ჩამოჰქონდა. დაჭრილებით დატვირთული ოთხთვალები და გრძელი, სოფლური ურმები შემოდიოდა ქალაქში. იქიდან შემაძრწუნებელი კვნესა ისმოდა და ჩალიდან გასავათებული, ნაღვლიანი სახეები მოჩანდა. ჯოზი ცნობისმოყვარეობით და თანაც შეწუხებით დააცქერდა ერთ ურემს, საიდანაც შესაზარი გმინვის ხმა მოისმოდა. არაქათგამოლეული ცხენები ძლივძლივობით მიათრევდნენ საზიდს.

- შესდექ! შესდექ! - გამოსძახა ჩალიდან მისუსტებულმა ხმამ და ურემი ბატონი სედლის სასტუმროს გასწვრივ შედგა.

- ეს ჯორჯია, მე ვიცი ის არის! - შეჰკივლა ემილიამ და სახეგაფითრებული და თმაგაწეწილი, თვალის დახამხამებაში

აივანზე გაიჭრა.

ეს ჯორჯი არ ყოფილა, მაგრამ ერთი კარგი რამ მაინც იყო - მისი ამბავი. ეს გახლდათ საბრალო ტომ სტაბლი, ასე მამაცურად რომ გაემგზავრა საომრად ბრიუსელიდან ამ ოცდაოთხი საათის წინათ და ხელთ ეპყრა ლეგიონის დროშა, რომელსაც ვაჟკაცურად იცავდა ბრძოლის ველზე. ფრანგმა შუბოსანმა ჭაბუკ უმცროს ლეიტენანტს ლახვარი აძგერა ფეხში, ჩამოაგდო, მაგრამ ყმაწვილი მაინც მამაცურად ჩასჭიდებოდა დროშას და ხელს არ უშვებდა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ამ საწყალი ბიჭისთვისაც გამოინახა ადგილი ურემში და უკან, ბრიუსელს, ჩამოიყვანეს.

- ბატონო სედლი, ბატონო სედლი! - გადმოსძახა მისუსტებული ხმით ბიჭმა.

ჯოზი თითქმის შეშინებული მივიდა დაძახებაზე. პირველად ვერც გაარჩია, ვინ ეძახოდა. პატარა ტომ სტაბლმა თავისი ცხელი, მოდუნებული ხელი გამოუწოდა.

- მე აქ შესაყვანი ვარ, - უთხრა მან. - ოსბორნმა... და... და დობინმა მითხრეს, იქ დაგაბინავებენო... და თქვენ ორი... ორი ნაპოლეონდორი უნდა მისცეთ ამ მეურმეს: დედაჩემი გადაგიხდით!

სიცხით გათარანებული ყმაწვილის ფიქრები, როცა იგი გრძელი საათების განმავლობაში იწვა ურემში, მამამისის სამრევლოს დასტრიალებდა, საიდანაც რამდენიმე თვის წინათ წამოვიდა, და თავდავიწყებაში ჩავარდნილს ხანდახან ტკივილებიც თითქოს უყუჩდებოდა.

სასტუმრო დიდი იყო, ხალხი - კეთილი, ამიტომ იმ ურმის ყველა მგზავრი იქ შემოიყვანეს და სხვადასხვა საწოლებზე მოათავსეს. ახალგაზრდა უმცროსი ლეიტენანტი ზემოთ აიყვანეს ოსბორნის ბინაში. ქალბატონმა ო’ დაუდმა იცნო იგი აივნიდან. უნდა წარმოიდგინოთ ამ ქალთა გრძნობანი, როცა შეიტყვეს, რომ დაღამებულსაც კი ორივეს ქმრები საღსალამათად იყვნენ. სიხარულით ატაცებული ემილია რა ხმაგაკმენდილი შემოეჭდო და ჩაეკონა გულში თავის გულკეთილ მეგობარს! რა მადლიერის გრძნობით მოიყარა მუხლთ საცოდავად და შესწირა მადლობა იმ ძალას, რომელმაც ქმარი გადაურჩინა.

ჩვენს ახალგაზრდა მანდილოსანს, თავის ციებ-ცხელებიან და შფოთიან ყოფაში, იმაზე უფრო მეტად მარგებელ წამალს ვერც ერთი ექიმი ვერ გამოუწერდა, როგორიც შემთხვევით ახლა ბედმა არგუნა. ის და ქალბატონი ო' დაუდი გამუდმებით ადგნენ თავს დაჭრილ ყრმას, რომელსაც ნამეტანი სტანჯავდა ტკივილები და ასე ძალაუნებურად დაკისრებული მოვალეობა ემილიას აღარ უტოვებდა დროს თავის პირად ძრწოლისა და ავ წინათგრძნობათათვის. დაკოდილმა თავისი უბრალო სიტყვით უამბო მათ იმდღევანდელი ამბები და მამაცი... ე ლეგიონელი ჩვენი მეგობრების საქმენი საგმირონი. რაზმი სასტიკად დაზარალდა. ძალიან ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი დაჰკარგა. ლეგიონს იერიში რომ მიჰქონდა, მაიორს ცხენი მოუკლეს და ყველას ეგონა ო' დაუდის საქმე წასულია და დობინს ერგო მაიორობაო, მაგრამ როცა იერიშიდან უკან დაბრუნდნენ ძველ ადგილას, მაიორი პირამუსის ლეშზე წამომჯდარი დახვდათ: საგზაო სასმისი მოეყუდებინა და ყელს ისველებდა. უმცროს ლეიტენანტს ფეხში რომ ლახვარი აძგერა, ის ფრანგი შუბოსანი სწორედ კაპიტანმა ოსბორნმა დაჩეხა. ამის ხსენებაზე ემილიას ისეთი მკვდრის ფერი დაედო, რომ ქალბატონმა ო' დაუდმა ახალგაზრდა ლეიტენანტს შეაწყვეტინა თხრობა. აგრეთვე სწორედ კაპიტანი დობინი იყო, რომელმაც ბრძოლის დასასრულს, თუმცა თვითონაც ჭრილობა ჰქონდა, აიყვანა ხელში ყრმა და დასტაქარს მიუყვანა, იქიდან კი წაიყვანა და ბრიუსელს მიმავალ ურემში ჩასვა. მეურნესაც ის დაჰპირდა ორ ოქროს, თუ ქალაქში ბატონი სედლის სასტუმროს მიაგნებდა და გადასცემდა კაპიტან ოსბორნის მეუღლეს, რომ ბრძოლა დამთავრდა და მისი ქმარიც უვნებლად და საღად არის გადარჩენილი.

- მართლაც რომ ეს უილიამ დობინი ძალუმ გულკეთილი ვაჟკაცია, თუმცა ყოველთვის კი ქირქილებს ხოლმე ჩემზე, - თქვა ქალბატონმა ო' დაუდმა.

ახალგაზრდა სტაბლი იფიცავდა, ასეთი ოფიცერი მეორე არ მოიპოვება მთელ არმიაშიო და ვერ ძღებოდა უფროსი კაპიტნის ქება-დიდებით; ხოტბას ასხამდა მის თავმდაბლობას, გულკეთილობას და ბრძოლის ველზე გასაოცარ შეუდრეკლობას. საუბრის ამ ნაწილს ემილია ძალიან უყურადღებოდ უსმენდა: იგი მხოლოდ მაშინ დაცქვეტდა ყურს, როცა ჯორჯის სახელს გაიგონებდა, ხოლო როცა მას არ ახსენებდნენ, ქალი იმაზე ფიქრებში იყო გართული.

დაჭრილის მოვლასა და გუშინდელ საოცარ გადარჩენაზე ფიქრში, მეორე დღე არც ისე ნელა დაილია ემილიასთვის. მთელ მხედრობაში მისთვის მხოლოდ ერთადერთი კაცი არსებობდა და სანამ იგი საღსალამათად ეგულებოდა, უნდა ვაღიაროთ, მთელი არმიის ბედი ნაკლებ აინტერესებდა. ჯოზისაგან ქუჩიდან შემოტანილი ყოველი ახალი ამბავი ძალზე ბუნდოვნად სწვდებოდა მის სმენას. თუმცა ეს ცნობები სრულიად საკმარისი გახლდათ იმისათვის, რომ მძიმე საგონებელში ჩაეგდო და შეეშფოთებინა ის ჯაბანი დარბაისელიცა და მაშინ ბრიუსელს მყოფი ბევრი სხვა ხალხიც. ფრანგები მართლაც უკუაგდეს, მაგრამ სასტიკი და სათუო ბრძოლის შემდგომ, და ისიც საფრანგეთის მხედრობის მარტო ერთ დივიზიასთან ჰქონდათ საქმე. იმპერატორი, მთავარი ჯარითურთ, ლინის იდგა, სადაც სრულიად მოსრა პრუსიელები, ახლა კი უკვე ხელგახსნილი იყო, მთელი ძალებით თავს დასტეხოდა მოკავშირეებს. დუკა უელინგტონი დედაქალაქისაკენ იხევდა და ალბათ დიდი ბრძოლა გაიმართებოდა მის გალავანთან, ამ ბრძოლის ბედი კი დიაღაც რომ საეჭვო ჩანდა. დუკა უელინგტონს მხოლოდ ოცი ათასი ბრიტანელი ჰყავდა, რომლის იმედიც შეეძლო ჰქონოდა, რადგან გერმანელების ჯარი სახელდახელოდ მოკრებილ ლაშქარს წარმოადგენდა, ხოლო ბელგიელები კი უკმაყოფილონი იყვნენ და არა სანდონი. ამ ერთი მუჭა ხალხით უნდა გამკლავებოდა მისი ბრწყინვალება ნაპოლეონის სარდლობით ბელგიაში შემოჭრილ ასორმოცდაათ ათას ფრანგს. ისიც ნაპოლეონის სარდლობით! რომელი მეომარი, რა სახელოვანი და მარჯვეც არ უნდა ყოფილიყო იგი, შესძლებდა ბრძოლა გაესწორებინა მისთვის, როცა თან მას ასეთი უპირატესობაც მოეპოვებოდა?

ჯოზი ფიქრობდა ყოველივე ამას და შიშით ცახცახებდა. ასევე მოსდიოდა მთელ დანარჩენ ბრიუსელსაც, სადაც ხალხი გრძნობდა, რომ გუშინდელი შეტაკება მხოლოდ დასაწყისი თუ იყო უფრო დიდი და გარდაუვალი ბრძოლისა. იმპერატორის მოპირდაპირე ერთი არმია უკვე გაიფანტა. მცირეოდენი ინგლისელობა, რომელთა გამოყვანაც შეიძლებოდა მის წინააღმდეგ, თავიანთ სანგრებში ჩაიხოცებოდა, ძლევამოსილი მტერი კი გადმოჰქელავდა მათ გვამებს და ქალაქში შემოვიდოდა. ვაი მასს, ვისაც იქ მოიხელთებდა! საზეიმო მიმართვანი მოემზადებინათ, საერო მოხელენი

შეკრებილიყვნენ და საიდუმლოდ ბჭობდნენ. ბინები, სამფეროვანი ალმები და სატრიუმფო ნიშნები. უკვე მოემზადებინათ და გულითად დახვედრას უპირებდნენ მის უდიდებულესობას იმპერატორსა და მეფეს.

ლტოლვილთა წასვლა კვლავ გრძელდებოდა და ოჯახები, როგორც კი წასასვლელ ღონეს იპოვნიდნენ, მაშინვე გარბოდნენ. ჩვიდმეტი ივნისის ნაშუადღევს, როცა ჯოზი რებეკას სასტუმროში მივიდა, ნახა, რომ ბეირაკრზების დიდი ეტლი, როგორც იქნა, გამოგორებულიყო ეზოს შესავლიდან. გრაფს, ქალბატონ კროულის გამოსაჯავრებლად, როგორღაც მაინც ეშოვნა ორი ცხენი და ახლა გენტის გზას ადგნენ. ლუი სანატრელიც იმავე ქალაქში ილაგებდა თავის ზანდუკს. ისე ჩანდა, თითქოს უბედურებას არ სწყინდებოდა ამ ლოხი გამძევებლის დევნა და წვალება.

ჯოზი გრძნობდა, რომ გუშინდელი შეყოვნება მხოლოდ სულის მოთქმა თუ იყო რომ ძვირად ნაყიდი ცხენები, უეჭველია, ჩამოერთმეოდა ჯარის საჭიროებისათვის. მთელ ამ დღეს იგი სასტიკად იტანჯებოდა. სანამ ბრიუსელსა და ნაპოლეონს შორის ინგლისის ჯარი იდგა, არ სჭიროდა დაუყოვნებლივ გაქცევა. მაგრამ შორეული საჯინიბოდან თავის სასტუმროს საჯინიბოში გადმოაყვანინა ისინი, რათა თვალწინა ჰყოლოდა და ძალდატანებით გატაცების საფრთხისათვის აერიდებინა. იზიდორი გამუდმებით მეთვალყურეობდა საჯინიბოს კარს და ცხენები შეკაზმულები და გამზადებული ჰყავდა გზას გასადგომად. იმასაც გულითა და სულით ეწადა ამ საქმეს შესდგომოდა.

გუშინდელი მიღების შემდეგ რებეკას აღარაფრად ენაღვლებოდა, ძვირფას ემილიას გაჰკარებოდა. მან მოკვეცა ჯორჯის ნაჩუქარი თაიგული, წყალი გამოუცვალა ყვავილებს და კვლავ გადაიკითხა მისი სატრფიალო ბარათი. „საცოდავი! - თქვა მან და თან თითებზე იხვევდა ქაღალდის ამ პატარა ნაჭერს, - როგორ შემიძლია გავანადგურო ეს გოგო ამითი!.. და მერე ისიც ამისთანა რამისთვის იკლავს თავს, მართლა... იმ ტუტუც, ბღენძია და ბრიყვი კაცისთვის, ჩირადაც რომ არ აგდებს თვითონ მას. ჩემი საწყალი, გულკეთილი როუდონი იმაზე ათჯერ უკეთესია!“ და მერე შეუდგა იმის ფიქრს თუ რა უნდა ექნა მას, თუ... თუ რაიმე დაემართებოდა საწყალ, გულკეთილ როუდონს და რა დიდი ბედნიერება იყო, რომ მან

ცხენები თან არ წაიყვანა.

ამავე დღეს ქალბატონ კროულისა, რომელსაც გვარიანად მოუვიდა გული ბეირაკრზების ოჯახის გამგზავრებაზე, გრაფის მეუღლისაგან გამოყენებული საფრთხილო ღონისძიებანი გაახსენდა და საკუთარი სარგებლობისთვის თვითონაც აღასრულა ცოტაოდენი ამოსანემსავი საქმე. ძვირფასეულობის, ჩეკებისა და ნაღდი ფულის უმეტესი ნაწილი ტანზე შემოიკერა და ასე გაწყობილი მზად გახლდათ ყოველნაირი შემთხვევისათვის: გაქცევისთვის, თუ ამას მიზანშეწონილად სცნობდა, ანდა დარჩენისა და გამარჯვებულთან ალერსიანი შეგებებისთვის, ინგლისელი იქნებოდა თუ ფრანგი, სულ ერთია. და მე დარწმუნებული არ გახლავარ, რომ იმ ღამეს მას არ ზმანებოდა დუკას ან მარშლის მეუღლედ გახდომა, მაშინ როცა წამოსასხამში გახვეული როუდონი წვიმაში ათევდა ღამეს მონ-სენ-ჟანთან და მთელი თავისი გულითა და სულით შინ დატოვებულ თავის პაწაწინა ცოლზე ფიქრობდა.

მეორე დღეს, კვირას, მაიორ ო' დაუდის მეუღლემ სიამოვნებით იხილა, რომ ორივე მისი ავადმყოფი სულითა და ხორცით მომჯობინებულიყო იმღამინდელი მოსვენების შემდეგ. თვითონ ქალბატონ ო'დაუდს ემილიას ოთახში ეძინა დიდ სავარძელში და მზად იყო, თუ მოვლა დასჭირდებოდა მის მეგობარს, ანდა ლეიტენანტს, მსწრაფლ წამომხტარიყო. როცა გათენდა, ეს ზორბა მანდილოსანი შინ გეახლათ და ამ დღის შესაფერისად გულმოდგინედ და ბრწყინვალედ მოიკაზმა. და ფრიად შესაძლებელია, რომ სანამ მარტო იმყოფებოდა იმ ოთახში, სულ უკანასკნელი ერთი ლოცვა მაინც აღევლინებოდა ცათა შინა მამაცი მეომრის, მაიკლ ო' დაუდის დღეგრძელობისათვის.

უკან რომ დაბრუნდა, თან მოიყოლა თავისი ლოცვანი და ბიძამისი დეკანოზის სახელგანთქმული ქადაგებანი, რომელსაც გაუმცდარად კითხულობდა ყოველ უქმე დღეს. ზოგჯერ ყველაფერი არ ესმოდა, ბევრ სიტყვას სწორედაც ვერ გამოთქვამდა: ეს სიტყვები გრძელი და ბუნდოვანი გახლდათ, ვინაიდან დეკანოზი სწავლული კაცი ბრძანდებოდა და უყვარდა ბრტყელ-ბრტყელი ლათინური სიტყვები; მაგრამ, საერთოდ, მანდილოსანი დიდის გულისყურით, რიხითა და ძირითადად საკმაო სისწორითაც კითხულობდა. „რამდენჯერ მოუსმენია ჩემს მიკს ეს ქადაგებანი, მე რომ შინ წყნარად

ვუკითხავდიო“, - ფიქრობდა იგი. მან განიზრახა ეს მოღვაწეობა დღესაც განეახლებინა ემილიას და დაჭრილი ლეიტენანტის მრევლისთვის. სწორედ იგივე საკითხავი, იმავე დღის იმავე ჟამს ოცი ათას ეკლესიაში მაინც იკითხებოდა და მილიონობით მუხლმოყრილი ბრიტანელი ქალი და კაცი ყოველთა მეუღლეს მფარველობას ევედრებოდა.

მათ არ გაუგონიათ ის გრიალი, რომელმაც ჩვენი პატარა მრევლი შეაკრთო ბრიუსელში: ქალბატონი ო’დაუდი გულმოდგინე კითხვაში რომ იყო გართული, გუშინდელზე გაცილებით უფრო ხმამაღლა დაიწყო გრგვინვა ვატერლოოს ზარბაზნებმა.

როცა ჯოზმა ყური მოჰკრა იმ თავზარდამცემ ხმას, გადაწყვიტა, ვეღარ მოვითმენ ამ ზათქისა და ზარის წამდაუწუმ განმეორებას და ახლავე უნდა გავიქცეო. შევარდა დაჭრილის ოთახში, სადაც ჩვენი სამი მეგობარი გარინდებულიყო და ლოცულობდა, შეაწყვეტინა მათ ლოცვა და მხურვალე ვედრებით მიმართა ემილიას.

- მე აღარ შემიძლია ატანა, ემი! - შესძახა მან. - აღარ შემიძლია და შენც უნდა წამომყვე! ცხენი შენთვისაც ვიყიდე... ეგ ნუ გენაღვლება, რა მივეცი... და შენ უნდა ჩაიცვა და წამოხვიდე... იზიდორს უნდა შემოუჯდე უკან!..

- უფალო შემიწყალე! ბატონო სედლი, მაშ შენ ხომ ლაჩარი ყოფილხარ! - დადო წიგნი და მიაძახა ქალბატონმა ო’ დაუდმა.

- მე გეუბნები, წამოდი-მეთქი, ემილია, - განაგრძობდა ჩასუქებული ვაჟბატონი. - ნუ უგდებ ყურს, რასაც ეგ გეუბნება! რად უნდა დავრჩეთ აქ და დავაღადვრინოთ ყელები ფრანგებს?..

- თქვენ გავიწყდებათ, ძმობილო, ...ე პოლკი, - გადმოსძახა ლოგინიდან პატარა სტაბლმა, დაჭრილმა გმირმა. - და... და თქვენ მე ხომ არ მიმატოვებთ, მიმატოვებთ განა, ქალბატონო ო’ დაუდ?

- არა, გენაცვალე, - მიუგო მან, თან მივიდა და ყრმას აკოცა. - ბუზსაც ვერავინ აგიფრენს, სანამ მე გვერდითა გყავარ. სანამ მიკის სიტყვას არ მომიტანენ, ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან. კარგი რამ დასანახავი კი ვიქნები, ამ ოტროველას ზურგს უკან წამოყუყული?

ამ სურათის წარმოდგენაზე ლოგინში მწოლარე ახალგაზრდა დაჭრილს ხარხარი აუტყდა და თვით ემილიამაც ვეღარ შეიკავა ღიმილი.

- მე იმას არ ვეუბნები! - შეჰღრიალა ჯოზმა, - მე არ ვეუბნები იმ... იმ ირლანდიელ დედაკაცს! მარტო შენ გეუბნები, ემილია: ბოლოს და ბოლოს, მოდიხარ თუ არა?

- უქმროდ, ჯოზეფ? - გაკვირვებული სახით დაეკითხა ემილია და მაიორის მეუღლეს გაუწოდა ხელი. ჯოზს მოთმინების ფიალა აევსო.

- მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდე! - მოაძახა მან, გაბრაზებით დაიქნია მუშტი, გავარდა გარეთ და გაიჯახუნა კარი.

ახლა კი მართლაც ბრძანა გამგზავრება და ეზოში ცხენზე აბობღდა. ქალბატონმა ო' დაუდმა ყური მოჰკრა ცხენების თქარათქურს, ალაყაფის კარში რომ გადიოდნენ. გადაიხედა კიდეც და ბევრი ზიზღნარევი შენიშვნა შემოეხარჯა საბრალო ჯოზეფისათვის, როცა იგი ქუჩაში მიერეკებოდა ცხენს, ხოლო მოსირმულქუდიანი იზიდორი უკან მისდევდა. რამდენიმე დღის ნასვენი ცხენები ფიცხობდნენ და მიჭენაობდნენ ქუჩაში, ისედაც უშნო და მხდალ ცხენოსან ჯოზს კი უნაგირშიაც ვერაფერი ლაზათი ეტყობოდა.

- ერთი შეხედე, ემილია, გენაცვალე, სახლის ფანჯარას როგორ უსწორებს! ასეთი უგერგილო დათვი, სწორედ რომ არ შემხვედრია!

მალე მხედრებმა ჩორთით ჩაიარეს გენტის გზისაკენ მიმავალი ქუჩა და თვალს მიეფარნენ. სანამ ჩანდნენ კი ქალბატონ ო' დაუდს არ მოუკლია მათთვის დაცინვის ნიაღვარი.

მთელ იმ დღეს დილიდან გვიან საღამომდე არ შეწყვეტილა ზარბაზნების გრიალი. უკვე ჩამობნელებული იყო, როცა კანონადა უცბად შეწყდა.

ყველა ჩვენგანს წაუკითხავს, რა მოხდა მაშინ. მისი ამბავი ყოველ ინგლისელს პირზე აკერია და თქვენ და მე, რომელნიც ბალღები ვიყავით, როცა დიდ ბრძოლაში გაიმარჯვეს და დამარცხდნენ, არასოდეს მოგვწყინდება ამ სახელგანთქმული ამბის მოსმენა და დაწვრილებით მოთხრობა. მისი მოგონება კვლავ უღრღნის გულს თანამემამულეთა მილიონებს. იმ

მამაცი ვაჟკაცებისა, რომელნიც მაშინ იძლივნენ. ისინი სულის კაწკაწით ელიან ხელსაყრელ დროს, რომ შური იძიონ იმ დამდაბლებისათვის. თუ კვლავ შეტაკება მოხდა და მათი გამარჯვებით დამთავრდა, ახლა ისინი განიხარებენ, ხოლო მძულვარებისა და გულბოროტების წყეულ მემკვიდრეობას ჩვენ მოგვიგდებენ. და აღარა აქვს დასასრული ეგრეთ წოდებულ დიდებასა და სირცხვილს, აგრეთვე ერთმანეთში ცვლას ძლევამოსილი და მარცხიანი ხოცვა-ჟლეტისა, რასაც ორი დიდად განათლებული ერი შეიძლება ეწეოდეს. აქედან მოყოლებული, ჩვენ, ფრანგები და ინგლისელები, იქნებ მთელ საუკუნეებს ვიტრაბახებდით, კვლავ ვჟლეტდით ერთმანეთს და შეუპოვრად აღვასრულებდით პატიოსნებისა და ზნეობის ეშმაკურ კანონებს.

ყველა ჩვენმა მეგობარმა მონაწილეობა მიიღო და ვაჟკაცურადაც იომა ამ დიდ ბრძოლაში. მთელ დღეს, სანამ დიაცები ღმერთს ევედრებოდნენ, შორს, ინგლისის შეუპოვარი ქვეითი ჯარი უხვდებოდა და უკვე აქცევდა ფრანგი მხედრობის მძვინვარე იერიშებს. ზარბაზნები, რომელთა ხმაც ბრიუსელს აღწევდა, ხნავდა მათ დასტებს, თანამოლაშქრენი ეცემოდნენ, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი, შეუდრეკელი ამხანაგები ისევ შემჭიდროვდებოდნენ ხოლმე. როცა მოსაღამოვდა, ფრანგების იერიშებს, რომელთაც ასე მამაცურად უმკლავდებოდნენ, სიმძაფრე მოაკლდა: ბრიტანელთა გარდა მათ ახლა ან სხვა მოპირდაპირე გაუჩნდა, ანდა გადამწყვეტი თავდასხმისათვის ემზადებოდნენ. ესეც მალე აღსრულდა: საიმპერიო გვარდიის დასტებმა გაილაშქრა სენ-ჟანის სერისაკენ, რათა ბოლოს და ბოლოს ერთბაშად, ერთი ხელის მოსმით, გადაეყარათ ინგლისელები იმ ბორცვიდან, რომელსაც მიუხედავად მტრის ყოველი მეცადინეობისა, მთელი დღე ინარჩუნებდნენ. ფრანგები არ ეპუებოდნენ ზარბაზნებს,, რომელნიც ინგლისელთა სანგრებიდან სიკვდილს აფრქვევდნენ: შავი დასტები მაინც მიიგრაგნებოდნენ და მიიწევდნენ სერის თხემისკენ. თითქოს, ის-ის იყო, კიდეც მიაღწიეს ქედს, რომ მოიერიშე ჯარი შედრკა და შეტორტმანდა. მერე შედგა, ოღონდ კვლავ პირისპირ კი უდგა თოფ-ზარბაზნებს. შემდეგ, ბოლოს, ინგლისის ჯარი გამოიჭრა იმ სანგრებიდან, საიდანაც მტერმა ვერას გზით ვერ მოახერხა მისი განდევნა, ეკვეთა მოპირდაპირეს და გვარდიამაც იბრუნა პირი.

სროლის ხმა აღარ ისმოდა ბრიუსელში. მდევარიც შორს

გადაიკარგა. წყვდიადმა დაჰფარა ბრძოლის ველი და ქალაქი, ემილია კი განაგრძობდა ლოცვას ჯორჯისთვის, რომელიც ტყვიით გულგანგმირული პირქვე ეგდო უსულოდ.

თავი XXXIII. მის კროულის ნათესავები ფრიად შეშფოთებულნი ბრძანდებიან მისთვის

გულკეთილ მკითხველს მოაგონდება, რომ სანამ მხედრობა ფლანდრიაში ლაშქრობს და იქ გმირული ბრძოლის შემდგომ წინ მიიწევს, ჯერ საფრანგეთის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების ასაღებად, მერე კი მთელი იმ ქვეყნის დასაპყრობადაც, ინგლისში მშვიდობიანად მცხოვრები ბევრი პიროვნება გვყავს დარჩენილი, რომელნიც ამ ჩვენს, მოთხრობასთან არიან დაკავშირებულნი და მატიანეში თავისი წილი ეკუთვნით. შფოთიანობისა და ხიფათიანობის ამ დროებაში მოხუცი მის კროული ბრაიტონს ბრძანდებოდა და ძალიან ნაკლებად აღელვებდა მაშინდელი დიდი ამბები. დიდმა ამბებმა, რასაკვირველია, გაზეთები საკმაოდ საინტერესო გახადა და ბრიგზმა ამოიკითხა „გაზეთში“ როუდონ კროულის ვაჟკაცობის ქებით მოხსენიებისა და, იქვე ახლოს კი, მისივე პოდპოლკოვნიკად გახდომის ამბავი.

- რა სამწუხაროა, რომ ამ ყმაწვილმა ასე გამოუსწორებელი ნაბიჯი გადადგა ცხოვრებაში, - ბრძანა მამიდამისმა, - თავისი ხარისხითა და წარჩინებით შეეძლო მელუდის მეოთხედ მილიონიანი ქალიშვილი მაინც შეერთო, მის გრეინზის მსგავსი; ან ინგლისის საუკეთესო ოჯახისშვილების თხოვნის იმედი ჰქონოდა. ოდესმე ჩემი ფულებიც იმას დარჩებოდა, ან კიდევ მის შვილებს, რადგან სულაც არ ვჩქარობ საიქიოს წაბრძანებას. ქალბატონი ბრიგზ, თუმცა თქვენ იქნებ გეჩქარებათ კიდეც ჩვენი თავიდან მოშორება!.. და ამეების ნაცვლად, სიღატაკეში უნდა ამოხდეს სული, თეატრის მოცეკვავე გომბიოთურთ, ცოლად რომ მოიყვანა.

- განა ჩემი ძვირფასი ქალბატონი არ ინებებს, მოწყალე თვალით გადახედოს გმირ ჯარისკაცს, ვისი სახელიც სამშობლოს დიდების მატიანეშია აღბეჭდილი? - მოახსენა მის

ბრიგზმა, რომელიც ფრიად აღგზნებული გახლდათ ვატერლოოს ამბებით და უყვარდა რომანტიკული ლაპარაკი, როცა შემთხვევა მიეცემოდა. - განა კაპიტანს, თუ პოლკოვნიკს, როგორც ახლა უფლება მაქვს ვუწოდო, ისეთი ღვაწლი არ მიუძღვის, რომელმაც კროულის გვარი განაბრწყინა?

- ბრიგზ, შენ ტუტუცი ხარ! - უთხრა ქალბატონმა კროულიმ. - პოლკოვნიკმა კროულიმ კროულის სახელი ლაფში ამოსვარა, ქალბატონო ბრიგზ. მართლაც, ხატვის მასწავლებლის გომბიოს შერთვა!.. dame de compagnie-ს[89] შერთვა!.. რადგან ხომ ამაზე უკეთესი არც ყოფილა ის, ბრიგზ!.. არა, ის სწორედ შენისთანა იყო... ოღონდ შენზე უფრო ახალგაზრდა და გაცილებით უფრო კოხტა და ჭკვიანი. ნეტავი შენც ხომ არ ბრძანდებოდი იმ ხელიდან წასული თაღლითის ბოროტმოქმედების ხელის შემწყობი, ვისი საზიზღარი ჯადოქრობის მსხვერპლიც ის ბიჭი გახდა და ვისაც ასე ეთაყვანებოდა ხოლმე? დიახ, მე მოგახსენებ, რომ შენც მისი ხელის შემწყობი ბრძანდებოდი! მაგრამ გარწმუნებ, ჩემი ანდერძი იმედს გაგიცრუებს: კეთილი ინებე და მისწერე მისტერ უექსის; შეატყობინე, ახლავე მინდა თქვენი ნახვათქო.

მის კროულის ამჟამად ჩვეულებად ჰქონდა, თითქმის ყოველდღე მიეწერა ბარათი თავის ვექილ მისტერ უექსისთვის, რადგან ქონების გამგეობის შესახებ გაცემული ყველა ძველი განკარგულება გააუქმა და ახლა მეტად დაბნეული გახლდათ - არ იცოდა მომავალში როგორ მოეხმარა თავისი ფულები.

შინაბერამ გვარიანად მოიკეთა, რაც იმაზე ემჩნეოდა, რომ ბრიგზს უფრო ხშირად და გესლიანად დასცინოდა. ყველა ამ თავდასხმას საწყალი დედაკაცი უდრტვინველად, ლაჩრულად და მოთმინებით იტანდა, ოღონდ მისი საქციელი ნახევრად სულგრძელობის მიზეზი იყო, ნახევრად კი - ცბიერებისა. ერთი სიტყვით, ისე ემონებოდა, როგორც მისი ბუნებისა და მდგომარეობის ქალებს სჩვევიათ. ვის არ უნახავს როგორ სჩაგრავს ქალი ქალს? განა მამაკაცების რა ტანჯვათა განცდა შეედრება ზიზღისა და ბოროტების იმ ყოველდღიურად განმეორებულ ისრებს, რომლითაც საბრალო დიაცები იცხრილებიან ხოლმე თავიანთი სქესის მტარვალთა მიერ? საბრალო მსხვერპლნი! მაგრამ ჩვენ ვუხვევთ ჩვენს დებულებას, რომელიც ის გახლავთ, რომ ქალბატონი კროული ყოველთვის განსაკუთრებით შემაწუხებელი და მძვინვარე

ხდებოდა მაშინ, როცა იგი სენისაგან იკურნებოდა: როგორც იტყვიან, ჭრილობები ყველაზე უფრო მაშინ ექავებათ ხოლმე, როცა ისინი პირს იკრავენ.

ქალბატონი კროული ასე რომ უახლოვდებოდა, როგორც ყველა იმედოვნებდა, გამომჯობინებას, მხოლოდ მის ბრიგზი გახლდათ ერთადერთი ზვარაკი, რომელსაც უფლება ჰქონდა ავადმყოფთან ახლო ყოფნისა. მაგრამ ქალბატონ კროულის შორს მყოფი ნათესავნი მაინც არ ივიწყებდნენ სანუკვარ თვისტომს და ყურადღების დამადასტურებელი მრავალი ნიშნით, ფეშქაშითა და გულითადი წერილით იღწვოდნენ, არ წაშლილიყო მათი სახეები მიის ხსოვნაში.

უპირველეს ყოვლისა, მოვიხსენოთ მისი ძმისწული როუდონ კროული. ვატერლოოს სახელგანთქმული ბრძოლისა და „გაზეთის“ იმ ცნობის შემდგომ, რომელიც იუწყებოდა იმ გამოჩენილი ოფიცრის განდიდებისა და მამაცობის ამბავს, დიეპის საფოსტო გემმა ბრაიტონს, ქალბატონ კროულის, პოლკოვნიკი ძმისწულისაგან გამოგზავნილი საჩუქრებიანი ყუთი და მოწიწებული, გულითადი წერილი ჩამოუტანა. ყუთში გახლდათ ერთი წყვილი ფრანგული ეპოლეტი, საპატიო ლეგიონის ჯვარი და ხმლის ვადა - ბრძოლის ველიდან წამოღებული ნეშტნი. წერილში საკმაოდ ენამახვილად იყო აღწერილი, როგორ ეკუთვნოდა ეს ხმლის ტარი საფრანგეთის გვარდიის ერთ მეთაურ ოფიცერს, რომელმაც შესძახა, „გვარდიელი მოკვდება, მაგრამ ტყვედ არ დანებდებაო“, მაგრამ მაშინვე კი ჩაუვარდა ტყვედ უბრალო ჯარისკაცს; ამ ჯარისკაცმა ფრანგს თოფის კონდახით გადაუმტვრია ხმალი და როუდონი დაეპატრონა შემუსვრილ იარაღს. ჯვარი და ეპოლეტები კი საფრანგეთის ცხენოსანი ჯარის პოლკოვნიკისა იყო, რომელიც ბრძოლაში სძლია ადიუტანტმა, და როუდონ კროული დასძენდა, ამ ნადავლისთვის სხვა უკეთეს გზას რაღას ვიპოვნიდი - ისევ ჩემს უგულითადეს და უსაყვარლეს ძველ მეგობარს გამოგიგზავნეო. შემდეგ კითხულობდა, ნებას მიბოძებთ განვაგრძო თქვენთვის წერილების გზავნა პარიზიდან, საითკენაც არმია მოელაშქრებაო? მას შეეძლებოდა საინტერესო ამბები ეცნობებინა ამ სატახტო ქალაქიდან ქალბატონ კროულის ზოგი ძველი ემიგრანტი მეგობრისა, რომელთაც ასე დიდი ამაგი დასდო მან გასაჭირში ყოფნის დროს.

შინაბერამ მოწყალე და ალერსიანი წერილი მიაწერინა ბრიგზს პოლკოვნიკისათვის; აქეზებდა, განაგრძე წერილების გზავნაო. პოლკოვნიკის პირველი წერილი ისე უზომოდ სახალისო და შემაქცევარი აღმოჩნდა, რომ ბებერი სიამოვნებით ელოდა სხვებსაც.

- რასაკვირველია, ვიცი, - აუხსნა მან ქალბატონს ბრიგზს, - რომ როუდონს ისევე არ შეუძლია ასე კარგი წერილის დაწერა, როგორც შენ, ჩემო საცოდავო ბრიგზ, და სწორედ ის ჭკვიანი, პატარა ოინბაზი რებეკა რომ არის, მისი ნაკარნახევია სიტყვა-სიტყვით. მაგრამ ეს მაინც არ უშლის ხელს ჩემს ძმისწულს, გამართოს. ამიტომ მსურს გააგებინო, ძალიან ნასიამოვნები გახლავარ-თქო.

ნეტავი თუ იცოდა, რომ ბეკი არა მარტო იმ წერილებსა წერდა, არამედ როუდონ კროულის მეუღლემ თვითონვე აიღო და გამოუგზავნა ნადავლი, რომელიც ორიოდე ფრანკად იყიდა ერთ-ერთი მეწვრილმანისაგან - ომის რელიკვიებით მოვაჭრე ხომ ურიცხვი გაჩნდა ბრძოლის დამთავრებისთანავე! ყველაფრის მცოდნე მწერალმა ესეც იცის. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, ქალბატონ კროულის ლმობიერმა პასუხმა ფრიად გაამხნევა ჩვენი ახალგაზრდა მეგობრები, როუდონი და მისი მეუღლე, რომელთაც დიდი იმედი მიეცათ, მამიდის მოლბობას კარგი პირი რომ უჩანდა. ამიტომაც გამოიღეს თავი მიისი შექცევისათვის და ბევრი საამო წერილი აახლეს პარიზიდან, სადაც როგორც როუდონი იუწყებოდა, მათდა საბედნიეროდ წაყვნენ ისინი ძლევამოსილ მხედრობას.

შინაბერას წერილები მღვდლის ცოლისადმი, რომელიც დედოფლის კროულის გაემგზავრა ლავიწჩატეხილი ქმრის მოსავლელად, სრულიადაც არა ყოფილა ასე მოწყალე კილოთი დაწერილი. ბიუტის მეუღლეს, ამ მკვირცხლ, უნარიან, თადარიგიან, დაუცხრომელ და მბრძანებლობის მოყვარე დიაცს, ყველაზე საბედისწერო შეცდომა მოუვიდა მულის მიმართ. მან არა მარტო შეავიწროვა ის და მისი ჯალაბობა, არამედ თავიც მოაბეზრა ქალბატონ კროულის. და საბრალო მის ბრიგზი რომ ოტა მტკიცე ხასიათის დედაკაცი ყოფილიყო, ბედნიერად იგრძნობდა თავს, როცა მისმა ქალბატონმა განკარგულება გასცა, მისწერე წერილი ბიუტ კროულის მეუღლეს და შეატყობინე, მისი წასვლის შემდეგ სრულიად გამოვმთელდი და სთხოვე, არასგზით არ შეიწუხოს თავი და

ოჯახი უპატრონოდ არ დააგდოს ჩემი გულისათვისო. ეს გამარჯვება იმ მანდილოსანზე, რომელიც ერთობ უკმეხად და მკაცრად ეპყრობოდა მის ბრიგზს, ქალთა უმეტესობას გაახარებდა. მაგრამ ბრიგზს ჭეშმარიტად სულაც არავითარი ხასიათი არ გააჩნდა და როგორც კიმ სი მტერს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებოდა, მყის შეეცოდებოდა იგი და მისი თანამგრძნობი გახდებოდა.

„რა სისულელე მომივიდა, - სამართლიანად ფიქრობდა ბიუტის მეუღლე, - იმ ტუტუცურ წერილში სიტყვა რომ გადავუკარი, მოვდივარ-მეთქი, როცა მის კროულის ციცრები გავუგზავნეთ, კრინტიც არ უნდა დამეძრა, ისე ჩავსულიყავი საბრალო, ძვირფას, სანუკვარ მოხუცთან და დამეხსნა იმ ყეყეჩი ბრიგზისა და იმ სვავი femme de chambre-ის ხელიდან. ოჰ, ბიუტ, ბიუტ, რად ჩამიმტვრიე ეგ ლავიწი!“

რად ჩაიმტვრია მართლაც? ჩვენ ხომ ვიხილეთ, რომ ბიუტის მეუღლემ, რაკი ხელთ იგდო ბანქოს ქაღალდი, დიაღ გადამეტებული შნო და უნარიც გამოიჩინა თამაშში. იგი სავსებით და სრულებით გაბატონდა მის კროულის ოჯახში, რათა ასევე სავსებით და სრულებით ესროლინებინათ კუდით ქვა, როცა ამბოხებისათვის ხელსაყრელი დრო დადგა. თვით ის და მისი შინაურები კი მაინც თვლიდნენ, რომ იგი საზარელი მეშურნეობისა და ღალატის მსხვერპლი შეიქმნა და რომ მის კროულისათვის დიდებული მისი ამაგი მხოლოდ გაუგებარ, ტლანქ უმადურობას წააწყდა. როუდონის წარჩინებამ და „გაზეთში“ მისი სახელის პატივით მოხსენიებამაც, შიშით აღავსო და შეაშფოთა ეს ღვთისმოსავი ქრისტიანი მანდილოსანი. ხომ არ შეურიგდება ახლა მამიდამისი, როცა იგი უკვე პოლკოვნიკი და აბანოს ორდენის რაინდი გახდა? და კვლავ ხომ არ მოიბრუნებს გულს მის კროული იმ საზიზღარ რებეკასაკენ? მღვდლის ცოლმა ქმარს მხედრული დიდებისა და ბოროტთა წარმატების ამაოებისათვის ქადაგება შეუთხზა, რომელიც წმიდა მოძღვარმა დიდის რიხით წარმოსთქვა, თუმცა ერთი სიტყვაც არ ესმოდა. მისი ერთ-ერთი მსმენელი პიტ კროული გახლდათ, ის პიტი, რომელიც თავისი ორი პატარა დითურთ მოსულიყო ეკლესიაში; ხოლო თვით ბებერი ბარონეტისთვის ახლა ქუდიც რომ შეგეგდოთ საყდარში, მაინც ვეღარ შეადგმევინებდით შიგ ფეხს.

ბეკი შარპის წასვლის შემდეგ ამ ბეხრეკმა სრულიად მისცა

თავი უგვან ყოფაქცევას, რითაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს საგრაფოში, მის ვაჟიშვილს კი თავზარი დასცა, თუმცა მაინც ვერ ბედავდა კრინტის დაძვრას. მის ჰოროქსის ქუდს წინანდელზე უფრო თვალისმომჭრელი ბაბთები გაუჩნდა. პატიოსანი ოჯახიშვილები ძრწოლით გაურბოდნენ სასახლესა და მის პატრონს. სერ პიტი კარიკარ დადიოდა და ლოთობდა თავის მოიჯარეებში, საბაზრო დღეებში კი მადბერიში და ახლომახლო ადგილებში მიირთმევდა არაყს გლეხებთან. იგი საუთემპტონსაც მიბრძანდებოდა საგვარეულო ოთხცხენიანი ეტლით, შიგნით კი მის ჰოროქსი ეჯდა. საგრაფოს ხალხი ყოველ კვირას ელოდა და მის ვაჟიშვილსაც ხმამოუღებლივ უსკდებოდა გული, რომ სერ პიტისა და მის ჰოროქსის ქორწინების ამბავი მალე გამოცხადდებოდა პროვინციის გაზეთში. ჭეშმარიტად მძიმე ასატანი ტვირთი გახლდათ ეს მისტერ კროულისათვის. ქადაგებასა და ახლომახლო გამართულ სხვა სასულიერო შეკრებილობებში, სადაც იგი ჩვეულებრივ თავმჯდომარეობდა და საათობით ლაპარაკობდა, ძალა გამოეცალა მის მჭევრმეტყველებას, რადგან, როცა სალაპარაკოდ ადგებოდა, გრძნობდა, რომ მსმენელნი გულში მაინც ამბობდნენ: „ეგ ხომ შვილია იმ ურჯულო და გარყვნილი ბებერი სერ პიტისა, რომელიც სწორედ ახლა უთუოდ სადმე სამიკიტნოში ლოთობსო“. ერთხელ კიდევ, როცა ტიმბუქტუს მეფის უმეცრების წყვდიადში ყოფნასა და მისი, ასევე სიბნელეში მყოფი, მრავალი ცოლის შესახებ ქადაგებდა, ბრბოდან ვიღაც მთვრალმა გარეწარმა მიაძახა: „ნორჩო ფარისეველო, თვითონ დედოფლის კროულიში რაღამდენიაო?“ რითაც მთელი კრება განაცვიფრა და ბოლოც მოუღო ბატონ პიტის სიტყვას. კროულის ოჯახის ორი ასულიც ალბათ სრულიად გაველურდებოდა (ვინაიდან სერ პიტმა დაიფიცა, ჩემ სახლში აღმზრდელ ქალს აღარასოდეს გავაჭაჭანებო), რომ ბატონ კროულის მუქარით არ აეძულებინა მოხუცი, ისინი სკოლაში მიებარებინა.

ამასობაში, როგორც მოვიხსენიეთ კიდეც, რა პირადი კინკლაობაც არ უნდა ჰქონოდათ ყველას ერთმანეთში, მის კროულის ძვირფას ძმისწულებს მაინც ერთსულოვნად უყვარდათ მამიდა და უგზავნიდნენ სიყვარულის დამადასტურებელ ნიშნებს. მაგალითად, ბიუტის მეუღლემ გაუგზავნა ციცრები, განსაკუთრებით საუცხოო კალნაბი და

მისი თვალისჩინი გოგონების ნახელავი კოხტა ქისა თუ ქინძისთავების დასაბნევი ბალიში და თან დართული ჰქონდა ამ ქალიშვილების თხოვნა ძვირფასი მამიდასადმი, ერთი პაწია კუნჭული ჩვენც დაგვიტოვეთ თქვენს მახსოვრობაშიო; ხოლო სასახლიდან კი პიტი უგზავნიდა ატამს, ყურძენსა და ირმის ხორცს. ეს სასიყვარულო ფეშქაშები საუთემპტონის საფოსტო ეტლს ჩაჰქონდა მის კროულისთვის ბრაიტონს. ხანდახან ბატონ პიტსაც ჩაიყვანდა ხოლმე იქ, რადგან სერ პიტთან უთანხმოება ბატონ კროულის აიძულებდა ახლა საკმაოდ დიდ-დიდი ხნით მორიდებოდა თავის სახლს. გარდა ამისა, ბრაიტონისკენ იზიდავდა მას ლედი ჯეინ შიპშენკსიც, რომელზედაც დანიშნული რომ ბრძანდებოდა ბატონი კროული, წინათაც მოვიხსენიეთ. მისი ბრწყინვალება და მისი დანი ბრაიტონს ცხოვრობდნენ თავიანთ დედიკო გრაფის მეუღლე საუთდაუნთან, იმ მტკიცე ხასიათის მანდილოსანთან, რომელიც ასე სახელგანთქმული გახლავთ მოაზროვნე საზოგადოებაში.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ამ ქალბატონისა და მისი კეთილშობილი ოჯახისათვის, რომელიც აწმყო და მომავალი ნათესაური კავშირით არის შეკრული კროულის სახლთან. რაც შეეხება საუთდაუნთა სახლის უფროსს, კლიმენტ უილიამს, მეოთხე გრაფ საუთდაუნს, ბევრი არაფერია სათქმელი, გარდა იმისა, რომ ეს ვაჟბატონი, როგორც ლორდი ულზი, პარლამენტში შევიდა ბატონ უილბერფორსის მფარველობით, ერთ ხანს კიდეც ასახელ თავისი პოლიტიკური ნათლია და ნამდვილად საქმიანი ყმაწვილი კაცი ჩანდა. მაგრამ სიტყვით ვერ გამოითქმის მისი სათაყვანო დედის გრძნობანი, როცა შეიტყო კეთილშობილი ქმრის გარდაცვალების შემდეგ მალევე, რომ მისი ვაჟიშვილი წარჩინებულთა რამდენიმე დროს გასატარებელი კლუბის წევრი ყოფილიყო და ბლომად ფულიც წაეგო უოტიერისას და „ქოქოსის პალმაში“; რომ ფულს სესხულობდა შემდგომში მემკვიდრეობის მიღების ხარჯზე და ვალებში ჩაეგდო საგვარეულო მამული; რომ დააქროლებდა ოთხცხენიან ეტლს და მფარველობდა დოღში სანაძლეოთა გამართვას და რომ მას ოპერაში ნამდვილად ჰქონდა დაქირავებული ლოჟა, სადაც უცოლო ყმაწვილკაცების ფრიად საშიშ საზოგადოებაში ტრიალებდა და ახლა მისი სახელი ქვრივის წრეში მხოლოდ ოხვრითღა თუ იხსენიებოდა.

ლედი ემილი ძმაზე ბევრად უფროსი გახლდათ და

მნიშვნელოვანი ადგილიც ეპყრა სულიერ სამყაროში, ვითარცა ზემოთ ხსენებული მშვენიერი თხზულებისა და ბევრი ჰიმნისა და სასულიერო საგალობლის ავტორს. ხანმოთეული შინაბერა და ქორწინებაზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენის მქონე დიაცი თითქმის მთელი გულითა და სულით ზანგებზე იყო შეყვარებული. მე მგონი, იმას უნდა ვუმადლოდეთ ამ ლექსსაც: შორს დასავლეთის ზღვისკენ წარგვიძეხ

და მიგვიყვანე იმ კუნძულს მზიანს, სად ცის ლაჟვარდი მარად იცინის, ხოლო ზანგნი კი მარად ტირიან.

მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩვენი ოსტ- და უესტ-ინდოეთის სამფლობელოთა უმეტესი ნაწილის სასულიერო მოღვაწეებთან და გულში ჩუმად უღვიოდა სიყვარული ღირს მამა საილეს ჰორნბლაუერისადმი, რომელსაც ტატუ გაუკეთეს წყნარი ოკეანის სამხრეთ კუნძულებზე.

რაც შეეხება ლედი ჯეინს, რომელსაც, როგორც ითქვა, მისტერ პიტ კროული ეტრფოდა, იგი სათნო, მორცხვი, მდუმარე და მოკრძალებული ადამიანი იყო. მიუხედავად კეთილი გზიდან გადაცდენილობისა, მაინც უყვარდა ძმა, ოღონდ ძალიან კი სრცხვენოდა ამ სიყვარულისა. ჯერ კიდევ უგზავნიდა მოკლე, ნაჩუმათევად და ნაჩქარევად ნაწერ ბარათებს და ნამალევად დაჰქონდა ფოსტაში. უსაზარლესი საიდუმლოება, რომელიც მის სიცოცხლეს ლოდად აწვა, ის გახლდათ, რომ ლედი ჯეინი და მოხუცი მეკუჭნავე დედაკაცი მალულად ესტუმრნენ საუთდაუნს ოლბენის პალატებში და ნახეს, რომ იგი... ოჰ, ის საძაგელი, საყვარელი, დაღუპული ქარაფშუტა! - იგი იჯდა, სიგარას აბოლებდა და წინაც კიურასოს ბოთლი ედგა.

ლედი ჯეინი ეთაყვანებოდა დას, აღმერთებდა დედას; ხოლო ბატონი კროული, საუთთდაუნის, ამ დაცემული ანგელოზის, შემდეგ, ყველაზე მშვენიერ და სრულყოფილ ვაჟკაცად მიაჩნდა. მისი დედიკო და და, მასზე უზომოდ უფრო მაღალი რანგის ბანოვნები, განაგებდნენ ყველა მის საქმეს და იმ მომხიბლავი სიბრალულით ეპყრობოდნენ, რასაც ყოველთვის ასე ხალისით სჩადიან ხოლმე ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი მანდილოსნები. დედიკო უკვეთავდა მისთვის კაბებს, წიგნებს, ქუდებს, აზრებს. მას ასეირნებდნენ პონით, ან ავარჯიშებდნენ ფორტეპიანოზე, ან კიდევ სხეულის სხვა რამ მოძრაობას აკეთებდნენ მხოლოდ ისე, როგორც მილედი საუთდაუნს მიაჩნდა საჭიროდ. და მისი ბრწყინვალება თავის ქალიშვილს

თვით ამჟამინდელ ასაკამდე, ოცდაექვს წლამდეც, ატარებდა წინსაფრით, რომ დედოფალ შარლოტასთან ლედი ჯეინის წარდგენის დროს არ მოეშორებინათ ეს სამკაული.

როცა ეს მანდილოსნები პირველად ჩამობრძანდნენ ბრაიტონს, თავიანთ სახლში, ბატონი კროული მხოლოდ მათ სანახავად დადიოდა პირადად. ხოლო მამიდის სახლისათვის მარტო სადარბაზო ბარათის დატოვებით კმაყოფილდებოდა, თანაც მისტერ ბოულზს ან მის თანაშემწე ფარეშს მოკრძალებითა და მოწიწებით გამოჰკითხავდა სნეულის ჯანმრთელობის ამბავს. ერთხელ ბიბლიოთეკიდან შინ მიმავალ ბრიგზს შეხვდა, რომელსაც იღლიაში რომანების გროვა ჰქონდა ამოჩრილი და მას რომ სრულიად არ სჩვეოდა, ისე გაწითლდა, როცა მიეგება და ხელი ჩამოართვა ქალბატონ კროულის ამ ამხანაგს. ქალბატონი ბრიგზი მან გააცნო იმ მანდილოსანს, ვისთანაც ბატონი კროული შემთხვევით ერთად მოსეირნობდა - ლედი ჯეინ შიპშენკსს, და თან დასძინა: - ლედი ჯეინ, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მამიდაჩემის უგულითადესი მეგობარი და უსაყვარლესი ამხანაგი ქალბატონი ბრიგზი, რომელსაც თქვენ სხვა წოდებითაც იცნობთ, ვითარცა ავტორს წარმტაც „გულის ლირიკისა“, თქვენ რომ ასე მოგწონთ!

ლედი ჯეინიც გაწითლდა, პატარა, ალერსიანი ხელი რომ გაუწოდა ქალბატონ ბრიგზს, თან მეტად თავაზიანი და უთავბოლო რაღაც წაიბუტბუტა თავისი დედიკოს შესახებ. მერე თქვა, ქალბატონ კროულის მონახულება მინდა და მოხარული ვარ ბატონ კროულის მეგობრებისა და ნათესავების გაცნობისაო. განშორებისას ალერსიანი, მტრედისებური გადახედვით გამოესალმა იგი ბრიგზს, ხოლო პიტ კროულიმ უღრმესი პატივისცემის გამომხატველი ისეთი თავაზიანი თაყვანი სცა, როგორც მის უდიდებულესობას, პუმპერნიკელის დედოფალს უძღვნიდა ხოლმე, როცა ატაშედ ბრძანდებოდა იმ ქვეყნის მთავრის კარს.

ცბიერი დიპლომატი და მაკიაველის მიმდევარი ბინკის შეგირდი! სწორედ იმან მისცა ადრევე ლედი ჯეინს საბრალო ბრიგზის ყმაწვილობის დროინდელი ლექსების ის კრებული. მას მოჰგონებოდა, რომ დედოფლის კროულიში მოეკრა მისთვის თვალი: იგი მიძღვნილი იყო მამამისის განსვენებულ მეუღლისთვის. ბატონ პიტს ეს წიგნი ბრაიტონს წამოეღო და სანამ სათნო ლედი ჯეინს უბოძებდა, საუთემპტონის

საფოსტო ეტლში გზადაგზა გადაეკითხა და საკუთარი ფანქრის აღენიშნა კიდეც საგულისხმო ადგილები.

აგრეთვე სწორედ ბატონმა პიტ კროულიმ შთააგონა ლედი საუთდაუნს ის დიდი ხელსაყრელობა, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა მისი ოჯახისა და მის კროულის ერთმანეთთან დაახლოებას; და როგორც იგი ირწმუნებოდა, ეს ორივესთვის იქნებოდა ხელსაყრელი: ხორცისთვისაც და სულისთვისაც, ამას იმით ხსნიდა, რომ ქალბატონი კროული ამჟამად სრულიად განმარტოებული ბრძანდებოდა. მისი ძმის, როუდონის, შემაძრწუნებელმა დამთხვეულობამ და ქორწინებამ შეაძულა ქალბატონ კროულის ეს გარეწარი ყმაწვილი. ბიუტ კროულის მეუღლის აუტანელმა მტარვალობამ, გაუმაძღრობამ და სიწუწკემ მოხუცი მანდილოსანი აამხედრა ოჯახის წევრთა ამ ნაწილის გადაჭარბებული მოთხოვნების წინააღმდეგაც და თუმცა თვით იგი, ბატონი პიტ კროული, მთელი თავისი სიცოცხლე თავს იკავებდა ქალბატონ კროულისთან მეგობრობისაგან, რაც იქნებ შეუსაბამო დიდგულობითაც მოსდიოდა, ახლა ფიქრობდა, რომ ყოველი მოსახერხებელი ღონე უნდა გამოენახათ, რათა ამ მანდილოსნის სული დაღუპვისაგან ეხსნათ და მისი ქონებაც ბატონ კროულის, ვითარცა კროულების ოჯახის მეთაურის ხელს არ ასცდენოდა.

მტკიცე ხასიათის ლედი საუთდაუნმა სრულიად მოიწონა სასიძოს ორივე განზრახვა და მზად იყო მყის მოექცია ჭეშმარიტ რჯულზე ქალბატონი კროული. საკუთარ სახლში, საუთდაუნშიაც და ტროტერმორ-კასლშიაც, ეს ახოვანი და შიშის ზარის დამცემი მოციქული ჭეშმარიტებისა ცხენოსანი ამალის თანხლებით დააგრიალებდა ეტლს სოფლებში, ფანტავდა წიგნაკების გროვებს გლეხებსა და ხიზნებში და ისე უბრძანებდა გეფერ ჯოუნზს მოქცეულიყო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, როგოც, მაგალითად, გუდი ჰიქსს უბრძანებდა ჯეიმზის ფხვნილი გადაეყლაპა. ერთი სიტყვით, ულაპარაკოდ და ურჩობისა და სამღვდელოების კურთხევის გარეშე სჩადიოდა ამ საქმეს. ლორდ საუთდაუნს, მის განსვენებულ მეუღლეს, ბნედიან და მოყეყეჩო აზნაურს, ჩვეულებადა ჰქონდა ყველაფერი, რაც მისი მატილდას ხელიდან გამოდიოდა, ან რასაც იგი ფიქრობდა, მოსწონებოდა. ისე რომ ლედი საუთდაუნს თვითონ როგორც არ უნდა შეცვლოდა რწმენა (და მისი რწმენის ცვლა კი ეგუებოდა აზრთა გასაოცარ ნაირნაირობას, რასაც დისენტერთა ყველა ჯურის

მოძღვართაგან იძენდა), იოტისოდენადაც არ შეყოყმანდებოდა, მყის ებრძანებინა ყველა თავისი ხიზნისა და ხელქვეითისათვის მის კვალზე წასულიყვნენ და მასავით ერწმუნათ ახალი მოძღვრება. ამგვარად, ვისაც კი ირწმუნებდა ეს ბანოვანი - შოტლანდიელ ღვთისმეტყველ ღირს მამა სონდერზ მაკ-ნიტრს, თუ უესლის თვინიერ მიმდევარ ღირს მამა ლიუკ უოტერზს, ან კიდევ ღირს მამა ჯაილზ ჯაულზს, „განათლებულ“ მეჯღანეს, რომელმაც თვითონვე მიანიჭა ღირსი მამობა, როგორც ნაპოლეონმა იმპერატორის გვირგვინი - მილედი საუთდაუნის შინამოსამსახურეებს, შვილებს და ხიზნებსაც უეჭველად უნდა მოეყარათ მუხლი მის ბრწყინვალებასთან ერთად და ამინი დაერთოთ ყველა მოძღვრის ლოცვისათვის. ამ საქმიანობის დროს მოხუც საუთდაუნს, მისი უძლურობის გამო, ნება ჰქონდა დართული თავის ოთახში მჯდარიყო, მიერთმია ნიგესი და ყური ეგდო გაზეთის კითხვისათვის. ლედი ჯეინი გახლდათ მოხუცი გრაფის საყვარელი ასული, რომელიც უვლიდა და რომელსაც იგი წრფელის გულითაც უყვარდა. რაც შეეხება ლედი ემილიას, „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი დედაკაცის“ ავტორს, საიქიოს ტანჯვა-წამებით მისი დამუქრებანი (ოღონდ იმ ხანებში, რადგან შემდგომ მისი შეხედულებანი გადასხვაფერდა) ისე თავზარდამცემი რამ იყო, რომ გულს უხეთქდა თვინიერ მოხუც მამამისს და ექიმებიც აცხადებდნენ, სნეულება მაშინ მოუვლის ხოლმე, როცა მისი ბრწყინვალება უქადაგებსო.

- მე უთუოდ ვნახავ, - უთხრა მაშინ ლედი საუთდაუნმა სასიძოს, ბატონ პიტ კროულის, მისი დამარწმუნებელი ლაპარაკის პასუხად. - ვინა სწამლობს მის კროულის?

ბატონმა კროულიმ მისტერ კრიმერი დაუსახელა.

- ნამეტანი მოსარიდებელი და უვიცი მკურნალია, ჩემო ძვირფასო პიტ! მე განგებამ წილად მარგუნა ბევრი ოჯახიდან გამომედევნა იგი; თუმცა კრთი-ორჯერ ვეღარც მივუსწარი თავის დროზე. ვეღარ გადავარჩინე საცოდავი, ძვირფასი გენერალი გლენდერზი, იმ რეგვენის ხელში რომ სულს ლევდა... სწორედ რომ ლევდა! ცოტა კი მოიხედა პოჯერზის აბი რომ გადავაყლაპე, მაგრამ, ვაგლახ! უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. სასიამოვნო კი იყო მაინც მისი სიკვდილი: მხოლოდ უკეთეს სამყოფელში გადაინაცვლა! კრიმერი, ჩემო ძვირფასო პიტ, უნდა ჩამოშორდეს მამიდათქვენს!

პიტმა სრული თანხმობა განუცხადა. ისიც გაიტაცა მისი კეთილშობილი ნათესავისა და სასიდედროს გულმოდგინებამ. მანაც სცნო და აღიარა სონდერზ მაკ-ნიტრი, ლიუკ უოტერზი, ჯაილზ ჯაულზი, პოჯერზის აბები, როჯერზის აბები, პოკის ელექსირი, მისი ბრწყინვალების, ლედი საუთდაუნის ყოველი წამლეული, სულიერიც და ხორციელიც. პიტი ისე არ გამოვიდოდა სასიდედროს სახლიდან, რომ მოწიწებით არ გამოეყოლებინა თან თაღლითურ საღვთისმეტყველო თხზულებათა და წამლების გროვები. ოჰ, ჩემო საყვარელნო ძმანო და ამაოების ბაზრის თანამყოფნო მეგობარნო, ვის არ სცნობია ისინი და არ დატანჯულა ამგვარი კეთილმოსურნე მტარვალების ხელში? ამაოდ ეტყვი მათ: „ძვირფასო ქალბატონო, მე ხომ შარშან თქვენივე ბრძანებით დავლიე პოჯერზის საგანგებო წამალი და კიდეც მწამს იგი. ახლა რატომ, რისთვის უნდა უარვყო ის და ვსვა როჯერზის წამლები?“ არ გახლავთ ხსნა! თუ ჭეშმარიტების ერთგული განმანათლებელი საბუთიანობით ვერ მოახერხებს დაჯერებას, ცრემლები წასკდება და შეტაკების ბოლოს ურჩი მაინც იხილავს საკუთარ თავს ისე, რომ უშველებელ აბს ყლაპავს და თან აყოლებს: „კეთილი, კეთილი, ამ როჯერზისაც დავლევ!“

- მის სულიერ მდგომარეობასაც, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ უნდა მიხედვა, - განაგრძო მანდილოსანმა: - კრიმერის ხელში შეიძლება დღე-დღეზე გამოესალმოს წუთისოფელს. და მერე რა ყოფაში, ჩემო ძვირფასო პიტ, რა შემაძრწუნებელ ყოფაში! მე ახლავე გავუგზავნი ღირს მამა ბატონ აირონზს. ჯეინ, მისწერე ორიოდე სიტყვა ღირს მამა ბართლომიუ აირონზს, ოღონდ მესამე პირით, და მოახსენე, რომ მე მწადია ვისიამოვნო მისი ნახვით და საღამოს ჩაიზე, შვიდის ნახევრისათვის. განმანათლებელი ადამიანი ბრძანდება; და სანამ მის კროული ამ ღამეს დასაძინებლად თვალს მოხუჭავდეს, სწორედ მანამდე უნდა მიუსწროს სულიერმა მამამ. შენ კი, ემილი, ჩემო საყვარელო, წიგნების შეკვრა მოუმზადე მის კროულის. ჩაუდე „ხმა ალიდან“, „იერიქონის გამაფრთხილებელი საყვირი“ და „დამსხვრეული სახორცე ქვაბი, ანუ მოქცეული კაციჭამია.“

- და „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი დედაკაციც“, დედიკო! - დასძინა ლედი ემილიამ. - ასევე კარგია რაიმე გულის დამაამებელი წიგნით დაწყება!

- მოითმინეთ, ჩემო ძვირფასო მანდილოსანნო, - ბრძანა დიპლომატმა პიტმა. - დიდის მოწიწებით გახლავართ გამსჭვალული ჩემი საყვარელი და პატივცემული ლედი საუთდაუნის მოსაზრებისადმი, მაგრამ, მე მგონია, არ იქნება მიზანშეწონილი ასე ადრიანად დავიწყოთ სერიოზულ საგნებზე საუბარი ქალბატონ კროულისთან. გაიხსენეთ მისი ახლანდელი სათუთი მდგომარეობა და რა ნაკლებ, რა მეტისმეტად ნაკლებ იყო აქამდე იგი შეჩვეული მარადიულ დღეგრძელობაზე ფიქრსა და სჯას.

- მაშ განა შესაძლებელია, რომ ეს ძალიან ნაადრევი იყოს, პიტ? - მიუგო ლედი ემილიამ, რომელიც წამოდგა ფეხზე და ხელში უკვე ექვსი წიგნაკი ეჭირა.

- თუ მკაცრად და ფიცხად შევუდგებით საქმეს, სულაც დავაფრთხობთ ქალბატონ კროულის. მე ისე კარგად ვიცი მამიდაჩემის ამაო ბუნების ამბავი, რომ დარწმუნებული ვარ, მოქცევის დროს ყოველი ფიცხი და წინდაუხედავი ცდა ყველაზე უარესი ღონე აღმოჩნდება ამ უბედური ქალის კეთილდღეობისათვის. ამით მხოლოდ შევაშინებთ და გავინაწყენებთ. იგი, უეჭველია, მოისვრის წიგნაკებს და მათ მბოძებლებთან ყოველნაირ ნაცნობობაზე უარს იტყვის.

- თქვენ, პიტ, ისეთივე წუთისოფლის ადამიანი ბრძანდებით, როგორც მის კროულია! - შესძახა ლედი ემილიმ და წიგნაკებიანად გაიჭრა გარეთ.

- და თანაც რაღა საჭიროა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო ლედი საუთდაუნ. - განაგრძო ხმადაბლა პიტმა და ყური არ ათხოვა ლაპარაკში ხელის შეშლას, - თვინიერობისა და სიფრთხილის სულ მცირეოდენი მოსაკლისებაც რა საბედისწერო შეიძლება გახდეს იმ იმედებისათვის, რომელნიც ჩვენ იქნებ გვიღვივოდეს გულში მამიდაჩემის ამქვეყნიური ქონების მიმართ. გაიხსენეთ, რომ მას სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი მოეპოვება. მოიგონეთ მისი ასაკი და მისი ერთობ დაძაბული და სათუთი მდგომარეობა. მე ვიცი, მან მოსპო ჩემი ძმის, პოლკოვნიკ კროულის, სასარგებლო ანდერძი. ამ დაკოდილ სულს მხოლოდ ალერსითა და მოფერებით თუ დავაყენებთ ჭეშმარიტ გზაზე და არა შეშინებით. და ამიტომ, მე მგონი, დამეთანხმებით, რომ... რომ...

- რასაკვირველია, რასაკვირველია, - შენიშნა ლედი

საუთდაუნმა. - ჯეინ, ჩემო საყვარელო, ნუღა გაუგზავნი ბატონ აირონზს იმ ბარათს. თუ ქალბატონი კროული ისე მისუსტებული ბრძანდება, რომ სჯა-ბაასი სწყენს, დავიცდით, სანამ გამომრთელდებოდეს. მე კი ხვალვე მოვინახულებ ქალბატონ კროულის.

- კიდევ თუ ნებას მიბოძებს ვურჩიო ჩემს ძვირფას მანდილოსანს, - ალერსიანი კილოთი შეაპარა პიტმა, - ასევე კარგი იქნება, თუ არ წაიყვანთ ჩვენს უძვირფასეს ემილის, რომელიც ნამეტანი ფიცხი და თავგამოდებულია, არამედ უკეთესი იქნება, რომ ჩვენი ნაზი და ძვირფასი ლედი ჯეინი იახლოთ თან.

- უეჭველია, ემილი ყველაფერს წაახდენს, - კვერი დაუკრა ლედი საუთდაუნმა, და ამჯერად დათანხმდა, ეღალატა თავისი ჩვეული წესისათვის, რომლის მიხედვითაც, როგორც მოვიხსენიეთ, სანამ თვითონ პირადად მიიტანდა იერიშს დასამორჩილებლად შეთვალთვალებულ პიროვნებაზე, მანამდე მოპირდაპირე ბანაკს ბლომად წიგნაკებს დაუშენდა ისევე, როგორც ფრანგების იერიშს წინ ყოველთვის გამძაფრებული კანონადა უძღოდა ხოლმე. ლედი საუთდაუნი, მოგახსენებთ, სნეულის ჯანმრთელობის, მისი სულის მარადიული კეთილდღეობის თუ მისი ფულების გულისათვის დათანხმდა, მოეთმინა.

მეორე დღეს, საუთდაუნების ოჯახის მანდილოსანთა დიდი ეტლი, შემკული საგრაფო გვირგვინითა და რომბული ღერბებით (რომლებზედაც შავი ზოლებით ოთხად გაყოფილი ფარის მწვანე მინდორზე სამი ვერცხლისფერი კრავი დაკუნტრუშებდა საუთდაუნებისა, ან კიდევ ბინკის სახლის გამოსაცნობი, ვერცხლივით მოვარაყებული, მეწამული ფერის რქის სამი საბურნუთუ კოლოფი იყო გამოსახული), დიდის ყოფით მიადგა ქალბატონ კროულის კარს და მაღალმა, დარბაისელმა მხლებელმა ბატონ ბოულზს გადასცა მისი ბრწყინვალების სადარბაზო ბარათები: ერთი ქალბატონ კროულისათვის. მეორე კი ქალბატონ ბრიგზისათვის. დათმობის ნიშნად საღამოს ლედი ემილიმ მხოლოდ ამ უკანასკნელ მანდილოსანს აახლა ამანათი, რომელშიც მოთავსებული იყო „მრეცხავი დედაკაცის“ წიგნაკი და სხვა სათნო და საამური თხზულებანი ქალბატონ ბრიგზის პირადი გონებრივი ვარჯიშისათვის; აგრეთვე რამდენიმე ცალი

გახლდათ შინამოსამსახურეთათვისაც, მაგალითად: „საკუჭნაოს ნამცეცები“, „ტაფა და ცეცხლი“ და „ცოდვის სამოსელი“, რომლებიც გაცილებით უფრო მკაცრი კილოთი იყო შეთხზული.

თავი XXXIV. ჯეიმზ კროულის პირიდან ჩიბუხს აგდებინებენ

ბატონი კროულის ალერსიანმა მოპყრობამ და ლედი ჯეინის ტკბილმა ქცევამ ფრიად მოხიბლა ქალბატონი ბრიგზი, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა კეთილი სიტყვით მოეხსენებინა ეს უკანასკნელი მას შემდეგ, რაც საუთდაუნთა ოჯახის სადარბაზო ბარათები ქალბატონ კროულის მოერთვა. გრაფის მეუღლისგან პირადად მისთვის, ბრიგზისათვის, დატოვებული სადარბაზო ბარათიც არა ნაკლებ სასიამოვნო გახლდათ საბრალო, უთვისტომო კომპანიონი ქალისათვის.

- ვითომ რა მინდაო, ნეტავი, ბრიგზ. ლედი საუთდაუნმა შენც რომ მოგართვა სადარბაზო ბარათი? - ბრძანა რესპუბლიკელმა ქალბატონმა კროულიმ, რაზედაც კომპანიონმა კრძალვით უპასუხა, რომ „მან ალბათ იფიქრა, არაფერი დაშავდება თუ წარჩინებული ქალბატონი საწყალ მანდილოსანს თავაზიანად მოეპყრობაო“, და ეს ბარათი თავის სამუშაო ყუთში ჩაასვენა ყველაზე უფრო სალოლიაო საკუთარ ძვირფას ნივთთა შორის.

შემდეგ ქალბატონმა ბრიგზმა უამბო, როგორ შეხვდა იგი წინა დღეს ბატონ კროულის და მის დეიდაშვილსა და დიდი ხნის დანიშნულს. უთხრა, რა სათნო გამომეტყველების ქალწული იყო იგი და რა სადად კი არა, თითქმის უბრალოდაც ეცვა. თანაც მისი ტანისამოსის ყოველი ნაწილი, დაწყებული ქუდიდან ფეხსაცმლამდე, ჭეშმარიტი დიაცური გულმოდგინებით აღწერა და შეაფასა.

ქალბატონმა კროულიმ დააცალა ბრიგზს ყბედობა და ძალიანაც არ შებმია პირში. რაკი მოიკეთა, საზოგადოებაც მოენატრა. ბატონ კრიმერს, მის ექიმს, გაგონებაც არ უნდოდა კვლავ ძველ ბუნაგსა და ლონდონის ფუქსავატურ ცხოვრებაში მისი დაბრუნების შესახებ. მოხუც შინაბერას არა მარტო გაუხარდა

საზოგადოების გამოჩენა ბრაიტონში, და არა მარტო მეორე დღესვე გაუგზავნა საპასუხო სადარბაზო ბარათები, არამედ პიტ კროულიც თავაზიანად მოიწვია მამიდის სანახავად. პიტიც ეახლა ლედი საუთდაუნითა და მისი ასულითურთ. ქვრივს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ქალბატონ კროულის სულის მდგომარეობის თაობაზე; მხოლოდ დიდის წინ დახედულობით მუსაიფობდა ამინდზე, ომზე, ურჩხულ ნაპოლეონის დამხობაზე, და ყველაზე მეტს კი - ექიმებზე, თაღლითებზე და განსაკუთრებულ ღირსებებზე დოქტორ პოჯერზისა, რომელსაც იგი იმ დროს მფარველობდა.

ამ სტუმრობის დროს პიტ კროულიმ დიდი ფანდი იხმარა, რამაც დაადასტურა, რომ ადრინდელი წინდაუხედაობით დიპლომატიურ სარბიელზე ფეხი რომ არ გადაჰბრუნებოდა, მაღალ ხარისხს მიაღწევდა თავის დარგში. როცა გრაფი საუთდაუნის ქვრივი კორსიკელ მეტიჩარას დაესხა თავს, როგორც მაშინდელ მოდას შეეფერებოდა და შეუდგა მტკიცებას, ყოველნაირი ბოროტმოქმედებით შებღალული ურჩხული, ლაჩარი და სიკვდილის ღირსი მტარვალია, რომლის დამხობა ნაწინასწარმეტყველებიაო და სხვანი, პიტ კროულიმ ანაზდად თავი გამოიდო ამ ბედისაგან აღზევებული ადამიანის დასაცავად. მან აწერა პირველი კონსული, როგორც ენახა იგი პარიზში ამიენის ზავის დროს, როცა ის, პიტ კროული, ბედს ეწია და გაიცნო დიდებული და სანაქებო ბატონი ფოქსი, სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც როგორც არ უნდა არ ეთანხმებოდეს შეხედულებებში იგი, მაინც შეუძლებელი იყო აღფრთოვანებული თაყვანისცემით არ მოპყრობოდა კაცი, - სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ყოველთვის დიდად აფასებდა იმპერატორ ნაპოლეონს. და უდიდესი აღშფოთებით დაგმო მოკავშირეთა ვერაგული ქცევა ამ ტახტიდან გადამდგარი ხელმწიფისადმი, რომელსაც, მათთვის დიდსულოვნად თავისი ბედ-იღბლის ჩაბარების შემდგომ, დამამდაბლებელი, დამამცირებელი და სასტიკი გაძევება არგუნეს, მაშინ როცა იმის ნაცვლად ახლა პაპის მომხრე ფარისეველთა ბრბო პარპაშებს საფრანგეთში.

რომის და ცრუმორწმუნეობისადმი ამ განუხრელმა და ჭეშმარიტმა ძრწოლამ პიტ კროული ლედი საუთდაუნის წყრომას გადაარჩინა, ხოლო ფოქსისა და ნაპოლეონისადმი გამოხატულმა აღტაცებამ კი უზომოდ აამაღლა ქალბატონ კროულის თვალში. ქალბატონ კროულის მეგობრობის ამბავი

ბრიტანეთის იმ განსვენებულ სახელმწიფო მოღვაწესთან ხომ მაშინ მოგახსენეთ, როცა ეს მანდილოსანი პირველად გაგაცანით ამ მოთხრობაში. ჭეშმარიტი ვიგი, ქალბატონი კროული, მთელი ომის განმავლობაში ოპოზიციაში გახლდათ, და თუმცა, მართალი მოგახსენოთ, იმპერატორის დამხობის დიდად არ შეუწუხებია მოხუცი მანდილოსანი, ანდა მისდამი ავად მოპყრობას არ მოუხდენია გავლენა და არ შეუმოკლებია მისი სიცოცხლე, ან ჩვეული მოსვენება, მაგრამ პიტ კროული სწორედ მის გულისნადებს ჩასწვდა, როცა ორივე კერპი შეუქო, და ამ ერთადერთი სახოტბო სიტყვით უსაზღვრო წარმატება მოიპოვა მამიდის თვალში..

- შენ რაღას იტყვი ამაზე, გენაცვალე? - უთხრა ქალბატონმა კროულიმ ყმაწვილ ქალს, რომელიც თვალის პირველი მოკვრისთანავე მოეწონა, როგორც ყოველთვის იცოდა კიდეც ხოლმე ლამაზი, მორცხვი და მორიდებული ახალგაზრდების მიმართ. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი სიყვარული ისევე მალეც ქრებოდა, როგორც ჩნდებოდა.

ლედი ჯეინი ძალიან გაწითლდა და მოახსენა, რომ „მას არა გაეგება რა პოლიტიკისა, იგი თავისზე უფრო ჭკვიან თავებს დაუთმო განსასჯელად და, უეჭველია, დედიკომ მართალი ბრძანა, მაგრამ ბატონმა კროულიმაც დიდებულად ილაპარაკა“. და როცა სტუმრობის დასასრულს მანდილოსნები მიდიოდნენ, ქალბატონმა კროულიმ იმედი გამოსთქვა, რომ „ლედი საუთდაუნი კეთილინებებს და როცა ლედი ჯეინი მოცლილი იქნება, ხანდახან სანუგეშოდ გამოუგზავნის ხოლმე მას - საბრალო, ავადმყოფ, ეულ მოხუც ქალს“. ამის დაპირება მოწყალედ იქნა ნაბოძები და ისინი ძალიან ტკბილად გაიყარნენ.

- აღარ მოიყვანო ლედი საუთდაუნი აქ, პიტ! - უთხრა მოხუცმა მანდილოსანმა ძმისწულს. - ეგეც ტუტუცი, ცხვირბზეკია და გაფუყულია დედაშენის ყველა სხვა ნათესავივით და იმათ ხომ ვერასოდეს ვერ ვიტანდი. მაგრამ ის ცუგრუმელა, გულკეთილი პატარა ჯეინი კი, რამდენჯერაც გინდოდეს, იმდენჯერ მომგვარე!

პიტი დაჰპირდა, აგრე ვიზამო. მას არ უთქვამს გრაფის ქვრივისთვის, მამიდამისმა რა თვალით შეხედა მის ბრწყინვალებას, რომელიც, პირიქით, დარწმუნებული ბრძანდებოდა, ქალბატონ კროულიზე ფრიად საამური და

დიდებული შთაბეჭდილება მოვახდინეო.

ამგვარად, ავადმყოფი მანდილოსნის ნუგეშისცემის მოსურნე და თან გულში იქნებ კიდეც ნასიამოვნები ლედი ჯეინი, რომ ხანდახან მაინც დაიძვრენდა თავს ღირს მამა ბართოლომიუ აირონზის ქადაგებებისა და პირქუშ, დაღვრემილ მლიქვნელებისაგან, რომელნიც გაფუყული, ამპარტავანი გრაფის ქვრივის, დედამისის, ფეხის დასადგმელი სკამის გარშემო იკრიბებოდნენ - ეს ლედი ჯეინი, ქალბატონ კროულის საკმაოდ ხშირი სტუმარი გახდა. თან ახლდა მას ეტლით სეირნობის დროს და მრავალ საღამოს შეაქცევდა და ანუგეშებდა. ლედი ჯეინი ისე ბუნებრივად კეთილი და ალერსიანი იყო, რომ თვით ფერკინსაც არ მოეპოვებოდა მისდამი შურის გრძნობა, ხოლო სათნო ბრიგზი კი ფიქრობდა, ჩემი მეგობარი მაშინ უფრო ნაკლებ სასტიკად მეპყრობა, როცა ლედი ჯეინი აქ არისო. თვით ამ ბრწყინვალე ბანოვანს ქალბატონი კროული სწორედ მომხიბლავად ექცეოდა. მოხუცი შინაბერა თავის ახალგაზრდობის ათას თავგადასავალს უამბობდა, ოღონდ უღვთო, ურწმუნო, პატარა რებეკასთან ჩვეული მუსაიფისაგან ძალიან განსხვავებული კილოთი ელაპარაკებოდა, რადგან ლედი ჯეინის უმანკოებაში გამოსჭვიოდა რაღაც ისეთი, რაც მასთან მსუბუქ ყბედობას შეუფერებლად და კადნიერებად ხდიდა; ქალბატონი კროული კი იმდენად ზრდილი მანდილოსანი ბრძანდებოდა, რომ ასეთ სიწმინდეს ვერ შებღალავდა. თვითონ ყმაწვილ ქალს, გარდა ამ მოხუცი შინაბერასი და თავისი ძმისა და მამისა, სხვისგან არავისგან აღარასოდეს უგრძვნია ალერსი და ქალბატონ კროულის engoument-ს[90] თვითონაც გულითადი, წრფელი სინაზითა და სიყვარულით ეხმაურებოდა.

შემოდგომაზე, საღამოობით (როცა მხიარულ გამარჯვებულთა შორის ყველაზე მხიარული რებეკა პარიზში თავს იწონებდა, ხოლო ჩვენი ემილია, ჩვენი საყვარელი, გულდაკოდილი ემილია, ეჰ! სად იყო ნეტავ?) ლედი ჯეინი იჯდა ხოლმე ქალბატონ კროულის სასტუმრო ოთახში, დაისის ბინდბუნდში ტკბილად უმღეროდა თავის პაწია, წრფელ სიმღერებსა და საგალობლებს, ამ დროს კი მზე ჩადიოდა, ხოლო ზღვა ღრიალით ეხეთქებოდა რიყიან ნაპირებს. მოხუცი შინაბერა ჩვეულებრივ გამოერკვეოდა ხოლმე რულიდან, როცა ეს სიმღერები შეწყდებოდა და კიდევ იმღერე სხვაო, სთხოვდა. რაც შეეხება ბრიზს და ნეტარების იმ ცრემლთა რაოდენობას,

რომელსაც იგი ღვრიდა მაშინ, როდესაც იგი ვითომდა ხელსაქმობდა და გაჰყურებდა ფანჯრების წინ შავად ჩამდგარ დიდებულ ოკეანესა და ზეცის ლამპიონებს, რომლებიც უფრო მკაფიოდ იწყებდნენ კაშკაშს - ერთი მიბრძანეთ, ვის ძალუძს გაზომოს ბრიგზის ნეტარება და გრძნობამორეულობა?

ამასობაში პიტი იჯდა სასადილოში, გვერდით პურის კანონებისათვის დაწერილი ჰამფლეტი, ან კიდევ მისიონერთა ანგარიში ედო და იმ ჯურის განსვენებისათვის მიეცა თავი, რომელიც რომანტიკულ და არარომანტიკულ ადამიანებს სჩვევია ნასადილევს. იგი წრუპავდა მადვეირას, აგებდა ოცნების კოშკებს, ფიქრობდა, ჩინებული ყმაწვილი ვარო. გრძნობდა, რომ ამ შვიდ წელიწადში (რაც მათი liaison[91] გრძელდებოდა და ამ ხნის განმავლობაში მას იოტისოდენადაც არ გამოუმჟღავნებია მოუთმენლობა), ასე ძალიან არასოდეს ჰყვარებია ჯეინი. თან გულიანად წაუძინებდა კიდეც. როცა ყავის სმის დრო დადგებოდა, ბოულზი შემოვიდოდა ხმაურითა და ფართიფურთით და მიიწვევდა ბატონ პიტს, რომელსაც იმ სიბნელეში პამფლეტის ფრიად გულმოდგინე კითხვაში გართულს შეუსწრებდა.

- ნეტავი, გენაცვალე, ვინმე იპოვებოდეს, რომ პიკეტი მეთამაშოს! - ბრძანა ერთ საღამოს ქალბატონმა კროულიმ, როცა ის მსახური გამოჩნდა სანთლებითა და ყავით. - საწყალი ბრიგზი ისე ტუტუცია, რომ ჭოტივით არა გაეგება რა თამაშისა, - (შინაბერა ყოველთვის ცდილობდა მსახურთა წინაშე შეურაცხყო ბრიგზი), - მე კი მგონია, უკეთ დამეძინებოდა, ცოტა რომ წავითამაშო ხოლმე!

ამაზე ლედი ჯეინს პაწია ყურის ბიბილოებიდან დაწყებული ტურფა თითის წვერებამდე ალმური მოედო და როცა ბოულზი ოთახიდან გავიდა და კარი სრულიად დაიხშო, თქვა: - ქალბატონო, მე ვიცი ცოტა თამაში; ხანდახან საცოდავ, ძვირფას მამიკოს ვე... ვეთამაშებოდი ხოლმე.

- მოდი და მაკოცე! მოდი და მაკოცე ახლავე, შე პაწია, კარგო ცუგრუმელა! - შესძახა აღტაცებულმა ქალბატონმა კროულიმ და ბატონმა პიტმა, ამ თვალწარმტაც და მეგობრულ საქმიანობაში გართულნი იხილა მოხუცი და ახალგაზრდა მანდილოსნები, როცა იგი თავის პამფლეტიანად ზემოთ აბრძანდა. მერედა მთელ საღამოს როგორ წითლდებოდა ის საბრალო ლედი ჯეინი!

არ უნდა გვეგონოს, თითქოს ბატონ პიტ კროულის ხრიკები დედოფლის კროულის მღვდლის სახლის მის ძვირფას ნათესავებს გამოჰპარვოდეთ. ჰემპშირი და სასექსი ერთობ ახლო-ახლო მდებარეობენ და მღვდლის ცოლს ამ მეორე საგრაფოში მეგობრები ჰყავდა, რომელნიც ზრუნავდნენ შეეტყობინებინათ მისთვის ყველაფერი, და ყველაფერზე გაცილებით მეტი, რაც ხდებოდა მის კროულის სახლში, ბრაიტონს. პიტი უფრო და უფრო უხშირებდა იქ სიარულს. იგი მთელი თვეობით არ მიდიოდა სასახლეში დედოფლის კროულის, სადაც მისი საზიზღარი ბებერი მამა სრულიად ჩაყურყუმელავდა წყალგარეულ რომსა და იმ ჰოროქსების ოჯახის შემაძრწუნებელ საზოგადოებაში. პიტის წარმატება აშმაგებდა მღვდლის ოჯახს და ბიუტის მეუღლე მეტისმეტად ნანობდა (თუმცა ნაკლებ კი აღიარებდა) გაუგონარ შეცდომას, ისე რომ შეურაცხყოფდა მის ბრიგზს და ისე ავად და ხელმოჭერილად რომ ეპყრობოდა ბოულზს და ფერკინს. რომ ახლა მის კროულის ჯალაბობაში ერთი ვინმე სულიერიც აღარ დარჩენოდა, რომელიც იქაურ ამბებს შეატყობინებდა.

- ეს სულ ბიუტის ლავიწის ბრალია, - ჩაეჟინა მას. - რომ არ გაეტეხა, თავს არ დავანებებდი იმ ქალს, მე წამებული ვარ ოჯახისა და მაგ შენი საზიზღარი, სასულიერო პირისთვის შეუფერებელი ნადირობის ჩვეულებისაგან, ბიუტ!

- ნადირობა! მიქარვაა, ეგ თვითონ შენი ბრალია, მართა, შენ დააფრთხე, - მიუგო მოძღვარმა. - ჭკვიანი დედაკაცი ხარ, მაგრამ ეშმაკის ხასიათი გაქვს. მერე კიდევ ფულს მეტისმეტად უჭერ ხელს, მართა.

- მე რომ შენს ფულს არ ვიჭერდე, აქამდე სატუსაღოში ჩაგიჭერდნენ, ბიუტ!

- ვიცი, რომ დამიჭერდნენ, ძვირფასო. - თქვა მღვდელმა გულკეთილად. - ჭკვიანი დედაკაცი ხარ, მაგრამ, ხომ იცი, ნამეტანი მკაცრი ხელი გაქვს. - და ღვთისმოსავმა კაცმა მოზრდილი ფიალა პორტვეინით ინუგეშა თავი.

- რა ეშმაკი ნახა ამ დოყლაპია პიტ კროულიში ჩემმა დამ? - განაგრძო მან. - ისე ლაჩარია, ბატსაც ვერ აუქშევს. მახსოვს როუდონი (ის კი ნამდვილი ვაჟკაცია, ჯანდაბას მისი თავი!) საჯინიბოს გარშემო ჩიკორივით რომ აბზრიალებდა და მათრახს უსხაპუნებდა, პიტი კი აბღავლებული გარბოდა შინ

დედიკოსთან. ჰა, ჰა, ჰა! იმას ხომ ჩემი ბიჭებიდან, რომელიც გინდა, ის ააყბავებს ცალი ხელით! ჯიმი ამბობს, ოქსფორდში ახლაც ახსოვთ ეგ, როგორც მის კროულიო... დოყლაპია!

- მართა, - მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო ღირსმა მამამ.

- რა? - გამოეხმაურა მართა, რომელიც ფრჩხილებს იკვნეტდა და თან თითებს მაგიდაზე უბაგუნებდა.

- ვითომ რატომ არ შეიძლება ჯიმი გავგზავნოთ ბრაიტონს და ვნახოთ, იქნებ რამე მოუხერხოს იმ ბებერს. ხომ იცი, ეს-ეს არის უკვე ხარისხსაც მიიღებს: ეგ მხოლოდ ორჯერ ჩაფლავდა გამოცდებში, - მეც ეგრე დამემართა, - მაგარმ ჯიმს უკეთესადა აქვს საქმე: ოქსფორდშია და უნივერსიტეტში იზრდება. იცნობს ზოგ იქაურ წარჩინებულ ჯეელს. ნავებით შეჯიბრში პირველი მენიჩბეა, ლამაზი ყმაწვილიც არის. დალახვროს ღმერთმა, ქალბატონო, მოდი შევუჩინოთ იმ ბებერს, ჰა! თანაც ვუთხრათ ერთი ლაზათიანად მიამჟავოს პიტი, თუ იმან რამე წამოაყრანტალა. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

- ჯიმს, მართლაც შეუძლია იქ ჩაიაროს, - თქვა დიასახლისმა და მერე ამოოხვრით დაუმატა: - ჩვენ რომ მოგვეხერხებინა და ერთი რომელიმე გოგო მაინც მოხვედრილიყო იმ სახლში? მაგრამ ლამაზები რომ არ არიან, ჩემი მული ვერ იტანს მათ!

ამ უბედური, კეთილად აღზრდილი დიაცების ხმიანობა მეზობელი სასტუმრო ოთახიდან ისმოდა, სადაც ისინი გაშეშებული თითებით რთულ პიესას აბრახუნებდნენ ფორტეპიანოზე, სანამ მათი დედა მუსაიფობდა. ყოველთვის ან მუსიკაში ვარჯიშობდნენ, ან ზურგის გასასწორებელი ფიცარი ჰქონდათ გაკეთებული, ანდა გეოგრაფიას ან ისტორიას ჩაჰკირკიტებდნენ მთელ ქალაქია დღეს, მაგრამ ამაოების ბაზარში აბა რის მაქნისია ყველა ეს სრულყოფილებანი ჩაგვერა, საწყალ, უსანდომო და გონჯი ფერხორცის ქალიშვილებისათვის? ბიუტის მეუღლეს მხოლოდ იმის იმედიღა შეიძლება ჰქონოდა, რომ იქნებ დიაკვანს მაინც გაესაღებინა ერთი რომელიმე. ამ დროს ფანჯრიდან მცირე სასტუმრო ოთახში ჯიმმა შემოალაჯა. მუშამბის ქუდში მოკლე ჩიბუხი ჰქონდა გარჭობილი. იმან და მამამისმა მუსაიფი გააბეს სენტ-ლეჯერის დოღში მოსალოდნელ ამბებზე და მღვდლის და მისი მეუღლის ბაასს ბოლო მოეღო.

ქალბატონი მართა კროული ბევრ არაფერ სიკეთეს გამოელოდა

თავის ვაჟიშვილ ჯეიმზის მოციქულად გაგზავნისაგან და ცოტა არ იყოს უიმედო თვალით უცქერდა მის გამგზავრებას. არც თუ თვითონ ყმაწვილს ჰქონდა იმედი ამ საქმიდან დიდი სიამოვნების ან სარგებლობის ნახვისა, როცა მას აუხსნეს, რა იყო მისი მოციქულობის მიზანი. მაგრამ თავი ინუგეშა ფიქრით, ალბათ მოხუცი რამე საუცხოო სამახსოვროს მაჩუქებს და იმითი ორიოდე, ყველაზე საუცხოო სამახსოვროს მაჩუქებს და იმითი ორიოდე, ყველაზე შემაწუხებელ ვალს მაინც გავისტუმრებ ოქსფორდის მომავალი სემესტრის დასაწყისშიო. ამიტომ ჩაჯდა საუთემპტონის საფოსტო ეტლში და იმავე საღამოს მშვიდობით ჩამოხდა ბრაიტონს თავის ჩემოდნით, საყვარელ ბულდოგ ტაუზერითა და მღვდლის ჯალაბობისაგან ძვირფას მის კროულისადმი გაგზავნილ ხილ-ბოსტნეულით სავსე ვეებერთელა კალათითურთ. იფიქრა, ახლა უკვე ძალიან გვიან არის, ჩამოსვლის პირველ ღამესვე არ ივარგებს ავადმყოფი მოხუცის შეწუხებაო და სასტუმროში დაბინავდა, ხოლო მის კროულის კი მეორე დღის გვიან ნაშუადღევამდე არ სტუმრებია.

ჯეიმზ კროული მამიდამისს უკანასკნელად მაშინ ჰყავდა ნახული, როცა იგი ტლანქი ყრმა იყო - იმ არახელსაყრელ ასაკში, როცა ხმა არამიწიერი კრინიდან ზებუნებრივ ბანამდე მერყეობს; როცა პირისახე არაჩვეულებრივ ჰყვავის ნიშნებით, რომელთაც, ამბობენ, როლენდის კალიდორი შველის წამლადაო; როცა ბიჭებს მიუსწრებენ ხოლმე, მალულად თავიანთი დების მაკრატლებით რომ იკრიჭებიან, ხოლო სხვა ახალგაზრდა ქალთა დანახვა კი უზომო ძრწოლასა ჰგვრით, როცა უშველებელი ხელ-ფეხი გამოსჩრიათ სამოსიდან, რომელიც ერთობ დავიწროებიათ და შემოსხეპიათ ტანზე; როცა ნასადილევს მათი თავისთან დატოვება, ერთდაიმავე დროს, მანდილოსნებს, რომელნიც ბინდბუნდში სასტუმრო ოთახში ჩურჩულებენ, აფრთხობს, სუფრას შემომსხდარ დარბაისლებს კი - უზომოდ ეჯავრებათ, ვინაიდან იმ უგერგილო უმანკოების წინაშე თავისუფალი მუსაიფისა და აზრთა საამო გაცვლა-გამოცვლისაგან თავი უნდა შეიკავონ; როცა მეორე ფიალის გამოცვლის შემდეგ მამიკო ბრძანებს: „ჯეკ, გეთაყვა, გადი ერთი გარეთ და ნახე, ამ საღამოს რა დარს აპირებს!“ და ყრმა, რომელსაც თვითონაც სწადია თავის დაძვრენა, მაგრამ მაინც გულნაკლული, რომ ჯერ კიდევ ვაჟკაცი არ არის, ტოვებს დაუსრულებელ ნადიმს. მაშინდელი უშნო, ტლანქი მოზარდი

ახლა ჭაბუკი დამდგარიყო, რომელსაც უნივერსიტეტში აღზრდის მადლი ეწვნია და შეესისხლხორცებინა ის დაუფასებელი პეწი, რაც პატარა სასწავლებლის ქეიფის მოყვარეთა წრეში ცხოვრებით, ვალების აღებით, დროებით უნივერსიტეტიდან გარიცხვით და გამოცდებში ჩაფლავებით შეიძინება.

იგი მაინც ლაზათიანი ყმაწვილი ჩანდა, როცა მამიდას ეახლა სანახავად ბრაიტონს, და სილამაზე ხომ მუდამ ყველას კანონიერ უფლებას ანიჭებდა ამ ჭირვეული მოხუცი მანდილოსნის გულის მოგებისათვის! - არც ჭაბუკის შეფაკლებასა და მორცხვობას შეუცვლია გული ქალბატონ კროულისათვის - იგი ნასიამოვნებიც გახლდათ ახალგაზრდა დარბაისლის გულწრფელობისა და მიამიტობის ამ ჯანსაღი ნიშნებით.

ჯეიმზმა წაიბლუკუნა, ორიოდე დღით ჩამოვედი ამხანაგის სანახავად და... და თქვენს მოსაკითხად, და მამაჩემი და დედაჩემი იმედოვნებენ, რომ მშვიდობით ბრძანდებითო.

პიტი იქ იყო, როცა ჭაბუკის სტუმრობა აუწყეს ქალბატონ კროულის და ძალიან შეკრთა და შეფიქრიანდა მისი სახელის ხსენებაზე. მოხუცი მანდილოსანი სასაცილო ამბების დიდი მოტრფიალე ბრძანდებოდა და თავის კეკელა ძმისწულის დაბნეულობაზე ხარობდა. მან დიდი გულისყურით სათითაოდ მოაკითხა მღვდლის მთელი ჯალაბობა და დასძინა, ვფიქრობ ვესტუმრო იმათაო. პირში აქო ყმაწვილი: უთხრა, დავაჭკაცებულხარ, ძალიან გალამაზებულხარ, და რა საწყენია, რომ შენს დებს არ გამოჰყოლიათ შენი სანდომიანობაო. დაროცა ჰკითხა და შეიტყო, რომ ბიჭი სასტუმროში ჩამომხდარიყო, ამ ამბის გაგონებაც არ ინება და უბრძანა ბოულზს, ახლავე კაცი გაგზავნე და ბატონ ჯეიმზ კროულის ნივთები აქ მოატანინეო.

- და გამიგონე, ბოულზ, - დაუმატა მან დიდის თავაზიანობით და წყალობის კილოთი, - კეთილინებე და ბატონი ჯეიმზის ნახარჯიც გაისტუმრე.

მოხუცმა პიტს მზაკვრული, მოზეიმე თვალით გადახედა, რამაც ეს დიპლომატი შურისაგან კინაღამ გულზე გახეთქა. პიტი როგორი ხრიკებით არ ცდილობდა მამიდის გულის მონადირებას, მაგრამ ჯერ არასოდეს შეუპატიჟია იგი, მის ჭერქვეშ გაეთია ღამე, ეს ჯერ კიდევ დაუკაცებელი მატრაკვეცა

კი პირველივე ნახვაზე გულში ჩაიკრა.

- ბოდიშს ვიხდი, ბატონო, - მოახსენა ბოულზმა ჯეიმზს მოწიწებული თაყვანისცემით, - რომელ სასტუმროში მიბრძანებთ, რომ გავგზავნო ტომასი ბარგისათვის?

- ოჰ, დალახვროს ღმერთმა, - წამოიძახა ახალგაზრდა ჯეიმზმა და თითქოს ცოტა შეშფოთებული ფეხზე წამოიჭრა, - მე თვითონ წავალ!

- რაო! - ბრძანა ქალბატონმა კროულიმ.

- ტომ კრიბის ღერბში უნდა გაიგზავნოს, - თქვა გაჭარხლებულმა ჯეიმზმა.

ქალბატონმა კროულიმ ამ დუქნის სახელის გაგონებაზე გადაიხარხარა. ბატონ ბოულზს, როგორც ოჯახის დაშინაურებულ, ერთგულ მსახურს, ერთი მოკლე ჩახვიხვინება წასცდა, მაგრამ თავი შეიკავა და მეტი აღარ გაუბედნია. დიპლომატს მხოლოდ გაეღიმა.

- მე... მე უკეთესი არ ვიცოდი, - წაიბურტყუნა თავდახრილმა ჯეიმზმა, - მე წინათ არასოდეს ვყოფილვარ აქ. მეეტლემ მიმასწავლა.

ნორჩი მეზღაპრე! ნამდვილად კი წინა დღეს, საუთემპტონის საფოსტო ეტლში, ჯეიმზ კროული მოკრიფე ტატბერელ ნებიერას გადააწყდა, რომელიც ბრაიტონს მოდიოდა რიტინგდინელ გამრტყმელთან კრივისათვის და ნებიერას მუსაიფით მოჯადოებულმა ჭაბუკმა საღამო ამ გაბრძნობილ ვაჟკაცთან და მის მეგობრებთან გაატარა ზემოხსენებულ მდაბიურ სასტუმროში.

- ჯობია, მე... მე თვითონ წავალ და გავასწორებ ანგარიშს, - განაგრძო ჯეიმზმა, - მე თქვენი შეწუხება არ მინდოდა, ქალბატონო, - დასძინა მერე სულგრძელად.

ამ ხათრიანობამ და რიდმა მამიდამისი კიდევ უფრო გაამხიარულა და გაიცინა.

- წადი და გაისტუმრე ნახარჯი, ბოულზ, - ხელის გაქნევით ბრძანა მან, - და ანგარიში მომიტანე!

საწყალი მოხუცი! რა იცოდა, ამით რა ჩაიდინა!

- იქ... იქ ძაღლი მყავს კიდევ, - დააყოლა ჯეიმზმა დიდი დამნაშავის კილოთი. - ჯობია, ისევ მე წავალ მის მოსაყვანად. ფარეშებს წვივებში კბენს!

ამ ნათქვამზე მთელ იქ დამსწრე საზოგადოებას სიცილი წასკდა; თვით ბრიგზსა და ლედი ჯეინსაც კი, რომელიც სულ მდუმარედ იჯდა ქალბატონ კროულისა და მისი ძმისწულის მუსაიფის განმავლობაში. ბოულზი ხმაამოუღებლად გავიდა ოთახიდან.

კვლავ უფროსი ძმისწულის დასჯის განზრახვით, ქალბატონი კროული დაჟინებით განაგრძობდა ახალგაზრდა ოქსფორდელისადმი მოწყალე თვალით ცქერას. უსაზღვრო იყო ერთხელვე დაწყებული მისი ალერსი და ქათინაურები. პიტს უთხრა, შენ თუ გინდა სადილად მოდიო; ჯეიმზი კი, არ მოიშალა და, ეტლით სეირნობის დროს იახლა. დასვა უკანა სკამზე და დიდის ამბით და ზეიმით აატარ-ჩამოატარა კლდოვან სანაპიროზე. მთელ ამ გასეირნების განმავლობაში ღირსად სცნო იგი მასთან თავაზიანი მუსაიფი გაება. მოხუცი მანდილოსანი საწყალ, დაფეთებულ ჭაბუკს იტალიურ და ფრანგულ ლექსებს ეუბნებოდა. დაუჟინა, შენ დიდებული ნასწავლი კაცი ხარო, და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ იგი ოქროს მედალს მოიპოვებდა და პირველ მათემატიკოსად დაამთავრებდა უნივერსიტეტს.

- ჰა, ჰა, ჰა, - გადაიხარხარა ამ ქათინაურებით წათამამებულმა ჯეიმზმა, - პირველი მათემატიკოსი, უეჭველად! ეგ სხვა დუქანში უნდა მოიკითხოთ!

- როგორ სხვა დუქანში, გენაცვა, შვილო? - დაეკითხა მოხუცი.

- პირველი მათემატიკოსობა ოქსფორდში კი არა, კემბრიჯშია, - საქმის მცოდნის იერით განუმარტა მეცნიერმა.

და ალბათ ჯეიმზი უფრო მეტ ცნობებსაც გაანდობდა მამიდას, მაგრამ ანაზდად სანაპიროზე ურემი გამოჩნდა, რომელშიც ფაფარშეკრეჭილი პონი ება, შიგ კი ისხდნენ სადაფის ღილებიან თეთრ ფლანელის სამოსში გამოწყობილი მისი მეგობრები: ტატბერელი ნებიერა, როტინგდინელი გამრტყმელი და სამი მათი მოკეთე დარბაისელი და ყველამ ერთად სალამი უძღვნეს ეტლში მჯდომ საბრალო ჯეიმზს. ამ შემთხვევამ გაანელა უეშმაკო ჭაბუკის გონებრივი აღმაფრენის სიფიცხე და სეირნობის დანარჩენ დროს „ჰო“ ან „არაც“ ვეღარ

წამოაცდენინეს.

შინ რომ დაბრუნდნენ, ჯეიმზს ოთახი გამზადებული და ჩემოდანი მოტანილი დახვდა. აგრეთვე შეეძლო შეემჩნია, რომ ბატონი ბოულზის სახეს, როცა იგი მის სამყოფელში მიაცილებდა, მოღუშულობა, განცვიფრება და თანაგრძნობა ეტყობოდა; მაგრამ ბატონ ბოულზზე ფიქრი არ მოჰგონებია. ჭაბუკი მოსთქვამდა შემაძრწუნებელ, მძიმე მდგომარეობას, რომ მან ისეთი ბებერი დედაკაცებით სავე სახლში ამოყო თავი, რომლებიც ფრანგულად და იტალიურად ტარტარებდნენ და ლექსებით უჭედავდნენ ყურებს.

- სწორედ ხათაბალაში გავები, ღვთის მადლმა! - შესძახა მორცხვმა ყმაწვილმა, რომელიც დედათა სქესის ყველაზე სათნო წარმომადგენელსაც - თვით ბრიგზსაც კი - ვერ უსწორებდა თვალს, როცა იგი მას გამოემუსაიფებოდა, მაშინ, როდესაც ის რომ იფლის რაბებთან მოგეხვედრებინათ, ენაზე ჭალი არ დაადგებოდა და ყველაზე თავხედ მენავესაც გაახუნებდა ტლანქ სიტყვა-პასუხში.

სადილად ჯეიმზი თეთრ ყელსახვევგაკეთებული გამოვიდა, რომელიც ისე ჰქონდა წაჭერილი, რომ ლამის ახრჩობდა და წილად ხვდა პატივი, ქვემოთ ჩაებრძანებინა ლედი ჯეინი, ხოლო ბრიგზი და ბატონი კროული უკან მოსდევდნენ - ისინი მოხუც მანდილოსანს მოასვენებდნენ მთელი თავისი მოკაზმულობით: ფუთებით, შალებითა და ბალიშებით. სადილობისას ბრიგზის ნახევარი დრო ავადმყოფის ხელისწყობასა და მისი მსუქანი სპანიელისთვის წიწილის აქნას შეეწირა. ჯეიმზი ბევრს არა ლაპარაკობდა, მაგრამ მთავარი გულისყური ყველა მანდილოსნისთვის ღვინის შეთავაზების საქმეს მიაპყრო. ჩამოართვა სმაში გამოწვევა ბატონ კროულის და გადაყლურწა უმეტესი ნაწილი იმ შამპანურის ბოთლისა, რომელიც მის საპატივსაცემოდ ბოულზს უბრძანეს სუფრაზე მოერთმია. მანდილოსნები რომ გავიდნენ და ორი ბიძაშვილი მარტო დარჩა, პიტი, ყოფილი დიპლომატი, მეტად ხალისიანი მოსაუბრე და ალერსიანი გახდა. გამოჰკითხა ჯეიმზს სწავლაში წარმატების ამბავი, რა მიზნები ჰქონდა მას ცხოვრებაში. გულითადად იმედოვნებდა, რომ იგი მიაღწევდა მიზანს, და, ერთი სიტყვით, გულწრფელი და მაამებელი იყო. ჯეიმზს ენა აუჭიკჭიკა ღვინომ და აუწერა ბიძაშვილს თავისი ცხოვრება, განზრახვები, ვალები,

გამოცდებში ტანჯვა-წვალება, უნივერსიტეტის ხელისუფლებთან ჭიდილი, თან გაუმცდარად ივსებდა ჭიქას და პორტვეინის შემდეგ მკვირცხლად და ხალისიანად მისწვდა მადეირასაც.

- მამიდაჩემის უმთავრესი სიამოვნებაა, - თქვა ბატონმა კროულიმ და თან ფიალა შეივსო, - რომ ხალხი მის სახლში ისე იქცეოდეს, როგორც მათ მოენებება. ეს თავისუფლების სავანე გახლავს, ჯეიმზ, და ისე ვერაფრით ვერ აამებ ქალბატონ კროულის, როგორც თქვენს ნებაზე მოქცევით და რაც გნებავს, იმის თხოვნით. ვიცი, თქვენ ყველანი ცოტა დამცინოდით სოფელში, ტორი რადა ხარო. ქალბატონი კროული იმდენად ლიბერალია, რომ ყველა შეხედულების კაცს ეგუება. იგი თავისი რწმენით რესპუბლიკელია და ყოველი ჯურის ხარისხი ანდა წოდება სძაგს.

- თქვენ რატომ ირთავთ გრაფის ქალს? - ჰკითხა ჯეიმზმა.

- ჩემო ძვირფასო, გაიხსენეთ, აბა რა საბრალო ლედი ჯეინის ბრალია მისი წარჩინებული შთამომავლობა! - მზაკვრულად მიუგო პიტმა, - წარჩინებულობა როგორ უნდა მოიშოროს თავიდან? თანაც, ხომ იცით, მე ტორი გახლავარ!

- ოჰ, ეგ კი მართალია, - ბრძანა ჯიმმა, - ძველი სისხლისთანა არა არის რა; არა, დალახვროს ღმერთმა, მაგას არაფერ შეედრება! მე თქვენი რადიკალობისა არა ვიცი რა, მაგრამ ის კი ვიცი, რა არის კეთილშობილი სისხლი, დალახვროს ღმერთმა. დაუკვირდი ბიჭებს ნავების შეჯიბრში, ნახე ჯეელები კრივში, ნახე ვირთაგვებზე მონადირე ძაღლების ქცევა!.. რომელი იგებს? კეთილშობილი სისხლის მქონე! მოიტა ცოტა პორტვეინი კიდევ, ბოულზ, შე ძველო, სანამ ამ ბოთლს გამოვრეკდე!.. რას ვამბობდი?

- მგონი ვირთაგვებზე მონადირე ძაღლებს ახსენებდით, - თვინიერად შენიშნა პიტმა და თან ბიძაშვილს სურა მიუმარჯვა „გამოსარეკად“.

- ვირთაგვებზე ნადირობას ვახსენებდი, არა? აბა, პიტ, სპორტი გიყვარს? გინდა ნახო ვირთაგვებზე მონადირე ნამდვილი ძაღლი? თუ გინდა წამომყევი ტომ კორდიუროისთან კასლსტრიტ-მიუზში და იმისთანა ბულ-ტერიერს გიჩვენებ, რომ... ფუჰ! რასა ვროშავ! - შესძახა ჯეიმზმა და თავის საკუთარ სიბრიყვეზე ხარხარი აუტყდა. - შენ აბა რას აქნევ ძაღლს ან

ვირთაგვას!.. სულ მიქარვაა! წყეული ვიყო, თუ იმედი მქონდეს, რომ შენ ძაღლი და იხვი ერთმანეთში გაარჩიო!

- ვერც გავარჩევ. ჰო, მართლა, - განაგრძო პიტმა კიდევ უფრო ალერსიანად. - სისხლზე ლაპარაკობდით და იმ პირად უპირატესობებზე, რომლებსაც ხალხს წარჩინებული შთამომავლობა ანიჭებს. აი ახალი ბოთლი!

- სისხლია, რაც არი! - ბრძანა ჯეიმზმა და ლალისფერ სითხეს ყელში გადაუძახა. - არა სჯობია რა კარგ სისხლიანს, ბატონო ჩემო, ცხენებსა, ძაღლებსა და ადამიანებშიც. აი, უკანასკნელ სემესტრში, სწორედ უნივერსიტეტიდან დროებით გამოგდების წინ (ესე იგი, მე მინდა ვთქვა, სწორედ სანამ სურდო შემეყრებოდა, ჰა, ჰა, ჰა!) მე და კრაისტჩერჩელი რინგვუდი, ბობ რინგვუდი, ლორდ სინკბარის ვაჟი. ბლენემს ჩვენთვის ლუდსა ვსვამდით „ზარში“ და ერთმა ბენბერელმა მენავემ გამოგვიწვია: ერთ თას პუნშად, რომელიც გინდათ ის გამოდით კრივშიო. მე არ შემეძლო. ხელი მქონდა ყელზე ჩამოკიდებული, ვერც ვანძრევდი - ის ოხერი ჭაკი წამექცა ორი დღის წინათ გზაში, ებინგდონს რომ მივდიოდი, გადმომაგდო და მეგონა, ხელი მოტეხილი მაქვს-მეთქი. ჰოდა, ბატონო ჩემო, მე ვერ გავუსწორე ანგარიში, მაგრამ ბობმა კი თვალის დახამხამებაში გაიძრო ქურთუკი: სამი წუთი უბაგუნებდა ბენბერელს და ოთხ რაუნდში პირწმინდად დანაყა. დალახვროს ღმერთმა, როგორ გააგორა, ყმაწვილო! და მერე რითი? სისხლით, ბატონო ჩემო, სულ სისხლით!

- თქვენ არა სვამთ, ჯეიმზ, - განაგრძო ყოფილმა ატაშემ, - ჩემს დროს ოქსფორდში ყმაწვილები ცოტა უფრო ჩქარ-ჩქარა სცლიდნენ ბოთლებს, ვიდრე თქვენ. ახლანდელი ჯეელები.

- აბა, აბა, - ცხვირზე ხელი დაიდო, წყვილი ღვინომორეული თვალი შეავლო ბიძაშვილს და თქვა ჯეიმზმა. - ხუმრობა იქით იყოს, შე ძველო, ნუ მაგულიანებ. შენ გინდა არაქათი გამომეცალოს, მაგრამ ვერ მოგართვეს. In vino veritas,[92] ძველო! Mars, Bacchus, Apollo virorum[93], ჰა! ნეტა მამიდა ცოტა ამ ღვინოს მამაჩემსაც გამოუგზავნიდეს, ძალუმ კარგი რამ არის!

- გირჩევნიათ თვითონვე სთხოვოთ ეგ, - განაგრძო მაკიაველმა, - ან კიდევ ახლა ნუ დაკარგავთ დროს. გახსოვთ, რას ამბობს მგოსანი? - Nunc vino pellite curas. Cras ingens iterabimus aequor.[94] - და ბახუსის შეგირდმა წარმოსთქვა რა ზემოხსენებული

სიტყვები თემთა პალატის ორატორის კილოთი, დიდის რიხით გადაკრა თავისი ფიალის თითქმის ერთი ყლუპი ღვინო.

მღვდლის ოჯახში, როცა ნასადილევს პორტვეინის ბოთლი გაიხსნებოდა, ახალგაზრდა მანდილოსნებს თითო ჭიქა მოცხარის ღვინოს მიართმევდნენ. მღვდლის მეუღლე ერთ ჭიქა პორტვეინს დალევდა, პატიოსანი ჯეიმზი კი ჩვეულებრივ - ორს; მაგრამ ვინაიდან მამამისი ერთობ მოიღუშებოდა, თუ იგი კვლავ გააგრძელებდა ბოთლზე ხელყოფას, კეთილი ჭაბუკი საერთოდ თავს იკავებდა იმაზე მეტის დალევისაგან და სჯერდებოდა ან მოცხარის ღვინოს, ან კიდევ ნამალევად თავლაში წყლით შეზავებულ ჯინს, რომელსაც იგი მეეტლისა და თავისი ჩიბუხის საზოგადოებაში შეექცეოდა. ოქსფორდში ღვინო განუსაზღვრელი რაოდენობით ჰქონდათ. ოღონდ ხარისხით ნაკლები იყო. ხოლო როცა რაოდენობა და ხარისხი ერთმანეთს შეეწყობოდა, როგორც მამიდამისის სახლში, ჯეიმზი ადასტურებდა, რომ მან ჭეშმარიტად იცოდა მისი ყადრი და არც თუ სჭირდებოდა. ბიძაშვილისაგან წაქეზება ბატონ ბოულზის მორთმეულ მეორე ბოთლის გამოწრუპვისათვის.

მაგრამ ყავის მირთმევის და მანდილოსნების დაბრუნების დრო რომ დადგა, მანდილოსნებისა, რომელთა წინაშეც ძრწოდა იგი, ახალგაზრდა დარბაისელს საამური გულღიაობა წაერთვა და ჩვეულებისამებრ პირქუში მორცხვობა დაეპატრონა. იმ საღამოს მხოლოდ „დიახს“ ან „არას“ თუ ამბობდა, უბღვეროდა ლედი ჯეინს და ყავიანი ფინჯანიც გადააპირქვავა.

თუ ხმას არ იღებდა, სამაგიეროდ შესაბრალისად ამთქნარებდა და მისი იქ ჯდომა ჩრდილს აყენებდა საღამოს თვინიერ დროსტარებას, რადგან ქალბატონი კროული და ლედი ჯეინი პიკეტის თამაშის დროს, ხოლო ქალბატონი ბრიგზი თავის ხელსაქმობაში, გრძნობდნენ, რომ თვალები პირუტყვივით მიეშტერებინა მათთვის და ამ ღვინისაგან გამოთაყვანებული მზერის ქვეშ ყოფნა ეხამუშებოდათ.

- ძალიან ჩუმი, უშნო და მორიდებული ბიჭი ჩანს, - ჩაულაპარაკა ქალბატონმა კროულიმ ბატონ პიტს.

- მამაკაცებში უფრო თამამია, ვიდრე მანდილოსნებში, - მშრალად მოახსენა მაკიაველმა, იქნებ ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმაც, რომ ღვინომ უფრო მეტად არ ააჭიკჭიკა

ჯიმი.

მეორე დღეს ჯეიმზმა მთელი ადრიანი დილა ქალბატონ კროულისაგან მისი მიღების მეტად ბრწყინვალე აღწერილობის შედგენას მოანდომა, დედისათვის შინ გასაგზავნად. მაგრამ ოჰ! - მან არაფერი უწყოდა, რა მეხს დაატეხდა ეს დღე და რა წუთიერი სუფევე ეწერა მის გავლენიანობას. მამიდის სახლში მოსვლის წინა ღამეს, კრიბის „ღერბში“ ერთი ამბავი მოხდა - სასაცილო, მაგრამ საბედისწერო ამბავი, რომელიც ჯიმს კიდეც გადაავიწყდა. ეს შემდეგი ამბავი გახლდათ: ჯიმი, რომელიც ყოველთვის ხელგაშლილი ბუნებისა იყო და როცა შექეიფიანებული ბრძანდებოდა ხომ კიდევ უფრო სტუმართმოყვარე, იმ საღამოს ტატბერის ფალავანს, როტინგდინელ ვაჟკაცს და მათ მეგობრებს ორჯერ თუ სამჯერ გაუმასპინძლდა წყლით შეზავებული ჯინით. ასე რომ ბატონ ჯეიმზ კროულის ნახარჯის ანგარიშში, ამ სითხის 18 ჭიქა, თითო რვა პენიანი, გახლდათ აღნუსხული. არა რვა პენიანების თანხა, არამედ ჯინის რაოდენობა ღაღადებდა საბედისწეროდ საბრალო ჯეიმზის ხასიათის წინააღმდეგ, როცა მამიდამისის სახლთუხუცესი, ბატონი ბოულზი, წავიდა ქალბატონის ბრძანებით ახალგაზრდა დარბაისლის ნახარჯის გასასტუმრებლად. მედუქნეს ეშინოდა, ფული სულ არ დამეკარგოსო და საზეიმო ფიცს დებდა, ახალგაზრდა ვაჟბატონმა ამ ანგარიშში ნაჩვენები ყოველი ფართინგის სასმელი სწორედ თვითონ დალიაო და ბოულზმაც ბოლოს გაუსწორა ანგარიში. ხოლო ბოულზი შინ რომ დაბრუნდა, ეს ანგარიში ქალბატონ ფერკინს უჩვენა, რომელსაც თავზარი დასცა ჯონის ასე შემაძრწუნებელი რაოდენობის შთანთქმამ. ფერკინმა იგი ქალბატონ ბრიგზს წაუღო, ვითარცა ანგარიშების მთავარ გამგებელს, რომელმაც თავის მოვალეობად ჩათვალა, ეს ამბავი პატრონის, ქალბატონ კროულისათვის მოეხსენებინა.

ჯეიმზს თორმეტიოდე ბოთლი კლარეტი რომ დაელია, მოხუცი შინაბერა მიუტევებდა: ბატონი ფოქსი და ბატონი შერიდანიც მიირთმევდნენ კლარეტს - ჯენტლმენები სვამენ კლარეტს. მაგრამ ბინძურ სამიკიტნოში მოკრივეთა შორის დალეული თვრამეტი ჭიქა ჯინი ამაზრზენი და არა ადვილად მისატევებელი დანაშაული გახლდათ. ყველაფერი ჭაბუკის საწინააღმდეგოდ დატრიალდა. იგი საჯინიბოდან თავლის სუნით გაჟღენთილი დაბრუნდა, სადაც თავისი ძაღლი - ტაუზერი მოინახულა და ეს მეგობარი ჰაერზე სასეირნოდ

გამოიყვანა. მაშინ შეხვდა ის ქალბატონი კროულის და მის ქსენით სნეულ ბლენემურ სპანიელს, რომელსაც ტაუზერი გადასანსლავდა, რომ ბლენემური ფინია წკმუტუნით არ შეფარებოდა ქალბატონ ბრიგზის კალთას; მაშინ როცა ბულდოგის გულქვა პატრონი სიცილით იჭაჭებოდა ამ საზარელ დევნა-შევიწროებაზე.

ამავე დღეს იყო, რომ უბადრუკმა ბიჭმა მორცხვობაზედაც ხელი აიღო. სადილზე მხიარულობდა და თამამობდა. პურისჭამის დროს ერთი-ორჯერ გაეხუმრა პიტ კროულის. წინადღისოდენი ღვინო მიირთვა. მერე არხეინად შებრძანდა სასტუმრო ოთახში და შეუდგა მანდილოსანთა შექცევას ზოგიერთი რჩეული ოქსფორდული ანეგდოტით. აღწერა მოლინეს და ჰოლანდიელი სემის განსხვავებული სამუშტიკრივო თვისებები. ხუმრობით შესთავაზა ლედი ჯეინს, სანაძლეოს დაგიდებთ, რომ ტატბერის ნებიერა აჯობებს როტინგდინელ ჯეელს, ანდა, თუ გნებავთ პირიქითაც დავნაძლევდეთო. ნატიფი ყოფაქცევა და საამური სიტყვა-პასუხი დააგვირგვინა იმით, რომ სანაძლეოზე კრივში გამოიწვია თავისი ბიძაშვილი პიტ კროული, თუნდ ხელთათმანიანად და თუნდაც უხელთათმანოდ.

- და სწორედ ჩინებული გამოწვევაც არის, ჩემო პრანჭიავ! - თქვა მან ხარხარით და მხარზე ხელი დაუტყაპუნა პიტს. - მამაჩემმაც დამაბარა, ეგრე ჰქენიო და ისიც შემომიდგება სანაძლეოს ნახევარში. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ეს რომ ბრძანა, მომხიბლავმა ჭაბუკმა ნიშანდობლივად დაუქნია თავი საბრალო ქალბატონ ბრიგზს და სახუმარო და გამარჯვებული იერით ზურგთუკუღმა ცერით ანიშნა პიტ კროულოზე.

პიტს იქნება არც თუ ეჭაშნიკებოდა ეს ამბავი, მაგრამ სულ უბედურად მაინც არ გრძნობდა თავს. საბრალო ჯიმმა გული იჯერა სიცილით ხელში აიღო მამიდის სანთელი, ბარბაცით განვლო ოთახი და როცა მოხუცი წასასვლელად მოემზადა, მას უტკბესი, ალერსიანი, მთვრალი ღიმილით საგულდაგულოდ გამოესალმა. მერე თვითონაც წავიდა ზემოთ, საწოლ ოთახში, ფრიად კმაყოფილი თავისი ქცევით და ნასიამოვნები იმ ფიქრით, რომ მამიდა უპირატესობას მას მიანიჭებდა მამამისისა და მთელი დანარჩენი ოჯახის წინაშე და ფულებს სულ მას დაუტოვებდა.

რაკი ერთხელვე საწოლ ოთახში მოხვდა, ვინმეს ეგონება, ჯეიმზი ახლა, იმაზე მეტს, რაც ჩაიდინა, ვეღარას დააშავებსო, მაგრამ საწყალმა ბიჭმა მაინც დააშავა. მთვარე ძალიან ტურფად დაჰნათოდა ზღვას. ოკეანის და ზეცის გულისამაჩქროლებელი სურათით მოხიბლული ჯიმი ფანჯარას მიადგა. იფიქრა, ამ სანახაობით ჩიბუხის წევის დროს კიდევ უფრო უკეთ დავტკბებიო. ივარაუდა, თუ წინდახედულად გამოვაღე სარკმელი და თავი და ჩიბუხი გარეთ, სუფთა ჰაერში, გავყავი, თამბაქოს სუნს ვერავინაც ვერ იკრავსო. ასეც ჰქნა, მაგრამ რადგან აღგზნებულ გუნებაზე ბრძანდებოდა, საბრალო ჯიმს დაავიწყდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კარი ღიად რომ ჰქონდა დატოვებული. სიო უბერავდა. ჩინებული ორჭოლი ქარი შეიქმნა, თუთუნის კვამლის ბოლქვები ქვემოთ ჩარეკა და მათი სრულიად შესუსტებული და გაუქარებელი სურნელება ბრიგზსა და ქალბატონ კროულის შეაფრქვია.

ჩიბუხმა მოუღო ბოლო საქმეს და ბიუტ კროულის ოჯახს არასოდეს შეუტყვია, რამდენი ათასი გირვანქა დაუჯდა მათ იგი. ფერკინმა კისრისტეხით ჩამოირბინა ქვემოთ, ბოულზთან, რომელიც თავის ადიუტანტს ღაღადისით უკითხავდა „ცეცხლსა და ტაფას“. თავზარდამცემი საიდუმლო ფერკინმა ისე შეძრწუნებული სახით გაანდო, რომ პირველად ბატონ ბოულზს და მის ხელქვეით ყმაწვილ კაცს ეგონათ, ავაზაკები შემოპარულან სახლში და დედაკაცმა ალბათ მათი ფეხები ქალბატონ კროულის საწოლქვეშ თუ შენიშნაო. მაგრამ როცა ბატონი ბოულზი მიხვდა, რა ამბავი დატრიალდა, თვალის დახამხამებაში, ერთბაშად სამ-სამ საფეხურზე ხტუნვით, ზემოთ გაექანა. შეიჭრა ოთახში, სადაც ჯეიმზი არხეინად აბოლებდა ჩიბუხს და აღელვებისაგან სულშეხუთული ხმით მიძახა: - ბატონო ჯეიმზ! ღვთის გულისთვის, ბატონო, დაანებეთ მაგ ჩიბუხს თავი!.. ოჰ, ბატონო ჯეიმზ, ეგ რა ჩაიდინეთ! - უღრმესი აღგზნებით დასძინა მან, როცა ამ ნივთს ფანჯრიდან გარეთ გადაუძახა. - ეგ რა ჩაიდინეთ, ბატონო! ქალბატონი ხომ ვერ იტანს მაგ სუნს!

- ქალბატონს არც უნდა თუთუნის წევა, - თქვა ჯეიმზმა სულელური. უადგილო ღრეჭით და მთელი ეს ამბავი საუცხოო ხუმრობად ჩათვალა. მაგრამ ბატონი ჯეიმზი სრულიად სხვანაირ გუნებაზე დადგა დილით, როცა ბოულზის ხელქვეითმა ყმაწვილმა (იგი ჯეიმზს წაღებს უწმენდდა და

მისთვის თბილი წყალი შემოჰქონდა იმ წვერის მოსაპარსავად, რომლის ამოსვლასაც იგი ასე სულწასულად ელოდა) ლოგინში მწოლიარე ბატონ ჯეიმზს ქალბატონ ბრიგზის ხელით ნაწერი ბარათი მოართვა.

„ძვირფასო ბატონო, - ეწერა შიგ, - ქალბატონი კროული უაღრესად ბორგავდა წუხელ იმის წყალობით, რომ თუთუნით ისე ამაზრზენად შეიბილწა სახლი. ქალბატონმა კროულიმ მთხოვა მოგახსენოთ, რომ იგი წუხს, ერთობ უქეიფოდ ვარ და ამიტომ თქვენი წასვლის წინ ვერ გინახულებთო და ყველაზე უფრო კი იმას ნანობს, რომ გაცდუნათ და ლუდხანიდან გამოგიყვანათ, სადაც, იგი დარწმუნებულია, თქვენ გაცილებით უფრო ლაღად იგრძნობთ თავს ბრაიტონს ყოფნის დანარჩენ დროს“.

და ამით პატიოსანი ჯეიმზის, ვითარცა მამიდამისის გამორჩეულად საყვარელი ძმისწულობის კანდიდატის კარიერას ბოლო მოეღო. ჯიმმა მართლაც ჩაიდინა და თან შეუგნებლადაც ის, რასაც იმუქრებოდა: მან მუშტი-კრივი გაუმართა თავის ბიძაშვილ პიტს!

სად ბრძანდებოდა ამასობაში ის, ვინც ფულისთვის ამ ქიშპობაში ოდესღაც უპირველესი რჩეული იყო? ბეკი და როუდონი, როგორც ვნახეთ, ერთად შეიყარნენ ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ და 1815 წლის ზამთარს პარიზში დიდ ფუფუნებასა და მხიარულებაში ატარებდნენ. რებეკა ყაირათიანი მეურნე გახლდათ და საბრალო ჯოზ სედლისაგან ორ ცხენში აღებული ფული საკმაო თანხა იყო, რათა მათ პატარა ოჯახს, სულ უკანასკნელი, ერთ წელიწადს მაინც ებოგინა და არ დასჭირებიათ გაეყიდათ „ჩემი დამბაჩები, სწორედ ისინი, რომლითაც კაპიტანი მარკერი მოვკალი“, არც ოქროს ნესესერი, არც კიდევ სიასამურის ტყავგამოკრული მოსასხამი. ბეკიმ იგი ლაბადად გადაიკეთა; ამ ლაბადით ბულონის ტყეში სეირნობდა და ყველას ანცვიფრებდა ლაზათიანობით. ნეტა გენახათ რებეკასი და მისი აღტაცებული ქმრის შეხვედრის სცენა, რომელიც მხედრობის კამბრეში შესვლის დროს მოხდა და როცა ბეკიმ შემოირღვია ტანსაცმელი და გადმოალაგა მთელი ის საათები, სამკაულები, საბანკო ბილეთები, ჩეკები და ძვირფასი ნივთები, რაც ბრიუსელიდან განზრახული ლტოლვის წინ დაბამბულ სარჩულში ჩამალა. ტაფტო მოჯადოებული იყო, ხოლო როუდონი კი სიამით

ხარხარებდა და იფიცავდა, ღვთის მადლმა, რებეკას მსახიობობაზე უკეთესი წარმოდგენა ჩემს დღეში არ მინახავსო. ჯოზის მოღორებისა და გაცურების ფანდმა და რებეკასაგან ამ გაცურების უზომოდ სასაცილო აღწერამ ხომ როუდონის სიამოვნებას სწორედ გიჟური აღტაცების მწვერვალს მიაღწევინა! მას ისეთივე რწმენა ჰქონდა ცოლისა, როგორც ფრანგ ჯარისკაცებს - ნაპოლეონისა.

შესანიშნავი წარმატება ჰპოვა რებეკამ პარიზში. ყველა ფრანგი მანდილოსანი აღიარებდა მის მომხიბლაობას. იგი განსაცვიფრებლად ლაპარაკობდა მათ ენას. მსწრაფლ შეითვისა მათი მოხდენილობა, მათი სინატიფე, მათი მხიარულება, მათი ყოფაქცევა, რასაკვირველია, ქმარი რეგვენი ჰყავდა - ყველა ინგლისელი რეგვენია - და თანაც შტერი ქმრის ყოლა ყოველთვის ღირსებად ეთვლება დიაცს პარიზში. ქმარი მემკვიდრე იყო მდიდარ და spirituelle[95] ქალბატონ კროულისა, რომლის სახლის კარიც იმდენი ფრანგი კეთილშობილისათვის გაღებულა ემიგრაციის დროს. ისინი ჰპატიჟობდნენ პოლკოვნიკის მეუღლეს საკუთარ სასახლეებში.

„რატომ, რატომ არ ჩამობრძანდება ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ძმისწულსა და მის მეუღლესთან და გულითად მეგობრებთან პარიზში? - წერდა ერთი დიდებული ბანოვანი ქალბატონ კროულის, რომელმაც შეუვაჭრებლად გაუსაღა დუკას მეუღლეს მისი მაქმანი და ზიზილ-პიპილები და რევოლუციის შემდგომ მძიმე ხანაში მრავალ სადილზედაც დაეპატიჟნა - მთელ ხალხს raffoles[96] მომხიბლავი მანდილოსანი და მისი espiegle[97] სიტურფე. დიახ, ჩვენ განვიცდით მასში ჩვენი ძვირფასი მეგობრის, ქალბატონ კროულის სინატიფეს, მომხიბლაობას და გონებამახვილობას! მეფემ შენიშნა იგი გუშინ ტიულრიში და ჩვენ ყველას გვშურს ის ყურადღება, რომლითაც მას monsieur ეპყრობა. ნეტა შეგძლებოდათ გენახათ გულისწყრომა და ბრაზი ვიღაც ტუტუც მილედი ბეირაკრზისა (რომლის არწივის ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირი, თავსაბურავი და ფრთები ყოველ შეკრებილობაში მოჩანს ხალხის თავზე), როცა ქალბატონმა ანგულემის დუკას მეუღლემ, მეფეთა დიდებულმა ასულმა და მეგობარმა, საგულდაგულოდ მოინება ქალბატონ კროულის გაცნობა, ვითარცა თქვენი ძვირფასი რძლისა და protegee-სი[98] და მადლობა უძღვნა მას საფრანგეთის სახელით მთელი თქვენი გულკეთილობისათვის ჩვენსა გაუბედურებულ

დევნილთადმი, მათი გაძევების ხანაში. იგი ყველა წვეულებაში დადის, დიახ, ყველა წვეულებაში, მაგრამ საცეკვაოდ კი არა. და მაინც რა სანდომიანად და კოხტად გამოიყურება ეს ტურფა არსება, მოთაყვანე მამაკაცებით გარშემორტყმული - ასე მალე კი დედა უნდა გახდეს! თქვენზე, მის მფარველზე, მის დედაზე მის ლაპარაკს რომ ყური უგდოს კაცმა, კაციჭამია ველურსაც კი თვალზე ცრემლი მოადგება. როგორ უყვარხართ! ჩვენც ყველას როგორ გვიყვარხართ, ჩვენო სათაყვანო, ჩვენო პატივცემულო ქალბატონო კროული!“

ვშიშობთ, რომ პარიზელი დიდებული მანდილოსნის ამ წერილს სრულიადაც არ შეუწყვია ხელი ქალბატონ ბეკის საქმისათვის მისი სათაყვანო პატივცემული ნათესავის წინაშე. პირიქით, საზღვარი არა ჰქონდა მოხუც შინაბერას განრისხებას, როცა შეიტყო, რა ყოფაში ბრძანდებოდა რებეკა და რა კადნიერად სარგებლობდა იგი მის კროულის სახელით, რათა პარიზის წარჩინებულ საზოგადოებაში შემძვრალიყო. ქალბატონ კროულის იმდენად დაეფანტა გონება და სხეულიც ისე დაუძაბუნდა, რომ ფრანგულად ვეღარ მოახერხა საპასუხო წერილის შეთხზვა. ამიტომ მშობლიურ ენაზე კარნახით დააწერინა ბრიგზს გაშმაგებული პასუხი, რომელშიც ხელაღებით უარყოფდა, როუდონ კროულის ცოლის ნათესავ-მეგობრობას და აფრთხილებდა ხალხს, მორიდებოდნენ მას, როგორც მეტისმეტად თაღლით და საშიშ ადამიანს. მაგრამ ვინაიდან ქალბატონმა დუკა X-ის მეუღლემ ინგლისში მხოლოდ ოცი წელი დაჰყო, მან ერთი ინგლისური სიტყვაც არ იცოდა წამლად და გული იჯერა იმით, რომ როგორც კი შეხვდა როუდონ კროულის მეუღლეს. აცნობა, მომხიბლავი წერილი მივიღე chere Mees-სისგან[99] და შიგ თქვენზე სულ კეთილი წერიაო. და რებეკასაც მართლა ჩაუჯდა იმედი გულში, რომ შინაბერა მოლბებოდა.

ამ ხნის განმავლობაში რებეკა მთელ ინგლისელ ქალებში ყველაზე მხიარული ბრძანდებოდა, ყველაზე მეტი მოთაყვანეც მას ჰყავდა და თავის წვეულებათა ღამეს ევროპის პატარა კონგრესებს მართავდა. პრუსიელები და კაზაკები, ესპანელები და ინგლისელები - მთელი სამყარო პარიზში იყო იმ სახელგანთქმულ ზამთარს. რებეკას სადა სალონში გამოფენილი ორდენებისა და საორდენო ბაბთებისათვის რომ მოეკრათ თვალი, მთელი ბეიკერ-სტრიტი შურისაგან გულზე გასკდებოდა. სახელოვანი მხედრები ახლდნენ მის ეტლს

ტყეში, ანდა შემოხვეოდნენ მის უბრალო, პატარა ლოჟას ოპერაში. როუდონი ფრიად განიხარებდა პარიზში ჯერ კიდევ არ ჩანდნენ აბეზარი მევალენი; ვერისთან ან ბოვილიესთან ყოველდღე თავს იყრიდა ხალხი, თამაში ბლომად იყო და ბედიც სწყალობდა. იქნებ ტაფტო კი ვერა ბრძანდებოდა გუნებაზე: ქალბატონი ტაფტო საკუთარი სურვილით ესტუმრა პარიზს და გარდა ამ contretemps-ისა[100], ახლა ოციოდე გენერალი მაინც დასტრიალებდა თავს ბეკის სკამს და რებეკა რომ წარმოდგენაზე მიდიოდა, თორმეტიოდე თაიგულში მაინც შეეძლო არჩევანი მოეხდინა. ლედი ბეირაკრზი და ინგლისური საზოგადოების მესვეურნი, ტუტუცი და წუნდაუდებელი დიაცები, სიმწრისაგან იგრიხებოდნენ და იტანჯებოდნენ პატარა მატრაკვეცა ბეკის წარმატების დანახვაზე, რომლის გესლიანი ხუმრობანი უთრთოდათ მკერდში და ღრღნიდა მათ უმანკო გულებს. მაგრამ მთელი მამაკაცები რებეკას მხარეს იყვნენ. იგი შეუპოვარი თავგამოდებით ებრძოდა ქალებს და მათ კი ჭორაობა მხოლოდ თავიანთ საკუთარ ენაზე თუ შეეძლოთ.

ასე ზეიმებში, სიამოვნებაში და წარმატებაში გაატარა 1815-16 წლის ზამთარი როუდონ კროულის მეუღლემ, რომელიც ისე შეეწყო დიდებულთა ცხოვრებას, თითქოს მისი წინაპრები მთელი საუკუნეების წინათ ყოფილიყვნენ წარჩინებულნი და რომელმაც თავისი ჭკუით, ნიჭითა და უნარით მართლაც დაიმსახურა საპატიო ადგილი ამაოების ბაზარში. 1815 წლის ადრე გაზაფხულზე, „გალინიანის გაზეთის“ საინტერესო კუთხეში შემდეგი ცნობა გამოქვეყნდა: „26 მარტს, მწვანე ლეიბ-გვარდიის პოდპოლკოვნიკ კროულის მეუღლეს ეყოლა ძე და მემკვიდრე“.

ეს ამბავი ლონდონის გაზეთებმაც გადაბეჭდეს, და აქედან ამოუკითხა იგი ქალბატონმა ბრიგზმა მის კროულის ბრაიტონს, საუზმობისას. ამ, თითქოს მოსალოდნელმა ცნობამ კროულების ოჯახში საქმეთა კრიზისი გამოიწვია. შინაბერას რისხვამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მან მყის აფრინა კაცი პიტთან, თავის ძმისწულთან და ლედი საუთდაუნთან, ბრაუნშვაიგის მოედანზე. და მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაეხადათ ქორწილი, რომლის საქმეც ასე დიდხანს ჭიანურდებოდა ამ ოჯახებს შორის. მერე განაცხადა, გადავწყვიტე, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ჩემს სიცოცხლეში ყოველწლიურად ათასი გირვანქა ვაძლიო, ძვირფას რძალს,

ლედი ჯეინ კროულის დავუტოვოო. უექსიც მივიდა ამ განკარგულებათა განკანონებისათვის. ლორდმა საუთდაუნმა გაათხოვა და მათ ჯვარი დასწერა ეპისკოპოსმა და არა ღირსმა ბართოლომიუ აირონზმა და ამით გაანაწყენეს ეს არამკითხე მაღალი სასულიერო გვამი.

როცა დაქორწინდნენ, პიტს ეამებოდა საქორწინო მოგზაურობაც გაემართა, როგორც მათი მდგომარეობის ხალხს შეჰფეროდა, მაგრამ მოხუცს ლედი ჯეინი ისე უზომოდ შეუყვარდა, რომ მან გულახდილად აღიარა. ამ ჩემს გულის რჩეულს ვერ შეველევიო. ამიტომ პიტი და მისი მეუღლე ქალბატონ კროულის სახლში გადმოსახლდნენ. საბრალო პიტის გულის გასახეთქად (რომელიც თავს ისედაც დაჩაგრულ ადამიანად გრძნობდა. ერთი მხრით მამიდისა და მეორე მხრით სიდედრის ქეიფზე რომ იყო მიგდებული), ლედი საუთდაუნი მეზობლად მდებარე თავის სახლიდან განაგებდა მთელ ოჯახს: პიტს, ლედი ჯეინს, ქალბატონ კროულის, ბრიგზს, ბოულზს, ფერკინს და ყველას. იგი შეუბრალებლად სჭყიპავდა მათ სასულიერო შინაარსის წიგნაკებითა და წამლებით დაითხოვა კრიმერი, მის მაგიერ დანიშნა როჯერზი და მალე ძალაუფლების ნასახიც აღარ შეარჩინა ქალბატონ კროულის. საბრალო მოხუცი ისე მოთვინიერდა, რომ მართლა სულ დაანება თავი ბრიგზის წვალებას, დღედადღე უფრო და უფრო მეტად უყვარდებოდა რძალი და შეშინებული ებღაუჭებოდა მას. მშვიდობა შენდა, გულკეთილო და თავკერძა, ამაოების მოყვარევ და სულგრძელო მოხუცო წარმართო! - ჩვენ ამიერიდან ვეღარ შეგხვდებით. იმედი ვიქონიოთ, რომ ლედი ჯეინი გულკეთილად შეუდგება მას მხარში და ნაზი ხელით გაარიდებს ამაოების ბაზრის ფაციფუცსა და შეხლა-შემოხლას.

[1] ჯიმაიმა და რომანის ზოგი სხვა გმირი, მაგალითად, სერ პიტი, ქალბატონი ო'დაუდი, მსახურები და სხვანი, დამახინჯებულად ლაპარაკობენ და ვცადეთ, სადაც შესაძლო

იყო, ეს თარგმანშიაც გამოგვეჩინა (მთარგ. შენიშვნა).

[2] მადემუზელ, მე გეახელით თქვენთან გამოსალმებისათვის (ფრანგ.).

[3] გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს იმპერატორს! გაუმარჯოს ბონაპარტს! (ფრანგ.).

[4] გულუბრყვილო, მიამიტი (ფრანგ.).

[5] კარგი, ფუფუნებით ცხოვრების მოყვარული (ფრანგ.).

[6] თავმოყვარეობა (ფრანგ.).

[7] თვალდათვალ, მარტო (ფრანგ.).

[8] ტრფობის წყურვილი (გერმ.).

[9] ცრემლები, ოხვრანი და ნეტარებანი (იტალ.).

[10] შესანიშნავი, მოხდენილი, ზრდილი (ფრანგ.).

[11] სატრფიალო ბარათი (ფრანგ.).

[12] უილიამ დობანს (ლათ.).

[13] ძლევამოსილი, დამმორჩილებელი (ფრანგ.).

[14] ოჰ, ჩემო ლამაზო ვაჟბატონო! (ფრანგ.).

[15] პირისფარეში (ფრანგ.).

[16] სატრფიალო ბარათი (ფრანგ.).

[17] პატარა მხლებელი (ფრანგ.).

[18] გიჟმაჟი, ანცი (ფრანგ.).

[19] ბატონო (ფრანგ.).

[20] მაშ თქვენ ერთობ დიდებული გვარისა ბრძანებულხართ (ფრანგ.).

[21] ოცდაათი ათასი მეხი! (ფრანგ.).

[22] წუთიერი სასტიკი ტკივილით (ფრანგ.).

[23] თავქარიანი, ფუქსავატი, ქარაფშუტა (ფრანგ.).

[24] მერე და არც თუ ძალიან ძვირია, დალახვროს ღმერთმა

(გერმან.).

[25] ზედმეტი (ფრანგ.).

[26] მეზალიანსი - არათანაბარი, შეუფერებელი ქორწინება, როცა დაქორწინებულნი ერთნაირი სოციალური მდგომარეობისანი არ არიან (ფრანგ.).

[27] როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, სერ პიტის მართლწერა და მეტყველება ფრიად თავისებური და დამახინჯებულია და თარგმანშიც ვცდილობთ ნაწილობრივ შევინარჩუნოთ ეს კილო (მთარგმნელი).

[28] წინააღმდეგ (ლათ.).

[29] თალგამიანი ცხვრის ხორცი. (ფრანგ.).

[30] ცხვრის შოტლანდიური წვნიანი (ფრანგ.).

[31] მოხარშული კარტოფილი და კალნაბი (ფრანგ.).

[32] ოჰ ეს არამზადა! ოჰ ეს ურჩხული! (ფრანგ.).

[33] უხამსი ინგლისელები (ფრანგ.).

[34] სხვისას ერჩის და თავისასაც ჰკარგავს (ლათ.).

[35] ემიგრანტი (ფრანგ.).

[36] გონებამახვილი, ნიჭიერი ადამიანი (ფრანგ.).

[37] პირიქით (ლათინ.).

[38] ახალი მოსაკაზმები (ფრანგ.).

[39] ნაპოვნი, მონაპოვარი (ფრანგ.).

[40] ვალით ყელამდე სავსე (ფრანგ.).

[41] თუ ეს ვინმეს კეთილშობილი და გავლენიანი კლასის წარმომადგენელთა მახინჯად დახატული სურათი ჰგონია, მე მივუთითებ მათ თანამედროვეთა ნაამბობებზე, როგორიც არის, მაგალითად „ბაირონის მოგონებანი“; ამაოების ბაზრის ამ საყოველთაოდ ცნობილ ილუსტრაციაში გახლავთ მოცემული რიშელიეს ზნეობა და ჰოლანდიელი სემის სინატიფე (ავტორის შენიშვნა).

[42] სანდომიანი, ცუგრუმელა სახე (ფრანგ.).

[43] ახალგაზრდა ამალი (ფრანგ.).

[44] კომპანიონი ანუ ამხანაგი ქალი, რომელსაც მდიდრები ქირაობენ ხოლმე თავიანთი მანდილოსნების გასართობად და საამხანაგოდ (ფრანგ.).

[45] პირისფარეში (ფრანგ.).

[46] უცოლოებივით, უმანდილოსნებოდ (ფრანგ.).

[47] ჩვენს შორის (ფრანგ.).

[48] აღვდგები (ლათინ.).

[49] გამჟღავნება, ახსნა, განცხადება (ფრანგ.).

[50] მამიდაჩემი (ფრანგ.).

[51] ღმერთო კეთილო, ღმერთო მწყალობელო (ფრანგ.).

[52] არწივზე ნადირობისათვის (ფრანგ.).

[53] მარტო, თვალდათვალ (ფრანგ.).

[54] ტურფა ველური ქალი (ფრანგ.).

[55] მდინარე ტახო. - სუორცი და მარია სხვადასხვანაირად გამოთქვამენ ამ ფრაზას: პირველი ესპანურს უნდა უახლოვებდეს, მეორე კი - ფრანგულს.

[56] საქმე, ეშმაკობა, თაღლითობა (ფრანგ.). გენერალი გულის ანუ სასიყვარულო საქმეებზე ანიშნებს.

[57] საშინაო ხალათი (ფრანგ.).

[58] სატრფიალო ბარათი (ფრანგ.).

[59] რას იზამთ? (ფრანგ.).

[60] შნოიანი, მოხდენილი (ფრანგ.).

[61] მოწყენილობა (ფრანგ.).

[62] მშვიდობით მგზავრობა (ფრანგ.).

[63] საღამო, საღამოს წვეულება (ფრანგ.).

[64] ეგრე სულელი არ გახლავარ (ფრანგ.).

[65] ეს ამბავი მოხსენებული გახლავთ ბატონ გლეიგის „ვატერლოოს ბრძოლის ისტორიაში“ (ავტორის შენიშვნა).

[66] ქალბატონი ო’ დაუდი დამახინჯებულად ლაპარაკობს და ახლაც „დუკას“ მაგიერ „ჯუკას“ ამბობს (მთარგ. შენ.).

[67] საერთო შეხედულებამ, ხედმა (ფრანგ.).

[68] შემობრძანდით (ფრანგ.).

[69] ფეხთჩაცმული (ფრანგ.).

[70] მეკორსეტე (ფრანგ.).

[71] ძალიან საყვარელი, კარგი (ფრანგ.).

[72] მოახლე, შინამოსამსახურე ქალი (ფრანგ.).

[73] დალახვროს ეშმაკმა (ფრანგ.).

[74] მწვანე ხეივანი (ფრანგ.) [75] გეთაყვა, ქალბატონო, განა ჩემი სატრფოც ომში არ წავიდა? (ფრანგ.) [76] მეტრდოტელი, ფარეშთუხუცესი, მსახურთუფროსი. (ფრანგ.).

[77] ნახვამდის (ფრანგ.).

[78] ეს ზარბაზნების სროლა! (ფრანგ.).

[79] მისი საკუთარი სატრფო (ფრანგ.).

[80] კეთილი მგზავრობა, გზა მშვიდობისა (ფრანგ.).

[81] დასწყევლოს ღმერთმა, ცხენები არ იშოვება! (ფრანგ.).

[82] განადგურება, დამარცხება (ფრანგ.).

[83] ჩემო კარგო, პაწია ქალბატონო (ფრანგ.).

[84] მოჭერი მე, ისიდორ! ჩქარა! მოჭერი მე! (ფრანგ.).

[85] ულვაშები, ულვაშები!.. მოჭერი, მოპარსე, ჩქარა! (ეს ფრაზები ფრანგულადაც დამახინჯებულია).

[86] აღარ ატარებ... სამხედრო მუნდირი... წაიღეთ... წაიღეთ, თქვენ, მოაშორეთ აქედან (დამახინჯებული ფრანგ.).

[87] წადი ახლა... წამომყე... იარე... გამო ქუჩაში (დამახინჯებული ფრანგ.).

[88] შესავალში, კარიბჭეში (ფრანგ.).

[89] კომპანიონი, ამხანაგი ქალი (ფრანგ.).

[90] გატაცება, სიყვარული (ფრანგ.).

[91] ურთიერთობა, კავშირი (ფრანგ.).

[92] ღვინოშია ჭეშმარიტება (ლათ.).

[93] მარსი, ბახუსი, აპოლონი მამაცებისაა (ლათ.).

[94] ახლა ღვინით განდევნეთ ზრუნვა, ხვალ კი ვეება ზღვაში უნდა შევცუროთ, (ლათ. - ჰორაციუსის ლექსების I წიგნის მეშვიდე ოდიდან).

[95] ჭკუამახვილი, გონებამახვილი (ფრანგ.).

[96] უზომოდ უყვარს, თავდავიწყებით უყვარს (ფრანგ.).

[97] ცელქი, ანცი, ცელქური, ანცური (ფრანგ.).

[98] ადამიანი, ვისაც მფარველობენ, პროტეცე (ფრანგ.).

[99] ძვირფასი მისისგან (Mess ფრანგისაგან დამახინჯებული ინგლისური სიტყვაა - Miss - მის).

[100] დაბრკოლება (ფრანგ.).

უილიამ თეკერეი
ამაოების ბაზარი (წიგნი II)

რომანი

თარგმანი ალექსანდრე გამყრელიძისა

წიგნი II

თავი XXXV - ქვრივი და დედა

კარტ-ბრას და ვატერლოოს დიდი ბრძოლების ამბავმა ერთსა და იმავე დროს მიაღწია ინგლისს. პირველად „გაზეთმა“ გამოაქვეყნა ორივე ბრძოლის შედეგები და ამ აღმაფრთოვანებელმა ცნობამ ზეიმითა და ძრწოლვით შესძრა მთელი ინგლისი.მერე დაწვრილებითი აღწერილობანი მოჰყვა და გამარჯვებულთა აღნუსხვის შემდგომ დაჭრილ-დახოცილთა სიები გამოჩნდა.ვის შეუძლია გამოთქვას, რა შიშის ზარით ხსნიდნენ და კითხულობდნენ იმ სიებს! წარმოიდგინეთ სამივე სამეფოს ყოველი სოფელი და სახლი ფლანდრიის ბრძოლების დიდებული ცნობების მიღებისას; აღტაცებისა დამადლიერების, უნუგეშო მწუხარებისა და უსასოო კაეშნის გრძნობანი, როცა ჯარების დანაკლისის სიას ჩამოიკითხავდნენ და შეიტყობნენ ძვირფასე მეგობრის და ნათესავი გადარჩა თუ დაიღუპა. თუ ვინმე იკისრებს მაშინდელი გაზეთების გროვების გადათვალიერებას, ახლაც იგრძნობს იმ სულისშემხუთავი,დაძაბულიმოლოდინის სიმწარეს. დაჭრილ-დახოცილთა სიები ყოველდღე იბეჭდებოდა და ისე უცბათ წყდებოდა, როგორც მოთხრობა, რომელიც შემდგომ ნომერში უნდა გაგრძელებულიყო. გაითვალისწინეთ, რა გრძნობები უნდა აღეძრა იმ გაზათებს, რომელნიც ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ სტამბიდან, და თუ ასეთი ღრმა ინტერესი იგრზნობოდა ჩვენს ქვეყანაში, ისიც იმ ბრძოლების გამო, რომელშიაც მხოლოდ ოცი ათასი ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა; გაითვალისწინეთ ოცი წლის წინანდელი მდგომარეობა ევროპისა, სადაც ხალხი ათასობით

კი არა, მილიონობით იბრძოდა და ყოველი მათგანი მტერს რომ დაჰკრავდა,შორს, სადღაც, ვინმეს უმანკო გულსაც საზარლად ჰკოდავდა.

ამ სახელგანთქმული „გაზეთის“ ცნობამ თავზარი დასცა ოსბორნების ოჯახსა და მის უფროსს. ქალიშვილები თავშეუკავებლად მწუხარებას მიეცნენ. პირგამეხებული, ბოღმიანი მოხუცი მამა კიდევ უფრო მოსდრიკა ბედისწერამ დანაღველმა. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ ბიჭს განგების მსჯავრმა უწია ურჩობისათვის. ვერ ბედავდა ეღიარებინა, რომ სასჯელის სისასტიკემ შეარწმუნა იგი, და რომ მისი წყევლა-კრულვა ძალიან მალე აღსრულდა. ჟამდაჟამ შემაძრწუნებელი ელდა ეცემოდა - თითქოს თვითონ იყო მიზეზი შვილის თავს დატეხილი სასჯელისა. წინათ კიდევ რჩებოდა შერიგების შესაძლებლობა. ბიჭის ცოლი შეიძლებოდა მომკვდარიყო, ანდა თვითონ მოსულიყო და ეთქვა: „მამა, დამნაშავე ვარო“. მაგრამ ახლა კი აღარავითარი იმედი მოიპოვებოდა. იგი გადაულახავი უფსკრულის მეორე მხარეს იდგა და სევდიან თვალს არ აშორებდა მშობელს. მის ასეთი გამომეტყველება წინათაც ახსოვდა, როცა სიცხით გათარანებული იწვა. ყველას ეგონა, ყმაწვილი ვეღარ გადარჩებაო. ენაჩავარდნილი ესვენა ლოგინში და საზარელი კაეშანი გამოსჭვიოდა მის თვალებში. უფალო მწყალობელო! როგორ ებღაუჭებოდა მაშინ მამა ექიმს

და აღელვებისაგან რა გულგადალეული დასდევდა კუდში. რა დიდი მწუხარების ტვირთი მოეხსნა გულს, როცა კრიზისის შემდეგ ბავშვი გამომჯობინდა, გადმოხედა მამას და კვლავ იცნო. მაგრამ ახლა აღარსად ჩანდა არც საშველი, არც წამალი, აღარს შერიგების იმედი; ყველაზე სამძიმო კი ის იყო, რომ ბერიკაცი ვეღარ ეღირსებოდა მონანიების სირყვებს, რათა დაეშოშმინებინა შეურაცყოფილი, განრისხებული ამაო გრძნობანი და ძველებურ კალაპოტში ჩაეყენებინა მოშხამული, ამღვრეული სისხლი. და ძნელია თქმა, რომელი ტკივილი უფრო მწვავედ გლეჯდა ამპარტავანი მამის გულს - ის, რომ მოესპო მას შვილის პატიების შესაძლებლობა, თუ ის,რომ ბოდიშს, რომელსაც ეს გოროზი ბერიკაციელოდა, ვეღარ მოუხდიდნენ.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი განცდანი, პირქუშ ბერიკაცს მაინც არ გააჩნდა გულის მესაიდუმლე. ვაჟიშვილის

სახელი პირიდან არ დასცდენია ქალისვილებთან, მაგრამ უფროსს კი უბრძანა, ოჯახის ყველა შინამოსამსახურე ქალს სამგლოვიარო ტანსაცმელი შეაკერინეო, და მოიწადინა, მომრობითი სქესის მოსამსახურენიც ასევე ღრმა ძაძებში გამოჭყობილიყვნენ. ყოველი წვეულება და ლხინი, რასაკვირველია, გადადებულ იქნა. არაფერი შეუტყობინებიათ მომავალი სასიძოსათვის, რომელთან ქორწინების დღე უკვე დანიშნულიც გახლდათ; მაგრამ ბატონი ოსბორნის გაომეტყველება იმდენად მკაფიო იყო, რომ ბატონმა ბულოკმა ვერ გაბედარამე ეკითხა, ანდა სხვა რაიმე სახით დაეჩქარებინა ჯვრისწერის საქმე.ის და მანდილოსნები ხანდახან ხმადაბლა ჩურჩულებდნენ სასტუმრო დარბაზში,სადაც მამა არასოდეს შედიოდა. თვითონ სულ თავის კაბინეთსი იჯდა. სახლის მთელი წინა პირის კარ-ფანჯარა ჩაირაზა საერთო გლოვის დამთავრებამდე.

18 ივნისიდან დაახლობით სამი კვირის გავლის შემდგომ ბატონი ასბორნის ნაცნობი სერ უილიამ დობინი ეწვია ოსბორნის სახლს რასელ- სკვერში. სახე ძალიან გაფითრებული და შეშფოთებული ჰქონდა; დაჟინებით ითხოვდა იმდარბაისლის ნახვა. როცა ოთახში შევიდა. ორიოდე სიტყვის შემდგომ, რომელთა აზრი არც მთქმელს და არც გამგონეს არ ესმოდათ, სერ უილიამმა დიდი წითელი ლუქით დაბეჭდილი წერილი ამოიღო.

- ჩემმა ვაჟმა, მაიორმა დობინმა, - თქვა ოლდერმენმა ცოტა მორიდებით და ბორძიკებით, - წერილი გამომიგზავნა -ე ლეგიონის ოფიცრის სახელით, რომელც დღეს ჩამოვიდა ქალაქში. ჩემი შვილის კონვერტში თქვენი წერილიც იდო , ოსბორნ!

ოლდერმენმა წერილი მაგიდაზე დადო. ოსბორნი ერთ-ორ წუთს მდუმარედ დააშერდა სტუმარს. მისმა გამომეტყველებამ დააფრთხო მოციქული, რომელიც ცოტა ხანს დამნაშავესავით შეჰყურებდა მწუხარებით გაოგნებულ ბერიკაცს და სიტყვა აღარ გაუგრძელებია, აჩქარებით გაიხურა კარი.

წერილი ჯორჯის კარგად ნაცნობი გაკრული ხელით იყო ნეწერი. ის წერილი გახლდათ, 16 ივნისს გათენებამდე რომ დაწერა - სწორედ ემილიასთან გამოსალმების წინ. დიდ წითელ ლუქზე აღბეჭდილი იყო ნაყალბევი, მონაპარი ღერბი, რომელიც პერთა წიგნიდან ამოიღო ოსბორნმა დევიზით: Pax in bello[1] ,

დუკათა სახლს რომ ეკუთვნოდა, რომლებთან ნათესაობასაც ტყუილად ჩემობდა პატივმოყვარე, ბღენძია მოხუცი. სწორედ ის ბეჭედი, რომლიტაც წერილი იყო დაბეჭდილი, უკვე აართვეს ჯორჯის გაცივებულ გვამს, როცა იგი ბრძოლის ველზე ეგდო. მამამ ამისი არა იცოდა რა, მაგრამ იჯდა და შერწუნებით დაშტერებოდა წერილს. კინაღამ წაიქცა, მის გასახსნელად რომ წამოდგა.

ოდესმე მოგსვლიათ უთანხმოება ძვირფას მეგობართან? როგორ გტკენს გულს და თითქოს გკიცხავს მისი წერილები, მოწერილი სიყვარულისა და ნდობის ხანაში! რა მწარედ საგოდებელია მკვდარი გრძნობის ეს მხურვალე, შმაგი ყვედრებანი! რა ცრუ ეპიტაფიებს წარმოადგენენ ისინი, სიყვარულის გვამზე დაწერილს! რა გულსაკლავი, პირქუში, სასტიკი განმარტებებია ცხოვრებისა და ამაობათათვის! უმრავლეს ჩვენგანს ამისთანა წერილების მთელი უჯრები აქვს მიღებული ანდა დაწერილი. ესენი გახლავან საიდუმლონი, რომელთაც ვინახავთ და ვერიდებით. ოსბორნი დიდხანს ცახცახებდა მკვდარი შვილის წერილის წინაშე.

საცოდავი ბიჭის ბარათში ბევრი არაფერი ეწერა. იგი იმდენად ამაყი გახლდათ, რომ არც შეიმჩნევდა იმ სინაზესა და სიყვარულს, რომელსაც მისი გული განიცდიდა. მხოლოდ იმას ამბობდა, რომ დიდი ბრძოლის წინა ღამეს სურდა მამას გამოსალმებოდა და საგანგებოდ სთხოვდა, ყურადღება მიექცია მისი მეუღლისა და ეგებ მისი შვილისთვისაც, რომელთაც სტოვებდა ომში წასვლის წინ. სინანულით აღიარებდა, რომ უთავბოლო ცხოვრებისა და ფუქსავატობის წყალობით თითქმის უკვე შემოეფლანგა დედის დანატოვარი მცირე სამკვიდროს უდიდესი ნაწილი. იგი მადლობას სწირავდა მშობელს წიანდელი ხელგაშლილობისათვის და პირობას აძლევდა , რომ დაეცემოდა ბრძოლის ველზე თუ გადარჩებოდა მშვიდობით, იგი მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც შეეფერებოდა ჯორჯ ოსბორნის სახელს.

მისმა ინგლისურმა ხასიათმა, სიამაყემ და ეგებ უშნოობამაც ხელი შეუშალა უფრო მეტი ეთქვა. მამამისს არ შეეძლო დაენახა, როგორ ემთხვია ჯორჯი კონვერტზე წაწერილ მის სახელს. ბატონმა ოსბორნმა შეკავებული სიყვარულის გრძნობისა და შურისძიების უსასტიკესი, მომაკვდინებელი ტკივილით გააგდო ხელიდან იგი. შვილი კვლავ უყვარდა,

თუმცა მაინც ვერ ეპატიებინა.

მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ, როცა დები მამასთან ერთად წავიდნენ ეკლესიაში, შენიშნეს, რომ მოხუცი იქკი არ დაჯდა, სადაც ჩვეულებრივ ჯდებოდა ხოლმე წირვის დროს, არამედ სხვა ადგილი ირჩია და იქიდან გამოჰყურებდა კედელს მათ თავებს ზემოთ. ამიტომ ახალგაზრდა ქალებმაც გააყოლეს თვალი მამის

მოღუშულ მზერას დ კედეკლზე დაინახეს გულმადგინედ გამოქანდაკებული ძეგლი. ბრიტანია დასტიროდა ურნას. გადატეხილი ხმალიდა მწოლარე ლომი ადასტურებდნენ, რომ ეს ძეგლი აღემართათ დაღუპული მეომრის პატივსაცემად. მაშინდელ მოქალექეებს უამრავი სამგლოვიარო სიუჟეტი მოეპოვებოდათ, როგორც თქვენ თვითონაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ წმიდა პავლეს ტაძრის კედლების მაგალითზე, რომელნიც დაფარულია ასობით ამნაირი ტრაბახა, წარმართული ალეგორიული გამოსახულებებით მდგომარე საუკუნის[2] პირველი თხუთმეტი წლის განმავლობაში მათზე მუდამ არსებობდა მოთხოვნილება.

ხსენებული ძეგლის ქვეშაღბეჭდილი გახლდათ ოსბორნთა კარგად ცნობილი დიდრაჯული ღერბი. წარწერა იუწყებოდა, რომ ესზეგლი „მოძღვნილია ესკვაირ ჯორჯ ოსბორნ უმცროსისადმი, მისი უდიდებულესობის ქვეითი ჯარის -ე ლეგიონის კაპიტნისადმი, რომელიც მოჰკლეს 1815 წლის 18 ივნისს, 28 წლის ასაკში, ოდეს იბრძოდა თავისი მეფისა და სამშობლოსათვის ვატერლოოსთან დიდებული გამარჯვების დღეს. Dulce et decorum est pro partia mori”[3].

ქვის ძეგლის ხილვამ იმდენად ააღელვა დები, რომ მის მარია იძულებული გახდა ტაძრიდან გასულიყო.

მლოცველებმა მოწიწებით დაუთმეს გზა ღრმაძაძით მოსილ, გულამოსკვნით მოქვითინე ქალიშვილებს და თანაგრძნობით დაუწყეს ცქერა განსვენებული მხედრის ძეგლის პირდაპირ მჯდომარე პირმოღუშულ მოხუც მამას.

- ვითომ მოუტევებს ჯორჯის მეუღლეს? - დაეკითხნენ ერთმანეთს გოგოები, როგორც კი მწუხარების პირველმა სიმწარემ გაუარათ.

ოსბორნის ოჯახის ნაცნობებშიც, რომელთაც იცოდნენ მამა-

შვილს შორის ვაჟიშვილის ქორწინების მიზეზით გამოწვეული განხეთქილების ამბავი, ბევრს ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა ქვრივთან შერიგების შესაძლებლობაზე. რასელ-სკვერსა და სითიში სანაძლეობიც იდებოდა.

თუ დები გრძნობდნენ რაიმე შეშფოთებას ოჯახის წევრად ემილიას შესაძლო აღიარებისათვის, მალე ეს შეშფოთება უფრო გაუძლიერდათ შემოდგომის მიწურულში, როცა მამამ გამოაცხადა, საზღვარგარეთ მოვემზავრებიო. არ უთქვამს, საით აპირებდა, მაგრამ მყის მიხვდნენ, რომ იგი ბელგიისაკენ გაემართებოდა. თანაც იცოდნენ, ჯორჯის ქვრივი რომ ჯერ კიდევ ბრიუსელს იყო. საბრალო ემილიას ამბებს ფრიად დაწვრილებით იტყობდნენ ლედი დობინისა და მისი ქალიშვილების მეშვეობით. ბრძოლის ველზე ლეგიონის მეორე მაიორის დაღუპვის გამო ჩვენი პატიოსანი კაპიტანი დააწინაურეს. ხოლო მამაცი ო’ დაუდი, რომელმაც დიდად ისახელა თავი, როგორც ყოველ სხვა საქმეში, სადაც შესაძლებლობა მისცემია, გამოემჟღავნებინა თავისი აუღელვებლობა , სიმტკიცე და ვაჟკაცობა, პოლკოვნიკი და აბანოს ორდენის კავალერი გახდა.

ბევრი მეომარი მამაცი -ე ლეგიონისა, რომელმაც ბრძოლის ორივე დღეს სასტიკი დანაკლისი განიცადა, შემოდგომაზე კვლავ ბრიუცელს გახლდათ და ჭრილობებს იშუშებდა. დიდი ბრძოლების შემდგომ მთელი თვეების განმავლობაში ეს ქალაქი ვეება სამხედრო ლაზარეთად იქცა. როგორც კი ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გამომჯობინება დაიწყეს, ბაღები და საჯარო გართობის ადგილები აივსო დასახიჩრებული ხნიერი და ახალგაზრდა მეომრებით, რომელთაც, სიკვდილის ბრჭყალთაგან ახლახან თავდახსნილებმა, თავი მისცეს აზარტულ თამაშს, ქეიფსა და არშიყობას, როგორც ამაოების ბაზრის ხალხის წესია. ბატონმა ოსბორნმა იოლად მიაგნო -ე ლეგიონელებს. მათ ფორმას ჩინებულად სცნობდა; თვალყურს ადევნებდა ყველას დაწინაურებისა და ცვლილებათა საქმეებს რაზმში და ლეგიონის და მის ოფიცერთა შესახებ ლაპარაკი ისე უყვარდა, თითქოს თვითონაც მათი თანამოსაგრე ყოფილიყო. ბრიუსელს ჩასვლის მეორე დღეს, როცა სასტუმროდან გამოვიდა, რომელიც პარკის პირდაპირ იდგა, თვალი მოჰყრა ვაღის ქვის მერხზე მოსვენებით მჯდარ ნაცნობ ნიშნებიან

ჯარისკაცს. მივიდა და, აცახცახებული, ისიც გვერდით მოუჯდა

გამოჯანსაღების გზაზე მდგომ დაჭრილს.

- კაპიტან ოსბორნის ასეულში ხომ არ ყოფილხართ? - ჰკითხა მან და მცირე დუმილის შემდეგ დასძინა: - ჩემი შვილი გახლდათ, ბატონო.

ჯარისკაცი არ ყოფილა კაპიტნის ასეულში, მაგრამ მაინც ასწია დაუშავებელი ხელი და სევდიანი მოწიწებით შეეხო ქუდს გაწამებული, გულგატეხილი დარბაისლის საპატივცემლოდ.

- მთელ არმიაში არ მოიპოვებოდა იმაზე უკეთესი შესახედავი და მამაცი ოფიცერი, - თქვა ჯარისკაცმა. - თუმცა კაპიტნის ასეულის (ახლა კაპიტანი რეიმონდი მეთაურობს მას) სერჟანტი ჯერაც ქალაქშია და ახლახან გამობრუნდა ბეჭში ნატყვიარისაგან. თუ გენებათ, ბატონო, შეგიძლიათ ნახოთ და ის მოგახსენებთ დაწვრილებით -ე ლეგიონის სამამაცო საქმეებს. მაგრამ, უეჭველია, პატივცემულმა ბატონმა უკვე იხილა მაიორი დობინი, გულადი კაპიტნის გულადი მეგობარი და ქალბატონი ოსბორნი, რომელიც აგრეთვე აქ გახლავთ, და, როგორც ყველა ამბობს, ძალიან ავად ბრძანდებოდა. ამბობენ, ექვს კვირაზე მეტ ხანს თავის ჭკუაზეც არ იყოო. მაგრამ თქვენ, ბატონო, ყოველივე ეს იცით ალბათ... და ბოდიშს ვიხდი... - დასძინა ჯარისკაცმა.

ასბორნმა გინეა ჩაუდო მუჭაში და უთხრა, კიდევ მოგცემ, თუ სერჟანტს „Hotel du Parc”-ში მომგვრიო. ამ დაპირებამ ხსენებული მეომარი ძალიან მალე წარმოადგენინა ბატონი ოსბორნის წინაშე. პირველი ჯარისკაცი წავიდა; ერთ-ორ ამხანაგს უთხრა, როგორ ჩამოვიდა კაპიტან ოსბორნის მამა და რა ხელგაშლილი, ღირსეული დარბაისელი ბრძანდება იგი. მერე შევიდნენ დუქანში და, სანამ მგლოვიარე მოხუცი მამის დიდრაჯული ქისიდან ამოღებული გინეები ეყოფოდათ, კარგი დრო გაატარეს სმასა და ქეიფში.

ახლახან გამომჯობინებულ სერჟანტთან ერთადოსბორნმა მოიარა ვატერლოო და კატრ-ბრა - ამ მოგზაურობას მაშინ ათასობით მისი თანამემამულე ასრულებდა. ჩაისვა ეტლში სერჟანტი და მისი მეგზურობით ორივე ბრძოლის ველი დაათვალიერა. იხილა გზის ის ადგილი, საიდანაც ლეგიონმა გაილაშქრა საიერიშოდ 16 ივნისს და ფერდობი, რომელზედაც უკანდახეული ბელგიელების მდევარი ფრანგთა კავალერია უკუაგდეს. აქვე გახლდათ ადგილი, სადაც კეთილშობილმა

კაპიტანმა ფრანგი ოფიცერი დაჩეხა, რომელიც ჩვენს ახალგაზრდაოფიცერს ეჭიდებოდა დროშის წასართმელად, დროშის მცველი სერჟანტები დახოცილნი იყვნენ. მეორე დღეს ამ გზით დაიხიეს უკან და აქ იყო სანგარი, სადაც წვიმაში იდგა ლეგიონი 17 ივნისის ღამეს. შემდეგ მოსდევდა ის პოზიცია, რომელიც აიღეს და მთელ დღეს ინარჩუნებდნენ. თან ჟამდაჟამ ხელახლად ეწყობოდნენ, რათა მტრის ცხენოსანი ჯარისიერიშებს გამკლავებოდნენ და სანგრებში თავი დაეფარათ ფრანგების გაშმაგებული კანონადისაგან. და სწორედ ამ ფერდობზე იყო, რომ, როცა საღამოს ინგლისის მთელმა ჯარმა მიიღო წინსვლის ბრძანება, რაკი მტერმა უკან დაიხია უკანასკნელი იერიშის შემდეგ, კაპიტანი ვაშას ძახილით და ხმლის ქნევით დაეშვა თავდაღმა და ტყვიით გულგანგმირული დაეცა.

- მაიორმა დობინმა წაასვენა კაპიტნის გვამი ბრიუსელს და დაკრძალა, როგორც მოგეხსენებათ, - ხმადაბლა დააბოლოვა სერჟანტმა.

ჯარისკაცი რომ უამბობდა ამბავს, გლეხები და რელიკვიების მაძიებელნი ირგლივ შემოსჭყიოდნენ ორივეს და საყიდლად სთავაზობდნენ ბრძოლის ყოველი ჭურის სახსოვარს - ჯვრებს, ეპოლეტებს, დანჯღვრეულ ჯავშნებსა და არწივებს.

ოსბორნმა შვილის უკანასკნელი გმირობის ადგილების მონახულების მერე, განშორებისას, უხვად დააჯილდოვა სერჟანტი. საფლავი უკვე ნახული ჰქონდა. იქ ბრიუსელს ჩამოსვლისთანავე მივიდა. ჯორჯის გვამი ქალაქის ახლოს, ლეკენის ლამაზ სასაფლაოზე განისვენებდა - იქ დასაფლავების სურვილი ერთ საამო სეირნობის დროს თავქარიანად გამოთქვა. ოსბორნი თავის მეგობართან ერთად იქ იწვა, ბაღის უკურთხ მიწაში, დაბალი ღობით გამოყოფილი ტაძრების, კოშკებისა და ბუჩქნარ-ყვავილნარებისაგან, რომელთა ქვეშაც რომის კათოლიკური სარწმუნოების მიცვალებულნი განისვენებდნენ. მოხუცს შეურაცხყოფდა იმის ფიქრი, რომ მისი ძე, ინგლისელი ჯენტლმენი, ბრიტანეთის სახელოვანი მხედრობის კაპიტანი, ღირსად არ ცნეს დაეკრძალათ იმ მიწაში, სადაც ვიგინდარა უცხოელები იყვნენ დასაფლავებულნი. ვის შეუძლია თქვას, რა დიდი ამაოება იმალება მოყვასთადმი ჩვენს უგულითადეს, უნაზეს გრძნობებში და რა თავკერძაა ჩვენი სიყვარული? მოხუცი ოსბორნი ბევრს არ ჩაჰკვირვებია თავისი გრძნობების

აღრეულ ხასიათს და იმას , თუ როგორ ერკინებოდნენ ერთმანეთს მისი ბუნებრივი გრძნობა და თავკერძაობა. იგი ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ, რასაც აკეთებდა , ყველაფერი სწორი იყო: რომ მას ყოველთვის, ყოველ საქმეში, თავისი უნდა გაეტანა და ბზიკის ანდა გველის ნესტარივით შხამ-გესლის შეჭურვილი მისი სიძულვილი მყის გაილაშქრებდა ხომე ყოველი ოდნავი წინააღმდეგობის მსგავსის ხილვაზეც კი. მას ისევე მოჰქონდა თავი თავისი სიძულვილით, როგორც სხვა ყველაფრით. ყოველთვის ყველაფერში მართლობა, ყოველთვის გასწორ-გასწორ სიარული და არასოდეს არაფერში დაეჭვება - განა ეს არ გახლავთ დიდებული თვისებანი, რომელთა წყალობითაც სირეგვნე და გონებაჩლუნგობა წარმატებას ჰპოვებს ამ წუთისოფელში.

როცა ვატერლოოს მოსვლის შემდეგ ბატონი ოსბორნის ეტლი მზის ჩასვლისას ქალაქის ალაყაფს უახლოვდებოდა, წინ შემოეყარა მეორე თავღია ეტლი, რომელშიაც ორი მანდილოსანი და ერთი დარბაისელი იჯდა, ხოლო გვერდით კი ოფიცერი მოსდევდათ ცხენით. ოსბორნი უკან მიაწყდა და მასთან მჯდომმა სერჟანტმაგანცვიფრებით შეავლო თვალი მეზობელს, თან ქუდზე ხელის მიდებით ესალმებოდა ოფიცერს , რომელმაც თავის მხრივ მექანიკურად დაუბრუნა სალამი. ეს გახლდათ ემილია, კოჭლი ახალგაზრდა ოფიცრის გვერდით მჯდომი, მის პირდაპირ კი მისი გულითადი მეგობარი ქალბატონი ო'დაუდი ბრძანდებოდა. ემილია გახლდათ, მაგრამ როგორ შეცვლილიყო ის ქორფა, ტურფა გოგონა, რომელსაც ოსბორნი იცნობდა! სახე გაფითრებოდა და გახდომოდა. მშვენიერი წაბლისფერი თმა საბრალო ბალღს ორად ჰქონდა გაყოფილი ქვრივის ქუდქვეშ. თვალები გაშტერებოდა და ვერაფერს ხედავდა. ეტლებმა რომ ერთმანეთს ჩაუარეს, უგონოდ დააშტერდა ოსბორნსაც, მაგრამ ვერ იცნო. ვერს ბერიკაცმა იცნო იგი, სანამ მის გვერდით ცხენით მიმავალი დობინი არ შენიშნა. მას სძულდა ის ქალი. არც იცოდა, რა ძალიან სძულდა , ვიდრე ახლა არ მოჰკრა თვალი. ქალის ეტლმა რომ ჩაიარა, მობრუნდა და, პირგამეხებული, გამომწვევად დააშტერდა სახტად დარჩენილ სერჟანტს, თითქოს ეუბნებოდა: „როგორ ბედავ ჩემს შემოხედვას? ჯანდაბას შენი თავი!... დიახ, მე მძაგს იგი. მაგან მოუღო ბოლო ჩემს იმედებსა და მთელ ჩემს სიამაყეს!“

- უთხარი მაგ არამზადას, ჩქარა გარეკოს, - მიაძახა გინებით

კოფოზე მჯდომ მხლებელს.

ცოტა ხნის შემდეგ ოსბორნის ეტლის უკან ცხენის თქარათქური მოისმა და დობინი წამოეწიათ. ეტლებმა ერთმანეთს რომ ჩაუარეს, დობინი რაღაც ფიქრებში იყო გართული და მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით რომ გასცდა, მოაგონდა, ახლახან ჩავლილი კაცი ოსბორნი იყოო. მერე გადახედა ემილიას, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მამამთილის დანახვამ, მაგრამ საბრალო ქალს ვერც გაეგო, ვინ ჩაიარა. მაშინ უილიამმა, რომელიც ყოველდღე თან ახლდა ემილიას სეირნობის დროს, სახელდახელოდ მოგონილი რაღაც საქმე მოიბოდიშა და ჩამოსცილდა მათ. ქალს არც ეს შეუმჩნევია - გაჰყურებდა შორს, ტყისაკენ გადაშლილ ნაცნობ სანახებს, რომელთა იქითაც ჯორჯი გაემართა სალაშქროდ.

- ბატონო ოსბორნ, ბატონო ოსბორნ! - მოაძახა დობინმა, როცა წამოეწია და ხელი გამოუწოდა.

ოსბორნი არ შერხეულა ხელის ჩამოსართმევად, არამედ ერთხელ კიდევ დაუყვირა და კდევ შეუკურთხა მსახურს, ააჩქარეო.

დობიმმა ხელი დაადო ეტლის გვერდს.

- მე თქვენ უნდა გნახოთ, ბატონო, ამბავი მაქვს გადმოსაცემი! - უთხრა მან.

- იმ ქალისაგან? - გაალმასებით დაეკითხა ოსბორნი.

- არა, თქვენი შვილისაგან, - მიუგო მაიორმა.

ამ პასუხზე ოსბორნი მიწვა ეტლის კუთხეში. დობინმა წინ გაუშვა ეტლი, თვითონ კი ფეხდაფეხ მიჰყვა. ასე გაიარეს ქალაქი, და ტანაც უსიტყვოდ, სანამ ბატონი ოსბორნის სასტუმროს არ მიაღწიეს. ოსბორნს მის სადგომში აჰყვა. ჯორჯი ხშირად იყო ნამყოფი ამ ოთახებში - ეს გახლდათ ის ბინა, რომელიც კროულის ოჯახს ეჭირა ბრიუსელს ყოფნის დროს .

- ბრძანეთ, თუ რამე3 გაქვთ სათქმელი, კაპიტანო დობინ, ანუ, ბოდიშს ვიხდი, უნდა მეთქვა, მ ა ი ო რ ო დობინ, რადგან, თქვენზე უკეთესი ვაჟკაცები რომ დაიხოცნენ, თქვენ დაიჭირეთ მათი ადგილი,- თქვა ბატონმა ოსბორნმა იმ სარკასტული კილოთი, რომლითაც ხანდახან მოიპრიანებდა ხოლმე ლაპარაკს.

- უკეთესი ვაჟკაცები დაიხოცნენ, - მიუგო დობინმა, - და მე სწორად ერთი მათგანის შესახებ მინდა მოგახსენოთ.

- მოკლედ ბრძანეთ, ბატონო, - უთხრა ბერიკაცმა, თან შეიკურთხა თავისთვის და უბღვეროდა სტუმარს.

- მე აქ გახლავარ, როგორც მისი უახლოესი მეგობარი და მისი ანდერძის აღმსრულებელი, - განაგრძო მაიორმა. - ანდერძი მან ბრძოლაში წასვლის წინ შეადგინა. იცით რა მცირე ქონება დარჩა განსვენებულს და რა მძიმე მდგომარეობაშია მისი ქვრივი?

- მე მისი ქვრივისა არა ვიცი რა, ბატონო ჩემო, - განაცხადა ოსბორნმა, - დეა, მამამისს დაუბრუნდეს.

მაგრამ დარბაისელს, რომელსაც ამ სიტყვებით მიმართეს, გადაწყვეტილი ჰქონდა, გული არ მოსვლოდა, და ყური არ ათხოვა ამ ლაპარაკს.

- იცით, ბატონო, ქალბატონი ოსბორნის მდგომარეობა? მისი ჯამრთელობა და გონება თითქმის შეარყია იმ თავზარდაცემამ. ძალიან საეჭვოა, გამომჯობინდება იგი თუ არა. მაინც ერთი იმედი კიდევ ღვივის და სწორედ ამის თაობაზე მინდა მოგველაპარაკოთ. იგი მალე დედა გახდება. ინებეთ მშობლის შეცოდების გადატანას შვილის თავზე თუ ბავშვს მიუტევებთ საწყალი ჯორჯის გულისთვის?

ოსბორნმა პირი მოიხსნა; ხოტბა-დიდება შეასხა თავისთვის და წყევლა-კრულვით იჯერა გული. უპირველეს ყოვლისა საკუთარ სინდისს მოუბოდიშა თავისი ქცევისათვის, მეორეს მხრივ კი ჯორჯის ურჩობა გააზვიადა.

მთელს ინგლისში ვერც ერთი მამა ისე სულგრძელად ვერ მოექცეოდა შვილს, რომელიც ბოროტად აუმხედრდა მას. ისე მოკვდა, რომ არც კი ურიარებია, შევცოდეო. დეა იწვნიოს თავისი ურჩობისა და სიტუტუცის შედეგები. რაც შეეხება მას, ბატონ ოსბორნს, იგი თავისი სიტყვის პატრონია - დაიფიცა, იმ ქალს არასოდეს ხმას არ გავცემ და არც ჩემს რძლად ვცნობო.

- ეგრე მოახსენე და მაგაზე ვიდგომები, სანამ პირში სული მიდგას,- დააბოლოვა მან ლანძღვით.

მაშ ამ მხრიდან არავითარი შველის იმედი არ იყო. ქვრივს თავისი მცირე სახსრებით ან იმ შემწეობით უნდა გაეტანა თავი,

რასაც ჯოზი იკისრებდა. „შეიძლებოდა გამემხილა ეს მისთვის, მაგრამ ყურსაც არ მათხოვებს“, გაიფიქრა დობინმა სევდიანად. საბრალო ქალის ფიქრები იმ უბედურების შემდეგ საამქვეყნო აღარ იყო. მწუხარებით გამოთაყვანებული, ავსა და კარგს თანაბარი გულგრილობით ეპყრობოდა. ასევე გახლდათ მისთვის მეგობრობა და ალერსი - ორივეს უდრტვინველად იღებდა და მერე კი ისევ თავის კაეშანს მისცემდა ხოლმე თავს.

ზემოხსენებული საუბრის შემდეგ ჩვენი საბრალო ემილიას ცხოვრებაში თორმეტიოდე თვემ განვლო. ამ დროის პირველი ნახევარი ისე ღრმა და შესაბრალის ურნაში გაატარა, რომ ჩვენ, ვინც ვუკვირდებოდით და აღვწერდით იმ სუსტი და ნაზი გულის ზოგიერთ გრძნობას, უნდა უკან დავიხიოთ სასტიკი მწუხარებისა და ნაღველის წინაშე, რომელშიც იგი იწურებოდა სისხლისაგან. დუმილით შემოვუაროთ ირგვლივ სასომიხდილი საბრალო ტანჯულის ბედკრულ სარეცელს. ფრთხილად გამოვიხუროთ ჩაბნელებული ოთახისკარი, სადაც იგი ეწამება, როგორც ის კეთილი ადამიანები სჩადიოდნენ, რომელნიც უვლიდნენ მას ტანჯვა- წამების პირველ თვეებში და მანამ არ დაუტოვებიათ, სანამ ზეცამ ნუგეში არ არგუნა. დადგა დღე თითქმის შემაძრწუნებელი სიამისა და განცვიფრებისა, როცა საცოდავმა დაქვრვებულმა გოგონამ მკერდზე მიიკრა ჩვილი, განსვენებული ჯორჯის თვალების მქონე პაწია ბიჭუნა, ქერუბიმივით ლამაზი. რა სასწაული იყო მისთვის ბალღის პირველი ჭყავილი! როგორ იცინოდა და დასტიროდა მას. როგორ გაიღვიძა კვლავ მის გულში სიყვარულმა, იმედმა და ლოცვამ, ბავშვმა რომ შეიბუდა იქ. იგი გადარჩა. თავს მდგომი ექიმები, რომელთაც მისი სიცოცხლისა ანდა გონების წახდომის შიში ჰქონდათ, სულწასულად ელოდნენ ამ კრიზისის დადგომას, რათა გამოეთქვად საბოლოო მსჯავრი - უვნებლად გადარჩებოდა თუ არა ერთი ან მეორე. გრძელი თვეების ყოყმანისა და გამუდმებული შიშის შემდგომ მათთვის, ვინც ფეხმოუცვლელად გაატარა მასთან ეს დრო, ღირსეული ჯილდო იყო მისი თვალების ალერსიანი ჟუჟუნი.

ჩვენი მეგობარი დობინი ერთი მათგანი გახლდათ. მან ჩამოიყვანა იგი ინგლისშო, დედამისის სახლში, როცა ქალბატონმა ო’დაუდმა საბოლოო, მკაცრი განკარგულება მიიღო მეუღლე პოლკოვნიკისაგან და იძულებული გახდა, გამოსალმებოდა თავის ავადმყოფს. ოდნავი იუმორის მქონე ყოველ კაცს გული გაეხნებოდა , რომ დაენახა ბალღიანი

დობინი და მოესმინა ემილიას მხიარული კისკისი, როცა იგი თვალს ადევნებდა მაიორს. უილიამმი ბავშვის ნათლია გახლდათ და მთელ თავის ნიჭ-უნარს უზომოდ ძაბავდა ამ ნორჩი ქრისტიანისთვის ფინჯების, კოვზაბის, საწოვარებისა და მარჯნის სათამაშოების ყიდვაში.

არ ღირს მოგახსენოთ, როგორ ევლებოდა თავს დედა, როგორ აცმევდა ბავშვს, როგორ ედგა იმით სული; როგორ ირიდებდა ყველა ძიძას და, გარდა თავისა ზელისა, სხვისას თითქმის არც აკარებდა; როგორ მიაჩნდა, რომ მისი ნათლიის, მაიორი დობინისათვის ყველაზე დიდი პატივი ის იყო, ხანდახან თუ ხელთ დააჭერინებდა მას.

ეს ბავშვი მისი სულისდგმა გახლდათ. მთელი მისი არსება დედობრივ ალერსად იყო ქცეული. უსუსური ჩვილი სიყვარულითა და თაყვანისცემით შემოსა. სწორედ მის სიცოცხლეს სწოვდა ბალღი მისი მკერდიდან. ღამეებში, როცა მარტო იყო, დედობრივი სიყვარულის ფარული, მძლავრი გრძნობა შემოაწვებოდა; ის, რაც ღვთის საოცარმა მადლმა არგუნა დიაცს - სიხარული, რომელიც აღემატება გონების ძალას და თან ვერც ჩასწვდომია გონება- ბრმა, საოცარი, ლამაზი თავდადება, მხოლოდ ქალის გულმა რომ იცის. უილიამ დობინს სხვა არა გააჩნდა რა, ჩაჰკვირვებოდა ემილიას ამ განცდებს, ყური მიეგდო მისი გულის მოძრაობისათვის და თუ სიყვარულმა შთააგონა, მომხვდარიყო თითქმის ყოველ მის გრძნობას, მაგრამ, ვაგლახ, მას საბედისწერო მკაფიოებიტ შეეძლო დაენახა, რომ ემილიას გულში არ დარჩენილიყო მიშთვის ადგილი. იცოდა ეს, მაინც უდრტვინველად ითმენდა თავის ხვედრს და მზად იყო კვლავაც მოეთმინა.

მე მგონი, ემილიას დედ-მამა ხვდებოდა მაიორის ზრახვებს და თითქოს უნდოდათ კიდეც ხელი შეეწყოთ მისთვის, რადგან დობინი ყოველდღე მოდიოდა სტუმრად და საათობით რჩებოდა მათთან, ემილიასთან ანდა პატიოსან სახლის პატრონ ბატონ კლეპთან და მის ოჯახთან. თან ხან რას მოიმიზეზებდა, ხან რას და ყოველდღე მოჰქონდა საჩუქრები ყველასათვის; ამიტომ სახლის პატრონის პატარა გოგონამ, რომელიც ემილიას ნებიერა იყო, „მაიორი შაქარყინული“ შეარქვა მეტსახელად.

ჩვეულებრივ, სწორედ ეს ბავშვი ასრულებდა ცერემონიათა გამგებლის მოვალეობას და წარუდგენდა ხოლმე მას ქალბატონ ოსბორნს. სიცილიწასკდა ერთ დღეს, როცა მაიორი

შაქარყინული კებით მობრძანდა ფულემს და, რომ გადმოვიდა, ხის ცხენი, დოლი, ბუკი და სხვა საომარი სათამაშოები გადმოიტანა პატარა ჯორჯისათვის, რომელიც ჯერ ექვსი თვისაც არ იყო და რომლისთვისაც ზემოხსენებული საგნები აშკარად ნაადრევი გახლდათ.

ბალღს ეზინა.

-ჩუ! - წაიჩურჩულა ალბათ მაიორის ჩექმების ჭრაჭუნით ცოტა განაწყენებულმა ემილია. თან ხელი გამოუწოდა ღიმილით, რადგან უილიამს არც შეეძლო ჩამოერთმია, სანამ სათამაშოების ტვირთისაგან არ გაითავისუფლებდა თავს.

- ჩადი, გეთყვა, ძირს, მერი, - უთხრა მაშინვე ბავშვს, სალაპარაკო მაქვს ქალბატონ ოსბორნთან.

ქალმა ცოტა გაოცებით შემოხედა და ჩვილი თავის საწოლში ჩააწვინა.

- გამოსამშვიდობებლად მოვედი, ემილია,- მაიორმა და ალერსიანადმოჰკიდა ხელი ნაზ, პაწია, თეთრ ხელში.

- გამოსამშვიდობებლად? მერედა, სად მიდიხართ? - უთხრა ღიმილით ქალმა.

- წერილები ჩემი აგენტების სახელზე გამოგზავნეთ და ისინი მე გადმომიგზავნიან, - მიუგო დობინმა.- წერილებს მოწერთ, ხომ მომწერთ? მე დიდი ხნით მივდივარ!

- მე მოგწერთ ჯორჯის ამბავს. - უთხრა ემილიამ. - ძვირფასო უილიამ, რა გულკეთილად მოგვეპყარიტ ორივეს! დახედეთ! განა ანგელოზს არა ჰგავს?

ბავშვის პაწია ვარდისფერი თითები უნებურად შემოეჭდო პატიოსანი ჯარისკაცის თითს და სახეგაბრწყინებული ემილია დედობრივი სიამით შეჰყურებდა სახეში. უსასტიკესი ბოროტი შეხედვაც ვერ დაჰკოდავდა მაიორის გულს ისე, როგორც ამ უსაზღვრო გულკეთილობის გამომხატველმა ცქერამ იმოქმედა მასზე. იგი დაიხარა ბავშვისა და დედისაკენ. ერთ ხანს კრინტი ვეღარ დასძრა და დიდის გაჭირვებით ძლივსღა ამოღერღა, უფალმა გაკურთხოთო.

- უფალმა გაკურთხოთ! - უთხრა ემილიამაც და აკოცა მას.

- ჩუ! ჯორჯი არ გააღვიძოთ! - დასძინა მერე, როცა დობინი

მძიმე ნაბიჯით გაეამართა კარისაკენ.

ქალს აღარც გაუგონია დაძრული კების თვლების ხმაური, იგი დაჰყურებდა ბავშვს, რომელიც ძილში იღიმებოდა.

თავი XXXVI - როგორ შეიძლება ცხოვრება სრულიად უშემოსავლოდ

მე მგონი, ჩვენს ამაოების ბაზარში ისე უგულისყურო არავინ მოიპოვება, რომელიც ხანდახან მაინც არ ჩაფიქრებულიყოს თავისი ნაცნობების ცხოვრების საქმეებზე, ანდა ისე უსაზომოდ ღვთისნიერი და სათნო ვინმე, რომ არ განცვიფრებულიყოს, წლის ბოლომდე როგორ გააქვთ სული მის მეზობელ ჯოუნზს, ან მის მეზობელ სმითს.

მაგალითად, მიუხედავად ჩემი უდიდესი პატივისცემისა (ვინაიდან სეზონში ორ-სამჯერ მაინც ვსადილობ მათთან), არ შემიძლიაარ გამოვტყდე, რომ ვეება თავღია ეტლით და ზორბა მხლებელი ფარეშებით ჯენკინზების გამოჩენა პარკში განმაცვიფრებელი და იდუმალებით მოცული იქნება ჩემთვის სულის ამოსვლის დღემდე. რადგან, მართალია, ვიცი, რომ ეტლი მხოლოდ ნაქირავებია დროებით და ჯენკინზის ყველა მსახურიც ჭამა-სმასა და ბინას სჯერდებოდა, ის სამი კაცი და ეტლი, სულ უკანასკნელი, წელიწადში ექვსი ათასი მაინც დაჯდება. მერე კიდევ ამას დაუმატეთ დიდებული სადილები, ორი შვილის იტონში ყოფნა, რჩეული აღმზრდელი ქალი და მასწავლებლები გოგონებისათვის, გასეირნება საზღვარგარეთ ანდა ისტბერნს ან უორთინგს შემოდგომობით და ყოველ წელიწადს გამართული ბალი განტერისაგან გაწყობილი ვახშმითურთ. სხვათა შორის, უმეტესად განტერი უმართავს ჯენკინზებს პირველხარისხოვან სადილებს. ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგან ერთხელ მეც მიმიწვიეს ამნაირ სადილზე, რათა ცარიელი ადგილი შემევსო, და მყის შევნიშნე, რომ ეს საუცხოო ნადიმები ფრიად განსხვავდებიან იმ უბრალო სუფრებისაგან, რომლებზედაც ჯენკინზები იწვევენ ხოლმე უფრო დაბალი რანგის ნაცნობებს. მე მოგახსენებთ: რაც არ უნდა კეთილგანწყობილი იყოს ვინმე, აბა როგორ არ გაუკვირდება,

რანაირად ახერხებენ ჯენკინზები თავის გატანას?

მერედა, ვინ ბრძანდება ჯენკინზი? ყველამ ვიცით-ბეჭდის დამსმელი სახელმწიფო უწყების მოხელეა და ჯამაგირად წელიწადში 1200 გირვანქა სტერლინგს იღებს. ეგებ მის მეუღლეს მოეპოვება ცალკე ქონება? ფიე!.. მის ფლინტი ბავინჰემშირელი წვრილი მემამულის თერთმეტი შვილიდან ერთ-ერთი გახლავთ. მთელი ავლადიდება, რასაც იგი თავისი ოჯახიდან იღებს, საშობაო ინდაურია, რის სანაცვლოდაც მკვდარ სეზონში ორი ან სამი და მაინც უნდა შეინახოს და დააბინაოს და ჰკვებოს თავისი ძმები, როცა ისინი ქალაქს ჩამოვლენ.

მერე როგორ აწონასწორებს შემოსავალ-გასავალს ჯენკინზი? მე იმას ვიტყვი, რასაც ყველა მისი მეგობარი იტყოდა როგორ ხდება, რომ ამდენ ხანს არ მიუციათ იგი სამართალში, და როგორც ეს ყველას უკვირს, როგორ გაბედა მან დაბრუნება ბულონიდან შარშან?

აქ წარმოდგენილი „მე“ განასახიერებს საერთოდ საზოგადოებას-ყოველი პატივცემული მკითხველის პირადი წრის ქალბატონ გრანდის[4], რომლის ყოველ წევრს შეუძლია მიუთითოს ზოგ ნაცნობ ოჯახზე, რომელიც, კაცმა არ იცის, რით ცხოვრობს. ყველა ჩვენგანს, უეჭველია, ბევრი ჭიქა დაულევია სტუმართმოყვარე მასპინძლის სადღეგრძელოდ და თან გაჰკვირვებია, ნეტა რა ჯანდაბით ისტუმრებს ხარჯებსო.

პარიზში ყოფნიდან სამი-ოთხი წლის შემდგომ, როცა როუდონ კროული და მისი მეუღლე დაბინავდნენ მეი-ფეირში, ძალიან პატარა კეთილმოწყობილ ბინაში კერზონ-სტრიტზე, ალბათ ერთიც არ მოიპოვებოდა მათ სუფრაზე მჯდომ მრავალრიცხოვან მეგობართა შორის, ისეთი, რომელსაც ზემოხსენებული კითხვა არ დაჰბადებოდეს თავში მათ შესახებ. რომანისტმა, როგორც ზემოთაც ითქვა, ყველაფერი იცის, და შემიძლია მოვახსენო საზოგადოებას, როგორ ცხოვრობდა კროული და მისი მეუღლე სრულიად უშემოსავლოდ. ოღონდ უნდა ვთხოვო გაზეთებს, რომელთაც ჩვეულებად აქვთ გადაიღონ ხოლმე სხვადასხვა პერიოდული გამოცემების ადგილები, რომ არ გადაბეჭდონ ქვემომოყვანილი მონათხრობი და ანგარიშები, რომლებითაც, ვითარცა აღმომჩენ-გამომრკვევს და თანაც ამაზე ზოგი ხარჯის გამწევსაც, უპირატესი უფლება მაქვს ვისარგებლო. შვილო ჩემო, -

ვეტყოდი, მე, ღმერთს რომ ჩემთვის შვილი ებოძებინა, - შენ შეგიძლია, გულმოდგინე კითხვა-გამოძიებითა და მუდმივი ურთიერთობით გამოიკვლიო სრულიად უშემოსავლოდ როგორ ცხოვრობს კაცი გემრიელად. მაგრამ სჯობია, ნუ დაუახლოვდები ამისთანა ხელობის ვაჟბატონს და ანგარიშები მეორე ხელიდან მოიპოვე, როგორც ლოგარითმების მიმართ სჩადიხარ ხოლმე, რადგან, მერწმუნე, თვითონ პირადად მაგ საქმეების რკვევა ფრიად ძვირი დაგიჯდება.

მაშასადამე, სრულიად უშემოსავლოდ და ისიც ორი-სამი წლის განმავლობაში, რომელთა ამბავიც ჩვენ მხოლოდ ძალიან მოკლედ შეგვიძლია გადმოვცეთ, კროული და მისი მეუღლე ფრიად ბედნიერად და მყუდროდ ცხოვრობდნენ პარიზში. სწორედ ამ ხანებში გამოვიდა კროული გვარდიიდან და გაყიდა ოფიცრობის პატენტი. ახლა, როცა ჩვენ კვლავ ვხვდებით, მისი ულვაშები და სადარბაზო ბარათზე წაწერილი პოლკოვნიკის სახელიღა მოგვაგონებს მის სამხედრო პიროვნებას.

მოგახსენებთ, რომ რებეკამ პარიზს ჩასვლის უმალვე მიაღწია ფრიად წარჩინებულ და მოწინავე მდგომარეობას დედაქალაქის საზოგადოებაში და დიდის სიამოვნებით იღებდნენ ძველ უფლებებში აღდგენილი ფრანგი აზნაურების ზოგ განსაკუთრებით გამოჩენილ სახლში. პარიზში მყოფი მაღალი საზოგადოების ინგლისელი მამაკაცებიც ელაციცებოდნენ მანდილოსნების, თავიანთი ცოლების, გულის გასახეთქად, რომელნიც ვერ იტანდნენ მატრაკვეცას.

რამდენიმე თვეში სენ-ჟერმენის გარეუბნის[5] სალონებმა, სადაც მას უზრუნველყოფილი ჰქონდა ადგილი, და ახალი სამეფო კარის ბრწყინვალებამ, სადაც დიდის გამოჩინებით ბრძანდებოდა მიღებული, აღაფრთოვანა და იქნებ ცოტაოდნად გააბრუა კიდეც ქალბატონი კროული და აღზევების ამ ხანაში ისე განეწყო, რომ ტუჩი აუბზუა ზოგს, უმეტესად პატიოსან ახალგაზრდა ოფიცრობას, რომელიც მისი ქმრის საზოგადოების უდიდეს ნაწილს შეადგენდა.

მაგრამ პოლკოვნიკი საცოდავად ამთქნარებდა სამეფო კარის დუკათა მეუღლეებსა და დიდგვაროვან ბანოვანთა შორის. Ecarte-ს მოთამაშე დედაბრები ისეთ აყალმაყალს ასტეხდნენ ხუთფრანკიანის გულისთვის, რომ პოლკოვნიკ კროულისათვის დროის დაკარგვად არ ღირდა ბანქოს მაგიდასთან დაჯდომა. რაკი ფრანგული არ იცოდა, არც მათი

გონებამახვილური მუსაიფის დაფასება შეეძლო. ან ჩემი ცოლი რა სარგებელსა ხედავს, იმეორებდა იგი, ყოველ საღამოს ამდენნ პრინცესას რევერანსს რომ უკეთებსო? მალე მიანება კიდეც რებეკას ამ წვეულებებში მარტო სიარული, ხოლო თვითონ კი თავისი ძველი ჩვევანი და გართობანი გაიხსენა საკუთარ გუნებისად შერჩეულ და შეტკბობილ მეგობართა წრეში.

მართალი მოგახსენოთ, როცა ისეთ კაცზე ვლაპარაკობთ, რომელიც ჩინებულად ცხოვრობს უშემოსავლოდ, სიტყვით - „უშემოსავლოდ“ - რაღაც უცნობ წყაროს აღვნიშნავთ. უბრალოდ ვგულისხმობთ, რომ ჩვენ არ ვიცით, ხსენებული დარბაისელი რა სახსრებით ინახავს თავის ოჯახს. თუ ჩვენი მეგობარი პოლკოვნიკის საქმეს განვიხილავთ, მას დიდი მიდრეკილება ჰქონდა ყოველნაირი აზარტული თამაშისადმი და ვინაიდან განუწყვეტლივ ვარჯიშობდა ბანქოს, კამათლისა და ბილიარდის ჯოხის ხმარებაში, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ იგი გაცილებით უკეთ დახელოვნდა, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ხანდახან თუ მოჰკიდებდნენ ამ საგნებს ხელს. ბილიარდის ჯოხის კარგად ხმარება წააგავს ფანქრის, ფლეიტის ანდა დაშნის ხმარებას -თავიდანვე ვერც ერთ ამ იარაღს ვერ გამოიყენებს მარჯვედ კაცი. მხოლოდ ბუნებრივ ნიჭსა და მიდრეკილებასთან შეერთებული ბეჯითი მეცადინეობითა და გულმოდგინებით შეიძლება მოიპოვოს წარმატება ადამიანმა რომელიმე მათგანის ხმარებაში. ჰოდა, კროული ბილიარდის უბრალო მოყვარულიდან სწორუპოვარ ოსტატად იქცა. მისი დიდებული ნიჭი, მხედართმთავრის მსგავსად, საფრთხის ზრდასთან ერთად იფურჩქნებოდა. როცა მთელი თამაშის განმავლობაში ბედი არ სწყალობდა, და ამიტომ მის საწინააღმდეგოდ სანიძლაოებიც იდებოდა, იგი შეუდარებელი სიმარჯვითა და გაბედულობით რამდენჯერმე გასაოცარი სიზუსტით მოახვედრებდა, რაც გაათანაბრებდა ბრძოლას, და ბოლოს გამარჯვებასაც მოაპოვებინებდა და ყველას სახტად დასტოვებდა; ესე იგი, სახტად დასტოვებდა ყველა იმას, ვინც არ იცოდა თამაშში მისი სიმარჯვის ამბავი. ვინც იცნობდა, ფრთხილად იქცეოდნენ ფულის დადების საქმეში ისეთი კაცის წინააღმდეგ, რომელსაც ენერგიის ასეთი ანაზდეული მარაგი და ბრწყინვალე, სწორუპოვარი სიმარჯვე მოეპოვებოდა.

ბანქოს თამაშშიაც ასევე მარჯვე იყო. რადგან, მართალია, საღამოს დასაწყისში მუდამ აგებდა და ისე დაუდევრად

თამაშობდა და ისეთ შეცდომებს სჩადიოდა, რომ ახალგაცნობილთ ეჭვიც ეპარებოდათ მის ნიჭში, მაგრამ როცა გამოფხიზლდებოდა და გაფრთხილდებოდა განმეორებული მცირე წაგებების შემდგომ, შენიშნული გახლდათ, რომ კროულის თამაში სრულიად განსხვავებულ ხასიათს იღებდა და თამაშის დასასრულამდე უთუოდ ბოლს ადენდა ზურგზე მოწინააღმდეგეს. ჭეშმარიტად ძალიან ცოტა ვინმეს შეეძლო დაეტრაბახა, კროულის მოვუგეო.

ისე გამუდმებით იგებდა, რომ გასაოცარი არ გახლავთ, თუ მეშურნენი და დამარცხებულნი ხანდახან ავს იტყოდნენ მასზე. ფრანგები ამბობენ დუკა უელინგტონის შესახებ, რომელსაც დამარცხება არ განეცადა, მხოლოდ გასაოცარმა საბედისწერო, ხელსაყრელმა შემთხვევებმა შეაძლებინა, მუდამ გამარჯვებული გამოსულიყოო. ოღონდ ისინიც აღიარებენ, ვატერლოოსთან გააცურა მტერი და უკანასკნელი დიდი ხელის მოგება იმით მოახერხაო. ასევე ინგლისში სიტყვას გადაჰკრავდნენ, პოლკოვნიკი კროული ალბათ თაღლითობს, თორემ ყოველთვის როგორ გაიმარჯვებდაო.

თუმცა მაშინ პარიზში ფრასკატი და სალონი ღია იყო მოთამაშეთათვის, აზარტული თამაშის სენმა ისე მოიკიდა ფეხი, რომ საჯარო სათამაშო დარბაზები ვეღარ აუდიოდა მოსურნეებს და თამაშები კერძო სახლებშიაც იმართებოდა, თითქოს ამ გატაცების დასაკმაყოფილებლად საჯარო დაწესებულებლები არ კმაროდა. კროულის მომხიბლავ საღამოს reunion-ებზე , გულკეთილი პაწია ქალბატონი კროულის გასანაწყენებლად, ეს საბედისწერო დროსტარებანი ჩვეულებრივ ყოველთვის იმართებოდა. უღრმესი სევდით ლაპარაკობდა მანდილოსანი კამათლებით მეუღლის გატაცებაზე. იგი ამის თაობაზე ყველას შესჩიოდა, ვინც მის სახლში ფეხს შემოდგამდა. ევედრებოდა ახალგაზრდებს, კამათლების საყრელ ჭიქას არამც და არამც არ მიეკაროთო. ხოლო როცა მსროლელთა ლეგიონის ახალგაზრდა ოფიცერმა გრინმა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა წააგო, როგორც ახალგაზრდა დარბაისელს აცნობა მსახურმა, რებეკამ მთელი ღამე ცრემლის ღვრაში გაატარა; პირდაპირ დაუჩოქა ქმარს და ემუდარებოდა, აპატიე ვალი და ხელწერილი დაწვიო. მაგრამ აბა როგორ შეეძლო ეს ჩაედინა კროულის? მანაც ხომ სწორედ ამდენივე წააგო ჰუსართა პოლკელ ბლეკსტოუნთან და ჰანოვერის კავალერიის ოფიცერ გრაფ პუნტერთან? გრინს

შეიძლება ვადროვოდ მისთვის უფრო მოსახერხებელ ვადამდე, მაგრამ გადახდა?.. რასაკვირველია, უნდა გადაიხადოს - ვალდებულების ხელწერილის დაწვაზე ლაპარაკი ბალღობაა!

მისი წვეულებებიდან სხვა ოფიცრებიც, მეტწილად ახალგაზრდები - რადგან ქალბატონ კროულის ირგვლივ ყმაწვილკაცობა ტრიალებდა - სახედაძმარებულნი ბრუნდებოდნენ, სტოვებდნენ რა მეტნაკლებად მნიშვნელოვან თანხებს ამ მანდილოსნის ბანქოს სათამაშო მაგიდებზე. მის სახლს სახელი გაუტყდა. უკვე გამოცდილი მოთამაშენი გამოუცდელთ აფრთხილებდნენ, საფრთხეში არ ჩავარდნილიყვნენ. პარიზს მდგომი -ე ლეგიონის პოლკოვნიკმა ო′ დაუდმა სწორედ იმავე რაზმის ლეიტენანტი სპუნი გააფრთხილა. ხმამაღალი და ფიცხი შელაპარაკება მოუხდათ „Café de Paris” -ში ქვეითი ჯარის პოლკოვნიკს და მის მეუღლესა და პოლკოვნიკ კროულის და მის მეუღლეს, რომელნიც აგრეთვე იქ შეექცეოდნენ იჯრას. ორივე მხრის მანდილოსნები ჩაერივნენ საქმეში. ქალბატონმა ო’ დაუდმა ცხვირწინ გაუტკაცუნა თითები ქალბატონ კროულის და მიაძახა, შენი ქმარი „თაღლითია და მეტი არაფერიო“. პოლკოვნიკმა კროულიმ აბანოს ორდენის კავალერი პოლკოვნიკი ო’ დაუდი გამოიწვია დუელში. მთავარსარდალმა ყური მოჰკრა ჩხუბის ამბავს და დაიბარა პოლკოვნიკი კროული. იგი უკვე ამზადებდა იმავე დამბაჩებს, „რომლებითაც კაპიტანი მარკერი გააგორა“. მაგრამ მთავარსარდალთან მუსაიფის მერე დუელი აღარ შემდგარა. რებეკას რომ არ დაეჩოქებინა გენერალ ტაფტოს წინაშე, კროულის უკან, ინგლისში, გაგზავნიდნენ და ამის შემდეგ რამდენიმე კვირას თუ არ სამოქალაქო პირებთან, სხვასთან აღარ უთამაშნია.

მაგრამ, მიუხედავად როუდონის უეჭველი სიმარჯვისა და გამუდმებული წარმატებებისა, საქმის აწონ-დაწონის შემდეგ აშკარა გახდა რებეკასათვის, რომ მათი მდგომარეობა მერყევი და სახიფათო გახლდათ და, თუმცა თითქმის არსად არაფერს იხდიდნენ, მათი მცირე კაპიტალი ერთ მშვენიერ ნულზე დავიდოდა.

- აზარტული თამაში, ძვირფასო, - იტყოდა იგი. - კარგია შემოსავლის შესამატებლად და არა თვით ძირითად შემოსავლად. ერთ დღეს ხალხს შეიძლება მობეზრდეს თამაში და მერე რაღა უნდა ვქნათ?

როუდონი სცნობდა მისი მსჯელობის სამართლიანობას. თვითონაც ამჩნევდა, რომ მცირე ვახშმებზე ორიოდე ღამეს დასწრების შემდგომ, ხალხს ბეზრდებოდა თამაში და, მიუხედავად რებეკას მომხიბლაობისა, აღარ იჩენდნენ კვლავ სტუმრობის სურვილს.

მათი პარიზში ცხოვრება იოლად და ტკბილად მიედინებოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მხოლოდ დროის უქმად ხარჯვა და საამო ქარაფშუტობა იყო. ამიტომ რებეკა მიხვდა, რომ სჯობდა როუდონის ბედ-იღბალი თავიანთ საკუთარ სამშობლოში წაეწია წინ - შინ ან კოლონიებში უნდა ვუშოვო თანამდებობაო, და გადაწყვიტა, როგორც კი გაიწმინდებოდა გზა მათი ოჯახისთვის, მაშინვე გადაბარგებულიყო ინლისში. უპირველის ყოვლისა გვარდიის ოფიცრის პატენტი გააყიდვინა კროულის და პენსიაზე გადაიყვანა. გენერალტაფტოს ადიუტანტობისაგან მალევე იყო განთავისუფლებული. რებეკა ყველა წვეულებაში მახსარად იგდებდა იმ ოფიცერს - მის ქოჩორს (რომელიც პარიზს ჩამოსვლის შემდგომ დაიყენენა), მის წელსაკრავს, მის ხელოვნურ კბილებს, ყველაზე უფრო მის პრეტენზიებს ქალთა გულის მკვლელისას და ტუტუცურ ამაო რწმენას, რომელ ქალსაც კი გავეკარები, ყველას თავდავიწყებით შევუყვარდებიო. ახლა გენერალმა ქალბატონ ბრენტს, კომისარ ბატონ ბრენტის წარბებაბანჯგვლულ მეუღლეს მიაპყრო ყურადღება. იმას უგზავნიდა თაიგულებს, უმართავდა რესტორნებში სადილებს, მისთვის ქირაობდა ოპერაში ლოჟას და მიართმევდა ზიზილ-პიპილოებს. საბრალო ქალბატონი ტაფტო კვლავ ძველებურად უბედური გახლდათ და ისევ თავის ქალიშვილებთან ერთად უნდა ეტარებინა გრძელი საღამოები, იცოდა კი, რომ მისი გენერალი, ნელსურნელება შეფრქვეული და თმადახუჭუჭებული, ქალბატონ ბრენტის სკამს უკან იდგა წარმოების დროს. რასაკვირველია, ბეკის ათიოდე სხვა თაყვანისცემელი ჰყავდა მისნაცვლად და შეეძლო თავისი გონებამახვილობით ლუკმა-ლუკმად ექცია მოქიშპე. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, რებეკას მოსწყინდა მაღალი საზოგადოების ეს უქმი ცხოვრება; ოპერის ლოჟები და რესტორნებში სადილობაც მოყირჭდა. თაიგულებს სურსათად ვერ შემოინახავდა მომავალი წლებისთვის. თვითონაც თავს ვერ გაიტანდა წვრილმანი ზიზილ-პიპილა სამკაულებით, მაქმანიანი ცხვირსახოცებით და ლაიკის ხელთათმანებით. იგი გრნობდა სიამოვნებათა წარმავლობას

და უფრო არსებითი სარგებლიანობისათვის იღწვოდა.

ამასობაში ისეთი ამბავი მოვიდა პარიზში და გავრცელდა პოლკოვნიკის უამრავ მოვალეთა შორის, რომელმაც დიდად აამა მათ. მის კროული, მდიდარი მამიდა, რომლისაგანაც დიდძალი სამკვიდრო უნდა რგებოდა, სასიკვდილო სარეცელზე იწვა. პოლკოვნიკი სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო თავს დასადგომად. ქალბატონი კროული და ბავშვი ჯერჯერობით აქ რჩებოდნენ, სანამ არ ჩამობრუნდებოდა მათ წასაყვანად. როუდონი კალეს ჩავიდა და, რაკი ამ ადგილს მშვიდობით მიაღწია, კაცი იფიქრებდა, დუვრს წავაო; მაგრამ ამის ნაცვლად დიუკერის დილიჟანსში ჩაჯდა და ბრიუსელში ამოჰყო თავი, ვინაიდან გულში ამ ადგილის სიყვარული ჩარჩენოდა. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ პარიზზე მეტი ვალები ლონდონში ჰქონდა ჩვენს გმირს და უფრო ხმაურიან სხვა დედაქალაქებს ბელგიის წყნარ პატარა სატახტო ქალაქს ამჯობინებდა.

მამიდა გარდაიცვალა. ქალბატონმა კროულიმ მძიმე ძაძები შეუკვეთა თავისთვის და პატარა როუდონისთვის. პოლკოვნიკი მემკვიდრეობის მოწესრიგების საქმით იყო გართული. ახლა შეეძლოთ სასტუმროს პირველი სართული აეღოთ ბინად, ნაცვლად პაწია ანტრესოლისა, აქამდე რომ ეჭირათ. ქალბატონმა კროულიმ და სასტუმროს პატრონმა მოითათბირეს კიდეც ახალი ფარდების თაობაზე და მეგობრული კამათიც ჰქონდათ ხალიჩებისა და სხვა ყველაფრის საბოლოოდ მოწესრიგებისათვის, გარდა ნახარჯის გასტუმრების საკითხისა. რებეკა სასტუმროს პატრონის ერთ-ერთი ეტლითაც გაემგზავრა, თან ფრანგი მოახლე იახლა და ბავშვიც გვერდით მოისვა, ხოლო სასტუმროს პატრონმა და მისმა მეუღლემ ღიმილით გააცილეს ჭიშკარს. გენერალმა ტაფტომ ცოფები ჰყარა, მისი გამგზავრების ამბავი რომ შეიტყო; ქალბატონმა ბრენტმა კიდეც იმიტომ ჰყარა ცოფები, გენერალი რატომ გაცოფდაო; ლეიტენანტ სპუნის სწორედ გული ჩასწყდა: სასტუმროს პატრონმა კი თავისი საუკეთესო აპარტამენტები გაამზადა მომხიბლავი პატარა დედაკაცისა და მისი მეუღლის დაბრუნებისათვის. იგი დიდის სასოებით უვლიდა რებეკასაგან დატოვებულ სკივრებს - ისინი საგანგებოდ ჩააბარა ქალბატონმა კროულიმ. თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ რომ გახსნეს, მაინცდამაინც დიდი ვერაფერი ძვირფასეულობა აღმოჩნდა შიგ.

მაგრამ, ვიდრე მეუღლეს შეუერთდებოდა ბელგიის დედაქალაქში, ქალბატონმა კროულიმ თავისი პატარა ვაჟიშვილი ფრანგი მოახლის ხელში დატოვა კონტინენტზე და თვითონ ინგლისი მოიარა.

რებეკასა და პატარა როუდონს შორის გამოსალმებისას არც ერთ მხარეს ძალიან არ დასწყვეტია გული. მართალი მოგახსენოთ, ქალბატონს დაბადების შემდეგ არც თუ ხშირად უნახავს ნორჩი ვაჟბატონი.

ფრანგი დედების საამო ჩვეულების მიხედვით, პარიზის ახლო სოფელში გაგზავნა ძიძასტან. იქ გაატარა პატარა როუდონმა თავისი სიცოცხლის პირველი თვეები და არცთუ უბედურად გრძნობდა თავს ხის ქოშებიანი ძიძიშვილების რიცხვმრავალ ოჯახშ. მამა ხშირად მიაკითხავდა და როუდონ-უფროსის მშობლიური გული უზომოდ ხარობდა ლოყებღაჟღაჟა მოთხუპნულ, აჭყლოპინებულ ბალღს რომ ხედავდა, რომელიც თავისი გადიის, მებაღის ცოლის, ზედამხედველობის ქვეშ ბედნიერად აცხობდა ტალახის ღვეზელებს.

რებეკა მაინცდამაინც გულს არ იჩქროლებდა ძისა და მემკვიდრის მონახულებისათვის - ერთხელ მან ახალი მტრედისფერი ლაბადა გაუფუჭა. ბალრს ძიძის ალერსი ერჩია დედიკოსას და როცა საბოლოოდ გამოეთხოვა იმ საუცხოო გამზრდელს და თითქმის მშობელს, მთელი საათობით ტიროდა ხმამაღლა. მხოლოდ იმით გააჩუმა დედამ, რომ შეპირდა, ხვალვე დაგაბრუნებ შენს გადიასთანაო. თვითონ გადიასაც, რომელსაც აგრეთვე გული ეტკინებოდა განშორებისას, უთხრა, სულ მალე ისევ მოგიყვანთ ბალღსაო, და ერთხანს იგი მოუთმენლად ელოდა კიდეც მის დაბრუნებას.

თუ ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, ჩვენი მეგობრები, შეიძლება ითქვას, უტიფარი ინგლისელი თავგადასავლის მოყვარულების იმ ჯურის პირველი მერცხლები გახლდნენ, რომელნიც შემდგომში წარღვნასავით მოედვნენ კონტინენტს და ევროპის ყველა დედაქალაქში თაღლითობა გააჩაღეს. 1817 - 18 წლების ბედნიერ დღეებში ბრიტანელთა სიმდიდრესა და ღირსებას რიად დიდ პატივსა სცემდნენ. მაშინ, როგორც მე მითხრეს, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ისეთი წუწურაქობა, რომლითაც ახლა გამოირჩევიან. ევროპის დიდრონ ქალაქებს ჩვენი ყალთაბანდებისათვის ჯერ კიდევ არ გაეღოთ კარები საასპარეზოდ. ახლა საფრანგეთსა თუ იტალიაში იშვიათად

იპოვნით ქალაქს, სადაც არ შეგხვდებათ ჩვენი ძვირფასი კეთილშობილი თანამემამულე. იგი დაბრძანდება უზრუნველად, ისეთი ბღენძვითა და უტიფარი იერით, რომელიც ყველგან ჩვენ შეგვაქვს. თვალებს უხვევენ და აბრიყვებენ სასტუმროთა პატრონებს, ყალბ ჩეკებს შეატყუებენ მალემრწმენ ბანკირებს; სტაცებენ ეტლების მკეთებელთ - ეტლებს, ოქრომჭედელთ - სამკაულებს, ყეყეჩ მოგზაურებს - ფულს ბანქოს თამაშში... წიგნებსაც კი პარავენ საჯარო ბიბლიოთეკებს. ოცდაათი წლის წინად კი საკმაო გახლდათ ყოფილიყავით საკუთარი ეტლით მოარული „ Milor Anglais” და სადაც გნებავდათ, იქ გაგიხსნიდნენ კრედიტს და ჯენტლმენებიც სხვების მოტყუების ნაცვლად თვითონ რჩებოდნენ მოტყუებულნი. იმ სასტუმროს პატრონმა, რომელშიაც კროულები იდგნენ პარიზს ყოფნისას, მათი წასვლიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოაჩინა თავისი დანაკლისი; და მანამდე ვერაფერი გაიგო, სანამ მადამ კროულისთვის მირთმეული საქონლის მცირე ანგარიშებითურთ არა ერთხელ ეწვია მკერავი ქალი მადამ მარაბუ; სანამ პალე-როიალის „Boule d’Or”-ის ბატონმა დიდლომ ერთი ექვსჯერ მაინც არ იკითხა: cette charmante miladi[6], რომელმაც ჩემგან საათები და სამაჯური იყიდა, ხომ არ დაბრუნებულაო? ნამდვილი გახლდათ ისიც, რომ პირველი ექვსი თვის შემდეგ თვით საწყალი მებაღის ცოლისთვისაც არაფერი გადაუხდიათ კეთილი გულით მიძვნილი იმ რძისთვის, რომელსაც ჭყლოპინა, ბუთხუზა პატარა როუდონი სწოვდა. არა, თვით ძიძისათვის არ გადაუხდიათ - კროულები იმდენად ჩქარობდნენ, რომ რას მოაგონდებოდათ მაგისთანა წვრილი ვალი! რაც შეეხება სასტუმრს პატრონს, კუბოს ფიცრამდე უშვერის ლანძღვა-გინებით იხსენიებდა ინგლისის მთელ ერს.

იგი ყველა მგზავრს ეკითხებოდა, პოლკოვნიკი ლორდ კროულის avec sa femme-une petite dame, très spirituelle[7] ხომ არ იცნობთო?

- Ah, Monsieur! - დასძენდა მერე, - ils m’ont affreusement volé [8].

შსესაბრალისი იყო ამ უბედურების თაობაზე მისი ლაპარაკის მოსმენა.

რებეკას ლონდონს მოგზაურების მიზანი გახლდათ, ქმრის მოვალეებთან როგორმე შეთანხმებისათვის მიეღწია და

გირვანქა სტერლინგში ცხრა პენის ანდა შილინგის შეთავაზებით თავისი მეუღლისათვის სამშობლოში დაბრუნებს უფლება მოეპოვებინა. არ შეგვშვენს ფეხდაფეხ მივდიოთ იმ ღონისზიებათა განხორციელების საქმეში, რომელიც მან აღასრულა ამ ფრიად სამძიმო მოლაპარაკებაში. მაგრამ სრულიად დაარწმუნა რა ისინი, რომ ქმარს მხოლოდ და მხოლოდ იმთანხის მეტი არაპეი ებადა, რაც ახლა მას ჰქონდა ხელთ, და დააჯერა, რომ პოლკოვნიკი კროული სამუდამოდ კონტინენტზე დარჩენას ამჯობინებდა სამშობლოში დაბრუნებას, თუ ვალების საქმე მოგვარებული არ იქნებოდა; აგრეთვე შეაგნებინა რა, რომ კროულის ყოველი სხვა სახსრის იმედი მოსპობილი ჰქონდა სამომავლოდ და ვერავითარი მიწიერი ძალა ვერ მოაპოვებინებდა მათ იმაზე მეტ სარგებელს, რასაც ახლა სთავაზობდნენ, მან პოლკოვნიკის მოვალენი ერთსულოვნად დაითანხმა, მიეღოთ მისი წინადადება და ათას ხუთას გირვანქა ნაღდ ფულად ათჯერ მეტი თანხის ვალები გააბათილა.

ქალბატონ კროულის ვექილი არ გამოუყენებია. საქმე ისე მკაფიო გახლდათ (ან უნდა მიეღოთ წინადადება, ან თავი დაენებებინათ, როგორც სამართლიანად ბრძანა), რომ თვით მოვალეთა ვექილებსვე გაარიგებინა ყველაფერი და ბატონმა ლიუსმა, რედ-ლაიონსკვერელი ბატონი დევიდზის წარმომადგენელმა, და ბატონმა მოსმა, კერსიტორ-სტრიტელი ბატონი მანასეს რწმუნებულმ (ესენი იყვნენ პოლკოვნიკის მთავარი მოვალენი), პოლკოვნიკის მეუღლეს მიულოცეს საქმის ასე ბრწყინვალედ გაჩარხვა და განაცხადეს, ვერც ერთი პროფესიონალი მოსაქმე თქვენ ვერას დაგაკლებთო.

რებეკამ მილოცვამი კდემამოსილად შეიშვნია. მტრის ვექილების გასამასპინძლებლად ერთი ბოთლი ხერესი და ნამცხვარი მიატანინა პაწია, ბინძურ ბინაში, სადაც ჩამოხდა მოლაპარაკების წარმოების განმავლობაში; განშორებისას ფრიად გულმხიარულად ჩამოართვა მათ ხელი და პირდაპირ კონტინენტს მიაშურა, რათა ქმარ-შვილს შეერთებოდა და მეუღლისათვის მისი სრული განთავისუფლების საამო ამბავი ეხარებინა. რაც შეეხება როუდონ-უმცროსს, იგი დედის იქ არყოფნაში თითქმის უპატრონოდ ჰყავდა მიგდებული ფრანგ მოახლე მადმუაზელ ჟენევიევს. რადგან ამ ყმაწვილმა მანდილოსანმა კალეს გარნიზონის ერთ ჯარისკაცთან გაბა რომანი, ამ სამხედრო პირის საზოგადოებამ მოვალეობა

დაავიწყებინა და პატარა როუდონი იმხანად ძლივს გადარჩა კალეს ქვიშიან სანაპიროზე დახრჩობას, სადაც ჟენევიემა მიატოვა და დაკარგა იგი.

ამრიგად, პოლკოვნიკი კროული და მისი მეუღლე ლონდონს ჩამობრძანდნენ და სწორდ იქ, თავიანთ სახლში კერზონ-სტრიტზე, მეი-ფეირში გახლდათ, რომ გამოიჩინეს მართლაც ის უბანი და სიმარჯვე რომელიც უნდა მოიპოვებოდეს ზემოხსენებული სახსრებით ცხოვრების მოსურნეს.

თავი XXXVII - იმავე საგანზე მსჯელობის გაგრძელება

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია და მოვალენიც ვართ მოგახსენოთ, რანაირად შეიძლება კაცმა ყოველგვარი წლიური შემოსავლის გარეშე სახლი იქირაოს. ეს სახლები შეიძლება ან უავეჯოდ იშოვნოთ და, თუ ბატონების ჯილოუს და ბენტინგის ფირმაში გენდობიან, დიდებულად მოაწყოთ და მოკაზმოდ თქვენი გუნებისად; ანდა ავეჯიანადვე უნდა იქირაოთ - ეს უფრო ნაკლებ სადავიდარაბო და ნაკლებ რთული საქმეა უმრავლესობის თვალში. კროულიმ და მისმა მეუღლემაც სწორედ ასეთი სახლის ქირაობა აირჩიეს.

ვიდრე ბატონი ბოულზი მის კროულის სახლისა და მარნის გამგებელი გახდებოდა პარკ-ლეინში, ხსენებულ ბანოვანს იმ თანამდებობაზე ვინმე ბატონი რეგლზი ჰყავდა, რომელიც დედოფლის კროულის საგვარეულო მამულში გალდათ დაბადებული და ერთი იქაური მებაღის უმცროსი ვაჟი იყო. წესიერი ყოფაქცევით, სანდომიანი გარეგნობით, ლამაზი წვივებითა და დარბაისური, ზვიადი თავისჟერით რეგლმზა დანების მწმენდელის თანამდებობიდან ეტლის მხლებელი ფარეშის საფეხურზე გადაინაცვლა; ხოლო იქიდან მებუფეტის საკუჟნაოში ამოჰყო თავი. როცა რამდენიმე წელი იმუშავა მის კროულის სახლთუხუცესად, სადაც ჩინებული ჯამაგირი, უხვი დამატებითი საშოვარი და ფულის დაგროვების მრავალი შესაძლებლობა მოიპოვებოდა, განაცხადა, მის კროულის ყოფილ მზარეულ ქალზე დაქორწინება მინდაო. ეს მანდილოსანი იმჟამად პატიოსნად ირჩენდა თავს

საჯანდარავისა და იქვე ახლოს უბანში გამართული ბოსტნეულისა და მწვანილის პატარა დუქნის შემოსავლით. სიმართლე რომ ვაღიაროთ, ჯვრისწერის ცერემონია ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად იქნა აღსრულებული საიდუმლოდ, თუმცა ბატონი რეგლზის ქორწინების ამბავი მის კროულის პირველად შვიდი და რვა წლის პატარ ბიჭმა და გოგომ შეატყობია, რომელთა ხშირად ტრიალმა სამზარეულოში მის ბრიგზის ყურადღება მიიქცია.

ბატონი რეგლზი მაშინ გადადგა სამსახურიდან და პირადად ითავა პატარა დუქნისა და მწვანილეულობის საქმის ხელმძღვანელობა. დუქნის სავაჭრო საქონელს რძე-ნაღები, კვერცხები, სოფლად ნასუქი ლორის ხორცი მიუმატა და სოფლის მეურნეობის ამ უბრალო სურსათით დაკმაყოფილდა, მაშინ როცა სხვა გადამდგარი სახლთუხუცესები ღვინო-არყით ვაჭრობდნენ სამიკიტნოებში რაკი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ უბნის სხვა სახლთუხუცესებთან და მყუდრო პატარა სასტუმრო ოთახიც მოეპოვებოდათ, სადაც ბატონი რეგლზი და მისი მეუღლე უმასპინძლდებოდნენ, რძე, ნაღები და კვერცხი ბევრმა თანამოძმემ გაუსაღათ და მათი შემოსავალი წლითიწლობით მატულობდა. წლიდან წლამდე მშვიდად და წყნარად აგროვებდნენ ფულს და როცა ბოლოს მეი-ფეირში, კერზონსტრიტის ნომერ 201-ში მდიდრულად და რიგიანად გაწყობილი მყუდრო, სრულყოფილი სამარტოხელო სახლი, საზღვარგარეთ წაბრძანებული ღირსპატივცემული ფრედრიკ დიუსის ყოფილი საიმადრო, საჯარო ვაჭრობით გაიყიდა, ვინ იყიდიდა ამ სახლის იჯარასა და გაწყობილობას, თუ არა ჩარლზ რეგლზი? მართალია, თანხის ნაწილი ისესხა, და საკმაოდ დიდი სარგებლითაც, თანამოძმე სახლთუხუცესისაგან, მაგრამ უმთავრესი წილი კი თვითონვე გაისტუმრა და არა მცირედი სიამაყით განისვენა ქალბატონმა რეგლზმა აბრეშუმის ფარდებიან წითელი ხის მოხარატებულ საწოლში, რომლის წინ ვეებერთელა სარკე და ტანსაცმლის იმსიოდე კარადა იდგა, რომ მას, რეგლზსა და მთელ ოჯახს ჩინებულად დაიტევდა.

რასაკვირველია, განზრახული არ ჰქონდათ, ასე დიდებულ ბინაში მუდმივად ცხოვრება. რეგლზმა იმიტომ შეიძინა, რომ ისევ გაექირავებინა. როგორც კი გამოჩნდა შესაფერისი მდგმური, ოჯახი კვლავ გადაბარგა მემწვანილის დუქანში, მაგრამ დიდი ბედნიერება იყო რეგლზისთვის, ჩაესეირნა კერზონ-სტრიტში და თვალი შეევლო თავისი სახლისთვის,

თავისი საკუთარი სახლისთვის, რომლის ფანჯარაშიაც ნემსიჭვერას ყვავილი მოჩანდა და კარზე ბრინჯაოს კვერი ეკიდა. ბატონის მოაჯირთან ატუზული ფარეში პატივისცემით ეპყრობოდა; მზარეული ჩამოართმევდა თავის სახლში მიტანილ ბოსტნეულს და ბატონ სახლის პატრონს უწოდებდა და არაფერი იყო ისეთი, რასაც მდგმურები ჩაიდენდნენ ანდა რაც მათ მიერთმეოდათ სადილად, რამ თუკი მოეპრიანებოდა, რეგლზს არ სცოდნოდა.

იგი კეთილი ადამიან გახლდათ - კეთილი და ბედნიერი. სახლიდან ისე კარგი წლიური შემოსავალი ჰქონდა, რომ გადაწყვიტა შვილები კარგ სკოლებში მიებარებინა. ამიტონ ხარჯს არ მოერიდა და ჩარლზი შუგარკეინ - ლოჯს გაგზავნა დოქტორ სუიშტეილთან, ხოლო პატარა მატილდა კი - კლეფემს, ლორენტაინუმ - ჰაუზში, მის პეკოვერთან.

რეგლზი შესტრფოდა და ეთაყვანებოდა კროულების ოჯახს, ვითარცა მთელი მისი კეთილდღეობის წყაროს. დუქნის უკანა ოთახშ ჩამოკიდებული ჰქონდა თავისი ქალბატონის სილუეტი და ჩინური მელნით თვით იმ შინაბერას ხელით დახატული დედოფლის კროულის მეკარის ჯიხურის სურათი. თან ერთადერთი, ტაც შემატა მან კერზონ-სტრიტის სახლის მორთულობას, გახლდათ ჰემპშირში მდებარე დედაფლის კროულის, ბარონეტ სერ უოლპოლ კროულის სამყოფელის გრავიკურა. მასზე გამოხატული იყო ექვს თეთრ ცხენშევმულ მოოქროულ ეტლში მჯდომარე სერ უოლპოლი. ეტლი გედებითა და ნავებით დაფარული ტბის გასწვრივ მიდიოდა, ხოლო ნავებში კრინოლინებიანი ბანოვანები პარიკებიანი მემუსიკენი ისხდნენ. რეგლზი ჭეშმარიტად ფიქრობდა, მთელი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ასეთი სასახლე და ასეთი უავგუსტოესი ოჯახიო.

ბედად რეგლზის სახლი კერზონ-სტრიტში ქირავდებოდა, როცა როუდონი და მისი მეუღლე ლონდონს დაბრუნდნენ. პოლკოვნიკმა იცოდა ის ახლი და მის პატრონსაც ჩინებულად იცნობდა. ამ უკანასკნელს კროულის ოჯახთან კავშირი არ გაუწყვეტია - რეგლზი ეხმარებოდა ხოლმე ბატონ ბოულზს, როცა მის კროული მეგობრებს უმასპინძლდებოდა. და ბერიკაცმა არა მარტო მიაქირავა სახლი პოლკოვნიკს, არამედ წვეულებების დროს თვითონ ფარეშთუხუცესად ემსახურებოდა სუფრაზე, ქალბატონ რეგლზი კი

სამზარეულოში ტრიალებდა და ზემოთ ისეთ სადილებს გზავნიდა, თვით მოხუცი მის კროულიც არ დაიწუნებდა. ასე იშოვა უფულოდ სახლი კროულიმ. რეგლზს უნდა გადაეხადა სახლის გადასახადებიც, გირავნობის სარგებელიც თანამოძმე სახლთუხუცესისათვის, დაზღვევის ფულიც; სკოლაში შვილების შესანახი ფულიც, საფასური თავისი ოჯახისა და ერთხანს აგრეთვე პოლკოვნიკ კროულის ოჯახისაგან მირთმეული სასმელ-საჭმელისათვის და ამ გარიგების წყალობით საცოდავი ბერიკაცი სრულიად დაიღუპა - შვილები ქუჩაში გამოუყარეს და თვითონაც ფლიტის საპყრობილეში ამოაყოფინეს თავი. მაგრამ ხომ ვინმემ უნდა ზღოს წლიური შემოსავლის არ მქონე დარბაისლის ხარჯები! და სწორედ ეს ბედშავი რეგლზი გახდა ქესატი პოლკოვნიკი კროულის ხარჯების გამსტუმრებელი.

ნეტავი რამდენი ოჯახი გახდა არამზადობის მსხვერპლი და დაიღუპა კროულისთანა დიდი თაღლითების წყალობით? რამდენი დიდებული ძარცვავს თავის წვრილ ხელოსნებს, კადრულობს თავიანთი საწყალი მხლებლების გაღლეტას და ოიოდე საცოდავი შილინგისათვის თაღლითობს? როცა ამოვიკითხავთ, რომ ვინმე კეთილშობილი დიდკაცი კონტინგენტზე გადაბარგა, ანდა მეორე კეთილშობილ დიდკაცს ქონება აუწერეს და ერთს და მეორეს ექვსი თუ შვიდი მილიონი ვალი ედება - ეს მარცხი მაინც ბრწყინვალე სახით წარმოგვიდგება და პატივისცემით ვიმსჭვალებით ასეთი ვეება კატასტროფის მსხვერპლის წინაშე. მაგრამ აბა ვინ შეიბრალებს საცოდავ დალაქს, რომელსაც ფარეშების თავების შეპუდვრაში დახარჯული მცირეოდები ფულიც ვეღარ ამოუგია; ან საცოდავ დურგალს, რომელიც გაკოტრდა მილედის წვეულებებისათვის მოსართავეისა და ფანჩატურების კეთებაში; ანდა ბედკრულ თერძს, რომელსაც სახლთუხუცესი მფარველობს და რომელსაცმთელი თავისი ქონება და კიდევმეტიც არ დაიშურა იმ ლივრეების გამზადებისათვის, მილორდმა რომ პატივი დასდო და თვითონვე შეუკვეთა? როცა დიდებული სახლი ემხობა, ეს საბრალონი შეუმჩნევლად ისრისებიან ქვეშ. როგორც ძველ თქმულებებში იტყვიან: სანამ კაცი თვითონ მიუდგებოდეს ეშმაკს, მანამ მრავალ სხვა სულს გაისტუმრებს მისკენო.

როუდონი და მისი მეუღლე სულგრძელად უწევდნენ მფარველობას მის კროულის ყველა ვაჭარსა და მედუქნეს,

რომლებიც კი მოინებებდნენ მათ სამსახურს. ზოგნი, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრები, საკმაოდ მოიწადინებდნენ კიდეც ხოლმე. საოცარი იყო, ყოველ შაბათს რა შეუდრეკელობით მოაგორებდა მოსარეცხე დედაკაცი ტუტინგიდან ურიკას და თან კვირიდან კვირამდე ანგარიშებსაც მოაყოლებდა. მემწვანილეებს თვით ბატონი რეგლზი უნდა გასწორებოდა. მსახურთათვის მორთმეულ ილუდისთვის სამიკინტრო „ომის ბედისწერის“ ანგარიში ლუდხანების ისტორიაში ყველაზე უცნაური მოვლენა გახლავთ.ყველა ფარეშის ჯამაგირის უდიდესი ნაწილიც ასევე ვალად ედოთ და ამიტომ ძალაუნებუად ვერ შორდებოდნენ ამ ოჯახს. სინამდვილეში არავის არაფერს არ უხდიდნენ - არც ზეინკალს, რომელიც ბოქლომს ხსნიდა; არც მეშუშეს, მინას რომ სვამდა; არც ეტლებისმეპატრონეს, რომელიც ეტლებს მიაქირავებდათ; არც მეეტლეს, რომელსაც ეტლი დაჰყავდა; არც ყასაბს, რომელიც ცხვრის ბეჭს მიართმევდათ; არც ნახშირის ნახშირის ფასს იხდიდნენ, რომელზედაც იგი შეიწვებოდა; არც მზარეულს ისტუმრებდნენ, რომელიც სწვავდა მას; არც მსახურებს, რომელნიც შეექცეოდნენ მას. მე მგონია, არა იშვიათად ეს გახლავთ ის გზა, რომლითაც ხალხი ფუფუნებით ცხოვრებასახერხებს სრულიად უშემოსავლოდ.

პატარა ქალაქში ამნაირი მოქმედება შეუმჩნევლად არ ჩაივლის. ჩინებულად ვიცით რამდენ რძეს იღებს მეზობელი და არ გამოგვეპარებარა ბეჭი ან ფრინველი მერთმევა სადილად. შესაძლოა, კერზონ-სტრიტის 200 და 202 ნომერი სახლების მობინადრეებმა იცოდნენ, რა ხდებოდა მათ შორის მდებარე სახლში, რადგან მსახურები ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს ღობის აქეთ-იქიდან. მაგრამ კროულიმ, მისმა მეუღლემ და მეგობრებმა კი არა იცოდნენ რა ნომერი 200 და 202 სახლებისა. თუ მიბრძანდებოდით ნომერ 201 სახლში, იქ გულთბილად მიგიღებდნენ, ალერსიანად გაგიღიმებდნენ, ჩინებულ სადილს მოგართმევდნენ; მასპინძლები ისე მაგრად ჩამოგართმევდნენ ხელს, თითქოს წელიწადში სამ-ოთხ ათასზე ნაკლები შემოსავალი არ ჰქონოდეთ და ჰქონდათ კიდეც, ოღონდ ფულად კი არა - საქონლისა და შრომის სახით. არ იხდიდნენ ხორცის ფასს, ქონებით კი მაინც ჰქონდათ და თუ ღვინოში ოქროს ზოდებს არ აძლევდნენ, ჩვენ საიდან უნდა გვცოდნოდა? პატიოსანი როუდონის კლარეტზე უკეთესს ვერც ერთი კაცის სუფრაზე ვერ ნახავდით; ვერც უფრომხიარულსა

და ლაზათიან სადილებს იგიმებდით. მისი სასტუმრო ოთახები ყველაზე კოხტა, პატარა, თავმდაბლური სალონები გახლდათ; ისინი დიდი გემოვნებით იყო მორთული რებეკასაგან პარიზიდან ჩამოტანილი ათასნაირი ზიზილ-პიპილოებით და როცა იგი ფორტეიანოს უჯდა და გულმხიარულად არაკრაკებდა სიმღერებს, სტუმარი აღიარებდა, სწორედ ოჯახური კეთილდღეობის პატარა სამოთხეშ ვიმყოფებიო, და სცნობდა, რომ თუ ქმარი ცოტა მოყეყეჩო ჩანდა, ცოლი მომხიბლავი იყო; მათი სადილებისთანა სასიამოვნონი ხომ ქვეყნიერების ზურგზე არ მოიპოვებოდა.

ჭკუამ, გამჭრიახობამ და სითამამემ რებეკას მალე გაუთქვა სახელი ლონდონის საზოგადოების გარკვეულ წრეში. მის კართან ხშირად ჩერდებოდნენ სადა შესახედაობის ეტლები, საიდანაც ძალიან წარჩინებული დიდებულები გადმობრძანდებოდნენ ხოლმე. მის ეტლს სახელგანთქმული დარდიმანდები ეხვეოდნენ პარკში. ოპერის მესამე იარუსის პაწია ლოჟაში მუდამ მოჩანდა მრავალი თავი, რომელნიც წანდაუწუმ იცვლებოდნენ. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მანდილოსნები კი გაურბოდნენ და მათი კარებიც დახურული იყო ჩვენი პატარა თავზეხელაღებული ავანტიურისტი ქალბატონისთვის.

წარჩინებულ ბანოვანთა სამყაროსა და მათ ზნე-ჩვეულებათა შესახებ ამ სტრიქონების ავტორს, რასაკვირველია, მხოლოდ სხვათა სიტყვით თუ ძალუძს ლაპარაკი. კახს ისევე არ შეუძლია ჩასწვდეს და შეიგნოს მათი უცნაური საიდუმლოებანი, როგორც არ შეუძლია იცოდეს, რას მუსაიფობენ მანდილოსნები, როცა ნასადილევს ზემოთ აბრძანდებიან. მხოლოდ ბეჯითი ძიებითა და შეუპოვრობით თუ მოახერხებს ადამიანი ხანდახან ყურმოკვრით გაიგოს ის საიდუმლონი. ვინ პელ-მელის ქვაფენილზე დასეირნობს ანდა დედაქალაქის კლუბებში დაიარება, ყველაფერი მხოლოდ ასეთი გულმოდგინების წყალობით იცის. მათ საკუთარი ყურით, ან სხვა ნაცნობის მეშვეობით, რომელთანაც ბილიარდს თამაშობს ანდა პურმარილობს, შეუტყვიათ ზოგიერთი რამ ლონდონის წარჩინებული საზოგადოებისა. მათ უკვე იციან, რომ თუ არსებობენისეთ ვაჟკაცები (როგორიც მაგალითად, როუდონ კროულია, ვის მდგომარეობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ), რომელთაც ფრიად სახელგანთქმულ დარდიმანდებს შორის როცა ხედავენ, დიდ ვინმე ბობოლად ეჩვენებიან უბირ ხალხსა

და პარკის ახალბედებს, სევე გახლავან მანდილოსნებიც, რომელთაც შეიძლება მამაკაცების დიაცები ვუწოდოთ, ვინაიდან მათ უკლებლად ყველა ვაჟკაცი სიამოვნებით ელაციცება, ხოლო ყველა პირს არიდებს და აბუჩად იგდებს. სწორედ ამ ჯურის დიაცია ქალბატონი ფაირბრეისი - იმპერიის ყველაზე გამოჩენილი და სახელგანთქმული დარდიმანდების თანხლებიტ ყოველდღე ჰაიდ-პარკში მოსეირნე მშვენიერი ქერა კულულებიანი ბანოვანი. ასეთივეა ქალბატონი როკვუდი, რომლის წვეულებანიც ბეჯითად აღიწერება მოდურ გაზეთებში დავისთანაც ყოველი რანგის ელჩები და წარჩინებული დიდკაცები სადილობენ. ბევრი სხვაც შეგვძლო დაგვესახელებინა, რომ წინამდებარე მოთხრობასთან რაიმე საქმე ჰქონდეთ. მაგრამ წარჩინებული საზოგადოებისაგან შორს მდგარი უბრალო ხალხი ანდა აღზევების მონატრული სოფლელები როცა საზოგადო გართობის ადგილებში უჭვრეტენ თითქოს დიდებულ მდგომარეობაში მყოფ ბანოვნებს, ანდა შორიდან სკვდებიან გულზე შურით, საქმის ვითარების უკეთ მცოდნე პიროვნებებს შეუძლიათ აცნობონ მათ, რომ ამ საშურველ მანდილოსნებს ისევე არ ძალუძთ „წარჩინებულ საზოგადოებაში“ დამკვიდრება, როგორც სომერსეტშირელი უბირი სკვაირის მეუღლეს, რომელიც მათ ამბავს კითხულობს „მორნინგ პოსტში“. ლონდონის ახლოს მცხოვრებლებმა კარგად იციან ეს საშინელი სმართლე. გაიგებდით, ბევრ თითქოსდა წარჩინებულ და მდიდარ მანდილოსანს რა ულმობლად აძევებენ ამ „საზოგადოებიდან“. ამ წრეში მოხვედრისათვის ჩადენილი მათი გიჟური ცდა, დამდაბლება და განცდილი შეურაცხყოფა განაცვიფრებს მათ, ვისაც მიზნად დაუსახავს ადამიანთა ამ დიაცთა მიდგომის ბუნების შესწავლა. წარჩინებული საზოგადოებისაკენ დიდის ვაივაგლახით სწრაფვა ჩინებული თემა იქნება ყოველი პიროვნებისათის, რომელსაც ამნაირი მოთხრობის შეთხზვის საჭირო ნიჭი, მოცალეობა და ინგლისური ენის ცოდნა მოეპოვება.

მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა, რომელთაც საზღვარგარეთ ნაცნობობა ჰქონდათ ქალბატონ კროულისთან, როცა იგი კუნძულზე გადმობრძანდა, არ მოისურვეს არა მარტო სტუმრად მისვლა, არამედ საზოგადო ადგილებშ შეხვედრის დროსაც კი სასტიკად არიდებდნენ მას პირს. უცნაური იყო, დიდებულმა ბანოვნებმა როგორ სრულად დაივიწყეს იგი:

უეჭველია, ვერც ვერაფერი საამო შესაცნობი გახლდათ ეს ფაქტი რებეკასთვის. როდესაც ლედი ბეირაკრზი შეხვდა მას ოპერის ფოიეში, ქალბატონმა ბეირაკრზმა გარს შემოიკრიბა თავისი ქალიშვილები; თითქოს ბეკისთან გაკარებამ არ შებღალოს ისინიო, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია, წინ აეფარა მათ და დააშტერდა თავის პატარა მტერს. თვალების დაშტერებით ბეკის შეცბუნებისათვის გაცილებით უფრო სასტიკი გამოხედვა გახლდათ საჭირო, ვიდრე ეს უნდილ, გაჯგიმულ დედაბერ ბეირეკრზს შეეძლო თავისი ბნესიანი თვალებით. ლედი დე ლა მოლი, რომელსაც ბრიუსელში ბევრჯერ უსეირნია ეტლით ბეკის გვერდიგვერდ, ქალბატონ კროულის თავღია ეტლს რომ შეეყარა ჰაიდ-პარკში, მის ბრწყინვალებას სრულიად გამოეცალა თვალის ჩინი და თავისი ძველი მეგობარი სულაც ვეღარ იცნო. თვით ბანკირის ცოლმა, ქალბატონმა ბლენკინსოპმაც კი აარიდა თვალი ტაძარში. ახლა ბეკი ბეჯითად დადიოდა ეკლესიში. სწორედ ჭკუის სასწავლებელ მაგალითად გამოდგებოდა, მოოქრვილი დიდრონი ლოცვანებით ხელდამშვენებული როუდონის თანხლებით შემავალი და შემდეგ იქ უღრმესი სასოებით მჯდარი რებეკა რომ გეხილათ.

როუდონი ერთ ხანს მწვავედ განიცდიდა ცოლის აბუჩად აგდებას - გული მოსდიოდა, ბრაზობდა და შმაგობდა. იმუქრებოდა, ვინც ჯეროვანი პატივით არ ეპყრობა ჩემს მეუღლეს, ყველა იმ თავხედი დიაცების ქმრებსა და ძმებს დუელში გამოვიწვევო. ცოლმა მხოლოდ სასტიკი ბრძანებითა და დიდი ხვეწნა-მუდარით გადაათქმევინა ეს განძრახვა და დააშოშმინა.

საზოგადოებაში დამბაჩის სროლით ვერ შემიყვან, - გულკეთილად დამოძღვრა მან ქმარი. - მოიგონე, გენაცვალე, რომ მე მხოლოდ აღმზრდელი ქალი ვიყავი, შენ კი, საცოდავო, სულელო კაცუნა, საძაგელი სახელი გქონდა გავარდნილი ვალების, ყომარბაზობისა და რაგინდარა ბოროტებათა წყალობით. ნელ-ნელა, რადენსაც გნებავს, იმდენ მეგობარს ვიშოვნით, მანამდე კი კარგი ბიჭიკო უნდა იყო და შენს მოძღვარს ყველაფერი დაუჯერო, რასაც გეტყვის. რომ შევიტყვეთ, მამიდაშენმა თითქოს მთელი ქონება პიტსა და მის ცოლს დაუტოვაო, გახსოვს, როგორ გაცოფდი? მთელ პარიზს მოსდებდიმაგ ამბავს, მე რომ შენთვის თავი არ დამეჭირა, და მერე სად იქნებოდი ახლა? კოტრ მოვალეთა სენ-პელაჟის

საპყრობილეში და ვერ დაბინავდებოდი ლონდონში, ფუფუნებით გაწყობილ ჩინებულ სახლში. შენ ისე გაცოფებული იყავი, ძმასაც მოკლავდი, შე ბოროტო კაინო, და აბა რა ხეირი დაგეყრებოდა ანჩხლობით? სიბრაზით მთელი ქვეყანა რომ ჩამოაქციო, მამიდაშენის ფულებს ვეღარაფერი დაგვიბრუნებს. გაცილებით სჯობია, მეგობრულად ვიყოთ შენი ძმის ოჯახთან და არა ისე მტრულად, როგორც ის ტუტუცი ბიუტის ოჯახია. მამაშენი რომ გარდაიცვლება, დედოფლის კროულის სასახლეში სიამოვნებით შეგვეძლება ზამთარი გავატაროთ მე და შენ. თუ სულ გავკოტრდით, შენ შეგიძლია ხორცეული აქნა სუფრაზე და საჯინიბოს მიხედო, მე კი ლედი ჯეინის ბავშვების აღმზრდელობას ვიკისრებ. თუ გავკოტრდითო! რას ვროშასვ! მანამდე ჩინებულ ადგილს გამოგინახავ ანდა პიტი და მისი პატარა ბიჭი სულს გააფრთხობენ და ჩვენ ვიქნებით სერ როუდონი და მილედი. სანამ ადამიანი ცოცხალია, იმედიც არის, ჩემო ძვირფასო. და მე ჯერ კიდევ იმედი არ დამიკარგავს, კაცად გაგხადო! ვინ გაგიყიდა ცხენები? ვინ გაგისტუმრა ვალები?

როუდონი იძულებული იყო აღიარებინა, რომ ყოველივე ამას თავის ცოლს უნდა უმადლოდეს, და აღუთქვა კიდეც, მომავალშიაც შენს სიტყვას არ გადავალო.

მართლაც, ოდეს მის კროული წუთისოფელს გამოესალმა და ის ფული, მთელ ნათესაობას რომ ასეთი წეწვა-გლეჯა ჰქონდა, ბოლოს პიტს დარჩა, ხოლო მიუტ კროულის კი ნავარაუდევი ოცი ათასის ნაცვლად მხოლოდ ხუთი ათასი გირვანქა ერგო, ბიუტო ამ იმედის გაცრუებით ისე გაშმაგდა, რომ ძმისწულის უშერი ლანძღვა-გინებით მოიოხა გული და მათ შორის არსებული გამუდმებული ჩხუბი და აყალმაყალი ურთიერთობის სრული გაწყვეტით დასრულდა. მეორეს მხრივ კი როუდონ კროულიმ მხოლოდ ასი გირვანქა რომ მიიღო, მისმა ქცევამ, პირიქით, სახტად დასტოვა ძმა და გაახარა რძალი, რომელიც თავისი ქმრის ყველა ნათესავს კეთილი თვალით უცქეროდა.როუდონმა ძმას ძალიან გულწრფელი, ვაჟკაცური, კეთილგანწყობილი ბარათი მოსწერა პარიზიდან. იწერებოდა, ვიცი, ჩემი თავნება ქორწინებით მამიდას ამაგი წყალში ჩავუყარეო, და თუმცა არ ვმალავ ჩემს იმედგაცრუებას, ასე სასტიკი შეურიგებლობა რომ გამოიჩინა ჩემდამი, მაინც მოხარული ვარ, ფული კვლავ ოჯახის ჩვენს შტოს რომ არ ასცდა და გულით გილოცავ, ბედს რომ ეწიეო. სიყვარულით

მოიკითხავდა აგრეთვე რძალს; იმედოვნებდა, ჩემს მეუღლეს კეთილგანწყობილებას არ მოაკლებო. წერილი ბოლოვდებოდა ზემოხსენებული მანდილოსნის საკუთარი ხელით მინაწერით პიტისადმი. მეუღლესთან ერთად ისიც ულოცავდა; დასძენდა, არ დამავიწყდება თქვენი ჩემდამი მაშინდელი გულკეთილობა, როცა მიუსაფარი ობოლი და თქვენი პატარა დების მწვრთნელი ვიყავი, რომელთა კეთილდღეობა ახლაც ძალიან მწადიანო. იგი უსურვებდა ყოველნაირ ბედნიერებას ოჯახურ ცხოვრებაში და სთხოვდა, ნება მიბოძეთ, ლედი ჯეინი მოვიკითხოო (რომლის გულკეთილობის ამბავს მთელი ქვეყანა აღიარებსო). მერე იმევდონებდა, ოდესმე ეგებ საშუალება მომეცეს,ჩემი პატარა ბიჭი წარმოვუდგინო თავის ბიძა-ბიცოლასაო და ევედრებოდა, თქვენც სიყვარულსა და მფარველობას ნუ მოუშლით ჩემს შვილსაო.

პიტ კროულიმ დიდის გულმოწყალებით მიიღო ეს წერილი - გაცილებით უფრო დიდი გულმოწყალებით, ვიდრე ეს მის კროულიმ ჩაიდინა როუდონ კროულის ხელით დაწერილი რებეკას ზოგი სხვა წინანდელი თხზულების მიმართ. რაც შეეხება ლედი ჯეინს, იგი ისე მოხიბლა წერილმა, რომ მოელოდა, ჩემი მეუღლე ახლავე ორ ნაწილად გაყოფს მამიდის მემკვიდრეობას და ნახევარს თავის ძმას მიართმევს პარიზშიო.

მისი ბრწყინვალების განსაცვიფრებლად, პიტმა სულაც არ ინება ძმისთვის ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგის ჩეკის გაგზავნა. ოღონდ სულგრძელად შესთავაზა თავისი დამხმარე ხელი როუდონს, როცა იგი ინგლისში დაბრუნდებოდა და როცა კი მას რამეში დასჭირდებოდა. ამასთანავე მადლობას უხდიდა ქალბატონ კროულის მისი და ლედი ჯეინის კეთილად მოხსენებისათვის და თავაზიანად გამოთქვამდა სურვილს, თუ შემთხვევა მიეცემოდა, სამსახური გაეწია მისი პატარა ვაჟიშვილისათვის.

ამრიგად თითქმის სრულიად შერიგდნენ ძმები. რებეკა რომ ჩამოვიდა, პიტი და მისი მეუღლე არ იყვნენ ლონდონში. ბევრჯერ აუარ-ჩაუარა ძველ კარს პარკ-ლეინში, მის კროულის სახლს უკვე დაეპატრონენ თუ არაო. მაგრამ ახალი აჯახი არ გამოჩენილა. მხოლოდ რეგლზისგან შეიტყო მათი საქმიანობის ამბავი: როგორ უბოძეს რიგიანი გასამრჯელოები და დაითხოვეს მის კროულის შინამოსამსახურენი; ბატონი პიტი[9] მხოლოდ ერთხელ როგორ გამოჩნდა ლონდონში და

რამდენიმე დღეს გაჩერდა მის სახლში; ვექილებთან ჰქონდა მოლაპარაკება და ბონდსტრიტელ მეწიგნეს როგორ მიჰყიდა მის კროულის მთელი ფრანგული რომანები. ბეკის საკუთარი მიზეზები მოეპოვებოდა, რომელთათვისას ეწადა თავისი ახალი ნათესავის ჩამოსვლა. „ლედი ჯეინი რომ ჩამოვა, - ფიქრობდა იგი, - ის შემოძღვება ლონდონის საზოგადოებაში, ქალები კი, ფიე, რა სახსენებელია! ქალები თვითონვე შემომეხვეწებიან, როცა ნახავენ რომ კაცებს მე ვუნდივარო“.

ასეთ მდგომარეობაში ყოველი მანდილოსნისათვის კომპანიონი, ამხანაგი ქალი, ისევე აუცილებელია, როგორც ეტლი ანდა თაიგული. ყოველთვის თაყვანს ვცემდი ნაზ ქმნილებათა იმ ბუნებას, რომლითაც მათ არ ძალუძთ თანაგრძნობის გარეშე არსებობა და ქირაობენ საკუთარი სქესის უაღრესად სადა, უბრალო, თითქმის განუყრელ მეგობარს. ძვირფასი მეგობრის უკან ოპერის ლოჟაში ანდა ეტლის უკანა სკამზე მჯდარი, გახუნებულ სამოსიანი, განუშორებელი დიაცის ხილვა მუდამ მარგებელი და ჭკუის სასწავლებელი გახლდათ ჩემთვის, ვითარცა ისეთი საამო მოსაგონარი, როგორიც იყო ეგვიპტელ დარდი-მანდთა ნადიმებზე წამოდგმული მკვდრის თავის ქალა - უცნაური, დამცინავი და გესლიანი ძეგლი ამაოების ბაზრისა. რაო? - თვით გაცვეთილი, ლირფი, ტურფა, უნამუსო, გულქვა ქალბატონი ფაირ-ბრეისი, რომლის მამაც მისმა შერხვენამ დაასამარა; თვით სანდომიანი, თავზეხელაღებული ქალბატონი მენტრეპი, რომელსაც ინგლისში ვერა კაცი ვერ აჯობებს ცხენდაცხენ ღობეებზე ხტომაში და რომელიც ლურჯა ცხენებს თვითონვე დააგელვებს პარკში, მაშინ როცა დედამისს კვლავ უჭირავს მეწვრილმანის ფარდული ბათში - დიახ, ისინიც კი, ვინც ისე გულადები არიან, გეგონებათ, არაფერს არ შეეპუებიანო, ვერ ბედავენ გამოვიდნენ საზოგადოებაში მდედრობითი სქესის მეგობრის გარეშე. ნაზ, მგრძნობიარე არსებებს უნდა ვიღაცა მოეპოვებოდეთ, ვისაც მოებღაუჭებიან! და საზოგადო ადგილას იშვიათადაც ნახავთ მათ შეღებილაბრეშუმებიანი უბადრუკი ქალის გარეშე, რომელიც სადმე იქვე ახლოს ჩრდილშია მიმჯდარი.

- როუდონ, - განაცხადა ბეკიმ ერთ გვიან ღამეს, როცა ჯენტლმენები სასტუმრო ოთახში აგიზგიზებულ ბუხარს უსხდნენ (რადგან ვაჯკაცები საღამოს დროსტარების დასაბოლოებლად მასთან მობრძანდებოდნენ სტუმრად და

მასაც მთელ ლონდონ-ქალაქში ყველაზე უფრო საუკეთესო და ყავა მოეპოვებოდა მათთვის), - მე მეცხვარის ნაგაზი მჭირდება!

- რაო? - ჩაეკითხა როუდონი, რომელიც ბანქოს სათამაშო მაგიდას უჯდა.

- მეცხვარის ნაგაზი? - იკითხა ახალგაზრდა ლორდმა საუთდაუნმა. - ჩემო ძვირფასო ქალბატონო კროული, ეგ ახირებაა! დანური დოგი არ გირჩევნიათ? ღმერთმანი, ერთი ვიცი, სწორედ ჟირაფისოდენაა. თქვენ ეტლსაც კი მოერევა. ან სპარსული მწევარი მაინც. ჰა? (ჩემი რიგია, გეთაყვა) ან კიდევ პატარა დრუნჩა გოშია, ლორდ სტაინის საბურნუთე კოლოფშიაც რომ ჩაეტევა? ერთ კაცს ბეიზუოტერში ისეთი უშოვნია,რომ მის ცხვირზე... (ვიწერ ხელმწიფეს და ჩამოვდივარ...) მის ცხვირზე ქუდი ჩამოიკიდება!

- ვიწერ ერთ აღებას, - თქვა როუდონმა დინჯად. იგი ჩვეულებისამებრ გულისყურით ეკიდებოდა თამაშს და ძალიანაც არ ერეოდა მუსაიფში, თუ საუბარი ცხენებსა და სანაძლეოებზე არ ჩამოვარდებოდა.

- მერე რად გინდათ მეცხვარის ნაგაზი? - განაგრძო ხალისიანმა პატარა საუთდაუნმა.

- მე ზნეობრივ მეცხვარის ნაგაზს ვგულისხმობ, - უთხრა ბეკიმ სიცილით და ლორდ სტაინს გადახედა.

- ეგ რაღა ჯანდაბაა? - ბრძანა მისმა ბრწყინვალებამ.

- ქოფაკი, რომელიც მგლებისაგან დამიცავს, - განაგრძო რებეკამ, - კომპანიონი ქალი!

- ძვირფასო პაწია უმანკო კრავო, მართლაც გჭირდებათ! - კვერი დაუკრა მარკიზმა, დააღო ყბა და საზიზღრად დაიწყო კბილების კრეჭა, თან წვრილი თვალებით წუწკად ელაციცებოდა რებეკას.

დიდებული ლორდი სტაინი ცეცხლა პირას იდგა და ყავას ხვრეპდა. ცეცხლი საამოდ ტკაცუნობდა და გიზგიზებდა. ბუხრის თავი მრავალი სანთლით იყო გაჩირაღდნებული. ყოველი ჯურის უცნაური შანდალი ჩანდა - მოოქრული, ბრინჯაოსი და ფაიფურისა. ისინი მომხიბლავად აშუქებდნენ ნაირფერი ყვავილებიანი ქსოვილით დაფარულ ტახტზე მიწოლილ რებეკას სხეულს. ვარდისფერი კაბა ეცვა და მართლა

ვარდივით ღუოდა. თეთრი, ქათქათა მკლავები და ბეჭები თვალისმომჭრელად მოუჩხანდა გამჭვირვალე, ჰაეროვან შარფში; თმა კულულებად ეყარა ყელ-ყურზე; პაწია ცალი ფეხის წვერი აბრეშუმის მოშარიშურე ნაოჭებში გამოეყო - უტურფესი პაწია ფეხი, უტურფეს პაწია სანდალსა და უნატიფეს აბრეშუმის წინდაში გამოწკეპილი.

სანთლების შუქი ეფრქვეოდა ლორდ სტაინის მოლაპლაპე მელოტ თავს, რომელსაც წითელი თმა ქობასავით ევლო გარს. სქელი, ბანჯგვლიანი წარბები და ათასი ნაოჭით გარშემოვლებული წვრილი, მოხამხამე, ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა. ქვედა ყბა წინ გამოსჩროდა და, როცა იცინოდა, ორი ღოჯი მოუჩანდა და შიშისმომგვრელად კიაფობდა დაკრეჭილ კბილებს შორის . მას სამეფო სახლის წევრებთან ესადილნა და ორდენის ლეკვერთხი და ბაბთები ეკეთა. მისი ბრწყინვალება ტანმორჩილი კაცი გახლდათ, მკერდგანიერი და ფეხებმოღვრეცილი, მაგრამ თავი მოჰქონდა კოჭტერფის სინატიფით და მუდამ ლეკვერთხიან მუხლზე ისვამდა ალერსით ხელს.

- მაშ მეცხვარე საკმარისი არ ყოფილა, რომ დაიცვას თავისი კრავი! - ბრძანა მან.

- მეცხვარე ძალიან არის გადაყოლილი ბანქოს თამაშსა და კლუბში სიარულს, - სიცილით მიუგო რებეკამ.

- ღმერთო ჩემო, ეგ რა გარყვნილი კორიდონი[10] ყოფილა! - შესძახა მილორდმა, - მერე რა სასალამურე პირი აქვს!

- ვიღებ თქვენს სამს ორად, - ჩაილაპარაკა როუდონმა ბანქოს მაგიდასთან.

- ერთი ყური უგდეთ მელიბეუსს! - წაიბუზღუნა კეთილშობილმა მარკიზმა. - რა მწყემსურ საქმიანობაშია გართული - საუთდაუნსა პარსავს. რა უმანკო ცხვარია, ჰა? დალახვროს ღმერთმა, რა ქათქათა საწმისი აქვს!

რებეკას თვალებმა ამზერით დაკვესეს: - მილორდ, თქვენ თვითონაც ხომ მაგ ორდენის რაინდი ბრძანდებით?[11]

მარკიზს ყელზე მართლაც ჰქონდა ამ ორდენის ძეწკვი - ტახტზე აღდგენილი ესპანეთის სამეფო ოჯახის ძღვენი.

ლორდ სტაინს ახალგაზრდობაში სახელი ჰქონდა გავარდნილი

გაბედული და მომგებიანი თამაშით. ბატონ ფოქსთან აზარტულ თამაშში ორი დღე და ღამეც კი გაეტარებინა. სახელმწიფოს უავგუსტოესი გვამების უმეტესობისათვისმოეგო ფული. ამბობენ, მარკიზობაც სათამაშო მაგიდაზე გაიკრაო, მაგრამ იმ წარსული ახალგაზრდული ცოდვების მოგონება არ ეჭაშნიკებოდა. რებეკამ შენიშნა კიდეც - მილორდი მოიღუშა.

ქალი წამოდგა ტახტიდან, ეახლა და მცირე რევერანსით ყავის ფინჯანი ჩამოართვა.

- დიახ, - გაიმეორა მან, - სადარაჯო ნაგაზი უნდა ვიშოვო, მაგრამ ის თქვენ არ დაგიყეფებთ!

მერე მეორე სასტუმრო ოთახში გავიდა, მიუჯდა ფორტეპიანოს და პატარა ფრანგულის სიმღერები შემოსძახა ისეთი მომხიბლავი, რაკრაკა ხმით, რომ გულმომბალი დიდებული მალე მიჰყვა მის კვალს იქითა ოთახში და ჩანდა, როგორ უკანტურებდა თავს ტაქტის შესაბამისად.

ამასობაში როუდონი და მისი მეგობარი ეკარტეს თამაშს განაგრძობდნენ, სანამ გული არ იჯერეს. პოლკოვნიკმა მოიგო. მაგრამ, მართალია, იგი ამდენს ასე იგებდა ამნაირ საღამოებზე, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე იმართებოდა, ცოტა არ იყოს მაინც მობეზრდა ყოფილ დრაგუნს, რადგან ყველა მის მეუღლეს ელაციცებოდა და დაჰფოფინებდა თავს, თვითონ კი მარტო იჯდა მდუმარედ და ოხუნჯობათა, ქარაგმათა და იგავურ თქმათა ერთი სიტყვაც არ ესმოდა.

- როგორ ბრძანდება ქალბატონ კროულის მეუღლე? - ამნაირად ესალმებოდა ლორდი სტაინი,როცა შეხვდებოდა, და მართლა ესღა გახლდათ მისი მოწოდება ცხოვრებაში ამჟამად. იგი აღარ იყო პოლკოვნიკი კროული - ის იყო მხოლოდ ქალბატონ კროულის მეუღლე.

პატარა როუდონი აქამდე იმიტომ არ გვიხსენებია, რომ ზემოთ, სადღაც სხვენში გახლდათ მიჩქმალული, ანდა საზოგადოების ძიებაში ქვემოთ სამზარეულოში თუ ჩაბობღდებოდა ხოლმე. დედა თითქმის სულაც არ აქცევდა ყურადღებას. ბავშვი მთელ დღეებს ფრანგ გადიასთან ატარებდა, სანამ ეს შინამოსამსახურე ბატონი კტოულის ოჯახში იყო. რაც ფრანგი ქალი წავიდა, პატარა ბიჭი მარტოდმარტო ბღაოდა ღამეში. მაგრამ მოახლე გოგოს შეებრალა, განმარტოებული საბავშვო

ოთახიდან იქვე სხვენში, თავის საწოლში გადაიყვანა და ანუგეშა.

რებეკა, ლორდი სტაინი და სხვანი სასტუმრო ოთახში ჩაის შეექცეოდნენ ოპერის შემდეგ, როცა ეს მოთქმა-გოდება ისმოდა ზემოთ.

- ჩემი ქერუბიმი მისტირის თავის გადიას, - თქვა ბეკიმ და არც დაძრულა, რომ წასულიყო და ბავშვისთვის დაეხედა.

- გულს ნუ გაიფუჭებთ მისი ნახვით, - უთხრა ლორდმა სტაინმა ირონიით.

- იჰ! - მიუგო ოდნავ შეფაკლებულმა ქალმა, - იტირებს და ჩაეძინება. - და საუბარი ოპერაზე ჩამოაგდეს.

როუდონი მაინ გაიპარა თავისი ძისა და მემკვიდრის დასახედად და უკან მაშინ დაბრუნდა, როცა ნახა, რომ გულკეთილი დოლი აშოშმინებდა ბალღს. პოლკოვნიკის ჩასაცმელი ოთახიც ზემო მიდამოებში გახლდათ და ჩუმად ხვდებოდა ხოლმე იქ ბიჭს. ისინი ყოველ დილით მუსაიფობდნენ პირის პარსვის დროს - როუდონ-უმცროსი სკივრზე ჩამოსკუბდებოდა მამის გვერდით და უდიდესი სიამოვნებით შესცქეროდა მის საქმიანობას. მამა-შვილი დიდი მეგობრები იყვნენ. მამას დესერტს გადარჩენილი ტკბილეული ამოჰქონდა დაეპოლეტების ერთ ძველ კოლოფში მალავდა. ბავშვი ეძედა და, რომ იპოვნიდა ამ განძს, გახარებული კისკისებდა; კისკისებდა, მაგრამ ხმამაღლა კი არა - რადგან ქვემოთ დედიკოს ეძინა და არ უნდა შეეწუხებინა. რებეკა გვიანობამდე არ წვებოდა და იშვიათად დგებოდა ნაშუადღევამდე.

როუდონს უამრავი სურათებიანი წიგნები მოჰქონდა ბიჭუნასათვის და სათამაშოებით ავსებდა მის ოთახს. კედლები დაფარული იყო ნაღდი ფულით ნაყიდი და მამის საკუთარი ხელით გაკრული სურათებით. როცა ეცალა და ქალბატონ კროულის არ ახლდა პარკში, საათობით იჯდა აქ შვილთან. ბავშვი დააჯდებოდა ხოლმე გულზე, ექაჩებოდა ვეება ულვაშებში, თითქოს ცხენის სადავეებიაო, და დღეებს მოუწყენლად ატარებდნენ ბალღურ თამაშობებში. ოთახს დაბალი ჭერი ჰქონდა და ერთხელ, როცა ბავშვს ხუთი წელიც არ შესრულებოდა, მამამ, რომელიც გაშმაგებით აბურთავებდა და მაღლა ისროდა ბავშვს, ისე მაგრად მიარტყმევინა თავი

ჭერში საცოდავს და თანაც იმდენად შეაშინა ამ უბედურებამ, რომ კინაღამ ხელიდან გაუვარდა შვილი.

როუდონ - უმცროსს სახე დაეპრანჭა და ისე სასტიკად ეტკინა კეფა, ის-ის იყო, უსაშველო ბღრიალს უნდა შედგომოდა; თან ჭეშმარიტად ემართლებოდა კიდეც თავი, მაგრამ სწორედ პირი რომ დააბჩინა სატირლად, მამამ შეაჩერა: - ღვთის გულისთვის, როუდი, დედიკო არ გააღვიძო! - შესძახა მან.

ძალიან გამწარებულმა ბალღმა საცოდავად შეხედა მამას, იკბინა ტუჩზე, მამუჭა მჯიღები და კრინტიც აღარ დასცდენია. როუდონმა ყველგან მოსდო ეს ამბავი - კლუბებში, ოფიცერთა სუფრაზე, მთელ ქალაქში.

- ღმერთმანი, ბატონო ჩემო, - გაიძახოდა ხალხში, - ეს რა ჩინებული ვაჟკაცი ბიჭი მეზრდება - რა ყოჩაღია! კინაღამ ჭერი ავანგრევინე თავით, ღმერთმანი, და დედა არ გავაღვიძოო, არც იტირა!

ხანხადან, კვირაში ერთ-ორჯერ, ეგ მანდილოსანი მოინახულებდა ხოლმე სახლის ზემოთა ნაწილს, სადაც ბავშვი ცხოვრობდა. იგი შემოვიდოდა როგორც „Magasin des Modes”[12] - ის განხორციელებული სურათი - უნატიეფს ახალ კაბასა და პაწია ხელთათმან-ფეხსაცმელში გამოწყობილი და ალერსიანად მომღიმარი. გასაოცარი შარფები, მაქმანი და პატიოსანი თვლები ელვარებდა მის ტანზე. ქუდიც ახალი ეხურა და ზედაც მუდამ ყვავილები ანდა სირაქლემას მომაჯადოებელი, ხუჭუჭა, ნაზი კამელიასავით ქათქათა ფრთები ეკეთა. იგი ორ-სამჯერ მოწყალედ დაუკუნტურებდა თავს პატარა ბიჭს, რომელიც ამ დროს ჭამასა ან ჯარისკაცების სურათების ხატვაში იყო გართული და თან შემოჰყურებდა. რებეკა რომ გავიდოდა, ვარდის ან სხვა ჯადოსნური სურნელება დადგებოდა ოთახში. იგი ზებუნებრივ არსებას წარმოადგენდა ბავშვის თვალში; მამასა და ყველას აღემატებოდა მთელი ქვეყნიერების ზურგზე და მხოლოდ შორიდან უნდა ეცათ მისთვის თაყვანი და ერმერთებინათ. იმ ბანოვანთან ერთად ეტლით გასეირნება დიდი ზარზეიმი იყო მისთვის. იგი იჯდა უკან, კრინტის დაძვრას ვერა ბედავდა და თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდა პირდაპირ მჯდომარე ნატიფად მორთულ პრინცესას. დარბაისელნი მოაგელვებდნენ ხოლმე ეტლთან საყცხოო ბედაურებს და ღიმილით ემუსაიფებოდნენ მანდილოსანს. ყველას როგორ უჟუჟუნებდა თვალებს! რა მოხდენით

უქნევდა ხელს გვერდით ჩავლისას. როცა დედასთან ერთად მიდიოდა სასეირნოდ, ახალ ალისფერ სამოსს აცმევდნენ. ძველი ყავისფერი ტილოს ტანსაცმელი საშინაოდ თუ ვარგოდა. ხანდახან, როცა რებეკა შინ არ იყო და დოლი, მოახლე, პატარა როუდონს ლოგინს უშლიდა, ბავშვი დედის ოთახში ჩაიპარებოდა. იგი ფერიის სადგომად ეჩვენებოდა მას - ფუფუნებისა და სიამოვნებათა ჯადოსნურ დარბაზად. ტანსაცმლის კარადაში ის საუცხოო კაბები ეკიდა - ვარდისფერი, ცისფერი და ნაირფერები. იქ იყო ვერცხლით მოჭედილი სათვალპატიოსნე კოლოფი, სატუალეტო მაგიდაზე კი უცნაური ბრინჯაოს ხელი, უამრავი ბეჭდებით გასხივოსნებული. იქვე გახლდათ ვეება სარკე, ხელოვნების სასწაული, რომელშიაც მოჩანდა მისი გაკვირვებული სახე და დოლის ანარეკლი, უცნაურად დამახინჯებული და თიტქოს ჭერში გამოსახულუ, ლოგინის ბალიშებს რომ აფუებდა, ბერტყავდა და ასწორებდა. ო, შე საცოდავო, უბადრუკო ბიჭუნავ! დედის სახელი ღვთის სახელის სწორია პატარა ბავშვების ენასა და გულში, ეს საბრალო კი ქვას ეთაყვანებოდა!

ჰოდა, რა არამზადაც არ უნდა ყოფილიყო როუდონ კროული, ზოგიერთი ვაჟკაცური გრძნობა მაინც შერჩენოდა გულში და კიდევ შეეძლო ბავშვისა და ქალის სიყვარული. როუდონ-უმცროსი დიდი ფარული სინაზით უყვარდა, რაც არ გამოჰპარვია რებაკას, თუმცა ქმართან არ ჩამოუგდია ამაზე ლაპარაკი. არცა სწყენია - ის ხომ ძალიან გულკეთილი ვინმე იყო! მხოლოდ უფრო კი აითვალწუნა მეუღლე. როუდონს თითქოს სცხვენოდა თავისი მამაშვილური გულჩვილობისა, უმალავდა ამას ცოლს და მხოლოდ მაშინ მისცემდა ამ გრძნობას თავს, როცა მარტო რჩებოდა ბავშვთან. დილაობით გაასეირნებდა ხოლმე საჯინიბოებისაკენ და პარკში. პატარა ლორდმა საუთდანმა, უგულკეთილესმა ადამიანთა შორის, რომელიც საკუთარ ქუდსაც კი მოიხდიდა და გააჩუქებდა და რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი წვრილმანი ზიზილ-პიპილოების ყიდვა გახლდათ, რათა შემდეგ გაებოძებინა ისინი, პატარა ბიჭს პონი უყიდა - როგორც თვითონ მჩუქებელი იტყოდა - მოზრდილი ვირთაგვისოდენა. ნორჩი როუდონის ზორბა მშობელს უყვარდა ამ პატარა, შავ შეტლენდურ ჯუჯა ცხენზე ბიჭის შესმა და მის გვერდიგვერდ პარკში ჩავლა. ეამებოდა თავისი ძველი ყაზარმისა და თანამოძმე გვარდიელების ნახვა ნაითსბრიჯში - უცოლშვილობის ხანა

თითქოს რაღაც სინანულით აგონდებოდა უკვე. ძველი თანამოლაშქრენიც სიხარულით ხვდებოდნენ თავიანთ ყოფილ ოფიცერს და პატარა პოლკოვნიკს უალერსებდნენ. პოლკოვნიკი კროული დიდი სიამოვნებით სადილობდა მოძმე ოფიცერთა სუფრაზე.

- დალახვროს ღმერთმა, ვიცი, ჭკუით ჩემ ცოლთან ვერ მოვალ. არც თუ მომისაკლისებს, - იტყოდა ხოლმე იგი და მართლაც იყო - ცოლი სულაც არ ისაკლისებდა მას.

რებეკას უყვარდა ქმარი. ყოველთვის გულისყურიანად და გულკეთილად ეპყრობოდა. არაფრად რომ არ აგდებდა, ამასაც ძალიან არ ამჟღავნებდა - ეგებ უფროც მოსწონდა სიტუტუცისათვის. იგი მისი უპირველესი მსახური და მეტრდოტელი იყო. დადიოდა მის საქმეებზე, უსიტყვოდ ემორჩილებოდა მის განკარგულებებს, მასთან ერთად უდრტვინველად სეირნობდა წრეში ეტლით, მიაცილებდა ოპერაში; წარმოდგენის განმავლობაში კლუბში შეიქცევდა თავს და თავის დროზე ბეჯითად ეახლებოდა წასაყვანად. როუდონ-უფროსს ეამებოდა, ცოლს რომ ცოტა უფრო ჰყვარებოდა შვილი, მაგრამ ამასაც შეურიგდა ყოფილი დრაგუნი.

- ჯანდაბას! ხომ იცი, ჭკვიანი ქალია, - იტყოდა იგი, - მე კი არც ნასწავლი ვარ და არც არაფერი!

როგორც უკვე მაგახსენეთ, დიდი სიბრძნე არ ესაჭირებოდა ბანქოსა და ბილიარდის თამაშში მოგებას და სხვა ჯურის სიმარჯვის ცოდნას კი როუდენი არც ჩემულობდა.

როცა კომპანიონი ქალი იშვეს, როუდონის საოჯახო მოვალეობა დიდად შემსუბუქდა ცოლი აგულიანებდა კიდეც, სხვაგან ისადილეო, და ოპერაში წაყოლისაგან გაათავისუფლა.

- ნუ დარჩები ამაღამ შინ და ნუ გამოითაყვანებ თავს, გენაცვალე, - ეტყოდა ქალი, - რამდენიმე კაცი უნდა მოვიდეს; ისინი მხოლოდ თავს მოგაბეზრებენ და მეტი არაფერი. მე არც მოვიწვევდი მათ, მაგრამ, ხომ იცი, შენივე გულისთვის ჩავდოვარ ამას. ახლა კიდევ ნაგაზიცა მყავს და მარტო დარჩენისა აღარ მეშინია.

„მეცხვარის ნაგაზი - კომპანიონი ქალი! ბეკი შარპი და კომპანიონი! განა სასაცილო არ არის?“ - ფიქრობდა ქალბატონი

კროული თავისთვის. ეს აზრი ძალიან სასაცილოდ უღიტინებდა გულში.

ერთ კვირა დილას როუდონ კროული, მისი პატარა ვაჟიშვილი და პონი ჩვეულებისამებრ რომ მისეირნობდნენ პარკში, პოლკოვნიკის ძველ ნაცნობ კაპრალ კლინკს ჩაუარეს; იგი მეგობარს, მოხუც დარბაისელს ემუსაიფებოდა, რომელსაც ხელთ დაახლოებით პატარა როუდენის კბილა ბიჭი ეჭირა. ეს ბალღი კაპრალის ვატერლოოს მედალს ჩაბღაუჭებოდა და დიდი გატაცებით ათვალიერებდა.

- დილა მშვიდობისა, თქვენო ღირსებავ, - დაუბრუნა სალამი კლინკმა პოლკოვნიკს ნაცვლად მისის შეხმაურებისა - „რასა იქმ, კლინკ!“ - ეს ყმაწვილიც პატარა პოლკოვნიკის ხნისა იქნება, ბატონო, - განაგრძო კაპრალმა.

- ამის მამაც ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე გახლდათ,- დასძინა მოხუცმა, რომელსაც ბავშვი ეჭირა. ხომ, ჯორჯი?

- დიახ, -კვერი დაუკრა ჯორჯიმ.

ჯორჯი და პონიზე მჯდარი ბიჭუნა გადაციცებული შესცქეროდნენ ერთმანეთს - ამზერით და თან გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ურთიერთს, როგორც ბავშვებმა იციან.

- ქვეით ლეგიონში, - მფარველური კილოთი ბრძანა კლინკმა.

- ის გახლდათ -ე ლეგიონის კაპიტანი, - თქვა მოხუცმა დარბაისელმა ცოტა უფრო რიხიანად. - კაპიტანი ჯორჯ ოსბორნი, ბატონო ჩემო, ეგებ იცნობდით კიდეც! გმირული სიკვდილით დაიღუპა, ბატონო, კორსიკელი ტირანის წინააღმდეგ ბრძოლაში

პოლკოვნიკი კროული წამოჭარხლდა.

- ძალიან კარგად ვიცნოდბი, ბატონო, მას, და მის ცოლსაც, - მიუგო მან, - მშვენიერ პატარა ცოლს, ბატონო ჩემო... როგორ არის ახლა მისი მეუღლე?

- ეგ ჩემი ქალიშვილი გახლავთ, ბატონო, - უთხრა მოხუცმა. დასვა ძირს ბავშვი, დიდის ყოფით ამოიღო თავისი სადარბაზო ბარათი და პოლკოვნიკს მიართვა. ზედ ეწერა: „ბატონი სედლი, შავი ალმასისა და უნაცრო ნახშირის საზოგადოების ერთადერთი რწმუნებული; მისამართი -სანახშირე სანაპირო,

ტემზ-სტრიტი და ფულემ-როუდ-უესტ, ანა-მარიას კოტეჯები“.

პატარა ჯორჯი მიუახლოვდა და შეტლენდურ პონის დაუწყო სინჯვა.

- ხომ არ გინდა გაგასეირნო? - გამოელაპარაკა უნაგირზე მჯდარი როუდონ-უმცროსი.

- მინდა, - მიუგო ჯორჯიმ.

პოლკოვნიკმა, რომელიც ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მას, აიყვანა ბავშვი და როუდონ-უმცროსს შემოუსვა.

- მოეჭიდე მაგას, ჯორჯი, - უთხრა მან. - მოხვიე ჩემ ბიჭს წელზე ხელი... მაგას როუდონი ჰქვია!

და ორივე ბავშმა გადაიკისკისა.

- მე მგონი, ამ ზაფხულის დღეს, უკეთეს წყვილ ბალღს ვერ ნახავს კაცის თვალი, ბატონო, - თქვა გულკეთილმა კაპრალმა და პოლკოვნიკი, კაპრალი და ქოლგიანი მოხუცი ბატონი სედლი გვერდში აედევნენ ბავშვებს.

თავი XXXVIII - მძიმე გასაჭირში ჩავარდნილი ოჯახი

წარმოვიდგინოთ, რომ პატარა ჯორჯ ოსბორნი ნაითსბრიჯიდან ფულემს მივიდა. ჩვენც მივყვეთ იმ უბანში და გამოვიკითხოთ იქ დარჩენილი ზოგი ჩვენი მეგობრის ამბავი. რასა იქმნ ქალბატონი ემილია ვატერლოოს ქარიშხლის შემდგომ? ცოცხალია და ჯანსაღად არის თუ არა? რა დაემართა მაიორ დობინს, რომლის კებიც სულ ქალბატონ ოსბორნის კართან იდგა? ისმის თუ არა რაიმე ბოგლი-უოლაჰის გადასახადთა ამკრებისა? ამ უკანასკნელის თავგადასავალი მოკლედ ეს გახლავთ: ბრიუსელიდან თავის დაღწევის შემდეგ ჩვენი ღირსეული ჩასუქებული მეგობარი ჯოზეფ სედლი მალვე დაბრუნდა ინდოეთში - შვებულება გაუთავდა, ან ვატერლოოდან გამქცევის ვინმე მოწმის შეხვედრისა თუ ეშინოდა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, იგი დაუბრუნდა თავის თანამდებობას ბენგალში, ძალიან მალე წმიდა ელენეს

კუნძულზე ნაპოლეონის დაბინავების შემდგომ[13], სადაც ჯოზმა იხილა კიდეც გადამდგარი იმპერატორი. გემბანზე მოლაპარაკე ბატონი სედლისთვის რომ ყური გეგდოთ, გეგონებოდათ, ახლა პირველად როდი შეხვდა იგი კორსიკელს და თითქოს ფრანგი სარდლისთვის მონ - სენჟანზე შავი დღე დაეყენებინოს. ათასი ამბავი იცოდა სახელგანთქმული ბრძოლებისა. იცოდა ყოველი რაზმის პოზიცია და რომელმა რამდენი კაცი დაჰკარგა. იგი არ უარყოფდა, რომ მასაც წილი ედო იმ გამარჯვებებში - მეც არმიაში ვიყავი და დეპეშებს ვატარებდი დუკა უელინგტონთანო. თან აღწერდა, დუკა რას შვრებოდა ან რას ამბობდა ვატერლოოს ბრძოლის დღის ყოველ წუთს და მერე მისი ბრწყინვალების გამონათქვამებისა და ნამოქმედარის ისეთი ზუსტი ცოდნით, რომ აშკარა იყო, მთელ დღეს გვერდიდან არ მოშორებოდა გამარჯვებულ მთავარსარდალს; ოღონდ სახელი, ვითარცა არა მეომრისა, ბრძოლის შესახებ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში არ გახლდათ მოხსენიებული. შესაძლოა, მართლაც დააჯერა თავი, არმიაში ვმსახურობდიო. ნამდვილი კი ის გახლავთ, რომ ერთ ხანს განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა კალკუტაში და მთელ დანარჩენ დროს ბენგალში მისი ყოფნის მანძილზე ვატერლოელ სედლის სახელით იცნობდნენ.

იმ ბედკრულ ცხენების საყიდლად გაცენული თმასუქი უსიტყვოდ გაისტუმრებს ჯოზმა და მისმა რქმუნებულებმა. ამ ნასყიდობის შესახებარასოდეს კრინტი არ დაუძრავს და დაბეჯითებით არავინ იცის, რა დაემართა სხენებს, ანდა როგორ დაიხსნა თავი მათგან, ან ბელგიელი მხლებლის იზიდორისაგან, რომლემაც ჯოზის ცხენის მსგავსი ლურჯა ვალანსიენში გაყიდა 1815 წლის შემოდგომაზე.

ჯოზის ლონდონელ რწმუნებულებს ნაბრძანები ჰქონდათ, წელიწადში ასოცი გირვანქა სტერლინგი ეძლიათ მისი მშობლებისათვის ფულემს. ეს იყო მოხუცებულების მთავარი სახსარი, რადგან გაკოტრების შემდეგ ბატონი სედლის მიერ ჩატარებულმა სპეკულაციებმა ვეღარ აღუდგინა გაღატაკებულ ბერიკაცს ძველი კეთილდღეობა. სცადა ევაჭრა ვინით, ნახშირით; ყოფილიყო ლატარიის ბილეთების გამსაღებელი რწმუნებული და სხვა და სხვა. როცა კი ახლა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, მყის დაუგზავნიდა მეგობრებს პროსპექტებს, შეუკვეთავდა კარისთვის ახალ წწარწერიან ბრინჯაოს ფირფიტას და დიდის რიხით ლაპარაკობდა ქონების

კვლავ შეძენის თაობაზე. მაგრამ ბედი და ქონება აღარასოდეს დაჰბრუნებია მისავათებულ, გულგატეხილ ბერიკაცს. სათითაოდ ჩამოეცალნენ მეგობრების - მოეწყინათ მისი ძვირი ნახშირისა და მჟავე ღვინის გასაღება და მთელი ქვეყნიერების ზურგზე მხოლოდ ცოლიღა შემორჩა, რომელსაც სჯეროდა, რომ, როცა დილაობით მოხუცი სიტიში მიდიოდა, იქ კვლავ რაღაც საქმეს აკეთებდა. დაისს ლასლასით ბრუნდებოდა უკან; იქაური სამიკიტნოს პატარა კლუბში ჩადიოდა საღამოს და იქ სახელმწიფოს საფინანსო საქმეებს აწესრიგებდა. გასაოცარია, როგორის ყოფით ლაპარაკობდა მილიონებსა, ლაჟსა[14] და დისკონტებზე[15]; ანდა როტშილდა რას შვრებოდა ან ძმანი ბერინგები. იგი სიტყვით ისეთ ვეება თანხებს ატრიალებდა, რომ კლუბის დარბაისელნი (მეაფთიაქე, დაკრძალვის საქმეთა მეურვე, სადურგლო-სახუროო საქმის მოიჯარე, აქ მალვით მოარული სამრევლოს მოხელე და ჩვენი ძველი ნაცნობი ბატონი კლეპი) დიდის პატივით ეპყრობოდნენ მოხუც ვაჟბატონს.

- ერთ დროს უკეთეს ყოფაში გახლდით, ბატონო ჩემო, - უეჭველად ეტყოდა ყველას, ვინც კი დარბაზში თავს შემოჰყოფდა. - ჩემი ვაჟიშვილი, ბატონო ამჟამად ბენგალის ოლქის რემგანჟის მთავარი მოხელეა და თვეში ოთხი ათას რუპის იღებს. ჩემს ქალიშვილს რომ მოჰპრიანებოდა, პოლკოვნიკის მეუღლე გახდებოდა. მე შემიძლია, ბატონო ჩემო, ჩემი შვილის, პირველი მოხელის სახელზე ხვალ ორი ათასი გირვანქის თამასუქი გავცე და ალექსანდერი გაანაღდებს, ბატონო; მაშინვე გადმოთვლის დახლზე, ბატონო ჩემო! მაგრამ სედლის გვარი ყოველთვის ამაყი გახლდათ, ბატონო.

თქვენ და მეც, ჩემო ძვირფასო მკითხველო, შეიძლება აღმოვჩნდეთ ამ დღეში ოდესმე, რადგან განა ბევრ ჩვენს მეგობარს არ სწევია ეს ბედი? ჩვენც შეიძლება გვიტყუნოს ბედმა, ძალ-ღონემ გვიღალატოს და ჩვენი ადგილი სცენაზე ჩვენზე უკეთესმა და უფრო ახალგაზრდა მსახიობებმა შეიძლება დაიჭირონ - ცხოვრების ჩარხი შეტრიალდება და უსასოოდ გამორიყულნი დავრჩებით. მაშინ, როცა ადამიანები შემოგეყრებიან, გზიდან გადაუხვევენ, ანდა კიდევ უარესი - გამოგიწოდებენ ორიოდე თითს და მფარველური, ვითომ თანაგრძნობი კილოთი გამოგელაპარაკებიან. თან გეცინება, რომ, როგორც კი ზურგს შეაქცევ, ეს მეგობარი მოჰყვება

წუწუნს: „საწყალი, რა დამთხვეულად მოიქცა, რა ხელსაყრელისაქმეები წაუვიდა უკუღმა მაგ კაცს!“ დიახ, ეტლი და სამი ათასის წლიური შემოსავალი მაინც არ გახლავთ ადამიანთათვის უმაღლესი ჯილდო და არც ღვთიური განსჯის საბოლოო ზღვარი. თუ ტუტუცები იმარჯვებენ და არამზადები ბედს ეწევიან და პირიქიტ, - ესე იგი იწვნევენ ბედის სიმუხთლესა და წარმატებას ქვეყანაზე ისევე, როგორც ყველაზე უფრო ნიჭიერი და პატიოსანი ჩვენს შორის, - გეტყვი, ჩემო ძმაო, რომ ამაოების ბაზრის ძღვენი და სიამოვნებანი დიდად არაფრად არის მისაჩნევი და შესაძლოა... მაგრამ ჩვენ უკვე გავცდით ჩვენი მოთხრობის ფარგლებს!

ქალბატონი სედლი რომ ენერგიული ქალი ყოფილიყო, ქმრის გაკოტრების შემდეგ დაძაბავდა ძალ-ღონეს, იქირავებდა დიდრონ სახლს და მდგმურებს აიყვანდა. გაკოტრების სედლი ჩინებული გასაქირავებელი სახლის დიასახლისის ჩინებული მეუღლე იქნებოდა - მუნიოსი[16] პირად ცხოვრებაში, მარტო სახელით ბატონ-პატრონი, სუფრაზე ხორცის დამჭრელი, სახლთუხუცესი, უბადრუკი ტახტის მფლობელის მორჩილი ქმარი. მე მინახავს ჭკვიანი, კარგად გაზრდილი ადამიანები, ოდესმე კარგი იმედების მომცემნი და ენერგიულნი, რომელნიც ახალგაზრდობაში აზნაურებს ამართავდნენ ლხინებს და სანადირო ძაღლები, ცხენები და მონადირეებიც ჰყავდათ, მერე კი მორჩილებით უთლიდნენ ცხვრის ბეჭს ანჩხლ ბებრუცუნებს და ისე მოჰქონდათ თავი, ვითომდა მათი მოსაწყენი, უნდილი სუფრების თამადები ყოფილიყვნენ. მაგრამ ქალბატონ სედლის, მოგახსენებთ, იმდენი გული არა ჰქონდა, ეფუსფუსა „რამდენიმე რჩეული მდგმურისათვის, რომელნიც ინებებდნენ ხალისიან მუსიკალურ ოჯახს შეერთებოდნენ“, როგორც „ტაიმსი იუწყება ხოლმე.

იგი თანახმა გახლდათ, გდებულიყო ნაპირზე, სადაც ბედმა გარიყა და თქვენც ხედავთ, რომ ამ მოხუცი ცოლ-ქმრის საქმე წასული იყო.

არა მგონია, უბედურად გრძნობდნენ თავს - პირიქით, წინანდელ კეთილდღეობაში ყოფნასთან შედარებით, როცა უფრო გაამპარტავნებულნიც ბრძანდებოდნენ თავიანთ სიღატეკაში. ქალბატონი სედლი ყოველთვის დიდი ვინმე გახლდათ მისი დიასახლისის, ქალბატონი კლეპის, თვალში, როცა იგი ჩამობრძანდებოდა სარდაფში ანდა კოხტა

სამზარეულოში და მრავალ საათს ატარებდა მასთან ერთად. ირლანდიელი მოახლის, ბეტი ფლენეგენის, ქუდები და ბაფთები, მისი ლირფობა, მისი სიზანტე, სამზარეულოს სანთლების მისგან უთავბოლო, უზოგავი ხარჯვა, უზომო ჩაი-შაქრის შთანთქმა და სხვანი და სხვანი თითქმის ისევე აბანდებდა საქმეში, შეაქცევდა და ართობდა მოხუც მანდილოსანს, როგორც თავისი ძველი შინამოსამსახურენი, როცა მას სემბოც ყავდა და მეეტლეც, მეჯინიბეც და ეტლის მხლებელი ბიჭიც და მნე დედაკაციც ფარეში გოგოების მთელი გუნდითურთ - თავისი ძველი ჯალაბობა, რომელსაც კეთილი ქალი დღეში ასჯერ მაინც ახსენებდა. თანაც, გარდა ბეტი ფლენეგენისა, ქალბატონი სედლი მთელი ქუჩის ყველა ფარეშ-მოახლის ყურისმგდებელიც გახლდათ.

მან იცოდა, რომელიმე კოტეჯის მობინადრე იზდიდა თუ არა თავის მცირე გადასახადს. ის განზე გადგებოდა, როცა მსახიობი ქალბატონი რუჟმონი ჩამოივლიდა თავისი საეჭვო ჯალაბით. იგი ამაყად ასწევდა თავს, როცა მეაფთიაქის მეუღლე ქალბატონი პესლერი ჩაიგრიალებდა ქმრის ცალცხენიანი ეტლით. მემწვანილესთან მთელი სჯა-ბაასი ჰქონდა ცალ ფულად არ ღირებულ თალგამისათვის, ბატონ სედლის რომ უყვარდა. თვალი ეჭირა მერძევისა და მეპურის ბიჭზე და ეწვეოდა ხლომე ყასაბს, რომელიც ალბათ ასობით ხარის ხორც უფრო იოლად ყიდიდა, ვიდრე ქალბატონი სედლის ცხვრის სუკს. კარტოფილებსაც კი უთვლიდა სუფრაზ მორთმეულ შემწვარს კვირაობით, როცა, თავის საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი, ორჯერ მიბრძანდებოდა ეკლესიაში, ხოლო საღამოებით „ბლეირის ქადაგებებსა“ კითხულობდა.

ამავე დღრეს, რადგან სხვა დროს „საქმე“ უშლიდა ხელს ამ სიამოვნების განცდაში, მოხუცი ბატონი სედლის ერთადერთი იხარული გახლდათ თავისი პატარა შვილიშვილი ჯორჯი გაესეირნებინა მეზობელ პარკებსა და კენსინგტონის ბაღში ჯარისკაცების სანახავად და იხვების დასაპურებლად. ჯორჯის უყვარდა წითელმუნდირიანები. თან პაპა უყვებოდა, რა სახელგანთქმული მხედარი იყო მამამისი და აცნობდა ვატერლოოს მედლით მკერდდამშვენებულ ბევრ სერჟანტსა და ჯარისკაცს. მოხუცი ბაბუა დიდის რიხით წარუდგენდა მათ ბავშვს, ვითარცა ძეს -ე ლეგიონის კაპიტან ოსბორნისა, რომელიც გმირულად დაეცა თვრამეტი ივნისის დიდებულ დღეს. საკვირაო სეირნობებში ბერიკაცმაიცოდა ხოლმე

ზოგიერთი ამ დაბალი ხარისხის დარბაისლის დაპატიჟება თას ლუდზე. ამასთანავე თავდაპირველად მიდრეკილებას იჩენდა ბავშვი გაენებივრებინა და, ჯანმრთელობის საზიანოდ, პატარა ჯორჯის უზომოდ ყეყავდა ვაშლებითა და ჯანჯაფილიანი ნამცხვრებით, ვიდრე ემილიამ არ განაცხადა, ბავშვს აღარასოდეს გავატან პაპას, თუ იგი საზეიმოდ არ დასდებს პირობას და პატიოსნებას არ დაიფიცებს, რომ აღარასოდეს არ აჭმევს ჯორჯის ნამცხვარს, ყინვაშაქარს ანდა ფარდულებში ნაყიდ სხვა რამ სასუსნავსო.

ქალბატონ სედლისა და მის ასულს შორის ერთგვარი უკმეხი, ცივი დამოკიდებულება და ფარული მეშურნეობაც კი დამყარდა ამ ბავშვის თაობაზე. ერთ საღამოს ჯორჯი რომ ძალიან ატარა იყო, ემილია პატარა სასტუმრო ოთახში სამუშაოს უჯდა და ვერც შეამჩნია, მოხუცი მანდილოსანი როგორ გავიდა გარეთ. ახალგაზრდა ქალი ინსტიქტურად აიჭრა ზევით ბავშვის ტირილის გაგონებაზე, რომელსაც მანამდე მშვიდი ძლით ეძინა და იქ იხილა, ქალბატონი სედლი დეფის ელექსირს ნაჩუმათევად როგორ ასხამდა პირში ბალღს. უბრალო მოკვდავთა შორის ყველაზე უთვინიერესმა და უტკბესმა ემილიამ თავის დედობრივ საზრუნავში ასეთი რომ დაინახა, გაშმაგებისაგან ათრთოლდა და აცახცახდა, ჩვეულებრივ ფერმკრთალ მის ღაწვებს ახლა ისეთი ალმური მოედო, როგორც თორმეტი წლის გოგონა რომ იყო, მაშინ ჰქონდა. გამოსტაცა დედას ჩვილი. დაავლო ხელი წამლის შუშას და პირდაღებული დატოვა განრისხებული მოხუცი, რომელსაც ხელთ დამნაშავე ჩაის კოვზიღა შერჩა.

- მე ვერ მოვაწამლინებ ბავშვს, დედიკო, - შესძახა ამიმ. თან ორივე ხელით ჩაეხუტებინა გულში ბალღი, გამწარებით ანანავებდა და თვალებანთებული შეჰყურებდა დედას.

მოვაწამლინებო, ემილია? - ბრძანა მოხუცმა მანდილოსანმა,- მაგას მე მეუბნები?

- ბატონი პესლერის გამოგზავნილი წამლის გარდა სხვას ვერას დავალევინე! იმან მითხრა, დეფის ელექსირი საწამლავიაო.

- ძალიან კარგი, მაშ შენ მე მკვლელადა მთვლი ხომ? - თქვა ქალბატონმა სედლიმ. - მაგას უნდა ეუბნეოდე დედას? ბევრი უბედურება გადავიტანე; ცხოვრებაში ძირს დავიწიე; საკუთარი ეტლი მქონდა და ახლა ფეხით დავდივარ, მაგრამ აქამდე არ

ვიცოდი, თუ მკლელიც ვიყავი და მადლობელი ვარ, რომ გამაგებინე!

- დედიკო! - შესძახა საცოდავმა გოგონამ, რომელიც მუდამ მზად იყო სატირლად, - ნუ გამიჯავრდები. მე... მე ეგ არ მინდოდა მეთქვა... მე არ მინდოდა მეთქვა, თითქოს შენ რამეს უშავებდი ამ საცოდავ ბალღს, მხოლოდ...

- ოჰ, არა, ჩემო საყვარელო... მხოლოდ ის გინდოდა გეთქვა, რომ მკვლელი ვარ და, მაშასადამე, სჯობა მე ოლდ-ბეილიში[17] ჩამსვან. თუმცა მე არ მომიწამლიხარ შენ, როცა პატარა იყავი, არამედ საუკეთესოდ აგზარდე და ყველაზე უფრო ძვირად ღირებული მასწავლებლები დაგიჭირე. დიახ, მე ხუთი შვილი ვშობე, მათგან სამი დავმარხე და, ვინც ყველაზე უფრო მიყვარდა, ვისაც ვუვლიდი ყელჭირვების, კბილების ამოჭრის, წითელისა და ყივანახველის დროს, არ მიმიხედავს ხარჯებისთვის და ვინც უცხოელ მასწავლებლებს აღვაზრდევინე; მერე კიდევ მინერვა[18]-ჰაუზძი დავასრულებინე სწავლა, რაცმე არ მღირსებია ჩემს პატარაობაში -მაშინი როდესაც მე სიამოვნებით ვცემდი პატივს ჩემს დედ-მამას და ვნატრობდი, დიდხანს მხოლოდ იმისთვის მეცოცხლა, რომ გადამეხადა სიკეთე და ცხვირჩამოშვებული არა ვმჯდარიყავი მთელ დღეს ჩემს ოთახში, როგორც ვითომდა წარჩინებული ბანოვანი. ასე გაზრდილი ქალიშვილი კი მე, დედას, მეუბნება, მკვლელი ხარო! ოჰ, ქალბატონო ოსბორნ! ამას ვევედრები ღმერთს, რომ ნეტავი თქვენ მაინც არასოდეს გაიზარდოთ უბეში გველი!

- დედიკო, დედიკო! - შესძახა თავზარდაცემულმა ქალმა და მის მკერდზე მიხუტებულმა ბალღმაც ერთი ვაიუშველებელი ასტეხა.

- მკვლელიო! მუხლთ მოიყარე და შეევედრე ღმერთს განწმინდოს შენი ბოროტი, უმადური გული, ემილია, და მოგიტევოს, როგორც მე მოგიტევებ, - და ქალბატონი სედლი გაიჭრა გარეთ, თან ერთხელ კიდევ წაისისინა სიტყვა „საწამლავი“ და ასე დაასრულა თავისი გულითადი დამწყალობება.

თვით მოხუცის გარდაცვალებამდეც არ მოსპობილა მთლიანად ქალბატონ სედლისა და მის ასულს შორის მომხდარი ამ განხეთქილების კვალი. ჩხუბმა მოხუც მანდილოსანს

მრავალნაირი ხელსაყრელი უპირატესობა მიანიჭა, რასაც იგი დიდის წარმატებით, დიაცური გამჭრიახობითა და გულმოდგინებით იყენებდა. მაგალითად, მას შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში თითქმის ხმასაც არ სცემდა ემილიას. აფრთხილებდა შინაურებს, ბავშვს ნუ მიეკარებით, თორემ ქალბატონ ოსბორნს ეწყინებაო. სთხოვდა ქალიშვილს, ჩაეხედა ჯორჯის ყოველდღიურ საჭმელში და გული დაეჯერებინა, რომ შიგ საწამლავი არ იყო ჩართული. როცა მეზობლები მოიკითხავდნენ ბიჭუნას ჯამრთელობას, იგი მრავალმნიშვნელოვნად ქალბატონ ოსბორნზე მიუთითებდა, იმას მოჰკითხეთო. იგი ვერცა ბედავდა ეკითხა, ბალღი ავად იყო თუ კარგად. თუმცა ბავშვი მისი შვილიშვილი და მისი უძვირფასესი თვალისჩინი იყო,იგი ვერც ეკარება, რადგან მას ხომ ბავშვები არ ენხა და შეეძლო სიცოცხლეს გამოესალმებინა ის. აგრეთვე, როდესაც ბატონი პესლერი გამოივლიდა მკურნალობის საქმეზე, დედაბერი ისეთი მჭირდავი და ამრეზილი სახით იღებდა, რომ ექიმი აცხადებდა თვით ლედი თისლვუდიც, რომლის მკურნალობის პატივიც მაქვს, არ ნებულობს ისე ქედმაღლურად მოქცევას, როგორც ამას ქალბატონი სედლი სჩადის, ვისგანაც არასოდეს გასამრჯელო არ მიმიღიაო. ალბათ ემის თავის მხრივ მეშურნეობის გრძნობაც ამოძრავებდა, ანდა აბა რომელ დედას არ ათანაღრება გული მათზე, ვინც მათ ნაცვლად განაგებენ მათი შვილების საქმეებს და ბავშვების გულში პირველობას ეცილებიან? როცა სხვა ვინმე უვლიდა ბავშვს, ნამდვილად გული არ უსვენებდა და ისევე არ ანებებდა ქალბატონ კლეპს ან მოსამსახურეს ჩაეცმიათ ან მოევლოთ მისთვის, როგორც არავის ანებებდა თავისი მეუღლის მინიატურის გაწმენდას, მისი პატარა საწოლის თავზე რომ ეკიდა, იმ პატარა საწოლისა, რომლიდანაც საბრალო ქალმა მეუღლისაში გადაინაცვლა და რომელსაც ახლა კვლავ დაუბრუნდა მრავალი გრძელი, მდუმარე, ცრემლიანი, მაგრამ ბედნიერი წლისათვის.

ამ ოთახში იყო მოთავსებული ემილიას მთელი გული და განძი. აქ ზრდიდა თავის ბიჭუნას და გულმხურვალე სიყვარულით უვლიდა ბავშვობის მრავალი სახადით ავადბის ჟამს. როგორღაც უფროსი ჯორჯი დაუბრუნდა მას, ოღონდ უფრო უკეთესი, თითქოს ზეციდან მოვლენილი. უამრავი სხვადასხვა ელფერით, იერით, მოძრაობით ბავშვი ისე პირწავარდნილი მამა გახლდათ, რომ ქვრივს გული ურთრთოდა, როცა მას

იხუტებდა. პატარა ხშირად ეკითხებოდა, რად ტირიო და ქალს არ ეჩოთირებოდა გამოსტეხოდა, იმიტომ რომ მამას ასე ძალიან ჰგავხარო. იგი გამუდმებით ჩასჩიჩინებდა ამ გარდაცვლილ მამაზე და ჯორჯისადმი მის სიყვარულზე უმანკო, გაოცებულ ბალღს მეტს ებაასებოდა, ვიდრე თვით ჯორჯისთვის ანდა ახალგაზრდობის რომელიმე გულის მესაიდუმლისათვის ოდესმე ეთქვა. მშობლებთან არასოდეს ლაპარაკობდა ამ საგანზე - უფრთხოდა მათ წინაშე გულის გადაშლას. ალბათ ვერც პატარა ჯორჯი შეიგნებდა მის ნათქვამს მათზე უკეთ, მაგრამ დაუფარავად მხოლოდ მის და სხვა არავის ყურს ანდობდა იგი გულისნადებს. ამ ქალის თვით სიხარულიც რაღაც მწუხარების მაგვარი და ისე ნაზი გახლდათ, რომ ყოველთვის ცრემლებში გამოიხატებოდა. ისე სათუთი და მოკრძალებული გრძნობები მოეპოვებოდა, ეგებ არც ღირდეს, წიგნში მოვიხსენიოთ. ბატონმა პესლერმა (ახლა ყველაზე უფრო სახელგანთქმულმა ქალთა ექიმმა, დიდრაჯული მუქი მწვანე ეტლი, უახლოეს ხანში რაინდად გახდომის იმედი და მანჩესტერ-სკვერში ჩინებული სახლი რომ აქვს) მითხრა, ძუძუს გაშვებინების დროს მისი მწუხარების ხილვა პირდაპირ ეროდსაც[19] კი გულს მოულბობდაო. ექიმი მეტად გულჩვილი ბრძანდბოდა მრავალი წლის წინათ და მის მეუღლეს მაშინ, და დიდხანს შემდეგაც, ქალბატონ ემილიაზე ეჭვიანობით გული უსკდებოდა.

ექიმის მეუღლეს ეგებ საკმაო მიზეზიც მოეპოვებოდა ეჭვიანობისათვის - საერთოდ ემილიას ნაცნობთა ვიწრო წრის მანდილოსანთა უმეტესობა ეჭვიანობდა და ძალიან მოსდიოდათ გული, მამრობითი სქესის წარმომადგენელნი ასე რატომ დაჰფოფინებდნენ ქალბატონ ოსბორნსა; რადგან მის ახლოს მყოფ თითქმის ყველა მამაკაცს უყვარდა იგი, თუმცა, უეჭველია, რომ გეკითხათ, ვერავისნ აგიხსნიდათ, რატომ.

იგი არც ბრწყინვალე გახლდათ, არც გამჭრიახი, არც დიდი ბრძენი, არც განსაკუთრებით ლამაზი. მაგრამ სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენლის გულს იზიდავდა და ხიბლავდა. მეორეს მხრივ კი თავისი საკუთარი დედათა სქესი ყოველთვის ამზერითა და უნდობლობით ხვდებოდა. მე მგონი, მისი უმთავრესი მომხიბლაობა მის სისუსტეში მდგომარეობდა - ეს გახლდათ ერთგვარი ნაზი მორჩილება და სისათუთე, რომელიც ყოველ მამაკაცში თითქოს თანაგრძნობასა და მფარველობას ეძიებდა.

ჩვენ ვიხილეთ, რომ ლეგიონში თუმცა ჯორჯის მხოლოდ ორიოდე ამხანაგისთვის თუ გაეცა ხმა, ოფიცერთა საკრებულოს ყველა ახალგაზრდის ხმალი მყის გაშიშვლებოდა მის დასაცავად და სწორედ ასევე, ფულემის პატარა, ვიწრო სახლსა და წრეშიაც ყველა აქცევდა მას ყურადღებას და ეამებოდა იგი. ის რომ თვით ქალბატონი მენგო ბრძანებულიყო, წევრი დიდი სახლისა „მენგო, პლენტეინი და კომპანია - კრაჩედ-“ფრაიერზი“ - და ფულემში სათბურიანი ბაღების დიდებული მფლობელი, რომელიც საზაფხულო déjeùnés[20]-ზე უმასპინძლდებოდა და სამრევლოში თვალისმომჭრელი ყვითელლივრეებიანი ფარეშებითა და ისეთი ქურანი ცხენებით დასეირნობდა, რომ თვით კენსინგტონის სამეფო საჯინიბოებიდანაც არ გამოდიოდა უკეთესები - მე მოგახსენებთ: თვით ქალბატონი მენგო რომ ბრძანებულიყო, ანდა მისი ვაჟიშვილის ცოლი, ლედი მერი მერგო (გრაფ კასლმაულდის ასული, რომელმაც კეთილი ინება შეუღლებოდა ფირმის მოთავეს), უბნის მოვაჭრენი იმაზე უფრო მეტი მოწიწებითა და პატივისცემით მაინც არ მოეპყრობოდნენ, როგორც ისინი მუდამ ეპყრობოდნენ სათნო ახალგაზრდა ქვრივს, როცა იგი ჩაუვლიდათ კარწინ ანდა თავის მცირე რამ სასყიდელს იძენდა მათ დუქნებში.

არა მარტო ექიმი ბატონი პესლერი, არამედ მისი ახალგაზრდა თანაშემწე ბატონი ლინტონიც, მოახლეებსა და წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს რომ სწამლოდა და ექიმის მისაღებ ოთახში ყოველდღე „ტაიმსის“ კითხვით რომ იქცევდა თავს, საჯაროდ აცხადებდა, ქალბატონი ოსბორნის მონა ვარო. იგი წარმოსადაგი, სანდომიანი ყმაწვილი გახლდათ და ქალბატონი სედლის სახლში მას უფრო დიდი სიამოვნებით იღებდნენ, ვიდრე მის უფროსს. თუ რაიმე ასტკივდებოდა ჯორჯის, იგი დღეში ორ-სამჯერაც შემოირბენდა პატარას დასახედავად და ფიქრადაც არ მოუვიდოდა გასამრჯელო ეთხოვა. აფთიაქის უჯრებიდან იგი პატარა ჯორჯისთვის იპარავდა ტაბლეტებს, თამარინდს და სხვა რამეებს და ისე განსაცვიფრებლად ტკბილ სასმელ წამლებს აზავებდა, რომ ბალღისთვის პირდაპირ განცხრომა იყო ავადმყოფობა. მან და პესლერმა, მისმა უფროსმა, მთელი ორი ღამე უთიეს ბავშვს იმ სამნიშვნელო და საზარელ კვირას, როცა ჯორჯის წითელა სჭირდა და დედამისი ისე თავზარდაცემული იყო, კაცს ეგონებოდა, წითელა ქვეყანას აქამდე ჯერ არასოდეს მოვლენიაო. განა სხვებისთვისაც ასე

მოიქცეოდნენ? განა სათბურიანი ბაღების ხალხსაც დაუჯდებოდნენ პატარა მერი კლეპს, სახლის პატრონის გოგონას, რომელსაც სწორედ ჯორჯისაგან შეეყარა ავადმყოფობა? ჭეშმარიტება გვაიძულებს მოგახსენოთ - არა. მათ ფრიად არხეინად ეძინათ. ყოველ შემთხვევასი, ამ უკანასკნელის ავადმყოფობის დროს მაინც განაცხადეს, ეს მსუბუქი შემთხვევაა, თითქმის თავისთავად განიკურნებაო, და სრულის გულგრილობით, მხოლოდ პირის მოსაწმენდად, როცა ბავშვმა უკვე მოიკეთა, ქინაქინით შეზავებული ერთი-ორი წამალი გამოუგზავნეს.

კიდევ ერთი პატარა ფრანგი შევალიე ბინადრობდა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. იგი თავის მშობლიურ ენას ასწვლიდა იქვე ახლომახლო მდებარე სკოლებში. ღამღამობით შინ დანჯღრეულ ძველ ვიოლინოზე ძველებურ გავოტებსა[21] და მენიუტებს უკრავდა. არასოდეს გააცდენდა საკვირაო წირვა-ლოცვას ჰემერსმითის სამონასტრო ეკლესიაში. არაფრით - არც აზრებით, არც ქცევით, არც თავის დაჭერით სრულიად არ ჰგავდა თავისი ერის წვეროსან ველურებს, მზაკვარ ალბიონს რომ სწყევლიან და დღემდე გვიბღვერენ თავიანთ სიგარებს ზემოდან. როცა კი ეს დაპუდრული, თავაზიანი ბერიკაცი შევალიე დე ტალონრუჟი ახსენებდა ქალბატონ ოსბორნს, ჯერ მოითავებდა ბურნუთის ცხვირში შეყრას, ხელის მოხდენილი მოძრაობით ჩამოიბერტყავდა დარჩენილ მტვერს, კვლავ ერთად შეაწკუპებდა თითებს, მიიტანდა ბაგეებთან, აკოცებდა და შესძახებდა : „Ah, la divine créature!”[22] იფიცავდა და აცხადებდა, ემილია რომ ბრომპტონ-ლეინზე ჩაივლის, მის ტერფთა ქვეშ ყვავილები იფურჩქნებიანო. პატარა ჯორჯის კუპიდონს ეძახდა და მისი დედიკოს, ვენერას, ამბავს ეკითხებოდა; ხოლო გაოგნებულ ბეტი ფლენეგენს ეუბნებოდა, შენა ხარ ერთ-ერთი გრაცია[23] და და Reine des Amours[24] -ის ერთგული მოახლეო.

- რას ხედავ მაგაში, ბილბი? - ეტყოდა ეს მანდილოსანი. - აქ ჩაიზე რომ მოვა, მთელ საღამოს კრინტი ვერ დაუძრავს. ეგ მხოლოდ და მხოლოდ ერთი უბადრუკი მეოცნებე, მიბნედილი არსაბაა და დარწმუნებული ვარ, გული სულაც არ გააჩნია. მარტო იმის ლამაზი ცხვირპისთვის გიჟდებით ყველანი! მის გრიტსს ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი მოეპოვება, კიდევ უფრო მეტსაც ელის, ორჯერ უკეთესი ხასიათი აქვს და მე რომ მკითხოს კაცმა, ათასჯერ უფრო მოსაწონია. ისიც რომ

სანდომიანი შესახედავი იყოს, ვიცი, სრულყოფილ ადამიანად მიიჩნევდი.

ფრიად შესაძლებელია, მის ბინი ბევრში მართალი ბრძანდებოდა. სწორედ ტურფა სახე გახლავთ,რომ სიმპათიას იწვევს მამაკაცების, იმ გულბოროტი არამზადების გულში. ქალი შეიძლება მინერვასავით ბრძენი, კდემამოსილი და უბიწო იყოს, მაგრამ თუ უმარილო სახე აქვს, ზედაც არავინ შეხედავს. რა ქარაფშუტობასა და სიცერცეტეს არ აპატიებს კაცი ჟუჟუნა თვალების გულისთვის? ალისფერი ბაგეები და ტკბილი ხმა რა ლენჩს არ გახდის საამოდ? და ამიტომ მანდილოსნები მათთვის ჩვეული სამართლიანობის გრძნობით ამტკიცებენ: თუ ქალი ლამაზია, მაშასადამე, ტუტუციაო. ოჰ, მანდილოსანნო, მანდილოსანნო! ზოგი თქვენთაგანი რომ არც ლამაზია და არც ჭკვიანი.

ყოველივე ეს მხოლოდ უბრალო, უფერული ამბებია ჩვენი გმირის ცხოვრებაში. მისი თავგადასავალი არ შეიცავს საოცრებებს, როგორც თავაზიანმა მკითხელმა უთუოდ შენიშნა კიდეც. მისი ყოფაცხოვრების დღიური რომ გვეწარმოებინა შვილის დაბადების შემდეგ, შვიდი წლის განმავლობაში, იშვიათად ნახავდით წინა თავში აღწერილ წითელას ამბავზე უფრო შესანიშნავ რაიმეს. თუმცა ერთ დღეს, ქვრივის დიდად განსაცვიფრებლად, ახლახან ხსენებულმა ღირსმა ბატონმა ბინიმ სთხოვა, ოსბორნის გვარი ჩემს გვარზე გასცვალეო. მაშინ ლოყებზე ალმურავარდნილმა თვალცრემლიანმა ქალმა ხმის კანკალით მადლობა გადაუხადა დაფასებისათვის და მისდამი და მისი საბრალო პატარასადმი ყურადღების გამოჩენისთვის, მაგრამ დასძინა, ჩემი დაკარგული მეუღლის გარდა სხვა ქმარზე ფიქრს მე ვერასოდეს, ვერასოდეს გულშიაც ვერ გავივლებო.

ოცდახუთ აპრილსა და თვრამეტ ივნისს, ქორწინებისა და დაქვრივების დღეებს, სულ თავის ოთახშ ატარებდა, იმ განსვენებული მეგობრის ხსოვნას უძღვნიდა და არ ვიცით, მასზე ფიქრში კიდევ რამდენი ღამე გაეტარებინა მარტოდმარტო, როცა მის გვერდით პატარა საწოლში მხოლოდ პაწია ბიჭუნას ეძინა. დღისით უფრო ენერგიული ჩანდა. ჯორჯისთვის წერა-კითხვა და ცოტა ხატვაც უნდა ესწავლებინა. კითხულობდა წიგნებს, რომ მერე ბავშვისათვის მოეთხრო შინაარსი. თვალი რომ აეხილა ბალღს და გონება

უვითარდებოდა გარემო სამაროს გავლენით, დედაც თავისი სუსტი ძალებით, რაც შეეძლო, ცდილობდა შეეცნომინებინა ყოვლის შემქმელი. ყოველ ღამეს და ყოველ დილით დიდი და პატარა (საოცარი გულის ამაჩუყებელი ერთსულოვნებით, რომელიც, ჩემის აზრით, ჟრუანტელს მოჰგვრიდა ყველას, ვინც, მოწმე იყო, ანდა ვისაც ახსოვს ის ამბავი), დედა და შვილი ერთად იდგნენ ლოცვად ჩვენი ზეციერი მამის წინაშე - დედა თავისი ნაზი გულის მთელი მხურვალებით ევედრებოდა, ბალღი კი ტიტინით იმეორებდა ნათქვამს. და ყოველთვის შესთხოვდნენ ღმერთს ძვირფასი მამიკოს კურთხევას, თითქოს ახლაც ცოცხალი ყოფილიყო და მათთან მჯდარიყო ოთახში.

ყოველდღე მრავალ საათს ანდომებდა ემილია პატარა ვაჟბატონის დაბანას, ჩაცმას, საუზმის წინ, ვიდრე პაპა „საქმეზე“ წავიდოდა - დილის სეირნობას; ფრიად საოცარ, იკლიკანტურ სამოსს უკერავდა. ყაირათიანი ქვრივი სჭრიდა და გადააკეთებდა თავისი ქორწინების ხანაში შეძენილი ნატიფი ტანსაცმლის ყოველ ხელმისაწვდომ ნაგლეჯს. თვით ქალბატონი ოსბორნი კი (დედამისის დიდად საწყენად, რომელიც ნატიფ სამოსს ამჯობინებდა განსაკუთრებით სწორედ უბედურებაში ჩავარდნის შემდგომ) მუდამ შავ ტანსაცმელსა და შავბაბთიან ჩალის ქუდს ატარებდა. დანარჩენ დროს დედისა და მოხუცი მამის სამსახურისათვის იზოგავდა. გაისარჯა და შეისწავლა კრიბიჯის თამაში და ეთამაშებოდა ხოლმე მოხუცს საღამოობით, როცა იგი კლუბში არ წავიდოდა. უმღეროდა, როცა ბერიკაცი საამისო გუნებაზე მოვიდოდა და ეს კეთილი ნიშანიც გახლდათ, რადგან იგი სიმყერის დროს ყოველთვის ტკბილად ჩაიძინებდა ხოლმე. ქალიშვილი უწერდა უამრავ მოსაგონარ ბარათებს, წერილებს, პროსპექტებსა და გეგმებს. სწორედ მისი ხელნაწერით ეცნობებოდა მოხუცის ძველი ნაცნობების უმეტესობას, რომ იგი გახდა შავი ალმასისა და უნაცრო ნახშირის კომპანიის რწმუნებული და შეუძლია მიართვას თავის მეგობრებსა და საზოგადოებას საუკეთესო ნახშირი ჩოლდრონი[25] ამდენ და ამდენ შილინგად. ბერიკაცი ამ მიმართვებს მხოლოდ ხელმოწერის ხლართით აბოლოებდა და აკანკალებული კლერკული ხელით მისამართებს აწერდა. ერთი ასეთი ბარათი ბათონების კოქსისა და გრინვუდის მეშვეობით მაიორ დობინსაც გაეგზავნა -ე ლეგიონში, მაგრამ მაიორი იმჟამად მადრასში გახლდათ და ქვანახშირი დიდად

არაფრად ესაჭიროებოდა. მან მაინც იცნო ის ხელი, რომელსაც მომართვა დაეწერა. ღმერთო მწყალობელო! რას არ მისცემდა, ახლა რომ ეს ხელი თავის საკუთარ ხელში სწეროდა! მეორე მომართვაში მაიორს ატყობინებდნენ, რომ ჯ. სედლომ და ამხანაგობამ კანტორები გაიჩინეს ოპორტოსა, ბორდოსა და სენ-მარიში და შეეძლოთ ზომიერ ფასად, ძალიან ხელსაყრელ პირობებში შეეთავაზებინათ თავიანთი მეგობრებისათვის და საერთოდ საზოგადოებისათვის პორტვეინის, ხერესის და კლარეტის საუცხოო, სანაქებო ღვინოები. ამ შეტყობინების საფუძველზე დობინმა თავგამოდებული ხვეწნა-მუდარით დაიყოლია გუბერნატორი, მთავარსარდალი, მსაჯულები, ლეგიონები და ყველა, ვიზედაც ხელი მიუწვდებოდა ოლქში, და სედლისა და მის ამხანაგობას იმდენი ღვინის შეკვეთა მიაყარა, რომ ჭეშმარიტად განაცვიფრა ბატონი სედლი და ბატონი კლეპი, რომელიც წარმოადგენდა ხსენებულ ამხანაგობას. ოღონდ პირველი იღბლიანი აფეთქების მერე, რომელთა ხარჯზე საბრალო მოხუცი სედლი აპირებდა აეგო სიტიში სახლი, კლერკების კანტორა, თავისთვის დოკი და მთელ მსოფლიოში დაეგზავნა რწმუნებულები, აღარავითარი შეკვეთა აღარ მოსულა. ბერიკაცს ღვინის ძველებური გემო დავიწყებოდა: ოფიცერთა სასადილოში ლანძღვა-გინებით აიკლეს მაიორი დობინი, საძაგელი სასმელი რად შემოგვატყუეო, და იგი იძულებული გახდა იმ ღვინის უდიდესი ნაწილი თვით შეესყიდა და მერე, თავისდა დიდად საზარალოდ, საჯარო ვაჯრობით გაესაღებინა. რაც შეეხება ჯოზს, რომელიც იმ ხანად სახელმწიფო გადასახადების სამმართველოში დააწინაურეს კალკუტაში, მან ბრაზისაგან სულ ცოფები ჰყარა, როცა ფოსტითმოერთვა ამ ბახუსური პროსპექტების დასტა მამის პირადი ბარათითურთ, რომელშიაც მოხუცი უთვლიდა, ამ საქმეში შელი იმედი მაქვსო. თან რჩეული ღვინოების ნიმუშებსაც უგზავნიდა და მათ ანგარიშსაც მოიდევნებდა. ჯოზი ისევე ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი მამა, სახელმწიფო გადასახადების სამმართველოს მოხელის ჯოზ სედლის მამა, შეკვეთების მოღიჭინე სირაჯი იქნებოდა, როგორც იმას, რომ იგი ჯეკ კეჩი[26] იყო. მან ზიზღით უკუაგდო ანგარიშები და უტიფარი ბარათი მისწერა ბერიკაცს, შენს საკუთარ საქმეებს მიხედეო. ეს გაპროტესტებული ანგარიში რომ უკან დაბრუნდა, სედლი და კამპანია იძულებული გახდა გაენაღდებინა, რამაც გადაყლაპა მადრასის ოპერაციისაგან დარჩენილი მოგებაც და ემის

დანაზოგის ნაწილიც.

გარდა წელიწადში ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი პენსიისა, როგორც ემილიას მეუღლის ანდერძის აღმსრულებელმა დაადგინა, ოსბორნის გარდაცვალების შემდეგ რწმუნებულთა ხელში ხუთასი გირვანქა კიდევ აღმოჩნდა. ეს თანხა, ჯორჯის მეურვის დობინის რჩევით, ინდოეთის ერთ-ერთი ბანკის კანტორაში იქნა შეტანილი 8 პროცენტის მოგებით. ბატონ სედლის ეგონა, მაიორს თავისი რაღაც ანგარიშებიანი ზრახვები აქვს ამ ფულზე და სასტიკად გაილაშქრა ამ გეგმის წინააღმდეგ. პირადად მივიდა რწმუნებულებთან და პროტესტი განაცხადა ხსენებული ფულის ამგვარად გამოყენებაზე. მაგრამ იქ თავისდა განსაცვიფრებლად შეიტყო, რომ მათ სულაც არავითარი თანხა არ გააჩნდათ ხელთ, განსვენებული კაპიტნის მთელი დანატოვარი ქონება ასიოდე გირვანქაც არ იქნებოდა, და რომ ეგ ხუთასი გირბანქა რაღაც ცალკე თანხა უნდა ყოფილიყო, როლმის დაწვრილებითი ამბავი ალბათ მაიორმა დობინმა თუ იცისო. კიდევ უფრო კიდევ უფრო გულდაჯერებული რაღაც არამზადობაში, მოხუცი სედლი მაიორს მიადგა. ვითარცა ქალიშვილის უახლოესმა კეთილიმყოფელმა, დიდგულად მოითხოვა განსვენებული კაპიტნის ანგარიშები. დობინის ბლუკუნმა, გაჭარხლებამ და დაბნეულობამ კიდევ უფრო ღრმად დაარწმუნა ბერიკაცი, რომ მას არამზადასთან ჰქონდა საქმე და ქედმაღლური, გულზვავი კილოთი გაუზიარა კიდეც ოფიცერს თავისი მოსაზრება, როგორც თვითონ ბრძანა. ესე იგი უბრალოდ უთხრა: დარწმუნებული ვარ, ჩემი განსვენებული სიძის ფულს უკანონოდ ითვისებო.

დობინს ამაზე კი აევსო მოთმინების ფიალა და ბრალმდებელი ასე მოხუცი და დაჩაჩანაკებული რომ არ ყოფილიყო, ჩხუბი მოუვიდოდა მასთან სლოტერის ყავახანაში, რომლის კაბინეტშიაც მუსაიფობდა ეს ორი დარბაისელი.

- ამობრძანდით ზემოთ, ბატონო ჩემო, - ძლივს ამოღერღა მაიორმა. -დაჯერებით გთხოვთ, ამობრძანდეთზამოთ და მე გიჩვენებთ, ვინ არის დაზარალებული, საწყალი ჯორჯი თუ მე!

მან აათრია მოხუცი დარბაისელი თავის საწოლ ოთახში და გადმოულაგა ოსბორნის ანგარიშები და მისი ვალის ხელწერილები. რომელთაც იგი, მართალი მოგახსენოთ, ყოველთვის სიტყვის შეუბრუნებლად იძლეოდა.

- მან ინგლისში კი გაისტუმრა თავისი ვალები, - დასძინა დობინმა, - მაგრამ, როცა მოჰკლეს, ქვეყანაზე ასი გირვანქაც არ ებადა, მე და ერთმა-ორმა მისმა თანამოძმე ოფიცერმა შევკრიბეთ მცირე თანხა, რაც კი მოგვეძევებოდა, და თქვენ კიდევ ბედავთ დაგვწამოთ, ქვრივ-ობლის მოტყუება გინდათო?

სედლის ძალიან შერცხვა და მოიდრიკა, თუმცა ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ უილიამ დობინმა მაინც დიდი ტყუილი უთხრა მოხუცს, რადგან ამ ფულის ყოველი შილინგი თვითონვე დადო, როცა მეგობარი დაკრძალა და ამ უბედურებისა და საბრალო ემილიას ჩამოსაყვანისათვის საჭირო მთელი ხარჯები გაისტუმრა.

ამ ხარჯებისათვის იოტისოდენადაც არ შეუწუხებია თავი მოხუც ოსბორნს, არც ემილიას რომელიმე სხვა ნათესავს, ანდა თვით ემილიას. ქვირივე სრულიად ენდობოდა დობინს, მის რამდენამდე დაბნეულ ანგარიშებში ეჭვი არ შეჰპარვია და არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია რა დიდად იყო იგი დავალებული მისგან.

წელიწადში ორჯერ-სამჯერ, თანახმად დაპირებისა, ემილია ბარათებს წერდა მას მადრასში - ბარათებს სულ პატარა ჯორჯის შესახებ. რა საუნჯე იყო მისთვის ეს წერილები! როცა ემილია მისწერდა, მხოლოდ მაშინ უპასუხებდა, ისე - არა. მაგრამ უამრავ მოსაგონარ საჩუქრებს კი უგზავნიდა ნათლულსა და ქვრივს. შეუკვეთა და გამოგზავნა შარფების მთელი კოლოფი და სპილოს ძვლის საუცხოო ჩინური ჭადრაკის დიგურები. პაიკებს ნამდვილ ფარ-ხმალიანი პატარა მწვანე და თეთრი კაცუნები წარმოადგენდნენ, მხედრები რაშებზე ისხდნენ, ხოლო ეტლები სპილოების ზურგზე შედგმული კოშკები იყო.

- ქალბატონ მენგოსაც არა ასე მშვენიერი ჭადრაკი! - შენიშნა ბატონმა პესლერმა.

ეს ჭადრაკის ფიგურები დიდ სიხარულს ანიჭებდა ჯორჯის, ერომელმაც სწორედ ამ საჩუქრის სამადლობლად გაუგზავნანათლიას თავისი პირველი ბალღური ხელით ნაწერი წერილი. მაიორი დაკონსერვებულ მურაბებსა და მწნილებსაც გზავნიდა, რომელთაც ნორჩმა დარბაისელმაჩუმად მიაგნო კარადაში და კინაღამ მოკვდა ჭამით, მაგრამ მწნილი ისე მწარე

აღმოჩნდა, რომ იფიქრა, ალბათ, რომ მოვიპარე, იმის სასჯელი თუ არისო. ემიმ მოკლედ მისწერა მაიორს ამ სასაცილო უბედურების ამბავი. დობინს ეამა, ქალი ცოტა უფრო რომ გახალისებულიყო და ახლა ხანდახან მაინც მხიარულობის გული ჰქონოდა. მან გამოგზავნა ერთი წყვილი შალი - თეთრი მის თვის, პალმის ფოთლებიანი შავი კი დედამისისთვის; კიდევ სხვა ერთი წყვილი ალისფერები - ზამთარში დასათბუნებლად მოხუცი ბატონი სედლისა და ჯორჯისათვის. შალები, სულ უკანასკნელი, თითო ორმოცდაათი გინეა მაინც ეღირებოდა, როგორც ქალბატონმა სედლიმ კარგად იცოდა. იგი დიდის ყოფით ატარებდა თავისას ბრომპტონის ეკლესიაში წირვაზე სიარულის დროს და ეს ბრწყინვალე შენაძენი კიდეც მიულოცეს თავისმა მდედრმა მეგობრებმა. ემისაც ძალიან მოუხდა სადა, შავ სამოსზე.

- რა დასანანია, რომ ემი სულ არ აქცევს ყურადღებას მაიორს, - ეუბნებოდა ქალბატონი სედლი ქალბატონ კლეპსა და ყველა თავის ბრომპტონელ მეგობარს. - ჯოზს არასოდეს მოურთმევია ასეთი საჩუქრები- ყველაფერი ენანება ჩვენთვის. აშკარაა, მაიორი თავდავიწყებით არის შეყვარებული და მაინც კრინტი ვერ დამიძრავს - ერთი სიტყვაც რომ დამცდეს, მაშინვე ალმური მოედება სახეზე, ტირილს მოჰყვება, გაიქცევა და ზემოთ თავის მინიატურას მიუჯდება. სწორედ თავი მომებეზრა იმ მინიატურამ! ნეტავი არასოდეს თვალითაც არ გვენახა ის საზიზღარი, ჯიბესქელობით გაფუყული ოსბორნები!

ასეთ უბრალო ყოფასა და გარემოში გაატარა ჯორჯმა ბალღობა. ბავშვი იზრდებოდა ნატიფი, მგრძნობიარე, მბრძანებლობის მოყვარე, ნებიერი, აზიზი და ბატონობდა სათნო დედაზე, რომელიც მხურვალის გულით უყვარდა. ჯორჯი მის ირგვლივ მთელ თავის პატარა სამყაროზეც იყო გაბატონებული. როცა მოიზარდა, უფროსებს უკვირდათმისი სიფიცხე, ამპარტავნობა და მამასთან სრული მსგავსება. იგი ყველაფერს გამოიკითხავდა, როგორც ცნობისმოყვარე ბავშვებმა იციან. მისი შენიშვნებისა და დაკვირვებების სიღრმით განცვიფრებულმამოხუცმა პაპამ სამიკიტნოს კლუბში პირდაპირ ყველას თავი მოაბეზრა ყმაწვილის განსწავლულობისა და ნიჭის გაუთავებელი ხოტბა-დიდებით. ბავშვი გულკეთილი განურჩევლობით იტანდა ბებიას. მის ირგვლივ მყოფი მცირე წრე ღრმად დარწმუნებული გახლდათ, რომ ამისთანა ბიჭი ქვეყნიერების ზურგზე მეორე არ

მოიპოვებდა. ჯორჯსაც მამის გულზვაობა და ზერიაყობა დაჰყვა თან და ალბათ ფიქრობდა, არცა სცდებიანო.

როცა ჯორჯი დაახლოებით ექვსი წლისა გახდა, დობინმა ხშირად დაუწყო წერილების გზავნა. მაიორს სურდა გაეგო, აპირებდა თუ არა ჯორჯი სკოლაში შესვლას და იმედოვნებდა, იქ ალბათ სასახელოდ მოიქცევიო; ანდა იქნებ შინ კარგი მასწავლებელი გირჩევნიაო? უკვე დროა სწავლის შეუდგეო და მისი ნათლია და მეურვე გადაკვრით იწერებოდა, იმედი მაქვს ნებას დამრთავენ, შენი სწავლა-განათლების საფასურის გადახდა მე ვაკისრო, რადგან დედაშენის მცირე შემოსავალს მძიმედ დააწვება ეს ხარჯიო. ერთი სიტყვით, მაიორი მუდამ ფიქრობდა ემილიასა და მის პატარა ბიჭუნაზე და თავისი რწმუნებულების მეშვეობით ამარაგებდა ბავშვს სურათებიანი წიგნებით, საღებავების კოლოფებით, მერხებით და ყოველი ჯურის გასართობი და საწვრთნელი ხელსაწყოებით. ჯორჯის მეექვსე დაბადების დღემდე სამი დღით ადრე ბატონი სედლის სახლს ორთვალიანი ეტლით ვიღაც დარბაისელი მოადგა მსახურის თანხლებით და ბატონიშვილი ჯორჯ ოსბორნი იკითხა. ეს გახლდათ ბატონი ვულზი, კონდიტ-სტრიტელი სამხედრო თერძი, რომელიც ახალგაზრდა ვაჟბატონის მამის, კაპიტნის, თერძიცყოფილიყო წინათ.

აგრეთვე ჟამდაჟამ და, უეჭველია, მაიორის ჩაგონებით, მისი დები, ქალბატონი დობინები ეწვეოდნენ ხოლმე მათ საკუთარი ეტლით, რათა გაესეირნებინათ ემილია და მისი პატარა ბიჭიკო, თუ მათ ენებებოდათ. ამ მანდილოსანთა მფარველობა და გულკეთილობა ძალიან ეხამუშებოდა ემილიას, მაგრამ სკმაოდ მორჩილად იტანდა, რადგან დამორჩილება მისი ბუნების დამახასიათებელი თვისება გახლდათ; თანაც ეტლი და მისი ბრწინვალე მორთულობა უზომოდ ახარებდა პატარა ჯორჯის. ხანდახან ეს მანდილოსნები სთხოვდნენ ემილიას, ბავშვმა ერთი დღე ჩვენთან გაატაროსო, და ყმაწვილიც ყოველთვის სიამოვნებით მიდიოდა მშენიერ ბაღიან სასახლეში დენმარკ-ჰოლს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და სადაც ასე მშვენიერიყურძენი და ატამი ხარობდა სათბურებში.

ერთ დღეს ისინი გულკეთილად ესტუმრენ ემილიას და ახალი ამბავი მოუტანეს, რომელიც, დარწმუნებული იყვნენ, გაახარებდა მას... რაღაც ძ ა ლ ი ა ნ საინტერესო ამბავი ძვირფასი უილიამისა.

- რა, სამშობლოში ხომ არ ბრუნდება? - იკითხა მან და სიამოვნებით თვალები გაუბრწყინდა.

„ოჰ, არა, სულაც არა - მაგრამ ძალიან მძიმე საბუთი ჰქონდათ ერწმუნათ, რომ ძვირფასი უილიამი დაქორწინებას ეპირებოდა... და ისიც ემილიას გულითადი მეგობრის ნათესავზე, მის გლორვიან ო'დაუდზე, სერ მაიკლ ო'დაუდის დაზე, რომელიც ო'დაუდთან ჩავიდა სტუმრად მადრასს... ყველა ამბობს ნამეტანი ლამაზი და განათლებული ქალიშვილიაო".

„ოჰ!" - შესძახა ემილიამ. ემილია მართლაც ძალიან, ძ ა ლ ი ა ნ ბედნიერი იყო. ოღონდ, მისი აზრით, გლორვინა ვერ იქნებოდა მისი ძველი ნაცნობის მსგავსი, რომელიც ყველაზე უფრო გულკეთილი ადამიანი იყო ქვეყანაზე... მაგრამ... ის მაინც მართლა ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. და რაღაც გრძნობის კარნახით, რომლის აზრსაც ვერ ჩავწვდომივარ, მან აიყვანა ხელში ჯორჯი და განსაკუთრებული სინაზით ჩაკოცნა. ბავშვი რომ ძირს დასვა, თვალები სულ ცრემლით ჰქონდა სავსე, და მთელი სეირნობის განმავლობაში თითქმის აღარც დაუძრავს კრინტი... თუმცა მართლა ძალიან, ძალიანბედნიერად კი გრძნობდა თავს.

თავი XXXIX - ცინიკური თავი

ჩვენი მოვალეობაა, ახლა მცირე ხნით მივხედოთ ზოგ ძველ ჰემპშირელ ნაცნობს, რომელთაც ასე სავალალოდ გაუცრუვდათ მდიდარი ნათესავი ქალის მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წილის მიღების იმედი. დისაგან ბიუტ კროული ოცდაათი ათასი გირვანქაზე ნაკლებს არ ელოდა და, მხოლოდ ხუთი ათასი რომ მიიღო, მძიმედ მოხვდა გულში. როცა ამ თანხიდან თავისი საკუთარი და ჯიმის, ვაჟიშვილის, კოლეჯის ვალები გაისტუმრა, მხოლოდ ძალიან მცირეოდენიღა დარჩა ოთხი უსანდომო ქალიშვილის წილად. მისმა მეუღლემ ვერასოდეს გაიგო, და იქნებ არც უნდოდა შეეგნო, მისმა მტარვალურმა მოპყრობამ რა დიდად შეუწყო ხელი საკუთარი მეუღლის დაღუპვას. იფიცავდა და აცხადებდა, რაც კი ქალის ღონეს

ძალუძს, ყველაფერი მოვიმოქმედეო. განა მისი ბრალია, რომ მლიქვნელობისა და პირმოთნელობის ის უნარი არ შესწევს, რაც მისმა გაიძვერა მაზლისწულმა პიტ კროულიმ გამოიღენა? იგი მას უსურვებდა მთელ იმ ბედნიერებას, რომლის ღირსაც იყო თავისი მზაკვრული მონაგების წყალობით.

- ეგ ფული ოჯახში მაინც დარჩება, - ბრძანა მან გულმოწყალედ, - სრულიად უეჭველია, პიტი იმას ვერ დახარჯავს, გენაცვალე;რადგან მაგაზე უფრო წუწურაქი ინგლისში მეორე არ მოიძებნება და ეგეც ისევე საზიზღარია, ოღონდ ცოტა სხვარიგად, როგორც მისი ბედოვლათი ძმა, გახრწნილი როუდონი.

ამრიგად, ბიუტის მეუღლე პირველი განრუსხებისა და იმედგაცრუების მერე, რაც კი შეეძლო, თავისი შეცვლილი ქონებრივი მდგომარეობისადმი შეგუებას შეუდგა და მთელი ძალ-ღონის დაძაბვით იწყო მომჭირნეობა და ყაირათიანობა. იგი არიგებდა ქალიშვილებს, მხნედ როგორ აეტანათ სიღატაკე და ათასი ეშმაკურ ხრიკს იგონებდა მისი მიჩქმალვის ანდა თავის არიდებისათვის. საქებური გულმოდგინებით დაატარებდა მათ ახლომახლო გამართულ ბალებსა და საზოგადო შეკრებილობებში; ეგ კი არა, ძალიან გულიანად და ხელგაშლით უმასპინძლდებოდა მეგობრებს თავის სახლში, და გაცილებით უფრო ხშირადაც, ვიდრე მაშინ, როცა ძვირფასი მის კროულის მემკვიდრეობის იმედი ჰქონდა. გარეგნულ ქცევაზე ვერავინ შეატყობდა მას, რომ ოჯახს იმედი გაუცრუვდა; ანდა ხალხში მის ხშირად გამოჩენაზე ვერავინ მიხვდებოდა, შინ რა ხელმომჭირნეობით ცხოვრობდა და როგორ იკლავდა თავს შიმშილით. ქალიშვილები წინანდელზე უკეთ ირთვებოდნენ. ბეჯითად დადიოდნენუინჩესტერისა და საუთემპტონისშეკრებილობებში; თვით კაუზსაც[27] კი მიაღწიეს იქაური დოღების დროს გამართულ ბალებსა და რეგატაში შეჯიბრების ლხინებზე დასასწრებად. მათი ეტლი, რომელშიაც გუთნიდან გამოხსნილი ცხენები ება. მუდამ აქეთ-იქით დაგრიალებდა, ვიდრე თითქმის ყველა არ დაარწმუნეს, რომ ოთხ დას დიდძალი ქონება დარჩა მამიდისგან, ვის სახელსაც მთელი ოჯახი ყოველთვის დიდის მოწიწებით, მადლობითა და სიყვარულით ახსენებდა საზოგადოებაში. სიცრუის ამაზე უფრო ხშირი სახე ამაოების ბაზარში სხვა მეორე არც მეგულება. უნდა აღინიშნოს, ამის ჩამდენი ხალხი რა დიდად იფასებს თავს ამ ორპირობა-ცბიერებისათვის და

წარმოუდგენიათ, რომ ფრიად ქველნი და სანაქებონი ბრძანდებიან, რაკი შეუძლიათ ქვეყანას თვალი აუხვიონ თავიანთ ქონებრივ მდგომარეობაზე.

ქალბატონ კროულის მთელ ინგლისში უსათნოეს ქალად მიაჩნდა მართლაც თავი და მისი ბედნიერი ოჯახის ცქერა ჭკუის სასწავლებელი მაგალითი გახლდათუცხოთათვის. ქალიშვილები ისე მხიარულნი, ისე მოსიყვარულენი, ისე ალერსიანნი, ისე კარგად გაზრდილნი და ისე მოკრძალებულნი იყვნენ! მართა საუცხოოდ ხატავდა ყვავილებს და საგრაფოს საქველმოქმედო ბაზრების ნახევარს მაინც ამარაგებდა. ემა საგრაფოს ნამდვილი ბულბული ბრძანდებოდა და მისი ლექსები განაბრწყინებდნენ „ჰემპშირ ტელეგრაფის“ პოეტთა კუთხეს. ფენი და მატილდა დუეტებს მღეროდნენ დედიკოს ფორტეპიანოს აკომპანემენტით, ხოლო ორნი დანი კი ისხდნენ ხოლმე ერთმანეთის წელზე ხელშემოჭდობილნი და გატაცებით უსმენდნენ. არავის უხილავს, საბრალო გოგოები მარტონი როგორ იმეორებდნენ და იმეორებდნენ ამ დუეტებს; არავის უხილავს, დედიკო რა მკაცრად სწრთვნიდა მათ საათობით. ერთი სიტყვით, ბიუტის მეუღლე მხნედ ეგებებოდა ბედისწერას და უდიდესი მსიქველით იცავდა გარეგნულ წესრიგს.

რაც კი ძალ-არონე შესწევდა კარგსა და პატივცემულ დედას, ყველაფერს აკეთებდა ბიუტის მეუღლე. საუთემპტონიდან იახტსმენებს იწვევდა, იუჩნესტერის საკათედრო ტაძრიდან - მღვდლებს და იქაურ ყაზარმებიდან კი - ოფიცრებს. გამსვლელი სასამართლოს სესიების დროს კი ცდილობდა ახალგაზრდა ვექილები შემოეტყუებინა და აქეზებდა ჯიმს, შინაც მოეყვანა მეგობრები, რომლებთან ერთადაც სანადიროდ დადიოდა. რას არ ჩაიდენს დედა თავის საყვარელ ასულთა გულისთვის?

ასეთ მანდილოსანსა და მის მაზლს, სასახლის საძაგელ ბარონეტს შორის, რასაკვირველია, არაფერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საერთჯ. ბიუტსა და მის ძმა სერ პიტს შორის სრული განხეთქილება მოხდა და ასევე მოხდა სერ პიტსა და მთელ საგრაფოს შორის, რომელსაც ბერიკაცი პირდაპირ სახელს უტეხდა. პატიოსანი საზოგადოების სიძულვილი ხანში შესვლასთან ერთად ემატებოდა და, რაც პიტი და ლედი ჯეინი ესტუმრნენ თავიანთი ქორწინების მერე, აღარცერთი რიგიანი

კაცისთვის აღარ გაღებულა ჭიშკარი.

ეს იყო საზარელი, ბედშავი სტუმრობა, ოჯახისთვის მუდამ ძრწოლვით მოსაგონარი. ნირწამხდარმა, ფერმიხდილმა პიტმა მეუღლეს სთხოვა, ამას ნუღარასოდეს გავიხსენებთო. მხოლოდ ისევ ბიურის მეუღლის წყალობით გახლდათ, რომ ყველამ შეიტყო, როგორ მიიღო სერ პიტმა თავისი შვილი და რძალი, რადგან მღვდლის ცოლმა კვლავ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, რაც კი სასახლეში ხდებოდა.

კოხტა და ჩინებულად გაწყობილი ეტლით პარკის ხეივანში რომ შევიდნენ, პიტმა უკმაყოფილოდ და ბოღმით შენიშნა, ხეები, მისი ხეები ბევრგან გაეჩეხათ - მოხუც ბარონეტს უმოწყალოდ გაეჩანაგებინა. პარკი სრულიად გაეოხრებინათ და გაეპარტახებინათ. გზები მოუვლელი იყო და კოხტა ეტლი ძლივს მიშლაპუნობდა ლაფიან გუბეებში. ტერასის წინ გადაშლილი ფართე მოედანი და შესასვლელი კიბე ჩაშავებულიყო და ხავსს დაეფარა. ოდესღაც კოპწია ყვავილების კვლებს სარეველა და ბალახბულახი მორეოდა. სასახლის თითქმის ყველა სარკმლის დარაბა ჩარაზული იყო. დიდი სადარბაზო კარი მხოლოდ ზარის ბევრი წკაპუნის შემდეგ გაიღო. ვიღაც ბაფთებიანმა შეიფრთხიალა მუხის შავ კიბეზე, როცა ბოლოს ჰოროქსმა დედობლის კროულის მემკვიდრე და მისი პატარძალი თავიანთ წინაპართა სამყოფელში შეუშვა. იგი სერ პიტის ეგრეთ წოდებული „ბიბლიოთეკისაკენ“ წაუძღვა მათ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ იმ ოთახს, თამბაქოს სუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

- სერ პიტი სულ კარგად ვერ გახლავთ, - მოუბოდიშა მათ ჰოროქსმა და გადაკვრით ახსენა, ბატონს წელკავი აწუხებსო.

ბიბლიოთეკა მთავარ შესასვლელ გზასა და პარკს გადასცქეროდა. სერ პიტს გამოეღო ერთი ფანჯარა და იქიდან უყვიროდა მეეტლესა და პიტის მხლებელს, რომელნიც ბარგის გადმოლაგებას აპირებდნენ.

- არ გადმოიღოთ ეგ ზანდუკები! - ღრიალებდა ის და ჩიბუხიან ხელს იქით იშვერდა. - ეს ხომ მხოლოდ დილის ვიზიტია, ტაკერ, შე ბრიყვო! ღმერთო, როგორ დახეთქია ფლოქვები მაგ ცხენს! „მეფის თავში“ განა აღარავინ მოიძავაბოდა, რომ ცოტა მიეხედა? რასა იქმ, პიტ? რასა იქმ, გეთაყვა? ბერიკაცის

სანახავად მოხვედით, ჰა? ოჰო, მარილიანი სახეც რომ გქონია? იმ ფაშფაშა ბებრუხუნა დედაშენს არა ჰგვანებიხარ! მოდი და, როგორც კარგმა პატარა გოგონამ, აკოცე ბებერ პიტს!

მოხვევნა მაინცდამაინც არ ეამა პატარძალს, როგორც მოსალოდნელი გახლავთ ხოლმე გაუპარსავი და თამბაქოთი ახრჩოლებული ბერიკაცების ალერსის შემთხვევაში. მაგრამ გაიხსენა, მის ძმა საუთდაუნსაც რომ ჰქონდა ულვაშები და სიგარასაც ეწეოდა და ბარონეტს საკმაოდ მორჩილად შეუსრულა თხოვნა.

- პიტი დასქელებულა, - ბრძანა ბარონეტმა გრძნობიერების ასე გამომჟღავნების შემდგომ. - ძაან გრძელ ქადაგებებს გიკითხავს, გენცვა? მეასე ფსალმუნს, მწუხრის ჰიმს, ჰა, პიტ? წადი და ერთი ფიალა მალვაზია[28] და ნამცხვარი მოართვი მილედი ჯეინს, ჰოროქს, შე ნამდვილო ყეყეჩო, და ნუ მოგვშტერებიხარ გათქვირებული ღოჭივით! არ გეპატიჟებით დარჩით-მეთქი, ჩემო ძვირფასო. თქვენც ვერას ისიამოვნებთ და არც მე და პიტს გვეჭაშნიკება ერთმანეთი. ერთი ბერიკაცი ვარ - მიყვარს ჩემს ქეიფზე ყოფნა, ჩემი ჩიბუხი და საღამოობით ბეკგემონის თამაში.

- მეც შემიძლია ბეკგემონის თამაში, ბატონო, - მოახსენა ღიმილით ლედი ჯეინმა. - მამიკოს და მის კროულის ვათამაშებოდი ხომე. ხომ, ბატონო კროული?

- ლედი ჯეინმა იცის ის თამაში, ბატონო, რომელსაც თქვენ ბრძანებთ, ასე მიყვარსო, - ამრეზით განაცხადა პიტმა.

- მაგრამ ამა მაგისთვის ხომ არ დარჩება აქ. არა, არა, წადით მადბერის და ხეირი მიეცით ქალბატონ რონსერს ანდა მღვდლის სახლს მიადექით და ბიუტისთან ისადილეთ,. პირდაპირ ცას დაეწევა, ხომ იცით, თქვენი ნახვით; რა მადლიერია, თქვენ რომ ხელთ იგდეთ დედაბრის ფულები... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ზოგი ალბათ ამ სასახლის შეკეთებას მოხმარდება, მე რომ აღარ ვიქნები.

- მე შევნიშნე, ბატონო, - თქვაპიტმა ხმის ამაღლებით, - რომ თქვენი ხალხი ხეებს ჩეხავს.

- დიახ, დიახ, სწორედ ჩინებული ამინდია და შეეფერება კიდეც წლის ამ დროს, - მიუგო სერ პიტმა, რომელიც უცბად დაყრუვდა. - მაგრამ ახლა მოვხუცდი, პიტ. ღვთის წყალობით,

არც შენ გაკლია ბევრი ორმოცდაათს. მაგრამ ყოჩაღად კი გამოიყურება, არა, ჩემო ცუგრუმელა ლედი ჯეინ? მერე ეგ სულ ღვთისმოსაობის, სიფრთხილისა და სულიერი ცხოვრების წყალობით. შემომხედეთ, არც მე მაკლია ბევრი ოთხმოცს... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! - და თან ხითხითებდა, ბურნუთს იყნოსავდა, შესცქნაოდა რძალს და ხელზე ჩქმეტდა.

პიტმა ერთხელ კიდევ ჩამოაგდო მუსაიფი ხეებზე, მაგრამ ბარონეტს მყის ისევ უმტყუნა სმენამ.

- ძალიან დავბერდი და მერე წლეულს სასტიკად შემაწუხა წელკავმა. დიდხანს ვეღარ გავატან, მაგრამ მოხარული ვარ, რომ გნახე, რძალო. მომწონს შენი სახე, ლედი ჯეინ; სულ არა გაქვთ იმ წყეული, ფართოყვრიმალიანი ბინკების იერუ და მე შენ ერთ კოპწია რაღაცას მოგცემ, გეთაყვა, სამეფო კარს წარსადომად. - მერე მიფლატუნდა კარადასთან, საკმაოდ ძვირფასი პატიოსანი თვლების პატარა ძველებური კოლკოფი გამოიღო და დასძინა: - გქონდეს გენაცვალე. ეგ დედაჩემისა იყო, მერე კი პირველ ლედი ბინკის ხვდა. ლაზათიანი თვლებია... რკინეულით მოვაჭრის ქალისთვის არ მიმიცია! არა, არა! აიღეთ და სასწრაფოდ დამალეთ! - თქვა მან, კოლოფი ხელში მიაჩეჩა რძალს და კარადის კარიც მიკეტა, როცა ჰოროქსი შემოვიდა სინითა და საუზმით ხელში.

- რა მიეცი პიტის ცოლს? - დაეკითხა ბაფთებიანი პიროვნება. როცა პიტი და ლედი ჯეინი გამოესალმენ მოხუცს. ეს გახლდათ მის ჰოროქსი, სახლთუხუცესის ქალიშვილი, მთელი საგრაფოს მიტქმა-მოთქმის საგანი; მანდილოსანი, რომელიც ახლა თითქმის განუყოფლად ბრძანებლობდა დედოფლის კროულიში.

ამ ბაფთოსნის აღზევებასა და წარმატებას დიდის უკმაყოფილებით უცქეროდნენ საგაფოსა და ოჯახში. ბაფთოსანმა ანგარიში გაიჩინა შემნახველი სალაროს მადბერის განყოფილებაში; ბაფთოსანმა დაიჩემა პონის ეტლი, რომელიც საერთოდ სასახლის მსახურთა სამარებლად იყო განკუთვნილი და იმით დაბრძანდებოდა ეკლესიაში. შინამოსამსახურეებს თავის ნებაზე ოთხოვდა. შოტლანდიელი მებაღე ჯერ კიდევ შემორჩენოდა სასახლეს; თავი მოსწონდა თავისი ბაღის მწკრივებითა და სათბურებით და საკმაოდ გვარიანი შემოსავალიც ჰქონდა ბაღიდან, რომელსაც იგი ამუშავებდა. მაგრამ ერთ მზიან დილას ბაფთოსანი რომ შეისწრო ატმის

ჭამის დროს და დაუშალა, ჩემს ქონებას რად იტაცებო, სილაქი უთავაზეს. ის და მისი შოტლანდიელი მეუღლე და მისი შოტლანდიელი ბავშვები, დედოფლის კროულის ერთადერთი პატიოსანი ოჯახი, იძულებული გახდა აყრილიყო მთელი თავისი ქონებითა და ბარგიბარხანით და საუცხოო, მყუდრო ბაღი და ყვავილნარები ბედის ანაბარად მიეტოვებინა. საცოდავი ლედი კროულის ვარდნარი საზიზღარ პარტახად იქცა. მხოლოდ ორი-სამი შინამოსამსახურეღა იძუძგებოდა გამოციებულ, პირქუშ, ძველ საჯალაბოში. დაცარიელებული საჯინიბოები და სხვა ნაგებობანი ჩაეკეტათ და ნახევრად ჩანგრეულიყო. სერ პიტი განმარტოებულად ცხოვრობდა, ყოველ ღამე ილეშებოდა ჰოროქსთან, თავის მებუფეტესა და სახლთუხუცესთან (როგორც ახლა უწოდებდნენ მას), და გახრწნილ ბაფთოსანთან ერთად. ძალიან იცვალნენ დრონი მას შემდეგ, რაც ეს დედაკაცი უბრალო ურმით დადიოდა მადბერის და წვრილ ვაჭარ-ხელოსნებს ბატონობით მიმართავდა.

სირცხვილით თუ მეზობლების ათვალწუნების მიზეზით, დედოფლის კროულელი ცინიკოსა ბერიკაცი ახლა თითქმის აღარც გადმოსცდენოდა ხოლმე თავისი პარკის ჭიშკარს - მხოლოდ წერილობით ეჩხუბებოდა ხოლმე თავის რწმუნებულებს და ავიწროებდა მოიჯარეებს. მთელ დღეებს მიწერ-მოწერაში ატარებდა. მასთან რაიმე საქმეზე მოსულ ვექილებსა და ფერმათა მოიჯარეებს ბაფთოსნის გარეშე არ შეეძლოთ მისი ნახვა. იგი მათ მნის ოთახის ზღურბლზე უხვდებოდა, რომელსაც ზურგის კარიდან შემოსულნი ვერ ასცდებოდნენ ხოლმე. ასე და ამრიგად ბარონეტის ყოველდღიურ ჭირვარამი მატულობდა და საზრუნავი საზრუნავს ემატებოდა.

უნდა წარმოიდგინოთ პიტ კროულის ზარდაცემა, როცა მამამისის ბებრული გამოთაყვანების ამბები დარბაისელთა შორის ამ ყველაზე სანიმუშო და წესრიგიანი კაცის ყურს მისწვდა. მას დღენიადაგ აცახცახებდა, მეორე კანონიერ დედინაცვლად ბაფთოსნის გახდომის ამბავიც არ შევიტყოო. იმ პირველი და უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ მამამისის სახელი აღარავის უხსენებია პიტის თავაზიან და სათბო ოჯახში. ეს მათ სახლში შინაურ საიდუმლოს წარმოადგენდა და მთელი ოჯახი ძრწოლითა და დუმილით უვლიდა გვერდს. ლედი საუთდაუნი ხანდახან ეტლით ჩაივლიდა და ჭიშკრის ჯიხურში დასტოვებდა ხოლმე ფრიად ამაღელვებელ

წიგნაკებს. ისეთ წიგნაკებს, რომელნიც პირდაპირ თმას ყალყზე დაგიყენებდნენ. ბიუტის მეუღლე ღამღამობით ხშირად იხედებოდა, ზეცა ხომ არ არის გაწითლებული თელების თავზე, რომლის იქითაც სასახლე იდგა, და შენობას ხანძარი ხომ არ გასჩენიაო. სერ ჯ. უოპშოტმა და სერ ჰ. ფადლსტონმა, ამ სახლის ძველმა მეგობრებმა, აღარ იკადრს მომრიგებელ მოსამართლეთა კვარტალურ სესიებზე სერ პიტთან ერთ მერხზე ჯდომა და საუთემპტონის ჰაი-სტრიტზედაც ხალაღებით იბრუნეს პირი მისგან, როცა ამ სალახანამ თავისი ბინძური, დანაოჭებული ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. მაგრამ არფერი არ უცვლიდა ნირს - ხელები ჯიბეში ჩაიწყო და, თავის ოთხცხენიან ეტლში რომ შებობღდა, სიცილიც წასკდა. მან ლედი საუთდაუნის წიგნაკებზედაც იცოდა ხითხითი და ასევე ხითხითებდა თავის შვილებზე, მთელ სამყაროზე და ბაფთოსანზე, როცა ეს მანდილოსანი ანჩხლობდა, რაიც არა იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

მის ჰოროქსი სახლის მნედ და მეკუჭნავედ დამკვიდრდა დედოფლის კროულიში და მთელ საჯალაბოს დიდის რიხითა და სიმკაცრით განაგებდა. ყველა მსახურს ებრძანა, მისთვის „მემ“ ანდა „მადამ“ ეწოდებინა. ერთი მისგან დაწინაურებული პატარა გომბიო კი დაჟინებით „მილედისაც“ ეძახდა დაამისათვის სულაც არავის დაუტუქსავს.

- ჩემზე უკეთესი ქალბატონებიც ყოფილან და ჩემზე უარესებიც, ჰესტერ, - თავისი ქვეშევრდომის ქათინაურს ასეთი პასუხი გასცა მის ჰოროქსმა.

ასე განაგებდა სახლს, მოეპოვებოდა რა უზენაესი ძალა-უფლება, ყველაზე, გარდა საკუთარი მამისა, რომელსაც მაინც შესამჩნევი ზერიაყობით ეპყრობოდა და აფრთხილებდა, „როგორც ბარონეტის მომავალ მეუღლეს“, ძალიანაც ნუ გამითამამდებიო. მართლაც, მის ჰოროქსი ამ აღზევებულ მდგომარეობაში მყოფის როლს თამაშობდა თავისდა დიდად სასიამოვნოდ და ბებერი სერ პიტის შესაქცევად, რომელიც კუჭკუჭებდა მის მანჭვა-გრეხაზე და საათობით ხარხარებდა მის ბღენძვასა და წარჩინებულთა ყოფა-ქცევის ბაძვაზე. იფიცავდა, სცორედ წარმოდგენასავით საამო საცქერია, დიდებული ბანოვნის როლშიო; ჩააცმევინა პირველი ლედი კროულის სამეფო კარს წარსადგომი კაბა, არწმუნებდა (და მის ჰოროქსიც სრულიად ეთანხმებოდა), ეს სამოსი

განსაცვიფრებლად გიხდებაო, და ემუქრებოდა, ახლავე უნდა გაგაქანო ოთხცხენიანი ეტლით სამეფო კარს წარსადგენადო. ქალმა გადააქოთა ორივე განსვენებული ქალბატონის ტანსაცმლის კარადები და მათი დარჩენილი მოკაზმულობანი თავისი საკუთარი გემოვნებისა და მოყვანილობის შესაბამისად დაანაკუწა და გადააკეთ-გადმოაკეთა. პატიოსანი თვლებისა და სამკაულების დაპატრონებაც ენება, მაგრამისინი მოხუცმა ბარონეტმა საკუთარ კარადაში ჩაკეტა და მის ჰოროქსმა ვერავითარი პირფერობითა და ლაციცობით ვერ გამოსტყუა მისი გასაღები ბერიკაცს. ნამდვილი გახლავთ აგრეთვე, რომ დედოფლის კროულიდან მისი გადაკარგვის შემდგომ ამ მანდილოსნის კუთვნილი რვეული იპოვნეს, რომელიც ცხადჰყოფდა, რომ მას უჩუმრად დიდი ჯაფა დასდომოდა წერის ხელოვნების შესათვისებლად საერთად და კერძოდ კი ლედი კროულის, ლედი ბეტსი ჰოროქსის, ლედი ელიზაბეთ კროულის და სხვათა საკუთარი ხელიღ მოსაწერად.

თუმცა მღვდლის სახლის კეთილი ხალხი არასოდეს დადიოდა სასახლეში და გაურბოდნენ მის პატრონს, ამაზრზენ, გამოთაყვანებულ ბერიკაცს, მაინც დაწვრილებითიცოდნენ ყოველი იქაური ამბავი და ყოველდღე ელოდნენ კატასტროფას, რომელსაც მის ჰოროქსიც სულის კაწკაწით უცდიდა. მაგრამ საქმეში შურიანად ჩაერია ბედისწერა და ხელი შეუშალა ამ უზადო სიყვარულისა და სათნოებისათვის შესაფერისი ჯილდო მიეღო.

ერთ დღეს ბარონეტი განაცვიფრა „მისმა ბრწყინვალებამ“, ხუმრობით რომ ეძახდა მის ჰოროქსს, რომელიც სასტუმრო დარბაზში მისჯდომოდა ძველ, დანჯღრეულ ფორტეპიანოს - ბეკი შარპის შემდეგ თითქმის აღარც არავინ მიჰკარებია მას. ქალი დიდის რიხითა და ამპარტავანი იერით უჯდა ფორტეპიანოს და გაჰკიოდა რაც კი შეეძლო იმ ჰანგების მიბაძვით, ოდესმე რომ მოესმინა. გამორჩეულადსაყვარელი პატარა მოახლე გვერდით ედგა ქალბატონს, სიამისაგან პირდაპირ დნებოდა, აკანტურებდა თავს და გაიძახოდა: „ღმერთო ქალბატონო, ეს რა კარგი რამ არისო“, სწორედ ისე, როგორც წარჩინებულმა პირმოთნეებმა იციან ნამდვილ სასტუმრო დარბაზებში.

ამ სანახაობაზე მოხუც ბარონეტს ჩვეულებისამებრ დიდი ხარხარი აუტყდა. ეს ამბავი ჰოროქსს იმ საღამოს ათჯერ მაინც

უამბო მის ჰოროქსის დიდად შესაჩქვიფებლად. ბერიკაცი უბაგუნებდა თითებს მაგიდას, თითქოს საკრავიაო, და მის ჰოროქსის მიბაძვით გაჰკიოდა სიმღერებს. იფიცავდა, ასე მშვენიერი ხმა უნდა უეჭველად დამუშავდესო და განაცხადა, სიმღერის მასწავლებლები უნდა გიქირავოო, რაიც სრულიად არ სჩვენებია სასაცილოდ ხსენებულ მანდილოსანს. სერ პიტი იმ ღამეს ფრიად კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა; თავის მეგობარსა და სახლთუხუცესთან ერთად არაჩვეულებრივ ბევრი რომი მიირთვა და ერთგულმა მეგობარმა და შინამოსამსახურემ ძალიან გვიან მიაცილა ბატონი თავის საწოლში.

ნახევარი საათის შემდეგ დიდი ალიაქოთი და ფუსფუსი ატყდა სახლში. შუქი დაცარიელებული, მიტოვებული სახლის ხან ერთ ფანჯარაში გამოჩნდებოდა, ხან მეორეში. ჩვეულებრივ კი მხოლოდ ორი-სამი ოთახი თუ ეჭირა პატრონს. უცბად ბიჭი მოაჯდა პონის და მადბერისაკენ გააჭენა ექიმის მოსაყვანად. ხოლო ერთი საათის მერე (რითაც შეგვიძლია დავადასტუროთ, ბიუტ კროულის ჩინებული მეუღლე ყოველთვის რა ბეჯითად ადევნებდა თვალყურს დიდ სახლს), ხის ქოშებში ფეხჩადგმული და ჩადრიან ქუდდახურებული ეს მანდილოსანი, ღირსი მამა ბიუტ კროული და მისი ძე ჯემზ კროული თავიანთი სახლიდან გამოვიდნენ, გამოიარეს პარკი და სასახლეში შედგს ფეხი ღია სადარბაზო კარიდან.

განვლეს შესასვლელი დარბაზი და მუხის მცირე სასტუმრო, რომლის მაგიდაზეც სამი თასი და რომის ცარიელი ბოთლი იდგა, სერ პიტს რომ მიერთმია. იქიდან კი სერ პიტის კაბინეტში შებრძანდენენ, სადაც დაფეთებული მის ჰოროქსი ჰპოვეს - ბოროტმოქმედი ბააფთოსანი, რომელიც გასაღებების გროვით კარადებისა და უჯრების გახსნას ცდილობდა. ტანმორჩილმა მღვდლის ცოლმა შავი ჩადრის ქვეშიდან რომ დაუბრიალა თვალები, შიშისაგან თავზარდაცემულ გოგოს ხელიდან გასცვივდა გასაღებები.

- ერთი დამიხედეთ ამას, ჯეიმზ და ბატონო კროული, - შესძახა მღვდლის ცოლმა და ხელი გაიშვირა შავთვალა, დამნაშავე, შიშისაგან მობღუნძული გომბიოსაკენ.

- თვითონ მომცა, თვითონ მომცა! - შეჰკივლა მან.

- თვითონ მოგცა, შე გარყვნილო არსებავ! - დასწივლა ბიუტის მეუღლემ. - მოწმენი იყავით, ბატონო კროული, რომ ეს

უმაქნისი დედაკაცი თქვენი ძმის ქონებას იპარავდა და უნდა ჩამოახრჩონ, როგორც ყოველთვის ვამბობდი კიდეც!

სრულიად სასომიხდილი, გაოგნებული ბეტსი ჰოროქსი მუხლებზე დავარდა და ცრემლად იღვრებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჭეშმარიტად სათნო დიაცი რომ არა ჩქარობს მიტევებას და რომ მტრის დამდაბლება დიდად ახარებს მის გულს.

- ზარი დარეკე, ჯეიმზ, - თქვა ბიუტის მეუღლემ. - მანმდე რეკე, სანამ ხალხი არ მოიყრის თავს!

დაცარიელებულ ძველ სახლში მობინადრე სამი თუ ოთხი შინამოსამსახურე მყის მოვიდა ზარის ამ გაგრძელებულ ჟღრიალზე.

- ჩაკეტეთ ეგ დედაკაცი ოთახში, - ბრძანა მერე მან. - ჩვენ სწორედ სერ სერ პიტის ძარცვის დროს წავადექით თავს. ბატონო კროული, თქვენ ამის ბრალდების ოქმი შეადგინეთ... თქვენ კი, ბიდოუზ, ხვალ დილას ურმით წაიყვანთ საუთემპტონის ციხეში!

- ჩემო ძვირფასო, - სიტყვა ჩაურთო მსაჯულმა და მოძღვარმა, - მან მხოლოდ...

- აქ ხელბორკილები არსად მოიპოვება? - განაგრძო ბიუტის მეუღლემ და თან ხის ქოშიანი ფეხი დასცა ძირს. - აქ ჰქონდათ ხოლმე ხელბორკილები! სადა გდია ამ გომბიოს საძაგელი მშობელი?

- იმან თვითონ მომცა! - კიდევ შესძახა საბრალო ბეტსიმ, - ხომ ეგრეა, ჰესტერ? ხომ ნახე, რომ სერ პიტმა მომცა... ხომ იცი, იმან თვითონ მომცა, ჯერ კიდევდიდი ხნის წინათ... მადბერის ბაზრობის მეორე დღეს... სულაც არ მინდა ეგენი. აიღეთ, თქვენ გქონდეთ, თუ გგონიათ, რომ ჩემი არ არი!

აქ უბადრუკმა გოგომ ჯიბიდან ამოიღო ხელოვნური პატიოსანი თვლებით შემკული ფეხსაცმლის ერთი წყვილი დიდრონი აბზინდა, რომლებიც ძალიან მოსწონდა და სწორედ ახლახან კიდეც ამოსცქვლიფა კაბინეტის ერთ-ერთი კარადიდან, სადაც ისინი ეწყო.

- ღმერთო ჩემო, როგორ ამოგივიდა პირიდან ეგეთი ბოროტი ტყუილი? - შესძახა პატარა ჰესთერმა, გამორჩევით საყვარელმა

მისმა ხელქვეითმა გოგომ. - და მერე ისიც ასე კარგი და კეთილი ქალბატონი კროულის და მისი მაღალღირსების წინაშე, - თან რევერანსი გაუკეთა, - ჰოდა, შეგიძლიათ მთელი ჩემი კოლოფები გადასინჯოთ, ქალბატონო; აი, ჩემი გასაღებებიც, რადგან, თუმცა ღარიბი მშობლების შვილი ვარ და შრომის სახლში გავიზარდე, პატიოსანი გოგო გახლავართ. და თუ მიპოვნით თუნდაც მაქმანის ერთ საცოდავ ნაკუწს, ანდა ცალ აბრეშუმის წინდას, აღარ მეღირსოს კვლავ ეკლესიაში შესვლა!

- მომეცი აქ ეგ გასაღებები, შე ლირფო, შენა! - წაისისინა სათნო ტანმორჩილმა მანდილოსანმა.

- და აი, სანთელიც არ გახლავთ, ქალბატონო; და გეთაყვათ, ქალბატონო, მე გიჩვენებთ მაგის ოთახს, ქალბატონო, და კარადასაც სახლის მნის ოთახში, ქალბატონო! - წიწინებდა თავგამოდებით პატარა ჰესტერი და თან გაბმით რევერანსებს აკეთებდა.

- კეთილი ინებე და ენა მოიმოკლე. მეც ჩინებულად ვიცი მაგ გომბიოს ოთახი. ქალბატონო ბრაუნ, ქენით სიკეთე და მე წამომყევით; თქვენ კი, ბიდოუზ, თვალი არ მოაშოროთ მაგ დედაკაცს, - ბრძანა ქალბატონმა კროულიმ და ხელში აიღო სანთელი. - ბატონო კროული, თქვენ, სჯობია, ზემოთ აბრძანდეთ და ნახოთ, ხომ არა კლავენ თქვენს უბედურ ძმას! - და ღირსეული მანდილოსანი ქალბატონ ბრაუნის თანხლებით გაემართა იმ ოთახისაკენ, რომელიც, როგორც თვითონვე თქვა, მართლაც რომ ჩინებულად იცოდა სად იყო.

ბიუტი ზევით ავიდა. იქ მადბერიდან მოსული ექიმი დახვდა; დამფრთხალი ჰოროქსი თავს დასდგომოდა სავარძელში მჯდომ თავის ბატონს - ცდილობდნენ სისხლი გამოეშვათ სერ პიტ კროულისთვის.

დილლადრიან ბატონ პიტ კროულისთან საგანგებო შიკრიკი აფრინა მღვდლის მეუღლემ, რომელმაც მბრძანებლობა ითავა და მთელი ღამე უთია ბარონეტს. ბერიკაცი ცოტა მოცოცხლდა - ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ ცნობით კი თითქოს სცნობდა ხალხს. ბიუტის ცოლი ფეხმოუცვლელად ადგა თავს. ამ პატარა ქალს არც რული მოსვლია, არც თავისი შავი, ცეცხლოვანი თვალები მოუხუჭავს, თუმცა ექიმი კი არხეინად ხვრინავდა სავარძელში. ჰოროქსმა თავზეხელაღებით სცადა თავისი ძველი გავლენის აღდგენა და ბატონისათვის ხელის შეშველება,

მაგრამ ქალბატონმა კროულიმ ლოთი ბეხრეკი უწოდა და უბრძანა, ამ სახლში შენი ფეხი აღარ ვნახო, თორემ შენი საზიზღარი ქალიშვილივით გადაგასახლებთო.

ქალბატონის მუქარით შეშინებული ჰოროქსი გაიძურწა და მუხის სასტუმროში ჩავიდა, სადაც ბატონი ჯეიმზი ბრძანდებოდა. მას გაესინჯა იქ მდგარიბოთლი და დაცარიელებული რომ ნახა, ბატონ ჰოროქსს უბრძანა, მეორე ბოთლი რომი მოიტანეო. იმანაც მოართვა სუფთა ჭიქებითურთ და მღვდელი და მისი ვაჟიშვილი მიუჯდნენ სუფრას, ჰოროქსს კი უბრძანეს, გასაღებები ამ წამსვე აქ დააწყვე და ამიერიდან შენი სახე აღარ დავინახოთო.

ასეთი მოპყრობით დამფრთხალმა ჰოროქსმა გასაღებები ჩააბარა; მერე კი ის და მისი ქალიშვილი უჩუმრად გაიძურწნენ ღამეში და დედოფლის კროულიში პარპატზე ხელი აიღეს.

თავი XL - რომელშიაც ოჯახი თავის წევრად სცნობს ბეკის

კროულის მემკვიდრე სწორედ დროზე გამოცხადდა ამ უბედურების შემდეგ და ამიერიდან, შეიძლება ითქვას, გაბატონდა კიდეც დედოფლის კროულიში; რადგან თუმცა მოხუცმა ბარონეტმა კიდევ რამდენიმე თვეს გასძლო, სრულად არც გონება დაჰბრუნებია, არც მეტყველება. მამულის მართვა უფროსი ვაჟის ხელთ გადავიდა. უცნაურ მდგომარეობაში დახვდა საქმეები პიტს. სერ პიტი გამუდმებით ყიდულობდა და აგირავებდა რაღაცას; ოციოდე საქმოსანთან და რწმუნებულთან იყო დაკავშირებული და ყველას ედავებოდა; ედავებოდა აგრეთვე ყველა თავის მოიჯარეს და სასამართლოში ჰქონდა საქმე აღძრული მათ წინააღმდეგ; სასამართლოშივე გახლდათ აღძრული საქმეები ვექილების წინააღმდეგ, მადნის ამოღებისა და დოკებისკომპანიებთან, რომლის მეპატრონეც ის იყო, და ყველა პიროვნებასთან, რომელთანაც კი რაიმე საქმე ჰქონოდა. ამ დავიდარაბაში გარკვევა დამამულის გასუფთავება ვალებისგან სწორედ პუმპერნიკელი ბეჯითი, წესრიგის მოყვარე და მუყაითი დიპლომატის ღირსი ჯაფა გახლდათ და კიდეც ჩაუჯდა

საქმეებს განსაცვიფრებელი ენერგიით. რასაკვირველია, მთელი მისი ოჯახი გადმობარგდა დედოფლის კროულიში, სადაც, რასაკვირველია, ლედი საუთდაუნიც ჩამოჰყვათ. იგი მღვდლის ცხვირწინ შეუდგა მრევლის გადმობირებას და ბიუტის თანამეცხედრის დიდად გასაჯავრებლად და გასარისხებლად თავისი უკუღმართი სასულიერო პირებიც თან მოიძღვანა. სერ პიტს დედოფლის კროულის სამრევლოზე უფლებისათვის ახალი ხელშეკრულება არ ჰქონდა დადებული და, როცა ძველს ვადა გაუვიდოდა, მისმა ბრწყინვალებამ, ლედი საუთდაუნმა, განიზრახა, სამრევლოს მფარველობა თვითონვე ეკისრა და მღვდლად რომელიმე თავისი ახალგაზრდა პროტეჟე დაენიშნა; მაგრამ ამ საგანზე ლაპარაკს დიპლომატმა პიტმა ჯერჯერობით წაუყრუა.

ბიუტის მეუღლის ზრახვები მის ბეტსი ჰოროქსის მიმართ აღარ აღსრულებულა და ის საუთემპტონის სატუსაღოში არ ჩაუგდიათ. სასახლიდან გაძევების შემდგომ მამამისი „ კროულის ღერბს“ დაეპატრონა, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული სერ პიტისაგან. ყოფილმა სახლთუხუცესმა მიწის მცირე ნეკვეთიც შეიძინა და დაბის ხმოსანი გახდა. მეორე ხმა მღვდელსა ჰქონდა და ესენი და ოთხნი სხვანი შეადგენდნენ ამომრჩეველთა ჯგუფს, რომელიც დედოფლის კროულიდან ორ წარმომადგენელს გზავნიდა პარლამენტში.

მღვდლის სახლისა და სასახლის მანდილოსანთა შორის გარეგნულად თავაზიანი ურთიერთობა დამყარდა; ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდათა შორის მაინც, რადგან ბიუტის მეუღლე და ლედი საუთდაუნი ყოველ შეხვედრაზე ჩხუბობდნენ და ბოლოს შეწყვიტეს კიდეც ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. მისი ბრწყინვალება თავისი ოთახიდან აღარ გამოდიოდა, როცა მღვდლის ოჯახის ქალები სასახლეში ესტუმრებოდნენ ბიძაშვილებს. იქნებ არც მაინცდამაინც სწყინდა ბატონ პიტს, სიდედრი რომ ხანდახან არ ჩანდა. იგი დარწმუნებული გახლდათ, ქვეყნიერების ზურგზე ბინკის გვარზე უდიდებულესი, უბრძნესი და უწარჩინებულესი მეორე არ მოიპოვებაო. მის ბრწყინვალებას, დეიდამისს დიდხანსაც მოეპოვებოდა მასზე უდიდესი გავლენა, მაგრამ ხანდახან პიტი გრძნობდა, რომ დედაბერი ძალიან გადაჰფოფრებოდა თავზე. ახალგაზრდად მიჩნევა, უეჭველია, გულში მოუხიცინებს კაცს, მაგრამ ორმოცდაექვსი წლის ასაკში რომ კლავ პატარა ბიჭივით გეპყრობიან, ეს კი ვერაფერი სასიამოვნოა. ლედი ჯეინი მაინც

ყველაფერში დედას ემორჩილებოდა. მხოლოდ თავისი ბავშვების სიყვარულს ინახავდა გამორჩევით. მისდა საბედნიეროდ, ლედი საუთდაუნის მრავალმხრივი მოღვაწეობა - მისი თათბირები მღვდლებთან, მიწერ-მოწერა აფრიკის, აზიისა და ავსტრალიის ყველა მისიონერთან და სხვა - ღირსპატივცემულ ბანოვანს იმდენად დიდ დროს ართმევდა, რომ პატარა შვილიშვილებს მატილდასა და პიტს ჯეროვნად ვეღარ უვლიდა. პატარა ბიჭი ძალიან კანტი და სუსტი ბავშვი იყო და მხოლოდ კალომელის[29] განსაცვიფრებლად დიდი რაოდენობის წყალობით ახერხებდა ლედი საუთდაუნი მის ცოცხლად გადარჩენას.

რაც შეეხება სერ პიტს, იგი სწორედ იმ ოთახში გადაიყვანეს, სადაც წინად ლედი კროულიმ განუტევა სული და იქ, დაწინაურების დიდი მოსურნე მის ჰესტერი მოუწყინარი მზრუნველობითა და გულმოდგინებით უვლიდა. რა სიყვარული, რა ერთგულება, რა თავდადება შეეწონება კარგი ქირით აყვანილი მომვლელის ხელს? ისინი უსწორებენ ბალიშებს და უკეთებენ არაურუტს[30], ისინი დგებიან ღამღამობით, ითმენენ წუწუნსა და ბუზღუნს, ხედავენ მოკაშკაშე მზეს და გარეთ კი არ მიუწევთ გული, სძინავთ სავარძელში და გადმარტოებით შეექცევიან თავიანთ იჯრას, ისინი გრძელ, გრძელ საღამოებს ატარებენ უქმად - დაშტერებიან ნაკვერცხლებს და ყურს უგდებენ ავადმყოფის სასმელი როგორ სისინებს ცეცხლზე; მთელ კვირას კითხულობენ საკვირაო გაზეთს და „კანონის სერიოზული მოწოდება“ და „ადამიანის მთელი მოვალეობა“ წარმოადგენს მათთვის მთელი წლის საკითხავ ლიტერატურას - და ჩვენ კი ვტუქსავთ მათ, როცა კვირაში ერთხელ ნათესავები მოუვათ სანახავად და ცოტაოდენ ჯინს გააცოცებენ კალათით. მანდილოსანნო, ადამიანის რა სიყვარული გაყძლებს თუნდაც თავისი სატრფიალო საგნის ერთ წელიწადს მოვლას მაშინ, როდესაც მომვლელი ქალი კვარტალში ათ გირვანქა სტერლინგად დაგიდგებათ და კიდევ გგონიათ, ძალიან ბევრს ვიხდითო. ყოველშემთხვევაში, ბატონი კროული საკმაოდ ბევრს ბუზღუნებდა, ამის ნახევარს რომ უხდიდა მის ჰესტერს, ბარონეტის, მამამისის, თავს გამუდმებით დგომისათვის.

მზიან ამინდში მოხუცი ტერასაზე გამოჰყავდათ გოგორებიანი სავარძლით. სწორედ იმ სავარძლით, რომელიც მის კროულის ჰქონდა ბრაიტონს და რომელიც იქიდან ლედი საუთდაუნის

ზოგ ბარგიბარხანასთან ერთად გადმოტანილი იქნა დედოგლის კროულის. ლედი ჯეინი სეირნობის დროს ყოველთვის თან ახლდა მოხუცს და იგი აშკარად გამოსარჩენად საყვარელი ადამიანიც იყო მისთვის. ბერიკაცი წანდაუწუმ სიამით უკანტურებდა თავს და უღიმოდა, როცა რძალი შემოვიდოდა ოთახში და შესაბრალისად ლუღლუღებდა და ოხრავდა, როცა გარეთ გავიდოდა. კარი რომ მოიხურებოდა მის ზურგს უკან, მოხუცს გული ამოუჯდებოდა და სლუკუნებდა; ხოლო ჰესტერის სახე და ქცევა, რომელიც, სანამ ქალბატონი ოთახში ბრძანდებოდა, მუდამ უზომოდ ალერსიანი და სათნო გახლდათ, მყის იცვლებოდა - ეჭყანებოდა ავადმყოფს, მუშტებს უღერებდა და დასჭყიოდა: - ენა მუცელში ჩაიგდე, შე გამოთაყვანებულო ბებერო! - და მის სავარძელს მაშინვე მოაშორებდა ცეცხლს, რომლის ცქერაც საწყალს უყვარდა - ამაზე ხომ კიდევ უფრო უმატებდა საბრალო ტერილს.

აი, ესღა დარჩა სამოცდაათ წელიწადზე მეტი გაიძვერობისა და აყალმაყალისაგან, ლოთობისა და ხრიკიანობისაგან, ცოდვიანობისა და თავკერძაობისაგან - ეს ფშლუკუნა, მტირალა ბებერი ყეყეჩი, რომელსაც აწვენდნენ, წმენდდნენ და ჰკვებავდნენროგორც თოთო ბალღს!

ბოლოს დადგა დღე, როცა მომვლელის საქმიანობა დასრულდა. დილაადრიან, პიტ კროული რომ სახლთუხუცესისა და მოურავის დავთრებს უჯდა კაბინეტში, კარზე დააკაკუნეს; ჰესტერი გამოეცხადა, რევერანსი გაუკეთა და სხაპასხუპით მიაყარა: - ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, სერ პიტ, სერ პიტი გარდაიცვალა ამ დილით, სერ პიტ. პურს ვუბრაწავდი, სერ პიტ, ფაფისათვის, სერ პიტ, ყოველ დილით რომ მიირთმევდა ხოლმე ექვს საათზე, სერ პიტ, და... თითქოს რაღაც კვნესასავით მომესმა, სერ პიტ... და... და...

და კიდევ გაუკეთა ერთი რევერანსი.

რამ ააწითლა ასე პიტის ფერმკრთალი სახე? იმან ხომ არა, რომ იგი ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, სერ პიტი გახდა და მოიპოვა ადგილი პარლამენტში და ეგებ სამომავლო პატივის სხვა იმედებიც გამოუჩნდა? „ახლა კი ნაღდი ფულით გავწმენდ მამულს ვალებისაგან“, - გაიფიქრა მან და მსწრაფლ გამოიანგარიშა მისი დავალიანებანი და განზრახულ გაუმჯობესება-შეკეთებათა ხარჯები. მას აქამდე არ გამოეყენებინა მამიდის ფულები, ეგებ სერ პიტი გამობრუნდეს

და ჩემი ხარჯები წყალში ჩამეყაროსო.

სასახლესა და მღვდლის სახლში ყველა ფარდა ჩამოუშვეს. ეკლესიაში გლოვის ზარს რეკავდნენ და საკურთხეველი შავად შემოსეს. ბიუტ კროული აღარ წასულა მწევრებით ნადირობაზე, არამედ მშვიდად ისადილა ფადლსტონს, სადაც პორტვეინის სმის დროს მის გარდაცვლილ ძმასა და ახალგაზრდა სერ პიტზე მუსაიფობდნენ. მის ბეტსიმ, რომელიც საამდროოდ უკვე მადბერელი მეუნაგრის ცოლი გახლდათ, საკმაოდ ბევრი იტირა. ოჯახის ექიმი მოვიდა, თავაზიანი ქათინაურები ჰკადრა მანდილოსნებს და მათ ბრწყინვალებათა ჯანმრთელობა მოიკითხა. გარდაცვალების თაობაზე ლაპარაკობდნენ მადბერიში და „კროულის ღერბშიაც“. დუქნის პატრონი ბოლო ხანებში შეურიგდა კიდეც მეუღლეს, რომელიც ხანდახან შეუვლიდა ხოლმე და იგემებდა ბატონი ჰოროქსის თხელს ლუდს.

- მე მივწერო თქვენს ძმას... თუ თქვენ თვითონ მისწერთ? - შეეკითხა ლედი ჯეინი ქმარს, სერ პიტს.

- რასაკვირველია, მე მივწერ, - ბრძანა სერ პიტმა, - და მოვიწვევ დაკრძალვაზე - წესია და რიგი!

- და... და... მისი მეუღლეც... - თქვა ლედი ჯეინმა რიდით: - ჯეინ! - შეჰყვირა ლედი საუთდაუნმა, - როგორ მოგივიდა თავში ეგ აზრი?

- რასაკვირველია, როუდონის მეუღლეც უნდა მოვიწვიოთ, - განაცხადა სერ პიტმა მტკიცედ.

- არასოდეს, სანამ მე ამ სახლში ვარ! - ბრძანა ლედი საუთდაუნმა.

- თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილ ინებოს და გაიხსენოს, რომ მე გახლავართ ამ ოჯახის უფროსი, - მიუგო სერ პიტმა. - ლედი ჯეინ, გეთაყვა, თქვენ როუდონის მეუღლეს მისწერეთ წერილი და სთხოვეთ ამ სამგლოვიარო შემთხვევის გამო ჩამობრძანდეს.

- ჯეინ, ხელი არ ახლო საწერ-კალამს! - დასჭყივლა ლედი საუთდაუნმა.

მე მგონი, მე ვარ ოჯახის უფროსი, - გაიმეორა სერ პიტმა, - და რა სანანურიც არ უნდა იყოს ჩემთვის თქვენი ბრწყინვალების

ამ სახლიდან წაბრძანება, მაინც ნება მიბოძეთ, ისე განვაგო ჩემი ოჯახი, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ!

ლედი საუთდაუნი ისეთი დიდებული იერით წამოდგა, ვითარცა ქალბატონი სიდონზი[31] ლედი მაკბეთის როლში და ბრძანა, ცხენები შემიბმევინეთ ეტლშიო. თუ სიძე და ქალი მაგდებენ სახლიდან, ჩემს მწუხარებას სადმე განმარტოებით დავმალავ და ვთხოვ ღმერთს, უკეთესი ფიქრები ჩაგინერგოთო.

- ჩვენ არ გაგდებთ სახლიდან, დედიკო, - შეჰღაღადა მოკრძალებულმა ლედი ჯეინმა ვედრებით.

- თქვენ ისეთ ხალხს იწვევთ აქ, რომ არც ერთ ქრისტიან მანდილოსანს არ შეშვენის მათთან შეყრა! ხვალ დილითვე მზად იყოს ჩემი ეტლი!

- კეთილი ინებეთ, ჯეინ, და ჩემი კარნახით დასწერეთ, - თქვა სერ პიტმა, თან წამოდგა და ისეთი მბრძანებლური იერი მიიღო, როგორც გამოფენაზე გამოტანილ „დარბაისლის პორტრეტსა“ აქვსს. - დაიწყეთ: „დედოფლის კროული,1822 წლის 14 სექტემბერი. - ჩემო ძვირფასო ძმაო...“

ყური მაჰკრა რა მტკიცე ხმით წარმოთქმულ ამ საშინელ სიტყვებს, ლედი მაკბეტი, რომელიც სიძის მხრით სისუსტის, ქედმოხრის ანდა შეყოყმანების ნიშანს მაინც ელოდა, შეშინებული სახით წამოხტა და გავარდა ბიბლიოთეკიდან. ლედი ჯეინმა ქმარს შეხედა; თითქოს უნდოდა წაყოლოდა დედიკოს და ენუგეშებინა, მაგრამპიტმა აუკრძალა ცოლს: ადგილიდან არ დაიძრაო.

- არ წავა, - უთხრა მან. - თავისი სახლი ბრაიტონში გაქირავებული აქვს და უკანასკნელი ნახევარი წლის შემოსავალიც უკვე შემოეხარჯა. ფუნდუკში დაბინავებული გრაფის მეუღლის საქმე კი ხელიდან წასულია! დიდხანს ველოდი ხელსაყრელ შემთხვევას ამ... ამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად, ჩემო ძვირფასო. რადგან, როგორც მოგეხსენება, შეუძლებელია ოჯახში ორი უფროსი. ახლა კი, გეთაყვა, განვაგრძოთ კარნახი. „ჩემო ძვირფასო ძმაო, სამგლოვიარო ამბავი, რომელიც, მოვალე არ, ვაუწყო ჩემი ოჯახის წევრებს, დიდ ხანია მოსალოდნელი იყო“ და სხვ.

ერთი სიტყვით, პიტი რომ თავის საბრძანებელს დაეპატრონა

და კეთილი ბედის თუ, როგორც თვითონ თვლიდა, დამსახურების წყალობით თითქმის მთელი ის ქონება მოიპოვა, რაც სხვა ნათესავებს უნდა რგებოდა, მან გადწყვიტა, ოჯახის წევრებს კეთილად და თავაზით მოჰყრობოდა და დედოფლის კროულის სახლი ერთხელ კიდევ განედიდებინა. ეამებოდა იმის ფიქრი, რომ ია ბრძანდებოდა ოჯახის მეთაური. განიზრახა, უდიდესი გავლენა, რომელიც შესანიშნავი ნიჭისა და მდგომარეობის წყალობით მალე უნდა მოეპოვებინა საგრაფოში, ძმის კარგ ადგილზე მოწყობისა და ბიძაშვილების რიგიანად უზრუნველყოფისათვის გამოეყენებინა. ეგებ ცოტა სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა, როცა გულში გაივლებდა, რომ სულ თვითონ დაეპატრონა ყველაფერს, რაზედაც მათ თვალი ეჭირათ. სამ-ოთხ დღეს მეფობის შემდგომ მისი ქცევის გეზი შეიცვალა და გეგმები სრულიად დადგინდა: გადაწყვიტა, სამართლიანად და პატიოსნად განეგო სახლი, ლედი საუთდაუნი გადაეყენებინა და, რაც კი შეიძლებოდა, მეგობრულ განწყობილებაში ყოფილიყო ყველა თავის სისხლით ნათესავთან.

ამ ფიქრით გამსჭვალული კარნახობდა თავის ძმა როუდონისადმი წერილს - საზეიმო და ნატიფი ენით შეთხზულ უსტარს, რომელიც ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე დაფუძნებულ უღრმეს აზრებს შეიცავდა და განაცვიფრებდა მიამიტ პატარა მდივანს, ქმრის ბრძანებით რომ წერდა. „ რა ორატორი იქნება, თემთა პალატაში რომ შევა, - ფიქრობდა იგი (ამ საგანზე და ლედი საუთდაუნის მტარვალობაზე პიტი ხანდახან გადაუკრავდა ხომე სიტყვას ლოგინში): - რა ჭკვიანი, კეთილი და რა გენიოსია ჩემი ქმარი! მე ცოტა გულცივი მეგონა, მაგრამ ეს რა კეთილი და რა გენიოსი ყოფილა!“

საქმე ის გახლავთ, რომ პიტ კროულიმ იმ წერილის ყოველი სიტყვა ზეპირად იცოდა და დიპლომატიური საიდუმლოებით ღრმად და სრულყოფილად ჰქონდა დამუშავებული დიდი ხნის წინათვე, სანამ საჭიროდ მიიჩნევდა გაოცებული მეუღლისათვის მის განდობას.

მაშასადამე, ეს წერილი, ვეება შავარშიაშემოვლებული და ბეჭდით დალუქული, სერ პიტ კროულიმ თავის ძმა პოლკოვნიკს გაუგზავნა ლონდონს. როუდონ კროულის მხოლოდ სანახევროდ ეამა მისი მიღება. „რას მარგებს იმ მიყრუებულ კუთხეში წასვლა? - გაიფიქრა მან. - ნასადილევს

პიტთან ჯდომას ვერ გავუძლებ; იქით-აქეთ მგზავრობა კი ოცი გირვანქა სტერლინგი მაინც დამიჯდება“.

წერილი, როგორც მუდამ სჩვეოდა ყოველ გასაჭირში, საწოლში ზემოთ აუტანან ბეკის შოკოლადითურთ, რომელსაც ყოველ დილით თვითონვე უმზადებდა და მიართმევდა ხოლმე. საუზმიანი და წერილიანი სინი მაგიდაზე დაუდო, რომლის წინაც ბეკი ქერა თმას ივარცხნიდა. ცოლმა აიღო შავარშიანი ბარათი, ჩაიკითხა და „ვაშას“ ძახილით წამოხტა; თან ხელში წერილს აფრიალებდა.

- ვაშა? - იკითხა სახტად დარჩენილმა როუდონმა, რომელიც გაოგნებული ადევნებდა თვალს გაფრიალებულ ფანელის ხალათიანი, ქერა-მოწითალო კულულებგაჩეჩილი, ტანმორჩილი ქალის კუნტრუშს. - იმან ხომ არაფერი არ დაგვიტოვა ჩვენ, ბეკი! ჩემი წილი სრულწლოვანად გახდომის დროსვე მივიღე!

- შენ ვერასოდეს ვერ გახდები სრულწლოვანი, შე ტუტუცობებრუცუნავ, - მიუგო ბეკიმ. - გაიქე ახლავე მადამ ბრიუნუასთან, რამე სამგლოვიარო კაბა ხომ მინდა, და შენი ქუდისთვის შავი საბაფთე და შავი ჟილეტიც იშოვნე - არააა მგონია, რომ გქონდეს. უთხარი, ხვალ დილით მოგვიტანონ; ისე, რომ ხუთშაბათს გამგზავრება შეგვეძლოს!

- განა წასვლას ფიქრობ? - სიტყვა ჩამოართვა როუდონმა.

- რასაკვირველია, ვფიქრობ! მე ვფიქრობ, რომ გაისად ლედი ჯეინი სამეფო კარზე წარმადგენს. მე ვფიქრობ, რომ შენი ძმა პარლამენტში ადგილს მოგცემს, შე გამოყეყეჩებულო ბებრუცუნა! მე ვფიქრობ, რომ ლორდი სტაინი შენს და მის ხმებს მოიპოვებს, ჩემო ძვირფასო, ჩერჩეტუნა ბერიკაცო, და შენ გახდები ან ირლანდიის საქმეთა მინისტრი, ან უესტ-ინდოეთის გუბერნატორი, ან ხაზინადარი, ან კონსული, ან კიდევ სხვა ამგვარი რამ!

- ფოსტის ცხენები ოთუსბირი დაგვიჯდება, - წაიბუზღუნა როუდონმა.

- ჩვენ შეგვიძლია საუთდაუნის ეტლით ვისარგებლოთ - მისი ეტლი მაინც უნდა დაესწროს დაკრძალვას, რადგან ოჯახის ნათესავია. მაგრამ არა... მე მინდა საფოსტო ეტლით წავიდეთ. იმათ ეს უფრო ეამებათ - უფრო მოკრძალებული ქცევა იქნება!

- რა თქმა უნდა, როუდიც წამოვა, - თქვა პოლკოვნიკმა.

- არა, ეგ არ ივარგებს. რატომ უნდა გადავიხადოთ ერთი ზედმეტი ადგილის ფული? ის ახლა საკმაოდ დიდია და მე და შენ შორისაც არ ჩაეტევა. დაე, აქ დარჩეს და ბრიგზი შავ ტანისამოსს შეუკერავს. შენ წადი და, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი. მერე კიდევ, კარგი იქნება, თუ სპარკს, შენს პირისფარეშს, ეტყვი, მოხუცი სერ პიტი მოკვდა და საქმეები რომ მოწესრიგდება, საკმაოდ ბევრი შეიძლება მერგოს-თქო. იგი ამას რეგლზს ეტყვის, ფულს რომ გთხოვდა დაჟინებით, და ცოტა მაინც დაშოშმინდება საცოდავი ბერიკაცი. - და ბეკი შეუდგა შოკოლადის სვრეპას.

როცა ერთგული ლორდი სტაინი მობრძანდა საღამოს, ბეკი და მისი კომპანიონი ქალი, რომელიც სწორედ ჩვენი მეგობარი ბრიგზი გახლდათ და სხვა არავინ, გართული იყვნენ სამგლოვიარო მდგომარეობისათვის გამოსადეგი ყოველნაირი ჯურის შავი ქსოვილების რჩევისა, ფრეწა-გლეჯასა, რღვევასა და ჭრაში.

- ქალბატონო ბრიგზი და მე შთაცვივნული ვართ დიდ ურვასა და მწუხარებაში ჩვენი მამიკოს სიკვდილის გამო. - მოახსენა რებეკამ. - სერ პიტ კროული გარდაიცვალა, მილორდ. ჩვენ მთელი დილა თმებს ვიგლეჯდით, ახლა კი ჩვენი სამოსის გლეჯას შევუდექით.

- ოჰ, რებეკა, რას ამბობ!.. - ესღა ამოსთქვა ბრიგზმა დათვალები ზეცას აღაპყრო.

- ოჰ, რებეკა, რას ამბობ!.. - გაიმეორა მილორდმაც. მაშ იმ ბებერმა არამზადამ სული გააფრთხო, ჰა? შეეძლო პერიც კი გამხდარიყო, ჭკუა რომ ეხმარა. ბატონმა პიტმა კინაღამ გახადა კიდეც, მაგრამ ყოველთვის უდროო დროს ღალატობდა თავის პარტიას. რა ბებერი სილენოსი[32] იყო!

- შეიძლებოდა იმ სილენოსის ქვრივი ვყოფილიყავი, - თქვა რებეკამ. - გახსოვთ, ქალბატონო ბრიგზ, კარის ჭუჭრუტანაში რომ შემოჭყიტეთ და ბებერი სერ პიტი ჩემს წინაშე მუხლმოყრილი რომ დაინახეთ?

ამ მოგონებაზე ჩვენს ძველ მეგობარს, მის ბრიგზს, ალმური ავარდა ღაწვებზე და გაეხარა, როცა ლორდმა სტაინსმა სთხოვა, ქვემოთ ჩადი და ჩაი მომიტანეო.

ბრიგზი გახლდათ სახლის ის ნაგაზი, რებეკამ რომ იშოვა თავისი უმანკოებისა და პატიოსანი სახელის მცველად. მის კროულიმ ბრიგზს მცირე წლიური შემოსავალი უანდერძა. იგი სიამოვნებით დარჩებოდა კროულის ოჯახში ლედი ჯეინთან, რომელიც გულკეთილად ეპყრობოდა მას და ყველა სხვასაც; მაგრამ ლედი საუთდაუნმა მაშინვე დაითხოვა საბრალო, როგორც კი ზრდილობის წესებმა ამის საშუალება მისცა. ბატონ პიტსაც (რომელსაც დიდად შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი განსვენებული ნათესავის არამკითხე ხელგაშლილობის გამო იმ მანდოლოსნის მიმართ, მხოლოდ ოციოდე წელიწადი რომ ერთგულად ემსახურა მის კროულის) კრინტი არ დაუძრავს ქვრივის განკარგულების საწინააღდეგოდ. ბოულზმა და ფერკინმაც ასევე მიიღეს მემკვიდრეობის თავიანთი წილი და დათხოვნილიც იქნენ; მერე ოქორწინეს და, ვითარცა მათი ჯურის ადამიანების წესია, ავეჯის საქირაო ბინები გამართეს.

ბრიგზმა სცადა ნათესავებთან ეცხოვრა სოფლად, მაგრამ მიხვდა, რომ უკეთეს საზოგადოებას ნაჩვევისთვის ამაო იყო ეს ცდა. ეს ნათესავები, პატარა ქალაქის წვრილი ვაჭარ-ხელოსნები, მის ბრიგზის ორმოცი გირვანქა სტერლინგის წლიური შემოსავლისთვის ასევე გამწარებით და უფრო დაუფარავადაც ქიშპობდნენ, ვიდრე მის კროულისშინაურები იმ ბანოვნის მემკვიდრეობის გულისთვის. ბრიგზის ძმა, რადიკალი მექუდე და ბაყალი, დას ჯიბესქელ, ამპარტავან არისტოკრატს ეძახდა, რადგან საწყალმა ქალმა თავისი კაპიტალის ნაწილი მისი დუქნის საქონელში არ დააბენდა. თვითონ მის ბრიგზი, ფრიად შესაძლოა, გაიღებდა კიდეც ამ ფულს, რომ მათი და არა, დისიდენტი[33] მეწაღის მეუღლე, რომელიც სხვა ეკლესიაში დამავალ მექუდესა და ბაყალს ემდუროდა. ამ დამ ჩააგონა, ჩვენი ძმა გაკოტრების არისა, და ერთ ხანს დაეპატრონა კიდეც ბრიგზს. დისიდენტ მეწაღეს ნებავდა ქალბატონ ბრიგზს მისი ძე გაეგზავნა კოლეჯში სასწავლებლად და მისგან წარჩინებული დარბაისელი გამოეყვანა. ამ კინკლაობაში ორივე ოჯახმა მისი დანაზოგის დიდი ნაწილი იგდო ხელთ; ბოლოს კი ბრიგზმა მაინც ლონდონს მიაშურა და თან ორივე ოჯახის წყევლა-კრულვა წაიყოლა. გადაწყვიტა ისევ მონობის უღელი დაედგა, რადგან ის უფრო ნაკლებ სამძიმოდ ეჩვენებოდა, ვიდრე თავისუფლება. გამოაცხადა გაზეთებში, რომ „საუკეთესო საზოგადოებას ნაჩვევი წესიერი და საამო ყოფა-ქცევის

მანდილოსანი იყო“ და სხვ. იგი ბატონ ბოულზთან დაბინავდა ჰავ-მუნ-სტრიტში და დაუწყო ლოდინი განცდების შედეგს.

ისე მოხდა, რომ ერთხელ რებეკას შეეხეჩა გზაში. ქალბატონი კროული თავის პატარა პონებიან ეტლს თავქუდმოგლეჯით მოაგელვებდა ქუჩაში სქორედ მაშინ, როცა მისავათებულმა ქალბატონმა ბრიგზმა ბატონი ბოულზის კარს მიაღწია სიტიში, „ტაიმის“ რედაქციაში დამქანცველი მგზავრობის შემდეგ, რათა განცხადება მეექვსეჯერ მოეთავსებინა გაზეთში. ბეკი თვითონ მართავდა ეტლს, მაგრამ მყის იცნო თავაზიანი ყოფაქცევის მანდილოსანი და რადგან, როგორც მოგახსენეთ, რებეკა ძალიან გულკეთილი ქალი იყო და ბრიგზიც არ ეჯავრებოდა, პონები შეაყენა შესასვლელთან, სადავეები მეეტლეს მიუყარა, გადმოცქრიალდა ეტლიდან და სანამ თავაზიანი ქცევის მანდილოსანი ძველი ნაცნობის ხილვით გაოგნებისაგან გონს მოვიდოდა, ბრიგზის ორივე ხელი უკვე ჩაბღუჯული ჰქონდა.

ბრიგზს ტირილი წასკდა, ხოლო რებეკამ ბევრი იკისკისა და, როგორც კი ფეხი შედგეს ტალანში, ჩაჰკოცნა დარბაისელი მანდილოსანი. იქიდან ქალბატონ ბოულზის წინა სასტუმროში შევიდნენ. ოთახში ნახევარშასლის წითელი ფარდები და მრგვალი სარკე ეკიდა. სარკეს ზემოდან ბორკილებიანი არწივი აჯდა, რომელიც ფანჯარაში გამოკრულ განცხადების ზურგს უყურებდა. განცხადება იუწყებოდა, „ბინები ქირავდებაო“.

ბრიგზმა უამბო მთელი თავგადასავალი იმ სრულიად უნებური გულამომჯდარი სლუკუნითა და განცვიფრების შეძახილებით, რომლითაც მისებური გულჩვილი ბუნების ქალები მიესალმებიან ხოლმე ძველ ნაცნობებს, ანდა განიცდიან ქუჩაში ნაუცბათევ შეხვედრას. მართალია, ხალხი ყოველდღე ხვდება ერთმანეთს, მაგრამ ზოგს მაინც ყოველი შეხვედრა რაღაც სასწაულად ეჩვენება და ქალები, თუნდაც რომ მათ ერთმანეთი სძულდეთ, როცა შეიყრებიან, ტირილს მოჰყვებიან და სინანულით იგონებენ იმ დროს, უკანასკნელად რომ იჩხუბეს. ერთი სიტყვით, ასე უამბო ბრიგზმა მთელი თავგადასავალი და ბეკიმაც ჩვეული გულწრფელობითა და შეუფერაობით - საკუთარი ცხოვრების ამბავი.

ქალბატონი ბოულზი, ფერკინ-ყოფილი, ტალანში დადგა და წარბშეჭმუხვნილი უგდებდა ყურს წინა სასტუმრო ოთახში გამართულ ისტერიკულ ხვნეშა-სლუკუნსა და ხითხითს. ბეკი არასოდეს არ მოსდიოდა თვალში. ქორწინების შემდეგ

ლონდონში დაფუძნებული ცოლ-ქმარი ხშირად დადიოდა სტუმრად რეგლზების სახლის ძველ მეგობრებთან და, მასპინძლები რომ უამბობდნენ, არ მოსწონდათ პოლკოვნიკის menage[34].

- მე ვერ ვენდობი მათ, რეგ, გენაცვა, - შენიშნა ბოულზი.

მისი ცოლიც, ქალბატონი კროული რომ გამოვიდოდა სასტუმრო ოთახიდან, მხოლოდ ძალიან უკმეხი რევერანსით მიესალმებოდა ამ მანდილოსანს. ხოლო როცა პოლკოვნიკის მეუღლე დაჟინებით მოინდომებდა ყოფილი პირისფარეშისათვის ხელის ჩამორთმევას ჩამორთმევას, ქალბატონი ბოულზი, მართალია, გაუწვდიდა ხათრით, მაგრამ ეს ხელი ისე ცივი და უსიცოცლო გახლდათ, გეგონებოდათ თითების მეგიერ ხუთი წვრილი ძეხვი აბიაო. რებეკამ პიკადილისაკენ გააქროლა ეტლი, თან უტკბესი ღიმილით თავს უქნევდა მის ბრიგზს, რომელიც ფანჯარაში გამოკრული განცხადების გვერდით იდგა და ასევე უკანტურებდა თავს. სულ მალე ბეკიმ უკვე პარკში ამოჰყო თავი და ექვსიოდე დარდიმანდი მაინც დაათოხარიკებდა ბედაურებს მისიეტლის გარშემო.

როცა რებეკამ შეიტყო, რა ყოფაში იყო მისი მეგობარი და რაკი მის კროულისაგან დატოვებული მცირე შემოსავალიც მოეპოვებოდა და ჯამაგირის საკითხი იმდენად არ აწუხებდა ჩვენს დარბაისელ მანდილოსანს, ბეკის მყის დააწყო ერთი პატარა სასიკეთჯ გეგმა: სწორედ ასეთი კომპანიონი ქალი შეეფერებოდა მის ოჯახს და კიდეც მიიწვია მის ბრიგზი სადილად იმავე საღამოს, რათა თავისი ღვირფასი პატარა თვალისჩინი ეჩვენებინა მისთვის.

ქალბატონმა ბოულზმა გააფრთხილა თავისი მობინადრე, ლომის ბუნაგში თავს ნუ შეყოფო.

- მერე ინანებთ, ქალბატონო ბრიგზ; დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ეგ ისევე აშკარაა, როგორც ის, რომ ჩემი გვარი ბოულზია.

ბრიგზიც შეპირდა, ძალიან ფრთხილად ვიქნებიო. ამ სიფრთხილის შედეგი ის გახლავთ, რომ მეორე კვირაში ქალბატონ კროულისთან გადაბარგა საცხოვრებლად, ხოლო ექვს თვესაც არ გაევლო, რომ ექვსასი გირვანქა სტერლინგიც ასესხა როუდონ კროულის.

თავი XLI - რომელშიაც ბეკი კვლავ ესტუმრება თავის მამა-პაპათა სახლს

სამგლოვიარო ტანსაცმელი რომ გამზადდა და სერ პიტ კროულიც გააფრთხილეს, მოვდივართო, პოლკოვნიკმა კროულიმ და მისმა მეუღლემ ორი ადგილი შეიძინეს ჰაი-ფლაიერის იმავე ძველი დილიჟანსისა, რომლითაც რებეკამ იმგზავრა განსვენებულ ბარონეტთან ერთად, როცა პირველად გამოდიოდა საზოგადოებაში ამ ცხრაოდე წლის წინათ. რა კარგად ახსოვდა სასტუმროს ეზო და მეჯინიბე, რომელსაც ფული არ მისცა; აგრეთვე შემპარავი კემბრიჯელი ყმაწვილი, მგზავრობის დროს თავის წამოსასხამში რომ ფუთნიდა მას. როუდონმა გარე ადგილი დაიჭირა და მგლოვიარება რომ არა, სიამოვნებით თვითონ დაუწყებდა მართვას ცხენებს. იგი იჯდა მეეტლეს გვერდით და მთელი მგზავრობა ცხენებსა და გზაზე ლაპარაკობდა: ვის ეჭირა ფუნდუკები, ვისი ცხენები ება ეტლში, რომლითაც ამდენჯერ უმგზავრია მას, როცა ის და პიტი პატარა ბიჭობაში იტონს დადიოდნენ. მადბერიში წყვილცხენიანი ეტლი დახვდათ შავოსანი მეეტლითურთ.

- ეს ის ძველი დანჯღრეული ეტლია, როუდონ, - თქვა რებეკამ, შიგ რომ ჩასხდნენ. - ჩრჩილს გვარიანად ამოუჭამია ქსოვილი... აი, ლაქაც, რისთვისაც სერ პიტმა... ოჰო! რიკინა-კავეულის მოვაჭრე დოსონს დუქანი მიუკეტა... - სერ პიტმა რომ ისეთი აყალმაყალი ატეხა. ეგ ხომ ის ალუბლიანი ნაყენის ბოთლი იყო, მამიდაშენისთვის რომ მოვიტანეთ საუთემპტონიდან და თვითონ სერ პიტმა რომ გატეხა! როგორ მიჰქრის დრო, მართლაც? ვითომ ეზ ზორბა გოგო, კოტეჯის წინ დედამისთან რომ დგას, პოლი ტოლბოისია? მახსოვს რა ქეციანი პატარა ჭინკა იყო, ბაღს რომ მარგლავდა.

- მშვენიერი გოგოა, - თქვა როუდონმა და შავბაფთიან ქუდზე ორი თითის მიდებით სალამი დაუბრუნა კოტეჯის ბინადართ. ბეკი უკრავდა თავს, ესალმებოდა ფველას და შეხვედრილ ნაცნობებს ხან აქ, ხან იქ ალერსიანად უღიმოდა. ნაცნობების ხილვა გამოუთქმელ სიამოვნებას ანიჭებდა მას. თითქოს იგი უკვე აღარ იყო თაღლითი და თვალმაქცი და თავის წინაპარტა სახლში ბრუნდებოდა. როუდონი კი, პირიქით, უფრო შეჩქვიფებული და ნირწამხდარი გახლდათ. უმანკო პატარაობის რა მოგონებები არ უტრიალებდა თავში!

სინანულის, ეჭვისა და სირცხვილის რა ქენჯნას არ განიცდიდა!

- შენი დები ახლა უკვე ყმაწვილი ქალები იქნებიან, - უთხრა რებეკამ, რომელსაც ის გოგოები მისი აქედან წასვლის შემდეგ, მგონი, პირველად ახლაღა გაახსენდა.

- სწორე გითხრა, არ ვიცი, - მიუგო პოლკოვნიკმა. - ჰეი, აგე, დედაბერი ლოკი! გამარჯობათ, ქალბატონო ლოკ. არ გახსოვართ მე? ბატონიშვილი როუდონი, ჰა? დალახვროს ღმერთმა, ეს ბებერი დედაკაცები რამდენ ხანს ძლებენ - ეგ ასი წლის უკვე მაშინ იქნებოდა, მე რომ პატარა ბიჭი ვიყავი!

ახლა ჭიშკარში შედიოდნენ, რომელიც დედაბერ ლოკს ებარა. როცა მოხუცმა სასწრაფოდ გააღო ჭრიალა, ძველი რკინის კარი და ეტლს მტრედითა და გველით თავდამშვენებულ ხავსიან სვეტებს შორის უნდა გაევლო, რებეკა არ მოეშვა, სანამ ხელი არ ჩამოართვა ბებერს.

- ბერიკაცს პარკი გაუჩეხია, - თქვა როუდონმა, რომელიც აქეთ-იქით იყურებოდა. მერე გაჩუმდა. აღარც ბეკის ამოუღია ხმა.

ორივე ცოტა ღელავდა და გარდასულ დროზე ფიქრობდა. როუდონი იგონებდა იტანს, თავის დედას, ცივ, თავშეკავებულ ქალად რომ ახსოვდა, და გარდაცვლილ დას, რომელიც ძალიან უყვარდა: აგონდებოდა, როგორ უბარტყუნებდა პიტს და ფიქრობდა შინ დატოვებულ პატარა როუდიზე. რებეკა საკუთარ ახალგაზრდობასა და იმ ადრინდელ შებღალულ დღეთა შავ საიდუმლოებებზე ფიქრობდა, ახსენდებოდა ცხოვრებაში შესვლა სწორედ აი, იმ ჭიშკრით, აგრეთვე ქალბატონი პინკერტონი, ჯო და ემილია.

ხრეშმოყრილი ბილიკი და ტერასა სუფთად დაეგავათ. დიდ, მოხატული სამგლოვიარო ღერბი უკვე გაეკეთებინათ მთავარ შესასვლელზე და ეტლი რომ მიადგა ნაცნობ საფეხურებს, შავად ჩაცმულმა ორმა, ფრიად დიდებული შესახედაობის ახოვანმა პირმა აქეთ-იქით მოაღეს კარები. როუდონი გაწითლდა და ბეკისაც ცოტა ფერი ეცვალა, ხელიხელგაყრილებმა ძველებურ წინა დარბაზში რომ შეაბიჯეს. მუხის სასტუმრო დარბაზში როცა შევიდნენ, სადაც სერ პიტი და მისი მეუღლე ელოდნენ სტუმრებს, რებეკამ მკლავში უჩქმიტა ქმარს. სერ პიტს შავები ეცვა, ლედი ჯეინსაც, ხოლო მილედი საუთდაუნს მძივებისა და ფრთებისაგან შეთხზული ვეება შავი თავსაბურავი ეხურა, რომელიც მის

ბრწყინვალებას ბალდახინის ცხენის ჯიღასავით ედო თავზე.

სერ პიტმა სწორად განსაჯა, ლედი საუთდაუნი არსადაც არ გაადგამს ფეხსაო. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ქვასავით გულზვავად დუმდა პიტისა და მისი მეამბოხე ცოლის საზოგადოებაში და თავისი პირქუში, მწყრალი შესახედაობით ბავშვებს აფრთხობდა. მარტო თავსაბურავისა და ჯიღის სულ ოდნავი დახრით მიესალმა იგი როუდონსა და მის ცოლს, როცა ეს უძღები შვილები თავიანთ ოჯახში და ბრუნდნენ.

მართალი მოგახსენოთ, მაინცდამაინც დიდად არაფრად ჩაუგდიათ იმის გულგრილობა. მისი ბრწყინვალება, უცნაურია ვაღიარათ, მხოლოდ მეორე რანგის პირავნება გახლდათ მაშინროუდონისა და რებეკას თვალში - მთელი გულისყური მიმართული იყო იქით, თუ რარიგად მიიღებდნენ მათ გახელმწიფებული ძმა და რძალი.

ცოტა შეფაკლებული პიტი წინ წამოდგა, ხელი ჩამოართვა ძმას და რებეკასაც ხელის ჩამორთმევითა და ძალიან მდაბლად თავის დაკვრით მიესალმა. მაგრამ ლედი ჯეინმა კი რძალს ორივე ხელში მოკიდა ხელი და გულიანად აკოცა. გულში ჩახუტებამ პატარა ავანტურისტს თითქოს თვალთაგან ცრემლი მიაწურვინა, ამისთანა სამკაულებს კი, როგორც ვიცით, ძალიან იშვიათად ატარებდა. გულკეთილობისა და ნდობის ამ წრფელმა გამოვლინებამ გული აუჩუყა და აამა. როუდონიც გაათამამა რძლის ასეთმა ქცევამ; გადაიგრიხა ულვაშები და ლედი ჯეინს კოცნით მისალმების ნებართვა გამოსთხოვა, რაზედაც მის ბრწყინვალებას ალმური ავარდა სახეზე.

- ოხრად კარგი პატარა დედაკაცია ლედი ჯეინი,- დასდო მსჯავრი დრაგუნმა, როცა ია და მისი ცოლი კვლავ მარტონი დარჩნენ. - პიტიც დასწელებულა და თავი ჩინებულად უჭირავს.

ჯიბეც კარგად უწყობს ხელს! - თქვა რებეკამ და დაეთანხმა ქმრისშემდგომ აზრს, „ რომ სიდედრი საშინელი ბებერი საფრთხობელაა... და რომ დები საკმაოდ სანდომიანი ქალიშვილები დამდგარან“.

დაკრძალვაზე დასასწრებად ისინიც გამოეწვიათ სკოლიდან. სახლისა და ოჯახის ღირსებისათვის, სერ პიტ კროულის, ეტყობოდა, საჭიროოდ მიაჩნდა, შავებში გამოწყობილი რაც

შეიძლება მეტი ადამიანისთვის მოეყარა თავი. სასახლის ყველა კაცი და ქალი, დავრდომილთა თავშესაფრის დედაბერები, რომელთაც სერ პიტ უფროსი სცინცლავდა თავიანთი წილხვედრის უმეტეს ნაწილს, მედავითნის ოჯახი და სასახლისა და მღვდლის სახლის საგანგებო მსახურნი - ყველანი შავ ტანსაცმელში გამოაწყვეს. ამათ მიუმატეთ დაკრძალვის საქმეთა გამგებლის კაცები, სულ უკანასკნელი ოციოდე მაინც, სამგლოვიარო ბაფთებით შემკულნი, რომელნიც ჩინებულ სანახაობას წარმოადგენდნენ დიდი სამგლოვიარო პროცესიის დროს. მაგრამ ესენი ხომ მუნჯი პერსონაჟები არიან ჩვენს დრამაში და ვინაიდან არც არას აკეთებენ და არც არას ლაპარაკობენ, აქ ძალიან მცირე ადგილი ეკუთვნით.

მულებთან რებეკას არ უცდია აღმზრდელის თავისი ძველი მდგომარეობა მიეჩქმალა, პირიქით - გულწრფელად და გულკეთილად იგონებდა. დიდის გულმოდგინებით გამოიკითხა, როგორ სწავლობთო და თქვა, ბევრჯერ, ბევრჯერ ვფიქრობდი თქვენზე და მწყუროდა თქვენი ამბის გაგებაო. მართლაც, გეგონებოდათ, რაც მოშორდა, მათზე ფიქრის მეტი სხვა სადარდებელი აღარა ჰქონდა რა და მათი კეთილდღეობა იყო მისი უპირველესი საზრუნავი. ასე ირწმუნეს თვით ლედი ჯეინმა და მისმა ახალგაზრდა მულებმაც.

- ამ რვა წელიწადში თითქმის არც შეცვლილა, - უთხრა მის როზალინდა მის ვაიოლიტს, როცა სადილისათვის იკაზმებოდნენ.

- ეგ თმაჟღალი ქალები საოცრად კარგად გამოიყურებიან, - მიუგო დამ.

- წინანდელზე უფრო კი გამუქებია. მე მგონი, იღებავს. დასქელებულა კიდაც და საერთოდ გაკეთებულა. - დასძინა მის როზალინდმა, რომელსაც ძალიან ემჩნეოდა გასუქებისაკენ მიდრეკილება.

- არ იბღინძება მაინც და ახსოვს, ჩვენი აღმზრდელი რომ იყო, - ბრძანა მის ვაიოლიტმა და სიტყვა გადაჰკრა იმაზე, რომ კარგი იქნება, ყველა აღმზრდელმა ქალმა თავისი ადგილი იცოდესო; სრულიად კი გადაავიწყდა, რომ იგი არა მარტო სერ უოლ-პოლ კროულის, არამედ მადბერელი ბატონი დოსონის შვილიშვილიც გახლდათ და ამრიგად საღერბო ფარზე

სანახშირე სათლიც მოეპოვებოდა. ამაოების ბაზარში ყოველდღე ბევრი ძალიან კეთილმზრახველი ადამიანი გვხვდება, რომელნიც სწორედ ასევე გულმავიწყნი ბრძანდებიან.

- არ იქნება მართალი, მღვდლის გოგოები რომ ამბობენ, დედამისი ოპერის მოცეკვავე იყოო.

ადამიანი რას მოუხერხებს თავის წარმოშობას! - დიდის ლმობიერებით შენიშნა როზალინდმე. - მეც ვეთანხმები ჩვენს ძმას, რომ რაკი იგი ჩვენი ოჯახის წევრი გახდა, რასაკვირველია, მოვალენი ვართ, ანგარიშიც გავუწიოთ. ძალუაჩვენს კი სალაპარაკო არა აქვს რა - მას ნებავს, კეიტი ახალგაზრდა ჰუპერზე, სირაჯზე, გაათხოვოს და დაბეჯითებით სთხოვა, შეკვეთებისათვის თვითონ იაროს მღვდლის სახლში.

- ნეტავი ლედი საუთდაუნი თუ წავა? ძალიან პირქუშად შეხვდა როუდონის ცოლს! - თქვა მეორემ.

- ნეტავი წავიდოდეს. „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი დედაკაცის“ წაკითხვას გადავრჩები, - აღიარა ვაიოლიტმა.

ამ მუსაიფით გვერდი აუარეს ტალანს, რომლის ბოლოს დახურულ ოთახში კუბო იდგა რამდენიმე თავმდგმურითურთ და ჩაუმქრალად ენთო სანთელი და ეს ყმაწვილი ქალები ჩავიდნენ საოჯახო სადილზე, რისთვისაც ჩვეულებისამებრ რეკავდა ზარი.

მაგრამ მანამდე ლედი ჯეინი რებეკას შეუძღვა მისთვის მომზადებულ ბინაში, რომელიც, როგორც საერთად მთელი სახლი, პიტის გამგებლობის ხანაში ბევრად უფრო დალაგებულად და მორთულად გაომიყურებოდა. როუდონის მეუღლის სადა, პატარა ზანდუკები უკვე მოეტანათ და საწოლ ოთახსა და მის გვერდით მოსართავ ოთახში დაელაგებინათ. ლედი ჯეინმა მოახდევინა ნატიფი შავი ქუდი და ლაბადა და ჰკითხა რძალს, კიდევ ხომ არაფერში გამოგადგებიო.

- ახლა ყველაზე ძალიან, - მოახსენა რებეკამ, - ბავშვების ოთახში შესვლა და თქვენი ძვირფასი პატარების ნახვა მინდა.

ამ სიტყვებით ორივე მანდილოსანმა დიდის ალერსით შეხედეს ერთმანეთს და ხელიხელჩაკიდებულნი გაემართნენ იმ ოთახისაკენ.

ბეკი აღაფრთოვანა პაწია მატილდამ, რომელიც ოთხი წლისაც არ იყო - ქვეყნიერების ზურგზე ამაზე მომხიბლავი ცუგრუმელა არ მოიპოვებაო; ხოლო ბიჭი, ორი წლის ღლაპი - ფერმკრთალი, თვალბნესიანი და თავკომბალა - ახოვანების, გონიერებისა და სიმშვენიერის ნამდვილ სასწაულად აღიარა.

- ნეტავი დედიკოს არ ჩაეჟინოს ამდენი წამლების დალევინება, - თქვა ამოოხვრით ლედი ჯეინმა. - ხშირად ვფიქრობ, გაცილებით უკეთ ვიქნებოდით ყველანი უმისოდ.

მერე კი ლედი ჯეინმა და მისმა ახლად მოპოვებულმა მეგობარმა საუბარი გამართეს ბავშვების წამლობის საქმეებზე, რაც, როგორც შემიტყვია, ასე ძალიან უყვარს ყველა დედას და საერთად ქალთა უმრავლესობას. ორმოცდაათი წლის წინად, როცა ამ სტრიქონების დამწერი ცნობისმოყვარე პატარა ბიჭი გახლდით, ნასადილევს მანდილოსნები გარეთ გამომისტუმრებდნენ ხოლმე და ჩინებულად მახსოვს, მათი მუსაიფი უმთავრესად სწორედ ბავშვების სატკივარს ეხებოდა. მას შემდეგ ორჯერ-სამჯერ საგანგებოდ გამოვიკითხე ეს საქმე და ყოველთვის ვრწმუნებოდი, რომ ვითარება არ შეცვლილა. დაე, ჩემმა ტურფა მკითხველებმა თვითონვე შეამოწმონ ეს ამავე საღამოს, როცა დესერტს მოითავებენ და სასტუმრო დარბაზში შეიყრებიან საკუჭკუჭოდ. ჰოდა, ნახევარ საათში ბეკი და ლედი ჯეინი უახლოესი, გულითადი მეგობრები გახდნენ და საღამოს მისმა ბრწყინვალებამ სერ პიტსაც გადასცა თავისი აზრი, რომ ჩვენი რძალი კეთილი, გულწრფელი, ალალი და მოსიყვარულე ყმაწვილი ქალი არისო.

რაკი ასე იოლად მოიპოვა ქალიშვილის კეთილგანწყობილება, დაუღალავი პატარა დედაკაცი ახლა დიდებული ლედი საუთდაუნის შემორიგების საქმეს შეუდგა. როგორც კი მარტოდ მოიხელთა მისი ბრწყინვალება, რებეკამ მყის მიიტანა მასზე იერიში ბავშვთა აღზრდის საკითხში და უთხრა, ჩემი პატარა ვაჟიშვილი გადაარჩინა, სწორედ რომ გადაარჩინა, კოლომელის უხვად დალევინებამ, მაშინ როცა მთელი პარიზის ექიმებმა უკვე ხელი აუღეს ძვირფას ბალღზეო. მერე მოიხსენია, რა ხშირად გაეგონა ლედი საუთდაუნის ამბავი შესანიშნავი ადამიანის, ღირს მამა ლორენს გრილზისაგან, მეიდეირის ეკლესიის მოძღვრისაგან, სადაც იგი დაიარებდა წირვაზე; რა დიდად შეუცვალა მას აზრები სხვადასხვა გარემოებებმა და უბედურებამ და როგორ იმედოვნებდა, რომ

წუთისოფლის ამაოებასა და ცდომილებაში გატარებული წარსული ცხოვრება არ მოუსპობდა მომავალზე უფრო სერიოზულად დაფიქრების საშუალებას. ბეკიმ აღუწერა, ბატონმა კროულიმ წინათ რა ღვაწლი დასდო მას სულიერი დამოძღვით; ახსენა „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი დედაკაცი“, რომლის წაკითხვამას დიდად არგო და მოიკითხა მისი ნიჭიერი ავტორი ლედი ემილი, ახლა ლედი ემილი ჰორნბლაუერი, კეიპტაუნს რომ იმყოფება, სადაც მისი მეუღლე ძალიან იმედოვნებს, კაფრარიის[35] ეპისკოპოსად მაკურთხებენო.

მაგრამ რებეკამ ყოველივე ეს დააგვირგვინა და ლედი საუთდაუნის კეთილგანწყობილება მაშინ განიმტკიცა, დაკრძალვის შემდგომ ძალიან აღელვებულად და უქეიფოდ რომ იგრძნო თავი და მის ბრწყინვალებას მიმარტა საექიმო დახმარებისათის, რაიც ქვრივმა არა მარტო გაუწია, არამედ, საღამურ სამოსში გამოხვეული და ლედი მაკბეთს წინანდელზე კიდევ უფრო მეტად დამსგავსებული, ღამით პირადად ეწვია ბეკის საწოლში რჩეული წიგნაკების მაკვრითურთ, თანაც საკუთარი ხელით შეზავებული წამალი მიართვა და დაუჟინა, უთუოდ უნდა დაგალევინოო.

ბეკიმ ჯერ წიგნაკები ჩამოართვა და დიდი გულისყურით დაუწყო სინჯვა, თან ქვრივს იყოლიებდა მათ შესახებ და მისი სულის ცხოვრების თაობაზე მუსაიფით, რითაც იმედოვნებდა, ეგებ ჩემი სხეული როგორმე გადავანარჩუნო წამლის დალევინებასაო. მაგრამსასულიერო საკითხებზე ბაასით რომ გული იჯერეს, ლედი მაკბეთმა მაინც მანამდე არ მაოიცვალა ფეხი ბეკის ოთახიდან, სანამ წამლიანი წინჯანიც არ გამოაცვლევინა ძირამდე. საბრალო ქალბატონი კროული იძულებული გახდა მადლიერი იერით მიერთმია წამალი ქვრივი დედაბრის თვალწინ, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოესალმა თავის მსხვერპლს ლოცვა-კურთხევით, ამა დიდად ვერაფრად ანუგეშა როუდონის თანამეცხედრე და მეტად უცნაური გამომეტყველება ჰქონდა მას, ქმარი რომ შემოვიდა და შეიტყო, რაც გადახდა თავს. დრაგუნს ჩვეულებისამებრ ხმამაღალი ხარხარი აუტყდა, როცა ბეკიმ იმ სახუმარო კილოთი, რასაც მაშინაც ვერა ფარავდა, საკუთარ თავზე რომ ლაპარაკობდა, აღუწერა რა შეემთხვა და როგორ გახდა იგი ლედი საუთდაუნის მსხვერპლი. ლორდმა სტაინმა და ლედი საუთდაუნის ვაჟიშვილმაც ბევრი იცინეს, როუდონი და მისი

მეუღლე რომ კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ ბინაში მეი-დეირს. ბეკიმ მთელი სცენა გაითამაშა მათთვის. გამოეწყო საღამურ ჩაჩსა და სამოსში, ჭეშმარიტი სერიოზულობით უთხრა მათ გრძელი ქადაგება - ელაპარაკა იმ წამლის ღირსებებზე, რომლის დალევინებასაც ვითომ იგი ეპირებოდა ისე სრულყოფილი წაბაძვით, გეგონებოდათ სწორედ რომ გრაფის მეუღლის რომაული ცხვირი დუდღუნებსო.

- აბა წარმოიდგინეთ ლედი საუთდაუნი და მისი შავი წამალი,- გამუდმებით გაიძახოდნენ ბეკის პატარა სასტუმრო ოთახის სტუმრები მეი-ფერში, და გრაფი საუთდაუნის დაქვრივებული მეუღლე მთელ თავის სიცოცხლეში ეს პირველად ქრთობდა და ასიამოვნებდა ხალხს.

სერ პიტს ახსოვდა, რებეკა წინათ პატივისცემითა და მოწიწებით რომ ეპყრობოდა პირადად მას და სამაოდ კეთილად იყო განწყობილი მისდამი. რა წინდაუხედავიც არ უნდა ყოფილიყო ქორწინება, როუდონი მაინც ძალიან გამოასწორა. ეგ აშკარად ემჩნეოდა პოლკოვნიკის შეცვლილ ჩვევებსა და ყოფა-ქცევას და განა თვით პიტისთვისაც ეს ბედნიერი შეუღლება არ გახლავთ? გულში ეცინებოდა მზაკვარ დიპლომატს, როცა მოაგონდებოდა, რომ სწორედ ამას უნდა უმადლოდეს თავის ბედნიერებას და აღიარებდა, რომ მე თვითონ მაინც არაფერი უნდა მქონდეს მისი საწინააღმდეგოო. სერ პიტის კმაყოფილებას რებეკას ყოფა-ქცევა და საუბარი განამტკიცებდა.

პატარა დედაკაცი გააორკეცა მოწიწება, რომლითაც ადრეც ხიბლავდა სერ პიტს და იმ სახით გამოავლენინებდა მჭევრმეტყველების ძალას, რომ თვით პიტსაც სრულიად განაცვიფრებდა, რომელიც ყოველთვის დიდად აფასებდა თავის ნიჭს, მაგრამ ახლა, როდესაც რებეკა მიაქცევინებდა ამზე ყურადღებას, კიდევ უფრო მეტ აღფრთოვანებას გრძნობდა. რძალი რებეკამ სრულიად დაარწმუნა, ბიუტ კროულის მეუღლემ მოახდინა ეს ქორწინება, რომელსაც თვითონ იგი შემდგომ ასე ჭორავდა და განაქიქებდაო. მღვდლის ცოლი იმედოვნებდა, რომ ის იგდებდა ხელთ მის კროულის მთელ ქონებას და მამიდას გულს ააყრევინებდა როუდონზე; სწორედ მისი სიხარბე იყო მიზეზი რებეკას წინააღმდეგ ყოველი ბოროტი მონაჩმახისა.

- მან მოახერხა კიდეც ჩვენი გაღატაკება, - თქვა რებეკამ

ანგელოზური მორჩილი კილოთი, - მაგრამ როგორ შემიძლია განაწყენებული ვიყო იმ ადამიანზე, რომელმაც მომაპოვებინა ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უკეთესი ქმარი? და მისი სიხარბეც ხომ ჯეროვნად დაისაჯა - კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და სულ დაჰკარგა ქონება, რომელზედაც ასე დიდ იმედებს ამყარებდა! სიღარიბე! - შესძახა მან. - ძვირფასო ლედი ჯეინ, რას ვაქნევთ ჩვენ სიღატაკეს? ამას პატარაობიდანვე ვარ შეჩვეული და ხშირად მადლობელიც ვარ, რომ მის კროულის ფული იმ კეთილშობილი, ძველი სახლის ბრწყინვალების აღდგენას მოხმარდება, რომლის წევრობითაც ასე ვამაყობ. დარწმუნებული გახლავარ, სერ პიტი უკეთ გამოიყენებს მას, ვიდრე როუდონი.

მთელი ეს ნალაპარაკევი სერ პიტს მყის ჩაუკეკლა უერთგულესმა ცოლმა და ამით კიდევ უფრო განამტკიცა რებეკასაგან მოხდენილი კეთილსასურველი შთაბეჭდილება; მერე იმდენად, რომ როცა დაკრძალვის მესამე დღეს ოჯახი სადილად იკდა და სერ პი კროული სუფრის თავში ფრინველის ხორც ჰქნიდა, მართლა ასე დაეკითხა როუდონის მეჯღლეს: - ჰმ! რებეკა ფრთა ხომ არ მოგართვათ? - რამაც პატარა დედაკაცის თვალები სიამით ააჟუჟუნა.

რებეკა ზემოხსენებულ გეგმებსა და ზრახვებს აკვარახჭინებდა; პიტ კროული დაკრძალვის ცერემონიასა და თავის მომავალ წინსვლა-ღირსებასთან დაკავშირებულ სხვა საქმეებს აწესრიგებდა; ლედი ჯეინი, იმდენად, რამდენადაც დედამისი ნებას აძლევდა, თავისი ბავშვების მოვლით იყო გართული; მზე ამოდიოდა და ჩადიოდა, ხოლო სასახლის კოშკის საათი ჩვეულებრისამებრ სადილობისა და ლოცვის ჟამს რეკავდა; დედოფლის კროულის ყოფილი მფლობელის ნეშტი კი იმ ოთახში ესვენა, რომელშიც იგი მანამდე ცხოვრობდა და გაუმცდარად თავს ადგნენ ამ წეს-ჩვეულებისათვის მოწვეული სპეციალური მსახურნი. შავით მოსილი ერთი-ორი დედაკაცი დაკქძალვის საქმეთა გამგებლის სამი თუ ოთხი კაცი, მთელ საუთემპტონში საუკეთესონი, სათანადოდ ჩუმი და მწუხარე ქცევისანი, რიგრიგობით მორიგეობდნენ ცხედართან. მოსასვენებლად კი მნეს ოთახი ჰქონდათ მიჩენილი,სადაც უჩუმრად თამაშობდნენბანქოს და შეექცეოდნენ ლუდს.

ოჯახის წევრები და სახლის მოსამსახურები ერიდებოდნენ პირქუშ ადგილს, სადაც საგვარეულო აკლდამაში სამარადისოდ

განსვენების მომლოდინე ძველი რაინდებისა და აზნაურების შთამომავლის ნეშტი ესვენა. არავის ენანებოდა მიცვალებული, გარდა საბრალო დიაცისა,, რომელსაც იმედი ჰქონდა, სერ პიტის ცოლი და ქვრილი გამხდარიყო და რომელიც სამარცხვინოდ ივლტო იმ სასახლიდან, სადაც ის-ის იყო თითქმის კიდეც მიაღწია გულის საწადელს. გარდა ამისი და საყვარელი ბებერი პოინტერისა, რომელსაც განსაკუთრებით თავისი სიძაბუნისა და ჭკუასუსტობის ხანაში შეეტკო, ბერიკაცს ერთი დდამტირებელიც არ გააჩნდა და, ჭეშმარიტად, მთელ თავის სიცოცხლეში არც არასოდეს შეუწუხებია თავი, რომ საამისოდ ერთი ვინმეს გული მაინც მოეგო. საიქიოს წსულ ყველაზე უკეთესთ და უსათნოესთ ჩვენ შორის რომ საშუალება მიეცემოდეთ, კვლავ მოინახულონ სააქაო, მე მგონი (თუ ვცნობთ, რომ ამაოების ბაზრის ყოველი გრძნობა იქაც არსებობს, საითაც ჩვენ უნდა გავემართოთ), დიდად ეწყინებათ, როცა ნახავენ, რა მალე ინუგეშებენ თავს ჩვენი ჭირისუფლები. ამრიგად, სერ პიტიც მიივიწყეს ყველაზე უსათნოესი და უკეთესი ჩვენგანის მსგავსად, ოღონდ რამდენიმე კვირით უფრო ადრე და მეტი არაფერი.

ვისაც ნებავს, შეუძლია მიაცილოს მისი ნეშტი სამარემდე, საითაც ის დანიშნულ დღეს წაასვენეს დიდის ყოფით. შავ ეტლებში მსხდომ ოჯახის წევრებს ცხვირსახოცები მიეფარებინათ ცხვირებზე ცრემლთა მოლოდინში, რომელნიც არ სცვიოდათ; დაკრძალვის საქმეთა გამგებელსა და მის დარბაისელთ ღრმად დამწუხრებული იერი ჰქონდათ; რჩეულ მოიჯარეთა ჯგუფი ახალი ბატონის ხათრით მოჰყვებოდა სამგლოვიარო ასაბიას; მეზობელი აზნაურების ცარიელი, მაგრამ უაღრესად დაღვრემილი შესახედაობის ეტლები საათზი სამი მილის სიჩქარით მიემართებოდნენ; მღვდელი კი ჩვეული სიტყვებით მოიხსენიებდა „ ჩვენს ძვირფას განსვენებულ ძმას“. სანამ თვალწინა გვყავს ადამიანის გვამი, ჩვენი ამაოებათა მსხვერპლია იგიგ - ალთაბალთასა და პრანჭვა-გრეხას ვუმართავთ; დიდრაჯულად ცავასვენებთ, ხავერში შევფუთნით, ოქროს ლურსმებით დავჭედავთ და ჩვენს მოვალეობას საფლავზე ქვის დადებით მოვითავებთ, რომელიც თავიდანბოლომდე სიცრუით აღვსილი წარწერით იქნება გადაჭრელებული. ბიუტის დიაკონმა, ოქსფორდში ნასწავლმა გამჭრიახმა ყმაწვილმა, და სერ პიტ კროულიმ შესაფერი ლათინური ეპიტაფია შეუთხზეს განსვენებულ ბარონეტს.

დიაკონმა კლასიკური ქადაგებაც თქვა. არწმუნებდა ჭირისუფლებს, დიდ მწუხარებას ნუ მიეცემითო, და ძალიან თავაზიანი გამოთქმებით შეატყობინა, ერთ რომელიმე დღეს თქვენც მოგიწევთ იმ პირქუშ და საიდუმლოებით მოცულ კარში შესვლა, რომელიც ეს-ეს არის მიეხურა განსვენებული თანამოძმის ნეშტსო. მერე მოიჯარენი კვლავ მოასხდნენ ცხენებს, ზოგნი კი დარჩნენ და „კროულის ღერბში“ ცოტა შენაყრდნენ. დედოფლის კროულის საჯალობოში რომ წაისაუზმეს მეეტლეებმა, აზნაურთა ეტლებიც წავიდ-წამოვიდნენ აქეთ-იქით. მერე დაკრძალვის საქმეთა გამგებლის ხალხმა მოკრიფა თავიანთი თოკები, გადასაფარებლები, ხავერდი, სირაქლემას ფრთები და სხვა საკრძალავი ქონება-ხელსაწყოები, აბობღდნენ ბალდახინზე და გაუდგნენ საუთემპტონის გზას. სახეებმაც მყის ბუნებრივი გამომეტყველება მიიღეს, როგორც კი ცხენები ალაყაფს გასცდნენ და უფრო მკვირცხლ სიარულზე გადავიდნენ. ჩანდა, მათმა შავმა გუნდებმა როგორ დაწინწკლეს დუქნების შესასვლელები და მზის სხივებზე როგორ ლაპლაპებდა კალის თასები. სერ პიტის სატარებელი სავარძელი ბაღში მდგარ ხელსაწყო-იარაღების ფარდულში შეაგორეს. პირველად ხანდახან ბებერი პოინტერი ყმუოდა ხოლმე და ეს გახლდათ ერთადერთი გამოხატულება მწუხარებისა, ბარონეტ სერ პიტ კროულის იმ ციხე-დარბაზში რომ გაისმოდა, რომელიც მას თითმის სამი ოცეული წელიწადი მაინც ეკუთვნოდა.

რაკი ფრინველი ბლომად იყო, ხოლო კაკაბზე ნადირობა კი, ასე ვთქვათ, სახელმწიფო მოღვაწეობისაკენ მიდრეკილების მქონე ყოველი ინგლისელი ჯენტლმენის მოვალეობა გახლავთ, სერ პი კროულის, მწუხარების პირველმა ელდამ რომ გაუარა, ცოტა გარეთაც გამოდგა ფეხი და, თეთრ ქუდზე სამგლოვიარო ბაფთაშემოვლებულმა. მონაწილეობა მიიღო ამ დროსტარებაში. ახლა მისი საკუთარი ნაწვერალიანი და თალგამიანი ყანების დანახვა დიდ ფარულ სიამეს ანიჭებდა. ხანდახან, მომხიბლავი, ნატიფი უბრალოებით, თოფსაც არ წამოიღებდა - უწყინარი ბამბუკის ჯოხით გამოვიდოდა; როუდონის, მისი მოდლადნილი ძმისა, და მონადირეების თოფებს კი ბათქაბუთქი გაუდიოდა მის გვერდში. პიტის ფული და მიწები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ძმაზე. ცალი ცფულის არ მქონე პოლკოვნიკი პირმოთმე და მოწიწებული გახდა სახლის მეთაურის მიმართ და უკვე აღარ იგდებდა აბუჩად ქალაჩუნა

პიტს. როუდონი გულისყურითა და თანაგრძნობით უგდებდა ყურს უფროსი ძმის საუბარს რგვისა და მიწების ამოშრომის თაობაზე; აძლევდა რჩევას საჯინიბოსა და საქონლის შესახებ;წავიდა მადბერის, რათა გაესინჯა ლედი ჯეინისათვის შესაფერისი ფაშატი და სურვილიც გამოთქვა, მეთვითონ გავხედნიო და სხვ. ერთი სიტყვით, მოუსვენარი, მეამბოხე დრაგუნი სრულიად მოთვინიერდა, მოტყდა და ერთობ სანაქებო უმცროსი ძმა დადგა. იგი ლონდონიდან ბეჯითად იღებდა მის ბრიგზის ბიულეტენებს პატარა როუდონის შესახებ, რომელიც იქ დარჩა. თვითონ პირადად როუდონიც გზავნიდა წერილებს. „ მე ძალიან კარგად ვარ, - იწერებოდა ის, - იმედი მაქვს, შენც ძალიან კარგად ხარ. იმედი მაქვს, დედიკოც ძალიან კარგადაა. პონიც ძალიან კარგად არის. გრეის დავყავარ პარკში სასეირნოდ. მსუბუქად ჭენება ვისწავლე. ის პატარა ბიჭი ვნახე, წინათ რომ ვატარე პონით. რომ გააჭენა, იტირა. მე არ ვტირი“. როუდონი ამ წერილებს ძმასა და ლედი ჯეინს უკითხავდა. რომელიც დიდი სიამოვნებით უსმენდა. ბარონეტი შეჰპირდა, ყმაწვილს ჩემი ხარჯით გამოვზრდი სკოლაშიო; მისმა გულკეთილმა მეუღლემ კი ფული მისცა რებეკას და სთხოვა, ამით ჩემს პატარა მაზლისწულს საჩუქარი უყიდეო. დღე დღეს მისდევდა და სასახლის მანდილოსნები დროს ატარებდნენ ი წყნარ საქმიანობასა და გართობაში, რაიც აკმაყოფილებს სოფლად მცხოვრებ მანდილოსნებს. ზარი ირეკებოდა იჯრებისა და ლოცვებისათვის. ახალგაზრდა მანდილოსნები ყოველდილას, ნასაუზმევს, ფორტეპიანოზე ვარჯიშობდნენ და რებეკა მათ თავის რჩევა-დარიგებას არ აკლებდა. მერე სქელლანჩიან ფეხსაცმელებს იცვამდნენ და პარკსა და ბუჩქნარიან ხეივნებში დასეირნობდნენ; ანდა ღობეს იქითაც გავიდოდნენსოფელში და ლედი საუთდაუნის წამლეულსა და წიგნაკებს ურიგებდნენიქაურ სნეულებს. ლედი საუთდაუნი პონის ეტლით გამოდიოდა ხოლმე. მაშინ რებეკაც გვერდს უმშვენებდა ქვრივს და დიდის გულისყურით ისმენდა მისდიდრაჯულ ლაპარაკს. საღამოობით რებეკა ოჯახურ შეკრებილებას ჰენდელსა და ჰაიდნს უმღეროდა და ხელი მიჰყო ვეებერთელა საქსოვს, თითქოს ამ საქმიანობისთვის ყოფილიყო დაბადებული და თითქოს ამ ჯურის ცხოვრება უნდა ეტარებინა მანამ, სანამ სამარის კარს არ მივიდოდა დარბაისური მოხუცებულობის ასაკში და არ მოიტოვებდა უკან ჭირისუფალთა სინანულსა და სარგებლიანი ქაღალდების დიდ რაოდენობას - თითქოს პარკის ალაყაფთან

არ ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი ზრუნვანი და აბეზარი მევალენი, მზაკვრობანი, ხრიკები და სიღატაკე, რომელნიც მყის ეძგერებოდნენ მას, როგორც კი კვლავ ფეხს გამოადგამდა გარეთ.

„არა ყოფილა ძნელი სოფლელი აზნაურის ცოლობა, - ფიქრობდა რებეკა. - მგონი, მეც კარგი ქალი ვიქნებოდი, წელიწადში ხუთი ათასის შემოსავალი რომ მქონდეს. ვიფათურებდი ბავშვების ოთახში და ვითვლიდი გარგარს ბაღში. მოვრწყავდი ხოლმე მცენარეებს სათბურში და დამჭკნარ ფოთლებს მოვაცილებდი ნემსიწვერას.დედაბრებს გამოვკითხავდი მათი რევმატიზმის ამბავს და და განკარგულებას გავცემდინახევარი კრონის ღირებულების წვენი მიეცათ ღარიბებისათვის. ხუთი ათას წლიურ შემოსავალზე ეს დიდი არაფერი დანაკლისი იქნებოდა. შემეძლო ათი მილიც გამევლო მეზობელთან სასადილოდ და შარშანწინდელ მოდაზე ჩამეცვა. შეიძლებოდა ეკლესიაში მევლო და დიდ საგვარეულო სავარძელში ფხიზლად ვმჯდარიყავი ანდა თუ ცოტას გავივარჯიშებდი, გამომეძინა კიდეც ფარდებს უკან პირსაბურავ ჩამოწეულს. ოღონდ ფული მქონოდა და ყველას გავისტუმრებდი. ამით მოაქვთ თავი აქაურ თვალთმაქცებს. ისინი სიბრალულით დაგვცქერიან ჩვენ, საცოდავ ცოდვილთ, რომელთაც არა გვაბადია რა. თავიანთი თავი დიდ ხელგაშლილ ვინმეებად მიაჩნიათ, ჩვენს ბავშვებს ხუთ გირვანქა სტერლინგიანს თუ გადმოუგდებენ, ჩვენ კი ამრეზით გვეპყრობიან, თუ ეგ არ გაგვაჩნია“.

ვინ იცის, ეგებ მართალიც იყო რებეკა და მხოლოდ ფული და ქონება ქმნიდა განსხვავებას იმასა და პატიოსან მანდილოსანს შორის! თუ მხედველობაში მივიღებთ ცდუნებებს, ვის შეუძლია თქვას, მე ვჯობივარ ჩემს მეზობელსაო? წარმატების მშვიდ გზაზე დგონა თუ სულ არ აპატიოსნებს ხალხს, პატიოსნების ფარგლებში მაინც იჭერს. კუს წვნით დანაყრებული ოლდერმენი არ გადმოვა თავისი ეტლიდან და ცხვრის ბეჭს არ მოიპარავს, მაგრამ აბა აშიმშილე და ნახავ, პურის ყუა თუ არ აწაპნოს. ბეკი ასე ინუგეშებდა თავს შესაძლებლობათა შეწონასწორებით. და ამ ქვეყნად ბოროტისა და კეთილის განაწილების გათანასწორებით.

ძველი ადგილები, ძველი მინდვრები და ტყეები, კორომები, გუბურები და ბაღები, დარბაზები ძველი სასახლისა, სადაც ორიოდე წელიწადი გაატარა შვიდი წლის წინათ - ყველა

გულმოდგინედ მოინახულა რებეკამ. მაშინ ახალგაზრდა, ან შედარებით ახალგაზრდა გახლდათ, რადგან გადაავიწყდა კიდეც ის დრო, როცა იგი ახალგაზრდა იყო; მაგრამ ახსოვდა შვიდი წლის წინანდელი ფიქრები და გრძნობანი და უპირისპირებდა თავის ახლანდელ ფიქრებსა და გრძნობებს - ახლა, როცა უკვე იხილა მაღალი საზოგადოება, დიდკაცების წრეში იცხოვრა და თავის პირვანდელ მდაბალ მდგომარეობაზე გაცილებით ამაღლდა.

„ამიტომ ავიწიე ასე მაღლა, რომ ჭკუა მაქვს, - ფიქრობდა ბეკი, - თითქმის მთელი დანარჩენი ხალხი კი ტუტუცია. მე ახლა უკვე აღარ შემიძლია უკან დაბრუნება და ვეღარც შევეწყობი იმ ხალხს, მამაჩემის სტუდიაში რომ ვხვდებოდი ხოლმე. ჩემს კარზე ვარსკვლავებიანი და ლეკვერთხის ორდენებიანი ლორდები მოდიან, ნაცვლად ღატაკი მხატვრებისა, ჯიბეში რომ ნაგრეხი თამბაქოს ნაჭრები უდევთ. ქმრად აზნაური მყავს, რძლად კი გრაფის ასული სწორედ იმ სახლში, სადაც ორიოდე წლის წინად უბრალო მსახურზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არც ვიქნებოდი. მაგრამ ვითომ ახლა უფრო ხელმოწყობილი ვარ ამ წუთისოფელში, თუ მაშინ, როცა ღარიბი მხატვრის ქალიშვილი ვიყავი და ჩაი-შაქარზე ვეღიჭინებოდი ჩვენი უბნის ბაყალს? ვთქვათ, ფრენსისზეც რომ გავთხოვილიყავი, რომელსაც ასე ვუყვარდი, ახლა რომ ვარ, ამაზე ბევრად უფრო ღარიბი არც მაშინ ვიქნებოდი. ეჰ! ნეტავი შემეძლოს, ჩემი მდგომარეობა მაღალ საზოგადოებაში სამპროცენტიანი სახელმწიფო ქაღალდების გემრიელ პატარა ლუკმაზე გავცვალო!“ - ვინაიდანბეკი კარგად გრძნობდა წუთისოფლის ამაოებას და ამ საიმედო ნავსაყუდელში ნებავდა ღუზის ჩაგდება.

ეგება კიდეც გაუელვებდა თავში, პატიოსანი და მოკრძალებული რომ ყოფილიყო, თავისი მოვალეობა რომ შეესრულებინა და მტკიცედ მიჰყოლოდა სწორ გზას, ისევე ახლოს იქნებოდა ბედნიერებასთან, როგორც იმ ბილიკით, რომლითაც იგი ცდილობდა მის მიღწევას. მაგრამ, როგორც დედოფლის კროულის უმცროსები უვლიდნენ გვერდს იმ ოთახს, სადაც მათი მამის გვამი ესვენა, თუ ბეკის ოდესმე გასჩუჩუნებია ასეთი ფიქრები, იგი ყოველთვის იცილებდა მათ თავიდან და ახლოს არ იკარებდა. ის ერიდებოდა მათ და სძაგდა ისინი - ანდა, ყოველ შემთხვევაში, სხვა გზას მაინც ადგა, რომლიდან გადახვევაც ახლა შეუძლებელი ჩანდა. ჩემდა

თავად დარწმუნებული გახლავართ, რომ ადამიანის ზნეობრივ გრძნობათაგან სინდისის ქენჯნა ყველაზე უფრო უნიათო რამ გახლავთ - თუკი წამოყოფს თავს, ყველაზე იოლად სწორედ მისი ჩახშობა შეიძლება; ზოგს კი ეგ გრძნობა სულაც არ გაუჩუჩუნებს ხოლმე. ჩვენ გვაწუხებს სააშკარაოზე გამოტანა და სირცხვილისა ან სასჯელის ფიქრი, თორემ მარტო დანაშაულის შეგნებაზე ძალიან ცოტა ხალხი გრძნობს თავს უბედურად ამაოების ბაზარში.

ამრიგად, რებეკამ დედოფლის კროულიში ყოფნის დროს ბიწიერი მამონის[36] იმდენი მოყვასი დაიმეგობრა, რამდენიც კი მოახერხა. ლედი ჯეინი და მისი მეუღლე ძალიან გულთბილად გამოესალმენ. ისინი სიამოვნებით მოელოდნენ იმ დროს, როცა გონტსტრიტის სახლი შეკეთდებოდა და გამშვენდებოდა და კვლავ შეიყრებოდნენერთად ლონდონში. ლედი საუთდაუნმა წამლეულის ამანათი შეუმზადა და მისი ხელით აახლა ღირსპატივცემულ ლორენს გრილზს და სთხოვა ამ დარბაისელს, რომ დაწვისაგან გადაერჩინა ეს მუგუზალი, რომელსაც „პატივი ჰქონდა“ მიერთმია წერილი. პიტმა ოთხცხენიანი ეტლით გააცილა ისინი მადბერის, მათი ბარგი და ნანადირევის ტვირთი კი წინდაწინვე გაიგზავნა ურმით.

- რა ბედნიერი იქნებით, თქვენს ძვირფას თვალსჩინ პატარას რომ კვლავ იხილავთ! - უთხრა ლედი კროული რძალს როცა ემშვიდობებოდა.

- ოჰ, ძალიან ბედნიერი! - კვერი დაუკრა რებეკამ და მწვანე თვალები ზეცას აღაპყრო.

იგი უზომოდ ბედნიერი გახლდათ, თავს რომ აღწევდა იქაურობას და თან გულიც ეთანაღრებოდა. დედოფლის კტოული საძაგელი გამოსათაყვანებელი ადგილი იყო და მაინც იქაური ჰაერი როგორღაც უფრო წმინდა ჩანდა, ვიდრე ის, რომლითაც რებეკა ჩვეულებრივ სუნთქავდა. ყველანი გონებაჩლუნგები, მაგრამ თან თავისებურად კეთილნი იყვნენ. „ეს სულ სამპროცენტიანების დიდხანს ქონების გავლენაა“, თქვა გულში ბეკიმ და ფრიად შესაძლებელია მართალიც გახლდათ.

ლონდონის ფანრებმა მაინც მხიარულად შემოაშუქეს, როცა საფოსტო ეტლი პიკადილიში შეგრიალდა. კერზონ-სტრიტის სახლში ბრიგზს მშვენიერი ცეცხლი გაეჩაღებინა და პატარა

როუდონიც ფეხზე დახვდათ, რათა თავის მამიკოსა და დედიკოს შეგებებოდა.

თავი XLII - ამბავი ოსბორნის ოჯახისა

საკმაო ხანი გავიდა, რაც ჩვენი პატივცემული მეგობარი, რასელსკვერელი ბატონი ოსბორნი ვიხილეთ. მას შემდეგ, რაც ის უკანასკნელად ვნახეთ, იგი მაინცდამაინც ვერ ჩაითვლებოდა სიკვდილის შვილთა შორის უბედნიერეს ადამიანად. მოხდა ისეთი ამბები, რომელთაც მისი ხასიათის გაუმჯობესებას ხელი არ შეუწყვეს და არა ერთხელ იყო, რომ თავის ჭკუაზე გავლა ვერ მოუხერხდა. ამ გონივრული წადილის აღსრულების საქმეში დაბრკოლება ყოველთვის დიდად შეურაცხმყოფელი გახლდათ მოხუცი დარბაისლისათვის. თანაც წინააღმდეგობა ორმაგად აგულისებდა და უწყალებდა გულს, რადგან ნიკრისის ქარი, სიბერე, სიმარტოვე და მრავალი იმედგაცრუების ტვირთი ერთად აწვებოდა მას და აღონებდა. ჯაგარა შავი თმა შვილის დაღუპვის შემდეგ მალევე სულ გაუთეთრდა; სახე უფრო გაუჭარხლდა და არც ოჯახს ადგა ბევრად უკეთესი დრე. ვეჭვობ, რებეკა, რომელიც ისე სასოებით ეევედრებოდა ღმერთს პროცენტიანი ქაღალდების ბოძებას, გაცვლიდა თავის სიღატაკეს და თავისი ცხოვრების თავზეხელაღებულ შფოთიანობასა და შესაძლებლობებს ოსბორნის ფულსა და მისი გარემოს პირქუშ, ერთფეროვან მოწყენილობაში. ბატონმა ოსბორნმა თვითონ ითხოვა მის სუორცი, მაგრამ ზიზღით იქნა უკუგდებული იმ მანდილოსნის ქომაგთა მიერ, რომელთაც იგი შოტლანდიის ერთ - ერთი კეთილშობილი გვარის ახალგაზრდა ნაშიერზე დააქორწინეს. ბებერი ოსბორნი მდაბალი წრიდან გამოსულ ქალსაც აღარ დაიწუნებდა და მერე სულს ამოხდიდა ლანძღვით, მაგრამ მისი გუნების არავინ გამოჩნდა და სამაგიეროდ გულის ბუხარს შინ, თავის გაუთხოვარ ქალიშვილზე იყრიდა. მის ოსბორნი საუცხოო ცხენ - ეტლის პატრონი გახლდათ და უბრწყინვალესი ვერცხლის ჭურჭლეულით დამძიმებული სუფრის თავს იჯდა. ჰქონდა ჩეკის წიგნაკი; მიჩენილი ჰყავდა საგანგებო მხლებელი;

მოეპოვებოდა განუსაზღვრელი კრედიტი; თაყვანს სცემდა, ექლესებოდა ყველა ვაჭარ - ხელოსანი და ჰფლობდა მდიდარი მემკვიდრე ქალის ყოველ უპირატესობას, მაგრამ სავალალოდ კი ატარებდა სიცოცხლეს. ფაუნდლინგის თავშესაფრის სამოწყალოდ აყვანილი გოგონები, გზაჯვარედინის დამგველი ქალი, საჯალაბოში სამზარეულოს ყველაზე მდაბალი და ყველაზე ღატაკი გოგო უფრო ბედნიერნი იყვნენ ამ უბედურ, ახლა უკვე საკმაოდ ხანმოთეულ შინაბერა მანდილოსანთან შედარებით.

ესკვაირმა ფრედერიკ ბულოკმა, ბუიოკის, ჰალკერისა და ბუიოკის სახლის წევრმა, მხოლოდ დიდი ჭოჭმან - ყოყმანისა და ბუზღუნის შემდეგ იქორწინა მარია ოსბორნზე. რაკი ჯორჯი მოკვდა და მამის ანდერძიდან ამოირიცხა, ჰრედერიკმა დაჟინებით მოითხოვა, მოხუცის ქონების ნახევარი მის მარიას დამტკიცებოდა და მართლაც დიდ ხანს უარზე ბრძანდებოდა „დაყაბულებულიყო“(ეს თვით ბატონი ფრედერიკის გამოთქმა გახლდათ!) რომელიმე სხვა პირობით. ოსბორნმა თქვა, ფრედი დათანხმდა, ოციათასად წაეყვანა ჩემი ქალიშვილი და მეტის მიცემის მოვალე არ გახლავარო. „ფრედს შეუძლია ეს მიიღოს და, თუ მიიღებს, კეთილი; თუ არ დათანხმდება, ჯანდაბას მისი თავიო“. ფრედი, რომელიც ცას ეწია სიხარულით, ჯორჯს რომ მემკვიდრეობა ჩამოერთვა, ბებერი სოვდაგრისაგან უსინდისოდ მოღორებულად თვლიდა თავს და ერთ ხანს ისე იქცეოდა, თითქოს უნდოდა ნიშნობა სულაც ჩაეშალა. ოსბორნმა თავისი ანგარიში გამოიტანა ბულოკისა და ჰალკერის საბანკო სახლიდან, მათრახით ხელში დაიარებოდა ბირჟაში და იფიცავდა, ერთ ვინმე არამზადას ამითი ზურგი უნდა ავუხუროო და საერთოდ მისთვის ჩვეული თავშეუკავებლობითა და სიფიცხით იქცეოდა ჯეინ ოსბორნი ამ საოჯახო შუღლის დროს დას თანაუგრძნობდა.

- ყოველთვის გეუბნებოდი, მარია: შენ კი არა, შენი ფულები უყვარს-მეთქი! - ანუგეშებდა და აშოშმინებდა იგი მას.

- იმან მაინც მე და ჩემი ფული ირჩია და არა შენ და შენი ფულები, - მიუგებდა მარია ამაყად თავის აწევით.

მაგრამ განხეთქილება მხოლოდ დროებითი გახლდათ. მამამ და სახლის უფროსმა ამხანაგებმა ურჩიეს ფრედს, თუნდაც იმ ოციათასით შეერთო მარია და თანხის ნახევარი ახლავე გადმოემტკიცებინა, ნახევარი კი ბატონ ოსბორნის

გარდაცვალების მერე; თანაც ქონების შემდგომი განაწილების შესძლებლობაც მიეღო მხედველობაში. ამ რიგად, მან, კვლავ მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დასთმო“ და მშვიდობიანი შესარიგებელი წინადადებით მოხუცი ჰალკერი მიუგზავნა ოსბორნს. მისი თქმით, მარტო მამამისს ვერ გააგონებდით ქორწინების ამბავს და ის აბრკოლებდა საქმეს, თორემ თვითონ ფრედს არამც და არამც არ უნდოდა, ქორწინება ჩაშლილიყო. მობოდიშება პირქუშად მიიღო ბატონმა ოსბორნმა. ჰალკერი და ბულოკი მაღალი გვარები გახლდათ სიტის არისტოკრატთა შორის და დაკავშირებულნი იყვნენ უესტ-ენდის „კეთილშობილებთან“. ბერიკაცისათვის ესეც რამეს ნიშნავდა, რომ შეეძლო ეთქვა: „ჩემი სიძე, ბატონო ჩემო, ჰალკერის, ბულოკისა და კომპანიის წევრი, ბატონო ჩემო; ჩემი ქალიშვილის მული, ლედი მერი მენგო, ბატონო ჩემო, ღირსპატივცემულ გრაფ კასლმოულდის ასული“. ოცნებაში თავისი სახლი „კეთილშობილებით“ გაჭედილი ელანდებოდა. ასე რომ მიუტევა ახალგაზრდა ბულოკს და დათანხმდა ქორწინებას.

დიდებული სანახაობა გახლდათ - სანეფოს ნათესავებმა საუზმე გამართეს, რაკი ჰანოვერ-სკვერზე, წმ. გიორგის ეკლესიის ახლოს ბინადრობდნენ, სადაც ჯვრისწერა მოხდა. „უესტ-ენდის კეთილშობილნი“ მოწვეულნი ბრძანდებოდნენ და ბევრმა მათგანმა ხელიც მოაწერა დავთარში. იქ ბრძანდებოდნენ ბატონი მენგო და ლედი მერი მენგო. ძვირფასი ახალგაზრდა გვენდოლინითა და გუინივერ მენგოებით, ვითარცა მდადებითურთ; გვარდიის დრაგუნთა პოლკოვნიკი ბლადაიერი, მინსინგ-ლეინელი ძმების ბლადაიერების სახლის უმცროსი ძმა, სასიძოს მეორე ბიძაშვილი, და ღირსპატივცემული ქალბატონი ბლადაიერი; პატივცემული ჯორჯ ბოულტერი, ლორდ ლევანტის ძე და მისი მეუღლე, რომელიც მის მენგო გახლდათ; ლორდი ვიკონტი კასლტოდი; პატივცემული ჯეიმზ მეკმალი და ქალბატონი მეკ-მალი (ყოფილი მის სუორცი) და ბლომად წარჩინებულნი, რომელთაც ყველამ ლომბარდ-სტრიტელებზე იქორწინეს და დიდად შეუწყვეს ხელი კორნჰილის გაკეთილშობილებას.

ახალგაზრდა ცოლ ქმარს ბერკლი-სკვერის ახლოს სახლი ჰქონდათ, როჰემპტონის ბანკირთა ახალშენში კი - პატარა ვილა. ოჯახის მანდილოსნებს, რომელთა პაპა სამადლო სახლში გაზრდილი გახლდათ და რომელნიც ქმრების წყალობით

ინგლისის ზოგ უწარჩინებულე გვარებს ენათესავებოდნენ, მიაჩნდათ, რომ ფრედის ქორწინება, ცოტა არ იყოს, mésalliance იყო. ამიტომ მარია იძულებული გახლდათ, აღმატებული სიამპარტავნითა და სტუმართა ნუსხის შედგენაში დიდი წინდახედულობის გამოჩენით აენაზღაურებინა წარმოშობის ნაკლოვანებანი და მოვალედ ჩასთვალა თავი, მამა და და, რაც შეიძლებოდა, იშვიათად ენახა.

რომ სრულიად გაეწყვიტა კავშირი ბერიკაცთან, რომელსაც ჯერ კიდევ მრავალი ოცეული ათასი გირვანქა სტერლინგი ჰქონდა გასანაწილებელი, წარმოსადგენადაც კი სისულელეა. ფრედ ბულოკი არამც დაარამც არ დართავდა ამის ნებას. მაგრამ მარია ჯერ კიდევ ახალგაზრდა გახლდათ, გრძნობათა დამალვას ვერ ახერხებდა და მესამე ხარისხოვან წვეულებებზე მამიკოს და დის მოპატიჟებით,ხოლო როცა ეწვეოდნენ კი მათთან ძალიან ცივად მოპყრობით, რასელ-სკვერს მისვლაზე თავის არიდებით და მამისთვის წინდაუხედავი თხოვნით, მაგ საზიზღარი მდაბიური უბნიდან გადმოდიო, მან ისე წაახდინა საქმე, რომ ფრედერიკის მთელი დიპლომატია ვეღარას შველიდა და როგორც მისთანა ქარაფშუტა, ფუქსავატ არსებას შეჰფეროდა, ხიფათში ჩააგდო კიდეც თავისი მემკვიდრეობის ბედი.

- მაშ რასელ-სკვერი აღარ ეჭაშნიკება ქალბატონ მარიას, ჰა! - ბრძანა მოხუცმა დარბაისელმა და ჯახუნით ასწია ეტლის ფანჯრები, როცა ნასადილევს ის და მისი ასული ფრედერიკ ბულოკის მეუღლისაგან ბრუნდებოდნენ. - მაშ ეგ მამასა და დას მარტო მეორე დღის სადილზე ჰპატიჟობს (თუ ეგ საუზმეები ანუ „ონტრი“[37], როგორც თვითონ ეძახის, გუშინდელი არ იყოს, თავს მოვიჭრი!) სიტის ხალხთან და ვიღაც მჯღაბნელებთან ერთად; გრაფები, ბანოვნები და წარჩინებულნი კი თავისთვის შემოუნახავს! წარჩინებულნი!.. ჯანდაბას წარჩინებულნი! მე უბრალო ინგლისელი ვაჭარი გახლავარ და რამდენიც გინდა იმდენს ვიყიდი და გავყიდი მაგათთანაწუპაკებს. ვითომდა მართლა ლორდები არიან!.. ერთ მაგის „სუორეიზე“[38] ერთი მათგანი ვიღაც ოხერ მემუსიკეეს ელაპარაკებოდა... მაგისთანა ვინმეს კი მე ზედაც არ შევხედავ. არც რასელ-სკვერს ნებავთ მობრძანება, განა? თავს მოვიჭრი, მე უკეთესი ღვინო თუ არ მომეპოვებოდეს და მეტიც არა მქონდეს შიგ გადახდილი; მე შემიძლია ვერცხლის უკეთესი სერვიზი გავაწყო დაჩემი წითელი ხის მაგიდაზე უფრო საუცხოო სუფრა გავშალო, ვიდრე მაგათ ოდესმე თვალით უნახიათ... ეგ ლაქუცა,

ფლიდი, ბედასლი, მატრაბაზი ტუტუცები! ჩქარა გარეკე, ჯეიმზ, მინდა მალე მივიდე რასელ-სკვერს... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! - და იგი ხმამაღალი ხარხარით მიესვენა ეტლის კუთხეში. მოხუც დარბაისელს ჩვეულებრად ჰქონდა, თავის აღმატებულ ღირსებებზე ასეთი მსჯელობით არა იშვიათად ენუგეშებინა თავი.

ჯეინ ოსბორნს სხვა აღარა დარჩენოდა რა, კვერი დაეკრა ამ აზრებისათვის თავისი დის ყოფა-ქცევის თაობაზე, ხოლო როცა ფრედერიკის თანამეცხედრეს პირმშო შეეძინა - ფრედერიკ-ოგასტეს-ჰოუარდ-სტენლი-დევერე ბულოკი, მოხუცი ოსბორნი, რომელიც მიწვეული გახლდათ ნათლობაზეც და ნათლიადაც, მხოლოდ იმით დაკმახოფილდა, რომ ბალღს ოქროს თავი გაუგზავნა და შიგ ოცი გინეა ჩაუყარა ძიძისათვის.

- თავს დავდებ, თუ მაგ თქვენმა რომელიმე ლორდმა მაგაზე მეტი დადოსო, - დასძინა და უარი თქვა, ნათლობას დასწრებოდა.

დიდებულმა საჩუქარმა მაინც ფრიად მოხიბლა ბულოკის ოჯახი. მარიას ეგონა, მამაჩემი ძალიან ნასიამოვნებია ჩემი ქცევითო, და ფრედერიკიც დიდ სიკეთეს გამოელოდა თავისი პატარა ძისა და მემკვიდრისათვის.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა ტანჯვით კითხულობდა რასელ-სკვერს განმარტოებით მყოფი მის ოსბორნი „მორნინგ-პოსტს“, სადაც მისი დის სახელი წამდაუწუმ ხვდებოდა განყოფილებაში „წარჩინებულთა წვეულებანი“ და სადაც შემთხვევა ჰქონდა წაეკითხა ქალბატონი ბულოკის ჩაცმულობის აღწერილობა, ოდეს იგი სამეფო დარბაზობაზე წარადგინა ლედი ფრედერიკმა ბულოკმა. თვით ჯეინის ცხოვრებაში, როგორც მოგახსენეთ,ასეთ ბრწყინვალებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ეს იყო საზარელი არსებობა. იგი ზამთრის ჩაშავებულ დილას უნდა წამომხტარიყო, რათა საუზმე მიერთმია პირმოღუშული მოხუცი მამისთვის, რომელიც ყველას კინწისკვრით გაჰყრიდა სახლიდან, თუ მისი ჩაი ცხრის ნახევარზე მზად არ იქნებოდა. ქალიშვილი მდუმარედ იჯდა მის პირდაპირ, ყურს უგდებდა ჩაიდნის შიშინს და ცახცახებდა, სანამ მშობელი გაზეთს კითხულობდა და ტკბილი ფუნთუშისა და ჩაის ჩვეულ ულუფას შთანთქავდა. ათის ნახევარხე წამოდგებოდა, სიტისაკენ გასწევდა და შინაბერა თითქმის სულ თავისუფალი რჩებოდა

სადილობამდე, რათა სამზარეულოში შეეხედა და დაეტუქსა მსახურნი; ეტლით გასულიყო ქალაქში და ჩამოევლო ვაჭრები, რომელნიც უზომო პატივისცემით ეპყრობოდნენ; თავისი და მამამისის სადარბაზო ბარათები ჩამოერიგებინა თავიანთი სიტელი მეგობრების დიდრონ, პირქუშ, პატივდებულ სასახლეებში; ანდა სტუმრების მოლოდინში მარტო მჯდარიყო თავის ვეება სასტუმრო დარბაზში და ექსოვა უზარმაზარი საქსოვი ცეცხლაპირას, ტახტზე, იფიგენიას გამოსახულებიანი უშველებელი საათის სიახლოვეს, რომელიც ხმამაღლა ტიკტიკებდა და მწუხრის ზარივით რეკავდა მოჟამულ ოთახში. ბუხრის თავზე დაკიდებული დიდი სარკე ოთახის მოპირდაპირე ბოლოში დადგმულ მეორე დიდ სარკეს უპირისპირდებოდა და უმატებდა და ამრავლებდა ყავისფერი სქელი ტილოს შალითას, რომელშიც ქორკანდელი იყო ჩამალული, ვიდრე ეს ყავისფერი სქელი ტილოს შალითები დაუბოლოებელ პერსპექტივასი არ მიილეოდა და მის ოსბორნის ეს სამყოფელი სასტუმრო დარბაზების მთელი სისტემის ცენტრად არ ეჩვენებოდა ადამიანს. როცა იგი დიდრაჯულ ფორტეპიანოს ნატიფი ტყავის შალითას გადახდიდა და მასზე ორიოდე ბგერის დაკვრას გაბედავდა, მელოდია მწუხარედ, სევდიანად გაისმოდა და შემაღონებელ გამოძახილებს იწვევდა სახლში. ჯორჯის სურათი ჩამოხსნილი იყო და ზემოთ, სხვენში, ხარახურის ოთახში იდო; თუმცა მისი სული მაინც ტრიალებდა იქ და მამა და ქალიშვილი ხშირად ინსტინქტურად გრძობდნენ, რომ ორივენი იმაზე ფიქრობდნენ, არასოდეს არც ერთს უხსენებია მამაცი და ოდესმე ძვირფასი თვალისჩინი ვაჟიშვილი.

ხუთ საათზე ბატონი ოსბორნი სადილად ბრუნდებოდა, რომელსაც მამა - შვილი მდუმარედ შეექცეოდა (იშვიათად დაირღვეოდა სიჩუმე - მხოლოდ როცა მოხუცი ილანძღებოდა და განრისხებული იყო, თუ საჭმელი თავის გუნებისად არ ეჩვენებოდა), ანდა რომელსაც თვეში ორჯერ ოსბორნის რანგისა და ასაკის ცხვირპირჩამომტირალი მეგობრების საზოგადოებაში მიირთმევდნენ. ესენი გახლდნენ: ბლუმზბერი-სკვერელი მოხუცი დოქტორი გალპი და მისი მეუღლე; მოხუცი ბატონი ფრაუზერი, ბედფორდ-როუელი ვექილი, ძალიან დიდი ვინმე და „უესტ-ენდის კეთილშობილებთან“ ფრიად დაახლოებული; აპერ-ბედფორდ-პლეისელი მოხუცი პოლკოვნიკი ლივერმორი; მოხუცი ვექილი ტოფი და ქალბატონი ტოფი; და ხანდახან

ბედფორდსკვერელი მოხუცი სერ ტომას კოფინი და ლედი კოფინი. სერ ტომასს უმკაცრესი მსაჯულის სახელი ჰქონდა დაგდებული და, როცა ის სადილობდა ბატონი ოსბორნისას, საგანგებოდ იხსნებოდა ოდნავ ყვითელ ფერდაკრული პორტვეინი.

მერე ეს ხალხი და მათი მსგავსნი იწვევდნენ გაბღენძილ-გაფუყულ რასელ-სკვერელ სოვდაგარს დიდრაჯულ სადილებზე. სმის შემდეგ ზემოთ რომ აბრძანდებოდნენ, ზვიადი იერით ითამაშებდნენ სამიოდე ხელს ვისტს; თერთმეტის ნახევარზე კი ეტლებიც მოერთმეოდათ. ბევრი მდიდარი, რომლებისაც ჩვენ საცოდავებს ჩვეულებრივ გვშურს ხოლმე, კმაყოფილებით ეწევა ზემოაღწერილს მსგავს ცხოვრებას. ჯეინ ოსბორნს არც შეხვედრია ოდესმე მამაკაცი სამოც წელიწადზე ნაკლები ასაკისა და თითქმის ერთადერთი უცოლო, რომელიც მათ საზოგადეობაში გამოჩნდა, ბატონი სმირკი გახლდათ, დედათა სახელგანთქმული ექიმი.

ვერ ვიტყვი, არაფერს დაერღვიოს ამ საზარელი ცხოვრების მონოტონურობა. მართალი მოგახსენოთ, საბრალო ჯეინს ერთი საიდუმლო მოეპოვებოდა ცხოვრებაში, რომელმაც კიდევ უფრო გააშმაგა და გააპირქუშა მამამისი, ვიდრე მანამდე იყო თავისი ბუნებით, გოროზობითა და გადამეტებული ნაყროვნებით. ეს საიდუმლო დაკავშირებული გახლდათ მის უირტთან, რომელსაც მხატვარი ბიძაშვილი ჰყავდა - ბატონი სმი, შემდგომში სახელგანთქმული პარტრეტისტი და სამეფო სამხატვრო აკადემიის წევრი, მაგრამ ოდესღაც იგი საკმაოტ ხალისიანად ასწავლიდა ხატვას წარჩინებულ მანდილოსნებს. ბატონ სმის აღარ ახსოვს ახლა რასელ-სკვერი სად მდებარეობს, მაგრამ საკმაოდ ხალისიანად კი დაბრძანდებოდა იქ 1818 წელს, როცა მის ოსბორნს წვრთნიდა იგი.

სმი (ყოფილი შეგირდი ფრით-სტრიტელი შარპისა, დამთხვეული, უთავბოლო, ბედუკუღმართი, მაგრამ თავის ხელოვნებაში დიდად განსწავლული კაცისა), როგორც მოგახსენეთ, მის უირტის ბიძაშვილი იყო და მან გააცნო მის ოსბორნს. ამ დროს ქალწულის ხელი და გული კვლავ თავისუფალი გახლდათ სხვადასხვა დაუსრულებელ სასიყვარულო განცდათა შემდგომ; მხატვარს გულს ჩაუვარდა ამ მანდილოსნის ტრფობა და, ამბობენ, ქალიშვილსაც მოედო სიყვარულის ალიო. მის უირტი მათი გულის მესაიდუმლე

გახლდათ. არ ვიცი, ეგებ იმიტომ გადიოდა ოთახიდან, სადაც ოსტატი და შეგირდი ხატავდნენ. რათა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა მათთვის გამოეთქვათ ერთმანეთის წინაშე ის აღთქმანი და გრძნობანი, რომელთა წარმოთქმა მესამე პირის თანადასწრებით ვერ არის მოსახერხებელი; არ ვიცი, მის უირტი ეგებ იმედოვნებდა, თუ ჩემმა ბიძაშვილმა მდიდარი სოვდაგარის ქალი იგდო ხელთ, მეც მიწილადებს ქონებას, რომლის შეძენაშიაც შევუწყვე ხელიო - ოღონდ დაჭეშმარიტებით მარტო ის უნდა ითქვას, რომ ბატონ ოსბორნს როგორღაც ყურში ჩაეწვეთა ეს ამბავი; ანაზდად დაბრუნდა სიტიდან და ბამბუკის ჯოხითურთ გამოცხადდა სასტუმრო ოთახში. იქ მხატვარი, შეგირდი და კომპანიონი ქალი, ყველანი ფრიად ფერდაკარგულნი გამოიყურებოდნენ; კინწისკვრით გააგდო გარეთ ოსტატი და დაემუქრა: ისე დაგნაყავ, სულ ძვალ-რბილს გაგიერთიანებო; ხოლო ნახევარი საათის შემდეგ მის უირტიც ასევე დაითხოვა - კიბეზე გადაუძახა მისი ზანდუკები, ფეხით გაქელა მისი კოლოფები და სულ მუშტი უქნია იმ საქირაო ეტლს, რომლითაც ეს მანდილოსანი წაბრძანდა.

ჯეინ ოსბორნს მრავალ დღეს აღარ გამოუდგამს ფეხი თავისი საწოლი ოთახიდან. ამიერიდან კომპანიონის ყოლის უფლებაც მოესპო. მამამისმა დაიფიცა, ერთ შილინგსაც არ მოგცემ, თუ ჩემს უნებურად გათხოვდიო; და ვინაიდან სახლის გამგე ქალი ესაჭიროებოდა, არც ნებავდა მისი გათხოვება. ასე რომ, ქალიშვილი იძულებული გახლდათ გამოსალმებოდა ყოველ იმედს, რომელიც კუპიდონის ოინებთან იყო რაიმენაირად დაკავშირებული. მამიკოს საცოცხლეში, მაშასადამე, იგი დათანხმდა არსებობის აქ აღწერილ წესრიგს და შეურიგდა შინაბერას ბედს. ამასობაში მის დას ყოველ წელიწადს კიდევ უფრო მოხდენილი სახელებიანი ახალი შვილები ჰყავდა და დებს შორის კავშირი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა.

- ჯეინი და მე ერთ და იმავე საზოგადოებაში არ ვტრიალებთ, - ბრძანებდა ქალბატონი ბულოკი, - ოღონდ, რასაკვირველია, დად მაინც მიმაჩნია... - რაიც ნიშნავს... რას ნიშნავს, როცა მანდილოსანი აცხადებს, ჯეინი მაინც დად მიმაჩნიაო?

მოგახსენეთ, მის დობინები მამითურთ როგორ ცხოვრობდნენ საუცხოო ვილაში დენმარკ-ჰილში, სადაც ჯორჯი ოსბორნის გასახარებლად მშვენიერი ვაზი და ატამი ხარობდა. ქალბატონი

დობინები ხშირად დადიოდნენ ბრომპტონს ჩვენი ძვირფასი ემილიას სანახავად და ხანდახან რასელ-სკვერსაც შეივლიდნენ ხოლმე თავიანთი ძველი ნაცნობის, მის ოსბორნის მოსანახულებლად. მე მგონი, თავიანთი ძმის, ინდოეთში მყოფი მაიორის, განკარგულებით (რომელსაც უსაზღვრო პატივს სცემდა მათი მამიკო) აქცევდნენ ისინი ყურადღებას ჯორჯის მეუღლეს; ვინაიდან მაიორი, ემილიას პატარა ბიჭის ნათლია და მეურვე, ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ბავშვის ბაბუა შეიძლებოდა მომბალიყო მის მიმართ და ვაჟიშვილის გულისთვის ისიც ეცნო. მის დობინები აცნობებდნენ ხოლმე მის ოსბორნს ემილიას საქმეთა ვითარებას: როგორ ცხოვრობდა იგი თავის დედ-მამასთან; რა ღარიბად იყვნენ ისინი, როგორ უკვირდათ, კაცები, და მერე ისიც ისეთები, როგორიც იყვნენ მათი ძმა და ძვირფასი კაპიტანი ოსბორნი, რას ხედავდნენ ამნაირ უსუსურ ღლაპში; იგი კვლავ უნიათო, გულჩვილი და ძველებურად არც ძმარი და არც წყალი არსება რომ იყო;მაგრამ ჯორჯიზე უმშვენიერესი ბავშვი კი მართლაც რომ კაცის თვალს არ ენახა! - რადგან ყველა ქალის გული დნება ბავშვების სიყვარულით და ყველაზე დაძმარებული,ანჩხლი შინაბერაც გულკეთილია მათდამი.

ერთ დღეს, მის დობინების მხრით დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ემილიამ ნება დართო პატარა ჯორჯს ერთი დღე დენმარკჰილში გაეტარებინა მათთან; თვითონ კი ამ დღის ნაწილი ინდოეთში მყოფი მაიორისათვის წერილის მიწერას მოანდომა. მან მიულოცა საბედნიერო ამბავი, რომელიც მისმა დებმა ის-ის იყო შეატყობინეს. იგი ღმერთს ევედრებოდა მისი და მისი გულის რჩეული სასძლოს კეთილდღეობას. მადლობას უხდიდა ათასი,ათასი გულკეთილობისა და გულითადი მეგობრობისათვის უბედურებასა და მწუხარებაში. ატყობინებდა პატარა ჯორჯის ბოლოდროინდელ ამბებს და სწორედ იმ დღეს იგი სტუმრად რომ იყო მის დებთან სოფლად. წერილში ბევრგან უსვამდა ხაზებს და ხელიც მოაწერა, თქვენი გულითადი მეგობარი ემილია ოსბორნიო. დაავიწყდა რაიმე კეთილი სიტყვითხა ლედი ო’ დაუდი, რაც მანამდე ჩვეულებად ჰქონდა; ოღონდ არც გლორვინა უხსენებია სახელდებით - მხოლოდ ხაზგასმით წერდა მაიორის ს ა ც ო ლ ე ს, რომლის კურთხევასაც ღმერთს შესთხოვდა. ქორწინების ამბავმა მაინც გვერდზე გადაადებინა ის თავშეკავება, რომელიც აქამდე ახასიათებდა მის ურთიერთობას დობინთან. უხაროდა,რომ

შეეძლო ეღიარებინა და განეცადა, რა სითბოთი და მადლიერებით აფასებდა მას. რაც შეეხება გლორვინასადმი (დიახ, გლორვინასადმი!) მეშურნეობის გრძნობას, ემილია, ცხადია, უარსა ჰყოფდა, თვით ზეციურ ანგელოზსაც რომ გადაეკრა ამაზე სიტყვა.

იმ ღამეს ჯორჯი რომ დაბრუნდა შინ პონის ეტლით, რომლითაც ძალიან ხარობდა და რომელსაც სერ უილიამ დობინის მოხუცი მეეტლე მართავდა, ყელზე საუცხოო ოქროს საათი ეკიდა ძეწკვით. თქვა: ერთმა ბებერმა, ულამაზო ქალმა მომცა, რომელიც სულ ტიროდა და ბევრს მკოცნიდაო. მაგრამ ის არ მიყვარს - მე მიყვარს ძალიან ყურძენი და მარტო ჩემი დედიკოო. ემილია შეკრთა და შეშფოთდა: მისი ნაზი გული შიშის წინათგრძნობამ შეიპყრო, როცა გაიგო, რომ ბავშვის მამის ნათესავებმა იხილეს იგი.

მის ოსბორნი შინ დაბრუნდა მამისთვის სადილის მისართმევად. ბერიკაცს სიტიში სარფიანად ევაჭრა, იმ დღეს შედარებით კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა და როგორღაც შენიშნა, ქალიშვილი რომ აღელვებული ფუსფუსებდა.

- რა დაგემართა, მის ოსბორნ, - კეთილ ინება და ბრძანა ბატონმა ოსბორნმა. ქალს ცრემლები წასკდა.

- ოჰ, ბატონო, - მიუგო მან, - პატარა ჯორჯი ვნახე. ისეთია, როგორც ანგელოზი... და ისე ჰგავს ი მ ა ს!

მის პირდაპირ მჯდომარე მოხუცს კრინტი არ დაუძრავს, ოღონდ ალმური ავარდა სახეზე და ყოველი ნაკვთი აუცახცახდა.

თავი XLIII - რომელშიაც მკითხველმა კეთილი იმედის კონცხს უნდა შემოუაროს

განცვიფრებულ მკითხველს უნდა ვთხოვოთ, ათი ათასი მილის სიშორეზე გადაბრძანდეს ჩვენი ინდოეთის სამფლობელოს მადრასის ოლქის ბანდლგანჯის სამხედრო სადგომში, სადაც -ე ლეგიონის ჩვენი ძველი მამაცი მეგობრები არიან დაბანაკებულნი გულად პოლკოვნიკ სერ მაიკლ ო'დაუდის

სარდლობით. დრო კეთილად მოეპყრო ამ ზორბა ოფიცერს, როგორც ჩვეულებრივ ეპყრობა ხოლმე ისეთ ადამიანებს, რომელთაც კარგი სტომაქი და კარგი ხასიათი მოეპოვებათ და ძალიან არ იცხელებენ თავს გონებრივი შრომით. პოლკოვნიკი დიდი სიმარჯვით ხმარობს დანა- ჩანგალს საუზმეზე და ამავე იარაღებს ფრიადის წარმატებით იყენებს სადილად. იგი ორივე იჯრის შემდეგ ყალიონს ეწევა და ისევე მშვიდად აბოლებს მეუღლის ცაცხანსა და ტუქვსაში, როგორც ფრანგების თოფ-ზარბაზნის ბათქაბუთქის დროს ვატერლოოსთან. ასაკსა და პაპანაქება სიცხეს ვერ შეუსუსტებია მელონისა და მოლოის გვართა შთამომავლის ენერგია და მჭევრმეტყველება. მისი ბრწყინვალება, ჩვენი ძველი ნაცნობი, ლედი ო’დაუდი ისევე შინაურულად გრძნობს თავს მადრასში, როგორც ბრიუსელში იყო: ჯარის სადგომ ციხე სიმაგრეშიაც ისევე - როგორც კარვებში. ლაშქრობებში დიდებულ სპილოზე დაბრძანებული მიუძღოდა წინ რაზმს და დიად დიადი შესახედავი გახლდათ. ამ პირუტყვზე ამხედრებული, ჯუნგლებში ვეფხვებზე სანადიროდაც ბრძანდებოდა; მას იღებდნენ იქაური მთავრები, რომელნიც მას და გლორვინას წარჩინებულ მანდილოსანთა სამყოფლებში მასპინძლობდნენ და მიართმევდნენ შალებსა და პატიოსან თვლებს, რომელთაც გულის დათანაღრებით, მაგრამ მაინც უარობდა. სადაც არ უნდა გამოჩნდეს იგი ყოველი ჯურის გუშაგები სალამს აძლევენ და თვითონაც ქუდზე ხელის დარბაისლურად მიდებით უბრუნებს სალამს. ლედი ო’ დაუდი მადრასის ოლქის ერთ-ერთი უწარჩინებულესი ბანოვანი გახლავთ. ზოგს ჯერ კიდევ ახსოვს მისი ჩხუბი ლედი სმითთან. უმცროსი მსაჯულის, სერ მაინოს სმითის მეუღლესთან, როცა პოლკოვნიკის მეუღლემ მსჯაულის მეუღლეს ზედ ცხვირწინ გაუტკაცუნა თითები და განაცხადა: ვიღაც მათხოვარ მოქალაქუკას წინაშე არასგზით ერთი ნაბიჯითაც უკან არ დავიხევო. ახლაც კი (თუმცა ეს ოცდახუთი წლის წინათ მოხდა) აგონდება ხალხს, ლედი ო’დაუდმა როგორ იცეკვა ჯიგი გუბერნატორის სასახლეში, სადაც მან ცეკვით მიასავათა ორი ადიუტანტი. მადრასის ცხენოსანი ჯარის მაიორი, სამოქალაქო სამსახურის ორი ვაჟბატონი და -ე ლეგიონში ხარისხით მეორე ოფიცრის, მაიორ დობინის, აბანოს ორდენის კავალერის შეგონებით, როგორ ქაბრძანდა სავახმშო დარბაზში - lassata nondum satiate recessit[39]

პეგი ო’ დაუდი ჭეშმარიტად ისეთივე იყო, როგორც წინათ:

გულკეთილი საქმითა და ფიქრით; ფიცხი და მოუსვენარი ხასიათით; მბრძანებლობის მოყვარე; მტარვალი თავისი მაიკლის მიმართ; ურჩხული ლეგიონის მანდილოსანთა მთელი საკრებულოსათვის; დედა ყველა ყმაწვილი კაცისათვის, რომელთაც იგი უვლიდა ავადმყოფობაში, იცავდა ყოველ გასაჭირში და რომელთა შორისაც ლედი პეგის უზომო გავლენა მოეპოვებოდა. უმცროს ოფიცერთა და კაპიტანთა მეუღლენი (მაიორი უცოლო გახლდათ) ბევრ შეთქმულებას აწყობდნენ მის წინააღმდეგ. ისინი ამბობდნენ; გლორვინა ცხვირს ძალიან მაღლა ბზეკსო და თვითონ პეგიც აუტანლად ფარფაშებსო. იგი ჩაერია ქალბატონი კირკისაგან შემოკრებილი მცირე მრევლის საქმეში, მასხარად აგდებით დაუფრთხო ქადაგებებიდან ახალგაზრდები, თან ანაცხადა: ჯარისკაცის მეუღლეს მღდვლობა არ შეშვენის, ქალბატონ კირკს გაცილებით ურჩევნია, ქმარს ტანსაცმელი დაუკეროს, ხოლო რაზმს თუ ქადაგებანი ესაჭიროება, ბიძაჩემი დეკანოზის ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე საუკეთესო ქადაგებანი ხომ ხელთა მაქვსო.

მან მსწრაფლ აღკვეთა არშიყობა, რომელიც იმ ლეგიონის ლეიტენანტმა სტაბლმა წამოიწყო დასტაქრის მეუღლისადმი - დაემუქრა, გადაგახდევინებ ჩემგან ნასესხებ ფულს (რადგან ეს ყმაწვილი კვლავ მფლანგავი და ფუქსავატი ბუნებისა გახლდათ), თუ ახლავე არ დაანებებ მაგ ქალს თავს, ავადმყოფობის შვებულებას არ აიღებ და კეთილი იმედის კონცხზე არ გაემგზავრებიო. მეორეს მხრივ მანვე შეიფერა და შეივრდომა ქალბატონი პოსკი -იგი ერთ ღამეს გამოიქცა თავისი ბანგელოდან[40] და უკან გამძვინვარებული ქმარი მისდევდა, რომელსაც ხელთ მეორე ბოთლი ბრენდი ეჭირა. მერე მართლაც გადაარჩინა პოსკი delirium tremens-ის დროს და მოაშლევინა კიდეც ლოთობა, რომელიც უკვე სძლავდა იმ ოფიცერს, როგორც ყოველი ავი ჩვევა დასძალავს ხოლმე კაცს. ერთი სიტყვით,ქალბატონი ო’ დაუდი გასაჭირში საუკეთესო მანუგეშებელი იყო, კეთილდღეობაში კი - ყოვლად აბეზარი მეგობარი; ვინაიდან ყოველთვის ჭეშმარიტად მაღალი აზრისა ბრძანდებოდა თავის თავზე და მუდამ შეუპოვრად, ჯიუტად იდგა თავის ნათქვამზე.

სხვა ზრახვათა შორის მან მიზნად დაისახა, გლორვინა ჩვენს ძველ მეგობარ დობინზე დაექორწინებინა. ქალბატონმა ო’დაუდმა იცოდა, მაიორს რომ ჩინებული მომავალი ელოდა; აფასებდა მის კარგ თვისებებსა და სანაქებო სახელს, რომელიც

მოპოვებული ჰქონდა თავის საქმეში. გლორვინა, ძალიან ლაზათიანი, ფეროვანი, შავთმიანი, ცისფერთვალა, ახალგაზრდა ქალი, ცხენზე ჯდომა რომ შეეძლო და კორკის საგრაფოში არც ერთ ქალიშვილს არ დაუვარდებოდა სონატის დაკვრაში, სწორედ იმ პიროვნებად მიაჩნდა, რომელსაც წილად უნდა ხვდომოდა, უზრუნველეყო დობინის ბედნიერება გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ამას ის საცოდავი, კეთილი, პატარა, უნიათო ემილია მოახერხებდა, რომელიც ასე ჩავარდნოდა გულში მაიორს.

- შეხე, გლორვინა შემოდის ოთახში და აბა შეადარე იმ საცოდავ ქალბატონი ო' დაყდი. - ეს სწორედ შენი ჯუფთი იქნება, მაიორო, - შენ თვითონ წყნარი კაცი ხარ და შენს მაგივრად ვინმე მოლაპარაკე გესაჭიროება. თუმცა ისე კარგი შთამომავლობისა არ არის, როგორც მელონის ანდა მოლოის გვარებია, უნდა მოგახსენო, ისე ძველი სახლის შვილია, რომ ყოველ კეთილშობილს შეუძლია იამაყოს მაგის შერთვით.

მაგრამ სანამ გლორვინა ამას ამოიჭრიდა გულში და გადაწყვეტდა, ლაციცობით დაემორჩილებინა მაიორი დობინი, უნდა ვაღიაროთ, მან თავისი ეს უნარი ბევრგან სხვაგანაც სცადა. ერთი სეზონი მან დუბლინში დაჰყო და ვინ მოსთვლის რამდენი - კორკს, კილარნისა და მელოუში იგი ეარშიყებოდა იქაური გარნიზონის ყველა უცოლო ოფიცერს და ყველა ოდნავ შესაფერ სანეფო მემამულეს. ერთი ათჯერ მაინც იყო დანიშნული ირლანდიაში, გარდა ბათში შეხვედრილი მღვდლისა, რომელიც ასე ცუდად მოეპყრო. იგი მთელი გზა მადრასამდე ეარშიყებოდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის გემ „რემჩანდერის" კაპიტანსა და მის თანაშემწეს და ერთი სეზონი გაატარა ოლქის ცენტრში ძმასა და ქალბატონ ო'დაუდთან ერთად, რომელთაც თავიანთ იქ ყოფნაში ლეგიონის უფროსობა მაიორს მიანდეს. ყველა ეთაყვანებოდა მას იქ; ყველა ცეკვავდა მასთან; მაგრამ შერთვის ღირსს არავის უთხოვნია მისი ხელი. ერთი-ორი ფრიად ახალგაზრდა უმცროსი ოფიცერი ოხრავდა მისი გულისთვის და სამოქალაქო სამსახურის ერთი-ორი უწვერულო ყმაწვილიც, მაგრამ ესენი თვითონვე უარით გაისტუმრა, ვითარცა მისთვის შეუფერებელნი და სხვანი, გლორვინაზე უფრო ახალგაზრდა ქალწულნი, დაქორწინდნენ მასზე ადრე. გახლავან ქალები და ლამაზი ქალებიც, რომელთაც ეს ბედი აქვთ ცხოვრებაში. ისინი გულგამლილობით ეძლევიან სიყვარულის გრძნობას; დასეირნობენ ცხენით და ქვეითად

უამრავ თაყვანისმცემლებთან, მაგრამ ისე შეაჭრიან ორმოცამდე, რომ მის ო’ გრედი, მაინც მის ო’ გრედიდ რჩება. გლორვინას დაეჟინა, ლედი ო’ დაუდს ის უბედური ჩხუბი რომ არა ჰქონოდა მსაჯულის ცოლთან, ჩინებულად გავთხოვდებოდი მაშინ მადრასში, სადაც სამოქალაქო უწყების სათავეში მდგომი მოხუცი ბატონი ჩატნი, ის-ის იყო, წინადადების მოცემას აპირებდაო. (მერე ბატონმა ჩატნიმ მის დოლბი შეირთო, ყმაწვილი ქალი, მხოლოდ ცამეტიოდე წლისა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ევროპის სასწავლებლიდან).

თუმცა ლედი ო’ დაუდი და გლორვინა ყოველ ცისმარე დღეს წამდაუწუმ ჩხუბობდნენ რაგინდარაზე (მიკ ო’დაუდს ჭეშმარიტად ანგელოზის მოთმინება რომ არა ჰქონოდა, ორი ასეთი ახლობელი დიაცი სწორედ გადარევდა საწყალს), მაინც ქალები იმაზე კი შეთანხმდნენ, რომ გლორვინას უეჭველად მაიორი დობინი უნდა შეერთო და გადაწყვეტილი ჰქონდათ, მაიორისათვის მანამდე არ მიეცათ შვება, სანამ ამ საქმეს არ აღასრულებდნენ. ორმოცი თუ ორმოცდაათი მარცხიტ მაინც გულგაუტეხელმა გლორვინამ ალყა შემოარტყა მაიორს. გაუმცდარად უმღეროდა ირლანდიურ სიმღერებს, თან ისე ხშირად და გულმხურვალედ ეკითხებოდა. თალარში ხომ არ შემოივლითო, რომ განსაცვიფრებელია, სულ ოდნავ მაინც მგრძნობიარე კაცს როგორ შეეძლო უარი ეთქვა ასეთ მიწვევაზე. იგი დაუღალავად იძიებდა, ახალგაზრდა ასაკში ხომ არაფერი წყენა შეგხვედრიათო, და მზად გახლდათ დეზდემონასავით ესმინა და ეტირა მისი ხიფათებისა და ლაშქრობების ამბებზე. მოგახსენეთ, ჩვენი ძვირფასი, პატიოსანი, ძველი მეგობარი ფლეიტას რომ უკრავდა ხოლმე თავისთვის. გლორვინა ჩააცივდა, მასთან ერთად შეესრულებინა დუეტები, ხოლო ლედი ო’დაუდი წამოდგებოდა და მიამიტად გადიოდა ოთახიდან, როცა ახალგაზრდა წყვილი ამ საქმით ერთობოდა. გლორვინა აიძულებდა მაიორს, დილაობით მასთან ერთად ესეირნა ცხენით. მთელი ბანაკი ხედავდა, როგორ მიემგზავრებოდნენ და ბრუნდებოდნენ. ქალი გაუმცდარად უგზავნიდა შინ ბარათებს, ნათხოვრობდა მის წიგნებს და საგანგებოდ ხაზავდა ფანქრით ისეთ გულში მოსახვედრ, საამო ადგილებს, რომლებიც მოეწონებოდა. ნათხოვრობდა აგრეთვე მაიორის ცხენებს, მაიორის მსახურტ, კოვზებს, ტახტრევანსაც. ამიტომ გასაკვირი არ გახლავთ, რომ ხალხში ხმა გავარდა, გლორვინა

დობინს მიფყვება ცოლადო და რომ ინგლისში მაიორის დაიკოებმაც წარმოიდგინეს, მალე რძალს ვეღირსებითო.

ამასობაში, ასეთ მძლავრ ალყაში მომწყვდეული დობინი ფრიად საძაგლად იქცეოდა - ყურსაც არ იბარტყუნებდა და ჩაეცინებოდა ხოლმე, ლეგიონის ყმაწვილკაცები რომ გაექილიკებოდნენ გლორვინას აშკარა ლაციცობაზე.

- ეჰ! - იტყოდა იგი. - ეგ მხოლოდ ერთობა - ისევე ვარჯიშობს ჩემზე, როგორც ქალბატონ ტოზერის ფორტეპიანოზე, რაკი ახლომახლო იმაზე უფრო ადვილად ხელმისაწვდომი საკრავი სხვა არ მოიპოვება. მე ძალიან შეფერთხილ-დაძაბუნებული და ხნიერი ვარ გლორვინასთანა მშვენიერი ახალგაზრდა ბანოვნისათვის!

და კვლავ ძალიან მორჩილად განაგრძობდა მასთან ერთად ცხენით სეირნობას, მისთვის ნოტების გადაწერას, მის ალბომებში ლექსების ჩაწერასა და მასთან ჭადრაკის თამაშს, ვინაიდან ჟამსა უსაქმობისასა, ჩვეულებრივ, ამ მარტივი, უბრალო გასართობებით იყოლიებს ხოლმე თავს ზოგი ოფიცერი ინდოეთში, მაშინ როცა სხვანი, შინ ჯდომას უფრო ნაკლებ მოყვარულნი, გარეულ ღორებსა და ცხრატყავებზე ნადირობენ, ყომარბაზობენ, თავბოლომოკვეცილ სიგარებს ჰქაჩავენ და გროგსა ყლურწავენ. რაც შეეხება სერ მაიკლ ო' დაუდს, თუმცა მეუღლე და და ჩასჩიჩინებდნენ: შეაგონე მაიორს, გამოთქვას თავისი აზრი და საბრალო, უმანკო გოგოს ასე სამარცხვინოდ ნუ აწამებსო; ძველი მეომარი ხელაღებით ყარობდა, თქვენს შეთქმულებასთან მე არ მესაქმება რაო.

- ღმერთმანი, მაიორი იმდენად მოზრდილია, რომ თვითონვე შეუძლია თავისთავის არჩევანის მოხდენა და რაც უნდა, თვითონვე გეტყვისო, - ამბობდა სერ მაიკლი.

ანდა ხუმრობით სულაც ბანზე ააგდებდა სიტყვას და განაცხადებდა: - დაოჯახებისათვის დობინი ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია და ნებართვის გამოსათხოვად დედიკოს გაუგზავნა შინ წერილი.

ეს კი არა, უფრო ღრმადაც შეტოპა - პირად მუსაიფში აფრთხილებდა და ხუმრობით ჩაულაპარაკებდა ხოლმე მაიორს: - აბა, დობ, ფხიზლად იყავი, ძმობილო; ეგ ქალები რაღაცას გიპირებენ - ჩემმა ქალბატონმა ეს-ეს არის კაბების მთელი ყუთი მიიღო ევროპიდან; შიგ გლორვინასთვისაც

ვარდისფერი ატლასის კაბა ძევს, და ეგ კი მოგიღებს ბოლოს, დობ, თუკი საერთოდ დიაცს ანდა ატლასს ძალუძს შენი შერყევა!

მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ვერც სიმშვენიერე და ვერც მოდური კაბები ვერ დაიმორჩილებდნენ დობინს. ჩვენს პატიოსან მეგობარს მხოლოდ ერთადერთი ქალის ხატება ედგა თვალწინ და ისიც იოტისოდენაც არ მიაგავდა ვარდისფერატლასიან მის გლორვინა ო' დაუდს. ეს გახლდათ დიდრონთვალება, წაბლისფერთმიანი, სათნო, ტანმორჩილი შაოსანი მანდილოსანი, რომელიც, თუ არ გამოელაპარაკებოდნენ, ისვიათად დასძრავდა კრინტს და ისიც ისეთი ხმით, რომელიც სულაც არ წააგავდა მის გლორვინასას; ეს გახლდათ სათუთი ყმაწვილი დედა, ჩვილს რომ დაჰფოფინებდა თავს და ღიმილით რომ მიიხმობდა მაიორს ბალღის დასახედავად; ეს გახლდათ ვარდისფერღაწვებიანი ქალწული, სიმღერით რომ შემოფრთხიალდებოდა რასელ-სკვერის სასახლის დარბაზში, ანდა მკლავზე რომ ჩამოჰკონწიალებოდა ჯორჯ ოსბორნს, ბედნიერი და მოსიყვარულე. დიახ, პატიოსან მაიორს დღე და ღამე მხოლოდ და მხოლოდ ეს ხატება ედგა თვალწინ და მხოლოდ ეს ხატება ხელმწიფობდა მუდამ მასზე. ფრიად შესაძლოა, ემილია არც იყო ისეთი, როგორიც მაიორმა დაისახა თავისთვის ინგლისში, დების მოდების ჟურნალში, ერთ სურათს ჭააწყდა უილიამი. იგი ჩუმად ამოსჭრა, თავისი საწერ-კალმის ყუთის სახურავს შიგნიდანგამოაკრა და ეჩვენებოდა, რომ რაღაც მაგავსებას ჰპოვებდა ქალბატონ ოსბორნსა და ანაბეჯდს შორის; მაშინ, როცა მე მინახავს და შემიძლია შემოგფიცოთ, რომ იგიმხოლოდ წელმაღალ კაბას წარმოსახავდა, რომელსაც თვალთმაქცურად და ბრიყვულად მოღიმარი თოჯინის თავი ედგა და ალბათ ბატონი დობინის სათნო ემილია ისევე არაფრათ ჰგავდა ნამდვილა, როგორც ამ ტუტუცურ პატარა სურათს, რომელსაც მაიორი ელოლიავებოდა. მაგრამ აბა რომელი შეყვარებულია უფრო გამჭრიახი? ანდა განა ვინმე უფრო ბედნიერია, როცა მიხვდება და სცნობს თავის ცთომილებას? დობინიც ამნაირი ხიბლის ქვეშ იმყოფებოდა. იგი არც მეგობრებსა და არც საზოგადოებას თავს არ აბეზრებდა თავის ხვაშიადზე ლაპარაკით და მისი გულისთვის არც თუ იშტა და მადა დაჰკარგვია. რაც ჩვენ იგი უკანასკნელად ვიხილრთ, თავი შეუჭაღარავდა და ასევე ერთ-ორი ვერცხლისფერი ხაზი

შეიმჩნეოდა ემის ფაფუკ წაბლისფერ თმაშიაც. მაგრამ მისი გრძნობები იოტისოდენადაც არშეიცვლილა ან შესუსტებულა და მისი სიყვარული ისევე ქორფა გახლდათ, როგორც ვაჟკაცისათვის ბავშვობის მოგონებანი არიან ხოლმე.

მოგახსენეთ, ორივე მის დობინმა და ემილიამ, მაიორის ევროპელმა კორესპონდენტმა, წერილები რომ მოსწერეს ინგლისიდან - ქალბატონი ოსბორნი დიდის გულწრფელობითა და გულითადობით ულოცავდა მის ო'დაუდზე მომავალ ქორწინებას.

„თქვენი და სწორედ ახლახან გულკეთილად მესტუმრა, - იწერებოდა ემილია, - და მაცნობა საინტერესო ამბავი, რომლის გამოც, გთხოვთ უგულწრფელესი მილოცვა მიიღოთ ჩემგან. ვიმედოვნებ, ყმაწვილი ბანოვანი, რომელსაც, როგორც გავიგე, თქვენ ირთავთ, ყოველმხრივ ღირსი იქნება მისი, ვინც თვითონ უსასრულო გულკეთილობისა და სიქველის განსახიერება არის. საბრალო ქვრივს მხოლოდ თავისი ლოცვა-კურთხევა და გულითადი, გულითადი სურვილები შეუძლია შემოგთავაზოთ თქვენს საკეთილდღეოთ! ჯორჯი სიყვარულით მოიკითხავს თავის ძვირფას ნათლიას და იმედოვნებს, რომ არ დაივიწყებთ. ვეუბნები, თქვენ სხვა კავშირების გაბმას რომ აპირეთ ისეთ ვინმესთან, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მთელი თქვენი სიყვარულის ღირსია, მაგრამ თუმცა ასეთი კავშირები, რასაკვირველია, უმტკიცესი და უწმინდესი უნდა იყოს და ყველა სხვას უნდა აღემატებოდეს, მაინც, დარწმუნებული ვარ, ქვრივ-ობოლს, რომელთაც თქვენ ოდესმე მფარველობდით და გიყვარდათ, ყოველთვის ექნებათ თავიანთი პატარა ადგილი თქვენი გულის კუნჭულში". ხსენებული წერილი ამ ჰანგზე გახლდათ გაწყობილი და თავიდან ბოლომდე მომწერის უღრმეს კმაყოფილებას გამოხატავდა.

ეს წერილი სწორედ იმ გემს მოჰყვა, რომელმაც ლედი ო'დაუდის კაბების ყუთი ჩამოიტანა ლონდონიდან (დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დობინმა თავისი ფოსტის სხვა წერილებს შორის ყველაზე უწინ ის გახსნა) და წერილის მიმღები ისეთ გუნებაზე დააყენა, რომ გლორვინა, მისი ვარდისფერი ატლასი და ყველაფერი, რაც მას შეეხებოდა, სრულიად ამაზრზენი შეიქნა მისთვის. მაიორი სწყევლიდა დედაკაცების უთავბოლო რატრატს და საზოგადოდ მთელ მათ სქესსაც. ყველაფერი ანაწყენებდა იმ დღეს - აღლუმზე

აუტანელი სიცხე იდგა და მოიქანცა. უფალო მწყალობელო! განა ჭკვათამყოფელი კაცი მთელ თავის სიციცხლეს დღენიადაგ სარტყელ-ყაწიმების სინჯვასა და ბრიყვი ჯარისკაცების ვარჯიშს შესწირავს? ოფიცერთა სუფრაზე გამართული ახალგაზრდათა ყბედობა ჩვეულებრივზე უფრო მეტად მოსაბეზრებლად ეჩვენებოდა რაში წეპიტნავებოდა ორმოც წლამდე მიღწეულ კაცს იმის მოსმენა, თუ რამდენი ცხრატყავა დახოცა ლეიტენანტმა სმითმა ანდა უმცროს ლეიტენანტ ბრაუნის ფაშატი რა ოინებს სჩადის? სუფრის ოხუნჯობანი სირცხვილით აწითლებდა. იგი უკვე ფრიად ხანშესულად გრნძობდა თავს იმისათვის, რომდასტაქრის თანაშემწის უწყინარი ქილიკობა და ყმაწვილების უწმაწური ხუმრობები ესმინა, რომლებზედაც თავმოტვლეპილი, სახე გაღაჟღჟებული ბებერი ო'დაუდი სრულიად გულდამშვიდებით ხითხითებდა. მოხუცი ამ ოხუნჯობებს ოცდაათი წელიწადია ყოველდღე ისმენდა, თვით დობინი კი თხუთმეტი წელიწადია უგდებდა ყურს. ოფიცერთა ხმაურიანი და მოსაწყენი სუფრის შემდეგ კიდევ ლეგიონის მანდილოსანთა კინკლაობა და ჭორაობა! ეს აუტანელი, სამარცხვინო ყოფა გახლდათ.

„ო, ემილია, ემილია,- ფიქრობდა იგი, - შენ, რომლისაც ასე ერთგული ვიყავი, შენ მსაყვედურობ. ამ მოსაბეზრებელი ცხოვრების ჭაპანს მხოლოდ იმიტომ ვეწევი, რომ შენ არ თანამიგრძნობ და წლობით შენდამი ერთგულების შემდეგ იმით მაჯილდოებ, რომ ამ პრანჭია ორლანდიელ გოგოსთან ქორწინებისთვის მილოცავ გზას!“

მისავათებული და გულდამძიმებული იყო საბრალო უილიამი - ამაზე დაჩაგრულად და ეულად არასოდეს უგრძვნია თავი. იგი სიამოვნებით აიღებდა ხელს სიცოცხლეზე და მთელ მის ამაოებებზეც - ისე ფუჭად და უღირსად ეჩვენებოდა ყოველი ბრძოლა, ისე უხალისო და პირქუში - მყოფადი. მთელ იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს - სამშობლოში ყოფნას ნატრობდა. ემილიას ბარათი ლატარიის ფუჭი ბილეთივით დაეცა თავს. ვერავითარმა ერთგულებამ, ვერავითარმა შეურყეველმა თავდადებამ და სიყვარულმა ვერ გაალხო მისი გული. ემილია არც ამჩნევდა მის სიყვარულს, იგი ტრიალებდა ლოგინში და ასე მიმართავდა მას: „უფალო მწყალობელო, ემილია! განა არ იცი, რომ მთელი ქვეყნიერების ზურგზე მარტო შენ მიყვარხარ! შენ, რომელსაც ცემდამი ქვის გული გიდევს! შენ, რომელსაც თვეობით გივლიდი ავადმყოფობასა და მწუხარებაში;

რომელიც ღიმილით გამომესალმე და სანამ კარის ზღურბლს გადმოვსცდებოდი, კიდეც დამივიწყე!“

ვერანდის გარეთ მწოლარე ინდოელი მსახურები გაოცებულნი იყვნენ, ჩვეულებრივ თავდაჭერილსა და წყნარი მაიორს ახლა ასე აბორგებულსა და დაღონებულ-დავღრემილს რომ ხედავდნენ. ვითომ შეიბრალებდა ემილია, იგი რომ ასეთ ყოფასი ეხილა? უილიამი კიდევ და კიდევ კითხულობდა მისგან ოდესმე გამოგზავნილ ბარათებს: საქმიან ბარათებს იმ მცირე ქონების თაობაზე, რომელზედაც დააჯერა ქალი, მეუღლემ დაგიტოვაო: მოკლე მოსაწვევ ბარათს; ყოველ თითოოროლა ნაწერ სიტყვას, რომელიც კი ოდესმე გამოეგზავნა მისთვის - რა ცივი, რა თავაზიანი, რა სასოწარმკვეთი და რა თავკერძა ჩანდა ყველა!

მაშინ რომ იქ ახლოს ვინმე სათნო, კეთილი სული გამოჩენილიყო, რომელიც ჩასწვდებოდა და დააფასებდა ამ მდუმარე, დიდსულოვან გულს, ვინ იცის, ეგებ აღსასრულიც დასდგომოდა ემილიას ხელმწიფობას და ჩვენი მეგიბრის უილიამის სიყვარულსაც ყფრო სასიკეთო გზა-კვალი მოენახა. მაგრამ იქაობაში მხოლოდ გიშრის კულულებისნ გლორვინასთანგახლდათ დაახლოებული; ამ ფხიან, ყოჩაღ, უნარიან ყმაწვილ ქალს კი სულაც არ უყვარდა მაიორი უფრო იმას ცდილობდა, როგორმე თვით გამხდარიყო მაიორის სათაყვანო არსება, რაც სრულიად ფუჭი და უიმედო გარჯა იყო, თუ გავითვალისწინებთ ამ განზრახვის აღსასრულებლად საბრალო ქალიშვილის ხელთ არსებულ საშუალებებს. იგი იხუჭუჭებდა თმას და უჩვენებდა თავის შიშველ ბეჭებს, თითქოს ამით ეუბნებოდა: ასე გიშრისფერი კულულები და ასეთი კანის ფერი განა ოდესმე გიხილავსო? კბილებსაც უკრიჭავდა ხოლმე, რათა უილიამს დაენახა, რომ პირში სულ ჯანსაღი კბილები ჰქონდაჩა ჩაწიკწიკებული - ის კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ყოველ ამ სიტურფეს. სამკაულ-მორთულობებიანი ყუთის ჩამოსვლიდან ძალიან მალე. და ეგებ სულაც მის საპატივცემოდ, ლედი ო’დაუდმა და სამეფო ლეგიონის მანდილოსნებმა ოსტ-ინდოეთის კომპანიის იქაურ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს წვეულება გაუმართეს გლორვინა გამოიკაზმა მომაკვდინებელ ვარდისფერ კაბაში, მაგრამ მაიორს, რომელიც წვეულებაში ბრძანდებოდა და ფრიად დავღრემილ-დაძმარებული დაყიალობდა ოთაებში, არც კი შეუნიშნავს ეს ვარდისფერი სამოსელი, გაშმაგებულმა

გლორვინამ სამხედრო ქალაქის ყველა ახალგაზრდა უმცროს ოფიცერთან იცეკვა და აუქროლ-ჩაუქროლებდა ხოლმე მაიორს, მაგრამ მას სულაც არ ეხარბებოდა მისი ცეკვა და არც გული მოსვლია, სავახშმოდ რომ კავალერიის კაპიტანმა ბენგლზმა წაიბრძანა იგი. ვერც ეჭვი და შური, ვერც კაბები, ვერც თეთრი მხარბეჭი ვერ შესძრავდა მას, გლორვინას კი მეტი აღარაფერი გააჩნდა.

ამრიგად ეს ორივე განასახიერებდა ამ ცხოვრების ამაოებას და ორივე იმას ელტვოდა, რის მიღწევაც არ შეეძლოთ. გატრიზავებულმა გლორვინამ ბრაზისაგან იტირა. „ყველა სხვაზე უფრო ჩემი გული მაიორზე დავამყარეო“, აღიარებდა იგი სლუკუნით.

- სწორედ გულს გამიხეთქავს, პეგი, გულს! - შესწუწუნებდა რძალს, როცა ისინი ტკბილად იყვნენ ერთმანეთში. - ისე დავდნი და დავილიე, უთუოდ ყველა ჩემი კაბის დავიწროება დამჭირდება!

ჩასუქებული თუ მოწყენილი, ცხენზე მჯდომი თუ ფორტეპიანოსთან წამოსკუპული - იგი სულერთი იყო მაიორისათვის,და პოლკოვნიკმა, რომელიც ჩიბუხს აბოლებდა და თან ყურს უგდებდა ამ ვიშვიშს, გამოთქვა მოსაზრება: გლორიმ ლონდონიდან შავკაბებიანი ყუთიც გამოიწეროსო და მოჰყვა ერთი ირლანდიელი მანდილოსნის უცნაურ ამბავს, რომელმაც თურმე, ჯერ კიდევ შეურთველი ქმრის სიკვდილით დამწუხრებულმა. სული განუტევა.

სანამ მაიორი ასე განაგრძოდა მანდილოსნის წამებას და არც ცოლად თხოულობდა, არც სიყვარულის ალს ემორჩილებოდა, ერთი სხვა გემი კიდევ ჩამოვიდა და ჩამოიტანა წერილები, რომელთა შორის რამდენიმე ამ უგულო კაცისთვისაც გახლდათ. ესენი შინაური წერილები იყო, წინა წერილებზე უფრო ადრინდელი თარიღით გამოგზავნოლი. მაიორმა დობინმა მათშორის დის ხელი იცნო, რომელიც ძმას გარდიდარდმო და წაღმა-უკუღმა წერდა. იგი ერთად მოუყრიდა ხოლმე თავს ყველა უსაძაგლეს ამბავს, თან ტუქსავდა და უქადაგებდა მას დაძმური გულახდილობით და ყოველთვის მთელი დღე გუნება გაუფუჭდებოდა, როცა „უძვირფასესი უილიამი“ მის რომელიმე უსტარს ჩაიკითხავდა ბოლომდე. ამიტომ, მართალი მოგახსენოთ, უძვირფასესი უილიამი არ აჩქარებულა აეხსნა ლუქი მის დობინის

წერილისათვის, არამედ საამისოდ განსაკუთრებით ხელსაყრელ დროსა და გუნებას დაუწყო ლოდინი. ამასთანავე ორი კვირის წინათ წერილიც ჰქონდა მიწერილი მისთვის და გამოლანძღა ქალბატონ ოსბორნთან სისულელეების დაროშვისათვის. თან საპასუხო წერილი აახლა იმ მანდილოსანსაც; მოწიწებით განუმარტა საქმის ვითარება და არწმუნებდა:“ამჟამად არავითარი განზრახვა არა მაქბს, ჩემი მდგომარეობა შევცვალოო“.

წერილების მეორე დასტის მიღებიდან ორი თუ სამი დღის შემდეგ დობინმა ფრიადის მოლხენით გაატარა საღამო ლედი ო’ დაუდის სახლში, სადაც გლორვინას ეგონა, მაიორი თითქოს ჩვეულებრივზე უფრო მეტი გულისყურით უსმენდა „მდინარეთა შესართავს“[41], „მენესტრელ ბიჭს“ და ერთ-ორ სხვა სიმღერას, რომლებითაც უმასპინძლდებოდა მაიორს. მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ისევე არ უგდებდა ყურს გლორვინას, როგორც გარეთ მთვარიანში ტურების ყმუილს და ჩვეულებისამებრ ახლაც ცდებოდა ქალი. მაიორი დობინი ჭადრაკსაც ეთამაშა (დასტაქართან საღამოობით კრიბიგის თამაში ლედი ო’ დაუდის საყვარელი დროსტარება გახლდათ), მერე ჩვეულ დროს გამოესალმა პოლკოვნიკის ოჯახს და შინ წაბრძანდა.

იქ, მაგიდაზე, დის ჯერ კიდევ გაუხსნელი მოსაყვედურე წერილი იდო. წერილისადმი დაუდევრობის გამოჩენით ცოტა არ იყოს დარცხვენილმა დობინმა აიღო იგი და მოემზადა უსიამო საათისგასატარებლად ბატიფეხური ხელის მქონე შორს მყოფ ნათესავთან...

ერთი საათი იქნებოდა გასული, რაც მაიორი წავიდა პოლკოვნიკის სახლიდან; სერ მაიკლს მართალთა ძილით ეძინა; გლორვინას შავი კულულები, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა, ქაღალდის უამრავ ნაგლეჯებში შეეხვია; ლედი ო’დაუდიც ლოგინსი განისვენებდა პირველი სართულის საწოლ ოთახში და თავისი მშვენიერი სხეულის გარშემო კოღოების საწინააღმდეგო ფარდები შემოეკეცა. სწორედ ამ დროს პოლკოვნიკის სამყოფლის ჭიშკართან მდგარმა გუშაგმა მთვარიანში თვალი ჰკიდა მაიორ დობინს, რომელიც, ფრიად აღელვებული, გამალებით მოეშურებოდა სახლისაკენ, გაუარა დარაჯს და პირდაპირ პოლკოვნიკის საწოლი ოთახის ფანჯარას მიადგა.

- ო’დაუდ!.. პოლკოვნიკო! - დაიწყო ხმამაღლა ყვირილი დობინმა.

- ღმერთო ჩემო, მაიორო! - შესძახა ქაღალდის დასახუჭუჭებლებით თმაშებურვილმა გლორვინამ, რომელმაც აგრეთვე გადმოჰყო თავი ფანჯრიდან.

- რა ამბავია, დობ, გენცვა? - გადმოულაპარაკა პოლკოვნიკმა, რომელსაც ეგონა, ხანძარი გაჩნდა სადგომსი, ანდა შტაბიდან გალაშქრების ბრძანება თუ მოვიდაო.

- მე... მე შვებულება მინდა. ინგლისს უნდა წავიდე... ძალიან გადაუდებელი პირადი საქმეები მაქვს! - მიახალა დობინმა.

„უფალო შემიწყალე, განა რა მოხდა!“ - გაიფიქრა გლორვინამ და თან ქაღალდის მთელი მოსართავეები უცახცახებდა.

- წასვლა ახლავე... ამ ღამესვე მინდა, - განაგრძობდა დობინი. პოლკოვნიკიც ადგა და გამოვიდა მოსალაპარაკებლად.

მის დობინის წაღმა-უკუღმა მაწერი ბარათის ბოლოს მაიორი ახლახანშემდეგი შინაარსის მინაწერს წააწყდა: „გუშინ შენს ძველ ნაცნობს, ქალბატონ ოსბორნს ვესტუმრე. შენ იცი ის უბადრუკი ადგილი, სადაც ისინი ახლა ცხოვრობენ გაკოტრების შემდეგ ბ. ს., თუ ვიმსჯელებთ მისი ქოხის (ბევრად არც იქნება უკეთესი ქოხზე!) კარზე მიჭედილი ბრინჯაოს ფირფიტის მიხედვით, მენახშირე გახლავს. პატარა ბიჭი, შენი ნათლული, მართლაც მშვენიერი ბავშვია, თუმცა თამამია და მიდრეკილება ეტყობა თავხედობისა და თავნებობისაკენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვაქცევდით ყურადღებას შენი სურვილის თანახმად და გავიცანით მამიდამისს, მის ო.-ს, რომელსაც იგი ძალიან მოეწონა. ეგებ მისი პაპა, გაკოტრებული კი არა - ის თითქმის სულ გამოჩერჩეტდა. არამედ რასელსკვერელი ბატონი ოსბორნი დავიყოლიოთ. გული მოიბრუნოს შენი მეგობრის, მისი შემცოდე დედა თავნება ძის, შვილის მიმარტ, არც თუ ემილია იქნება წინააღმდეგი შეელიოს ბავშვს. ქვრივმა ნუგეში ჰპოვა - ეს-ეს არის გათხოვებას აპირებს პატივსადებ დარბაისელზე, ღირსპატივცემულ ბატონ ბინიზე, ბრომპტონის ერთ მღვდელზე. საცოდავი ქორწინებაა, მაგრამ ქალბატონი ო ხანში შედის - ბლომად ჭაღარაც შევნიშნე მის თმაში. იგი ჩინებულ გუნებაზე იყო და შენმა პატარა ნათლულმაც პირდაპირ თავი მოიკლა ჭამით ჩვენთან. დედიკო სიყვარულით მოგიკითხავს. შენი მოსიყვარულე

ენ დობინი“.

თავი XLIV - ლონდონსა და ჰემპშირს შორის

გრეიტ-გონტ-სტრიტში, ჩვენი ძველი მეგობრების კროულების საგვარეულო სახლის წინა პირზე, ჯერ კიდევ გამოკიდებული გახლდათ სამგლოვიარო ღერბი, რომელიც სერ პიტ კროლის გარდაცვალების ნიშნად იყო გაკეთებული. ეს საღერბო ემბლემა თავისთავად ფრიად ბრწყინვალე, დიდრაჯულ სამკაულს წარმოადგენდა და შენობის მთელი დანარჩენი ნაწილიც გაცილებით უფრო პეწიანად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე წინათ - განსვენებული ბარონეტის ხელში. აგურს მოაცილეს ჩაშავებული შელესილობა და თეთრზოლიანი, მხიარული, ვარდისფერი სახით წარმოდგა. კარზე დასაკაკუნებელი ძველებური ბრინჯაოს ლომები ნატიფად მოეოქროვებინათ, ღობის მოაჯირი შეეღებათ და გრეიტ-გონტ-სტრიტის უპირქუშესი სახლი მთელ უბანში ყველაზე კოხტა სასახლედ იქცა მანამ, ვიდრე ჰემპშირშიმწვანე ფოთლები შესცლიდნენ იმ ჩაყვითლებულ ფოთლებს, რომელნიც დედოფლის კროულის ხეივანს ემოსა, როცა ბებერი სეპ პიტ კროული ჩაატარეს იქ უკანასკნელად.

პატარა დედაკაცი, შესაბამისი ზომის ეტლით მობრძანებული, გამუდმებით დასტრიალებდა თავს ამ შენობას. აგრეთვე ყოველდღე შეამჩნევდა იქ ადამიანი ხანშიშესულ შინაბერას, რომელსაც პატარა ბიჭიც ახლდა თან. ესენი იყვნენ მის ბრიგზი და პატარა როუდონი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ, თვალყური ედევნებინათ სერ პიტის სახლის შიდა ნაწილის განახლებისათვის, ზედამხედველობა გაეწიათ ქალთა გუნდისათვის, ფარდებსა და კრეტსაბმელებს რომ კერავდნენ; გაექექათ და გაეჩჩხრიკათ ლედი კროულების რამდენიმე თაობის ძველძვეულის ნაშთებითა და ხარახურით გამოჩურთული უჯრები და კარადები; აგრეთვე აეწერათ საკუჭნაოებსა და წალოებში შენახული ფაიდური, ბროლი და სხვა ქონება.

მთელ ამ საქმიანობას როუდონ კროულის მეუღლე

მთავარსარდლობდა და სერ პიტისაგან სრული უფლებით გახლდათ აღჭურვილი, თავისი შეხედულებითურთ გაეყიდა, გაეცვალა, ჩამოერთმია ანდა შეეძინა ავეჯიულობა და დიაღაც ეზალისებოდა ეს საქმე, რომელიც დიდ გასაქანს აძლევდა მის გემოვნებას, ნიჭსა და გამჭრიახობას. სახლის განახლება მაშინ გადაწყდა როცა სერ პიტი ნოემბერში ქალაქს ჩამობრძანდა თავის რწმუნებულების სანახავად და როცა თითქმის მთელი ერთი კვირა დაჰყო კერზონ-სტრიტში, მოსიყვარულე ძმისა და რძლის ჭერქქვეშ.

ის ჯერ სასტუმროში ჩამოხდა, მაგრამროგორც კი შეიტყო ბეკიმ ბარონეტის ჩამოსვლა, მყის გაეშურა მისასალმებლად და ერთ საათში კიდეც დაბრუნდა კერზონ-სტრიტს სერ პიტითურთ. ხანდახან პირდაპირ შეუძლებელი იყო ამ მიამიტი პატარა არსების მასპინძლობაზე უარის თქმა, ისე გულკეთილად იხვეწებოდა, ისე წრფელის გულით და საამურად ეპატიჟებოდა ადამიანს. პიტი რომ დაეთანხმა სტუმრობას, მადლიერების გრძნობით აღფრთოვანებულმა ბეკიმ ხელში სტაცა ხელი.

- გმადლობთ, - უთხრა მან, თან ხელს უჭერდა და თვალებში შესცი‌ცინებდა ბარონეტს, რომელსაც გვარიანად აელეწა სახე,- რა გაბედნიერებთ როუდონს!

იგი დაფუსფუსებდა პიტის საწოლ ოთახში და წინამძღვრობდა მსახურთ, რომელთაც ბარონეტის ჩემოდნები შეომჰქონდათ. თვითონაც საკუთარი ოთახიდან სიცილით შემოურბენინა სანახშირე ვედრო.

სერ პიტის სამყოფელში (ეს გახლავთ, სხვათა შორის, მის ბრიგზის ოთახი, რომელიც ზემოთ აგზანეს მოახლესთან დასაძინებლად) უკვე ცეცხლი გიზგიზებდა.

- ვიცოდი, რომ წამომყვებოდით, - სიამით თვალებგაბრწყინებული ეუბნეოდა ბეკი და მართლაც ნამდვილად და გულწრფელად ბედნიერი იყო, რომ იგი სტუმრადა ჰყავდა.

ბეკიმ ერთი-ორჯერ, საქმის მომიზეზებით, სხვაგან გაისტუმრა სასადილოდ როუდონი და ბარონეტმა მასთან და ბრიგზთან ერთად გაატარა ბედნიერი საღამო მარტოდ. რებეკა თვითონაც ჩადიოდა სამზარეულოში და საკუთარი ხელით უმზადებდა მას საჭმელებს.

- განა კარგი სალმი[42] არ არის? - ეუბნეოდა იგი. - თქვენთვის გავაკეთე. ამაზე უკეთესი საჭმელების გაკეთებაც შემიძლია და გაგიკეთებთ კიდეც, როცა ჩემთან მობრძანდებით.

- თქვენი ხელიდან გამოსული, ყველაფერი დიდებულია, - თავაზიანად ბრძანებდა ბარონეტი. - სალმი ჭეშმარიტად ჩინებულია!

- საწყალი კაცის ცოლი, მოგეხსენებათ, მარჯვე და ყაირათიანი უნდა იყოს, - მხიარულად ჩამოართმევდა რებეკა სიტყვას, რაზედაც მაზლი ეფიცებოდა: იმპერატორის მეუღლეობაც კი შეგფერისო და საოჯახო საქმეებში სიმარჯვე ჭეშმარიტად მანდილოსნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომხიბლავ თვისებათაგანიაო. თან სერ პიტს, ცოტა არ იყოს, გულის დათანაღრებით მოაგონდა შინ მყოფი ლედი ჯეინი და ერთი უსაზიზღრესი ღვეზელი, რომლის გამოცხობაც მისმა მეუღლემ ჩაიჟინა და მოართვა კიდეც სადილად.

გარდა სალმისა, რომელიც შემზადებული გახლდათ მისი ბრწყინვალება ლორდ სტაინის სტილბრუკის მამულის ხოხბებით, ბეკიმ მაზლს აგრეთვე ერთი ბოთლი თეთრი ღვინო მიართვა, როგორც პატარა მეზღაპრემ ბრძანა, როუდონისაგან ჩალის ფასად ჩამოტანილი საფრანგეთიდა; მაშინ როდესაც ეს სასმელი ნამდვილად მარკიზ სტაინის სახელგანთმული მარნის - „თეთრი ერმიტაჟისა“ იყო, რომელმაც ცეცლი შეუგზნო ბარონეტის ფერმკრთალ ღაწვებს და სიმხურვალე შემატა მის ჩია სხეულს.

მერე, როცა მან petit vin blanc-ის[43] ბოთლი გამოსცალა ბეკიმ მკლავი შესთავაზა, სასტუმრო ოთახში გაიყვანა, მყუდროდ დასვა ტახტზე ცეცხლაპირას, გვერდით მიუჯდა და ალერსიანად მიუგდო ყური მის ლაპარაკს, თანაც თავისი ძვირფასი პატარა ბიჭიკოს პერანგს კალთებს უკეცავდა. ოდეს როუდონის მეუღლეს მოენებებოდა განსაკუთრებით კრძალული და სათნო სახე მიეღო, ყოველთვის ეს პაწია პერანგი ამოჰყოფდა ხოლმე თავს მისი სახელსაქმო კოლოფიდან; თუმცა სანამ მას დასრულება ეღირსებოდა, უკვე დაუპატარავდა კიდეც როუდონს.

დიახ, რებეკა უსმენდა მას, ემასლაათებოდა, უმღეროდა, ექლესებოდა, ელაქუცებოდა, ასე რომ, რაც დრო გადიოდა, სერ პიტი უფრო და უფრო ნასამოვნები რჩებოდა, გრეიზ-ინიდან,

თავისი რწმუნებულიდან, კერზონ-სტრიტში რომ ბრუნდებოდა მოგიზგიზე ბუხართან. სიამოვნება სამართლისმეტყველთაც ხვდებოდა წილად, ვინაიდან ამით პიტის გაუთავებელ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებსა და ქადაგებებს თავს აღწევდნენ ხოლმე. ასე რომ, როცა სერ პიტი გაემგზავრა, სწორედ გული ეთანაღრებოდა განშორებისას. რა მოხდენილი შესახედავი იყო რებეკა, გამოთხოვების ნიშნად თავის ხელს რომ აკოცა ეტლში მჯდომარემ და ცხვირსახოცი რომ დაუქნია, როცა სერ პიტმა საფოსტო ეტლში ადგილი დაიკავა1ცხვირსახოცი ერთხელ თვალებზეც მიიდო. ეტლი რომ დაიძრა, პიტმაც თვალებზე ჩამოიფხატა ზღვის მწავის ქუდი, გადაესვენა უკან და შეუდგა ფიქრს იამზე, თუ რა დიდ პატივს სცემდა მას რებეკა, რა ღირსი ბრძანდებოდა თვითონ ამ პატივისცემისა, ხოლო რა სულელი, ჩერჩეტი ვინმე იყო როუდონი, რომელიც სანახევროდ ვერ აფასებდა თავის ცოლს, და რა უნდილი, გამოთაყვანებული ჩანდა მისივე საკუთარი მეუღლე იმ ბრწყონვალე პაწია ბეკისთან შედარებით. იქნებ თვით ბეკიმაც შთააგონა ყოველივე ეს, მაგრამ ისე ფაქიზად და სათუთად, რომ ვერც მიხვდებოდა კაცი, როდის ან სად მოახერხა. და ვიდრე ერთმანეთს გამოესალმებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ საგაისო სეზონისთვის ლონდონის სახლი განეახლებინათ და რომ ძმათა ოჯახები საშობაოდ კვლავ ერთად შეყრილიყვნენ სოფლად.

- ნეტავი ცოტა ფული მაიც დაგეცინცლა, - წაულაპარაკა ცოლს პირმოღუშულმა როუდონმა, როცა ბარონეტი გაისტუმრეს. - მინდოდა ცოტაოდენი რამმიმეცა მოხუცი რეგლზისთვის; კისერიმც მიტეხია, თუ არ მინდოდეს! ხომ იცი, კარგი რა არის, ბერიკაცს რომ სულ არას ვაძლევთ. უხერხულიცაა - ხომ იცი, შეუძლია სახლი ვინმე სხვასაც მიაქირავოს.

- უთხარი: როგორც კი სერ პიტი საქმეებს მოიწესრიგებს, ყველას გავისტუმრებ-თქო, და ცოტაოდენიც მიაჩეჩე ვალის ანგარიშში. აი, ჩეკი, სერ პიტმა რომ აჩუქა ჩვენს ბიჭს! - თქვა ცოლმა; თან ამოიღო ჩანთიდან და მეუღლეს მიაწოდა ის ქაღალდი, რომელიც მაზლმა გადასცა პატარა ვაჟიშვილისა და კროულების უმცროსი უმცროსი შტოს მემკვიდრისათვის.

მართალი მოგახსენოთ, ბეკიმ უკვე თვითონაც მოსინჯა ნიადაგი ქმრის ნათქვამი განზრახვის ასასრულებლად - მასინჯა ძალიან დაკვირვებულად და მიხვდა, რომ სახიფათო

იყო ეს საქმე. გასაჭირზე ოდნავ სიტყვის გადაკვრამაც კი დააფრთხო და შეაშფოთა სერ პირ კროული. იგი მოჰყვა გრძლად ლაპარაკს და აუხსნა, თვითონაც რა ძალიან სჭიროდა ფული; მაიჯარეები რომ არ უხდიდნე იჯარას; მამის საქმეებმა და მოხუცის გარდაცვალებამ რა ხარჯში ჩააგდო; როგორ უნდოდა ვალების გასტუმრება, მაგრამ ბანკირებსა და რწმუნებულებთან რომ ამოწურული ჰქონდა თანხა; და პიტ კროულიმ დააბოლოვა რძალთან მორიგება იმით, რომ ცოტაოდები ფული მისცა პატარა ბიჭიკოს საჩუქრად.

პიტმა იცოდა, რა ღატაკი უნდა ყოფილიყო ძმა და მისი ოჯახი. ამისთანა ფხიზელდა გამოჯეკილ ძველ დიპლომატს არ შეიძლებო გამოჰპარვოდა, რომ როუდონის ოჯახს არავითარი სახსარი არ გააჩნდა და რომ ბინასა და ეტლებს უფულოდ არავინ იძლევა. ჩინებულად იცოდა, რომ მას ხვდა, თუ მან იხვედრა, ის ფული, რომელიც, სადაც სამართალია, უმცროს ძმას უნდა დარჩენოდა; და, შეიძლება ვიფიქროთ, იდუმალ სინდისის ქენჯნას განიცდიდა, რაიც უბიძგებდა ამ იმედგაცრუებული ნათესავებისათვის რაიმე სახით სამართალი მიეღო, ანდა, სულაც ვთქვათ, როგორმე აენაზღაურებინა დანაკლისი. ვითარცა სამართლიან, რიგიან, არც თუ უჭკუო კაცს (რომელიც ლოცვებს აღავლენდა ღვთის წინაშე, იცავდა თავის კატეხიზმოს[44] და გარეგნულად მაინც აღასრულებდა თავის მოვალეობას ცხოვრებაში) სერ პიტს არ შეიძლებოდა არ ეგრძნო, რომ რაღაც ვალდებულება ჰქონდა ძმის წინაშე, და რომ ზნეობრივად როუდონის მოვალე იყო.

მაგრამ როცა კაცი გაზეთ „ტაიმსში“ წამდაუწუმ ამოიკითხავს ფინანსთა მინისტრის უცნაურ უწყებებს - ა. ბ. 50გირვანქა სტერლინგს, ანდა უ. ტ. 10 გირვანქას გვიგზავნის, ვითარცა „სინდისის ფულს“[45], ხსენებულ ა. ბ.-ს ანდა უ. ტ.-ს ვალების გასასტუმრებლად, რისთვისაც მონანიე პიროვნებანი სთხოვენ პატივცემულ მინისტრს გაზეთსი საჯაროდ გამოცხადებით დაადასტუროს ამ თანხების მიღებაო - მინისტრიც და ასევე მკითხველიც ყოველთვის ღრმად დარწმუნებულნი ბრძანდებიან, რომ ზემოხსენებული ა. ბ. და უ. ტ. თავიანთი ნამდვილი ვალის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილს იხდიან და რომ ოც გირვანქა სტერლინგიანის გამოგზავნს ალბათ ასობისა და ათასობით სხვა ვალიც აწევს კისერზე. ყოველ შემთხვევაში, ასეთი გახლავთ ჩემი გრძნობანი, როცა ა. ბ.-ს ანდა უ. ტ.-ს ნაწილობრივი მონანიების მაგალითებს ვხედავ. და ეჭვი არ

მეპარება, რომ პიტ კროულის მონანიება ანდა, თუ გნებავთ, გულკეთილობა თავისი უმცროსი ძმისადმი, რომლისგანაც ასე დიდი სარფა ნახა, მხოლოდ ფრიად მცირე სარგებელს წარმოადგენდა იმ დიდი თანხისა, რომელიც როუდონისაგან ემართა. მაგრამ ზოგი ამდენსაც არ გაიმეტებდა - ფულის შელევა თითქმის ყველა წესრიგის მოყვარე კაცისთვის შეუძლებელი მსხვერპლი გახლავთ. არა მგონია ისეთი ვინმე მოიპოვებოდეს ქვეყნის ზურგზე, რომელსაც თავი დიდ ხოტბის ღირსად ამ რიაჩნდეს, მოყვასს ხუთიოდე გირვანქა სტერლინგს რომ მიუგდებს. ფუქსავატი კაცი მადლის ჩადენით ტკბობისთვის კი არ გასცემს, არამედ ფლანგვის უქმი სიამოვნების გულისთვის სჩადის ამას. იგი არც ერთ სიამოვნებას არ მოიკლებს: არც ოპერის ლოჟას, არც ბედაურს, არც სადილს და არც საბრალო დავრდომილისათვის ხუთი გირვანქის ბოძებას. ყაირათიანი კაცი - კეთილი, ჭკვიანი, სამართლიანი, რომელსაც არავისი არა მართებს რა - ზურგს შეაქცევს მათხოვარს, ეღიჯინება მეეტლეს, ანდა უარით ისტუმრებს ღატაკ ნათესავს და მე ვერ გადამიწყვეტია, ამათგან რომელი უფრო თავკერძა, ოღონდ ფულსა აქვს მათ თვალში სხვადასხვა დასი.

ერთი სიტყვით, პიტ კროულის ჯერ აზრად მოუვიდა, ჩემს ძმას როიმეს შევძღვნიო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა - სხვა დროისათვის გადადება სჯობიაო.

რაც შეეხება ბეკის, იგი ისეთი დიაცი არ გახლავთ, ძალიან დიდი ხელგაშლილობის იმედი ჰქონოდა მოყვასთა მხრით, და სრულიად დააკმაყოფილა ყოველივე იმან, რაც მისთვის პიტ კროულიმ გააკეთა. იგი სცნო ოჯახის მოთავემ. თუმცა პიტმა არაფერი მისცა, ოდესმე მაინც რაიმეს გაიმეტებს. თუ ფული არ მისცა მაზლმა, ფულივით რამ მაინც მოიპოვა მისგან - ნდობა. რეგლზს ცოტა გულს მოეშვა ძმათა შორის თანხმობის დანახვაზე, აგრეთვე მცირეოდენი თანხა რომ მიიღო, ხოლო გაცილებით მეტის მალე გასტუმრებასაც რომ შეჰპირდნენ. რებეკამ უთხრა მის ბრიგზს, რომელსაც ნასესხები მცირე თანხის მოგების საშობაო წილი ბეკიმ გულწრფელი სიხარულით გადაუხადა, თითქოს მისი ქისა პირთამდე ოქროთი ყოფილიყო სავსე - რებეკამ, როგორც მოგახსენეთ, უთხრა მის ნრიგზს დიდად საიდუმლოდ, რომ იგი საგანგებოდ მოეთათბირა სერ პიტს, გამოჩენილ ფინანსისტს, ბრიგზის საქმეებზე, უფრო მომგებანად როგორ მოეთავსებინათ მის

ბრიგზის დანარჩენი თანხა; რომ სერ პიტმა დიდი ფიქრის შემდგომ გადაწყვიტა ყველაზე უშიშრად და სარგებლიანად სად შეიძლებოდა დაებანდებინა ბრიგზს ფული; რომ სერ პიტი საგანგებო ინტერესს იჩენდა მისდამი, როგორც განსვენებული მის კროულისა და მთელი ოჯახის გულითადი მეგობრისადმი და რომ ქალაქიდან წასვლამდე ურჩია, ეთქვა ბრიგზისათვის, ყოველ წუთს მზად ეგულებოდა ფული, რათა ხელსაყრელი შემთხვევისთანავე შეესყიდათ სერ პიტის მიერ შერჩეული აქციები. საბრალო მის ბრიგზმა ძალიან დაუმადლა სერ პიტს ასეთი გულისხმიერება - თქვა, მე თვითონ არასოდეს ფიქრადაც არ მომივიდოდა სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებში დაბანდებული ფული გამომეტანაო; ხოლო ასეთი თავაზიანობა კიდევ უფრო მეტად განადიდებდა მისდამი შეთავაზებულ სამსახურს. ამიტომბრიგზი შეჰპირდა, ახლავე მოვინახულებ რწმუნებულებს და სათანადო დროისთვის ჩემს მცირეოდენ ნაღდ ფულს მზად ვიქონიებო.

და ეს ღირსეული მანდილოსანი ისე მადლიერი გახლდათ რებეკას გულკეთილობისა და სულგრძელი მწყალობლის, პოლკოვნიკისა, რომ წავიდა და თავისი წლიური შემოსავლის დიდი ნაწილი პატარა როუდონის შავი ხავერდის სამოსისათვის დახარჯა; თუმცა, უნდა მოგახსენოთ, ყმაწვილი ახლა უკვე იმდენად წამოიზარდა და იმ სიდიდე და იმ ასაკისა გახლდათ, რომ ვაჟკაცის ქურთუკი და შარვალი უფრო შეეფერებოდა.

როუდონ-უმცროსი ლამაზი, სახენათელი ბიჭი იყო; ლურჯთვალა, ქერა ხუჭუჭთმიანი, მაგრამდიდსულოვანი და გულჩვილი. ყველა გატაცებით უყვარდა, ვინც გულკეთილად მოეპყრობოდა: პონი; ლორდი საუთდაუნი, რომელსაც იგი აჩუქა (გაწითლდებოდა და სახეზე სულ ალმური მოედებოდა ხოლმე ამ გულკეთილი დიდგვაროვანი ყმაწვილკაცის დანახვაზე); მეჯინიბე, რომელიც პონის უვლიდა; მოლი, მზარეული ქალი, რომელიც ღამ-ღამე მოჩვენებათა ამბებით ბერავდა და სადილის გემრიელი ნარჩენებით ყეყავდა; ბრიგზი, რომელსაც სტანჯავდა და მასხარად იგდებდა და განსაკუთრებით კი მამამისი, რომლის სიყვარულიც ყმაწვილისადმი უცნაური რამ საყურებელი გახლდათ. დაახლოებით რვა წლის ასაკში, შეიძლება ითქვას, ამით იფარგლებოდა მის საყვარელ არსებათა წრე. ტურფა დედის სახება მალევე ჩაუქრა. თითქმის ორი წლის განმავლობაში

რებეკას ხმაც არ გაუცია ბავშვისათვის. არ უყვარდა. ბავშმა წითელა და ყივანახველა მოიხადა. შვილი გულ უწვრილებდა. ერთხელ პატარა როუდონი დედის ხმის გაგონებაზე, რომელიც ლორდ სტაინს უმღეროდა. ზემოდან ჩამოპარულიყო, კიბის ბაქანზე იდგა და ყური მიეგდო სიმღერისათვის. უცბად სასტუმრო ოთახის კარი გაიღო და გამომჟღავნებულ იქნა პატარა ჯაშუში, რომელიც ერთი წუთის წინ სიამით გარინდულიყო მუსიკის ხმაზე.

დედამისი გამოვიდა და ერთი-ორი მაგარი სთხლიშა ყბაში. ბავშმა გაიგონა, შიგნით ოთახში როგორ არეხროხდა მარკიზი, რომელიც გაამხიარულა ბეკის ხასიათის ასე თავისუფალმა და წრფელმა გამოვლინებამ. გამწარებულმა ბალღმა ჩაირბინა მეგობრებთან სამზარეულოში და თავი მისცა ურვა-მწუხარებას.

- განა ნაცემი მტკივა - ამოისლუკუნა პატარა როუდონმა. - ოღონდ... ოღონდ... - გულამოსკვნილმა ქვითინმა და ცრემლებმა აღარ დააბოლოვებინეს წინადადება. პატარა ბიჭი გულში იყო დაკოდილი. - რატომ არ შეიძლება მეც ვუსმინო მის სიმღერას? რატომ მე არასოდეს მიმღერის... იმ თავმოტვლეპილ, ღრჯოლებიან კაცს რომ უმღერის? - შიგადაშიგ ძლივძლივობით ამოსთქვამდა წყენისა და მწუხარების ამ შეძახილებს ბავშმა.

მზარეულმა პირისფარეშს შეხედა, პირისფარეშმა ნიშანდობლივად გადაავლო თვალი მხლებელ მსახურს - სამზარეულოს საშინელი ინკვიზიცია, რომელიც ყოველ სახლშია მოკალათებული და ყოველივე იცის, ამჟამად რებეკას საქმეს განსჯიდა.

ამ ამბის შემდეგ შვილის მიმართ დედის ამრეზილობა უკვე სიძულვილად იქცა. იმის შეგნება, რომ ბავშვი სახლში იყო, პირდაპირ ესიკვდილებოდა რებეკას. მისი დანახვაც კი აგულისებდა. ბიჭუნას სულშიაც შიშმა, ეჭვმა და წინააღმდეგობის მრძნობამ დაიბუდა. იმ სილაქებიანი დღის შემდეგ ისინი გაშორიშორდნენ.

ლორდ სტაინსაც გულწრფელის გულითა სძაგდა ბიჭი. როცა შემთხვევით შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მარკიზი სარკასტულ თავის დაკვრას ან რაიმე შენიშვნას უძღვნიდა ბავშვს; ანდა მხეცურად გადმოუბრიალებდა თვალებს. სამაგიეროდ, როუდონიც ჯიქურ შეყურებდა სახეში და კუმავდა პატარა

მუშტებს. იგი სცნობდა თავის მტერს და სტუმართა შორის ყველაზე უფრო ის აგულისებდა. ერთ დღეს მსახურმა წაასწრო, წინა ოთახში მუშტებს რომ უღერებდა ლორდ სტაინის ქუდს. მსახურმა ეს ამბავი, ვითარცა სასაცილო ხუმრობა, ლორდ სტაინის მეეტლეს უთხრა: იმ პირმა ლორდ სტაინის პირისფარეშსა და მთელ საჯალაბოს გადასცა. ამიტომ, როცა იმ მოკლე ხანში ქალბატონი კროული მობრძანდა გონტ-ჰაუზში, ყველამ იცოდა ბეკის ამბავი, - მეკარემ, რომელმაც კარი გაუღო; წინა დარბაზში მყოფმა ყოველი ჯურის ფარეშებმა; თეთრჟილეტიანმა მსახურებმა, რომელნიც კიბის ბაქნიდან ბაქნამდე ასძახოდნენპოლკოვნიკდა ქალბატონ კროულების სახელებს. დარეშმა, რომელიც მიართმევდა საჭმელებს და ზურგს უკან ედგა რებეკას, მისი დახასიათება გვერდით მდგარ ჭრელსამოსიან ვეება დარბაისელს აუწყა. Bon Dieu![46] საშინელია მსახურთა სამსჯავრო! თქვენ ზედავთ ბრწყინვალე დარბაზში დიდ ჭვეულაბაში მყოფ ბანოვანს, ერთგული თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულს; აქეთ-იქით ნაპერწკლებს ისვრის თვალთაგან, უნატიფესადააგამოწყობილი, თმა დაუხვევია, ფერუმარილი სცხია, იღიმება, ბედნიერებით ტკბება. მას მოწიწებით ეახლება ნაყინიანი სინით მხილება, ვეება ნაკუთლებიანი, შეპუდრული უშველებელი ფარეშის სახით; და მას უკან მოსდევს ცილისწამება (რომელიც ისევე გარდუვალი დასაბედისწეროა, ვითარცა ჭეშმარიტება) უგერგილო ყმაწვილის სახით, რომელსაც ვაფლის ნამცხვრები მოაქვს. ქალბატონო, თქვენს საიდუმლოს ამაღამ განსჯიან ეს დარბაისელნი თავიანთ სამიკიტნო-კლუბში. ჯეიმზი ჩარლზს ეტყვის თავის აზრს თქვენს შესახებ ჩიბუხების წევითა და კალის თასებით ლუდის სმის დროს. ზოგს ამაოების ბაზარში მუნჯი მსახურები უნდა ჰყავდეს - მუნჯები და წერა-კითხვის უცოდინარნიც. თუ დამნაშავე ხარ - ცახცახებდე, შენს სკამს უკან მდგარი ეგ ჯეელი ეგებ იანიჩარია, რომელსაც შენს წასახრჩობად მშვილდის ლარი უდევს ხავერდის შარვლის ჯიბეში. თუ დამნაშავე არ ბრძანდები, დაიცავი საზოგადოებაში ქცეის წესრიგი, რისი დარღვევაც ისევე დამღუპელია, როგორც დანაშაული

„დამნაშავე იყო თუ არა რებეკა?“ - საჯალაბოს საიდუმლო სამსჯავრომ დამნაშავედ სცნო იგი.

და, მრცხვენია ვთქვა, მას არც ექნებოდა ნდობა, რომ ისინი დარწმუნებულნი არ ყოფილიყვნენ მის დამნაშავეობაში

სწორედ მარკის სტაინის ეტლის ფარნების შუქი, რომელიც შუაღამის წყვდიადში ჭიატობდა რებეკას კარწინ, „უფრო უმაგრებდა გულს“ რეგლზს, ვიდრე რებეკას ხრიკები და მლიქვნელობა.

და ამრიგად რებეკა - ფრიად შესაძლოა, უდანაშაულოც - მიიხლაკნებოდა და მიიბრძოდა, რათა ეგრეთ წოდებული „მდგომარეობა მოეპოვებინა საზოგადოებაში“, მსახურნი კი მასზე, როგორც გათახსირებულსა და დაღაპულ ქალზე, უთითებდნენ. ასე შეიძლება დილაობით შეამჩნიოთ პირისფარეში მოლი, როცა იგი უთვალთვალებს ობობას, რომელიც კარის ჩარჩოს კუთხეში თავის ქსელს ქსოვს და გულმოდგინედ მიცოცავს მაღლა-მაღლა, ვიდრე ამ გართობით გულმოჯერებული ქალი არ აღმართავს ცოცხს და არ ჩამოგვის ქსელსაც და მის მკეთებელსაც.

შობამდე ერთი-ორი დღით ადრე ბეკი, მისი მეუღლე და მათი ვაჟიშვილი დედოფლის კროულის გაემგზავრნენ მამა-პაპათა სამყოდელში დღესასსწაულების გასატარებლად. ბეკი სიამოვნებით დატოვებდა ლონდონში პატრა ღლაპს, რომ ლედი ჯეინს დაჟინებით არ დაეპატიჟნა ბალღიც და თან როუდონის აშკარად გამომჟღავნებული აფეთქებისა და უკმაყოფილების შიში რომ არ ჰქონოდა ვაჟიშვილის ასე აბუჩად აგდებისათვის.

- ინგლისში სხვა ამისთანა მშვენიერი ბიჭი არც მოიპოვება, - თქვა მამამ სიყვარულით, - შენ კი იმდენ ყურადღებასაც არ აქცევ, ბეკი, რამდენსაც შენი ფინიასთვის იმეტებ. სულაც არ მოგაბეზრებს თავს: შინ ყოფნისას ბავშვების ოთახში იქნება, მგზავრობით კი ჩემთან ერთად იმგზავრებს ეტლის გარეთა სკამზე.

- სადაც თვითონაც წამოსკუპდები, რადგან შენი საზიზღარი სიგარების წევით გინდა დატკბე, - სიტყვა ჩამოართვა ქალბატონმა.

- მახსოვს, წინათ ძალიან გეამებოდა მათი ბოლი, - მიუგო ქმარმა.

ბეკიმ გაიცინა - იგი თითქმის ყოველთვის კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა.

- ეგ მაშინ იყო, წინსვლას რომ ვესწრაფოდი, სულელო, - უთხრა

მან. - ატარე როუდონი გარეთა სკამზე შენთან ერთად და თუ გნებავს, სიგარაც მოაწევინე.

როუდონს ამ ზამთრის მგზავრობაში ასე არ გაუთბია თავისი პატარა შვილიკო, არამედ დილაადრიან მან და ბრიგზმა შალებში გულმოდგინედ შეფუთნეს ბავშვი და ჯერ კიდევ „თეთრი ცხენის სარდაფის“ ფარნების შუქზე პატივისცემით შეაბრძანეს ეტლის სახურავზე. იგი აქ არა არანაკლები სიამით ტკბებოდა განთიადის დადგომით და პირველად მიემგზავებოდა იმ ადგილისაკენ, რომელსაც მამამისი ჯერ კიდევ თავის სახლს ეძახდა. ეს მგზავრობა განუსაზღვრელ სიამოვნებას ანიჭებდა ბავშვს, რომელიც მოგზაურობის ყოველ უბრალო შემთხვევას უდიდესი ინტერესით ეკიდებოდა. მამა არც ერთ მის შეკითხვას უპასუხოდ არ ტოვებდა და უხსნიდა, ვინა ცხოვრობდა გზის მარჯვნივ მდებარე დიდ თეთრ სასახლეში, ანდა ვის ეკუთვნოდა პარკი. თავის ბეწვეულს, შალებსა და სასუნებელ წამლებში ჩაფლული, ეტლის შიგნით მოახლესთან ერთად დაბრძანებული დედამისი ისეთ ბორგვაში გახლდათ, გეგონებოდათ, წინათ აროდეს მჯდარიყო დილიჟანსში. ახლა უკვე ვეღარც წარმოიდგენდა კაცი, რომ იგი ათიოადე წლის წინათ ერთი მგზავრობის დროს სწორედ აქედანაც გამოაბუზარეს, რათა ადგილი დაეთმო ბილეთიანი მგზავრისათვის.

კვლავ ჩამოღამებული იყო, როცა პატარა როუდონი გააღვიძეს მადბერიში ბიძამისის ეტლში გადასვეს. იგი თვალებ დაჭყეტილი გადმოსცქეროდა, როგორ გაიღო რკინის დიდი ალაყაფის კარი და როგორ ჩაუქროლეს თეთრღეროებიან ცაცხვებს, ვიდრე ბოოს სასახლის განათებულ ფანჯრებთან არ შედგეს, რომელნიც საამოდ კაშკაშებდა საშობაო სტუმართა მოლოდინში. სასახლის მთავარი კარი სასწრაფოდ გაიხსნა; ვეება ძველებურ ბუხარში დიდი ცეცხლი გიზგიზებდა, ჭადრაკულად მოგებულ შავი ქვის ფილებზე ნოხი ეფინა. „ეს ძველი თურქული ნოხია, მანდილოსანთა გალერეაში რომ ეფინა“, - გაიფიქრა რებეკამ და შემდგომ წუთში უკვე ლედი ჯეინს ჰკოცნიდა.

სერ პიტსაც დიდის დარბაისლობით მიესალმა, ხოლო როუდონი რაკი ახლახანს სწევდა სიგარას, ცოტა თავი აარიდა რძალს, რომელმაც თავისი ორი ბალღი მოჰგვარა ბიძაშვილს. სანამ მატილდა ხელს გამოუწვდიდა და გადაკოცნიდა, პიტ-

ბინკი-საუთდაუნი, ძე და მემკვიდრე, ცოტა განზე იდგა და თავის ბიძაშვილს ისე ათვალიერებდა, როგორც ფინიამ იცის დიდი ძაღლის თვალიერება.

შემდეგ გულკეთილი დიასახლისი მხიარული ცეცხლით ალაპლაპებული მყუდრო ოთახებისაკენ წაუძღვა სტუმრებს. მერე ახალგაზრდა ბანოვნები მობრძანდნენ და მიუკაკუნეს როუდონის მეუღლის კარს, ვითომდა ხომ არაფერი გჭირიათო, ნამდვილად კი მისი ბაფთების და ქუდების კოლოფებისა და კაბების გასინჯვა ეწადათ, რომელნიც, მართალია, შავი გახლდათ, მაგრამ უახლესი ლონდონური მოდისა კი იყო. თან უამბეს, რა დიდად და სასიკეთოდ შეიცვალა სასახლე. როგორ წაბრძანდა ბებერი ლედი საუთდაუნი და პიტი როგორ იჭერდა თავის ადგილს საგრაფოში, როგორც ჭეშმარიტად შეშვენოდა კიდეც კროულების გვარს. შემდეგ სადილის დიდი ზარი დაირეკა. ოჯახი სასადილოდ შეიკრიფა; სუფრაზე როუდონ-უმცროსი მისი ძალუას, გულკეთილი დიასახლისის, გვერდით დასვეს, ხოლო სერ პიტი არაჩვეულებრივი გულისყურით ეპყრობოდა მის მარჯვენა მხარეს მჯდომ თავის რძალს.

პატარა როუდონმა ჩინებული მადა გამოამჟღავნა და ჯენტლმენურადაც იქცეოდა.

- მომწონს აქ სადილობა, - განუცხადა მან ძალუას, როცა იჯრა მოითავა, რომლის ბოლოს და სერ პიტისადან შესაბამისი ლოცვის თქმის მერე, ყრმა შე და მემკვიდრე შემოაბრძანეს, მაღალ სკამზე წამოასკუპეს ბარონეტის გვერდით, ხოლო ასულმა კი დედამისის გვერდით დაიკავა ადგილი მისთვის დადგმულ პატარა საღვინე ფიალასთან. - მომწონს აქ სადილობა, კვლავ ბრძანა როუდონ უმცროსმა და თან გულკეთილ ძაულას შეჰყურებდა სახეში.

- რატომ? - ჩაეკითხა ალერსიანად ლედი ჯეინი.

- შინ როცა ვარ, სამზარეულოში ანდა ბრიგზთან ვსადილობ ხოლმე, - მიუგო როუდონ-უმცროსმა.

მაგრამ ბეკი ისე გართულიყო თავის მასპინძელ ბარონეტთან ქლესობაში, რომ არ გაუგონია, ფართო, ბრწყინვალე სუფრის ბოლოს მისმა საკუთარმა სისხლმა და ხორცმა რა წამოროშა. ბეკი აფრქვევდა აღფრთოვანებული და აღტაცებული ქათინაურების ნაკადს; ეთაყვანებოდა ახალგაზრდა პირ ბინკის და აცხადებდა: ისე მშვენიერი, ჭკვიანი, კეთილშობილი

შესახედაობის ბალღი და თანაც ასე პირწავარდნილი მამ, მე არ მინახავსა.

ვითარცა სტუმარს და ამასთანავე ჩამოსვლის პირველი დღის საპატივსაცემოდ, როუდონ-უმცროსს ნება დაერთო მანამდე დარჩენილიყო, სანამ ჩაის სმა არ დამთავრდა, დიდრონი მოოქრული წიგნი არ დაუდვეს წინ სერპიტს, მთელი ჯალაბობა არ შეჰყარეს და სერ პიტმა ლოცვები არ წაიკითხა. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, საბრალო პატარა ბიჭმა რომ იხილა თუ მოუსმინა ასეთ ცერემონიას.

სასახლე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა ახალი ბარონეტის ხელმწიფობის ხანაში და ბეკიმ როცა მასპინძლის თანხლებით დაათვალიერა იგი, განაცხადა: სრულყოფილი, მომჯადოებული და აღმაფრთოვანებელიაო. რაც შეეხება პატარა როუდონს, რომელმაც ბავშვების წინამძღვრობით გასინჯა, მას იგი ნამდვილ ჯადოსნურ, საოცარ ციხედარბაზად ეჩვენებოდა. იქ იყო გრძელი გალერეები, ძველებური დიდებული საძილე დარბაზები, სურათები, ძველი ფაიფურის ჭურჭელი, იარაღი. იქვე გახლდათ ის ოთახი, სადაც ბაბუა გარდაიცვალა და რომელსაც ბავშვებმა შიშნაჭამი თვალებით ჩაუარეს.

- ვინ იყო ბაბუა? - იკითხა როუდონმა და უამბეს, რა ძალიან ბებერი კაცი იყო იგი და როგორ დააგორებდნენ მას გორგოლაჭებიანუ სავარძლით. ერთ დღეს აჩვენეს კიდეც ის სავარძელი - იგი ფარდულში ლპებოდა, სადაც იგი მოათავსეს მას შემდეგ, რაც მოხუცო დარბაისელი საბოლოოდ წააბრძანეს იმ ეკლესიისაკენ, რომლის წვეროც პარკის თელების ზემოთ ბრჭყვიალებდა.

ძმებმა რამდენიმე დილა შესწირეს სერ პიტის ნიჭითა და ყაირათობით ჩატარებულ გაუმჯობესებათა დათვალიერებას. ფეხით ან ცხენით სეირნობისა და თვალიერების დროს ტკბილად მუსაიფობდნენდა ძალიანაც არ აბეზრებდნენ ერთმანეთს თავს. პიტმა დრო იხელთა და მოახსენა როუდონს, რა დიდი თანხა დაუჯდა ეს გაუმჯობესებანი, და რომ დიდი მიწებისა და სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების მფლობელს ხშირად ოცგირვანქიანი ვალის გადახდაც დიდ საგონებელში აგდებდა.

- აგე ახლა ალაყაფის კარის ჯიხური! - თქვა პიტმა და ბამბუკის ჯოხი გაიშვირა იქით, - იანვრის დივიდენდებამდე ისევე არ

შემიძლია მაგის ვალის გასტუმრება, როგორც ფრენა არ ძალმიძს.

- მანამდე მე შემიძლია გასესხო, პიტ, - მიუგო როუდონმა ცოტა უნდილად.

ისინი შევიდნენ შიგ და დაათვალიერეს არდგენილი ჯიხური, სწორეს ახლახან ამოეკვეთათ ქვაზე საგვარეულო ღერბი და მისის ლოცვაც, მრავალი წლის განმავლობაში ეს პირველად, მჭიდროდ დახურული კარები, მთელი სარავი და სარკმლები მოეპოვებოდა.

თავი XLV - ჰემშირსა და ლონდონს შორის

დედოფლის კროულის მამულის დანგრეული ჯიხურების აღდგენასა და ღჯბეების შეკეთებაზე მეტიც გააკეთა სერ პიტ კროულიმ. ვითარცა ბრძენი ადამიანი, იგი შეუდგა თავისი სახლის შებღალული სახელის კვლავ აღზევებას და იმ ლაქებისა და ჩირქის ჩამოფხეკას, რომელიც ღერბზე დაუტოვა სახელმოყივნებულმა და ფუქსავატამ წინამორბედმა. მამის გარდაცვალებისთანავე, დაბის სახელით იგი სასწრაფოდ აირჩიეს პარლამენტის წევრად. მომრიგებელი მსაჯული, პარლამენტის წევრი, საგრაფოს დიდი მემამულე და ძველი გვარიშვილი თავს მოვალედ თვლიდა, თავი გამოეჩინა პემპშირის საზოგადოებაში - ხელგაშლილად აწერდა ხელს საგრაფოს საქველმოქმედო შეწირულობებს, ბეჯითად ესწრებოდა საგრაფოს ყველა შეკრებილებებს. ერთი სიტყვით, ტყავიდან ძვრებოდა, რათა ჰემპშირსა და მერე იმპერიაშიც ის მდგომარეობა მოეპოვებინა, რომელიც, მისი ფიქრით, სამართლიანად ეკუთვნოდა მისი განსაცვიფრებელი ნიჭის პატრონს. ლედი ჯეინს მიეთითა, მეგობრული განწყობილება ჰქონოდა ფადლსტონებსა, უოპშოტებსა და სხვა მეზობელ სახელოვან ბარონეტებთან. მათი ეტლები ახლა ხშირად ჩანდნენ დედოფლის კროულის ხეივანში. ისინი ფრიად ხშირად სადილობდნენ სასახლეში (სადაც ისე კარგად გახლდათ შემზადებული საჭმელები, რომ აშკარა იყო, ლედი ჯეინის ხელი იშვიათად ეკარებოდა მათ) და სამაგიეროდ პიტიც

მეუღლითურთ ყოველ ამინდსა და ყოველ სიშორეზე დიდის გულმოდგინებით დაბრძანდებოდა სხვაგან. პიტი უმადო, ჯანსუსტი, უნდილი და უგუნებო კაცი გახლდათ. ლხინი და დროსტარება არაფრად ეპიტნაებოდა, მაგრამ, მისი აზრით, მისი მდგომარეობის ადამიანი სწორედ მოვალე იყო, სტუმართმოყვარეობა და თავმდაბლობა გამოეჩინა და ყოველთვის, როცა ნასადილევს სუფრასთან გაჭიანურებული ჯდომის შემდეგ თავი ასტკივდებოდა, მოვალეობისათვის თავდადებულ მარტვილად მიაჩნდა თავი. ემუსაიფებოდა საგრაფოს გამოჩენილ მემამულეებს მოსავლის, პურის კანონებისა და პოლიტიკის შესახებ; ფიცხად ილაშქრებოდა ქურდული ნადირობის წინააღმდეგ და ნადირის დასაცავად (თუმცა წინათ ან საკითხებში, სამწუხაროდ, თავისუფალი შეხედულებებისაკენ იხრებოდა). თვითონ არ ნადირობდა - მონადირე კაცი არ გახლავთ. ის იყო წიგნებისა და წყნარი, მშვიდობიანი ჩვევების მოყვარე ადამიანი, მაგრამ მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ცხენების ჯიშის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა და რომ ამასთანავე მელიების მოშენებასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება. თავის მხრივ, თუ მის მეგობარს, სერ ჰადლსტონ ფადლსტონს ნებავდა ნადირობა და, როგორც ძველებურად იცოდნენ, ფადლსტონის ძაღლების განავარდება დედოფლის კროულიში, ბედნიერი იქნებოდა ეხილა იგი იქ და აგრეთვე ფადლსტონთა ოჯახის სხვა მონადირე დარბაისელნიც. რაც შეეხება ლედი საუთდაუნის უკმაყოფილებას, სერ პიტი დღედადღე უფრო ორთოდოქსულ მიდრეკილებებს იჩენდა. თავი დაანება საჯარო ქადაგებებს და სამლოცველო სახლებში სიარულს. ბეჯითად დაიარებოდა ეკლესიაში. ესტუმრა ეპისკოპოსსა და უინჩესტერის ყველა სასულიერო მამას და სულაც არ უუარებია, როცა ღირსპატივცემულმა არქიდიაკონმა[47] ტრამპერმა უისტის თამაში შესთავაზა. რა თანჯვა უნდა განეცადა ლედი საუთდაუნის და რა სრულიად წყალწაღებულ ადამიანად უნდა მიეჩნია თავისი სიძე, ამისთანა მკრეხელურ გართობას რომ დასთანხმდა! აგრეთვე როცა უინჩესტერს ორატორიის მოსმენის შემდგომ ოჯახი წინ დაბრუნდა და ბარონეტმა რომ აუწყა ახალგაზრდა მანდილოსნებს, მომავალ წელს ალბათ საგრაფოს ბალზედაც წაგიყვანთო! ისინი პირდაპირ აღმერთებდნენმას ამ გულკეთილობისათვის. ლედი ჯეინი ძალიან მორჩილი მეუღლე იყო, მაგრამ ალბათ თვითონაც ესიამოვნებოდა საზოგადოებაში გასვლა. ქვრივმა „ფინჩლის სამრევლოს

მრეცხავი ქალის“ ავტორს თავისი ქალიშვილის ამაოებით აღსავსე ყოფაქცევის უსაშინლესი აღწერილობა აახლა. ვინაიდან ამჟამად მისი ბრაიტონის სახლი ცარიელი იყო, იქ დაბრუნდა; შვილებს კი მაინცდამაინც არ მოუსაკლისებიათ მისი თავი. უნდა ვიფიქროთ, დედოფლის კროულიში მეორედ სტუმრობის დროს განსაკუთრების არც რებეკას სწყენია წამლებიანი კოლოფის პატრონი მანდილოსნის იქ არყოფნა. თუმცა საშობაოდ კი მის ბრწყინვალებას მაინც მისწერა მილოცვის ბარათი, რომლითაც მოწიწებით მოაგონებდა თავს ლედი საუთდაუნს. მადლიერების გრძნობით ლაპარაკობდა იმ სიამოვნებაზე, რაიც მის ბრწყინვალებასთან მუსაიფმა მიანიჭა წინა სტუმრობის დროს. ვრცლად ღაღადებდა იმ გულკეთილობაზე, რომელიც მისმა ბრწყინვალებამ გამოიჩინა მისი ავადობის ჟამს და აცხადებდა, დედოფლის კროულიში ყველაფერი შორს მყოფ მეგობარს მაგონებსო.

სერ პიტ კროულის ყოფაქცევის შეცვლითა და აბრუს აწევით მიზეზი მნიშვნელოვან წილად ამ გაიძვერა პატარა კერზონ-სტრიტელი დედაკაცის შეგონებაში უნდა ვეძიოთ.

- თქვენ და უბრალო ბარონეტად დარჩეთ!.. თქვენ და უბრალო სოფლელ მემანულეობას დათანხმდეთ?.. - ეუბნებოდა ბეკი, როცა პიტი სტუმრად ბრძანდებოდა მასთან ლონდონში. - არა, სერ პიტ კროული, მე უკეთ გიცნობთ. მე ვიცი თქვენი ნიჭისა და თქვენი პატივმოყვარეობის ამბავი. თქვენა გგონიათ, ორივეს ფარავთ, მაგრამ მე ვერას გამომაპარებთ. ლორდ სტაინს სტაინს ვაჩვენე თქვენი წიგნაკი ალაოს შესახებ. მას უკვე წაკითხული ჰქონდა იგი და ბრძანა: მთელი კაბინეტის აზრით, ამ საგანზე უკეთესი არა დაწერილა რაო. სამინისტროს თვალი უჭირავს ძთქვენზე და ვიცი, რაც გესაჭიროებათ. თქვენ გჭირდებათ თავის გამოჩენა პარლამენტში. ყველა ამბობს თქვენზე, ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ორატორთაგანიაო (ვინაიდან ჯერ კიდევ ახსოვთ ოქსფორდში წარმოთქმული თქვენი სიტყვები). თქვენ უნდა იყოთ წარმომადგენელი პარლამენტში საგრაფოსი, სადაც თქვენი საკუთარი ხმითა და დაბის მხარდაჭერით შეგიძლიათ ყოვლის შემძლე გახდეთ. და თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ დედოფლის კროულელი ბარონი კროული და კიდეც უეჭველად იქნებით უეჭველად. მე ყველაფერს ვხედავ. მე შემიძლია თქვენი გულისნადები ამოვიკითხო, სერ პიტ. მე რომ ისეთი ქმარი მყავდეს, რომელსაც ისევე ჰქონდეს თქვენი ჭკუა, როგორც

გვარი აქვს თქვენი, ხანდახან ვფიქრობ, არ ვიქნებოდი მისთვის უღირსი მეუღლე, მაგრამ... მაგრამ ახლა მე თქვენი ნათესავიღა გახლავართ, - დასძინა მან სიცილით. - საწყალი, უმნიშვნელო. ღატაკი ნათესავი, მაგრამ მეც ჩემი პატარა ინტერესი მაქვს და, ვინ იცის, იქნებ წრუწუნამ კიდეც შესძლოს ლომის დახმარება.

პიტ კტოული განაცვიფრა და მოხიბლა მისმა ლაპარაკმა.

„როგორ გამიგო ამ ქალმა! - გაიფიქრა სერ პიტმა. - ალაოს წიგნაკის ერთი გვერდიც ვერ წავაკითხე ჯეინს. მას წარმოდგენაც არა აქვს სახელმწიფო ნიჭსა და ფარულ პატივმოყვარე ზრახვებზე. მართლა ახსოვს ჩემი ოქსფორში ნათქვამი სიტყვები? არამზადები! ახლა, როცა ჩემს დაბას წარმოვადგენ პარლამენტში და იქნებ ჩემი საგრაფოს წარმომადგენელიც გავხდე, ახლა მიგონებენ! ის კი არა, ლორდ სტაინმა შარშან სამეფო კარის დარბაზობაზე არც კი შემამჩნია. ბოლოს და ბოლოს უკვე ხვდებიან, რომ პიტ კროული ხელწამოსაკრავი ვიგინდარა არ არის. დიახ, იგი ისევ ის კაცია, რომელსაც ეს ხალხი აქამდე არად აგდებდა. მარტო ხელსაყრელი შემთხვევაა საჭირო და ვუჩვენებ მათ, რომ ლაპარაკიც შემიძლია და წერაც. აქლევსს მანამდე არ გამოუმჟღავნებია თავი, სანამ ხელში ხმალი არ მიაჩეჩეს. ახლა უკვე ხელთ მაქვს იარაღი და ქვეყნიერება გაიგებს კიდეც პიტ კროულის სახელს“.

ამიტომ იყო, რომ ეს თაღლითი დიპლომატი ასე სტუმარმოყვარე შეიქმნა; ასე თავაზიანი რომ გახდა ორატორიებსა და საავედმყოფიებში, ასე ალერსიანი - დეკანოზებისა და სასულიერო პირებისადმი; ასე უჩვეულოდ თავმდაბალი და მოწყალე - ფერმერებისადმი ბაზრობებისდროს; ასე დაინტერესებული საგრაფოს საქმეებით და შობაც სასახლეში ისეთი მხიარულებით რომ გადაიხადეს, რაც დიდი ხანია აღარ ღირსებოდა დედოფლის კროულის.

შობას მთელი ოჯახის დიდი ლხინი გაიმართა. სდილად მღვდლის სახლის ყველა წევრი მობრძანდა. რებეკა ისეთი სიწრფელითა და ალერსით ეპყრობოდა ბიუტის მეუღლეს, თითქოს იგი არასოდეს არ ყოფილიყო ისი მტერი. გულითადი ინტერსი გამოიჩინა ძვირფასი გოგონებისადმი და განცვიფრფა წინსვლაზე, რაიც მას შემდეგ მუსიკის დარგში განეცადათ. ჩაიჟინა დუეტი გაემეორებინათ სიმღერების ვეება წიგნიდან, რომელიც ჯიმს ძალდატანებით იღლიაში ამოჩრილი

მოათრევინეს შინიდან. ბიუტის მეუღლე, მეტი რაღა ჩარა ჰქონდა, იძულებული გახლდათ თავაზიანობა გამოეჩინა პაწია ყალთაბანდი დედაკაცის მიმართ, ოღონდ, რასაკვირველია, თავს ნება მისცა გაეკიცხა ის ტუტუცური პატივისცემა, რომლითაც სერ პიტი ეპყრობოდა თავის რძალს.

მაგრამ ჯიმმა, რომელიც სადილზე გვერდით უჯდა რებეკას, განაცხადა, ჩინებული ქალიაო, და მღვდლის მთელმა ოჯახმა ერთსულოვნად აღიარა, პატარა როუდონი მშვენიერი ბიჭიაო. ისინი შესაძლო მომავალ ბარონეტს სცემდნენ პატივს ამ ბიჭის სახით, რადგან იმასა და ტიტულს შოტის მხოლოდ დალეული, ფერმიხდილი პიტ-ბინკიღა იდგა.

ბავშვები ძალიან დამეგობრდნენ. პიტ-ბინკი თამაშში ძალიან პატარა ფინიად მოჩანდა ისე დიდ ნაგაზთან შედარებით, როგორიც როუდონი ბრძანდებოდა; ხოლო მატილდა კი, ვითარცა მხოლოდ და მხოლოდ გოგონა, რასაკვირველია, შესაფერ ამხანაგობას ვერგაუწევდა ყმაწვილ დარბაისელს, რომელიც თითქმის რვა წლისა გახლდათ და სულ მალე ქურდუკი უნდა ჩაეცვა. მან მყის იგდა უფროსობა ამ მცირე გუნდში - პატარა გოგო-ბიჭი დიდის მოწიწებით დასდევდნენ მას კუდში, როცა კი ინებებდა მათთვის თავის გაყადრებას და თამაშს. აუწერელ ბედნიერებასა და სიამოვნებას განიცდიდა იგი სოფლად. მეტისმეტად მოსწონდა ბოსტანი, ზომიერად - ყვავილნარი, ხოლო სამტრედე, საფრინველე და საჯინიბო, როცა მათი მონახულების უფლებას დართავდნენ, პირდაპირ აღაფრთოვანებდა. მის კროულებს არ ანებებდა კოცნას, მაგრამ ლედი ჯეინის ხანდახან მოხვევნას არ უკადრისობდა და ნასადილევს ვაჟბატონები რომ კლარნეტს შეექცეოდნენ, ხოლო მანდილოსნები სასტუმროში გაიკრიფებოდნენ, მის გვერდით უყვარდა ჯდომა - მის გვერდით უფრო, ვიდრე დედამისის გვერდით. რებეკამ რაკი დაინახა, ალერსიანობა მოდაშიაო, ერთ საღამოს მიიხმო როუდონი, დაიხარა და აკოცა ყველა მანდილოსნის თანდასწრებით.

ბავშმაჯიქურ შეხედა სახეში, აცახცახდა და თან ძალიან გაწითლდა, როგორც იცოდა ხოლმე, როცა რაიმე ააღელვებდა.

- შინ არასოდეს არ მკოცნი ხოლმე, დედიკო, - უთხრა მან. ამ შენიშვნაზე საერთო დუმილი ჩამოვარდა, ყველა გახევდა და ბეკის ვერც თუ საამო გამომეტყველება დაეტყო თვალებში.

როუდონს უყვარდა რძალი, მის შვილს რომ ასე ალერსიანად ეფერებოდა. ლედი ჯეინი და ბეკი ამ სტუმრობისას სულ ისე ვერ შეწყვნენ ერთმანეთს, როგორც წინათ, როცა პოლკოვნიკის მეუღლე ცდილობდა მისთვის თავი შეეყვარებინა. ბავშვის იმ ორმა ნათქვამმა ცოტა გააგრილა მათ შორის ურთიერთობა. იქნებ სერ პიტიც მეტისმეტ ყურადღებას იჩენდა რძლისადმი.

მაგრამ პატარა როუდონს, როგორც მის ასაკსა და სიდიდეს შეესაბამებოდა, ვაჟბატონთა საზოგადოება უფრო ხობლავდა, ვიდრე მანდილოსანთა და არასოდეს არ დაიზარებოდა თამ ხლებოდა მამას, როცა სიგარის მოსაწევად იგი საჯინიბოსკენ გაისერნებდა, სადაც ხანდახან მღვდლის ვაჟი ჯიმიც შეუერთდებოდა ხოლმე ბიძაშვილს ამ საქმეშიც და სხვა გასართობებშიაც. მას დიდი მეგობრობა ჰქონდა ბარონეტის მონადირეთუხუცესთან, რომელთანაც აახლოებდა ძაღლებისადმე საერთო სიყვარული. ერთ დღეს ბატონი ჯეიმზი, პილკოვნიკი და ჰორნი, მონადირეთუხუცესი, ხოხბებზე სანადიროდ წავიდნენ და პატარა როუდონიც წაიყვანეს. მეორე ბედნიერ დილას ამ ოთხმა დარბაისელმა ბეღელში ვირთაგვებზე ნადირობა გამართა და როუდონ-უმცროსს ამაზე კეთილშობილური გართობა მანამდე არც ეხილა. მათ რამდენიმე ადგილას ამოჩურთეს ბეღლის სადრენაჟო მილები. ხოლო ზოგან ქრცვინები შეუშვეს. მერე ჯოხშემართულები გარეთ გაირინდნენ აღგზნეზულ პატარა ტერიერთან ერთად (ეს სწორედ ბატონი ჯეიმზის სახელდანთქმული ძაღლი ფორსეპსი გახლავთ), რომელიც ძლივს ითქვამდა სულს გაგელისებისაგან და, სამ ფეხზე გაშეშებული, ყურს უგდებდა ქვემოთ სოროებში ვირთაგვების სესტ წრიპინს. სასოწარკვეთილებისაგან გამამაცებული, დევნილი ცხოველები ბოლოს მიწის ზედაპირზე ამოცვივდნენ. ტერიერმა ღელვასა და ფაციფუცში ააცდინა თავის ვირთაგვას, მაგრამ კინაღამ არ მიასიკვდილა ერთი ქრცვინი.

მაგრამ ყველაზე დიდებული დღე ის გახლავთ, როცა სერ ჰადლსტონ ფადლსტონის მეძებრები შეიკრიბნენ დედოფლის კროულის წინ მინდორზე.

დიადი სანახაობა იყო ეს პატარა როუდონისათვის. თერთმეტის ნახევარზე, სერ ჰადლსტონ ფადლსტონის ჩორთით მომავალი მომავალი მონადირე ტომ მუდი გამოჩნდა ხეივანში. იგი მჭიდროდ შენივთებული კეთილშობილი ძაღლების ხროს

მოუძღოდა, ხოლო უკან მოსდევდა ალისფერ სამოსში გამოწყობილი, კარგი ჯიშის გამხდარ ცხენებზე ამხედრებული ორი შოტლანდიური მეძაღლე - მხიარული, ტლანქი შესახედაობის ჭაბუკები, ისინი თავიანთი გრძელი, მძიმე შოლტების წვერებს საოცარი სიმარჯვით უსხაპუნებდნენ მჭლე ადგილებში იმ ძაღლებს, რომლებიც გაბედავდნენხროდან ოდნავ ჩამოშორებას ანდა თუნდაც ოდნავ თავის მიბრუნებას მათ ცხვირწინ გამომხტაარი კუდღლებისა ან ბაჭიებისაკენ.

შემდეგ მოდის ჯეკი, ტომ მუდის ბიჭი, რომელიც ხუთ სტოუნს[48] იწონის, ორმაცდარვა გოჯის სიმაღლეა და არც არასოდეს გახდება მეტი, იგი წამოსკუპებულია ვეება ძვალმსხვილ ცხენზე, რომელსახ სანახევროდ ფარავს განიერი უნაგირი. ეს ოთხფეხი სერ ჰადლსტონ ფადლსტონის საყვარელი ბედაური გახლავთ - ნობი. სხვა პატარა ბიჭებიანი ცხენებიც თანდათან მოდიან და მოდიან და ელოდებიან თავიანთ ბატონებს, რომელნიც ეს-ეს უნდა გამოჩნდნენ.

ტომ მუდი სასახლის კარს მიადგება, სადაც სახლთუხუცესი მიესალმება, რომელიც სასმელს სთავაზობს, მაგრამ ის უარზეა. მერე თავისი ხროვითურთ მინდვრის დაცულ კუთხეში მიდგება, სადაც ძაღლები კოტრიალობენ ბალახში, თამაშობენ ანდა მრისხანედ უღრენენ ერთმანეთს. ხანდახან კი გააფთრებული ბრძოლაც იმართება; მაგრამ მყის აშოშმინებს მათ ტომის, სწორუპოვარი დამტუქსავის, ხმა ან შოლტების დახლაკნილი ღვედები.

ბევრი ახალგაზრდა დარბაისელი, მუხლებამდე ტალახში ამოთხვრილი, მოაჭენებს ჯიშიან ბედაურს და შედიან სახლში, რათა ალუბლის ნაყენი გადაჰკრან და მანდილოსნებს მიესალმონ; ანდა უფრო მორიდებულნი და უფრო თავდადებული მონადირენი ტალახიან ჩექმებს იხდიან, სატარებელი ბედაურების მაგიერ სანადირო ცხენებზე გადასხდებიან და მინდვრის გარშემო ჭენებით წინასწარ იხურებენ სისხლს. მერე ხროვის ირგვლივ კუთხეში იკრიბებიან და ტომ მუდის ემუსაიფებიან წარსული ნადირობის, „ჭირვეულისა“ და „ალმასის“ ღირსებათა, მამულების მდგომარეობისა და მელათა გადჯიშების შესახებ.

მალე სერ ფადლსტონიც გამოჩნდება თვინიერ, მარჯვე ცხენზე ამხედრებული; შებრძანდება სასახლეში და მიესალმება

მანდილოსნებს, რის შემდეგ, ვითარცა სიტყვაძუნწი კაცი, საქმეს შეუდგება. მათ შორის იგი აღელვებული და სანახევროდ შეშფოთებულის არის იმ ალერსით, რომლითაც ძაღლები ეპყრობიან მას - მოქიცინე კუდებს რომ უსხაპუნებენ, ძაღლურად რომ ძიძგილაობენ და ტომ მუდის ენა და მათრახიც ძლივს აშოშმინებს მათ.

ამასობაში სერ ჰადლსტონი ძლივს აბობღდება ნობზე.

- საუსტერის კორომში ვცადოთ, ტომ, - ბრძანებს ბარონეტი, - ფერმერთა მენგლმა მითხრა, იქ ორი მელა ბინადრობსა.

ტომი ბუკსა ჰკრავს და ჩორთით დასძრავს ცხენს. მას მიჰყვებიან: ხროვა, შოლტოსანი მეძაღლეები, უინჩესტერელი ახალგაზრდა ვაჟბატონები, მეზობელი ფერმერები, სამრევლოს გლეხები ქვეითად, რომელთათვისაც ეს დიდი სადღესასწაულო დღე გახლავთ; ბოლოში კი სერ ჯადლსტონი მიდის პოლკოვნიკ კროულითურთ და მთელი კორტეჟი გაუჩინარდება ხეივნის ბოლოს.

ღირსპატივცემული ბიუტ კროული ტომ მუდის ამ ორმოციოდე წლის წინათაც ახსოვს. ეს გამხდარი სასულიერო პირი ყველაზე ფიცხ ბედაურებს აგელვებდა, ყველაზე განიერ ღელეებს ახტებოდა და სოფლის ახალთახალ კარებებს გადაევლებოდა ხოლმე თავს. მისმა მაღალღირსებამ, უნდა მოგახსენოთ, თავდაჭერილობა გამოიჩინა და ძმისწულის ფანჯრების წინ საჯარო შეკრებილობაში გამოსვლა არ ინება, მაგრამ თავისი ჯანმაგარი შავი ცხენით სწორედ მაშინ გამოგოგმანდება მღვდლის სახლის შუკიდან, როცა სერ ჰადლსტონი ჩამოივლის და შეუერთდება ღირსეული ბარონეტის საზოგადოებას. ძაღლები და მხედრები უჩინარდებიან და პატარა როუდონი განცვიფრებული და ბედნიერი რჩება კიბის საფეხურებზე.

ამ სამახსოვრო დღესასწაულის განმავლობაში პატარა როუდონს თუ მაინცდამაინც ძალიან გულში არ ჩასჯდონია მარად პირქუში და ცივი ბიძის სიყვარული, რომელიც სასამართლოს საქმეებში ჩაფლულიყო და ბოქაულები, რწმუნებულები და ფერმერები ერტყა ირგვლივ, მეორეს მხრივ, ძალიან შეაყვარა თავი თავის დაქორწინებულ და დაუქორწინებელ მამიდა-ძალუებს, სასახლის ბინადარ ორ პაწიას და მღვდლის შვილ ჯიმს, რომელსაც სერ პიტი უწყობდა ხელს. გასტრფიალებოდა ერთ-ერთ ახალგაზრდა

მანდილოსანთაგანს უთუოდ იმ დაიმედებით, რომ, როცა მელებზე ნადირობის მოყვარე მისი მოხუცი მშობელი დასცილდა ადგილს, მას მიანიჭებდნენ სამრევლოს მოძღვრობას. თვითონ ჯიმმა კი ხელი აიღო ამ გართობაზე და მხოლოდ იხვზე და ცხრატყავაზე მცირე, უვნებელი ნადირობით კმაყოფილდებოდა; ანდა ვირთაგვებზე პატარა წანადირებით იყოლიებდა თავს საშობაო უქმეების დროს, რის შემდეგ უნივერსიტეტს უნდა დაჰბრუნებოდა და ერთხელ კიდევ ცდილიყო, რომ არ ჩაეფლავებინათ. იგი უკვე თავს იკავებს მწვანე ქურთუკებისა, წითელი ყელსაბამებისა და სხვა საერისკაცო, ამაო მოკაზმულობისაგან და ემზადება ახალი ცხოვრებისათვის. ასე იაფი და ყაირათიანი გზით ცდოლობს სერ პიტი ოჯახისადმი თავისი მოვალეობის მოხდას.

ამ მხიარული სამუშაო დღესასწაულის წინ ბარონეტმა აგრეთვე იმდენი სიმამაცე გამოიჩინა, რომ ძმას კიდევ უთავაზა ჩეკი თავისი ბანკირების სახელზე, არც მეტი, არც ნაკლები, ასი გირვანქა სტერლინგის თანხაზე. ჩადენილმა საქციელმა სერ პიტი თავდაპირველად სასტიკად შეაღონა, მაგრამ შემდგომში კი გული გადაეხსნებოდა სიამით, როცა გაიფიქრებდა, რა დიდსულოვანი პიროვნება ბრძანდებოდა თვითონ. როუდონი და მისი ვაჟიშვილი ფრიად გულდამძინებულნი წავიდნენ, ხოლო ბეკი და მანდილოსნები ერთგვარი ხალისით განშორდნენ ერთმანეთს და ჩვენი მეგობარი დაბრუნდა ლონდონს, რათა იმ საქმიანობას შესდგომოდა, რომელთა აღსრულებაში გართულიც ვიხილეთ წინა თავის დასაწყისში. მისი მზრუნველობის ქვეშ კროულების გრეიტ-გონტ-სტრიტის სახლი სრულიად გაახალგაზრდავდა და გამზადდა სერ პიტისა და მისი ოჯახის მისაღებად, როცა ბარონეტი ჩამობრძანდა ლონდონს პარლამენტში თავის მოვალეობათა აღსრულებისა და ქვეყანაში იმ მდგომარეობის მოპოვებისათვის, რის უფლებასაც ანიჭებდა მისი ვეება ზეგარდმა ნიჭი.

პირველ სესიაზე ამ გამოჯეკილმა ფარისეველმა ზრახვები დამალა და მარტო იმისთვის გაახვნა ბაგენი, რომ მადბერის სახელით განცხადება წარმოედგინა. მაგრამ ბეჯითად კი ესწრებოდა ყოველ სხდომას და საფუძვლიანად სწავლობდა პარლამენტის ოდითგან დადგენილ წესრიგსა და საქმიანობას. შინ ლურჯ წიგნებს[49] ჩაჰკირკიტებდა ლედი ჯეინის შესაშფოთებლად და განსაცვიფრებლად, რომელიც ფიქრობდა,იგი თავს იკლავს გვიანობამდე ჯდომითა და ასეთი

რუდუნებითო.

ლედი ჯეინის სათნოებამ, გულკეთილობამ და ალერსიანობამ რებეკა ისეთივე ზიზღით აღავსო მისი ბრწყინვალებისადმი, რომ პატარა დიადს უკვე გვარიანად უჭირდა ამის დამალვა. იმ ჯურის გულკეთილობა და მიამიტობა, რომელიც ლედი ჯეინს ახასიათებდა, აგულისებდა ჩვენ მეგობარ ბეკის და შეუძლებელი იყო ხანდახან მაინც არ გამოემჟღავნებინა, ანდა არ ეგრძნობინებინა თავისი ზიზღი. არც ლედი ჯეინს ეპიტნავებოდა მასთან ყოფნა. მისი მეუღლე მუდამ ბეკის ემასლაათებოდა. ერთმანეთს თითქოს ნიშნებითაც აგებინებდნენ და პიტი ისეთ საგნებზე ებაასებოდა სტუმარს, რომელთა განსჯა ლედი ჯეინთან ფიქრადაც არასოდეს მოსვლია. ამ უკანასკნელს, შესაძლოა, არ ესმოდა, მაგრამ მდუმარე მოწმედ ყოფნას მომაკვდინებელი გახლდათ და კიდევ უფრო მომაკვდინებელი იყო იმის შეგნება, რომ მას არაფერი ჰქონდა სათქმელი და ამ პაწია ქალბატონის რატრატი კი უნდა მოესმინა - ერთი საგნიდამ მეორეზე რომ ხტებოდა იგი, ყველასათვის სიტყვა რომ ჰქონდა შემონახული და ყოველთვის ენის წვერზე რომ ეკიდა შესაფერისი ხუმრობა; ლედი ჯეინი კი თავის საკუთარ სახლში განმარტოებით უნდა მჯდარიყო ცეცხლპირას და ეცქირა, ყველა მამაკაცი როგორ ეხვეოდა გარს მის მეტოქეს.

პირიქით, როცა ლედი ჯეინი ზღაპრებს უამბობდა ბავშვებს, რომელნიც შეჯგუფებულიყვნენ მის კალთასთან (პატარა როუდონიც მათ შორის იყო, რადგან ძალიან უყვარდა ბიცოლა) და ბეკი შემოვიდოდა დამცინავი ღიმილითა და მწვანე თვალებში ჩამდგარი ზიზღით, საბრალო ლედი ჯეინს ენა ჩაუვარდებოდა იმ ბოროტი, შემაღონებელი გამოხედვის ქვეშ. მარტივი, პაწია გონება შიშით მსწრაფლ ეფანტებოდა, ვითარცა ზღაპრულ ფერიებს ემართებათ აღმატებული ბოროტი სულების წინაშე. მას აღარ შეეძლო გაგრძელება, თუმცა რებეკა ცოტა დაცინვაშერეული ხმით ევედრებოდა, განაგრძე ეგ მომხიბლავი ზღაპარიო. სათნო ზრახვები და უბრალო, მარტივი სიამოვნებანი ამაზრზენი გახლდათ ქალბატონი ბეკისათვის - ისინი ვერ ეგუებოდნენ მის ბუნებას, მას სძულდა ასეთი ხასიათის ადამიანები; იგი ზიზღით ეპყრობოდა ბავშვებს და ბავშვების მოსიყვარულეებს.

- მე არ მეპიტნავება ღლაპები, - ეუბნებოდა ხოლმე მილორდ

სტაინს, როცა ლედი ჯეინს აჯავრებდა მის წინაშე.

- მავან და მავანს არც ნაკურთხი წყალი ეჭაშნიკება, - თავის დაკვრითა და ღრეჭით მოახსენებდა მისი ბრწყინვალება და უშნოდ ჩაიხვიხვინებდა.

ასე რომ, ორი მანდილოსანი არც თუ ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უმცროსი ძმის ცოლი რაიმეს გამოელოდა მეორის ხელიდან და მაშინ ესტუმრებოდა. ისინი „ჩემო საყვარელო“ და „ჩემო ძვირფასოს“ ეძახდნენ ერთმანეთს, მაგრამ საერთოდ კი შორი-შორს იდგნენ; მაშინ როცა სერ პიტი, თავის მრავალნაირ საქმიანობაში ჩართული, მაინც პოულობდა დროს რძლის მოსანახულებლად.

სერ პიტი რომ პირველად მივრძანდებოდა პარლამენტის სპიკერის[50] დარბაზობაზე, ისარგებლა შემთხვევით და თავის რძალს გამოეცხადა მუნდირში გამოწყობილი - იმ ძველ სადიპლომატო მუნდირში გამოწყობილი, რომელსაც პემპერნიკელის საელჩოში ატაშეობის დროს ატარებდა.

ბეკიმ ქათინაურებით შეავსო მისი მოკაზმულობა და თითქმის ისეთივე აღტაცებით შეჰყურებდა, როგორც მისი საკუთარი ცოლ-შვილი, რომელთაც აგრეთვე გამოეცხადა სინიდან გამოსვლის წინ. რებეკამ მოახსენა, მხოლოდ წმინდა სასხლის კეთილშობილ დარბაისელს თუ შეუძლია ატაროს საკარო სამოსი წარმატებით; მხოლოდ ძველი შთამომავლობის ყმაწვილკაცობას შვენის culotte courte-იო[51]. პიტმა კმაყოფილებით დაიხედა ფეხებზე, რომელნიც, მართალი მოგახსენოთ, არც უფრო სწორი მოყვანილი გახლდათ და არც სქელი იმ სადარბაზო ხმალზე, გვერდზე რომ ჩამოეკონწიალებინა - დაიხედა ფეხებზე და გაიფიქრა, რა სწორუპოვარი და თვალწარმტაცი ვარო.

პიტი რომ წავიდა, ქალბატონმა ბეკიმ მისი კარიკატურა დახატა და ლორდ სტაინს აჩვენა, როცა ის მორბძანდა. მისმა ბრწყინვალებამ, საოცარი მსგავსებით გახარებულმა, თან წაიღო ნახატი. მან პატივი დასდო სერ პიტ კროულის, შეხვდა მას ქალბატონი ბეკის სახლში და დიდი თავაზიანობა გამოიჩინა ახალი ბარონეტისა და პარლამენტის წევრის მიმართ. პიტი აგრეთვე სახტად დარჩა იმ გამორჩეული ყურადღებით, რომლითაც დიდი პერი ექცეოდა მის რძალს; მანდილოსნის სითამამითა და ენამჭევრობით და იმ სიამოვნებით, რომლითაც

საზოგადოების საზოგადოების სხვა ვაჟბატონები უსმენდნენ მის მასლაათს. ლორდ სტაინს არ ეეჭვებოდა, რომ ბარონეტმა მხოლოდ ახლა შედგა ფეხი საზოგადო სამოღვაწეო ასპარეზზე და რომ იგი სწორედ მოუთმენლად ელოდა მისი, ვითარცა ორატორის, გამოსვლას. რაკი მეზობლებიც ბრძანდებოდნენ (გრეიტ-გონტ-სტრიტი ხომ გონტ-სკვერში გამოდის, რომლისაც, როგორც ყველას მოეხსენება, გონტ-ჰაუზი ცალ მხარეს შეადგენს), მილორდი იმედოვნებდა, ლედი სტაინს ლონდონს ჩამოსვლისთანავე ექნებოდა პატივი ლედი კროულის გასცნობოდა. ერთი-ორი დღის შემდეგ საადრბაზო ბარათიც შეუგზავნა მეზობელს, იმ მეზობელს, რომლის წინამორბედსახ სალმის ღირსადაც არ თვლიდა, თუმცა თითქმის საუკუნეს ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ.

ამ ინტრიგებსა, წარჩინებულთა დიდებულ შეკრებილობებსა და გაბრძნობილ, ბრწყინვალე პიროვნებათა შორის როუდონი დღედადღე უფრო და უფრო განმარტოებულად გრძნობდა თავს. მას ნება ჰქონდა დართული რამდენჯერაც ნებავდა იმდენჯერ წაბრძანებულიყო კლუბში; ესადილა სახლგარეთ უცოლშვილო ამხანაგებთან; როგორც აპრიანებოდა, ისე მოსულიყო და წასულიყო - არავინ არას ჰკითხავდა. ამიტომ ის და როუდონ-უმცროსი ხშირად დაიარებოდნენ გონტ-სტრიტში და ისხდნენ დიასახლისთან და ბავშვებთან იქ, სერ პიტი კი რებეკასთან მუსაიფობდა ხოლმე განცალკევებული, პარლამენტში მიმავალი ანდა იქიდან შინ მომავალი.

ყოფილი პოლკოვნიკი საათობით იჯდა ძმის სახლში ძალიან წყნარად და რაც შეიძლება ცოტას ფიქრობდა და მოქმედებდა. უხაროდა, როცა რაიმე სასქმეს გაუჩენდნენ, მაგალითად: წასულიყო და გამოეკითხა ცხენის ან მსახურის ამბავი; ანდა დაეჭრა შემწვარი ცხვრის ხორცი ბავშვებისათვის სადილად. დაჩაგრულ-დაგლახაკებული, დამფრთხალ-დაშინებული და მოთვინიერებული, მცონარეობასა მონურ მორჩილებაში ჩავარდნილიყო. დალილამ[52] დაატყვევა იგი და თმაც შეაჭრა. ათი წლის წინანდელი თამამი, დამთხვეულიდა თავზეხელაღებულ, დაჩოლოფორთებულ, ჩასუქებულ, ზორბა შუახნის ვაჟბატონად იქცა.

საბრალო ლედი ჯეინი ხვდებოდა, რომ რებეკამ ტყვედ იგდა მისი ქმარი; თუმცა ის და როუდონის მეუღლე, როცა კი შეიყრებოდნენ, მუდამ „ჩემო ძვირფასოს“ და „ჩემო

საყვარელოს“ ეძახოდნენ ერთმანეთს.

თავი XLVI - კვეთებანი და განცდები

ამასობაში ჩვენი ბრომპტონელი მეგობრებიც თავისებურად ატარებდნენ საშობაო დღესასწაულებს და მაინცდამაინც ვერაფერი მხიარულად.

ას გირვანქამდე წლიური შემოსავლიდან ოსბორნის ქვრივი ჩვეულებისამებრ თითქმის სამ მეოთხედს დედ0მამას აძლევდა თავისი და პატარა ვაჟიშვილის შენახვის ხარჯებისათვის. ჯოზისაგან დანიშნულ ასოც გირვანქიანად ამ ოთხსულიან ოჯახს, ერთადერთი ირლანდიელი მოახლითურთ, რომელიც აგრეთვე კლეპსა და მის მეღლესაც ემსახურებოდა, შეეძლო მოეხერხებინდა, საკმაოდ კარგად გაეტანა თავი წლის განმავლობაში, თავი მაღლა სჭეროდა და საშუალება ჰქონოდა, ადრე განცდილი ბობოქარი დროებისა და იმედგაცრუებათა შემდგომ, ჩაით მაინც გამასპინძლებოდა მეგობარს. სედლი კვლაცვ ინარჩუნებდა გაველნას თავისი ყოფილი კლერკის, ბატონი კლეპის ოჯახზე. კლეპს კიდევ ახსოვდა ის დრო, როცა რასელ-სკვერში სოვდაგრის მდიდრულ სუფრასთან სკამის კიდეზე მოწიწებით ჩამოსკუპებული გადაჰკრავდა ხოლმე მოზრდილ სასმისს „ქალბატონსედლის, მის ემის და ინდოეთს მყოფი ბატონი ჯოზეფის“ სადღეგრძელად. დრომ კიდევ უფრო განადიდა იმ მოგონებათა ბრწყინვალება პატიოსანი კლერკის გულში. ყოველთვის, როცა იგი თავისი სამზარეულო-სასტუმროდან ზემოთ სასტუმრო ოთახში ამოვიდოდა და ჩაის ან წყალგარეულ ჯინს მიირთმევდა ბატონ სედლისთან ერთად, ამბობდა: - ეს ის არ გახლავთ, რასაც ერთ დროს თქვენ ჩვეული ბრძანდებოდით, - და ისევ მძიმედ და მოწიწებით დალევდა მანდილოსნების სადღეგრძელოს, როგორც მათი დიდად წარმატებული ცხოვრების დღეებში იცოდა ხოლმე. მის ემილიას დაკვრა ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნდა, ხოლო თვით იგი - უმშვენიერეს ბანოვნად. კლუბშიც არასოდეს დაჯდებოდა სედლიზე ადრე, არც არავის დაანებებდა ამ დარბაისლის აუგად ხსენებას საზოგადოებაში. მას ენახა

ლონდონის უპირველესი თავკაცები რომ ხელს ართმევდნენ ბატონ სედლის.

- მე მაშინ ვიცნობდი მას, როცა როტშილდი ყოველდღე მასთან ერთად იყო ბირჟაზე და მე პირადად იმან გამომიყვანა კაცად, - იტყოდა ხოლმე იგი.

კლეპმა ჩინებული დახასიათებებითა და ხელით, თავისი ბატონის უბედურების შემდეგ ძალიან მალევე შესძლო სხვა სამსახურის შოვნა.

- ჩემისთანა წვრილ თევზს ყოველ ჯამში შეუძლია ცურვა, - იტყოდა ხოლმე და იმ ფირმის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელსაც ჩამოშორდა მოხუცი სედლი, დიდი სიამოვნებით მიიღო ბატონი კლეპის სამსახური და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნა. ერთი სიტყვით, ყველა მდიდარი მეგობარი სათითაოდ ჩამოსცილდა სედლის, ეს საწყალი ყოფილი ქვეშევრდომი კი მაინც ერთგულობდა ძველებურად.

შემოსავლის იმ მცირე ნარჩენიდან, რომელსაც იგი თავისთვის იტოვებდა, ქვრივს მთელი ძალღონის დაძაბვა სჭირდებოდა, რათა ყაირათიანობითა და მომჭირნეობით თავისი თვალისჩინი ბიჭიკო იმნაირად მოეკაზმა, როგორც ჯორჯ ოსბორნის ვაჟიშვილს შეშვენოდა დაგაესტუმრებინა იმ პატარა სკოლის ხარჯები, სადაც დიდი ყოყმანის, ავი წინათგრძნობების, ბევრი ფარული ტანჯვისა და შიშის განცდის შემდგომ მაინც იძულებული იყო მიებარებინა ყმაწვილი. იგი მთელი ღამეობით იზუთხავდა გაკვეთილებს და ჩაჰკირკიტებდა გრამატიკისა და გეოგრაფიის ბუნდოვან სახელმძღვანელოებს, რათა მერე ჯორჯისთვის ესწავლებინა. ლათინური ენის დაწყებით კურსსაც კი ჩაუჯდა, ფუჭად დაიმედებული, იქნებ შევძლო ამ ენის შესწავლაში დავეხმარო შვილსაო. მასთან მთელ დღეს განშორება და სკოლის მასწავლებლის ჯოხისა და შეგირდი ამხანაგების უხეშობათა ანაბარა დაგდება თითქმის კვლავ ძუძუს გაშვებინების მსგავსი გახლდათ ასე სუსტი, ნაზი, ფრთხილი და მგრძნობიარე დედისთვის. ბიჭი კი თავის მხრივ დიდის გატაცებით გაიჭრა სკოლისაკენ - იგი ცვლილებას იყო დანატრებული. ამ ბავშურმა სიხარულმა გული ატკინა დედას, რომელსაც თვითონ ასე აღონებდა მასთან განშორება. თავისი ფიქრით, შეიძლება ერჩიაკიდეც, უფრო შეწუხებული ეხილა იგი, მერე კი გულშივე მძიმედ მოინანია, ასეთი თავკერძაობის გამოჩენა რომ გაბედა და საკუთარი შვილის უბედურება რომ

ინატრა.

ჯორჯიმ დიდი წარმატება ჰპოვა სკოლაში, რომელიც დედამისის ერთგული თაყვანისმცემლის, ღირსპატივცემული ბატონი ბინის მეგობრისა გახლდათ. შინ თავისი ნიჭიერების დამადასტურებელი უამრავი ჯილდოები და მოწმობები მოჰწონდა. ყოველ ღამე სკოლის ამხანაგების უთვალავ ამბებს უყვებოდა დედას. რა ჩინებული ყმაწვილი იყო ლაიონზი და რა მაბეზთარა და ქალაჩუნა - სნიფინი; სტილის მამა მართლა როგორ ამარაგებდა ხორცით სასწავლებელს, ხოლო გოლდინგის დედა ყოველ შაბათს ეტლით როგორ მოდიოდა ხოლმე ბიჟის წასაყვანად; ნიტს რომ საკოჭურებიანი შარვალი ეცვა (არ შეიძლება თავითონ მასაც ჰქონდეს საკოჭურები?) და ბულ-უფროსი ისე ძლიერი რომ იყო (თუმცა მხოლოდ ევტროპიუსის[53] საქმეში). ყველას სჯეროდა, თვით უმცროს მასწავლებელ ბატონ უორდსაც აჯობებსო. ასე რომ, ემილიამ ისევე ჩინებულად გაიცნო სკოლის ყველა ბიჭი, როგორც თვითონ ჯორჯიმ და ღამღამობით ისევე ეხმარებოდა და გულმოდგინედ იმტრევდა პატარა თავს მის გაკვეთილებზე, თითქოს მეორე დილას თვითონ უნდა წარმდგარიყო მასწავლებლის წინაშე. ერთხელ ვაჟბატონ სმითთან შეტაკების შემდგომ ჯორჯი ცალთვალდალურჯებული ეახლა დედიკოს და უზომოდ ტრაბახობდა მშობლისა და გახარებული მოხუცი ბაბუის წინაშე ჩხუბში გამოჩენილი თავისი გულადობის თაობაზე, რომელშიაც, თუ მართალი გნებავთ მოგახსენოთ, დიდი ვერაფერი გმირობა გამოიჩინა და აშკარად მარცხი განიცადა. მაგრამ ეს ამბავი ემილიას ეგერ დღევანდლამდე ვერ უპატიებია სმითისთვის, თუმცა იგი ახლა მშვიდობიანი მეაფთიაქე გახლავთ ლესტერ-სკვერის ახლოს.

სათნო ქვრივის ცხოვრება ამ მშვიდ საქმიანობასა და უწყინარ ფუსფუსში მიედინებოდა. განვლილმა ხანმა ერთი-ორი ვერცხლისფერი ღერი შემატა თმას და ოდნავ ნაიჭი დააჩნია მის მშვენიერ გადატკეცილ შუბლს. დროის ამ კვალზე ეღიმებოდა. „ეს რა ბედენაა ჩემისთანა ბებრუცუნასთვისო“, - იტყოდა იგი მარტო იმ იმედით სულდგმულობდა, შვილი ისე დიდებული, სახელოვანი და ბრწყინვალე ეხილა, რისი ღირსიც იყო. დედა ინახავდა მის რვეულებს, ნახატებს, თხზულებებს და აჩვენებდა ყველას თავის პატარა წრეში, თითქოს რაღაც სასწაულებრივი ნიჭით ყოფილიყვნენ აღბეჭდილნი. მათი ზოგი ნიმუში მის დობინსაც ანდო, რათა ისინი ჯორჯის მამიდის, მის

ოსბორნისათვის ეჩვენებინა; ეჩვენებინა თვით ბატონი ოსბორნისთვისაც, რომ ბერიკაცს სინდისის ქენჯნა ეგრძნო განსვენებულის მიმართ ჩადენილი ბოროტებისა და ავგულობისათვის. მეუღლის მთელი ცოდვანი და ნაკლოვანებანი ემილიამ მასთან ერთად დაჯძალა საფლავში, მას მხოლოდ სატრფო ახსოვდა, რომელმაც უდუიდესი მსხვერპლის ფასად იქორწინა მასზე. ახსოვდა კეთილშობილი, მამაცი, ლამაზი მეუღლე, რომლის მკლავებშიაც ესვენა იმ დილით, როცა იგი წავიდა საბრძოლველად და მეფითვის ვაჟკაცურად თავის დასადებად. ის გმირი ალბათ ზეციდან ღიმილით გადმოჰყურებდა ამ სრულყოფილ ბავშვს, რომელიც გასამხნევებლად და სანუგეშებლად დაუტოვა მას.

ჩვენ ვნახეთ, ჯორჯის ერთი პაპა (ბატონი ოსბორნი), თავის სავარძელში ჩაბრძანებული რასელ-სკვერს. დღედადღე უფრო და უფრო რათავშეუკავებული, ფიცხი და ჟინიანი ხდებოდა: ხოლომისი ასული, თავისი საუცხოო ეტლით, საუცხოო ცხენებითა და ქალაქის საჯარო საქველმოქმედო სიების ნახევარზე მაინც საკუთარი ხელის მოწერით, რა ეული, საბრალო, დაბეჩავებული და საცოდავი ხანშესული შინაბერა გახლდათ. მისი ფიქრი კვლავ და კვლავ დასტრიალებდა თავის მშვენიერ პატარა ბიჭუნას, თავის ძმისწულს, რომელიც იხილა. მას სწყუროდა, ნება დაერთოთ, თავისი საუცხოო ეტლით მოსულიყო იმ სახლში, სადაც ყმაწვილი ბინადრობდა და მარტოდმარტო რომ სეირნობდა პარკში, ყოველთვის გაფაციცებით ათვალიერებდა, ეგებ თვალი მოვკრა სადმეო. მისი და, ბანკირის მეუღლე, ხანდახან კეთილ ინებებდა დაესტუმრებოდა ძველ მშობლიურ სახლსა და მეგობარს რასელ-სკვერში. თან ორ მიკნავებულ ბალღს მოიყვანდა ხოლმე გაბღენძილი, ზვიადი გადიითურთ, მინაზებული, დიდკაცური ქირქილის კილოთი ერატრატებოდა დას თავისი წარჩინებული ნაცნობების შესახებ, და მისი ფრედერიკი რომ პირწავარდნილი ლორდ ლოლიპოპი იყო, ხოლო მისი ტურფა მარია როგორ შენიშნა ბარონესამ, როცა როჰემპტონში სახედრის ეტლით ჩაისერნეს. ის აგულიანებდა დას: მამიკო დააჯერე, რაიმე უძღვნას ჩემს თვალისჩინებსო. გადაწყვეტილი ჰქონდა ფრედერიკი გვარდიაში შესულიყო და თუ ის უფროს ვაჟიშვილად მიიჩნეოდა (და ბატონი ბულოკი ხომ პირდაპირ თავს იკლავდა და ტყავს იძრობდა, რათა მამული შეეძინა), რაღა დარჩენოდა ძვირფას გოგონას?

- მე შენი იმედი მაქვს, ძვირფასო, - აუბნებოდა ქალბატონი ბულოკი, - რადგან, რასაკვირველია, ჩვენი მამიკოს ჩემი კუთვნილი წილი ქონება, ხომ იცი, სახლის მეთაურს უნდა ერგოს. ძვირფასი როდა მეკ-მალი მაშინვე გამოიხსნის კასლტოდის მთელ ქონებას, როგორც კი საბრალო ძვირფასი ლორდი კასლტოდი მიიცვლება, რომელიც სულ დასჯაბნა ბნედამ და პატარა მეკდაფ მეკმალო ვიკონტი კასლტოდი გახდება. მაინსინგ-ლეინელმა ორივე ბატონმა ბლადაიერმა თავიანთი ქონება ფენი ბლადაიერის პატარა ნიჭს დაუმტკიცეს. ჩემი თვალისჩინი ფრედერიკიც სწორედ უფროსი ვაჟი უნდა იყოს; და... და, სთხოვე, რა, მამიკოს, კვლავ ლომბარდ-სტრიტში[54] დააბრუნოს თავისი ანგარიში, ხომ სთხოვ, ძვირფასო? არ ვარგა, სტამპისა და რაუდისთან რომ დადის!

ამნაირი მუსაიფის შემდეგ, რომელშიაც დიდკაცური კილა ანგარებიან ზრახვებთან იყო შერწყმული, ქალბატონი ფრედერიკ ბულოკის მეუღლე აკოცებდა დას, რაც ხამანწკის მიკარებას უფრო ჰგავდა, მოუსვამდა ხელს თავის ბღენძია ღლაპებს და ფარისევლური ჩაღიმილებით ჯდებოდა ეტლში.

წარჩინებული საზოგადოების ამ წარმომადგენლის თავის ძველ ოჯახში ყიველი სტუმრობა უფრო და უფრო საუბედურო გახლდათ მისთვის. მამამისს კიდევ უფრო მეტი ფული შეჰქონდა სტამპისა და რაუდისთან. ქალბატონი ბულოკის მფარველური ტონი უფრო და უფრო აუტანელი შეიქმნა. ბრომპტონის პატარა კოტეჯში მობინადრე საბრალო ქვრივი თავის განძს რომ დაჰკანკალებდა, სულ არაფერი იცოდა, რა ხარბად ეჭირათ ვიღაცეებს თვალი მასზე.

იმ ღამეს, როცა ჯეინ ოსბორნმა მოახსენა მამას, შენი შვილიშვილი ვნახეო, ბერიკაცს პასუხი არგაუცია, მაგრამ არც გაჯავრება დასტყობია და საკმაოდ ალერსიანადაც ასურვა ღამე მშვიდობისა, თავის ოთახისაკენ რომ მიემართებოდა. ალბათ გულში აწონ-დაწონიდა ქალიშვილის ნათქვამს და ცოტა გამოიძია კიდეც დობინის ოჯახში მისი სტუმრობის ამბავი, რადგან ორიოდე კვირის შემდეგ ჰკითხა, შენი პატარა ფრანგული ძაწკვიანი საათი რა უყავი, გულზე რომ გეკიდა ხომეო?

- მე ჩემი ფულით მქონდა ნაყიდი, ბატონო, მიუგო დიდად შეწრიალებულმა შინაბერამ.

- წადი, სხვა იმისთანა იყიდე, ან, თუ იშოვნი, უკეთესიც, - ბრძანა მოხუცმა ვაჟბატონმა და კვლავ დუმილს მისცა თავი.

ბოლო ხანებში მის დობიმებმა არა ერთხელ სთხოვეს ემილიას ნება დართე ჯორჯს, გვესტუმროსო. მამიდამისს მოეწონა; იქნებ თვითონ პაპამისიც მოდგეს იმ გუნებაზე, რომ შეურიგდეს შვილიშვილსა, - გადაუკრავდნენ სიტყვას. რასაკვირველია, ემილია არ უკუაგდებს ბიჭისთვის ასეთ ხელსაყრელ შემთხვევასო. არც შეეძლო უკუეგდო მართლაც, მაგრამ მათ თხოვნას ძალიან დამძიმებული და იჭვნეული გულით თანხმდებოდა. ბავშვის იქ ყოფნაში სულ მოუსვენრად გრძნობდა თავს და ისე ჩაიკრავდა დაბრუნებულს გულში, თითქოს რაიმე ხიფათისაგან დაეღწიოს თავი. ბავშვს შინ მოჰქონდა ფული და სათამაშოები, რომელთაც ქვრივი შეშფოთებითა და ეჭვით უცქეროდა. დედა ყოველთვის გამოჰკითხავდა, ვინმე დარბაისელი ხომ არ გინახავს იქაო.

- მარტო ბებერი სერ უილიამი, რომელმაც ოთხთვლიანი ეტლით მასეირნა, და ბატონი დობინი, რომელიც ნაშუადღევს მშვენიერი ქურანი ცხენით მოვიდა, მწვანე სამოსითა და ალისფერი ყელსახვევით მოკაზმული, ხელთ კი ოქროსთავიანი მათრახი ეჭირა და დამპირდა, ლონდონის ტაუერს[55] გაჩვენებ და სარეის მეძებრებით[56] ნადირობაზე წაგიყვანო.

ბოლოს თქვა: - იქ ერთი ბერიკაცი იყო, წარბებგაბანჯგვლული, ფართო ქუდიანი და ვეება ძეწკვი და მისი სამკაულები ეკიდა. მაშინ მოვიდა, როცა მეჯინიბე რუხ პონიზე შემჯდარს კორდის გარშემო დამატარებდა. ძალიან დაკვირვებით მიცქეროდა. ძალიან ცახცახებდა. ნასადილევს მე ვთქვი „ჩემი სახელი არის ნორვალი“. მამიდამ ტირილი დაიწყო. ის სულ ტირის ხოლმე! - ასეთი გახლდათ ჯორჯის მოხსენება იმ საღამოს.

მაშინ ემილია მიხვდა, ბიჭს ბაბუამისი უნახავსო, და აცახცახებულმა დაუწყო ლოდინი წინადადებას, რომელიც, დარწმუნებული იყო, ამას მოჰყვებოდა და რომელიც ორიოდე დღის შემდეგ მართლა მოჰყვა კიდეც. ბატონმა ოსბორნმა ოფიციალურად შემოსთავაზა, წამოეყვანა ბავშვი და იმ ქონების მემკვიდრედ დაემტკიცებინა, რომელიც წინათ მამამისს უნდა რგებოდა. ჯორჯ ოსბორნის ქვრივს უნიშნავდა ყოველწლიურ თანხას, იმდენს, რაც მისი კეთილად ცხოვრებისათვის საკმარისი იქნებოდა. თუ ქალბატონი ოსბორნი მოინდომებდა კვლავ გათხოვებას, როგორც ბატონ

ოსბორნს გაეგო, ასეთი განზრახვა აქვსო, იგი მაინც არ მაუშლიდა ამ თანხის ძლევას. მაგრამ იგულისხმებოდა, რომ ბავშვი სულ პაპასთან უნდა დაბინავებულიყო რასელ-სკვერს, ანდა სხვა რომელიმე ადგილას, რომელსაც ოსბორნი მოინებებდა, ბიჭს დროდადრო ნება ეძლეოდა მოენახულებინა ქალბატონი ოსბორნი მისსავე ბინაში. ეს პირობის წიგნი მიართვეს თუ წაუკითხეს ქვრივს ერთ დღეს, როცა დედამისი შინ არ იყო, ხოლო მამა ჩვეულებისამებრ სიტიში ბრძანდებოდა.

ემილია მთელ თავის სიცოცხლეში ორ-სამჯერ თუ ენახა ვინმეს გაალვებული და ერთი მათგანის ხილვა სწორედახლა ერგო წილად ბატონი ოსბორნის რწმუნებულს. წერილის წაკითხვის მერე, ბატონმა პოუმრომ გადასცა იგი ხელში, ქალბატონი ოსბორნი, ათრთოლებული და სახეზე ალმურმოდებული, მყის წამოიჭრა, ნაკუწ-ნაკუწად აქცია ქაღალდი და ფეხითაც გათელა.

- „მე და კიდევ ვიქორწინო!.. მე და ფული ავიღო შვილთან განშორებისათვის!.. ვინ მაყენებს შეურაცხყოფას ასეთი წინადადებით! მოახსენეთ ბატონ ოსბორნს, რომ ეს მუხთალი წინადადებაა, ბატონო ჩემო... მუხთალი!.. მე მაგას პასუხსაც არ გავცემ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემოო...“ და თავის დაკვრით გამომბუზარა გარეთ, როგორც ტრაგედიის დედოფალმაო. - განაცხადა ვექილმა, რომელიც გადმოსცემდა ამ ამბავს.

მშობლებს არ შეუნიშნავთ მისი ღელვა იმდღეს და არც მას დაუძრავს კრინტი საუბრის შესახებ - მათ თავიანთი საჭირბოროტო საქმეები აწუხებდათ; საქმეები, რომლებიც ამ უმანკო მმანდილოსანსაც დიდად შეეხებოდა და რომელთა მდგომარეობაზე მას წარმოდგენა არ ჰქონდა. მოხუცი დარბაისელი, მამამისი, მუდამ რაღაც სპეკულაციებში იყო გახლართული. ჩვენ უკვე ვიხილეთ, როგორ ჩაეფუშა მას ღვინისა და ნახშირის ამხანაგობების საქმეები. მაგრამ სიტიში მუდამ თავგამოდებულ და მოუსვენარ წრიალში სხვა გეგმას წააწყდა, რომელიც ისე კარგად ეჩვენა, რომ ბატონი კლეპის წინააღმდეგობის მიუხედავად ჩაება. თუმცა მერე ვეღარც შებედა გასტეხოდა, რა შორს შეტოპა აქ მან. და ვინაიდან ბატონ სედლის ყოველთვის წესად ჰქონდა, დიაცების წინაშე ფულის საკითხზე არ ელაპარაკა, მათ ფიქრდაც არ მოსდიოდათ, რა უბედურება ემუქრებოდათ, ვიდრე ბედშავი მოხუცი

იძულებული არ გახდა ნელ-ნელა გამოტეხილიყო.

ჯერ პატარა ოჯახის ყოველკვირეული ხარჯების გასტუმრება შეწყდა. ინდოეთიდან გადმოსაგზავნი ფული ჯერ არ ჩამოსულაო, ბატონმა სედლიმ აუხსნა მეუღლეს შეწუხებული სახით. რაკი მანდილოსანი აქამდე ბეჯითად ასწორებდა ანგარიშებს, ერთი-ორი მედუქნე, რომელთათვისაც, საბრალო ქალი იძულებული გახდა, ეთხოვა, მადროვეთო,ძალიან გაჯავრდა გადახდის შეყოვნებაზე, რასაც სრულიად გულდამშვიდებით ურიგდებოდნენ უფრო უწესო მუშტრების მხრით. ემის ხვედრი შესატანი, რომელსაც ხალისათ და ყოველგვარი გამოკითხვის გარეშე შემოდიოდა, ნახევარ ულუფაზე მაინც აცხოვრებდა პატარა ოჯახს. ასე რომ, პირველმა ექვსმა თვემ საკმაოდ იოლად განვლო და ბატონ სედლის კვლავ იმედი უღვივოდა გულში, რომ მისი აქციები აიწევს და რომ ყველაფერი კარგად იქნება.

მაგრამ ნახევარი წლის ბოლოსაც არ მოსულა სამოცი გირვანქა, რომ ოჯახს შეშველებოდა და კიდევ უფრო იმატა და იმრავლა ჭირმა. ქალბატონი სედლი, რომელიც უფრო და უფრო მისათდა და ძალიან მოეშვა, ხმას არ იღებდა და სამზარეულოში ბევრს ტიროდა ქალბატონ კლეპთან. ყასაბი განსაკუთრებით ჯავრობდა; ბაყალი უკმეხობდა; ერთი-ორჯერ პატარა ჯორჯიმაც წაიბუზღუნა სადილებზე; და ემილიას, რომელიც თავისთვის სადილად ერთი ნათალი პურითაც დაკმაყოფილდებოდა, არ შეიძლებოდა არ შეენიშნა, მის შვილს ყურადღება რომ მოაკლდა და, რათა ბიჭუნა არ დაძაბუნებულიყო, საკუთარი ქისითაც ყიდულობდა მისთვის ცოტ-ცოტასანოვაგეს.

ბოლოს მასაც გამოუტყდნენ, ანუ უთხრეს ისეთი გადასხვადერებული ბუნდოვანი ამბავი, როგორც ხალხმა იცის ხოლმე გასაჭირში ჩავარდნის დროს. ერთ დღეს, მისი ფული რომ მიიღეს და დედისთვის გადაცემას აპირებდა ემილია, რომელიც თავის სახარჯო ფულს თვითონვე მოიტოვებდა ხოლმე, განიზრახა ცოტაოდენი ფული დაეტოვებინა შემოსავლიდან, რადგან ჯორჯისთვის ახალი კოსტუმი ჰქონდა შეკვეთილი.

მერე გამოირკვა, რომ ჯოზის ფული აღარ მოდიოდა, სახლი გასაჭირში იყო ჩავარდნილი, რაიც ემილიას ადრევე უნდა შეემჩნია, როგორც დედამ უთხრა; მაგრამ მას არაფერი და

არავინ არ ენაღვლებოდა, ჯორჯის გარდა. ამაზე ემილიამ მთელი ფული უსიტყვოდ მიუწია მაგიდაზე ქალბატონ სედლის და თავის ოთახში შევიდა, რათა ტირილით გული ეჯერებინა. დიდად შეაწუხა აგრეთვე იმ დღეს ჯორჯისთვის შეკვეთილ კოსტუმზე უარის სათქმელად წასვლამ, იმ ძვირფას კოსტუმზე, რომელსაც ასე ელოლიავებოდა საშობაოდ და რომლის მოყვანილობა და ფასონი ხანგრძლივ თათბირებში დაადგინა თავის მეგობარ მკერავ ქალთან.

ყველაზე ძნელი იყო ჯორჯისთვის გამხელა, რომელმაც დიდი აურზაური ატეხა. ყველასა ჰქონდა ახალი ტანსაცმელი საშობაოდ. სხვები დასცინებენ. მას უეჭველად უნდა ექნეს ახალი ტანსაცმელი. დედა ხომ დაპირდა! საბრალო ქვრივს მხოლოდ კოცნით შეეძლო დაეჯილდოებინა იგი. ცრემლმორეული შეუდგა ძველი კოსტუმის დაკერებას. მერე თვალი გადაავლო თავის მცირეოდენ სამკაულებს - ხომ არაფრის გაყიდვა შეიძლებოდა, რომ ის ახალი სამოსი შევიძინოო? დობინის გამოგზავნილი ინდური შალი მოეპოვებოდა კიდევ. გაახსენდა, ძველად დედასთან ერთად საუცხოო ინდურ მაღაზიაში რომ დადიოდა ლადგეიტ-ჰილზე, სადაც ყველა ამნაირი საქონლის ყიდვა-გაყიდვა შეეძლოთ მანდილოსნებს. ღაწვები შეუფაკლდა და სიამით თვალები გაუბრწყინდა, ეს სახსარი რომ მოაგონდა, და დილას კოცნითა და მხიარული ღიმილით გაისტუმრა სკოლაში ჯორჯი. ბავშვმაც იგრძნო, ასეთი ქცევა კარგ რაღაცას მოასწავლებსო.

გამოკრა თავიში შალი ხელსახოცში (კეთილი მაიორის მეორე ნაჩუქარ ნივთში), ამოიდო ლაბადის ქვეშ და მთელი გზა ლადგეიტ-ჰილამდე ლოყებაწითლებულმა სულმაუთქმელად ირბინა. ჩაუცქრიალა პარკის გალავანს, გადარბოდა გზაჯვარედინებზე; ისე რომ ბევრი კაცი მოიბრუნებდა პირს, როცა ის ჩაუქროლებდა, და აკვირდებოდნენ მას შევარდისფრებულ, ტურფა სახეს. ანგარიშობდა, როგორ დახარჯავდა შალში აღებულ ფულს: კოსტუმის გარდა, იმ წიგნებსაც უყიდიდა, რომელნიც დიდი ხანია ენატრებოდა ბავშვს და ნახევარი წლის სწავლის ქირასაც გადაიხდიდა; ძველი მაზარის მაგიერ ახალ მოსასხამს უყიდიდა მამას. მაიორის საჩუქრის შეფასებაში არ შემცდარა. ფრიად საუცხოო და ლამაზი ქსოვილი გახლდათ და ვაჭარი ძალიან ხელსაყრელად მოურიგდა, როცა ოცი გინეა გადაუხადა.

განცვიფრებული და აფორიაქებული ემილია თავისი განძით დარტონის მაღაზიაში გაიქცა, წმიდა პავლეს ტაძრის ახლოს, და იყიდა „მშობლის დამხმარე“[57] და „სენდფორდი და მერტონი“, ფორფი რომ ძალიან ნატრობდა. თავისი ტვირთითურთ ჩაჯდა ეტლში და მხიარულად გაუდგა გზას შინისაკენ. იქ დიდი სიამოვნებით თავისი წვრილი, ნატიფი ხელით თავფურცელზე დააწერა წიგნებს: „ჯორჯ ოსბორნს, საშობაო საჩუქარი მისი მოსიყვარულე დედისაგან“. ეს წიგნები დღევანდლამდე გახლავთ შემონახული კოხტა, ლამაზი წარწერებითურთ.

ემილია წიგნებით ხელში თავისი ოთახიდან გამოდიოდა, რათა ჯორჯის მაგიდაზე დაეწყო ისინი, სადაც სკოლიდან დაბრუნების შემდეგ ნახავდა ბავშვი, და ტალანში დედას შეხვდა. მოხუც მანდილოსანს თვალში ეცა მოოქრულ ყდებში ჩასმული შვიდი საუცხოო პატარა ტომი.

- ეგ რა არის? - იკითხა მან.

- ცოტა წიგნებია ჯორჯისთვის, - მიუგო გაწითლებულმა ემილიამ. - მე... მე საშობაოდ დავპირდი!

- წიგნები! - შეჰყვირა ხნიერმა მანდილოსანმა გაგულისებით, - წიგნები, როცა მთელი ოჯახი უპუროდაა! წიგნები, როცა შენი და შენი ვაჟიშვილის ფუფუნებით შესანახად და შენი ძვირფასი მამის საპატიმროდან დასახსნელადყოველი წვრილმანი სამკაულიც კი გავყიდე, ინდური შალი მოვიხსენი ბეჭებიდან... კოვზებიც კი მოვაყოლე, რომ ჩვენს მედუქნეებს შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ და რომ ბატონი კლეპისთვის, რომელიც ჭეშმარიტად სამართლიანი, პატიოსანი კაცი, თვინიერი სახლის პატრონი და თავაზიანი ადამიანი და პამაა, ქირა მიმეცა. ო, ემილია! სწორედ გულს მიხეთქავ შენი წიგნებითა და მაგ შენი ღლაპით, რომელსაც ღუპავ და მაინც არ ელევი. ო, ემილია, უფალმა ინებოს, მიენიჭებოდეს შენთვის იმაზე უფრო მორჩილი და გამგონე შვილი, ვიდრე მე მყავდა. იქ ჯოზი ტოვებს გაჭირვებაში თავის დაჩაჩანაკებულ მამას, აქ კი ჯორჯი, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი და მდიდარი იყოს, ლორდივით დადიოდეს სკოლაში, ყელზე ძეწკვიანი ოქროს საათი ეკიდოს... მაშინ როცა ჩემი ძვირფასი, ძვირფასი ბერიკაცი უშ...უშილინგოდ დადის! - ისტერიკულმა ქვითინმა და სლუკუნმა შეაწყვეტინა ქალბატონ სედლის ლაპარაკი, რომლის გამოძახილის პატარა სახლის ყოველ ოთახში ისმოდა და მდედრობითი სქესის სხვა თანამობინადრეებმა სიტყვა-

სიტყვით გაიგონეს ეს საუბარი.

- ო, დედა, დედა! - შესძახა პასუხად საბრალო ემილიამ. - შენ ხომ ჩემთვის არაფერი გითქვამს... მე... მე კიდევ წიგნებს დავპირდი. მე... მე მხოლოდ ჩემი შალი გავყიდე ამ დილით. აი, აიღე ეს ფული... სულ წაიღე, - და აცახცახებული ხელებით ამოიო თავისი ვერცხლის და ოქროს ფული, მისი ძვირფასი ოქროს ფულები და მუჭაში ჩაუყარა დედას, რომელსაც გადმოუცვივდა და კიბეზე დაეშვა გორვით.

მერე ემილია შევიდა თავის ოთახში, სასომიხდილი და სრულიად გაუბედურებული. ის ახლა მიხვდა ყველაფერს. იგი შვილის ბედიღბალს თავის თავკერძობას სწირავდა. თვოთო ნ რომ არა, ჯორჯი მდიდარი, მაღალი მდგომარეობისა და განათლების ადამიანი გახდებოდა და დაიჭერდა მამის ადგილს, რომელიც ჯორჯ-უფროსმა მისი გულისთვის დაკარგა. საკმარისი იყო მას სიტყვა ეთქვა და მამამისს აღარაფერი მოაკლდებოდა, ხოლო მისი შვილი ბედს ეწეოდა. ამ ცოდვის კისრად დება ო, რა ძნელი იყო ამ ნაზი, ჩაგრული გულისთვის!

თავი XLVII - გონტ-ჰაუზი

მთელმა დუნიამ იცის, ლორდ სტაინის ლონდონის სასახლე გონტ-სკვერში რომ დგას. იქიდან იწყება გრეიტ-გონტ-სტრიტი, სადაც პირველად მოვიყვანეთ რებეკა განსვენებულ სერ პიტ კროულის დროს. ღობის მოაჯირსა და შავ ხეებს შორის სკვერის ბაღში თუ შეიჭყითავთ, რამდენიმე საცოდავ აღმზრდელ ქალს დაინახავთ, ფერმკრთალ-მიკნავებული მოწაფეებითურთ რომ დაბორიალობენ და დაბორიალობენ უღიმღამო ბალახიანი კორდის ირგლივ, რომლის შუაგულში მინდენთან ნაბრძოლი ლორდ გონნტის ქანდაკება გახლავთ აღმართული, სამნაწნავიანი პარიკით შემკული, სხვაფრივ კი რომის იმპერატორივით გამოკაზმული. გონტ-ჰაუზს მოედნის თითქმის მთელი მხარე უჭირავს. დანარჩენ სამ მხარეს ისეთი სასახლეებია ჩამომწკრივებული, რომელნიც უკვე ქვრივობის ხანაში იმყოფებიან - მაღალი, ჩაშავებული სახლები, ქვით ამოშენებული ანდა უფრო ნათელი წითურით შემოწყობილი

ფანჯრებით. ამ ვიწრო, უმარჯვო არდაბაგებს უკან ახლა თითქოს მცირდება კიაფობს შუქი და სტუმართმოყვარეობაც მოაკლდა იმ კარებს ისევე, როგორც ძველი დროის მოსირმული ფარეშები და მეჩირაღდნე ბიჭები, რომელნიც თავიანთ ჩირაღდნებს რკინის ცარიელ საქრობებში აქრობდნენ ხოლმე, ახლაც რომ მოჩანან შესასვლელებთან ფარნების გვერდით. მოედანზე ბრინჯაოს ფირფიტებიც შემოიჭრა - „ექიმი“, „დიდლესექსის ბანკის დასავლეთის განყოფილება“, „ინგლის-ევროპის გაერთიანება“ და სხვანი - ყოველივე ამას ფრიად პირქუში შესახედაობა აქვს და არც მილორდ სტაინის სასახლე გამოიყურება ნაკლებ პირქუშად. მე ჩემს დღეში მარტო მისი მაღალი გალავანი მინახავს ტლანქსვეტებიანი ვეება ალაყაფითურთ, რომლიდანაც ხანდახან ჩასუქებულ-გაფიჟვინებულსახიანი მოღუშული მოხუცი მეკარე იჭყიტება; აგრეთვე გალავანს ზემოდან გადმომცქერი სხვენის ოთახისა და საწოლი ოთახების სარკმლები და ბუხრის მილები, რომელთაგან ახლა იშვიათადღა ამოდის კვამლი, ვინაიდან ახლანდელი ლორდი სტაინი ნეაპოლში ცხოვრობს და ნეაპოლის უბის, კაპრისა და ვეზუკის ხედს ამჯობინებს გონტ-სკვერის გალავნის პირქუშ შესახედაობას.

რამდენიმე ათეული ნაბიჯის შემდეგ, ნიუ-გონტ-სტრიტის დაყოლებით, გონტ-ჰაუზის საჯინიბოებში შემავალი უბრალო პატარა კარი გახლავთ,რომელსაც ვერც გამოარჩევთ საჯინიბოების სხვა კართაგან. მაგრამ ბევრი პატარა დახურული ეტლი მისდგომია იმ კარს, როგორც ჩემმა მოამბემ (პატარა ტომ ივზმა, რომელმაც ყველაფერი იცის და რომელმაც დამათვალიერებინა იქაურობა) მითხრა.

- ამ კარში შედი-გამოდიოდნენ უფლისწული და პერდიტა[58], ბატონო ჩემო. - არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ივზს, - მარიან კლარკიც[59] აქ შემოდიოდა ხოლმე დუკა ...სთან ერთად. აქედან გახლავთ შესასვლელი ლორდ სტაინის სახელგანთქმულ petits appartaments[60]-ში. ერთი, ბატონი, სულ სპილოს ძვლითა და თეთრი ატლასითაა გაწყობილი, მეორე კი - აბანოზის ხითა და შავი ხავერდით. იქ გახლავთ მცირე სანადირო დარბაზი, გადმოღებული სალუსტიუსის[61] პომპეუმის[62] სახლიდან და კოზუეის[63] მოხატული; აგრეთვე პატარა ცალკე სამზარეულო, რომლის ყოველი ქვაბი ვერცხლისა იყო, ხოლო ყოველი შამფური - ოქროსი: სწორედ აქ სწვავდა თანასწორობა ორლეანელი[64] გნოლებს იმ ღამეს,

როცა იმან და მარკიზმა სტაინმა ასი ათასი მოუგეს ლომბერში ერთ დიდებულ გვამს. ფულის ნახევარი სფრანგეთის რევოლუციამ შეიწირა, ნახევარი კი ლორდ გონტის სამარკიზოსა და ლეკვერთხის ორდენის შეძენას მოხმარდა... ხოლო დანარჩენი... - მაგრამ ჩვენი საქმე არ გახლავთ, დანარჩენი სად წავიდა; თუმცა ყველას საქმეთა მცოდნე პატარა ტომ ივზი მზად არის ყოველი შილინგისა და სხვა კიდევ მეტის ამბავიც სულ დაწვრილებით ჩამოკაკლოს.

გარდა ქალაქის სასახლისა, მარკიზს სამი სამეფოს სხვადასხვა კუთხეში ციხე-დარბაზები და სხვა სასახლეებიც მოეპოვებოდა, რომელთა აღწერილობა მეგზურებში შეიძლება ინახოს: ციხე-დარბაზი სტრონგბოუ თავისი ტყეებით შენობის ნაპირზე; გონტ-კასლი კარმართენშიში, სადაც რიჩარდ II[65] იქნა დატყვევებული; გონტლი-ჰოლი იორკშირში, სადაც, მითხრეს, ორასი ვერცხლის ჩაიდანი და ბრწყინვალებით მათი შესაბამისი სხვა ჭურჭელია დაცული სტუმართა საუზმით გასამასპინძლებლად; აგრეთვე სტილბრუკი ჰემპშირში, მილორდის ფერმა, სადა, მყუდრო სამყოდელი, რომლის საუცხოო ავეჯი, როგორც ყველას გვახსოვს, მილორდის გარდაცვალების შემდეგ განსვენებულმა სახელგანთქმულმა აუქციონერმა გაყიდა.

მარკის სტაინის მეუღლე გახლავთ სახელგანთქმული და უძველესი გვარის - კერლაიონთა, მარკის კამელოტთა - შთამომავალი. ამ გვარმა უმწიკვლოდ შემოინახა ძველი სარწმუნოება იმ დროიდან მოყოლებული, რაც პატივდებული დრუიდი[66], მათი პირველი მამამთავარი, მოიქცა და მათი მოდგმა გაცილებით შორიდან მოდის, ვიდრე მეფე ბრუტი[67] ფეხს შემოდგამდა ამ კუნძულზე. სახლის უფროსი ძის ტიტული პენდრაგონი[68] გახლდათ. ვაჟიშვილებს სახელებად ართურს, უთერს და კარადოკს არქმევდნენუხსოვარი დროიდან. ბევრი მათგანის თავი გაგორებულა მეფის ქვეშევრდომთა უამრავ შეთქმულებებში. ელისაბედმა[69] თავი გააგდებინა თავისი დროის ართურს, დილიპესა და მარიამის დარბაზთუხუცესს, რომელსაც წერილები დაჰქონდა შოტლანდიის დედოფალსა[70] და მის ბიძებს, გიზებს[71], შორის. სახლის უმცროსი ძე დიდი დუკას[72] ოფიცერი იყო და თავი გამოიჩინა წმიდა ბართლომეს ღამის ცნობილ შეთქმულებაში.მარიამის ტუსაღობის მთელ მანძილზე, კამელოტის სახლი შეთქმულებებს აწყობდა მის სასარგებლოდ.

იგი აგრეთვე ძალიან დააზიანა, როგორც დიდი არმადის[73] დროს ესპანელთა წინააღმდეგ ჯარის შეჭურვამ, ისე ელისაბედის მიერ დადებულმა ჯარიმებმა და კონფისკაციებმა მღვდლების შედარებისა, ინგლისის ეკლესიისადმი ჯიუტი დაუმორჩილებლობისა და პაპის მომხრულ უკუღმართობათათვის.

იაკობის[74] დროის ერთ ჯაბანს მსწრაფლ დაათმობინა თავისი სარწმუნოება იმ დიდმა ღვთისმეტყველმა და სახლის ქონებრივი მდგომარეობა ცოტაოდნედ გამოსწორდა მისი ამ დროებითი სისუსტის წყალობით. მაგრამ კარლოსის[75] მეფობის დროის გრაფი კამელოტი თავისი სვარის ძველ რწმენას დაუბრუნდა და განაგრძო ბრძოლა და თავისი სახლის დაქცევა მისი გულისთვის, სანამ კიდევ მოიპოვებოდა სადმე აჯანყების მოთავე ანდა შემგულიანებელი სტიუარტი.

ლედი მერი კერლაიონი პარიზის ერთ-ერთ მონასტერში აღიზარდა და ტახტის მემკვიდრის მეუღლე მარია-ანტუანეტა ბრძანდებოდა მისი ნათლია. თავისი სილამაზის გაფურჩქვნის ხანაში იგი მიათხოვეს (მიჰყიდეს, როგორც ამბობენ) მაშინ პარიზს მყოფ ლორდ გონტს, პომელმაც უამრავი ფული მოუგო ამ მანდილოსნის ძმას ფილიპე[76] ორლეანელის ერთ-ერთ წვეულებაში. გრაფ გონტის სახელგანთქმულ დუელს „რუხი მუშკეტერების“ ოფიცერ გრაფ დე ლა მარშთან ხალხის ემა მშვენიერი ლედი მერი კერლაიონის ხელზე ამ ჭაბუკის პრეტენზიებს მიაწერდა (იგი დედოფლის პაჟი გახლდათ და მის მუდამ საყვარელ ადამიანადაც დარჩა). სანამ გრაფი დაჭრილი იწვა, ქალი ლორდ გონტს მიათხოვეს; გოტ-ჰაუზში დაბინავდა საცხოვრებლად და მცირე ხანს ბრწყინავდა უელის პრინცის სისებულ კარზე. ფოქსი მის სადღეგძელოებს მიირთმევდა. მორისი და შერიდანი ხოტბას ასხამდნენ ლექსად; მოლმზბერი უდიდესი მოწიწებით უკრავდა თავს; უოლპოლი აღიარებდა მის მომხიბლაობას; დევონშირი თითქმის შურით შესცქეროდა. მაგრამ მას აფრთხობდა ამ მაღალი საზოგადოების თავაშვებული გართობა-მხიარულებანი და მას შემდეგ, რაც ორი ვაჟიშვილი შვა, ღვთისმოსაურ განდეგილობას მისცა თავი. რასაკვირველია, მილორდი სტაინი, რომელსაც სიამენი და მხიარულება უყვარდა, ქორწინების მერე ხშირად აღარავის უნახავს ამ მოცახცახე, მდუმარე, ცრუმორწმუნე, ბედშავი ბანოვნის გვერდით.

ზემოხსენებულმა ტომ ივზმა (რომელსაც არაფერი ესაქმება ამ მოთხრობასთან გარდა იმისა, რომ იგი ლონდონის მთელ წარჩინებულ საზოგადოებას იცნობს და ყოველი ოჯახის ავანჩავანი და საიდუმლოებანი იცის) მილედი სტაინის სხვა ამბებიც იცის, რომელნიც შესაძლოა მართალია და შესაძლოა არც იყოს მართალი.

- დამცირება, რომელიც მაგ ქალს საკუთარ ჭერქვეშ განაცდევინეს, საზარელია, - იტყოდა ტომი. - ლორდი სტაინი აიძულებდა მას სუფრაზე დამჯდარიყო ისეთ ქალებთან, რომლებთან ურთიერთობის ნებას, მე თვითონ სიკვდილს ვაღჩევდი და, ქალბატონ ივზსაც არ დავრთავდი - ლედი კრეკენბერისთან, ქალბატონ ჩიპინ-ჰემთან, მადამ დე ლა კრიუშკასესთან, საფრანგეთის საელჩოს მდივნის ცოლთან, - (ყველა ამ ბანოვანთაგან ტომ ივზი, რომელიც მათთან ნაცნობობის გულისთვის საკუთარ ცოლსაც გასწირავდა, დიდად მოხარული იქნებოდა, თავის დაკვრა ანდა სადილი მაინც ხვდომოდა), - ერთი სიტყვით, მაშინ მოფარფაშე საყვარლებთან. და გგონიათ, ეგ ქალი, იმ სახლის შვილი, რომელიც ისევე ამპარტავნობს, როგორც ბურბონმთა სახლი და რომლისთვისაც სტაინები მხოლოდ ფერეშები, გუშინდელი სოკოები არიან (რადგან ბოლოს და ბოლოს, ეგენი ხომ ძველი გონტები არ ბრძანდებიან, არამედ სახლის უმცროს და საეჭვო შტოს წარმოადგენენ); თქვენა გგონიათ, მე გეუბნებით (მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ამას სულ ტომ იზვი ლაპარაკობს), რომ მარკიზ სტაინის მეუღლე, მთელ ინგლისში ყველაზე გულზვიადი დიაცი, ასე მორჩილად მოიდრეკმა ქმრის წინაშე ქედს, რაიმე მიზეზი რომ არ არსებობდს? ფიე! მე თქთვენ მოგახსენეთ, ს ა ი დ- უ მ ლ ო მ ი ზ ე ზ ე ბ ი არსებობს. უნდა გითხრათ, რომ ემიგრანტი აბატი დე ლა მარში, რომელიც აქ გახლდათ და პიუზესა და ტენტანიაკთან ერთად მონაწილეობდა კიბერონის საქმეში[77], „რუხი მუშკეტერების“ სწორედ ის პოლკოვნიკი იყო, სტაინი რომ შეებრძოლა 86 წელს... აი, ეს და მარკიზის მეუღლე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ღირსპატივცემული პოლკოვნიკი რომ მოკლეს ბრეტანში, სწორედ ამის შემდეგ დასდო თავი ლედი სტაინმა უკიდურეს ღვთისმოსაობაზე, რომესაც ახლაც მისდევს - ყოველდღე თავის სულიერ მოძღვართან არის ჩაკეტილი, ყოველ დილით ესწრება ლოცვას ესპანეთის მოედანზე - მე მას იქ მივაკვლიე... ესე იგი, მე შემთხვევით მოვხვდი იქით... და

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მაგ საქმეში რაღაც ძაღლის თავია დამარხული. ადამიანები ასე უბედურნი არ არიან, თუ რაიმე მოსანანიებელი ცოდვა არ მოეპოვებათ, - დასძინა ტომ ივზმა ნიშანდობლივად თავის დაკანტურებით. - და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეგ ქალი არც ისე მორჩილი იქნებოდა, მარკიზს რაღაც შემართული ხმალი რომ არ ეჭიროს მის თავზე.

ამრიგად, თუ ბატონი ივზის ნათქვამი მართალია, ფრიად შესაძლებელია, ამ მაღალი მდგომარეობის ბანოვანს ქედი ჰქონდეს მოხრილი ბევრნაირი პირადი დამდაბლების განსაცდელად და ბევრ საიდუმლო ურვასაც ჰფარავდეს მშვიდი გამომეტყველების ქვეშ. და მოდით, ძმანო ჩემნო, რომელთა გვარებიც წითელ წიგნში[78] არ მოხვედრილა, ვინუგეშოთ თავი იმ გულის დამაშოშმინებელი ფიქრით, რომ რა საბრალონი შეიძლება იყვნენ ჩვენზე წარჩინებულნი და რომ დამოკლეს[79] თავზე, რომელიც ატლასის ბალიშებზე დაბრძანებულა და ოქროს ჭურჭლეულით მიართმევენ ულუფებს, საზარელი მახვილი ჰკიდია ბოქაულის, მემკვიდრეობითი სენის ანდა საგვარეულო საიდუმლოს სახით, მოჩვენებასავით რომ გამოჰყოფს ხოლმე წამდაუწუმ თავს მოქარგულ მძიმე ფარდებში და, უეჭველია, ერთხელ ოდესმე მაინც დაეცემა იქ, სადაც საჭიროა.

საწყალი კაცისა და დიდკაცის მდგომარეობისშედარებისას პირველისთვის კიდევ ერთი დიდად მანუგეშებელი გარემოება იჩენს თავს (კვლავ ბატონი ივზის თქმით!). თქვენ, ვისაც მცირე სამკვიდრო გაქვთ, ან სულაც არაფერი გაგაჩნიათ ვინმეს საანდერძოდ ანდა თვითონ მემკვიდრედ გასახდომად, ჩინებულ განწყობილებაში შეიძლება ბრძანდებოდეთ მამათქვენთან ან თქვენ ძმასთან, მაშინ როდესაც დიდი თავადის მემკვიდრე, ისეთის, როგორიც, მაგალითად, ლორდი სტაინი გახლავთ, ბუნებრივია, ნაწყენი იქნება ძალაუფლებას ჩამოშორებული რომ არის და კარგი თვალით არ უყურებს ჯერ კიდევ უფლებამოსილ ნათესავს.

- წესად მიიჩნიეთ, რომ ყველა დიდი სახლის მამებსა და უფროს ძეებს ერთმანეთი სძულთ, - ბრძანებს ეს ძველი მქირდავი ივზი, - მემკვიდრე უფლისწული ყოველთვის ოპოზიციაში უდგას ტახტს ანდა ეპოტინება მას. შექსპირი იცნობდა მაღალ საზოგადოებას, ჩემო კეთილო ბატონო, და როცა იგი აღწერს,

უფლისწული ჰელი[80] (რომლის ჩამომავლადაც თვლიან გონტები თავს, თუმცა ისევე არ არიან ჯონ გონტის ნათესავი, როგორც თქვენ) როგორ ისინჯავს მამის გვირგვინს, იგი იგი კანონიერი მემკვიდრის სწორედ ჭეშმარიტ სურათს წარმოგვიდგენს. თქვენ რომ სამთავროს და დღეში ათასი გირვანქა შემოსავლის მემკვიდრე ბრძანდებოდეთ, განა თქვენ კი არ გენდომებოდათ მათი დაპატრონება? ფიე! და ჭკუასთან ახლოა, რომ ყველა დიდკაცმა, რაკი მას განუცდია ეს გრძნობა საკუთარი მამის მიმართ, უნდა იცოდეს, რომ მის ძესაც ასეთივე გრძნობები ექნება მისდამი და, მაშასადამე, ისინი არ შეიძლება არ უყურებდნენ ერთმანეთს ეჭვითა და ავი თვალით.

- ასეთივე გახლავთ უფროსი ვაჟის გრძნობანი უმცროსთა მიმართ. ჩემო ძვირფასო ბატონო, უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყოველი უფროსი ძმა სახლის უმცროს ვაჟიშვილებს თავის მოსისხლე მტრებად თვლის, რომელნიც კანონით მის კუთვნილ ამდენ ნაღდ ფულს აცვლიან ხელიდან. ხშირად გამიგონია, ჯორჯ მეკ-თურქი, ლორდ ბაიაზეთის უფროსი ძე, იტყოდა: ჩემი ნება რომ იყოს, ტიტულს რომ ვიგდებ ხელთ, იმას ვიზამ, რასაც სულთნები სჩადიან - მაშიმვე თავებს დავაყრევინებ ყველა ჩემს უმცროს ძმას და ასე გავწმენდ მამულსაო. და ასევე გახლავთ მეტ- ნაკლებად სხვების საქმეებიც. მე თქვენ გეუბნებით, ყველანი გულიგულში თურქები არიან. ფიე! ბატონო ჩემო, მათ იციან მაღალი საზოგადოების ამბავი!

ამ დროს შემთხვევით დიდკაცმა ჩამოიარა - ტომ ივზმა მყის იშვლიპა ქუდი და თავის დაკვრითა და ღრეჭით მიეჭრა, რაც ადასტურებდა, რომ მანაც იცოდა მაღალი საზოგადოების ყადრი, ოღჯნდ, რასაკვირველია, ტომ ივზისებურად. თავისი ქონების ყოველი შილინგი დააბანდა რა ყოველწლიურ რენტაში, ტომს შეეძლო ნება მიეცა თავისთვის გულგაუბოროტებლად მოპყრობოდა ძმისწულ-დისწულებს, ხოლო მაღლამდგომთადმი კი სხვა არაფერი გრძნობა ჰქონდა, გარდა მუდმივი და დიდსულოვანი წადილისა, ესადილა მათთან.

მარკიზის მეუღლის, ვითარცა დედის, ბუნებრივ, ნახ სიყვარულს შვილებისადმე სარწმუნოებრივი სხვაობის პირქუში მიჯნა უშლიდა ხელს. სწორედ ის სიყვარული, რომელიც შეიძლებოდა ეგრძნო თავისი ვაჟებისადმე, მხოლოდ

აღრმავებდა ამ მოკრძალებული, ღვთისმოსავი მანდილოსნის ძრწოლასა და ბედშაობას. მათი გამაცალკევებელი უფსკრული საბედისწერო და გადაულახავი იყო. მას არ შეეძლო თავისი სუსტი ხელი გადაეწვდინა ანდა შვილები გადმოესხა იმ მხარეს, რომლის გარეშეც, მისი რწმენით, ხსნა არ არსებობდა. ვაჟიშვილების პატარაობაში, ლორდი სტაინი, კარგად განსწავლული კაცი და დავა-კამათის მოყვარული, სოფლად, ნასადილევს, საღამოობით ყველაზე უფრო იმით ერთობოდა, რომ ბიჭების აღმზრდელს, ღირსპატივცემულ მამა ბატონ ტრეილს (ამჟამად მილორდ ილინგის ეპისკოპოსს) მისი ბრწყინვალების, თავისი მეუღლის, სულიერ მოძღვარს მამა მოულს მიუსევდა ღვინის სმის დროს და ოქსფორდს სენტ-აშელთან[81] აკამათებდა და ხან „ვაშა, ლეტიმერ“[82] და ხან „ჩინებული ნათქვამია, ლოიოლაო“[83], გაიძახოდა. მოულს ჰპირდებოდა, ეპისკოპოსობას გაშოვნინებ, თუ შენს რწმენას დასთმობო, ხოლო ტრეილს ეფიცებოდა, მთელ ჩემს გავლენას ვიხმარ და კარდინალის ქუდს მოგაპოვებინებ, თუ შენს სარწმუნოებას განუდგებიო. მაგრამ არც ერთი ღვთისმეტყველი არ ნებდებოდა. მართალია, მოსიყვარულე დედა იმედოვნებდა, უმცროსი და უფრო საყვარელი ვაჟიშვილი მაინც იქნებ შემოურიგდეს ჩემს ეკლესიას, მისი დედის ეკლესიასო, მაგრამ სამწყხარო და საზარელი იმედგაცრუება ელოდა ღვთისმოსავ მანდილოსანს - იმედგაცრუება, რომელიც თითქოს თავისი ქორწინების ცოდვის სასჯელად დაატყდა თავს.

როგორც ყველამ, ვინც პერთა საზოგადოებაში ტრიალებს, იცის, მილორდმა გონტმა ლედი ბლანშ თისლვუდი, ამ ჭეშმარიტ მოთხრობაში ადრეც მოხსენიებულ ბეირაკრზთა კეთილშობილი სახლის ასული შეირთო. ამ წყვილს გონტ-ჰაუზის ერთი ფრთა მიუჩინეს, ვინაიდან სახლის უფროსს გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელიდან არ გაეშვა ძალაუფლება, და, სანამ ხელმწიფობდა, მორჭმით ნებავდა ეხელმწიფა.მისი ძე და მემკვიდრე გაურბოდა ოჯახს; ცოლს ვერ ეგუებოდა, მემკვიდრეობის მიღების შემდეგ გასტუმრების პირობით ვალობდა იმდენ ფულს, რაც იმ ფრიად მცირე თანხის გარდა ესაჭიროებოდა, მამამისს რომ ეპრიანებოდა ებოძებინა ხოლმე მისთვის

მარკიზმა ვაჟიშვილი ვალის ყოველი შილინგი იცოდა. მისი სამწუხარო გარდაცვალების შემდგომ აღმოჩნდა, რომ თვითონ

მამა იყო მფლობელი თავისი მემკვიდრის თამასუქების უმეტესობისა და ისინი მისმა ბრწყინვალებამ სამკვიდროდ დაუტოვა უმცროსი ვაჟის შვილებს.

ვინაიდან მილორდ გონტის გასანაწყენებლად და თავისი მოსისხლა მტრისა და მამის ფრიად სასიხარულოდ ლედი გონტს შვილები არ გააჩნდა, ლორდ ჯორჯ გონტს ებრძანა დაბრუნებულიყო ვენიდან, სადაც ვალსის ცეკვასა და დიპლომატობაში იყო გართული, და დაქორწინებულიყო ღირსპატივცემულ ჯოანზე, ჯონ ჯონზის, პირველ ბარონ ჰელველინის, თრედნიდლ-სტრტელი ბანკირების - ჯონზის, ბრაუნისა დარობინზონის ფირმის მესვეურის დედისერთა ასულზე. ამ შეუღლებიდან მრავალი ძე და ასული იშვა, რომელთა ამბავთან ამ მოთხრობას არაფერი ესაქმება.

ქორწინება თავდაპირველად ბედნიერი და სასიკეთო გამოდგა. მილორდმა გონტმა არა მარტო კითხვა იცოდა, გვარიანად წერაც შეეძლო. საკმაოდ ენაგატეხილად ლაპარაკობდა ფრანგულს და ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედ ითვლებოდა. ამნაირი ტალანტებითა და შინაური გავლენიანობით, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მისი ბრწყინვალება თავის დარგში უმაღლეს თანამდებობებს მიაღწევდა. მისი მეუღლე, ლედი გონტი, გრძნობდა, სწორედ სამეფო კარის საზოგადოებისთვის ვარ დაბადებულიო და სიმდიდრეც ხელს უწყობდა დიდებული წვეულებანი გაემართა კონტინენტის იმ ქალაქებში, სადაც დიპლომატიური სამსახური უწევდა მის მეუღლეს. ლაპარაკობდნენ მის დესპანად დანიშვნაზე და „მოგზაურებში“[84] სანიძლაოებსაც დებდნენ, მალე ეგ ელჩიც იქნებაო, მაგრამ უცბად ხმა გავარდა მდივნის უცნაური ქცევის შესახებ. მისი უფროსის მიერ გამართულ დიპლომატთა დიდებულ დარბაზობაზე წამოხტა და განაცხადა: pàté de foie gras[85] მოწამლულიაო. ბავარიის დესპანის, გრაფ შპრინგბოკ-ჰოჰენლაუფენის სასახლეში გამართულ წვეულებაში თავმოპარსული და კაპუცინი ბერის სამოსში გამოწყობილი გამოცხადდა, თუმცა ეს სულაც არ გახლდათ სამასკარადო წვეულება, როგორც ზოგი ირწმუნებოდა. ეს რაღაც უცნაური ამბავიაო, ჩურჩულებდა ხალხი. პაპამისსაც ასე დაემართა; ეს ალბათ შთამომავლობითი სენიაო.

ცოლიდა ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა და გონტ-ჰაუზში დაბინავდა. ლორდ ჯორჯმა თავი დაანება სამსახურს ევროპის

კონტინენტზე და, როგორც „გაზეთი“ იუწყებოდა, ბრაზილიაში წავიდა. მაგრამ ხალხმა უკეთ იცოდა: იგი აღარასოდეს დაბრუნებულა ბრაზილიაში მოგზაურობიდან - არც მომკვდარა იქ, არც უცხოვრია იქ, სულაც არ ყოფილა იქ. ის აღარსად აღარ იყო - იგი სრულიად დაიკარგა.

- ბრაზილია, - ეუბნებოდა ერთი ჭორიკანა მეორეს ღრეჭით, - ბრაზილია სენტ-ჯონს-ვუდი გახლავთ; რიო-დე-ჟანეირო - ოთხი კედლით შემოზღუდული პატარა კოტეჯი და ჯორჯ გონტი მივლინებულია ელჩად კარ-მიდამოს მეთვალყურესთან, რომელმაც მას დამაშოშმინებელი პერანგის ორდენი მიანიჭა.

ასეთნაირი გახლავთ ეპიტაფიები, რომელთაც ერთმანეთს უძღვნიან ამაოების ბაზარში.

კვირაში ორ-სამჯერ, დილაადრიან, საბრალო დედა თავის ცოდვათათვის მიდის და ნახულობს საცოდავ ავადმყოფს. ხანდახან იგი იცინის მის დანახვაზე (და ეს სიცილი ტირილზე უფრო შესაბრალისია); ხანდახან კი ვენის კონგრესის მონაწილე ბრწყინვალე დარდიმანდი დიპლომატი ბავშვის სათამაშოს დაათრევს ანდა მეთვალყურის გოგონას თოჯინას ანანავებს. ხანდახან სცნობდა დედასა და მამა მოულს, დედამისის სულიერ მოძღვარსა და თანხლებ პირს; უფრო ხშირად კი დავიწყებული ჰყავდა იგი ისევე, როგორც დავიწყებული ჰყავდა ცოლი, შვილები, სიყვარული, პატივმოყვარეობა და ამაობანი. ოღონდ სადილობის დრო კი არ გამოეპარებოდა და ტიროდა ხოლმე, როცა მისი წყალგარეული ღვინო საკმაოდ მაგარი არ იყო.

ეს მისი სისხლის უცნაური სენი გახლდათ. საბრალო დედამ მოიყოლა იგი თავისი ძველი მოდგმიდან. უბედურებამ ერთი ორჯერ იჩინა თავი მამამისის ოჯახში, ჯერ კიდევ ბევრად ადრე მანამდე, სანამ ლედი სტაინი შესცოდავდა, ანდა სანამ იგი მარხულობას, ცრემლთა დენასა და მონანიებას დაიწყებდა ცოდვათა გამოსასყიდად. მათი მოდგმის სიამაყე დაემხო, ვითარცა ფარაონის პირმშო. ბედისწერის შავი დაღი აღიბეჭდა მათ ზღურბლზე - მაღალ, ძველებურ ზღურბლზე, რომელსაც გვირგვინებისა და ამოტვიფრული საღერბო ნიშნების გამოსახულებანი ამკობდა.

გადაკარგული ლორდის შვილები კი ამასობაში

ჭიკჭიკებდნენდა იზრდებოდნენ და სულაც ვერ გრძნობდნენ, რომ ბედისწერის მახვილი მათაც თავზე დასტრიალებდა. თავდაპირველად იგონებდნენ კიდეც მამას და მისი დაბრუნების ოცნებაში იყვნენ; მერე ცოცხალი მიცვალებულის სახელი უფრო იშვიათად მოადგებოდათ ხოლმე პირზე, ბოლოს კი სულაც გადაავიწყდათ. მაგრამ ზარდაცემულ მოხუც დედას აცახცახებდა იმის ფიქრი, რომ ესენიც მემკვიდრენი იყვნენ მათი მამის, როგორც პატივის, ისე შერცხვენისა, და გულჩამწყდარი ელოდა იმ დღეს, როცა წინაპართა საზარელი წყევლა ამათაც დაატყდებოდა თავს.

ეს პირქუში წინაგრძნობა ლორდ სტაინსაც არ ასვენებდა.ცდილობდა მის სასთუმელთან მდგომი შემაძრწუნებელი აჩრდილი წითელი ღვინის მორევსა და მხიარულებაში ჩაეხრჩო და საზოგადოებაში ტრიალსა და სიამოვნებათაკორიანტელში ხან კიდეც ეკარგებოდა იგი თვალთაგან. მაგრამ, როცა მარტოდ დარჩებოდა, ეს აჩრდილი ყოველთვის კვლავ გამოეცხადებოდა ხოლმე და წლითიწლობით თითქოს უფრო და უფრო საშიშარი და ზარდამცემი ხდებოდა იგი.

„შენი შვილი მე წავიყვანე, - ეტყოდა იგი, - ვითომ შენც რატომ არ უნდა წაგიყვანო? შემიძლია ერთ მშვენიერ დღეს შენც შენი შვილი ჯორჯივით გამოგკეტო სატუსაღოში. შემიძლია ხვალვე წამოგკრა კისერში ხელი და მშვიდობით სიამენოდა პატივნო, ლხინებოდა სილამაზევ, მეგობრებო, მლიქვნელებო, ფრანგო მზარეულებო, საუცხოო ბედაურებო სა სასახლეებო! ამათ ნაცვლად კი ჯორჯ გონტივით ინებე სატუსაღო, მისი ზედამხედველი და თივით გატენილი ლეიბი“, - მაშინმილორდი ურჩად უსწორებდა თვალს აჩრდილის მუქარას, ვინაიდან იცოდა თავისი მტრის შემაკავებელი წამალი.

ამრიგად ბრწყინვა;ებითა და ფუფუნებით აღსავსე კი იყო, მაგრამ დიდი ვერაფერი ბედნიერება სუფევდა გონტ-ჰაუზის მაღალ, მოხარატულ პორტალებს მიღმა, რომელთაც ბოლით გაშავებული გვირგვინებისა და ვენზელების გამოსახულებანი ამკობდა. იქაურისთანა დიდებულ ლხინებს ლონდონში სხვაგან ვერსად შეხვდებით, მაგრამ თვით მილორდის სუფრაზე მსხდომი სტუმრების გარდა სხვა არავინ იყო მაინცდამაინც კმაყოფილი. ასე დიდებული თავადი რომ არ

ბრძანებულიყო, ალბათ ძალიან ცოტანი ეწვეოდნენ მას, მაგრამ ამაოების ბაზარში ფრიად დიდ გვამთა ცოდვებს მოწყალე თვალით უცქერიან.

„Nous regardons à deux fois“[86] (როგორც ერთმა ფრანგმა მანდილოსანმა ბრძანა), ვიდრე მილორდის უეჭვო ღირსების მქონე პირავნებას განვსჯიდეთო. ზოგი თავგადადებული შარიანი და ჭინჭყლი მორალისტი შეიძლება კიდეც უბღვერდეს ლორდ სტაინს, მაგრამ დიდი სიამოვნებით კი მოცუნცულებდნენ, როცა ეპატიჟებოდა მათ.

- ლორდ სტაინი მართლაც ძალიან ცუდი ვინმეა, - ბრძანებდა ლედი სლინგსტოუნი, მაგრამ ყველა დადის მასთან და, რასაკვირველია, მეც უნდა წავიდე, რომ ჩემს გოგონებს იქ არაფერი დაუშავდეთ.

- მის ბრწყინვალებას დიდი, განუზომელი ამაგი აქვს ჩემზე, - იტყოდა ღირსპატივცემული დოქტორი ტრეილი და თან ვარაუდობდა, რომ არქიეპისკოპოსი ძალიან დაძაბუნდა. ქალბატონი ტრეილი და მისი ახალგაზრდა ქალიშვილებიც წირვას უფრო გააცდენდნენ, ვიდრე მისი ბრწყინვალების, ლორდ სტაინის, წვეულებებს.

- ზნედაცემული კაცია, - ეუბნებოდა პატარა ლორდი საუთდაუნი თავის დას, რომელიც მორიდებით შეეკამათა, როცა დედიკოსაგან მოისმინა გონტ-ჰაუზის საქმეთა ძრწოლის მომგვრელი გადმოცემანი, - მაგრამ, დალახვროს ღმართმა, მაგისთანა მშრალი სილერი[87] მთელ ევროპაში არავის მოეპოვება!

ხოლო რაც შეეხება ბარონეტ სერ პიტ კროულის, სერ პიტს - მართლწესრიგის ამ ნიმუშს, სერ პიტს, რომელიც საღვთისმოსაო შეკრებილებებს წინამძღვრობდა, ერთი წამითაც არ მოსვლია ფიქრად, არ წასულიყო იქ.

- სადაც ისეთ პიროვნებებს იხილავ, როგორიც ბრძანდებიან ილინგის ეპისკოპოსი და გრაფ სლინგსტოუნის მეუღლე, სრულიად დარწმუნებული უნდა იყო, ჯეინ, რომ ჩვენ უკადრისს არას ჩავიდენთ, - ამბობდა ბარონეტი, - მაღალი ხარისხი და მდგომარობა ლორდ სტაინს უფლებას ანიჭებს ჩვენს საზოგადოებაში იბატონოს. საგრაფოს ლორდ-ლეიტენანტი[88], ჩემო ძვირფასო, პატივსადები კაცი გახლავს. გარდა ამისა, ჯორჯ გონტი და მეწინათ დაახლოებულნი

ვიყავით: ეგ ჩემი ხელქვეითი იყო, პუმპერნიკელის სამთავროში რომ ვმსახურობდით ატაშეებად.

ერთი სიტყვით, ყველა მოდიოდა იმ დიდკაცთან სტუმრად, ყველა-ვისაც კი მიიწვევდნენ; ისევე როგორც თქვენ, ჩემომ კითხველო (არ იუაროთ!), ანდა მე, ამ სტრიწონების დამწერი, ვეახლებოდით, მოწვეულნი რომ ვყოფილიყავით.

თავიXLVIII - რომელშიაც მკითხველს გააცნობენ დიდებულ საზოგადოებას

და ბოლოს, მეუღლის ოჯახის მოთავისადმი გამოჩენილმა ალერსმა და ყურადღებამ ბეკის ფრიად დიდებული ჯილდო მოაპოვებინა; ჯილდო, რომელიც, მართალია, ნივთიერი არ გახლავთ, მაგრამ პატარა დიაცი უფრო დიდ სულწასულობით ელტვოდა, ვიდრე უფრო ხელშესახებ სარგებლიანობას. თუ სათნო ცხოვრება არ ეპრიანებოდა, სათნო მანდილოსნის სახელის დაგდება მაინც ნებავდა და, მოგეხსენებათ, წარჩინებული საზოგადოების ვერც ერთი ბანოვანი ვერ აისრულებს ამ გულისწადილს, სანამ შლეიფითა და ფრთებით არ მოირთვება და თავის ხელმწიფეს არ წარუდგენენ სამეფო კარის დარბაზობაზე. ამ უავგუსტოესი შეხვედრის შემდგომ ისინი უკვე პატიოსანი ქალის ნიშნით აღბეჭდილნი გამობრძანდებიან. დარბათუხუცესი მათი სათნოების დამადასტურებელ მოწმობას უბოძებს და, როგორც საეჭვო საქონელსა და წერილებს გაატარებენ ხოლმე კარანტინის ღუმელში,სურნელოვან სითხეს ასხურებენ და მერე გამოაცხადებენ განწმენდილად, ასევე ბევრი ქალბატონი, რომელსაც უამისოდ საეჭვო სახელი ექნებოდა და იქნებ სბეულების გაცრეცელების მიზეზიც გამხდარიყო, გაივლის ხელმწიფის გამაჯანსაღებელი სამსჯავროს წრთობაში და გამობრძანდება იქიდან ყოველი ბიწისაგან განწმენდილი.

მილედი ბეირაკრზმა, მილედი ტაფტომ, ქალბატონმა ბიუტ კროულის მეუღლემ სოფლად და სხვა მანდილოსნებმა, რომელთაც საქმე ჰქონიათ ქალბატონ რებეკასთან, შეუძლიათ დიდის სიფიცხით იძახონ, „სირცხვილიაო“, იმის ფიქრზე, რომ

პატარა თავხედი დიაცი რევერანსით მიესალმება ხელმწიფეს, და დაე, განაცხადონ: ძვირფასი, კეთილი დედოფალი შარლოტა რომ ცოცხალი ბრძანდებოდეს, ასე უკიდურესად გახრწნილ პიროვნებას ის არასდიდებით არ შეუშვებდა თავის უმწიკლო სასტუმრო დარბაზშიო. მაგრამ, როცა წარმოვიდგენთ, რომ ევროპის უპირველესი ჯენტლმენის წინაშე გაიარა ქალბატონმა რებეკამ გამოცდა და, ასე ვთქვათ, მოიპოვა პატიოსანი სახელის ხარისხი, რასაკვირველის, ნამდვილი მკრეხელობა იქნებოდა, კვლავ ეჭვი შეეტანა ვინმეს მის სათნოებაში. პირველად სიყვარულითა და მოწიწებით ვიხსენიებ ამ დიდებულ ისტორიულ პიროვნებას. ოჰ, რა მაღალი და დიდებული ფასი უნდა ჰქონდეს ჯენტლმენობას ამაოების ბაზარში, როცა ამ საცელმწიფოს საზოგადოების უნატიფესმა და უგანათლებულესმა ნაწილმა ერთხმად მიანიჭა ამ პატივდებულ დაუავგუსტოელ ადამიანს თავისი სამეფოს „უპირველესი ჯენტლმენის“ ხარისხი. გახსოვს, ძვირფასო მ..., ჩემო სიყრმის მეგობარო, ამ ოცდახუთი წლის წინათ ერთ ნეტარ საღამოს „ფარისეველი“ რომ იმართებოდა ელისიონის დადგმით და დაუტონისა და ლისტონის მონაწიეობით, ერთგულმა ქვეშევრდომებმა, სლოტერ-ჰაუზის სკოლის მასწავლებლებმა ნება დართეს იქ მოსწავლე ორ ბიჭს, წასულიყვნენ დრერი-ლეინის თეატრში და გარეულიყვნენ ხალხში, რომელიც შეკრებულიყო იქ მეფის მისასალმებლად? მეფე? სწორედ იქ ბრძანდებოდა იგი. ლეიბ-გვარდიელები სამეფო ლოჟის წინ იყვნენ ჩამწკრივებულნი; მარკიზი სტაინი (საპუდრე ოთახის[89] ლორდი) და სხვა დიდებული სახელმწიფო მოღვაწენი მისი სავარძლის უკან იდგნენ. ის თვითონ დაბრძანებულიყო - სახეღაჟღაჟა, ზორბა, ორდენებით მკერდდაფარული და ხშირ, ხუჭუჭთმიანი. როგორა ვმღეროდით - „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“! მთელი ხალხი როგორ ზანზარებდა და გუგუნებდა მომაჯადოებელი მუსიკის ხმით! როგორ მიესალმებოდნენ „ვაშათი“, შეჰფოფინებდნენ და უქნევდნენ ცხვირსახოცებს! მანდილოსნები ქვითინებდნენ, დედები გულში იკრავდნენ შვილებს; ზოგს გრძნობამორეულობისაგან გული შეუღონდა, ხალხი სულს ვეღარ იბრუნებდა პარტერში; შეკივლებანი და კვნესა ისმოდა აქოთქოთებულ და აბობოქრებულ ბრბოში მისი ქვეშევრდომი ხალხისა, რომელიც მზად იყო და ჭეშმარიტად თითქმის დაამტკიცა კიდეც, რომ მზად იყო, მისთვის თავი დაედო. დიახ, ჩვენ ვიხილეთ იგი. ამ ნეტარებას ბედი ვეღარ გამოგვწირავს.

სხვებს ნაპოლეონი უნახავთ; ცოტა კიდევ არის ისეთი, ვისაც ფრიდრიხ დიდი, დოქტორი ჯონსონი, მარია-ანტუანეტა[90] და სხვანი უხილავთ - დაე საბუთიან ტრაბახში ჩამოგვერთვას ჩვენი შთამომავლობის წინაშე, რომ ჩვენ ვიხილეთ კეთილი, ბრწყინვალე, დიდი გეორგ მეფე.

დიახ, დადგა ბედნიერი დღე ქალბატონ რებეკა კროულის ცხოვრებაში, როცა ეს ანგელოზი თავისი რძლის წინამძღვრობით შეშვებულ იქნა სამეფო კარის სამოთხეში, რომელსაც იგი ასე ელტვოდა. დანიშნულ დღეს სერ პიტმა და მისმა მეუღლემ თავიანთი დიდი საგვარეულო ეტლი (სწორედ ახლახან განახლებული და გამზადებული, საგრაფოს უმაღლეს შერიფად ბარონეტის დანიშვნის აღსანიშნავად) პატარა სახლს მიაყენეს კერზონ-სტრიტში - რეგლზის შენობას, რომლის პატრონიც მემწვანილის დუქნიდან იჭვრიტებოა და თვალი მოჰკრა ეტლის შიგნით საუცხოო ფრთებს, ხოლო გარეთ ლივრეებში გამოქყობილ ფარეშთა მკერდზე კი - ყვავულების ვეება კონებს.

მოლაპლაპე მუნდირში გამოკაზმული სერ პიტი ჩამობრძანდა და შევიდა შინ, თან ფეხებში ეხლართებოდა ხმალი. პატარა როუდონს სახე მოეჭირებინა სასტუმრო ოთახის ფანჯრის მინისათვის და მთელი ძალ-ღონით უღიმოდა და თავს უკრავდა ეტლში მჯდარ ბიცოლას. მალე სერ პიტი კვლავ გამოჩნდა - თეთრშალმოხვეულ დიდრონფრთებიან მანდილოსანს მოაცილებდა, რომელსაც ნატიფად ეჭირა საუცხოო ფორმის შლეიფი. იგი ისე შებრძანდა ეტლში, თითქოს პრინცესა ყოფილიყო და მთელი მისი დღე და მოსწრება მეფის კარზე სიარულში გაეტარებინოს; თან მოწყალე ღიმილი აღირსა კართან მდგარ ფარეშსა და სერ პიტს, რომელიც ეტლში შეჰყვა.

შემდეგ როუდონიც გამოვიდა თავის ძველ გვარდიულ მუნდირში გამოწყობილი, რომელიც სავალალოდ გაქუცულიყო და ძალიანაც დავიწროვებოდა. ისიც უნდა ხლებოდა თავის ხელმწიფეს, ოღონდ საქირაო კებით; მაგრამგულკეთილმა რძალმა დაიჟინა, მთელმა ოჯახმა ერთად ვიმგზავროთო. ეტლი დიდი იყო, მანდილოსნები - ტანმორჩილნი; თავიანთ შლეიფებს კალთაში მოითავსებდნენდა ბოლოს ოთხივენი მართლაც ძმურად, ერთად გაემგზავრნენ. მათი ეტლი მალე შეუერთდა ერგულ ქვეშევრდომთა ეტლების წყებას, რომელიც პიკადილიზე და სენტ-ჯეიმზ[91]-სტრიტზე მიიკვლევდა გზას

ძველი აგურის სასახლისაკენ, სადაც ბრაუნშვაიგის ვარსკვლავი[92] თავის დიდებულებსა და აზნაურებს ელოდებოდა დარბაზობაზე.

ბეკი სულიერად ისე ამაღლებულად გრძნობდა თავს და ისეთი მძაფრი გრძნობა ჰქონდა აღზევებული მდგომარეობისა, რომელსაც, როგორც იქნა, მიაღწია ცხოვრებაში, თითქოს ეტლის სარკმლიდან მთელი ხალხის დალოცვა სწადიაო. ჩვენს ბეკისაც ოეპოვებოდა სუსტი მხარეები, და როგორც ადამიანი ხშირად ხედავს, როგორ ამაყობს ზოგი ისეთი მაღალი თვისებებით ან ოსტატობით, რასაც სხვანი ვერ ამჩნევენ - მაგალითად, კომუსი რა ღრმად არის დარწმუნებული, ინგლისში ჩემზე უდიდესი ტრაგიკოსი მსახიობი არ მოიპოვებაო; სახელგანთქმულ რომანისტს ბრაუნს როგორ სწყურია, მწერლად კი არა, დარდიმანდად მიიშნიონ; მაშინ როცა რობინსონს, დიდ სამართლისმეტყველს, სულაც არ ენაღვლება უესტინსტერ-ჰოლში სახელის განთქმა, არამედ თავი სწორუპოვარი მონადირე და მოჯირითე ჰგონია. ასევე პატიოსან ქალად ყოფნა და სხვებისაგან ასე მიჩნევა ბეკის ცხოვრების მიზანი გახლდათ და კეთილშობილ ყოფაქცევასა და სახელს განსაცვიფრებელი გულმოდგინებით, სიფიცხითა და წარმატებით ეპოტინებოდა. მოგახსენეთ, ხანდახან ბეკი რომ თავს დაარწმუნებდა, მართლა წარჩინებული ბანოვანი ვარო, და ავიწყდებოდა, შინ ზანდუკში გახვრეტილი ფული რომ არ მოეძევებოდა; კართან აბეზარი მავალენი უდარაჯებდნენდა მედუქნეებთანაც უნდა ექლესა და ემლიქვნელა - ერთი სიტყვით, ნიადაგი არ გააჩნდა ფეხის მოსაკიდებლად, და რაკი სამეფო კარზე სადარბაზოდ მიბრძანდებოდა ეტლით და მერე ისიც საგვარეულო ეტლით, მან ისეთი დიდებული, თვითკმაყოფილი, დარბაისლური და რიხიანი იერი მიიღო, რომ თვით ლედი ჯეინსაც კი სიცილი მოერია. მეფის სასახლეში ისე თავაღებული შევიდა, დედოფალი გეგონებოდათ; დარწმუნებული ვარ, კიდეც რომ ყოფილიყო დედოფალი, სრულყოფილად აღასრულებდა თავის როლს.

უფლებამოსილი ვარ დავადასტურო, რომ ქალბატონ როუდონ კროულს მეუღლის costume de cour[93] ხელმწიფესთან სადარბაზოდ წარდგომის დროს ფრიად მოხდენილი და უბრწყინვალესი გახლდათ. ზოგი მანდილოსანი შეიძლება ჩვენც გვენახოს, ჩვენ, რომელნიც ვარსკვლავებსა და ორდენის ბაფთებს ვატარებთ და სენტ-ჯეიმზის დარბაზობებს

ვესწრებით, ანდა ჩვენ, რომელნიც ტალახიანი წაღებით აღმა-დაღმა უქმად დავყიალობთ პელ-მელზე და ფრთებით მოკაზმული დიდკაცების ეტლებში ვიჭყიტებით; დაახლოებით შუადღის ორ საათზე, სამეფო კარის დარბაზობის დღეს, როცა ლეიბ-გვარდიის მოსირმულქურთუკებიანი ორკესტრი, მოცეკვავე სამუსიკო სკამებზე - ზერდაგებზე - ამხედრებული, საზეიმო მარშებს აგუგუნებს, შეიძლება გვენახოს მანდილოსნები, რომელნიც სრულიადაც არ გახლავან საამო შესადევა და მომხიბლავნი ამ შუადღისას. სამოცი წლის ჩასუქებული გრაფის მეუღლე, დეკოლტიანი, შეთხუპნული, სახედანაოჭებული, მოთამთამებულ ქუთუთოებამდე დერ-უმარულით შელესილი და ალმასებით გაბრდღვიალებულპარიკიანი, მართალია, კეთილსაიმედო და სათაყვანო გახლავთ, მაგრამ მაინც ვერაფერი სასიამოვნო დასანახია. იგი ისე ფერმკრთალია, როგორც სენტ-ჯეიმზ-სტრიტი სისხამ დილით, როცა ფარნების ნახევარი უკვე ჩამქრალია, ხოლო მეორ ნახევარი სუსტად იბჟუტება, თითქოს, ეს-ეს არის ეპირებიან მოჩვენებებივით გათენებისთანავე გაუჩინარდნენო. ისეთი სიტურფენი, რომელთაც შეიძლება თვალი მოვკრათ მისი ბრწყინვალების დახურული ეტლის ჩავლისას, გარეთ მხოლოდ ღამღამობით უნდა გამოჩნდეს. თვით კინთიაც[94] ფერმიხდილი ჩანს ნაშუადღევს, როგორც ვხედავთ კიდევ ხანდახან აწინდელი ზამთრის სეზონში, როცა ფებოსი[95] ზეციდან უჭყიტავს თვალებს და სახის გამომეტყველებას უმღვრევს. ჰოდა, ბებერ ლედი კასლმაულდის განა შეუძლია თავის მაღლა ჭერა, როცა მზის შუქი კაშკაშით იჭრება კარეტის სარკმელებში და დროჟამისაგან მის სახეზე აღბეჭდილი ყოველი ნაოჭი და ნაკეცი სააშკარაოზე გამოაქვს? არა - დარბაზობანი ნოემბერში ან ბურუსიან დღეს უნდა იმართებოდეს; ანდა ჩვენი ამაოების ბაზრის სულთანთან ხანშესული მეუღლენი დახურული ტახტრევნებით უნდა მივიდნენ, პირშებურვილნი გამობრძანდნენდა ხელმწიფეს რევერანსით მხოლოდ ლამპის ბუნდოვან შუქზე უნდა მიესალმონ.

ჩვენს ძვირფას რებეკას თავისი სიტურფის წარმოსაჩენად კი სრულიადაც არ ესაჭიროებოდა რაიმე ასეთი ხელისშემწყობი შარავანდედი. მისი კანის ფერი კერ კიდევ უძლებდა მზის ყოველნაირ შუქს. მისი კაბაც ისეთივე ტურფა გახლდათ ამ ოცდა ხუთი წლის წინანდელი საზოგადოებისა და მის თვალში,

როგორც აწინდელი სეზონის ყველაზე სახელგანთქმული კეკლუცის უბრწყინვალესი მოკაზმულობა; თუმცა ის რომ ახლა ვინმეს ეხილა, ამაოების ბაზრის ყოველ თანამედროვე მანდილოსანს ყოვლად ტუტუცურ, შეუსაბამო და უთავბოლო სამოსად ეჩვენებოდა. ოციოდე წლის შემდგომ, მკერავთადან შეთხზული თანამედროვე საოცრებაც ისევე გადაიბარგებს შეუსაბამობათა სამყაროში, ვითარცა ყოველი წინამორბედი ამაოებანიმაგრამ ჩვენ ძალიან ვშორდებით საგანს. ქალბატნ როუდონ კროულის მეუღლის მორთულობა, მისი სამეფო კარის დარბაზობაზე წარდგომის დროს, აღიარებულ იქნა, როგორც charmante[96]. თავის ნათესავს რომ შეჰყურებდა, თვით გულკეთილი პატარა ლედი ჯეინიც იძულებული იყო ეცნო ეს გარემოება და გულდამწვარი აღიარებდა, რასაკვირველია, გემოვნებით ქალბატონ ბეკის რას გავუტოლდებიო.

მან არ იცოდა, რამდენი ზრუნვა, ფიქრი და ნიჭი ჩააქსოვა როუდონის მეუღლემ იმ სამოსში. რებეკა თავისი გემოვნებით არც ერთ მკერავს არ დაუვარდებოდა მთელ ევროპაში და თან ისე საზრიანად აკვარახჭინებდა საქმეებს, რომ ლედი ჯეინი ასავალ-დასავალს ვერ გაუგებდა. ამ უკანასკნელმა მყის შენიშნა ბეკის შლეიფის დიდებული ფარჩა და კაბის საუცხოო მაქმანი.

ბეკიმ თქვა: ფარჩა ძველის ნაშთიაო, ხოლო მაქმანი ძალიან ხელსაყრელად ვიყიდე და ეს ასი წელიწადი მიგდიაო.

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო კროული, ეგ მთელ პატარა ქონებად ეღირება, - უღხრა ლედი ჯეინმა და დაიხედა თავის საკუთარ მაქმანზე, რომელიც სულაც ვერ შეედრებოდა ბეკისას. მერე ქალბატონ რებეკა კროულის სადარბაზო კაბის ძველებური ფარჩა რომ გასინჯა, დააპირა ეთქვა, ასე ძვირფასი ქსოვილის შეძენას მეც ვერ გავბედავდიო, მაგრამ ძალდატანებით შეიკავა თავი, რძალმა შურიანობაში არ ჩამომართვასო.

და მაინც ლედი ჯეინს რომ ყველაფერი სცოდნოდა, მგონი, მასაც კი უღალატებდა თავისი სათნო ხასიათი. ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ, როცა სერ პიტის სახლში წესრიგს ამყარებდა, ქალბატონმა ბეკიმ მაქმანიცა და ფარჩაც, სახლის განსვენებულ დიასახლისთა ქონება, ტანისამოსის ძველ კარადებში აღმოაჩინა, გუდამშვიდებით წაიღო შინდა საკუთარ პატარა გვამს მოახმარა. ბრიგზმა დაინახა ეს, მაგრამ არც არაფერი

უკითხავს, არც არაფერი უთქვამს რა, დარწმუნებული ვარ, სრულიად თანაუგრძნობდა კიდეც ამ საქმეში და ალბათ ბევრი სხვა პატიოსანი დიაციც ასე მოიქცეოდა.

მერე ალმასები!..

- დალახვროს ღმერთმა, ეგ ალმასები საიდანღა იშოვე, ბეკი? - უთხრა ქმარმა, რომელიც აღტაცებით შეჰყურებდა პატიოსან თვლებს, რომელნიც წინათ არროდეს ეხილა და რომელნიც უხვად კაშკაშებდნენ ქალის ყურებსა და ყელზე.

ბეკის ცოტანი შეუფაკლდა ღაწვები და მკაცრად დააშტერა თვალი მეუღლეს. ცოტათი პიტ კროულიც შეფაკლდა და სარკმელში დაიწყო ცქერა. მართალი მოგახსენოთ, პიტ კროულიმ თვითონ მისცა ამ ალმასების მცირე ნაწილი - ალმასის ნატიფი ბალთა, რომლითაც ყელზე შებმული მარგალიტის ფარღული ჰქონდა შეკრული, და ბარონეტს როგორღაც დაავიწყდა, ეს ამბავი მეუღლისთვის ეთქვა.

ბეკიმ ქმარს შეხედა, მერე სერ პიტს - თავხედური, ლირფი საზეიმო იერით, თითქოს ეუბნებოდა, „გაგთქვაო?“

- გამოიცანი! - მიუგო ქმარს რებეკამ. - აი, შე სულელო, რა გგონია, სად უნდა მეშოვნა! გარდა ამ ბალთისა, რომელიც ერთმა ძველმა მეგობარმა მისახსოვრა დიდი ხნის წინათ, ყველაფერი, რასაკვირველია, ვიქირავე. კოვენტრი-სტრიში ვიქირავე ბატონი პოლონიუსისაგან. ხომ არ გგონია, ყველა ალმასი, რაც სამეფო კარის დარბაზობაზე ჩამს, ვისაც უკეთია, მისია, როგორც ის საუცხოო პატიოსანი თვლები, ლედი ჯეინს რომ აქვს და, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთესიც არის, ვიდრე ჩემი რომელიმე

- ეს საგვარეულო განძია, - თქვა სერ პიტმა და კვლავ დაბნეულობა დაეტყო.

ამ ოჯახურ მუსაიფში მიგორავდა კარეტა და ბოლოს დაიცალა კიდეც იგი იმ სასახლის კართან, სადაც ხელმწიფე მორჭმით დაბრძანებულიყო.

როუდონის აღფრთოვანების გამომწვევი ალმასები აღარსოდეს დაჰბრუნებია კოვერტი-სტრიტელ ბატონ პოლონიუსს და არც იმ დარბაისელს უთხოვია: არამედ ისინი მოთავსებული იქნენ პატარა საიდუმლო საცავში, ძველებურ ზარდახშაში, რომელიც

დიდი, დიდ ხნის წინათ ემილია სედლიმ აჩუქა და რომელშიაც ბეკი ბევრ სასარგებლო და ეგებ ძვირფას ნივთსაც ინახავდა, მისმა მეუღლემ კი მათი რა იცოდა რა. არაფრის ან მხოლოდ ცოტაოდენის ცოდნა ზოგი ქმრის დამახასიათებელი დამახასიათებელი გახლავთ. დამალვა კი ვინ იცის რამდენ ქალსახასიათებს? ო მანდილოსანნო! რამდენ თქვენგანსა აქვს მიჩქმალული მკერავთა ანგარიშები? რამდენ თქვენგანს მოეპოვება ტანისომოსი და სამაჯურები, რომელთა გამოჩენისა გეშინიათ, ანდა რომელთაც გულის კანკალით ატარებთ?.. გულის კანკალით და თან ღიმილით ელაციცებით თქვენს გვერდში მჯდომ ქმარს, რომელიც ხავერდის ახალ კაბას ძველისაგან, ან ახალ სამაჯურს შარშანდელისაგან ვერ არჩევს: ანდა წარმოდგენა არა აქვს, გაქუცული შესახედაობის ყვითელი მაქმანის შარფი ორმოცი გინეა რომ ღირს და მადამ ბობინო ყოველკვირია ფულის თხოვნის ბარათებს რომ უგზავნის!

ასევე როუდონმაც არა იცოდა რა მოლაპლაპე ალმასის საყურების ანდა ალმასის დიდებულ სამკაულზე, რომელიც მშვენიერ მკერდს უმშვენებდა მის მეუღლეს. მაგრამ ლორდი სტაინი, რომელსაც თავისი ადგილი ეჭირა სამეფო კარის დარბაზობაზე, ვითარცა საპურდე ოთახის ლორდსა და ინგლისის ტახტის ერთ-ერთ უდიდეს მოხელესა და ბრწყინვალე ბურჯთაგანს, და მობრძანებულიყო მთელი თავისი ვარსკვლავებით. ლეკვერთხებით, საყელურებითა და ბაფთებით მოკაზმული, განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა პატარა დედაკაცს და ჩინებულად იცოდა, საიდან იყო ეს სამკაულები ან ვინ გადაიხადა მათი ფასი.

მარკიზი ღიმილით დაიხარა მისკენ და ჩაულაპარაკა გაცვეთილი, მშვენიერი სტრიქონები „ზილფის მოტაცებიდან“[97] ბელინდას ალმასების შესახებ: „რომელთ ჰკოცნიდნენ ურიანი, ურწმუნონი კი თაყვანს სხემდნენ“.

- მაგრამ იმედი მაქვს, თქვენი ბრწყინვალება მართლმადიდებელი ბრძანდება, - მოახსენა პატარა მანდილოსანმა თავის მაღლა აწევით. ირგვლივ მყოფი მრავალი ბანოვანი ჩურჩულებდა და ჭუკჭუკებდა და ბევრი დარბაისელი აკანტურებდა თავს და ბურტყუნებდა, როცა ხედავდნენ, რა გამორჩეული ყურადღებით ექცეოდა კეთილშობილი დიდებული პატარა თავხედ დედაკაცს.

რებეკა კროულის, ქალიშვილობაში შარპის, და მისი ხელმწიფე

ბატონის შეხვედრის გარემოებებს ჩემისთანა სუსტი და გამოუცდელი კალმის პატრონი ვერ აღწერს. აბრჭყვიალებული თვალები გვეხუჭება ამ დიდებული განზრახვის წინაშე. ერთგული ქვეშევრდომული თავაზიანობა თვით წარმოსახვაც კი შთააგონებს, ძალიან დაკვირვებით და თამამად არ მიიხედ-მოიხედოს წმიდა სადარბაზო პალატში, არამედ მსწრადლ დაიხიოს უკან, ჩუმად, მოწიწებით და უავგუსტოესი გვამის პატივსაცემად უღრმესი თაყვანისცემით.

უნდა ითქვას, რომ ამ აუდიენციის შემდეგ ბეკისთანა ერთგული ქვეშევრდომი მეფეს მთელ ლონდონში არ მოეპოვებოდა. სულ პირზე ეკერა მეფის სახელი და აცხადებდა, ამისთანა მომხიბლავი ადამიანი ქვეყნიერების ზურგზე სხვა მეორე არსად არისო. ბეკი წავიდა კოლნაგისთან და, რაც ხელოვნებისა და ნისიის ძალას შეეძლო, მისი ყველაზე საუკეთესო პორტრეტი შეუკვეთა. ქალბატონმა კროულიმ ის სახელგანთქმული სურათი ირჩია, რომელშიაც ხელმწიფეთა შორის უკეთესი მეფე, ბეწვმოვლებულ საყელოიან ხიფთანსა, მოკლე შარვალსა და აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი, ტახტზე მიწოლილად არის გამოსახული და წაბლისფერი ხუჭუჭა პარიკის ქვეშიდან სულელურად იღიმება. მისი სურათი გულის ქინძისთავზეც გამოიხატა და ატარებდა... იგი ჭეშმარიტად ართობდა და თავსაც აბეზრებდა ნაცნობებს მეფის თავაზიანობასა და სიმშვენიერეზე განუწყვეტელი რატრატით. ვინ იცის? პატარა დედაკაცს ეგებ იმედიც უღვიოდა გულში, იქნებ წილად მენტენონის[98] ანდა პომპადურის[99] როლი მხვდესო.

მაგრამ ყველაზე სასეირო, ბეკის სამეფო კარს წარდგენის შემდეგ, მისი სათნოებით აღსავსე საუბარი გახლდათ. მდედრობითი სქესის რამდენიმე ნაცნობი ჰყავდა, უნდა ვაღიაროთ, არც თუ ძალიან კარგი სახელის მქონენი ამაოების ბაზარში. მაგრამ რაკი, ასე ვთქვათ, პატიოსან მანდილოსნად იქცა, ბეკიმ აღარ ინება კვლავ გაეგრძელებინა ურთიერთობა ამ საეჭვო პიროვნებებთან და ლედი კრეკენბერის სალამი არ აღირსა, როცა ამ უკანასკნელმა თავისი ლოჟიდან თავი დაუკრა ოპერაში; ხოლო ქალბატონ უოშინგტონ უაითს ცხვირი აუბზიკა და ყურადღება არ მიაქცია პარკის სასეირნო წრეში[100].

- უნდა ზოგიერთებმა იგრძნონ, ჩემო ძვირფასო, რომ მავანი და მავანი რაღაცას წარმოადგენს, - განაცხადა მან. - არ შეიძლება

ჩემი საეჭვო ხალხში გამოჩენა. გულითა და სულით მებრალება ლედი კრეკენბერი და ქალბატონი უოშინგტონ უაითიც, შესაძლოა, ძალიან გულკეთილი ადამიანია. შენ შეგიძლია იარო დ ისადილო მათთან და რობერიც ითამაშო. მაგრამ მე კი არც შემიძლია და არც წავალ მათთან; ჰქენი სიკეთე და უთხარი სმითს: თუ რომელიმე მათგანი მოვიდა ჩემთან სტუმრად, მოახსენონ, შინ არ არის-თქო.

ბეკის მოკაზმულობის დაწვრილებითი აღწერილობა გაზეთებში გამოცხადდა - ფრთები, მაქმანი, საუცხოო ალმასები და ყველაფერი. ქალბატონმა კრეკენბერიმ გამწარებით წაიკითხა ეს სტატია და თავის ამალას გაუბა მუსაიფი - რას იბღინძება ეგ დედაკაციო. სოფლად ქალბატონ ბიუტ კროულის მეუღლესა და მის ქალიშვილებსაც ჩაუვარდა ხელთ „ მორნინგ პოსტის“ ეს ნომერი და გზა მისცეს თავიანთ პატიოსან გულისწყრომას.

- შენ რომ ჟღალთმიანი, მომწვანო თვალებიანი და ფრანგი მუშაითის ქალიშვილიქალიშვილი იყო, -ეუბნეოდა ბიუტის მეუღლე თავის უფროს ასულს (რომელიც, პირიქით, ფრიად შავტუხა, ჩაგვერა და ცხვირპაჭუა ქალწული გახხლდათ). - შენც გექნებოდა. რასაკვირველია, საუცხოო ალმასები და სამეფო კარზედაც წარგადგენდა შენი ძალუა ლედი ჯეინი. მაგრამ შენ, ჩამო საბრალო, ძვირფასო შვილო, მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზნაურის ქალი ხარ, მარტო ძარღვებში გიდუღს ინგლისის საუკეთესო გვართა სისხლი და წილად მხოლოდ ზნეკეთილობა და ღვთისმოსაობა გხვდა. მე თვითონაც, ბარონეტის უმცროსი ძმის მეუღლესაც, არასოდეს მომსვლია თავში კადნიერი განზრახვა - სამეფო კარს წარვმდგარიყავი... და ვერც სხვანი ეღირსებოდნენ მაგას, კეთილი დედოფალი შარლოტა რომ კვლავ ცოცხალი ბრძანდებოდეს.

ასე მოიოხა გული მოძღვრის ღირსეულმა მეუღლემ, ხოლო მისი ქალიშვილები კი ოხრავდნენდა მთელ ღამეს ჩაჰკიტკიტებდნენ „პერთა წიგნს“.

სამეფო კარს დიდებული დარბაზობიდან რამდენიმე დღის შედგომ, მეორე დიდ და აღმატებული პატივი დასდეს სათნო ბეკის. ლედი სტაინის ეტლი ბატონ როუდონ კროულის კართან შედგა და მხლებელმა ფარეშმა სახლის წინაპირის ჩამომხობის ნაცვლად, რისი განზრახვაც თავდაპირველად ეტყობოდა დაუზოგავ ბრაზაბრუხზე, გული მოიბრუნა და მხოლოდ

წყვილი სადარბაზო ბარათი შეგზავნა შინ, რომლებზედაც მარკიზ სტაინის მეუღლისა და გრაფ გონტის მეუღლის სახელები გახლდათ ამოტვიფრული. მუყაოს ეს ნაგლეჯები ულამაზესი სურათები რომ ყოფილიყო, ანდა მათზე ასიოდე იარდი მალინური მაქმანი[101] ყოფილიყო ზედ დახვეული, ორჯერ იმაზე მეტი გინეის ღირებულებისა, ბეკი უფრო მეტი სიამით არ დაუწყებდა მათ თვალიერებას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მათ თვალშისაცემი ადგილი დაიკავეს სასტუმრო ოთახის მაგიდაზე მდგარ ფაიფურის ლარნაკში, სადაც ბეკი სტუმართა სადარბაზო ბარათებს ათავსებდა. უფალო! უფალო! ქალბატონი უოშინგტონ უაითისა და ლედი კრეკენბერის სადარბაზო ბარათები, რომელთა მიღებაც ირიოდე თვის წინათ ასე ახარბდა ჩვენს პატარა მეგობარს და რომლებითაც სულელი პატარა არსება ერთ დროს ამაყობდა კიდეც, რა მალე... უფალო! უფალო! მოგახსენებთ, ამ დიდებული ქაღალდების გამოჩენისთანავე რა მალე დაეშვნენ ეს საბრალო პატარა, თავმინებებული ორიანები სულძირს ფსკერზე! სტაინი! ბეირაკრზი! ჯონზ ჰელველინი! კერლაიონ კამელოტი! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბეკიმ და ბიგზმა ამ დიდებულ გვარებს „პერთა წიგნში“ ჩახედეს და კეთილშობილ მოდგმებს სულ მისხის-მისხამდე მისდიეს საგვარეულო შთამომავლობის ხეზე.

ორიოდე საათის შემდგომ თვით მილორდი სტაინიც მობრძანდა სტუმრად. როგორც ჩვეულება ჰქონდა, მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და ყველაფერი შენიშნა. აღმოაჩინა თავისი მანდილოსების სადარბაზო ბარათები ბეკის ხელით განლაგებული, ვითარცა თულფები და ჩაიცინა, როგორც იცოდა ხოლმე ყოველთვის ამ ბებერმა ცინიკოსმა, როცა ადამიანური სისუსტის რაიმე naive[102] საბუთს შეამჩნევდა, ბეკიც მყის ჩამოცქრიალდა. როცა ძვირფასი გოგონა მის ბრწყინვალებას ელოდა, საგანგებოდ იყო გამოკაზმული - თმა სრულყოფილ წესრიგში ჰქონდა, მისი mouchoirs[103], წინსაფრები, შარფები, პაწია ტარსიკონის ფაჩუჩები და სხვა დიაცური ზიზილ-პიპილოები გაწყობილი ჰქონდა და თვითონ რაიმე უმანკო, მოხდენილ პოზაში იჯდა მის მოლოდინში, ხოლო როცა მოულოდნელად წამოდგებოდა თავს, რასაკვირველია, იგი იძულებული იყო აერბინა თავის ოთახში, სასწრაფოდ სარკეში შეემოწმებინა გარეგნობა და მხოლოდ შემდეგ კვლავ ჩამოფრთხიალებულიყო ძირს დიდ პერის შესახვედრად.

ბეკიმ თვალი ჰკიდა, მარკიზი პირზეღიმმორეული რომ დაჰყურებდა ლარნაკს. მას გამოუმჟღავნდა ოინი და ამტომ ცოტა აელეწა კიდეც ლოყები.

- გმადლობთ, ბატონო, - მოახსენა მან. - როგორც ხედავთ, თქვენი მანდილოსნები ბრძანდებოდნენ აქ. რა გულკეთილობაა თქვენის მხრით! აქამდე ვერ მოვახერზე გამოგებება - სამზარეულოში ვიყავი, ღვეზელებს ვაკეთებდი.

- ვიცი. ფანჯარაში დაგინახეთ, სახლთან რომ გადმოვედი, - მიუგო მოხუცმა დარბაისელმა.

- თქვენ არაფერი გამოგეპარებათ, - სიტყვა ჩამოართვა ქალმა.

- ზოგ ღამეს ვხედავ, მაგრამ ეგ კი არ დამინახავს, ჩემო ტურფა ქალბატონო, - უთხრა მან გულკეთილად. - აი, თქვე სულელო პაწაწინა ცრუპენტელავ! მესმოდა, ზემოთ ოთახში რომ დაბაკუნებდით - დარწმუნებული ვარ, ცოტა ფერ-უმარილი შეიმატეთ. ცოტაოდენი მილედი განტსაც უზიარეთ - საშინელი უგვანი სახის ფერი აქვს. ისიც გავიგონე, საწოლი ოთახის კარი რომ გაიღო და მერე კიბეზე რომ დაეშვით.

განა დანაშაულია, თი ვცდილობ, რომ რაც შეიძლება უკეთესად გეჩვენოთ, როცა თ ქ ვ ე ნ აქ მობრძანდებით? - მიუგო ქალბატონმა რებეკამ შესაბრალისი ხმით და ცხვირსახოცი ჩამოისვა ლოყაზე, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, ფერი სულაც არ წამისვია, მარტო სიმორცხვით გამოწვეული საკუთარი სიწითლე გახლავთო (ამაზე აბა რა გვეთქმის? ვიცი ისეთი ფერიც მოიპოვება, ცხვირსახოცით ვერ მოიცილებს კაცი და ზოგი კი ისე კარგია, ცრემლიც ვერას დააკლებს).

- აბა მაშ თქვენ გნებავთ, წარჩინებული ბანოვანი გახდეთ, - უთხრა მოხუცმა დარბაისელმა და თან ხელში ატრიალებდა თავისი მეუღლის სადარბაზო ბარათს. - საცოდავ ბებრულ სიცოცხლეს მიმწარებთ, რომ დიდებულთა საზოგადოებაში შეგიყვანოთ. თქვენ მაინც ვერ შესძლებთ იქ ფეხის მოკიდებას, თქვე სულელო პატარა ბრიყუნია - ფული არ გაგაჩნიათ!

- თქვენ გვიშოვნით ადგილს, - რაც კი შეეძლო, სასწაფოდ ჩაურთო ბეკიმ.

- თქვენ ფული არ გაგაჩნიათ და გინდა იმათ ექიშპოთ, ვისაც მოეპოვება. თქვენ, საცოდავ, პაწია თიხის კოჭობს, გინდათ

ნაკადს მისდიოდ დიდრონ სპილენძის ქვაბებთან ერთად. ყველა ქალი ერთნაირია! ყველა იმას ელტვის, რისი მოპოვება არცა ღირს! აი, გუშინ მეფესთან ვისადილე - ცხვრის ხორცი და თალგამი გეახელით ძალიან ხშირად ბოსტნეულის სადილი სჯობია ნებისმიერ ხორცს. გონტ-ჰაუზში მიგიწვევთ. საწყალ ბერიკაცს მანამ არ მოასვენებთ, სამამ იქ არ მოხვდებით. იქ იქაურის ნახევარ სიამოვნებასაც ვერ ეღირსებით. მოგეწყინებათ. მეც მობეზრებული მაქვს თავი. ჩემი ცოლი ლედი მაკბეთივით ხალისიანი, რძლები კი - რეგანივით და გონერილივით[104] მხიარულნი. ვერც კივბედავ, ეგრეთწოდებულ, ჩემს საწოლ ოთახში მოვისვენო. საწოლი წმიდა პეტრეს ტაძრის ბალდახინსა ჰგავს და სურათებიც მაფრთხობენ. ჩასაცმელ ოთახში, განდეგილივით, ერთი პატარა ბრინჯაოს საწოლი მიდგას მატყლის პატარა ლეიბითურთ. სწორედ განდეგილი გახლავარ. ჰო! ჰო! ჰო! მომავალ კვირას მიიღებთ სადილზე მოპატიჟების ბარათს. ოღონდ gare aux femmes![105] ფხიზლად იყავით და მაგრად დადექით! ოჰ, რა გაგიშრობენ სიხლს დედაკაცები!

ეს ძალიან გრძელი სიტყვა გახლდათ ისეთი სიტყვაძუნწი კაცისთვის, როგორიც მილორდი სტაინი ბრძანდებოდა, და არც პირველად არიგებდა დღეს ბეკის ამნაირად.

ბრიგზმა წამოყო თავი სამუშაო მაგიდიდან, რომელსაც მისჯდომოდა მეორე ოთახში და მძიმედ ამოიხვნეშა, როცა ყური მოჰკრა, რა მსუბუქად მოიხსენა მისი სქესი დიდებულმა მარკიზმა.

- თუ ეს საზიზღარი ქოფაკი თქვენ არ გააგდეთ, - თქვა ლორდმა სტაინმა და მხარუკუღმა გაცოფებით გადახედა საწყალ ბრიგზს, - მე თვითონ მოვაწამლინებ.

- მე ყოველთვის საკუთარი თეფშიდან ვკვებავ ჩემს ძაღლს, - მიუგო რებეკამ ანცი კისკისით. რებეკა ერთ ხანს კიდევ ტკბებოდა მილორდის გაგულისებითა და გეგმების ჩაფუშვით, რომელსაც სძულდა საბრალო ბრიგზი, თვალდათვალ ყოფნას რომ უშლიდა პოლკოვნიკის ტურფა მეუღლესთან. მერე კი ბოლოს შეიბრალა თაყვანისმცემელი - მოიხმო ბრიგზი, უქო ამინდი და უბრძანა, ბავშვი გაასეირნეო.

არ შემიძლია მაგის თავიდან მოშორება, - მცირე დუმილის შემდეგ ძალიან სევდიანი ხმით წამოიძახა ბეკიმ. თან

ლაპარაკის დროს თვალები ცრემლებით აევსო და პირი გვერდზე მიიბრუნა.

- ალბათ მაგისი ჯამაგირი გმართებთ? - ჩაეკითხა მილორდი სტაინი.

- კიდევ უარესი, - მიუგო კვლავ თვალებდახრილმა ბეკიმ - მე სულ გავაკოტრე!

- გააკკოტრეთ?.. მერე და, რატომ არ გააგდეთ გარეთ? - ბრძანა ვაჟბატონმა.

- აგრე კაცები სჩადიან, - უთხრა გულდამწვარმა ბეკიმ. - ქალები ისე ცუდები არ არიან, როგორც თქვენ. შარშან ჩვენი უკანასკნელი გინეა რომ შემოგვეხარჯა, მაგან მოგვცა მთელი თავისი ფული. ეგ მანამდე არ მოგვშორდება, სანამ ჩვენ თვითონ სრულიად არ გავკოტრდებით, რაც არც თუ ისე შორს არის, ანდა სანამ უკანასკნელ ფართინგამდე არ გავისტუმრებ მაგას.

- დალახვროს ღმერთმა! მერე რამდენია? - იკითხა პერმა და შეიკურთხა.

ბეკიმ გაითვალისწინა ბებერი მარკიზის დიდი შეძლებულობა და მარტო ის თანხა კი არ დაასახელა, რაც მის ბრიგზისაგან ემართა, არამედ თითქმის გაორმაგებულად მოახსენა.

ამან ლორდ სტაინს კვლავ დააცდენინა გულისწყრომის გამომხატველი მოკლე და უშვერი გამოთქმა, რაზედაც რებეკამ კიდევ უფრო ჩაღუნა თავი და მწარედ ატირდა.

- მე სხვა ვერაფერი მოვახერხე. ეგ იყო ჩემი ერთადერთი ხსნა. ვერც გამიმხელია ქმრისთვის. რომ ვუთხრა, რა ჩავიდინე, მომკლავს. ყველას ვუმალავდი, მაგრამ თქვენ... თქვენ თვითონვე გამომტეხეთ! რა მეშველება, ლორდ სტაინ? ოჰ, რა უბედური ვარ!..

ლორდ სტაინს ხმა აღარ გაუცია, მარტო თითებს უკაკუნებდა მაგიდაზე და ფრჩხილებს იკვნეტთა. ბოლოს ჩამოიცვა ქუდი თავზე და გავარდა გარეთ. რებეკა მანამდე დარჩა შესაბრალის პოზაში, სანამ კარი არ მიჯახუნდა მარკიზის გასვლის შემდეგ და მისი ეტლიც არ გაგრიალდა ქუჩაში. მაშინ კი წამოდგა - მწვანე თვალებში გამარჯვებული სიბოროტის უცნაური ცეცხლი უკიაფობდა. ხელსაქმეზე თავდახრილს, ერთი-ორჯერ

თავისთვის სიცილიც წასკდა. მერე მიუჯდა ფორტეპიანოს და კლავიშებზე ისეთი საზეიმო იმპროვიზაცია დასცხო, რომ ხალხი ჩერდებოდა ფანჯარასთან მისი საუცხოო დაკვრის მოსასმენად.

იმ ღამეს პატარა დედაკაცს ორი ბარათი მოართვეს გონტ-ჰაუზიდან: ერთი შეიცავდა ლორდ და ლედი სტაინებისაგან სადილად დაპატიჟებას გონტ-ჰაუზში მომავალ პარასკევს; ხოლო მეორეში იდო ლორდ სტაინის ხელმოწერილი ნაცრისფერი ქაღალდის ფურცელი, მიმართული ლომბარდ-სტრიტელი ბატონების ჯოუნზის, ბრაუნისა და რობინსონისადმი.

ერთი-ორჯერ როუდონსაც მოესმა ღამეში ბეკის სიცილი. ასე მხოლოდ გონტ-ჰაუზში დაპატიჟებისა და იქაურ ქალბატონებთან შეხვედრის სიამოვნება მახარებსო, აუხნა. მაგრამ ნამდვილად სრულიად სხვა უამრავი ფიქრი უტრიალებდა თვაში: გაესტუმრებინა თუ არა ბებერი ბრიგზი და გაეშვა კიდეც. ხომ არ განეცვიფრებინა რეგლზი და გაესტუმრებინა მისი ვალიც? ლოგინში რომ იწვა, მთელი ეს ფიქრები ასწონ-დასწონა და მეორე დღეს, როცა როუდონი დილით ჩვეულებისამებრ კლუბისაკენ გაემართა, ქალბატონმა კროულიმ (სადა ტანსაცმელში გამოწყობილმა და პირბადე აფარებულმა) საქირაო ეტლით სიტისაკენ გაუტია. ბატონების ჯოუნზისა და რობინსონის ბანკთან ჩამოხდა და წარუდგინა საბუთი მაგიდასთან მჯდომ ხელისუფალს, რომელაც ამის პასუხად ჰკითხა, როგორ ინებებთ ამ თანხასაო.

რებეკამ წყნარად მოახსენა, ასორმოცდაათ გირვანქას წვრილ ფულად ავიღებ, დანარჩენი კი ერთად მიბოძეთო. მერე წმიდა პავლეს ტაძარს რომ ჩაურა, მაღაზიაში შევიდა და რის ყიდვასაც კი ფული შესძლებდა, ბრიგზისთვის ყველაზე საუცხოო შავი აბრეშუმის კაბა იყიდა, რომელიც კოცნითა და ალერსიანი სიტყვებით გულუბრტყვილო ხანშესულ შინაბერას მიუძღვნა.

შემდეგ ბატონ რეგლზს ეახლა, გულთბილად მოიკითხა მისი ბავშვები და ორმოცდაათი გირვანქა მას მისცა ვალის ანგარიშში. მერე საქირო ეტლების მეპატრონეს შეუარა, რომლისგანაც ეტლებს ქირაობდა, და იმასაც იმდენივე თანხა მიართვა.

- ვიმედოვნებ, ეს გაკვეთილი იქნება თქვენთვის, სპევინ, - დასძინა მან, - რათა სამეფო კარის მეორე დარბაზობის დღეს

ჩემი მაზლი სერ პიტი უხერხულ მდგომარეობაში აღარ ჩააგდოთ და იძულებული არ გახადოთ მისი უდიდებულესობის დარბაზობაზე ოთხი სული წაიყვანოს თავისი ეტლით, რადგან საკუთარი ეტლი არ მომერთმევა.

ჩანს რაღაც უთანხმოება მომხდარიყო ადასწინდელ დარბაზობის დღეს. ამიტომ იყო, რომ თავი დაიმდაბლა პოლკოვნიკმა და კინაღამ იძულებული გახდა ნაქირავები კებით წამდგარიყო თავისი ხელმწიფის წინაშე.

ეს საქმეები რომ მოითავა, ბეკი ზემოთ აბრძანდა და ზემოხსენებულ ზარდახშას ეწვია, რომელიც დიდ, დიდ ხნის წინათ ემილია სედლიმ უფეშქარა და რომელიც მრავალ საასრგებლო და ძვირფას წვრილმანს შეიცავდა. სწორედ ამ საიდუმლო საცავში მოათავსა მან ბარონეტის ჯოუნზისა და რობინსონის მოლარისაგან მოცემული ერთი საბანკო ბილეთი.

თავი XLIX - რომელშიაც ვიგემებთ სამ თავ საჭმელსა და დესერტს

ლორდი სტაინი შოკოლადს ცალკე, თავისთვის მიირთმევდა ხოლმე და იშვიათად აწუხედა ჯალაბის მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს. ხედავდა მათ ან წვეულებათა დღეებში, ან როცა ჰოლში შეეხეჩებოდნენ ერთმანეთს, ანდა ოპერაში თავისი პარტერის ლოჟიდან ბელეტაჟის ლოჟას რომ ათვალიერებდა. მაგრამ როცა გონტ-ჰაუზის მანდილოსნები იმ დილით საუზმეზე ისხდნენ, მისი ბრწყინვალება, ანაზდად გამოცხადდა მანდილოსნებისა და ბავშვების საზოგადოებაში, რომელიც ჩაისა და დაბრაწულ პურს შეექცეოდა, და რებეკას გულისთვის დიდი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

- მილედი სტაინ, - ბრძანა ვაჟბატონმა, - პარასკევს სადილად დაპატიჯებულთა თქვენს სიას მინდა გადავხედო და მინდა აგრეთვე გთხოვოთ, მოსაწვევი ბარათი გაუგზავნოთ პოლკოვნიკ კროულის და მის მეუღლეს.

- მოსაწვევ ბარათებს ბლანში წერს, - უთხრა აღელვებით ლედი სტაინმა. - ლედი გონტი წერს!

- მე იმ ქალს ვერ მივწერ, - განაცხადა ლედი გონტმა, მაღალმა და წარმოსადეგმა ბანოვანმა. თან ერთი წამით ასწია თავი და სიტყვების წარმოთქმის უმალვე კვლავ ჩაღუნა. ვერაფერი საამო იყო ლორდ სტაინის თვალებში შეხედვა მათთვის, რომელნიც ეურჩებოდნენ მის ნებას.

- გაიყვანეთ ბავშვები ოთახიდან! წადით! - ბრძანა მარკიზმა და ზარის ზონარს ჩამოჰკრა. მის წინაშე ყოველთვის დამფრთხალი ბალღები გაილალნენ. დედასაც უნდოდა გაჰყოლოდა, - არა, თქვენ დარჩით, - მიაძახა მან.

- მილედი სტაინ, - კვლავ განაგრძო ოჯახის უფროსმა, - ერთხელ კიდევ გეუბნებით, ინებებთ თუ არა მიბრძანდეთ საწერ მაგიდასთან და დასწეროთ ეგ მოპატიჟების ბარათი საპარასკევო სადილოსთვის?

- მილორდ, მე მაგ წვეულებას ვერ დავესწრები, - მიუგო ლედი გონტმა, - ჩვენებთან წავალ.

- ნეტავი წახვიდოდეთ და აღარც დაბრუნდბოდეთ იქიდან. ბეირაკრზში ბეილიფების ჩინებულ საზოგადოებაში მოხვდებით და მეც გავთავისუფლდები თქვენი ნათესავებისთვის ფულის ძლევისა და თქვენი წყეული ტრაგიკული სახის ცქერისაგან. ვინა ბრძანდებით, აქ რომ განკარგულებებს იძლევით? ფული არ გაგაჩნიათ, ტვინი არ მოგეპოვებათ. აქ შვილების გასაჩენად მოგიყვანეს და ერთიც არ გყოლიათ. გონტს თავი მოაბეზრეთ და ერთადერთი ჯორჯის ცოლია მთელ ოჯახში, რომ თქვენი სიკვდილი არ უნდა. რომ მომკვდარიყავით, გონტი მეორე ცოლს მოიყვანდა.

- ნეტავი მოვმკვდარიყავი, - მიუგო ცრემლმორეულმა მისმა ბრწყინვალებამ და გაალმასებით შეხედა.

- თქვენ, უეჭველია, სათნოებასა და პატიოსნებაზე დებთ თავს, მაშინ როცა ჩემი მეუღლე, რომელიც განხორციელებული წმინდავი გახლავთ, როგორც ყველას მოეხსენება, და არასოდეს შეუცოდავს თავის დღეში, სრულიადაც არ არის წინაამღდეგი შეხვდეს ჩემს ახალგაზრდა მეგობარს, ქალბატონ კროულის. მილედი სტაინმა იცის, რომ ხანდახან საუკეთესო მანდილოსნებიც იჩაგრებიან შორით განსჯის წყალობით და რომ ხშირად ყველაზე უმანკოთა შესახებაც სიცრუეს იტყვიან ხოლმე. გეთაყვა, ქალბატონო, ხომ არ ინებებდით, მაგალითად, ორიოდე პატარა ამბავი მოგესმინათ თქვენი დედიკოს, მილედი

ბეირაკრზისა?

- შეგიძლიათ დამარტყათ, თუ გნებავთ, ბატონო ან სხვა უფრო რამე მწარეც მითხრად, - მიახალა ლედი გონტმა.

ცოლისა და რძლის წვალება ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებდა მის ბრწყინვალებას.

- ჩემო ძვირფასო ბლანშ, - თქვა მან, - მე ჯენტლმენი გახლავარ და ჩემი ხელი, თუ არ ალერსით, ისე არასოდეს მიჰკარებია ქალს. მხოლოდ მინდა თქვენი ხასიათის ზოგიერთი მცირე მანკი გამოვასწორო. დიაცები დიდად ამპარტავნობთ და სამწუხაროდ თვინიერება გაკლიათ, როგორც, დარწმუნებული ვარ, მამა მოული მოახსენებდა მილედი სტაინს აქ რომ ესწრებოდეს. არ უნდა იბღინძებოდეთ; მოკრძალებასა და თავმდაბლობას უნდა იჩენდეთ, ჩემო თვალისჩინებო. რამდენადაც ლედი სტაინს მოეხსენება, ეს ცილდაწამებული, მიამიტი, გულკეთილი ქალბატონი კროული სრულიად უმწიკვლო შეიძლება იყოს - იქნებ თვით ამაზე უმწიკვლოც კი. მის ქმარს კარგი სახელი ვერა აქვს დაგდებული, მაგრამ ბეირაკრზისთანა სახელი მაინც აქვს, რომელმაც ხელსა და თვლას შუა გამოგაცალათ ერთადერთი სამკვიდრო და გაღატაკებული ჩემი ხელის შემყურედ დაგყარათ. მერე კიდევ, ქალბატონი კროული ვერაფერი დიდი გვარიშვილია, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის ფანის სახელგანთქმულ წინაპარზე, პირველ დე ლა ჯოუნზზე ყარესი შთამომავლობისა.

- ჩემგან ოჯახში შემოტანილი ფული, ბატონო ჩემო... - შესძახა ჯორჯის მეუღლემ.

- თქვენ მაგით მემკვიდრეობის მიღების ერთგვარი უფლება შეიძინეთ, - მოახსენა მარკიზმა პირქუშად. - თუ გონტი მოკვდა, თქვენს ქმარს ხვდება მისი პატივი, თქვენი პატარა ბიჭები გახდებიან მაგის მემკვიდრენი და, ვინ იცის, კიდევ რისი? მანამდე კი, ქალბატონო, გარეთ როგორიც გნებავთ ისეთი ამაყნი და სათნონი იყავით, ოღონდ ჩემს წინაშე ბღენძვას თავი დაანებეთ. რაც შეეხება ქალბატონ კროულის სახელს, საკუთარ თავს ისე არ დავიმდაბლებ და არც იმ ფრიად უმწიკლო და სრულიად უზადო მანდილოსანს ისე არ დავამდაბლებ, რომ თუნდაც გადაკვრით ვთქვა, მას რაიმე დაცვა ესაჭიროება-მეთქი. კეთილი ინებეთ და უდიდესი გულითადობით მიიღეთ, როგორც უნდა იღებდეთ ყველას,

ვისაც მე ამ ჭერქვეშ შემოვიყვან. ამ ჭერქვეშ! - მას სიცილი წასკდა. - ვინ არის ამის პატრონი? ან რას წარმოადგენს იგი? ეს სათნოების ტაძარი მე მეკუთვნის და მთელი ნიუგეიტი[106] ანდა ბედლამიც[107] რომ მოვიპატიჟო აქ, დალახვროს ღმერთმა, თავაზით უნდა დახვდეთ!

ამ ნამაქიანი სიტყვის წარმოთქმის შემდგომ, რომლისთანებითაც ლორდი სტაინი უმასპინძლდებოდა თავის „ჰარამხანას“, როცა ოდნავი ურჩობის რაიმე ნიშნებს დაატყობდა ჯალაბს, თავჩაქინდრულ დიაცებს აღარა დარჩენოდათ რა დამორჩილების მეტი. ლედი გონტმა დაწერა მისი ბრწყინვალებისაგან მოთხოვნილი პატიჟობის ბარათი. მან და მისმა დედამთილმა ირადათ წაიღეს იგი და გულგასიებულებმა და გულდაჩაგრულებმა ქალბატონ რებეკას მიართვეს, რამაც ამ უმანკო მანდილოსანს ასე დიდი სიამოვნება მიანიჭა.

ლონდონში ისეთი ოჯახებიც გახლდათ, რომელნიც ერთი წლის შემოსავალს გასწირავდნენ, რომ ასეთ პატივს ღირსებოდნენ იმ დიდებული მანდილოსნების ზელიდან. მაგალითად, ქალბატონი ბულოკი მუხლებზე ხოხვით ივლიდა მეი-ფეირიდან ლომბარდ-სტრტამდე, თუ ლედი სტაინი და ლედი გონტი დახვდებოდნენსიტიში, წამოაყენებდნენ ფეხზე და ეტყოდნენ : „ მობრძანდით ჩვენსას მომავალ პარასკევსო“... არა ერთ-ერტ იმ დიდ თავყრილობაზე და გონტ-ჰაუზის დიდებულ წვეულებაში, სადაც ყველანი დადიოდნენ, არამედ წმიდა, მიუწვდომელ, იდუმალებით მოცულ, ნატიფ დროსტარებაზე, სადაც დასწრება უპირატესობის ქონას, პატივსა და ნეტარებას მოასწავებდა ჭეშმარიტად.

მკაცრი, უმწიკლო და ლამაზი ლედი გონტი ამაოების ბაზრის ფრიად მაღალ საფეხურზე იდგა. ნატიფი თავაზიანობა, რომლითაც ლორდი სტაინი ეპყრობოდა მას, ყველას ხიბლავდა და უმკაცრეს კრიტიკოსებსაც კი აღიარებინებდა, რა სრულყოფილი ჯენტლმენი ბრძანდებოდა იგი და რომ მის ბრწყინვალებას გულ მაინც საგულეს ჰქონდა.

გონტ-ჰაუზის მანდილოსნებმა ლედი ბეირაკზი მოიწვიეს დამხმარედ, რათა საერთო მტერი ერთად მოეგერიებინათ. ლედი გონტის ერთ-ერთი ეტლი ჰილ-სტრიტს გაიგზავნა მისი ბრწყინვალების დედის მოსაყვანად, რომლის ყველა ეტლი ბეილიფების ხელთ იყო და, ამბობდნენ, მის სამკაულებსა და

ტანსაცმელაც ის ულმობელი ისრაელნი დაჰპატრონებიანო. ბეირაკრზ-კასლიც მათი გახლდათ მთელი საუცხოო სურათებით, ავეჯითა და საიშვიათო ძვირფასეულობით - მომაჯადოებელი ვან-დეიკებით[108]; კეთილშობილი რეინოლდზის[109] სურათებით; ლორენსის უგემური და ლამაზი პორტრეტებით, ოცდაათიოდე წლის წინათ ჭეშმარიტი ნიჭის პატრონთა ნამუშევრებივით რომ ფასობდა; კანოვას[110] სწორუპოვარი მოცეკვავე ნიმფა, რომელშიაც თვით ლედი ბეირაკრზი ბრძანდებოდა გამოხატული ახალგაზრდობაში - ლედი ბეირაკრზი, მაშინ გასხივოსნებული და გაბრწყინებული ქონებით, ხარისხითა და სილამაზით, ახლა კი უკბილო, თავგაქაჩლებული დედაბერი, წინანდელი დიდებული სამოსის საცოდავი ნაგლეჯი. მისი მეუღლე, იმავე ხანებში ლორენსისაგან გამოხატული, ბეირაკრზ-კასლის წინ ხმალს რომ იქნევს და თისლვუდის მოხალისე მხედრობის პოლკოვნიკის მუნდირი აცვია, ახლა პალტოიანი და ბრუტუსისებურ პარიკიანი[111], მიმჭკნარი, დაძაბუნებული, გამხდარი ბერიკაცი იყო, რომელიც უმთავრესად დილაობით დასუნსულებდა გრეიზ-ინის[112] გარშემო და მარტო სადილობდა კლუბებში. ამჟამად მას აღარ ეპიტნავებოდა სტაინთან ერთად სადილობა. სიამოვნებათა დევნაში ისინი ერთმანეთს ექიშპებოდნენ ჭაბუკობაში და ყოველთვის ბეირაკრზი იმარჯვებდა. მაგრამ სტაინი უფრო ჯანმაგარი გამოდგა და თავს დაუარა კიდეც. მარკიზი ახლა ათჯერ უფრო დიდი კაცი იყო, ვიდრე ახალგაზრდა ლორდ გონტი 1785 წელს, ბეირაკრზი კი აღარსად ჩანდა ასპარეზზე - დაბერებული, დაჩაჩანაკებული, გაკოტრებული და მიწასთან გასწორებული გახლდათ. სტაინისაგან იმდენი ფული ჰქონდა ნასესხები, რომ ვერაფერი საამო იქნებოდა მისთვის თავის ძველ ამხანაგთან ხშირად შეხვედრა. ხოლო ამ უკანასკნელს როცა კი მოენებებოდა გამხიარულება, დაცინვით ჩაეკითხებოდა ხოლმე ლედი გონტს: მამათქვენი რატომ აღარ მობრძანდება თქვენს სანახავადო.

- ოთხი თვე იქნება აქ აღარ გამოჩენილა, - იტყოდა ლორდ სტაინი. - ჩემი ჩეკის წიგნაკის მიხედვით ყოველთვის შემიძლია ვთქვა, როდის მესტუმრა მეირაკრზი. რა საამურია, ჩემო ძვირფასო ქალბატონებო - მე ერთ-ერთი ჩემი ვაჟიშვილის სიმამრის ბანკირი ვარ, მეორე ვაჟიშვილის სიმამრი კი ჩემი ბანკირი გახლავთ!

სხვა დანარჩენ ბრწყინვალე გვამებთან, რომელთა შეხვედრის პატივიც წილად ხვდა მაღალ საზოგადოებაში ამ პირველი გამოსვლის დროს ბეკის, ამ მეისტორიეს მაინცდამაინც ხელი არა აქვს და არც ბევრი ეთქმის. იქ ბრძანდებოდა მისი უგანათლებულესობა თავადი პეტერვარადინი მეუღლითურთ - მჭიდროდ წელშეკრული კეთილშობილი, მხედრულად მკერდგამობერილი, რომელზედაც თვალისმომჭრელად უბზინავდა ორდენის ნიშანი, ყელზე კი ოქროს საწმისის წითელი ბაფთა ჰქონდა გაკეთებული. მას უამრავი ცხვრის ფარა ჰყავდა.

- ერთი შეხედეთ სახეში. მე მგონი, თვითონაც ვერძის შთამომავალი უნდა ბრძანდებოდეს, - გადაუჩურჩულა ბეკიმ ლორდ სტაინს.

მართლაც, მისი უგანათლებულესობის სახე - მოგრძო, გაფუყული და თეთრყირმიზი, ყელზე გაკეთებული სამკაულითურთ, ცოტაოდნად კიდეც წააგავდა ფარის წინამძღოლ პატივცემულ ვერძს.

იქ გახლავთ ბატონი ჯონ პოლ ჯეფერსონ ჯოუნზიც, ამერიკის საელჩოს მოახლე და „ნიუ--იორკის დემაგოგის“ კორესპონდენტი, რომელმაც აქაოდა საზოგადოებას მინდა ვაამო, სადილზე გამართულ მუსაიფში ჩამოვარდნილი პაუზის დროს ლედი სტაინს ჰკითხა: ჩემს ძვირფას მეგობარს, ჯორჯ გონტს, ბრაზიია როგორ მოსწონსო? - ის და ჯორჯი დიდად დამეგობრებულიყვნენ ნეაპოლში და ვეზუვზედაც ერთად ასულიყვნენ. ბატონმა ჯოუზმა სადილის სრული და დაწვრილებითი ანგარიში დაწერა, რომელიც თავის დროზე დაიბეჭდა „დემაგოგში“. მოიხსენია ყველა სტუმრის სახელი და ტიტული და უმთავრესი დიდკაცების მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევებიც დაურთო. დიდის მჭერმეტყველებით აღწერა მანდილოსანთა გარეგნობა, სუფრის წესრიგი, ფარეშთა მოყვანილობა და ჩაცმულობა. ჩამოთვალა მორთმეული კერძები და ღვინოები, ბუფეტის სამკაულები და ვერცხლის ჭურჭლეულის სავარაუდო ფასი. მისი გამოანგარიშებით, ასეთი სადილი კაცის თავზე თხუთმეტიდან თვრამეტ დოლარამდე მაინც დაჯდებოდა, და სულ ბოლო ხანებამდე ჩვეულებად ჰქონდა სარეკომენდაციო ბარათებით პროტეჟეები ეგზავნა ახლანდელ მარკიზ სტაინისათვის, ვინაიდან ამ საქმეში გათამამებული გახლდათ იმ დაახლოვებული ურთიერთობით,

რომელიც აკავშირებდა ძვირფას მეგობართან, განსვენებულ ლორდთან. იგი ფრიად გულმოსული ბრძანდებოდა იმით, რომ ერთი ახალგაზრდა, დაფსხრეკილ-დალეული არისტოკრატი, ვინმე გრაფი საუთდაუნი, წინ გადაუდგა, როცა სუფრაზე დასაჯდომად მიემართებოდნენ. „სწორედ იმ დროს, როცა წინ წავდექი, რათა ხელი შემეთავაზებინა ფრიად საამო და გონებამხვილი წარჩინებული ბანოვნის, ბრწყინვალე და სწორუპოვარი ქალბატონი კროულისთვის, - წერდა იგი, - დიდგვაროვანი ახალგაზრდა ჩაეჩარა ჩემსა და მანდილოსანს შორის და სრულიად მოუბოდიშებლად გაიტაცა ჩემი ელენე[113]. მე იძულებული გავხდი, ბოლოში შემოვრჩენილიყავი იმ მანდილოსნის მეუღლე პოლკოვნიკთან, ზორბა, სახეგაღაჟღაჟებული მხედართან ერთად, რომელმაც თავი გამოიჩინა ვატერლოოსთან, სადაც მას უკეთესი ბედი ეწია, ვიდრე მის თანამოძმე წითელმუნდირიანებს[114] ახალ ორლეანში“.

ამ ნატიფ წრეში ფეხის შედგმისას პოლკოვნიკი ისე წამოწითლდა სახეზე, როგორც თექვსმეტი წლის ბიჭს ემართება ხოლმე, როცა თავისი დის სკოლის ამხანაგებს შეხვდება. ადრე უკვე ვახსენეთ, რომ პატიოსანი როუდონი თავისი ცხოვრების მანძილზე მაინცდამაინც ამ გაზდათ გაჩვეული მანდილოსანთა საზოგადოებაში. კლუბისა და ოფიცერთა საკრებულოს ვაჟკაცებში საკმაოდ თამამი იყო და ცხენოსნობაში, ნიძლავის დადებაში, თამბაქოს წევასა და ბილიარდის თამაშში არავის დაუვარდებოდა. თავის დროზე ქალებთანაც მეგობრობდა, მაგრამ ეს ამბავი ოცი წლის წინათ გახლდათ და მანდილოსნები ისეთი ხარისხიანი ბრძანდებოდნენ, როგორებთანაც როგორც კომედიაშია წარმოდგენილი, მარლო-უმცროსს ჰქონდა ნაცნობობა, სანამ არ შეჩქვიფდებოდა მის ჰარდკასლის[115] წინაშე. ისეთ ხანაში ვართ, ვერავინ ბედავს თუნდ გადაკვრით ახსენოს იმ ჯურის საზოგადოება, ამაოების ბაზრის ჩვენი ახალგაზრდობა რომ ყოველდღე ტრიალებს - რომელიც ღამღამობით კაზინოებსა და საცეკვაო დარბაზებს ავსებს და რომლის არსებოდა ისევე ჩინებულად არის ჩნობილი, ვითარცა ჰადპარკის სასეირნო წრე ანდა სენტ-ჯეიმზის სამრევლოს საკრებულო - მაგრამ რომელსაც ყველაზე ზნეკეთილი თუარა, ყველაზე უფრო აზიზი საზოგადოება მაინც გადაჭრით არ სცნობს. ერთი სიტყვით, თუმცა პოლკოვნიკი კროული ახლა ორმოცდახუთი წლისა

გახლდათ, წინად არ რგებია, ცხოვრებაში თუნდა ექვსიოდე წესიერ ქალს შეხვედროდა, გარდა სრულყოფილებისა დასათნოების განმასახიერებელი თავისი ცოლისა. ყველა აფრთხობბდა ღირსეულ პოლკოვნიკს. გარდა მისი მეუღლისა და გულკეთილი რძლის ლედი ჯეინისა, რომლის სათნო ბუნებამაც მოათვინიერა და მოხიბლა იგი. ამიტომ გონტ-ჰაუზში თავისი პირველი სტუმრობის დროს სულ არ დაუძრავს კრინტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღიარა, ძალიან ცხელაო. ბეკი, რასაკვირველია, სულაც შინ დატოვებდა მას, მაგრამ კდემამოსილება აიძულა, მეუღლე გცერდში ჰყოლოდა, რათა ნატიფ საზოგადოებაში პირველად გამოსული ეს ნაზი, მოკრძალებული პაწია არსება დაეცვა.

როგორც კი ბეკიმ ფეხი შედგა დარბაზში, ლორდ სტაინი წინ მიეგება, ხელი ჩამოართვა, დიდის თავაზით მიესალმა და წარუდგინა ლედი სტაინსა და მათ ბრწყინვალებებს, თავის რძლებს. მათი ბრწყინვალებანი სამი დიდრაჯული რევერანსით მიესალმნენ და უფროსმა მანდილოსანმა, წარმოიდგინეთ, ხელიც გაუწოდა ახალმოსულს, თუმცა იგი მარმარილოსავით ცივი და უსიცოცხლო ჰქონდა.

ბეკიმ მაინც მადლობითა და მოწიწებით ჩამოართვა; უძღვნა ისეთი რევერანსი, რომელზე უკეთესს ცეკვის ყველაზე გამოჩენილი მასწავლებელიც ვერ მოახერხებდა და, ასე ვთქვათ, ფიანდაზად გაეშალა ფეხქვეშ ლედი სტაინს - მოახსენა: მისი ბრწყინვალება, ლორდი სტაინი, მამაჩემის ძველი მეგობარი და პატრონი ბრძანდებოდა და მეც ბავშვობიდანვე მაქვს გულში ჩანერგილი სტაინთა ოჯახისადმი პატივისცემა და მოწიწებული სიყვარულიო. მართლაც, ლორდ სტაინს ერთხელ, ოდესღაც, ორიოდე სურათი შეეძინა განსვენებული შარპისაგან და ნაზად მოსიყვარულე ობოლს როგორ შეეძლო გულიდან გადაეგდო ამ წყალობით გამოწვეული მადლიერების გრძნობა!

მერე ბეკიმ თვალი მოჰკრა ლედი ბეირაკრზს და აგრეთვე ფრიადის მოწიწებით დაუკრა თავი, რაზეც ხსენებულმა დიდებულმა გვამმა სასტიკად გულზავი სალმით უპასუხა.

- მე მქონდა სიამოვნება, თქვენი ბრწყინვალება ამ ათი წლის წინათ ბრიუსელში გამეცნო, - უთხრა ბეკიმ ფრიად ალერსიანი კილოთი. - წილად მხვდა ბედნიერება, ლედი ბეირაკრზს რიჩმონდის დუკას მეუღლის წვეულებაში შევხვედროდი,

ვატერლოოს ბრძოლის წინა ღამეს. მერე კიდევ მახსოვს, თქვენი ბრწყინვალება და მილედი ბლანში, თქვენი ასული, სასტუმროს ჭიშკართან მდგარ კარეტაში რომ ისხედით ცხენების მოლოდინში. იმედი მაქვს, თქვენი ბრწყინვალების ალმასები მშვიდობით გადარჩენ!

ყველამ ერთმანეთს გადახედა. სახელგანთქმული ალმასები, როგორც ჩანს, ქონებაზე სახელგანთქმული ყადაღის დადებაში მოხვდა, რისიც ბეკიმ, რასაკვირველია, არა იცოდა რა. როუდონ კროული ლორდ საუთდაუნთან ერთად მიადგა ფანჯარასთან და ამ უკანასკნელს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა, როცა როუდონმა უამბო, ლედი ბეირაკრზი ცხენებს რომ ეძებდა და ქალბატონი კროულის წინაშე „ღმერთმანი, ქედი მოიდრიკა“. „მგონია მაგ დედაკაცისა არ უნდა მეშინოდესო“, დაასკვნა გულში ბეკიმ. მართლაც ლედი ბეირაკრზმა დამფრთხალი, განრისხებული თვალით გადახედა ქალიშვილს და მაგიდას მიაშურა, სადაც დიდის გულმოდგინებით დაუწყო თვალიერება სურათებს.

როცა დუნაისპირელი თავადი მობრძანდა, საუბარი ფრანგულ ენაზე წარიმართა და ლედი ბეირაკრზმა და უმცროსმა მანდილოსნებმა, თავისდა სამწუხაროდ, აღმოაჩინეს, რომ ქალბატონმა კროულიმ მათზე გაცილებით უკეთ იცოდა ის ენა და უკეთესი გამოთქმითაც ლაპარაკობდა. ბეკი საფრანგეთის ჯარის სხვა უნგრელ თავადიშვილებსაც იცნობდა 1816-17 წლებში და დიდი ინტერესით კითხულობდა მეგობრების ამბავს. უცხოელ დიდებულებს ისიც დიდად წარჩინებული ბანოვანი ეგონათ და თავადმა და მისმა მეუღლემ რამდენჯერმა ჰკითხეს ლორდ სტაინსა და მარკიზის მეუღლეს, რომელთან ერთადაც სუფრისაკენ მიემართებოდნენ, ვინ არის ეგ petite dame[116], ასე მშვენივრად რომ ლაპარაკობს ფრანგულსო?

ბლოს, როდესაც პროცესია გაიმართა იმ წესრიგით, როგორც ამერიკელმა დიპლომატმა აღწერა, ისინი შებრძანდნენ იმ დარბაზში, სადაც სუფრა იყო გაშლილი და რაკი დავპირდი მკითხველს, რომ ისიც ამის მონაწილე იქნებოდა, უფლება ენიჭება, რაც კი მოეპრიანება, ის შეუკვეთოს თავისთვის.

მაგრამ როცა მანდილოსნები მარტო დარჩნენ, ბეკი მაშინ მიხვდა, რომ საომარი მოქმედება ახლა იწყებოდა. და პატარა დედაკაცი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღიარა ლორდ

სტაინის გაფრთხილების სისწორე - შენს საკუთარ წრეზე მაღლა მდგომი ქალების საზოგადოებას ერიდეო. როგორც იტყვიან, ირლანდიელები ყველაზე უფრო თვითონ ირლანდიელებს სძულთო. ასევე, ჭეშმარიტად, დიაცების ყველაზე უფრო დიდი მტარვალები თვითონ დიაცები არიან. როცა ქალებთან მარტოდ დარჩენილი საბრალო პატარა ბეკი ბუხართან მივიდა, სადაც წარჩინებული მანდილოსნები შეიკრიბნენ, წარჩინებულმა მანდილოსნებმა სურათებიან მაგიდას მიაშურეს და მას დაეპატრონენ. ხოლო როცა ბეკიმაც მისდია მათ მაგიდასთან, ისინი სათითაოდ კვლავ ბუხართან გადაბარგდნენ. სცადა ერთ-ერთ ბავშვს მაინც გამოელაპარაკებოდა (რომელთაც ძალიან ეხაფიფებოდა საზოგადოებაში ყოფნის დროს), მაგრამ ბატონიშვილი ჯორჯ გონტი მყის გაიხმო თავისმა დედიკომ. ერთი სიტყვით, ბოლოს ისე სასტიკად აიბზუეს ეს უცხო ფრინველი, თვით ლედი სტაინსაც კი შეებრალა - მივიდა და გამოელაპარაკა ეულ პატარა დედაკაცს.

- ლორდი სტაინი ამბობს, - უთხრა მისმა ბრწყინვალებამ და ფერმკრთალი ლოყები აელეწა, - ქალბატონი კროული შესანიშნავად მღერის და უკრავსო... პატივი დამდეთ და მიმღერეთ რამე.

- ყველაფერს აღვასრულებ, რამაც კი შეიძლება მილორდ სტაინსა და თქვენ გასიამოვნოთ, - მიუგო გულწრფელად მადლიერმა რებეკამ. მიუჯდა ფორტეპიანოს და შეუდგა სიმღერას.

იგი მოცარტის სასულიერო საგალობლებს მღეროდა, რომელნიც ახალგაზრდობაში ძალიან უყვარდა ლედი სტაინს, და თანაც ისეთი სიტკბოთი და სინაზით, რომ ფორტეპიანოს ახლოს შეყოვნებული მარკიზის მეუღლე იქვე ჩამოჯდა და ყურის გდებაში ცრემლებიც კი გადმოსცვივდა თვალთაგან. მართალია, ოპოზიციის მანდილოსნები ოთახის მეორე ბოლოში განაგრძობდნენ მამაღალ ჩურჩულსა და რატრატს, მაგრამ ლედი სტაინს აღარ ესმოდა ის ხმაური. იგი კვლავ ბავშვი იყო და ორმოც წელს უდაბნოში ხეტიალის შემდეგ კვლავ თავისი მონასტრის ბაღში მოხვდა. ეკლესიის ორღანზე იგივე ჰანგები ჟღერდა, რომელთაც ორღანის დამკვრელი მონაზონი, მონასტრის დათაგან მისთვის ყველაზე უფრო საყვარელი, ასწავლიდა იმ ადრინდელ ბედნიერ დღეებში. იგი კვლავ ბავშვი

იყო და ერთი საათით კვლავ გაუცოცხლდა თვალწინ ხანმოკლე ბედნიერების ხანა. იგი შეკრთა, როცა კარები ჭრიალით გაიღო და ლორდი სტაინი შემოვიდა ხმამაღალი სიცილით და თან ფრიად გამხიარებული მამაკაცები შემოჰყვნენ.

მარკიზი ერთი თვალის გადავლებით მიხვდა, რაც მოხდა მის აქ არყოფნაში და ამ ერთხელ მადლობის გრძნობით განიმსჭვალა მეუღლის მიმართ - მივიდა, გამოელაპარაკა და ნათლობის სახელითაც კი მიმართა ისე, რომ ლედი სტაინს კიდევ შეუფაკლდა ფერმკრთალი სახე.

- მეუღლე მეუბნება, პირდაპირ ანგელოზივით გალობდაო, - უთხრა ლორდმა სტაინმა ბეკის.

მაგრამანგელოზებიც ორი ჯურისანი გახლავან და, როგორც ამბობენ, ორთავენი თავ-თავის რიგზე მომხიბლავნი არიან.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო საღამოს პირველი ნაწილი, მეორე ბეკის უდიდესი ზეიმით აღინიშნა. რაც კი შეეძლო ყველაზე უკეთ იმღერა, ისე რომ ყველა მამაკაცი ფორტეპიანოს შემოეხვია გარს. მისი მტერი ქალები სრულიად მარტონი დარჩნენ. ბატონმა პოლ ჯეფერსონ ჯოუნზმაც იფიქრა, ლედი გონტის გული მოვიგეო, როცა ეახლა მის ბრწყინვალებას და უქო მისი მომხიბლავი მეგობრის პირველხარისხოვანი სიმღერა.

თავი L - ერთ უბრალო, ჩვეულებრივ ამბავს მოგვითხრობს

მუზა, ვინც არ უნდა იყოს იგი, რომელიც წინამძღვრობს ამ კომიკურ მოთხრობას, წარჩინებული მწვერვალებიდან, სადაც ის აქამდე დანავარდობდა, ახლა უნდა ჩამობრძანდეს ძირს, კეთილი ინებოს, დაეშვას ჯონ სედლის სახლის დაბალ სახურავზე ბრომპტონში და აღწეროს იქაური ამბები. აქ, ამ მდაბიურ, უბრალო სამყოფელშიაც ზრუნვა, უნდობლობა და მწუხარება ბუდობს.ქალბატონი კლეპი სამზარეულოში ჩუმად ებუზღუნება ქმარს და გულკეთილ ბერიკაცს აქეზებს, აუჯანყდი შენს ძველ მეგობარსა და პატრონს და ახლანდელ მდგმურსაო. ქალბატონმა სედლიმ უკვე შეწყვიტა სტუმრად სიარული თავის დიასახლისთან ქვემო სართულში და აღარც

ბატონკაცური მფარველის როლს თამაშობს ქალბატონი კლეპის მიმართ. ან აბა როგორ უნდა გაუყადრო თავი ისეთ ქალს, რომლისაც ორმოცი გირვანქა სტერლინგი გმართებს და რომელიც ნიადაგ გიკაკუნებს, ჩემ ფულს რატომ არ მაძლევო? ირლანდიელ მოახლეს სულაც არ შეუცლია თავისი გულკეთილი და მოკრძალებული ყოფაქცევა, მაგრამ ქალბატონ სედლის მაინც ეჩვენება, რომ ის გათავხედდა და გაუმადურდა; და როგორც დამნაშავე ქურდს ყოველი ბუჩქი პოლიციელად ელანდება, ასევე მოხუც ქალს გოგოს ყოველ სიტყვა-პასუხში მუქარით აღსავსე გადაკრული ნართაული ლაპარაკი ესმის. გაანჩხლებული დედაბერი მის კლეპზე, ახლა უკვე დასრულებულ ახალგაზრდა ქალზე, ამბობს, აუტანელი ლირფი გომბიოაო. ქალბატონ სედლის ვერ აუხსნია, ემილიას ასე რად უყვარს იგი, ან ასე ხშირად რატომ ჰყავს თავის ოთახში, ანდა ყოველთვის რად დასეირნობს მასთან ერთად. სიღატაკის სიმწარემ მოუშალა სიცოცხლე ამ ოდესღაც მხიარულ და კეთილ ქალს. ემილიას სულაც არ უმადლის მოუწყინარ სათნო ქცევას მის მიმართ, შარობს, როცა იგი ცდილობს, გულკეთილობა გამოიჩინოს და რამეში წაეხმაროს; ლანძღავს, რა ტუტუცურად ყოყოჩობ მაგ შენი შვილით, მშობლებს კი არაფრად აგდებო. რაც ძია ჯოზის ყოველწლიური შემოსავალი მოესპოთ და პატარა ოჯახი თითქმის შიმშილობს, ჯორჯის სახლი ვეღარაფერი ხალისიანია, ემილია ფიქრობს, ფიქრობს, სულ თავს იმტრევს, რომ შემოსავლის გაზრდის რაიმე სახსარი გამოძებნოს. იქნებ რაიმე გაკვეთილები იშოვოს? ეგებ სადარბაზო ბარათების შესანახები მოხატოს? იხელსაქმოს? იგი ხედავს, რომ ქალები, იმაზე უკეთ მომუშავენი, დიდის ჯაფით ორ პენიზეც ძლივს გამოდიან დღეში. იგი სამხარვრო მაღაზიაში ორიოდე ოქროვარაყიან ბრისტოლურ მუყაოს შეიძენს და, რაც კი ძალ-ღონე შესწევს, კოხტად მოხატავს. ერთზე, ლამაზი პეიზაჟის შუაგულში, წითელსამოსიანი, ვარდისფერლოყებიანი, მოღიმარი მწყემსი ბიჭია გამოხატული. მეორეზე - მწყემსი გოგონაა, რომელიც ნატიფად გამოყვანილი ფინიას თანხლებით პატარა ბოგირზე გადადის. სამხატვრო საგნების საცავისა და სახვითი ხელოვნების ბრომპტონის მთავარი მაღაზიის ნოქარი (რომლისგანაც იყიდა ემილიამ მუყაოს ფურცლები იმფუჭი იმედით, რომ მისი ხელით მოხატულს ისევ შეიძენდა იგი) ხელოვნების ამ უსუსური ნიმუშების დანახვაზე ძლივს იკავებს დამცინავ ღიმილს. ალმაცერად გაჰყურებს მომლოდინე მანდილოსანს, სურათებს კვლავ თეთრ-მოყავისფრო

ქაღალდში შეახვევს და უბრუნებს საცოდავ ქვრივსა და მის კლეპს, რომელსაც მის დღეში ასე მშვენიერი რამ თვალით არ უნახავს და სრულიად დარწმუნებულიც იყო, ორ გინეას მაინც აიღებენ ამ სურათებში. გულგატეხილნი და ნირწამხდარნი კიდევ და კიდევ სცდიან ბედს შუა ლონდონის სხვა მაღაზიაებში. „არ გვინდა“, - ეუბნება ერთი; „მომწყდით აქედან“, - ეუბნებათ მეორე გაანჩხლებით. სამი შილინგი და ექვსი პენი ფუჭად დაიხარჯა. სურათები მის კლეპის საწოლ ოთახში ბინავდება. მას მაინც ლამაზად ეჩვენედა ისინი.

დიდი ფიქრისა და ჯაფის შემდეგ ნატიფი ხელით პატარა განცხადებას წერს, რომლითაც აუწყებს საზოგადოებას, რომ „ცოტაოდენი თავისუფალი დროის მქონე მანდილოსანს სურს მიიბაროს სასწავლებლად რამდენიმე გოგონა, რომელთაც შეასწავლის ინგლისურს, ფრანგულს, გეოგრაფიას, ისტორიას და მუსიკას - მიმართეთ ე. ო.-ს ბატონ ბრაუნთან“. ამ ქაღალდს მიართმევს სახვითი ხელოვნების ნიმუშთა საცავის დარბაისელს, რომელიც ნებას რთავს ის დახლზე გამოფინოს, სადაც მას მტვერი ედება და ბუზებისაგან ბინძურდება. გულდაწურული ემილია ბევრჯერ აუვლ-ჩაუვლის კარს იმ იმედით, რომ ბატონი ბრაუნი რაიმეს აცნობებს, მაგრამ ის არაფერს ანიშნებს. როცა მცირე წვრილმანის საყიდლად შედის, მაშინაც არავითარი საიმისო ცნობა ჩანს. საბრალო, მიამიტი ქალი, ნაზი და უსუსური! - აბა როგორ ძალუძს მას ამ აზავთებულ, სასტიკ წუთისოფელში ბრძოლა?

დღედაღამე უფრო და უფრო სასოწარკვეთილი და მოწყენილია. შეშფოთებული თვალით შესცქერის შვილს, ბალღი კი ვერ მიმხვდარა, რას უნდა ნიშნავდეს ეს. ღამეში წამოხტება ლოგინიდან და მალულად იჭყიტება ჯორჯის ოთახში, რათა დაიბეჯითოს, რომ ბავშვს იქ სძინავს და არავის მოუტაცნია. ახლა ცოტაღა სძინავს. გამუდმებული ფიქრი და შიში არ ასვენებს. როგორ ქვითინებს და ლოცულობს გრძელ, დუმილით მოცულ ღამეებში! როგორ ცდილობს თავიდან მოიშოროს ის აკვიატებული ფიქრი, რომ იგი მაინც უნდა შეელიოს შვილს; რომ მხოლოდ თვითონ ეღობება წინ თავისი შვილის გაბედნიერების საქმეს. არა, არ შეუძლია! ახლა მაინც არ შეუძლია! სხვა დროს, სხვა დროს იყოს! ოჰ, რა მძიმეა ამაზე ფიქრი და მისი ატანა!

ემილიას თავში გაუელვებს ფიქრი, რომელიც აწითლებს და

თავისივე თავის წინაშე რცხვენია - მშობლებმა მოიხმარონ მისი წლიური შემოსავალი, თვითონ მას დიაკონი შეირთავს და შვილიანად შეივრდომებს. მაგრამ ჯორჯის სურათი და მისი ძვირფასი ხსოვნა აყვედრიან. სირცხვილი და სიყვარული უარს ათქმევინებენ მსხვერპლზე. იგი ისე უფრთხის ამ აზრს, თითქოს რაღაც მკრეხელური იყოს და ასეთი ფიქრები ფეხს ვერასოდეს იკიდებენ ამ წმინდა, უმწიკვლო, სათნო გულში.

ჩვენგან ორიოდე წინადადებით აღწერილი ჭიდილი მრავალ კვირას გრძელდებოდა საბრალო ემილიას გულში. ამ ხნის განმავლობაში გულსაც ვერავის უშლიდა და არც შეეძლო გადაეშალა, ვინაიდან დათმობის შესაძლებლობა ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუმცა დღედაღამე კი მაინც უკან დახევა უხდებოდა მტრის წინაშე. ერთი ჭეშმარიტება მეორეზე მიყოლებით მდუმარედ ილაშქრებდა მის წინააღმდეგ და იმაგრებდა ფეხს. სიღატაკე და ბეჩაობა - ყოველთვის, უქონლობა და დამდაბლება - მშობლებისათვის, უსამართლობა შვილის მიმართ - ერთიმეორეზე ემხობოდა პატარა ციხე-სიმაგრის ბურჯები, რომელშიაც საცოდავი ქალი თავგამოდებით იცავდა თავის ერთადერთ სულისდგმასა და განძს.

ბრძოლის დასაწყისში ამილიამ ნაზი ვედრების წერილი მისწერა ძმას კალკუტაში. ემუდარებოდა, ნუ მოუსპობ მშობლებს ნაწყალობევ დახმარებასო და გულწრფელი აღგზნებით უხატავდა მათ უმწეო და უსასოო მდგომარეობას. მან არ იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება. ჯოზისაგან დანიშნული წლიური დახმარების ფული კვლავ თავის დროზე იგზავნებოდა, მაგრამ ერთი სიტელი მევახშის ხელში სხდებოდა. მოხუცმა სედლიმ გაყიდა დახმარების მიღების უფლება, რათა აღებული ფულით თავისი ფუჭი, ამაო გეგმები განეხორციელებინა. ემი სულწასული ითვლიდა დღეებს, როდის მიიღებდა ჯოზი წერილს და როდის მოვიდოდა იქიდან პასუხი. მან გაზავნის თარიღი უბის წიგნაკშიაც კი ჩაინიშნა. შვილის მზრუნველისათვის, მადრასში მყოფი კეთილი მაიორი დობინისათვის, თავის მწუხარებათა და გასაჭირთაგან არაფერი შეუტყობინებია. მოსალოდნელი ქორწინების მისალოცი წერილი რომ გაუგზავნა, მას შემდეგ აღარა მიუწერია რა. გულდამძიმებული, სასოწარკვეთილი ფიქრობდა, რომ ეს მეგობარიც, ეს ერთადერთი მეგობარი, რომელსაც ასე უყვარდა, ჩამოშორდა მას.

ერთ დღეს, როცა საქმე ძალიან გართულდა, - როცა მოვალენი ავიწროებდნენოჯახს, დედას მწუხარებით ისტერიკა ემართებოდა, მამა ჩვეულებრივზე უფრო პირმოღუშული იყო, ოჯახის წევრები ერთანეთს გაურბოდნენ და ყველანი თავიანთი პირადი ბედშავობითა და შეცდომათა შეგნებით იყვნენ გულგასივებულნი, - მამა-შვილი შემთხვევით მარტონი აღმოჩნდნენ ერთად და ემილიამ იფიქრა, ვეტყვი მამას, რაც ჩავიდინე და ვანუგეშებო. უთხრა კიდეც: ჯოზეფს მივწერე - პასუხი სამ-ოთხ თვეში დაგვიბრუნდებაო. ის ხომ ყოველთვის სულგრძელი, ოღონდ დაუდევარი კაცი იყო; არც იტყვის უარს, როცა გაიგებს, რა მძიმე გასაჭირში ამყოფებიან მისი მშობლებიო.

მაშინ კი საცოდავმა მოხუცმა მთელი ჭეშმარიტება გაუმხილა: რომ შვილი ძველებურად უგზავნიდა ფულს, რომელიც თავისი პირადი უგუნურებითა და უთავბოლობით გაფლანგა. იგი აქამდე ვერ ბედავდა გამოსტეხოდა ქალიშვილს. როცა ათრთოლებული, შესაბრალისი ხმით ამბობდა თავის აღსარებას, ბერიკაცს ეგონა, ფერმიხდილი, შეძრწუნებული ემილია ამ დაფარვას აყვედრიდა და ამისთვის კიცხავდა.

- ოჰ - წარმოთქვა მოხუცმა ათრთოლებული ბაგეებით და პირი მოარიდა, - ახლა ალბათ გეზიზღება შენი მოხუცი მამა!

- ოჰ, მამიკო! მე მაგას კი არ ვწუხვარ!.. - შესძახა ემილიამ. მოეხვია ყელზე და ბევრჯერ აკოცა. - შენ ყოველთვის კარგი და კეთილი ხარ. ეგეც საქმის გამოკეთების გულისთვის ჩაიდინე. ფულის ამბავი კი არ მაწუხებს... ეგ... ო, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! შენ შემიბრალე და გადამატანინე ეს განსაცდელი! - ამ სიტყვებით ერთხელ კიდევ მაგრად აკოცა მამას და გარეთ გაიჭრა.

მამა მაინც ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ახსნა-განმარტება და საბრალო ქალისაგან გამწარებით წამოსროლილი სიტყვები. ეს იმას მოასწავებდა, რომ მან დამარცხებულად სცნო თავი. მსჯავრი გამოტანილი იყო. ბავშვი უნდა მოშორდეს... სხვებთან წავიდეს... დაივიწყოს იგი. მისი სულისდგმა და საუნჯე... მისი სიხარული, იმედი, სიყვარული, სათაყვანო არსება... თითქმის მისი ღმერთი! უნდა დასთმოს, თვითონ კი ჯორჯს შეუერთდეს; მერე ორივენი ერთად გაუწევენ მფარველობას შვილს და დაელოდებიან, ვიდრე ისიც არ ივა მათთან ზეცაში.

გაოგნებულმა დაიხურა ქუდი და დაადგა იმ შუკას, რომლითაც ჯორჯი ბრუნდებოდა ხომე სკოლიდან და სადაც ჩვეულებად ჰქონდა დახვედროდა ბავშვს. მაისის ნახევრად უქმე დღე იყო. ხეები იფოთლებოდა. საუცხოო ამინდი იდგა. ბიჭმა სირბილით მოაშურა დედას. ლოყები სიჯანსაღით უღაჟღაჟებდა, მოიმღეროდა. სასწავლო წიგნების შეკვრა ღვედით ეკიდა გვერდზე. აი, ისიც! დედამ ორივე ხელი შემოხვია და გულში ჩაიკრა. არა, შეუძლებელია, ისინი ვერ განშორდებიან ერთმანეთს!

- რა დაგემართა, დედიკო? - ჰკითხა ბავშმა. - ძალიან ფერმიხდილი ხარ!

- არფერი, გენაცვალე, - მიუგო მან, დაიხარა და აკოცა.

იმ ღამეს ემილიამ ბავშვს სამოელის ამბავი[117] წააკითხა - ანამ, დედამისმა, ძუძუდან რომ მოიშორა და მღვდელმთავარ ელის მიჰგვარა, რათა ემსახურა წინაშე ღვთისა. წაიკითხა სამადლობელი ლოცვაც, ანამ რომ თქვა, რომელიც ღაღადებს: „უფალი დააგლახაკებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს; აღადგენს ქუეყანისაგან გლახაკსა და სკორეთაგან აღამაღლებს დავრდომილსა, რათა დასუას იგი ძლიერთა თანა ერისათა და საყრდენი დიდებისანი დაუმკვიდრნეს მას“. მერე წაიკითხა, სამოელის დედა როგორ უკერავდა სამოსელს და ყოველ წელიწადს უზიდავდა, როცა საწელიწადო მსხვერპლის შესაწირავად მიდიოდა. შემდეგ წრფელი, მარტივი კილოთი ჯორჯის დედამ განუმარტა ბავშვს ეს გულისამაჩუყებელი ამბავი: ანას თუმცა ასე ძალიან უყვარდა შვილი, მაინც შეელია, რაკი ფიცი ჰქონდა დადებული; და როგორ სულ თვალწინ ედგა იგი, როცა შორს, სახლში, იჯდა და პატარა სამოსელს კერავდა მისთვის. დარწმუნებული იყო, სამოელსაც რომ არასოდეს ავიწყდებოდა მშობელი და რა ბედნიერი უნდა ყოფილიყო დედა, როცა დადგა დრო (და წლები ხომ ძალიან სწრაფად გარბიან!) და კვლავ იხილა თავისი პირმშო, ასე გაკეთებული და დაბრძენებული. ეს პატარა ქადაგება წყნარი, საზეიმო კილოთი და თვალზე ცრემლმოუდგომლად, თქვა, სანამ მათი შეხვედრის ამბავს არ მიადგა. მაშინ კი უცბად ჩაუწყდა ხმა. ნაზმა გულმა ვეღარ გაუძლო - ჩაიკრა მკერდში შვილი, დაუწყო მკლავებში ნანაობა და თან მდუმარედ აფრქვევდა ზედ მწუხარების წმინდა ცრმლებს.

რაკი გადაწყვიტა, ისეთი ზომების მიღებასაც შეუდგა, რაც ხელს

შეუწყობდა მისი განზრახვის განხორციელებას. ერთ დღეს მის ოსბორნს რასე-სკვერში (ემილიას ამ სახლის სახელი და ნომერი ათი წელიწადია აღარ დაეწერა - თავისი სიყმაწვილე, მთელი თავისი ადრინდელი თავგადასავალი მოაგონდა, მისამართს რომ აწერდა!) ემილიას წერილი მიართვეს, რომლის მიღებაზეც მას ალმური ავარდა სახეზე და მაგიდის თავში ჩვეულ ადგილას პირქუშად მჯდომ მამას გადახედა.

ემილია მარტივი სიტყვებით აუწყებდა, რა მიზეზებმა აიძულეს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება. მამამისს ახალი უბედურება დაატყდა თავს, რომელმაც სრულიად გააკოტრა იგი. საკუთარი შემოსავალი ისე მცირე ჰქონდა, რომ მშობლების შენახვასაც ძლივ-ძლივობით თი მოახერხებდა და ჯორჯის ხომ სულ ვერ გამოზრდიდა ისე, როგორც ის ღირსი იყო. რაც არ უნდა დიდი ყოფილიყო მასთან განშორების ტანჯვა, ღვთის შეწევნით, ბავშვის გულისთვის მაინც აიტანდა. იცოდა, რომ ისინი, ვისთანაც იგი მიდიოდა, რაც კი შეეძლოთ, არაფრს დაიშურებდნენ, რათა იგი გაებედნიერებინათ. აღუწერდა ბავშვის ხასიათს ისე, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი: ფიცხი და გულსწრაფი - ძადატანებისა და უკმეხობის მიმართ; იოლად დასაყოლიებელი - სიყვარულითა და ალერსით. მინაწერში ითხოვდა, წერილობითი ხელშეკრულობა დაედოთ, რომ როცა კი მოუნდებოდა, ბავშვის ნახვის უფლება ჰქონოდა - სხვა პირობით არამც და არამც არ დავთანხმდებიო.

- რაო, ქალბატონმა ამპარტავანმა ქედი მოიდრიკა, განა? - ბრძანა მოხუცმა ოსბორნმა, როცა მის ოსბორნმა აკანკალებული ხმით აჩქარებით წაიკითხა წერილი. - შიმშილმა შეაწუხა, ჰა? ჰე, ჰე, ჰე! ვიცოდი, აგრე იზამდა.

მან სცადა, დარბაისლური იერი შეენარჩუნებინა და ჩვეულებისამებრ გაეგრძელებინა გაზეთის კითხვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, გაზეთაფარებული ქირქილებდა და ილანძღებოდა თავისთვის.

მერე გაზეთი ძირს დაანარცხა, ჩვეულებისამებრ გადმოუბღვირა ქალიშვილს, გვერდით მდებარე კაბინეტში გავიდა, იქიდან მაშინვე გასაღები გამოიტანა და მის ოსბორნს მიუგდო.

- გაამზადებინე ოთახი ჩემს ზემოთ... მისი ოთახი რომ იყო, - უთხრა მან.

- კი, ბატონო, - მიუგო ათრთოლებულმა ქალიშვილმა.

ეს ჯორჯის ოთახი იყო. ათზე მეტი წელიწადი აღარავის გაეღო იგი. ზოგი ტანსაცმელი, ქაღალდები, ცხვირსახოცები, მათრახები და ქუდები, ანკესები და სასპორტო ხელსაწყოები კვლავ იქ ეყარა. 1814 წლის საარმიო ნუსხა, ყდაზე მის სახელწარწერილი; მომცრო ლექსიკონი, წერის დროს რომ ხმარობდა, და დედისეული ბიბლია ბუხრის თავზე ეწყო. იქვე იყო დეზები და ათი წლის მტვრით დაფარული ამომშრალი სამელნეც. ეჰ! მას შემდეგ რაც იმ სამელნეში მელანი იდგა, რამდენი დღე გავიდა და რამდენი ადამიანი კიდევ მიიცვალა! ისევ მაგიდაზე იფო საწერი დავთარი, რომელსაც კიდევ ემჩნეოდა ჯორჯის ხელი!

მის ოსბორნს ძალიან ამოუჯდა გული, მსახურთა თანხლებით პირველად რომ შევიდა ოთახში. იგი სრულიად ფერმიხდილი დაეშვა პატარა საწოლზე.

- რა კარგი ამბავია ქალბატონო... სწორედ კარგი ამბავია, - ეუბნებოდა მნე დედაკაცი. - კვლავ ძველებური კარგი დროება გვიბრუნდება, ქალბატონო; საყვარელი პატარა ბიჭიკო გვეყოლება, ქალბატონო. რა ბედნიერი იქნება? მაგრამ ზოგ-ზოგნი კი, მეი-ფეირში, ქალბატონო, ბრაზით გულზე გასკდებიან. - თან ტკაცუნით გასწია ფანჯრის ურდული და ოთახში სუფთა ჰაერი შემოუშვა.

- სჯობია, იმ ქალს ფული გაუგზავნო, - უთხრა ქალიშვილს ბატონმა ოსბორნმა, სანამ შინიდან გამოვიდოდა. - არაფერი არ უნდა აკლდს იმას. გაუგზავნე ერთი ასი გირვანქა მაინც!

- მეც წავიდე და ვნახო ხვალ? - შეეკითხა მის ოსბორნა.

- ეგ შენი საქმეა. ოღონდ აქ არ მოვიდეს იცოდე; არა, დალახვროს ღმერთმა, თუნდაც მთელი ლონდონის ფულის გულისთვისაც! მაგრამ ახლა კი აღარაფერი უნდა გაუჭირდეს. აბა, ჭკვიანად იყავი და მოაწესრიგე ყველაფერი. - ამ მოკლე დაძღვრის შემდეგ ბატონი ოსბორნი გამოესალმა ქალიშვილს და ჩვეულებისამებრ სიტის გზას გაუდგა.

- აი, მამიკო, ცოტაოდენი ფული, - უთხრა ემილიამ იმ საღამოს თავის მოხუც მამას, აკოცა და ასგირვანქა სტერლინგიანი ბანკნოტი ჩაუდო ხელში. - და... და, დედიკო, ნუღა გაუჯავრდები ჯორჯის - ის... ის დიდხანს აღარ დარჩება

ჩვენთან!..

მეტის თქმა ვეღარ შესძლო და ჩუმად გაემართა თავისი ოთახისაკენ. მოდით მივუხუროთ კარი და მივანებოთ იგი თავის ლოცვებსა და მწუხარებას. მე მგონი, უკეთესი იქნება თუ ცოტას ვილაპარაკებთ ასეთ დიდ სიყვარულსა და მწუხარებაზე.

მის ოსბორნი, ბარათში აღნიშნული დაპირებისამებრ, მოვიდა მეორე დღეს და ნახა ემილია. ისინი მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი თვალის შევლებამ და მის ოსბორნის ნათქვამმა ორიოდე სიტყვამ დაარწმუნა საბრალო ქვრივი, რომ სულაც არ უნდა შინებოდა, ეს ქალი ჩემი შვილის გულში პირველ ადგილს დაიჭერსო. იგი ცივი, კეთილგონიერი და არც თუ გულბოროტი ქალი ჩანდა. დედას იქნებ არც თუ ასე ეამებოდა, მისი მოქიშპე უფრო სანდომიანი, უფრო ახალგაზრდა, უფრო მოსიყვარულე და გულთბილი რო ყოფილიყო. მეორე მხრივ მის ოსბორნს გაახსენდა ძველი დრო და გული აუჩქარდა საცოდავი დედის შესაბრალისმა მდგომარეობამ. იგი დამარცხდა, დაუშვა ხელები და მორჩილებით მოიხარა ქედი. იმ დღეს ერთად გაარიგეს დანებების პირობების წინასწარი საქმეები.

ჯორჯი მეორე დღეს სკოლაში აღარ გაუშვეს და მამიდამისი ანახვეს. ემილიამ მარტოდ დატოვა ერთად და თვითონ თავის ოთახში გავიდა. იგი ცდიდა განშორების სიმწარეს - როგორც საბრალო, სათნო ლედი ჯეინ გრეი[118] უსინჯავდა ფხას იმ ცულს, რომელიც უნდა დაშვებულიყო, და მისი ნაზი სიცოცხლე მოესპო. დღეები გავიდა მოლაპარაკებასა, მისვლა-მოსვლასა და მზადებაში. ქვრივმა დიდის სიფრთხილით გაუმხილა ამბავი ჯორჯის. ეგონა, ეს საქმე ძალიან დააღონებსო, მაგრამ ამან, პირიქით, უფრო გაახალისა ბავშვი და საბრალო ქალმა ნაღვლიანად იბრუნა პირი. ჯორჯი იმ დღეს სკოლის ტოლ-ამხანაგებში ტრაბახობდა, თავის პაპასთან რომ გადადიოდა საცხოვრებლად, თავისი მამის მამასთამ, იმასთან კი არა, აქ რომ დადის ხოლმე ხანდახან; და რომ ის შალიან მდიდარი იქნება, ეყოლება ეტლი, პონი და გაცილებით უკეთეს სკოლაში ივლის და როცა გამდიდრდება, იყიდის ლიდერის საკალმეს და მეღვეზელე დედაკაცსაც გაისტუმრებს. ბიჭი პირწავარდნილი მამამისიაო, ფიქრობდა მოსიყვარულე დედა.

ჩვენი ძვირფასი ემილიას ცოდვით ჭეშმარიტად ძალ-ღონე

მღალატობს და ჯორჯის შინ გატარებული უკანასკნელი დღეების ამბის დაწვრილებით მოთხრობას ვეღარ ვახერხებ.

ბოლოს დადსა დანიშნული დღეც. ეტლი მოგრიალდა. სასიყვარულო და მოსაგონებელი მცირე ნივთების შემცვლელი პატარა, სადა ფუთები გამზადებული გახლდათ და დიდი ხანია უკვე წინა ოთახში ეწყო. ჯორჯი ახალ კოსტუმში გამოპრანჭულიყო, რომლის ზომის ასაღებად თერძი ადრევე ეახლა საგანგებოდ. იგი მზის ამოსვლისთანავე წამოიჭრა ლოგინიდან და ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა. მისი ფაცაფუცი დედამისსესმოდა მეზობელ ოთახში, სადაც იგი იწვა უსიტყვო მწუხარებაში შთანთქმული და ლოდინით გულგადალეული. უკვე მრავალი დღის წინათ შეუდგა ამ დასასრულისათვის მზადებას: ყიდულობდა ბავშვისთვის მცირეოდენ სამარაგო ნივთებს; ნიშნებსადებდა მის წიგნებსა და თეთრეულს; ებაასებოდა და ამზადებდა ცხოვრებაში დიდი ცვლილების შესახვედრად - გულდადებით სჯეროდა, რომ მას შემზადება სჭირდებოდა.

მაგრამ ბავშვს განა ენაღვლებოდა, თუ ცვლილება მოხდებოდა? პირიქით, თვითონ ნატრობდა ამ ცვლილებას. ათასნაირი ყბედობით - რას ვიზამ როცა პაპაჩემთან გადავალ საცხოვრებლადო - საბრალო ქვრივს კარგად დაანახა, რა მცირედ აწუხებდა ბიჭს განშორებაზე ფიქრი. ხშირად მოვალ პონით და ვნახავ ჩმს დედიკოსო, ამბობდა იგი. მოვალ, ეტლით წავიყვან, პარკში გავისეირნებთ და რაც უნდა, ყველაფერს ვუყიდიო. საცოდავი დედა იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო სიყვარულის ამ თავკერძაული გამოვლინებით და ცდილობდა თავი დაერწმუნებინა, ჩემს შვილს რა წრფელის გულით ვუყვარვარო. უნდა ყვარებოდა კიდეც! ყველა ბავშვი ასეთია - ცოტა სიახლეს არის დახარბებული და პატივმოყვარე ზრახვები უნდა მოეპოვებოდეს ამ ქვეყნიერებაზე. საკუთარი თავკერძაობითა და მისდამი უთავბოლო სიყვარულით, აქამდე თვითონვე ააღებინა ხელი თავის სამართლიან უფლებებსა და სიამოვნებებზე.

ცოტა მსმენია ისე გულში მომხვედრი რამ, როგორც დიაცის მოკრძალული თავმდაბლობა და თავის დამცირება. როგორ აღიარებს, რომ თვითონ არის დამნაშავე და არა ვაჟკაცი; მთელ დანაშაულს როგორ თვითონ იდებს თავს; როგორ ცდილობს

თავი დაისაჯოს ისეთი შეცოდებისათვის, რომელიც არ ჩაუდენია და ნამდვილ ბრალდებულს კი დაჟინებით ხელს აფარებს! ვინც ჩაგრაცს ქალებს, სწორედ ისინი უფრო მეტ ალერსს იღებენ მათგან - ისინი დაბადებითვე მორიდებულ-მოკრძალებულნი და მტარვალები ბრძანდებიან და ავად მათ ექცევიან, ვინც უფრო თავმდაბლობასა და მორჩილებას გამოიჩენს მათ წინაშე.

გულმოხარშული საბრალო ემილია ასე ემზადებოდა ვაჟიშვილთან განშორებისათვის და ბევრი, ბავრი გრძელი საათი გაატარა ეულად ამ დასასრულისათვის შესამზადებლად. ჯორჯი დედის გვერდით იდგა და სრულიად უზრუნველად და დაუდევრად შესცქეროდა მის ფაციფუცს. მრავალი ცრემლი ჩაეცა მის ყუთებში, მრავალი წინადადება გაიხაზა მის საყვარელ წიგნებში. ძველი სათამაშოები, სამახსოვრო ნივთები, განძეული გადანახული იქნა მისთვის და უცნაური გულმოდგინებითა და მზრუნველობით შეიკრა - და ყოველივე ამას ბავშვი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. დედა თავის გულს ასკდება, შვილი კი პირზე ღიმმორეული შორდება. ზეცის მადლმა, პირდაპირ შესაბრალისი სანახავია დედათა უანგარო სიყვარული შვილებისადმი ამაოების ბაზარში!

რამდენიმე დღემ განვლო და უდიდესი ცვლილება ემილიას ცხოვრებაში უკვე მოხდა. არავითარი ანგელოზი არ ჩარეულა საქმეში. ბავშვი ზვარაკად შეეწირა ბედისწერას და ქვრივი სრულიად მარტო დარჩა.

რასაკვირველია, ბიჭი ხშირად დადის მის სანახავად. იგი მეჯინიბის თანხლებით პონიზე ამხედრებული მობრძანდება ხოლმე მოხუცი პაპის, სედლის, სანახავად, რომელიც ამაყად მიაბიჯებს მასთან ერთად შუკაში. დედა ნახულობს მას, მაგრამ, ის უკვე მისი ბიჭიკო აღარ არის. ჯორჯი ყოფილ ამხანაგებსაც მოინახულებს პატარა პონით სკოლაში და მათ წინაშე გამოაჩენს თავის ახალმოპოვებულ სიმდიდრესა და ბრწყინვალებას. ერთ დღეში უკვე შეიძინა ოდნავ მბრძანებლური იერი და ბატონკაცური ყოფაქცევა. დედამისი ფიქრობს, ეგ მამამისივით მბრძანებლობისათვის არის დაბადებულიო.

ახლა მშვენიერი ამინდები დადგა. საღამოებით, იმ დღეებში, როცა ჯორჯი არ მოდის, ემილია ლონდონისაკენ გაისეირნებს ხოლმე, დიახ, თვით რასელ-სკვერამდე ჩადის და ბატონი

ოსბორნის სასახლის პირდაპირ ბაღის მოაჯირთან ქვაზე ჩამოჯდება. აქ საამური სიგრილეა. მას შეუძლია გაიხედოს და სასტუმრო დარბაზის განათებულ ფანჯრებს უცქიროს; დაახლოებით ცხრა საათისთვის კი ზემო სართულის ერთი ოთახის განათებულ სარკმელს დაინახავს, სადაც ჯორჯის სძინავს. მან ხომ იცის - თვითონ ჯორჯიმ უთხრა! სინათლე რომქრება, იგი სათნო, მორჩილი გულით აღავლენს ლოცვას და მობუზული და მდუმარე გაემართება შინისაკენ. გზაში ძალიან იღლება. ეგებ ამ გრძელი დამქანცველი მგზავრობის შემდეგ მაინც უკეთ ჩაიძინოს და იქნებ ჯორჯიც ნახოს სიზმარში!

ერთ კვირა დღეს რასელ-სკვერში რომ სეირნობდა, ბატონი ოსბორნის სახლიდან ცოტა მოშორებით (თუმცაშორიდან კი ხედავდა მას), და უქმე დღის აღსანიშნავად მთელი ტაძრების ზარების გუგუნი ისმოდა, ჯორჯი და მამიდამისი გამოვიდნენეკლესიაში წასასვლელად. ერთმა პატარა ქუჩის მწმენდელმა ბიჭმა მოწყალება ითხოვა და მხლებელმა, რომელსაც ლოცვანი ეჭირა ხელთ, გაგდება მოუნდომა, მაგრამ ჯორჯიმ არ დაანება და ფული მისცა მათხოვარს. ღმერთმა წყალობანუ მოუშალოს ამ ბიჭს ! ემიმ შემოურბინა სკვერს, მივიდა მათხოვართან და თავისი მცირე წვლილიც უთავაზა. ყველა საუქმო ზარი გუგუნებდა, იმანაც მისდია მათ ბავშვთა თავშესაფრის ეკლესიამდე და შიგაც შეჰყვა. იქ ისეთ ადგილას დაჯდა, საიდანაც შეეძლო ბიჭის თავის დაენახა მამამისის სახსოვარი ქანდაკების ქვეშ. რამდენიმე ასეული ბავშვის წკრიალა ხმა ჰიმნს აღავლენდა ყოვლადმოწყალე მამაზეციერის მიმართ და პატარა ჯორჯის გული სიამით თრთოდა ამ დიდებული საგალობლების მოსმენაზე. დედა ცოტა ხანს ვეღარც ხედავდა მას, გრძნობამორეულს თვალები ცრემლებმა დაუნისლა.

თავი LI - გათამაშდება შარადა, რომელმაც შეიძლება შეაჩქვიფოს და შეიძლება არც შეაჩქვიფოს მკითხველი

მილორდ სტაინის რჩეულმა შინაურულ წვეულებებზე ბეკის გამოჩენის შემდგომ, ამ ღირსეული მანდილოსნის უფლებანი

მაღალი საზოგადოების მიმართ დამტკიცებული გახლდათ და დედაქალაქის ზოგი ფრიად დიდი და მაღალი კარი სასწრაფოდ გაიღო მისთვის - კარი, ისე დიდი და მაღალი, რომ ჩემი საყვარელი მკითხველი და თვით მწერალიც მხოლოდ და მხოლოდ ამაოდ შეიძლება ოცნებობდნენ იქ ფეხის შედგმაზე. ძვირფასო თანამოძმენო, ვძრწოდეთ ამ დიდებულ კართა წინაშე. ჩემის წარმოდგენით, მათ ალავარდნილი ვერცხლის ფიწლებიანი კარის კაცები იცავენ, რომლებიც მაშინვე წამოაცვამენ ყველას, ვისაც იქ შესვლის უფლება არ გააჩნია. ამბობენ, გაზეთის პატიოსანი თანამშრომელი ყმაწვილი, რომელიც წინა ოთახში ზის და ნადიმებზე მოწვეულ დიდკაცთა სახელებს აღნუსხავს, სულ ცოტა ხანში კვდება ხოლმე - დიდხანს ვერ უძლებს ბრწყინვალე საზოგადოების ელვარებასო. იგი ისე იხრუკება, როგორც სრულად აღკაზმული იუპიტერის წინაშე გაცამტვერდა საბრალო, გულუბრყვილო სემელე[119], ქარაფშუტა ფარვენესებრი არსება, რომელმაც თავი დაიღუპა იმით, რომ საკუთარი ბუნებრივი გარემოდან გამოსვლა გაბედა. მისი მითი გულში უნდა მოხვდეს ტაიბერნელებსა[120] და ბელგრეივიელებს[121] - მისი ამბავი და იქნებ ბეკისაც. ოჰ, მანდილოსანნო! ჰკითხეთ ღირსპატივცემულ მამა თერიფერს, თუ ბელგრეივია ჟღერადი სპილენძი არ იყოს, ხოლო ტაიბერნია - წკრიალა წინწილი. ესენი ამაოებანი გახლავთ; ესენიც წარმავალნი არიან! დადგება ერთი რომელიმე დღე (მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენ ვერ მოვესწრებით!), რომ ჰაიდ-პარკის ბაღები ისევე აღარავის ეხსომება, როგორც ბაბილონის სახელგანთქმული გარეუბნების ბაღები და ბელგრეივ-სკვერი ისევე უკაცური იქნება, როგორც ბეიკერ-სტრიტი ანდა ტადმორი[122] უდაბნოში.

ქალბატონებო, იცით, რომ დიდი პიტი ბეიკერ-სტრიტში ცხოვრობდა? რას არ მისცემდნენთქვენი ბებიანი, ამჟამად უკვე გაერანებულ იმ სასახლეში, ლედი ჰესთერის წვეულებებში რომ მიეპატიჟნათ! მე მისადილნია იქ - moi qui vous parle[123]. დარბაზი ავავსე ძლევამოსი მიცვალებულთა აჩრდილებით. ჩვენ რომ ნელა ვწრუპავდით კლარნეტს ახლანდელ კაცებთან ერთად, განსვენებულთა სულები სულები შემობრძანდნენ და თავიანთი ადგილები დაიკავეს პირქუში სუფრის გარშემო. ქარიშხალგამოვლილი მესაჭე[124] გადაკრავდა პორტვეინის ვეება თასებს; დანდესის[125] აჩრდილი ჭიქაში წვეთს არ ტოვებდა. ედინგტონი აჩრდილისებურ ყოიდაზე აკანტურებდა

თავს, ქირქილებდა და როცა ბოთლი უხმოდ ჩამოივლიდა ირგვლივ, არავის ტოლს არ უდებდა; წარბებგაბანჯგვლული სკოტი თვალების ფახურით შესცქეროდა პკის ლანდს; უილბერფოსს ჭერისაკენ აღეპყრო თვალები ისე, თითქოს ვერც ამჩნევდა, როგორ მიჰქონდა პირთან სავსე ჭიქა და როგორ დგამდა ძირს ცარიელს; მას თვალები მიეპყრო იმ ჭერისათვის, რომელიც მხოლოდ გუშინიყო ჩვენს თავზე და რომელსაც ყველა ძლიერნი ქარსულ დღეთანი შეჰყურებდნენ. ამჟამად ის სასახლე გასაქირავებელ ბინებიან სახლადაა ქცეული. დიახ, ლედი ჰესტერი[126] ოდესმე ბეიკერ-სტრიტში ცხოვრობდა, ახლა კი უდაბნოში განისვენებს. ეოთენს უნახავს იგი იქ - არა ბეიკერ-სტრიტში, არამედ სხვა განმარტოვებულ ადგილას.

ყოველივე ეს ამაოება გახლავთ. მაგრამ ვინ არ აღიარებს, რომ ცოტა მაინც გულში არ უხიცინებს იგი? ნეტავი ვიცოდე, რომელი ჭკვათამყოფელი იტყვის უარს როსტბიფზე, აქაობა წარმავალი რამ არისო? ეგეც ამაოება გახლავთ, მაგრამ ნეტავი ყოველ ჩემს მკითხველს მთელ თავის სიცოცხლეში შულ ეს ნოყიერი ულუფა მიერთმეოდეს; დიახ, ნეტავი მიერთმეოდეს, თუნდაც ხუთასი ათასიც იყოს ჩემი მკითხველი. დაბძადით, ბატონებო, და მადიანად მიირთვით - მსუქანი, მჭლე, საწებელი, ხოხნოტა და რაც კი გნებავთ - ნუ დაერიდებით. ერთი ჭიქა კიდევ, ჯოუნზ, ჩემო ძმაო; კიდევ ერთი ლუკმა მაიმნც საკვირაო შემწვარი გვერდისა. დიახ, მოდით მივაძღეთ ამ ამაოებას და მადლიც შევწიროთ ამისათვის! და მოდით ბეკის არისტოკრატიულ განცხრომასაც კეთილის თვალით შევხედოთ, რადგან ესეც, ვითარცა მოკვდავთა ყოველი სხვა სიამენი, დიაღაც ასევე წარმავალია.

ლორდ სტაინთან სტუმრობის შედეგი ის გახლავთ, რომ მისმა უმაღლესობამ, თავადმა პატარვარადინმა ისერგებლა შემთხვევით და ნაცნობობა განაახლა პოლკოვნიკ კროულისთან, როცა ისინი მეორე დღეს კლუბში შეხვდნენ ერთმანეთს და ქალბატონ კროულისაც ქუდის მოწიწებული მოხდით მიესალმა ჰაიდ-პარკში სეირნობის დროს, ის და მისი მეუღლე მყის მიიპატიჟეს თავადის ერთ-ერთ მცირე წვეულებაში, ლევანტ-ჰაუზში, რომელიც იმჯამად მის უმაღლესობას ეჭირა საასხლის კეთილშობილი პატრონის დროებით ინგლისიდან წაბრძანების გამო. ნასადილევს ბეკიმ იმღერა ფრიად ვიწრო comité-ში[127]. მარკიზი სტაინიც იქ ესწრებოდა - იგი მამობრივი მზრუნველობით ადევნებდა

თვალს თავისი შეგირდის წინსვლას.

ლევანტ-ჰაუზში ბეკი შეხვდა ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ნატიდ ჯენტლმენსა და უდიდეს უქრისტიანესი მეფის[128] ელჩსა და შემდგომში კი იმ ხელმწიფისავე მინისტრს. უნდა მოგახსენოთ, გული სიამაყით მევსება, ამ დიდებულ სახელებს რომ წერს ქაღალდზე ჩემი კალამი და ვფიქრობ, რა ბრწყინვალე საზოგადოებაში ტრიალებს ჩემი ძვირფასი ბეკი. იგი საფრანგეთის საელჩოს მუდმივი სტუმარი გახდა და არც ერთი იქაური წვეულება არ მიიჩნეოდა სრულყოფილად, თუ მომხიბლავი მადამ კროული არ ესწრებოდა.

ბატონები ტრიუფინი (პერიგორის სახლისა) და შამპინიაკი, ორივენი საელჩოს ატაშეები, პოლკოვნიკის მეუღლის სიტურფემ პირდაპირ მიწასთან გაასწორა და ორივენი აცხადებდნენ, თანახმად მათი ერის ჩვევისა (რადგან აბა ვის უნახავს ოდესმე ინგლისიდან დაბრუნებული ფრანგი, რომელსაც ხუთი-ექვსიოდე გაუბედურებული ოჯახი არ მოეტოვებინოს უკან და ერთი ამდენი გულები კი უბის წიგნაკით მაინც შინ არ წამოეღოს?) - ორთავენი, მოგახსენებთ, აცხადებდნენ, მომხიბლავ მადამ კროულისთან au mieuz[129] ვართო.

მაგრამ ამ მტკიცების სისწორეში ეჭვი მეპარება. შამპინიაკს ძალიან უყვარს ეკარტე და მრავალი ხელი უთამაშნია პოლკოვნიკთან საღამოებით, ვიდრე ბეკი ლორდ სტაინს უმღეროდა მეზობელ ოთახში. ხოლო, რაც შეეხება ტრიუფინის, კარგად ცნობილი ამბავი გახლავთ, რომ ცხვირის შეყოფას ვერ ბედავდა „მოგზაურებში“, სადაც ფარეშების ფული ემართა და საელჩოში რომ არ შესძლებოდა სადილობა, ამ ღირსეულ ახალგაზრდა ვაჟბატონს შიმშილით სული გასძვრებოდა. მოგახსენებთ, რომ მეეჭვება, რომელიმე ეს ყმაწვილი ბეკის საგანგებო ყურადღების საგნად აერჩია. ისინი დარბოდნენ მისი დავალებების შესასრულიბლად, ყიდულობდნენ ხელთათმანებსა და თაიგულებს, ვალებში ვარდებოდნენ ოპერის ლოჟების დაქირავებისათვის და ათასნაირად ცდილობდნენ ეამებინად მისთვის. ინგლისურსაც მომხიბლავი მიამიტობით რატრატებდნენ ბეკისა და მილორდი სტაინის მუდამ გასახარებლად. რებეკა იქვე, ცხვირწინვე, გამოაჯავრებდა ხოლმე მათ და ინგლისურ ენაში ვითომდა წარმატების მოპოვებისათვის ისე დარბაისლური იერით

უმასპინძლდებოდა ქათინაურებით, რომ მის ბებერ, გესლიან, ქილიკ მფარველს, მარკიზს, ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ტრიუფინიმ ბეკის მისანდო მეგობარს, ბრიგზს, გულის მოსაგებად შალი უძღვნა და სთხოვა, ქალბატონისთვის წერილი გადაეცა, რომელიც გულუბრყვილო შინაბერამ ადრესატს საჯაროდ მიართვა. ამ თხზულებამ ფრიად გაართო ყველა წამკითხველი. ლორდმა სტაინმა გადაიკითხა იგი; ყველამ გადაიკითხა, გარდა პატიოსანი როუდონისა და არც იყო აუცილებელი, ყველაფერი, რაც მეი-ფეირის პატარა სახლში ხდებოდა, მისთვის ეთქვათ.

მალე, აქ ბეკიმ დაიყო არა მარტო „უკეთესი“ უცხოელების (როგორც იტყვიან ჩვენი კეთილშობილი და ნატიფი საზოგადოების ჟარგონზე), არამედ ზოგი უკეთესი ინგლისელის მიღებაც. მე არ ვგულისხმობ ყველაზე სათნო ან თუნდაც ყველაზე ნაკლებად სათნო და ქველ, ანდა უჭკვიანეს ან ყველაზე უჭკუო, ანდა უმდიდრეს ან ყველაზე წარჩინებული შთამომავლობის პიროვნებებს, არამედ „უკეთესებს“ - ერთი სიტყვით, ისეთ ხალხს, რომელთა შესახებ კითხვა არ არის საჭირო; ისეთნი, როგორიც ბრძანდებიან დიდებული ლედი ფიც-უილისი, ოლმეკის[130] მფარველი წმიდანი: დიდებული ლედი სლოუბორი; დიდებული ლედი გრიზელ მაკბეთი (იგი გახლავთ ლედი გ. გლაური, ლორდ გრეი გლაურის ასული) და სხვა მათი მსგავსნი. ოდეს გრაფის მეუღლე ფიც-უილისი (მისი ბრწყინვალება კინგ-სტრიტის ოჯახიდან გახლავთ იხილეთ დებრეტისა და ბერკის ცნობარები[131]) ვინმეს თავის მფარველობის ქვეშ აიყვანს, მას, ქალი იქნება იგი თუ კაცი, აღარა უჭირს რა - მას უკვე ეჭვის თვალით ვეღარავინ შეხედავს. განა მილედი ფიც-უილისი სხვაზე უკეთესია - პირიქით, ერთი მიმჭკნარი, ორმოცდაჩვიდმეტი წლის ბებერია და არც ლამაზია, არც მდიდარი, არც თავშესაქცევი მომუსაიფე; მაგრამ მაინც საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი „უკეთესთაგანი“ გახლავთ. ვინც მასთან დაბრძანდებიან, ისინიც უკეთესნი არიან და ალბათ ლედი სტაინის მიმართ ძველი შუღლის გამო (რომლის მარკიზის მეუღლეობის გვირგვინის ხელთ გდებასაც ცდილობდა, როცა იგი უელის პრინცის ფავორიტის, გრაფ პორტენშერის, ნორჩი ასული, ჯორჯინა-ფრედერიკა იყო) წარჩინებული საზოგადოების ამ დიდებულმა და სახელგანთქმულმა ბელადმა გადაწყვიტა, ეცნო და ეღიარებინა

ქალბატონი კროული. ფრიად გამორჩეული სალამი უძღვნა იმ წვეულებაში, რომელსაც თვითონვე მესვეურობდა და არა მარტო შეაგულიანა თავისი ვაჟიშვილი სეტ-კიტნი (მისმა ბრწყინვალებამ ლორ სტაინის ხელის შეწყობით იშოვნა ადგილი_ სტუმრად ევლო ქალბატონ კროულის სახლში, არამედ თვით ბეკიც მიიპატიჟა საკუთარ სახლში და სადილის განმავლობაში სრულიად აშკარად ორჯერ მაინც ინება გამოლაპარაკებოდა. ეს მნიშვნელოვანი ამბავი იმავე ღამეს მოედო მთელ ლონდონს. იმ ხალხმა, რომელიც ავად ახსენებდა ქალბატონ კროულის, ხმა ჩაიკმიდა. უენჰემი, ანამჭევრი სამართლისმეტყველი, ლორდ სტაინის მარჯვენა ხელი, ყველგან დადიოდა და ხოტბას ასხამდა მას. ზოგი, ვინც ადრე ორჭოფობდა, მსწრაფლ წინ წამოდგა და გულში ჩაიკრა იგი. პატარა ტომ ტოუდი, რომელიც საუთდაუნს აფრთხილებდა, მაგისთანა სახელმოყივნებულ ქალთან ნუ დადიხარო, ახლა თვითონ იხვეწებოდა, გამაცანითო, ერთი სიტყვით, იგი „უკეთესთა“ შორის იქნა მიღებული. ოჰ, ჩემო საყვარელო მკითხველნო და თანამოძმენო, ნაადრევად ნუ შეგშურდებათ საბრალო ბეკის ბედი - ამბობენ, ამ ჯურის დიდება წარმავალიაო. დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ თვით ყველაზე წარჩინებულ ვიწრო წრეშიაც კი იმაზე უფრო ბედნიერი არ გახლავან, ვიდრე წრის გარეთ საცოდავად მოხეტიალენი არიან. ბეკიმაც, რომელმაც წარჩინებული საზოგადოების თვით შუაგულში შეაღწია და დიდი გეორგ IV თვალდათვალ იხილა, მას შემდეგ აღიარა, იქაც ამაოება სუფევსო.

მისი კარიერის ამ ნაწილის აღწერაში სიმოკლეს ვრჩეობთ. როგორც ფრანკ-მასონების[132] საიდუმლოებათა აღწერა არ შემიძლია, თუმცა სრულიად დარწმუნებული კი ვარ, რომ იგი სისულელეა და მეტი არაფერი, ასევე საქმეში ჩაუხედავმა, უბირმა კაცმა არ უნდა იკისროს წარჩინებული საზოგადოების სწორი სურათის დახატვა და უკეთესი იქნება, თუ თავის აზრებს, როგორიც არ უნდა ჰქონდეს ისინი, თავისთვისვე შეინახავს.

შემდგომ წლებში ბეკი ხშირად ახსენებდა თავისი ცხოვრების ამხანას, როცა იგი ლონდონის წარჩინებული საზოგადოების ფრიად მაღალ წრეებში ტრიალებდა. წარმატება აღაგზნებდა, ფრთებს ასხამდა და მერე თავს აბეზრებდა კიდეც. თავდაპირველად იმაზე უფრო არა ეამებოდა რა, როგორც

გამოგონება და გამონახვა (ეს უკანასკნელი საქმე, სხვათა შორის, ცოტა გარჯასა და გამჭრიახობას არ მოითხოვდა ქალბატონი კროულისთანა ფრიად შეზღუდული შეძლების მქონე პიროვნებისათვის), მოგახსენებთ - სწორედ რომ გამონახვა, უტურფესი ახალი კაბებისა და სამკაულებისა; სიარული წარჩინებული საზოგადოების სადილებზე, სადაც დიდი ხალხი სიამოვნებით იღებდა მას; მერე ამ სადილებიდან - ასევე წარჩინებული საზოგადოების საღამოს წვეულებებზე, სადაც სწორედ იგივე ხალხი იყრიდა თავს, ვისთანაც სადილად იჯდა, რომელთაც წინა ღამესაც შეხვდა და ხვალაც შეხვდება - საუცხოოდ გამოწკეპილ, ნატიფად ყელსაბამგამოსკვნილ, კოხტა, პრიალაწაღებიან და თეთრხელთათმანიან ახალგაზრდა ვაჟბატონებს; ბრუნჯაოსღილებიან, კეთილშობილი გარეგნობის, ზრდის, მოსაწყენ წარმოსადეგ ხანშესულ დარბაისელთ; ქერა, კდემამოსილ, ვარდისფერკაბიან ყმაწვილ ქალებს; დიდებულ, მედიდურ, ზვიად დედებს, ალმასებით რომ გაბდღვიალებულან. ისინი ინგლისურს ლაპარაკობდნენ და არა ცუდ ფრანგულს, როგორც ეს რომანებში გახლავთ. ისინიმუსაიფობდნენ ერთმანეთის სახლებსა, პიროვნებებსა და ოჯახებზე სწორედ ისევე, როგორც ჯოუნზები სჩადიან სმითების მიმართ. ბეკის წინანდელ ნაცნობებს სძულდათ იგი და თან შურდათ მისი, თვითონ საბრალო ქალი კი მოწყენილობისაგან ამთქნარებდა. „ ნეტავი აქედან თავი დამაღწევინა, - ამბობდა თავისთვის. - ამას მირჩევნია, სამრევლოს მღვდლის მეუღლე ვიყო და საკვირაო სკოლაში ვმასწავლებლობდე; ან სერჟანტის ცოლი ვიყო და ლეგიონის ურმით დავდიოდე; ან ოჰ, რამდენად სახალისო იქნებოდა, კილიტები და ზიზილ-პიპილები მეკეთოს, შარვალი მეცვას და ბაზრის სატაკიმასხარაო ფარდულის წინ ვცეკვავდე“.

- ძალიან კარგადაც შეასრულებდით, - ეტყოდა ლორდი სტაინი სიცილით. ბეკის მისებური მიამიტი გულწრფელობით ხშირად გამუმხელია თავისი ennuis[133] და დარდ-ვარამი დიდი კაცისათვის - ეს ართობდა ხოლმე ვაჟბატონს.

- როუდონი ჩინებული écuyer[134] იქნება - ცერემონმაისტერი, თუ რას ეძახიან?.. დიდჩექმებიანი, მუნდირიანი კაცი რომ არის და შოლტის ტკაცუნით რომ უბლის ასპარეზს! წარმოსადეგი და ზორბაა და მხედრული გარეგნობაცა აქვს. მახსოვს, - განაგრძობდა ბეკი ჩაფიქრებით, - ჩემს ბავშვობაში მამაჩემმა წამიყვანა ბრუკგრინის ბაზრობაზე წარმოდგენის სანახავად და

როცა შინ დავბრუნდით, მე თვითონაც გავიკეთა ჩემთვის ოჩოფეხები და ყველა მოწაფეთა განსაცვიფრებლად მოვყევი ცეკვას სტუდიაში.

- ნეტა მენახა! - ინატრა ლორდ სტაინმა.

მეც სიამოვნებით გავიმეორებდი ახლა, - განაგრძო ბეკიმ. - როგორ დააჭყეტს თვალებს ლედი ბლინკი და როგორ დამაშტერდება ლედი გრიზელ მაკბეთი! სუ! ჩუმად! პასტა აპირებს სიმღერას!

ბეკის ყოველთვის წესად ჰქონდა, საგანგებო თავაზით მოპყრობოდა პროფესიონალ ქალბატონ-ვაჟბატონებს, რომელნიც ამ არისტოკრატულ წვეულებებს ესწრებოდნენ; ეახლებოდა მათ კუთხეში, სადაც ისინი წყნარად ისხდნენდა ყველას დასანახად ღიმილით ჩამოართმევდა ხელს. თვითონაც არტისტი იყო, როგორც აღიარებდა და სრულიად სამართლიანადაც. თავისი წარმოშობის ამ აღიარებაში ისეთი გულწრფელობა, თავმდაბლობა და კრძალულობა გამოსჭვიოდა, რომ დამკვირვებელნი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ იყვნენ მისდამი განწყობილნი, ან ღიზიანდებოდნენ, ან ფარხმალს ჰყრიდნენ მის წინაშე, ანდა ერთობოდნენ. „რა აუღელვებელია ეს დედაკაცი, - იტყოდა ერთი, - რას თამაშობს და რას იბღინძება, მაშინ როცა წყნარად უნდა იჯდეს თავისთვის და მადლობელიც უნდა იყოს, თუ ვინმემ ხმა გასცა; „რა პატიოსანი და გულკეთილი ადამიანია“, - ამბობდა მეორე; „რა ეშმაკი ლირფი გოგოა“, - დასძენდა მესამე. ყველანი ალბათ, სრულიად მართალნი ბრძანდებოდნენ, მაგრამ ბეკი საკუთარი გზით მიდიოდა და ისე მოხიბლა პროფესიონალი მსახიობები, რომ თავიანთ მტკივარ ყელსაც აღარად აგდებდნენ, რათა უფასოდ ემღერად მის წვეულებში და გაკვეთილებშიაც ფულს არ ახტევინებდნენ.

დიახ, იგი წვეულებებს მართავდა კერზონ-სტრიტის პატარა სახლში. კაშკაშა ფარდებიანი მრავალი ათეული ეტლი ქუჩას ხერგავდა მე-200 სახლის პატრონთა აღსაშფოთებლად, ხოლო 202-ე სახლის პატრონებს შურით თვალზე რული არ ეკარებოდათ. ეტლთა თანმხლები, გოლიათური აღნაგობის ფარეშები იმდენად ზორბანი იყვნენ, რომ ბეკის მოცუცქნულ, პატარა წინა ოთახში ვერ ეტეოდნენ და განაწილებულნი გახლდნენმეზობელ სამიკიტნოებში, საიდანაც საჭიროებისამებრ შიკრიკი ბიჭები გამოიძახებდნენ ხოლმე და

შეაწყვეტინებდნენ ლუდის სმას. ლონდონის ბევრი სახელგანთქმული დარდიმანდი ეჯახებოდა და ფეხზე ფეხს ადგამდა ერთმანეთს ვიწრო კიბეზე და სიცილის პირით ჰკვიროდნენ, აქ როგორ აღმოვჩნდითო. აგრეთვე მაღალი საზოგადოების ბევრი უმწიკვლო, მკაცრი მანდილოსანი იჯდა პატარა სასტუმრო ოთახში და უსმენდა ნამდვილ მომღერლებს, რომელნიც მათი ჩვეულებისამებრ ისე მღეროდნენ, თითქოს ფანჯრის მინების დახეთქვა სწადიათო. მეორე დღეს კი „მორნინგ პოსტში“, სადაც წარჩინებულთა réunions[135] იყო აღწერილი, გამოქვეყნდებოდა შემდეგი შინაარსის ცნობა: „გუშინ პოლკოვნიკმა კროულიმ და ქალბატონმა კროულიმ სადილი გაუმართა რჩეულ საზოგადოებას თავიანთ სახლში, მეი-ფეირში. ბრძანდებოდნენ: მათი უგანათლებულესობანი თავადი პეტერვარადინი და მისი მეუღლე, მისი აღმატებულება თურქეთის ელჩი პაპუშ-ფაშა (საელჩოს თარჯიმნის ქიბობ-ბეის თანხლებით), მარკიზი სტაინი, გრაფი საუთდაუნი, სერ პიტი და ლედი კროული, ბატონი უეგი და სხვ. ნასადილევს ქალბატონ კროულის ჰქონდა აგრეთვე წვეულება რომელზედაც მობრძანდნენდუკა სტილტონის მეუღლე (ქვრივი), დუკა დე ლა გრიუიერი, მარკიზ ჩეშირის მეუღლე, მარკიზი ალესანდრო სტრაქინო, გრაფი დე ბრი, ბატონი შაპცუგერი, შევალიე ტოსტი, გრაფ სლინგსტოუნის მეუღლე, ლედი ფ. მეკედემი, გენერალ-მაიორი მაკბეთი, ლედი გ. მაკბეთი და ორივე მის მაკბეთი, ვიკონტი პედინგტონი, სერ ჰორეის ფოგი, ღირსპატივცემული ბედუინ სენდზი, ბობაჩი ბეჰოუდერი“ და სხვ. და მკითხველს თუ მოეპრიანება, შეუძლია თავისდა სასიამოვნოდ წვრილი შრიფტით დაბეჭდილი ერთი თორმეტიოდე ასეთი სტრიქონი კიდევ ჩააბულბულოს.

ჩვენი ძვირფასი მეგობარი დიდკაცობასთან ურთიერთობაშიაც იმავე გულწრფელობასა და პირდაპირობას იჩენდა, რასაც უფრო დაბალ საფეხურზე მდგომთადმი ამჟღავნებდა. ერთხელ, ერთ ძალიან დიდებულ სახლში სტუმრად ყოფნისას, რებეკამ (და იქნებ განზრახაც) ფრანგულად მუსაიფი გაუბა იმ ეროვნების სახელგანთქმულ ტენორს, მაშინ როცა ლედი გრიზელ მაკბეთი მხარუჯუღმა უბღვეროდა მობაასსეებს.

- რა კარგად ლაპარაკობთ ფრანგულს, - ბრძანა ლედი გრიზელმა, რომლითაც თვითონ ამ ენას ფრიად შესანიშნავად ედინბურგული კილოთი ლაპარაკობდა.

- უნდა ვლაპარაკობდე კიდეც, - მორცხვად მიუგო ბეკიმ და ძირს დახარა თვალები, - ამ ენას სკოლაში ვასწავლიდი და დედაჩემიც ფრანგი გახლდათ.

ლედი გრიზელი მოხიბლა მისმა თავის დამდაბლებამ და გული მოუბრუნა პატარა დედაკაცზე. იგი კიცხავდა ამ საუკუნის საბედისწერო გამათანასწორებელ მიდრეკილებებს, რომელნიც ნებას აძლევდნენ ყველა კლასის წარმომადგენლებს ფეხი შეედგათ თავისზე მაღლა მდგომთა საზოგადოებაში, მაგრამ მისი ბრწყინვალება აღიარებდა, ეს ქალი კარგად მაინც იქცევა და თავისი ადგილი ცხოვრებაში არ ავიწყდებაო. ლედი გრიზელ მაკბეთი ძალიან კარგი მანდილოსანი იყო: ღატაკთა მწყალობელი, ჩერჩეტ, უმწიკვლო, ალალი. მისი ბრწყინვალების რა ბრალია, რომ თავისი თავი თქვენზე და ჩემზე უკეთესი ჰგონია. მის წინაპართა ტანსაცმლის კალთებს მთელი საუკუნეების მანძილზე ლოშნინდნენ; ამბობენ, ათასი წელიაო მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ მისი გვარის მამამთავრის ჭრელი კაბის კალთას ემთხვეოდნენ განსვენებული დუნკანის დიდებულები და კარისკაცები, როცა მისი სახლის დიდი წინაპარი შოტლანდიის ტახტზე დაჯდა.

ფარტეპიანოს აყოლებით გალობის შემდეგ ლედი სტაინმაც უკან დაიხია ბეკის წინაშე და იქნებ აღარც ეჯავრებოდა. გონტის სახლის უმცროსი მანდილოსნებიც იძულებულნი გახდნენთითი მოეკაკვათ; ერთი-ორჯერ ხალხი მიუსიეს, მაგრამ ჩაფლავდნენ. ბრწყინვალე ლედი სტანინგსტონმა სცადა ხელი გამოეღო, მაგრამ შეუპოვარმა პატარა ბეკიმ დიდის ზარალით უკუაქცია. როცა ხანდახან ბეკის თავს დასხმოდნენ, ჩვეულებად ჰქონდა, მოკრძალებული, ingénue[136] სახე მიეღო, რომლის ქვეშაც სწორედ ყველაზე საშიშარი იყო. ამ გუნებაზე მყოფი სასტიკად გულის გამგმირავ სათქმელს ფრიად მშვიდი, აუღელვებელი კილოთი გამოსთქვამდა და თანაც მერე წრფელის გულით გულუბრყვილოდ ინანიებდა ვითომ შეცდომებს, ისე რომ მთელ ქვეყანას გაეგო, რა წინდაუხედაობა დაემართა.

მანდილოსნებმა ბატონი უეგი, სახელგანთქმული ოხუნჯი და მილორდ სტაინის ჯამილოკია მუქთამჭამელიც გააზრახეს, ბეკის შეურიეო. ღირსეულმა ვაჟბატონმა ლაციცით გადახედა თავის მფარველ ქალბატონებს და თვალი უქნა, თითქოს სურდა ენიშნებინა მათთვის, „აბა ახლა სეირს უყურეთო“, და

ერთ საღამოს მართლაც წამოიწყო იერიში ბეკის წინააღმდეგ, რომელიც გულდამშვიდებით შეექცეოდა სადილს. პატარა დედაკაცს, მართალია, მოულოდნელად დაესხნენ თავს, იარაღაყრილი მაინც არ დახვედრია - მყის შემოუტრიალდა, თავიდან აიცილა მოქნევა და თვითონ ისე მარჯვედ უთავაზა, რომ უეგს სირცხვილისაგან ალმური ავარდა სახეზე; ხოლო ბეკი სრულიად არხეინად და ნაზი ღიმილით მიუბრუნდა თავის წვენს. უეგის დიდმა პატრონმა, რომელიც კვებავდა მას სადილებით და ხანდახან ცოტაოდენ ფულსაც ასესხებდა ხოლმე და რომლის არჩევნების, გაზეთისა და სხვა აქმეებს უეგი აკეთებდა, ბედკრულ ყმაწვილს ისეთი მრისხანე თვალით გადმოხედა, რომ საცოდავი კინაღამ მაგიდის ქვეშ ჩაძვრა და ცრემლად დაიღვარა. იგი შესაბრალისად შესციცინებდა მილორდს, რომელსაც ხმა აღარ გაუცია მისთვის მთელი სადილის განმავლობაში, და ქალბატონებს, რომელთაც მაშინვე ხელი აიღეს მასზე. ბოლოს ისევ ბეკიმ შეიბრალა და სცადა, მუსაიფში ჩაეთრია. იგი ექვს კვირას აღარ დაუპატიჟნიათ სადილად და ფიჩს, მილორდის მისანდო კაცს, რომელსაც უეგი, ბუნებრივია, გვარიანად ექლესებოდა, ნაბრძანები ჰქონდა, მისთვის ეთქვა, რომ თუ ოდესმე კიდევ გაბედავდა ავი სიტყვის თქმას ქალბატონი კროულისათვის, ანდა მას თავისი ტუტუცური ოხუნჯობით მიზანში ამოიღებდა, მილორდი ყველა მის თამასუქს ვექილებს მისცემდა ხელში და შეუბრალებლად გაყიდიდა. უეგამ იტირა ფიჩის წინაშე და შეევედრა ძვირფას მეგობარს, ქომაგად დამიდექიო. ლექსიც მიუძღვნა ქალბატონ კ.-ს და „ცხელ-ცხელი ამბების ჟურნალის“ უახლოეს ნომერში დასტამბა, რომელსაც თვითონვე რედაკტორობდა. სადაც კი შეხვდებოდა წვეულებებში ბეკის, აღარ იცოდა რითი მოეგო მისი გული. კლუბში როუდონს ემლიქვნელებოდა და ეგებოდა ფეხქვეშ. ცოტა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, ნება დაერთო კვლავ გამოჩენილიყო გონტ-ჰაუზში. თვით ბეკი ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი მისდამი, ყოველთვის ხალისიანად ხვდებოდა და არასოდეს გული არ მოსვლია.

მისი ბრწყინვალების ვეზირი და მთავარი მისანდო მსახური (პარლამენტში და ლორდის სადილის სუფრაზე მუდმივი სკამის მფლობელი) ბატონი უენჰემი გაცილებით უფრო წინდახედული გახლდათ თავის ყოფაქცევასა და აზრებში, ვიდრე ბატონი უეგი. რა ძალიანაც არ უნდა სძულებოდა ყველა

მატრაკვეცა (ბატონი უენჰემი თვითონ თავდადებული, ძველი, ჭეშმარიტი ლურჯი ტორი ბრძანდებოდა, ხოლო მამამისი ნახშირით წვრილად მოვაჭრე გახლდათ ჩრდილო ინგლისში!), მარკიზის ამ ადიუტანტს არასოდეს იოტის ოდნადაც არ გამოუმჟღავნებია რაიმე მტრული გრძნობები ახალი ფავორიტის მიმართ; არამედ თავს აბეზრებდა შემპარავი ლიქნიტ და ფარისევლური, მოწიწებული თავაზიანობით, რომელიც ბეკის როგორღაც უფროც ეხამუშებოდა, ვიდრე სხვათა აშკარა მტრული გამოხდომანი.

როგორ ახერხებდნენ კროულები ეშოვნათ ფული წარჩინებული საზოგადოების გასამასპინძლებლად, ეს ისე უცნაური რამ გახლდათ, რომ თავის დროზე ერთგვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ამ პატარა ლხინებს ეგებ ინტერესიც უფრო შემატა. ზოგი არწმუნებოდა, სერ პიტ კროული თავის ძმას ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხას აძლევსო. თუ ეს მართალი იყო, ბეკის ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი გავლენა უნდა ჰქონოდა ბარონეტზე და მასაც ხანში შესვლასთან ერთად დიდად უნდა შესცვლოდა ხასიათი. სხვანი გადაკვრით ლაპარაკობდნენ, ბეკის ჩვეულებად აქვს, ქმრის ყველა მეგობარს ხარკი დაადოსო: ერთს ცრემლმორეული მიადგებოდა და ეტყოდა, სახლში ავეჯს მიწერენო; მეორის წინაშე მუხლს მოიყრიდა და შეჰღაღადებდა, მთელი ოჯახი ან უნდა სატუსაღოში ჩაჯდეს, ან თავი მოიკლას, თუ ესა და ეს თამასუქი გასტუმრებული არ იქნებაო. ამბობდნენ, ლორდი საუთდანი იძულებული იყო, ამ გულამოსკვნილი მიმართვებისათვის მრავალი გირვანქა სტერლინგი ეთავაზებინა. ახალგაზრდა ფელთემსაც, -ე დრაგუნთა ლეგიონის ოფიცერს (და ძეს ტაილერისა და ფელთემის, მექუდეებისა და ჯარის მოკაზმულობის მკეთებლის ფირმის პატრონისა), რომელსაც კროულებმა წარჩინებულ საზოგადოებაში შეადგმევინეს ფეხი, აგრეთვე ახსენებდნენ, ვითარცა ბეკის ერთ-ერთ მსხვერპლს ფულის საქმეებში. ხალხი აცხადებდა, ფულს სახვადასხვა დოყლაპიებსაც სცინცლავდა, აქაოდა მთავრობის რაიმე ხელსაყრელსამსახურში მოგაწყობო. ვინ იცის, რას აღარ იტყოდნენ ჩვენს ძვირფას, უმანკო მეგობარზე! ნამდვილად კი, ხელთ რომ მთელი ის ფული ჰქონოდა, რაიც, როგორც ამბობდნენ, გამოსტყუა, ასესხა ან მოჰპარა ხალსო, იგი კაპიტალის მფლობელი გახდებოდა და მთელ სიცოცხლეს პატიოსნად გაატარებდა, მაშინ როცა...

თუმცა რაღა წინ გავრბივართ!

ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ხელმომჭირნეობითა და სარისთიანობით - ნაღდი ფულის დაზოგვით და თითქმის არავის გასტუმრებით - ადამიანს შეუძლია ერთხანს მაინც ძალიან ცოტა სახსრებიტაც ფრიად ფუფუნებით იცხოვროს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბეკის ყბადაღებული წვეულებანი, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, არც ისე მრავალი იყო, ამ მანდილოსანს ოთახების გასანათებელი სანთლების ფასზე ბევრად მეტი არც უჯდებოდა. სტილბრუკი და დედოფლის კროული ნანადირევითა და ხილით ამარაგებდა უხვად. ლორდ სტაინის მარნები მის განკარგულებაში იყო და იმ დიდებული აზნაურის სახელგანთქმული მზარეულები ან მის პატარა სამზარეულოში ტრიალებდნენ ან არა და, მილორდის ბძანებით, უიშვიათეს მაზა-მაზა საჭმელებს თავიანთი სამზარეულოდან მიართმევდნენ. ვაცხადებ, რომ პირდაპირ სამარცხვინოა, საზოგადოებაში უბრალო, გულუბრყვილო არსების ისე მოყივნება, როგორც როგორც თანამედროვენი სჭორავდნენ ბეკის და ვაფრთხილებ ყველას, მის წინააღმდეგ მონაჭორის მეათედიც არ დაიჯეროს. თუ ყოველ ადამიანს, რომელიც ვარდება და გადახდა არ შეუძლია, გავაძევებთ საზოგადოებიდან, თუ ყველას პირად ცხოვრებაში ჩავყოფთ ცხვირს, ვუანგარიშებთ შემოსავალს და ზურგს შევაქცევთ, თუარ მოგვეწონება მისი ხარჯვა - ოჰ, რა პირქუში უდაბნო და აუტანელი სამყოფელი იქნება ამაოების ბაზარი! ყოველი კაცი მაშინ თავისი მოყვასის წინააღმდეგ აღმართავს ხელს, ჩემოძვირფასო ბატონო, და ცივილიზაციის მადლსაც ბოლო მოეღება. დავერევით ერთმანეთს, დავთათხავთ და დავიწყებთ ერთურთის თავის არიდებას. ჩვენი სახლები გამოქვაბულად იქცევა და ჩამოძონძილები ვივლით, რადგან არავის არაფრად ჩავაგდებთ. ბინის ქირა დაიკლებს. აღარ გაიმართება წვეულებანი. ქალაქის ყველა ვაჭარი გაკოტრდება. ღვინო, სანთლები, სურსათი, ფერ-უმარილი, კრინოლიანი კაბები, ალმასები, პარიკები, ლუი მეთოთხმეტის სტილის ზიზილ-პიპილები და წვრილმანი სამკაულები, ძველებური ფაიფური, პარკში სასეირნო ბედაურები და საუცხოოდ მოსიარულე საეტლე ცხენები - მე მოგახსენებთ, ცხოვრების ყველა სიამები ჯანდაბის გზას გაუდგებიან, თუ ხალხი მხოლოდ თავის ტუტუცურ პრინციპებს გამოეკიდება და თავი აარიდა მათ, ვინც თვალში არ მოსდით და ვისაც ლანძღავენ. მაშინ როდესაც

ცოტაოდენი ლმობიერებით, შემწყნარებლობით და ურთიერტთანხმობით საქმე საკმაოდ საამოდ წარიმართება. შეიძლება რამდენიც მოგვეპრიანება, იმდენს ვლანძღავდეთ ვინმეს და ვამბობდეთ, სწორედ ჩამოსახრჩობი არამზადააო - მაგრამ განა მართლა გვწადია მისი ჩამოხრჩობა? - სრულიადაც არა. შეხვედრისას ტკბილად ხელს ჩამოვართმევთ. თუ კარგი მზარეული ჰყავს, ვაპატიებთ, სადილადაც ვესტუმრებით და ველით, რომ ისიც ასე მოიქცევა ჩვენს მიმართ. ამრიგად ვაჭრობა იფურჩქნება, ცივილიზაცია წინ მიდის, მშვიდობა სუფევს. ახალი წვეულებებისათვის ყოველკვირა ახალი კაბები გახლავთ საჭირო და ლაფიტის[137] შარშანდელი რთველი უხვად აჯილდოებს პატიოსან მევენახეს.

იმ ხანაში, რომლის ამბავსაც ჩვენ აღვწერთ, თუმცა დიდი გეორგი ბრძანდებოდა ტახტზე, მანდილოსნებს ჰქონდათ gigots[138] და თმაში კუს ბაკნის ნიჩბებისოსოდენა ვეება სავარცხლები ერჭოთ, ნაცვლად უბრალო სახელოებისა და კოხტა წნულებისა, რომელნიც ახლა მოდაშია. ჩემის აზრით, ფრიად ნატიფი საზოგადოების ყოფაქცევა დედად არ განსხვავდებოდა დღევანდელისაგან და მათი გართობანიც ძალიან მსგავსი გახლდათ. ჩვენ, რომელნიც გარეთ პოლიციელთა ზურგს უკან მდგარნი შევციცინებთ გასაგიჟებელ ლამაზმანებს, როცა სამეფო კარს ანდა წვეულებაზე მიბრძანდებიან, შეიძლება ისინი არაამქვეყნიურ ბრწყინვალე არსებებად და ჩვენგან მიუწვდომელი საოცარი ბედნიერების მოზიარედ მოგვეჩვენონ. ზოგი უგმაყოფილო მათგანი უნდა ვანუგეშოთ, როცა მოვუთხრობთ ჩვენი ძვირფასი ბეკის ბრძოლათა, გამარჯვებათა და იმედის გაცრუებათა ამბავს, რომელნიც, ჭეშმარიტად, როგორც ყველა სხვა ღირსეულ პიროვნებას, ამასაც ბლომად ხვდა წილად.

იმ ხანად შარადების თამაშის საამო გართობა შემოვიდა ჩვენში საფრანგეთიდან, საკმაოდ მოიკიდა ფეხი ამ ქვეყანაში და საშუალება მისცა სილამაზით განთქმულ ბევრ ჩვენებურ მანდილოსანს თავიანთი მომხიბვლელობა წარმოეჩინათ, ხოლო უფრო მცირერიცხოვან ჭკვიან ქალებს კი თავიანთი ნიჭი გამოემჟღავნებინათ. ბეკი, მგონი, დარწმუნებული იყო, ორივე ზემოხსენებული თვისება მონიჭებული მაქვსო და ლილორდ სტაინს ჩააგონა, გონტ-ჰაუზში წარმოდგენა, გაემართა, რომელშიც რამდენიმე ასეთი პატარა პიესაც დაიდგმეოდა. ჩვენც ნებას ვითხოვტ, ამ ბრწყინვალე réunion-ზე წავაბრძანოთ

მკითხველი და თანაც გული გვეთანაღრება, რომ ეს იქნება წარჩინებული საზოგადოების ერთ-ერთი ყველზე უკანასკნელი შეკრებილება, რომელზედაც ბედმა გვარგუნა ის წარგვედგინა.

შარადის დასადგმელად გონტ-ჰაუზის საუცხოო დარბაზი, სურათების გალერეა, გააწყვეს. მას საამისოდ გეორგ III მეფობაშიაც იყენებდნენ. აქამდე გახლავთ შემორჩენლი მარკიზ გონტიზ სურათი - თმაშეპუდრილი, ალისფერბაფთიანი, ეგრეთწოდებულ, რომაულ ყაიდაზე მორთული - კატონის[139] როლში, ბატონ ადისონის იმავე სახელწოდების ტრაგედიაში, რომელიც დაიდგა მათმეფურ უმაღლესობათა - უელსის პრინცის, ოსნაბრუკის ეპისკოპოსისა და პრინც უილიამ-ჰენრის[140], მაშინ, თვით მსახიობის მსგავსად, ბავშვების წინაშე. ძველი ბუტაფორიის ერთი-ორი საგანი ჩამოათრიეს სხვენიდან, სადაც მას შემდეგ ეყარა და განაახლეს წინამდებარე წარმოდგენისათვის.

სანახაობის გამგებლად ახალგაზრდა ბედუინ სენდზი იყო, მაშინ მოხდენილი დარდიმანდი და აღმოსავლეთში ნამოგზაურები. იმ ხანად აღმოსავლელი მოგზაური წარმოსაჩენი ვინმე გახლდათ და თავგადასავალთა მოყვარე, გაბედული ბედუინი, რომელმაც in quarto[141] გამოაქვეყნა წიგნი და რამდენიმე თვე უდაბნოს კარვებში გაატარა, არა მცირედი მნიშვნელობის პიროვნება ბრძანდებოდა. იმ წიგნში ნაირნაირ აღმოსავლურ ტანსაცმელში გამოწყობილი სენდზის რამდენიმე სურათი ეხატა. იჰი ერთი ფრიად საზარელი შესახედაობის ზანგი მსახურის თანხლებით დაბრძანდებოდა, სწორედ ვითარცა ბრიან დე ბუა გილბერი[142]. ბედუინი, მისი მოკაზმულობანი და ზანგი დიდი სიამოვნებით მიიღეს გონტ-ჰაუზში, როგორც დიდად ძვირფასი რამ შენაძენი.

პირველი შარადა თვითონვე წარმოადგინა. ვეება ჯიღიანი თურქი მეომარი (ეგონათ, იანიჩრები ჯერ კიდევ არსებობენო და ფესს ჯერ კიდევ არ შეეცვალა ჭეშმარიტი მართლმორწმუნეთა ძველებური,, დიდებული თავსაბურავი) დივანზე იყო მიწოლილი და ვითომ ნარგილეს[143] აბოლებდა, რომელშიც, მანდილოსანთა გულისთვის, მხოლოდ სურნელოვანი ნივთიერება ჩაედოთ.

თურქი წარჩინებული ამთქნარებს და მოთენთილობისა და სიზარმაცის ნიშნებს ამჟღავნებს. ტაშს შემოკრავს, გამოცხადდება ნუბიელი მეზრური, მკლავებგაშიშვლებული,

სამაჯურებიანი, იათაგანებიანი[144] და ყოველი აღმოსავლური სამკაულებით შეჯინჯილებული - გამხდარი, მაღალი და შესაზარი. იგი სალამს უძღვნის ბატონ აღას.

ზარდაცემისა და სიამის თრთოლვა დაუვლის შეკრებილებას. მანდილოსნები ერთმანეთში ჩურჩულებენ. შავი მონა ბედუინ სენდზმა ეგვიპტის ფაშასაგან მიიღო სამიოდე ათეულ ბოთლ მარასკინოს[145] სანაცვლოდ. ვინ იცის რამდენი ოდალისკი[146] გამოუკერავს მას ტომარაში და ჩაუგდია ნილოსში!

- შემოიყვანე მონების ვაჭარი, - ბრძანებს თურქი მუსუსი ხელის გაქნევით.

მეზრურს შემოჰყავს მონათა ვაჭარი ბატონის წინაშე, მას ჩადრმოსილი დიაცი ახლავს. ჩადრს ჩამოხსნის. დარბაზში მოწონების ნიშნად თაში იფეთქებს. ეს გახლავთ თვალჟუჟუნა, საუცხოოთმიანი ქალბატონი უინკუორთი (ყოფილი მის აბსოლომი). მას დიდებული ააღმოსავლური სამოსი აცვია. შავ ნაწნავებში ურიცხვი თვალი პატიოსანია აწნული. კაბა ოქროს ფულით არის დაფარული. საზიზღარი მაჰმადიანი აცხადებს, მოხიბლული ვარ მისი სიტურფით. ქალი მუხლებზე ეშვება და ეველრება, გამიშვი ჩემს მთებში, სადაც დავიბადე და სადაც ჩემი ჩერქეზი სატრფო კვლავ გლოვობს თავისი ზულეიკას დაკარგვასო. არავითარი ხვეწნა-მუდარა არ ულბობს გულს უჯიათ ჰასანს. იგი ხარხარებს ჩერქეზი საქმროს ხსენებაზე. ზულეიკა პისახეზე ხელებს აიფარებს და უტურფეს სასოწარკვეთილ პოზაში ძირს ეცემა. თითქოს აღარ ჩანს მისთვის ხსნა, მაგრამ... მაგრამ ამ დროს ყიზლარ-აღა ცხადდება.

ყიზლარ-აღა სულთნის წერილს მიართმევს. ჰასანი ჩამოართმევს და თავზე დაიდებს ზარდამცემ ფირმანს[147]. შემაძრწუნებელი შიში იპყრობს, მაშინ როცა ზანგის სახეზე (ეს კვლავ მეზრური გახლავთ, ოღონდ სხვანაირად გამოწყობილი) შემაძრწუნიბელი სიხარული აღბეჭდილა.

შემიბრალეთ, შემიბრალეთ! - შესძახებს, ყიზლარ-აღა კი ზარდამცემი ღრეჭით ამოიღებს მშვილდის ლარს.

ფარდა სწორედ მაშინ ეშვება, როცა იგი ამსაზარელი იარაღის გამოყენებას ეპირება. ჰასანი გამოიძახებს შიგნიდან: „პირველი ოტი მარცვალიო!“ და ქალბატონი კროული, რომელიც შარადაში გამოსასვლელად ემზადება, მიეახლება და ქათინაურებით ავსებს ქალბატონ უინკუორთს - რა საუცხოო გემოვნებით

განწყობილი მშვენიერი კოსტუმი გაგაცვიაო.

თამაშობენ შარადის მეორე ნაწილს. კვლავ აღმოსავლური სცენაა. სხვა ტანსაცმელში გამოკაზმული ჰასანი ნაზად მოსჯდომია გვერდს ზულეიკას, რომელიც უკვე სრულიად შერიგებია. ყიზლარ-აღა თვინიერ ზანგ მონად ქცეულა. უდაბნოში მზე ამოდის და აღმოსავლეთისაკენ პირშებრუნებული თურქები თაყვანისცემას, მიჰყვებიან. ვინაიდან დრომადერები აქვე ახლოს არსად მოიპოვებიან, ორკესტრი ხუმრობით უკრავს „აქლემნი მოაბიჯებენ“. სცენაზე ეგვიპტელის ვეება თავი გამოოჩნდება. იგი მუსიკალური თავი გახლავთ და აღმოსავლელ მოგზაურთა განსაცვიფრებლად, სახუმარო სიმღერას შემოსძახებს, ბატონი უეგის შეტხზულს. აღმოსავლელი მოგზაურები ცეკვით გადიან, ვითარცა პაპაგენო და მავრთა მეფე „ჯადოსნურ სალამურში“. „უკანასკნელი ორი მარცვალი!“ ღრიალებს თავი.

იწყება უკანასკნელი მოქმედება. ამჯერად ბერძნული კარავი დგას. შიგნით ტახტზე წარმოსადეგი, ზორბა ვაჟკაცი წევს. თავთან მუზარადი და ფარი უკიდია. ახლა უკვე აღარ სჭირდება ისინი. ილიონი[148] დაემხო. იფიგენია[149] მკვდარია. კასანდრა[150] ტყვედაა მის სხვა სამყოფელში. ხელმწიფე ვაჟკაცთა[151] (ეს გახლავთ პოლოვნიკი კროული, რომელსაც ჭეშმარიტად არა გაეგება რა არც ილიონის აოხრებისა და არც კასანდრას დატყვევებისა) αναξ ανδρων[152] თავის საწოლში განისვენებს არგოსში[153]. ლამპარი მძინარე მეორის ფართე, მოფარფატე ჩრდილს აჩენს კედელზე; ტროული ხმალი და ფარი ლაპლაპებს მის შუქზე. ორკესტრი „დონ-ჟუანიდან“ უკრავს ძრწოლის მომგვრელ მუსიკას, ქვის ქანდაკების შემოსვლის წინრომ გაისმის.

ფეზაკრეფით შემოიპარება გაფითრებული ეგისტოსი. ეს ვისი შემაძრწუნებელი სახე ათვალიერებს მას ავბედითად ფარდის უკნიდან? შემართავს ხანჯალს მძინარის გასაგმირად, რომელიც გადმოტრიალდება ძილში და თითქოს დასარტყმელად გადაუშიშვლებს განიერ მკერდს. კაცს გული აღარ ემორჩილება, დაჰკრას კეთილშობილ მიძინებულ სარდალს. კლიტემნესტრა - მოჩვენებასავით მსწრაფლ შემოცურდება ოთახში - ქათქათა მკლავები შიშველი აქვს, მოჟღალო თმა ბეჭებზე ჩამოშლია, სახეზე მომაკვდავის ფერი ადევს, ხოლო თვალები ისეთი შემაძრწუნებელი ღიმილით

უბრწყინავს, რომ მაყურებელნი ცახცახებენ მის შეხედვაზე.

დარბაზს ძრწოლა შეაჩოჩქოლებს.

- ღმერთო მწყალობელო! - შესძახა ვიღაცამ, - ეს ხომ ქალბატონი კროულია!

ქალი ეგისთოსს[154] ზიზღით წაჰგლეჯს ხელიდან ხანჯალს და საწოლს მიადგება. ჩანს როგორ ლაპლაპებს აღმართული ხანჯალი ლამპრის ციმციმში და... და ლამპარი ქრება, გაისმის კვნესა და წყვდიადი მოიცავს ყველაფერს.

სიბნელემ და სანახაობამ დააფრთხო ხალხი. რებეკამ როლი ისე კარგად, ისეთი შემაძრწუნებელი სიმართლით შეასრულა, რომ მაყურებლებს, ერთობიტ ყველას, ენა ჩაუვარდათ, სანამ დარბაზი ერთბაშად კვლავ არ გაჩირაღდნდა, და, როცა ყველამ ერთხმად ატეხა ყვირილი „ბრავო, ბრავო“, ბებერი სტაინის ხრიწიანმა ხმამ ღრიალით ყველას გადააჭარბა. „დალახვროს ღმერთმა, ეგ მართლა ჩაიდენს კიდეც მაგას“, გამოსცრა კბილებში მილორდს. მსახიობებს მთელი დარბაზი ითხოვდა, რომელიც ზანზარებდა შეძახილებით: „დამდგმელი! კლიტემნესტრა!“ აგამემნონი[155] ვერ დაიყოლიეს, კვლავ გამოჩენილიყო თავისი კლასიკური ტუნიკით და ეგისთოსსა და პატარა წარმოდგენის სხვა მსახიობებთან ერთად უკან იყო მიმდგარი. ბატონმა ბედუინ სენდზმა ზულეიკა და კლიტემნესტრა გამოიყვანა. დიდებულმა გვამმა მოინება, მომხიბლავი კლიტემნესტრა გამაცანითო.

- ერიჰა! გულში გაუყარეთ ხანჯალი, ჰა! ახლა სხვას შეირთავთ, არა? - ისე მოხდენილად შენიშნა მისმა სამეფო უმაღლესობამ.

- ქალბატონი კროული პირდაპირ გულის გასაგმირავად ასრულებდა თავის როლს! - ბრძანა ლორდმა სტაინმა.

ბეკის გაეცინა; მხიარული, მოზიზღარი თვალი შეავლო და უტურფესი პატარა რევერანსი უძღვნა.

ფარეშებმა ლანგრებით მრავალნაირი გრილი პირის გასასველებელი საჭმელები შემოიტანეს და მსახიობები გავიდნენ მეორე შარადა-წარმოდგენის შესამზადებლად.

ამ შარადის სამი მარცვალი პანტომიმის სახით გამოისახა და შემდეგნაირად აღსრულდა: პირველი მარცვალი. პოლკოვნიკმა როუდონ კროულიმ, აბანოს ორდენის კავალერმა,

ქუდჩამოფხატულმა და მაზარაჩამოცმულმა, ჯოხითა და საჯინიბოდან ნათხოვნი ფარნით სცენაზე გაიარა ხმამაღალი წამოძახილებით, თითქოს მცხოვრებთ აფრთხილებდა, ჟამი გადასულიაო. ქვემო სართულის ფანჯარაში ორი მოხეტიალე მოვაჭრე ჩანს, ალბათ კრიბიჯს[156] თამაშობენ და თან ძალიან ამთქნარებენ. მათთან შემოდის სასტუმროს მსახურის მსგავსი ვიღაც (პატივცემული ჯ. რინგვუდი), რომლის როლსაც სრულყოფილად ანსახიერებს ახალგაზრდა ვაჟბატონი, და წაღებს გახდის, ცოტა ხნის შემდეგ პირიფარეშიც შემოდის (დიდად პატივცემული ლორდი საუთდაუნი) და ორი შანდალი და სათბურა შემოაქვს. ადის ზემო სართულში და ლოგინს ათბობს. ამ სათბურას იგი მოარშიყე ვაჭრებისაგან თავდასაცავ იარაღადაც იყენებს. მერე გადის. ვაჭრები საღამურ ჩაჩებს ჩამოიცვამენ და ფარდებს ჩამოუშვებენ. მსახური გამოდის გარეთ და პირველი სართულის ოთახის დარაგებს ხურავს. ისმის, როგორ უყრის ურდულს და ჯაჭვით როგორ კეტავს

შიგნიდან კარს. შუქი ყველგან ქრება. ორკესტრი უკრავს : „Dormez, dormez, chers Amours!”[157] ფარდის უკან ვიღაცის ხმა აცხადებს :პირველი მარცვალი!“

მეორე მარცვალი.უცბად ყველა ლამპა ერთად აუნთება. ორკესტრი უკრავს ძველ ჰანგს „იოანე პარიზელიდან“[158]: „Ah, quel plaisir d’etre en voyage!”[159] სცენა იგივეა. ხსენებული სახლის პირველ და მეორე სართულებს შორის ჩანს აბრა, რომელზედაც სტაინთა ღერბია გამოხატული. მთელ სახლში წკრიალი გაუდის ყველა ზარს. ქვემო სართულში ჩანს, ერთი კაცი ქაღალდის გრძელ ფურცელს უდგენს მეორეს, რომელიც მუშტს იქნევს, იმუქრება და იფიცავს, ეს სწორედ წარმოუდგენელი რამ არისო. „მეჯინიბე, მომართვი ეტლი“, - იძახის სხვა ვიღაც კართან. იგი პირისფარეშს (დიდად პატივცემულ ლორდ საუთდაუნს) ნიკაპქვეშ ხელს უცაცუნებს. ეტყობა, ის წუხს მის გამგზავრებას, როგორც კალიპსო[160] წუხდა სხვა გამოჩენილი მოგზაურის, ელიქსის, გამგზავრებას. მსახური (პატივცემული ჯ. რინგვუდი) ხის ყუთითურთ გაივლის, რომელშიაც ვერცხლის სურები აწყვია და ისე სასაცილოდ და ბუნებრივად გაიძახის, „ლუდიო“, რომ მთელი დარბაზი იძვრის ტაშის ცემით და თაიგულსაც ესვრიან. გარედან ისმის შოლტის ტყლაშა-ტყლუში. მეპატრონე, პირისფარეში, მსახური კარს მიაშრებენ; მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ვიღაც გამოჩენილი სტუმარი მობრძანდება, ფარდა

ეშვება და წარმოდგენის უჩინარი დამდგმელი აცხადებს : „მეორე მარცვალიაო“.

- მე მგონი, ეს „სასტუმრო“ უნდა იყოს, - ამბობს ლეიბგვარდიის კაპიტანი გრიგი და კაპიტნის გამჭრიახობა საერთო ხარხარს იწვევს. მას მაინცდამაინც ძალიან არ დაუცილებია მიზნისთვის.

ვიდრე მესამე მარცვლის წარმოდგენა მზადდება, ორკესტრი უკრავს ზღვაოსნურ პოპურს : „დაუნზში მთელი...“, „ჩადექი, სასტიკო ქარო“, „მბრძანებლობდე ბრიტანეთო:, „ბისკაის უბეში“... რაღაც ალბათ ზღვაში უნდა მოხდეს. ფარდის გახსნისას ზარის ხმა ისმის. „აბა, ბატონებო, ნაპირისაკენ!“ - იძახის ვიღაცა. ხალხი ერთმანეთს ემშვიდობება. ისინი აღელვებით უთითებენ ვითომთა ღრუბლებისაკენ, რომელბიც წარმოდგენილია შავი ფარდით და შეშინებით აკანტურებენ თავებს. ლედი სკიმზი (დიდად პატივცემული ლორდი სუთდაუნი) თავისი ფინიით, ჩანთებით, აბგებითა და მეუღლითურთ ძირს ჯდება და რაღაც თოკებს ებღაუჭება. ალბათ გემი თუა.

შემოდის სამკუთხა ქუდიანი კაპიტანი (აბანოს ორდენის კავალერი პოლკოვნიკი კროული). მას ჭოგრიტი უჭირავს, ცალი ხელით ქუდს იმაგრაბს თავზე და გარეთ იხედება. მუნდირის კალთები ი სე უფრიალებს, თითქოს ქარი არისო. როცა ჭოგრიტის მოსახმარებლად ქუდს ცელს შეუშვებს, ქუდი გადაუვარდება, რაც დიდ ტაშისცემას იწვევს. კიდევ უფრო უბერავს. მუსიკაც კიდევ უფრო იმაღლებს ხმას და უფრო ხმამაღლა და ხმამაღლა უსტვენს. მეზღვაურები სცენაზე ბარბაცით დადიან, თითქოს გემი სასტიკად ირყეოდეს. სსტიუარდი (პატივცემული ჯ. რონგვუდი) ლასლასით გაივლის - ხელთ ექვსი ჯამი უჭირავს. ერთს სასწრაფოდ ლორდ სკიმზს,იუდგამს. ლედი სკიმზი თავის ფინიას ჩქმეტს, რომელიც შესაბრალისად მოჰყვება ყმუილს. მერე მანდილოსანი ცხვირსახოცს მიიფარებს სახეზე და მიეშურება გარეთ, ვითომდა კაბინაში. მუსიკა ქარიშხლიანი ღელვის უმძაფრეს მწვერვალს აღწევს და მესამე მარცვალიც მთავრდება.

იმხანად ერთ პატარა ბალეტში - „Le Rossignol”[161] - ფრიად სახელგანთქმულნი იყვნენ მანტესიუ და ნობლე. ეს ბალეტი ბატონმა უეგმა ინგლისური სცენისთვის ოპერად გადმოაკეთა

და თავისი ლექსი რომლის თხზვაშიაც დიდად მარჯვე გახლდათ, ბალეტის მშვენიერ ჰანგს მიუსადაგა. მას ძველებურ ფრანგულ ტანსაცმელში გამოწყობილნი თამაშობდნენ. პატარა ლორდი საუთდაუნი ამჯერად ჩინებულ დედაბრად გადაცმული გამოცხადდა და სცენაზე ნამდვილი ყავარჯნით დაჩლახუნებდა.

კულისებში ტკბილი კრიმანჭულები ისმოდა და ვარდის ბუჩქებით დაფარულ მუყაოს კოხტა ქოხიდან ღუღუნითა და რაკრაკით გამოდიოდა. „ფილომელ, ფილომელ!“ - გასძახის დედაბერი და დილომელიც გამოჩნდება.

კიდევ გაისმის ტაშის ცემა - ეს შეპუდრული და ხალებიანი ქალბატონი კროული გახლავთ - მთელი ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უფრო ravissante[162] პატარა მარკიზა.

იგი კისკისითა და ღიღინით გამოდის, თეატრალური სინორჩის მთელი უმანკოებით დაცქრიალებს სცენაზე და რევერანს უძღვნის საზოგადოებას. დედიკო ეუბნება : „რა არის, შვილო, სულ კისკისებ და მღერი?“ და ქალწული კიდეც შეუდგა ამ სიმღერას: ჩემი აივნის ვარდი

აივანზე ტურფა ვარდის სუნი დილის ჰაერს ატკბობს, მთელ ზამთარს სულ შიშვლად მდგარი გაზაფხულს ელოდა მარტო.

მკითხავ: რად აქვს ნაზი სუნი, ღაწვი წითლად რად უნათობს?

იმიტომ რომ მზე შუქს აფრქვევს, სირთ გალობაც გულს გაართობს.

ახლა, როცა მწვანე ტევრში ტკბილად გალობს ეს ბულბული[163], შიშვველ რტოს რომ ქარი სწეწდა, მაშინ იყო განაბული.

კვლავ თუ მკითხავ: რად უმღერის, დედი, ასე ლაღად გული?

იმიტომ რომ მზე ბრწყინავს და ფოთლებია გამოსული.

ყველა თავის გზას ეწია: ჩიტთა მოიცვეს ხმანია; გაფურჩვნილ ვარდის კოკორსა ფერიც აქვს შესაგვანია; მეც გულს მზის შუქი ჩამიდგა, მხიარულობის ხანის, ამიტომ ვმღერი, დედიკო, მიღვივის პირის კანია.

ამ სიმღერის ტაეპებს შორის, გულკეთილი პირავნება, რომელსაც მომღერალი დედიკოას უწოდებდა და რომელსაც

მოზრდილი ქილვაშები მოუჩანდა ჩაჩს ქვემოდან, ეტუობოდა, ძალიან მოწადინებული გახლდათ, თავისი დედობრივი გრძნობანი გამოეჩინა და ასულის როლის შემსრულებელი უმანკო არსება გულში ჩაეხუტებინა. მისი ყოველი ალერსი მოწოდების ხმამაღალ ხარხარს იწვევდა თანამგრძნობ მსმენელთა შორის. სიმღერის დასასრულს (ვიდრე ორკესტრი ასრულებდა სიმფონიას, თითქოს უამრავი ჩიტების გუდი გალობსო) მთელი დარბაზი ერთხმად მოითხოვდა მის განმეორებას და ტაში და თაიგულები უხვად უთავაზეს საღამოს ბულბულს. ლორდ სტაინის მოწონების შეძახილები ყველასას ფარავდა. ბეკიმ, ბულბულმა, აიღო მისგან გადაგდებული თაიგული და ჭეშმარიტი მსახიობის იერით გულში ჩაიკრა. ლორდი გაგიჟდა სიხარულით. სტუმრების აღტაცებას ასევე უსაზღვრო გახლდათ. სადღა იყო ის მშვენიერი შავთვალა ჰური, რომლის გამოჩენამ პირველ შარადაში ასეთი აღფრთოვანება გამოიწვია? იგი ბეკიზე ორკერ უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ამ უკანასკნელის ბრწყინვალებამ სრულიად დაჩრდილა საბრალო. ყველამ ქალბატონ კროულის მიანიჭა უპირატესობა. სტეფენსს, კარადორს, რონცი დე ბენისს რომ ადარებდნენ, საზოგადოება სრულიად კეთილგონივრულად აღიარებდა, ეგ რომ არტისტი ყოფილიყო, სცენაზე ვერავინ გაუტოლდებოდაო.

ბეკიმ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია: მისი რაკრაკა, წკრიალა ხმა ტაშის გრიალზე მაღლა ადიოდა და მისი ზეიმის სიმაღლეზე მხიარულად დანავარდობდა. დრამატული გასართობების შემდგომ ბალი გაიმართა და ყველანი ბეკის შემოეხვივნენ გარშემო, ვითარცა იმ წვეულების ყველაზე შესანიშნავ სტუმარს. სამეფო გვარის დიდებული გვამი იფიცავდა, იგი სრულყოფილი არსებააო და ვეღარ და ვეღარ ძღებოდა მასთან მუსაიფით. ამ პატივზე პატარა ბეკის სიამაყითა და სიამით ევსებოდა გული, მას თვალწინ ედგა სიმდიდრე, სახელი, წარჩინებულობა. ლორდი სტაინი მის მონად იქცა, მოუშორებლად დასდევდა კუდში, მთელ დარბაზში თითქმის სხვას არავის სცემდა ხმას, რჩეულ ქათინაურებს ეუბნებოდა და სრულიად აშკარად ელაციცებოდა. ბეკი ისევ მარკიზას ტანსაცმელში გამოწყობილი დაბრძანდებოდა და მენუეტი იცეკვა ბატონ დე ტრიუფინისთან, ბატონ დუკა დე ლა ჟაბოტიერის ატაშესთან, ხოლო დუკამ, ძველი სამეფო კარის ყოველი ტადიციის დამცველმა, ბრძანა: მადამ კროული ღირსია

ვესტრის[164] შეგირდი ყოფილიყო და ვერსალი დაემშვენებინაო. მხოლოდ ღირსების შეგნებამ, ნიკრისის ქარებმა და მოვალეობისა და პირადი მსხვერპლის გაღების უმძაფრესმა გრძნობამ შეუშალა ხელი მის უგანათლებულესობას თვითონაც ეცეკვა მასთან და საჯაროდ განაცხადა: ქალბატონი კროულის მსგავსად მოლაპარაკე და მოცეკვავე მანდილოსანი ჩინებულად ივარგებს ელჩად ევროპის ყველა სამეფო კარზეო. ის მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როცა შეიტყო, რომ ბეკი დაბადებით ნახევრად ფრანგი იყო. „გარდა ჩემი თანამამემულისა, ამნაირად სხვა ვერავინ შეასრულებდა ამ დიდებულ ცეკვასო“. - ბრძანა მისმა უგანათლებულესობამ.

მერე ვალსი იცკვა ბატონ კლინგენშპორთან, თავად პეტერვარადინის ბიძაშვილსა და ატაშესთან. აღტაცებულმა თავადმა, რაკი იგი ნაკლებ თავშეკავებული ბრძანდებოდა, ვიდრე მისი ფრანგი კოლეგა დიპლომატი, არ მოიშალა და იმანაც გაიწვია მომხიბლავი არსება; მასთან ერთად დაბზრიალდა საცეკვაო დარბაზში, თან ჩექმების ფოჩებიდან და ჰუსარის ქურთუკიდან ალმასებს აბნევდა და მანამ იცეკვა, სანამ მის უმაღლესობას სულ არ გამოეცალა არაქათი. თვით პაპუშ-ფაშაც სიამოვნებით იცეკვებდა მასთან, ეგ გართობა რომ ჩვეულებად ყოფილიყო მის სამშობლოში. საზოგადოება ირგლივ წრესავით შემოერტყა ბეკის და ისეთი გაშმაგებული ტაშისცემით ესალმებოდა, თითქოს ნობლე ანდა ტალიონი[165] ყოფილიყო. ყველა აღტაცებული გახლდათ და, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბეკიც აგრეთვე. გვერდით გავლისას ზიზღით გადახედა ლედი სტანინგტონს; მფარველურად მოეპყრო ლედი გონტსა და მის გაოგნებულსა და დაბეჩავებულ რძალს - ერთი სიტყვით, écriséd[166] ყველა მოქიშპე ლამაზმანი. რაც შეეხება საბრალო ქალბატონ უინკუორთსა და მის გრძელ თმასა და დიდრონ თვალებს, რომლებსაც ასეთი წარმატება ჰპოვეს საღამოს დასაწყისში, სადღა იყო? არსადაც აღარ ჩანდა. სულაც რომ დაეგლიჯა თავისი გრძელი თმა და ტირილით დაეთხარა დიდრონი თვალები, არც ერთი კაცი არად ჩააგდებდა და არც შეიბრალებდა.

ყველაზე დიდი ზეიმი ბეკისთვის ვახშმობა გახლდათ. იგი დიდებულ საგანგებო სუფრაზე დასვეს მის მეფყრ უმაღლესობასთან, ზემოხსენებულ აღზევებულ გვამთან და სხვა წარჩინებულ სტუმრებთან ერთად. მას მიართმევდნენ

საჭმელებს ოქროს ჭურჭლებით. შეეძლო, თუ მოეწონებოდა, კლეოპატრასავით[167] მარგალიტებიც გაელღო თავისი შამპანურის ჭიქაში და დიდი თავადი პატარვარადინი ქურთუქის ალმასების ნახევარსაც არ დაიშურებდა იმ ბრჭყვიალა თვალების ერთი ალერსიანი გამოხედვისათვის. ჟაბოტიერმა თავის მთავრობას მისწერა ბეკის ამბავი. სხვა სუფრაზე მსხდომმა მანდილოსნებმა, რომელნიც უბრალო ვერცხეულით ვახშობდნენ და მარკიზ სტაინის დაჟინებული ყურადღებიანობა შენიშნეს ბეკისადმი, იფიცავდნენ, ეს სწორედ აღმაშფოთებელი დაბრმავება და მაღალი საზოგადოების მანდილოსანთა სასტიკი შეურაცხყოფაა. სარკაზმს რომ ადამიანის მოკვლა შესძლებოდა, ლედი სტანინგტონი ალბათ იქვე განგმირავდა ქალბატონ კროულის.

როუდონ კროულის აფრთხობდა ეს ტრიუმფები. ისინი თითქოს წინანდელზე კიდევ უფრო მეტად აშორებდნენ მეუღლეს. გულის ტკივილის რაღაც ძალიან მსგავსი გრძნობით ფიქრობდა, რა განუსაზღვრელად მაღლა იდგა მასზე ცოლი.

როცა წასვლის დრო დადგა, ყმაწვილ-კაცების მთელმა გუნდმა მიაცილა ბეკი ეტლამდე, რომელიც ფარეშებმა გამოიძახეს და ეს ძახილი გაიმეორეს გონტ-ჰაუზის მაღალ ჭიშკართან დაყენებულმა სანათურებიანმა მსახურებმა. ისინი თან მშვიდობით მგზავრობას უსურვებდნენ ჭიშკრიდან გასულ ყოველ სტუმარს და იმედს გამოთქვამდნენ, რომ მისმა ბრწყინვალებამ საამურად გაატარა დრო ამ წარჩინებულ საზოგადოებაში.

ქალბატონი კროულის ეტლი სათანადო გადაძახილ-გადმოძახილის შემდეგ რომ მოვიდა ჭიშკართან, გამოგრიალდა გაჩახჩახებულ ეზოზე და პარმაღს მოადგა. როუდონმა ჩასვა მეუღლე ეტლში და გაისტუმრა. მას ბატონმა უენჰემმაშესთავაზა, შინისკენ ფეხით გავისეირნოთო, და თავის შესაყოლიებლად სიგარაც მიართვა პოლკოვნიკს.

გარეთ მდგარი ერთ-ერთი სანათურებიანი მსახურის დარანზე მოუკიდეს სიგარებს და როუდონი თავის მეგობარ უენჰემთან ერთად გზას გაუდგა. ორი კაცი გამოეყო ბრბოს, აედევნა ორ დარბაისელს და, როცა გონტ-სკვერზე რამდენიმე ათეული ნაბიჯი გალიეს, ერთი მათგანი დაეწიათ, მხარზე ხელი შეახო როუდონს და უთხრა: - ბოდიში, პოლკოვნიკო, ფრიად საიდუმლო მოსალაპარაკებელი მაქვს თქვენთან.

მის ლაპარაკში ვაჟბატონის ამხანაგმა ხმამაღლა დაუსტვინა და ამ ნიშანზე გონტ-ჰაუზის ჭიშკრიდან მდგომთაგან ერთი კები მოგრიალდა. თვითონ მოლაპარაკების თანხლებმა პირმაც გარს შემოურბინა და წინ აეტუზა პოლკოვნიკ კროულის.

მამაცი ოფიცერი მყის მიხვდა, რაც დაემართა - იგი ბეილიფების ხელთ ჩავარდა. მანუკა დაიხია, მაგრამ იმ კაცს წააწყდა, რომელმაც პირველად შეახო ხელი.

- სამნი ვართ - გაქცევა არ გიშველით! - უთხრა უკან მდგომმა.

- მოსი ხარ? - ჩაეკითხა პოლკოვნიკი, რომელმაც, ეტყობოდა, იცნო მოსაუბრე, - რამდენია გადასახდელი?

- ბევრი არაფერი, - ჩაუჩურჩულა ჩენსერი-ლეინელმა, კერსიტორ-სტრიტელმა ბატონმა მოსმა, მიდლ-ესექსის შერიფის ხელქვეითმა მოხელემ, - ას სამოცდაექვსი გირვანქა, ექვსი შილინგი და რვა პენი, ბატონ ნათანის სარჩელის მიხედვით.

- ღვთის გულისთვის, მასასხეთ ასი გირვანქა, უენჰემ, - უთხრა საბრალო როუდონმა, - სამოცდაათი სახლში მექნება!

- მთელი ქვეყნიერების ზურგზე ათი გირვანქაც არ მომეძევება, - მიუგო საწყალმა უენჰემმა. - ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო!

- ღამე მშვიდობისა, - გამოესალმა დაღვრემილი როუდონი. უენჰემი თავის გზას გაუდგა, ხოლო როუდონ კროული სიგარას ათავებდა, როცა კები ტემპლ-ბარში შევიდა.

თავი LII - რომელშიაც ლორდი სტაინი ფრიად საამო სახით წარმოგვიდგება

როცა ლორდი სტაინი ვინმეს სწყალობდა, სანახევროდ არაფრის კეთება არ უყვარდა და კროულის ოჯახის მიმართ გულკეთილობაშიც უდიდესი გულისხმიერება გამოიჩინა. მისმა ბრწყინვალებამ თავისი კეთილგანწყობილება პატარა როუდონზეც გაავრცელა. მან მიუთითა ბავშვის მშობლებს, აუცილებელია მისი დახურულ სასწავლებელში გაგზავნაო; იგი

უკვე იმ ასაკისა იყო, როდესაც შეჯიბრი, ლათინური ენის საწყისი ცოდნა, კრივში ვარჯიში და ტოლ-ამხანაგების საზოგადოება დიდად არგებდა ბიჭს. მამა უარობდა, ისე მდიდარი არა ვარ, ბავშვი წესიერ სკოლაში მივაბაროო; დედა აცხადებდა, ბრიგზი ჩინებულ მასწავლებლობას უწევს და შესანიშნავად გაწვრთნა კიდეც (როგორც მართლა ნამდვილადაც იყო) ინგლისურსა, ლათინურის საწყისებსა და საერთო საგანმანათლებლო საგნებშიო; მაგრამ ყველა ეს საწინააღმდეგო მოსაზრება გაქრა მარკიზ სტაინის სულგრძელი დაჟინების წინაშე. მისი ბრწყინვალება ძველი, სახელგანთქმული სასწავლებლის, სახელად, „უაით-ფრაიერზის „ ერთ-ერთი მზრუნველთაგანი გახლდათ. წარსულში, როცა მდებარე სმითფილდში საასპარეზო მოედანი არსებობდა, აქ ცისტერციელთა მონასტერი იყო. ჯიური ერეტიკოსები აქ მოჰყავდათ ხოლმე და აქვე ახლოს ძალიან მოხერხებულიც იყო მათი კოცონზე დაწვა. ჰარი VIII[168] სარწმუნოების მცველმა ხელთ იგდო მონასტერი, მისი სამგლობელოები და ჩამოახრჩო და აწამა ზოგი ბერთაგანი, რომელთაც ვერ შეუწყეს ფეხი მისი რეფორმის განხორციულების ტემპს. ბოლოს ერთმა დიდვაჭარმა იყიდა შენობა და მისი მიმდგომი მიწები, რომელზედაც, მიწისა და ფულის სხვა მდიდრულ შემოწირულებათა ხელშეწყობით, დავრდომილ მოხუცთა და ბავშვთა სახელგანთქმული საქველმოქმედო სახლი დაარსა. ძველ, თითქმის სამონასტრო საქველმოქმედო დაწესებულებასთან სკოლა წარმოიშვა, რომელშიც დღევანდლამდე შუასაუკუნეობრივი სამოსელი ახმარება, მაშინდელი წესრიგი სუფევს და მთელი ცისტერციელნი[169] ევედრებიან ღმერთს, რომ მან კვლავ დიდხანს წარმატებით იარსებოს.

ამ სახელგანთქმული სახლის მზრუნველად ინგლისის რამდენიმე წარჩინებული დიდებული პრელატი და მოხელე ბრძანდებოდა; და ვინაიდან ბიჭებს ძალიან მყუდროდ აბინავებდნენ, აჭმევენ, ანათლებენ და შემდგომში ისინი უნივერსიტეტში იღებენ ჩინებულ სტიპენდიებსა და აგრეთვე ეკლესიის სამრევლებს, ბევრი პატარა ვაჟბატონი ნორჩი ასაკიდანვე თავს დებს სასულიერო სამსახურზე და მნიშვნელოვანი ქიშპობა არსებობს ამ სასწავლებელში ადგილის მოპოვებისათვის. იგი თავდაპირველად ივარაუდებოდა ღარიბ, ღირსეულ სასულიეროპირთა და

ერისკაცთა ვაჟიშვილების; მაგრამ დაწესებულების ბევრმა კეთილშობილმა მზრუნველმა, მომეტებული თუ უფრო ჯინიანი გულმოწყალებით, თავიანთი ხელგაშლილობა ყველანაირი ჯურის ახალგაზრდობაზე განავრცო. უფასოდ სწავლა და შემდგომში ცხოვრების სახსრისა და საიმედო საქმის მოპოვება ისე საუცხოო რამ გახლავთ, რომ ზოგი ფრიად მდიდარიც არ უკადრისბდა და არა მარტო დიდკაცობის ნათესავები, არამედ თვითონ დიდკაცნიც გზავნიდნენთავიანთ ვაჟიშვილებს, რათა ხელსაყრელი შემთხვევით ესარგებლად. ჭეშმარიტად ღირსპატივცემული პრელატები საკუთარ ნათესავებს ამ თავიანთი ხელქვეითი სასულიერო სასულიერო პირების ვაჟიშველს გზავნიდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, ზოგი დიდაზნაური არ უკადრისობდა მფარველობა გაეწია თავიანთი ერთგული მსახურების შვილებისათვის. ასე რომ ამ სასქავლებელშიმოხვედრილი ყმაწვილი ყოველი ჯურის ახალგაზრდობის საზოგადოებაში ამოჰყობდა თავს.

თუმცა „დოღის კალენდრის“ გარდა როუდონ კროულის სხვა წიგნი არასოდეს შეუსწავლია და თუმცა კლასიკური სწავლა-განათლების შესახებ მისი მოგონებანი უმთავრესად გაწკეპვლასთან იყო დაკავშირებული, პატარაობაში იტონის სასწავლებელში რომ ხვდებოდა წილად, იგი, ვითარცა ყოველი ინგლისელი ჯენტლმენი, სათანადო, გულწრფელ მოწიწებას გრძნობდა კლასიკური განათლებისადმი და გულს უხარებდა ფიქრი, რომ მისი ვაჟიშვილი ცხოვრებაში აღარ დაიკარგებოდა და შესაძლებლობა ჰქონდა სწავლული კაციც დამდგარიყო. ამასთანავე, თუმცა შვილი მისი ერთადერთი ნუგეში, სიხარული და ამხანაგი იყო და ათასნაირი სათუთი ძაფით მასთან დაკავშირებული, რომელთა შესახებაც ცოლს ვერაფერს გაუმხელდა, ვინაიდან ბეკი ყოველთვის უკიდურეს გულგრილობას იჩენდა ვაჟიშვილისადმი, როუდონი მაინც მაშინვე დათანხმდა ბავშვთან განშორებას და დასთმო თავისი უდიდესი სიამოვნება და სარგებელი პატარა ბიჭის კეთილღეობის გულისთვის. სანამ აუცილებელი არ შეიქმნა განშორება, მან არც იცოდა ძალიან უყვარდა ბავშვი. ის რომ სახლიდან წავიდა, როუდონმა იმაზე უფრო მოწყენილად და გულდათუთქულად იგრძნო თავი, ვიდრე აღიარებდა - გაცილებით უფრო მოწყენილად, ვიდრე თვით ბავშვმა, რომელიც საკმაოდ ბედნიერი იყო, ახალ გარემოში რომ მოხვდებოდა და თავის ტოლ-ამხანაგებში რომ გაერეოდა.

ბეკის ერთი-ორჯერ სიცილიც წასკვდა, როცა პოლკოვნიკი მისებურად უგერგილოდ და უთავბოლოდ ცდილობდა, თავისი სათუთი დარდები გამოეთქვა ბიჭის შინ არყოფნის თაობაზე. საბრალო გრძნობდა, რომ უძვირფასესი სიამოვნება და უახლოესი მეგობარი მოაშორეს. თავის საპირფარეშო ოთახში იგი ხშირად დაღვრემილი დასცქეროდა ბავშვის ცარიელ პატარა საწოლს, ძალიან ისაკლისებდა მას დილდილობით და ამაოდ ცდილობდა პარკში ესეირნა უმისოდ შეგნებული არ ჰქონდა, რა ეულად იყო იგი, სანამ პატარა როუდონი არ წავიდა. მას უყვარდა ისინი, ვინც ბავშვს კარგად ეპყრობოდა. ამიტომ საათობით იჯდა თავის გულკეთილ რძალთან, ლედი ჯეინთან,და ემუსაიფებოდა პატარა როუდონის ნიჭის, სანდომიანობისა და ათასი სხვა კეთილი თვისების შესახებ.

როუდონ-უმცროსის ბიცოლას, როგორც მოგახსენეთ, ძალიან უყვარდა ბავშვი და ასევე უყვარდა მის პატარა გოგონასაც, რომელიც უხვად ღვრიდა ცრემლებს, როცა ბიძაშვილის წასვლის დრო დადგებოდა. როუდონ-უფროსი ამ სიყვარულისათვის დიდად მადლიერი იყო დედა-შვილისა. მამობრივი გრძნობის ამ გულწრფელ გადმოხეთქვაში, რომელმაც მათი თანდასწრებით და თანაგრძნობით ამჟღავნებდა, ადამიანის ყველაზე უკეთესი და უპატნიოსნესი მიდრეკი მიდრეკილებანი ჩანდა. ლედი ჯეინის არა მარტო კეთილგანწყობილება, არამედ გულწრფელი სიყვარულიც გრძნობათა იმ დაიფარავი გამომჟღავნებით მოიპოვა, რომლებიც საკუთარი ცოლის წინაშე არ შეეძლო გამოეჩინა. რძლები, რამდენადაც შეიძლებოდა, იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ბეკი მწარედ დასცინოდა ჯეინის მგრძნობიარობასა და გულჩვილობას; ლედი ჯეინის სათნო, სათუთი ბუნება კი არ შეიძლებოდა არ აღეშფოთებინა რძლის გულქვა ქცევას.

ამან როუდონი გაცილებით უფრო მეტად ჩამოაშორა ცოლს, ვიდრე მას თვითონ ეგონა ან სცნობდა. ბეკის არ ენაღვლებოდა ეს გაშორიშორება. სულაც არ ესაკლისებოდა არც ის, არც სხვა ვინმე. იგი ისე უყურებდა ქმარს, როგორც თავის შიკრიკსა და ყურმოჭრილ მონას. რა დაღვრემილი და მოწყენილიც არ უნდა ყოფილიყო როუდონი, ბეკის აინუნშიაც არ მოსდიოდა, ანდა მხოლოდ მასხარად თუ აიგდებდა. მას მარტო წარჩინებულ საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის, სიამოვნების ანდა წინსვლის ფიქრები უტრიალებდა თავში და ჯეშმარიტად

კიდეც ანდა დაეჭირა იქ მოწინავე ადგილი.

სკოლაში წასაღები პატარა აბგა პატიოსანმა ბრიგზმაღა ჩაულაგა ბავშვს. როცა პატარა როუდონი მიდიოდა, მოლიმ, პირისფარეშმა გულკეთილმა და ერთგულმა მოლიმ, თუმცა ჯამაგირი დიდი ხანია არა ჰქონდა მიღებული, ბღრიალი მორთო ტალანში. ქალბატონმა ბეკიმ ეტლი არ დაანება ქმარს ბიჭის სკოლაში წასაყვანად. ცხენები და სიტიში წაიყვანონ! - სად გაგონილა? დაე, კები იქირაონ! გამოთხოვებისას არც უკოცნია შვილისთვის; არც თვითონ ბავშვს გამოუჩენია სურვილი, დედას მოხვეოდა, ოღონდ მოხუც ბრიგზს კი აკოცა (რომლის მოალერსებასაც საერთოდ ძალიან ეკრძალებოდა) და ანუგეშა, შაბათობით შინ მოვალ ხოლმე და მაშინგნახავო. კები რომ სიტის გზას გაუდგა, ბეკის ეტლი პარკისაკენ გაგრიალდა. ის ახალგაზრდა დარდიმანდების გუნდში ყბედობდა და კისკისებდა სერპენტაინთან. როცა მამა და შვილი სკოლის ძველ ჭიშკარში შევიდნენ. როუდონმა დატოვა იქ ბავშვი და ისეთი სევდიანი, წმინდა გრძნობით გულდამძიმებული გამობრინდა, რომელიც ამ საბრალო, ცხოვრებისაგან გატეხილ კაცს მას შემდეგ აღარ განეცადა, ბავშვენის ოთახიდან თვითონ გამოდგა ფეხი.

ძალიან მოწყენილმა მთელი გზა ფეხით გამოიარა და შინ მარტო ისადილა ბრიგზთან ერთად. როუდონი მეტად კეთილად ეპყრობოდა და ემადლიერებოდა მას ბავშვის სიყვარულისა და ყურადღებისათვის. სინდისი სასტიკად ქენჯნიდა, ბრიგზისგან რომ ფული ისესხა და მის მოტყუებაში რომ ხელი ერია. ისინი დიდხანს ლაპარაკობდნენ პატარა როუდონზე, რადგან ბეკიმ მხოლოდ ტანსაცმლის გამოსაცვლელად შემოიარა და სადილად სხვაგან წაბრძანდა. აფორიაქებული როუდონი მერე ლედი ჯეინთან წავიდა ჩაის დასალევად და მომხდარი ამბის სათქმელად: რა ვაჟკაცურად მიდიოდა პატარა როუდონი სკოლაში; როგორი მოსასხამი და მოკლე, ძველებური შარვალი უნდა სცმოდა და ახალგაზრდა ბლეკბოლმა, ლეგიონში მისი ძველი თანამოსაგრის ჯეკ ბლეკბოლის, ვაჟმა როგორ აიყვანა იგი თავის მფარველობის ქვეშ და შეჰპირდა, კეთილად მოვეპყრობიო.

ერთ კვირაში ახალგაზრდა ბლეკბოლმა პატარა როუდონი თავის ფაგად[170], წაღების მწმენდელად და სასაუზმე პურის დამბრაწველად გაიხადა; აზიარა ლათინური გრამატიკის

საიდუსლოებს და ერთი სამ-ოთხჯერ უთაქა, მაგრამ არცთუ ძალიან მაგრამ. პატარა ბიჭის გულკეთილი, პატიოსანი სახე ძალაუნებურად იზიდავდა ადამიანს. მან მხოლოდ ცემის ის დოზა მიიღო, რომელიც, უეჭველია, სასიკეთო იყო მისთვის. ხოლო რაც შეეხება წაღების წმენდას, პურის ბრაწვას და საერთოდ უფროსი შეგირდის ფარეშობას, განა ეს ყოველი ახალგაზრდა ინგლისელი ჯენტლმენის აღზრდის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი არ გახლავთ?

ჩვენ არა გვესაქმება რა მეორე თაობასა და როუდონ უმცროსის სასკოლო ცხოვრებასთან, თორემ ამმოთხრობას დასასრული არ ექნება. ცოტა ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა მოინახულა ვაჟიშვილი და ნახა რომ ყმაწვილი საკმაოდ კარგად დაბედნიერად გრძნობდა თავს - თავის პატარა შავ წამოსასხამსა და მოკლე შარვალში გამოწყობილი, მხიარულად იკრიჭებოდა და ხითხითებდა.

მამამ წინდახედულად მოთაფლა მისი ბატონი სოვერინით და უზრუნველჰყო ამ ახალგაზრდა ვაჟბატონის კეთილგანწყობილების მოპოვება თავისი უმცროსი ამხანაგის მიმართ. თვით სკოლის მესვეურნიც ურიგო თვალით არ უყურებდა ბავშვს, ვითარცა დიდი ლორდ სტაინის პროტეჟეს, პარლამენტის წევრის ძმისწულს და ძეს აბანოს ორდენისკავალერისა და პოლკოვნიკისა, რომლის გვარიც ხშირად „მორნინგ პოსტში“, ზოგიერთ ფრიად წარჩინებულ წვეულებათა აღწერილობაში, ქვეყნდებოდა. პატარა როუდონს საკმაოდ უხვად მოეპოვებოდა ჯიბის ფული, რომელსაც იგი მეფური ხელგაშლილობით ხარჯავდა ჟოლოიანი ნამცხვრებით თავისი ტოლ-ამხანაგების სამასპინძლოდ. შაბათობითაც ხშირად მოდიოდა შინ მამასთან, რომელიც ყოველთვის დღესასწაულად აქცევდა ხოლმე ამ დღეს. თუ თვითონ თავისუფალი იყო, როუდონს იგი წარმოდგენაზე მიჰყავდა თეატრში ანდა ფარეშის თანხლებით მაინც გაგზავნიდა. კვირაობით კი ბავშვი ეკლესიაში ესწრებოდა წირვას ბრიგზსა, ლედი ჯეინსა და ბიძაშვილებთან ერთად. როუდონი აღტაცებით უსმენდა მის ნაამბობს სკოლის, ჩხუბებსა და შეგირდთა უმცროს-უფროსობის შესახებ. მალე თვით პატარა როუდონივით ჩინებულად დაისწავლა ყველა მასწავლებლისა და წარჩინებული მოწაფის სახელი. მოიწვია პატარა როუდონის გულითადი მეგობარი სკოლიდან და ორივე ბავშვი დააოსა წარმოდგენის შემდეგ შაქარლამისა და ხამანწკის ჭამით და

შავი ლუდის სმით. ცდილობდა მზოდნის იერი მიეღო, როცა პატარა როუდონი ლათინური გრამატიკის იმ ნაწილს აჩვენებდა, რომელიც გაკვეთილად ჰქონდათ.

- ბეჯითად მოეკიდე, შვილო, - დიდი სერიოზულობით ეუბნებოდა ბავშვს, - კარგ კლასიკურ განათლებას არაფერი სჯობია!.. არაფერი!

ბეკი დღედადღე უფრო და უფრო ითვალწუნებდა ქმარს.

- რაც გინდა ჰქენი, საადც გნებავს, იქ ისადილე.წაბრძანდი და ჯანჯაფილის ლიმონათი და ნახერხი მიირთვი ასტლის ცირკში[171], ანდა ფსალმუნი იგალობე ლედი ჯეინთან ერთად, ოღონდ იმედი ნუ გექნება, მე თავი გავიცხელო ბავშვისათვის! მეშენი საქმეები უნდა მოვაგვარო, რადგან შენ თვითონ ვერა გაგიწყვია რა. ნეტავი ვიცოდე, ახლა სად იქნებოდი და რა მდგომარეობა გეჭირებოდა საზოგადოებაში, მე რომ არ გპატრონობდე?

მართლაც, არავის არაფრად უნდოდა საბრალო როუდონი იმ წვეულებებში, სადაც ბეკი დაბრძანდებოდა. ახლა ბეკის უმისოდაც ხშირად იწვევდნენ ხოლმე. ქალბატონი კროული ისეთი რიხით ლაპარაკობდა დიდკაცობაზე, თითქოს მეი-ფეირი მისი სამკვიდრო მამული ყოფილიყო და როცა სამეფო კარი გლოვაში იყო, ისიც ყოველთვის შავს იცვამდა.

რაკი პატარა როუდონი მიიბარეს სკოლაში, ლორდ სტაინმა, რომელიც ასეთი მამობრივი გულისხმიერებით ზრუნვა ამ საამურ, საწყალ ოჯახზე, იფიქრა, მათი ხარჯები ძალიან კარგად შეიძლება შეიკვეცოს მის ბრიგზის თავიდან მოშორებითო და ბეკიც იმდენად გამჭრიახია, თვითონვე გაუძღვება თავის ოჯახსო. ერთ წინა თავში მოგახსენეთ, გულმოწყალე დიდკაცმა თავის პროტეჟეს ფული რომ მისცა მის ბრიგზის პატარა ვალის გადასახდელად, თუმცა ეს მანდილოსანი მაინც არ მოშორებია თავის მეგობრებს. აქედან მილორდი იმ სამწუხარო დასკვნამდე მივიდა, რომ ქალბატონმა კროულიმ უფრო სხვა საქმეში გამოიყენა მინდობილი ფული და არა იმაში, რომლისთვისაც ხელგაშლილმა მფარველმა უთავაზა. მაგრამ ლორდი სტაინი ისე ტლამქი ვინმე არ გახლდათ, რომ თავისი ეჭვები თვით ქალბატონ ბეკისთვის გაემხილა, რომლისთვისაც შეიძლებოდა გული ეტკინა ფულის საქმეში რაიმე გაუგებრობას და რომელსაც ეგებ ათასი მტკივნეული მიზეზი

მოეპოვებოდა მისი ბრწყინვალების გულუხვი ნაწყალობევის სხვანაირად გამოყენებისათვის. ოღონდ გადაწყვიტა კი, გული დაეჯერებინა საქმის ჭეშმარიტი ვითარების გამორკვევით და დიდის სიფრთხილითა და წინდახედულებით ჩაატარა სათანადო გამოძიება.

უპირველეს ტოვლისა მის ბრიგზს დააყაჭვინა ყველაფერი. ეს მაინცდამაინც არ გახლავთ ძნელი საქმე - ძალიან მცირე წამაქეზებელი საბაბი აალაპარაკებდა ხოლმე ამ ღირსეულ მანდილოსანს ფრიადის სიტყვა-ხვავრიელობით და გადმოაშლევინებდა მთელ გულისნადებს. ჰოდა, ერთ დღეს, როცა ქალბატონი კროული ეტლით სასეირნოდ წაბრძანდა (როგორც ბატონმა ფინჩმა, მისი ბრწყინვალების ერთგულმა მსახურმა, ადვილად შეიტყო ეტლების სადგომში, სადაც კროულებს თავიანთი ცხენ-ეტლი ეყენათ, ან, უფრო სწორედ რომვთქვათ, სადაც ეტლების სადგომის პატრონს ეტლი და ცხენები ჰყავდა ბატონი და ქალბატონი კროულებისთვის), მილორდმა შეიარა კეზონ-სტრიტის სახლში, სთხოვა ბრიგზს, ერთი ფინჯანი ყავა დამალევინეო; უთხრა, სკოლაში მყოფი პატარა ბიჭის კარგი ამბავი ვიციო, და ხუთ წუთში გამოარკვია, რომ ქალბატონ კროულის ბრიგზისთვის შავი აბრეშუმის კაბის გარდა სხვა არაფერი მიეცა, რომლისთვისაც მის ბრიგზი უზომოდ მადლიერი იყო.

მარკიზს გულში ეცინებოდა ამ მიამით ამბავზე, რადგან, მართალი მოგახსენოთ, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა რებეკამ ფრიად დაწვრილებით მოუთხრო, როგორ გაეხარა ბრიგზს თავისი ფულის - ათას ას ოცდახუთი გირვანქა სტერლინგის - მიღება, რა პროცენტიან ქაღალდებში დააბანდა იგი და გულის ტკივილსა გრძნობდა თვით ბეკი, იძულებული რომ იყო, ამდენი თანხა სხვისთვის მიეცა. „ვინ იცის, ეგებ ცოტაოდები კიდევ გამოიმეტოსო!“ - იქნებ გაუელვა კიდეც თავში ჩვენს ძვირფას მანდილოსანს. მაგრამ მილორდს აღარაფერი შეუთავაზებია პატარა გაიძვერა დედაკაცისათვის - ალბათ იფიქრა, უკვე საკმაოდ ხელგაშლილად მოვიქეციო.

მერე ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა და მის ბრიგზს მისი პირადი საქმეების ვითარება გამოჰკითხა. შინაბერამაც მის ბრწყინვალებას გულწრფელად უამბო თავისი ამბავი: როგორ დაუტოვა მის კროულიმ მცირე მემკვიდრეობა; როგორ მისცა ნაწილი ნათესავებს; დანარჩენი ნაწილი კი პლკოვნიკმა

კროულიმ როგორ ჩაიბარა და ფრიად საიმედოდ და კარგი მოგებით რომ მოათავსა საქმეში და ბატონი და ქალბატონი კროული გულკეთილად როგორ მოელაპარაკნენ სერ პიტს, რათა მან, როცა დროს იშოვნის, კიდევ უფრო ხელსაყრელად დააბანდოს. მილორდი შეეკითხა, პოლკოვნიკმა რამდენი თანხა გამოგართვათ უკვეო, და მის ბრიგზმა მყის დაჭეშმარიტებით მოახსენა, ექვსასზე ცოტა მეტი გირვანქა გახლავთო.

მაგრამ როგორც კი მოითავა თავისი ამბავი, ენაჭარტალა ბრიგზმა ინანა გულწრფელობა და შეევედრა მილორდს, ჩემი ნათქვამი ბატონ კროულის არ უთხრათო. „პოლკოვნიკი ისე გულკეთილია... ბატონ კროულის შეიძლება ეწყინოს, უკან დამიბრუნოს ეს ფული და მერე სადღა შემიძლია ასეთი კარგი მოგებით მოთავსებაო!“ ლორდი სტაინი სიცილის პირით დაჰპირდა, არასოდეს არ გავთქვამ თქვენს ნალაპარაკევსო, და როცა მის ბრიგზს გამოესალმა და წავიდა, კვლავ განაგრძობდა სიცილს.

„ეს რა ნამდვილი პატარა ჭინკაა! - ფიქრობდა იგი. - რა დიდებული მსახიობი და ყალთაბანდია! წინადღეს თავისი ლაციცობით თითქმის კიდევ ერთი იმდენი არ წამღლიტა. ეგ ყველა ქალსა სჯობნის, რომელიც კი ოდესმე ჩემს კარგად გატარებულ სიცოცხლეში შემხვედრია. ამასთან შედარებით ისინი ღლაპები არიან და მე თვითონ ცინგლიანი ლაწირაკი, ნამდვილი ტუტუცი, ბებერი ვარ მის ხელში. პირდაპირ სწორუპოვარი ცრუპენტელაა!“ ბეკის წინაშე მისი ბრწყინვალების აღტაცებამ კიდევ უფრო იმატა პატარა დედაკაცის გამჭრიახობის ამ დამადასტურებელ საბუთზე. ფულის გამოცინცვლა კიდევ არაფერი, მაგრამ საჭიროზე ორკერ მეტის მიღება და სრულიად არავის გასტუმრება კი სწორედ საუცხოო ოინი იყო. მილორდის აზრით, არც კროული ბრძანდებოდა ისე სულელი, როგორც გამოიყურება დათავს გვაჩვენებსო. თავის მხრივ საკმაოდ ხრიკიანად მოუწყია საქმე - გამომეტყველებასა და ქცევაზე ვერავინაც ვერ შეატყობს, რომ მან რაიმე იცის ფულებისა; ნამდვილად კი მან ააგულიანა ცოლი და, უეჭველია, ფულიც იმან გაფლანგა. ამ აზრში მილორდი, როგორც ვიცით, ცდებოდა, მაგრამ ამან დიდი გავლენა იქონია მის ქცევაზე პოლკოვნიკ კროულის მიმართ - ახლა მან კიდევ უფრო მოუკლო ისედაც დამცრობილ იმ პატივს, რომელსაც იგი იჩენდა ამ ჯენტლმენისადმი. ფიქრადაც

არ მოსვლია ქალბატონ კროულის მფარველს, რომ პატარა დედაკაცი თავისთვის იკეთებდა ხაზინას. თუ სიმართლე გნებავთ მოგახსენოთ, მარკიზი პოლკოვნიკ კროულის განსჯიდა ალბათ სხვა ქმრების მაგალითის მიხედვით, რომელნიც ბევრი ენახა თავისი ხანგრძლივი და კარგად გატარებული სიცოცხლის მანძილზე და ადამის მოდგმის მრავალნაირ სისუსტესაც გასცნობოდა. მილორდს თავის სიცოცხლეში იმდენი კაცი მოეყიდა, რომ, რასაკვირველია, მიეტევება, თუ ეგონა, ამ ვაჟბატონის ფასსაც მივხვდიო.

როგორც კი მარტო დაიხელთა, მაშინვე ისაყვედურა ამაზე ბეკის და თანაც გულკეთილად ქათინაურიც უთხრა საჭიროზე ორჯერ მეტი თანხის დატყუებაში ასეთი გამჭრიახობის გამოჩენისათვის. ბეკი მხოლოდ ცოტათი შეჩქვიფდა. ამ ძვირფას არსებას ჩვეულებად არა ჰქონდა ტყუილების თქმა, თუ აუცილებლობა არ აიძულებდა, მაგრამ დიდ გასაჭირში კი ძალიან იოლად შეეძლო ცრუპენტელაობა. ამიტომ თვალის დახამხამებაში უკვე მზადა ჰქონდა დამაჯერებელი დაწვრილებითი დალაგებული სხვა მოთხრობა, რომელიც უამბო კიდეც თავის მფარველს, წინანდელი მისი ნამბობი სიცრუე იყო, სასტიკი სიცრუე! ამას აღიარებდა, მაგრამ ვინ ათქმევინა ეს სიცრუე?

- ოჰ, მილორდ, - უთხრა მან, - თქვენ არ იცით რა ტანჯვა-წამებას ვითმენ ხმაამოუღებლად. თქვენს წინაშე მხიარულსა და ბედნიერსა მხედავთ და არ იცით, რა დღეში ვარ, როცა ჩემი მფარველი ახლოს გვერდში აღარა მყავს. სწორედ ჩემმა ქმარმა მუქარითა და უხეში ძალდატანებით მაიძულა მეთხოვა თქვენთვის ის თანხა, რომლის საქმეშიაც მოგატყუეთ. იმან გაითვალისწინა, რა კითხვები შეიძლებოდა აღგძვროდათ ფულის დაბანდების თაობაზე და მაიძულა ისე მომეხსენებია თქვენთვის, რაც გითხარით. იმან წამართვა ფული. იმან მითხრა, მის ბრიგზს გადავუხადეო. მე არ მინდოდა და ვერც ვბედავდი, დავეჭვებულიყავი. მიუტევეთ შეცოდება, რომელიც იძულებით ჩაიდინა სასოწარკვეთილმა კაცმა და შეიბრალეთ საცოდავი, საცოდავი ქალი!

ბეკის ამ ლაპარაკში ტირილიც წასკდა. დევნილ სათნოებას ჯერ არასოდეს ჰქონია მომაჯადოებელად მწუხარე სახე.

ისინი დიდხანს მუსაიფობდნენდა ქალბატონ კროულის ეტლით უვლიდნენ და უვლიდნენ ირგვლივ რიჟენტს-პარკს,

ოღონდ არ არის საჭირო ამ მუსაიფის შინაარსი დაწვრილებით გადმოვცეთ. შედეგი კი ის გახლავთ, რომ როცა ბეკი შინ დაბრუნდა, პირზე ღიმმორეული მიეჭრა ძვირფას ბრიგზს და აუწყა, შენთვის ძალიან საამო ამბავი მომაქვსო. ლორდი სტაინი ფრიად კეთილშობილად და ხელგაშლილად მოიქცა. სულ ის უტრიალებდა თავში, ვის რა სიკეთე ვუყოო. ახლა, რაკი პატარა როუდონი სკოლაში მიიბარეს, ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი აღარ ესაჭიროებოდა. იგი უზომოდ წუხდა ბრიგზის მოშორებას, მაგრამ იძულებული იყო დიდი ხელმომჭირნეობით ეცხოვრა, მწუხარება კი იმით უმსუბუქდებოდა, რომ მის ძვირფას ბრიგზს გაცილებით უკეთეს ადგილს უშოვნიდა ხელგაშლილი მფარველი, ვიდრე მისი საწყალი სახლი იყო. ქალბატონი პილკინგტონი. გონტლიჰოლის მნე, ძალიან დაბერდა, დაჩაჩანაკდა და დაქარიანდა; იგი ვეღარ ახერხებს იმ ვეება სასახლის ყურისგდებას და საჭირო შეიქნა შემცვლელის მოძებნა. ბრწყინვალე ადგილია - ორ წელიწადში ერთხელ თუ მიდის ოჯახი გონტლიში. დანარჩენ დროს მნე არის ამ დიდებული სასახლის ბატონ-პატრონი: ყოველდღე ოთხი კაცის სუფრას უშლიან, სტუმრად მოსდიან სასულიერო პირნი და საგრაფოს პატივცემული ხალხი - ერთი სიტყვით, გონტლის ნამდვილი ქალბატონი ბრძანდება. ამასთანავე ქალბატონი პილკინგტონის ორი უკანასკნელი წინამორბედი მნე გონტლის მღვდლებმა შეირთეს, ოღონდ ქალბატონ პილკინგტონს კიეს იმიტომ არ მოუხერხდა, რომ ახლანდელ მღვდელს მამიდად ეკუთვნოდა. ადგილი ჯერ კიდევ არ იყო მისი, მაგრამ შეეძლო ჩასულიყო სტუმრად ქალბატონ პილკინგტონთან და ენახა, მოეწონებოდა თუ არა მის მონაცვლედ დარჩენა.

რა ენა გამოთქვამს ბრიგზის აღფრთოვანებულ მადლობას! მარტო ის მოითხოვა პირობად, რომ პატარა როუდონისთვის დაერთოთ ნება, სტუმრად მოსულიყო მასთან გონტლი-ჰოლში. ბეკი შეჰპირდა... შეჰპირდაყველაფერს. ქმართანაც მიცქრიალდა, როცა იგი შინ მოვიდა, და სასიხარულო ამბავი აცნობა. როუდონსაც გაეხარა, ძალიან გაეხარა. დიდი ლოდი მოსცილდა გულზე საბრალო ბრიგზის ფულების თაობაზე. უზრუუ\ნველყოფილი მაინც იქნებოდა მოხუცი, მაგრამ... მაგრამ გული მაინც ეთანაღრებოდა. რაღაც კარგი პირი არ უჩანდა ამ საქმეს. ლორდ სტაინის საქმენი როუდონმა პატარა საუთდაუნს უამბო და ყ,აწვილმა კაცმა ისეთი თვალით შემოხედა, რომ პოლკოვნიკი სახტად დარჩა.

ლედი ჯეინსაც უთხრა სტაინის ხელგაშლილობის ეს მეორე დამადასტურებელი საბუთი და მანაც უცნაურად და შეშფოთებით შემოხედა. ასევე მოიქცა სერ პიტიც.

- ეგ იმდენად ჭკვიანი და.. და თამამი ქალია, რომ რიგი არ არის წვეულებიდან წვეულებაში უთანამხლებლოდ იაროს. - განაცხადა ორივემ. - შენც უნდა დაჰყვებოდე თან, როუდონ, როცა სადმე წავა და უნდა ვინმე იყოს მასთან... ეგებ დედოფლის კროულის რომელიმე ქალიშვილი, თუმცა იცინი, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა მცველები კიიქნებიან.

ბეკის ვინმე უნდა ხლებოდა, მაგრამ ამასთანავე აშკარა იყო, რომ პატიოსან ბრიგზს ხელიდან არ უნდა გაეშვა მთელი სიცოცხლის უზრუნველსაყოფი ეს შემთხვევა. ამიტომ მან შეიკრა თავის ბარგიბარხანა და გაუდგა გზას. ასე რომ, როუდონის ორი გარე გუშაგი მტრის ხელთ აღმოჩნდა.

სერ პიტი რძალს ესტუმრა და მეგობრულად უსაყვედურა ბრიგზის გასტუმრებისა და სხვა საჩოთირო ოჯახურ საქმეებზე. ამაოდ უმტკიცებდა ბეკი, რა აუცილებელი იყო ლორდ სტაინის მფარველობა მისი საბრალო მეუღლესათვის; რა ბოროტება იქნებოდა მათის მხრით, ბრიგზისათვის ეს შეთავაზებული ადგილი გამოეწირათ. ლიქვნამ, ლაქუცმა, პირმოთნეობამ, ღიმილმა და ცრემლებმა ვერ დააკმაყოფილეს სერ პიტი და ჩხუბის მსგავსი რაღაც კი მოუვიდა ოდესმე მის სათაყვანებელ ბეკისთან. ელაპარაკა ოჯახის პატივზე, კროულების უმწიკვლო სახელზე; გულისწყრომა გამოთქვა მის სახლში სიარულზე იმ ახალგაზრდა ფრანგებისა, მაღალი საზოგადოების იმ დამთხვეული ახალგაზრდებისა, და თვით ლორდ სტაინისა,რომლის ეტლიც ნიადაგ მის კარწინ იდგა, რომელიც ყოველდღე მარავალ საათს ატარებდა მასთან და რომლის მუდამ იქ ყოფნამაც აალაპარაკა მთელი საზოგადოება. ვითარცა სახლის მეთაური, იგი ევედრებოდა, მეტი წინდახედულობა გამოეჩინა. საზოგადოება უკვე აგდებით ახსენებდა მას. თუმცა ლორდი სტაინი მაღალი მდგომარეობისა და ნიჭის დიდებული ბრძანდებოდა, ისეთ კაცადაც იყო ცნობილი, რომლის ყურადღება ყველა ქალს გაუტეხდა სახელს. იგი ეხვეწებოდა, ევედრებოდა, უბრძანებდა რძალს, მოფრთხილდებოდა ამ დიდაზნაურთან ურთიერთობას.

ბეკი ყველაფერს და ყოველივეს დაჰპირდა პიტს; მაგრამ ლორდ სტაინი ძველებურად ხშირად დადიოდა მის სახლში და სერ

პიტს უფრო და უპრო მოსდიოდა გული. ნეტავი ლედი ჯეინს სწყინდა თუ ეამებოდა, მისმა მეუღლემ ბოლოს და ბოლოს მაინც რომ აღმოუჩინა ნაკლო თავის ამოჩემებულ რებეკას? ლორდ სტაინის სტუმრობანი რომ გაგრძელდა, პიტისა შეწყდა. მისი მეყღლე მომხრე იყო სულაც გაეწყვიტათ ყოველი ურთიერთობა იმ დიდგვაროვან პირთან და უარი თქვა მარკიზის მეუღლისაგან შერადების საღამოზე მიწვევაზე; მაგრამ, სერ პიტის აზრით, აუცილებელი იყო ამ საღამოზე წასვლა, ვინაიდან მისი სამეფო უმაღლესობა ესწრებოდა მას.

სერ პიტი ხსენებულ შეკრებულობაში კი გამოცხადდა, მაგრამ ძალიან მალე დატოვა და მისი მეუღლეც ფრიად მოხარული იყო, ადრე რომ წამოვიდნენ. ბეკის თითქმის ხმაც არ გაუცია პიტისთვის, ხოლო რძალი ხომ ლამის სულაც არ შეუნიშნავს. პიტ კროულიმ განაცხადა, მისი ქცევა სასტიკად უხამსი და უმართებულოაო. თან მაგარ-მაგარი სიტყვებით კიცხავდა წარმოდგენების დადმისა და მასკარადების ჩვეულებას, ვითარცა ბრიტანელი მანდილოსნისათვის სრულიად შეუფერებელს. შარადების წარმოდგენის შემდეგ სასტიკად დატუქსა ძმა მასში გამოსვლისათვის და აგრეღვე ცოლსაც რომ ნება დართო მონაწილეობა მიეღო ასეთ არაკადრისს სანახაობაში.

როუდონი შეჰპირდა, ჩემი ცოლი აღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას ასეთ გართობაშიო, და თვითონაც, ალნათ უფროსი ძმისა და რძლის გადაკრული სიტყვებით შეფიქრიანებული, უკვე ძალიან ფრთხილი და სამაგალითო მეოჯახე გახდა. თავი დაანება კლუბებში სიარულსა და ბილიარდის თამაშს. შინიდან ფეხს აღარ იცვლიდა. ბეკი თვითონ მიჰყავდა ეტლით სასეირნოდ ბეჯითად დაჰყვებოდა ყველა წვეულებაში. როცა არ უნდა მოსულიყო ლორდი სტაინი, პოლკოვნიკი უეჭველად სახლში დახვდებოდა, ხოლო როცა ბეკი დააპირებდა უმისოდ სადმე წასვლას. ანდა მარტო თავისთვის მიიღებდა მიპატიჟებას, იგი მბრძანებლური კილოთი უარს ათქმევინებდა წასვლაზე და ვაჟბატონის ყოფაქცევაში ისეთი რაღაც გამოსჭვიოდა, რაც ბეკის აიძულებდა, დამორჩილებულიყო. პატარა ბეკი, მართალი მოგახსენოთ, მოიხიბლა როუდონის თავაზიანობით. თუ ქმარი მოღუშული იყო, ცოლი არასოდეს გახდათ ცუდ გუნებაზე. სტუმრები ჰყავდნენ თუ არა, ბეკის ყოველთვის ალერსიანი ღიმილი ჰქონდა მისთვის შემონახული და გულმოდგინედ

ზრუნავდა მისი სიამოვნებისა და მყუდროებისათვის. მათი ქორწინების ადრინდელი დღეები მეორდებოდა - კვლავ ისეთივე კარგი განწყობილება, prévenances[172], მხიარულება, ალალი ნდობა და ყურადღება.

- რამდენად უფრო სასიამოვნოა, - იტყოდა ქალი, - იმ ბებრუხანა ტუტუცი ბრიგზის მაგიერ ეტლში გვერდით შენ რომ მიზიხარ. მოდი სულ ასე ვიყოთ, გენაცვალე, როუდონ. რა კარგი იქნებოდა და რა ბედნიერი ვიქნებოდით მუდამ, მხოლოდ ფული რომ არ გვაკლდეს!

ნასადილევს როუდონს სავარძელში ჩაეძინებოდა და ვერა ხედავდა მის წინ მჯდომი ცოლის გაცრეცილ, მისავათებულ და შემაძრწუნებელ სახეს, რომელიც ქმრის გამოღვიძებისთანავე ნაზი, წრფელი ღიმილით გაშუქდებოდა ხოლმე. ქალი მხიარულად გადაკოცნიდა მეუღლეს და როუდონს უკვირდა, მის ერთგულებაში ეჭვი როგორ შემეპარაო. არა, მას ეჭვი არც ჰქონია - ყველა ის უტყვი გუმანი და ავი წინათგრძნობანი, რომლებიც არ ასვენებდნენ, მხოლოდ ფუჭი, უბრალო ეჭვიანობის ბრალია. ბეკის იგი უყვარდა, ყოველთვის უყვარდა. საზოგადოებაში რომ ბრწყინავდა კი, აბა რა მისი დანაშაულია - იგი სწირედ საზოგადოებაში ბრწყინვისათვის იყო გაჩენილი. განა რომელიმე სხვა ქალს შეეძლო მისებრი ლაპარაკი, სიმღერა ან სხვა რაიმე? ნეტავი ბიჭიც უყვარდესო, ნატრობდა როუდონი. მაგრამ დედა-შვილი ვერასოდეს ვერ ეთვისებოდნენ ერთმანეთს.

სწორედ ეს ეჭვები და შემაშფოთებელი ფიქრები რომ უტრიალებდა თავში როუდონს, მაშინ შეემთხვა ის ამბავი, რომელიც წინა თავში მოვიხსენიეთ, და ბედშავი პოლკოვნიკი თავისი სახლიდან მოწყვეტილი და დატუსაღებული აღმოჩნდა.

თავი LIII - სატუსაღოდან თავის დასხნა და კატასტროფა

ჩვენი მეგობარი როუდონი ბატონი მოსის შენობასთან მიიყვანეს კერსიტორ-სტრიტში და წესისამებრ ამ სტუმართმოყვარე, პირქუშ სახლში შეაბრძანეს. კების

თვლების გრიალმა რომ ჩენსერი-ლეინის ექო გამოაღვიძა, იქაური მხიარული სახლების სახურავების თავზე უკვე ირიჟრაჟა და დილის აისის მსგავსად მწითურთავიანმა, თვალებჩაწითლებულმა ურიის პატარა ბიჭმა გაუღო კარი მისულთ. ბატონმა მოსმა, მისმა თანამგზავრმა და მასპინძელმა, როუდონი პირველი სართულის ბინაში შეიპატიჟა და მხიარულად შესთავაზა, ეტლით მგზავრობის შემდეგ რაიმე შემახურებელ სასმელს ხომ არ ინებებთო.

პოლკოვნიკი ისე ნირწამხდარი არ გახლდათ, როგორც ზოგი სიკვდილის შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც მიატოვებინეს სასახლე და placens uxor[173] და კორტ მოვალეთა სატუსაღოში ამოაყოფინეს თავი; რადგან, მართალი რომ მოგახსენოთ, ბატონი მოსის დაწესებულების ბინადარი ერთი-ორჯერ წინათაც ბრძანდებოდა იგი. საჭიროდ არ ჩავთვალეთ ამ მოთხრობის წინა ნაწილში მოგვეხსენიებინა ეს წვრილმანი ოჯახური ამბები, მაგრამ მკითხველი დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს, რომ ასეთი რამ ფრიად ხშირად ემართება ცხოვრებაში წლიური შემოსავლის გარეშე მცხოვრებ კაცს.

ბატონ მოსთან პირველი სტუმრობის დროს, მამიდის ხელგაშლილობამ იხსნა ჯერ კიდევ უცოლშვილო პოლკოვნიკი, მეორე ძნელბედობის ჟამს, პატარა ბეკიმ დიდი სულიერი სიმტკიცითა და გულკეთილობით ლორდ საუთდაუნისაგან ისესხა ცოტაოდენი თანხა და ლიქნით დააჯერა ქმრის მოვალე (რომელიც, მართალი თუ გნებავთ, მისი შალების, ხავერდის კაბების, მაქმანიანი ცხვირსახოცების, წვრილმანი სამკაულებსია და ზიზილ-პიპილების მომრთმევი გახლდათ), თანხის ნაწილი და როუდონის პირობის წერილი მიეღო დანარჩენისათვის. ასე რომ ორივე შემთხვევაში შეპყრობაც და განთავისუფლებაც დიდი თავაზიანობით იქნა აღსრულებული ყოველის მხრივ და ამიტომ მოსი და პოლკოვნიკი ფრიად კარგად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთის მიმართ.

- პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენი საწოლი და ყველაფერი ჩინებულად გაწყობილი დაგზვდებათ. პოლკოვნიკო, - მოახსენა ამ დარბაისელმა. სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველთვის ვამზეურებდით ხოლმე და სულ საუკეთესო ხალხაც ეჭირა. წინა ღამეს პატივცემული კაპიტანი ფემიში იწვა შიგ. 50-ე დრაგუნთა ლეგიონის ოფიცერი. ის დედიკომ გამოიხსნა ორი კვირის შემდეგ - ცოტა მაინც

დაისაჯოსო, თქვა ქალბატონმა. მაგრამ, ღმერთმანი, გარწმუნებთ შამპანური უფრო დაისაჯა - ყოველ ღამე ქეიფი ჰქონდა. სულ პირველი დარდიმანდები მოისდიოდნენ კლუბებიდან და უესტ-ენდიდან - კაპიტანი რეგი, პატივცემული დიუსისი, ტემპლში რომ ცხოვრობს, და სხვა ვაჟბატონები, უნდა მოგახსენოთ, კარგი ღვინის გემო რომ იციან. ზემოთ თვთისმეტყველების დოქტორი მყავს, სასადილო ოთახში - ხუთი აზნაური. ქალბატონი მოსი საერთო სუფრას ექვსის ნახევარზე შლის, შემდეგ ცოტა ბანქოს თამაშითა და მუსიკით ერთობიან, რომლებზედაც, ბედნიერი ვიქნებით, თუ თქვენც გიხილავთ.

- თუ რამედამჭირდა, დაგირეკავთ, - უთხრა როუდონმა და მშვიდად გაემართა თავისი საწოლი ოთახისაკენ.

როუდონი,ნაღქვამი გვაქვს, ძველი მეომარი იყო და ბედისწერის მცირე დარტყმები ადვილად ვერ შეაშფოთებდა. უფრო სუსტი კაცი დდატუსაღების უმალვე გაუგზავნიდა ცოლს წერილს. „მაგრამ არა რა საჭიროა, ღამის მოსვენება გავუფრთხო? - გაიფიქრა როუდონმა. - ვერც გაიგებს, ჩემს ოთახში ვარ თუ არა.

მაშინაც საკმაო დრო მექნება მისაწერად, როცა ისიც და მეც ლაზათიანად გამოვიძინებთ. მარტო ას სამოცდაათი გირვანქის საქმეა და, დალახვროს ღმერთმა, როგორ ვერ მოვაგვარებთ!“ ამრიგად, პატარა როუდონზე ფიქრში წასული პოლკოვნიკი (მას არც უნდოდა, პატარას შეეტყო, იგი ისეთ უცნაურ ადგილას რომ მოხვდა!) ჩაწვა ლოგინში, რომელიც დაბოლოს კაპიტან ფემიშს ეჭირა, და ძილს მისცა თავი. ათ საათზე გამოეღვიძა. მწითურთმიანმა ბიჭმა დაუფარავი სიამაყით მოართვა ჩინებული ვერცხლის პირის საპარსი მოწყობილობა, რომლითაც აღასრულა კიდეც ეს საქმე. ბატონი მოსის სახლი ცოტა ბინძური, მაგრამ მთლიანად კი ბრწყინვალედ მორთული იყო. ბუფეტზე en permanence[174] იდგა ჭუჭყიანი სინები და ღვინის ჩასაცივებელი სათლები. ვეება, მოოქროვილი, ბინძური კარნიზებით წვირიანი ყვითელი ატლასის ფარდები ეკიდა კერსოტორ-სტრიტს გადამყურე გისოსიან ფანჯრებზე. სულ უდიდესი ოსტატების ნახელავ ნადირობისა და წმიდათა ცხოვრების სურათებსაც უშველებელი ჭუჭყიანი მოოქროვილი ჩარჩოები ჰქონდა გაკეთებული და დიდძალ ფულადაც დასობდა სავექსილო საქმიანობაში,რომლის დროსაც ისინი

მრავალგზის გახლავთ ყიდვა-გაყიდვის საგანი.პოლკოვნიკს საუზმე იმავე წვირიანი და საუცხოო ჭურჭლით მიართვეს. თმის დასახუჭუჭებელი ქაღალდის მილებით შემკული შავთვალა მის მოსი ჩაიდნეთა და ღიმილით ეახლა და თავაზიანად ჰკითხა პოლკოვნიკს, როგორ მოისვენეთო? მოართვა აგრეთვე „მორნინგ პოსტი“, რომელშიაც წინა ღამეს ლორდ სტაინის წვეულებაში დამსწრე მთელი დიდკაცობის სახელები იყო მოხსენებული. იგი შეიცავდა დროსტარებისა და ტურფა, სრულყოფილი ქალბატონი კროულის აღმაფრთოვანებელი თამაშის ბრწყინვალე აღწერილობას.

ამ მანდილოსანთან ხალისიანი მუსაიფის შემდგომ (იგი სასაუზმე მაგიდის კიდეზე გახლდათ ჩამომჯდარი უზრუნველი სახით და ჩამოჩაჩული წინდა და ქუსლმოცვეთილი, ოდესღაც თეთრი ატლასის მაშიები მოუჩანდა) პოლკოვნიკმა კროულიმ საწერ-კალამი და ქაღალდი მოითხოვა. მის მოსმა ჰკითხა, რამდენი ფურცელი გნებავთო და როცა უთხრეს, ამოარჩია ერთი და ორი თითით დაჭერილი ფრთხილად მოურბენინა. ამ შავთვალა ქალიშვილს ბევრი ფურცელი მოურთმევია აქ. ბევრ საბრალოს საჩქაროდ მიუჯღაბნ-მოუჯღაბნია და დაულაქავებია ხვეწნა-მუდარის სტრიქონები და შიკრიკისაგან პასუხის მოტანის მოლოდინში ბოლთა უცია საშინელ ოთახში. საწყალი ხალხი ბოლთა უცია საშინელ ოთახში. საწყალი ხელხი ყოველთვის შიკრიკებს იყენებენ ფოსტის ნაცვლად. ვის არ მიუღია მათი ჯერ კიდევ წებოშეუმშრალი წერილები და თან შეხსენება: კაცი წინა ოთახში პასუხს ელოდებაო!

თავისი წერილის შედეგისთვის როუდონს მაინცდამაინც ავად არ უთქვამდა გული.

„ძვირფასო ბეკი - სწერდა როუდონი, - ვიმედოვნებ, კარგად გეძინა. ნუ შეგეშინდება, თუ ყავას ვერ შემოგიტან. წუხელის სიგარის წევით რომ მოვდიოდი შინისაკენ, ერთი ამბავი შემემთხვა - კერსიტორ-სტრიტელმა მოსმა მტაცა ხელი - რომლის მოოქრულ და ბურუწყინვალე სასტომროდან ვწერ კიდეც ამას - სწორედ იმან, ამ ორი წლის წინათაც რომ დამიჭირა. მის მოსმა მომართვა ჩაი - ეს ძალიან დასქელებულა და ჩვეულებისამებრ, ჩლუქები ქუსლებამდე აქვს ჩახვეტილი.

„ეს ნათანის საქმეა - ას ორმოცდაათი; ხარჯებით - ას სამოცდაათი. გეთაყვა გამომიგზავნე ჩემი საწერ-კალმის

კოლოფი და ცოტაოდენი ტანუსამოსი - საწვეულებო ლაქიანი წაღები მაცვია და თეთრი ყელსახვევი მიკეთია (რაღაც მის მოსის ჩლუქების მსგავსი) - შიგ სამოცდაათი მაქვს. ამის მიღებისთანავე წადი ნათანთან, შესთავაზე სამოცდახუთმეტი და სთხოვე განგიახლოს. - უთხარი, ღვინოს ავიღებ-თქო. შეიძლება აგრეთვე ცოტა ხერესიც ავიღოთ სადილისთვის, მაგრამ სურათები კი არა - ძალიან ძვირებია.

„თუ არა ქნა, აიღე ჩემი საათი და შენი ისეთი ნივთები, რომლებიც შეგელევნება და ბოლზს გაუგზავნე- რასაკვირველია, ფული ამ საღამოს უნდა გვქონდეს. გადასახადები არ არის, რადგან ხვალ კვირაა. აქაური ლოგინი მაინცდამაინც ვერაფერი სუფთაა და თან კიდევ შეიძლება სხვა რაიმე სადავიდარაბოც გამომიტყვრეს. მიხარია, როუდონს შინ მისვლის შაბათი რომ არ არის. ღმერთმა გაკურთხოს.

შენი რ. კ.

„აჩქარებით ვწერ.

„ჩქარა მოდი“.

ეს დაბეჭდილი წერილი ერთ-ერთმა იმ შეკრიკთაგანმა წაიღო, რომელნიც ბატონი მოსის დაწესებულების ახლოს ყოველთვის მოიპოვებიან. როუდონმა რომ გაისტუმრა იგი, ეზოში გამოვიდა და საკმაოდ გულარხეინად გააბოლა სიგარა - თუმცა ირგვლივ გისოსი ჰქონდა შემოვლებული; ვინაიდან ბატონი მოსის ეზო გალიასავით რკინებით არის შემოხლართული, რათა მობინადრე ვაჟბატონებს მისი სტუმართმოყვარე სახლიდან თავდაღწევის ცდუნებამ არ სძლიოთ.

მისი ანგარიშით, ბევრი-ბევრი სამი საათი დასჭირდებოდა ბეკის მოსვლას და სატუსაღჯს კარის გახსნას. ეს დრო მან ხალისიანად გაატარა სიგარის წევაში, გაზეთუს კითხვაში და საერთო სასადილო დარბაზში ნაცნობ კაპიტან უოკერთან, რომელიც შემთხვევითი იქ აღმოჩნდა და რომელსაც რამდენიმე საათს ეთამაშა ექვს-ექვს პენიზე, მოგება-წაგების სრულიად თანაბარი შედეგიანობით.

მაგრამ დღე იწურებოდა და არც შიკრიკი დაბრუნებოდა, არც ბეკი გამოჩენილა. ბატონი მოსის საერთო სუფრა ჩვეულებისამებრ ექვსის ნახევარზე გაიშალა. სახლის მობინადრე დარბაისელნი, ვისაც გადახდა შეეძლო,

მობრძანდნენ და შემოუსხდნენ სუფრას ზემოაღწერილ დიდებულ სასტუმრო დარბაზში, რომესაც ბატონი კროულის დროებითი სამყოფელი ესაზღვრებოდა. მის მ. (მის ჰემ, როგორც მამიკო ეძახდა მას) დილანდელი დასახუჭუჭებელი ქაღალდების გარეშე გამოცხადდა. ქალბატონმა ჰემმა პატივი დასდო სუფრას და მეინახეებს ცხვრის ჩინებული მოხარშული ბარკალი და თალგამი მოართვა, რასაც პოლკოვნიკი ძალიან უმადოთ შეექცა. როცა ჰკითხეს, ხომ არ ინებებთ ერთი ბოთლი შამპანური „შემოდგათ“ თანამესუფრეთათვისო, იგი დათანხმდა. მანდილოსნებმა მისი სადღეგრძელო მიირთვეს და ბატონმა მოსმაც დიდის თავაზით „გადახედა“.

მაგრამ შუა სადილობაში კარის ზარის ხმა გაისმა. ჟღალთმიანი ახალგაზრდა მოსი წამოდგა კლიტეებიდან, გახედა და რომ შემობრნდა, პოლკოვნიკს მოახსენა: შიკრიკი მოვიდა და აბგა, საწერ-კალამის კოლოფი და წერილი მოიტანაო, და ეს უკანასკნელი კიდეც გადასცა.

- ნუ მოგვერიდებით, პოლკოვნიკო, გთხოვთ! - ბრძანა ქალბატონმა მოსმა ხელის გაშლით და როუდონმაც ცოტა არ იყოს გულის კანკალით გახსნა წერილი. ეს გახლდათ საუცხოო წერილი; ნელსურნელებით უზომოდ გაჟღენთილი, ვარდისფერ ქაღალდზე დაწერილი და ბაცი მომწვანო ლუქით დაბეჭდილი.

„Mon pauvre petit[175], - იწერებოდა ქალბატონი კროული, - მთელ ღამეს თვალი ვერ მოვხუჭე იმის ფიქრში, რა დაემართა ჩემს საძაგელ ბებრუხანა ურჩხულს-მეთქი. მხოლოდ დილით ჩამთვლიმა, როცა ბატონი ბლენჩისაგან (რადგან სიცხე მქონდა) დამაშოშმინებელი წამალი მოვატანინე და დავლიე და ფინეტს დავუბარე, არავითარ შემთხვევაში არ გავეღვიძებინე. ასე რომ. ჩემი საცოდავი ბერიკაცის შიკრიკი, რომელსაც, როგორც ფინეტი ამბობს, bien mauvaise mine[176] ჰქონდა და il sentait le Geniévre[177], წინა ოთახში რამდენიმე საათს უცდიდა ჩემს ზარს. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, როცა შენი საცოდავი, ძვირფასი, შეცდომებით აღსავსე წერილი წავიკითხე!

„ამ უქეიფოდ მყოფმა ადამიანმა უმალვე დავაძახებინე ეტლი და, როგორც ჩავიცვი (ერთი ყლუპი შოკოლადის დალევაც ვერ მოვახეხე - გეფიცები, ვერ

მოვახერხე, ჩემმა monstre-მა[178] რაკი არ შემომიტანა!), ventre à terre[179] ნათანს მივაშურე. ვნახე... ცრემლები ვღვარე...

ვიტირე... საზიზღარ მუხლებში ჩავუვარდი. არაფერმა არ მოულბო გული იმ ამაზრზენ კაცს. ამბობს, რომ მთელ ფულს თუ არ მომცემთ, ჩემს საცოდავ monstre-ს სატუსაღოდან არ გამოუშვებს. შინ დავბრუნდი იმ განზრახვით, რომ გამეკეთებინა triste visite chez mon oncle[180] (მაშინ მთელი ჩემი წვრილმანი სამკაულები შენს განკარგულებაში იქნებოდა, თუმცა მათგან ას გირვანქასაც ვერ ამოვიგებდით, ვინაიდან, ხომ იცი, ზოგი ce cher oncle-ს.[181] აქვს უკვე ხელთ) და იქ მილორდი დამხვდა ბებერი ვერძის სახიანი ბულგარელი ურჩხულითურთ - წინაღამის წარმოგენაში გამოსვლის მოსალოცად მოსულიყვნენ. ჰედინგტონიც მოვიდა; მოჰყვა თავისებური ტკეპნითა და ჩლიფინით ლაპარაკს და თან თმას იჩეჩ-იბურძგნიდა. იყო შამპიმიაკი და მისი შეფიც - ყველანი უხბი ქათინაურებითა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით - და გული გამიწვრილეს მემ საწყალს. აღარ ვიცოდი, როგორ მომეშორებინა ისინი თავიდან და სულ თვალწინ მიდგა mon pauvre prisonnier [182].

„როცა წავიდნენ, მუხლი მოვიყარე მილორდის წინაშე, ვუთხარი, ყველაფრის დაგირავებას ვაპირებთ-მეთქი და ვევედრე და ვემუდარე ორასი გირვანქა მოეცა. ის გაგულისებული ქშინავდა და ხვნეშოდა. მითხრა, არ გასულელდე და არაფერი დააგირავოო და დასძინა, მე ვიფიქრებ, შემიძია თუ არა ფულის სესხებაო. ბოლოს წასვლისას დამპირდა, ხვალ დილას გამოგიგზავნიო და მეც მაშინვე მოვურბენინებ ჩემს საცოდავ, ბებრუხანა ურჩხულს და თან კოცნასაც მოაყოლებს მისი მოსიყვარულე

ბეკი.

„ლოგინში ვწევარ. ოჰ, რა მტკივა თავი და გული!“

როცა როუდონმა ეს წერილი ჩაიკითხა, ისე გაჭარხლდა და განრისხდა, რომ თანამეინახეები ადვილად მიხვდნენ, ცუდი ამბავი მოუვიდაო. მთელი ეჭვები, რომელთა თავიდან მოშორებასაც ცდილობდა, კვლავ განუახლდა. ბეკიმ მისი განთავისუფლებისათვის წვრილმანი სამკაულების გასაყიდად შინიდან გამოსვლაც არ ინება! მას კიდევ ჰქონდა სიცილისა და ყბედობის გული, ქათინაურებს რომ ეუბნებოდნენ, მაშინ როცა ქმარი სატუსაღოში იჯდა. ვინ ჩასვა ის იქ? უენჰემი მასთან ერთად მოდიოდა. ხომ არ... მან ვეღარც კი გაბედა იმაზე ფიქრი, რაც გულს უღრღნიდა. სასწრაფოდ წამოიჭრა, შევარდა

საკუთარ ოთახში, გახსნა საწერ-კალმის ყუთი, ნაჭარებად დაწერა ორიოდე სტრიქონი სერ პიტისა და ლედი კროულისადმი და უბრძანა შიკრიკს ახლავე მიეტანა გონტ-სტრიტში; თან უბრძანა კები დაეჭირა და გინეას შეჰპირდა, თუ ერთ საათში უკან დაბრუნდებოდა.

ბარათში ეხვეწებოდა ძვირფას ძმასა და რძალს, ღვთის გულისთვის, მისი ძვირფასი შვილისა და მისი პატივის გულისთვის, მოსულიყვნენ და ეხსნათ იგი გასაჭირისაგან. იგი სატუსაღოში იჯდა, მას ასი გირვანქა აკლდა გასათავისუფლებლად - იგი ევედრებოდა მათ, მოშველებოდნენ.

შიკრიკის გასტუმრების მერე შემობრუნდა სასადილო ოთახში და კიდევ მოითხოვა ღვინო. იცინოდა და ლაყბობდა უცნაური აღგზნებით, როგორც საზოგადოებას მოეჩვენა. ხანდახან ხარხარებდა საკუთარ ეჭვებზე და ერთ საათს განუწყვეტლივ სვამდა. თან სულ ყური ეჭირა, კარს ეტლი ხომ არ მოადგაო, რომელსაც მისი ბედისწერა ენდა გადაეწყვიტა.

ეს დრო რომ გავიდა, ეტლის მოგრიალების ხმაც გაიგონეს. ახალგაზრდა მეკარე გაეფება თავისი კლიტეებით. მანდილოსანი მოვიდა და შემოუშვა კიდეც შინ.

- პოლკოვნიკ კროულის სთხოვეთ, - თქვა მან ძალიან ათრთოლებულმა.

მეკარემ ნიშანდობლივად გადახედა, ჩაკეტა კარი; მერე გახსნა შიგნითა კარი და გამოსძახა: - პოლკოვნიკო, თქვენ გეძახიან! - და შეიყვანა ქალი უკანა სასტუმრო ოთახში, რომელიც როუდონს ეჭირა.

როუდონი სასადილო დარბაზიდან, სადაც მთელი საზოგადოება ქეიფობდა, თავის ოთახში გამოვიდა. სუსტი შუქი შემოჰყვა შემოსვლისას იმ სამყოფელში, სადაც ჯერ კიდევ ძალიან აღელვებული მანდილოსანი იდგა.

- მე ვარ, როუდონ, - მორცხვად შეეხმიანა იგი და თან ცდილობდა ხალისიანი კილო მიეღო. - ჯეინი ვარ!

როუდონს გული ყელში მოებჯინა ამ ალერსიანი ხმის გაგონებასა და ღზლის დანახვაზე. მივარდა, მოხვია ხელები, დაიწყო რაღაც სამადლობელი სიტყვების ბურტყუნი და

კინაღამ ატირდა მის მხარზე. ქალმა არ იცოდა მისი აღელვების მიზეზი.

ბატონ მოსს სასწრაფოდ გაუსწორეს ანგარიში, იქნებ ამ დარბაისლის იმედის გასაცრუებლადაც, რომელიც პოლკოვნიკის სტუმრად ყოფნას ორშაბათამდე მაინც ვარაუდობდა. ღიმილით სახეგაშუქებულმა და თვალებგაბრწყინებულმა ჯეინმა ბეილიფის სახლიდან გამოიყვანა როუდონი და იმავე კებით გაუდგნენგზას შინისაკენ, რომლითაც მაზლს მოაშურა დასახსნელად.

- პიტი პარლამენტის წევრთა სადილზე იყო წასული, როცა თქვენი წერილი მოვიდა, ძვირფასო როუდონ, და... და მე თვითონ წამოვედი, - და თავისი ნაზი, მოალერსე ხელი ხელში ჩაუდო.

ეგებ როუდონისთვის სჯობდა კიდეც, პირი იმ სადილზე რო იყო წასული. როუდონმა ათასი მადლობა უთხრა რძალს და თან მადლიერების ისეთი გულმხურვალე გრძნობით, რომ გული აუჩუყა და თითქმის შეაშფოთა კიდეც ეს გულჩვილი მანდილოსანი.

- ოჰ,- შესძახა მან თავისი ტლანქი, წრფელი კილოთი, - თქვენ... თქვენ არ იცით, როგორ შევიცვალე მას შემდეგ, რაც გაგიცანით, და... და კიდევ პატარა როუდი. მე... მე მინდა სულ სხვა გავხდე! ხომ იცით, მე მინდა... მე მინდა... ვიყო...

წინადადება აღარ დაუმთავრებია, მაგრამ ჯეინი მაინც მიუხვდა წადილს. და იმ ღამეს, მას რომ გამოემშვიდობა და ატვისი პატარა ბიჭის გვერდით იჯდა, იგი მდაბლად ევედრებოდა ღმერთს ამ საცოდავი, გატეხილი, ბეჩავი ცოდვილის კეთილდღეობისათვის.

როუდონი გამოესალმა რძალს და საჩქაროდ გასწია შინისაკენ. საღამოს 9 საათი იქნებოდა. იგი გადარბოდა ამაოების ბაზრის ქუჩებსა და დიდრონ მოედნებზე და ბოლოს აქაქანებული თავისი საკუთარი სახლის წინ შედგა. ზემოთ რომ აიხედა, იგი უკან მიაწყდა, მოაჯირს მიეყრდნო და აცახცახდა. სასტუმრო ოთახის ფანჯრები გაჩახჩახებული იყო, ცოლმა კი მოსწერა, ავად ვარ და ლოგინში ვწევარო. ერთ ხანს გაშეშებული იდგა და ოთახებიდან გამომავალი შუქი გაფითრებულ სახეში სცემდა.

ამოიღო კარის გასაღები და სახლში შევიდა. ზემო ოთახებიდან

სიცილის ხმა ისმოდა. იგივე საწვეულებო ტანსაცმელი ეცვა, რომელშიაც წინა ღამეს შეიპყრეს. ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე. ზემო ბაქანზე მოაჯირს მიეყრდნო. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა - ყველა მსახური გაეშვათ. როუდონს სიცილი შემოესმა შიგნიდან - სიცილი და სიმღერა. ბეკი მღეროდა წინაღამინდელი სიმღერის ნაწყვეტს. ხრინწიანი ხმა ღრიალებდა: „ბარაქალა, ბარაქალაო!“ - ეს ლორდი სტაინი ბრძანდებოდა.

როუდონმა გააღო კარი და შევიდა. პატარა მაგიდაზე სადილი იყო გაშლილი - ღვინო და ვერცხლის ჭურჭლეული იდგა. სტაინი გადახრილიყო ტახტისაკენ, რომელზედაც ბეკი იჯდა. უკეთური დედაკაცი სრული ბრწყინვალებით მოკაზმულიყო - მკლავები და ყველა თითი სამაჯურებითა და ბეჭდებით უელვარებდა; მკერდზე სტაინის ნაჩუქარი ბრილიანტები ეკიდა. მარკიზს მისი ხელი ეჭირა, და ის-ის იყო, საკოცნელად იხრებოდა, რომ ბეკი სუსტი შეკივლებით წამოიჭრა როუდონის გაფითრებული სახის დანახვაზე. უმალვე სცადა გაეღიმა, თითქოს ქმრის შესაგებებლად, მაგრამ საზარელი ღიმილი გამოუვიდა. სტაინიც კბილების ღრჭიალით წამოდგა, ფერმიხდილი და გაანჩხლებული.

იმანაც სცადა გაღიმება და ხელგამოწვდილი მოეგება.

- რაო, დაბრუნდით? გამარჯობა, კროული! - თქვა მან და თან პირი ეღრიცებოდა ღელვისაგან, გაღიმებას რომ ცდილობდა ანაზდეულად შემოჭრილი როუდონის წინაშე.

როუდონის სახეში რაღაც იყო ისეთი, რამაც ბეკი აიძულა ფეხებში ჩავარდნოდა ქმარს.

- მე უმანკო ვარ, როუდონ, - შეჰღაღადა მან, - ღმერთმანი, უმანკო ვარ! - თან ებღაუჭებოდა სამოსზე და ხელებზე. საკუთარი ხელები კი სულ სამაჯურებით, ბეჭდებითა და სხვა წვრილი სამკაულებით ჰქონდა დაფარული. - მე უმანკო ვარ!... უთხარით, რომ მე უმანკო ვარ, - მიუბრუნდა ლორდ სტაინს.

სტაინმა იფიქრა, ხაფანგი დამიგესო და ცოლზედაც ისევე იყო გაშმაგებული, როგორც ქმარზე.

- თქვენ და უმანკო? ჯანდაბას თქვენი თავი! - დასჭყივლა მან. - უმანკოო... რაც ღინჭილები გკიდიათ ტანზე, სულ ჩემი ნაყიდია! ათასობით გირვანქა მაქვს მოცემული, რომელიც ამ

ვაჟბატონმა გაფლანგა და იმ ფულისთვის გაგყიდათ კიდეც. უმანკო! დალახვროს ღმერთმა! ისეთივე უმანკო ბრძანდები, როგორც დედათქვენი, ბალეტის მოცეკვავე, და ეგ თქვენი ავარა და მაჭანკალი ქმარი! ნუ გგონიათ, შემაშინოთ, როგორც სხვებს აშინებდით ხოლმე. გზა მომეცით, ბატონო ჩემო, და გამატარეთ! - ამ სიტყვებით ლორდმა სტაინმა ხელი სტაცა ქუდს, თვალების ბრიალით ჯიქურ წავიდა თავისი მტრისაკენ, თან გაალმასებით შეჰყურებდა პირისახეში და ერთი წამითაც არ შეეჭვებულა, რომ იგი გზას არ დაუთმობდა.

მაგრამ როუდონ კროული მივარდა, სტაცა ხელი ყელსახვევში და ისე მოუჭირა, რომ სტაინი თითქმის მიახრჩო და ააფარტცალა თავისი მკლავის ძალით.

- სტყუი, ძაღლო! - შესძახა როუდონმა. - სტყუი, შე ლაჩარო არამზადავ! - გაშლილი ხელი პერს ორჯერ სახეში სთხლიშა და გასასხლიანებული ძირს დაანარცხა.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ რებეკამ ჩარევა ვერ მოახერხა. იგი აცახცახებული იდგა და აღტაცებით შესცქეროდა თავის ქმარს - ძლიერს, გულადსა და გამარჯვებულს.

- მოდი აქ! - უთხრა მან.

ბეკი მყის მიეახლა.

- მოიხსენი ეგენი!

ქალი ცახცახით შეუდგა მკლავებიდან სამკაულებისა და აკანკალებული თითებიდან ბეჭდების წაძრობას, მერე ერთად მოუყარა თავი მუჭში და ათრთოლებული შეაჩერდა მეუღლეს.

- დაყარე ძირს! - უბრძანა მან და იმანაც დაყარა.

როუდონმა აჰგლიჯა მკერდიდან ალმასის სამკაული და ლორდ სტაინს ესროლა. მას კი მოტვლეპილ შუბლში მოხვდა და გაუჭრა. სტაინი ამ ნაჭრილობებს სამარის კარამდე ატარებდა.

- წამომყე ზემოთ! - კიდევ უბრძანა ცოლს.

- არ მომკლა, როუდონ! - შეევედრა ქალი.

მან შემაძრწუნებლად გადაიხარხარა.

- მინდა ვნახო, ეგ კაცი ფულის საქმეშიაც ისევე ტყუის, როგორც

ჩემს მიმართ, თუ არა. მართლა მოგცა ფული?

- არა, - თქვა რებეკამ, - ესე იგი...

- მომეცი შენი კლიტეები, - არ დაამთავრებინა როუდონმა და ორივენი ერთად გავიდნენ გარეთ.

რებეკამ ერთის გარდა ყველა გასაღები მისცა; იმედი ჰქონდა ამის დაკლებას ვერ შენიშნავსო. ეს ემილიას ნაჩუქარი პატარა ზარდახშისა იყო, რომელიც დამალული ჰქონდა საიდუმლოდ. მაგრამ როუდონმა გადაქექ-გადმოქექა ყუთები, კოლოფები და ტანსაცმლის კარადები; იქ აღმოჩენილი ნაირ-ნაირი ზიზილ-პიპილები აქეთ--იქით და ბოლოს ზარდახშასაც მიაგნო. დიაცი იძულებული იყო, გაეხსნა. შიგ იდო ქაღალდები, მრავალი წლის წინანდელი სატრფიალო ბარათები, ყოველი ჯურის წვრილმანი სამკაულები და დიაცური სამახსოვროები. იმაშივე იყო ბანკნოტებიანი საფულეც. ზოგ მათგანს ათი წლის წინანდელი თარიღიც ჰქონდა, ერთი კი სრულიად ციმცხალ-ახალი გახლდათ - ათასგირვანქიანი ბანკნოტი, რომელიც ლორდმა სტაინმა მისცა ბეკის.

- იმან მოგცა? - ჰკითხა როუდონმა.

- ჰო, - მიუგო რებეკამ.

- ამას დღესვე გავუგზავნი იმას, - თქვა როუდონმა (რადგან ისევ თენდებოდა და მრავალი საათი გავიდა ამ ქექვა-ძიებაში). - გავისტუმრებ ბრიგზს, ბიჭს რომ ალერსით ეპყრობოდა, და ზოგ ვალსაც. მერე გამაგებინე, სად გამოგიგზავნო დანარჩენი. ამდენი ფულიდან ასი გირვანქა მაინც გაგემეტებინა ჩემთვის, ბეკი, - მე ხომ ყოველთვის გიწილადებდი ხოლმე!

- მე დამნაშავე არა ვარ, - უთხრა ბეკიმ.

მაგრამ როუდონს ხმა აღარ გაუცია, ისე მიატოვა.

რა ფიქრები უტრიალებდა ბეკის თავში, ქმარმა რომ დატოვა? მისი წასვლის შემდეგ, მზის შუქით გაკაშკაშებულ ოთახში რებეკა რამდენიმე საათს მარტოდმარტო გაშეშებული იჯდა საწოლის კიდეზე. ყველა უჯრა გამოღებული იყო და მათი შემადგენლობა აქეთ-იქით მიფანტულ-მოფანტული: კაბები და ფრთები, შარფები და ძვირფასი სამკაულები - ალუფხულ-დალუფხულ ამაოებათა ნამსხვრევების გროვა. თმა მხრებზე ჩამოშლოდა. კაბა იმ ადგილად ჩამოფხრეწოდა, სადაც

როუდონმა ბრილიანტები აათხლიშა. ესმოდა, ოთახიდან გასვლის რამდენიმე წუთის შემდეგ როუდონი როგორ ჩავიდა ქვემოთ, კარი ჯახუნით როგორ გაიკეტა. იცოდა, რომ იგი აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ის სამუდამოდ წავიდა. „თავს ხომ არ მოიკლავს? - გაუელვა თავში ქალს; - მაგრამ სანამ ლორდ სტაინს არ შეხვდება, მანამდე მაინც არა“. ბეკიმ გონების თვალი გადაავლო თავის სანგრძლივ წარსულ ცხოვრებას და მის ყოველ საჩოთირო ამბავს. ოჰ, რა შემაძრწუნებელი ჩანდა იგი, რა უბადრუკი, განმარტოებული, ფუჭი და უნაყოფო! ხომ არ დალიოსბანგი და არ მოუღოს სიცოცხლეს ბოლო და აგრეთვე ყოველ იმედს, ზრახვას, ვალსა და წარმატებებს? ფრანგმა მოახლემ ამ მდგომარეობაში მოუსწრო - ხელიხელმოჭერილი და თვალებამომშრალი თავის საცოდავ ნამსხვრევებს შორის იჯდა. ეს დიაცი მისი თანამზრახველი და სტაინის მოჯამაგირე იყო.

- Mon Dieu, madame[183], რა მოხდა? - იკითხა მან.

რა მოხდა?იყო თუ არა იგი დამნაშავე? ის აცხადებდა, არაო. მაგრამ ვის შეეძლო ეთქვა, მისი პირით ნათქვამი რა მართალი იყო და რა - ტყუილი. ან ეს ბიწიერი გული იყო თუ არა ამ შემთხვევაში წმინდა? მთელი მისი ტყუილები და ხრიკები, მთელი მისი თავკეძაობა და მზაკვრობა, მთელი მისი ჭკუა და ნიჭი სულ ასე გაბათილდა! დედაკაცმა ჩამოუშვა ფარდები და ცოტაოდენი ხვეწნითა და მოჩვენებითი ალერსით დაარწმუნა ქალბატონი, ლოგინში ჩაწოლილიყო. მერე ქვემოთ ჩავიდა და თავი მოუყარა ძვირფასეულობას, რომელიც რებეკამ ქმრის ბრძანებით ძირს დაყარა და, ლორდი სტაინი რომ წავიდა, მას შემდეგ კვლავ იქვე იყო მიმობნეული.

თავი LIV - ბრძოლის შემდგომი კვირა დღე

სერ პიტ კროულის სასახლე გრეიტ-გონსტრიტზე ის-ის იყო იღვიძებდა, რომ კვლავ საღამოს ტანსაცმელში გამოწყობილმა როუდონმა, რომელსაც ეს სამოსი უკვე ორ დღეს ეცვა, კიბეების მწმენდელ დამფრთხალ მოახლეს აუარა და ძმის კაბინეტში შევიდა. ლედი ჯეინი უკვე ამდგარიყო, სადილაო

კაბაგადაცმული ზემოთ, ბავშვების ოთახში იმყოფებოდა, თვალს ადევნებდა ბავშვების ჩაცმა-მოკაზმვას და თან პატარებს დილის ლოცვებს ათქმევინებდა. ყოველ დილით, ის და მისი შვილები აღასრულებდნენ ხოლმე თავისთვის ამ ლოცვებს, ვიდრე სერ პიტის მეთაურობით მთელი ჯალაბობა უკლებლად შეიკრიბებოდა საერთო ლოცვისათვის. როუდონი კაბინეტში ბარონეტის მაგიდასთან დაჯდა, რომელზედაც მწყობრად იყო დალაგებული ლურჯი წიგნები და წერილები, ბეჯითად დახარისხებული წარწერიანი ანგარიშები და სიმეტრიულად დაწყობილი წიგნაკები, ხოლო ჩაკეტილი საანგარიშო დავთრები, საწერ-კალმის ყუთებიდა დეპეშის კოლოფები, ბიბლია, „კუორტერლი რევიუ“ და „კორტ გაიდი“, ყველანი თითქოს აღლუმზე ჩამწკრივებულიყვნენ თავიანთი სარდლის მოლოდინში.

საოჯახო ქადაგებათა კრებული, რომელსაც სერ პიტი ჩვეულებისამებრ კვირადილაობით ოჯახს უკითხავდა, გამზადებული იდო კაბინეტის მაგიდაზე სატანადო ადგილის საზრიანად შესარჩევად. ქადაგებათა წიგნის გვერდით გაზეთი „ობზერვერი“ დაედოთ, შენოტიოებული და ფაქიზად დაკეცილი, პირადად სერ პიტისათვის. მხოლოდ მისი ფარეში ისარგებლებდა ხოლმე შემთხვევით და სანამ ბატონს მიართმევდა, თვითონ გადაათვალიერებდა. იმ დილასაც, სანამ ბატონის კაბინეტში შემოიტანდა გაზეთს, უკვე ამოიკითხა შიგ სურათოვანი, აღფრთოვანებული აღწერილობა „გონტ-ჰაუზისა“, ყველა იმ წარჩინებული გვამის სახელების ჩამოთვლით, რომელნიც მარკიზმა სტაინმა მიიწვია მისი სამეფო უმაღლესობის საპატივცემოდ. ამ დროსტარების თაობაზე თავისი შენიშვნები გამოთქვა მნე დედაკაცისა და მისი დისწულის წინაშე, როცა ადრიანად ჩაისა და კარაქიან დაბრაწულ პურს შეექცეოდნენ ზემოხსენებული მანდილოსნის ოთახში. ჰკვირობდა, როუდონ კროული და მისი ცოლი როგორ ახერხებენ თავის გატანასო. მერე პირისფარეშმა დანამა და კვლავ დაკეცა გაზეთი, ისე რომ ბატონის გამოსვლისათვის სრულიად ახალსა და ხელუხლებელს დაემსგავსა.

საბრალო როუდონმა აიღო გაზეთი და სცადა ძმის შემოსვლამდე მაინც ეკითხა, მაგრამ ტყუილად ავლებდა თვალს ასოებს და ოიტისოდნადაც არ ესმოდა, რას კითხულობდა. მთავრობის განცხადებანი და დანიშვნები

(რომელთა გულმოდგინე წაკითხვა სერ პიტს, ვითარცა სახელმწიფო მოღვაწეს, ევალებოდა, თორემ არავითარ შემთხვევაში არ შემოატანინებდა საკვირაო გაზეთს შინ!), სათეატრო კრიტიკა, ას გირვანქა სტერლინგის ჯილდოზე გამართული კრივი ბანკირელ ყასაბსა და ტატბერელ ნებიერას შორის, თვითონ გონტ-ჰაუზის ქრონიკა, რომელიც ქალბატონი ბეკის მონაწილეობით დადგმული სახელგანთქმული შარადების ფრიად აღფრთოვანებულ და თანაც მოკრძალებულ აღწერილობას შეიცავდა - ყოველივე ამან თითქოს რაღაც ბურუსში ჩაიარა როუდონის თვალწინ, ოჯახის უფროსის ლოდინში რომ იჯდა.

კაბინეტის შავი მარმარილოს საათის მკვეთრხმიანმა ზარმა სწორედ ცხრა რომ დარეკა, სერ პიტიც გამოჩნდა - მხნე, ფაქიზი, კოხტად გაპარსული, ფერმკრთალ სუფთასახიანი, გახამებული პერანგის საყელო ეკეთა, თხელი თმა დავარცხნილი და ზედწასმული ჰქონდა. გაკრახმალებულ ყელსაბამსა და ნაცრისფერი ფლანელის ხალათში გამოწყობილი, ყინჩად ჩამოდიოდა კიბეზე და თან ფრჩხილებს ილამაზებდა - ერთისიტყვით, ნამდვილი ძველებური ინგლისელი ჯენტლმენი გახლდათ, სალუქობისა და ყოველგვარი მართლწესრიგიონობის განსახიერებული ნიმუში. თავის კაბინეტში ტანსაცმელაჩეჩილ, თვალებჩასისხლიანებულ და თმააბურძგნილ საწყალ როუდონს რომ მოჰკრა თვალი, შეკრთა. ძმა მთვრალი ეგონა, ალბათ მთელი ღამე სადმე ღრეობდაო.

- ღმერთო მწყალობელო, როუდონ! - შესძახა დაბნეულმა პიტმა, - რამ მოგიყვანა აქ ასე ადრიანად? შინ რატომ არა ხარ?

- შინ? - გაიმეორა როუდონმა შლეგური სიცილით. - ნუ გეშინია, პიტ, ნასვამი არა ვარ. კარი მიხურე - სალაპარაკო მაქვს შენთან.

პიტმა დაკეტა კარი, მივიდა მაგიდასთან; მეორე სავარძელში ჩაჯდა, იმაში, რომელიც სახლთუხუცესის, რწმუნებულის ან ბარონეტთან რაიმე საქმეზე მოსული რომელიმე სხვა მისანდო პირისათვის იდგა და კიდევ უფრო გულმოდგინედ განაგრძო ფრჩხილების მოკოხტავება.

- პიტ, ჩემი საქმე წასულია! - მცირე დუმილის შემდეგ წარმოთქვა პოლკოვნიკმა. - დავიღუპე!

ყოველთვის გეუბნებოდა, აგრე დაგემართება-მეთქი, -

გაწიწმატებით წამოიყვირა ბარონეტმა და კოხტად მოლამაზებულო ფრჩხილების კაკუნს მოჰყვა. - ათასჯერ გაგაფრთხილე. მე ვეღარ დაგეხმარები. ჩემი ყოველი შილინგი დაბანდებული. გუშინ საღამოს რომ ჯეინმა ასი გირვანქა წამოიღო, იმასაც ჩემს რწმუნებულ ვექილს დაცპირდი ხვალ დილისთვის და უმისობა დიდ ხათაბალაში მაგდებს. არ ვამბობ, რომ სულ არაფერს არ შეგეწევი. მაგრამ შენი მოვალეების სრულიად გასტუმრება ისევე არ შემიძლია, როგორც არ შემიძლია მთელი სახელმწიფოს ვალის გადახდა. სწორედ სიგიჟეა, ნამდვილი სიგიჟეა ამის ფიქრი! მორიგება უნდა მოახერხო! ეს საჩოთირო საქმეა ოჯახისათვის, მაგრამ ყველა ასე იქცევა. იმ კვირაში ლორდ რეგლენდის ვაჟი, ჯორჯ კიტლი, გაასამართლეს და, როგორც, მგონი, იტყვიან, გაათეთრეს. ლორდი რეგლენტი ერთ შილინგსაც არ მისცემდა და...

- ფული არ მჭირდება, - გააწყვეტინა სიტყვა როუდონმა. - შენთან ჩემი გულისთვის არ მოვსულვარ. ჩემი ნუ გენაღვლება...

- მაშ რაღა ამბავია? - ცოტა უფრო გულდამშვიდებით თქვა პიტმა.

- ბიჭის საქმე მაწუხებს, - უთხრა როუდონმა ჩახრინწული ხმით. - მინდა დამპირდე, რომ, თუ მე აღარ ვიქენი, შენ უპატრონებ. შენი კეთილი, კარგი მეუღლე ყოველთვის ალერსით ეპყრობოდა და ბიჭსაც თავის დედაზე უფრო ეგ უყვარს... დალახვროს ღმერთმა! გამიგონე, პიტ... ხომიცი, რომ მის კროულის ფულები მე უნდა მხვდომოდა? მე ხომ უმცროსი ვაჟივით არ ვიზრდებოდა - პირიქით, ყოველთვის მათამამებდნენ ფუქსავატობასა ზარმაცობაში. ეს რომ არა, სულ სხვა ადამიანი დავდგებოდი. არც ისე ცუდად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ლეგიონში. შენ ხომ იცი, როგორ გამოეცალა ხელიდან ის ფული და ვის ერგო!

- იმ მსხვერპლის შემდგომ, რაც მე გავიღე და რა სახითაც მე შენ გვერდში ამოგიდექი, მე მგონი, ამგვარი, ამგვარი საყვედური ამაოა, - ბრძანა სერ პიტმა. - ეგ ქორწინება შენი საქმე იყო და არა ჩემი.

- მაგასაც ბოლო მოეღო ახლა... მაგასაც ბოლო მოეღო! - თქვა როუდონმა და ეს სიტყვები ისეთი ოხვრით ამოსკდა გულიდან,

რომ მისი ძმა სახტად დარჩა.

- ღმერთო კეთილო! განა მოკვდა? - შესძახა პიტმა ჭეშმარიტი შეშფოთებითა და თანაგრძნობით.

- ნეტავი მე მოვმკვდარიყავი! - მიუგო როუდონმა. - პატარა როუდონი რომ არა, ამ დილით მეც გამოვიჭრიდი ყელს... და იმ სალახანასაც გამოვღადრავდი!

სერ პიტი მყის ჩასწვდა ჭეშმარიტებას და მიხვდა, რომ ლორდ სტაინი იყო ის პირი, რომლის სიცოცხლესაც ემუქრებოდა როუდონი. პოლკოვნიკმა მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოუთხრო უფროს ძმას მთელი ამბავი.

- ნამდვილი შეთქმულება ჰქონიათ იმ არამზადასა და ქალს, - უთხრა მან. - ბეილიფები დამასხეს თავს. სწორედ მისი სახლიდან რომ გამოვედი, მაშინ შემიპყრეს. როცა ფულის თაობაზე მივწერე შინ, მაცნობა, ავად ვარ და ლოგინში ვწევარო, და მეორე დღისთვის გადამიდო საქმე. სახლს რომ მივაღწიე, ვნახე თვითონ ალმასებში ბრჭყვიალებდა და იმ სალახანასთან ერთად მარტოდმარტო იჯდა.

მერე აჩქარებით აუწერა პირადი შეტაკება ლორდ სტაინთან. ამნაირ ამბავს, თქვა, რასაკვირველია, მარტო ერთი შედეგი შეიძლება მოჰყვესო. და ძმასთან მოლაპარაკების შემდეგ კიდეც აპირებდა მოსალოდნელი შეხვედრისათვის აუცილებლად მოსაგვარებელ საქმეებზე წასვლას.

- და რაკი შეიძლება ეგ ჩემთვის საბედისწერო გამოდგეს, - დასძინა როუდონმა ხმის კანკალით, - და რაკი ბიჭს დედა აღარა ჰყავს, ის შენ და ჯეინს უნდა დაგიტოვოთ, პიტ... ოღონდ ჩემთვის დიდი ნუგეში იქნება, თუ პირობას მომცემ, რომ მეგობრობას გაუწევ.

უფროს ძმას ძალიან აუჩუყა გული და ისეთი გულითადობით ჩამოართვა როუდონს ხელი, რასაც იშვიათად იჩენდა ხოლმე. როუდონმა ბანჯგვლიან წარბებზე გადაისვა ხელი.

- გმადლობ, ძმაო, ვიცი, რომ შენი სიტყვა არ გატყდება, - უთხრა მან.

- დიაღაც რომ არა, ჩემ პატიოსნებას გეფიცები! - დაადასტურა ბარონეტმა. და ამრიგად, თითქმის ხმის ამოუღებლადაც კი, ეს ხელშეკრულება დაიდო მათ შრის.

მერე როუდონმა ჯიბიდან პატარა საფულე ამოიღო, რომელიც ბეკის ზარდახშაში იპოვნა, და იქიდან ფულის დასტა ამოაძრო.

- აი, ექვსასი გირვანქა, - თქვა მან. - შენ არც კი იცოდი, რა მდიდარი ვყოფილვარ. მინდა ეს ფული ბრიგზს მისცე, მისი გვმართებს... და თან კიდევ ძალიან გულკეთილად ექცეოდა ბიჭს... და ყოველთვის სინდისი მქენჯნიდა, საწყალ დედაბერს რომ წავართვით ფული. აი, კიდევ... ჩემთვის მხოლოდ რამდენიმე გირვანქა დავიტოვე... ეგ ბეკისაც უნდა მიეცეს თავის სარჩენად.

ამ სიტყვებით სხვა ფულის დასტას მოჰკიდა ხელი ძმისთვის გადასაცემად. მაგრამ ხელები უკანკალებდა და ისე ღელავდა, რომ საფულე გაუვარდა და იქიდან ის ათასგირვანქიანი ბანკნოტიც გადმოვარდა, რომელიც ბეკის უკანასკნელი ბედკრული მონაპოვარი გახლდათ.

ასეთი სიმდიდრის დანახვით განცვიფრებული პიტი დაიხარა და აიღო ფული.

- მაგას ხელს ნუ ახლებ, -თქვა როუდონმა; - იმედი მაქვს ტყვია ვუთავაზო მაგის პატრონს! - როუდონს თავში გაუელვა, რა კარგი შურისძიება იქნება, ტყვია გავახვიო ამ ფულის ნიშანში და სტაინი იმით მოვკლაო.

ამ საუბრის შემდეგ ძმებმა ერთხელ კიდევ ჩამოართვეს ცხელი ერთმანეთს და გაიყარნენ. ლედი ჯეინმა გაიგო პოლკოვნიკის მოსვლა. ქალური გული რაღაც ავად წინაუგრძნობდა და მეუღლეს მეზობელ სასადილო ოთახში ელოდა. მისი კარი შემთხვევით ღია დარჩენილიყო და მანდილოსანი, რასაკვირველია, სწორედ მაშინ შემოვიდა, როცა ძმები კაბინეტიდან გამოდიოდნენ. მან ხელი გამოუწოდა როუდონს და უთხრა, მიხარია, საუზმეზე რომ მოხვედიო; თუმცა გატანჯულ, გაუპარსავ სახეზე და ქმრის მოღუშულობაზე დაატყო, რომ საუზმისათვის არავის სცხელოდა.როუდონმა მოსაბოდიშებლად წაიბურტყუნა, საქმე მაქვსო, და მაგრად მოუჭირა ხელი ნაზ, პაწია ხეხლს, რომელიც რძალმა გამოუწოდა. ლედი ჯეინის მავედრებელი თვალები მის სახეში მხოლოდ უბედურებას კითხულობდნენ, მაგრამ, როუდონი ისე წავიდა,რომ კრინტი აღარ დაუძრავს. არც სერ პიტმა აღირსა რაიმე ახსნა-განმარტება. ბავშვები მივიდნენ მისასალმებლად და ჩვეული ცივი იერით აკოცა მათ. დედამ ორივე ახლოს

მოიყენა, ორივეს ხელი ხელში ეჭირა, როცა ისინი მუხლმოყრილნი იყვნენ ლოცვის დროს, რომელსაც სერ პიტი უკითხავდა მათ და მოშიშინე ჩაიდნის იქით სკამებზე ჩამომწკრივებულ, საკვირაო ტანსაცმელსა და ლოვრეებში გამოწყობილ მსახურთ. საუზმე იმ დღეს ისე შეუგვიანდათ დამბრკოლებელი მიზეზების წყალობით, რომ სანამ იჯრაზე ისხდნენ, უკვე ეკლესიის ზარების რეკვაც ატყდა. ლედი ჯეინიც, მისი თქმით, ისე უქეიფოდ გრძნობდა თავს, რომ წირვაზე ვერ წავიდა, თუმცა ოჯახში დილის ლოცვის დროსაც სრულიად სხვაგან იყო მისი ფიქრები.

ამასობაში, როუდონ კროულიმ საჩქაროდ ჩაიარა გრეიტ-გონტ-სტრიტი, გონტ-ჰაუზის მთავარ კართან მდგარ მედუზას ვეება ბრინჯაოს თავს დაუკაკუნა და წითე;, ვერცხლისფერზოლებიან ჟილეტში გამოწყობილი სახეგაჟინჟღილებული სილენოსი გამოახედა, რომელიც იმ სასახლის მეკარედ მსახურობს. ისიც დაფრთხა, პოლკოვნიკის გაბურძგნული სახე რომ დაინახა, და წინ გადაეღობა, თითქოს ეშინია, ძალით არ შემოიჭრას შინაო. მაგრამ პოლკოვნიკმა კროულიმ მხოლოს სადარბაზო ბარათი ამოიღო და საგანგებოდ უბრძანა, ლორდ სტაინისთვის გადაეცა, თან ყურადღება მიექცია იქ დაწერილი მისამართისთვის და მოეხსენებინა, რომ პოლკოვნიკი კროული პირველი საათის შემდეგ მთელ დღეს სენტ-ჯეიმზ-სტრიტზე, რიჯენტ-კლუბში იქნება და არა შინ. ჩასუქებულმა, წითელსახიანმა კაცმა განცვიფრებით გააყოლა თვალი, როცა იგი გზას გაუდგა. ასევე იქცეოდნენ ადრიანად გარეთ გამოსული, საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი, სხვა ხალხიც: საქველმოქმედო თავშეფრის პირსახეგაკრიალებული ბიჭუნები, თავისი დუქნის კარს ზანტად მიწოლილი მემწვანილე და მიკიტანი, რომელიც დარაბებს ხურავდა მზეზე, რადგან წირვა უკვე იწყებოდა. კებების სადგომთან ქილიკობაც დაიწყეს მის შესახედაობაზე, როცა იქ ეტლსა ქირაობდა და მეეტლეს უთხრა, ნაითსბრჯის ყაზარმებში წამიყვანეო.

იმ ადგილას რომ მიაღწია, მთელ ზარებს ჟღარუნი და წკრიალი გაუდიოდა. ბრომპტონიდან რასელ-სკვერს მიმავალ გზაზე გარეთ რომ გამოეხედა ეტლიდან, ძველ ნაცნობ ემილიას დაინახავდა. მოწაფეთა ლაშქარი მიემართებოდა ეკლესიისაკენ. გარეუბნებში მოკრიალებული ფილაქნები და კარეტების გარე ადგილები საკვირაო სეირის საყურებლად გამოსული ხალხით იყო დახუნძლული. მაგრამპოლკოვნიკი თავის ფიქრებს

გაეტაცა და ყურადღებას არაფერს აქცევდა. ნაითს-ბრიჯს რომ მივიდა, ძველი მეგობრისა და ამხანაგის, კაპიტან მეკმერდოს ოთახს მიაშურა და თავისდა სასიამოვნოდ ნახა, რომ იგი შინ ბრძანდებოდა.

კაპიტანი მეკმერდო, ძველი, ნაცადი მეომარი და ვატერლოოს ბრძოლის მონაწილე, ძალიანუყვარდათ რაზმში, რომელშიაც მხოლოდ უფულობამ შეუშალა ხელი უფრო მაღალი ხარისხისთვის მიეღწია. იგი ლოგინში დილიდ ნებივრობით ტკბებოდა. წინა ღამეს მხიარულ ვახშამზე ყოფილიყო პატივცემულ კაპიტან ჯორჯ სინკბარზის მიწვევით, რომელსაც თავის სახლში, ბრომპტონ-სკვერზე, დაეპატიჟნა რაზმის ზოგი ყმაწვილი და კორდებალეტის რამდენიმე მანდილოსანი. და ბებრი მეკიც, რომელიც ყველა ასაკისა და ხარისხის ხალხთან გაშინაურებული გახლდათ და რომელსაც საქმე ჰქონდა გენერლებთანაც, მეძაღლეებთანაც, ოპერის მოცეკვავეებთანაც, მოკრივეებთანაც და ყოველი ჯურის ადამიანებთან, ერთი სიტყვით, ღამის მოქანცულობის შემდგომ ისვენებდა და, რაკი სამსახური არ ეთხოვებოა იმ დღეს, ლოგინში ნებივრობდა.

მისი ოთახის კედლები სავსე იყო კრივის, ნადირობისა და ცეკვის სურათებით, რომელნიც ნაჩუქარი ჰქონდა ამხანაგებისაგან, როცა ისინი არმიიდან გადიოდნენ, ქორწინდებოდნენ და წყნარ ცხოვრებას შეუდგებოდნენ, და რადგან ახლა თითქმის ორმოცდაათიოდე წლის მაინც გახლდათ, რომელთაგან ოცდაათი წელი ჯარში ჰქონდა გატარებული, თავისებური მეზეუმი გამოუვიდა. ის ინგლისის ერთი საუკეთესო მსროლელთაგანი გახლდათ და, თავისი სიმძიმის პირობაზე, საკეთესო მხედართაგანიც. მართლაც, ის და კროული, ეს უკანასკნელი რომ არმიაში იყო, მუდამ მოქიშპეებად ითვლებოდნენ. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ბატონი მეკმერდო ლოგინში იწვა და „ბელის ცხოვრებაში“ სწორედ იმ ბრძოლის აღწერილობას კითხულობდა ტატბერელ ნებიერასა და ბარკინგელ ყასაბს შორის, რომელიც ადრეც მოვიხსენიეთ - ეს გახლავთ პატივცემილი, ტლანქი მეომარი, მოკლედ შეკრეჭილ ჭაღარა თავზე აბრეშუმის ჩაჩჩამოცმული, წითელ ცხვირ-სახიანი დავეება შეღებილ ულვაშებიანი.

როცა როუდონმა უთხრა კაპიტანს, მეგობარი მჭირდებაო, ეს ჩინებულად მიხვდა, რა სახის მეგობრობის გამოჩენას სთხოვდნენ, და მართლაც თავისი ნაცნობებისათვის ბევრი

ასეთი საქმე დიდის გამჭრიახობითა და სიმარჯვით ჰქონდა ჩატარებული. ამის გამო მისი მეფური უმაღლესობა, განსვენებული მთავარსარდალი, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მეკმერდოს და ისიც გასაჭირში ჩავარდნილი ყოველი ვაჟბატონის მუდმივი შემწე იყო.

- რა ამბავია, კროული, ჩემო ძმაო? - ჰკითხა მეომარმა. - კიდევ რამე თამაშის საქმე ხომ არ არის, ჰა? იმისთანა, კაპიტანი მარკერი რომ გავაგორეთ?

- არა, ეს ჩემი ცოლის საქმეზეა, - მიუგო კროულიმ, თან თვალები ძირს დახარა და სახე ძალიან აელეწა.

მოსაუბრემ დაუსტვინა.

- ყოველთვის ვამბობდი, მიგატოვებს-მეთქი, - წამოიწყო მან (და მართლად ისე მდაბალი აზრი ჰქონდათ მის ცოლზე ამხანაგებსა და საზოგადოებას, რომ რაზმსა და და კლუბში სანიძლაოებს დებდნენ პოლკოვნიკ კროულის შესაძლო ბედისწერის თაობაზე). მაგრამ დაინახა, რა განტისხებით გადმოაბრიალა თვალები როუდონმა და მეკმერდომ საჭიროდ აღარ მიიჩნია, კიდევ გაეგრძელებინა ამ საგანზე მსჯელობა.

- ნუთუ სხვა გზა არ არისს, ძვირფასო? - განაგრძო კაპიტანმა მძიმედ. მარტო ეჭვია, თუ, ხომ იცი... თუ სხვა რამეც არის? წერილები ხომ არაა? არ შეიძლება, ჩავაფუჩეჩოთ? სჯობია აყალმაყალს ნუ ავტეხთ მაგისთანა საქმეზე, თუკი შესაძლებელია!

„ეტყობა, ახლაღა მიუხვდა ქალს ეშმაკობას“, გაიფიქრა კაპიტანმა თავისთვის და გაახსენდა ათასნაირი მითქმა-მოთქმა ოფიცერთა საკრებულოში, როცა ქალბატონი კროულის სახელი სასტიკად განიქიქებოდა.

- ერთის მეტი გზა არ არსებობს, - მიუგო როუდონმა, - და ისიც მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენთაგანისთვისაა, მეკ... გესმის? გზიდან ჩამომიცილეს, დაატუსაღებინეს ჩემი თავი, მარტოდმარტონი შევისწარი. იმას ვუთხარი, მატყუარა და ლაჩარი ხარ-მეთქი; დავცი ძირს და ვურტყი კიდეც.

- ახია იმაზე, - თქვა მეკმერდომ. - ვინ არის?

როუდონმა უპასუხა, ლორდი სტაინიო.

- დალახვროს ღმართმა! მარკიზი! ამბობდნე, რომ ის... ესე იგი, ამბობდნენ, რომ შენ...

- რა ჯანდაბას ამბობ? - შეჰღრიალა როუდონმა. - ის გინდა თქვა, რომ ყური მოჰკარი, ვინმეს ეჭვი ეპარებოდა ჩემს ცოლში და შენ კი მე არ მითხარი, მეკ?

- ხალხი ძალიან ენაჭარტალაა, ძმაო. - ჩამოართვა სიტყვა მეორემ. - რა საჭირო იყო მეთქვა შენთვის, ვინმე ტუტუცები რასა ყბედობდნენ?

- ეგ ძალიან არამეგობრული საქციელი მოგსვლია, მეკ, - შესძახა სასტიკად გულჩამწყდარმა როუდონმა, ხელებით დაიფარა პირისახე და გზა მისცა თავის გრძნობებს, რომლის დანახვაზეც მის წინაშე მყოფ ტლანქ, ძველ მოლაშქრესაც თანაგრძნობით დაემანჭა სახე.

- გამაგრდი, ძმაო, - უთხრა მან. - დიდი კაცია თუ პატარა, ჯანდაბას მისი თავი, ჩვენს ტყვიას მაინც ვერ გადაურჩება! ქალები კი, ხომ იცი, ყველნი მაგნაირები არიან!

- შენ არ იცი, ეგ როგორ მიყვარდა, - ძლივს ამოღერღა როუდონმა. - დალახვროს ღმერთმა, ლაქიასავით დავდევდი უკან, ყველაფერი იმას შევწირე. მაგაზე დაქორწინებამ მათხოვრად მაქცია. ღმერთს გეფიცები, ძმაო, ჩემ საკუთარ საათსაც კი ვაგირავებდი, რომ მაგას რაც მოეპრიანებოდა, ის შემესრულებინა. ის... ის კი თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში ფულებს აგროვებდა და ასი გირვანქა დაინანა სატუსაღოდან ჩემი გამოხსნისათვის!

მერე როუდონი გაცხარებით, უთავბოლოდ და უჩვეულო აღელვებით მოუყვა მეკმერდოს მთელ ამბავს. მისი მრჩეველი ზოგიერთ ბუნდოვან საბუთს მოეჭიდა.

- ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მართლაც უმანკო იყოს, - დაასკვნა მან. - თვითონ ასე ამბობს და სტაინი სხვა დროსაც ათასჯერ ყოფილა იმასთან სახლში მარტოდ!

- ეგ შეიძლება ეგრე იყოს, - დაღვრენით უპასუხა როუდონმა, - მაგრამ ეს კი ვერაფერ უმანკოდ გამოიყურება, - და კაპიტანს უჩვენა ის ათასგირვანქიანი ბანკნოტი, რომელიც ბეკის საფულეში იპოვა. - ეს მისი მიცემულია, მეკ, და მე მიმალავდა, ამდენი ფული ჰქონდა სახლში და ხელი არ გამომიწოდა

საშველად, სატუსაღოში რომ ვეგდე!

კაპიტანს არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ ფულის დამალვას ძალიან ცუდი სუნი უდიოდა.

სანამ თათბირობდნენ, როუდონმა კაპიტან მეკმერდოს მსახური კერზონ-სტრიტს გაგზავნა და დააბარა, ეთქვა მისი ფარეშისთვის, რომ ტანსაცმელი გამოეგზავნა, რაიც პოლკოვნიკს ფრიად ესაჭიროებოდა. მსახურის იქ არ ყოფნაში დიდის ჯაფითა და ჯონსონის ლექსიკონის შემწეობით, რომელმაც მათ დიდი შეღავათი მისცა, როუდონმა და მისმა სეკუნდანტმა ამ უკანასკნელისაგან ლორდ სტაინისათვის გასაგზავნი წერილი შეთხზეს. კაპიტან მეკმერდოს პატივი ჰქონდა მარკიზ სტაინისათვის მიემართა პოლკოვნიკ როუდონკროულის საქმეზე და სთხოვდა ცნობად მიეღო, რომ იგი უფლებამოსილი იყო პოლკოვნიკისაგან, ყოველნაირი თადარიგი დაეჭირა იმ შეხვედრისათვის, რომელსაც, მას არ ეეჭვებოდა, მისი ბრწყინვალება უთუოდ მოინებებდა და რომელიც დილას მომხდარმა ამბავმა სრულიად გარდაუვალი გახადა. კაპიტანი მეკმერდო ფრიად თავაზიანად სთხოვდა ლორდ სტაინს, ამოერჩია მეგობარი, რომელსაც იგი (კაპიტანი მ.) დაუკავშირდებოდა და გამოთქვამდა სურვილს, რაც შეიძლებოდა დაუყოვნებლივ მომხდარიყო ეს შეხვედრა.

მინაწერში კაპიტანი იტყობინებოდა: ჩემს ხელთ არის დიდი თანხის ბანკნოტი, რომელიც, პოლკოვნიკ კროულის საბუთი აქვს, მარკიზ სტაინის საკუთრებად მიიჩნიოსო და იგი, პოლკოვნიკის დავალებით, ფრიად მოწადინებული იყო, პატრონისათვის დაებრუნებინა ეს ფული.

სანამ ეს ბარათი ე\იწერებოდა, კაპიტნის მხლებელი დაბრუნდა პოლკოვნიკ კროულის სახლიდან, მარამ არც სამგზავრო ჩანთა მოუტანია და არც ჩემოდანი, რისთვისაც იგი გაგზავნეს. თან ძალიან დაბნეული და შეშფოთებული სახე ჰქონდა.

- არაფერი არ მომცეს, - თქვა მან. - სახლში ყველაფერი თავდაყირა დგას და დიდი ალიაქოთია. სახლის პატრონი მოსულა და გაბატონებულა. მსახურები სასტუმრო ოთახში ღრეოდნენ. ასე თქვეს... ასე თქვეს, პოლკოვნიკმა ვერცხლეული წაიღო და გაიქცაო. - დასძინა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მსახურმა. - ერთი მსახურთაგანი უკვე წასულა. სიმპსონი, თქვენი ფარეში, ყველაზე მეტად მთვრალი, ღრიალებდა,

სახლიდან არავის არაფერს გავატან, სანამ ჩემს ჯამაგირს არ გამისტუმრებენო.

მეი-ფეირში მომხდარი ამ პატარა გადატრიალების ამბავმა განაცვიფრა და თანაც ცოტაოდენი სიმხიარულე შემატა უმისოდ ძალიან დაღვრენილ მოსაუბრეებს. ორივე ოფიცერს სიცილი აუტყდა როუდონის მარცხზე.

- მიხარია, პატარა ბიჭი რომ შინ არ არის, - თქვა როუდონმა ფრჩხილების კვნეტით. - ხომ გახსოვს, მეკ, საცხენოსნო სკოლაში რომ მოვიყვანე? რა კარგად იჯდა ტლინკია ცხენზე! ხომ?

- დიაღაც რომ კარგად იჯდა, ძმაო! - კვერი დაუკრა გულკეთილმა კაპიტანმა.

ამ დროს პატარა როუდონი ორმოცდაათ სხვა წამოსასხამიან ბიჭუნასთან ერთად უაითფრაიერზის[184] სკოლის სამლოცველოში იჯდა და ქადაგებას კი არ უგდებდა ყურს, მომავალ შაბათს შინ წასვლაზე ოცნებობდა, როცა მამამისი ალბათ რამეთი დააჯილდოვებდა და იქნებ თეატრშიც წაეყვანა.

- მართლაც რომ კარგი ბიჭია, -განაგრძობდა მამა თავის შვილზე ფიქრს. - მეკ, ხომ იცი, თუ რამე დამემართა... თუ გამაგორეს... მინდა... მინდა, რომ წახვიდე იმასთან და ნახო! და უთხრა, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარდა და მაგისთანები... და... დალახვროს ღმერთმა... თუ ძმა ხარ, ეს მაჯის ოქროს საკინძებიც მიეცი - ამის მეტი აღარა დამრჩა რა!

და მან სახეზე ჭუჭყიანი ხელები აიფარა, რომლეზედაც ცხარე ცრემლები მოგორავდა და თეთრ ზოლებს ტოვებდა. ბატონი მეკმერდოც იძულებული გახდა, მოეხადა თავისი აბრეშუმის ჩაჩი და თვალებში ამოესვა.

- ჩადი და რამე საუზმე შეუკვეთე, - მხნე, რიხიანი ხმით უბრძანა მასპინძელმა მსახურს. - რას ინებებ, კროული? ვთქვად, ცხარედ შეკაზმული ჭაჭები და ქაშაყი, ჰა? და, კლეი, რამე ჩასაცმელი მოუნახე პოლკოვნიკს - როუდონ, ჩემო ძმაო, ჩვენ ყოველთვის თითქმის ერთი ზომისანი ვიყავით და ვერც ერთი ჩვენთაგანი ვეღარ აჭენებს ცხენს ისე მსუბუქად, როგორც მაშინ, პირველად რომ შემოვედით ჯარში.

ამ სიტყვებით მეკმერდომ პოლკოვნიკს საშუალება მისცა

ტანისამოსი გამოეცვალა, თვითონ კი კედლისაკენ გადაბრუნდა და „ბელის ცხოვრების“[185] კითხვა განაგრძო, ვიდრე მეგობარმა მორთვა არ დაასრულა და ახლა მისი მორთვა-მოკაზმვის დრო არ დადგა.

ეს საქმე, ვინაიდან ლორდის წინაშე უნდა წარმდგარიყო, კაპიტანმა მეკმერდომ ფრიადის გულმოდგინებით აღასრულა. შეილამაზა და სულ ბზინვა დააწყებინა ულვაშებს, გაიკეთა გახამებული საყელო და ნატიფი ჟილეტიც ჩაიცვა.ასე რომ ოფიცერთა სასადილოში, სადაც კროული თავის მეგობარზე ადრე შევიდა, ყველა ყმაწვილმა ქათინაური უძღვნა სასაუზმოდ მობრძანებულ მეკმერდოს და ჰკითხეს, ამ კვირა დღეს ჯვარს ხომ არ იწერო?

თავი LV - რომელშიაც იმავე საგანზე გრძელდება საუბარი

ბეკი მანამდე ვერ გამოერკვა გაოგნებისა და დაბნეულობისაგან, რომელშიაც წინაღამეს მომხვდარმა ამბავმა ჩააგდო მისი შეუპოვარი სული, სანამ კერზონ-სტრიტის ზარებმა ნაშუადღევის წირვისა არ დარეკეს. მაშინ კიწამოდგა ლოგინიდან და თავის საკუთარ ზარსაც გაცხარებით დაუწყო რეკვა, რათა ფრანგი მოახლე გამოეწვია, რომელმაც იგი რადენიმე საათის წინ დატოვა.

ქალბატონი კროული დიდხანს ამაოდ აწკარუნებდა ზარს და, თუმცა ბოლოს ისეთის ძალით დაჰქაჩა ზონარს, რომ სულაც ჩამოგლიჯა, მადმუაზელ ფიფინი მაინც არ გამოცხადებულა. არც მაშინ გამოჩენილა იგი, როცა ფრიად გაწიწმატებული ქალბატონი ჩამოგლეჯილი ზონრით ხელში, ბეჭებზე თმაჩამოშლილი, გამოვიდა კიბის ბაქანზე და კივილი დაუწყო პირისფარეშს.

ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ იგი უკვე რამდენიმე საათის წინათ წასულიყო სახლიდან, როგორც ჩვენში იტყვიან, ფრანგული წესით[186]. სასტუმრა ოთახში სამკაულების მოგროვების შემდგომ, მადმუაზელი საკუთარ ოთახში აბრძანდა, ჩააწყო და შეკრა თავისი კოლოფები. ჩამოცქრიალდა,

იქირავა კები. თავისი სკებ\ვრები საკუთარი ხელით ჩამოზიდა (არც უთხოვია დახმარება სხვა მსახურებისათვის, რომელთაც ჭირივითა სძულდათ იგი და ალბათ უარსაც სტკიცავდნენ) და არავის არ გამოესალმა, ისე წარბძანდა.

ამ პატარა სახლში, მისი აზრით, თამაში უკვე დამთავრდა. ფიფინი ისე წაბრძანდა კებით, მისი ერის უფრო წარჩინებულმა შვილებმაც რომ იციან ხოლმე მსგავს შემთხვევებში. მაგრამ ვითარც,ათზე უფრო წინდახედულმა და სვებედნიერმა, არა მარტო საკუთარი ქონება წაიღო, არამედ ცოტაოდენი თავისი ქალბატონისაც გააყოლა ხელთ (თუკი შეიძლება ითქვას, რომ ამ მანდილოსანს საერთოდ რაიმე საკუთარი ქონება მოეპოვებოდა). და არა მარტო ზემოხსენებული წვრილმანი სამკაულები დაზოგი რჩეული კაბა იხელთა, რომლებზედაც ადრევე ეჭირა თვალი, არამედ ლუი XIV დროინდელი ოთხი მდიდრულად მოოქრული შანდალი, ექვსი მოოქრულო ალბომი, მიძღვნილი ლექსების კრებული, ლამაზმანების სურათებიანი წიგნი და მადამ დიუ-ბარის ნაქონი მინანქრიანი ოქროს საბურნუთეც დაითრია აგრეთვე მშვენიერი პატარა სამელნე დასადაფის ყდიანი საქაღალდე, რომელსაც ბეკი თავისი მომხიბლავი, პატარა ვარდისფერი ბარათების წერის დროს ხმარობდა, გაქრა მადუმაზელ ფიფინთან ერთად. ამასთანავე მთელი ვერცხლეულიც მიჰყვა, რომელიც მაშინ იმ პატარა სანადიმო საფარზე ეწყო, როცა მოულოდნელად როუდაონი შემოიჭრა. ვერცხლის უფრო მძიმე ჟურჟლეული, ვითარცაალბად ძნელად სატარებელი, აღარ წაუღია და, უეჭველია, ამავე მიზეზით ხელი აღარ უხლია ბუხრის ქარცახების, სარკეებისა და პალისანდრის ხის მომცრო ფორტეპიანოსათვის.

შემდგომში, მის ძალიან მსგავს ერთ მანდილოსანს ქალთა ქუდების მაღაზიას ჰქონდა გახსნილი ელდერის ქუჩაზე პარიზში, სადაც იგი დიდის პატივისცემით ცხოვრობდა და მილორდ სატაინის მფარველობითაც სარგებლობდა. ეს ქალბატონი ყოველთვის ლაპარაკობდა ინგლისზე, ვითარცა მთელი დედამიწის ზურგზე ყოვლად მუხთალ ქვეყანაზე, და არწმუნებდა თავის შეგირდებს, რომ იგი affreusement volée[187] იმ კუნძულის მცხოვრებელმა. უეჭველია, ამ უბედურის თანაგრძნობამ შთააგონა მარკიზ სტაინს ასეთი ფრიადის გულკეთილობით მოპყრობოდა მაგრამ დე სენტ -ამარანთს. დაე, იხაროს და იდღეგძელოს მან ისე. როგორც ეკუთვნის -

ამაობის ბაზრის ჩვენს უბანში იგი აღარსად შეგვხვდება.

ქვემოდან ჩოჩქოლისა და ყაყანის ხმა რომ შემოესმა, ქალბატონი კროული გაგულისდა მსახურმა კადნიერებაზე, რომელნიც არ გამოეხმაურნენ ძახილს. ამიტომ მოისხა დილის ხალათი და ზვიადი იერით ჩამობრძანდა სასტუმრო ოთახში, საიდანაც აურზაურის ხმა მოდიოდა.

პირმოღუშული მზარეული დედაკაცი საუცხო კრეტონის ტახტზე დაბრძანებულიყო ქალბატონ რეგლზის გვერდით და ამ უკანასკვნელის მარასკინოს სთავაზობდა. შაქრისთავისებურ ღილებიანი პაჟი, რომელიც ბეკის ვარდისფერ ბარათებს დაატარებდა და მის პატარა კარეტას ისეთი სიმკვირცხლით ახტებოდა, ახლა თითებით ტორავდა კრემიან ულუფას. დარეში სრულიად დაბნეულსა და დამწუხარებულ რეგლზს ელაპარაკებოდა - თუმცა კარი ღია იყო და ბეკიმ რამდენიმე ნაბიჯის სიშორიდან ერთი ექვსიოდეჯერ მაინც დაიკივლა, არც ერთმა მსახურმა ყური არ გაიბარტყუნა.

- ერთი ყლუპი კიდევ მიირთვით ახლა, ქალბატონო რეგლზ, - ამბობდა მზარეული დედაკაცი სწორედ მაშინ, როცა ბეკი თეთრი ქიშმირის სალათის ფრიალით შეიჭრა ოთახში.

- სიმპსონ! ტროტერ! - დასჭყივლა დიდად განრისხებლმა დიასახლისმა . - როგორა ბედავთ არ გდებას, როცა მე გეძახით? როგორ ბედავთ ჩემს წინაშე ჯდომიას? სად არის ჩემი პირისფარეში?

უცბად დამფრთხალმა ვაჟმა პირიდან გამოიღო თითები, მაგრამ მზარეულმა დედაკაცმა კი მაინც მოიყურა მარასკინოიანი ჭიქა, რომლითაც ქალბატონმა რეგლზმა უკვე საკმაოდ იგემა, პატარა, მოოქრული ჭიქის ზემოდან თვალი კადნიერად მიაშტერა ბეკის და ისე გამოწრუპა სასმელი. დალევამ, ეტყობა, კიდევ უფრო გააგულადა საძაგელი მეამბოხე.

- სწორედ თქვენი ტახტია, რაღა! - განაცხადა ქალბატონმა მზარეუმა დედაკაცმა. - მე ქალბატონი რეგლზის ტახტზე ვზივარ. ფეხიც არ მოიცვალოდ, ქალბატონო რეგლზ! მე ვზივარ ბატონ და ქალბატონ რეგლზების ტახტზე, რომელიც თავიანთი პატიოსანი შრომით მონაგები ფულით იყიდეს და ძალიან ძვირიც დაუჯდათ! და, მე მგონი, აქ მანამდე ვიჯდე, სანამ ჩემს ჯამაგირს არ გამისტუმრებდნენ, გვარიანი დიდხანს ჯდომა კი

მომიხდება, ქალბატონო რეგლზ! და ვიჯდები კი!.. ჰა! ჰა! ჰა! - და ამ სიტყვებით კიდევ აივსო სასმელით ჭიქა და კიდევ უფრო საზიზღარი დამცინავი იერით გადაჰკრა.

- ტროტერ! სომპსონ! გაათრიეთ ეს გამოლეშელი ოხერი დედაკაცი! - დაიკივლა ქალბატონმა კროულიმ.

- ნურას უკაცრავად, - მოახსენა ფარეშმა ტროტერმა, - თვითონ თქვენ გააგდეთ, თუ გნებავთ! გადაგვიხადეთ ჩვენი ჯამაგირები და მერე მეც მიმაყოლეთ - სიამოვნებით გეახლებით!

- აქ ყველანი ჩემი შეურაცხყოფისთვის შეიყარენით? - შესძახა გააფრთრებულმა ბეკი. - პოლკოვნიკი კროული რომ დაბრუნდება, მე თქვენ...

ამ სიტყვებზე მსახურებმა უშვერი ხარხარი ატეხეს, რომელშიაც ფრიად დაღვრემილ რეგლზს მონაწილეობა არ მიუღია.

- ის აქ აღარ დაბრუნდება, - განაგრძო ტროტერმა. - თავისი ნივთებისთვის გამომზავნა კაცი და მე არაფერი დავანებე, თუმცა ბატონი რეგლზი კი აძლევდა. და მე დარწმუნებული ვარ, ეგ ეგეთივე პოლკოვნიკია, როგორც მე. ორთავენი ნამდვილი თაღლითები ბრძანდებით, ნუ მაშინებთ მე! არადა არ შეგეპუებით! გეუბნებით, გადაგვიხადეთ ჩვენი ჯამაგირები! გადაგვიხადეთ!

ბატონ ტროტერს შეჟინჟღილებულ სახესა და ენის ბორძიკზე აშკარად ემჩნეოდა, რომ იმასაც გული სასმელით გაემხნევებინა.

- ბატონო რეგლზ, - მიმართა უზომოდ გაგულისებულმა ბეკიმ, - ნუთუ უფლებას მისცემთ ამგალეშილ ლოთს, შეურაცხყოფა მომაყენოს?

- გაჩერდი, ტროტერ, ნუ ყვირი! - სთხოვა მაჟმა სომპსონმა. მას გული ატკინა თავისი ქალბატონის სავალალო მდგომარეობამ და ხელი შეუშალა ფარეშს, კიდევ უფრო შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოპასუხებოდა ეპითეტ „ლოთის“ დაძახებისათვის.

- ოჰ, ქალბატონო, - მოახსენა რეგლზმა, - არ მეგონა, თუ ამ დღეს მოვესწრებოდი! კროულის ოჯახს ჩემი დაბადებიდანვე ვიცნობდი. ოცდაათ წელიწადს მის კროულის

სახლთუხუცესად ვმსახურობდი და როგორ ვიფიქრებდი, რომ ამ ოჯახის რომელიმე წევრი ჩემს დაღუპვას... დიახ, ჩემს დაღუპვას მოინდომებდა!.. - თქვა საწყალმა და თვალებში ცრემლები მოერია. - მიხდით თუ არა ვალს? ოთხი წელიწადია ამსახლში ცხოვრობთ. ჩემი ქონება ხელთ გქონდათ: ჩემი ვერცხლის ჭურჭელი და თეთრეული. მარტო რძისა და კარაქისა ორასი გირვანქა გმართებთ და კიდევ ახლად დადებული კვერცხებიც მიგქონდათ თქვენი ერბოკვერხებისათვის და ნაღები - თქვენი ფინიისთვის.

- ეგ თავის სისხლსა და ხორცსაც არად აგდებდა, - ჩაურთო მზარეულმა დედაკაცმა. - მე რომ არა, შიმშილით რამდენჯერ გააფრთხობდა სულს!

- ის ახლა საქველმოქმედო სახლის ბიჭია, ჩემო ბატონო! - შესძახა ბატონმა ტროტერმა ლოთური ხარხარით.

ხოლო პატიოსანი რეგლზი კი შესაბრალისი კილოთი გნაგრძობდა თავისი უბედურების ჩამოთვლას. რასაც ამბობდა, სრული ჭეშმარიტება იყო. ბეკიმ დამისმა ქმარმა მართლაც გააკოტრეს და დაღუპეს ის. მომავალ კვირაში თამასუქები ჰქონდა გასასტუმრებელი და არაფერი სახსარი არ მოეპოვებოდა. ალბათ გაუყიდნენ ქონებას და გამოაძევებდნენ თავისიდუქნიდან და სახლიდან, იმიტომ რომ კროულის ოჯახს მიენდო. მისმა ცრემლებმა და ვედრებამ ბეკი კიდევ უფრო გააწიწმატა.

- ყველანი, ჩანს, ჩემს წინააღმდეგ ხართ მოლესილნი, - თქვა მან გამწარებით. - რა გინდათ? კვირა დღეს ვერაფერს ვერ გადაგიხდით. მოდით ხვალ და ყველას გაგისტუმრებთ. მე მეგონა, პოლკოვნიკმა კროულიმ უკვე გაგისწორათ ანგარიში. თუ არა და ხვალ მაინც გაგისტუმრებთ. პატიოსნებას გეფიცებით, დილას ამ სახლიდან რომ გავიდა, საფულეში ათას ხუთასი გირვანქა ედო. ჩემთვის არაფერი დაუტოვებია. იმას მიმართეთ. მომეცით ქუდი და შალი და გამიშვით, რომ წავიდე და მოვძებმ\ნო. ამ დილით უთანხმოება მოგვივიდა. ჩემს, ყველამ იცით ეს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყველას გაგისტუმრებთ ანგარიშს. მან კარგი თანამდებოდა მიიღო. გამიშვით, რომ წავიდე და ვიპოვო!

ამ გაბედულ, თამამ ლაპარაკზე რეგლზმა და იქ დამსწრე სხვა პირებმა განცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს და რებეკა

გავიდა კიდეც ოთახიდან. იგი ავიდა ზემოთ და ამჯერად ფრანგი მოახლის დაუხმარებლად ჩაიცვა. შევიდა როუდონის ოთახში და დაინახა, რომ სკივრი და ჩანთა წასაღებად იყო გამზადებული და ზედ ფანქრით ეწერა, როცა მოაკითხავენ, მიეცითო. შემდეგ ფრანგი პირისფარეშის სხვენის ოთახი მოინახულა - ყველაფერი მოსუფთავებული და ყველა უჯრა დაცარიელებული დახვდა. აქ მოაგონდა ძირს დაყრილი სამკაულებიც და დარწმუნდა, რომ ფრანგი მოახლე გაიქცა.

- ღმერთო შემიბრალე! ჩემისთანა უბედური ნეტა ვინმე იქნება? - თქვა მან. - ასე ახლოს იყო ბედნიერებასთან და ყველაფერი ასე გამოგეცალოს ხელიდან! ნუთუ სულ გადამიწყდა ყოველი იმედი?

არა - ერთი ხსნა კიდევ იყო!

ბეკიმ ჩაიცვა და ახლა კი დაუბრკოლებლად, მაგრამ მარტოდ-მარტო გავიდა სახლიდან. ოთხი საათი იყო. იგი აჩქარებული ნაბიჯით გაჰყვა ქუჩებს (ეტლის ფული არ გააჩნდა) და მანამ არ შეუსვენია, სანამ სერ პიტ კროულის კარს არ მიადგა გრეიტ-გონტ-სტრიტზე. სად იყო ლედი ჯეინ კროული? იგი ეკლესიაში წასულიყო. ბეკის არა სწყენია. სერ პიტი თავის კაბინეტში იჯდა და ნაბრძანები ჰქონდა, არავინ შემაწუხოსო, მაგრამბეკის მაინც უნდა ენახა. ბეკი მსწრაფლ გაუსხლტა ლივრეიან გუშაგს და სახტად დარჩენილმა ბარონეტმა გაზეთის ძირს დადებაც ვერ მოასწრო, რომ ქალმა უკვე სერ პიტის ოთახში ამოჰყო ღავი.

პიტს სახე აელეწა და ძალიან შეშფოთებული და შეძრწუნებული სახით უკან მიაწყდა.

- ასე ნუ მიყურებთ, - მიაძახა ბეკიმ. - მე დამნაშავე არა ვარ, პიტ, ძვირფასო პიტ! თქვენ ხომ ოდესმე ჩემი მეგობარი იყავით? ღმერთს გეფიცებით, დამნაშავე არა ვარ! ისე ჩანს, თითქოს დამნაშავე ვიყო, ყველაფერი ჩემს წინააღმდეგაა და ოჰ! მერე რა დროს! სწორედ მაშინ, როცა მთელი ჩემი იმედები ის-ის იყო ხორციელდებოდა! სწორედ მაშინ, როცა ბედის უდიდესი წყალობა გველოდა!

- მაშ მართალია, რაც გაზეთში წერია? - ჰკითხა სერ პიტმა, რადგან ერთმა იქ ამოკითხულმა ცნობამ ფრიად გააკვირვა ის.

- მართალია, ლორდ სტაინმა მითხრა პარასკევ საღამოს - სწორედ იმ საბედისწერო წვეულებაში. ეს ექვსი თვეა

ჰპირდებოდნენ რაიმე თანამდებობას. ბატონმა მარტინმა, კოლონიების მინისტრმა, აცნობა გუშინ, უკვე მოგვარდა ეგ საქმეო. მერე ის ბედკრული დატუსაღება და ის შემაძრწუნებელი შეხვედრა მოხდა. მე მხოლოდ როუდონის სასარგებლოდ მეტისმეტ თავდადებაში ვარ დამნაშავე. ლორდი სტაინი წინათაც რამდენჯერ ყოფილა ჩემთან მარტოდ. ვაღიარებ, რომ როუდონისაგან დაფარულად ვინახავდი ფულს. მაგრამ განა არ იცით რა დაუდევარი მხარჯველია და განა შემეძლო მისთვის მიმენდო? - და ასე განაგრძობდა სრულიად დამაჯებელ, გაბმულ თხრობას, რომლითაც ყურებს უჭედავდა თავის შეჩქვიფებულ მაზლს.

ნაამბობმა შემდეგი სახე მიიღო. ბეკი აღიარებდა სრული გულწრფელობით, ოღონდ დიდი სინანულით: ლორდ სტაინს მისდამი კეთილგანწყობილება რომ შენიშნა (ამის ხსენებაზე პიტს ალმური მოედო), რაკი დარწმუნებული იყო თავის კდემამოსილებაში, დაგაწყვიტა, დიდი პერის თაყვანისცემა თავისი და თავისი ოჯახის კეთილდღეობისათვის გამოეყენებინა.

- მე ვიმედოვნებდი თქვენთვის პერობის მოპოვებას, პიტ, - უთხრა მან (მაზლი კიდევ უფრო გაწითლდა). - ჩვე. მოვილაპარაკეთ კიდეც ამაზე. თქვენი ნიჭი და ლორდ სტაინის შემწეობა სათუოდ აღარა ტოვებდა მაგ საქმეს, ეს საზარელ უბედურებას რომ არ მოეღო ბოლო ყოველი ჩვენი იმედისათვის. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მე ვაღიარებ, ჩემი მთავარი საზრუნავი ჩემი ძვირფასი მეუღლის გამოხსნა გახლდათ - იმისი, ვინც მიყვარს, მიუხედავად მთელი მისი ავად მოპყრობისა და ეჭვებისა ჩემდამი - გამოხსნა იმ სიღატაკისა და დაღუპვისაგან, რომელიც ჩვენ გვემუქრებოდა. მე ვხედავდი ლორდ სტაინის კეთილგანწყობილებას ჩემდამი, - განაგრძობდა ბეკი და თან თვალები ძირს დახარა. - ვაღიარებ, რომ ყოველი ძალ-ღონითაც ვცდილობდი თავი მომეცონებინა მისთვის და, რამდენადაც პატიოსან მანდილოსან ძალუძს, მისი პატივისცემა დამემსახურებინა. მხოლოდ პარასკევ დილას მოსულიყო კუნძულ კოვენტრის გუბერნატორის გარდაცვალების ცნობა და მილორდმა მყის ხელთ იგდო ეს თანამდებობა ჩემი ძვირფასი მეუღლისთვის. ლორდ სტაინს ეს სიურპრიზად ჰქონდა მისთვის შემონაახული - მას იგი დღევანდელ გაზეთებში უნდა ეხილა. იმ საზარელი დატუსაღების შემდეგაც (რომლისგან თავდასახსნელი ხარჯის

გაღებაც ლორდ სტაინმა სულგრძელად აღმითქვა, ასე რომ, ერთგვარად ხელი შემეშალა მეუღლის დასახმარებლად დროულად წასვლაში), მილორდი სიცილის პირით მეუბნებოდა, რომ ჩემი უძვირფასესი როუდონი მაშინ ინუგეშებდა თავს, როცა გაზეთზი გუბერნატორად თავისი დანიშვნის ამბავს ამოიკითხავდა იმ საზარელ დილეგში - ბეილიფის სახლში. მერე კი... მერე... როუდონი დაბრუნდა შინ. ეჭვები აღეძრა... შემაძრწუნებელი სცენა მოხდა მილორდსა და ჩემს სასტიკ, სასტიკ როუდონს შორის... და, ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მოჰყვება ამას? პიტ, ძვირფასო პიტ! შემიბრალეთ და შეგვარიგეთ, გეთაყვა! - და ამ სიტყვებით იგი დაეშვა მუხლებზე და წასკდა ცრემლები. თან პიტის ხელი ჩაბღუჯა და გულმხურვალედ დაუწყო კოცნა.

სწორედ ამ ყოფაში მოუსწრო ბარონეტსა და მის რძალს ლედი ჯეინმა, რომელმაც ეკლესიიდან დაბრუნებისთანავე, როგორც კი შეიტყო, ქალბატონი კროული პიტთან ერთად არის ჩაკეტილიო, მყის მიაშურა ქმრის კაბინეტს.

- პირდაპირ მანცვიფრებს, ეს ქალი როგორ ბედავს ამ სახლში შემოსვლას! - შესძახა სულ გაფითრებულმა და მთელი ტანით აცახცახებულმა ლედი ჯეინმა (მის ბრწყინვალებას ნასაუზმევსვე გაეგზავნა თავისი პირისფარეში, რომელსაც გამოეკითხა რეგლზისა და როუდონ კროულის მსახურთათვის საქმის ვითარება და მათ რაც იცოდნენ ყველაფერი და ბევრად იმაზე მეტიც მოეთხრონ მისთვის). - როგორ ბედავს ქალბატონი კროული პატიოსანი... პატიოსანი ოჯახის ჭერქვეშ ფეხის შემოდგმას?

სერ პიტ სახტად დარჩა მეუღლის ასეთ ცხარე შემოტევაზე. ბეკი ისევ მუხლმოყრილი იყო და სერ პიტის ხელს ებღაუჭებოდა.

- უთხარით, რომ მან ყველაფერი არ იცის. უთხარით, ძვირფასო პიტ, რომ მე უდანაშაულო ვარ! - სლუკუნებდა ბეკი.

- გეფიცები, ჩემო საყვარელო, რომ მე მგონია, ქალბატონ კროულის ტყუილად ადანაშაულებ, - თქვა სერ პიტმა, რაზედაც რებეკას ფრიად მოეშვა გულს. - მე მართლაც დარწმუნებული ვარ, რომ...

- რომ რა? - შესძახა ლედი ჯეინმა, თან ლაპარაკის დროს წკრიალა ხმა უთრთოდა და გული გაშმაგებით უბაგუნებდა, -

რომ ეგ ბოროტი ქალია - უგულო დედა და მოღალატე ცოლი? მაგას არც არასოდეს ჰყვარებია თავისი ძვირფასი პატარა, რომელიც აქ გამორბოდა და მიამბობდა ხოლმე, რა სასტიკად ეპყრობოდა მას. არასოდეს არ შემოსულა ოჯახში ისე, რომ თან უბედურების შემოტანას არ შეცდილიყო და თავისი ბოროტი პირფერობითა და ფარისევლობით უწმინდესი გრძნობანი არ შეებღალა. ის ატყუებდა ქმარს, ატყუებდა ყველას. მაგას ამაოებით სავსე, გაქსუებული, ყოველი ჯურის დანაშაულით გაშეებული გული აქვს. მაცახცახებს, როცა მაგას ვეხები. ისიც კი არ მინდა, რომ ჩემს ბავშვს შეხედოს. მე...

- ლედი ჯეინ! - შეჰყვირა სერ პიტმა და წამოხტა ზეზე. - ეგ სწორედ ისეთი ლაპარაკია...

- მე პატიოსანი და ერთგული მეუღლე ვიყავი თქვენთვის, სერ პიტ, - შეუპოვრად განაგრძო ლედი ჯეინმა. - როგორც ღვთოს წინაშე დავდე, ისევე ვიცავდე ქორწინების აღთქმას და მორჩილი და სათნო ვიყავი, როგორც ცოლს შეჰფერის. მაგრამ სამართლიან მორჩილებასაც თავისი საზღვარი აქვს და ვაცხადებ, რომ მე ჩემ ჭერქვეშ ვეღარ მოვითმენ მაგ... მაგ ქალს! თუ ეგ კიდევ შემოვა, მე და ჩემი შვილები გავალთ! ეგ ღირსი არ არის ქრისტიან ადამიანებთან იჯდეს. თქვენ... თქვენ უნდა ირჩიოთ, ბატონო, ან ეგ ან მე! - ამ სიტყვებით მილედი, თავისი გამბედაობით აფორიაქებული, გაიჭრა ოთახიდან და არა მცირედ გაოგნებული რებეკა და სერ პიტ მიატოვა.

რაც შეეხება ბეკის, მას არცა სწყენია - პირიქით, ეამა კიდეც.

- ეგ სულ იმ თქვენი ნაჩუქარი ალმასის საკინძისთვისაა! - უთხრა მან სერ პიტს, ხელი გაუწოდა და სანამ წავიდოდა (რასაც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მილედი ჯეინი ზემო სართულიდან თავისი საპირფარეშო ოთახის ფანჯრიდან უთვალთვალებდა), ბარონეტი შეჰპირდა, წავალ, ძმას მოვნახავ და ვეცდები, შეგარიგოთო.

ოფიცერთა სასადილოში როუდონს საუზმეზე რაზმის რამდენიმე ახალგაზრდა ოფიცერი დახვდა. დიდი ხვეწნის გარეშე ისიც დაიყოლიეს ეგემა ის იჯრა - ცხარე სამაზავით შენებული წიწილი, და სოდიანი წყალიც დაეყოლებინა, რითაც ეს ვაჟბატონები ნაყრდებოდნენ. მერე გააბეს იმ დღისა და მათი ასაკის შესაფერი მუსაიფი: მტრედებზე მომავალ სროლაში შეჯიბრის შესახებ ბეტერსიში, შესაბამისი სანაძლეობის

დადებით როსის ან ოსბალდისტონისათვის; ფრანგული ოპერის მადმუაზელ არიანზე, ვინ მიატოვა იგი და მერე როგორ ანუგეშა ის პენთერ კარმა, და ყასაბსა და ნებიერას კრივზე და აქ თაღლითობის მოხდენის შესაძლებლობაზე. ახალგაზრდა ტენდიმენს, ჩვიდმეტი წლის გმირს, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა, როგორმე პირი ულვაშებით დაემშვენებინა, პირადად ენახა ბრძოლა და ფრიადის განსწავლულობით ლაპარაკობდა შერკინებასა და მოკრივეთა მდგომარეობაზე. ასპარეზობაზე სწორედ მან მიიყვანა ყასაბი თავისი ეტლით და მთელი წინა საღამოც სულ მასთან გაატარა. აქ რომ რაღაც თაღლითობა არ ყოფილიყო, მას უნდა მოეგო კიდეც ბრძოლა. რინგის ყველა გაქბილი ყალთაბანდი იქა ტრიალებდა და ტენდიმენი არას გზით არ გადაიხდის სანაძლეოს; არა და არა, დალახვროს ღმერთმა! - მხოლოდ ერთი წელი იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც კრიბის[188] სასტუმრო ოთახში ახლა დაშინაურებული და გაბრძნობილი ეს ახალგაზრდა კორნეტი კამფეტს ეტანებოდა და იწკეპლებოდა ხოლმე იტონში.

ასე განაგრძობდნენ მასლაათს მოცეკვავეებსა, კრივში შეჯიბრსა, სმასა და საეჭვო ყოფაქცევის ქალებზე, ვიდრე მეკმერდო ჩამოვიდოდა და ისიც ჩაერეოდა ყმაწვილებსა და საუბარში. იგი, ეტყობოდა, თავს არ იწუხებდა იმის ფიქრით, რომ რაიმე განსაკუთრებული მორიდება იყო საჭირო მათი სინორჩის წინაშე. ხანშესული დარდიმანდი ისეთ რჩეულ ამბებს ყვებოდა, რომ იქ დამსწრე ყველაზე თავქარიან და ანც ახალგაზრდასაც არ დაუვარდებოდა. მას არც საკუთარი ჭაღარა აბრკოლებდა, არც მათი უწვერული სახეები. ბებერი მეკი სახელგანთქმული იყო თავისი ნამაქიანი ამბებით. იგი მაინცდამაინც მანდილოსანთა საზოგადოებისათვის ზედგამოჭრილი პიროვნება ვერ გახლდათ. ესე იგი, მას თავიანთი საყვარლების სახლებში უფრო ეპატიჟებოდნენ, ვედრე დედებთან. გვარიან მდაბიურ ცხოვრებასაც ეწეოდა, მაგრამ თვითონ სრულიად კმაყოფილი ბრძანდებოდა ამითიც და ფრიადის გულკეთილობით, უბრალოებითა და მორიდებულობით გამოირჩეოდა.

იმ დროისათვის, როცა მეკმერდომ უხვი საუზმე მოითავა, დანარჩენების უმეტესობამაც დაასრულა პურობა. ახალგაზრდა ლორდი ვერინესი ხვირთქლის ვეება ჩიბუხს ეწეოდა, ხოლო კაპიტანი ჰაუზი სიგარას ქაჩავდა. იმ დამთხვეულ ჭინკა ტენდიმენს ფეხებში თავისი პატარა ბულტერიერი ჰყავდა

გამოჩრილი და შილინგიანებით დიდი თავგამოდებით ეთამაშებოდა ფულოანას (ეს ყმაწვილი ყოველთვის რაიმე თამაშობაში იყო გართული!) კაპიტანს დიუსისს. მეკი და როუდონიც გაუდგნენ კლუბის გზას და, რასაკვირველია, კრინტიც არ დასცემიათ იმ საქმის შესახებ, რომლის ფიქრიც თავში უტრიალდებოდათ. პირიქით, ორივენი ფრიად ხალისიანად ჩაებნენ მუსაიფში, ან კი აბა, რად უნდა გაეუგემურებინათ და ჩაეშალათ იგი? ქეიფი, სმა, უწმაწურსიტყვაობა, სიცილ-ხარხარი ყველა ჯურის სხვა საქმიანობის მხარდამხარ მიედინება ამაოების ბაზარში. ეკლესიებიდან ხალხი უკვე გუნდ-გუნდად გამოიშალა, როცა როუდონმა და მისმა მეგობარმა სენტ ჯეიმზის ქუჩა ჩაიარეს და თავიანთ კლუბში შევიდნენ.

ძველი დარდიმანდები და habitués[189], რომელნიც ჩვეულებრივ იჭყიტებიან და იღრიჭებიან კლუბის დიდრონი წინა ფანჯრებიდან, ჯერ კიდევ არ ჩანდნენ თავიანთ პოსტებზე - გაზეთების სამკითხველო დარბაზი თითქმის ცარიელი დახვდათ. იქ როუდონისთვის ერთი უცნობი კაცი იჯდა; მეორესი ვისტის თამაშისა მართებდა ცოტაოდენი და არც ეპიტნავებოდა მისი შეხვედრა; ხოლო მესამემ კი, რომელიც მაგიდასთან საკვირაო გაზეთ „როიალისტს“ (პერიოდული გამოცემა, რომელიც გამოირჩეოდა საჩოთირო ამბებითა და მეფისა და ეკლესიის განსაკუთრებული ერთგულებით) კითხულობდა, რაღაც ცნობისმოყვარეობით გადმოხედა კროულის და უთხრა: - კროული, მოგილოცავთ!

- რას მილოცავთ?

- უკვე „ობზერვერსა“ და „როიალისტშიც“ წერია, - მიუგო ბატონმა სმითმა.

- რა წერია? - შეჰყვირა როუდონმა და სახეზე წამოჭარხლდა.

იმას ეგონა, ლორდ სტაინთან მისი შეტაკების ამბავი უკვე გაზეთებში მოხვდაო. სმითი გაკვირვებული და გაღიმებული უცქეროდა პოლკოვნიკის ღელვასა და აფორიაქებას, რომლითაც მან ხელი სტაცა გაზეთს და აცახცახებული შეუდგა კითხვას.

ბატონი სმითი და ბატონი ბრაუნი (ის ვაჟბატონი, რომლის ვისტის ვალიც გაუსტუმრებელი ჰქონდა როუდონს) სწორედ მისი გამოჩენის წინ ლაპარაკობდნენ პოლკოვნიკზე.

- სწორედ სულზე არ მოუსწრო! - თქვა სმითმა. - მე მგონი, კროულის ერთი გახვრეტილი შილინგიც არ გააჩნია.

- ეგ ისეთი ქარია, ყველას აამებს, - მიუგო ბატონმა ბრაუნმა. - ეგ ისე ვერ გაემგზავრება, ჩემი ოცდახუთი გირვაქა თუ არ გადამიხადა!

- ჯამაგირი რამდენია? - იკითხა სმითმა.

- ორი თუ სამი ათასი, - უპასუხა მეორემ. - მაგრამ იქ ისე ჯოჯოხეთური ჰავაა, დიდხანს ვერავინა სძლებს. ლივერსიჯი წელიწადნახევარში გარდაიცვალა; მისი წინამორბედი კი, გამიგონია, ექვს კვირაში მოკვდაო.

- ზოგი ამბობს, მაგისი ძმა ძალიან ჭკვიანი კაციაო. მე კი ყოველთვის ნამეტან მოსაწყენ ვინმედ მეჩვენებოდა! - წამოიძახა სმითმა. - თუმცა გვარიანი გავლენა კი უნდა მოეპოვებოდეს. ალბათ იმან უშოვა ეგ ადგილი პოლკოვნიკს.

- იმან? - ჩაიქირქილა ბრაუნმა. - ფიე!.. იმან კი არა, ლორდ სტაინმა უშოვა!

- როგორ?

- სათნო მეუღლე ქმრის გვირგვინი გახლავთ! - გამოცანისებურად მიუგო მოსაუბრემ და გაზეთებს მიუბრუნდა.

როუდონმა თავის მხრით „როიალისტში“ შემდეგი საკვირველი ცნობა ამოიკითხა.

„კუნძულ კოვენტრის[190] გუბერნატორობა. - ჩამოვიდა მისი უდიდებულესობის სამხედრო ფლოტის ხომალდი „იელოუ-ჯეკ“, რომლის კაპიტანი გახლავთ კონდერზი, და კუნძულ კოვენტრიდან წერილები და გაზეთები ჩამოიტანა. მისი აღმატებულება სერ ტომას ლივერეჯი გამძვინვარებული ციებ-ცხელების მსხვერპლი გამხდარა სუომპტაუნში. მისი დაკარგვა მძიმედ იგრძნობა აყვავებულ ახალშენში. ჩვენ შევიტყეთ, რომ გუბერნატორობა შესთავაზეს აბანოს ორდენის კავალერს, ვატერლოოს ბრძოლაში თავგამოჩენილ ოფიცერს, პოლკოვნიკ როუდონ კროულის. ჩვენი კოლონიების საქმეთა გასაძღოლად არა მარტო აღიარებული სიმამაცის ადამიანები გვესაჭიროება, არამედ ადმინისტრაციული ნიჭის მქონენიც და ჩვენ არ გვეეჭვება, რომ კუნძულ კოვენტრიზე ასე სავალალოდ

დაცარიელებული თანამდებობისათვის კოლონიათა სამინისტროს მიერ შერჩეული დარბაისელი საოცრად შეეფერება იმ პოსტს, რომლის დაკავებასაც იგი ეპირება“.

- კუნძული კოვენტრი! სად უნდა იყოს? ვინ დაანიშვნინა იგი მთავრობას? მდივნად მაინც წამიყვან, თუ ძმა ხარ! - თქვა კაპიტანმა მეკმერდომ სიცილით და სანამ კროული და მისი მეგობარი პირდაღებულნი და შეჩქვიებულმი შესქეროდნენ ერთმანეთს, კლუბის ფარეშმა პოლკოვნიკს ბატონი უენჰემის სადარბაზო ბარათი მოართვა და მოახსენა, თქვენი ნახვა უნდაო.

პოლკოვნიკმა და მისმა ადიუტანტმა სამართლიანად დაასკვნეს, ლორდ სტაინის მოციქული უნდა იყოსო, და გაეგებენ იმ დარბაისელს.

- როგორ ბრძანდებით, კროული? მეამა თქვენი ნახვა, - ალერსიანი ღიმილით თქვა ბატონმა უენჰემმა და დიდი გულითადობით ჩაბღუჯა კროულის ხელი.

- მე მგონი, თქვენ მობრძანდით...

- ჭეშმარიტად, - სიტყვა ჩამოართვა ბატონმა უენჰემმა.

- მაშ ეს ჩემი მეგობარი კაპიტანი მეკმერდო გახლავთ ლეიბგვარდიის მწვანე რაზმის ოფიცერი.

- რასაკვირველია, ფრიად მოხარული ვარ კაპიტან მეკმერდოს გაცნობისა, - განაცხადა ბატონმა უენჰემმა და ისეთივე ალერსიანიღიმილითა და ხელის ჩამორთმევით მიესალმა სეკუნდანტს, როგორც მის პრინციპალს.

მეკმა ტყავისხელთათმანიანი ხელის ცალი თითი გაუშვირა ბატონ უენჰემს და ძალიან ცივად დააკანტურა თავი გახამებულ ყელსახვევს ზემოდან. ის ეგებ ნაწყენიც იყო, ვიღაც მოქალაქუკასთან რომ უნდა დაეჭირა საქმე და ეგონა, ლორდ სტაინი, სულ უკანასკნელი, პოლკოვნიკს მაინც გამოუგზავნიდა მოსათათბირებლად.

- ვინაიდან მეკმერო ჩემი სახელით მოქმედებს და იცის ჩემი ზრახვები, -თქვა კროულიმ, -სჯობია, მე წავიდე და მარტო დაგტოვოთ.

- რასაკვირველია, - დასძინა მეკმერდომ.

- არავითარ შემთხვევაში, ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო, - შეჰღაღადა ბატონმა უენჰემმა. - საუბარი, რომლის თხოვნის პატივიც მე მქონდა, თქვენთან პირადად მწადია, თუმცა აგრეთვე კაპიტან მეკმერდოს საზოგადოებაც ფრიად სასიამოვნო იქნება. ჭეშმარიტად, კაპიტანო, იმედი მაქვს, ჩვენი მოლაპარაკება უეჭველად ფრიად საამურ შედეგებს გამოიღებს - სრულიად განსხვავებულს იმისაგან, რასაც ჩემი მეგობარი პოლკოვნიკი კროული, ჩანს, ვარაუდობს.

- ჰმ! - წარმოთქვა კაპიტანმა მეკმერდომ.

„დალახვროს ღმერთმა ეს მოქალაქეები, - გაიფიქრა მან თავისთვის, - ყოველთვის მშვიდად აკვარახჭინებენ საქმეებს და ლალაობენ“.

ბატონი უენჰემი ჩამოჯდა სკამზე, რომელიც მისთვის არავის შეუთავაზებია; ამოიღო ჯიბიდან გაზეთი და განაგრძო: - ამ დილით ხომ იხილეთ ეს სასიამოვნო ცნობა გაზეთებში, პოლკოვნიკო? მთავრობამ იპოვნა ფრიად ძვირფასი მსახური და თქვენ კი, თუ ინებებთ თანამდებობის მიღებას, ვითარცა მე მგონია, ინებებთ კიდეც - შესანიშნავი ადგილი. წელიწადში სამი ატასი გირვანქა სტერლინგი ჯამაგირი; ჩინებული ჰავა, შესანიშნავი საგუბერნატორო სასახლე, მთელი ახაშენის სრული ბატონ-პატრონობა და უეჭველი დაწინაირების იმედი! მთელი გულითა და სულით გილოცავთ! მე მგონია, თქვენ მოგეხსენებათ, დარბაისელნო, ვის უნდა უმადლოდეს ჩემი მეგობარი ამისთანა მფარველობას?

- დაე, ჩამომახრჩონ, თუ ვიცოდე! - განაცხადა კაპიტანმა, მის პრინციპალს კი ალმური ავარდა სახეზე.

- მთელი ქვეყნიერების ზურგზე ერთ ყველაზე უფრო სულგრძელ, გულკეთილ და ამასთანავე ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ ადამიანს - ჩემს აღმატებულ მეგობარს, მარკიზ სტაინს!

- ღმერთმა დაწყევლოს მისი თავი - მე იმის ნაშოვნ ადგილს არ მივიღებ! - დაიბრდღვინა როუდონმა.

- თქვენ განაწყენებული ბრძანდებით ჩემს კეთილშობილ მეგობარზე, - განაგრძო მშვიდად ბატონმა უენჰემმა. - ოღონდ, აბა ერთი მიბრძანეთ წრფელი და სამართლიანი გულით - რისთვის?

- რისთვის? - შესძახა სახტად დარჩენილმა როუდონმა.

- რისთვის? დალახვროს ღმერთმა! - გაიმეორა კაპიტანმა და ჯოხი დაჰკრა.

- დიაღაც, რომ ღმერთმა დალახვროს, - კვერი დაუკრა ბატონმა უენჰემმა ფრიად საამური ღიმილით, - აბა შეხედეთ საქმეს, მაღალი საზოგადოების კაცის... პატიოსანი კაცის თვალით და დაუკვირდით, ხომ არ ცდებით. თქვენ მოგზაურიდან დაბრუნდით შინ და ნახეთ, რომ... რა ნახეთ?.. მილორდი სტაინი ვახშმობს თქვენს კერზონ-სტრიტის სახლში ქალბატონ კროულისთან ერთად. განა ეს ამბავი უცნაური ან ახალი რამ გახლავთ? განა წინათ ათასჯერ არ ყოფილა იგი ამგვარსავე ყოფაში? პატიოსნებას გეფიცებით და ჯენტლმენის სიტყვას გაძლევთ (აქ ბატონმა უენჰემმა ჟილეტზე მიიდო ხელი პარლამენტის ორატორის იერით), - მე ვაცხადებ, რომ თქვენი ეჭვები საზარელია, სრულიას უსაფუძვლო და ისინი შეურაცხყოფენ პატივდებულ დარბაისელს, რომელმაც თავისი კეთილგანწყობილება ათასნაირი წყალობით დაგიმტკიცათ, და ყოვლად უმწიკვლო, უდანაშაულო მანდილოსანს!

- თქვენ იმის თქმა ხომ არ გინდათ, რომ... კროული შემცდარია? - სიტყვა ჩაურთო ბატონმა მეკმერდომ.

- მე დარწმუნებული გახლავარ, ქალბატონი ისევე უდანაშაულოა, როგორც ჩემი მეუღლე, ქალბატონი უენჰემი, - განაცხადა ბატონმა უენჰემმა დიდის დაბეჯითებით. - მე დარწმუნებულო გახლავარ, რომ ჯოჯოხეთური ეჭვიანობით ცთუნებულმა ამ ჩემმა მეგობარმა ხელო აღმართა არა მარტო მაღალი მდგომარების დაძაბუნებული ბერიკაცის, მარად მისი მწყალობლის, წინააღმდეგ, არამედ თავისი მეუღლის, თავისი საკუთარი უძვირფასესი პატივის, თავისი ვაჟიშვილის მომავალი სახელისა და ცხოვრებაში თავისი შემდგომი წინსვლის გეგმების წინააღმდეგაც.

- მოგახსენებთ, რაც მოხდა, - განაგრძობდა ბატონი უენჰემი ფრიად თავდაჯერებული კილოთი: - ამ დილით კაცი მომივიდა ლორდ სტაინისაგან და ისეთ სავალალო ყოფაში ვიხილე იგი, როგორშიაც, რასაკვირველია, იქნებოდა - რა ჩემი თქმა უნდა პოლკოვნიკ კროულის - ყოველი ხენშესული და დაძაბუნებული კაცი, თქვენი ძალ-ღონის მქონე ვაჟკაცთან პირადი შეტაკების შემდგომ. პირში გეტყვით: სასტიკად

გისარგებლიად მაგ თქვენი ღონის უპირატესობით, პოლკოვნიკოკროული. ჩემი კეთილშობილი და აღმატებული მეგობრის არა მარტო სხეული, არამედ გულიც, ბატონო ჩემო, გულიც დაკოდილი გახლავთ. ადამიანმა, რომელიც წყალობით აავსო და წრფელის გულით უყვარდა, ასეთი სასტიკი შეურაცხყოფა მიაყენა. განა დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებული სწორედ ეს თანამდებობაზე დანიშვნის ცნობა მისი გულკეთილობის დამადასტურებელეი საბუთი არ გახლავთ თქვენს მიმართ? როცა მე დღეს დილით მისი ბრწყინვალება ვინახულე, ჭეშმარიტად შესაბრალის მდგომარეობაში დამხვდა იგი და ვითარცა თქვენ,მოწადინებული იყო, მისდამი მიყენებული შეურაცხყოფა სასხლით ჩამოებანა. მე მგონი, მოგეხსენებათ მისი გულადობის დამადასტურებელი საბუთები, პოლკოვნიკო კროული!

- შეუპოვარი კაცია და არც არავის უთქვამს ოდესმე მაგაზე, მხდალიაო, - კვერი დაუკრა პოლკოვნიკმა.

- მისი პირველი ბრძანება გახლდათ, დუელში გამოწვევის ბარათი დამეწერა და წამომეღო პოლკოვნიკ კროულისათვის. ერთ-ერთი თქვენთაგანი უნდა შეწიროდა წინაღამინდელი შეურაცხყოფის საქმეს.

კროულიმ თავი დაუკრა.

- ახლა კი უახლოვდებით საქმეს, უენჰემ - თქვა მან.

- მე ყოველი ღონე ვიხმარე, დამეშოშმინებინა ლორდი სტაინი. „ღმერთო შეგვიწყალე! ბატონო ჩემო, - ვუთხარი, - რა ვნანობ, რომ ქალბატონმა უენჰემმა და თვითონ მეც არ მივიღეთ ქალბატონი კროულის დაპატიჟება ვახშმად!“

- განა მან ვახშმად დაგპატიჟად? - ჩაურთო სიტყვა კაპიტანმა მეკმერდომ.

- ოპერის შემდგომ! აი, მოწვევის ბარათი... არა... ეს სხვა ქაღალდი გახლავთ... მემეგონა, თან მქონდა; მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს - მეჩემს პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ვითარცა ჯენტლმენი, რომ ეს მართალი გახლავთ. ჩვენც რომ მივსულიყავით (და მხოლოდ ქალბატონ უენჰემის ჩვეულმა თავის ტკივილმა კი დაგვაბრკოლა! - ძალიან აწუხებს ხოლმე ეგ თავის ტკივილები, განსაკუთრებით გაზაფხულობით), დიახ,

ჩვენც რომ მივსულიყავით და თქვენც შინ დაბრინებულიყავით, არც ჩხუბი იქნებოდა, არც შეურაცხყოფა, არც ეჭვიანობა. და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს საბრალო ცოლს თავი ასტკივდა, თქვენ უნდა სიკვდილის საფრთხის წინაშე დააყენოთ ორი პატივდებული ადამიანი და სამეფოს ორი ყველაზე წარჩინებული, უძველესი ხალხი სირცხვილსა და მწუხარებაში ჩაჰყაროთ.

ბატონმა მეკმერდომ ფრიად დაბნეული სახით გადახედა თავის პრინციპალს, ხოლო როუდონს გაგულისებისაგან ცეცხლი მოეკიდა, რომ შეატყო მსხვერპლი ხელიდან მისხლთებაო. მას ამ მონაჩმახის ერთი სიტყვაც არ სჯეროდა, მაგრამ როგორ უნდა გაემტყუნებინა დაგაებათილებინა?

ბატონმა უენჰემმა ენაწყლიანი მჭევრმეტყველებით, რომელსაც თავის პარლამენტის წევრობის დროს ასე ხშირად იყენებდა, კვლავ განაგრძო: - მე საათზე მეტ ხანს ვუჯექი სტაინს სასთუმალთან და ვევედრებოდი, ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, გადაეთქვა გამოწვევის განზრახვა.მივუთითე, რომ საქმის ვითარება, ბოლოს და ბოლოს, საეჭვო იყო... დიახ, საეჭვო იყო! ვაღიარებ, რომ თქვენს მდგომარეობაში მყოფი ყველა ადამიანი შეიძლებოდა დაეძლია ცთუნებას... მოვახსენე, რომ ეჭვიანობით გაშმაგებული კაცი, ჭეშმარიტად გიჟია და ასეც უნდა იქნეს მიჩნეული; რომ თქვენს შორის მომხდარი დუელი საქმეში ჩარეულ ყველა მხარეს ჩრდილს მიაყენებს; რომ მისი ბრწყინვალებისთანა აღზევებული მდგომარეობის დიდკაცს უფლება არა აქვს ამჟამად, როცა უსასტიკეს რევოლუციურ აზრებსა და ფრიად საშიშ გამათანასწორებელ მოძღვრებებს აქვს გასავალი ბრბოში, საჯარო სკანდალში ჩაერიოს; და რომ, რა უდანაშაულოც არ უნდა იყოს, მდაბიო ხალხი მას მაინც დამნაშავედ ჩასთვლის. ბოლოს, როგორც იქნა, დავიყოლიე, გამოწვებვა არ გამოეგზავნა.

- მაგ მონაჩმახის ერთი სიტყვაც არ მჯერა, - კბილების ღრჭიალით თქვა როუდონმა. - მე დარწმუნებული ვარ, ეგ სულ მტკნარი სიცრუეა და სულ თქვენი მოგონილია, ბატონო უენჰემ. თუ ის არ გამომიწვევს, ღვთის მადლმა, მეთვითონ გამოვიწვევ!

ბატონ უენჰემს პოლკოვნიკის ამ განრისხებულ გამოხდომაზე მკვდრის ფერი დაედო და კარისკენ დაიწყო ცქერა.

მაგრამ მას კაპიტანი მეკმერდო გამოექომაგა. ეს დარბაისელი წამოდგა, შეიკურთხა და როუდონი დატუქსა, აგრე რად ლაპარაკობო.

- შენ მე მომანდომე საქმე და, ღვთის მადლმა, ისედაც უნდა მოიქცე, როგორც მე მეჩვენება საჭიროდ და არა ისე, როგორც შენ გეპრიანება. უფლება არა გაქვს მაგნაირი ლაპარაკით შეურაცხყოფა მიაყენო ბატონ უენჰემს და, დალახვროს ღმერთა, ბატონო უენჰემ, თქვენს წინაშე ბოდიში აქვს ამას მოსახდელი. რაც შეეხება ლორდ სტაინის დუელში გამოწვევას, სხვა ვინმე იშოვე მაგ გამოწვევის წასაღებად - მე არ ვიკისრებ! თუ აყბავების შემდეგ მილორდი წყბარად ყოფნას არჩევს, ჯანდაბას მისი თავი! რაც შეეხება... შეეხება ქალბატონ კროულის საქმეს, ჩემის აზრით, მანდ სულაც არაფერი დადასტურებულა. შენი ცოლი უდანაშაულოა, ისეთი უდანაშაულო, როგორც ბატონი უენჰემი ამბობს, არისო. ყოველ შემთხვევაში, მტკნარი სულელი იქნები, იმ თანამდებობას თუ არ აიღებ და ემას კბილს არ დააჭერ.

- კაპიტანო მეკმერდო, სწორედ ჭკვიანი კაცის ენით ბრძანებთ, - შესძახა ფრიად გულს მოფონებულმა ბატონმა უენჰემმა. - მე ვივიწყებ იმ სიტყვებს, რომლებიც პოლკოვნიკ კროულის წამოსცდა აღელვების ჟამს.

- ეგრეც ვფიქრობდი, - დაცინვით თქვა როუდონმა.

- დააყენე ენა, შე ტუტუცო, - გადაულაპარაკა კაპიტანმა გულკეთილად. - ბატონი უენჰემი მოჩხუბარი კაცი არ არის და თანაც სრულიად მართალია.

- ეს საქმე, ჩემის რწმენით, - შესძახა სტაინის მოციქულმა, - ფრიად ღრმა დავიწყებას უნდა მიეცეს. მის თაობაზე თქმული არც ერთი სიტყვა ამ კარს არ უნდა გასცდეს. მე ვლაპარაკობ, როგორც ჩემი მეგობრის, ისევე პოლკოვნიკ კროულის სასარგებლოდაც, რომელსაც მაინც თავის მტრად მივაჩნივარ.

- მე მგონი, ლორდ სტაინი მაინცდამაინც ძალიან არ გააბამს მაგაზე მუსაიფს, - განაცხადა კაპიტანმა მეკმერდომ, - და მეც ვერა ვხედავ მიზეზს, ჩვენ რაღად უნდა ვილაპარაკოთ. ეგ საქმე, როგორც არ უნდა შეხედო, ვერაფერი ლამაზი საქმეა, და რაც უფრო ცოტა ითქმის მაგაზე, ისა სჯობია. გალახულები თქვენა ხართ და არა ჩვენ და თუ თქვენ დაკმაყოფილებულნი ბრძანდებით, მაშინ, მე მგონი, ჩვენ კიდევ უფრო

დაკმაყოფილებულმი უნდა ვიყოთ!

ამის შემდეგ უენჰემმა ქუდი აიღო. კაპიტანმა მეკმერდომ გააცილა ლორდ სტაინის რწმუნებული; კარი მოიხურა და გაბოღმებული როუდონი ოთახში მარტო დარჩა. გარეთ რომ გავიდნენ ორივენი, მეკმერდომ მეორე მოციქულს ისეთი გამომეტყველებით დააშტერა თვალი, რომ პატივისცემის გარდა ყველაფერი გახლდათ გამოსახული მის მრგვალ, მხიარულ სახეზე.

- თქვენ ადვილად არ იბნევით, ბატონო უენჰემ, - უთხრა მან.

- ქათინაურს მეუბნებით, კაპიტანო მეკმერდო, - მიუგო მეორემ ღიმილით, - პატიოსნებასა და სინდისს გეფიცებით, რომ ქალბატონმა კროულიმ მართლა გვთხოვა, ოპერის შემდეგ ვახშმად მეწვიეთო.

- რასაკვირველია! და ქალბატონ უენჰემს თავის ტკივილმა მოუარა! აი, რას გეტყვით: მე ხელთა მაქვს ათასგირვანქიანი ბაკნოტი, რომელსაც კონვერში ჩავდებ და ლორდ სტაინისათვის გადმოგცემთ, თუ, გეთაყვა, ხელწერილს მიბოძებთ. ჩემი მეგობარი არ არ გამოიწვევს ბრძოლაში, მაგრამ მაგის ფულს კი არ ავიღებთ.

- ყველაფერი გაუგებრობის ბრალია... სულ გაუგებრობის ბრალია, ჩემო ძვირფასო ბატონო! - ფრიად უმანკო იერით უპასუხა ბატონმა უენჰემმა.

კაპიტანმა მეკმერდომ კიბემდე მიაცილა იგი და ის-ის იყო თავი დაუკრა გამოსალმების ნიშნად, რომ სწორედ მაშინ ზემოთ ამომავალი სერ პიტ კროულიც გამოჩნდა. ეს ორი დარბაისელი შორიდან იცნობდა ერთმანეთს. კაპიტანი ბარონეტთან ერთად გაბრუნდა იმ ოთახისასენ, სადაც უკანასკნელის ძმა იყო და გზაში სერ პიტს უთხრა, ლორდ სტაინსა და პოლკოვნიკს შორის უკვე მოვაგვარე საქმეო.

სერ პიტს, რასაკვირველია, ძალიან ეამა ეს ამბავი და გულმხურვალედ მოულოცა ძმას საქმის მშვიდობიანად დაბოლოება. თანაც შესაფერისი ზნეობრივი შენიშვნები გამოთქვა დუელის გამართვის ბოროტების თაობაზე და დავის ამნაირად მოგვარების მიზანშეუწონლობაზე.

ამ წინასიტყვაობის შემდგომ მან მთელი თავისი

მჭევრმეტყველება მოიხმარა, რათა როუდონი და მისი მეუღლე როგორმე შეერიგებინა. მან ჩამოუთვალა ის საბუთები, რომელბიც ბეკიმ უთხრა, მიუთითა მათს შესაძლო სიმართლეზე და მტკიცედ განაცხადა, დარწმუნებული ვარ, იგი უბრალოაო.

მაგრამ როუდონმა ყურიც არ ათხოვა. - ეგ მთელ ათწელიწადს მიმალავდა ფულს, - თქვა მან. - გუშინ საღამოსახ კი იფიცავდა, სტაინს ჩემთვის არაფერი მოუციაო. როგორც კი ერთად შევისწარი, მაშინვე მიხვდა, რომ ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა. თუ სულ დამნაშავე არ არის, პიტ, მაინც დამნაშავის ბადალია და მაგას აღარასოდეს... აღარასოდეს არ შევურიგდები! - დაასრულა მძიმე მწუხარებით გულგატეხილმა როუდონმა.

- საწყალი ბიჭი! - თავის ქნევით ჩაილაპარაკა მეკმერდომ.

როუდონ კროული ერთ ხანს უარობდა ასე საძულველი მფარველისაგან მოპოვებულ თანამდებობას და ბავშვის გამოყვანაც კი უნდოდა სკოლიდან, სადაც იგი ლორდ სტაინის ხელშწყობით იყო მოთავსებული. მაგრამ ძმისა და მეკმერდოს ხვეწნით ძალაუნებურად შეურიგდა ამ წყალობებს; ოღონდ უმთავრესად იმ მიზეზით კი, რომ კაპიტანმა შეაგონა, რა გაშმაგდება სტაინი, როცა გაახსენდება მისი მოსისხლე მტერი თვითონვე რომ ბედს სწიაო.

ამ დავიდარაბის შემდეგ მარკიზი სტაინი გარეთ რომ გამოვიდა და კოლონიათა მინისტრს შეხვდა, მან თავის დაკვრით თავისი და სამინისტროს სახელით მიულოცა ასეთი ჩინებული მოხელის დანიშვნა. ეს მილოცვანი მადლიერების ისეთი გრძნობით იქნა მიღებული, რაიც, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ლორდ სტაინის მხრით.

ლორდ სტაინსა და პოლკოვნიკ კროულის შორის შეტაკების საიდუმლო უღრმეს დავიწყებას მიეცა, ვითარცა ბატონმა უენჰემმა ბრძანა - ესე იგი სეკუნდანტებისა და მათი პრინციპალების მხრით. მაგრამ იმავე საღამოს ამაოების ბაზრის ერთ ორმოცდაათ სუფრაზე მაინც ახსენებნენ ამ ამბავს. მარტო პატარა კეკლბიმ შვიდი საღამოს წვეულება მოიარა და შევსებულ-შესწორებული და ახსნა-განმარტებებით შეზავებული ახალ-ახალი ვერსია გაავრცელა ყველგან. რა ხარობდა ქალბატონი უაითი! ილინგის ეპისკოპოსის მეუღლეს

პირდაპირ ენა ჩაუვარდა; თვითონ ეპისკოპოსი სწორედ იმ დღესვე მიბრძანდა და ხელი მოაწერა გონტ-ჰაუზის სტუმართა წიგნში. ლორდი საუთდაუნუ შეწუხდა; ასევე შწუხებული, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძალიან შეწუხებული გახლდათ მისი და ლედი ჯეინი. ლედი საუთდაუნმა ეს ამბავი კეთილი იმედის კონცხზე აცნობა თავის მეორე ასულს. იგი მთელი ქალაქის საჭორაო საგანი გახლდათ თითქმის სამ დღეს და მხოლოდ ბატონი უენჰემისაგან ჩაგონებლი ბატონი უეგის გულმოდგინე ცდამ იხსნა გაზეთებშიაც გამოქვეყნებისაგან.

საბრალო რეგლზს., კერზონ-სტრიტზე, სასამართლოს ბოქაულები და აღმასრულებლები დაესიენ. მაგრამ ამასობაში სად ბრძანდებოდა ამ პატარა, საწყალი სახლის მშვენიერი მდგმური? იგი ვისღა ენაღვლებოდა! ვინ კითხულობდა მას ერთი-ორი დღის შემდეგ? იყო თუ არა დამნაშავე? - ჩვენ ვიცით, რა ხელგაშლილია საზოგადოება და როგორია ამაოების ბაზრის განაჩენი საეჭვო ვითარების დროს. ზოგი ამბობდა, ლორდ სტაინს გაეკიდა ნეაპოლშიო. სხვები ირწმუნებოდნენ, მისმა ბრწყინვალებამ მაშინვე დატოვა ის ქალაქი და პალერმოს გარდაიხვეწა ბეკის ჩამოსვლის ამბავი რომ გაიგო. ზოგი ამბობდა, ბირშტადტში ცხოვრობს და ბულგარეთის დედოფლის dame d’honneur[191] გახდაო; სხვანი - ჩელტმენის ერთ-ერთ პანსიონში ბინადრობსო.

როუდონმა მას საკმაო წლიური თანხა დაუნიშნა და იგი ისეთი დედაკაცი გახლდათ, რომ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, როგორც იტყვიან, ამ ცოტა ფულიდანაც ბევრს გამოადნობდა. ინგლისიდან წასვლის წინ როუდონ კროული შესძლებდა მთელი თავისი ვალები გაესტუმრებინა, რომ რომელიმე სადაზღვევო საზოგადოებას დაეზღვია მისი სიცოცხლე. მაგრამ კუნძულ კოვენტრის ჰავა იმდენად საშიში გახლდათ, რომ თავისი წლიური ჯამაგირის თავდებობითაც ვერ იშობა სასესხოდ ფული. იგი მაინც ბეჯითად უგზავნიდა ძმას თანხაბს და პატარა ბიჭსაც ყოველი ფოსტით სწერდა წერილებს. მეკმერდოს სიგარებით ამარაგებდა, ლედი ჯეინს კი უამრავ ნიჟარებს, კაიენურ პილპილს, ცხარე მწნილებს, გუავის მურაბას და სხვა საკოლონიო საქონელს უგზავნიდა. ძმას აგრეთვე მოართმევდა „სუომპტაუნის გაზეთს“, რომელშიაც ახალი გუბერნატორი ქებით ზეცაში აჰყავდათ. მაშინ როდესაც „სუომპტაუნის გუშაგი“, რომლის რედაქტორის მეუღლეც გუბერნატორის სასახლის წვეულებაში არ გახლდათ

მიპატიჟებული, აცხადებდა: მისი აღმატებულება ისეთი ტირანია, რომ მასთან შედარებით ნერონი[192] განათლებულ ფილანთროპოსად მოგვეჩვენებოდაო. პატარა როუდონს უყვარდა ხოლმე ამ გაზეთების აღება და მისი აღმატებულების ამბების კითხვა.

დედამისს ბავშვის ნახვის სრულიად არავითარი სურვილი არ გამოუმჟღავნებია. პატარა როუდონი კვირაობით და უქმეებში ძალუასთან დადიოდა. მან მალე ისწავლა დედოფლის კროულის სანახების ყველა ჩიტის ბუდე და სანადიროდაც დადიოდა სერ ჰადლსტონის მეძებრებითურთ, რომელთაც ასე აღტაცებით შეხვედროდა ჰემპშირს თავისი პირველი საამოდ დასამახსოვრებელი სტუმრობის დროს.

თავი LVI - ჯორჯს ჯენტლმენად ხდიან

ჯორჯი ოსბორნმა ჩინებულად მოკალათა პაპამისის რასელ-სკვერის სასახლეში. დაბინავდა მამის ყოფილ ოთახში და მთელი იქაური ავლადიდების კანონიერი მემკვიდრე შეიქნა. ბიჭუნას სანდომიანმა შესახედაობამ, ზრდილობიანმა ყოდაქცევამ და კეთილშობილურმა გარეგნობამ პაპის გული მოხიბლა. ბატონი ოსბორნი ისევე ამაყობდა მისით, როგორც ოდესმე - უფროსი ჯორჯით.

ბავშვს ახლა გაცილებით მეტი ფუფუნების საგნები მოეპოვებოდა თავისი ყოველი ჟინის ასასრულებლად, ვიდრე მამამისს. ოსბორნის ვაჭრობა ძალიან სარფიანად წარიმართა ბოლო წლებში. ფრიად გაიზარდა მისი სიმდიდრე და გავლენა სითიში. წინათ საკმაოდ ნასიამოვნები იყო იმით, რომ ჯორჯ-უფროსი კარგ კერძო სასწავლებელში მიაბარა. არა მცირედ სიამაყეს ჰგვრიდა ისიც, რომ არმიაში ოფიცრის ჩინი უშოვნა. პატარა ჯორჯისა და მისი მომავალი ცხოვრებისათვის კი ბერიკაცი გაცილებით უფრო მაღალი მდგომარეობის მიღწევას ვარაუდობდა. ბატონი ოსბორნი სულ იმას ლაპარაკობდა, პატარა ჯორჯი ნამდვილი ჯენტლმენი და წარჩინებული უნდა გავხადოო. გონების თვალით ხედავდა მას უნივერსიტეტდამთავრებულს, პარლამენტის წევრს, ეგებ

ბარონეტსაც. ბერიკაცი ფიქრობდა, კმაყოფილი ჩავალ სამარეში,თუ ჩემი შვილიშვილი ასეთი პატივის მოპოვების კეთილგზაზე მდგარი ვიხილეო. მის აღსაზრდელად სულ უწარჩინებულესი უნივერსიტეტდასრულებული მასწავლებლების მოწვევა სურდა, თაღლითებსა და ცრუმოსახელე ყალთაბანდებისა არა სწამდა რა. ორიოდე წლის წინათ გაშმაგებით ცოფავდა ყველა მღვდელს, სწავლულსა და მისთანებს. უწოდებდა მატრაბაზებისა და თაღლითების ბრბოს, რომელთაც ლათინურისა და ბერძნულის ზუთხვის გარდა სხვა არაფრით შეეძლოთ თავის რჩენა, ეძახდა ამპარტავანი, წუწკი ძაღლების ხროვას, ვითომდა ამრეზით რომ გადმოჰყურებდნენ ბრიტანელ სოვდაგრებსა და აზნაურთ, რომელთაც შეეძლოთ თუნდაც ასი მათგანიც ეყიდათ ფულით. იგი ახლა ფრიად გულზვავი იერით გოდებდა, რომ მისი საკუთარი სწავლა-განათლების საქმე თავის დროზე უყურადღებოდ იქნა მიტოვებული. და დიდრაჯული სიტყვებით წანდაუწუმ მიუთითებდა ჯორჯს კლასიკური განათლების აუცილებლობასა და სიკეთეზე.

სადილზე რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, პაპა ეკითხებოდა ხოლმე ყმაწვილს, დღეს რა ისწავლეო, დიდის გულისყურით უსმენდა შვილიშვილს და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს პატარა ჯორჯის ნათქვამი ყველაფერი ესმოდა. თვითონ ათას შეცდომას სჩადიოდა და მრავალგზის ამჟღავნებდა თავის უვიცობას. ეს, რასაკვირველია, არ აღრმავებდა იმ პატივისცემას, რომელსაც ბავშვი გრძნობდა უფროსის წინაშე. გამჭრიახმა გონებამ და სხვაგან მიღებულმა უკეთესმა აღზრდამ მალევე მიახვედრა ბიჭი, რომ პაპამისი უბირი და ყეყეჩი ბრძანდებოდა. ამიტომ, მსწრაფლ მოიპოვა მასზე ბატონობა და ზემოდან დაუწყო ცქერა, რადგან ადრინდელმა, თუმცა მცირემ და შეზღუდულმა სწავლა-განათლებამ პაპამისის მომავალ გეგმებზე ბევრად უკეთეს ჯენტლმენად აქცია ჯორჯი. იგი აღზარდა კეთილამ, სუსტმა და სათნო ქალმა, რომელსაც იმაზე უფრო საამაყო და სათაყვანო სხვა არაფერი გააჩნდა ქვეყნიერების ზურგზე. მას წმინდა გული ჰქონდა და ისე კრძალვით და რიდით იქცეოდა, როგორც მართლაც ჭეშმარიტ დარბაისელ ბანოვანს შეშვენის. იგი გართული იყო თავის სათნო და წყნარ საქმიანობაში. თუ ბრწყინვალე აზრებს არ გამოთქვამდა, უკადრისს მაინც არას გაიფიქრებდა და არც იტყოდა. უმწიკვლო და ალალი, მოსიყვარულე და წმინდა -

მართლაც როგორ შეიძლებოდა, ჩვენი საბრალო პატარა ემილია ჭეშმარიტი დარბაისელი ბანოვანი არ ყოფილიყო?

პატარა ჯორჯი ამ სათნო და დამთმობი ბუნების ადამიანზე ბატონობდა და მისი უბრალოებისა და სინატიფის კონტრასტმა ყეყეჩი, გონებაჩლუნგი ბერიკაცის ტლანქ გულზვაობასთან, რომელთან შეხვედრა მერე ბედმა არგუნა, ამ უკანასკნელზეც მოაპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა. უფლისწულიც რომ ბრძანებულიყო, ამაზე უფრო დიდ აზრს თავისთავზე მაშინაც ვერ ჩაუნერგავდნენ აღზრდის დროს.

დედამისს რომ შინ გული ელეოდა ჯორჯიზე ფიქრით და დარწმუნებული ვარ, დღის ყოველ ჟამს და მწუხარე, ეული ღამეების უმეტესს საათებს იმაზე ფიქრში ატარებდა, ამ ახალგაზრდა დარბაისელს მრავალი სიამოვნება და ნუგეში ხვდა წილად, რომელთაც, მისი მხრით, ფრიად იოლად გადაატანინეს ემილიასთან განშორების სიმძიმე. პატარა ბიჭები რომ ტირიან სკოლაში წასვლისას, ტირიან, იმიტომ, რომ ძალიან უსიამო ადგილას მიჰყავთ. ჭეშმარიტი გრძნობით მხოლოდ ცოტაოედენი თუ ტირის. ოდეს მოგაგონდება, რომ პატარაობაში შენც ცრემლები შეგაშრებოდა ჯანჯაფილიანი ნაჭრის დანახვაზე და რომ ქლიავის მურაბიანი ნამცხვარი განუგეშებდათ დედიკოსა და დებთან განშორებისათვის, ო, ჩემო ძმაო და მეგობარო, რაღა გეთქმის შენს საკუთარ ნატიფ გრძნობებზე?

დიახ, ვაჟბატონ ჯოჯრჯ ოსბორნს განცხრომისა და ფუფუნების არც ერთი საგანი არ აკლდა, თუკი მას საჭიროდ მიიჩნევდა მისი მდიდარი და ხელგაშლილი მოხუცი პაპა. მეეტლეს ებრძანა, მისთვის, რაც კი ფულს შეეძლო, ყველაზე უკეთესი პონი ეყიდა. მისი ტარება ჯორჯმა ჯერ საცხენოსნო სკოლაში ისწავლა, ხოლო როცა საკმაოდ შეითვისა უუზანგოდ სიარული და დაბრკოლებების გადალახვა, ნიუ-როუდონით რიჯენტს-პარკში, მერე კი - ჰაიდ-პარკშიაც გადაინაცვლა, სადაც მარტინ მეეტლის თანხლებით დიდრაჯულად გამოჭიმული დასეირნობდა. მოხუცი ოსბორნი, რომელსაც ახლა უკეთ ჰქონდა საქმეები სიტიში, სადაც კანტორას უმცროსი კომპანიონების იმედით ტოვებდა, მის ოსბორნთან ერთად ხშირად გაისეირნებდა ეტლით იმ მოდური სასეირნო ადგილების მიმართულებით. როცა პატარა ჯორჯი დარდიმანდულად მოაგელვებდა პონის, პაპამისი ქიმუნჯს

წაჰკრავდა ყმაწვილის მამიდას და ჩაულაპარაკებდა: „ერთი შეხედე, მის ოსბორნ!“ თან ხითხითებდა და სიამით უჭარხლებოდა სახე, სარკმლიდან თავს რომ უკანტურებდა ბიჭს, ხოლო მეჯინიბე სალამს უძღვნიდა კარეტას, კარეტის მხლებელი ფარეში კი - ბატონიშვილ ჯორჯს. აქვე, მამიდამისი ქალბატონი ბულოკი (რომლის ეტლიც ყოველ ცისმარე დღეს სასეირნო წრეში მოჩანდა, კარებსა და მოსართავებზე მოოქრული საღერბო ხარები[193] რომ ჰქონდა ამოტვიფრული და კიკარდებითა და ფრთებით შემკული, სახეგაცრეცილი სამი პატარა მოზვერი-ბულოკი რომ იჭყიტებოდა სარკმლიდან) - მოგახსენებთ, ფრედერიკ ბულოკის პატივდებული მეუღლე უსასტიკესი მძულვარებით აღვსილ თვალებს უბრიალებდა პატარა მატრაკვეცას, როცა იგი დოინჯშემოყრილი და გვერდზე ქუდმოგდებული მართლაცდა ლორდივით ამპარტავნულად ჩაუთოხარიკებდა გვერდით.

თუმცა ჯერ თერთმეტი წლისაც არ იქნებოდა, ბატონიშვილი ჯორჯი საკოჭურებსა და უტურფეს პატარა ჩექმებს ატარებდა ვაჟკაცივით. მოოქრული დაზაბი, ოქროსტარიანი მათრახი და ყელსახვევის მშვენიერი ქინძისთავიც მოეპოვებოდა და უნატიფესი ტყავის პაწია ხელთათმანები, რომელიც კი შეიძლებოდა კაცს ეშოვნა კონდუიტ-სტრიტელი ლემისაგან. დედამისმა წყვილი ყელსახვევი და მზრუნველობით შეკერილ-შემოკეცილი რამდენიმე პატარა პერანგი გამოატანა, მაგრამ ოდეს მისი სამოელი[194] ესტუმრა ქვრივს სანახავად, ისინი გაცილებით უფრო ნატიფ თეთრეულზე ჰქონდა გამოცვლილი. მოვის პერანგის გახამებულ გულისპირზე პატიოსანთვლებიანი პაწია ღილები ეკეთა. მისი მცირე საჩუქარი გვერდზე გადაედოთ - მე მგონი, მის ოსბორნმა ისინი მეეტლის ბიჭს უფეშქაშა. ემილია ცდილობდა თავი დაეჯერებინა, ნასიამოვნები ვარ ამ ცვლილებითაო. იგი მართლაც ბედნიერი და მოხიბლული იყო, ასე ლამაზად გამოწყობილ შვილს რომ ხედავდა.

ბიჭის პატარა, შავი ერთშილინგიანი სურათი ჰქონდა პროფილში დახატული და სხვა მეორე პორტრეტის გვერდით ეკიდა საწოლის თავზე. ერთ დღეს ბავშვი რიგისამებრ ესტუმრა. ჭენებით ამოიარა ბრომპტონის პატარა ქუჩა და ჩვეულებისამებრ ქუჩის მთელი მცხოვრებლები ფანჯრებს მოაწყდნენ მისი ბრწყინვალე გარეგნობით დასატკბობად. დიდის ფაციფუცით და სახეზე გამოხატული ზარ-ზეიმით

ამოიღო მაზარის ჯიბიდან (ეს გახლავთ კოპწია თეთრი მაზარა, კაპიშონითა და ხავერდის საყელოთი შემკული) წითელი ტარსიკონის კოლოფი და დედას მიართვა.

- ეს ჩემი საკუთარი ფულით ვიყიდე, დედიკო, - უთხრა მან. - მე მგონი, მოგეწონება!

ემილია გახსნა კოლოფი, აღტაცებისაგან ოდნავ შეჰკივლა, მივარდა ბავშვს და ერთი ასჯერ მაინც ჩაიკრა გულში. ეს იყო თვით ჯორჯის მინიატურამ ძალიან რიგიანად გაკეთებული (ოღონდ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ქვრივის აზრით, სანახევროდაც არ გამოხატავდა ბიჭის სილამაზეს). პაპამისს მოენდომებინა, ჰქონოდა შვილიშვილის სურათი იმ მხატვრის ხელით დახატული, რომლის სურათებიც მოხუც დარბაისელს თვალში მოუვიდა საუთემპტონ-როუს ერთი მაღაზიის ფანჯარაში რომ გამოეფინათ. ჯორჯიმ, რომელსაც საკმაოდ ბლომად ჰქონდა ფული, ჰკითხა მხატვარს, რა ეღირება პატარა სურათის დახატვაო, და თან დასძინა, ჩემ საკუთარ ფულს მოგცემო და რომ ეს სურათი მინდა დედაჩემს ვაჩუქოო. ამით ნასიამოვნებმა მხატვარმა იაფად დაუხატა სურათი, ხოლო მოხუცმა ოსბორნმა რომ შეიტყო, კმაყოფილებით ჩაიბუზღუნა და ბიჭს მინიატურაში გადახდილზე ორჯერ მეტი სოვერენები[195] ჩაუჩხრიალა ჯიბეში.

მაგრამ აბა რა სახსენებელია პაპის სიამოვნების შედარება ემილიას აღტაცებასთან! ბიჭის სიყვარულის ამ საბუთმა ისე მოხიბლა დედა, რომ იფიქრა, გულკეთილობით ქვეყნიერების ზურგზე ვერა ბავშვი ვერ შეედრება ჩემსასო. შემდეგ მთელი გრძელი კვირეების მანძილზე აბედნიერებდა ქალს მის სიყვარულზე ფიქრი. ემილიას უკეთ ეძინა, სურათი რომ სასთუმალს ქვეშ ედო და რამდენგზის კოცნიდა მას, დასტიროდა და ლოცულობდა მისთვის! მცირეოდენი გულკეთილობის გამოჩენაც კი მათგან, ვინც მას უყვარდა, მადლიერების გრძნობით აღავსებდა მის მოკრძალებულ, სათნო გულს. ჯორჯისთან განშორების შემდეგ ასეთი სიხარული და ნუგეში ჯერ არ ხვდენოდა მას წილად.

ახალ ოჯახში ჯორჯი ლორდივით ხელმწიფობდა. სადილად მანდილოსნებს ფრიად გულარხეინად იწვევდა სმაში და იმნაირად ყლურწავდა შამპანურს, რომ მოხუცი პაპა მოხიბლური გახლდათ.

- ერთი უყურეთ, - იტყოდა ბერიკაცი და სიამით სახეაჭარხლებული ქიმუნჯს უთავაზებდა მეზობელს, - გინახავთ ამისთანა ღლაპი? ღმერთო ჩემო, ღმერთო ცემო! მალე პირის საპარს ხესაწყოებსა და სამართებლებს მოითხოვს და პირის პარსვას შეუდგება; ღმერთმანი, შეუდგება!

მაგრამ ყმაწვილის ანცობა-მატრაბაზობა ისე არ ახარებდათ ბატონი ოსბორნის მეგობრებს, როგორც ეს მოხუც დარბაისელს ეამებოდა. ბატონ კოფინს, მსაჯულს, სრულიადაც არ ეჭაშნიკებოდა, ჯორჯი რომ ჩაეჩრეოდა საუბარში და უფუჭებდა მონათხრობ ამბებს. პოლკოვნიკ ფოგის არ ეხალისებოდა, პატარა ბიჭს ნახევრად მთვრალს რომ ხედავდა. ბატონი ტოფის, ვექილის მეუღლე ვერაფერ განსაკუთრებულ მადლობას გრძნობდა, ჯორჯიმ ნიდაყვი რომ გაჰკრა ჭიქას, ყვითელი ატლასის კაბაზე გადმოასხა პორტვეინი და თანაც ხარხარი რომ აუტყდა ამ ფათერაკზე, არც ის ეამა (თუმცა მოხუცი ოსბორნი კი ფრიად ნასიამოვნები გახლდათ), როცა ჯორჯიმ „ააყბავა“ რასელ-სკვერში მისი მესამე ძე (ახალგაზრდა დარბაისელი, ჯორჯიზე ერთი წლით უფროსი, შემთხვევით საარდადეგებოდ შინ მობრძანებული დოქტორ ტიკლენის ილინგის სასწავლებლიდან).

ჯორჯის პაპამ რამდენიმე სოვერენი მიართვა ამ მარიფათის გამოჩენისთვის და თან დაჰპირდა, შემდეგაც დაგაჯილდოვებ ხოლმე, ყოველი შენზე უფრო ზორბა და ხნიერი ბიჭის ეგრევე აყბავებისთვისო. ძნელი სათქმელია, რა სიკეთესა ხედავდა ბერიკაცი ამ შეტაკებებში. თავში ბუნდოვანი აზრი უტრიალებდა, რომ მუშტი-კრივი ბეჭებს აკაჟებდა და რომ მტარვალობაში გაწვრთნა სასარგებლო შენაძენი იქნებოდა მათთვის. ინგლისელი ახალგაზრდობა უხსოვარი დროიდან იზრდებოდა ასე და ასი ათასობით ადამიანი მოგვეპოვება, რომელნიც პირს სწმენდენ და ეთაყვანებიან უსამართლობას, ჩაგვრა-უბედურებას, უხეშობასა და სისასტიკეს, ბავშვები რომ სჩადიან.

ბატონიშვილ ტოფიზე გამარჯვებითა და შექებით აღფრთოვანებულმა ჯორჯიმ, რასაკვირველია, მოინება შემდგომი ძლევამოსილი წინსვლა და ერთ დღეს, როცა საუცხოო დარდიმანდულ ახალ ტანსაცმელში გამოწყოვილი ზვიდად მოიბღინძებოდა ქუჩაში წმიდა პანკრატის ეკლესიის ახლოს და მეპურის ბიჭმა დაცინვით მოიხსენია მისი

შესახედაობა, ახალგაზრდა წარჩინებულმა ყმაწვილმა დიდის რიხით გაიძრო დარდიმანდული ქურთუკი, მიაბარა თანხლებ მეგობარს (რასელ-სკვერელ, გრეიტ-კორამ-სტრიტელ ბატონიშვილ ტოდს, ოსბორნისა და კომპანიის ფირმის უმცროსი ამხანაგის ვაჟიშვილს) და ჯორჯიმ სცადა პატარა მეპურეც ეაყბავებინა. მაგრამ ამჯერად ომის ბედი არახელსაყრელად შეტრიალდა მისთვის და პატარა მეპურემ ააყბავა ჯორჯი, რომელიც სავალალოდ დალოლავებული თვალით დაბრუნდა შინ და პერანგის მთელი ნატიფი ნაიჭიანი საყელოც საკუთარი პატარა ცხვირიდან გადმოდენილი წითელი ღვინით ჰქონდა დალტობილი. პაპას კი მოახსენა, დევგმერთან შებმა მომიხდაო, და თავისი საბრალო დედიკოც დააფრთხო ბრომპტონში, ამ შეტაკების სრულიად არაჭეშმარიტი აღწერით.

ეს კორამ-სტრიტელი, რასელ-სკვერელი ახალგაზრდა ტოდი ბატონიშვილ ჯორჯის დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი გახლდათ. ორივეს უყვარდა თეატრალური გმირების ხატვა, ნუშის კანფეტები და ჟოლოიანი ღვეზელები, ცურვა და ციგურაობა რიჯენტსპარკსა და სერპენტაინში, როცა საამისო ამინდი იყო; თეატრში სიარული,სადაც ბატონი ოსბორნის ბრძანებით ხშირად დაჰყავდა ისინი როუსონს, ბატონიშვილ ჯორჯისთვის მიჩენილ პირად მსახურს, რომელთან ერთადაც დიდის ფუფუნებით ისხდნენ პარტერში.

ამ დარბაისელთან ერთად დედაქალაქის ყველა მთავარი თეატრი მოინახულეს. იცოდნენყველა მსახიობის სახელი, მოყოლებული დრარი-ლეინიდან, გათავებული სედლერზ-უელზით და ტოდის ოჯახსა და თავიანთ ნორჩ მეგობრებს მუყაოს თეატრში წარმოუდგენდნენ კიდეც ხოლმე პრავალ პიესას უესტის სახელგანთქმული გმირებითურთ. ფარეში როუსონი, ხელგაშლილი და სულგრძელი ყმაწვილი, არაიშვიათად, როცა ფული მოეპოვებოდა, წარმოდგენის შემდეგ, ძილის წინ, ხამანწკებითა და ფიალა რომშერეული ხილის წვენით უმასპინძლდებოდა თავის ახალგაზრდა ბატონს. სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თავის მხრივ ბატონი როუსონიც სარგებელს ნახულობდა ახალგაზრდა ბატონის ხელიეფობისა და მადლიერების წყალობით იმ სიამოვნებათათვის, რომელთაც მხლებელი ანიჭებდა მას.

პატარა ჯორჯის პიროვნების მოსაკაზმავად ქალაქში

სახელგანთქმული უესტ-ენდელი თერძი იქნა მოწვეული და განკარგულება მიეცა, არავითარ ხარჯს არ მორიდებოდა ამ საქმეში. ბატონი ოსბორნი, მისი თქმით, ბიჭთან ახლოსაც არ მოასუნინებდა სიტის ამ ჰოლბორნის ფინაჩებს, თუმცა სიტის თერძი მისთვის სრულიად საკმარისი გახლდათ. ამრიგად, კონდუიტ-სტრიტელმა ბატონმა ვულზიმ ფართო გასაქანი მისცა თავის წარმოსახვას და ბავშვს უგზავნიდა შინ იმდენ ფანტაზია-შარვლებს, ფანტაზია-ჟილეტებსა და ფანტაზია-ქურთუკებს, რომ მოკოხტავე პატარა დარდიმანდების მთელ სასწავლებელს ეყოფოდა. ჯორჯის ჰქონდა პაწია თეთრი ჟილეტები საღამოს წვეულებათათვის, პაწია ხავერდის გულამოჭრილი ჟილეტები სადილისათვის და ჩინებული პაწია საუცხოო ხალათი, სწორედ როგორც პატარა ვაჟკაცს შეეფერებოდა. იგი ყოველდღე გადაიცვამდა ხოლმე სადილად, „ნამდვილი უესტ-ენდელი კოხტა დარდიმანდივით“, როგორც პაპამისი იტყოდა. ერთი შინამოსამსახურე პირადად მას ჰყავდა მიჩენილი - ემსახურებოდა მოკაზმვის დროს, ეხმაურებოდა ზარზე და ყოველთვის ვერცხლის სინით მიართმევდა ხოლმე წერილებს.

ნასაუზმევს ჯორჯი ჩაბრძანდებოდა სასტუმრო დარბაზის სავარძელში და სწორედ ვაჟკაცივით კითხულობდა „მორნინგ პოსტს“. „მერე როგორ ილანძღება და იგინება!“ - გაიძახოდნენ მისი ასეთი ნაადრევი დავაჟკაცებით აღფრთოვანებული მოსამსახურენი. ვისაც კაპიტანი ახსოვდა, აცხადებდნენ, ბატონიშვილი ჯორჯი პირწავარდნილი მამამისიაო. იგი ახალისებდა სახლს თავისი ფაციფუცით, მბრძანებლობით, ტუქსვითა და გულკეთილობით.

ჯორჯის აღზრდა-განათლების საქმე მეზობელ სწავლულსა და კერძო პედაგოგს მიენდო, რომელიც „ამზადებდა ახალგაზრდა კეთილშობილთ და დარბაისელთ უნივერსიტეტის, სენატისა და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, რომლის აღმზრდელობით სისტემაში არ გამოიყენებოდა დამამდაბლებელი, სხეულის საგვემელი ღონისძიებანი, ჯერ კიდევ რომ ხმარობდნენძველ სასწავლებლებში და რომლის ოჯახშიაც შეგირდები ჰპოვებდნენ ნატიფი საზოგადოების სისალუქეს, შინაურ ნდობასა და სიყვარულს“. მეუღლე ქალბატონ ვილისთან ერთად ამ გზით ცდილობდა მოწაფეთა შეტყუებას, ჰარტ-სტრიტელი, ბლუმზ-ბერელი ღირსპატივცემული ლორენს ვილი, გრაფ ბეირაკრზის კარის მოძღვარი.

ამნაინი განცხადებებითა და გულმოდგინებით კარის მღვდელი და მისის მეუღლე ახერხებდნენ ერთი-ორი შეგირდის შოვნას, რომელნიც დიდ თანხას იხდიდნენ და ეგონადთ, არაჩვეულებრივ დიდებულ დაწესებულებაში მოვხვდითო. აქ გახლდათ წითელი ხის ფერის, მატყლივით თმიანი და ფრიად დარდიმანდული შესახედაობის ზორბა უესტ-ინდიელი, რომელსაც არავინ აკითხავდა. იქვე იყო მეორე მოდლადნილი ყმაწვილი, ოცდასამიოდე წლისა, რომელიც სწავლა-აღზრდაში ჩამორჩენილიყო, და რომელიც ბატონსა და ქალბატონ ვილებს უნდა შეეყვანათ განათლებულ საზოგადოებაში; იქ იყო აგრეთვე ოსტ-ინდოეთის კომპანიის პოლკოვნიკ ბენგლზის ორი ვაჟიშვილი და ეს ოთხნი უსხდნენსადილად ქალბატონ ვილის წარჩინებულ სუფრას, როცა ჯორჯიმ შედგა ფეხი მის დაწესებულებაში.

ჯორჯი, ათიოდე სხვა შეგირდებივით, მხოლოდ დღე დადიოდა სკოლაში. დილოაბით მობრძანდებოდა თავისი მეგობრის ბატონ როუსონის მზრუნველობის ქვეშ, ხოლო თუ კარგი ამინდი იდგა, ნაშუადღევს პონით მიბრძანდებოდა მეჯინიბის თანხლებით. პაპამისის სიმდიდრე, სკოლაში ამბობდნენ, ზღაპრულიაო. ღირსი მამა ბატონი ვილი ამის თაობაზე პირადად ეუბნებოდა ქათინაურებს ჯორჯის და აფრთხილებდა: შენ მაღალი მდგომარეობისთვის ხარ დაბადებული; გმართებს ყრმობაშივე გულმოდგინებითა და სიბეჯითით შეემზადო იმ დიდი მოვალეობის აღსასრულებლად, მმომწიფების ასაკში რომ გელისო. ბავშვობის ხანაში მორჩილება საუკუთესო შემზადებას წარმოადგენს ვაჟკაცობის დროს მბრძანებლობისთვისო; და ამიტომ სთხოვდა ჯორჯის, კანფეტები აღარ მოეტანა სკოლაში და ამით არ დაეზიანებინა ჯანმრთელობა ბატონიშვილ ბენგლზებისა, რომელთაც ქალბატონი ვილის ნატიფსა და უხვ სუფრაზე ყოველივე თავსაყრელად მოეპოვებოდათ.

რაც შეეხება სწავლას, curriculum[196], ვითარცა ბატონ ვილს უყვარდა თქმა, საარაკოდ ვრცელი გახლდათ და ახალგაზრდა დარბაისელთ შეეძლოთ ყოველი ცნობილი მეცნიერებისა ცოტაოდენი რამ შეეძინათჰარტ-სტრიტში. ღირსპატივცემულ ბატონ ვილს ჰქონდა პლანეტარიუმი, ელექტრომანქანა,სახარატო ჩარხი, თეატრი (სამრეცხაოში), ქიმიური ხელსაწყოები და, როგორც ის უწოდებდა, რჩეული ბიბლიოთეკა ძველი და ახალი ეპოქებისა და ენების საუკეთესო

მწერალთა ყველა თხზულებისა. დაჰყავდა ბიჭები ბრიტანეთის მუზეუმში და ისე ღაღადებდა საძველეთა და ბუნებისმეტყველების ისტორიის ნიმუშებზე, რომ მისი ლაპარაკის დროს მსმენელთა ბრბო იყრიდა თავს ირგვლივ და მთელი ბლუმზბერი ფრიად ეთაყვანებოდა მას, ვითარცა საღაპროდ განათლებულ პიროვნებას. ხოლო როცა ლაპარაკობდა (ლაპარაკობდა კი თითქმის გაუთავებლად), ცდილობდა, რაც შეეძლო, სულ ლექსიკონიდან ამოყაჭული უნატიფესი და უგრძესი სიტყვები ეხმარა; ვინაიდან მართელბულად ვარაუდობდა, რომ ლაზათიანი, მოზრდილი და ჟღერადი ეპითეტის ხმარებაც ისევე იაფი ჯდებოდა, როგორც პაწია და უგერგილოსი.

მაგალითად, იგი ასე ეტყოდა ხოლმე ჯორჯის სკოლაში: - საღამოს რომ შინ ვბრუნდებოდი სამეცნიერო გაბაასებიდან, რომლის პატივიც დამდო ჩემმა წარჩინებულმა მეგობარმა დოქტორმა ბალდერზმა, - ჭეშმარიტმა არქეოლოგმა, - შევნიშნე, რომ რასელ-სკვერში თქვენი პატივცემული პაპის თითქმის მეფური სასახლის ფანჯრები გაჩიღდნებული გახლდათ, თითქოს სადღესასწაულო ვითარებისათვის. ხომ არ ვცდები ჩემს ვარაუდში, რომ ბატონი ოსბორნი გუშინ საღამოს თავის გულუხვ სუფრაზე მართლაც უმასპინძლდებოდა რჩეულ საზოგადოებას?

პატარა ჯორჯი, რომელიც საკმაო იუმორით გახლდათ დაჯილდოვებული და ბატონ ვილს პირდაპირ ცხვირწინ გამოაჯავრებდა ხოლმე დიდი გაბედულობითა და სიმარჯვით, მყის მიუგებდა, რომ ბატონი ვილის ვარაუდი სრულ ჭეშმარიტებას შეეფერებოდა.

- მაშინ, ბატონებო, იმ მეგობრებს, რომელთაც წილად ხვდათ პატივი, ეწვნიათ ბატონი ოსბორნის სტუმართმოყვარეობა, სანაძლეოს ვდებ, არავითარი მიზეზი არ ექნებოდათ, რაიმე საჩივარი დასცდენოდათ მასპინძლობის თაობაზე. პირადად მეც არა ერთელ დამდეს ასეთი პატივი. (სხვათა შორის, ბატონიშვილო ოსბორნ, თქვენ ცოტა შეიგვიანეთ დილით და ამ მხრით სხვა დროსაც არა ერთხელ შეგიცოდავთ). პირადად მეც, მოგახსენებთ, ბატონებო, როგორი შეუმჩნეველი პიროვნებასაც არ უნდა ვიყო, არ მიმიჩნიეს უღირსად, მეწვნია ბატონი ოსბორნის ნატიფი სტუმართმოყვარეობა. და თუმცა მე მინადიმია შორის დიდებულთა და კეთილშობლთა ამა

სოფლისათა - ვინაიდან მიმაჩნია, რომ მე სრული უფლება მაქვს ასე მოვიხსენიო ჩემი წარჩინებული მეგობარი და პატრონი ღირსპატივცემული გრაფი ჯორჯ ბეირაკრზი, ვითარცა ართი ამათგანი - მაინც მე გარწმუნებთ, რომ ბრიტანელი სოვდაგრის სუფრაც სრულიად ისივე მდიდრულად იყო გაწყობილი და მისი მასპინძლობაც ისევე თავაზიანი და კეთილშობილი გახლდათ. ბატონი ბლაკ, ბატონო ჩემო, განვაგრძოთ, გეთაქვა, ევტრო-პიუსის იმ ადგილიდან, სადაც შევწყვიტეთ ბატონიშვილ ოსბორნის გვიან მოსვლის გამო.

ამ დიდ ადამიანს მიენდო ერთ ხანს ჯორჯის აღზრდა. ემილიას აოგნებდა მისი ბრტყელ-ბრტყელი გამოთქმები, მაგრამ განსწავლულობის სასწაულად კი მიაჩნდა. საბრალო ქვრივი თავისი საკუთარი ზრახვების გულისთვის დაუმეგობრდა ქალბატონ ვილს. უყვარდა ამ სახლში ყოფნა და ცქერა, ჯორჯი როგორ მოდიოდა იქ სასწავლებლად. უყვარდა მიწვევანი ქალბატონ ვილის conversazioni[197]-ზე, რომლებიც თვეში ერთხელ იმართებოდა (როგორც იტყობინებოდა ვარდისფერი მოსაწვევი ბარათი, ზედ რომ AΘHNH[198] იყო აღბეჭდილი) და რომლებზედაც პროფესოტი უმასპინძლდებოდა თავის შეგირდებსა და მათ მეგობრებს თხელი ჩაითა და სამეცნიერო ბაასით. საცოდავი პატარა ემილია არასგზით არ გააცდენდა არც ერთ ამ წვეულებას და დიდად სადიამოვნოდ თვლიდა, რაკი ჯორჯი გვერდითა ჰყავდა. რა ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მოვიდოდა ბრომპტონიდან. როცა საზოგადოება დაიშლებოდა, - ჯორჯი გაემგზავრებოდა თავისი მსახურის, ბატონი როუსონის, თანხლებით და საბრალო ქალბატონი ოსბორნიც მოიფუთნიდა წამოსასხამებსა და შალებს შინ წასასვლელად და მადლიერების გრძნობით აღვსილი, ცრემლმორეული გადაეხვეოდა ქალბატონ ვილს საამოდ გატარებული საღამოსათვის.

რაც შეეხება სწავლას, რომელიც შეითვისა ჯორჯიმ ათასრიგად განსწავლული ამ მჭევრმეტყველი ოსტატისაგან, თუ ყმაწვილისაგან პაპამისთან შინ მოტანილი ყოველკვირეული მოხსენების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ფრიად შესამჩნევი წინსვლა ეტყობოდა. სასურველი სამეცნიერო დარგების ოცი თუ უფრო მეტი სახელი გახლდათ აღბეჭდილი ბარათზე და ყოველ საგანში პირადად პროფესორის ხელით აღინუსხებოდა მოსწავლის წარმატება. ბერძნულში ჯორჯის ეწერა αρισος[199],

ლათინურში - optimus[200], ფრანგულში - très bien[201] და სხვანი. თან ყველას ყველაფრისათვის ჯილდო ეძლეოდა წლის ბოლოს. თვით ვაჟბატონი სუორცი, მატყლივით თმიანი ახალგაზრდა დარბაისელი, პატივცემულ ქალბატონ მეკ-მალის ნახევარი ძმა; ვაჟბატონი ბლაკი, სოფლელი, თავმინებებული ოცდასამი წლის შეგირდი და ის ზემოხსენებული ზარმაცი ნორჩი ცუღლუტი ბატონიშვილი ტოდიც კი იღებდნენ თვრამეტპენიან წიგნებს, რომელზედაც აღბეჭდილი იყო „Athene" და პროფესორისაგან წაწერილი გახლდათ ლათინური მიძღვნა თავისი ახალგაზრდა მეგობრებისადმი.

ამ ბატონიშვილი ტოდის ოჯახის წევრები ოსბორნის სახლის ჯამილოკიები ბრძანდებოდნენ. მოხუცმა ვაჟბატონმა ტოდი კლერკობიდან თავისი დაწესებულების უმცროს ამხანაგად დაიწინაურა.

ბატონი ოსბორნი გახლდათ ნათლია ახალგაზრდა ბატონიშვილ ტოდისა (რომელიც შემდგომში თავის სადარბაზო ბარათებზე ბატონ ოსბორნ-ტოდს აწერდა და საზოგადოებაში ფრიად გამოსული კაცი შეიქმნა). მის ოსბორნმა მის მარია ტოსი მიიყვანა ამბაზთან და კეთილგანწყობილების ნიშნად თავის პროტეჟეს ყოველწლიურად უძღვნიდა ლოცვას, სულისმარგებელი წიგნების დასტას, ძალიან მდაბალხარისხოვანი სასულიერო ლექსების კრებულს ან სხვა რომ მსგავს სამახსოვროს. მის ოსბორნი ხანდახან თავისი ეტლითაც გაასეირნებდა ხოლმე ტოდებს, ხოლო როცა ვინმე ჰყავდათ ავად, პლუშის ვეება მოკლე შარვალსა და ჟილეტში გამოწყობილ მის მხლებელს მურაბები და ნუგბარები მიჰქონდა რასელ-სკვერიდან კორემ-სტრიტს. კორემ-სტრიტი ჭეშმარიტად ცახცახებდა და მოწიწებით შეჰყურებდა რასელ-სკვერს და ქალბატონი ტოდი, რომელიც ფრიად ხელმარჯვე გახლდათ ცხვრის ბარკლისათვის ქაღალდის საკაზმების გამოჭრის საქმეში და შეეძლო თალგამისა და სტაფილოსაგან ძალიან მიმსგავსებული ყვავულების, იხვებისა და სხვათა გამოჭრა, დადიოდა „სკვერში", როგორც უწოდებდნენ მას, და ეზმარებოდა იქ დიდი წვეულებებისათვის საჭირო სამზადისში, თან თავშიაც არ მოსდიოდა სუფრაზე დაჯდომის ფიქრი. თუ რომელიმე სტუმარი დააკლდებოდა უკანასკნელ წუთს, ტოდს მიიწვევდნენ მაშინ სადილად. ქალბატონი ტოდი და მარია საღამოს შემოივლიდნენ, მორიდებული დაკაკუნებით შემოიპარებოდნენ და სასტუმრო ოთახში აღმოჩნდებოდნენ იმ

დროს, როცა მის ოსბორნი, თავის ხელქვეით მყოფ მანდილოსნებითურთ, მიაღწევდა ამ სამყოფელს და მზად იყვნენ ეფრქვიათ დუეტები და სიმღერები, ვიდრე ვაჟბატონები არ ამობრძანდებოდნენ ზევით. საწყალი მარია ტოდი, საწყალი ყ,მაწვილი ქალი! რომდენი ოფლი უნდა ეღვარა და ეჟღარუნებინა ეს დუეტები და სონატები კორემ-სტრიტში, სანამ მათ საჯაროდ შეასრულებდა სკვერში!

ამგავარად, თითქოს ბედისწერისაგან ჰქონდა მინიჭებული, რომ ჯორჯის ყველაზე უნდა ეხელმწიფა, ვისთანაც კი ახლოს მოხვდებოდა და რომ მეგობრებს, ნათესავებსა და შინამოსამსახურეებს, ყველად მუხლი უნდა მოეყარა ამ პატარა ბიჭის წინაშე. უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ფრიად ხალისიანად ეგუებოდა ამ ყოფას. ადამიანების უმრავლესობა ასე იქცევა. ჯორჯისაც უყვარდა ბატონის როლის თა,აში და ეგებ ბუებრივი მიდრეკილებაც მოიპოვებოდა მისდამი.

რასელ-სკვერში ყველას ეშინოდა ბატონი ოსბორნისა, ხოლო თვით ბატონ ოსბორნს კი ჯორჯის ეშინოდა. ბიჭუნას ლაღი ქცევა, წიგნებსა და სწავლა-განათლებაზე თამამი ყბედობა, მსგავსება მამამისთან (იქ, ბრიუსელში, მიუტევებლად მოკლულთან), აფრთხობდა მოხუცს და პატარა ბიჭს აბატონებდა მასზე. ბერიკაცი შეკრთებოდა ხოლმე ყმაწვილის მიერ შთამომავლობით მიღებული რაიმე ქცევის ან კილოს გამომჟღავნებაზე და ეგონა, ჩემს წინ კვლავ ჯორჯის მამასა ვხედავო. იგი ცდილობდა შვილიშვილის ფერებითა და შეწყნარებით უფროსი ჯორჯის მიმართ ჩადენილი სიმკაცრე ჩაეფარცხა. ხალხს უკვირდა ბავშვისადმი მისი ალერსიანი ქცევა. იგი ჩვეულებისამებრ ებუზღუნებოდა და ლანძღავდა მის ოსბორნს, ჯორჯი რომ საუზმეზე შეიგვიანებდა კი - იღიმებოდა.

მის ოსბორნი, ჯორჯის მამიდა, მიმჭკნარი ხანმოთეული შინაბერა გახლდათ, ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრებითა და ტლანქი მოპყრობით დაბეჩავებულ-დაჩაგრული. გამჭრიახი ყმაწვილისთვის სრულიად იოლი იყო მისი დამორჩილება. როცა კი ჯორჯის მოენებებოდა მისგან რაიმე, მისი კარადის მურაბის ქილებიდან დაწყებული და მისი საღებავების კოლოფის გამომხმარ-დახეთქილი ძველი ფერებით გათავებული (საღებავების ეს ძველი კოლოფი მას შემორჩენილი ჰქონდა იმ დროიდან, როცა

იგი ბატონი სმის შეგირდი იყო და ჯერ კიდევ თითქმის ახალგაზრდა და გაფურჩქვნილი გახლდათ), ჯორჯი მყის ეპატრონებოდა სანუკვარ საგანს და როცა მას ხელთ იგდებდა, უკვე ყურადღებასაც აღარ აქცევდა მამიდას.

მეგობრებად და ტოლამხანაგებად ჰყავდა გაფუყული ბებერი მასწავლებელი, რომელიც მას ემლიქვნელებოდა და მასზე უფროსი ჯამილოკია, რომელიც შეეძლო მიებეგრა კიდეც. ძვირფას ქალბატონ ტოდს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა, თავის უმცროს ქალიშვილთან, როზა-ჯიმაიმასთან, რვაოდე წლის მშვენიერ გოგონასთან რომ ათამაშებდა. რა ლამაზი წყვილიაო, იტყოდა იგი (მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთმ არა „სკვერის“ სახლში). „ვინ იცის, რა მოხდება? განა ჩინებული პატარა წყვილი არ არისო?“ - ფიქრობდა მოსიყვარულე დედიკო.

გულგატეხილი მოხუცი მეორე პაპაც ასევე დამორჩილებული ჰყავდა პატარა მტარვალს. ბერიკაცს არ შეეძლო პატივით არ მოპყრობოდა ისეთ, ყმაწვილს, რომელიც ასე საუცხოოდ იყო გამოწყობილი და მეჯინიბის თანხლებით დაბრძანდებოდა. ჯორჯის თავის მხრივ მარადჟამ ესმოდა მისი ულმობელი ძველი მტრის, ბატონი ოსბორნის, უწმაწური ლანძღვა და უხამსი დაცინვა, მიმართული ჯონ სედლისადმე. ოსბორნი იმ საწყალს ეძახოდა ბებერ მათხოვარს, ბებერ მენახშირეს, გაკოტრებულბეხრეკს და საზიზღარი შეურაცხყოფის გამომხატველ ბევრ სხვა ასეთ სახელს. აბა პატარა ჯორჯის როგორ უნდა ეცა პატივი ასე დამდაბლებული კაცისათვის? მამის მამასთან ჯორჯის გადაბარგებიდან რამდენიმე თვის შემდგომ, ქალბატონი სედლი გარდაიცვალა. ბავშვს მაინსდამაინც დიდად არ ჰყვარებია იგი და არც ძალიან შეუწუხებია თავი მგლოვიარებისათვის. დედის სანახავად მშვენიერ ახალ სამგლოვიარო კოსტუმში გამოწყობილი მობრძანდა და ძალიან გაჯავრდა, რომ ვეღარ შეეძლო წასვლა იმ წარმოდგენაზე, რომელიც გულში ჰქონდა ამოჭრილი.

იმ მოხუცი მანდილოსნის ავადმყოფობა იყო ემილიას გასართობი და იქნებ მეხთამრიდიც. რა იციან კაცებმა ქალების მოწამეობისა და თავგანწირვისა? ჩვენ გავგიჟდებოდით, იმ ყოველდღიური ტკივილების თუნდაც ნაასალიც რომ განგვეცადა, რომელთაც უდრტვინველად იტანს ბევრი დიაცი. განუწყვეტილი მონობა ჯილდოს ვერ ჰპოვებს. მუდმივი

სათნოება და ალერსი ასეთსავე მუდმივ სისასტიეკს აწყდება, სიყვარულს,ჯაფას, მოთმონებას, ფხიზელ ზრუნვას კეთილი სიტყვითაც კი არ ცნობენ. რამდენი მათგანი ითმენს ყოველივე ამას წყნარად და გამოჩნდებიან ხოლმე საზოგადოებაში მხიარული სახით, ვითომდა არაფერსა გრძნობდნენ. ეს სათნო მონანი თვალთმაქცნი და მორჩილნიც უნდა იყვნენ.

ემილიას დედა თავისი სკამიდან თავის ლოგინში გადაბარგდა, რომელიც აღარ დაუტოვებია და რომელსაც თვით ქალბატონი ოსბორნიც არასოდეს სცილდებოდა, თუ არ ჯორჯის სანახავად გაქცევისათვის. მოხუცი მანდილოსანი ამ იშვიათ შემთხვევებზეც კი ბუზღუნებდა. ოდესღაც, კეთილდღეობის ხანაში, ალერსიანი, მოღიმარი, გულკეთილი დედა სიღატაკემ და სნეულებამ გატეხა. მისმა ავადმყოფობამ და გაუცხოებამ მაინც არ მოახდინა გავლენა ემილიაზე. პირიქით, ამან შეაძლებინა კიდეც სხვა უბედურება გადაეტანა, რომელიც წილად არგუნა ბედმა და რომელზე ფიქრსაც არ აცლიდა ავადმყოფის განუწყვეტილი ძახილი. ემილია მის ანჩხლობას სრულიად უდრტვინველად ითმენდა. უსწორებდა უხერხულად მდებარე ბალიშს, მუდამ ალერსიანი პასუხი ჰქონდა მზად მოხუცის შარიან, ჭირვეულ შეძახილზე, აშოშმინებდა და ამხნევებდა სნეულს ისეთი იმედიანი სიტყვებით, რასაც მისი ალალი, ღვთისმოსავი გული უკარნახებდა და ჩააგონებდა, და დაუხუჭა კიდეც ის თვალები, რომელნიც ოდესღაც ასეთი სინაზით შეჰყურებდნენ მას.

შემდეგში მთელი თავისი დრო და სინაზე დაობლებული მოხუცი მამის ნუგეშისცემასა და მოვლას შესწირა - ბერიკაცი გააოგნა თავსდამტყდარმა უბედურებამ და სრულიად ეულად დატოვა ქვეყნიერების ზურგზე. მისი მეუღლე, მისი სახელი, მისი სიმდიდრე, ყოველივე, რაც ყველაზე უფრო უყვარდა, ხელიდან გამოეცალა. მარტო ემილიაღა შემორჩა, რომელსაც თავისი სათნო ხელებით უნდა შეემაგრებინა მოტორტმანე, გულწამხდარი მოხუცი. ჩვენ არ ვაპირებთ მთელი ისტორიის დაწერას - ეს ძალიან მოსაწყენი და სულელური რამ იქნებოდა. მე უკვე წინდაწინ ვხედავ კიდეც, ამაოების ბაზარი როგორ ამთქნარებს მისი კითხვის დროს.

ერთ დღეს, როცა ახალგაზრდა ვაჟბატონები ღირს მამა ბატონ ვილის კაბინეტში გახლდნენ თავმოყრილნი და დიდად პატივცემულ გრაფ ბეირაკრზის კარის მოძღვარი

ჩვეულებისამებრ ლაქლაქებდა, კოხტა ეტლი მოადგა ათინას ქანდაკებით შემკულ კარს და ორი დარბაისელი გადმობრძანდა იქიდან. ახალგაზრდა ბენგლზები მისცვივდნენ ფანჯარას, გულში იმედი უკიაფობდათ, ეგებ მამაჩვენი ჩამოვიდა ბომბეიდანაო. ოცდასამი წლის ოტროველა შეგირდმა, რომელიც უჩუმრად ჩასტიროდა ევტროპიუსუს ნაწყვეტს, თავისი მოუხოცელი ცხვირი მიაჭყლიტა მინას და მიშტერებოდა ოთხცხენიან ეტლს, laquais de place[202] რომ ხტებოდა კოფოდან და კარეტის კარს უღებდა მოსულთ.

- ერთი სქელი და ერთი გამხდარი კაცია, - გადმოილაპარაკა ბატონმა ბლაკმა, როცა კარზე მეხის გრგვინვასავით დარახუნება მოისმა.

ყველა დაინტერესდა, დაწყებული მოძღვრიდან, რომელიც იმედოვნებდა, ეგებ მომავალი შეგირდების მამები გვეწვიენო, ბატონიშვილ ჯორჯიმდე, რომელიც ყოველთვის მზად იყო წიგნის ხელიდან გასაგდებად.

მბზინვარებადაკარგულ სპილენძის ღილებიან, გაქუცულ ლივრეიში გამოწყობილი ბიჭი, რომელიც ყოველთვის სასწრაფოდ მოიგდებდა ხოლმე ამ დავიწროებულ სამოსს, როცა კარის გასაღებად მიდიოდა, კაბინეტში შემოვიდა და თქვა: „ორ დარბაისელს ნებავს ბატონიშვილ ოსბორნის ნახვაო“.

პროფესორს იმ დილით მცირე შელაპარაკება ჰქონდა ხსენებულ ახალგზარდა ვაჟბატონთან, რაიც გამოწვეული გახლდათ სწავლის დროს სატკაცუნოების ხმარების საკითხში შეუთანხმებლობის გამო; მაგრამ მისმა სახემ ჩვეული ალერსიანი და თავაზიანი გამომეტყველება მიიღო, როცა ბრძანა: - ბატონიშვილო ოსბორნ, მე განიჭებთ სრულ უფლებას, წაბრძანდეთ და იხილოთ ეტლით მოსული თქვენი მეგობრები, რომელთაც, გთხოვთ, ჩემი და ქალბატონ ვილის მოწიწებული სალამი გადასცეთ.

ჯორჯი გავიდა მისაღებ ოთახში. იქ ორი უცხო პირი დახვდა, რომელთაც თავაწეულმა შეხედა ჩვეული ამპარტავანი გამომეტყველებით. ერთი სქელი და ულვაშებიანი იყო, მეორე კი - გამხდარი და აწოწილი, ლურჯ ხიფთანში გამოწყობილი, მზისაგან სახეგარუჯული და თმაშეჭაღარავებულო.

- ღმერთო ჩემო, როგორა ჰგავს! - შესძახა სახტად დარჩენილმა

მაღალმა ვაჟბატონმა. - ვერა გვცნობ, ვინა ვართ, ჯორჯ?

ბავშვს ალმური მოედო სახეზე, როგორც ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე, როცა რაიმე ააღელვებდა და თვალები გაუბრწყინდა.

- მეორე არ ვიცი, - თქვა მან, - მაგრამ, მე მგონი, თქვენ მაიორი დობინი უნდა იყოთ!

მართლაც ეს სწორედ ჩვენი ძველი მეგობარი გახლდათ. სიამით ხმა უკანკალებდა, ბიჭს რომ ესალმებოდა, თან ორივე ხელში მოჰკიდა ხელი და ყმაწვილი მიიზიდა.

- შენი დედიკო გელაპარაკებოდა ჩემზე, ხომ?

- მერედა, როგორ! ასჯერ და ათასჯერ, - მიუგო ჯორჯიმ.

თავი LVII - „ეოთენ”

[203]

პირადი ამპარტავნობის ერთ-ერთი მიზეზი, რომლითაც თავს ირთობდა და ირთობდა და იხალისებდა მოხუცი ოსბორნი, ისიც გახლდათ, რომ სედლი, მისი ძველი მეტოქე, მტერი და მწყალპბელი, სიბერის ჟამს იმდენად განადგურდა და დამდაბლდა, იძულებული გახდა, ფულადი დაზმარება მიეღო იმ კაცის ხელიდან, რომელმაცყველაზე უფრო დაჩაგრა და შეურაცხყო. გალაღებული სოვდაგარი ლანძღავდა ბებერ ღატაკს და დროდადრო მაინც ეხმარებოდა ხოლმე. როცა ჯორჯის ფულს აძლევდა დედისთვის გადასაცემად, თავისი ტლანქი, უხეში კილოთი გადაკვრით აგრძნობინებდა, რომ ჯორჯის მეორე პაპა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ბეჩავი, გაკოტრებული ბეხრეკი და ჯამილოკია იყო და რომ ჯონ სედლის უნდა ელოცა იმ ადამიანზე, რომლისაც უკვე ამდენი ფული ემართა და რომელიც ამჟამადაც გულუხვობით უწვდიდა ხელს. ეს ამპარტავნული შეგონებანი ჯორჯის ფულთან ერთად მიჰქონდა დედისა და დაჩაჩანაკებული ბებერი ქვრივისათვის, რომლის მოვლა-პატრონობაც ახლა ემილიას უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. პატარა ბიჭი მფარველობას უწევდა სასომიხდილ, გულგატეხილ ბერიკაცს.

ემილიას „პირადი ღირსების“ შებღალვად შეიძლება ეჩვენოს კაცს, მან რომ ირჩია ფულადი შემწეობა მიეღო მამამისის მტრის ხელიდან. მაგრამ პირად ღირსებასა და ამ საცოდავ ქალს არასოდეს დიდი ნაცნობობა არ ჰქონიათ ერთმანეთში. ბუნებით ალალს, რომელსაც მუდამ მფარველი ეჭირვებოდა, თითქმის დაქალებიდან ანდა თითქმის ჯორჯ ოსბორნზე უბედური დაქორწინების დღიდან მოყოლებული, წილად ხვდა ხანგრძლივი სიღატაკისა და დამდაბლების სიმძიმე; კეთილი სამსახურის საზღაურად მხოლოდ ყოველდღიური სინაკლულე და ტუქსვა. თქვენ, რომელნიც ხედავთ თქვენზე უკეთესთ, ბედისწერისაგან აბუჩად აგდებულთ, სათნოებასა და თანაგრძნობას მოკლებულთ, - ღატაკებს და ამ სიღარიბისათვის კიდევ უფრო შეზიზღულთ - განა ოდესმე დაიმდაბლებთ თავს, ჩამოხვალთ თქვენი აღზევებული ადგილიდან და ფეხს დაჰბანთ ამ საცოდავ, სასომიხდილ მათხოვართ? მათზე თვით ფიქრიც, ამაზრზენი და დამამდაბლებელია თქვენთვის. „კლასები უნდა იყოს, მდიდარი და ღარიბი უნდა განიტჩეოდესო!“ - ბრძანებს მდიდარი და თან კლარეტს მიირთმევს (ისიც დიდი ღვთის წყალობაა, ხორცის ლუკმას თუ გაუგზავნის მისი ფანჯრის ქვეშ მჯდარ ლაზარეს[204]). სრული ჭეშმარიტებაა! მაგრამ იფიქრეთ, რა უცნაურია და ხშირად შეუცნობელიც გახლავთ, რომ ცხოვრების ლატარია ამას ძოწეულსა და ნატიფ თეთრეულს ანიჭებს, ხოლო მეორეს სამოსად ძონძებს და ნუგეშისმცემლებად კი ძაღლებს არგუნებს.

ამრიგად, უნდა ვაღიარო, რომ დიდი სინდისის ქენჯნის გარეშე, პირიქით, თითქოს რაღაც მადლიერების გრძნობითაც კრებდა ამილია მამამთილისაგან ჟამდაჟამ გადმოყრილ ნამცეცებს და ამით ასაზრდოებდა მშობელს. სწორეს თავის მოვალეობად მიაჩნდა და ეს ამ ახალგაზრდა ქალის ბუნება გახლდათ (ქალბატონებო, იგი ჯერჯერობით მხოლოდ ოცდაათი წლისაა და ჩვენ ვრჩეობთ, ამ ასაკშიაც კვლავ ახალგაზრდა ქალი ვუწოდოთ მას) - ეს, მოგახსენებთ, ამ ახალგაზრდა ქალის ბუნება გახლდათ, თავი შეეწირა და ფიანდაზად გაგებოდა საყვარელ ადამიანს. რამდენი უმადური გრძელი ღამე უთენებია და თითები არ დაუსვენებია პატარა ჯორჯის გულისთვის, სანამ იგი მასთან ერთად იყო. რა გვემა, აბუჩად აგდება, ხელმოკლეობა და სიღატაკე არ განიცადა დედ-მამისათვის! და მთელი ამ თავდადებულობისა და უჩინარ

მსხვერპლთათვის ისევე არ სცემდა პატივს თავს, როგორც თვით საზოგადოებაც არ სცემდა პატივს მას. მაგრამ, მე მგონი, გულში ფიქრობდა, რომ იგი ერთი სულმდაბალი, შესაზიზღი პატარა არსებათაგანი იყო, რომელსაც, მის ღირსებასთან შეფარდებით გაცილებით მეტი სიკეთე არგუნა წილად ბედმა. ო, თქვე საცოდავო ქალებო! ო, თქვე საცოდავო ფარულო მოწამენო და მსხვერპლნო, რომელთა ცხოვრება ტანჯვაა, რომელნიც ეწამებით საწოლ ოთახებში და რომელნიც ყოველ ცისმარე დღეს მოსაკვეთად დებთ თავს სასტუმრო ჯტახის მაგიდასთან. ყოველი მამაკაცი, რომელიც თქვენს ტანჯვას ხედავს, ანდა იმ ბნელ ადგილებში იჭყიტება, სადაც თქვენ გაჯახირებენ, უნდა თანაგიგრძნობდეთ და... და უნდა უმადლოდეს ღმერთს, რომ მას წვეროსნობა არგუნა წილად. მაგონდება, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, პარიზის ახლოს, სულელებისა და გიჟების ბისეტრის თავშესაფარში ერთი ბეჩავი ვნახე, თავისი ტყვეობის სიმძიმითა და სნეულებით დაგლახაკებული, რომელსაც ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ნახევარიოდე პენის ცოტა თამბაქო უთავაზა. საწყალი ბნედიანისთვის ეს გულკეთილობა სწორედ დიდი ღვთის წყალობა იყო. სიამოვნებითა და მადლიერების გრძნობით პირდაპირ ცრემლი ღვარა. ვინმეს თქვენთვის ან ჩემთვის წელიწადში ათასი გირვანქის შემოსავალი რომ ებოძებინა, ანდა სიკვდილს გადავერჩინეთ, ასე მაშინაც არ აგვიუყდებოდა გული და ამგავარად, თუ რიგიან-პირიანად ჩაგრავ ქალს, ნახავ, რომ გახვრეტილი ფულის ღირებულების მიალერსებაც გულს მოულბობს და ცრემლებს დააღვრევინებს მას, თითქოს თქვენ მისი მწყალობელი ანგელოზი ბრძანდებოდეთ.

ბევრი-ბევრი, ზოგი ამნაირი წყალობა გაემეტებინა ბედისწერას ჩვენი საბრალო პატარა ემილიასთვის. მისი ცხოვრება, არცთუ ურიგოდ დაწყებული, აქამდე დავიდა - მდაბალ სატუსაღომდე და ხანგრძლივ, სამარცხვინო მონობამდე. პატარა ჯორჯი ჟამდაჟამ ესტუმრებოდა ხოლმე ტყვეობაში და გაამხნევებდა სუსტი ნუგეშის სხივით. მისი სატუსაღოს საზღვარი რასელ-სკვერი გახლდათ. შეიძლება ხანდახან მიეღწია იქამდე, მაგრამ ყოველთვის კი უკან უნდა გამობრუნებულიყო ღამე თავის საკანში დასაძინებლად, უსიხარულო მოვალეობათა აღსასრულებლად, უმადურ სნეულთა მოსავლელად, ჭირვეული, სასომოხდილი მოხუცებულობის შეჭირვებათა და მტარვალობათა მოსათმენად. რამდენი ათასი ადამიანია,

უმეტესწილად დიაცები, რომელთაც მისჯილი აქვთ, განიცადონ ეს ხანგრძლივი მონობა? რომელნიც არიან ავადმყოფთა უხელფასო მომვლელნი - მოწყალების დანი, თუ გნებავთ, ოღონდ თავგანწირვის რომანტიულობის და გულჩვილობის გარეშე, რომელნიც იღწვიან, მარხულობენ, ფხიზლობენ, უმადურად იტანჯებიან და უშნოდ, უსახელოდ მივიწყებულნი ჭკნებიან. იდუმალ და შემაძრწუნებელ სიბრძნეს, ადამიანთა სვე-ბედს რომ განაგებს, ასე ნებავს დაამდაბლოს და დაამხოს სათნო, კეთილი და ბრძენი, ხოლო აღაზევოს თავკერძა, ტუტუცი და ბოროტი. ო, ძმაო ჩემო, იყავი თავმდაბალი შენი კეთილდღეობის ჟამს! იყავი სათნო მათდამი, რომელთაც ნაკლებ გაუღიმათ ბედმა, თუნდაც რომ ამის ღირსნიც არ იყვნენ. განსაჯე, რა უფლება გაქვს ზიზღით ექცეოდე ვინმეს შენ, რომლის სიქველე ცდუნების ნაკლებობით თუ აიხსნება, რომლის აღზევება შემთხვევითია, რომლის მაღალი რანგი წინაპრის წყალობა შეიძლება იყოს, რომლის კეთილდღეობა, ფრიად შესაძლოა, მწარე სატირას წარმოადგენდეს.

ემილიას დედა ბრომპტონის სასაფლაოზე დაკრძალეს სწორედ ისეთ წვიმიან, მოღუშულ დღეს, როგორსაც, როგორც ემილიას ახსენდებოდა, პირველად იყო იქ ჯორჯზე დასაქორწინებლად. დიდებულ ახალ სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოკაზმული თავისი პატარა ბიჭიკო გვერდით უჯდა. მოაგონდა სავარძლების მეთვალყურე დედაბერი და მნათე. მღვდელი რომ მიცვალებულს ანდერძს უგებდა, მისი ფიქრები სხვა, შორეულ ხანას დასტრიალებდნენ თავს. პატარა ჯორჯის ხელი რომ ხელში არ სჭეროდა, იქნებ არც იუარებდა ადგილი გაეცვალა... მერე, ჩვეულებისამებრ, შერცხვა თავკერძა ზრახვებისა და გულში შეევედრა ღმერთს, მხნეობა მიეცა, რათა თავისი ვალი პირნათლად აღესრულებინა.

ამგვარად გადაწყვიტა, ძალ-ღონე არ დაეშურებინა, რომ მოხუცებულ მამას ბედნიერად ეგრძნო თავი. ემილია მონასავით შრომობდა: უკერებდა და უკემსავდა, უმღეროდა და ბეკგემონს[205] ეთამაშებოდა, უკითხავდა გაზეთებს და უმზადებდა საჭმელებს მოხუც სედლის. გულმოდგინედ დაასეირნებდა მას კენსინგტონის ბაღში და ბრომპტონის შუკებში. პირზე მოუცილებელი ღიმილითა და მოსიყვარულე თვალთმაქცობით ყურს უგდებდა მის ლაპარაკს, ანდა ფიქრებში გართული იჯდა მის გვერდით და საკუთარ

ოცნებებსა და მოგონებებს ულოლიავებდა, მაშინ როცა მისუსტებული და ბუზღუნა ბერიკაცი მზეს ეფიცხებოდა ბაღის მერხზე და თავის ჭირ-ვარამსა და დარდებზე ყბედობას განაგრძობდა. რა სევდიანი, უამური ფიქრები უტრიალებდა თავში ქვრივს! ბაღში ფერდობებსა და განიერ ბილიკზე აღმა-დაღმა მორბენალი ბავშვები თავის ჯორჯის აგონებდნენ, რომელიც წაართვეს; პირველი ჯორჯიც წაართვეს მას. ორივე შემთხვევაში, მისი თავკერძა, დანაშაულებრივი სიყვარული გატრიზავდა და სასტიკად დაისაჯა. ის ცდილობდა ეფიქრა, რომ სამართლიანი სასჯელი მიეზღო. იგი ხომ ისე საბრალობელი, მძიმე ცოდვილი იყო - და სრულიად მარტოდაც დარჩა ქვეყანაზე.

ვიცი, ამჯურის განმარტოებული პატიმრობის ამბავი აუტანელი და მოსაწყენია, თუ რაიმე მხიარული ან სასცილო შემთხვევა არ გაახალისებს - მაგალითად, თვინიერი მედილეგე; ციხე-სიმაგრის ოხუნჯი კომენდანტი; წრუწუნა, სოროდან რომ გამოძვრებოდა და ლატიუდის[206] წვერსა და ქილვაშებში თამაშობს; ციხის ქვეშ გაყვანილი მიწისქვეშა გვირაბი, ტრენკმა[207] თავის ფრჩხილებითა და ტანტრაბეჩით[208] რომ გამოთხარა - ემილიას ტუსაღობის მეისტორიეს ამბის ასეთი გამახალისებელი შემთხვევა არ მოეპოვებოდა. ამხანაში, გეთაყვა, იგი წარმოიდგინეთ ძალიან სევდიანი, ოღონდ მუდამ მზად მყოფი გაღიმებისათვის, როცა კი ვინმე გამოელაპარაკებოდა; ძალიან მდაბალ, ღარიბულ, რომ აღარა ვთქვათ, მდაბიური ცხოვრების პირობებში; თავისი მოხუცი მამის საამებლად რომ სიმღერებს მღერის, ღვეზელებს აცხობს, ბანქოს თამაშობს და წინდებსა კემსავს. ისე რომ, ნუ გენაღლებათ, იგი გმირი ქალი არის თუ არა, ანდა თქვენ და მე, როგორი მოხუცი, ბუზღუნა და გაკოტრებულის არ უნდა ვიყოთ, დაე, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ჩვენი უკანასკნელი დღეების ჟამს, თავის მისაყრდნობი კეთილი, ნაზი მხარი და სათნო ხელი, რომელიც სასთუმალს შეგვისწორებს და ნიკრისის ქარებს დაგვიამებს.

მოხუცი სედლი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ძალიან შეეწყო ქალიშვილს და ემილიასაც სანუგეშოდ ისა ჰქონდა, რომთავის მოვალეობას ასრულებდა ბერიკაცის წინაშე.

მაგრამ არ ვაპირებთ კიდევ დიდხანს დავტოვოთ ეს ორი ადამიანი ცხოვრების ასეთ მდაბალსა და შეუფერებელ

პირობებში. რამდენადაც ეს ამსოფლიურ კეთილდღეობას შეშვენის, უკეთესი დღენი ელოდა ორივეს. ალბათ გამჭრიახი მკითხველი მიხვდა, ვინ ბრძანდებოდა სქელი ვაჟბატონი, რომელიც ჩვენს ძველ მეგობარ მაიორ დობინთან ერთად ესტუმრა სკოლაში ჯორჯის. კიდევ ერთი ჩვენი ნაცნობი დაბრუნდა ინგლისს და თანაც იმ დროს, როცა მისი ჩამოსვლა, ჩანდა, დიდ შეღავათს მისცემდა მის აქაურ ნათესავებს.

მაიორმა დობინმა იოლად რომ მიიღო შვებულება გულკეთილი უფროსისაგან, გადაუდებელი პირადი საქმეების გულისთვის მადრასს მიაშურა, იქიდან კი, ალბათ, ევროპას. დღე და ღამე არ დაუსვენია, ვიდრე მგზავრობის მიზანს არ მიაღწია და ისეთი აჩქარებითაც იარა, რომ მადრასს მძიმე ციებ-ცხელებით შეპყრობილი ჩავიდა. თანმხლებმა მსახურმა გონებამიხდილი დობინი მეგობრის სახლში მიიყვანეს, სადაც გადაწყვეტილი ჰქონდა, დარჩენილიყო ევროპაში გამგზავრებამდე. მაგრამ მრავალ, მრავალ დღეს ფიქრობდნენ, იგი წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე შორს ვეღარსად გაემგზავრებაო, სადაც ჯარის რაზმი საპატიო ბათქს დასცილდა მის საფლავზე და სადაც სამშობლოსაგან მოშორებული ბევრი მამაცი მხედარი განისვენებს.

აწყალი კაცი სიცხისაგან გათარანებული ლოგინში რომ ბორგავდა, მის მომვლელთ შეეძლოთ ყური მოეკრათ, როგორ ბოდავდა იგი ემილიაზე. იმის ფიქრი, რომ ვეღარასოდეს ეღირსებოდა მის ნახვას, კვლავ მძიმე ყოფაში აგდებდა გამოფხიზლების ჟამსაც. ეგონა, ჩემი აღსასრულის დღე დადგაო და საზეიმო მზადებას შეუდგა საიქიოს გადასაბარგებლად: ამქვეყნიური საქმეები მოაწესრიგა და მცირე ქონება მათდაუტოვა, ვისთვისაც უფრო ემეტებოდა. მეგობარმა, რომლის სახლშიაც იგი ბინადრობდა, დაუმოწმა ანდერძი. მოისურვა ძაწკვით ყელზე ეკიდა, და რომელიც, თუ ჭეშმარიტება გნებავთ მოგახსენოთ, ემილიას მოახლისაგან მოიპოვა ბრიუსელში, როცა ახალგაზრდა ქვრივს თმა შეჰკრიჭეს მაუნტ-სენ-ჟანის ზეგანზე ჯორჯის დაღუპვის შემდეგ ციებ-ცხელებით ლოგინად ჩავარდნის დროს.

მაიორმა მოიხედა, მომჯობინდა და კვლავ შეუქცია. მას იმდენი სისხლი გამოუშვეს და იმდენი კალომელი აქყლაპეს, ბუნებით მძლავრი აღნაგობისა რომ არ ყოფილიყო, ვერ გადარჩებოდა. თითქმის ჩონჩხს ჰგავდა, როცა ოსტ-ინდოეთის კომპანიის

ხომალდ „რემჩანდერზე“ მოათავსეს, რომლის კაპიტანი გახლდათ ბრეგი და კალკუტიდან მომავალმა მადრასში შეისვენა. იგი ისე მისუსტებულ-მისავათებული იყო, რომ მეგობარი, რომელიც ავადმყოფობის დროს უვლიდა, წინასწარმეტყველებდა: პატიოსანი მაიორი მგზავრობას ვერ გაუძევს, ერთ დილას, დროშასა და საზღვაოსნო ჰამაკში გახვეულს გემბანიდან გადაუძახებენ და გულზე ჩამოკიდებულ იმ რელიკვიასაც თან ჩაიყოლებს ზღვაშიო. მაგრამ ზღვის ჰაერმა იმოქმედა თუ იმედმა, რომელიც კვლავ გაუღვივდა იმ დღიდან, რაც ხომალდმა აფრები აუშვა და შინისაკენ გზას დაადგა, ჩვენმა მეგობარმა გამოკეთება იწყო და, სანამ კეთილი იმედის კონცხს მიაღწევდნენ, სრულიადაც მომჯობინდა (თუმცა მაინც მწევარივით კი იყო გაძვალტყავებული).

- კირკს ამჯერად მაინც გაუცრუვდება მაიორობის იმედი, - ღიმილით ლაპარაკობდა იგი. - ის ელის, „გაზეტში“ იხილოს იმ დროისთვის, ლეგიონი რომ შინ ჩამოვა.

რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ ვიდრე მაიორი ლოგინად იყო ჩავარდნილი მადრასში, რომელსაც ასეთის განსაცვიფრებელი სისწრაფით მოაშურა, მამაცმა -ე ლეგიონმა, მრავალი წელი რომ დაჰყო უცხოეთში, ხოლო უესტ-ინდოეთიდან დაბრუნების შემდგომ ვატერლოოს ბრძოლამ სამშობლოს რომ კვლავ მოსწყვიტა და ფლანდრიიდან კი ინდოეთში გამომგზავრება ებრძანა, ახლა შინ დაბრუნების განკარგულება მიიღო და მაიორსაც შეეძლო თავის ამხანაგებთან ერთად ემგზავრა, მადრასში მათ ჩამოსვლას რომ დალოდებოდა; თუმცა ამ მისავათებულ ყოფაში ეგებ არც ეპიტნავებოდა კვლავ გლორვინას მზრუნველობის ქვეშ მოხვედრა.

- მე მგონი, მის ო’დაუდი ამ გემზე რომ მოხვედრილიყო, ბოლოს მომიღებდა, - სიცილით ეუბნებოდა მაიორი თანამგზავრს, - და მე რომ წყალში გადამაგდებდა, დარწმუნებული ბრძანდებოდე, შენ გეძგერებოდა და საუტემპტონში, ვითარცა ჯილდოს, ისე ჩაგათრევდა, ჯოზ, ჩემო ძმაო!

სწორედ ჩვენი ზორბა მეგობარი გახლდათ „რემჩანდერის: ეს მეორე მგზავრი. მან ათი წელიწადი დაჰყო ბენგალში, - გაუთავებელმა სადილებმა, ცხარე საუზმებმა, ბაცმა ლუდმა და კლარეტმა, სამსახურში ფრიადმა ჯაფამ და წყალშერეული

კონიაკით შეხურებამ, რასაც იგი ძალაუნებურად ეტანებოდა, თავისი გავლენა იქონია ვატერლოელ სედლიზე. ურჩიეს აუცილებლად ევროპაში გამგზავრებოდა და, რაკი ინდოეთში სამსახურის სრული ვადა შეასრულა, თან ჩინებული თანამდებობებიც ეკავა, რომელთაც შეაძლებინეს მას გვერდზე გადაედო საკმაო თანხა, თავისუფალი არჩევანი ეძლეოდა, წასულიყო შინ და იქ დარჩენილიყო კარგ პენსიაზე, ანდა დაბრუნებულიყო იმდოეთს და დაეჭირა სამსახურში ისეთი მაღალი თანამდებოდა, რის მიღების უფლებასაც ანიჭებდა ხანგრძლივი დამსახურება და უზარმაზარი ნიჭი.

იგი ცოტა შეთხელებულიყო მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიხილეთ, ოღონდ უფრო დიდებული და ზვიადი იერი კი მიეღო. კვლავ მოეშვა ულვაშები, რომლის უფლებასაც ვატერლოოში გაწეული დამსახურება აძლევდა, და გემზე ოქროსირმიან საუცხოო ხავედრის ქუდით, ქინძისთავებითა და პატიოსანი თვლებით უხვად მოკაზმული დაიბღინძებოდა. საუზმეს კაბინაში მიირთმევდა და უკანა გემბანზე გამოსაჩენად ისე დიდრაჯულად ირთვებოდა, თითქოს ბონდ-სტრიტზე[209] ანდა კალკუტის სასეირნოზე გასავლელად ემზადებაო. თან ინდოელი მსახური ახლდა, მისი პირისფარეში და მეჩიბუხე, რომელსაც დოლბანდზე სედლის ვერცხლის ღერბი ეკეთა. ამ აღმოსავლელ მხლებელს სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული ჯონ სედლის ტირანობით. ჯოზი ქალივით პატივმოყვარე იყო პრანჭვა-გრეხის საქმეში და მართვა-მოკაზმვას რომელიმე მიმჭკნარი კეკლუცისოდენ დროს მაინც ანდომებდა. მგზავრთა შორის უმცროსნი - 150-ე ლეგიონის ახალგაზრდა ჩეფერზი და საწყალი პატარა რიკეტსი, რომელიც შინ ბრუნდებოდა ციებ-ცხელების მესამე შეტევის შემდგომ - საერთო სუფრაზე შეაგულიანებდნენ ხოლმე სედლის და აამბობინებდნენ საოცარ თავგადასავალს ვეფხვებზე ნადირობისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ ლაშქრობისას. იგი დიდებული გახლდათ, იმპერატორის საფლავი რომ მოინახულა ლონგვუდში, როცა ვაჟბატონებსა და ხომალდის უმცროს ოფიცერს (რაკი მაიორი დობინი იქ არ ესწრებოდა) აღუწერა ვატერლოოს მთელი ბრძოლა; ოღონდ მარტო ის არ განუცხადებია, რომ წმინდა ელენეს კუნძულზე შეიძლება სულაც არ მოხვედრილიყო ნაპოლეონი, რომ იგი, ჯონ სედლი, არა.

წმიდა ელენეს კინძულიდან გამომგზავრების შემდგომ სედლი

ფრიად გაგულუხვდა და ხომალდის სურსათეულის მარაგის დიდძალი ნაწილით, კლარეტით, ხორცის კონსერვებითა და მისი პირადი განცხრომისათვის წამოღებული სოდიანი წყლის დიდრონი კასრებით უმასპინძლა მგზავრებს. ხომალდზე მანდილოსნები არ მოიპოვებოდნენ, მაიორმაც პირველობა მოქალაქეს დაუთმო - ასე რომ სუფრაზე პირველი ადგილი ჯოზს ეჭირა და კაპიტანი ბრეგი და „რემჩანდერის“ ოფიცრები ისეთის პატივით ეპყრობოდნენ, რასაც მისი მაღალი ხარისხი მოითხოვდა. ცოტა არ იყოს შეფრთხა და გაუჩინარდა ორდღიანი ზღვის ღელვისას. თავისი კაბინის სარკმლები ფიცრებით ააჭედვინა. ეს დრო მან საწოლში და „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი ქალის“ კითხვაში გაატარა, რომელიც „რემჩანდერზე“ ღირსპატივცემულმა ლედი ემილი ჰორნბლაუერმა, ღირს მამა საილეს ჰორნბლაუერის მეუღლემ კეთილი იმედის კონცხზე თავიანთი მგზავრობის დროს დატოვა, სადაც პატივცემული ვაჟბატონი მისიონერად ბრძანდებოდა გამწესებული. ოღონდ საყოველდღეო საკითხავად რომანებისა და დრამების მთელი გროვა ჰქონდა წამოღებული, რომლთაც არავის უკავებდა ხომალდზე და თავისი გულკეთილობითა და თავმდაბლობით ყველას თავი მოაწონა.

მრავალ, მრავალ ღამეს, როცა ხომალდი მიაპობდა მშფოთვარე ჩაშავებულ ტალღებს, ცაში მთვარე და ვარსკლავები კიაფობდნენ, ხოლო ზარის ხმაზე მორიგენი იცვლებოდნენ, ბატონი სედლი და მაიორი ისხდნენ უკანა გემბანზე, მუსაიფობდნენ შინაურებზე; თან მაიორი თავის სიგარას ეწეოდა, მოქალაქე კი ფარეშისაგან გამზადებულ ჩიბუხს აბოლებდა.

ამ ბაასებში, პირდაპირ გასაოცარი იყო, რა გულმოდგინებითა და გამჭრიახობით ახერხებდა მაიორი დობინი, საუბარი ემილიასა და მის პატარა ბიჭზე ჩამოეგდო ჯოზს, ცოტა განაწყენებულს მამამისის ბედუკუღმართობებითა და ფულის დაურიდებელი თხოვნით, მაიორი აშოშმინებდა - მოხუცის ბედშაობასა და სიბერეზე მიუთითებდა. ალბათ მას არც მოენებება მოხუცებთან ერთად ცხოვრება - მათი ჩვევანი და დრო-ჟამი შეიძლება არც შეეწყოს სხვა საზოგადოებას ნაჩვევ ახალგაზრდა კაცს (ჯოზმა თავი დაუკრა ამ ქათინაურისათვის). მაგრამ მაიორმა აღნიშნა ჯოზ სედლისათვის რა ხელსაყრელი იქნებოდა, საკუთარი ოჯახი ჰქონოდა ლონდონში და არა

უბრალო უცოლშვილო კაცის ბინა, როგორც წინათ. სწორედ კარგი დიასახლისი იქნებოდა მის ოჯახში მისი და ემილია. რა მოხდენილი, რა სათნო, რა ნატიფიქცევისა იყო იგი. დობინი იხსენებდა, რა დიდი სახელი დაიგდო ქალბატონმა ოსბორნმა წინათ ბრიუსელსა და ლონდონში, სადაც ასე ეთაყვავებოდნენ ფრიად მაღალი საზოგადოების ხალხი. მერე სიტყვას გადაუკრავდა, რა უპრიანი იქნებოდა ჯოზისთვის, პატარა ჯორჯი კარგ სკოლაში მიებარებინა და მისგან კაცი გამოეყვანა, რადგან დედამისი და ბებია-ბაბუა ალბათ გააფუჭებენ მას. ერთი სიტყვით, ამ მზაკვარმა მაიორმა მოქალაქეს პირობა დაადებინა, ემილიასა და მის ობოლ შვილს ვუპატრონებო. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ამბები დატრიალდა სედლების პატარა ოჯახში - სიკვდილმა რომ დედაბერი მოიტაცა, ხოლო სიმდიდრემ კი ჯორჯი მოსწყვიტა გულიდან ემილიას. მაგრამ ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ ყოველთვის და მარადჟამს, ეს სიყვარულით გულდაკოდილი შუახნის დარბაისელი სულ ქალბატონ ოსბორნზე ფიქრობდა და მთელი გულითა და სულით მისი კეთილდღეობისათვის იღვწოდა. იგი ისეთი გულმოდგინებითა და გულითადობით უქონავდა თავს, ეპირფერებოდა, ელაქუცებოდა და ქათინაუნაურებით ავსებდა ჯოზ სედლის, რომ ალბათ თვითონაც ვერ ხვდებოდა. მაგრამ ზოგ კაცს, გაუთხოვარი დების ან ქალიშვილების პატრონს, შეიძლება მოაგონდეს, რა არაჩვეულებრივ ალერსიანნი არიან ვაჟბატონები მამრი ნათესავების მიმართ, ოდეს მდედრებს ეარშიყებიან და ეგებ ეს თაღლითი დობინიც ამგვარმავე თვალთმაქცობამ იძულებულჰყო.

მართალი რომ მოგახსენოთ, როცა ფრიად მისავათებული მაიორი დობინი „რემჩანდერზე“ მოხვდა და სამ დღეს ხომალდი მადრასის ნავსადგურში რომ იდგა, მაიორს მომჯობინება არ დასტყობია და არც მაინცდამაინც მისი ძველი ნაცნობის, ბატონი სედლის, გემზე გამოჩენა და გამომცნაურება გახარებია, ვიდრე ერთ დღეს გაბაასება არ გაიმართა მათ შორის, როცა მისუსტებული, ღონემიხდილი დობინი უნიათოდ იწვა გემბანზე. მაშინიყო რო თქვა: მე მგონი, ჩემი დღენი დათვლილია; ანდერძით ცოტაოდენი რამ დავუტოვე ჩემს ნათლულსო და იმედები გამოთქვა, ქალბატონმა ოსბორნმა ეგებ კეთილად მომიგონოს და დაე იბედნიეროს თავისი ქორწინებით, რომელსაც ახლა ეპირებაო.

- ქორწინებაო? რა ბრძანებაა! - მიუგო ჯოზმა. - მსგავსი არაფერი

გამიგია. ემილიას არ უხსენებია ქორწინების ამბავი. ოღონდ, სხვათა შორის, უცნაურია, ამას კი იწერებოდა, მაიორი დობინი აპირებს დაქორწინებასო, და იმედოვნებდა, ნეტავი იგი ბედნიერი იყოსო.

რა თარიღისა იყო ევროპიდან მოსული სედლის წერილები? ჯოზმა მოუტანა. ისინი მაიორისაზე ორი თვით გვიანდელი აღმოჩნდა და გემის ექიმმა მიულოცა თავს, იმ ახალი პაციენტისათვის შერჩეული მოვლა-წამლობისათვის, რომელიც მადრასელმა მკურნალმა გადმოაბარა გამოკეთების მართლაც რომ ფრიად სუსტი იმედებით; რადგან მოყოლებული იმ დღიდან, სწორედ იმ დღიდან, როცა მან სასმელი წამლის დოზა შეცვალა, მაიორმა დობინმა მომჯობინება იწყო. და ამრიგად ღირსეული ოფიცერი კაპიტანი კირკი პირშიჩალაგამოვლებული დარჩა მაიორობის მიღების საქმეში.

წმიდა ელენეს კუნძულს რომ გასდნენ, მაიორი დობინის ხალისი და ღონემოცემულობა ისეთი შეიქმნა, რომ ყველა თანამგზავრი განაცვიფრა. ოხუნჯობდა ახალგაზრდა ზღვაოსნებთან, ფარიკაობდა კაპიტნის თანაშემწეებთან, პატარა ბიჭივით არბოდა თოკის კიბეებზე. ერთ საღამოს, ნავახშმევს გროგის დასალევად შეკრებილი მთელი საზოგადოების გასართობად სახუმარო სიმღერაც იმღერა და ისე მხიარული, ხალისიანი და საყვარელი გახდა, რომ თვით კაპიტანი ბრეგი, რომელიც წინათ თავის მგზავრში ვერაფერ შესანიშნავს ხედავდა და პირველად ერთ საწყალ-საცოდავ ვინმედ მიაჩნდა, იძულებული გახდა ეღიარებინა, მაიორი თავდაჭერილი, მაგრამ კარგად განსწავლული და ღირსეული ოფიცერიაო.

- დიდი ვერაფერი სანაქებო მანერები აქვს, დალახვროს ღმერთმა, - გადაულაპარაკა თავის პირველ თანაშემწეს ბრეგმა, - ეგ ვერ გამოდგება გუბერნატორის სასახლეში, როპერ, სადაც მისმა ბრწყინვალებამ და ლედი უილიამმა ასეთი ალერსით მიმიღეს - მთელი საზოგადოების წინაშე ხელი ჩამომართვა და სადილად თვით მთავარსარდლის წინაშე ჩემთან ერთად ლუდი მიირთვა. მანერები დიდი ვერაფერი აქვს, მაგრამ რაღაც კი მოეპოვება ისეთი...

ამ მოსაზრებით კაპიტანმა ბრეგმა გამოამჟღავნა, რომ მას არა მარტო გემის მეთაურობა შეეძლო, არამედ გამჭრიახობის უნარიც შესწევდა, ვითარცა ადამიანს.

მაგრამ როცა „რემჩანდერი“ ინგლისამდე ათი დღის სავალზე შტილში მოხვდა, დობინი ისე მოუთმენელი და უგუნებო გახდა, რომ სახტად დატოვა ის ამხანაგები, რომელნიც ადრე მის ხალისიანობასა და თვინიერობას ეთაყვანებოდნენ. სანამ ნიავმა კვლავ არ დაუბერა, მანამ არ მოსულა ხასიათზე და ფრიად აღელდა, ლოცმანი რომ ამოვიდა გემზე. ღმერთო ჩემო, როგორ აუძგერდა გული, როცა საუთემპტონის ორი მეგობრული კოშკის წვერო გამოჩნდა!

თავი LVIII - ჩვენი მეგობარი მაიორი

ჩვენმა მაიორმა ისეთი დიდი სახელი მოიხვეჭა „რემჩანდერზე“, რომ, როცა ის და ბატონი სედლი გემიდან ნაპირს გადასაყვან ნანატრ კარჭაპაში ჩასხდნენ, მთელმა ეკიპაჟმა - მეზღვაურებმა და ოგიცრებმა, თვით დიდებულ კაპიტან ბრეგის მესვეურობით - სამჯერ დასძახეს ვაშა მაიორ დობინის საპატივცემოდ, რომელსაც ალმური მოედო სახეზე და მადლობის ნიშნად თავს უგერგილოდ აკანტურებდა. ჯოზმა, რომელიც, ჩანს, სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდა, ეს ვაშა სწორედ მე მეკუთვნისო, მოიხადა ოქროსირმიანი ქუდი და დიდებულის იერით უქნევდა მეგობრებს. ნავი დაიძრა ნაპირისაკენ და დიდის პატივით გადასხდნენ ნავმისადგომში, საიდანაც სასტუმრო „როიალ ჯორჯში“ წაბრძანდნენ.

საუცხოო ძროხის ნაჭერი და ვეცხლის თასი, მომაგონებელი ჭეშმარიტი ბრიტანული, მშობლიური ელისა და პორტერისა ყოველთვის საამურად ხვდება თვალში უცხოეთიდან დაბრუნებულ მგზავრს „როიალ ჯორჯის“ საერთო დარბაზში; და, მართალია, ისინი ისე აღმაფრთოვანებელნი და სასიამოვნონი არიან, რომ კაცს უთუოდ მოენებება, რამდენიმე დღე გაატაროს ამნაირ ლაზათიან, მყუდრო, შინაურ ინგლისურ სასტუმროში, დობინმა მაინც მყის წამოიწყო საფოსტო ეტლის თაობაზე ლაპარაკი და საუთემპტონს ჩამოსვლის უმალვე ლონდონის გზაზე დადგომა მოინება. ჯოზს კი იმ საღამოს წასვლის ხსენებაც არ უნდოდა. მთელ ღამეს რატომ უნდა ელაყლაყა საფოსტო ეტლში, ნაცვლად ვეება, დიდებულ,

გაფუებულ, ფაფუკბუმბულიან ლოგინში ნებივრობისა, რომელიც უკვე მზად იყო გაშლილი საზარელი, პატარა, ვიწრო საწოლის მაგივრად, რომელშიაც ზორზოხი ბენგალელი დარბაისელი მთელი მგზავრობის განმავლობაში გახლდათ ჩაჭედილ-ჩაკვეხებული? ფიქრიც არ უნდოდა გამგზავრებაზე, სანამ მის ბარგს მთლიანად არ გადმოტვირთავდნენ და თანაც მგზავრობისას თავისი ყალიონი თუ არ ექნებოდა. ასე რომ, მაიორი იძულებული გახდა ღამე აქ გაეთია და მხოლოდ წერილით შეატყობინა ოჯახს თავისი ჩამოსვლის ამბავი. ჯოზსაც ჩამოართვა პირობა, მიეწერა ნათესავებისათვის. ისიც დაპირებით დაჰპირდა, მაგრამ თითიც არ გაუნძრევია საამისოდ. ჩვენს ორ ვაჟბატონს კაპიტანი, დასტაქარი და ერთი-ორი მგზავრი ეწვივნენ სტუმრად და მათთან ერთად ისადილეს სასტუმროში. ჯოზმა თავის თავს გადააჭარბა გულუხვი მასპინძლობით და დაჰპირდა მაიორს, ხვალ გავემგზავროთ ლონდონსო. სასტუმროს პატრონმა თქვა: პირდაპირ გული გადამეხსნა სიამით, ბატონ სედლის რომ ვუყურებდი, როცა იგი პორტერის პირველ თასს მიირთმევდაო. მე რომ დრო მქონდეს და გავბედო გადახვევები, მთელ თავს მივუძღვნიდი ინგლისის მიწაზე შესმული პორტერის ამ პირველ თასს. ოჰ, რა გემრიელია! სწორედ ღირს სამშობლოდან ერთი წლით გარდახვეწა, რომ მერმე ამ ლუდის თუნდაც ერთი ყლუპი იგემო.

მეორე დილას, ჩვეულებისამებრ, ძალიან ფაქიზად გაპარსულ-გამოწკეპილი მაიორი თავისი ოთახიდა გამოვიდა. ისე ადრე გახლდათ, რომ გარდა ფეხსაცმელების მომვლელი მსახურისა, რომელიც თითქოს არც არასოდეს ხუჭავს თვალს, სახლის დერეფნებში კაცის ჭაჭანება არ იყო. მაიორს ესმოდა სასტუმროს ნაირნაირი მდგმურთა ხმამაღალი ხვრინვა ტალანებში, როცა იგი ჩექმების ჭრაჭუნით მიიკვლევდა გზას გასასვლელების ბინდბუნდში. მერე თვალზე ძილმიუკარებელი მეფეხსაცმელე მსახური მოჰყვა კარიდან კარს რბენას და მათ წინ ჩამწკრივებული ბლიუხერების, უელინგტონების[210] და ოქსფორდული ჩექმების მოგროვებას. შემდეგ ჯოზის ინდოელი მხლებელიც ადგა და შეუდგა ბატონის ვეება საკაზმავების გამზადებასა და ჩიბუხის გაწყობას. მერე ფარეში ქალებიც წამოიშალნენ და ტალანში შავკანიან კაცს რომ წააწყდნენ, შეჰკივლეს - ეშმაკი ეგონათ. ის და დობინი სათლებს ედებოდნენტალანებში, ქალები „როიალ

ჯორჯის“ გემბანს რომ ფხეკდნენ. როცა პირველი გაბუნძგნილი ლაქიაც გამოჩნდა და სასტუმროს კარი გააღო, მაიორმა იფიქრა, უკვე გამგზავრების დრო დადგაო, და ბრძანა, სასწრაფოდ მოეყვანათ ეტლი, რათა გზას გასდგომოდნენ.

მერე ბატონი სედლის ოთახისაკენ გაემართა და იმ ვეება დიდებული საწოლის ფარდები სადასწია, რომელშიაც ბატონი ჯოზი ხვრინავდა.

- ადექი, სედლი! - დასძახა მაიორმა. - დროა, გზას გავუდგეთ. ეტლი ნახევარ საათში მოადგება სასტუმროს კარს!

ჯოზმა საბაქვეშ დაიბრდღვინა, მითხარი, რა დროაო. მაგრამ ოდეს შეფაკლებულ მაიორს (რომელიც, რარიგ სასარგებლოდაც არ უნდა ყოფილიყო მისთვის, მაინც არასოდეს ამბობდა ტყუილს), როგორც იქნა, დააცდენინა, რომელი საათი იყო, სასტიკად გალანძღა. ამ ლანძღვას აქ არ გავიმეორებთ, მაგრამ ამით აგრძნობინა მაიორს. რომ მის სულს თუნდაც ჯოჯოხეთში მოხვედრა ელოდეს, მაინც არ ადგება ახლა; რომ მაიორს ჯანდაბამდე გზა ჰქონია, რომ მას სულაც არ უნდა დობინთან ერთად მგზავრობა და რომ დიდი უკეთურობა და ჯენტლმენისათვის შეუფერებელი საქციელი იყო ამ ყოფით კაცის ძილის დაფრთხობა. ამიტომ დაბნეული მაიორი იძულებული შეიქნა დაეხია და ჯოზისთვის ძილის შებრუნების საშუალება მიეცა.

მალე ეტლიც გამოჩნდა და მაიორს მეტი ცდა აღარ შეეძლო.

მაიორი დობინი რომ თავისდა სასიამოვნოდ სასეირნოდ მიმავალი ინგლისელი დიდებული ყოფილიყო, ანდა გაზათების დეეშათა დამტარებელი შიკრიკი (მთავრობის განკარგულებებს საზოგადოდ გაცილებით უფრო წყნარად დაატარებენ), მაშინაც არ იმგზავრებდა ასეთი სისწრაფით. რა ხალისიანი და აბიბინებული ჩანდა მხარე, ეტლი რომ მიჰქროდა მანძილის ბოძიდან ბოძამდე; ფაქიზ პაწია ქალაქებში, სადაც სასტუმროთა მეპატრონენი ღიმილითა და თავის დაკვრით ხვდებოდნენ; კოხტა გზისპირა ფუნდუკების გვერდით, სადაც აბრები თელებზე ეკიდა და ცხენები და მეურმენი ხეების ჭრელ ჩრდილში სვამდნენ. ჩაუქროლებდნენ ძველ ციხე-დარბაზებსა და პარკებს; ძველი, ჩარუხებული ეკლესიების ალხოს შეყუჟულ პატარ-პატარა სოფლებსა და მომხიბლავ, საამურ ინგლისურ სანახებს. განა ამას რაიმე შეედრება ქვეყნიერების

ზურგზე? სამშობლოში დაბრუნებულ მგზავრს, თითქოს ხელის ჩამორთმევა უნდაო, დიახ, მაიორმა დობინმა ყოველივე ამას ჩაუარა საუთემპტონიდან ლონდონამდე, ოღონდ გზის პირას ჩამწკრივებული მანძილის საზომი სვეტების გარდა ბევრი არაფერი შეუმჩნევია. ხომ ხედავთ, რა სულწასული მიეშურებოდა თავისი მშობლების სანახავად კემბერუელს!

ენანებოდა ის დროც, პიკადილისა და თავის ძველბინას, სლოტერის სასტუმროს, შორის რომ დახარჯა, საითკენაც ერთგულად მიაშურა. ბევრი წელი გავიდა, აღარ ენახა იგი, მას შემდეგ რაც მას და ჯორჯს ახალგაზრდობაში ბევრი ნადიმი და ბევრი ქეიფი გადაეხადათ იქ. ახლა უკვე ხანში შევიდა. თმა შესჭაღარავებოდა და ამ ხანში ახალგაზრდობის მრავალი ძველი გატაცება და გრძნობა გაუხუნდა. კართან იგივე ძველი ფარეში იდგა, იმავე გაქონილ შავ კოსტუმში გამოწობილი, იმავე ღაბაბითა და მოდუნებული, უღიმღამო სახით, საათის ჯიბეზე გადმოკიდებული იმავე შანა-ბეჭდების გროვით, ძველებურად ფულებს რომ აჩხრიალებდა ჯიბეში და ისე რომ მიიღო მაიორი, თითქოს იგი მხოლოდ ამ ერთი კვირის წინათ წასულიყოს აქედან.

- მაიორის ბარგი ოცდამესამეში შეიტანეთ, ეგ არის მისი ოთახი, - გასძახა ჯონმა და იოტისოდნადაც არ გამოუმჟღავნებია გაკვირვება, - მე მგონი, შემწვარ წიწილს ინებებთ სადილად! არ დაქორწინებულხართ? ამბობდნენ, ცოლი შეირთოო - თქვენი შოტლანდიელი დასტაქარი იყო აქ. არა, ეს ოცდამეცამეტე ლეგიონის კაპიტანმა ჰამბიმ თქვა, ინდოეთში რომ -ე ლეგიონში მსახურობდა. თბილ წყალს ხომ არ ინებებთ? ეტლი რატომ დაგიქირავებიათ, განა დილიჟანსი საკმარისი არ იყო?

და ამ სიტყვებით, ერთგული ფარეში, რომელიც ამ სახლში მომსვლელ ყველა ოფიცერს იცნობდა, ყველა ახსოვდა და რომლისთვისაც ათი წელი გუშინდელი დღე გახლდათ, წაუძღვა დობინს ძველი ოთახისკენ, სადაც ვეება, სქელი შალის ფარდებიანი საწოლი იდგა, გაცვეთილი ხალიჩა ეფინა და ოდნავ უფრო ფერშეცვლილი გამოიყურებოდა; ხოლო მთელ ძველ შავ ავეჯს გახუნებული ჩითი ეფარა ისევე, როგორც მაიორს ახსოვდა თავის ახალგაზრდობაში.

მოაგონდა, ქორწინების წინადღეს ჯორჯი რომ ბოლთას სცემდა ოთახში, ფრჩხილებს იკვნეტდა და იფიცავდა, მამაჩემი შემირიგდებაო, და თუ არ შემირიგდება, არც ეგ არაფრად

მენაღვლებაო. მას თვალწინ ედგა ის წუთი, ხმაურით რომ იღებოდა ოთახის კარი და ჯორჯი შემოდიოდა. ამ დროს კი იქვე მოესმა: - არ გაახალგაზრდავებულხართ, - უთხრა ჯონმა და თან წყნარად ათვალიერებდა ძველ მეგობარს.

დობინს გაეცინა.

- ათი წელი და ციებ-ცხელება ვერ აახალგაზრდავებს კაცს, ჯონ, - მიუგო მან. - აი, თქვენ კი სულ ახალგაზრდა ხართ. არა - ყოველთვის მოხუცი ხართ!

- რა დაემართა კაპიტან ოსბორნის ქვრივს? - თქვა ჯონმა. - რა კარგი ყმაწვილი იყო! ღმერთო, რა ფანტავდა ფულს! რაც ჯვარი დაიწერა, იმ დღიდან აღარ შემოსულა. აქამდე მართებს ჩემი სამი გირვანქა. დახედეთ, აი, უბის წიგნაკში მიწერია. 1815 წლის 10 აპრილი, კაპიტანოსბორნს - 3 გირვანქა. ნეტავი მამამისი ხომ არ გადამიხდიდა?

ამ სიტყვებით სლოტერის ჯონმა ამოიღო სწორედ ის ტარსიკონის ყდიანი წიგნაკი, რომელშიაც გაქონილ, გაცრეცილ გვერდზე ჯერ კიდევ აღნიშნული იყო კაპიტნის ვალი და ოკრობოკრო ხელით მრავალი სხვა სამახსოვროებიც გახლდათ ჩანიშნული ამსახლის ყოფილ ბინადართა შესახებ.

სტუმარი რომ თავის ოთახში დააბინავა, ჯონი წყნარად გავიდა გარეთ. ხოლო მაიორმა დობინმა, ცოტა არ იყოს სახეალეწილმა და პირზე ღიმილმორეულმა თავის სისულელეზე, საკუთარი ტანსაცმლიდან ყველაზე უფრო კოხტა და მოხდენილი სამოქალაქო კოსტუმი ამოირჩია და სიცილი აუტყდა თავისი გარუჯული სახისა და ჭაღარა თმის დანახვაზე, როცა სატუალეტო მაგიდასთან უგვან პატარა სარკეში ჩაიხედა.

„კარგია, ბებერ ჯონს არ დავვიწყებივარ, - გაიფიქრა მან, - მე მგონი, ისიც მიცნობს“. - და გამოიჭრა რა სასტუმროდან, ერთხელ კიდევ დაადგა ბრომპტონის გზას.

ემილიასთან უკანასკნელი შეხვედრის ყოველი წვრილმანი თვალწინ ედგა ამ ერთგულ ვაჟკაცს, როცა მისი სახლისაკენ მიეშერებოდა. თაღი და აქილევსის ქანდაკება მის აქ არყოფნაში აღემართათ პიკადილიში. ათასი ცვლილება მომხდარიყო, რასაც მისი თვალი და გონება მხოლოდ ბუნდად არჩევდა. ცახცახი აუვარდა, ბრომპტონიდან შუკაში რომ შეუხვია - ამ კარგად ნაცნობ შუკაში, რომელიც ემილიას სახლისაკენ მიემართებოდა.

მართლა აპირებდა ემილია ქორწინებას თუ არა? რომ შეხვდეს უცბად მას და მის პატარა ბიჭიკოს - ღმერთო ჩემო, როგორ უნდა მოიქცეს მაშინ? ხუთიოდე წლის ბავშვის თანხლებით მიმავალ ქალს ჰკიდა თვალი - ის ხომ არ არის? ამნაირი შეხვედრის უბრალო შესაძლებლობამაც კი აცაცხცახა. როცა ბოლოს მიადგა იმ სახლების რიგს, სადაც ქალი ცხოვრობდა და იმ ჭიშკარს, იგი მოებღაუჭა კარს და შეჩერდა. საკუთარი გულის ბაგაბუგიც ესმოდა. „რაც არ უნდა მომხდარიყოს, მაინც ყოვლადძლიერი ღმერთი შეეწიოს, - გაიფიქრა თავისთვის. - ეჰ, იქნებ გადავიდა აქედან!“ - ჩაილაპარაკა და შევიდა კარში.

ემილიას სასტუმრო ოთახის ფანჯარა ღია იყო, მაგრამშიგ არავინ ჩანდა. მაიორს ეცნაურა ფორტეპიანო და მის თავზე დაკიდებული სურათი, როგორც ძველად იყო ხოლმე, და კვლავ გული აუფორიაქდა. ბატონი კლეპის ბრინჯაოს ფირფიტა ისევ ეკრა კარს დასაკაკუნებელი კვერის გვერდით, რომლითაც დობინმა დააკაკუნა.

დაკაკუნებაზე თექვსმეტიოდე წლის სანდომიანმა, თვალჟუჟუნა, ლოყებაღაჟღაჟებულმა გოგონამ გამოიხედა და დაკვირვებით დააცქერდა მაიორს, რომელიც პატრა პარმაღის ბოძს მიყრდნობოდა.

დობინი აჩრდილივით გაფითრებულიყო და ძლივს წამოილუღლუღა: - ქალბატონი ოსბორნი აქ ცხოვრობს?

ქალიშვილი ერთი წუთით დააშტერდა; ისიც გაფითრდა და შესძახა: - ღმერთო ჩემო, ეს ხომ მაიორი დობინია! - თან ორივე ხელი გამოუწოდა და განაგრძო: - განა არ გახსოვართ? მაიორ-შაქარყინულს გეძახდით!

ამაზე - და ეს გახლდათ, მე მგონი, პირველი შემთხვევა მის სიცოცხლეში, რომ იგი ასე მოიქცა - მაიორმა გულში ჩაიკრა გოგონა და გადაჰკოცნა. ქალიშვილს სიცილი და უნებური ტირილიც წასკდა. მთელი ძალღონით შეუდგა ძახილს „დედი. მამიო!“ და ეს ღირსეული ადამიანებიც გარეთ გამოჰყარა, რომელნიც მოკოპწიავებული სამზარეულოს სარკმლიდან უკვე უთვალთვალებდნენ მაიორს და სახტად დარჩნენ, ვიწრო ტალანში ლურჯ ფრაკსა და თეთრ ტილოს შარვალში გამოწყობილ ვიღაც აყლაყუდა კაცთან ჩაფსკვნილი თავიანთი ქალიშვილი რომ იხილეს.

- მე ძველი მეგობარი ვარ, - თქვა მან და მაინც ცოტა აელეწა

სახე. - არ გახსოვართ, ქალბატონო კლეპ? ან კიდევ თქვენი მშვენიერი ნამცხვრები,, ჩაისთვის რომ მიცხობდით ხოლმე?... არ გახსოვთ, კლეპ? მე ჯორჯის ნათლია ვარ და სწორედ ახლახან დავბრუნდი ინდოეთიდან!

ამას დიდი ხელის ჩამორთმევები მოჰყვა, ქალბატონმა კლეპმა ფრიად განიხარა და აღელდა - იგი ამ ტალანში უთვალავჯერ შესთხოვდა ზეცას მშველელის მოვლინებას.

სახლის პატრონებმა ღირსეული მაიორი სედლის ბინაში შეიპატიჟეს (სადაც მას ავეჯის ყოველი წვრილმანი ახსოვდა - სტოთარდის ნახელავი, ოდესღაც კოხტა,პატარა, ბრინჯაოს სამკაულებიანი ძველი ფორტეპიანოდან თეჯირამდე და თაბაშირის მინიატურულ საფლავის ძეგლამდე, რომლის შუაგულში ბატონი სედლის ოქროს საათი წიკწიკებდა). იქ, ბინის პატრონის ცარიელ სავარძელში ჩამჯდარ დობინს მამამ, დედამ და ქალიშვილმა მრავალი შეძახილების ჩართვით გააცნეს ემილიას პირადი ცხოვრების ის ამბები, რაც ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ მაიორმა კი არა იცოდა რა - სახელდობრ, ქალბატონი სედლის გარდაცვალება, ჯორჯის შერიგება პაპამის ოსბორნთან; რანაირად განიცადა მასთან განშორება ქვრივმა და მისი ცხოვრეის სხვა დაწვრილებითი ამბები. ორჯერ-სამჯერ დააპირა ეკითხა ქორწინების ამბავი, მაგრამ მხნეობამ უღალატა. არ უნდოდა ამ ხალხის წინაშე გაემჟღავნებინა გულის საიდუმლო. დაბოლოს გააგებინეს, ქალბატონი ოსბორნი სასეირნოდ არის წასული თავის მამიკოთურთ კენსინგტონის ბაღშიო, სადაც იგი ნასადილევს, კარგ ამინდში ყოველთვის დადიოდა მოხუცთან ერთად (რომელიც ახლა ძალიან მოფამფალდა და ბუზღუნა გახდა და ემილიას სასტიკად სტანჯავდა, თუმცა ქალიშვილი სწორედ ანგელოზივით კი ეპყრობოდა).

- ძალიან მეჩქარება, - თქვა მაიორმა, - ამ საღამოსაც გადაუდებელი საქმე მაქვს და მინდა ქალბატონი ოსბორნი მაინც ვნახო. ეგებ მის პოლი[211] წამომყვეს და გზა მიჩვენოს!

მის პოლი მოიხიბლა და სახტად დარჩა ამ წინადადებით. მან იცოდა გზა; უჩვენებდა კიდეც მაიორ დობინს. ის ხშირად გაჰყოლია ბატონ სედლის, როცა ქალბატონი ოსბორნი შინ არ იყო... როცა იგი რასელ-სკვერისაკენ წავიდოდა ხოლმე. ის მერხიც იცოდა, სადაც მოხუცს უყვარდა ჯდომა - იგი შეცქრიალდა ოთახში და მსწრაფლ გამოჩნდა თავისი

საუკეთესო ქუდით, დედიკოს ყვითელი შალითა და ვეება აქატის საკინძით შემკული, რომელნიც დროებით გამოითხოვა, რათა მაიორს ღირსეულ თნამგზავრად გამოჩენილიყო.

მერე ლურჯფრაკიანმა და ნატიფი ტყავის ხელთათანებიანმა ოფიცერმა მკლავი შესთავაზა ყმაწვილ ქალს და ძალიან მხიარულად გაუდგნენ გზას. დობინს უხაროდა, გვერდით რომ მეგობარი ეყოლებოდა იმ შემთხვევისას, რომლის მოლოდინში მაინც ძრწოდა. ათას რამეს ეკითხებოდა თანამგზავრს ემილიას შესახებ. კეთილი გული უკვნესოდა, როცა აგონდებოდა, რომ იგი იძულებული გახდა შვილს შელეოდა. ნეტავი როგორ გადაიტანა? ხშირად მაინც ნახულობდა თუ არა? ბატონ სედლის ახლა ხომ ცხოვრების კარგი პირობები აქვს? პოლი, რაც კი შეეძლო, დაწვრილებით პასუხობდა მაიორ-შაქარყინულის ყველა კითხვას.

ამ მგზავრობაში ერთი ამბავი შეემთხვათ, რაიც თუმცა თავისთავად ფრიად უბრალო რამ გახლდათ, მაიორი დობინი დიდად გაახარა. შუკაში თხელქილვაშებიანუ და გახამებულ თეთრ ყელსაბიანი ფერმკრთალი ყმაწვილი კაცი შემოხვდათ, რომელსაც en sandwich - ესე იგი, აქეთ-იქით თითო მანდილოსანი ედგა და მოჰყავდა. ერთი მათგანი წარმოსადეგი, მბრძანებლური იერით, შუახნის ქალი იყო, სახის ნაკვთებითა და ფერის მის გვრდში მომავალი ინგლისის ეკლესის მოძღვრის მოძრვრის მგვანე, მეორე კი - ტანმორჩილი, შავგრემანი, პატარა დედაკაცი, ლამაზი ახალი ქუდით და თეთრი ბაბთებით შემკული, კოხტა ლაბადაში გამოწყობილს რომ გულზე მდიდრული ოქროს საათი ეკიდა. ამ ორ მანდილოსანს შორის პირდაპირ ჩარჭობილ ვაჟბატონს ამასთანავე ქოლგა, შალი და კალათიც ეჭირა, ასე რომ ხელები სრულიად შებოჭილი ჰქონდა და, რასაკვირველია, არ შეეძლო ქუდის მოხდით დაებრუნებია სალამი მის მერი კლეპის რევერანსზე.

მას მხოლოდ კდემით დაუკრა თავი საპასუხო სალმის ნიშნად, ხოლო ორი მანდილოსანი კი ამპარტავნული იერით მიესალმენ და თანაც მკაცრი თვალით გადახედეს მის თანმხლებ ლურჯფრაკიან და ბამბუკისჯოხიან პიროვნებას.

- ეს ვინ არის? - იკითხა ამ ჯგუფის ხილვით გახალისებულმა მაიორმა, როცა შუკაში გზა დაუთმო და გაატარა ეს სამება.

მერიმ ცუღლუტურად შეავლო თვალი.

- ეგ ჩვენი სამრევლოს მღვდელია, ღირსი მამა ბატონი ბინი - (მაიორი დობინი შეკრთა) - და მისი და მის ბინი. ღმერთო, დაგვიფარე, რა გულს გვიწყალებდა საკვირაო სკოლაში მეორე ქალი, ტანდაბალი, ელამი და ლამაზსაათიანი, ქალბატონი ბინი გახლავთ - ყოფილი მის გრიტსი. მისი მამიკო ბაყალი იყო და დუქანი „პატარა ბაჯაღლო ოქროს ჩაიდანი“ ჰქონდა კენსინგტონ-გრეველ-პიტსში. იმ თვეში იქორწინეს და სწორედ ეს-ეს არის დაბრუნდნენ მარგეიტიდან. მზითვად ხუთი ათასი გირვანქა მოჰყვა, მაგრამ მაგამ და მის ბინიმ, რომელმაც ეა ქორწინება გაარიგა, უკვე იჩხუბეს!

მაიორი თუ ამას წინათ შერთა, ახლა სულაც შეხტა და ისე ძალუმად დასცხო ძირს ბამბუკის ჯოხი, რომ მის კლეპმა შესძახა „ ღმერთო ჩემოო!“ და გადაიკისკისა კიდეც. დობინი ართხანს, ვიდრე მის მერი მათ ამბავს უყვებოდა, პირდაღებული მდუმარედ გასქეროდა მიმავალ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს; ოღონდ ამ პატივდებული დარბაისლის დაქორწინების ცნობის გარდა, სხვა არაფერი გაუგონია - თავბრუ ესხმოდა ბედნიერებისაგან. ამ შეხვედრის შემდეგ გაორკეცებული სისწრაფით განაგრძო გზა; მაგრამ, მისი ფიქრით, ძალიან მალე (რადგან დიდი გულის ფრიალი ჰქონდა შემდგარი იმ შეხვედრის მოგონებაზეც კი, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ყოველ წუთს ასე ნატრობდა) ჩაათავეს ბრომპტონის შუკები და შევიდნენ კენსინგტონის ბაღის გალავნის პატარა ძველ ჭიშკარში.

- აგე ისინი! - შესძახა მის პოლიმ და იგრძნო, როგორ შეკრთა მაიორი. ქალიშვილი მყის მიხვდა საქმის მთელ ვითარებას. ისევე სწორედ განჭვრიტა ეს ამბავი, თითქოს იგი ამოეკითხოს თავის რომელიმე საყვარელ რომანში - „ობოლი ფენი“ ანდა „შოტლანდიელი ბელადები“.

- ეგებ გაქცეულიყავით და შეგეტყობინებინათ მისთვის, - უთხრა მაიორმა.

პოლი ყვითელი შალის ფრიალით გაქანდა.

მოხუცი სედლი მერხზე იჯდა, ხელსახოცი მუხლებზე გადაეფინა და ჩვეულებისამებრ ემილიას ძველი დროის რომელიღაც ძველ ამბავს უყვებოდა, რომელიც ქალს წინათაც ბევრჯერ მოესმინა თვინიერი ღიმილით. ბოლო ხანებში ემილიას შეეძლო საკუთარ ფიქრებში ყოფილიყო გართული და

თანაც ღიმილით ესმინა ანდა როგორმა სხვანაირად ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს უსმენდა მამის ლაპარაკს, ნამდვილად კი მოხუცის ნაამბობის თითქმის ერთი სიტყვაც არ გაეგო. სირბილით მომავალ მერის რომ მოჰკრა თვალი, ემილია ზეზე წამოიჭრა. პირველად თავში გაუელვა, ალბათ ჯორჯის რამე დაემართაო. მაგრამ შიკრიკის ხალისიანმა და ბედნიერმა გამომეტყველებამ ეს შიში მყის გაუფანტა მოსიყვარულე დედას.

- ახალი ამბავი! ახალი ამბავი! - მოაძახა მაიორი დობინის შათირმა. - ის ჩამოვიდა! ის ჩამოვიდა!

- ვინ ჩამოვიდა? - იკითხა ემიმ, რომელიც კვლავ თავის შვილზე ფიქრობდა.

- გაიხედეთ იქით, - მიუგო მის კლეპმა, თან პირი იბრუნა და მიუთითა. ემილიამაც რომ გაიხედა, დობინის გამხდარი ფიგურა და ბალახზე გაწოლილი მისი გრძელი ჩრდილი დაინახა. თავის მხრივ ახლა ემილიაც შეკრთა, ღაწვები შეუფაკლდა და, რასაკვირველია, ტირილი მორთო. ამ მიამიტ პატარა არსებას ყოველი საზეიმო შემთხვევის დროს აუმუშავდებოდა ხოლმე grandes eaux[212].

დობინი უყურებდა (ო, რა სიყვარულით უყურებდა), ემილია ხელის ჩამოსართმევად რომ გამორბოდა მისკენ ხელებგამოწვდილი. ემი არ შეცვლილიყო. ცოტა გაფერმკრთალებოდა სახე, ტანზედაც ოდნავ უფრო დასრულებულიყო. თვალები კი ალერსიანი, კეთილი, წრფელი თვალები ისეთივე შერჩენოდა. ფაფუკ წაბლისფერ თმაში სამიოდე ვერცხლისფერი ღერი შეინიშნებოდა. მან ორივე ხელი გაუწოდა და მოღიმარმა და სახეალეწილმა ცრემლმორეული თვალები შეანათა დობინის პატიოსან, კარგად ნაცნობ სახეს. მაიორმა ორივე პატარა ხელი საკუთარ ხელებში მოიქცია, ასე ეჭირა და ერთხანს ენაჩავარდნილი შეჰყურებდა. რატომ არ ჩაიკრა იგი გულში და არ დადო ფიცი, რომ აღარასოდეს განშორდებოდა მას? ქალი ალბათ აღარ გაუძალიანდებოდა - არ შეიძლებოდა იგი არ დამორჩილებოდა.

- მე კიდევ სხვისი ჩამოსვლაც უნდა გაცნობოთ, - უთხრა მან მცირე დუმილის შემდგომ.

- ქალბატონი დობინის? - ჰკითხა ემილიამდა უკან დაიხია. რატომ არაფერს ეუბნება იგი?

- არა! - მიუგო მან და ხელიდან გაუშვა მისი ხელები. - ვინ გითხრათ ეგ სისულელე?.. მე ის მინდა გითხრათ, რომთქვენი ძმა ჯოზი ჩამოვიდა იმავე გემით და შინმოდის, რათა ყველანი გაგაბედნიეროთ.

- მამიკო, მამიკო! - შესძახა ემიმ. - ახალი ამბავი: ჩემი ძმა ინგლისში ჩამოსულა! იმისთვის ჩამოვიდა, რომ შენ მოგიაროს. აი, მაიორი დობინია აქ და ის ამბობს!

ბატონი სედლი ფრიად აცახცახებული წამოიჭრა და ცდილობდა გონება მოეკრიბა. მერე წინ წამოდგა და ძველებური თავის დაკვრით მიესალმა მაიორს. ბატონი დობინი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ღირსეული მამა სერ უილიამი სრულიად კარგად ბრძანდებოდა. მას განზრახული ჰქონდა, სტუმრად სწვეოდა სერ უილიამს, რომელმაც პატივი დასდო და ინახულა იგი ამ ცოტა ხნის წინათ. სერ უილიამს კი მოხუცი ვაჟბატონი უკანასკნელად მხოლოდ ამ რვა წლის წინათ თუ ენახა და ბერიკაცი ემის საპასუხო ვიზიტზე ლაპარაკობდა.

- ძალიან მოტყდა, - ჩაუჩურჩულა ემიმ დობინს, როცა იგი მივიდა მოხუცთან და გულიანად ჩამოართვა ხელი.

მაიორს იმ საღამოს გადაუდებელი საქმე ჰქონდა ლონდონში, მაგრამ დათანხმდა ბატონი სედლის მიწვევას, შინ წავიდეთ და ჩაი დავლიოთო. ემილიამ ყვითელშალიან ახალგაზრდა მეგობარს გამოსდო მკლავი და შინისაკენ წაუძღვა ჯგუფს, ასე რომ ბატონი სედლი დობინს ხვდა წილად. ბერიკაცი დიდის ტაატით მიდიოდა და უამბობდა პირადად მისი, მისი საბრალო მერის, მისი წინანდელი სიმდიდრისა და გაკოტრების უამრავ ძველ ამბავს. მისი ფიქრები, როგორც ჩვეულებრივ ემართებათ ხოლმე დაჩაჩანაკებულ მოხუცებს, სულ ძველ დროებას დასტრიალებდა თავს. ერთი დიდი უბედურების გარდა, ახლო წარსულისა ბევრი არაფერი ახსოვდა. მაიორი მას სიამოვნებით ალაპარაკებდა; თვითონ კი თვალები მიეპყრო წინ მიმავალი ფიგურისათვის - ძვირფასი პატარა ფიგურისათვის, რომელიც მარად თან ახლდა თავის წარმოდგენასა და ლოცვებში და ძილსა და ღვიძილში რომ მუდამ ეზმანებოდა.

ემილია ძალიან ბედნიერი, მოღიმარი და ხალისიანი იყო მთელ იმ საღამოს და მცირე სუფრის დიასახლისის მოვალეობას, როგორც დობინი ფიქრობდა, დიდის შნოთი და ლაზათით აღასრულებდა. დაისის ბინდბუნდში რომ ისხდნენ, დობინი

თვალს არ აშორებდა ქალს. რამდენჯერ უნატრია ეს წუთები და შორეულ ქვეყანაში, ხორშაკ ქარსა და მომქანცავ ლაშქრობებში, თვალწინ დგონია იგი - სათნო და ბედნიერი, გულკეთილად რომ ემსახურება მშობლებს დუხჭირი მოხუცებულობის ჟამს და ალერსიანი მორჩილებით რომ ანელებს სიღატაკის სიმწარეს სწორედ ისე, როგორც ახლა ხედავდა. ვერ ვიტყვი, რომ დიდი დიდებული გემოვნება ჰქონოდეს, ანდა დიდი გონების ვაჟბატონთა ვალი იყოს, კმაყოფილნი ბრძანდებოდნენ ისეთი უფერული, წყალწყალა სამოთხით, რომელიც ჩვენს გულუბრყვილო ძველ მეგობარს აკმაყოფილებდა. მაგრამ კარგი იყო თუ ცუდი, მისი სანატრელი ეს გახლდათ, და, ემილია თუ მიართმევდა,. იგი მზად იყო იმდენივე ფინჯანი ჩაი დაელია, რამდენსაც დოქტორი ჯონსონი[213] სვამდა.

ემილიამ რომ ეს მისი მიდრეკილება შენიშვნა, თვითონაც სიციცლით ამხნევებდა და ერთობ ცუღლუტური გამომეტყველებით მიართმევდა ფინჯანს ფინჯანზე. მართალი მოგახსენოთ, არც იცოდა, მაიორს რომ სადილი არ ჰქონდა ნაჭამი და რომ მისთვის სუფრა იყო გაშლილი სლოტერთან და მაგიდის უკვე გაქირავების ნეშნად ზედ ფირფიტაც იდო სწორედ იმ კაბინეტში, სადაც მაიორსა და ჯორჯს იმდენი დრო გაეტარებინათ, როცა ემი ჯერ კიდევ სულ ბავშვი იყო და ახლახან დაბრუნდა შინ მის კინკერტონის სასწავლებლიდან.

პირველი საგანი, ქალბატონმა ოსბორნმა რომ აჩვენა მაიორს, ჯორჯის მინიატურა გახლდათ, რომლისთვისაც შინ დაბრუნებისთანავე ზევით აირბინა ქალმა. რასაკვირველია, იგი სანახევროდაც არ გამოხატავდა ბიჭის სილამაზეს, მაგრამ განა კეთილშობილური არ იყო მისი მხრით, რომ მოიფიქრა დედისთვის ჩუქება? სანამ მამამისს ეღვიძა, ემი ბევრს არას ამბობდა ჯორჯიზე. ბატონი ოსბორნისა და რასელ-სკვერის ხსენება არ ესიამოვნებოდა მოხუცს, რომელიც ალბათ ვერც ხვდებოდა, უკანასკნელ რამდენიმე თვეს უმთავრესად თავისი უფრო მდიდარი მოქიშპის ნაწყალობევით რომ ცხოვრობდა, და გული მოსდიოდა, თუ ვინმეს წამოსცდებოდა მისი სახელი.

დობინმა ბერიკაცს უამბო ყველაფერი და ეგებ ცოტა უფრო მეტიც, რაც „რემჩანდერის“ გემბანზე მოხდა. გააზვიადა მამისადმი ჯოზის კეთილგანწყობილების გრძნობა და გადაწყვეტილება, ბედნიერი სიბერე შეექმნა მისთვის. მართალი მოგახსენოთ, მგზავრობაში მაიორმა ეს მოვალეობა

ფრიადის სიმტკიცით აკისრინებდა თანამგზავრს და დააცდევინა დაპირება, რომ იგი თავს იდებდა დისა და დისწულის პატრონობას. გაუქარწლა ჯოზს ის განაწყენება. რომელიც მოხუცი დარბაისლისაგან ანგარიშების გამოგზავნამ აწვნევინა, და სიცილით უამბო იმავე ყაიდის საკუთარი გასაჭირი და ღვინის ცნობილი ტვირთის მორთმევა, რომელიც ბერიკაცმა უთავაზა. ბატონი ჯოზი სრულიადაც არ იყო გულბოროტი ადამიანი, როცა აამებდნენ და ზომიერად მოექლესებოდნენ, და ამიტომ ძალიან კარგად განეწყო თავისი ევროპელი ნათესავების მიმართ.

ერთი სიტყვით, მრცხვენია გამოგიტყდეთ, მაიორმა დობინმა იმდენად შორსაც შეტოპა, რომ ბატონ სედლის უთხრა: ჯოზი ევროპაში უმთავრესად მშობლის ნახვის წადილმა დააბრუნაო.

ჩვეულ ჟამს ბატონი სედლი ყვინთვას მოჰყვა თავის სავარძელში და მაშინ იხელთა სწორედ დრო ემილიამ სალაპარაკოდ და დიდი გატაცებითაც შეუდგა თხრობას, ოღონდ სულ ჯორჯის შესახებ. კრინტი არ დაუძრავს თავის საკუთარ ტანჯვა-წამებაზე, ბავშვი რომ მოჰგლიჯეს გულიდან; რადგან ეს ღირსეული დიაცი, მართალია, თითქმის გაანადგურა შვილის მოცილებამ, მაინც ისე ფიქრობდა, ჩემის მხრით დიდი ბოროტება იქნება, მის დაკარგვაზე რომ ვიწუწუნო. მაგრამ მის შესახებ კი ყველაფერი - მისი ღირსებანი, ნიჭი, ზრახვები - ყველაფერი დაწვრილებით გადმოულაგა. აღწერა მისი ანგელოზური მშვენიერება, მოუთხრო მისი კეთილშობილებისა და დიდბუნებოვნების დამადასტურებელი ათასი მაგალითი, სანამ ბავშვი მასთან ცხოვრობდა. როგორ შედგა სამეფო სახლის ერთი დიუფალი და აღტაცებით შეხედა მას ნეკსინგტონის ბაღში, რა დიდებულად უვლიდნენ ახლა მას და როგორი გრუმი და პონი ჰყავდა. რა მკვირცხლი და ჭკვიანი იყო იგი და რა გასაოცარი ნაკითხი და შესანიშნავი ადამიანი ბრძანდებოდა ჯორჯის მასწავლებელი, ღირსპატივცემული ლორენს ვილი.

- ყველაფერი იცის, - თქვა ემილიამ. - საუცხოო საღამოებს მათავს ხოლმე. თქვენ თვითონაც რომ ასე განსწავლული, ნაკითხი, ასე ჯკვიანი და სრულყოფილი ხართ, - ნუ აქნევთ თავს და ნუ უარობთ; ი ს ყოველთვის ამბობდა თქვენზე, სწორედ ასეთიაო, - პირდაპირ მოიხიბლებით ბატონი ვილის საღამოებით. ყოველი თვის უკანასკნელ სამშაბათს იმართება

ეს საღამოები. ამბიბს, არ მოიპოვება სამართლის საქმესა ანდა სენატში ისეთი თანამდებოდა, რომლის მიღწევაც ჯორჯის არ შეეძლოსო. აი, ნახეთ! - და იგი მივიდა ფორტეპიანოს უჯრასთან და ამოიღო ჯორჯის დაწერილი თხზულება. გენიალური ჭკუის დიდებული ნაღვაწი, რომელიც ახლაც ჯორჯის დედის მფლობელობაშია, ეს გახლავთ: „თავკერძოებისათვის. - ყოველი მანკიდან, რომელიც ადამიანის ხასიათს ამდაბლებს, ყველაზე საძაგელი და საზიზღარი თავკერძაობაა. საკუთარი თავის უგვანო სიყვარულს ფრიად საცალდებულო დანაშაულამდე მივყავართ და უდიდეს უბედურებებს იწვევენ, როგორც სახელმწიფოებში, ისევე ოჯახებშიაც. ვითარცა თავკერძა კაცი აღატაკებს ოჯახს და დაღუპვის კარს მიჰყავს იგი, ასევე თავკერძა მეფეც ღუპავს თავის ხალხს და ხშირად ომის ქარცეცხლში აგდებს მას.

„მაგალითი: აქილევსის თავკერძაობამ, როგორც აღნიშნავს პოეტი ჰომეროსი, ათასნაირი ვაება არგუნა ბერძნებს

(ჰომ. ილიადა 1, 2)[214]. განსვენებულ ნაპოლეონ ბონაპარტის თავკერძაობამ უთვალავი ომები ატეხა ევროპაში და გამოიწვია თვითონ მისი დაღუპვა საცოდავ კუნძულზე - წმინდა ელენეს კუნძულზე, ატლანტის ოკეანეში.

„ამ მაგალითებით ჩვენ ვხედავთ, რომ არ უნდა დაგვძალოს ჩვენმა საკუთარმა ინტერესმა და პატივმოყვარეობა, არამედ უნდა გავითვალისწინოთ, როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვათა ინტერესებიც.

ჯორჯ ს. ოსბორნი

„ათინა-ჰაუზი, 24 აპრილი, 1827 წელი“.

- შეხედეთ, რა ხელი აქვს და ბერძნული ციტატაც როგორ მოჰყავს ამ ასაკში, - თქვა გახარებულმა დედამ. - ო უილიამ, - დასძინა შემდეგ მან და ხელი გაუწოდა მაიორს, - ეს რა განძი მარგუნა ზეცამ ამ ბავშვის სახით! ეს არის ჩემი ცხოვრების ნუგეში... და თანაც პირწავარდნილი სურათია მისი... მისი, რომელიც აღარ არის!

„განა უნდა ვჯავრობდე ამ ქალზე იმიტომ, რომ ასეთი ერთგული დარჩა მისი? - გაიფიქრა უილიამმა. - განა უნდა მშურდეს სამარეში მყოფი ჩემი მეგობრისა ანდა ემილიას განა ასეთი გული უნდა ვატკინო, რომელსაც მხოლოდ ერთხელ და

სამუდამოდ შეუძლია სიყვარული? ოჰ, ჯორჯ, ჯორჯ, მაინც რა ნაკლებად იცოდი შენი განძის დასი!“

ამ ფიქმა მსწრაფლ გაუელვა თავში უილიამს, როცა ხელში ემილიას ხელი ეჭირა, ხოლო ქალს კი ცხვირსახოცი ჰქონდა მიფარებული თვალებზე.

- ძვირფასო მეგობარო, - უთხრა ემილიამ და მოუჭირა იმ ხელს, რომელსაც მისი ხელი ეჭირა, - ყოველთვის რა კარგი, რა კეთილი იყოვით ჩემთვის! ჩუ მამიკო იღვიძებს. ხვალ ხომ ნახავთ ჯორჯის, არა?

- ხვალ ვერა, - მიუგო საწყალმა დობინმა, - საქმე მაქვს.

მას არ უნდოდა გამომტყდარიყო, რომ ჯერ კიდევ არ ენახა მშობლები და ძვირფასი დაიკო ენი - უგულისყურობა, რისთვისაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი წესრიგის მოყვარე პიროვნება დასძრხავს მაიორს. ამის შემდეგ ის მალევე გამოესალმა ემილიას, ოღონდ თავისი მისამართი კი დასტოვა ჯოზისთვის, რომელიც ლონდონს უნდა ჩამოსულიყო. ასე მიიწურა პირველი დღე და დობინმა ინახულა ემილია.

სლოტერის სასტუმროში რომ მივიდა, რასაკვირველია, შემწვარი წიწილი უკვე გაცივებული დახვდა და ისე ცივად გეახლად კიდეც ვახშმად. ხოლო რაკი იცოდა, რა ადრე იძინებდა მისი ოჯახი და ასე გვიან ფუჭი იქნებოდა მათთვის ტკბილი ძილის დაფრთხობა, უნდა ვაღიაროთ, მაიორი დობინი იმ საღამოს ნახევარ ფასად შებრძანდა ჰეიმარკეტის თეატრში, სადაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, კარგადაც გაატარა დრო.

თავი LIX - ძველი ფორტეპიანო

მაიორის სტუმრობამ დიდად ააღელვა და ააფორიაქა მოხუცი ჯონ სედლი. ქალიშვილმა იმ ღამეს ვეღარ მოახერხა ჩვეული საქმიანობით ანდა გასართობებით შეეყოლიებინა ბერიკაცი. საღამო თავისი ყუთებისა და უჯრების ქექვაში გაატარა - აკანკალებული ხელებით ხსნიდა ქაღალდებს და ახარისხებდა და ალაგებდა ჯოზის დასახვედრებლად. ისინი დიდ წესრიგში

ჰქონდა - ზონრებით შეკრული და ჩაკერებული საბუთები, ვექილებისა და რწმუნებულების ხელწერილები და ბარათები: საბუთები ღვინის საქმის გეგმისა (რომელიც სრულიად გაუგებარი შემთხვევის გამო ჩაიფუშა ფრიად ბრწყინვალე დასაწყისის შემდგომ), ნახშირის გეგმისა (მხოლოდ თანხის ნაკლებობამ რომ შეუშალა ხელი გამხდარიყო ისეთი არაჩვეულებრივი წარმატების მქონე საქმე, რომლისთანაც აქამდე ჯერ არასოდეს შეეთავაზებინა ვინმეს საზოგადოებისათვის), პატენტიანი სახერხი ქარხნებისა და ნახერხის შეკვრა-გამაგრების გეგმები და სხვანი და სხვანი. მთელ ღამეს, ძალიან გვიანობამდე, ამ საბუთების შემზადებაში გაატარა. სანთლის მოფარფატე შუქზე ძლივს დაბარბაცებდა ერთი ოთახიდან მეორეში და თან ხელებიც უკანკალებდა. აი, კალკუტასა და მადრასს გაგზავნილი წერილები და საპასუხო ბარათები აბანოს ორდენის კავალერის მაიორ დობინისა და ბატონ ჯოზეფ სედლისა.

- ვერაფერ უწესრიგობას ვერ დამაყვედრის მე, ემი, - ეუბნებოდა მოხუცი.

ემის ეღიმებოდა.

- არა მგონია, ჯოზმა მაგ ქაღალდების ნახვა მოინდომოს, მამიკო, - უთხრა მან.

- შენ საქმისა არა გაგეგება რა, გენაცვალე, - მიუგო მამამ და ზვიადი იერით გააქნია თავი.

უნდა ვაღიაროთ, ამ საქმეში ემი მაღთლაც ძალიან უვიცი გახლდათ და სამწუხაროა, ზოგი კი ასე ღრმად რომ არის გაცნობილი საქმეს. მთელი ეს ორპენიანი საბუთები მოხუცმა სედლიმ გვერდით მაგიდაზე დააწყო, გულმოდგინედ გადააფარა სუფრა, ჭრელი ხელმანდილი (მაიორი დობინის ერთ-ერთი ნაჩუქარი) და საგანგებოდ აუკრძალა მოახლესა და სიასახლისს, ხელი არ ეხლოთ ქაღალდებისათვის, დალაგებული რომ იყო ბატონი ჯოზეფ სედლის ჩამოსვლისათვის - „ბატონ ჯოზეფ სედლის, პატივდებული ოსტ-ინდოეთის კომპანიის ბანგალის განყოფილების სამოქალაქო სამსახურის მოხელისათვის“, რომელსაც მეორე დილისათვის ელოდნენ.

მეორე დილით ბერიკაცი ძალიან ადრე ამდგარიყო და ემილიას კიდევ უფრო აფორიაქებული, აღგზნებული და ძველებურზე

უფრო დაძაბუნებული ეჩვენა.

- ბევრი არ მიძინია, გენაცვალე, ემი, - უთხრა მან. - ჩემს საბრალო მერიზე ვფიქრობდი. ნეტავი ახლა ცოცხალი იყოს, რომ ერთხელ კიდევ გაესეირნა ჯოზის ეტლით. იმას ხომ საკუთარი ეტლი ჰქონდა და ძალიანაც იფერებდა!

თვალები ცრემლებით აევსო და ღაპაღუპით ჩამოედინა დაღარულ, ბებრულ სახეზე. ემილიამ მოსწმინდა, ღიმილით აკოცა მოხუცს, კოხტად გაუსკვნა ყელსახვევი, საუკეთესო პერანგის გულისპირში ქინძისთავი გაუბნია და თავის საკვირაო შავ კოსტუმში გამოწყობილი ბატონი სედლი დილის ექვსი საათიდან ასე შეუდგა ვაჟიშვილი ლოდინს.

საუთემპტონის ჰაი-სტრიტზე რამდენიმე ბრწყინვალე სამკერვალო სახელოსნო გახლავთ, რომელთა სარკეებიან ვიტრინებში ყოველი ჯურის დიდებული ჯილეტებია გამოფენილი - აბრეშუმისა და ხავერდისა, ოქროსირმიანი და მეწამული, აგრეთვე უკანასკნელი ახალი მოდის სურათებიც ჩანს, რომლებზედაც მონოკლიანი საუცხოო ვაჟბატონები არიან გამოხატულნი, ხელჩაკიდებულთ რომ მოჰყავთ არაჩვეულებრივ დიდრონთვალებიანი და თმახუჭუჭა ბიჭუნები და თვალს უკრავენ ეპსლი-ჰაუზთან მდგარ აქილევსის ქანდაკების გვერდით ამაყად მიმავალ საცხენოსნო კაბებში გამოწყობილ ბანოვნებს. ჯოზს, რაც კი კალკუტაში შეიძლებოდა ეშოვნა კაცს, ყველაზე ბრწყინვალე ჟილეტები ჰქონდა შეძენილი, მაგრამ მაინც იფიქრა, ქალაქში ისე ვერ გამოვჩნდები, თუ კიდევ ერთი-ორი სხვაც არ ვიყიდეო, და შეარჩია კიევ ერთი ოქროს პეპლებით ამოქარგული მეწამული ატლასისა და ერთი კიდევ შავ-წითელი ხავერდოვანი ტარტანისა[215] - თეთრზოლებიანი და გადაშლილსაკელოიანი. ამ მოკაზმულობით და მდიდრული, ცისფერი ატლასის ყელსახვევითა და ოქროს ქონძისთავით, რომელზედაც გამოხატული იყო ალისფერი მინანქრით გამოყვანილი ხუთლატნიან თარჯზე მხტომარე ცხენოსანი, ჯოზი ფიქრობდა, ახლა კი შემიძლია შევიდე ლომდონში სათანადო ღირსებითაო, რადგან წინანდელი სიმორცხვითა და უგერგილო, დაბნეული, სიწითლისმომგვრელი კრძალულების ნაცვლად ლაღი, გაბედული და თავის ღირსებაში თავდაჯერებული იერი მიიღო.

- არ ვმალავ, მიყვარს ჩაცმა-დახურვა! - იტყოდა ხოლმე ხოლმე ვატერლოელი სედლი მეგობრებში.

ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს, მანდილოსნები რომ უყურებდნენ გუბერნატორის სასახლეში გამართულ ბალებზე. წითლდებოდა და შეშფოთებული პირს იბრუნებდა ხოლმე მათ შემოხედვაზე. ყოველივე ეს კი უმთავრესად იმის შიშითა და რიდით მოსდიოდა, რომელიმე მათგანს არ შევუყვარდეო, რადგან დიდი წინააღმდეგი ბრძანდებოდა ქორწინებისა. მაგრამ გამიგონია, ვატერლოელ სედლისთანა დარდიმანდი კალკუტაში მეორე არ მოიძებნებოდაო - ჰქონდა ყველაზე ლამაზი ცხენ-ეტლი, მართავდა ყველაზე საუკეთესო ნადიმებს და მოეპოვებოდა მთელ ქალაქში ყველაზე უფრო საუცხოო ვერცხლეული.

ამ მოყვანილობისა და ღირსების კაცისთვის ზემოხსენებული ჟილეტების გაწყობას ერთი დღე მაინც მოუნდა, რომლის ნაწილი ჯოზმა თავისი და თავისი ინდოელი ფარეშის მსახურის დაქირავების საქმეს მოანდომა. აგრეთვე განკარგულებანი მისცა რწმუნებულს, ვისაც მინდობილი ჰქონდა გადმოელაგებინა მისი ბარგიბარხანა: ზანდუკები, წიგნები, რომელთაც არასოდეს კითხულობდა; დამწიფებული ხილის, ცხარე საკმაზავებისა და კარის ფხვნილების[216] ყუთები; სასაჩუქრო შალები, ჯერ რომ არც იცოდა, ვისთვის უნდა ებოძებინა, და მისი Persicos apparatus-ის[217] სხვა დანარჩენი ნაწილები.

დაბოლოს, მესამე დღეს, ახალ ჟილეტში გამოწყობილი ჯოზი ნებიერადდაიძრა ლონდონისაკენ. ინდოელი ფარეში კბილს კბილზე აცემინებდა და ახალი ევროპელი მსახურის გვერდით შალმოხვეული იძუძგებოდა ეტლის კოფოზე; ჯოზი ხანგამოშვებით აბოლებდა ჩიბუხს და ისე დიდებული შესახედაობა ჰქონდა, რომ პატარა ბიჭები სულ ვაშას ძახილით აცილებდნენ და ბევრს ეგონა, გენერალ-გუბერნატორი მაინც იქნებაო. თან უნდა მოგახსენოთ, რომ ე ს სულაც არ ინაზებოდა ფუნდუკების მლიქვნელ მეპატრონეთა პირფერულ მიპატიჟებებზე, რათა ჩამომხდარიყო და შენაყრებულიყო კოხტა პროვინციულ ქალაქებში. საუთემპტონში რომ მადიანად ისაუზმა თევზით, ბრინჯითა და მოხარშული კვერცხებით, უინჩესტერამდე ისე მოვიდა გუნებაზე, იფიქრა, ერთ ჭიქა ხერესს მაინც გადავკრავო. ოლტონში, მსახურის თხოვნით, ეტლიდანაც გადმობრძანდა და გადაყლურწა ცოტაოდენი ელი, რომლითაც სახელგანთქმულია ეს ადგილი. ფარნემში ეპისკოპოსის ციხე-დარბაზის სანახავად შედგა და ამასთანავე

მსუბუქად წაისადილა დაბუღული გველთევზით, ხბოს კატლეტებით და ლობიოთი და ზედ ერთი ბოთლი კლარეტიც დააყოლა. ბეგშოტის ეწერზე გავლისას, სადაც ინდოელ ფარეშს უფრო და უფრო მოუმატა კბილის კბილზე ცემინებამ, ბატონსაც შესცივდა და ჯოზ-საიბი ცოტაოდენ წყალგარეულ კონიაკს გეახლად. ერთი სიტყვით, როცა ლონდონს მიაღწია, ისე ბრძანდებოდა პირთამდე ავსილი ღვინით, ხორცით, მწნილებით, ალუბლის ნაყენებითა და თუთუნის ბოლით, როგორც ორქლმავალი გემის საკუჭნაო. საღამომ მოატანა, მისი ეტლი გრიალით რომ მიადგა პატარა კარს ბრომპტონში, საითკენაც გაემართმა მოსიყვარული ვაჟბატონი პირველად, სანამ მისთვის სლოტერის სასტუმროში ბატონი დობინისაგან წინდაწინ დაქირავებულ ბინას მიაშურებდა.

მთელმა ქუჩამ ფანჯრებში გამოყო თავი. პატარა მოახლე გოგო კარისკენ გაქანდა, ქალბატონმა კლეპებმა მოკოპწიავებული სამზარეულოს სარკმლიდან გამოიჭვრიტეს, აფორიაქებული და აღელვებული ემი ქუდებითა და პალტოებით გამოჩურთულ ტალანში გაიხლართა, ხოლომოხუცი სედლი სასტუმროში იჯდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ჯოზი გამობრძანდა და დიდის ყოფით დაეშვა აჭრაჭუნებულ მოქანავე საფეხურზე. თან აქეთ-იქიდან მხარში ამსდგომოდნენსაუთემპტონელი ახალი მსახური და ახახანებული ინდოელი ფარეში, რომელსაც ყავისფერი სახე სიცივისაგან სულ გალურჯებოდა და ინდაურის ჩინჩახვის ფერი დასდებოდა. მან უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ტალანში და დააფრთხო ქალბატონი კლეპი და მის კლეპი, რომელნიც გამოვიდნენ ალბათ სასტუმრო ოთახის კართან ყურის მისაგდებად და მერრხზე ჩამომჯდარი, ქურქებსა და პალტოში გამოფუთნული, აძაგძაგებული ლოლ ჯევაბი კი დახვდათ, რომელიც საცოდავად, უცნაურად კვნესოდა, ყვითელ თვალის კაკლებს ატრიალებდა და თეთრ კბილებს აელვებდა.

თქვენ ხედავთ, რა მარჯვედ მივხურეთ კარი ჯოზის, მოხუცი მამისა და მისი საბრალო, პატარა, სათნო დის შეხვედრის სურათზე. ბერიკაცი ძალიან ღელავდა. რასაკვირველია, ასევე ღელავდა ქალიშვილიც და არც თუ ჯოზს გამოუჩენია უგულობა. ათ წელიწადს ხანგრძლივ შორს ყოფნაში ყველაზე უფრო თავკერძა ადამიანსაც მოაგონდებოდა ოჯახი და ძველი ნათესავები. მანძილი განწმენდს ორივეს. წარსულ სასიამოვნო მოგონებებზე დიდი ხნის ფიქრი აზვიადებს მათ

მომხიბვლელობასა დასიტკბოს. ჯოზს წრფელის გულით ეამა მამის ნახვა და ხელის ჩამორთმევა, რომელთანაც წინათ ცოტა გულგრილი ურთიერთობა ჰქონდა; ეამა თავისი უმცროსი დის ნახვა, რომელიც ისე ტურფა და მოღიმარი ახსოვდა, და ეწყინა დროის, მწუხარებისა და უბედურებისაგან დაძაბუნებულ ბერიკაცზე დაჩნეული დაღი. შაოსანი ემი კართან გაეგება ძმას, ჩაუჩურჩულა დედის გარდაცვალების ამბავი და უთხრა, ამაზე მამასთან ნუ ილაპარაკებო. მაგრამ ეს გაფრთხილება საჭირო არ იყო - მოხუცმა მაშინვე თვით წამოიწყო ლაპარაკი, ბევრი იყბედა და გულიანადაც იტირა. ამან ინდოელი დარბაისელი არამცირედ შეაწუხა და იმაზე ცოტა უფრო ნაკლები ადგილი დაათმობინა საკუთარ თავზე ფიქრებისათვის, ვიდრე საერთოდ ჩვეული იყო ეს ჩვენი ვაჟბატონი.

სტუმრობის შედეგი ძალიან დამაკმაყოფილებელი გამოდგა, რადგან ჯოზი რომ კვლავ აბრძანდა და თავისი სასტუმროსაკენ გაუტია, ემი ნაზად მოეხვია მამას და გამარჯვებულის იერით უთხრა ბერიკაცს: განა ყოველთვის არ გეუბნებოდი, ჩემს ძმას კეთილი გული აქვსო?

მართლაც, ჯოზეფ სედლიმ, შეწუხებულმა ნათესავების ბეჩავი მდგომარეობით და პირველი შეხვედრით გულსავსემ და გულაჩუყებულმა, განაცხადა: თქვენ აღარასოდეს განგაცდევინებთ სიღატაკესა და გასაჭირს; ერთ ხან მაინც სამშობლოში დავრჩები და ამ დროის განმავლობაში ჩემი სახლი და ყოველივე, რაც მე მომეპოვება, თქვენი იქნებაო. თან დასძინა: ემილია ძალიან ტურფა სანახავი იქნება ჩემი სუფრის თავში, ვიდრე მას თავისი საკუთარი სუფრა გაუჩნდებოდესო.

ემიმ სევდიანად გაიქნია თავი და ჩვეულებისამებრ ჩრემლთა ღვრას შეუდგა. იგი მიხვდა, რას გულისხმობდა ჯოზი. ემილიამ და მისმა ახალგაზრდა გულის მესაიდუმლემ მის მერიმ ფრიად დაწვრილებით განიხილეს ეს საკითხი სწორედ მაიორის სტუმრობის ღამესვე. გულფიცხმა პოლიმ თავი ვერ შეიკავა და მაშინვე აჭიკჭიკდა იმ აღმოჩენაზე, რომელიც ხვდა წილად - მან აღწერა შეკრთომა და სიხარულს თრთოლვა, მაიორმა რომ გამოამჟღავნა, როცა ბატონმა ბინიმ ჩაიარა მეუღლითურთ და მაიორმა შეიტყო, ამიერიდან მეტოქის შიში აღარ მმართებსო.

- განა ვერ შენიშნეთ,როგორ შეკრთა, როცა ჰკითხეთ დაქორწინდით თუ არაო, და მან რომ თქვა: „ვინ გითხრათ ეგ სისულელეო?“ ოჰ, ქალბატონო, - ეუბნებოდა პოლი, - სულ არ

მოუცილებია თქვენთვის თვალი და მე დარწმუნებული ვარ, ეგ სწორედ თქვენზე ფიქრით არის გაჭაღარავებული!

მაგრამ ემილიამ თვალი შეავლო საწოლის თავზე დაკიდებულ ქმრისა და შვილის სურათებს და უთხრა თავის ახალგაზრდა პროტეჟეს: მაგ საგანზე აღარასოდეს, აღარასოდეს დასძრა კრინტიო. მაიორი დობინი მისი ქმრისა და თვით მისი უძვირფასესი მეგობარი და ჯორჯის კეთილი, მოსიყვარულე მზრუნველი იყო. მას იგი ძმასავით უყვარდა, მაგრამ ქალს, რომელსაც ასეთი ანგელოზი ჰყავდა ქმრად, - და თან მიუთითა კედელზე, - აღარ შეეძლო სხვა ქორწინებაზე ფიქრი გაევლო გულში. საწყალმა პოლიმ ამოიოხრა: გაიფიქრა, რამეშველება, ექიმის კაბინეტში მოსამსახურე ახალგაზრდა ბატონი ტომკინზი, რომელიც ყოველთვის შემოსცქეროდა ეკლესიაში და ამ უბრალო დაჟინებული ცქერით ისეთი ფართხალი შეუყენა მის ნაზ გულს, რომ იგი მზად იყო დაეყარა ფარხმალი - რა მეშველება, იმას როომ რამე დაემართოსო? იცოდა, ყმაწვილი ჭლექიანი რომ იყო - ლოყები ძალიან დაკვერებული ჰქონდა და წელშიაც უჩვეულოდ წვრილი ჩანდა.

ემი თუმცა ხვდებოდა პატიოსანი მაიორის ვნებებს, სულაც არ იუკადრისობდა და არც სწყინდა მისი მოკრძალებული არშიყობა. ასე ერთგული და თვინიერი დარბაისლის მიჯნურობას არც ერთი ქალი არ შეიძლებოდა გაეგულისებინა. არც დეზდემონა გაჯავრულა კასიოზე, თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ იგი ჩინებულად ხედავდა, ლეიტენანტი მისდამი გულგრილი არ ბრძანდებოდა (მე ჩემის მხრივ დარწმუნებული ვარ, გაცილებით უფრო მეტი რამ იმალება იმ სამწუხარო ამბავში, ვიდრე ეს ღირსეულმა მავრმა სარდალმა იცოდა). თვით მირანდაც ფრიად ალერსიანად ეპყრობოდა კალიბანს[218] და - ჩვენ სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ - სწორედ ამავე მიზეზით. განა აქეზებდა ან ამხნევებდა, თუნდაც იოტისოდნავადაც კი, ამ ტლანქ ურჩხულს? რასაკვირველია, არა! არც ემი აგულიანებდა რაიმეთი თავის თაყვანისმცემელ მაიორს. იგი იმ მეგობრული პატივისცემით ეპყრობოდა, სწორედ რისი ღირსიც გახლდათ ასე აღმატებული ღირსება და ერთგულება. ემილია კვლავაც სრული გულითადობითა და გულწრფელობით მოეპყრობოდა მას, ვიდრე მაიორი არ გამოუტყდებოდა თავის ხვაშიადში. მაშინ კი ქალს კიდევ საკმაო დრო ექნებოდა სალაპარაკოდ და იმ იმედების გასაქარწყლებლად, რომელნიც არ შეიძლებოდა

განხორციელებულიყო.

ამიტომ მას ფრიად არხეინად ჩაეძინა იმ საღამოს, მის პოლისთან მუსაიფის შემდგომ, და მიუხედავად ჯოზის დაგვიანებისა, ჩვეულებრივზე უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს. „რა კარგია, იმ მის ო'დაუდს რომ არ ირთავს, - ფიქრობდა იგი.- პოლკოვნიკ ო'დაუდს არამც და არამც არ შეიძლება ჰყავდეს ისე სრულყოფილი ადამიანის შესაფერი და, როგორც მაიორი უილიამია". მის პატარა წრეში ბინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისთვის შესაფერი მეუღლე? მის ბინი? არა - ძალიან ხანშიშესული და ანჩხლი იყო. მის ოსბორნი? ესეც ძალიან ბებერიჩანდა. პატარა პოლი მეტად ყმაწვილი იყო. ქალბატონ ოსბორნს ისე ჩაეძინა, რომ მაიორს შესაფერისი ჯუფთი ვერ გამოუძებნა.

ასე თუ ისე, როცა ფოსტალიონი მოვიდა, პატარა საზოგადოება როგორც იქნა იხსნა ლოდინის ციებ-ცხელებისაგან - დას ჯოზისაგან გამოგზავნილი ბარათი მოერთვა, რომელიც აუწყებდა, მგზავრობის შემდეგ ცოტა მოვიღალე და დღეს წამოსვლა ვეღარ შევძელი, მაგრამ ხვალ დილაადრიან გამოვალ საუთემპტონიდან და საღამოთი დედ-მამს ვინახულებო. ამ წერილს ნანას რომ უკეთხავდა ემილია, ბოლო სიტყვაზე შეჩერდა - აშკარა იყო, ძმამ არ იცოდა, რა ამბავი დატრიალდა ოჯახში და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. მართალი მოგახსენოთ, თუმცა დობინს სამართლიანად ეეჭვებოდა, მისი თანამგზავრი დაძრულიყო ისე მცირე დროში, როგორიც ოცდაოთხი საათი გახლავთ და სათანადო რაიმე მოსაბოდიშებელ მიზეზსაც მოიდებდა შეყოვნებისათვის, მაინც არ მიუწერა ჯოზისთვის და არ შეუტყობინებია იმ უბედურების ამბავი, რომელიც თავს დაატყდა სედლის ოჯახს, რადგან მაიორი ემილიასთან ხანგრძლივ მუსაიფში გაერთო და ფოსტის გასვლის დროს გადააცილა.

იმავე დილას სლოტერის სასტუმროში მაიორმა დობინმა მიიღო მეგობრის წერილი საუთემპტონიდან. ძვირფას დობს ევედრებოდა, მაპატიე, ისე რომ გავშმაგდი წინა დღეს უდროო დროს გამოღვიძებისათვისო (სასტიკად სტკიოდა თავი და, ის-ის იყო, ჩაასთლიმა) და სთხოვდა დობს, ჩემთვის და ჩემი მსახურებისთვის მყუდრო ოთახები დამიქირავე სლოტერისასაო. მგზავრობის განმავლობაში მაიორი აუცილებელი შეიქნა ჯოზისთვის. იგი შეეთვისა და

განუყრელად დაუკავშირდა მას. სხვა მგზავრები უკვე ლონდონს წავიდნენ. ახალგაზრდა რიკეტსი და პატარა ჩეფერზი იმავე დღეს გაემგზავრნენსაფოსტო ეტლით. რიკეტსი სულაც კოფოზე ჩამოჯდა და სადავეებიც ჩამოართვა ბოტლის. ექიმი თავის ოჯახში წავიდა პორტსის. ბრეგი ქალაქს გამოემგზავრა თავის კომპანიონებთან; ხოლო მისი პირველი თანაშემწე „რემჩანდერის“ გადმოტვირთვის საქმეში იყო გართული. ბატონი ჯოზი ძალიან ეულად გრძნობდა თავს საუთემპტონში და სასტუმროს პატრონიც კი დაიწვია ჭიქა ღვინოზე იმ დღეს, სწორედ იმ დროს, როცა მაიორი დობინი მამამიმს, სერ უილიამის, სუფრას მისჯდომოდა სა სადაც მისმა დაიკომ გამოიტეხია (რადგან მაიორის პირიდან არ შეიძლებოდა ტყული ამოსულიყო), რომ მას უკვე მოენახულებინა ქალბატონი ოსბორნი.

ჯოზმა ისე ლაზათიანად მოიკალათა სენტ-მარტინზ-ლეინზე, ისე გულარხეინად აბოლებდა იქ ყალიონს და როცა მოეპრიანებოდა, თავისდასასიამოვნოდ ისე დარდიმანდულად შეეძლო ჩაესეირნებინა თეატრისაკენ, რომ იქნებ სულაც სლოტერისას დარჩენილიყო. გვერდში რომ მისი მეგობარი მაიორი დობინი არ სდგომოდა. ამ ვაჟბატონმა მანამდე არ მოასვენა ბენგალელი, ვიდრე არ აღასრულებინე დაპირება, ემილიასა და მამაჩემს ოჯახურად დავაბინავებო. ჯოზი ადვილად დასაყოლიებელი ადამიანი გახლდათ ყველად ხელში, დობინი კი ფრიად ენერგიული ვინმე ბრძანდებოდა ყველა სხვის საქმეში, გარდა საკუთარისა. ამიტომ ეს მოქალაქე ძალიან ადვილად წამოეგო ჩვენი გულკეთილი დიპლომატის უანგარო ხრიკებზე და მზად იყო, რასაც მეგობარი საჭიროდ მიიჩნევდა, ეყიდა, დაექირავებინა ანდა გადაეყარა. ლოლ ჯევაბი, რომელსაც სენტ-მარტნზ-ლეინელი ბიჭბუჭები სასტიკად იგდებდნენ მასხარად, როცა იგი თავის შავტუხა სახეს გამოაჩენდა ქუჩაში, უკანვე გაგზავნეს კალკუტას ხომალდით „ლედი კიკლბერი“, რომელშიაც სერ უილიამ დობინსაც ედო წილი. გამგზავრებამდე კი მან ჯოზის ევროპელ მსახურს ასწავლა კარის, ფლავისა და ყოლიონის გამზადების ხელოვნება. ჯოზს უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა და დიდ საქმედაც მიაჩნდა იმ კოხტა კარეტის მშენებლობისათვის თვალყურის დევნება, რომელიც იმან და მაიორმა შეუკვეთეს იქვე ახლოს ლონგ-ეკრში. იქირავეს ერთი წყვილი ჩინებული ცხენებიც, რომლებითაც ჯოზი დიდრაჯულად დასეირნობდა

პარკში, ანდა თავის ინდოელ მეგობრებს ეწვეოდა ხოლმე. ამ სეირნობებში ემილიაც არა იშვიათად უმშვენებდა მხარს და მაშინ მაიორ დობინსაც შეამჩნევდა კაცი ეტლის უკანა სკამზე მჯდომარეს. სხვა დროს მმოხუცი სედლი და მისი და მისი ასული იყენებდნენმას და აგრეთვე მის კლეპიც. იგი ხშირად ახლდა თავის მეგობარს და დიდად ნასიამოვნები ბრძანდებოდა, სახელგანთქმულ ყვითელ შალმოსხმულს ამ ეტლში მჯდომარეს რომ მოჰკრავდა თვალს ექიმის კაბინეტში მყოფი ახალგაზრდა ვაჟბატონი, რომლის სახეც ჩვეულებრივ ყოველთვის მოჩანდა სარკმლის ფარდებს ზემოდან, როცა ეს ყმაწვილი ქალი ჩაივლიდა.

ბრომპტონში ჯოზის პირველად გამოჩენის შემდგომ მალევე ჭეშმარიტად მძიმე ამბავი დატრიალდა იმ სადა, პატარა სახლში, სადაც სედლის ოჯახმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი ათი წელი დაჰყო. ერთ დღეს ჯოზის კარეტა (დროებით დაქირავებული - ის დიდებული ეტლი კი არა, რომელიც შენდებოდა!) მოადგა სახლს და სამუდამოდ წააბრძანა მოხუცი სედლი და მისი ასული. დიასახლისისა და მისი ქალიშვილისაგან მაშინ დადენილი მწუხარების ცრემლები ამ მოთხრობის მანძილზე დაღვრილ სხვა ცრემლებზე ნაკლებ გულწრფელი არ იქნებოდა. ხანგრძლივი ნაცნობობისა და ახლობლობის განმავლობაში ემილიას ნათქვამი თუნდაც ერთი უკმეხი სიტყვაც არ მოაგონდებოდათ. მას სულ შაქარი ადნებოდა ენაზე და მუდამ მადლიერი, მუდამ სათნო, მუდამ თვინიერი იყო, მაშინაც კი, ოდეს ქალბატონი კლეპი ბობოქრობდა და დაჟინებით ითხოვდა ბინის ქირას. როცა გულკეთილი არსება სამუდამოდ მიდიოდა, რა მწარედ აყვედრიდა საკუთარ თავს დიასახლისი, უდიერ სიტყვას რატომ ვაკადრებდი ხოლმეო. მერე კიდევ როგორ ტიროდა, როცა ფანჯარაზე აკრავდა განცხადებას, რომელიც იუწყებოდა, ამდენ ხანს დაკავებული პატარა ოთახები რომკვლავ ქირავდებოდა! ასეთ მდგმურებს რომ ვეღარასოდეს ეღირსებოდნენ, სრულიად ცხადი იყო. ამ სამწუხარო წინასწარმეტყველების ჭეშმარიტება შემდგომმა ცხოვრებამ დაადასტურა და ადამიანთა მოდგმის დაკნინებაზე ქალბატონმა კლეპმა იმით იყარა გულის ბუხარი, რომ მისი locataires[219] სასტიკად იყვლიფებოდნენ მის ხელში, მათთვის ჩაიდნისა და ცხვრის ბეჭის მირთმევისათვის. უმეტესობა ილანძღებოდა და ბუზღუნებდა. ზოგნი არც იხდიდნენ და არც

ერთი დიდხანს არ ჩერდებოდა. დიასახლისს მართლაც მართებდა სინანული იმ ძველისძველი მეგობრებისათვის, რომელთაც მიატოვეს იგი.

რაც შეეხება მის მერის, იგი ისეთ ურვა-მწუხარებაში ჩავარდა ემილიას წასვლის გამო, რომ აღწერასაც ვერ ვბედავ. ბავშვობიდან მოყოლებული ყოველდღე მასთან იყო და ისე შეეთვისა და ისე გულმხურვალედ შეუყვარდა ეს სათნო, კეთილი მანდილოსანი, რომ, როცა დიდებული ოთხადგილიანი კარეტა მიადგათ ფუფუნებით გაწყობილ სასახლეში წასაყვანად, ქალიშვილს გული შეუღონდა მეგობრის მკლავებში და თვით ემილიაც ამ გულკეთილ გოგონაზე არა ნაკლებ აღელვებული გახლდათ. ემილიას შვილივით უყვარდა იგი. თერთმეტ წელიწადს ეს გოგონა მისი განუყრელი მეგობარი და ამხანაგი იყო. განშორება დიაღაც ემძიმებოდა. მაგრამ, რასაკვირველია, დათქვეს, რომ მერი ხშირად უნდა მოსულიყო სტუმრად და დარჩენილიყო კიდეც იმ დიდებულ ახალ სახლში, სადაც ქალბატონი ოსბორნი გადადიოდა და სადაც, მერი დარწმუნებული იყო, იგი ვერასოდეს ვერ იქნებოდა ისე ბედნიერი, როგორც მათ ღარიბულ ქოხში, როგორც მის კლეპი ეძახოდა ტავის სახლს საყვარელი რომანების ენით.

იმედი ვიქონიოთ, იგი ცდებოდა თავის განსჯაში. საბრალო ემის ძალიან ცოტა ბედნიერი დღე ჰქონდა გატარებული იმ ღატაკ ქოხში. სასტიკმა ბედისწერამ დასწიხლა იქ. რაც იქიდან წავიდა, აღარც ესიამოვნებოდა იმ სახლში სტუმრად მისვლა და არც დიასახლისის შეყრა, რომელიც, როცა ავ გუნებაზე იყო და ქირა გადახდილი არ ჰქონდათ, აწამებდა; ხოლო როცა კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, ტლანქი, შინაურული მოპყრობით აბეზრებდა თავს, რაიც არანაკლებ ამაზრზენად ეჩვენებოდა. არც მისი პირფერობა და ფარისევლური ქათინაურები ეამებოდა ახლა ემის, როცა თვითონ კვლავ წარმატების გზას დაადგა. ქალბატონი კლეპი აღტაცებული და ატაცებული იყო მთელი ახალი სახლით და ცათამდე აჰყავდა ქებით ავეჯის ყოველი ნაწილი ანდა მაშვენი საგანი. ხელით სინჯავდა ქალბატონი ოსვორნის კაბებს და ანგარიშჯბდა მათ ღირებულებას. იფიცავდა და საჯაროდ აცხადებდა: ასე საყვარელ, ტურფა ქალბატონზე ყველაფერი ალალიაო. მაგრამ ამჟამად ასე მოთითლიბაზე უხამს პირმოთნესა და თვალთმაქცში ემი ყოველთვის იმ სასტიკ მტარვალს ხედავდა, რომელიც ბევრჯერ

სავალალო ყოფაში აგდებდა; რომლისადმიც იძულებული იყო ხვეწნა-მუდარით მიემართა, როცა ბინის ქირის გადახდა უგვიანდებოდა; რომელიც ლანძღავდა და დაჰყვიროდა, თუ რაიმე ნუგბარ საჭმელს უყიდიდა იგი სნეულ დედას ან დაუძლურებულ მამას; რომელიც ხედავდა მას დამდაბლებულს და თვითონაც თქერავდა ძირს გართხმულს.

არავის აროდეს გაუგონია ეს მისი საწუხარი ჭირ-ვარამი, ბედმა წილად რომ არგუნა ჩვენს საბრალო პატარა დიაცს. იგი მამასაც უმალავდა, რომლის წინდაუხედაობაც შეიქნა მისი ბევრი უბედურების მიზეზე. ქალს უნდა აეტანა მისი უკუღმართი ნამოქმედარის გაკიცხვის მთელი სიმძიმე და მართლაც ისე უზომოდ სათნო და მოკრძალებული გახლდათ, რომ თითქოს ბუნებით სწორედ მსხვერპლად იყო გაჩენილი.

იმედი მაქვს, ბოროტ მოპყრობას ამიერიდან მაინც აღარასოდეს განიცდის ის და ვინაიდან, როგორც ამბობენ, ყოველი მწუხარება თავის ნუგეშსა ჰპოვებსო, მეც შემიძლია მოგახსენოთ, რომ მეგობრის წასვლის შემდგომ ისტერიკულ ყოფაში დარჩენილი საბრალო მერი ექიმის კაბინეტის თანამშრომელი ყმაწვილის სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ მოჰყვა და მისი მზრუნველობით მოკლე ხანში გამომჯობინდა კიდეც. ემიმ ბრომპტონიდან წასვლისას ბინის მთელი მოწყობილობა მერის უანდერძა - მხოლოდ თავისი სურათები (საწოლის თავზე დაკიდებული ორი სურათი) და ფორტეპიანო წაიღო, პატარა ფორტეპიანო, ახლა უკვე დანჯღრეული, საცოდავი და ჟღრიალა, მაგრამრომელსაც თავისი საკუთარი იდუმალი მიზეზების გამო ვერ ელეოდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, პირველად რომ უკრავდა მას - იგი მშობლებმა აჩუქეს. ის შემდეგში კიდევ მეორედ აჩუქეს, როგორც მკითხველიც გაიხსენებს, როცა მამამისის სახლი განადგურდა და ეს საკრავი გადარჩენილ იქნა ამ უბედურებაში.

მაიორი დობინი ჯოზის ახალი სახლის გამართვას ზედამხედველობდა. თავგამოდმებით ცდილობდა, ძალიან კოხტად, კეთილად და ფუფუნებით გაეწყო იგი და, როცა ბრომპტონიდან ზანდუკებით, კოლოფებით და ახასთანავე ძველი ფორტეპიანოთი დატვირთული ურემი მოადგა სახლს, ფრიად ეამა. ემილიას უნდოდა იგი თავის სასტუმროში დაედგა, კოხტა, პატარა ოთახში მეორე სართულზე, მამამისის

ოთახის გვერდით, სადაც ჩვეულებრივ მოხუციც იჯდა ხოლმე საღამოებით.

როდესაც მუშებმა გადმოიღეს ეს ძველი საკრავი და ემილიამ განკარგულება გასცა, იგი ზამოხსენებულ ოთახში მოეთავსებინათ, დობინს სულ ფრთები შეესხა.

- მეამა, რომ შეგინახავთ ეგ, - უთხრა ძალიან გულაჩუყებულმა. - მეგონა, არაფრად აგდებდით!

- მაგას ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უფრო ვაფასებ, - მიუგო ემილიამ.

- ნუთუ, ემილია? - შესძახა მაიორმა.

საქმე ის გახლავთ, რომ რაკი მისი ნაყიდი იყო, თუმცა არასოდეს არაფერი უთქვამს ამაზე, აროდეს ფიქრადაც არ მოსვლია, ემი სხვა ვინმეს მიიჩნევს მის მყიდველადო, და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ემილიამ იცოდა, ვინ გამოუგზავნა ეს საჩუქარი.

- ნუთუ, ემილია? - გაიმეორა მან და ის-ის იყო კითხვა, ყველაფრის მომცველი დიდი კითხვა, მოადგა კიდეც ბაგეზე, რომ ემიმ ჩამოართვა სიტყვა: - განა სხვანაირად შემიძლია? განა ეს ი მ ა ნ არ მისახსოვრა?

- ეგ კი არ ვიცოდი, - თქვა საწყალმა დობმა და ნირი წაუხდა.

ემის იმ დროს არაფერი შეუმჩნევია, არც ის ძალიან დაღვრემილი გამომეტყველება შეუნიშნავს, რომელიც მყის დაეტყო პატიოსანი დობინის სახეს, მაგრამშემდეგ კი გულისხმაში ჩავარდა ქალი. მაშინ ეცა ელდა და თან გამოუთქმელი ტკივილი და სირცხვილიც იგრძნო, რომ ეს ფორტეპიანო სწორედ უილიამის ნაჩუქარი უნდა ყოფილიყო და არა ჯორჯისა, როგორც აქამდე წარმოედგინა. ეს არ იყო ჯორჯის სახსოვარი - სატრფოსაგან შემორჩენილი ერთადერთი ნივთი, როგორც მას ეგონა; ნივთი, რომელსაც ყველაზე უფრო ელოლიავებოდა, მისი უძვირფასესი წმიდა ნეშტი და ჯილდო. ლას ელაპარაკებოდა ჯორჯის ამბავს, იმაზე უკრავდა ჯორჯის საყვარელ ჰანგებს. გრძელ საღამოებში საათობით უჯდა, რაც შეეძლო, არ იშურებდა თავისი სადა, უბრალო ხელოვნების ნიჭს, სევდიან მელოდიებს გამოაცემინებდა კლავიშებს და ზედ დაჯქვითინებდა სიჩუმეში. რაკი ჯორჯის სახსოვარი არ

გამოდგა, ახლა სულ დაკარგა ფასი მის თვალში. ამის მერე მოხუცმა სედლიმ რომ სთხოვა, დაუკარიო, ემიმ უთხრა: ძალიან მოშლილია, მეც თავი მტკივა და დაკვრაც არ შემიძლიაო.

მერე, ჩვეულებისამებრ, დატუქსა თავი განაწყენბისა დაუმადურობისათვის და გადაწყვიტა, პატიოსანი უილიამის წინაშე გამოესყიდა დანაშაული იმ აბუჩად აგდებისა და უყურადღებობისათვის, რომელიც მართალია, არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ რომელსაც გრძნობით კი გრძნობდა მისი ნაჩუქარი ფორტეპიანოსადმი. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ნასადილევს ჯოზს ფრიად არხეინად ჩაეძინა, ემილიამ ცოტა აკანკალებული ხმით მიმართა მაიორ დობინს: - მე მინდა ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე!

- რისთვის? - ჰკითხა მან.

- იმ... იმ პატარა ოთხკუთხა ფორტეპიანოსათვის. მე არ გადამიხდია მადლობა, როცა მაჩუქეთ დიდი, დიდი ხნის წინათ, სანამ გავთხოვდებოდი. მე მეგონა, სხვისი ნაჩუქარი იყო. გმადლობთ, უილიამ. - და ხელი გაუწოდა. მაგრამ საცოდავი პატარა დედაკაცის დაკოდილი გული სისხლისაგან იცვლებოდა, ხოლო რაც შეეხება თვალებს, რასაკვირველია, ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები.

მაგრამ უილიამს აღარ შეეძლო თავის შეკავება.

- ემილია, ემილია, - შესძახა მან, - ეგ მართლა მე გიყიდეთ. მაშინაც ისევე მიყვარდით, როგორც ახლა. უნდა გითხრათ ყველაფერი. მე მგონი, დანახვის იმ პირველი წუთიდანვე მიყვარხართ, როცა ჯორჯმა მომიყვანა თქვენს სახლში, რომ თავისი დანიშნული ემილია ეჩვენებინა ჩემთვის. მაშინ ჯერ კიდევ გოგონა იყავით - თეთრკაბიანი, დიდ კუკულებიანი. სიმღერით ჩამოცქრიალდით კიბეზე - გახსოვთ? და ჩვენ მაშინ ვოქსჰოლს წავედით. მას შემდეგ მთელი ქვეყნიერების ზურგზე მხოლოდ ერთადერთ ქალზე ვოცნებობდი და ეს ქალი თქვენა ხართ. მე მგონი, ამ ოც წელიწადში ერც ერთი დღის არც ერთ საათს არ გაუვლია ისე, რომ თქვენზე არ მეფიქრა. ამის სათქმელად მოვედი ინდოეთს გამგზავრების წინ, მაგრამთქვენ ჩემი არა გენაღვლებოდათ რა და მეც აღარა მქონდა სალაპარაკო გული. თქვენ სულაც არ გენაღლებოდათ, მე აქ დავრჩებოდი,

თუ გავემგზავრებოდი.

- მე დიდი უმადურობა გამოვიჩინე, - უთხრა ემილიამ.

- არა, მხოლოდ გულგრილი იყავით, - განაგრძო დობინმა სასოწარკვეთით. - მე ისეთი არაფერი მაბადია, რომ რომელიმე ქალს ჩემზე თვალი დარჩეს. ვიცი, ახლა რასაც გრძნობთ - გული გატკინათ იმ ფორტეპიანოს ამბავმა, ეგ რომ ჩემი ნაჩუქარი აღმოჩნდა და არა ჯორჯისა. დამავიწყდა, თორემ ამაზე როგორ დავძრავდი კრინტს. ბოდიში მე უნდა მოგიხადოთ, ერთი წამით ასეთი სულელი რომ გამოვდექი და ვიფიქრე, წლების მანძილზე გამოჩენილ ერთგულებასა და თავგანწირულებას შეიძლებოდა თქვენი გული მოებრუნებინა ჩემსკენ.

- ახლა თქვენ იჩენთ სისასტიკეს, - ცოტა გაცხარებით ჩამოართვა სიტყვა ემილიამ. - ჯორჯი ჩემი მეუღლეა აქაც და ზეცაშიაც. როგორ შემიძლია მის გარდა სხვა ვინმე მიყვარდეს? მე ახლაც ისევე ვარ მისი, როგორც მაშინ, პირველად რომ მიხილეთ, ძვირფასო უილიამ. სწორედ ის მიამბობდა, რა კეთილი და სულგრძელი იყავით თქვენ და ის ჩამაგონებდა, ძმასავით მყვარებოდით. განა მართლაც ყველაფერი არ იყავით ჩემთვის და ჩემი ბიჭისთვის, ჩვენო უძვირფასესო, უერთგულესო მეგობარო და მფარველო? ორიოდე თვით ადრე რომ ჩამოსულიყავით, იქნებ აგეშორებინათ კიდეც ჩემთვის ის... ის საზარელი განშორება. ოჰ, ამან კინაღამ ბოლო მომიღო, უილიამ. მაგრამ თქვენ არ გამოჩნდით, თუმცა ვნატრობდი და ღმერთს ვევედრებოდი თქვენს ჩამოსვლას და ისიც მომგლიჯეს გულიდან. განა კეთილშობილი ბავშვი არ არის, უილიამ? კვლავ იყავით მეგობარი მისი და ჩემიც... - აქ კი უღალატა ხმამ და სახე მის მხარზე დამალა.

მაიორმა შემოხვია ხელები, ბავშვივით აიტარა და შუბლზე აკოცა.

- მე არ შევიცვლები, ძვირფასო ემილია, - უთხრა მან. - სიყვარულის გარდა სხვას არას გთხოვთ. მე მგონი სხვანაირად არც შემიძლია. მხოლოდ ნება მომეცით თქვენს ახლოს ვიყო და ხშირად გხედავდეთ.

- ჰო, ხშირად, - კვერი დაუკრა ემილიამაც.

და ამრიგად უილიამი თავის ნებაზე იყო მიშვებული, გულგადალეკვით ეცქირა და ისე შესცქნაოდა ემილიას, როგორც

სკოლაში მოსდის ხოლმე საწყალ ბიჭუნას, რომელსაც ფული არ გააჩნია და ამაოდ ოხრავს მეღვეზელე დედაკაცის თაბახის შემყურე.

თავი LX - წარჩინებულ საზოგადოებაში დაბრუნება

ახლა კი ბედი გაუღიმებს ემილიას. მოხარული ვარ, იმ მდაბალ წრეს რომ ვაშორებთ, სადაც აქამდე იყო ძირს გართხმული და უფრო წარჩინებულ საზოგადოებაში შეგვყავს; არა ისე დიდებულსა და ნატიფ საზოგადოებაში, როგორშიაც ჩვენი სხვა მეგობარი მანდილოსანი, ქალბატონი ბეკი, ტრიალებდა, მაგრამ მაინც ისეთში, რომელსაც არა მცირედი პრეტენზია შეიძლება ჰქონოდეს კეთილშობილებასა და წარჩინებულობაზე. ჯოზს ინდოეთის მთელი სამივე ოლქიდან[220] მოეპოვებოდა მეგობრები და მისი ახალი სახლიც სწორედ იმ მდიდრულ, მყუდრო, ინგლისურ-ინდურ უბანში გახლდათ, რომლის ცენტრსაც მოირა-პლეისი[221] წარმოადგენს. მინტო-სკვერი, გრეიტ-კლაივ-სტრიტი, უორენ-სტრიტი, ჰესტინგზ-სტრიტი, ოქტერლონი-პლეისი, პლესისკვერი, ესეი-ტერასი (მარჯვე სახელწოდება „ბაღები“, ისე ადრე, როგორც ეს იყო 1827 წელს, ჯერ კიდევ არ დაერქმიათ გარედან შელესილი სახლებისათვის, რომელთაც წინა პირზე მოესფალტებული ტერასები მოეპოვებოდა) - ვინ არ იცის სამსახურიდან გადამდგარი ინდოელი არისტოკრატიის ეს დიდრაჯული საბინადროები და ეს უბანი, რომელსაც ბატონი უენჰემი, ერთი სიტყვით, შავ ჯურღმულს[222] უწოდებს? ჯოზის მდგომარეობა ისე დიდებული არ გახლდათ, რომ თვით მოირა-პლეისზე გაებედა დაბინავება, სადაც მხოლოდ ინდოეთის კომპანიის საბჭოს წევრები და ინდოეთის ფირმების მფლობელნი ცხოვრობდნენ (რომელნიც თავიანთი ცოლების სახელზე ასიოდე ათასი გირვანქა სტერლინგის გადარიცხვის შემდეგ კოტრდებიან, შედარებით გაღატაკებულნი სოფელ ადგილს გადაიხვეწებიან და მხოლოდ ოთხიოდე ათას წლიურ შემოსავალს სჯერდებიან). ამიტომ ჯოზმა ბატონი სკეიპის რწმუნებულებისაგან ჩინებული მეორე თუ მესამე ხარისხოვანი სახლი იქირავა და შეიძინა ხალიჩები, ძვირფასი სარკეები და საუცხოო,

შესანიშნავად გაწყობილი სედონზის ავეჯი. ბატონი სკეიპი ამას წინათ შევიდა ამხანაგად ფოგლის, ფეიკისა და კრეკსმენის დიდ კალკუტურ ფირმაში.საწყალმა იქ სამოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგი შეიტანა, ხანგრძლივი და პატიოსანი ცხოვრების მონაგარი, და ფეიკის ადგილი დაიჭირა, რომელიც მეფურ მამულში გადაბარგდა სასექსში (ფოგლები ადრევე იყვნენ გასულნი ფირმიდან და სერ ჰორეის ფოგლი ეს-ეს არის პერის ხარისხს მოიპოვებს, ვითარცა ბარონი ბანდანა) - ბატონი სკეიპი, როგორც მოგახსენეთ, შევიდა ორი წლის წინათ ფოგლისა და ფეიკის დიდ ფირმაში, რომელიც ერთ მილიონიანი ზარალით გაკოტრდა და ინდოეთის მეანაბრეთა ნახევარი გააღატაკა და დაღუპა.

სამოცდახუთი წლის ასაკში გაღარიბებული პატიოსანი, სასოწარკვეთილი სკეიპი კალკუტას გაემგზავრა ფირმის საქმეთა მოსაგვარებლად. უოლტერ სკეიპი გამოყვანილ იქნა იტონიდან და რომელიღაც სავაჭრო ფირმაში დააყენეს სამსახურში. ფლორენს სკეიპი დედიკოთურთ გაიძურწენ ბულონს და მათსას ამიერიდან ვეღარას შევიტყობთ. ჯოზი დაბინავდა ამ სახლში, შეისყიდა ხალიჩები და კარადები და აღტაცებით ათვალიერებდა თავის გარეგნობას სარკეებში, რომლებშიაც წინათ ძველ მობინადრე მანდილოსანთა კეთილი, ტურფა სახეები მოჩანდნენ. სკეპის მომმარაგებელმა ვაჭრებმა, ყველამ პატიოსნად გასტუმრებულებმა, თავიანთი სადარბაზო ბარათები მოართვეს და მოიწადინეს, ახალი ოჯახიც ასევე მოემარაგებინათ. თეთრჟილეტიანმა ვეება ვაჟკაცებმა, რომელნიც წვეულებებზე ემსახურებოდნენ სკეიპს, მემწვანილეებმა, შიკრიკებმა და მერძავეებმა, თავიანთი პირადი უნარის შესაბამისად, მისამართები დატოვეს და სახლთუხუცესის გულის მოგებას ცდილობდნენ. ბატონმა ჩამიმაც, ბუხრის მილების მწმენდელმა, რომელიც ამ სახლის ბინადარ უკანასკნელ სამ ოჯახს ემსახურებოდა, სცადა მოეთაფლა სახლთუხუცესი და მისი ხელქვეითი ბიჭი. ამ ბიჭს ევალებოდა, ღილებით შემკულ ქურთუქსა და ზოლჩაყოლებულ შარვალში გამოწყობილი, მცველად ხლებოდა ქალბატონ ემილიას, როდესაც იგი გარეთ ფეხის გადგმას მოინდომებდა.

სადად და ხელმომჭირნედ ცხოვრობდა ოჯახი. სახლთუხუცესი ჯოზის პირისფარეში გახლდათ და იმაზე მეტს არა სვამდა, რაც პატრა ოჯახის სახლთუხუცესს შეეფერებოდა, რომელმაც

იცოდა თავისი ბატონის ღვინის ყადრი. ამის მოახლე მიუჩინეს - სერ უილიამ დობინის ქალაქგარეთ მამულში აღზრდილი ჩინებული გოგონა, რომლის გულკეთილობამ და თავმდაბლობამაც განაიარაღა ქალბატონი ოსბორნი. ემილია თავდაპირველად დააფრთხო კიდეც საგანგებო ფარეშის ყოლის იდეამ,სულაც არა გაეგებოდა რა, როგორ უნდა გამოეყენებინა იგი და საერთოდ მსახურებს ყოველთვის უდიდესი მოწიწებითა და თავაზით ელაპარაკებოდა. მაგრამ ეს მოახლე ფრიად სასარგებლო გამოდგა ოჯახში - ძალიან მარჯვედ უვლიდა მოხუც ბატონ სედლის, რომელიც თითქმის არასოდეს სცილდებოდა თავის კუთხეს და არასოდეს არ იღებდა მონაწილეობას სახლში გამართულ რაიმე სამხიარულო გართობაში.

ბევრი სტუმარი ეწვია ქალბატონ ოსბორნს. ლედი დობინმა და მისმა ქალიშვილებმა გაიხარეს ემილიას ბედის სასიკეთოდ შეცვლით და მოინახულეს. რასელ-სკვერელი მის ოსბორნიც მობრძანდა თავისი დიდრაჯული კარტით, რომელსაც ლიდზის ოსბორნთა ღერბივით შემკული ალისფერი შალითა ჰქონდა გაკეთებული კოფოზე. ჯოზს ხმა დაუვარდა, უზომოდ მდიდარიაო. მოხუც ოსბორნს არ ენაღლებოდა, თუ ჯორჯი მის საკუთარ ქონებასთან ერთად ბიძის სიმდიდრესაც მიიღებდა სამკვიდროდ.

- დალახვროს ღმერთმა, ემაგ ჯეელისაგან კაცს გამოვიყვანთ, - იტყოდა იგი, - და სანამ მოვკდებოდე, პარლამენტშიაც ვიხილავ. შენ თუ გინდა, წადი და ნახე მაგისი დედა, მის ოსბორნ, მე კი თვალით არ გამეცდება!

და მის ოსბორნიც მოვიდა სტუმრად. ემის, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძლიან გაეხარა მისი ნახვა და ამნაირად ჯორჯისთან უფრო დაახლოება. ამ ყმაწვილსაც ნება დაერთო, წინანდელზე გაცილებით უფრო ხშირად მოენახულებინა მშობელი. იგი კვირაში ერთი-ორჯერ მაინც სადილობდა გილსპაი-სტრიტში და იქაც სწორედ ისე პარპაშობდა მოსამსახურეებსა და ნათესავებზე, როგორც რასელ-სკვერში.

ჯორჯი მაინც ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა მაიორ დობინს და უფრო მორიდებულად იქცეოდა ამ ჯენტლმენის წინაშე. იგი ჭკვიანი ყმაწვილი გახლდათ და მაიორის სუსხი ჰქონდა. ჯორჯი აღტაცებული იყო მეგობრის უბრალოებით, სისადავით, გულკეთილი, მშვიდი ხასიათით, მისი

მრავალფეროვანი ხოდნით, წყნარად რომ გადასცემდა მსმენელს; საერთოდ ჭეშმარიტებისა და სამართლისადმი მისი სიყვარულით. ცხოვრების სარბიელზე მას ჯერ კიდევ კიდევ არ შეხვედროდა ასეთი კაცი და ქვეშეცნობილად კი ყოველთვის მოსწონდა ნამდვილი ჯენტლმენი. გულით შეეთვისა თავის ნათლიას. მისთვის დიდი სიხარული იყო დობინთან ერთად ბაღებში სეირნობა; მისი ბაასის ყურის გდება. უილიამი უყვებოდა ჯორჯის მამამისის ამბავს, ინდოეთისა და ვატერლოოს ამბებს, ყველას და ყველაფრის ამბავს, გარდა პირადად მისი თავგადასავლისა. როცა ჯოჯრჯი ჩვეულებრივზე უფრო აიგდებდა თავს და გაიბღინძებოდა, მაიორი გაუქილიკებდა ხოლმე, რაც ქალბატონ ოსბორნს ძალიან მკაცრ სასჯელად ეჩვენებოდა. ერთხელ, თეატრში რომ წაიყვანა და ბავშმა იუკადრისა პარტერში ჯდომა, ეს მდაბიურიაო, მაიორმა ლოჟაში აიყვანა, იქ დასვა, თვითონ კი პარტერში ჩავიდა. მაგრამ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ მკლავში პატარა დარდიმანდის ნატიფი ტყავის თათმანიანი ხელის მოჭერა იგრძნო. ჯორჯი მიხვდა თავის სისულელეს და იკადრა მაღალი სფეროდან ძირს ჩამობრძანება. ალერსიანი, გულკეთილი ღიმილი გამოკრთა ჩვენი დობინის სახესა და თვალებში, პატარა მონანიე უძღებ შვილს რომ გადმოხედა. მას უყვარდა ბავშვი, უყვარდა ისე, როგორც ყველაფერი, რაც ემილიას ეკუთვნოდა. რა აღტაცებული იყო ემილია, როცა ჯორჯის კარგიბიჭობის ეს ამბავი შეიტყო! გაცილებით უფრო ალერსიანი თვალებით შეხედა დობინს, ვიდრე ოდესმე წინათ. დობინს ეჩვენა, ასე შემოხედვის შემდეგ ღაწვებიც კი შეუფაკლდაო.

ჯორჯის ენა არ იღლებოდა დედის წინაშე მაიორის ქებით.

- მე ეგ იმიტომ მიყვარს, დედიკო, რომ უამრავი რამეები იცის. მერე კიდევ არც არასოდეს ტრაბახობს ბებერი ვილივით და, ხომ იცი, არც ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ხმარობს. სკოლაში ბიჭები ვილს „კუდიგრძელიას“ ეძახიან. ეგ მე შევარქვი, ხომ ჩინებულია? დობი წყალივით კითხულობს ლათინურს, ფრანგულს, ყველაფერს და, ჩვენ რომ ერთად დავსეირნობთ, მიყვება ჩემი მამიკოს ამბებს, მაგრამ ერთხელაც არ ახსენებს თავის თავს. თუმცა გამიგონია, პოლკოვნიკი ბაკლერი ამბობდა პაპაჩემისას, ეგ ერთ-ერთი უმამაცესი ოფიცერი იყო მთელ არმიაშიო და ბევრჯერაც უსახელებია თავიო. პაპას ძალიან ეოცა და თქვა : „ ეგ ჯ ე ე ლ ი! ეგ, მეგონა, ბატსაც ვერ აუქშევს-მეთქი“. - მაგრამ მე ვიცი, აუქშევს კიდეც და მეტსაც იზამს, ხომ,

დედიკო?

ემის გაეცინა: იფიქრა, ალბათ ამდენს კი მაიორი მართლაც შესძლებსო.

თუ ჯორჯისა და მაიორს შორის გულწრფელი სიყვარული სუფევდა, უნდა ვაღიაროთ, ბიჭსა და ბიძამის ვერაფრად ეპიტნავებოდათ ერთმანეთი. ჯორჯიმ ისწავლა ლოყების გამობერვა, ჟილეტის ჯიბეებში ხელების ჩაწყობა და თქვა „ „უფალო შემიწყალე, რას ბრძანებთო“, სწორედ ჯოზის ისე ზედმიწევნით მიბაძვით, რომ შეუძლებელი იყო, სიცილისაგან თავი ვინმეს შეეკავებინა. ფარეშებიც კი იჭაჭებოდნენ სიხილით სადილობისას, როცა სუფრაზე როიმე აკლდა და იმ სახითა და აკვიატებული სიტყვებით მოითხოვდა ხოლმე მორთმევას. ხანდახან თვით დობინსაც წასკდებოდა სიცილი ბიჭის მაიმუნობაზე. თუ ჯორჯი ცხვირწინ დაურიდებლად არ გამოაჯავრებდა ბიძას, ეს მხოლოდ დობინის ტუქსვითა და ემილიას შეძრწუნებული ხვეწნა-მუდარით იყო, რომ პატარა ცუღლუტი თავს იკავებდა. ხოლო რაკი ღირსეული მოხელე ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ყმაწვილი მას ვირად თვლიდა და მასხრად იგდებდა, ბატონიშვილი ჯორჯის საზოგადოებაში მეტისმეტად ფრთხებოდა და, რასაკვირველია, ამიტომ ორჯერ უფრო მეტადაც იფუყებოდა და იბჭინძებოდა. როცა გაიგებდა, ახალგაზრდა ვაჟბატონი დედასთან სადილად მოსვლას აპირებს გილპაი-სტრიტშიო, ბატონ ჯოზს ჩვეულებრივ საქმე გამოუჩნდებოდა ხოლმე კლუბში. მაინცდამაინც არც არვინ იკლავდა თავს მისი არყოფნის გამო. ასეთ დღეებში ჩვეულებრივ ბატონ სედლისაც ჩამოიტყუებდნენ ზემოთა სართულის თავშესაფრიდან და პატარა შინაურული დროსტარება იმართებოდა, რომელშიაც საკმაოდ ხშირად მაიორი დობინიც მონაწილეობდა. იგი ami de la maison[223] გახლდათ.ის იყო მოხუცი სედლის მეგობარის, ემის მეგობარიც, ჯორჯის მეგობარიც, ჯოზის ვეზირი და მრჩეველიც.

- თითქმის ასევე შეიძლებოდა მადრასშიაც დარჩენილიყო, ჩვენ ისე იშვიათად ვხედავთ მაგას, - შენიშნა კიდეც მის ენ დობინმა კემბერუელში.

ეჰ, მის ენ, განა თავში არ მოგსვლიათ ფიქრად, მაიორს რომ თქვენზე არ სურდა დაქორწინება?

ჯოზეფ სედლი მაღალი გვარის შესაფერის ღირსეულ, უქმ

ცხოვრებას ეწეოდა. მისი უპირველესი მიზანი, რასაკვირველი, აღმოსავლური კლუბის წევრად გახდომა იყო, სააც დილას ატარებდა ხოლმე თანამოძმე ინდოელთ საზოგადოებაში,სადაც სადილობდა და საიდანაც სტუმრებს პატიჟობდა შინ.

ემილიას ეს ვაჟბატონები და მათი მეუღლეები უნდა მიეღო და გამასპინძლებოდა. ამათგან ჰქონდა გაგონილი, რამდენ ხანში მოხვდებოდა სმითი საბჭოში; რამდენი ასი ათასი რუპია ჩამოიტანა შიინ ჯოუნზმა; თომსონის ლონდონურმა ფირმამ როგორ თქვა უარი ბომბეის ფირმის - თომსონი, კიბორჯი და ამხანაგობის - ანგარიშების გასტუმრებაზე და როგორ ფიქრობდნენ, რომ კალკუტის ფირმაც ალბათ გაკოტრდებოდა; უარესი რომ არ ვთქვათ წინდაუხედავად მოიქცა ქალბატონი ბრაუნი (აჰმედნაგარის არარეგულარული რაზმის ოფიცრეი ბრაუნის ცოლი) ლეიბგავარდიელ ახალგაზრდა სუონკის მიმართ, საათობით რომ იჯდა მასთან ერთად გემბანზე და რომ დაიკარგნენ კეთილი იმედის კონხზე ცხენით გასეირნების დროს; როგორ წაასხა ქალბატონმა ჰარდიმინმა თავისი ცამეტი და, სოფლელი მღვდლის, ღირსი მამა ფელიქს რებიტსის ქალიშვილები, და თერთმეტი მათთგანი როგორ გაათხოვა, ისიც შვიდი - მაღალი თანამდებობის პირებზე; რა გაგულისებული იყო ჰორნი, მისი ცოლი რომ ევროპაში რჩებოდა და ტროტერი კი ამერაპურაში გადასახადთა ამკრეფად რომ დანიშნეს. ამნაირი და მსგავსი მუსაიფები იმართებოდა დიდრაჯულ სადილზე. ყველგან ერთი და იგივე სალაპარაკო ჰქონდათ, ერთი და იგივე ვერცხლის ჭურჭელი; ერთი და იგივე ცხვრის შუა წელი, მოხარშული ინდაურები და entrées. პოლიტიკაზე დესერტის შემდეგ საუბრობდნენ და თავიანთ ჯანმრთელობას უჩიოდნენ ანდა თავიანთ ბავშვებზე მუსაიფობდნენ.

Mutato nomine[224]- ყველგან სულ ერთი და იგივეა. განა ვექილების ცოლები საამართლო ოლქის საქმეებზე არ ლაპარაკობენ? განა მეომართა მეუღლეები პოლკის საქმეებზე არ ჭორაობენ? განა მღვდლების ცოლები საკვირაო სკოლებსა და იმაზე არ მსჯელობენ, თუ ვინ ვის მოვალეობას ასრულებს? განა ყველაზე უფრო მაღალი მდგომარეობის ბანოვნებიც არ მუსაიფობენ პირთა იმ მცირე წრეზე, რომელსაც თვითონ ეკუთვნიან? - და ვითომ ჩვენს ინდოელ მეგობრებსაც რატომ არ უნდა ჰქონოდათ თავიანთი სასაუბრო? - ოღონდ უნდა გამოვტყდე, უცხოსთვის, რომელსაც ხანდახან ბედი არგუნებს

იქ ჯდომას და ყურის გდებას, ვერაფერი საამო მოსასმენია.

ემიმ მალე გაიჩინა სტუმრების აღსანუსხავი წიგნაკიც და ბეჯითად დადიოდა ეტლით სტუმრად ლედი ბლადაიერთან (ბენგალის არმიაში ნამსახურ ამანოს ორდენის კავალერ გენერალ-მაიორ სერ როჯერ ბლადაიერის მეუღლესთან); ლედი ჰაფთან, ბომბეის არმიის ასეთივე თანამდებობის პირ სერ გ. ჰაფის ცოლთან; ქალბატონ პაისთან, დირექტორ პაისის მეუღლესთან და სხვ. დიდ ხანი არა გვჭირდება ახალ მდგომარეობასთან შეგუებისათვის. ეტლი ყოველ ცისმარე დღეს ჩამოდგებოდა გილსპაი-სტრიტში. ღილებიანი ბიჭი შეხტებოდა კოფოზე და მერე ჩამოხტებოდა ხოლმე ემილა და ჯოზის სადარბაზო ბარათების ჩამოსარიგებლად. დათქმულ საათებში ემი და ეტლი ჯოზს შეუვლიდნენ კლუბში და ჰაერზე გასასეირნებლად წაიყვანდნენ; ანდა ემილია ჩაისვამდა მოხუც სედლის და რიჯენტს-პარკის ირგლივ ატარებდა. მოახლე და ეტლი, სტუმრობათა წიგნი და ღილებიანი მხლებელი ბიჭი მალე ისევე ჩვეულებრივი რამ გახდა ემილიასთვის, როგორც ბრომპტონის ბეჩავი, მოსაბეზრებელი ერთფეროვნება. იგი მეორესაც ისევე შეეგუა, როგორც პირველს. ბედისწერას რომ მისთვის დიუფლობა ერგუნებინა, ალბათ ამ მოვალეობასაც ასევე აღასრულებდა. ჯოზის წრის მდედრთა შორის იგი აღიარებული იქნა საამო ახალგაზრდა ქალად - ამბობდნენ, ბევრი არა ყრია რა მაგაში, მაგრამ საამო ადამიანი კი არისო, და სხვა მისთანანი.

ვაჟკაცებს, ჩვეულებისამებრ, მოსწონდათ მისი წრფელი გულკეთილობა და სადა, ნატიფი ქცევა. თავაზიანი ახალგაზრდა ინდოელი დარდიმანდები, შვებულებით ჩამოსული სამშობლოში - ეს დიდებული დარდიმანდები, ძეწკვიანები და ულვაშებიანი, კისრისტეხით რომ დააქროლებდნენ კებებს, თეატრების სვეტნი რომ ბრძანდებოდნენ და უესტ-ენდის სასტუმროებში რომ ბინადრობდნენ - მაინც ეთაყვანებოდნენ ქალბატონ ოსბორნს, თავს უკრავდნენ მის ეტლს პარკში და დიდ პატივად მიაჩნდათ, თუ ნებას დართავდნენ დილის ვიზიტით მიბრძანებულიყვნენ მასთან. თვით ლეიბგვარდიელი სუონკი, ის საშიში ახალგაზრდა და მთელი ინდოეთის არმიის უპირველესი დარდიმანდი, ახლა შვებულებით ჩამობრძანებული, ერთ დღეს მაიორ დობინს ემილიასთან მარტოდმარტო მუსაიფში გართული დახვდა - დიდი

ენამოსწრებულობითა და ენამჭევრობით უყვებოდა ტახებზე შუბებით ნადირობის ამბებს. შემდგომში კი იგი ახსენებდა ხოლმე სამეფო ჯარის ვიღაც წყეულ ოფიცერს, რომელიც მუდამ ტრიალებდა იმ სახლში - აულაყუდა, ჩამომხმარ, უცნაურ, ხანშიშესულ ვინმეს, იმდენად უღიმღამოს, რომ პირდაპირ ლაპარაკის მადას პეწს უკარგავდა კაცს.

მაიორს რომ ცოტა უფრო მეტი პირადი პატივმოყვარეობა ჰქონოდა, იეჭვიანებდა ისეთ საშიშ ახალგაზრდა დარდიმანდზე, როგორც მომხიბლავი ბენგალელი კაპიტანი ბრძანდებოდა. მაგრამ დობინი ბუნებით იმდენად გულალალი და სულგრძელი იყო, რომ ემილიაზე ეჭვი როგორ შეეპარებოდა! უხაროდა კიდეც, ახალგაზრდობა რომ პატივსა სცემდა და სხვანი რომ ეთაყვანებოდნენ. მას ხომ თითქმის დაქალების დროიდანვე ჩაგრავდნენდა ვერ აფასებდნენ! გულზე ესალბუნებოდა, როცა ხედავდა, ალერსმა და ტკბილმა მოპყრობამ როგორ გამოამჟღავნა მისი კეთილი თვისებები და თვითონაც გამხნევდა და სულიერად მომაგრდა კეთილდღეობის წყალობით. ყველა, ვინც ემილიას აფასებდა, ქათინაურებით დააჯილლდოებდა მაიორის კეთილი განსჯის უნარს - ესე იგი, თუკი შეიძლება, კეთილი განსკის უნარი ექნეს ისეთ კაცს, რომელიც სიყვარულის ცდუნების გავლენის ქვეშ იმყოფება.

სამეფო კარს ჯოზის წარდგომის შემდგომ, რაიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩაიდინა, ვითარცა თავისი ხელმწიფის ერთგულმა ქვეშევრდომმა (წარდგენის წინ სრულ სადარბაზო საოსში გამოწყობილი ჯოზი თავის საჩვენებლად ჯერ კლუბში გამოცხადდა, სადაც ძალიან გაქუცულ ძველ მუნდირიანმა დობინმა შეუარა), იგი, წინათაც ყოველთვის მტკიცე, ერთგული ქვეშევრდომი და დიდი თაყვანისცემელი გეორგ IV-ისა, ახლა ისეთი თავგადაკაპნილი ტორი და სახელმწიფოს დედაბოძი შეიქმნქ, რომ ემილიას წარდგენაც მოინდომა სამეფოს კარის დარბაზობაზე. მან როგორღაც ჩააგონა და დაირწმუნა თავი, რომ იგი ჩაბმული იყო ქვეყნის კეთილდღეობის შენარჩუნების საქმეში და რომ ხელმწიფე მანამდე ვერ ეწეოდა ბედს, სანამ ჯოზ სედლი და მისი ოჯახი არ შემჭიდროვდებოდა მის ირგვლივ სენტ-ჯეიმზის სასახლეში.

ემის ეცინებოდა.

- საგვარეულო ბრილიანტები გავიკეთო, ჯოზ? - დაეკითხა იგი.

„ნეტავი ნებას მომცემდე ცოტაოდენი მაინც ვიყიდო და ნეტავი ვიცოდე, რომელი არ დაგშვენდებოდა!“ - გაიფიქრა გულში მაიორმა.

თავი LXI - რომელშიაც ორი ლამპარი ქრება

დადგა დღე, როცა ჯეროვანი განცხრომა, სიამენი და დიდრაჯული ლხინ-გართობანი, რომელთაც თავი მისცა ჯოზ სედლის ოჯახმა, შეწყდა ისეთი ამბის წყალობით, რაიც ბევრ სახლში დატრიალდება ხოლმე. თქვენი სახლის კიბეზე რომ აბრძანდებით სასტუმრო ოთახის სართულიდან საწოლი ოთახების სართულში[225], ერთ პატარა თაღს შენიშნავთ კედელში. იგი ერთსა და იმავე დროს შუქსაც ფენს მეორედან მესამე სართულში ამავალ კიბეს (სადაც ჩვეულებრივ ბავშვებისა და მსახურთა ოთახებია) და სხვა მიზნისათვის გამოსაყენებელიც გახლავთ, რაიც შეიძლება დაკრძალვის საქმეთა გამგებლის ხალხმა აგიხსნათ. ისინი აქ კუბოებს ასვენებენ ან მის ქვეშ ფრთხილად გაატარებენ ხოლმე, რათა უხეშად არ შეაშფოთონ შავ სახურავქვეშ მწოლარე გაცივებული გზამი.

მეორე სართულის ეს თაღი ლონდონურ სახლში ზევით და ქვევით გასცქერის კიბეებს და ბინადართა მთავარ ასასვლელ-ჩასასვლელზე მბრძანებლობს. ამ გზით ჩამორბის სისხამ დილით მზარეული, რათა სამზარეულოში ქვაბებისა და ტაფების ხეხვას შეუდგეს; ამგზით მიიძურწება ახალგაზრდა ბატონიშვილი, რომელსაც წაღები შემოსასვლელში დაუტოვებია და შინ ნამალავად შემოპარულა გარიჟრაჟზე, კლუბშიმხიარული ღამის გატარების შემდგომ; ამაზე ჩამოცქრიალებს ახალთახალი ბაფთების შრიალითა და კაბის ფრიალით ქალიშვილი, გაბრწყინებული და ტურფა, მზად მყოფი გამარჯვებისა და ლხინ-წვეულებისათვის; ანდა ბატონიშვილი ტომი მოცურავს, რომელიც მოაჯირს ამჯობინებს ძირს ჩამოსასვლელად და არ დაგიდევს საფრთხესა და კიბეს; ამ კიბეზე საფეხურ-საფეხურ ალერსიანად ჩამოჰყავს ქმრის მძლავრ ხელებს მოღიმარი დედა, უკანაც რომ დაქირავებული

მომვლელი ქალი მოსდევთ, იმ დღეს ექიმმა ბრძანა ახლა კი შეიძლება მომხიბლელი პაციენტის ძირს ჩაყვანაო; ამ კიბეზევე მიიძურწება მთქნარებით ჯონი, ხელთ მოშიშინე ქონის სანთელი უჭირავს - მან მზის ამოწვერამდე უნდა მოუყაროს თავი და გაწმინდოს ტალანებში ჩამორიგებული წაღები. ამ კიბით აჰყავ-ჩამოჰყავთ ბალღები და მოხუცები; სტუმრებს თავაზიანად მიუძღვებიან დარბაზისაკენ; მღვდელი მობრძანდება სანათლავად, ექიმი - ავადმყოფის გასასინჯად, ხოლო დაკრძალვის საქმეთა გამგებლის კაცები ზემო სართულისაკენმიემართებიან. რა სამახსოვრო და ნიშანდობრივი რამ არის სიცოცხლის, სიკვდილსა და ამაოებისა ეგ თაღი და კიბე, თუ მოინებებთ განსჯას და, დაბრძანდებით რა ბაქანზე, ზემოთ და ქვემოთ ახედ-ჩახედავთ ხსენებულ კიბეს! ამავე გზით გვეახლება უკანასკნელად ექიმი, ჩემო მეგობარო ტაკიმასხრობის საქმეში. მომვლელი ქალი გადასწევს ფარდებს და შემოგხედავთ, მაგრამ თქვენ ვეღარას იგრძნობთ. მერე ცოტაზე გამოაღებს ფანჯრებს და სუფთა ჰაერს შემოუშვებს. შემდეგ სახლის ფასადის ფანჯრებზე ჩამოუშვებენ ფარდებს და უკანა ოთახებში გადაბარგდებიან საცხოვრებლად; მერე ვექილისა და სხვა შავოსანი კაცების მოსაყვანად აფენენ მსახურს და სხვ. მაშინ თქვენი და ჩემი კომედიაც უკვე დასრულდება და წაგიყვანენ ოჰ, რა შორს - დაფ-ნაღარისა, ღრიანცელისა და მანჭვა-გრეხისაგან. თუ კეთილშობილთაგანი ვართ, ჩვენს ყოფილ საცხოვრებელ ბინაზე სამგლოვიარო ღერბს გამოჰკიდებენ, მოოქროვილი ქერუბიმითა და დევიზით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არსებობს „მშვიდობა ცათა შინა“. თქვენი ვაჟიშვილი ახლებურად გადააკეთებს და მოქწყობს სახლს, ანდა იქნებ გააქირავოს კიდეც და უფრო თანამედროვე უბანში გადაბრძანდეს; თქვენი სახელი კი თქვენი კლუბის „განსვენებულ წევრთა“ სიაში მოხვდება მომავალ წელს. რა გულმდუღარედაც არ უნდა დაგიტირონ, თქვენი ქვრივი მაინც მოინებებს სამგლოვიარო სამოსის ნატიფად შეკერვას; მზარეული ვინმეს გამოგზავნის ან თვითონვე ამოვა საკითხავად, რა სადილი მოგართვათო; ცოცხლად დარჩენილნი მალე შეეგუებიან ბუხრის თავზე ჩამოკიდებული თქვენი სურათის ცქერას და მალეც ჩამოაბრძანებენ საპატიო ადგილიდან, რათა უკვე თქვენი გახელმწიფებული ვაჟიშვილის პორტრეტის დაუთმოს ადგილი.

ყველაზე უფრო ნაზად და გულმხურვალედ რომელ მიცვალებულს დაიტირებენ? მე მგონი, რომელთაც ყველაზე ნაკლებად უყვარდათ ცოცხლად დარჩენილნი. ბავშვის სიკვდილი ისეთ ღრმა მწუხარებას და თავშეუკავებელ ცრემლთა ღვრას იწვევს, რასაც, ჩემო ძმაო მკითხველო, შენი გარდაცვალება, არამც და არამც არ გამოიწვევს არასოდეს. სიკვდილი ჩვილისა, რომელიც ძლივს გცნობდა და რომელსაც ერთ კვირას რომ არ ენახე, სრულიად გადაავიწყდებოდი, გაცილებით უფრო მძიმედ მოგხვდება გულში, ვიდრე უახლოესი მეგობრის ანდა პირმშო ვაჟიშვილის დაკარგვა - საკუთარი შვილების პატრონ შენსავით დასრულებული ვაჟკაცისა. ჩვენ შეიძლება უკმეხნი და მკაცრნი ვიყოთ იუდასა და სიმეონის მიმართ, მაგრამ მთელი ჩვენი სიყვარული და სიბრალული კი იმ ნაბოლარა ბენიამინს[226] დავაფრქვიოთ თავს. დათუ მოხუცი ბრძანდებით, როგორც შეიძლება იყოთ ან იქნებით კიდეც რომელიმე მკითხველთაგანი - მოხუცი და მდიდარი ანდა მოხუცი და ღატაკი - ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაიფიქროთ: „ჩემს ირგვლივ მყოფნი ყველანი ძალიან კარგები არიან, მაგრამ ძალიანაც არ გაიცხელებენ თავს, მე რომ მოვკდები. ძალიან მდიდარი ვარ და ჩემს მემკვიდრეობას ელიან - ანდა ძალიან ღატაკი ვარ და მობეზრდათ ჩემი შენახვაო“.

ქალბატონ სედლის გლოვის ხანა ის იყო მიიწურა და ჯოზმა ძლივს იშოვა დრო, გაეძრო შავი სამოსი და თავის საყვარელ ბრწყინვალე ჟილეტებში გამოპრანჭულიყო, რომ ბატონი სედლის შინაურთათვის სრულიად ცხადი შეიქნა, დღე-დღეზე სხვა სამძიმო ამბავიც იყო მოსალოდნელი და რომ ბერიკაცი იმ წყვდიადში მოცულ ქვეყანაში ეპირებოდა ცოლის საძებრად გამგზავრებას, საითკენაც მეუღლე ადრევე წაუძღვა.

- მამაცემის ჯანმრთელობის მდგომარეობა მიშლის ხელს, ჩემი დიდი წვეულებანი გავმართო ამ სეზონში - საზეიმო კილოთი ბრძანებდა ჯოზ სედლი კლუბში, - მაგრამ თუ ასე, შვიდის ნახევრისათვის შემოივლით წყნარად ჩემთან, ჩატნი, ჩემო ძმაო, და შინაურულ სადილზე დამეწვევით ერთ-ორ ძველ მეგობართან ერთად, ყოველთვის მოხარული ვიქნები თქვენს ნახვას!

ასე რომ, ჯოზი და მისი ნაცნობ-მეგობრები თავისთვის ჩუმად სადილობდნენ და შეექცეოდნენ კლარეტს, ამასობაში კი ზემო

სართულში ბერიკაცის სიცოცხლის საათში სილა ის-ის იყო ჩამოთავებას აპირებდა. ხავერდის ფაჩუჩებიან სახლთუხუცესს შემოჰქონდა მათთვის ღვინო; ნასადილევს კი რობეტს მიუსხდებოდნენ ხოლმე, რომელშიაც ხანდახან მაიორი დობინიც იღებდა მონაწილეობას. იშვიათად ქალბატონი ოსბორნიც გამოჩნდებოდა ქვედა სართულში, როცა ავადმყოფი საღამოს ცოტა მოისვენებდა და ის მსუბუქი, შფოთიანი თვლემა დასძლეცდა, რომელიც მოხუცებულის სასთუმალს სჩვევია.

ბერიკაცი ავადმყოფობის დროს ძალიან ებღაუჭებოდა ქალიშვილს. წვენსა და წამალს მის გარდა თითქმის არავის ხელიდან არ სვამდა. მისი მოვლა-პატრონობა შეადგენდა ემილიას ცხოვრების ლამის ერთადერთ საქმეს. საწოლი მამის ოთახის კართან დაიდგა და ჭირვეული ავადმყოფის ლოგინიდან ოდნავი ფაჩუნის ანდა ხმაურის გაგონებაზე მყის მიაშურებდა. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, მოხუცი ხანდახან საათობით იწვა თვალგახელილი ჩუმად და გაუნძრევლად, რათა თავისი სათნო, ფხიზელი მომვლელი არ გაეღვიძებინა.

ქალიშვილი ეგებ უფრო მეტედაც უყვარდა, ვიდრე ოდესმე, თვით ბალღობის დროიდან მოყოლებული. წრფელი გულის ქალის სიკეთე ნაზ მოვლასა და შვილის მოვალეობის დიდი სათნოებით აღსრულებაში გამოვლინდა განსაკუთრებით. „მზის სხივივით წყნარად მოძრაობს ოთახშიო“, - ფიქრობდა ბატონი დობინი, როცა უყურებდა მამის ოთახში შემავალ-გამომავალ ემის, უხმოდ, შნოიანად მოარულს; ალერსიანი, ხალისიანი ღიმილით რომ ჰქონდა გაშუქებული სახე. ქალები რომ თავს დასტრიალებენ თავიანთ შვილებს ანდა ავადმყოფის ოთახში დაფუსფუსებენ, ვის არ შეუმჩნევია მათ სახეებზე სიყვარულისა და სიბრალულის ის ტკბილი ანგელოზური სხივები?

მათ შორის არსებული რამდენიმე წლის ფარული შუღლი ასე მოისპო და სრულიად უსიტყვო შერიგებით დამთავრდა. ამ უკანასკნელ საათებში, ქალიშვილის სიყვარულითა და გულწრფელობით მომბალმა მოხუცმა დაივიწყა მთელი თავისი წყენა მის მიმართ და მისი ცოდვანი, რომელთა შესახებ ის და მისი მეუღლე მრავალ გრძელ ღამეს მსჯელობდნენ - ყველაფერი როგორ შესწირა ემიმ ბავშვს; რა უყურადღებოდ ჰყავდა დაყრილი მოხუცებული, გაუბედურებული მშობლები

და მხოლოდ თავის შვილზე რომ ფიქრობდა; რა უთავბოლოდ, სულელურად და პირდაპირ მკრეხელურადაც კი განიცდიდა, როცა მას ჯორჯი მოაშორეს. მოხუცმა სედლიმ უკანასკნელი ანგარიშების გასწორების ჟამს დაივიწყა ის ბრალდებანი და თავისი მოუზღო სათნო, უდრტვინველ, პატარა წამებულს. ერთ ღამეს, როცა ემი ფეხაკრეებით შეიპარა მის ოთახში, იგი მღვიძარი დახვდა და მისავათებულმა მოხუცმა აღსარება გაანდო: - ოჰ, ემი, სულ იმას ვფიქრობდი, რა ძალიან ავად და უსამართლოდ გექცეოდით შენ, - უთხრა მან და ცივი, სუსტი ხელი გამოუწოდა.

ემიმ მუხლი მოიყარა, ლოცვას შეუდგა მის სასთუმალთან და თვით მოხუციც, რომელსაც კვლავ ხელში ეჭირა მისი ხელი, ასევე ევედრებოდა ღმერთს. როცა ჩვენი რგი დადგება, მეგობარო, ნეტავი ჩვენც ასეთი ამხანაგი გვეყოლოს უკანასკნელი ლოცვის ჟამს!

მღვიძარი რომ იწვა, ალბათ მთელმა ცხოვრებამ გაუარა თვალწინ - მისმა ადრინდელმა იმედიანმა ბრძოლამ, ვაჟკაცურმა გამარჯვებამ და წარმატებამ, მარცხმა ხანშესულობის ჟამს და ახლანდელმა უმწე მდგომარეობამ. შურისძიების ილაჯი აღარა ჰქონდა ბედისწერაზე, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა იგი. აღარც სახელი და ფული ებადა სამკვიდროდ დასატოვებლად - ფუჭად გაფლანგული, მარცხიანი, იმედგაცრუებული სიცოცხლე და აი, აღსასრულიც! ნეტავი რომელია, ძმაო მკითხველო, უკეთესი ხვედრი: მდიდარი და სახელოვანი, თუ ღარიბი და იმედგაცრუებული სიკვდილი? გქონდეს და იძულებული გახდე დათმო, დასთმო, თუ ითამაშო, წააგო ხელი და ისე გადაიკარგო ამ წუთისოფლიდან? უცნაური გრძნობა უნდა იყოს, როცა ჩვენი აღსასრულის დღე დადგება და ვიტყვით: „ხვალ წარმატება და მარცხი აღარაფრის მაქნისი იქნება - მზე ამოვა, მთელი კაცობრიობა ჩვეულებისამებრ თავის საქმეს ანდაგასართობს მიაშურებს, მე კი ამ დავიდარაბიდან შორს ვიქნები“.

ჰოდა, გათენდა ისეთი დილა და მზეც ამოვიდა, როცა მთელი ქვეყნიერება ფეხზე დადგა და ყველა თავის მრავალფეროვან საქმიანობასა და გართობას შეუდგა, გარდა მოხუცი ჯონ სედლისა, რომელსაც უკვე აღარ შეეძლო ბედისწერასთან ჭიდილი, იმედის ქონა ანდა გეგმების დაწყობა, არამედ უნდა გადაბარებულიყო წყნარ, მივარდნილ სამყოფელში თავისი

მოხუცი მეუღლის გვერდით ბრომპტონის სასაფლაოზე.

მისი ნეშტი სამარემდე მაიორმა დობინმა, ჯოზმა და ჯორჯიმ მიაცილეს შავქსოვილგადაკრული ეტლით. ჯოზი რიჩმონდის „ვარსკვლავი და ლეკვერთხის“ სასტუმროდან ჩამოვიდა საგანგებოდ, სადაც სამწუხარო გარემოების შემდგომ იყო გადახვეწილი. მას არ ნებავდა შინ დარჩენილიყო ...თან ერთად, როგორც მოგეხსენებათ, ასეთ ვეთარებაში. მაგრამ ემი კი დარჩა და ჩვეულებისამებრ კიდეც შეასრულა თავისი მოვალეობა. ემის განსაკუთრებით მძიმედ არ დატყდომია თავს ეს უბედურება - იგი მას დინჯი სერიოზულობით უფრო შეხვდა, ვიდრე მწუხარებით. ემილია ღმერთს ევედრებოდა, ნეტავი მეც ასევე მშვიდსა და უტკივარ აღსასრულს მომივლენდეო, და ნდობითა და სასოებით იხსენებდა ავადმყოფობის დროს მამისაგან გაგონილ სიტყვებს, რომელნიც მის რწმენას, ბედისადმი მორჩილებასა და მყოფადის იმედს მოწმობდნენ.

დიახ, ბოლოს და ბოლოს, მე მგონი, იმ ორიდან სწორედ ეს უნდა იყოს უკეთესი აღსასრული! ვთქვათ განსაკუთრებით მდიდარი და შეძლებული ხარ და აღსასრულის დღეს იტყვი: „მე ძალიანმდიდარი ვარ, სახელიც საკმაოდა მაქვს განთქმული. მთელი ჩემი სიცოცხლე საუკეთესო საზოგადოებაში გავატარე და, მადლი უფალს, ფრიად პატივცემული ოჯახიდანაც გახლავარ. ჩემს მეფესა და სამშობლოს პატიოსნად ვემსახურე. მრავალი წელი დავყავი პარლამენტში, სადაც, შემიძლია ვთქვა, ჩემს სიტყვებს ყურს უგდებდნენ და ჩინებულადაც იღებდნენ. ერთი შილინგიც არავისი მმართებს; პირიქით, ჩემ ძველ სკოლის ამხანაგს ჯეკ ლაზარუსს ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი ვასესხე და ჩემი ანდერძის აღმასრულებელნი არც თუ შეავიწროვებენ მაგისთვის. ჩემს ქალიშვილებს თითოს ათ-ათი ათას გირვანქას ვუტოვებდა ეს ძალიან კარგი მზითვებიც გახლავთ გოგოებისათვის. ჩემი ვერცხლის ჭურჭელი და ავეჯი, ჩემი სახლი ბეიკერ-სტრიტში ჩინებული საქვრივო ქონებითურთ ჩემს ქვრივს დავუმკვიდრე მთელ სიცოცხლეში სარგებლობისათვის; ხოლო ჩემი მამულები, ფასიანი ქაღალდები და რჩეული ღვინოების მარანი ბეიკერ-სტრიტში ჩემს ვაჟიშვილს ვარგუნე. წლიურად ოც გირვანქას ჩემს მხლებელ ფარეშს ვუტოვებ. ჰოდა, ჩემი გარდაცვალების შემდეგ აბა თუ ვინმე რამე ხინჯს მიპოვის!“ ანდა, ვთქვათ, პირიქით - შენი გედის სიმღერა სრულიად სხვანაირ ჰანგზეა აქყობილი და ამბობ: „ მე ერთი საწყალი, ბედგამწარებული,

იმედგაცრუებული ბეხრეკი ვარ და სულ უკუღმა დამიტრიალდა ბედი. არც ნოჭი მომეპოვებოდა, არც კარგი შეძლება და, უნდა ვაღიარო, უამრავი შეცდომა და მარცხიც მომსვლია. უნდა გამოვტყდე, ბევრჯერ მიღალატია ჩემი მოვალეობისათვის. ვალს ვერ ვისტუმრებ. სასიკვდილო სარეცელზე სრულიად უმწეო და უილაჯო ვწევარ. ვეველრები ცოდვების მოტევებას და სინანულით აღვსილი მჭმუნვარე გულით ვემხობი მოწყალე, ლმობიერი ღმერთის ფერხთა წინაშე!“

ამ ორიდან, თქვენის აზრით, რომელი უფრო გამოდგება თქვენს საკუთარ სამგლოვიარო სიტყვად? მოხუცმა სედლიმ მეორე წარმოთქვა და, თავის ქალიშვილს ხელს ჩაჭიდებული, ასე მშვიდად და მორჩილად განეშორა ამ წუთისოფლის ამაოებასა და უსიმოვნო დავიდარაბას.

- ხომ ხედავ, - ეუბნებოდა მოხუცი ოსბორნი ჯორჯის, - რას ნიშნავს ღირსეულობა, გულმოდგინება, წინდახედული გარიგებანი და სხვა მისთანანი! შემომხედე მე და ნახე ჩემი ბანკის ანგარიში და შეხედე საწყალ პაპაშენს სედლის და მის ჩაფლავებას. და მერე ის ხომ ჩემზე უფრო მდიდარი კაცი იყო ამოციოდე წლის წინათ - უფრო მდიდარი, უნდა გითხრა, მთელი ათი ათასი გირვანქა სტერლინგით!

ამ ადამიანებისა და ბატონი კლეპის ოჯახის გარდა, რომელიც სამძიმრის სათქმელად მოვიდა ბრომპტონიდან, ქვეყნიერების ზურგზე არც ერთ სულიერს არად ჩაუგდია მოხუცი სედლის გარდაცვალება და საერთოდ არც გახსენებია ამნაირი პიროვნების არსებოდა.

როცა მოხუცმა ოსბორნმა პირველად მოჰკრა ყური თავისი მეგობარი პოლკოვნიკი ბაკლერის ნათქვამს (როგორც პატარა ჯორჯიმ უკვე გადმოგვცა), რა გამოჩენილი ოფიცერი იყო მაიორი დობინი, დიდი ზიზღნარევი უნდობლობა გამოამჟღავნა ამ მტკიცებისადმი და ფრად გაიკვირვა, ეგებ ვინმეს ან რა ჭკუა მოეთხოვება, ან რა სახელიო. მაგრამ მაიორის ქება თავისი საზოგადოების სხვა წევრთაგანაც გაიგო. სერ უილიამ დობინი დიდად აფასებდა თავის ვაჟიშვილს და ყვებოდა მაიორის განსწავლულობის, ვაჟკაცობისა და სახელოვნობის დამასურათებელ ბევრ ამბავს. ბოლოს მისი სახელი წარჩინებულთა ერთი-ორი დიდებული წვეულების მონაწილეთა სიაშიც მოხვდა და ამ გარემოებამ სასწაულებრივი

გავლენა მოახდინა რასელ-სკვერელ მოხუც არისტოკრატზე.

,აიორის, ვითარცა ჯორჯის მეურვის, მდგომარეობამ, რაკი ბიჭი პაპას გადაეცა, აუცილებელი გახადა ორ დარბაისელს შორის რამდენჯერმე შეხვედრა. სწორედ ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მოხუცი ოსბორნი, გამჭრიახი საქმის კაცი, სამეურვო ბავშვისა და დედამისის მაიორისეული ანგარიშების ქექვაში ისეთ რამეს წააწყდა, რამაც ძალიან შეაცბუნა, ამასთანავე გული ატკინა და თანაც ასიამოვნა - უილიამ დობინს თავისი საკუთარი ჯიბიდან დაედო იმ თანხის ნაწილი, რომლითაც თავს ირჩენდნენ საბრალო ქვრივი და მისი შვილი.

როცა ბერიკაცი დობინს ჩააცივდა, მაიორი, რომელსაც არ შეეძლო ტყუილის თქმა, გაწითლდა და დიდის ბორძიკით, როგორც იქნა, აღიარა სიმართლე.

- ჯორჯის ქორწინება, - თქვა მან (ამის ხსენებაზე მისი თანამოსაუბრე მოიღუშა), უფრო ჩემი ნახელავი იყო. ვიფიქრე, ჩემმა განსვენებულმა მეგობარმა ისე შორს შეტოპა, რომ დანიშნულზე ხელის აღება იმასაც სახელს გაუტეხდა და ქალბატონ ოსბორნსაც ბოლოს მოუღებდა. ხოლო როცა ქალი სრულიად უსახსროდ დარჩა, როგორ არ უნდა დავხმარებოდი, რაც კი შემეძლო, იმდენით მაინც!

- მაიორო დობინ, - მიუგო ბატონმა ოსბორნმა, თან დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში და თვითონაც ძალიან გაწითლდა, - თქვენ მე დიდი შეურაცხყოფა მომაყენეთ, მაგრამნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ თქვენ დიდად პატიოსანი ყმაწვილი ყოფილხართ. აი, ჩემი ხელი, ბატონო, - თავში აზრად არ მომსვლია, რომ ჩემი სისხლი და ხორცი თქვენს ხარჯზე ცხოვრობდა.

და ერთმანეთს ჩამოართვეს ხელი, ოღონდ მაიორი ძალიან დაბნეულად გრძნობდა თავს, ასე რომ გამოაშკარავდა მისი მზაკვრული ქველმოქმედება.

დობინმა სცადა გული მოელბო ბერიკაცისათვის და განსვენებული ვაჟიშვილის ხსოვნასთან მაინც შეერიგებინა.

-ის ისეთი კარგი ყმაწვილი იყო, რომ ყველას გვიყვარდა და თავს არ დავზოგავდით მისთვის, - თქვა უილიამმა.- მე,მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს, უზომოდ მესიამოვნებოდა, მას გამორჩევით რომ ვუყვარდი და იმასთან ამხანაგობა უფრო

მეზალისებოდა, ვიდრე თვით მთავარსარდალთან. გაბედულებით, ვაჟკაცობით და ყოველი მხედრული თვისებით შემკული სხვა მისი ბადალი არ მეგულებოდა. - და დობინმა, რაც იცოდა, უამბო მოხუც მამას შვილის სამამაცო და სავაჟკაცო საქმენი. - მერე პატარა ჯორჯი როგორა ჰგავს მამას! - დასძინა მან ბოლოს.

- ისე პირწავარდნილი მამაა, ხანდახან ცახცახი ამიტანს ხოლმე, - კვერი დაუკრა პაპამ.

ერთ-ორ საღამოს მაიორი სადილად ეწვია ბატონოსბორნს (ეს ამბავი სწორედ ბატონი სედლის ავადმყოფობის ჟამს მოხდა) და ნასადილევს, საღამოს რომ ერთად ისხდნენ, სულ განსვენებულ გმირზე ლაპარაკობდნენ. მამა ჩვეულებისამებრ ტრაბახობდა შვილის თაობაზე, ადიდებდა თავის თავს ვაჟიშვილის სიმარჯვისა და მამაცობის აღნუსხვაში, მაგრამ ხასიათზე მაინც დაეტყო ცოტა მოლბობა და ახლა უფრო ლმობიერად განწყობილი ჩანდა საწყალი ბიჭის მიმართ. ამიტომ გულკეთილი მაიორის სათნო გულს ესალბუნებოდა მშვიდობისა და კეთილგანწყობილების აღდგენის ეს წინასწარი ნიშნები. მეორე საღამოს მოხუცმა ოსბორნმა დობინს უკვე უილიამი დაუძახა, სწორედ როგორც ძველად იცოდა ხოლმე, როცა დობინი და ჯორჯი პატარა ბიჭები იყვნენ, და პატიოსან ვაჟკაცს გულში მოხვდა შერიგების ეს ნიშანი.

მეორე დღეს საუზმეზე, როცა მის ოსბორნმა თავისი ასაკისა და ბუნებისათვის დამახასიათებელი უკმეხობით გაბედა, აბუჩად აეგდო და გაეკენწლა მაიორის გარეგნობა და ყოფაქცევა, ოჯახის უფროსმა სიტყვა გააწყვეტინა: - შენ თვითონ დიდი სიხარულითაც იგდებდი მაგას ხელში, მის ოსბორნ, მაგრამეგ ყურძენი მკვახე გახლავს შენთვის! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! მაიორი უილიამი ჩინებული ჯელია!

- ოღონდაც რომ ჩინებულია, პაპა! - კვერი დაუკრა ჯორჯიმ. თან მიეახლა მოხუც ვაჟბატონს, ხელი მოჰკიდა ვეება ჭაღარა ქილვაშებში, გულკეთილად შესცინა პირში და აკოცა. საღამოს კი მთელი ეს ამბავი დედიკოს ჩაუკენჭა, რომელიც აგრეთვე სრულიად დაეთანხმა ბავშვს.

- მართლაც რომ აგრეა, - თქვა მან, - შენი ძვირფასი მამიკოც სულ მაგას ამბობდა. მაიორი დობინი ერთ-ერთი ყველაზე უკეთესთაგანია და უპატიოსნესი ადამიანია.

ამ მუსაიფის შემდეგ მალევე შემთხვევით დობინმაც შემოიარა, რაზედაც ემილიას ცოტა შეუფაკლდა კიდეც სახე, ხოლო პატარა ონავარმა კიდევ უფრო განადიდა ეს დაბნეულობა, როცა დობინს ამბის დანარჩენი ნაწილიც მოუთხრო.

- იცით, დობ, - მიმართა ბიჭუნამ, - ერთ საუცხოო ტურფა ქალიშვილს უნდა თქვენი შერთვა! უამრავი ფული უჩხრიალებს, თავზე სხვისი თმები აქვს დამატებული და დილიდან საღამომდე სულ მსახურებს ტუქსავს.

- ეგ ვინ უნდა იყოს?

- მამიდაჩემია, - უთხრა ჯორჯიმ. - პაპა ასე ამბობდა დაიცით, დობ, რა დიდებული იქნება, ჩემი ბიძა რომ გახდეთ!

ამ დროს მეორე ოთახიდან მოხუცი სედლის აკანკალებული ხმა მაისმა - ემილიას ეძახოდა და სიცილიც შეწყდა.

მოხუც ოსბორნს რომ გუნება-გაბწყობილება ეცვლებოდა, სრულიად აშკარა იყო. იგი ხანდახან ჯორჯის გამოკითხავდა ხოლმე ბიძის ამბავს და იცინოდა ბიჭის ოინბაზობაზე, ჯოზს რომ ბაძავდა „უფალო შემიწყალე“ და წვენს რომ თქვლეფდა. მერე ბრძანა: ეგ ვერაფერი პატიოსნებაა, ვაჟბატონო, ღლაპები რომ ნათესავებს აჯავრებთ! მის ოსბორნ, დღეს რომ ეტლით გაისეირნე, ჩემი სადარბაზო ბარათი შეუგზავნე, ბატონ სედლის, გესმის? მე და მაგას ხომ მაინც არ გვიჩხუბია!

საპასუხო ბარათი დაბრუნებულ იქნა და ჯოზი და მაიორი სადილადაც მაიწვიეს - ფრიად დიდრაჯულ და ტუტუცურ სადილზე, რომლისთანაც ეგებ თვით ბატონ ოსბორნსაც არ გაემართა მანამდე. ოჯახის მთელი ვერცხეულის ყოველი წვრილმანი გამოფენილი გახლდათ და საუკეთესო საზოგადოებაც შემოუპატიჟეს. ბატონმა სედლიმ მის ოსბორნი წაბრძანა სუფრისაკენ და შინაბერაც ფრიად თავაზიანად ექცეოდა მას, მაშინ როდესაც მაიორს, რომელიც მისგან მოშორებით, ბატონი ოსბორნის გვერდით იჯდა ძალიან წყნარად, თითქმის ხმაც არ გასცა. ჯოზმა დიდის ყოფით განაცხადა, ამისთანა დიდებული კუს წვნიანი ჩემს დღეში არ მიგემიაო, და ბატონ ოსბორნს შეეკითხა, ეს მადეირა სად იშოვნეთო?

- ეგ სედლის მარნიდან გახლავთ შემორჩენილი, - ჩაუჩურჩულა სახლთუხუცესმა თავის ბატონს.

- დიდი ხნის წინ შევიძინე და კარგა ხანს ბლომად ფულიც გადავიხადე მაგაში, - ხმამაღლა მიუგო ბატონმა ოსბორნმა სტუმარს და მერე თავის მარჯვენა მხარეს მჯდომ მეზობელს ჩაულაპარაკა ჩუმად, როგორ იყიდა იგი „ ბერიკაცის საჯარო ვაჭრობის დროს“.

მოხუცი მაიორს არა ერთხელ ჩამოუგდებდა ხოლმე ლაპარაკს ჯორჯის მეუღლეზე. ამ თემაზე კი, როცა მაიორს უნდოდა, დიდი მჭევრმეტყველებით შეეძლო ლაპარაკი. უილიამმა უამბო ბატონ ოსბორნს მისი ტანჯვა-წამება: გულმხურვალე სიყვარული ქმრისა, რომელიც ხსოვნასაც კვლავ აღმერთებდა იგი; სათნო და ალერსიანი ქცევა, რომლითაც მშობლებს უვლიდა და პატრონობდა და როგორ შეელია შვილს, როცა ჩათვალა, რომ იგი მოვალე იყო, ეს ჩაედინა.

- თქვენ არ იცით, ბატონო, რა განიცადა მან, - ხმის კანკალით დასძინა პატიოსანმა დობინმა, - დარწმუნებული ვარ და იმედი მაქვს, რომ თქვენ მას შეურიგდებით. თუ მან თქვენ შვილი წაგართვათ, სამაგიეროდ საკუთარი მაგცათ და რა ძალიანაც არ უნდა გყვარებოდათ თქვენი ჯორჯი, მერწმუნეთ, იმას თავისი ჯორჯი ათჯერ უფრო მეტად მაინც უყვარს.

- ღმერთმანი, კარგი ბიჭი ყოფილხარ, ბატონო ჩემო! - ასღა უთხრა ბარონმა ოსბორნმა.

მას არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ქვრივს როგორმე გულს ატკენდა ბიჭის მოშორება ანდა მისი ამდენი სიმდიდრე რომ შეაწუხებდა მას. იგრძნობოდა, ამას აუცილებლად და თან მალე შერიგებაც უნდა მოჰყოლოდა და ემილიას უკვე გულის ფაცქალი შეუდგა ჯორჯის მამასთან თავზარდამცემი შეხვედრის მოლოდინში.

მაგრამ ამშეხვედრას განხორციელება არ ეწერა. მოხუცი სედლის გაჭიანურებულმა ავადმოფობამ და გარდაცვალებამ დააბრკოლა და შემდეგ ერთ ხანს შეუძლებელიც გახადა მათი შეხვედრა. ამ უბედურებამ და სხვა გარემოებებმა ალბათ გავლენა იქონიეს ბატონ ოსბორნზე. ბოლო ხანებში ძალიან დაძაბუნდა, დაბერდა და გულჩათხრობილი გახდა. თავისი ვექილები მოახმობინა და ალბათ რაღაც შეცვალა ანდერძში. ექიმმა გასინჯა და თქვა: ძალიან შერყეული აქვს ჯანმრთელობა, აღგზნებულია და კარგი იქნება, თუ ცოტა სისხლს გამოვუშვებთ და ზღვისპირას დასასვენებლად

გავგზავნითო. მაგრამ მოხუცმა არც ერთი რჩევა არ მიიღო.

ერთ დღეს, როცა სასაუზმოდ უნდა ჩამოსულიყო და შეიგვიანა, ფარეშმა მიაკითხა სამოსსაცმელ ოთახში და იქ სატუალეტო მაგიდასთან ძირს დავარდნილს წააწყდა - დამბლა დასცემოდა. ამოიყვანეს მის ოსბორნი, კაცები აფრინეს ექიმთან, ჯორჯი სკოლაში აღარ გაუშვეს, მოცვივდნენსისხლის გამომშვებნი და მეკოტოშენი. ოსბორნი ნაწილობრივ მოეგო გონს, მაგრამ, მიუხედავად ერთი-ორი საშინელი ცდისა, ენა ვეღარ მოიბრუნა და ოთხ დღეში სულიც განუტევა. ექიმები ძირს ჩამოვიდნენ, დაკრძალვის საქმეთა გამგებლის კაცები ზემოთ აბრძანდნენ და რასელ-სკვერის ბაღისაკენ მიქცეული ყველა დარაბა ჩაკეტილ იქნა. ბულოკი კისრისტეხით მოვარდა სიტიდან.

- რამდენი დაუტოვა მაგ ბიჭს?.. ნახევარი ხომ არა? ალბათ თანაბრად მაინც გაანაწილებდა სამში!

ფრიად ამაღელვებელი წუთი გახლდათ.

ნეტავი რის თქმა სცადა ერთი-ორჯერ საბრალო ბერიკაცმა? იმედი მაქვს, ემილიას ნახვა სურდა, რათა ამ წუთისოფლიდან გასვლამდე თავისი შვილის ძვირფას და ერთგულს მეუღლეს შერიგებოდა. ფრიად შესაძლოა, ეს უნდოდა; რადგან მისმა ანდერძმა დაადასტურა, რომ ამდენ ხანს ჩაგუბებული მძულვარებისაგან უკვე განწმენდილიყო მისი გული.

ხალათის ჯიბეში დიდი წითელბეჭდიანი წერილი უპოვეს, ჯორჯისაგან ვატერლოოდან გამოგზავნილი. ვაჟიშვილის სხვა ქაღალდებიც გადაეთვალიერებინა, რადგან იმ უჯრის გასაღები, სადაც მათ ინახავდა, ჯიბეში აღმოაჩნდა, ხოლო ლუქები გატეხილი იყო და კონვერტებიც გაეხსნა - ალბათ დამბლის დაცემის წინაღამეს, სახლთუხუცესმა რომ ჩაი მიართვა კაბინეტში და ვეება წითელი საგვარეულო ბიბლიის კითხვაში გართული დახვდა იგი.

როცა ანდერძი გახსნეს, აღმოჩნდა, რომ ქონების ნახევარი ჯორჯისთვის ერგუნებინა, დანარჩენი კი ორ დას შორის გაეყო. ბატონ ბულოკს სავაჭრო ფირმის საერთო საქმეთა გამგებლობა ენდობოდა, ხოლოთუ არ ნებავდა, შეეძლო ხელიც აეღო. ჯორჯის ქონებიდან ხუთასი გირვანქა სტერლინგის წლიური შემოსავალი დანიშნული ჰქონდა მის დედას, „ჩემი საყვარელი ძის, ჯორჯ ოსბორნის, ქვრივს“, რომელსაც აგრეთვე კვლავ უნდა ეკისრა ბავშვის მეურვობა.

„მაიორი უილიამ დობინი, ჩემი საყვარელი ძის მეგობარი“, ინიშნებოდა ანდერძის აღმსრულებლად, „და ვინაიდან მანთავისი გულკეთილობითა და გულუხვობით საკუთარი სახსრებით შეინახა ჩემი შვილიშვილი და ჩემი ძის ქვრივი, ოდეს ისინი სრულიად უმწეოდ იყვნენ დაყრილნი, - ასე ეწერა ანდერძში, - ამიტომ გულითად მადლობას ვწირავ მას მათი სიყვარულისა და პატივისცემისათვის და ვთხოვ ჩემი ქონებიდან მიირთვას ისეთი თანხა, რაიც საკმარისი იქნება პოდპოლკოვნიკის ხარისხის საყიდლად; ანდა, როგორც ნებავს, ისე გამოიყენოს ის თანხა“.

ემილიამ რომ შეიტყო, მამამთილი შემომირიგდაო, გული მოულბა და მადლი შესწირა მისთვის დატოვებული ქონებისათვის. მაგრამ როცა ყური მოჰკრა, ჯორჯი როგორ დაუბრუნდა მას და ისიც გაიგო, როგორ და ვისი წყალობით, და უილიამი თავისი ხელგაშლილობით როგორ ინახავდა მას სიღატაკეში, უილიამმა როგორ მიანიჭა მას ქმარი და შვილი - ოჰ, მაშინ კი მუხლთ მოიყარა და ღმერთს შეავედრა ეს ერთგული და კეთილი გულის ადამიანი: მან თავმდაბლად მოიხარა ქედი ამ მშვენიერი და სულგრძელი სიყვარულის წინაშე და, ასე ვთქვათ, ფერხთ ეამბორა მას.

და მხოლოდ და მხოლოდ მადლიერების გრძნობით თუ უზღავდა სამაგიეროს ასეთი თავდადებისა და პატივისცემისათვის - მხოლოდ მადლიერების გრძნობით! თუ სხვაგვარი რამ საზღაური გაუელვებდა ოდნავ თავში, ჯორჯის სახება აეტუზებოდა წინ საფლავიდან და ეტყოდა: „შენ ჩემი და მხოლოდ ჩემი ხარ, აწ და მარადისო“.

უილიამი ხვდებოდა მის გრძნობებს - განა მთელი თავისი სიცოცხლე მათგამოცნობაში არ გაატარა?

როცა ბატონი ოსბორნის ანდერძის შინაარსი საზოგადოებამ გაიგო, ჭკუის სასწავლებლად გამოდგებოდა შეგვენიშნა, რა დიდად აიწია ქალბატონი ოსბორნის აბრუმ მის ირგლივ მყოფი ხალხის თვალში. ჯოზის სახლის მსახურთ, რომელნიც ხანდახან ეურჩებოდნენ მის თვინიერ განკარგულებებს და ამბობდნენ, „ბატონს ვკითხავთ“, შევასრულოთ თუ არაო, ახლა ფიქრადაც აღარ მოსდიოდათ ამ ჯურის გასაჩივრებანი. მზარეულმა დედაკაცმა მოიშალა მის ძველ გაქუცულ კაბებზე ქიტქილი (რომელნიც, მართლაც, სრულიად იჩრდილებოდა ამ მანდილოსნის ტურფა სამოსით, როცა იგი გამოიკაზმებოდა და

ეკლესიაში წაბრძანდებოდა კვირა საღამოს). სხვანი აღარ ბუზღუნებდნენ მისი ზარის წკრიალის გაგონებაზე და აღარც გამოპასუხებას აყოვნებდნენ. მეეტლე, რომელიც ბურტყუნებდა ცხენების დასაქმებაზე და წაილაპარაკებდა ხოლმე, ეტლი საავადმყოფოდ მიქციეს იმ ბებერმა და ქალბატონმა ოსბორნმაო, ახლა კისრისტეხით მიჰქროდა; აკანკალებდა, ბატონი ოსბორნის მეეტლით არ შემცვალონო, და ამბობდა: „აბა ქალაქისა რა იციან მას რასელ-სკვერელმა მეეტლეებმა; ან ისინი რას ივარგებენ ასეთი მანდილოსნის ეტლის კოფოზე დასაჯდომადო!“ ჯოზის მეგობრები, მამრნი და მდედრნი, მყის დაინტრესდნენ ემით და სამძიმრის ბარათებმა იმრავლა მისი შემოსასვლელი ოთახის მაგიდაზე. მანამდე თვითონ ჯოზი ემილიას უცქეროდა, როგორც გულკეთილ, უწყინარ ღატაკს, რომლისთვისაც ვალდებული იყო, საზრდო და თავშესაფარი მიეცა, ახლა კი მას და გამდიდრებულ პატარა ბიჭს, თავის დისწულს, უდიდესი მოწიწებით ეპყრობოდა. მოწადინებული გახლდათ, „საბრალო ძვირფასი გოგონა“ გახალისებულიყო და გართობილიყო ამდენი ტანჯვა-წვალებისა და განცდათა შემდგომ და იწყო სასაუზმოდ გამობრძანება და ემილიასთვის ფრიადის დაწვრილებით გამოკითხვა, დღევანდელი დღის გატარებას როგორ ინებებო, ემილიამ, ვითარცა ჯორჯის მეურვემ, თანამეურვის, მაიორის, თანხლებით, მის ოსბორნს სთხოვა, რამდენი ხანიც გნებავთ, იმდენ ხანს იცხოვრეთ რასელ-სკვერის სახლშიო. მაგრამ ამ მანდილოსანმა მადლი მოახსენა და განუცხადა, ამმოსაწყენ შენობაში მარტოდ დარჩენა ფიქრადაც არ მომსვლია და, მძიმე სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი, ორიოდე ძველი შინამოსამსახურითურთ ჩელტნემს გაემგზავრა. დანარჩენები უხვად დააჯილდოვეს და გაისტუმრეს. ერთგულმა ძველმა სახლთუხუცესმა, რომლის დატოვებაც უნდოდა ქალბატონ ოსბორნს, აგრეთვე ყარი თქვა სამსახურზე და ამჯობინა თავისი დანაზოგი სამიკიტნოში დაებანდებინა, სადაც იმედი ვიქონიოთ, არც თუ უხეიროდ წაუვიდოდა საქმე. რაკი მის ოსბორნმა არ ინება რასელ-სკვერს ცხოვრება, ქალბატონმა ოსბორნმაც, მოთათბირების შემდგომ, უარი თქვა ამ პირქუშ, ძველ სასახლეში დაბინავებაზე. სახლი დასცალეს - მდიდრული ავეჯი და ნივთები, შემაძრწუნებელი ხერები[227] და პირქუში, ჩაშავებული სარკეები შეახვიეს და შეინახეს. სასტუმრო დარბაზის ვარდის ხის მდიდრული მოწყობილობა ჩალით შეფუთნეს. ხალიჩები აკეცეს, დაახვიეს და შეკრეს. საუცხოოდ

დაკაზმული წიგნების მცირე რჩეული ბიბლიათეკა ორ ცარიელ საღვინე ყუთში ჩაალაგეს და მთელი ეს ქონება რამდენიმე ვეება ფორნით პანტექნიკონში[228] წააგრიალეს, სადაც იგი ჯორჯის სრულწლოვანებამდე უნდა დარჩენილიყო. ხოლო ვერცხლის ჭურჭლის დიდრონი, მძიმე, შავი ყუთები ბატონების სტამპისა და რაუდის მიაბარეს, რათა ამ გამოჩენილი ბანკირების სარდაფებში დაცულიყო იმავე ჟამის დადგომამდე.

ერთ დღეს, ღრმა სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი ემიმ ხელი მოჰკიდა ჯორჯის და ესტუმრა იმ დაცარიელებულ სახლს, რომელშიაც ქალიშვილობის შემდგომ ფეხი აღარ შეედგა. სახლის წინ ქუჩა, სადაც ფორნაბი იტვირთებოდა და იგზავნებოდა, ჩალით იყო მორიალებული. ისინი შევიდნენ ვეება დაცლილ ოთახებში, რომელთა კედლებს სურათებისა და სარკეების ნაკიდი ემჩნეოდა. შემდეგ დიდი, დახარიელებული ქვის კიბით ზემოთა ოთახებში ავიდნენ, სადაც პაპა გარდაიცვალა, როგორც ჯორჯიმ თქვა ჩურჩულით და, მერე კიდევ უფრო მაღლაც - ჯორჯის საკუთარ ოთახში. ბიჭუნა კვლავ გვერდიდან არ მოუცილებია, მაგრამ ახლა მის გარდა უკვე სხვაზედაც ფიქრობდა. მან იცოდა, რომ ეს ოთახი აგრეთვე მამამისისაც იყო.

ემილია მიადგა ერთ ღია ფანჯარას (ერთ-ერთ იმ ფანჯარას, რომელსაც სასოწარკვეთილი შეჰყურებდა ხომე, როცა ბავშვი პირველად მოსწყვიტეს გულიდან) და, იქიდან რომ გადაიხედა, რასელ-სკვერის ხეებს იქით ძველ სახლს მოჰკრა თვალი, სადაც თვითონ დაიბადა და სადაც წმინდა, დალოცვილი სიყმაწვილის მრავალი ბედნიერი დღე ჰქონდა გატარებული. ყველაფერი მოაგონდა - სასიამოვნო უქმეები, კეთილი სახეები, უზრუნველი, მხიარული წარსული დროება; აგრეთვე მას შემდეგ თავს დატეხილი ხანგრძლივი ტანჯვა-წამება და მძიმე განცდანი. გაახსენდა ესენი და ის ადამიანი, რომელიც მისი მფარველი კეთილი ანგელოზი, მისი ერთადერთი კეთილისმყოფელი და მწყალობელი, მისი სათნო და სულგრძელი მეგობარი იყო.

- შეხე, დედა, - წამოიძახა ჯორჯიმ, - აი, აქ მინაზე ალმასით ჯ. ო. ამოუკაწრავს ვიღაცას. წინათ არასოდეს შემინიშნევია და არც მე გამიკეთებია!

- ეს, ჯორჯი, მამაშენის ოთახი იყო, სანამ დაიბადებოდი, მანამდე დიდი ხნით ადრე, - უთხრა ემილიამ და ღაწვები

შეუფაკლდა, ბავშვს რომ კოცნიდა.

ემი ძალიან გულჩათხრობილი იჯდა ეტლში, რიჩმონდს რომ ბრუნდებოდნენ, სადაც დროებით იქირავეს სახლი. აქ მოღიმარი ვექილები მოდიოდნენ და დაფუსფუსებდნენ თავს ქვრივს (და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, არ დაივიწყებდნენ ანგარიშებში ამ ვიზიტების აღნუსხვას). რასაკვირველია, მაიორი დობინისთვისაც იყო აქ განკუთვნილი ოთახი - ხშირადაც დაიარებოდა, ვინაიდან მის მეურვეობაში მყოფი პატარა ყმაწვილის ბევრი მოსაგვარებელი საქმე გამოუჩნდა.

ამასობაში ჯორჯი განუსაზღვრელი ვადით გამოიყვანეს ბატონი ვილის სასწავლებლიდან. ხოლო იმ დარბაისელს მიენდო შეემზადებინა წარწერა საუცხოო მარმარილოს დაფისათვის, რომელიც ფაუნდლინგის ეკლესიაში კაპიტან ჯორჯ ოსბორნის ძეგლის ქვეშ უნდა მოეთავსებინათ.

ქალბატონმა ბულოკმა, ჯორჯის მამიდამ, რომელსაც ამ პატარა ურჩხულმა ხელიდან გამოაცალა მამის ქონების ნაიმედევი ნახევარი, მაინც გამოიჩინა სულგრძელობა და შეურიგდა დედა-შვილს. როუჰემპტონი შორს არ გახლავთ რიჩმონდიდან და ერთ დღეს, პანელებზე ოქროს მოზვრებ-გამოსახული და შიგნით კი ყვიციანი ბალღებით გამოვსილი ეტლი ემილიას სახლს მიადგა რიჩმონდში. ბულოკის ოჯახი შეიჭრა ბაღში, სადაც ემილია წიგნს კითხულობდა, ჯოზი თალარში იჯდა არხეინად და ღვინოში ასველებდა მარწყვს, ხოლო ერთ-ერთ თავის ინდურ ქურთუქში გამოწყობილ მაიორს ზურგი მიეშვირა ჯორჯისათვის, რომელსაც ათურმის თამაში მოპრიანებოდა. ჯორჯი გადაევლო კიდეც ზურგზე და სწორედ თავი ამოჰყო პატარა ბულოკების გუნდში, რომელთაც ქუდებზე ვეება შავი ბაფთები ჰქონდათ გაკეთებული, წელზე უშველებელი შავი სარტყლები ეკრათ და მძიმე ძაძებით მოსილი დედიკოს თანხლებით მობრძანდებოდნენ.

„სწორედ ჩემს როზას შეეფერება ასაკით“, - გაიფიქრა მოსიყვარულე მშობელმა და თვალი გადაავლო თავის ძვირფას ნაშიერს, შვიდიოდე წლის ჭირიან, კანტ ღლაპს.

- როზა, მიდი და აკოცე შენს ბიძაშვილს, - ბრძანა ქალბატონმა ბულოკმა. - განა ვერა მცნობ, ჯორჯი? შენი მამიდა ვარ!

- მშვენივრად გიცნობთ, - მოახსენა ჯორჯიმ, - მაგრამ, გეთაყვა, კოცნები არ მიყვარს! - და თავი აარიდა მორჩილი

მამიდაშვილის ალერსს.

- შენს ძვირფას დედიკოსთან მაინც მიმიყვანე, შე ცუღლუტო, - უთხრა ქალბატონმა ბულოკმა.

და ეს მანდილოსნები კიდეც შეიყარნენ თხუთმეტ წელიწადზე მეტი ხნის უნახაობის შემდგომ. ემის გაჭირვებასა და სიღატაკეში ქალბატონ ბულოკს ერთხელ აზრადაც არ მოსვლია მის სანახავად მისვლა, მაგრამ რაკი ახლა მან საკმაო წარმატება ჰპოვა საზოგადოებაში, მული, რასაკვირველია, ესტუმრა.

ასევე მოიქცა ბევრი სხვაც. ჩვენი ძველი მეგობარი მის სუორცი და მისი ქმარი ჰემპტონ-კორტიდან მოგრიალდნენ ყვითელი ლივრეების ფრიალით და მას კვლავ ძველებური გაშმაგებული სიყვარულით უყვარდა ემილია. კაცმა სიმართლე უნდა თქვას, სუორცს ეგებ ყოველთვისაც ეყვარებოდა, რრომ მისი ნახვა შეძლებოდა ხოლმე. მაგრამ que voulez-vous?[229] - ამ ვეებერთელა ქალაქში ვისა აქვს დრო მეგობრების ძებნისათვის - თუ ისინი გამოაკლდებიან მწყობრს და გაქრებიან, ჩვენ უმათოდ განვაგრძობთ გზას. განა ამაოების ბაზარში ვინმეს მოისაკლისებენ?

ერთი სიტყვით, ბატონი ოსბორნის მგლოვიარობის ხანის გასვლამდე, ემი მართლაც ძალიან წარჩინებული საზოგადოების შუაგულში აღმოჩნდა, რომლის წევრებსაც ვერ წარმოედგინათ, რომ ვინც მათ შორის მოხვდებოდა, უბედნიერეს ადამიანად არ მიიჩნევდა თავს. თითქმის არც ერთი ბანოვანი არ გახლდათ იმ წრეში, რომ ნათესავად პერი არ ყოლოდა; თუმცა, შესაძლოა, თვითონ მისი ქმარი კი საღებავ-წებო-ზეთით მოვაჭრეთაგანი ბრძანდებოდა სიტიში. ზოგი მანდილოსანი ფრიად განსწავლულ-განათლებული იყო - კითზულობდნენ ქალბატონი სომერვილის[230] თხზულებებს და დადიოდნენ სამეფო ინსიტიტუტში. სხვანი მკაცრობდნენ, ევანგელისტთა მოძღვრებას მისდევდნენ ა ექსეტერ-ჰოლს[231] უჭერდნენ მხარს. უნდა ვაღიაროთ, რომ ემის სრულიად დაებნა თავგზა მათ ჭორხაბარობაში და ერთო-ორჯერ სასტიკად დაიტანჯა, როცა იძულებული გახდა ქალბატონი ბულოკის წვეულებებში გამოჩენილიყო. ეს მანდილოსანი დაჟინებით ცდილობდა მისთვის მფარველობის გაწევას და ფრიად გულმოწყალედ გადაეწყვიტა, გაესალუქებინა იგი. ურჩევდა ემილიას მკერავებს, წესრიგს უმყარებდა ოჯახში, ასწავლიდა ყოფაქცევას. წამდაუწუმ მოაგრიალებდა ეტლს

როუჰემპტონიდან და შეაქცევდა მეგობარს უღიმღამო, მაღალფარდოვანი ყბედობითა და უხეირო საკარო ტუტუცური ჭორებით.ჯოზი სიამოვნებით უგდებდა ყურს, მაიორი კი ბუზღუნით გაერიდებოდა ხოლმე, როცა ეს დედაკაცი გამოჩნდებოდა თავისი იაფფასიანი წარჩინებულობით. მას ერთხელ ნასადილევს ჩაეძინა კიდეც სწორედ თავმოტვლეპილი ფრედერიკ ბულოკის წინაშე მჯდომარეს, ამ ბანკირის ერთ-ერთ უწარჩინებულეს წვეულებაში (ფრედი კვლავ მოწადინებული გახლდათ, ოსბორნის ქონების ანგარიშები სტამპისა და რაუდისაგან მის ხელში მოხვედრილიყო). ხოლო ამასობაში ემილია, რომელმაც არც ლათინური იცოდა, არც ის, ვინ გამოაქვეყნა უკანასკნელი საუცხოო სტატია „ედინბურგის მიმოხილვაში“[232] და იოტისოდნადაც არა სწუხდა და არცა ხარობდა ბატონი პილის[233] ბოლოდროინდელი არაჩვეულებრივი აბრუნდის თაობაზე, კათოლიკეთა საშეღავაათო საბედისწერო კანონპროექტის განხილვის საქმეში რომ ჩაიდინა მან - ემი მანდილოსანთა შორის მდუმარედ იჯდა დიდებულ სასტუმრო დარბაზში და გაჰყურებდა ხაერდოვან კორდებს, ხრეშმოყრილ კოხტა ბილიკებსა და მოლაპლაპე სათბურებს.

- გულკეთილი, მაგრამ უღიმღამო ჩანს, - ბრძანა ქალბატონმა რაუდიმ. - ეგ მაიორი კი, ეტყობა, ძალიან არის épris[234].

- მაგ ქალს ძალიან აკლია წარჩინებული თავისჭერა, - დასძინა ქალბატონმა ჰოლიოკმა. - ჩემო ძვირფასო, თქვენ ვერასოდეს ვერ მოახერხებთ მაგის გაქვრთნას!

- საშინელი უბირი თუ გულგრილი ვინმეა, - თქვა ქალბატონმა გლაურიმ თითქოს სამარიდან ამომავალი ხმითა და თავისა და დოლბანდის მძიმე კანტურით. - ვკითხე, რას ფიქრობთ, 1836 წელს დაემხობა პაპი, როგორც ბატონი ჯაულზი ამბობს, თუ 1839 წელს, როგორც ბატონი უოპშოტი ამტკიცებს-მეთქი. იმან კი მომიგო: „საწყალი პაპი! იმედი მაქვს, სულაც არ დაემხობა... განა რა ჩაიდინა ისეთიო?“

- ეგ ჩემი ძმის ქვრივი გახლავთ, ძვირფასო მეგობარო, - ბრძანა ქალბატონმა ბულოკმა, - და ვითარცა ასეთს, მე მგონი, ყველანი მოვალენი ვართ, მთელი გულისყური და წვრთნა არ მოვაკლოთ წარჩინებულ საზოგადოებაში შემოსვლისათვის. თქვენ მოგეხსენებათ, რა ა ნ გ ა რ ე ბ ი ა ნ ი მიზეზები შეიძლება მოეპოვებოდეს მათ, ვისი ი მ ე დ ი ს გ ა ც რ უ ე ბ ა ც

საყოველთაოდ ცნობილია!

- საწყალი ძვირფასი ქალბატონი ბულოკი, - ეუბნებოდა რაუდი ჰოლიკს, ერთად რომ მიემგზავრებოდნენ ეტლით, - სულ რაღაც გეგმებს ხლართავს და აკვარახჭინებს. მაგას უნდა ქალბატონი ოსბორნის ანგარიში ჩვენი ფირმიდან თავიანთსაში გადაითრიოს. მერე კიდევ, სწორედ სასაცილოა, როგორ ელაციცება იმ ბიჭს და ცდილობს, გვერდიდან არ მოაშოროს თავის ბნესიან პატარა როზას!

- ნეტავი გლაურის დაახრჩობდეს ეს მისი „ცოდვილი კაცი“. და „არმაგედონის ბრძოლა“! - შესძახა მეორემ და კარეტამ გადაიარა პატნის ხიდი.

მაგრამ ამ ჯურის საზოგადოება ფრიად წარჩინებული გახლდათ ჩვენი ემისთვის და ყველანი სიხარულით შეხტნენ, როცა საზღვარგარეთ მოგზაურობა გადაწყდა.

თავი LXII AM RHEIN

[235]

ზემოთ მოთხრობილი საყოველდღეო ამბების შემდგომ რამდენიმე კვირა გამოხდა. პარლამენტი დაითხოვეს. ზაპხული ძალაში შევიდა და ლონდონის მთალი წარჩინებული საზოგადოება სიამეთა და ჯონმრთელობის საძიებლად თავიანთ რჩეულ ყოველწლიურ სასეირნო ტურნეებისთვის რომ გაემზადა, ინგლისელ ლტოლვილთა კარგა მოზრდილი ჯგუფით დატვირთული ორქლმავალი გემი „ბატავიელი“ ტაუერის ნავმისადგომს მოსწყდა. გემბანს საჩრდილობელი ჩარდახები გადააფარეს. მერხები და გასასვლელ-გამოსასვლელები სავსე იყო ათობით ლოყაწითელი ბავშვით, მოფუსფუსე გადიებით; უნატიფეს ლესფერ ქუდებსა და საზაფხულო კეპებსა და ტილოს ქურთუკებში გამოწყობილი ვაჟბატონებით, რომელნიც ეს-ეს იყო ულვაშების მაშვებას შედგომოდნენ მომავალი მოგზაურობისათვის; აგრეთვე ზორბა, გამოწკეპილი ძველი ვეტერანებით, გახამებულ ყელსაბამებიან და ფაქიზად გაწმენდილ ქუდებიანებით,

ისეთებით, როგორნიც წარღვნასავით ედებიან ევროპას ყოველ დროსა და ჟამს ომის დამთავრების შემდგომ და თან მიაქვთ კონტინენტის ყოველ ქალაქში თავიანთი ნაციონალური „Goddem“[236]. უამრავ საქუდე კოლოფები, ბრამას სისტემის საწერი მოწყობილობის ყუთები[237] და ნესესერები მოჩანდა. იქ იყვნენ მხიარული ახალგაზრდა კემბრიჯელები თავიანთი აღმზრდელებითურთ, სამეცნიერო მივლინებაში მიმავალი ნონენვერთსა თუ კენიგსვინტერს; იყვნენ ირლანდიელი ვაჟბატონები, ფრიად კოხტა ქილვაშებითა და ძვირფასეულობით შემკულნი, ენაგაუჩერებლად რომ რატრატობდნენ ცხენებზე და უდიდესი თავაზიანობით ეპყრობოდნენგემზე მყოფ ყმაწვილ ქალებს, რომელთაც, პირიქით, კემბრიჯელი ჭაბუკები და მათი პირყვითელა აღმზრდელი ქალწულური სიმორცხვით გაურბოდნენ. იქ გახლდნენ პელ-მელის ბებერი უქმად მოყიალენი, ემსსა და ვისბადენს მიმავალნი იმ სეზონის სადილების შედეგთა წყლებით ჩამოსარეცხად და ცოტაოდენი რულეტითა[238] და trente-et-quarante-ით[239] გულის გასახარებლად. იქ გახლდათ მიხრწნილი მათუსალა[240], რომელსაც ახალგაზრდა ქალი შეერთო, თან კი გვარდიის კაპიტანი პაპილონი ახლდათ მისი მეუღლის ქოლგითა და მეგზურებითურთ. იქვე იყო ახალგაზრდა მეი, რომელსაც სასეირნოდ წამოეყვანა თავისი პატარძალი (ეს გახლდათ ქალბატონი უინტერი, მეის ბებიასთან ერთად რომ სწავლობდა სკოლაში). ბრძანდებოდნენ სერ ჯონი და მილედი ათიოდე ბალღითა და მათი შესაბამისი რაოდენობის გადიებით, აგრეთვე წარჩინებული დიდებულის ბეირაკრზის ოჯახი, რომელიც მიმჯდარიყო საჭის ბორბლის ახლოს, ყველას აშტერებდნენ თვალებს, ლაპარაკით კი არავის ელაპარაკებოდნენ.

ღერბებით შემკული, დაბარგული, პრიალა იმპერიალებიანი[241] კარეტები, ათიოდე სხვა ასეთ ეტლთან ერთად წინა გემბანზე იყო ჩაკვეხებული. მათ შორის გავლა-გამოვლა ერთობ ძნელდებოდა და გემის წინა ნაწილის კაბინების საბრალო ბინადართ თითქმის განძრევის სახსარი არ გააჩნდათ. ეს საზოგადოება შედგებოდა რამდენიმე საუცხოოდ გამოკაზმული ჰაუნდზდიჩელი[242] ვაჟბატონისაგან, რომელთაც საკუთარი სურსათი წამოეღოთ და შეეძლოთ დიდი დიდი სალონის მხიარული ხალხის ნახევარი მაინც ეყიდათ. იქ იყო ულვაშებიანი და პორტფელიანი რამდენიმე ვაჟკაცი,

რომელნიც, გემზე ამოსვლის შემდეგ ნახევარ საათს არ გაევლო, ხატვას შეუდგნენ. იყო ერთი-ორი ფრანგი პირისფარეში, რომელთაც სასტიკად აწყინა ზღვამ, როგორც კი გემი გრინიჯს გასცდა; ორიოდე გრუმი, რომელნიც დაეხეტებოდნენ მათ მზრუნველობაში მყოფი ცხენებისსადგომების ახლოს ანდა მოსასმელი ბორბლების თავზე გემბანს გადაყუდებულნი მუსაიფობდნენ, რომელი ივარგებს ლეჯერის[243] დოღში და რას მოვიგებთ თუ წავაგებთ გუდვუდის თასის[244] გათამაშებაშიო.

მეგზურებმა, რომელთაც მოითავეს გემზე აქეთ-იქით ძრომა და თავიანთი ნაირნაირი ბატონები კაბინებსა და გემბანზე დააბინავეს, თავი შეიყარეს ერთად და შეუდგნენ ლაყბობასა და თუთუნის წევას. ებრაელი ვაჟბატონებიც შემოუერთდნენ მათ და თან ეტლებს ათვალიერებდნენ. აქ გახლდათ სერ ჯონის ვეება კარეტა, რომელიც ცამეტ სულს მაინც დაიტევდა; მილორდ მათუსალას კარეტა, მილორდ ბეირაკრზის ეტლი, ბრიჩკა[245] და ფორანი, რომელთა ქირას, კაცმა არ იცის, ვინ ისტუმრებდა. პირდაპირ საოხარია, როგორ ახერხებდა მილორდი ნაღდი ფულის შოვნას მგზავრობის ხარჯებისათვის; ოღონდ ებრაელმა ვაჟბატონებმა კი იცოდნენ, როგორ შოულობდა იგი. მათ ისიც იცოდნენ, სწორედ ამ წუთში რამდენი ფული ჰქონდა მას ჯიბეში, რა სარგებელს იხდიდა და ვინ ასესხა. დაბოლოს, კიდევ ერთი სხვა ძალიან კოხტა, ლამაზი სამგზავრო კარეტაც ჩანდა იქ, რომლის შესახებაც მსჯელობა გაიმართა დარბაისელთა შორის.

- A qui cette voiture là?[246] - ჰკითხა ერთმა ტარსიკონის ვეება საფულე ჩანთიანმა და საყურებიანმა მეგზურმა ვაჟბატონმა მეორე საყურებიანსა და ტარსილონის ვეება საფულე ჩანთიან ვაჟბატონს.

- C’est à Kirsch je pense - je l’ai vu toute à l’heure - qui brenoit des sangviches dans la voiture,[247] - მიუგო მეგზურმა ჩინებული გერმანულ-ფრანგულით.

უცბად კირშიც ამოძვრა ტრიუმიდან, სადაც ღრიალით იძლეოდა განკარგულებებს და თან მრავალენოვანი გინებენით უმასპინძლდებოდა მეზღვაურებს, რომელნიც მგზავრთა ბარგს ინახავდნენ, და გამოეცხადა თანამოძმე-თარჯიმნებს, რათა თავისი ამბავი ეთქვა მათთვის. მოახსენა, რომ კარეტა ეკუთვნოდა ერთ საოცრად მდიდარ კალკუტურ თუ იამაიკელ

ნაბობს, რომელმაც იქირავა იგი სამოგზაუროდ. სწორედ ამ დროს, ერთი ახალგაზრდა ვაჟბატონი, რომელიც მოსასმელი ბორბლების გარსაცმებს შორის მოთავსებული ხიდიდან დაითხოვეს, იქიდან ლორდ მათუსალას კარეტის სახურავზე დახტა, სხვა კარეტები და იმპერიალებიც გადალახა და საკუთარს მიაღწია. მერე ძირს ჩამოცურდა, ფანჯრიდან შეძვრა შიგ და თავისი სიმარჯვით მაყურებელ მეგზურთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

- Nous allons avoir une belle traversée, Monsieur George[248], - ღრეჭით ჰკადრა მეგზურმა და თან მოსირმული ქუდი მოუხადა.

- ჯანდაბას თქვენი ფრანგული! - შესძახა აცალგაზრდა ვაჟბატონმა, - სად არის ნამცხვარი, ჰა?

ამაზე კირშმა მიუგო ინგლისურად თუ, როგორც შეეძლო, რაღაც მის მომსგავსებულ ენაზე, - რადგან, თუმცა ბატონი კირში ყველა ენას იცნობდა, ხეირანად არც ერთი არ იცოდა და ყველა ენაზე განურჩევლად უთავბოლოდ რატრატებდა.

გულზვავი ახალგაზდრა ვაჟბატონი, რომელიც ნაცხვარს იტენიდა პირში (რა დროც იყო შნაყრებისათვის, ვინაიდან სრული სამი საათის წინათ ესაუზმა რიჩმონდში!), ჩვენი მეგობარი ჯორჯ ოსბორნი გახლდათ. ბიძია ჯოზი და მისი დედიკო უკანა გემბანზე ისხდნენ ერთ დარბაისელთან ერთად, რომელიც ძალიან ხშირად იყო ხოლმე მათთან და ოთხივენი სასეირნოდ მიემგზავრებოდნენ ზაფხულში.

ჯოზი იმჟამად ჩარდახის ქვეშ დაბრძანებულიყო გემბანზე, თითქმის სწორედ გრაფ ბეირაკრზისა და მისი ოჯახის გასწვრივ, რომელთა ჭვრეტასაც თითქმის სრულიად გაეტაცა ბენგალელი. კეთილშობილი მეუღლენი, ორივე, ცოტა უფრო ახალგაზრდადაც გამოიყურებოდნენ, ვიდრე ქარიშხლიან 1815 წელს, როცა ჯოზს მათი ნახვა ახსოვდა ბრიუსელში (ინდოეთში მართლა ყოველთვის ტრაბახოვდა კიდეც, მათ ძალიან ახლოს ვიცნობო). ლედი კარაბასის თმა, მაშინ შავი, ახლა მშვენიერი ოქრო-წაბლისფერი გამხდარიყო, ხოლო ლორდ კარაბასის მაშინდელი მწითური ქილვაშები ამჟამად მუქი შავი გახლდათ, ოღონდ სინათლეზე ალისფერი და მწვანეც დაჰკრავდა. მაგრამ რა შეცვლილნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, კეთილშობილ მეუღლეთა ყოველ მოძრაობას სრულიად დაეტყვევებინა ჯოზის გულისყური. ლორდის იქ ბრძანება აჯადოვებდა მას და

სხვა აღარაფრის დანახვა აღარ შეეძლო.

- ეს ხალხი, გერტყობა, ძალიან გაინტერებს, - გადახედა ღიმილით დოინმა ჯოზს.

ემილიასაც გაეცინა. მას შავბაფთებიანი ჩალის ქუდი ეხურა, სხვა მხრით კი სამგლოვიარო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, მაგრამ მოგზაურობის ფაცაფუცი და გართობა ესიამოვნებოდა, ახალისებდა და ამიტომ განსაკუთრებით ბედნიერადაც გამოიყურებოდა.

- რა ღვთაებრივი დღეა, - თქვა ემიმ და, გამოიჩინა რა დიდი ორიგინაობა, დასძინა, - იმედი მაქვს, მშვიდობიანად ვიმგზავრებთ!

ჯოზმა ხელი ჩაიქნია, თან კი დაუდევრად და შეფარვით გადაავლო თვალი მის პირდაპირ მყოფ წარჩინებულ საზოგადოებას.

- შენ რომ იმდენი გემგზავრა ზღვით, რადენიც ჩვენ, - ბრძანა მან, - ამინდი ვეღარ შეგაშინებდა!

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი მოგზაური ბრძანდებოდა, მთელი ღამე საბვალალოდ მისავათებულმა გაატარა კარეტაში, სადაც მისი მეგზური უვლიდა წყლიანი კონიაკით და დაჰფოფინებდა თავს.

თავის დროზე ეს ბედნიერი ჯგუფი როტერდამის ნავსადგურში გადასხდა, იქიდან კი სხვა გემით კელნზ მივიდნენ. აქ კარეტა და ოჯახი ნაპირზე გადმობარგდა და ჯოზს არა მცირედ ეამა, კელნის გაზეთებმა რომ გამოაცხადეს მისი ჩამობრძანება, ვითარცა „Herr Graf Lord von Sedley nebst Begleitung aus London“. [249]

ჯოზს თან ჰქონდა მეფის კარს წარსადგომი სადარბაზო სამოსი, დობინსაც არ მოეშვა, თან წამოეღებინა მთელი მისი სამხედრო მოკაზმულობა და განაცხადა, განზრახული მაქვს, ზოგიერთ უცხო სამეფო კარს წარვუდგე და, სადაც ჩავალ, იმ ქვეყნების ხელმწიფეებს ვცე პატივიო.

სადაც კი შეჩერდებოდა ჩვენი მოგზაურობის ჯგუფი და ხესაყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, ბატონი ჯოზი მყის აახლებდა თავის დამაიორის სადარბაზო ბარათებს „ჩვენს ელჩს“. მხოლოდ დიდის გაჭირვებით გადაათქმევინეს,

სამკუთხა ქუდსა და შემოსხეპილ სამოსში გამოწყობილი არ წარმდგარიყო ინგლისის კონსულის წინაშე თავისუფალ ქალაქ იუდენშტადტში, სადაც ამ სტუმართმაყვარე თანამდებობის პირმა მიიწვია ჩვენი მოგზაურები სადილად. იგი აწარმოებდა თავისი მოგზაურიბის დღიურს და გულმოდგინედ აღნუსხავდა ამ ნაირნაირი სასტუმროების ღირსებანაკლოვანებებს, სადაც მას უხდებოდა ჩამოხდომა, და იმ ღვინოებისა და მაზა-მაზა საჭმელების ხარისხს, რომელთაც შეექცეოდა.

რაც შეეხება ემის, იგი ფრიად ბედნიერი და ნასიამოვნები გახლდათ. დობინი უტარებდა სკამსა და სახატავ ალბომს და ისეთი აღტაცებით შეჰყურებდა სათნო პატარა ხელოვანის ნახატებს, როგორიც მათ წინათ არასოდეს ღირსებიათ. ემი იჯდა გემბანებზე და ხატავდა კლდეებსა და ციხე-დარბაზებს, ანდა შეჯდებოდა სახედარზე და ორი ადიუტანტის, ჯორჯისა და დობინის თანხლებით, ესტუმრებოდა ყაჩაღთა ძველებურ კოშკებს. იცინოდა ვირზე შემჯდარი აყლაყუდა მაიორის სასაცილო შესახედაობაზე, ფეხებს რომ ძირს მიათრევდა, და მაიორიც აჰყვებოდა ხოლმე. დობინი გახლდათ მოგზაურთა თარჯმანი, რადგან მხედრის შესაფერისი ჩინებული გერმანული იცოდა და ის და გახარებული ჯორჯი თითქმის მონაწილეობდნენ რაინისა და პფალცის ბრძოლებში. რამდენიმე კვირაში, ეტლის კოფოზე ჯერ კირშთან გაცხარებული მუსაიფით ჯორჯმა სასწაულებრივი წარმატება ჰპოვა ზემო გერმანული ემის შესწავლაში და იმნაირად ერატრატებოდა სასტუმროს ფარეშსა და მეეტლეებს, რომ დედიკო სრულიად მოიხიბლა, ხოლო თავის მზრუნველს დიდად შეაქცევდა.

ბატონ ჯოზს ძალიანაც არ ეპიტნავებოდა ნაშუადღევს გამართული ექსკურსიები. ნასადილევს გულიანად გამოიძინებდა, ანდა სასტუმროს მშვენიერი ბაღების თალარებში ნებივრობდა. რაინის მშვენიერო ბაღებო! წყნარო, მზის შუქით გაბრწყინებულო სანახებო; ჩალურჯებული ლამაზო მთებო, რომელთა წვეროები მომაჯადოებელ საკადში ირეკლება! ვინ გიხილათ ოდესმე და არ გამოჰყვა თან იმ ალერსიანი მყუდროებისა და მშვენიერი ადგილების ხსოვნა? კალმის დადება და ამ მშვენიერ რაინის ხეობაე თვით მცირე ხანს ფიქრიც კი გააბედნიერებდს კაცს. ზაფხულის ამისთანა საღამოს ნახირი ბღავილითა და ზანზალაკების წკარუნით

მთებიდან დაეშვება ძველი ქალაქისაკენ, ძველებურ თხრილებიანი, ჭიშკრებიანი, კოშკებიანი და წაბლებიანი ქალაქისაკენ. მოგრძო ლურჯი ჩრდილები ეფინება მდელოს. ზემოთ ცა და ქვემოთ მდინარე ალისფერსა და ოქროსფერში ცურავს. მთვარეც უკვე გამოჩენილა და გაფითრებული გაჰყურებს მზის ჩასვლას. მზე ეშვება ციხე-დარბაზებით შემკული დიდრონი მთების გადაღმა. მსწრაფლ ღამდება. მდინარე უფრო და უფრო მუქდება, ძველი სიმაგრეების სარკმლებიდან გამომავალი შუქი კამკამებს შიგ და გაღმა მთის ძირებში მიყუჟულ სოფლებშიაც სინათლეები ციმციმებს.

ამგვარად ჯოზი, სახეზე ბაღდადწაფარებული, გულიანად გამოიძინებდა ხოლმე. ძალიან არხეინად გრძნობდა თავს და „გალინიანის“ საუცხოო გაზეთში (უცხოეთს მყოფი მთელი ინგლისელების ლოცვა-კურთხევა შეეწიოს ამ ყაჩაღური გაზეთის[250] დამფუძნებლებსა და პატრონებს!“ სულ ჩააბულბულებდა ხოლმე ინგლისური ამბების ყოველ სიტყვას; ოღონდ ეღვიძა თუ ეძინა, მაინცდამაინც დიდად არ ისაკლისებდნენ მას მეგობრები. დიახ,ისინი ძალიან ბედნიერები იყვნენ. საღამოებიტ ხშირად დადიოდნენ ოპერაში - გერმანული ქალაქების იმ მყუდრო, სადა, ძველებურ საყვარელ ოპერებში, სადაც თავადაზნაურობა ერთ მხარეს ზის, ცრემლსა ღვრის და წინდებსა ქსოვს, ხოლო მეორე მხარეს კი მოქალაქენი სხედან. მისი უგანათლებულესობა მთავარი და მისი უგანათლებულესი ოჯახი, ყველანი ფრიად ჩასუქებულნი და გულკეთილნი, შემოდიანდა სხდებიან დიდ შუა ლოჟაში. პარტერი სავსეა წელწვრილი, კოპწია, ჩალისფერ ულვაშებიანი ოფიცრებით, დღეში რომ ორ პენი ჯამაგირს იღებენ. აქ ხვდა წილად ემის დიდი სიამოვნება და პირველად მოისმინა მოცარტისა[251] და ჩიმაროზას[252] საოცრებანი. მაიორის მუსიკალურ გემოვნებაზე წინათაც გადაგვიკრავს სიტყვა და შეგვიქია ფლეიტაზე მისი დაკვრის უნარი; მაგრამ მისი უმთავრესი სიამოვნება ამ ოპერათა ცქერის დროს, სმენად გადაქცეულ, მოხიბლულ ემიზე დაკვირვება გახლდათ. სიყვარულისა და სიმშვენიერის ახალი სამყარო გადაიშალა ქალის თვალწინ, როცა გაეცნო ამღვთაებრივ სამუსიკო თხზულებებს. იგი ფრიად სათუთი და ნატიფი გრძნობის მანდილოსანი იყო და როგორ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო მოცარტის მოსმენის დროს? „დონ ჟუანის“ ნაზი ადგილები ისე უცნაურად ხიბლავდა, რომ, როცა ღამის ლოცვად

დადგებოდა, თავს ეკითხებოდა, განა ბოროტება არ არის ამდენ სიამოვნებას რომ ვიღებ და „Vedrai, Carino“ და “Batti, Batti”[253] გულს ასე რომ მიყუჩებსო? მაგრამ მაიორმა, რომელსაც მოეთათბირა ამის თაობაზე, ვითარცა მისმა მრჩეველმა საღვთისმეტყველო საკითხში (და რომელიც თვითონ გახლდათ ღვთისმოსანი და ღვთისნიერი ადამიანი), უთხრა: მეც ხელოვნების ანდა ბუნების ყოველი მშვენიერება მადლიერებასა და ამასთანავე ბედნიერებას მაგრძნობინებსო. საუცხოო მუსიკის მოსმენის, ისევე როგორც ზეცაში ვერსკვლავების ცქერის ანდა ლამაზი სანახებისა და სურათების ხილვით მონიჭებული სიამოვნება კი ისეთი წყალობაა, რომლისთვისაც ისევე წრფელის გულით უნდა ვუმადლოდეთ ზეცას, როგორც ყოველ სხვა ამქვეყნიურ ნაწყალობევსო. ხოლო ქალბატონ ემილიას მცირე საწინააღმდეგო მოსაზრებებზე (რაიც ისეთი საღვთისმეტყველო თხზულებიდან ჰქონდა ემის შეთვისებული, როგორიც გახლავთ „ფინჩლის სამრევლოს მრეცხავი ქალი“ და სხვანი იმავე ჯურისანი, რომლებიც ხელთ ჰქონდა მას ბრომპტონს ყოფნის განმავლობაში) მაიორმა ერთი აღმოსავლური არაკი მოახსენა - ბუს რომ ეგონა, მზის შუქი თვალისთვის საზიანოა და რომ ბულბულს ასე დიდად ტყუილად აფასებენო.

- ზოგის ბუნებას გალობა შეეფერება, ზოგისას - კივილი, - დასძინა მერე სიცილით, - და თქვენისთანა ტკბილხმიანი კი ბულბულის ოჯახს უნდა ეკუთვნოდეს!

მესიამოვნება, ემის ცხოვრების ამ ხანაზე რომ ვრჩერდები და, მგონია, იგი ხალისიანად და ბედნიერად რომგრძნობდა თავს. მოგეხსენებათ, ამნაირი რამ აქამდე ჯერ კიდევ არ განეცადა და არც საშუალება ჰქონია გემოვნებისა და გონების განვითარებისათვის. აქამდე მასზე ვულგარული გონების ადამიანები ბატონობდნენ. ეგ გახლავთ ბევრი დიაცის ხვედრი და ვინაიდან ძვირფასი სქესის ყოველი წარმომადგენელი თავისი ჯურის დანარჩენი ნაწილის მოქიშპე ბრძანდება, მათი მოწყალე მსჯელობის თანახმად, კდემამოსილება სიტუტუცედ საღდება, სათნოება - სიბრიყვედ, ხოლო დუმილი, რომელიც მხოლოდ მოკრძალებული უარყოდაა მოპარპაშე ადამიანების უსიამო ძალდატანების მიმართ და ჩუმი პროტესტია, - ყველაზე უფრო ულმობლად ისჯება მდედრობითი ინკვიზიციის ხელში. ამრიგად, ჩემო ძვირფასო და

განათლებულო მკითხველო, თქვენ და მე საღამოს, ვთქვათ, მემწვანილეთა საზოგადოებაში რომ ამოვყოთ თავი, შესაძლოა, მუსაიფში ძალიან ბრწყინვალედ ვერ გამოვჩნდებოდით; ხოლო, პირიქით, მემწვანილე რომ აღმოჩენილიყო თქვენს ნატიფ და ზრდილ ჩაის სუფრაზე, სადაც ყველა ჭკვიანად ლაპარაკობს და ყველა წარჩინებული და სახელოვანი პიროვნება ფრიად მომხიბლავად და ხალისიანად განაქიქებს და ჰკილავს თავის მოყვასთ, შესაძლოა, უცხო ადამიანთა ბევრი ვერაფერი თქვას, სრულიადაც ვერ მოაწონოს ვინმეს თავი და ვერც თვითონ დაინტერესდეს მათი მუსაიფით.

თან უნდა გავიხსენოთ, რომ ეს ჩვენი საბრალო მანდილოსანი მის დღეში აქამდე არასოდეს შეხვედრია ნამდვილ ჯენტლმენს. იქნებ ამ ჯურის პიროვნებანი უფრო იშვიათადაც მოიპოვება, ვიდრე ზოგიერთ ჩვენგანს ჰგონია. ვის შეუძლია დაასახელოს ბევრი ასეთი თავის წრეში - ისეთი ადამიანები, რომელთა მიზნები დიდსულოვანია რომელნიც მუდამ გულმართნი არიან და არა მარტო გულმართალნი, არამედ ამაღლებული გრძნობისანიც; რომელთაც სიმდაბლეს მოკლებულობა უბრალოებას, სისადავეს ანიჭებს; რომელთაც შეუძლიათ პატიოსნად და ვაჟკაცურად გაუსწორონ თვალი ამ წუთისოფელში ყველას, განურჩევლად დიდ-პატარაობისა? ჩვენ ვიცნობთ ასობით ისეთ ადამიანს, რომელთაც ჩინებული სამოსი აცვიათ; ათიოდეს, რომელნიც საუცხოოდ ზრდილნი ბრძანდებიანდა ერთ-ორ ბედნიერს, რომელნიც როგორც იტყვიან, სულ ვიწრო წრეში არიან მოქცეულნი, პირდაპირ წარჩინებული საზოგადოების შუაგულში ტრიალებენ და თითით საჩვენებელნი გახლავან - მაგრამ ნამდვილი ჯენტლმენი კი განა რამდენი მოიპოვება მათ შორის? მოდით ავოღოთ ქაღალდის ერთი ნაგლეჯი და ყოველმა ჩვენთაგანმა სია შევადგინოთ!

ჩემ სიაში, სრულიად უეჭველად, ჩემს მეგობარ მაიორს დობინს ჩავწერდი. მას ნამეტანი გრძელი ფეხები ჰქონდა, პირყვითელა იყო და ჩლიფინებდა, რაიც თავდაპირველად ცოტა სასაცილოდ ეჩვენებოდა კაცს. მაგრამ მართებულად სჯიდა, ჩინებული ტვინი ჰქონდა, სიცოცხლე პატიოსნად და უმწიკვლოდ გაატარა და გულთბილი, თავმდაბალი ადამიანი გახლდათ. მას მართლაც ფრიად დიდრონი ხელფეხი მოეპოვებოდა, რასაც ჯორჯ ოსბორნები კარიკატურებს უძღვნიდნენ ხოლმე, დასცინოდნენ კიდეც და ეგებ სწორედ მათმა ქირქილმა და

დაცინვამ აცდუნა საბრალო პატარა ემი მისი ღირსების ჯეროვნად შეფასებაში. მაგრამ განა ყოველი ჩვენთაგანი არ შემცდარა ჩვენი გმირის შეფასებაში და ასჯერ მაინც არ შეუცვლია თავისი აზრი? ემიმ ამ ბედნიერ ხანაში აღმოაჩინა, რომ მაიორს ღირსებათა თაობაზე მისმა შეხედულებამ ფრიად დიდი ცვლილება განიცადა.

ეგებ სულაც მართლა უბედნიერესი ხანა იყო ეს ორივეს ცხოვრებაში, რომ შეგნებული ჰქონოდათ - მაგრამ ვისა აქვს ეს შეგნებული? რომელ ჩვენგანს შეუძლია მიუთითოს და თქვას, ეს არის უმაღლესი წერტილი, უმაღლესი მწვერვალი ამქვეყნიური ბედნიერებისო? მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს წყვილი სრულიად კმაყოფილი გახლდათ და ისევე ტკბებოდნენსაამო საზეფხულო მოგზაურობით, როგორც იმ წელიწადს ინგლისიდან სასეირნოდ გამომგზავრებული ყველა სხვა რომელიმე წყვილი. ჯორჯიც ყოველთვის ესწრებოდა წარმოდგენას, ოღონდ შალს კი ემის მხოლოდ მაიორი მოასხამდა ხოლმე შინ წასვლისას. სეირნობასა და ექსკურსიებშიაც ყმაწვილი უფრო წინ მირბოდა და კოშკის კიბეზე ანდა ხეზე მიცოცავდა, ხოლო ამასობაში, უფრო დარბაისლური წყვილი ძირს ყოფნას არჩევდა - მაიორი ფრიადის გულარხეინობითა და სიბეჯითით ექაჩებოდა თავის სიგარას, ემი კი სანახებს ანდა ნანგრევებს ხატავდა. სწორედ ამ მოგზაურობის დროს გაზლდათ, რომ მე, ამ ჭეშმარიტზე ჭეშმარიტი ამბის მწერალს, მხვდა ბედნიერება, მენახა და გამეცნო ისინი.

პოლკოვნიკ დობინსა და მის თანამგზავრებს თავდაპირველად პუმპერნიკელის[254] დიდი სამთავროს პატარა, მყუდრო, მოხდენილ ქალაქში შევხვდი (სწორედ იმ ადგილად, სადაც სერ პიტ კროულიმ ასე გამოიჩინა თავი, ვითარცა ატაშემ. მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ გახლდათ - სანამ აუსტერლიცის ბრძოლის[255] ამბავი ყველა ინგლისელ დიპლომატს არ დაიფრენდა გერმანიიდან). ისინი კარეტითა და მეგზურითურთ „Erbprinz Hotel“-ს[256] მიადგნენ, ქალაქში საუკეთესოს და მთელმა სზოგადოებამ საერთო სუფრაზე ისადილა. ყველამ შენიშნა ჯოზის დიდებულება და საქმის მცოდნის ის იერი, რომლითაც წრუპავდა თუ უფრო ყლურწავდა მისი ბრძანებით მორთმეულ იოჰანისბერგულს. პატარა ბიჭსაც, შევამჩნიეთ, ჩინებული მადა მოეპოვებოდა და შთანთქა Schinken, Braten, Kartoffeln[257], შტოშის, მურაბა,

სალათა, პუდინგი, შემწვარი წიწილები და შაქარლამა ისე ვაჟკაცურად, როგორც მისი ერის ღირსებას შეშვენოდა. თხუთმეტიოდე თავი საჭმელის მიღტმევის შედგომ მან დაასრულა პურობა დესერტით, რომლის ნაწილი თანაც გაიყოლა, გარეთ რომ გადიოდა, რადგან სუფრაზე მჯდომმა ზოგიერთმა ახალგაზრდა ვაჟბატონმა, მისი თავდაჯერებული და თამამი ყოფა-ქცევით ნასიამოვნებმა, შეაგულიანეს ყმაქვილი, ნუშიანი ნამცხვარი ჩაეჯიბა. ის გემრიელად ახრამუნებდა მას თეატრში მიმავალი, საითკენაც ყველა მიეშურებოდა, ამ პატარა მხიარულ, გულღია ფერმანულ ქალაქში. შავოსანი მანდილოსანი, ბიჭუნას დედიკო, იცინოდა, წითლდებოდა და ძალიან ნასიამოვნები და თან დამორცხვებულიც ჩანდა სადილის განმავლობაში თავისი ვაჟიშვილის სხვადასხვა უსაქციელო და ცუღლუტური ოინბაზებიტ. პოლკოვნიკი - ვინაიდან მას მალევე მიანიჭეს ეს ჩინი - მახსოვს, ექილიკებოდა ბიჭს, თითქოს სრულიად სერიოზულად ურჩევდა ულუფებსმ რომელთათვისაც ჯერ კიდევ არ გაესინჯა გემო და ევედრებოდა, მადას ნუ შეიზღუდავ და ახლა ეს ანდა ის მეორედ მიირთვიო.

იმ საღამოს გახლდათ, როგორც უწოდებდნენ, სგასტროლო წარმოდგენა პუმპერნიკელის დიდი სამთავროს საკარო თეატრში და მაშინ ჯერ კიდევ სილამაზისა და ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში მყოფი მადამ შრედერ-დევრიელი[258] ასრულებდა გმირი ქალის როლს განსაცვიფრებელ ოპერა „ფიდელიონში“. პარტერის სავარძლებიდან თვალი მოვკარით საერთო სუფრის ჩვენს თანამოინახე ოთხ მეგობარს იმ ლოჟაში, რომელიც „ერბპრინცის“ პატრონ შევენდლერს თავის საუკეთესო სტუმრებისთვის ჰქონდა დაქირავებული და არ შემეძო არ შემემჩნია იმ შთაბეჭდილება, რომელიც მომაჯადოებელმა აქტრისამ და მუსიკამ მოახდინა ქალბატონ ოაბორნზე, როგორც ღიპიანი ულვაშა კაცი ეძახოდა ამ მანდილოსანს. ტუსაღთა გუნდის გასაშტერებელი სიმღერის დროს,როცა მომღერლის საუცხოო ხმა აიწეოდა და დანავარდობდა სწორედ გადასარევი ჰარმონიით, ქალს ისეთი გაოცება და სიამოვნება გამოეხატა სახეზე, რომ გულში მოხვდა პატარა ფიპსსაც კი, blasé[259] ატაშეს. რომელმაც, დურბინდით რომ უყურებდა მას, გაბრტყელებით ამოღერღა: - ღმერთმანი, სწორედ ს...სასიამოვნოა, ასე აღ...რელვების უნ...ნარ...რის მქონე ქალის დანახვაო.

და სატუსაღოს სცენაში, როცა ფიდელიო მივარდება თავის ქმარს და შესძახებს „Nichts, nitchts, mein Florestan”[260], მანდილოსანმა სულ დაკარგა თავგზა და სახე ხელმანდილში ჩამალა. თეატრში მჯდომი ყოველი ქალი ფშლუკუნებდა იმ დროს, მაგრამ, მე მგონი, რაკი ბედმა მარგუნა სწორედ ამ მანდილოსნის თავგადასავლის აღწერა, ამიტომ შევამჩნიე იგი.

მეორე დღეს ბეთჰოვენის სხვა თხზულება - Die Schlacht bei vittoria“[261] - იქნა შესრულებული. დასაწყისში ისმის მალბრუკის ჰანგი[262] - მაჩვენებელი ფრანგთა არმიის მკვირცხლი წინსვლისა. მერე მოჰყვება დაფ-ნაღარის ხმა, ზარბაზნების გრიალი, მიმაკვდავთა კვნესა და ბოლოს კი დიდებული, საზეიმო „God save the King“[263] გუგუნებს.

დარბაზში ოციოდე ინგლისელი თუიქნებოდა, მაგრამ ამ საყვარელი, ნაცნობი მუსიკის ხმაზე ყველანი წამოიშალნენ - ჩვენ, პატრეტში მჯდომი ახალგაზრდები, სერ ჯონი და ლედი ბულმინსტერები (რომელთაც პუმპერნიკელში სახლი დაექირავებინათ თავიანთი ცხრა შვილის აღსაზრდელად), სქელი, ულვაშა ვაჟბატონი, თეთრ ტილოს შარვლიანი აყლაყუდა მაიორი, მანდილოსანი პატარა ბიჭითურთ, რომელთაც ასე ალერსიანად ეპყრობოდა მაიორი, თვით ნალკონზე მჯდომი მეგზური კირშიც კი - ყველანი სარებივით დაერჭვნენ თავიანთ ადგილებზე და დაამტკიცეს, რომ ისინი ამ ძვირფასი ძველი ბრიტანელი ერის წარმომადგენლები ბრძანდებოდნენ. რაც შეეხება ტეიპუორმს, საელჩოს მეთაურს, იგი წამოდგა ლოჟაში და ისე აკანტურებდა თავს და ტუტუცურად იკრიჭებოდა, თითქოს მთელი იმპერიის წარმომადგენელი ყოფილიყო. ტეიპუორმი გახლდათ დისწული და მემკვიდრე მარშალ ტიპტოფისა, ამ მოთხრობაში სწორედ ვატერლოოს ბრძოლის წინ რომ გაგაცანით, ვითარცა გენერალი ტიპტოფი. იგი ბრძანდებოდა მეთაური -ე ლეგიონისა, რომელშიაც მაიორი დობინი მსახურობდა და, ყოველი პატივით აღსავსე, წელს მიიცვალა მეჭვავის ლაბიანი კვერცხების ჭამით. მაშინ ლეგიონი მისმა უდიდებულესობამ გულმოწყალედ უბოძა პოლკოვნიკ სერ მაიკლ ო'დაუდს, აბანოს ორდენის კავალერს, რომელიც კიდეც სარდლობდა მას მრავალ სახელოვან ბრძოლაში.

ტეიპუორმს პოლკოვნიკი დობინი ალბათ ნახული ჰყავდა პოლკოვნიკის ლეგიონის მეთაურ მარშლის სახლში, რადგან ამ

საღამოს იცნო იგი თეატრში. მისი უდიდებულესობის ელჩი ფრიადის თავმდაბლობით გამობრძანდა საკუთარი ლოჟიდან და საჯაროდ ჩამოართვა ხელი ახლად აღმოჩენილ მეგობარს.

- ერთი ამ ეშმაკ, გაიძვერა ტეიპუორმს დამიხედეთ, - წაიჩურჩულა ფიპსმა და თან თავის უფროსს უთვალთვალებდა პარტერიდან, - სადაც ლამაზი ქალი გამოჩნდება, ისიც ყოველთვის იქა ტრიალებს!

და ნეტავი ვიცოდე, აბა სხვა რაღას მაქნისები არიან ეგ დიპლომატები!

- ხომ არ დამდებდით პატივს, ქალბატონ დობინს წარვდგომოდე? - იკითხა ელჩმა ძალიან შემპარავი ღიმილით.

ჯორჯი გადაფიჩინდა სიცილით და შესძახა: - დალახვროს ღმერთმა, ეგ კარგი საქმეა!

ემი და მაიორი აილეწნენ - ჩვენ შევამჩნიეთ პარტერიდან.

- ეს მანდილოსანი ბატონ ჯორჯ ოსბორნის მეუღლე გახ;ავთ, - მიუგო მაიორმა, - ეს კი მისი ძმა, ბატონი სედლი ბრძანდება, ბენგალის სამოქალაქო სამსახურის გამოჩენილი მოხელე - ნება მიბოძეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, გაგაცნოთ!

მილორდმა თავისი მომაჯადოებელი ღიმილით კინაღამ ნიადაგი გამოაცალა ფეხქვეშ და ძირს დასცა ჯოზი.

- ხომ არ აპირებთ პუმპერნიკელში დარჩენას? - უთხრა მან. - მოსაწყები ადგილია, მაგრამ ნატიფი ხალხი კი გვჭირდება და ვეცდებით, რაც შეიძლება სასიამოვნოდ გაგატარებინოთ დრო. ბატონო... ჰმ... ქალბატონო... ჰმ... ხვალ პატივი მექნება გესტუმროდ თქვენს სასტუმროში.

და იგი წაბრძანდა მხარუკუღმა ცქერითა და ღიმილით, რომლითაც, ეგონა, სრულიად მოვუღე ბოლო ქალბატონ ოსბორნსაო.

წარმოდგენა რომ დამთავრდა, ახალგაზრდობა ფოიეში გამოიშალა და ვუყურებდით, საზოგადოება როგორ მიემგზავრებოდა შინ. ქვრივი დიუფალი თავისი დანჯღრეული, ძველი კარეტით წაბრძანდა ორი ერთგული, დამჭკნარი ბებერი სეფექალისა და ჩაგვერა, ბურნუთიანი, წეროსფეხება კამერჰერის თანხლებით, წაბლისფერი პარიკი რომ ჰქონდა

გაკეთებული და ორდენებით დაფარული მწვანე მუნდირი რომ ეცვა. ამ ორდენებში კი ყველაზე უფრო თვალში საცემი გახლდათ წმიდა მიქელ პუმპერნიკელელის ორდენის ვარსკვლავი და დიდებული ყვითელი ბაფთი. დოლებმა ასტეხეს ბაგაბუგი, გვარდიელებმა სალამი უძღვნეს და ძველი კარეტაც დაიძრა.

მერე მისი უგანათლებულესობა მთავარი და მისი უგანათლებულესი ოჯახი გამობრძანდა სახელმწიფოსა და კარის დიდ მოხელეთა თანხლებით. იგი ყველას დარბაისლურად უკრავდა თავს. გვარდიელთა სალუტში, აქეთ-იქით მორბენალ, ალისფრად გამოწყობილ მხლებელ ფარეშთა ჩირაღდნების ბრიალში, უგანათლებულესი კარეტა გაუდგა გზას ძველ სამთავრობო ციხე-დარბაზისკენ, რომელიც თავისი გოდლებითა და კოშკებით შლოსბერგზე წამოჭიმულიყო. პუმპერნიკელში ყველა ყველას იცნობდა. უცხოელის იქ გამოჩენის უმალვე საგარეო საქმეთა მინისტრი ანდა სხვა რომელიმე დიდი ან მცირე სახელმწიფო მოხელე შეივლიდა სასტუმრო „ერბპრინცში“ და გამოიძიებდა ახალჩამოსულთა ვინაობას.

ჩვენც ვუყურებდით მათ თეატრიდან გამოსვლის დროს. ტეიპუორნი ფეხით გაუდგა გზას, გამოხვეული მოსასხამში, რომელსაც ყოველთვის თან უტარებდა გოლიათური მოყვანილობის ფარეში. დამ რაც კი შეიძლებოდა, ძალზე წააგავდა დონ-ჟუანს. პრემიერ-მინისტრის მეუღლეც ის-ის იყო შეეკვეხა თავის ტახტრევანში, ხოლო მისმა ასულმა, მომხიბლავმა იდამ, უკვე პირისსაფარველიანი ქუდი დაიხურა და ხისლანჩიანი ფეხსამოსი ჩაიცვა, როცა ინგლისელთა ჯგუფი გამოვიდა. ბიჭი საცოდავად ამთქნარებდა, მაიორი დიდის გულმოდგინებით ცდილობდა ქალბატონი ოსბორნის თავზე შეემაგრებინა შალი, ხოლო ბატონი სედლი გულზვავად გამოიყურებოდა ჩატეხილ საოპერო-ქუდ-გვერდზე-მოგდებული და ვეება თეთრი ჟილეტის გულისპირში ხელჩადებული. ჩვენ ქუდები მოვუხადეთ საერთო სუფრის ჩვენს თანამეინახეებს და მანდილოსანმაც, თავის მხრივ, ისეთი ლამაზი ღიმილითა და რევერანსით დაგვაჯილდოვა, რომ ყველას შეშურდებოდა.

სასტუმროს კარეტა, ფუსფუსა ბატონი კირშის ზედამხედველობით, წასაყვანად ელოდებოდა ამ ჯგუფს;

მაგრამ მსუქანმა ვაჟბატონმა ბრძანა, ფეხით გავისეირნოთ და გზაში სიგარასაც მოვწევო. ამრიგად, დანარჩენი სამნი ჩვენდამი თავის კანტურითა და ღიმილით ბატონი სედლის გარეშე გაემგზავრნენ. კირში სიგარების კოლოფვითურთ თავის ბატონს აედევნა კუდში.

ჩვენც ყველანი ერთად გავყევით და ვემუსაიფებოდით ზორბა ვაჟბატონს აქაური გასართოებების შესახებ. ინგლისელებისათვის ეს ძალიან საამური ადგილი იყო. იმართებოდა ნადირობანი და ჯელგაობა, მრავალი ლხინი და წვეულებანი სტუმართმოყვარე მთავრის კარს. საზოგადოება საერთოდ კარგი გახლდათ, თეატრი - საუცხოო და ცხოვრება იაფი.

- და ჩვენი ელჩიც ფრიად სასიამოვნო და თავაზიანი პიროვნება ჩანს, - დასძინა ჩვენმა ახალმა მეგობარმა, - ასეთი წარმომადგენელი და... და კარგი მკურნალი თუ იქნა, მე მგონი, ეს ადგილი სრულიად გამოდგებოდა დასასვენებლად. ღამე მშვიდობისა, ბატონებო!

და სანათურიანი კირშის თანხლებით ჯოზი ჭრაჭუნით აჰყვა საწოლი ოთახისაკენ ამავალ კიბეს. ჩვენც გული დავიიმედეთ, რომ სანდომიანი მანდილოსანი ცოტა ხანს მაინც დარჩებოდა ამ ქალაქში.

თავი LXIII - რომელშიაც ძველ ნაცნობს შევხვდებით

ლორდ ტეიპუორმის ასეთმა თავაზიანმა ქცევამ დიაღაც ფრიად საამო შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ სედლიზე და მეორე დილით საუზმეზევე გამოთქვა აზრი, ჩვენს მოგზაურობაში პუმპერნიკელითანა სასიამოვნო პატარა, მყუდრო ქალაქი სხვა არ შეგვხვედრიაო. ჯოზის ნათქვამის დედააზრისა და ხრიკების მიხვედრა არც თუ ძალიან ძნელი გახლდათ და დობინი, ვითარცა ორპირა ვაჟბატონი, თავისთვის ქირქილებდა, როცა საქმეში ჩახედული კაცის იერზე და ტეიპუორმკასლსა და იმ ოჯახის სხვა წევრებზე თავდაჯერებულ ლაპარაკზე შეატყო მოქალაქეს, რომ ჯოზს დილაადრიან უკვე ჩაეჭყიტა თავის

„პერთა წიგნში“, რომელსაც თან ატარებდა. დიახ, მას ნახული ჰყავდა ღირსპატივცემული გრაფი ბეგუიგი, მისი ბრწყინვალების მშობელი; იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ ნახული ჰყავდა - მას იგი შეხვედრია სამეფო... სამეფო კარის დარბაზობაზე... განა დობს არ ახსოვს ეს ამბავი? და როცა დიპლომატი, თანახმად დაპირებისა, სტუმრად მობრძანდა, ჯოზმა, იგი ისეთი სალმითა და პატივით მიიღო, რაიც იშვიათად ღირსებოდა ამ პატარა დესპანს. მისი აღმატებულების გამოჩენისთანავე ჯოზმა თვალი უქნა კირშს და ისიც, წინდაწინვე დარიგებული, გავიდა და თადარიგი დაიჭირა, რათა სინებით მოერთმიათ ცივი საუზმები, ლაბა და სხვა ნუგბარი საჭმელები, რომელთაც ბატონი ჯოზი დიდის გულმოდგინებით სთავაზობდა თავის კეთილშობილ სტუმარს.

ტეიპუორმს რაკი შესაძლებლობა ჰქონდა, აღტაცებით ეცქირა ქალბატონი ოსბორნის ჟუჟუნა თვალებისთვის (კვლავ ქორფად შენახული ემილიას პირისკანი ჩინებულად იტანდა დღის სინათლეს), ხალისით დათანხმდა ბატონი სედლის პატიჟობას და დარჩა. მან ერთიორი მარჯვე კითხვა შესთავაზა ჯოზს ინდოეთისა და იქაური მოცეკვავე ქალების შესახებ. გამოიკითხა ემილიას მასთან მყოფი მშვენიერი ბიჭის ვინაობა და სახტად დარჩენილ პატარა დედაკაცს ქათინაური მოახსენა იმ ზღაპრულ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მან თეატრში მყოფ საზოგადოებაზე მოახდინა. სცადა აგრეთვე დობინიც მოეხიბლა უკანასკნელ ომსა და მემკვიდრე უფლისწულის, პუმპერნიკელის ახლანდელი მთავრის, სარდლობით მებრძოლ პუმპერნიკელელთა რაზმის საგმირო საქმეებზე მუსაიფით.

ლორდ ტეიპუორმს საგვარეულო მემკვიდრეობით ჰქონდა დაყოლილი მისი გვაროვნობისათვის ჩვეული არამცირედი მიდრეკილება არშიყობისადმი და ბედნიერად გულდაჯერებული ბრძანდებოდა, რომ ყოველი ქალი, რომელსაც იგი ალერსიანი თვალით შეხედავდა, უთუოდ გაგიჟდებოდა მისი სიყვარულით. ემისაც იმ რწმენით დაშორდა, რომ იგი სრულიად მოსპო თავისი ჭკუითა და მომხიბლაობით და შინ მიმავალმა გადაწყვიტა, კოხტა, პატარა ბარათი მიეწერა მისთვის. ემი კი სულაც ამ როხიბლულა - მხოლოდ დააბნია მისმა ღრეჭამ, უთავბოლო, ტუტუცურმა ქირქილმა, მისმა მოვის ბაღდადმა და მაღალქუსლებიანმა ლაქის ჩექმებმა. მისი ქათიანურის ნახევარიც ვერ გაიგო;ადამიანთა შორის ცხოვრების თავისი მცირე

გამოცდილების მთელი ხნის მანძილზე ჯერ არასოდეს შეხვედრია ქალთა გულის მესაიდუმლე ნამდვილ მოარშიყეს და მილორდს რაღაც ცნობისმოყვარეობით უფრო უცქერდა, ვიდრე სიამოვნებით, და თუ აღტაცებული არ იყო, გაკვირვებული კი მართლა გახლდათ. ჯოზი, პირიქით, ფრიად აღფრთოვანებული ჩანდა.

- რა დიდად თავაზიანი ბრძანდება მისი ბრწყინვალება! - ამბობდა იგი. - რა გულკეთილობაა მისი ბრწყინვალების მხრით, რომ ბრძანა, ჩემს ექიმს გაახლებო! კირშ, სასწრაფოდ მიართვი ჩვენი სადარბაზო ბარათები გრაფ დე შლუსელბაკს. მაიორი და მე, რაც შეიძლება უმოკლეს ხანში, უდიდესი სიამოვნებით დავუდასტურებთ ჩვენს პატივისცემას მთავრის კარს. გამოიღე ჩემი მუნდირი, კირშ... ჩვენ ორივეს მუნდირები! ასეთი თავაზიანობა ყოველმა ინგლისელმა უნდა გამოიჩინოს იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომელთაც ესტუმრებიან, და პატივი სცენ როგორც იმ ქვეყნის ხელმწიფეებს, ასევე თავისი საკუთარი სამშობლოს იქაურ წარმომადგენლებსაც.

როცა ტეიპუორმის ექიმი, დოქტორი ფონ გლაუბერი, მისი უმაღლესობის, მთავრის, პირადი მკურნალი, გამოცხადდა, მან მყის დაარწმუნა ჯოზი, რომ პუმპერნიკელის მინერალური წყლები და დოქტორის განსაკუთრებული მკურნალობა ბენგალელს უეჭველად დაუბრუნებდა ჭაბუკობასა და კოხტა ტანადობას.

- გასულ ცელს - თქვა მან, - შენერალი ბულკელი, ინგლისელი შენერალი ბცანდებოდა აქ. თქვენზე ორჩერ უფრო დიდი, ბატონო. სამი ტვის შემტეკ სულ გამხტარი კავკზავნე უკან და ორ ტვის პოლოს ბარონესა გლაუბერტან ცეკვავდა.

ჯოზმა უკვე გადაწყვიტა: წყაროებმა, ექიმმა, მთავრის კარმა და ელჩმა დააჯერეს იგი და განიზრახა, შემოდგომა ამ საამურ კუთხეში გაეტარებინა. და მეორე დღეს, თავისი სიტყვის პატრონმა ელჩმა, ჯოზი და მაიორი კიდეც წარუდგინა ვიქტორ-ავრელიუს XVII, ხოლო ამ მონარქთან აუდიენციაზე გრაფმა დე შლუსელბაკმა, დარბაზთბატონმა, შეიყვანა ისი.

სტუმრები მაშინვე მიწვეულ იქნეს სადილად მთავრის კარს და რაკი მათი ქალაქში დარჩენის განზრახვაც გამოხცხადდა, მთელი ქალაქის ფრიად თავაზიანმა მანდილოსნებმა მყის მოინახულეს ქალბატონი ოსბორნი, ხოლო ვინაიდან არც ერთი

მათგანი, რარინდ ღატაკიც არ უნდა ყოფილიყო, ბარონესაზე ნაკლები ხარისხისა არ ბრძანდებოდა, ჯოზის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. მან წერილი მისწერა კლუბში ჩატნის და შეატყობინა: ინდოეთის სამოქალაქო სამსახურის მოხელეებს დიდად აფასებენ გერმანიაში; ვაპირებ ჩემს მეგობარს, გრაფ დე შლუსელბაკს ტახებზე ინდურად შუბით ნადირობა ვაჩვენოო და ჩემი უავგისტოესი მეგობრები, მთავარი და დიუფალი, პირდაპირ გულკეთილობისა და თავაზიანობის განსახიერებანი ბრძანდებიანო.

აგრეთვე ემიც წარუდგა უავგუსტოეს ოჯახს, ოღონდ რადგან სამგლოვიარო სამოსის ხმარება ზოგიერთ დღეს დაუშვებელია მთავრის კარზე, იგი ვარდისფერი კრეპის კაბით გამოცხადდა. გულისპირში ძმისაგან ნაჩუქარი ალმასის სამკაული ჰქონდა გაკეთებული და ისე ტურფად გამოიყურებოდა ამ მოკაზმულობაში, რომ მთავარი და მთავრის კარი (თუ აღარას ვიტყვით მაიორზე, რომელსაც თითქმის არც არასოდეს ენახა იგი საღამოს კაბაში გამოწყობილი დაეფიცებოდა, ოცდახუთი წლის შეხედულობაც კი არა გაქვსო), ყველანი უზომოდ აღფრთოვანებულნი ბრძანდებოდნენ.

ასე გამოწყობილმა ემიმ პოლონეზი იცეკვა მაიორ დობინთან ერთად საკარო წვეულებაში და ბატონ ჯოზს პატივი ჰქონდა ამავე სადა ცეკვაში გაეწვია გრაფ შლუსელბაკის მეუღლე, ერთი კუზიანი დედაბერი, რომელსაც ღერბში აზნაურობის თექვსმეტიოდე ნიშანი ჰქონდა[264] და გერმანიის სამეფო სახლების ნახევართან მაინც გახლდათ დანათესავებული.

პუმპერნიკელი ლამაზი ხეობის შუაგულში მდებარეობს, რომელშიაც მილაპლაპებს ნაყოფიერი მდინარე პუმპი და სადღაც ქვემოტ - ოღონდ ხელთ არა მაქვს რუკა, ზუსტად მოგახსენოთ, რა ადგილას, -რაინს ერთვის. ზოგან მდინარე იმსიდიდეა, ბორანიც მოძრაობს შიგ, ზოგან კი წისქვილებს თუ აბრუნებს. თვით პუმპერნიკელში, ახლანდელი უგანათლებულესი მთავრის პაპის მამამ, დიდებულმა და სახელოვანმა ვიქტორ-ავრელიუს XIV, საუცხოო ხიდი ააგო, რომელზედაც წყლის ნიმფებით, გამარჯვების ემბლემებით და მშვიდობისა და სიუხვის განმასახიერებელი ფიგურებით გარშემორტყმული მისივე ქანდაკებაა წამოჭიმებული. მას ცალი ფეხი ძირს გართხმული თურქისთვის დაუბჯენია ყელზე (ისტორია გადმოგვცემს, რომ თურმე იგი იანიჩარს შებმია

სობესკის[265] მიერ ვენის გამოხსნის დროს და კიდეც გაუგმირავს), მაგრამ სულ არ ემჩნევა შეშფოთება ძირს გართხმული მაჰმადიანის აგონიის ხილვაზე, მის ფეხქვეშ უსაზარლესად რომ იკლაკნება. მთავარი ალერსიანად იღიმება და კვერთხს იშვერს ავრელიუსის მოედნისკენ, სადაც ისეთი ახალი სასახლის მშენებლობა წამოიწყო, თავისი ეპიქის საოცრებათაგანი იქნებოდა, დიდსულოვან მთავარს რომ თანხები ყოფნოდა დასადრულებლად. მაგრამ მონპლეზირის (პატიოსანი გერმანელები მას „მონბლეზირს“ ეძახიან) დამთავრებას ნაღდი დულის უქონლობამ შეუშალა ხელი და ის და მისი პარკი და ბაღი ახლა ცოტა მიგდებულ-მიყრუებულნი არიან და მხოლოდ ათიოდეჯერ თუ აღემატებიან ტახტზე ახლა მჯდომი მონარქის კარის საჭიროებებს.

ეს ბაღები ისე გახლდათ დაგეგმილი, რომ მეტოქეობა უნდა გაეწიათ ვერსალის ბაღებისათვის და ტერასებსა და კოროომებში ჯერ კიდევ შემორჩენია რამდენიმე ვეება ალეგორიული შადრევანი, რომელნიც დღესასწაულზე ისვრიან წყლისა და ქაფის უშველებელ ნაკადევს და ადამიანს აფრთხობენ სტიქიონის ასეთი უზომო აბობოქრებით. იქ არის ტრიფონიოსის[266] გამოქვაბული, რომელშიაც რაღაც მანქანებით ტყვიის ტრიტონები[267] არა მარტო ანთხევენ წყალს, არამედ თავიანთი ტყვიის ნიჟარებიდან უსაზარლეს კვნესასაც აღმოუტევებენ. გახლავთ ნიმფათა საბანაო აუზი და ნიაგარის ჩანჩქერიც[268], რომლითაც უზომოდ არიან აღტაცებულნი სანახების მცხოვრებნი, როცა ისინი ჩამოდიან პალატის გახსნისას ყოველწლიურ ბაზრობაზე ანდა იმ ზეიმებზე, ბედნიერი, პატარა ერი კვლავ რომ იხდის თავიანთ ხელმწიფე-გამგებელთა დაბადებისა და ქორწინების დღეთა აღსანიშნავად.

მაშინ ყოველი ქალაქიდან სამთავროსი, რომელიც თითქმის ათ მილზე გახლავთ გადაჭიმული - ბოლკუმიდან, რომელიც დასავლეთის საზღვარზე მდებარეობს და კრიჭაში უდგას პრუსიას; გროგვიციდან, სადაც მთავარს სანადირო ქოხი უდგას და სადაც მის სამფლობელოს მდინარე პუმპი ჰყოფს მეზობელი პოცენთალის მთავრის სამფლობელოებიდან; ყველა პაწია სოფლიდან, რომელთაც ამ სამი დიდრონი ქალაქის გარდა სულ დაუწინწკლავთ ეს ბედნიერი სამთავრობო - ფერმებიდან და პუმპის ჩაყოლებით მდებარე წისქვილებიდან გუნდ-გუნდად მოედინება ხალხი, წითელ კაბებსა და ხავერდის ქუჩებში

გამოწყობილი, ანდა სამკუთხა ქუდებიანნი და პირში ჩიბუხგაჩრილნი, რომელნიც თავს იყრიან დედაქალაქში და მონაწილეობას იღებენ იქაურ ბაზრობასა და დღესასწაულში. მაშინ თეატრები უფასოდაა. მაშინ მონბლეზირის შადრევნები აშვებულია (კიდევ კარგი, ბევრი ხალხი ერთად უყურებს, თორემ მარტო ერთ კაცს შეეშინდებოდა მათი ცქერა). მაშინ ჩამოდიან ჯამბაზები და მოჯირითენი (კარგად გახლავთ ცნობილი, რომ სწორედ ამ გზით იქნა მოჯადოებული მისი უგანათლებულესობა ერთი მოჯირითე ქალის მიერ და, დარწმუნებული არიან, La Petite Vivandière[269], როგორც მას ეძახდნენ, ფრანგების შემოგზავნილი ჯაშუში იყო). აგრეთვე გახარებულ ხალხს ნება ეძლეოდა ოთახ-ოთახ დაიარონ მთავრის დიდებული სასახლე და აღფრთოვანებდნენ მოკრიალებულ-მოსლიპული იატაკით, მდიდრული ფარდებით და უთვალავი დარბაზების ყოველი კარის წინ მდგარი საფურთხებლებით. მონბლეზირში ერთი პავილიანია, რომელიც ავრელიუს-ვიქტორ XV ააგებინა - დიდმა ხელმწიფემ, მაგრამ განცხრომის ფრიად მოყვარულმა - და რომელიც, როგორც მითხრეს, თავაწყვეტილი მოხდენილობის ჭეშმარიტი საოცრება გახლავთ. იგი მოხატულია ბახუსისა და არიადნას[270] თავგადასავლის სურათებით, ხოლო მაგიდა ოთახში ადი-ჩამოდის ჯალამბრის მეშვეობით; ასე რომ, საზოგადოებას ფარეშების ჩაურევლად შეიძლება ემასპინძლოს, მაგრამ ეს სახლი დააკეტინა ბარბარამ, ავრელიუს XV ქვრივმა (ბოლკუმის სახლის შვილმა, მკაცრმა და ღვთისმოსავმა დიუფალმა და სამთავროს რეგენტმა თავისიძის დიდებული ყრმობის ხანაში) ქმრის გარდაცვალების შემდგომ, რომელიც განცხრომის მწვერვალზე რომ იმყოფებოდა, მაშინ გამოაკლდა ამ წუთისოფელს.

პუმპერნიკელის თეატრი ცნობილი და სახელგანთქმული გახ;ავთ გერმანიის იმ მხარეში. იგი ცოტა დაძაბუნდა, როცა ახლანდალმა მთავარმა, ჟამსა ჭაბუკობისასა, თავისი საკუთარი ოპერების დადგმა ჩაიჟინა. ამბობენ, ერთ დღეს, როცა მთავარი რეპეტიციას ესწრებოდა, ისე გაშმაგდა, რომ თავზე გადაამტვრია ფაგოტი კაპელმაისტერს, რომელიც ძალიან ნელ ტემპში დირიჟორობდაო. ამავე ხნის განმავლობაში დიუფალი სოფია ისეთ შინაურ კომედიებსა წერდა, რომელთა ცქერა ძალიან საზარელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახლა მთავარს თავისი მუსიკა საჯაროდ აღარ გამოაქვს და დიუფალიც

საკუთარი პიესებით მხოლოდ თავისი გულკეთილი, პატარა კარის წარჩინებულ სტუმრებს აჯილდოვებს.

მთავრის ჯარი არა მცირედი განცხრომითა და ბრწყინვალებით სუფევს. როცა ბალი იმართება, ვახშმად თუნდ ოთხასი კაცი დაჯდეს, ყოველ ოთხ სტუმარს ერთი ალისფერი სამოსსა და მაქმანში გამოკაზმული ფარეში ადგას თავს და ყველას ვერცხლის ჭურჭლეულით მიერთმევა ულუფები. დღესასწაულები და დროსტარებანი ერთმანეთს მოსდევს. მთავარსაც თავისი დარბაზთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი მოეპოვება, ხოლო დიუფალს - თავისი სამოსსაცავის გამგე და სეფექალები სწორედ ისევე, როგორც სხვა რომელიმე კიდევ უფრო მძლავრ ხელმწიფეთაგანს.

იქაური სახელმწიფო წყობილება წარმოადგენს, თუ წარმოადგენდა, ზომიერ დესპოტიას, შეზღუდულს პარლამენტით, რომელიც შეიძლება აერჩიათ და შეიძლებოდა არც აერჩიათ. სწორე გითხრათ, ჩემს პუმპერნიკელს ყოფნაში, არც გამიგონია ის შეკრებილიყოს. პრემიერ მინისტრიც მესამე სართულზე ჰქონდა ბინა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრი მყუდროდ ცხოვრობდა ცვიბაკის საკონდიტროს თავზე. არმია შედგებოდა საუცხოო ორკესტრისაგან, რომელიც აგრეთვე სცენაზედაც გამოიყენებოდა, სადაც სწორედ სასიამოვნო გახლდათ ამ ღირსეული ყმაწვილების ცქერა, თურქულად მოკაზმულნი, ფერ-უმარილით შელესილნი და ხის მოკაუჭებული ხმლებით შეჭურვილნი, ანდა, ვითარცა რომაელი მეომრები, ოფიკლეიდებითა[271] და ტრომბონებით რომ გამოდიოდნენ. სასიამოვნო გახლდათ მათი ცქერა, როგორც მოგახსენეთ, ღამ-ღამობითაც, მას შემდეგ, რაც მთელ დილად ისმოდა მათი ხმა ავრელიუსის მოედანზე, სადაც ისინი უკრავდნენ იმ კაფესპირდაპირ, რომელშიაც ჩვენ ვსაუზმობდით. გარდა ორკესტრისა, ოფიცერთა დიდებული, რიცხვმრავალი შტაბიც არსებობდა და, მე მგონი, რამდენიმე ჯარისკაციც. მუდმივი გუშაგების გარდა ჰუსარების ფორმაში გამოწყობილი ორი-სამი კაცი კიდევ მორიგეობდა ხოლმე სასახლეში, ოღონდ ცხენზე ამხედრებულნი კი არასოდეს მინახავს ისინი. ანდა რის მაქნისია ცხენოსანი ჯარი სრული მშვიდობიანობის დროს? და სად ჯანდაბას უნდა იარონ ცხენებით ჰუსარებმა?

ყველანი - ყველა, რასაკვირველია, კეთილშობილი, ვინაიდან,

რაც შეეხება მოქალაქეებს, ვერავინ მოგვთხოვს, სათვალავში ჩავრთოღ ისინი - სტუმრად დადიოდნენ ერთმანეთთან. მის ბრწყინვალებას მადამ დე ბურსტს კვირაში ერთხელ ჰქონდა მიღება. მის ბრწყინვალებას მადამ დე შნურბარტსაც თავისი საღამო ჰქონდა დანიშნული. თეატრში კვირაში ორჯერ იდგმებოდა წარმოდგენები. მთავრის კარი ერთხელ მარტავდა მოწყალე დარბაზობას - ასე რომ შეიძლებოდა კაცს სწორედ სულ განცხრომით ეტარებინა დრო უწყინარ, სადა, პუმპერნიკელურ ყაიდაზე.

ვერავინ უარყოფს, რომ იქ შუღლიც ბუდობდა. პოლიტიკას დიდი გასავალი ჰქონდა პუმპერნიკელში და პარტიები სასტიკად ექიშპებოდნენ ერთმანეთს. არსებობდა შტრუმფის პარტია და ლედერლუნგის პარტია, რომელთაგან ერთს მხარს უჭერდა ჩვენი დესპანი, მეორეს კი - საფრანგეთის ელჩი მუსიო დე მაკაბო. მართლაც, საკმარისი გახლდათ ჩვენ ელჩს მხარი მიეცა მადამ შტრუმფისათვის, რომელიც აშკარად უკეთესი მომღერალი იყო ამ ორში და მისი ხმა მთელი სამი ნოტითაც აღემატებოდა მოქიშპის, მადამ ლედერლუნგის, ხმას - საკმარისი იყო, მოგახსენებთ, ჩვენ ელჩს რაიმე აზრი გამოეთქვა, რომ ფრანგი დიპლომატი მყის საპირისპირო მოსაზრებას წამოაყენებდა.

ქალაქში ყველა ამ ერთ პარტიას უდგებოდა, ან მეორეს. ლედერლუნგი მართლაც პატარა ცუგრუმელა იყო და ხმაც (რაც კი მოეძევებოდა) ძალიან ტკბილი ჰქონდა. ხოლო შტრუმფი, უეჭველია, ვაღარაფერი ქორფა და ტურფა ბრძანდებოდა და გვარიანადაც იყო ჩასუქებული. როცა, მაგალითად, ის გამოდიოდა „სომნამბულას“[272] უკანასკნელ სცენაში, ღამის პერანგში გამოწყობილი და ხელში ლამფით, და ფანჯარაში უნდა გადამძვრალიყო და საწისქვილოზე გადებულ დიცარზე უნდა გასულიყო, იგი ძლივ-ძლივობით ეკვეხებოდა სარკმელში და ფიცარიც საცოდავად იზნიქებოდა და ჭრაჭუნებდა მისი სიმძიმის ქვეშ. მაგრამ რანაირად ჩაარაკრაკებდა ხოლმე ოპერის ფინალს! რა გულმხურვალე გრძნობით ჩაესკვნებოდა გულში ელვინოს - კინაღამ არ დააბრჩობდა ხოლმე! მაშინ როდესაც პაწია ლედერლუნგი... მაგრამ კმარა ჭორაობა - აშკარა გახლდათ, რომ ეს ორი მანდილოსანი წარმოადგენდა საფრანგეთისა და ინგლისის პარტიების დროშებს პუმპერნიკელში და საზოგადოებაც ამ ორი დიდი ერის მომხრე-მოწინააღმდეგეებად იყოფოდა.

ჩვენ მხარეს ბრძანდებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი, მეჯინიბეთუხუცესი, მთავრის პირადი მდივანი და უფლისწულის აღმზრდელი. ხოლო საფრანგეთის პარტისას ემხრობოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი,მეუღლე მთავარსარდლისა, რომელსაც ნაპოლეონის ხელქვეით ემსახურა, და დარბაზთბატონი და მისი მეუღლე, რომელიც ძალიან ეტანებოდა პარიზულ მოდებს და ყოველთვის იღებდა კიდეც მათ და აგრეთვე ქუდებსაც მუსიო დე მაკაბოს შიკრიკის მეშვეობით. მისი კანცელარიის მდივანი გზახლდათ პატარა გრინიაკი, სატანასავით მზაკვარი და ბოღმიანი ყმაწვილი, რომელიც მთელი ქალიქის ალბომებში ხატავდა ტეიპუორმის კარიკატურებს.

მათი მთავარი ბინა და საერთო სუფრა „Parisen Hof“-ში[273], ქალაქის მეორე სასტუმროში იყო დადებული. თუმცა ეს ორი დარბაისელი, რასაკვირველია, საზოგადოებაში იძულებულნი გახლდნენ თავაზიანად მოქცეულიყვნენ, მაინც ერთმანეთს სამართებელივით ბასრი ეპიგრამებით უმასპინძლდებოდნენ - როგორც მე მინახავს მოჭიდავენი დევონშირში, ერთმანეთს რომ წვივებში ეშენდნენ, ხოლო სახეზე კი ერთი კუნთიც არ უკრთოდათ. არც ტეიპუორმი და არც მაკაბო ისე არასოდეს გაუგზავნიდნენ შინთავიანთ მთავრობას დეპეშას, რომ სასტიკად არ გაელაშქრათ თავიანთი მოქიშპის წინააღმდეგ. მაგალითად, ჩვენ მხარეს ასე ვწერდით: „დიდი ბრიტანეთის ინტერესები აქ და მთელ გერმანიაში საფრთხეში იმყოფება საფრანგეთის ახლანდელი ელჩის ხანგრძლივი მოღვაწეობით. ეს ისე წამხდარი პიროვნებაა, რომ არავითარ სიცრუეს არ მოერიდება და არავითარი დანაშაულის წინაშე უკან არ დაიხევს, ოღონდ თავისი გულის საწადელი აისრულოს. იგი შხამავს მთავრის კარს და ამხედრებს ინგლისის ელჩის წინააღმდეგ; დიდი ბრიტანეთის მოქმედებას ფრიად საზიზღარი და ამაზრზენი სახით წარმოადგენს და საუბედუროდ მხარდაჭერას ჰპოვებს ერთი მინისტრის მხრივ, რომლის უვიცობა და სიღატაკე ისევე ცნობილია საქვეყნოდ, როგორც მისი საბედისწერო გავლენიანობა“.

მათი მხრით კი იტყოდნენ: „ბატონი დე ტეიპუორმი განაგრძობს ტუტუცურ კუნძულურ ყოყოჩობასა და უგვამ ცრუპენტელაობას მსოფლიოს უდიდესი ერის წინააღმდეგ. გუშინ მან აგდებით მოიხსენია მისი მეფური უმაღლესობა ქალბატონი ბერის დიუფალი[274]; ამას წინათ შეურაცხყო

გმირი ანგულემის დუკა[275] და გაბედა სიტყვა გადაეკრა, თითქოს მისი მეფური უმაღლესობა ორლეანის დუკა[276] შროშანთა უავგუესტოსი ტახტის[277] წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდეს. იგი ყველგან, სადაც თავისი ტუტუცური მუქარა არ გაუდის და ვერავის აშინებს, ოქროს ფლანგავს. ერთითა და მეორით გადაიბირა კიდეც აქაური კარის ვიღაც-ვიღაცეები - ერთი სიტყვით, პუმპერნილელი ვერ დაშოშმინდება, გერმანია ვერ დაწყნარდება, საფრანგეთი პატივისცემას ვერ მოიპოვებს და ვერც ევროპა დაკმაყოფილდება, ვიდრე ეს შხამიანი გველი არ გაისრისება ქუსლქვეშ...“ და სხვანი. როცა რომელიმე მხარე განსაკუთრებით მწუთხე დეპეშას გაგზავნიდა, ეს ამბავი უთუოდ სადღაც მაინც იჩენდა თავს.

სანამ ზამთარი კარგად შევიდოდა ძალაში, ნამდვილად მოხდა ის, რომ ემიმაც ამოირჩია საღამო და დიდის თავაზითა და კდემამოსილებით იღებდა საზოგადოებას. ფრანგულის მასწავლებელი დაიჭირა, რომელიც ქათინაურებს ეუბნებოდა მისი გამოთქმის სიწმინდისა და იოლი შეთვისების უნარის თაობაზე. ნამდვილად რომ მოგახსეოთ, ფრანგულს იგი დიდი ხნის წინათ სწავლობდა, ხოლო შემდგომში მისი გრამატიკის საფუძვლები კიდევ იმდენად შეისწავლა, რომ ჯორჯის სწავლება შესძლებოდა. მადამ შტრუმფი სიმღერას ასწავლიდა და ისეთი წარმატებითა და ისეთი ჭეშმარიტი ხმითმღეროდა, რომ მოპირდაპირე სახლში, პრემიერ-მინისტრის ქვეშ მობინადრე მაიორის ფანჯრები ყოველთვის ღია იყო მისი გაკვეთილის სასმენად. ზოგ ფრიად მგრძნობიარე გულისა და სადა გემოვნების გერმანელ გერმანელ ბანოვანს პირდაპირ შუყვარდა იგი და მყის du-თი[278] დაუწყეს ლაპარაკი. ყოველივე ის სასაცილო წვრილმანი გახლავთ, მაგრამ ბედნიერ ხანას კი შეეხება. მაიორმა ჯორჯის წვრთნა იკისრა. აკითხებდა კეისარს[279], მათემატიკაში ავარჯიშებდა და გერმანულის მასწავლებელიც ჰყავდათ; საღამოებით კი ემის კარეტას ახლდა ცხენით - ემილია ყოველთვის ძალიან მშიშარა იყო, ცხენზე ჯდომისას სულ უბრალო წაბორძიკებაც საშინლად აფრთხობდა და უნებურად წამოაკივლებდა ხოლმე. ამიტომ ის თავის რომელიმე ძვირფასი გერმანელი მეგობრითა და მთვლემარე ჯოზითურთ მხოლოდ ეტლით სეირნობდა.

ჯოზეფმა ის-ის იყო არშიყობა დაუწყო გრაფინია ფანი დე ბუპერბროდს, ფრიად სათნო, გულკეთილ, სადა ახალგაზრდა

ქალს, კანონიერი და ჭეშმარიტი გრაფის შთამომავალს, მაგრამ წელიწადში ათიოდე გირვანქის შემოსავალიც რომ არ მოეძევებოდა. ფანი თავის მხრივ აღიარებდა, ემილიას რძლობა ჩემთვის უდიდესი ღვთის წყალობა იქნებაო, და შეიძლებოდა ჯოზს ეტლსა და ჩანგლებზე თავისი ღერბის გვერდით მართლაც მოეთავსებინა გრაფინიას ფარი და გვირგვინი, რომ... რომ სხვა ამბები არ დატრიალებულიყო და ის დიდებული ზეიმი არ გამართულიყო პუმპერნიკელის მთავრის მემკვიდრე უფლისწულისა და ტურფა პრინცესა ამელია ჰომბურგ-შლიპენშლოპენის ქორწინების აღსანიშნავად.

ეს დღესასწაული ისეთი დიდის ბრწყინვალებით გადაიხადეს, რაც ამ პატარა გერმანულ ქალაქს გულუხვ ვიქტორ XIV შემდგომ აღარ ღირსებოდა. ყველა მეზობელი მთავარი და დიდებული იქნა მიწვეული ლხინში. პუმპერნიკელში საწოლის ფასმა ღამეში ნახევარ კრონას[280] მიაღწია და არმიას არაქათი გამოეცალა იმ უმაღლესობათა, ბრწყინვალებათა და აღმატებულებათა საპატიო ყარაულში დგომით, რომელნიც ყოველი კუთხიდან მოედინებოდნენ. პრინცესას მამამისის რეზიდენციაში დაწერეს ჯვარი მემკვიდრე უფლისწულის ბდობით აღჭურვილ გრაფ დე შლუსელბაკზე. ბურნუთის კოლოფები უხვად გაიცა (როგორც შევიტყვეთ კარის ოქრომჭედლისაგან, რომელიც ყიდიდა და შემდეგ კვლავ ყიდულობდა მათ) და ჩანახობით გაეგზავნა კარისკაცებს წმიდა მიქელ პუმპერნიკელელის ორდენები,ხოლო ჩვენებს კი მოერთვათ წმიდა ეკატერინე შლიპენშლოპენელის ბორბლის ბაფთების წნულები და სამკაულები. საფრანგეთის ელჩს ორივე ერგო.

- შეჯიბრი მონაწილე საურმე ცხენებით არის ბაფთებით დაფარული, - ბრძანა ტეიპუორმა, რომელსაც თავისი სამსახურის წესრიგი ნებას არ აძლევდა, რაიმე სამკაული მიეღო. - დაე მიიღოს ორდენები, გამარჯვება ხომ ჩვენია?

მართლაც, ეს ბრიტანეთის დიპლომატიის ტრიუმფი გახლდათ: საფრანგეთის პარტიას განზრახული ჰქონდა და თავგამოდებითაც ცდილობდა ქორწინება პოცტაუზენდ-დონერვეტერის სახლის პრინცესაზე მოეხდინა, რასაც, რასაკვირველია, ჩვენ წინ აღვუდექით.

ქორწილში ყველანი მოიპატიჟეს. გზა ყვავილწნულებით მორთეს და სატრიუმფო თაღებით დაამშვენეს ახალგაზრდა

სასძლოს შესახვედრად. წმიდა მიქელის შადრევნიდან ჩქეფდა სასტიკად მოჭანგული ღვინო, ხოლო არტილერიის მოედნის შადრევნიდან კი აქაფებული ლუდი დიოდა. დიდი შადრევნებიც გაშვებული გახლდათ. პარკებსა და ბაღებში ბედნიერი გლეხობისათვის სვეტები აღემართათ, რომლებზედაც რამდენიც ნებავდათ, იმდენ ხანს შეეძლოთ ეფოფხათ, და დაეთრიათ მათ თავებზე მოთავსებული საათები, ვერცხლის ჩანგლები, ვარდისფერი ბაფთებით დაკიდებული საუცხოო ძეხვები და სხვ. ერთი მათგანი ჯორჯიმაც იგდა ხელთ - მაყურებელთა გასახარებლად აცოცდა სვეტზე და შემდეგ კი ჩანჩქერის სისწრაფით დაეშვა ძირს. მაგრამ ეს უბრალოდ სახელისთვის ჩაიდინა, თორემ მოპოვებული ძეხვი გლეხს მისცა, რომელიც თვითონაც კინაღამ მისწვდა, მაგრამ ახლა ამძის ძირში იდგა და თავის მარცხზე მოთქვამდა.

საფრანგეთის საელჩოს ექვსი ლამპიონით მეტი ჰქონდა გაკეთებული, ვიდრე ჩვენსას; მაგრამ ჩვენმა ტრანსპარატმა, რომელზედაც გამოსახული გახლდათ მომავალი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და ლტოლვილი უთანხმოება[281], ფრიად სასაცილოდ რომ წააგავდა საფრანგეთის ელჩს, სრულიად დაჩრდილა საფრანგეთის საელჩოს მორთულობა და ამ მეეჭვება რომ ამან მოაპოვებინა ტეიპუორმს წარჩინება და აბანოს ორდენის ჯვარი, რომელიც მან შემდგომში მიიღო.

ზეიმზე უცხოელთა მთელი ურდოები ჩამოვიდნენ და, რასაკვირველია, ინგლისელებიც. გარდა მთავრის კარზე გამართული ბალებისა, საჯარო ბალებიც გაიმართა ქალაქის საბჭოს შენობასა და რედუტში; ხოლო ქალაქის საბჭოს ერთ დარბაზში ემსის თუ აახენის ერთმა დიდმა გერმანულმა კომპანიამ მხოლოდ ზეიმის კვირისათვის trende-quarante და რულეტიც მოაწყო. ოფიცრებსა და მოქალაქეებს აკრძალული ჰქონდათ ეს თამაშობანი, ოღონდ უცხოელებს, გლეხებს, მანდილოსნებსა და ყველა სხვას, ვისაც ფულის წაგება-მოგება ეპრიანებოდა, ნება ეძლეოდათ ეთამაშათ.

სხვებთან ერთად ამ ცუთლუტმა ჯორჯი ოსბორნმა, რომელსაც მუდამ სავსე ჰქონდა ჯიბეები ოქროთი და რომლის ნათესავების მთავრის კარზე გამართულ დიდებულ წვეულებაში წაბრძანდნენ, ბიძამისის მეგზურ ბატონ ჯირშითურთ თავი ამოჰყო ქალაქის საბჭოს ბალში. რაკი ბადენ-ბადენში მხოლოდ შეიჭყიტა სათამაშო ოთახში, რადგან

დობინის მკლავში ჰქონდა ხელი გაყრილი და, რა თქმა უნდა, მას არავინ დაანება თამაში, ახლა ფიცხლად ეძგერა ამ გასართობს და დაიწყო წრიალი ამ მაგიდების ირგვლივ, სადაც კრუპიეები და ყომარბაზები გახურებულ შრომაში იყვნენ ჩართულნი. ქალებიც თამაშობდნენ. ზოგ მათგანს ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული - ეს თავისუფალი ქცევა ნებადართული იყო იმ ბობოქარ საზეიმო დღეებში.

რულეტის ერთ მაგიდას უჯდა ქერათმიანი, გულამოჭრილ, მაგრამ ძალიან საკმაოდ შელანძღულკაბიანი ქალი. მას შავი ნიღაბი ეკეთა, რომლის სათვალე ხვრელებიდანაც უცნოაურად ბრჭყვიალებდა მისი თვალები. წინ ქაღალდი, ქინძისთავი და ორიოდე ფლორინი[282] ედო. კრუპიე[283] რომ გამოაცხადებდა ფერსა და რიცხვს, იგი დიდი გულმოდგინებითა და სიბეჯითით ქაღალდზე ქინძისთავით აღნიშნავდა და მხოლოდ მაშინ ბედავდა ფულის დადებას ფერებზე, როცა ჭითლის ან შავის გამოჩენა გარკვეულ რიცხვს შეადგენდა. ქალის ქცევა უცნაურად მოეჩვენებოდა ადამიანს.

მაგრამ, მიუხედავად მისი გულმოდგინებიდა და ბეჯითობისა, მაინც შეცდომას უშვებდა გამოცნობაში და მისი უკანასკნელი ოტი ფლრინიც ზედიზედ მიიხვეტა ნიჩბით კრუპიემ, რომელიც ულმობელი ხმით იძახოდა მოგებულ ფერსა და რიცხვს. ქალმა ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა, რომლებიც ისედაც საკმაოდ ამოყრილი ჰქონდა სამოსიდან, ქაღალდი ქინძისთავით მიალურსმა მაგიდას და ერთ ხანს თითებსაც ათამაშებდა ზედ. მერე ირგვლივ მიმოიხედა და ამ სურათის მაყურებელი ჯორჯის პატიოსან სახეს მოჰკრა თვალი. პატარა ყალთაბანდი! რა უნდა აქ მას?

ბიჭი რომ დაინახა, ბრჭყვიალა თვალები დააშტერა და გადაულაპარაკა: - Monsieur n’est pas joueur?[284]

- Non, Madame[285], - მიუგო ბიჭმა; მაგრამ ქალი გამოთქმაზე მიუხვდა, სადაურიც იყო, რადგან უკვე ინგლისურად, ოღონდ ცოტა უცნაური კილოთი უთხრა: - თქვენ ჯერ არსოდეს გითამაშიათ - ეგებ მცირე პატივი დამდოთ!

- რა ამბავია? - თქვა ჯორჯიმ და კვლავ შეუფაკლდა ლოყები.

ბატონი კირში თავის მხრივ უკვე ჩაბმულიყო rouge et noir-ს[286] თამაშში და აღარც ახსოვდა თავისი ბატონიშვილი.

- ჩემს მაგიერ ითამაშეთ, გეთაყვა; რომელ რიცხვზე, რომელ რიცხვზედაც გინდათ, იმაზე დადეთ!

ქალმა უბიდან ამოიღო ქისა და იქიდან კი - ერთი ოქრო, იმაში მდებარე ერთადერთი მონეტა, და ხელში ჩაუდო ჯორჯის. ბიჭუნამ გაიცინა და როგორც უთხრეს, ისე მოიქცა.

ნომერს მაღტლაც მოხვდა. ამბობენ, ახალგაზრდებს პირველად რაღაც ძალა უწყობს ხელსო.

- გმადლობ, - უთხრა ქალმა და მიიხვეტა ფული. - გმადლობ! რა გქვიათ?

- ოსბორნი ვარ, - მოახსენა ჯორჯიმ, თან ჯიბეში თავის ფულებს ატრიალებდა ხელით და, ის-ის იყო, ცდას აპირებდა, რომ მთავრის კარის წვეულებიდან მომავალი, მუნდირში გამოწყობილი მაიორი და მარკიზად მორთული ჯოზი გამოჩნდნენ. სხვებმა, რომელთაც თავი შეაწყინა მთავრის წვეულების ტუტუცურმა გასართობებმა, ქალაქის საბჭოს დროსტარება ამჯობინეს და სასახლის ბალი კიდევ უფრო ადრე მიატოვეს. მაგრამ, ეტყობა, მაიორმა და ჯოზმა შენ შეიარეს და ბიჭი იქ ვერ ნახეს, რადგან მაიორი ჯიქურ მივიდა მასთან, ხელი მოჰკიდა მხარში და სასწრაფოდ მოაშორა ცდუნების ადგილს.

მერე გარშემო მიმოიხედა ოთახში, როგორც მოგახსენეთ, თამაშში გართულ კირშს მოჰკრა თვალი, მივიდა მასთან და უთხრა, როგორ გაბედე ბატონი ჯორჯი ასეთ ადგილას შემოყვანაო.

- Laissez-moi tranquille, - მიუგო თამაშითა და ღვინით ფრიად აღგზნებულმა ბატონმა კირშმა. - Il faut s’amuser, parbleu. Je ne suis pas au service de monsieur![287]

რაკი შეატყო რა ყოფაშიც ბრძანდებოდა, მაიორმა აღარ მოინდომა მასთან კამათი - დაკმაყოფილდა ჯორჯის წაყვანით და ჯოზსაც ჰკითხა, წამოხვალ თუ არაო. ჯოზი ნიღბიანი მანდილოსნის ახლოს იდგა, რომელიც ახლა ფრიად იღბლიანად თამაშობდა, და დიდის გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს თამაშს.

- არ გირჩევნია, ჯორჯისა და ჩემთან ერთად წამოხვიდე, ჯოზ? - უთხრა მაიორმა.

- დავრჩები და იმ არამზედა კირშთან ერთად მოვალ სახლში, -

უპასუხა ჯოზმა და ბავშვთან უცხო საგანზე მსჯელობის რიდით დობინმაც სიტყვა აღარ შეუბრუნა ჯოზს, თავი დაანება და ჯორჯისთან ერთად გაუდგა გზას.

- ითამაშე? - ჩაეკითხა მაიორი, როცა გარეთ გამოვიდნენ და გზას დაადგნენ.

- არა, უპასუხა ბიჭმა.

- ვაჟკაცის პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ არც არასოდეს ითამაშებ!

- რატომ? - მიუგო ბიჭუნამ. - ძალიან კარგი გასართობი ჩანს?

და მაიორმა ფრიად ენაწყლიანად და მჭევრმეტყველურად დაუმტკიცა, რატომ არ უნდა ეთამაშა. შეგონებანი ჯორჯის საკუთარი მამის მაგალითითაც შეეძლო შეემაგრებინა, მაგრამ არ უნდოდა ისეთი რამ ეთქვა, რაც ჩრდილს მიაყენებდა მეგობრის ხსოვნას. ბავშვი რომ დააბინავა, თვითონაც გაემართა დასაწოლად და დაინახა, ემილიას გვერდით მის პატარა ოთახში როგორ ჩაქრა უცბად სინათლე. ემილიას კი ნახევარ საათს კიდევ ენთო შუქი. არ ვიცი, ყოველივე ამას რატომ აღნუსხავდა მაიორი ასეთი სიბეჯითით.

ჯოზი კი დარჩა სათამაშო მაგიდასთან. ყომარბაზი არ გახლდათ, მაგრამ ხანდახან არც თუ ერიდებოდა თამაშის ცოტაოდენ თავის შეყოლებას. სადარბაზო ჟილეტის მოქარგულ ჯიბეებში რამდენიმე ნაპოლეონდორი[288] უჩხრილებდა. მის წინ მჯდომი პატარა მოთამაშე დედაკაცის თათრ მხარს იქით გადააწვდინა ხელი, ერთი მონეტა დასვა და მოიგო კიდეც. ქალი ცოტა მიიწია, რათა გვერდით მისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა და თავისი სამოსის კალთაც მოაშორა იქვე მდგარ ცარიელ სკამს.

- დაბრძანდით და ბედსა მწიეთ, - უთხრა მან კვლავ უცხო კილოთი, რომელიც განსხვავდებოდა იმ წრფელი და სრულყოფილი ინგლისური „გმადლობისაგან“, რომლითაც მიმართ მის სასარგებლოდ გაკეთებული სვლის გამო ჯორჯის. ზორბა დარბაისელმა მიიხედ-მოიხედა, ვინმე წარჩინებული ხომ არ მიყურებსო, ჩამოჯდა და წაიბურტყუნა: - ოჰ, მართლაც აბა, უფალო შემიწყალე! ძალიან ბედნიერი ხელი მაქვს - დარწმუნებული ვარ, თქვენც ბედსა გწევთ! - და მოაყოლა ქათინაურები და აბდაუბდა.

- ბევრსა თამაშობთ? - ჯკითხა უცხო ნიღაბმა.

- ერთ-ორ ნაპოლეონდორს ჩამოვკრავ ხოლმე, - ბრძანა ჯოზმა გულზვავი იერით და ერთი ოქრო დააგდო.

- დიახ, ისე როგორც ნასადილევს თავს ჩამოჰკრავთ ხოლმე, - ჩაულაპარაკა ნიღაბმა მზაკვრულად. მაგრამ ჯოზს რომ დაფრთხობა შეატყო, თავისი ლაზათიანი ფრანგული კილოთი განაგრძო: - თქვენ მოსაგებად არ თამაშობთ. არც მე! თავდავიწყებისთვის ვთამაშობ, მაგრამ ვერა და ვერ მომიხერხებია. ვერ მომიხერხებია, ძველი დროების დავიწყება, ბატონო ჩემო. თქვენი პატარა დისწული პირწავარდნილი მამამისია და თქვენ... თქვენ კი სულაც არ შეცვლილხართ!.. მაგრამ დიახ, თქვენც შეიცვალეთ. ყველა იცვლება, ყველა ივიწყებს, არავის მოეპოვება გული!

- ღმერთო ჩემო, ვინ უნდა იყოს? - შესძახა ათრთოლებულმა ჯოზმა.

- ვერა მცნობთ, ჯოზეფ სედლი? - უთხრა სევდიანი ხმით პატარა დედაკაცმა, მოიხსნა ნიღაბი და ისე დააშტერდა მას. - სულ დაგავიწყდით?

- ღმერთო შემიწყალე! ქალბატონო კროული! - ძლივს მოითქვა სული ჯოზმა.

- რებეკა! - თქვა მისმა მოსაუბრემ და ხელი ხელზე დაადო, თან მთელი ამ საუბრის განმავლობაში კვლავ თვალყურს ადევნებდა თამაშს.

- მე სასტუმრო „სპილოში“ ვდგავარ, - განაგრძო ქალმა. - მადამ დე როდონი იკითხეთ. დღეს ჩემს ძვირფას ემილიას მოვკარი თვალი - რა ტურფად გამოიყურება, რა ბედნიერია! თქვენც აგრეთვე! ყველა ბედნიერია, ჩემს გარდა. მარტო მე ვარ დაჩაგრული, ჯოზეფ სედლი!

და ამ სიტყვებოთ თავისი ფული წითლიდან შავზე გადაიტანა, თითქოს ხელის უნებური მოძრაობით, თან მაქმანშემოგლეჯილი ცხვირსახოცით მოწირპლულ თვალებს იწმენდდა.

კვლავ წითელი გამოვიდა და მთელი დასმული ფული წააგო.

- წავიდეთ, - თქვა მან. - ცოტა გავიაროთ... ჩვენ ხომ ძველი

მეგობრები ვართ!.. განა არა ვართ, ძვირფასო ბატონო სედლი?

და რაკი ამასობაში ბატონმა კირშმაც სულ წააგო თავისი ფული, ისიც გამოჰყვა თავის ბატონს მთვარიანში, სადაც ილუმინაციები ბჟუტავდა და ჩვენს საელჩოზე ძლივს განირჩეოდა ტრანსპარანტი.

თავი LXIV - ხეტიალის ამბავი

ჩვენ ისეთი სისათუთითა და რიდით უნდა ავუაროთ გვერდი ქალბატონ კროულის ბიოგრაფიის ერთ ნაწილს, როგორც ამას საზოგადოება მოითხოვს, ზნედაცემული საზოგადოება, რომელსაც იქნებ განსაკუთრებით არც არაფერი ჰქონდეს ბიწიერების საწინააღმდეგო, მაგრამ თავისი საკუთარი სახელით ბიწიერების ხსენება კი მასში დაუძლეველ, ამაზრზენ ზიზღს იწვევს. ამაოების ბაზარში ბევრ ისეთ რამეს ჩავდივართ და ბევრი რამ ჩინებულადაც ვიცით ისეთი, რომელთა შესახებ არასოდეს არას ვამბობთ - როგორც არიმანის[289] თაყვანისმცემელნი იქცევიან, ეშმაკს რომ ეთაყვანებიან და ხსენებით კი არ იხსენებენ. თავაზიანი საზოგადოება ისევე ვერ აიტანს ბიწიერების ნამდვილი დახასიათების წაკითხვას, როგორც ჭეშმარიტტად ნატიფი გაზრდილობის ინგლისელი ანდა ამერიკელი მანდილოსანი ვერ მოითმენს მისი უნბიწო ყურის გასაგონად ნიფხვის ხსენებას. და მაინც, ქალბატონო, ყოველ ცისმარე დღეს გვხვდება იგი ამ წუთისოფელში და სულაც არ გვეჩოთირება. ყოველ მის დანახვაზე რომ წითლდებოდეთ, მაშინ რაღა პირისფერი გექნებოდათ! მხოლოდ როცა მათი უხამსი სახელი იხსენება, მაშინა აქვს საბაბი თქვენს კდემამოსილებას, გამოამჟღავნოს შეშფოთება და შეურაცხყოფის გრძნობა.ამიტომ, მწერლის სურვილი გახლდაღ, მთელ ამ მოთხრობაში მოწიწებით დამორჩილებოდა ამჟამად გაბატონებულ მოდას და მხოლოდ მსუნუქად, მოხდენილად და საამურად გადაეკრა სიტყვა ბოროტების არსებობაზე, რათა არავისი ნატიფი გრძნობანი არ შეელეხა. აბა თუ ვინმეს შეუძლია თქვას, რომ ჩვენი ბეკი, რომელსაც მართლაც მოეპოვება ცოტაოდენი მანკი, საზოგადოებისათვის

სრულიად თავაზიანიდა უწყინარი სახით არ წარმოგვედგინოს. ამ სირინოზის სიმღერისა და ღიმილის, მლიქვნელობისა და მზაკვრობის აღწერის დროს ავტორი მორიდებული სიამაყის გრძნობით ეკითხება ყველა თავის მკითხველს - განა მას ოდესმე დაუვიწყებია თავაზიანობის კანონი და ურჩხულის საზარელი კუდი წყლის პირას გამოუჩენია? არა! ვისაც ნებავს, შეუძლია ფრიად გამჭირვალე ტალღებში თვითონვე ჩაიჭყიტოს და დაინახოს ის კუდი როგორ იხაკნ-იგრიხებოდა, ჯოჯოხეთურად ამაზრზენი და ლორწოიანი, ძვლებს შორის რომ ტყლაშუნობს ანდა გვამებს რომ ეხვევა გარშემო. მაგრამ წყლის ზედაპირზე, მეთქვენ გეკითხებით, განა ყველაფერი წესიერად, საამოდ და მოხდენილად არ იყო წარმოდგენილი და განა ამაოების ბაზრის ყველაზე უფრო ჭირვეულ, აზიზ მორალისტსაც კი უფლება ექნება „ფუჰ!“ შესძახოს? ოღონდ როცა სირინოზი უჩინარდება და ჩაყვინთავს ძირს მკვდრებში, წყალი, რა თქმა უნდა, იმღვრევა მის თავზე და ამაოდ დაშვრება ადამიანი იქ რაიმეს გამოცნობაში. სირინოზები საკმაპდ კოხტანი არიან კლდეზე რომ წამოსკუპებულან, ქნარებს რომ ახმიანებენ,თმას ივარცხნიან, მღერიან და ხელს გიქნევენ, მოდი და სარკე დამიჭირეო. მაგრამ ოდეს თავიანთ მშობლიურ სტიქიაში ჩაიყურყუმელავებენ, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ის ალები კარგს არას ჩაიდენენ და სჯობს ნურც დავუკვირდეთ ზღვის ამ ეშმაკეულ კაციჭამიებს, რომლებიც ღრეობენ და ქეიფობენ თავიანთ საცოდავ დამწნილებულ მსხვერპლებზე. ამრიგად, როცა ბეკი არ ჩანს, გჯეროდეთ, რომ განსაკუთრებით კარგ რაიმე საქმესთან ხელი არ ექნება, და რომ რაც უფრო ნაკლებს ვიტყვით მის ნამოქმედარზე, ნამდვილად უკეთესი იქნება.

ჩვენ რომ სრულად აგვეწერა ბეკის თავგადასავალი იმ ორიოდე წლის მანძილზე, რაც კერზონ-სტრიტის კატასტროფას მოჰყვა, ხალხს ერთგვარი მიზეზიმიეცემოდა ამ წიგნისათვის უხამსი ეწოდებინა. ამაოების ფრიად მოყვარე, უგულო, სიამოვნებათა მაძიებელი ადამიანების ქცევა ძალიან ხშირად უხამსია (ისევე როგორც ბევრი თქვენი ქცევაც, ჩემო დარბაისელო და უმწიკვლო სახელის მქონე მეგობარო - მაგრამ ეს მხოლოდ სხვათა შორის მოგახსენეთ) და აბა რაღა იქნებო ისეთი დიაცის ქცევა,რომელსაც არც რწმენა გააჩნია, არც სიყვარული, არც სახელი? ამიტომ, მე მგონია, ქალბატონი ბეკის ცხოვრებაში იყო ხანა, როცა იგი სინდისის ქენჯნამ არა, მაგრამ რაღაც

სასოწარკვეთილებამ კი შეიპყრო - სრულიად აიშვა თავი და აღარავითარ ყურადღებას არ აქცევდა, რა სახელი დაუვარდებოდა.

ეს abattement[290] და დაცემა ერთვაშად არ მომხდარა - იგი ნელ-ნელა განხორციელდა მისი უბედურობისა და თავის შეკავებისათვის ბევრი ჯახირის შემდეგ. ასე დაემართა, როგორც გემიდან გადავარნილ კაცს, რომელიც ხის ნამსხვრევს ეჭიდება, სანამ რაიმე იმედი კიდევ ღვივის, ხოლო როცა დარწმუნდება, ცდა უკვე ამაოაო, მოისვრის იმასაც და წავა ფსკერისაკენ.

ვიდრე ქმარი თავის საგუბერნატოროში გასამგზავრებლად ემზადებოდა, ბეკი ლონდონში ითრევდა ფეხს, და, როგორც ამბობენ, არა ერთხელ სცადა თავისი მაზლის, სერ პიტ კროულის, ხილვა, რათა ემოქმედა მის გრძნობებზე, რომელნიც თითქმის უკვე თავის მხარეს გადმობირული ეგულებოდა.ერთხელ სერ პიტი და ბატონი უენჰემი რომ მიბრძანდებოდნენ თემთა პალატაში, უკანასკნელმა თვალი მოჰკრა შავვუალიან ქალბატონ კროულის, რომელიც კანონმდებლობის სასახესთან ატუზულიყო. თვალებში რომ თვალი გაუყარა უენჰემს, ქალი მყის გაიძურწა და მართლაც მერე ვეღარასოდეს მოახერხა ბარონეტის ხელში ჩაგდება.

ალბათ ლეფი ჯეინიც გადაეღობა მას წინ. გავიგემ რომ მან სრულიად განაცვიფრა ქმარი იმ სიფიცხით, რომელიც გამოიჩინა ამ ჭიდილში და აგრეთვე ქალბატონ ბეკისთან ურთიერთობაზე მთლიანად ხელის აღებაზე. საკუთარი გულის კარნახით მოიპატიჟა როუდონი, რომ კოვენტრის კუნძულზე გამგზავრებამდე ჰანტსტრიტში დაბინავებულიყო, რადგან იცოდა, ამისთანა გუშაგის წინაშე ქალბატონი ბეკი ვეღარ გაბედავდა მის კარში შემოჭრას. ამასთანავე იგი გულმოდგინედ სინჯავდა სერ პიტის სახელზე მოსული ყოველი კონვერტის წარწერებს, რომ მის ქმარსა და რძალს ერთმანეთში მიწერ-მოწერა არ გაებათ. რებეკას რომ მოენდომებინა, შეეძლო მიეწერა. მაგრამ აღარ უცდია ენახა ანდა მიეწერა სერ პიტისთვის საკუთარ სახლში - ერთი-ორი ცდის შემდგომ დათანხმდა მოთხოვნას, რომ მისი საოჯახო დავის შესახებ მთელი მიწერ-მოწერა მხოლოდ ვექილების მეშვეობით ეწარმოებინა.

საქმე ის გახლავთ, რომ პიტს მოშხამული ჰქონდა გული

მისსაწინააღმდეგოდ. ლორდ სტაინს ის ამბავი რომშეემთხვა, მცირე ხნის შემდგომ უენჰემი ეახლა ბარონეტს და ქალბატონი ბეკის ისეთი ბიოგრაფია ჩაუკაკლა, დედოფლის კროულის დეპუტატი სახტად დარჩა. მან ყველაფერი იცოდა: ვინ იყო მამამისი, რომელ წელს ცეკვავდა მისი დედა ოპერაში, რა თავგადასავალი გადახდომა ადრე და როგორ იქცეოდა დაქორწინების შემდგომ. რაკი ეჭვი არ მეპარება, მისი ნაამბობის უდიდესი ნაწილი ტყუილი იყო და მხოლოდ ბოროტი განსაზღვრით მოეჩმახა, აქ აღარ გავიმეორებთ, მაგრამ ბეკის კი ფრიად და ფრიად გაუტყდა სახელი მემამულისა და მისი ნათესავის თვალში, რომელიც ოდესმე ერთგვარ გულკეთილობას იჩენდა მისდამი.

კოვენტრის კუნძულის გუბერნატორის ჯამაგირი დიდი არ გახლავთ. ნაწილს მისი აღმატებულება ზოგიერთი გადაუდებელი ვალისა და სესხის გასასტუმრებლად დებდა. მისი მაღალი მდგომარეობაც საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვდა. ამიტომ დაბოლოს, აღმოჩნდა, რომ თავის ცოლს წელიწადში სამას გირვანქაზე მეტ თანხას ვერ გადაუნარჩუნებდა, რომელიც იმ პირობით შესთავაზა, თუ მას შემდგომში აღარასოდეს შეაწუხებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას სკანდალი განქორწინება და სასამართლოში თრევა მოჰყვებოდა. მაგრამ ბატონი უენჰემის, ლორდ სტაინის, როუდონის და ყველას ინტერესი გახლდათ, ინგლისიდან როგორმე მოეშორებინათ ქალი და ჩაეფუჩეჩებინათ ეს ფრიად საჩოთირო საქმე.

ბეკი ალბათ ისე იყო გართული ქმრის ვექილებთან ამ საქმიანი საკითხების მოგვარებით, რომ დაავიწყდა, რაიმე ნაბიჯი გადაედგა თავისი ვაჟიშვილის, პატარა როუდონისაკენდა ერთხელაც არ მოჰგონებია, წასულიყო და მოენახულებინა მაინც. ეს ახალგაზრდა ვაჟბატონი ბიძა-ბიცოლის სრულ მზრუნველობაში გადავიდა, რომელთაგან ბიცოლა ყოველთვის დიდად საყვარელი ადამიანი გახლდათ ბავშვისათვის.

დედიკომ ინგლისი რომ დასტოვა, ბულონიდან კოხტა ბარათი გამოუგზავნა შვილს, რომელშიაც სთხოვდა, სწავლას ბეჯითად მოეკიდეო. ატყობინებდა კონტინენტზე სამოგზაუროდ წამოვედიო და მგზავრობის დროს კიდევ სიამოვნებით მოგწერ წერილებსო. მაგრამ მთელ ერთ წელიწადს ხმაც აღარ გაუცია და მანამდე არაფერი მოუწერია, სანამ სერ პიტის ერთადერთი ძე,

ყოველთვის მოავადე ბალღი, ყივანახველითა და წითელით არ გარდაიცვალა. როუდონის დედიკომ მხოლოდ მაშინ მოსწერა ფრიად გულთბილი წერილი თავის ძვირფას შვილიკოს, რომელიც ამ გარემოების წყალობით დედაფლის კროულის მიმკვიდრე გახდა და კიდევ უფრო დაუახლოვდა კეთილ მანდილოსანს, ვისმა სათნო გულმაც ითვისა იგი. როუდონ კროულის, მაშინ უკვე მაღალ, მოხდენილ ყმაწვილს, ღაწვები შეუფაკლდა ამ წერილის მიღების დროს.

- ოჰ, ბიცოლა ჯეინ, თქვენა ხართ ჩემი დედა და არა... არა ის ვიღაც! - თქვა მან.

ოღონდ მიწერით კი ალერსიანი და თავაზიანი წერილი მისწერა ქალბატონ რებეკას, რომელიც იმჟამად ფლორენციის ერთ-ერთ პანსიონში ბინადრობდა... მაგრამ წინ ვუსწრებთ ამბებს!

ჩვენი ძვირფასი რებეკა თავდაპირველად ძალიან შორსაც არ გადაფრენილა. იგი საფრანგეთის სანაპიროზე ჩამოსკუპდა ბულონში, რომელსაც ინგლისიდან გაძევებული ასე ბევრი უმანკო შეუფარებია. იქ საკმაოდ კეთილშობილი ქვრივის წესზე ცხოვრობდა პირისფარეშითურთ და სასტუმროს ორიოდე ოთახი ეჭირა. საერთო სუფრაზე სადილობდა, თანამეინახენი ძალიან სასიამოვნო ქალად თვლიდნენ და ისიც მათ თავისიმაზლის, სერ პიტისა, და დიდებული ლონდონელი ნაცნობების ამბებით შეაქცევდა. იგი იმ ფუქსავატურ, მოდურ აბდაუბდას როშავდა, რაც ასე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მდაბიო ხალხზე. ბევრ მათგანს დიდმნიშვნელოვანი პიროვნება ეგონა. საკუთარ ოთახში ჩაიზე პატიჟობდა ხოლმე მცირე საზოგადოებას და სარგებლობდა იქაური უმანკო დროსტარებებით - ზღვაში ბანაობდა, თავღია ეტლით დადიოდა, ქვიშიან სანაპიროზე სეირნობდა, წარმოდგენებს ესწრებოდა. ქალბატონი ბერჯოისი, მესტამბის მეუღლე, ზაფხულს ოჯახითურთ ამ ამ სასტუმროში რომ ატარებდა და რომელსაც თავისი ბერჯოისი შაბათ-კვირაობით ესტუმრებოდა, მომხიბლავ ადამიანად თვლიდა რებეკას მანამ, ვიდრე იმ თაღლითმა პატარა ბერჯოისმა ზომაზე მეტი ყურადღების მიქცევა არ დაუწყო მანდილოსანს. მაგრამ არაფერი კი არ იყო - ბეკი ყოველთვის ალერსიანი, მხიარული და გულკეთილი გახლდათ და მერე კაცებისადმი ხომ - განსაკუთრებით.

სეზონის დასასრულს ჩვეულებისამებრ ბევრი მიეშურებოდა უცხოეთში სამოგზაუროდ და ბეკის მრავალი შემთხვევა

ჰქონდა დარწმუნებულიყო დიდი ლონდონელი წარჩინებული ნაცნობების ქცევაზე, რა აზრისა ბრძანდებოდა „მაღალი საზოგადოება“ მის მიმართ. ერთ დღეს, მაგალითად, ლედი პარტლეტს და მის ქალიშვილებს შეეძჩეხა ბულონის ჯებირზე წყნარად სეირნობის დროს. ალბიონის[291] კლდეები ღრმა, ლურჯი ზღვის გაღმა შორს კიაფობდა, ლედი პარტლეტმა ქოლგის მოქნევით ირგვლივ შემოიკრიბა მთელი თავისი ქალიშვილები და მყის დატოვა ჯებირი, თან განრისხებით უბრიალებდა თვალებს საბრალო პატარა ბეკის, რომელიც ეულად დარჩა იქ.

სხვა დღეს საფოსტო გემი მოადგა ნაპირს. ქარი ქროდა და ბეკის ყოველთვის ართობდა მგზავრების გატანჯული, სასაცილო სახეების ხილვა, როცა ისინი გემიდან გადმოდიოდნენზღვის ღელვის გამოსვლის შემდგომ. იმ დღეს ლედი სლინგსტოუნიც აღმოჩნდა გემზე. მისი ბრწყინვალება ფრიად ცუდად გამხდარიყო გზაში, მისავათებულიყო და გემიდან ზლივს გადმოლასლასებდა ნავმისადგომზე. მაგრამ როგორც კი ალისფერბერეტიან, ცუღლუტურად მოღიმარ ბეკის მოჰკრა თვალი, მყის მიეცა ძალ-ღონე, და ისეთი ზიზღით გადახედა რებეკას, რომ ქალთა უმრავლესობას ასეთი შეხედვა ალბათ მიწასთან გაასწორებდა, და არავის დახმარება არ დასჭირვებია, ისე შებრძანდა საბაჟოში. ბეკის მხოლოდ გაეცინა, მაგრამ არა მგონია, მოსწონებოდა ეს ამბავი. გრძნობდა, მარტო იყო, სრულიად მარტო, და რომ ინგლისის შორეული, მოკიაფე კლდეები მიუწვდომელი იყო მისთვის.

კაცების ქცევასაც დაეტყო რაღაც უცნაური ცვლილება. გრინსტოუნი გაიღრიჭა და პირდაპირ პირში შესცინა ისე თავხედურად, რომ ვერაფერი სასიამოვნო გახლდათ. პატარა ბობ საკლინგი, რომელიც ქუდმოშვლეპილი დასდევდა მას სამი თვის წინათ და ერთ მილს გაირბენდა წვიმაში, რათა გონტ-ჰაუზთან მდგარ რიგში მისი კარეტა მოეძებნა, ერთ დღეს ნავმისადგომზე გვარდიელ ფიცურს (ლორდ ჰიჰოუს ვაჟს) ელაპარაკებოდა, როცა ბეკიმ გვერდით ჩაუარა. პატარა ბობიმ მხოლოდ მხარუკუღმა დაუკანტურა თავი, ქუდისთვის ხელიც არ უხლია და კვლავ განაგრძო მუსაიფი ჰიჰოუს მემკვიდრესთან. ტომ რეიკსმა სხადა, მის სასტუმრო ოთახში პირში სიგარაგაჩრილი შებრძანებულიყო. მაგრამ რებეკამ ცხვირწინ მიუხურა კარი და სულაც ჩაუკეტავდა, რომ ვაჟბატონს თითები არ მოჰყოლოდა შიგ. ქალი უკვე გრძნობდა,

რომ მართლაც მარტოდმარტო იყო. „ის რომ აქ იყოს, - ამბობდა იგი, - ეგ მხდალები ვეღარ გამიბედავდნენ შეურაცხყოფას“. „იმაზე“, მის პატიოსან, ყეყეჩურ, მარადიულ გულკეთილობასა და ერთგულებაზე დიდი გულისტკივილითა და იქნებ ნატვრითაც ფიქრობდა. აგონდებოდა მისი უცვლელი მორჩილება, მისი კეთილგანწყობილება, მისი ვაჟკაცობა და გაბედულობა. ფრიად შესაძლოა, მოიტირებდა კიდეც, რადგან განსაკუთრებით აღგზნებული ჩანდა და ცოტა ზედმეტი ფერ-უმარილიც წაესვა, როცა სასადილოდ ჩამოვიდა.

ახლა იგი უკვე ყოველთვის ბეჯითად იგლისებოდა ფერ-უმარილით და... და მის პირისფარეშს, გარდა სასტუმროს ანგარიშში აღნუსხულსა, სხვა კონიაკიც შემოჰქონდა ხოლმე მისთვის.

მაგრამ ზოგი კაცისაგან შეურაცხყოფა ისე აუტანელი მაინც არ იყო, როგორც ზოგიერთი დიაცის თანაგრძნობა. შვეიცარიას მიმავალმა ქალბატონმა კრეკენბერიმ და ქალბატონმა უოშინგტონ უაითმა ბულონს გამოიარეს (ეს საზოგადოება ბრძანდებოდა პოლკოვნიკ ჰორნბის, ახალგაზრდა ბიუმორისის და, რასაკვირველია, მოხუცი კრეკენბერისა და ქალბატონ უაითის პატარა გოგონას მფარველობის ქვეშ). ი ს ი ნ ი კი არ არიდებდნენ მას თავს! ისინი ხითხითებდნენ, ქირქილებდნენ, ფრუტუნებდნენ, რატრატებდნენ, თანაუგრძნობდნენ, ანუგეშებდნენ და მფარველობდნენ, ვიდრე სიმწრით კინაღამ არ გააგიჟეს საწყალი. „ამათი მფარველობაღა მაკლია!“ - გაიფიქრა მან, როცა ისინი ღრეჭითა და კოცნით გამოესალმენ. ბიუმორისის ხარხარიც გაიგონა, კიბეზე რომ ეშვებოდნენ, და ჩინებულად მიხვდა, რას ნიშნავდა ეს მხიარულება.

ამ სტუმრობის შემდეგ იყო, რომ ბეკი, რომელიც ყოველ კვირას ასწორებდა ანგარიშებს; ბეკი, რომელიც სასტუმროში ყველას ფიანდაზად ეგებოდა; რომელიც უღიმოდა სასტუმროს პატრონის მეუღლეს; ფარეშებს „მუსიოს“ ეძახდა და მოახლეებს თავაზიანობითა და ბოდიშებითეექცეოდა, რითაც ფრიადის გადაჭარბებით ანაზღაურებდა ცოტაოდენ ხელმოჭერილობას ფულის საქმეში (რასაც ვერასოდეს დააღწია თავი ბეკიმ) - ამ ბეკის, მოგახსენებთ, სასტუმროს პატრონმა აუწყა, ბინა დაცალეო. მისთვის ვიღაცას ეთქვა, ეს თქვენი სასტუმროსთვის შეუფერებელი პიროვნებაა და მაგას ინგლისელი მანდილოსნები სუფრაზე გვერდით არ

მოუსხდებიანო. ამიტომ რებეკა იძულებული გახლდათ, გადაბარგებულიყო ცალკე ბინაში, რომლის მოწყენილობა და განმარტოებულობა ფრიად აღონებდა.

მიუხედავად მარცხისა, ბეკი მაინც არ იტეხდა გულს, ცდილობდა კარგი სახელი დაემსახურებინა და გაებათილებინა ჭორები. დიდი გულმოდგინებით დადიოდა ეკლესიაში და ყველაზე უფრო ხმამაღლა ის გალობდა. ეხმარებოდა დაღუპულ მებადურების ქვრივ-ობლებს და ხელსაქნარსა და სურათებს უგზავნიდა კუაშიბუს მისიონს. ხელს აწერდა საქველმოქმედო შეკრებილებათა სასარგებლოდ, ოღონდ თვითონ არასოდეს ცეკვავდა. ერთი სიტყვით, იგი ყოვლად წესიერად და პატიოსნად იქცეოდა და ამიტომაა, რომ უფრო დიდი ხალისით ვყვებით მისი თავგადასავლის ამ ნაწილს, ვიდრე, მომდევნოს, რომელიც ვერაფერი საამო გახლავთ. ის ხედავდა, ხალხი რომ არიდებდა პირს და მაინც გულმოდგინედ უღიმოდა მათ. მისი გამომეტყველების მიხედვით ვერას გზით ვერ მიხვდებოდით, დამდაბლების რა ტკივილები შეიძლებოდა განეცადა გულში.

ბოლოს და ბოლოს, უცნაური იყო მისი ამბავი. ხალხი ორ ჯგუფად იყოფოდა. ერთნი, რომელნიც გაისარჯნენ და საქმეში ჩაიხედეს, ამბობდნენ, დამნაშავეაო; სხვანი იფიცავდნენ, ეგ კრავივით უმანკოა - სულ მისი საზიზღარი ქმრის ბრალიაო. ბეკიმსაკმაოდ ბევრის გული მოიგო თავის ბეჭიკოზე ცრემლის ღვრით და უნუგეშო, გიჟური მწუხარების გამომჟღავნებით, როცა ვინმე მის სახელს ახსენებდა ანდა მას თუ ვინმეს წაამგვანებდა. ამ გზით მოიგო, მაგალითად, ქალბატონ ოლდერნის გული, რომელიც თითქმის ბულონის ბრიტანელთა დედოფალი გახლდათ და იქაური რეზიდენტებიდან ყველზე მეტ სადილებსა და წვეულებებს მართავდა. ბეკის გული ამოუჯდა, როცა პატარა ოლდერნი დოქტორ სუიშტეილის სასწავლებლიდან არდადეგების გასატარებლად დედასთან დაბრუნდა.

- ეგ და ჩემი როუდონი ტოლები არიან და ისე ჰგვანან ერთმანეთს!.. - გამწარებით თქვა ბეკიმ; მაშინ როდესაც ბიჭების ასაკი ხუთი წლით განსხვავდებოდა ერთმანეთისადან და ისევე არა ჰგვანდნენ ერთმანეთს, როგორც ჩემი პატივცემული მკითხველი და მისი უმორჩილესი მონა.

უცხოეთში წამოსულმა უენჰემმა, კისინგენს მყოფ ლორდ სტაინთან შესახვედრად მიმავალმა, გზად რომ გამოირა, ამ

საკითხში გაანათლა ქალბატონი ოლდერნი და აუწყა, მე გაცილებით უკეთ შემიძლია პატარა როუდონის გარეგნობის აღწერა, ვიდრე მის დედიკოს, რომელსაც ჭირივით სძულს იგი და არც არასოდეს ნახულობსო. უთხრა, ის ცამეტი წლისა იყო, მაშინ როცა პატარა ოლდერნის ასაკი ცხრას არ აღემატებოდა; ქერა რომ იყო, მაშნ როცა მეორე თვალისჩინი შავგრემანი გახლდათ - ერთი სიტყვით, ბატონი უენჰემმა ხსენებულ მანდილოსანს ანანებინა თავისი გულკეთილობა.

როგორც კი ბეკი გაუგონარი ჯაფითა და წვალებით როგორმე შეამკობდა თავის გარშემო პატარა წრეს, გამოჩნდებოდა ვინმე, ერთი ხელის მოსმით გაუნადგურებდა ყველაფერს და მთელი საქმე კვლავ თავიდან უნდა დაეწყო. ძალიან ძნელი, ძალიან ძნელი იყო ასე მარტოდ დარჩენა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

გამოჩნდა ასევე ქალბატონი ნიუბრაიტი, რომელმაც მცირე ხანს შეივრდომა ბეკი. იგი მიიზიდა ბეკის გალობის სიტკბომ ეკლესიაში, მისმა ჯეროვანმა შეხედულებებმა სერიოზულ საგნებზე, რომელთა შესახებ ადრე, დედოფლის კროულიში, ქალბატონმა ბეკიმ საკმაო წვრთნა მიიღო - ის ხომ არა მარტო იღებდა წიგნაკებს, არამედ კიდეც კითხულობდა მათ. კერავდა ბამბაზიიზ კაბებს კუოშიბუს ქალებისათვის და ჩითის ჩაჩებს - ქოქუსის კუნძულელ ინდოელებისათვის; მოხატავდა პატარა ფარებს პაპისა და ებრაელების მოსაქცევად; ბატონ რაულზის თავმჯდომარეობით გამართულ სხდომაზე სამშაბათობით იჯდამ ხოლო ბატონ ჰაგლტონისაზე - ხუთშაბათობით; ორ საკვირაო წირვას ესწრებოდა ეკლესიაში, გარდა დარბის მიმდევარ[292] ბატონ ბოულერის ქადაგების მოსმენისა საღამოს - და ყოველი ეს სულ ამაოდ!

ქალბატონ ნიუბრაიტს შემთხვევა ჰქონდა, წერილი მიეწერა ლედი საუთდაუნისათვის ფიჯის კუნძულელთა ლითონის სათბურების ფონდის თაობაზე[293] (რადგან ორივე ეს მანდილოსანი ამ საუცხოო ქველმოქმედების აღმასრულებელი ქალთა კომიტეტის წევრი გახლდათ) და იქ მოიხსენია თავისი „ტკბილი მეგობარი“ ქალბატონი კროული. ამაზე ქვრივმა ბანოვანმა ისეთი წერილი აახლა ბეკის შესახებ, ისეთი დაწვრილებითი ცნობები, ნართაული თქმები, ფაქტები, ჭორები შეატყობინა და საერთოდ ისე დააფრთხო, რომ ქალბატონ ნიუბრაიტსა და ქალბატონ კროულის შორის ურთიერთობა

მყის გაწყდა და ტურის (სადაც ეს უბედურება დატრიალდა) მთელმა დარბაისლურმა საზოგადოებამ ასევე მსწრაფლ ჩამოიშორა ეს ცოდვილი. ვინც ინგლისელთა კოლონიებს იცნობს საზღვარგარეთ, იცის, რომ ჩვენ თან ვატარებთ ჩვენს ამპარტავნობას, აბებს, ცრურწმენებს, საწებლებს, კაიენურ პილპილს და სხვა ლარებს[294] და სადაც კი დავფუძნდებით, ჩვენს პატარა ბრიტანეთს ვქმნით.

ერთი კოლონიიდან მეორეში ბეკი უხალისოდ გადადიოდა - ბულონიდან დიეპს, დიეპიდან კანს, კანიდან ტურს და მთელი ძალღონით ცდილობდა პატიოსანი სახელი დაემსახურებინა; მაგრამ, ვაგლახ! - ყოველთვის, დღეს თუ ხვალ, ნამდვილი ჭკები აღმოაჩენდნენხოლმე და კინწისკვრით გამოაბუზარებდნენ გალიიდან.

ერთ ასეთ ადგილას ქალბატონი ჰუკ იგლზი დაუახლოვდა - უმწიკლო სახელისა და პორტმენ-სკვერზე სახლის მქონელი მანდილოსანი. იგი სასტუმროში იდგა დიეპს, სადაც ბეკიმ შეაფარა თავი და მათ ჯერ ზღვაზე გაიცნეს ერთმანეთი, სადაც ერთად ბანაოდნენ, შემდეგ კი - სასტუმროს საერთო სუფრაზე. ქალბატონ იგლზს გაგონილი ჰქონდა (და ვიღას არ ჰქონდა გაგონილი?) სტაინის საქმესთან დაკავშირებული ჭორი:მაგრამ ბეკისთან გამოლაპარაკების შემდგომ განაცხადა : ქალბატონი კროული ანგელოზია, მისი ქმარი კი მხეცია, ლორდ სტაინი უსინდისო ოხერია (როგორც ყველა იცოდა კიდეც) და ქალბატონ კროულის წინააღმდეგ აღძრული მთელი საქმე იმ სალახანა უენჰემის სამარცხვინო და ბოროტი შენათითხნიაო.

- სულ ცოტაოდენი ვაჟკაცობა რომ გქონდეთ, ბატონო იგლზ, სწორედ ყურებს დააგლეჯდით იმ არამზადას, როგორც კი კლუბში მოჰკრავდით თვალს! - მოახსენა მან თავის ქმარს.

მაგრამ იგლზმა მხოლოდ წყნარი, ხანშესული დარბაისელი ბრძანდებოდა, ქალბატონ იგლზის მეუღლე გახლდათ, გეოლოგია უყვარდა და სულაც არ იყო იმსიმაღლე, რომ ვინმეს ყურებს შესწვდომოდა.

მაშინ იგლზმა გაუწია მფარველობა ქალბატონ კროულის, გადაიყვანა საცხოვრებლად თავისთან პარიზის სახლში, წაეჩხუბა ელჩის მეუღლეს, რადგან მან არ მიიღო მისი პროტეჟე და რაც კი ქალის ძალ-ღონე შესწევდა, არ დაუშურებია, რათა ბეკი სათნოებისა და პატიოსანი სახელის გზას არ ასცდენოდა.

ბეკი პირველად ძალიან თავდაჭერილად და წესიერად იქცეოდა, მაგრამ ერთფეროვანი, სათნო ცხოვრება მალე ამოუვიდა ყელში. ყოველდღე ერთი დაიგივე მოწყენილობა სუფევდა - ერთი და იგივე უხალისობა და ფუფუნება, ერთი და იგივე ტუტუცური გასეირნება ბულონის ტყეში, ერთი და იგივე საზოგადოება საღამოებით, ბლეირის იგივე ქადაგება კვირა საღამოს - ერთი სიტყვით, ერთი და იგივე ოპერა იდგმებოდა კიდევ და კიდევ. ბეკი პირდაპირ კვდებოდა ილაჯგაწყვეტილობით, რომ, მისდა საბედნიეროდ, ახალგაზრდა ბატონი იგლზი ჩამობრძანდა კემბრიჯიდან, და დედამისმა რომ იხია,რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მისმა პატარა მეგობარმა, მყის გამოაბუზინა ბეკი სახლიდან.

მაშინ რებეკამ სცადა ოჯახურად ეცხოვრა თავის ერთ მეგობარ ქალთან ერთად; ოღონდ ამ გაერთიანებუკ ოჰახს უთანხმოება მოუვიდა და ველაბში ჩავარდა. მერე გადაწყვიტა პანსიონში დაბინავებულიყო და ერთხანს მადამ დე სენტ-ამურის სახელგანთქმულ სახლში ცხოვრობდა რიუ-როიალზე, პარიზში, სადაც იწყო თავისი მომხიბვლელობისა და მომჯადოებლობის გამოყენება მისი დიასახლისის სალონში დამავალ გაქუცულ დარდიმანდებსა და შელანძღულ ტურფებზე. ბეკის საზოგადოება უყვარდა და მართლაც ისევე არ შეეძლო უმისოდ სოცოცხლე, როგორც თრიაქის[295] მწეველს არ შეუძლია უთრიაქოდ გაძლება; ამიტომ იგი საკმაოდ ბედნიერად გრძნობდა თავს პანსიონში ყოფნის ხანაში.

- აქაური ქალები ისევე შემაქცევარნი არიან, როგორც მეიფეირში, - ეუბნებოდა ის შეხვედრილ ძველ ლონდონელ მეგობარს, - ოღონდ კაბები არც თუ ისე ახალი აქვთ. კაცები გაწმენდილ ხელთათმანებს ატარებენ და მართლაც დიდი ოხრები არიან, მაგრამ იმაზე უარესები მაინც არ იქნებიან, როგორც ჯეკ მავანი და მავანია, ანდა ტომ მავანი და მავანი. დიასახლისი ცოტა ვულგარულია, მაგრამ არა მგონია, ისე ვულჰარული იყოს, როგორიც არის ლედი... - და აქ წარჩინებული საზოგადოების ერთი ისეთი დიდი მესვეურუ დაასახელა, რომ სასკვდილოდ დავდებ თავს და გამხელით კი ვერ გავამხელ. მართლაც,რომ დაგენახათ ღამის მადამ დე სენტ-ამურის გაჩახჩახებული ოთახები, ეკარტეს მაგიდებს მიმსხდარი, ორდენების ვარსკვლავებითა და ბაფთებით მკერდდამშვენებული ვაჟკაცები, და - ცოტა შორი მანძილიდან - ქალები, თქვენი თავი, შეიძლებოდა, ერთ ხანს ჭეშმარიტად

დიდებულ საზოგადოებაში გგონებოდათ და ქალბატონიც ნამდვილ გრაფის მეუღლედ მიგეჩნიათ. ბევრს მართლაც ასე ეგონა და ბეკი მცირე ხანს გრაფის მეუღლის სალონის ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი ბანოვანი გახლდათ.

მაგრამ ალბათ 1815 წლის დრინდელმა მევალეებმა მოაგნეს და აიძულეს პარიზი დაეტოვებინა, რადგან საბრალო პატარა დედაკაცი იძულებული გახდა, ცოტა არ იყოს, ანაზდად გადახვეწილიყო ამ ქალაქიდან და იქიდან ბრიუსელს მიაშურა.

რა კარგად ახსოვდა ეს ადგილები! გაეღიმა, როცა იმ პატარა ანტრესოლს შეავლო თვალი, რომელშიაც ბინადრობდა და მოაგონდა ბეირაკრზის ოჯახი, ცხენების შოვნისათვის რომ ყვიროდნენ, გაქცევა რომ უნდოდათ და მათი კარეტა რომ გაკვეხებული იყო სასტუმროს ჭიშკარში. ბეკი ეწვია ვატერლოოსა და ლეკენს, სადაც ჯორჯ ოსბორნის ძეგლის ნახვა მოხვდა გულში; მერე მისი პატარა სურათიც დახატა.

- საწყალი კუპიდონი! - ჩაილაპარაკა მან. - რა საშინლად ვუყვარდი და რა ტუტუცი ვინმე კი იყო! ნატავი პატარა ემილია თუ ცოცხალია! კარგი პატარა ცუგრუმელაა; მერე, კიდევ ის ღიპიანი ძამიკო! იმ გაბერილის სასაცილო სურათი ახლაც სადღაც ქაღალდებში მიგდია. კეთილი, უბრალო ადამიანები იყვნენ!

ბრიუსელში ბეკი მადამ დე სანტ-ამურის სარეკომენდაციო ბარათით ჩამოვიდა მის მეგობარ სახელოვან გრაფ დე ბოროდინოს მეუღლესთან, ნაპოლეონის გენერლის ქვრივთან, რომელიც სრულიად უსახსროდ დატოვა განსვენებულმა გმირმა და მხოლოდ საერთო სუფრითა და ეკარტეს მაგიდგითთუ ირჩენდა თავს. მეორეხარისხოვანი დარდიმანდები და roués,[296] ქვრივი ქალები გულუბრყვილო ინგლისელები, რომელთაც წაროედგინათ, „კონტინენტის წარჩინებული საზოგადოება“ ტრიალებს ამსახლშიო, - ესენი ჩამოდიოდნენ ფულს ანდა იკვებებოდნენ მადამ დე ბოროდინოს მაგიდებზე. საერთო სუფრაზე თავაზიანი ყმაწვილკაცები შამპანურით უმასპინძლდებოდნენ საზოგადოებას, სეირნობდნენ ქალებთან ერთად ანდა ქირაობდნენ ცხენებს ქალაქგარე ექსკურსიებისათვის. შეგროვებული ფულით იღებდნენ ლოჟებს თეატრებსა და ოპერაში, ეკარტეს მაგიდებთან მანდილოსნების ტურფა ბეჭებზე გადახრილნი დებდნენ სანაძლეოებს და შინ,

დევონშირში, მშობლებს სწერდნენ, უცხოურ მაღალ საზოგადოებაში ბედნიერად შევდგით ფეხიო.

აქაც, ისევე როგორც პარიზში, ბეკი დედოფალი ბრძანდებოდა და ხელმწიფობდა პანსიონის რჩეულ საზოგადოებაში. იგი არასოდეს უარს არ ამბობდა არც შამპანურზე, არც თაიგულწბზე, არც ქალაქგარეთ გასეირნებაზე, არც ლოჟებზე; მაგრამ ყველაზე უფრო ეკარტეს ამჯობინებდა საღამოებით და გაბედულადაც თამაშობდა. თავდაპირველად მხოლოდ ცოტაზე თამაშობდა, შემდეგ ხუთფრანკიანებზე გადავიდა, მერე - მაპოლეონდორებზე, ბოლოს კი - საბანკო ბილეთებზეც. მერე პანსიონში შენახვის ყოველთვიური ქირის გადახდა ვერ შესძლო; მერე ახალგაზრდა ვაჟბატონებს დაესესხა; მერე კვლავ დაფულიანდა და აგდებით დაუწყო მოპყრობა მადამ დე ბოროდინოს, რომელსაც წინათ ეპირფერებოდა და ექლესებოდა; მერე მხოლოდ ათ-ათი სუთიღა[297] თამაშობდა და სასტიკ სიღატაკეში ჩავარდა; მერე ქმრისაგან დანიშნული წლიური ჯამაგირის მეითხედმა მოუსწრო და მადამ დე ბოროდინოსაც გაუსწორა ანგარიში და ერთხელ კიდევ მოჰკიდა ხელი ბანქოს ქაღალდს მუსიო დე როსინიოლისა ანდა შევალიე დე რაფის წინააღმდეგ.

როცა ბეკი ბრიუსელიდან გაემგზავრა, სამწუხარო ჭეშმარიტება გახლავთ ის, რომ მადამ დე ბოროდინოსთვის გადასახდელი სამი თვის ქირაც თან გაიყოლა. ამ ამბავმა და აზარტული თამაშის, სმის, ღირს მამა ბატონი მაფის, ანგლიკანი მღვდლის, წინაშე მუხლმოყრისა და მისგან ფულის სესხების, აგრეთვე მილორდ ნუდლის, სერ ნუდლის ძის, ღირს მამა ბატონი მაფის მოწაფის, ლაციცისა და არშიყობის შესახებ, რომელიც თავის ოთახში შეჰყავდა და რომელსაც ბლომად ფულს უდებდა ეკარტეში - ყოველივე ამას და ორიოდე მისი სხვა არამზადობის ამბავს, მოახსენებს ხოლმე მადამ დე ბოროდინო ყოველ ინგლისელს, რომელიც კი გადააბიჯებს მის სახლის ზღურბლს, და აუწყებს, მადამ როუდონი ნამდვილი ჭრელი გველიაო.

ჩვენი პატარა ბოგანო ასე დადიოდა და შლიდა თავის კარავს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში, მოუსვენარი, ვითარცა ულიქსი ანდა ბემფილდ მურ კარიუ. უფრო და უფრო დასძალა უწესრიგო ცხოვრებისაკენ მიდრეკილებამ. მალე ნამდვილი ბოჰემა გახდა და ისეთ ხალხში გაერია, რომელთა შეზვედრაც კი თმას ყალყზე დაგიყენებდათ.

არ მოიძევება ევროპაში ოდნავ შესამჩნევი ქალაქი, რომ იქ ინგლისელი ნაძირალების პატარა კოლონია მაინც არ მოიპოვებოდეს. ეს ის ხალხი გახლავთ, რომელთა სახელებს ბატონი ჯემპი, სასამართლოს მოხელე, ჟამდაჟამ კითხულობს ხოლმე შერიფის დარბაზში. ისინი ძალიან ხშირად ფრიად კარგი ოჯახიშვილი ახალგაზრდა ვაჟბატონები არიან, ოღონდ ოჯახები კი აღარ სხნობენ მათ. ხშირი სტუმრები ბრძანდებიან საბილიარდოებისა და ყავახანებისა, მფარველობას უწევენ უცხოურ დოღებსა და სათამაშო მაგიდებს. ავსებენ მოვალეთა სატუსაღოებს, ლოთობენ და დაიბღინძებიან, ჩხუბობენ და კინკლაობენ. ნახარჯის გაუსტუმრებლად იპარებიან, დუელებს მართავენ ფრანგ და გერმანელ ოფიცრებთან, ეკარტეში ფცქვნიან ბატონ სპუნის, შოულობენ ფულს და დიდებული ეტლებით მიემგზავრებიანბადენს, სცდიან წაგებული თანხის გაორმაგებით დასმის უტყუარ ხერხს და ჯიბეცარიელნი დაძრწიან სათამაშო მაგიდების ირგვლივ - სანამ ეს გაქუცული შფოთისთავები და ჯიბეგაფხეკილი დარდიმანდები ებრაელ ბანკირს არ შეატყუებენ ყალბ თამასუქს, ანდა სხვა ვინმე ბატონ სპუნის არ გაძარცვავენ. ხან ბრწყინვალე და ხან საცოდავი ცხოვრება, რომელსაც ეს ხალხი ატარებს, ძალიან უცნაური სანახავია. მათი ცხოვრება ერთი მთლიანი დიდი აღგზნება უნდა იყოს. ბეკიმ, უნდა ვაღიაროთ, ასეთ ცხოვრებას მიჰყო ხელი და არც თუ უხალისოდ. იგი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა ამ ბოჰემური ცხოვრების მიმდევრებთან ერთად. იღბლიანი ქალბატონი ტოუდონი გერმანიის ყველა სათამაშო მაგიდასთან გახლდათ ცნობილი. იმას და მადამ დე კრუშკასეს ერთად ეჭირათ სახლი ფლორენციაში. ამბობდნენ, მას მიუნხენიდან გასახლება უბრძანესო, ხოლო ჩემი მეგობარი ბატონი ფრედერიკ პიჯინი ამტკიცებს, სწორედ მის სახლში, ლაზანაში გამომაბრუშეს ვახშმად და რვაასი გირვანქა სტერლინგი წამაგებინეს მაიორ ლოდერთან და პატივცემულ ბატონ დიუსისთანო. იძულებულნი გახლავართ, როგორც ხედავთ, ბეკის ბიოგრაფიის ნაწილი მაინც მოგითხროთ; მაგრამ მისი ცხოვრების ამ ხანაზე რაც უფრო ნაკლებს ვიტყვით, ალბათ ის ემჯობინება.

ამბობენ, როცა ქალბატონ კროულის განსაკუთრებით უღალატებდა ბედი, აქა-იქ კონცერტებსა მართავდა და მუსიკასაც ასწავლიდაო. ვინმე მადამ დე როდონს მართლაც ჰქონდა ვილდბადში matinée musicale[298] ჰერ შპოფის, ვალახიის

ჰოსპოდარის პირველი პიანისტის, აკომპანემენტით. ყველას მცნობი და ყველგან ნამყოფი ჩემი პატარა მეგობარი ბატონი ივზი კი ყოველთვის აცხადებდა, 1830 წელს ჩემს სტრასბურგს ყოფნაში, ვინმე მადამ რებეკა გამოვიდა ოპერაში - „Dame Blanche”[299] - და გაშმაგებული ალიაქოთი გამოიწვია მთელ თეატრშიო. იგი სტვენით ჩამოაგდეს მაყურებლებმა სცენიდან, ნაწილობრივ მისი,როგორც მომღერლის უვარგისობის გამო, უმთავრესად კი პარტერში მჯდომი ზოგიერთი პიროვნებისაგან უთავბოლო სიმპატიის გამოჩენის წყალობით (ეს ადგილები გარნიზონის ოფიცრებს ეკავად!) და ივზი დარწმუნებული გახლდათ, რომ ხსენებული ბედკრული დებიუტანტი სწორედ ქალბატონი კროული ბრძანდებოდა.

ბეკი მართლაც მაწანწალად იქცა, როცა ფულს იშოვიდა, თამაშობდა, როცა მას თამაშში გაფლანგავდა, უკვე თაღლითობით უნდა გაეტანა თავი და, ვინ იცის, როგორ და რანაირად ახერხებდა თავის რჩენას! ამბიბდნენ, ერთხელ სანკტ-პეტერბურგშიაც ნახესო, მაგრამ ამ სატახტო ქალაქიდან ისე სასწრაფოდ გამოუძევებია პოლიციას, რომ უკვე შეუძლებელია ვერწმუნოთ გადმოცემას, თითქოს იგი შემდგომში რუსეთის ჯაშუშად იყო ტემპლიცსა და ვენაში. ისიც კი მითხრეს, პარიზში თავისი ნათესავი იპოვია და მერე ისიც ნამდვილი ბებია დედის მხრიდან, რომელიც სულაც არ ყოფილა მონმორანსი, არამედ ბულვარების რომელიღაც თეატრის ლოჟების მეკარე ერთი საზიზღარი დედაბერი აღმოჩნდა. მათი შეხვედრა, რომლის ამბავიც იცოდა ზოგმა პიროვნებამ, ძალიან გულმხურვალე გამოდგა; ოღონდ ამ მოთხრობის მწერალს კი არ შეუძლია მის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობების მოწოდება.

ერთხელ რომში ისე მოხდა, რომ ქალბატონი დე როდონის ნახევარი წლის ჯამაგირი, ის-ის იყო, გადმორიცხული იქნა იქაურ მთავარ ბანკში და ვინაიდან, ვისაც ხუთას სკუდიზე[300] მეტი თანხა მოეპოვებოდა ანგარიშზე, ამ ბანკის პატრონი, სოვდაგართა უპირველესი, ბალებზე პატიჟობდა ზამთრობით, ბეკისაც წილად ხვდა პატივი მიეწვიათ და კედიც მიბრძანდა თავად პოლონიას და მისი მეუღლის ბრწყინვალე საღამოზე. თავადის მეუღლე გახლდათ პომპილის სახლიდან და პირდაპირი შთამომავალი იყო რომის მეორე მეფისა[301] და ეგერიასი, ოლიმპოსის სახლის წევრისა; ხოლო თავადის პაპა, ალესანდრო პოლონია, საპონს, სუნამოს, თამბაქოსა და

ცხვირსახოცებს ყიდდა, აქეთ-იქით ეგზავნებოდა ხოლმე ზოგ ვაჟბატონს და მცირეოდენი სარგებლით ავალებდა ფულებს. რომის მთელი მაღალი საზოგადოება ტრიალებდა მის სალონში - თავადები, მთავრები, ელჩები, არტისტები, მუსიკოსები, მაღალი მდგომარეობის სასულიერო პირნი, ნორჩი მოგზაურები თავიანთი გამზრდელებითურთ - ყოველი ხარისხისა და მდგომარეობის ხალხი. დარბაზები ელვარებდა შუქითა და დიდებული მოწყობილობით; ბრჭყვიალებდა მოოქრული ჩარჩოები (სურათებიანი) და საეჭვო სიძველენი. ყველგან - სახლის სახურავზე, კარებზე, კედლებზე და პაპებისა და იმპერატორების მისაღებად გამზადებულ ხავერდის დიდებულ გავალაკებზე - თავადის ვეება მოოქრული გვირგვინი და ღერბი ბრწყინავდა - ოქროს სოკო ალისფერ მინდორზე (ფერი იმ ცხვირსახოცებისა, რომელსაც იგი ყიდიდა) და პომპილის სახლის ვერცხლის შადრევანი.

ამრიგად, ბეკი, რომელიც დილიჟანსით ჩამოჩანჩალდა ფლორენციიდან და ძალიან ღარიბულად იყო დაბინავებული ერთ ფუნდუკში თავად პოლონიას წვეულებაში მიიპატიჟეს. პირისფარეშმა დიდის გულმოდგინებით მოკაზმა და ამ საუცხოო წვეულებაში გეახლათ მაიორ ლოდერის მკლავზე ხელდაყრდნობილი, რომელთან ერთადაც ამჟამად მოგზაურობდა ქალბატონი ბეკი. ეს ის კაცი გახლავთ, რომელმაც თავადი რავიოლი მოკლა ნეაპოლში მეორე წელს და სერ ჯონ ბაკსკინმა რომ გაჯოხა, რადგან გარდა ბანქოს იმ ქაღალდებისა, რომელთაც ეკარტეს თამაშის დროს ხმარობდა, ოთხი ხელმწიფე კიდევ აღმოაჩნდა დამალული ქუდში. ეს წყვილი ერთად შებრძანდა და ბეკიმ ბევრი ძველი ნაცნობი სახე იხილა, რომელნიც ბედნიერი დღეებიდან ახსოვდა, როცა უმანკო არ იყო, მაგრამ ნიღაბახდილ-გამჟღავნებულიც არ ბრძანდებოდა. მაიორი ლოდერი მრავალ უცხოელს გამოეცნაურა - თვალგამჭრიახ, ქილვაშებიან ვაჟბატონებს, რომელთაც ღილკილოებში წვირიანი საორდენო ბაფთები ეკეთათ და ფრიად საეჭვო ფერის თეთრეული მოუჩანდათ. მაგრამ საკუთარი თანამემამულენი კი, უნდა შევნიშნოთ, პირს არიდებდნენ მაიორს. ბეკიმაც იცნო აქა-იქ ზოგი მანდილოსანი - ფრანგი ქვრივები, საეჭვო იტალიელი გრაფის მეუღლენი, რომელთაც ქმრები ავად მოეპყრნენ... ფუჰ!.. აბა რა უნდა ვთქვათ ჩვენ ამ ნაძირალა და ყარტაყურტა სალახანებზე, ჩვენ, რომელნიც ამაოების ბაზრის უნატიფეს საზოგადოებაში

ვტრიალებდით? თუ ვთამაშობთ, სუფღა ბანქოს ქაღალდით მაინც ვითამაშოდ და არა ამ ბინძური დასტით. მაგრამ მოგზაურთა ურიცხვი არმიის ყველა წევრს შეხვედრია ეს მიტმასნებული მძარცველი მოხალისენი, როგორც ნიმი და პისტოლი[302] ეტორღიალებოდნენ მთავარ მხედრობას. მეფის მუნდირს ატარებდნენ, მისი ჩინებით ტრაბახობდნენ, მაგრამ თავისთვის კი ავაზაკობენ და ხანდახან გზის პირას აღმართულ სახრჩობელაზეც ხვდებიან.

დიახ, მაიორ ლოდერის მკლავში ხელგაყრილმა ბეკიმ მასთან ერთად დაიარა დარბაზები, ბლომად შამპანური გეახლათ ბუფეტში, სადაც ხალხი და განსაკუთრებით კი მაიორს არარეგულარული რაზმი გაშმაგებით იბრძოდა ხორაგეულისათვის. ხოლო წყვილი რომ აქ საკმაოდ შენაყრდა, კვლავ გასწიეს წინ, ვიდრე თვით თავადის მეუღლის ვარდისფერი ხავერდით გაწყობილ სალონს არ მიაღწიეს დერეფნის ბოლოს, სადაც ვენერას ქანდაკება და ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული დიდი ვენეციური სარკე დგას და სადაც თავადის ოჯახი თავის ყველაზე უფრო წარჩინებულ სტუმრებს უმასპინძლდებოდა მრჰვალ მაგიდასთან. რჩეული მცირე საზოგადოებისათვის სწორედ ისეთივე სუფრა გახლდათ გაშლილი, რომელსაც, ბეკის გაახსენდა, თვითონაც უჯდა ლორდ სტაინისას... და სწორედ ლორდ სტაინის უჯდა პოლონიას სუფრას და კიდეც მოჰკრა თვალი მას ბეკიმ.

მარკიზის თეთრ, მოტვლეპილ შუბლზე წითლად კიაფობდა ალმასის ნაკვალივი, მწითური ქილვაშები მეწამულად შეეღება, რაც კიდევ უფრო ფერმკრთალ იერს აძლევდა მის სახეს. ძეწკვი, ორდენები, ცისფერი ბაფთი და ლეკვერთხი ეკეთა. იგი აქ ყველაზე უფრო დიდი თავადი ბრძანდებოდა, თუმცა აქ გახლდნენ ხელმწიფე-მთავარი და ერთი მეფური უმაღლესობაც თავიანთი მეუღლეებით, ხოლო მის ბრწყინვალებას კი გვერდს უმშვენებდა გრაფ ბელადონას ტურფა მეუღლე, დაბადებით - დე გლანდიე, რომლის ქმარი, გრაფი პაოლო დელა ბელადონა, ასე სახელგანთქმული თავისი უბრწყინვალესი ენტომოლოგიური კოლექციებით, დიდი ხანია რაღაც მისიით გახლდათ გაგზავნილი მაროკოს იმპერატორის კარს.

ამ ნაცნობი, დიდებული სახის დანახვის უმალვე რა ვულგარულად ეჩვენა ბეკის მაიორი ლოდერი და რა საზიზღად

იყო გაჟღენთილი თამბაქოს სუნით კაპიტანი რუკი! რებეკამ მყის მიიღო წარჩინებული ბანოვნის იერი და სცადა ისეთი შეხედულება ჰქონოდა და ისე დაეჭირა თავი, თითქოს კვლავ შეი-ფეირიში ყოფილიყოს. „ეგ დედაკაცი ტუტუცი და ავგუნება ჩანს, - გაიფიქრა რებეკამ, დარწმუნებული ვარ, ეგ მაგას ვერ შეაქცევს.პირიქით, ალბათ გულსაც უწვრილებს; ჩემთან კი არასოდეს არ მოეწყინებოდა ხოლმე“. ასობით ასეთი სათუთი იმედი, შიში და მოგონება უფრთხიალებდა პატარა გულში, როცა თვალებგაბრწყინებული (ქუთუთოებამდე შეთხიპნილი ფერ-უმარილი განსაკუთრებით უჟუჟუნებდა მათ!) შესციცინებდა დიდებულ თავადს. როცა ლორდ სტაინი ვარსკვლავსა და ლეკვერთხს იკეთებდა, იმ ღამეს დიდკაცურ იერსაც იღებდა და ისე იქცეოდა და ლაპარაკობდა, როგორც, დიდ თავადს ჰფერობდა და ოღონდაც რომ დიდი თავადი ბრძანდებოდა კიდეც. ბეკი აღტაცებით შეჰყურებდა მის დიდებულ ღიმილს, თამამ, ზვიად და მედიდურ ყოფაქცევას. ეჰ, bon Dieu, რა საამო თანამოსაუბრე იყო, რა ბრწყინვალე ჭკუის ადამიანი, რა ამოუწურავი სამუსაიფო მასალა ჰქონდა, რა დიდებული ქცევა!.. და ეს გაცვლა სიგარებისა და კონიაკის სუნით გახრჩოლებულ მაიორ ლოდერსა, მეჯინიბეების ოხუნჯობებითა და მოკრივეების კილოკავით თავმომწონე კაპიტან რუკსა და მათ მსგავსებზე! „ნეტავი თუ მიცნობს“, - გაუელვა თავში რებეკას. ლორდ სტაინი გვერდით მჯდომ ვიღაც დიდგვაროვანსა და ბრწყინვალე ბანოვანს ემასლაათებოდა და უცინოდა, როცა გამოიხედა და ბეკის მოჰკრა თვალი.

მათი თვალები რომ შეხვდნენერთმანეთს, გული აუკანკალდა. რაც კი შეიძლებოდა საუკეთესო ღიმილი გამოიხატა სახეზე და მცირე მოკრძალებული, შესაბრალისი რევერანსი უძღვნა. ერთხანს მარკიზი ისე თავზედარცემული დააშტერდა ქალს, როგორც ალბათ მაკბეთს მოუვიდა, როცა თავის სუფრაზე ანაზდად ბანქოს აჩრდილი[303] წამოეჭიმა და მილორდმა პირდაღებული შესქეროდა მანამ, ვიდრე იმ ამაზრზენმა მაიორმა ლოდერმა არ წაათრია რებეკა.

- ერთი სახშმო ოთახში შევიაროთ, ქალბატონო რებეკა, - ჩაულაპარაკა ამ დარბაისელმა; - ეს ვაჟბატონები რომ იღმურძლებიან, მეც კუჭი ამეწვა. წავიდეთ და მასპინძლის შამოანურს გემო გავუსინჯოთ!

ბეკის ფიქრით, მაიორს ისედაც საკმაოდ ბევრი ჰქონდა გადაყლურწული.

მეორე დღეს რებეკამ მონტე-პინჩიოზე, რომაელ იქნარათა ჰაიდ-პარკში, გაისეირნა, ალბათ იმ იმედით,ეგებ ლორდ სტაინს კიდევ შევხდეო. მაგრამ იქ სხვა ნაცნობს გადაეყარა - ეს გახლდათ ბატონი ფიჩი, მისი ბრწყინვალების მისანდო კაცი, რომელიც, ცოტა არ იყოს, შინაურულად თავისკანტურითა და ქუდზე თითის მიდებით ეახლა.

- ვიცოდი, რომ ქალბატონი აქ იქნებოდა, - მოახსენა მან, - თქვენი სასტუმროდანვე აგედევნეთ. რაღაც რჩევა მაქვს სათქმელი, ქალბატონო.

- მარკიზ სტაინისაგან? - დაეკითხა ბეკი, თან რაც კი შეეძლო ღირსეული იერი მიიღო და არა მცირედ აუფანცქალდა გული იმედითა და ლოდინით.

- არა, - მიუგო ფარეშმა, - ჩემგან: რომი ძალიან მავნე ადგილი გახლავთ.

- მაგრამ არა ამ დროს, მუსიო ფიჩ, მხოლოდ ნააღდგომევს შეიძლება იყოს!

- მე მოგახსენებთ, ქალბატონო, რომ სწორედ ახლა გახლავთ მავნე. ზოგიერთებისთვის აქ ყოველთვის ტრიალებს ციებ-ცხელება. ეგ წყეული ჭაობის ქარი ბევრსა ჟლეტს წლის ყოველ დროს,. მისმინეთ, ქალბატონო კროული, თქვენ ხომ ყოველთვის bon enfant[304] იყავით და, parole d’honneur[305], გული მტკივა თქვენთვის: გაფრთხილდით! გეუბნებით, წაბრძანდით რომიდან, თორემ ავად გახდებით და მოკვდებით.

ბეკის გაეცინა - თუმცა კი რისხვითა და გაშმაგებით.

- რაო! მომკლავენ, მე საცოდავს? - თქვა მან. - რა რომანტიკულია! განა მილორდს მეგზურის მაგიერ კაცის მკვლელები ჰყავს და ფორნებში ხანჯლებს მალავს? იჰ! მე მაინც დავრჩები, თუნდაც იმისათვის, რომ გავაწარო. მომეძევებიან ისეთებიც, რომელნიც დამიცავენ აქ ყოფნაში!

ახლა მუსიო ფიჩის გაცინების ჯერი დადგა.

- დაგიცავენო? - სიტყვა ჩამოართვა მან, - მერედა, ვინ? მაიორი, კაპიტანი და რომელიც გნებავთ იმ ყომარბაზთაგანი,

რომელნიც ქალბატონს გარს ახვევიან, ასიოდე ლუიდორად გამოასალმებენ მას სიცოცხლეს. ჩვენ ისეთი რამეები ვიცით მაიორი ლოდერისა (ეგ იმისთანა მაიორია, როგორც მე გახლავარ მილორდი მარკიზი!), რომ კატორღაში ანდა უფრო ადგილასაც კი შეიძლება ამოვაყოფინოთ თავი. ჩვენ ყველაფერი ვიცით და ყველგანა გვყავს მეგობრები. ისიც ვიცით, ვინ ნახეთ პარიზში და რა ნათესავები იპოვეთ იქ. დიახ, ქალბატონი, შეგიძლიატ თვალები დამაშტეროთ, მაგრამ ვიცით კი! როგორ მოხდა, რომ კონტინენტზე არც ერთი ჩვენი ელჩი არ იღებს ქალბატონს? მან შეურაცხყო ისეთი ვინმე, რომელმაც პატიება არ იცის, რომლის რისხვაც გაორკეცდა თქვენი დანახვის შემდგომ. ის პირდაპირ გიჟივით იყო წუხელ, შინ რომ დაბრუნდა. თქვენი წყალობით, მადამ დე ბელადონა წაეჩხუბა და შავი დღეს აყარა.

- ოჰ, ეგ მადამ ბელადონას საქმეა, განა? - თქვა ბეკიმ და ცოტა გულს მოეშვა, რადგან ახლახან მოსმენილმა ცნობებმა დააფრთხო.

- არა, ეგ არაფერ შუაშია, ეგ სულ ეჭვიანობდ. გეუბნებით, ეს თვით მისი ბრწყინვალების საქმეა! თქვენ შეცდით, რომ დაენახეთ მას, და, თუ აქ დარჩით, ინანებთ. ჩემი სიტყვა დაიხსომეთ. წაბრძანდით. აი, მილორდის ეტლიც! - და სტაცა რა ბეკის მკლავში ხელი, ბაღის ხეივნისაკენ დაეშვა, როცა ლორდ სტაინის ღერბებით ალაპლაპებული თავღია ეტლი თითქმის ფასდაუდებელმა ბედაურებმა ჩააგრიალეს მთავარ ხეივანში. მადამ დე ბელადონა გადასვენებულიყო ბალიშებზე - მოღუშული, პირგამეხებული და გაფურჩქვნილი. კალთაში კინგ-ჩარლზი[306] ესვა, მის თავზე კი თეთრი ქოლგა ტორტმანებდა. ბებერი სტაინი მის გვერდით გადათხლაშულიყო - სახეჩალურჯებული და თვალებგამოცრიატებული. სიძულვილი, რისხვა ან გულისთქმა ხანდახან კიდევ ააკიაფებდნენ ხოლმე მათ; მაგრამ ჩვეულებრივ კი არ გააჩნდათ ნაპერწკალი და თითქოს მისავათებულიყვნენ ამ წუთისოფელის ჭვრეტით, რომლის თითქმის ყოველი სიამე და ყოველი სიტურფე უკვე მოყირჭებოდა გაცვეთილ, დაჯანდაკებულ, უკეთურ ბერიკაცს.

- მისი ბრწყინვალება იმ ღამის თავზარდაცემის შემდგომ სრულად ვეღარც მომჯობინდა, - ჩაურჩულა მუსიო ფიჩმა, როცა ეტლმა ჩაიქროლა და ბუჩქებს ამოფარებული ბეკი რომ იჭყიტებოდა.

„ეგ მაინც არის სანიგეშო“, - გაიფიქრა თავისთვის რებეკამ.

ვერ გავარკვიეთ, მილორდის მართლა ჰქონდა ქალბატონ ბეკის მოკვლევინების განზრახვა, როგორც მუსიო ფიჩი ამბობდა (მისი ბრწყინვალების გარდაცვალების შემდგომ იგი თავის სამშობლოში დაბრუნდა, სადაც დიდის პატივით ცხოვრობს და თავისი ხელმწიფისაგან ბარონ ფიჩის ხარისხიც შეიძინა) და მისანდო მსახურმა არ მოინდომა მკვლელობის საქმეში გარევა, თუ მას უბრალოდ დავალებული ჰქონდა, ქალბატონი კროული დაეფრთხო და გაეძევებინა ქალაქიდან, სადაც მის ბრწყინვალების ზამთრის გატარება ნებავდა და მისი ხილვა კი სასტიკად არ ესიამოვნებოდა დიდ აზნაურს. მაგრამ მუქარამ თავისი გავლენა იქონია პატარა დედაკაცზე და თავის ძველ მფარველზე ატორღიალება აღარ უცდია.

ყველას ახსოვს იმ დიდებულ სავალალო აღსასრული, რაიც საფრანგეთის 1830 წლის რევოლუციიდან ორი თვის შემდეგ მოხდა ნეაპოლში. როგორც გაზეთებში იუწყებოდნენ, საფრანგეთის უძველესი მონარქის დამხობით მისი ბრწყინვალების თავს დატეხილი ზარის გამო, რამდენიმე შეტევის შემდგომ გარდაიცვალა დიდად პატივცემული ჯორჯ გუსტავი, მარკიზი სტაინი, გონტ-კასლელი გრაფი გონტი, ირლანდიის პერი, ვიკონტი ჰელბორო, პიჩლისა და გრილსბის ბატონი, დიდად კეთილშობილი ლეკვერთხის ორდენის, ოქროს საწმისის ესპანური ორდენის, წმიდა ნიკოლოზის პირველი ხარისხის რუსული ორდენის, თურქული ნახევარმთავრის ორდენის კავალერი,საპუდრე დარბაზის პირველი ლორდი და უკანა კიბის გრუმი, გონტის ანუ რეგენტის საკუთარი სამილიო რაზმის პოლკოვნიკი, ბრიტანეთის მუზეუმის მზრუნველი, ტრინიტი-ჰაუზის[307] უფროს ძმათაგანი, უაითფრაიერზის ერთი გამგეთაგანი და სამოქალაქო სამართლის დოქტორი.

ერთ ყოველკვირეულ ორგანოში გამოქვექნდა მჭერმეტყველი ნუსხა, რომელშიაც აღწერილი გახლდათ მისი სიქნელენი. მისი დიდებულება, მისი ნიჭიერება და მისი კეთილი საქმენი. ისე მგრძნობიარე ბრძანდებოდა და ისე იყო შეთვისებული ბურბონთა უგანათლებულეს სახლთან, რომელსაც ენათესავებოდა კიდეც, რომ მან ვეღარ აიტანა უავგუსტოეს ნათესავთა უბედურება. მისი სხეული ნეაპოლში დაიკრძალა, ხოლო გული - ის გული, რომელიც მუდამ ყოველი დიდსულოვანი და კეთილშობილი გრძნობით ფეთქავდა -

გონტ-კასლს იქნა გადასვენებული ბერცხლის ურნით.

„მისი სახით, - ამბობდა ბატონი უეგი, - ღარიბებმა და ნატიფმა ხელოვნებებმა - მწყალობელი მფარველი, საზოგადოებამ - ერთ-ერთი უბრწყინვალესი სამკაული, ხოლო ინგლისმა ერთი ყველაზე უფრო გულმხურვალე მამულიშვილი და სახელმწიფო მოღვაწე დაკარგესო“ და სხვ. და სხვ.

მისი ანდერძი საკმარისად სადავო შეიქნა და სცადეს მადამ დე ბელადონასათვის წაერთმიათ სახელგანთქმული ალმასი, ეგრეთწოდებული „ებრაელის თვალი“, რომელსაც მისი ბრწყინვალება ყოველთვის საჩვენებელ თითზე იკეთებდა და რომელიც, ამბობენ, ამ მანდილოსანმა წააძრო, მისი სავალალო გარდაცვალების შემდგომო. მაგრამ მისიმმისანდო მეგობარი და მხლებელი, მუსიო ფიჩი, ადასტურებდა: ეს ბეჭედი მარკიზის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე უძღვნეს ხსენებულ მადამ დე ბელადონას, ისევე როგორც ბანკნოტები, პატიოსანი თვლები, ნეაპოლური და ფრანგული ობლიგაციები და სხვანი, რომელნიც მისი ბრწყინვალების სეკრეტერში აღმოჩნდა და რომლებსაც მისი მემკვიდრენი ამ შეურაცხყოფილი მანდილოსნისაგან მოითხოვდნენ.

თავი IXV - აღსავსე ფაციფუცითა და სიამოვნებით

სათამაშო მაგიდასთან შეხვედრის მეორე დღეს ჯოზი უჩვეულო გულმოდგინებითა და ბრწყინვალებით მოიკაზმა. ფიქრადაც არ მოსვლია, ოჯახის რომელიმე წევრისთვის გაემხილა წინაღამინდელი თავგადასავალი, არც არავისთვის უთხოვია, სეირნობაში გამიამხანაგდიო, ისე გამოვიდა დილაადრიან გარეთ და მალე უკვე სასტუმრო „სპილოს: კართან კითხულობდა ვიღაცის ამბავს. დღესასწაულის გამო სახლი სავსე იყო ხალხით. ქუჩაში გამოდგმულ მაგიდებს უკვე შემოხვეოდნენ ნაციონალური მსუბუქი ლუდის მოტრფიალენი და თამბაქოს მწეველნი. საერთო დარბაზები კვამლის ღრუბელს დაებურა. ბატონმა ჯოზმა თავისი დიდრაჯული იერითა და უგერგილო გერმანულით რომ გამოიკითხა იმ პიროვნების ამბავი, რომელსაც ეძებდა, პირდაპირ სახლის

სხვენისაკენმიასწავლეს. მას უნდა აევლო მეორე სართული, სადაც რამდენიმე მოარული ვაჭარი ბინადრობდა და სადაც მათ თავიანთი ძვირფასეულობა და ფარჩა გამოეფინათ; აეარა მესამე სართულის აპარტამენტებისათვის, სადაც სამორინო ფირმის état-major[308] იდგა; მეოთხე სართულის ოთახებისათვის, სადაც დაბინავებულიყო ჯამბაზებისა და მუშაითების ბოშათა სახელგანთქმული გუნდი, და მიეღწია სხვენის პაწია საკნებისთვის, სადაც სტუდენტებს, ფერეზიკებს, წვრილ ხელოსნებსა და ზეიმზე ჩამოსულ სოფლელებს შორის ბეკის გაეჩინა პატარა ბუდე - თუმცა ამაზე უფრო ბინძურ მოკრუნცხულ სავანეში ძნელად თუ ოდესმე შეეფარებინოს თავი სილამაზეს.

ბეკის მოსწონდა ეს ცხოვრება. იგი ყველგან გაშინაურებული გახლდათ - მეწვრილმანეებთან, ყომაბაზებთან, ჯამბაზებთან, სტუდენტებთანდა ყველასთან. დამთხვეული, ქარაფშუტა, მოუსვენარი ბუნებისა იყო, რაიც მიდრეკილებითა და მდგომარეობით ბოჰემური ცხოვრების მიმდევარი დედ-მამისაგან ჰქონდა თანდაყოლილი. თუ ახლოს ლორდი არსად მოიძევებოდა, იგი დიდი სიამოვნებით მის მეგზურსაც გაუბამდა მასლაათს. ხმაური, ჩოჩქოლი, სმა, თამბაქოს წევა, ებრაელ მეწვრილმანეთა ყაყანი, საბრალო ჯამბაზების დიდრაჯული თავმომწონეობა, სამორინო მაგიდის ხელისუფალმა sourmois[309] ლაპარაკი, სტუდენტთა სიმღერები, ბღენძვა და იქაური საერთო ფაცაფუცი და ქოთქოთი ეამებოდა და უხიცინებდა გულში პატარა დედაკაცს მაშინაც, როცა ბედი მტყუნობდა და ნახარჯის გასტუმრების თავი აღარა ჰქონდა. ახლა კი ხომ სულ სასიამოვნოდ მოეჩვენებოდა მთელი ეს ორომტრიალი, როცა ქისა სავსე ჰქონდა პატარა ჯორჯის წყალობით წინა ღამეს მოგებული ფულით!

ჯოზმა ჭრაჭუნითა და ხვნეშით აათავა უკანასკნელი საფეხურები, ენაჩავარდნილმა მიაღწია ზემო ბაქანს და შეუდგა ჯერ გაოფლიანებული სახის მოწმენდას, შემდეგ კი 92-ე ნომრის ძიებას, რომლისკენაც გამოასწავლეს, როცა მისთვის საჭირო პიროვნების ბინა იკითხა. ამ ნომრის მოპირდაპირე 90-ე ათახი ღია გახლდათ და შიგნით მაღალყელიან ჩექმესა და წვირიან საშინაო ხალათში გამოწყობილი სტუდენტი გადაშხლართულიყო საწოლზე და გრძელტარიან ჩიბუხს ექაჩებოდა. მეორე, გრძელ ქერათმიანი და ასევე ფრიად კოხტა

და წვირიან მოსირმულ ქურთუქიანი სტუდენტისწორედ მუხლებზე დაჩოქილიყო 92-ე ოთახის კართან და შიგნით მყოფ პიროვნებას საკლიტულში ხვეწნა-მუდარით შეჰბღაოდა.

- მომცილდით თავიდან, - გამოსძახა კარგად ნაცნობმა ხმამ,რომლის გაგონებაზეც ჯოზს გააჟრჟოლა, - მე ვიღაცას ველი - პაპაჩემს ველი და არ ივარგებს, რომ მანდ თვალი შეგასწროთ!

- ანგელოზო Englanderin![310] -შეჰღაღადებდა ქერა, ჩალისფერკულულებიანი და ვეება ბაჭდიანი მუხლმოყრილი სტუდენტი. - შეგვიბრალეთ! დაგვინიშნეთ პაემანი! ისადილეთ ჩემთანდა ფრიცთან ერთად პარკის სასტუმროში. შემწვარი ხოხბები, სქელი ლუდი, პლუმპუდინგი და ფრანგული ღვინო მოგვერთმება. რომ არ წამოხვიდეთ, დავიხოცებით ორთავენი!

- სწორედ რომ დავიხოცებით! - კვერი დაუკრა საწოლზე გადაშხლართულმა კეთილშობილმა ყმაწვილმაც და მთელი ეს მუსაიფი ჯოზმაც მოისმინა, თუმცა არაფერი კი არ გაუგია, რადგან აროდეს შეუწუხებია თავი ესწავლა ის ენა, რომელზედაც გაბაასება ხდებოდა.

- Newmero kattervang dooze, si vous plait[311], - ბრძანა ჯოზმა თავისი დიდრაჯული იერით, როცა სული მოითქვა.

- Quarter fang tooce! - შესძახა დაჩოქილმა სტუდენტმა, წამოხტა, შევარდა თავის ოთახში, მოიკეტა კარი და ჯოზს შემოესმა მისი და საწოლზე გადაშხლართული მისი მეგობრის თავშეუკავებელი ხარხარი.

ბენგალელი ვაჟბატონი ამნაირი შეხვედრით დაბნეული იდგა და არ იცოდა რა ექნა, რომ 92-ის კარი თავად გაიღო და მზაკვრულობითა და ცუღლუტობით აღსავსე ბეკის პატარა თავმა გამოიჭყიტა. მას ჯოზის სახე შეაშფოთა.

- ეგ თქვენ ბრძანდებით? - შესძახა მან და გამოეგება. - როგორ გელოდეთ! მაითმინეთ! ჯერ არა... ერთი წუთი და მერე შემობრძანდით!

თვალის დახამხამებაში ფერ-უმარილის ქილა, კონიაკის ბოთლი და საუზმის ნარჩენებიანი თეფში ლოგინში შეჩურთა, ერთი გადაისწორა თმა და შეიწვია სტუმარი.

დილის ხალათად ვარდისფერი სამასკარადო მოსასხამი მოესხა,

ცოტა გაქუცული და აქა-იქ პომადის ლაქებით შეჭუჭყიანებული. მაგრამ სამოსის ხალვათი სახელოებიდან თვალისმომჭრელად და ტურფად გამოქათქათებდა მისი მკლავები, ხოლო წვრილ წელზე შემორტყუმი სარტყელი ურიგოდ არ აჩენდა მისი პატრონის კოხტა, პატარა ფიგურას. ჯოზს ხელი მოჰკიდა და ისე შეიყვანა თავისი სხვენის საკანში.

- შემოდით, - უთხრა მან, - შემოდით და მემუსაიფეთ. აი მაგ სკამზე დაბრძანდით!

მან მსუბუქად ჩამოართვა ხელი დარბაისელს და სიცილით დასვა. თვითონ კი ლოგინზე ჩამოჯდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რასაკვირველია, არა ბოთლსა და თეფშზე, რომლებზედაც შეიძლებოდა ჯოზი მოხვედრილიყო, ეს საჯდომი რომ ერჩია. ასე ჩამოჯდა და გაუბა მასლაათი თავის ძველ თაყვანისმცემელს.

- წლებს რა ცოტათი შეუცვლიხართ! - ნაზად შეხედა და მოახსენა ქალმა ჯოზს. - სადაც არ უნდა შემხვედროდით, გიცნობდით. რა სასიამოვნოა, უცხოელთა შორის ერთხელ კიდევ რომ მოჰკრავ თვალს ძველი მეგობრის წრფელ, პატიოსან სახეს!

წრფელ, პატიოსან სახეზე, მართალი მოგახსენოთ, ამჟამად გულწრფელობისა და პატიოსნების გარდა რაც გნებავდათ, ის გახლდათ აღბეჭდილი. მას, პირიქით, დიდი შეშფოთება და დაბნეულობა ემჩნეოდა. ჯოზი ათვალიერებდა თავისი ძველი ტრფობის საგნის უცნაურ, პაწია ბინას. მისი ერთი კაბა საწოლზე იყო გადაკიდებული, მეორე - კარზე ჩამოეკონწიალებინა. მის ქუდს ნახევრად დაეფარა სარკე, რომლის წინაც ეყარა ბრინჯაოსფერი უტურფესი, კოხტა, პაწია ტუფლები. სასთუმალთან, მაგიდაზე ფრანგული რომანი იდო და აგრეთვე სანთელი, ოღონდ არა თაფლისა. ბეკიმ მისი შეჩურთვაც განიზრახა ლოგინში, მაგრამ მერე იქ მარტო ქაღალდის პატარა ჩაჩი შეტენა, რომლითაც დაძინების წინ სანთელს აქრობდა ხოლმე.

- ყველგან გიცნობდით! - განაგრძო ბეკიმ, - ქალს არასოდეს ავიწყდება ზოგი რამ. და თქვენ ხომ პირველი მამაკაცი... პირველი მამაკაცი იყავით, რომელიც ვიხილე!

- ნუთუ მართლა? - ბრძანა ჯოზმა, - უფალო, შემიწყალე, თქვენ... თქვენ აგრე არ უნდა ამბობდეთ!

- თქვენს დასთან ერთად ჩიზუიკიდან რომ ჩამოვედი, თითქმის ბავშვი ვიყავი, - თქვა ბეკიმ. - როგორ არის ის ცუგრუმელა? ოჰ, მისი ქმარი რა ცუდი და უკეთური ვინმე იყო და, რასაკვირველია, ეგ საყვარელი არსება ჩემზე ეჭვიანობდა. თითქოს, ეჰ, რაიმედ ჩამეგდოს იგი, როცა სხვა ვინმეც არსებობდა... მაგრამ არა... ნუ ვილაპარაკებთ გარდასულ დროზე; - და მან შემოძონძილ მაქმანიანი ცხვირსახოცი მოისვა თვალებზე.

- განა უცნაური არ არის ისეთი ქალისთვის, ვინც სრულიად სხვა სამყაროში ტრიალებდა, ასეთ ადგილას ყოფნა? - განაგრძო ქალმა. - იმდენი მწუხარება და უბედურება განვიცადე, ჯოზეფ სედლი, ისე სასტიკად ვეწამე, რომ ხანდახან პირდაპირ გიჟსა ვგავარ. თანაც ერთ ადგილას მაინც ვერა ვჩერდები, სულ მოუსვენრად და ბედშავად დავძრწივარ აქეთ-იქით. ყველა ჩემმა მეგობარმა მიღალატა... ყველამ! პატიოსანი ადამიანისთანა არა არის რა ქვეყნიერების ზურგზე. ყველაზე უერთგულესი ცოლი ვიყავი მსოფლიოშ. თუმცა განაწყენებული გავთხოვდი ჩემს ქმარზე, რადგან სხვა ვინმემ... მაგრამ ნუღა ვახსენებთ ამას. მე მართალი ვიყავი და მან კი გამქელა და მიმატოვა. მე ვიყავი ყველაზე მოსიყვარულე დედა. ერთადერთი თვალისჩინი მყავდა, ერთადერთი იმედი, ერთადერთი სიხარული, დედობრივი გრძნობით გულში რომ მყავდა ჩასმული; რომელიც იყო ჩემი სიცოცხლე, ჩემი ღმერთი, ჩემი... ჩემი ნუგეში და ლოცვა-კურთხევა; მათ კი... მათ კი მომგლიჯეს გულიდან... გულიდან მომგლიჯეს!..

და ბეკიმ სასოწარკვეთილებით მიიჭირა ხელი გულზე და ერთხანს ლოგინში ჩამალა სახე.

კონიაკის ბოთლი ცივ ძეხვიან თეფშს მიეხალა და გაიწკრიალა. ორივენი, უეჭველია, ასე მძიმე მწუხარების გამოვლინებამ შეაშფოთა. მაქსსა და ფრიცს ყური მოედოთ კარისთვის და განცვიფრებით უსმენდნენ ქალბატონი ბეკის სლუკუნსა და ქვითინს. ჯოზიც გვარიანად შეფრთხა და გული დაეწვა, ძველი გულისვარდი ამ ყოფაში რომ იხილა. მერე ბეკი შეუდგა თავისი თავგადასავლის მოთხრობას - ისე უბრალო, ალამართალი თავგადასავლის მოთხრობას, რომ ვინც მოისმენდა, სრულიად აშკარა გახდებოდა მისთვის, რომ თუკი ოდესმე თეთრად მოსილი ზეციერი ანგელოსი გამხდარა სააქაოს ეშმათა ჯოჯოხეთური მაქინაციებისა და არამზადობის მსხვერპლი, ეგ

სწორედ ეს უმწიკვლო არსება გახლდათ, ეს საბრალო, უბიწო მარტვილი, რომელიც ახლა ჯოზის წინ ჩამომჯდარიყო საწოლზე, იმ საწოლზე, რომელშიაც კონიაკის ბოთლი წკრიალებდა...

მათ ფრიად ხანგრძლივი, მეგობრული და გულითადი მუსაიფი გაიბეს, რომლის განმავლობაში ჯოზ სედლიმ როგორღაც შეიტყო (მაგრამ, რასაკვირველია, იმ სახით, რომ სრულიადაც არ დამფრთხალა და არც შეურაცხყოფილად უგრძნია თავი!), რომ ბეკის გულმა პირველად მხოლოდ მისი მომაჯადოებელი ხილვის შემდგომ დაიწყო თრთოლვა; რომ ჯორჯ ოსბორნი, მართალია, სრულიად უსაფუძვლოდ ეტრფოდა მას, რასაც შეიძლება გამოეწვია ემილიას ეჭვიანობა და მათ შორის მცირე განხეთქილება; მაგრამ რომ ბეკის იოტისოდნადაც არ შეუგულიანებია საამისოდ უბედური ოფიცერი და რომ მას თვალის მოკვრის პირველივე დღიდანვე არასოდეს შეუწყვეტია ჯოზზე ფიქრი, თუმცა, რა თქმა უნდა, მისთვის, ვითარცა ქმარშვილიანი მანდილოსნისთვის, მოვალეობის გრძნობა ყველაზე მაღლა იდგა - იმ მოვალეობისა, რომელსაც ყოველთვის წმიდად იცავდა და დაიცავდა კიდეც სამარის კარამდე, ანდა ვიდრე სარაკოდ ცუდი ჰავა, რომელშიც იმყოფებოდა პოლკოვნიკი კროული, არ იხსნიდა მას ქმრისაგან დადებული ამაზრზენი უღლისაგან.

ჯოზი ისე წაბრძანდა, რომ სრულიად დარწმუნებული გახლდათ, ბეკი ქალთა შორის ყველაზე სათნო და ყველაზე მომხიბლავი მანდილოსანიაო, და თავში ათასგვარი მოწყალე გეგმა უტრიალებდა მის საკეთილდღეოდ. უნდა შეწყდეს მისი დევნა: იგი უნდა დაბრუნდეს იმ საზოგადოებაში, რომლის ჭეშმარიტ სამკაულსაც ის წარმოადგენს. ვნახოთ, რის გაკეთება შეიძლება. ქალმა უნდა დაანებოს თავი ამ ბუნაგს და წყნარი ბინა იშოვოს. ემილია უნდა ესტუმროს და დაუმეგობრდეს მას. თვითონვე წავა და მოაგვარებს ამ საქმეს და მაიორსაც მოეთათბირება. ბეკის მადლიერების წრფელი ცრემლები სცვიოდა, როცა ემშვიდობებოდა მას და ხელს უჭერდა ხელზე, თავაზიანი, ზორბა დარბაისელი რომ დაიხარა და ხელზე ეამბორა.

ბეკიმ ისეთი ნატიფი თავის დაკვრით გამოაცილა ჯოზი თავისი პატარა სხვენის საკნიდან, თითქოს რომელიმე დიდებული სასახლის დიასახლისი ბრძანებულიყოს. ხოლო ზორზოხმა

ვაჟბატონმა, რომ კიბეები ჩაათავა, ჰანსი და ფრიცი, პირში ჩიბუხგაჩრილები, გამოძვრნენ თავიანთ სოროდან და ბეკი შეუდგა მათ წინაშე ჯოზის გამასხარავებასა და ბაძვას. თან გამხმარ პურსა და ძეხვს იღმურძლებოდა და ზედაც თავის საყვარელ წყალნარეულ კონიაკს აყოლებდა.

ჯოზი დიდის რიხით ეწვია ბინაში დობინს და გაუზიარა ახლახან მოსმენილი გულისამაჩუყებელი ისტორია, ოღონდ, წინაღამინდელი თამაშის შესახებ კრინრი არ დაუძრავს. და ორიცე დარბაისელი შეუდგა ბჭობასა და თათბირს, უფრო უკეთ როგორ გამოვადგეთ ბეკისო, ვირდე ამასობაში იგი მოითავებდა თავის შეწყვეტილ déjeuner à la fourchette[312].

როგორ მოხვდა ბეკი ამ პატარა ქალაქში? როგორ მოხდა, რომ მეგობრები არ ახლდნენ და მარტო დაეხეტებოდა ქვეყნად? სკოლაში პატარა ბიჭებს პირველდაწყებით ლათინურ სახელმძღვანელოებშივე ასწავლიან, რომ ავერნუსს ჩასასვლელი ბილიკი ძალიან იოლია[313]. მოდით, გადავახტეთ მისი თავგადასავლის დაქვეითების პერიოდს. ბეკი მაინც არ ყოფილა ახლა იმაზე უარესი, რაც წარმატების ჟამს იყო, ოღონდ ცოტა ბედმა უმუხთლა.

რაც შეეხება ქალბატონ ემილიას, იგი ისე ჩვილი, ტუტუცური ბუნებისა გახლდათ, რომ როცა ვინმეს ბედშავობის ამბავს შეიტყობდა, მყის გაულღვებოდა მისდამი გული, ხოლო ვინაიდან თვითონ არც არასოდეს გაუფიქრია და არც ჩაუდენია რაიმე მომაკვდინებელი დანაშაული, ბოროტებისადმი არც ისეთ ზიზღსა გრძნობდა, რომლითაც საქმეს გაცილებით უკეთ გაცნობილი მორალისტები გამოირჩევიან. თუკი ყველა მის ირგვლივ მყოფს ალერსითა და ქათინაურებით აფუჭებდა, თუკი მაღაზიისნოქარ ბიჭს ებოდიშებოდა აბრეშუმის ნაჭრის ჩვენებისათვის, ანდა რევერანსს უკეთებდა ქუჩის მწმენდელ მეეზოვეს და თანაც ქათინაურსაც დააყოლებდა, გზაჯვარედინს რა ფაქიზად ინახავთო - და მას შეეძლო თითქმის ყველა ეს სისულელე ჩაედინა - ძველი ნაცნობის უბედურებაში ყოფნის ფიქრი, ხომ, რასაკვირველია, მოულბობდა და მოულბობდა გულს. არც გაგონებით სურდა გაეგონა, რომ ვინმე, შეიძლებოდა, სამართლიანად ყოფილიყო გაუბედურებული. ამისთანა კანონმდებლის ხელქვეითით ქვეყანა ვერაფერი მყუდრო და წესრიგიანი საცხოვრებელი ადგილი იქნებოდა; მაგრამ, საბედნიეროდ, ბევრი ქალი არ გახლავთ ამ ჯურისა,

ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო მოღვაწეთა შორის მაინც. ეს მანდილოსანი, დარწმუნებული ვარ, გააუქმებდა ქვეყნიერების ზურგზე ყველა სატუსაღოს, სასჯელს, ბორკილებს, გაშოლტვებს, სიღატაკეს, სნეულებას, შიმშილს დაისეთი სულმდაბალი არსებაც გახლდათ, რომ - უნდა ვაღიაროთ - თვით მომაკვდინებელ შეურაცხყოფასაც კი დაივიწყებდა.

როცა მაიორმა ჯოზისაგან შეიტყო, ახლახან რა გულისანაჩუყებელი თავგადასავალი გადახდა მას, უნდა ვაღიაროთ, სულაც არ გამოუჩენია ამ საქმისადმი ისეთი ინტერესი, როგორსაც ბენგალელი ბატონი ელოდა ალბათ. პირიქით, მისი აღელვება სწორედ საწინაათმდეგო ხასიათისა გახლდათ და სრულიადაც არ იყო საამური. მან საბრალო მანდილოსნის მიმართ იხმარა მოკლე, მაგრამ შეუფერებელი გამოთქმა, სახელდობრ, „განა ის უნამუსო გომბიო კიდევ გამოჩნდაო?“

დობინს იოტისოდნადაც არ მოსწონებია ოდესმე იგი, პირიქით, გაცნობის პირველი დღიდანვე ეჭვით უცქეროდა, მოცა მისმა მწვანე თვალებმა შემოანათეს მას და მერე აარიდეს მზერა.

- მაგ ეშმაკის ნასხლეტს ყველგან არეულობა შეაქვს, სადაც კი მოხვდება! - თქვა მაიორმა აგდებით. - ვინ იცის, რა ცხოვრებას ეწეოდა და რა საქმე აქვს, მარტოდმარტო რომ დაეხეტება უცხოეთში? არა მითხრა რა მდევნელებსა და მტრებზე! - პატიოსან ქალს ყოველთვის მოეპოვება მეგობრები და არც არასოდეს მოშორდება ოჯახს. რატომ გაეყარა ქმარს? შეიძლება მაგის ქმარი სახელგატეხილი და უკეთური ვინმე იყო, როგორც ამბობდა ყოველთვის იყო კიდეც. მახსოვს ეგ გაქნილი თაღლითი და ისიც, რანაირად ატყუებდა, უხვევდა თვალებს საწყალ ჯორჯს. განა სამარცხვინო საქციელოსთვის არ გაიყარნენ? მე მგონი, რაღაც მითხრეს კიდეც მაგაზე, - შესძახა მაიორმა დობინმა, რომელიც დიდად არ ათხოვებდა ხოლმე ყურს ჭორებს და რომელსაც ჯოზი ამაოდ არწმუნებდა, ქალბატონი ბეკი ყოველ მხრივ ფრიად დაჩაგრული და სათნო ქალი არისო.

- კეთილი, კეთილი, მოდით ქალბატონ ოსბორნს ვკითხოთ! - განაცხადა არქიდიპლომატმა მაიორმა. - ოღონდ წავიდეთ და მას მოვეთათბიროთ. მე მგონი, აღიარებთ, რომ ეგ მაინც ღირსეული მსაჯული იქნება და ეცოდინება, ამისთანა საქმეში როგორ უნდა მოვიქცეთ.

- ჰმ! ემი ძალიან კარგი იქნება, - კვერი დაუკრა ჯოზმა, რომელიც არ გახლდათ შეყვარებული თავის დაზე.

- ძალიან კარგიო?!. ღმერთმანი, ბატონო ჩემო, მაგაზე უკეთესი ბანოვანი ჩემს დღეში არ შემხვედრია! - წამოისროლა მაიორმა. - მე გეუბნებით, ახლა წავიდეთ და ვკითხოთ, შეიძლება ვესტუმროთ თუ არა მაგ დედაკაცს... რასაც იტყვის, მე იმას დავემორჩილები.

ეს საძაგელი, მზაკვარი, არამზადა მაიორი დაბეჯითებით ფიქრობდა გუნებაში, რომ ჭეშმარიტება ამ საქმეში მის მხარეს იყო. აგონდებოდა, რომ ემი სასტიკად და სრულიად სამართლიანად ეჭვიანობდა რებეკაზე. მხოლოდ ძრწოლითა და შიშით თუ ახსენებდა მის სახელს - დობინის ფიქრით კი ეჭვიანი ქალი არასოდეს მიუტევებს. ამრიგად, ორივემ გადალახა ქუჩა და შევიდნენ ქალბატონი ოსბორნის სახლში, სადაც ემი კმაყოფილებით არაკრაკებდა ხმას მადამ შტრუმფის მუსიკის გაკვეთილზე.

ის მანდილოსანი რომ გამოეთხოვა, ჯოზი ჩვეული მაღალფარდოვანი დიდრაჯული კილოთი შეუდგა საქმის ვითარების ახსნას.

- ემილია, გეთაყვა, - ბრძანა მა, - ახლახან შემემთხვა ერთი მეტად არაჩვეულებრივი... დიახ... არაჩვეულებრივი... უფალო შემიწყალე!... ფრიად არაჩვეულებრივი თავგადასავალი - ერთი ძველი მეგობარი... დიახ, ერთი ძალიან საინტერესო შენი ძველი მეგობარი, შემიძლია ვთქვა, ძველისძველი დროისა, სწორედ ახლახან ჩამოვიდა აქ და მინდა, რომ შენ მოინახულო ეგ ქალი.

- ვინ! ვინ ქალი? - იკითხა ემილიამ. - მაიორო დობინ, გეთაყვა, ნუ გამიტეხავთ მაკრატელს!

მაიორი ატრიალებდა მას მ ძეწკვით, რომლითაც იგი ხანდახან პატრონს წელზე ეკიდა ხოლმე,და ამიტომ საკუთარ თვალს საფრთხეში აგდებდა.

- ეგ ის დედაკაცია, რომელიც მე ძალიან მძულს და არც თქვენა გაქვთ რაიმე მიზეზი, გიყვარდეთ, - დაბეჯითებით განაცხადა მაიორმა.

- რებეკა იქნება! დარწმუნებული ვარ, რებეკა! - შესძახა ემილიამ, თან ლოყები აელეწა და ძალიან აღელდა.

- თქვენ მართალი ბრძანდებით: ყოველთვის მართალი ხართ! - კვერი დაუკრა დობინმა.

ბრიუსელი, ვატერლოო, ძველი, ძველი დროება, მწუხარება, ტანჯვა, მოგონებანი კვლავ ეძგერა ემილიას ნაზ გულს და სასტიკად აუფორიაქა იგი.

- ნუ მანახვებთ მაგას, - განაგრძო ემიმ. - ვერ შევიძლებ მის ნახვას!

- ხომ გითხარი! - გადაულაპარაკა დობინმა ჯოზს.

- ძალიან გაუბედურებულია და... და ეგრე, რაღა... - არ ეშვებოდა ჯოზი. - ძალიანგასაწყლებული და უმწეოა. ავადაც ყოფილა... საშინლად ყოფილა ავად... და იმ სალახანა ქმარსაც მიუტოვებია.

- ოჰ! - შეჰყივლა ემილიამ.

- ქვეყნიერების ზურგზე ერთი მეგობარიც აღარ გააჩნია, - განაგრძობდა ჯოზი არც თუ უმარჯვოდ; - და თქვა, ეგებ ემიმ მაინც მიმინდოსო. ემი, ისე საცოდავია!.. მწუხარებით კინაღამ გაგიჟებულა. მისმა ამბავმა პირდაპირ გული მომიკლა... პატიოსან სიტყვას გაძლევ და გეფიცები, სწორედ გული მომიკლა... უნდა ვთქვა, რომ ამნაირი სასტიკი დევნა ასე ანგელოზივით ჯერ არავის აუტანია. ოჯახი ძალიან სასტიკად მოექცა.

- საბრალო! - შესძახა ემილიამ.

- და თუ მეგობარი ვერ ვპოვეო, ამბობს, მე მგონი, მოვკვდებიო, - კვლავ განაგრძობდა ჯოზი დაბალი, ათრთოლებული ხმით. - უფალო შემიწყალე! ხომ იცი, რომ თავის მოკვლაც კი უცდია? ლაუდანუმს[314] სულ თან ატარებს... მე თვითონ ვნახე შუშა მის ოთახში... ერთ საცოდავ, პაწია ოთახში... მსამეხარისხოვან სასტუმრო „სპილოში“, სულ მაღლა, სხვენში. ავედი კიდეც იქ.

ამას მაინცდამაინც შთაბეჭდილება არ მოუხდენია ემიზე - ცოტა გაეღიმა კიდეც. ალბათ თვალწინ წარმოუდგა კიბეზე ქლოშინით ამავალი ჯოზი.

- მწუხარებისაგან თავის ჭკუაზე აღარ არის, - კვლავ წამოიწყო მან. - ტანჯვა-წამება, რაც მაგ ქალმა განიცადა, პირდაპირ გასაგონადაც საშინელია. პატარა ბიჭი ყავს, ჯორჯის ტოლი.

- ჰო,ჰო, მეც მახსოვს, - ჩაურთო ემიმ. - მერე?

- მაგისთანა ლამაზი ბავშვი ქვეყანაზე არ დაბადებულა, - თქვა ჯოზმა, რომელიც ძალიან მსუქანი კაცი გახლდათ, ადვილად ერეოდა გრძნობა და ბეკის ნაამბობმა გული აუყუჩა; - პირდაპირ ანგელოზია და თან აღმერთებდა დედას. საზიზღრებმა აწივლებული ბავშვი მკერდიდან მოჰგლიჯეს და საწყალს აღარც აჩვენეს თვალით.

- ძვირფასო ჯოზეფ, - შეჰყვირა ემიმ და მსწრაფლ ფეხზე წამოიჭრა. - ამ წუთშივე წავიდეთ და ვნახოთ ის საცოდავი!

ამ სიტყვებით შევარდა მეზობელ ოთახში. ათრთოლებული ხელებით დაიხურა ქუდი, შალი მკლავზე გადაიგდო და უბრძანა დობინს გამომყევიო.

ისიც ეახლა და მოასხა შალი მხრებზე. ეს სწორედ ის თეთრი ქიშმირის შალი გახლდათ, რომელიც თვითონ მაიორმა გამოუგზავნა ინდოეთიდან. მიხვდა, რომ მორჩილების მეტი აღარა დარჩენოდა რა. ემიმაც გაუყარა ხელი და გაუდგნენ გზას.

- 92-ე ნომერშია, აქამდე კიბის ოთხი სართულია, - დაურთო ჯოზმა, რომელსაც ეტყობოდა, მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა კვლავ იმ კიბეზე აბობღება. ამიტომ თვითონ სასტუმრო ოთახის ფანჯარას მიუჯდა, რომელიც იმ მოედანს გადაჰყურებდა, სადაც სასტუმრო „სპილო“ იდგა და დაუწყო ცქერა ბაზარზე მიმავალ წყვილს.

ასევე ბეკიმაც მოჰკრა მათ თვალი თავისი სხვენის სარკმლიდან, რადგან იქ ის და ორი სტუდენტი იდგნენ, ყბედობდნენ და იცინოდნენ. ხუმრობდნენ ბეკის ბაბუის გამოჩენაზე, რომლის მობრძანებისა და წაბრძანების მოწმენის გახლდნენ. მაგრამ ქალმა დროით გაისტუმრა გარეთ ისინი და „სპილოს“ მეპატრონის ამოსვლამდე მოასუფთავა პატარა ოთახი. სასტუმროს პატრონმა კარგად იცოდა ქალბატონი ოსბორნი რომ დიდად საყვარელი პიროვნება იყო უგანათლებულესი მთავრის კარზე და ჯეროვნადაც სცა პატივი - ამოუძღვნა კიბეზე, სხვენის სართულისაკენ. თან ასვლის დროს მილედისა და ჰერ[315] მაიორს ამხნევებდა.

- მოწყალეო ქალბატონო, მოწყალეო ქალბატონო! - შესძახა სასტუმროს პატრონმა და დაუკაკუნა ბეკის კარზე. წინა დღეს კი მხხოლოდ „მადამს“ ეძახოდა მას და სულაც არ ეპყრობოდა

თავაზიანად.

- ვინ არის? - გამოყო თავი და იკითხა ბეკიმ, მაგრამ მყის ოდნავ შეჰკივლა: მის წინაშე იდგნენ აცახცახებული ემი და ბამბუკის ჯოხიანი მაიორი დობინი.

მაიორი დიდი ცნობისმოყვარეობით მშვიდად აკვირდებოდა იქაურობას, ხოლო ემი კი ხელებგაშლილი მიეჭრა რებეკას, იმწამსვე მიუტევა შეცოდებანი, ჩაესკვნა და მთელი გულითა და სულით აჰკოცნა. ეჰ, შე საცოდავო, განა როდის ღირსებია შენს ბაგეს ასე უბიწო ამბორი?

თავი LXVI - „AMAHTIUM IRAE“

[316]

ემილიას გულწრფელობამ და გულკეთილობამ ალბათ თვით ისეთ მოურჯულებელ პატარა მკრეხელზედაც კი იმოქმედა, როგორიც ბეკი იყო. ემის ალერსისა და ტკბილი სიტყვების საპასუხოდ იმანაც მადლიერების მსგავსი გრძნობა და აღელვება გამოამჟღავნა, რაიც თუ ხანგრძლივი არ გახლათ, იმ წუთს მაინც თითქმის გულწრფელი ეჩვენებოდა კაცს. ბედმა გაუღიმა, „მკერდიდან მოგლეჯილი აწივლებული ბავშვი“ რომ ახსენა. ამ მტანჯველი უბედურებით დაიბრუნა ბეკიმ მეგობარი და, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, სწორედ ეს იყო პირველი საკითხი, რომელზედაც ჩამოაგდო ლაპარაკი ახლად აღმოჩენილ ნაცნობთან ჩვენმა საბრალო, პატარა, ალალმა ემიმ.

- მაშ აგრე წაგართვეს შენი თვალისჩინი! - მიაძახა ჩვენმა დოყლაპიამ. - ოჰ. რებეკა, ჩემო საბრალო, ძვირფასო, ტანჯულო მეგობარო, მეცხ ვიცი შვილის წართმევის სიმწარე და მესმის იმათი, ვისაც ბავშვი დაუკარგავს. მაგრამ, მადლი უფალს, შენსას მალევე დაგიბრუნებენ, როგარც მე დამიბრუნა უკან ლმობიერმა, მოწყალე განგებამ ჩემი შვილი.

- ბავშვი, ჩემი ბავშვი? ოჰ, დიახ, პირდაპირ აუწერელი იყო ჩემი

ტანჯვა, - აღიარა ბეკიმ ალბათ მაინც ცოტაოდენი სინდისის ქენჯნით.

ეხმუშებოდა, იძულებული რომ იყო, ამდენი გულითადობისა და გულწრფელობის საპასუხოდ ახლავე ტყუილების როშვას რომ უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ ეს გახლავთ ამ ჯურის სიყალბის უბედურება: როცა ერთი სიცრუე წამოგცდება, უკვე მეორის მოჩმახვა ხდება საჭირო ძველის შესამაგრებლად და ამრიგად სიცრუეთა გროვა აუცილებლად იზრდება და იზრდება და გამჟღავნების საფრთხეც დღედადღე მატულობს.

- ჩემი ტანჯვა, განაგრძო ბეკიმ, - საშინელი იყო (იმედი მაქვს ახლა მაინც აღარ დაჯდება კონიაკის ბოთლზე!), როცა ბავშვი წამართვეს. მეგონა, მოვკდები-მეთქი. მაგრამ, საბედნიეროდ, ტვინის ანთება დამემართა. ექიმმაც კი აიღო ჩემზე ხელი და... და მაინც გამოვკეთდი და... და ახლა აქ ვაგდივარ, უმწეო და უმეგობრო.

- რა ხნისა ბავშვი? - ჩაეკითხა ემი.

- თერთმეტის, - მიუგო ბეკიმ.

- თერთმეტის! - შესძახა მოსაუბრემ. - როგორ? ის ხომ სწორედ იმ წელს დაიბადა, რა წელსაც ჯორჯი და ის კი...

- ვიცი, ვიცი, - შეჰყვირა ბეკიმ, რომელსაც ნამდვილად სულ აღარ ახსოვდა პატარა როუდონის ხნოვანება. - მწუხარებამ იმდენი რამ გადამავიწყა, უძვირფასესო ემილია! ძალიან შევიცვალე. ხანდახან პირდაპირ ნახევრად გიჟი ვარ. თერთმეტის მაშინ იყო, მე რომ წამართვეს. ღმერთმა დალოცოს მისი საყვარელი სახე - მას შემდაგ აღარც მომიკრავს მისთვის თვალი!

- ქერა იყო თუ შავგრემანი? - კვლავ განაგრძობდა ჩვენი ტუტუცუ პატარა ემი. - მიჩვენე მისი თმა!

ბეკის კინაღამ სიცილი წასკდა მის გულუბრყვილობაზე.

- დღეს არა, საყვარელო... სხვა დროს იყოს, როცა ზანდუკები ჩამომივა ლაიპციგიდან, საიდანაც ჩამოვედი აქ... და მის პატარა სურათსაც გიჩვენებ, ბედნიერ დღეებში რომ დავხატე.

- საწყალე ბეკი, საწყალი ბეკი! - თქვა ემიმ. - მე კი რა მადლიერი, რა მადლიერი უნდა ვიყო! - (თუმცა ვეჭვობ,

ღვთისმოსავობის ეს სახე, რომელმაც პატარაობაში გვინერგავდნენ ჩვენი ოჯახის მდედრი წევრები - სახელდობრ, მადლიერების გრძნობის გამოთქმა ვიღაც სხვაზე უკეთ ყოფნის გამო - ძალიან გონივრული სარწმუნოების ნაბიჯი იყოს) და ჩვეულებისამებრ შეუდგა ფიქრს, მთელი ქვეყნიერების ზურგზე რა ყველაზე ლამაზი, უკეთესი და უჭკვიანესი ბიჭი მყავსო.

- შენ ნახავ ჩემს ჯორჯის, - ბეკის სანუგეშებლად ყველაზე უკეთესი ესღა მოიგონა ემიმ. თუკი რაიმეს შეეძლო მისი გულის დაამება, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო.

ორი ქალი ასე განაგრძობდა მუსაიფს ერთ თუ ორ საათს, რომლის განმავლობაშიც ბეკის საშუალება ჰქონდა სრულად და დაწვრილებით მოეთხრო თავგადასავალი ახალი მეგობრისათვის. უამბო, როუდონ კროულიზე მის დაქორწინებას ყოველთვის რა უაღრესი მტრული განწყობილებით უყურებდა ოჯახი. რძალმა (ერთმა გაიძვერა დედაკაცმა) როგორ მოუშხამა გონება მის ქმარს და აამხედრა მის წინააღმდეგ. ქმარი როგორ გადაეკიდა ვიღაც საზიზღარ ხალხს და სულ გაუგრილდა გული ცოლზე. როგორ იტანდა ყოველთვის - სიღატაკეს, აბუჩად აგდებას, გულცივობას იმისაგან, ვინც ყველაზე უფრო უყვარდა - და სულ თავისი უძვირფასესი პირმშოს გულისთვის. დაბოლოს, რა უსასტიკესად, შემაძრწუნებლად შეურაცხყვეს და როგორ გახდა იძულებული, ქმრისაგან განცალკევება მოეწადინებინა, როცა იმ უბადრუკს არც კი შერცხვა და მოსთხოვა, რომ საკუთარი პატიოსანი სახელი გაეწირა, რათა ქმარს ერთი ფრიად დიდი და ძლიერი, ოღონდ უპრინციპო კაცის, მარკიზ სტაინის, მეშვეობით წარჩინება მოეპოვებინა. საზარელი ურჩხული!

თავგადასავლებით აღსავსე მოთხრობის ეს ნაწილი ბეკიმ უდიდესი დიაცური სისათუთით გაუზიარა და, ვითარცა ფრიად სათნო ადამიანმა, უდიდესი აღშფოთებაც გამოამჟღავნა. ამშეურაცხყოფის გამო იძულებული რომ გახდა დაეტოვებინა მეუღლის ჭერი, ჯაბანმა შვილის წართმევით იძია შური. ბეკის თქმით, ამრიგად, გახდა იგი ბოგანო, ღატაკი, უმწეო, უმეგობრო და დაბეჩავებული.

ემიმ ეს ამბავი, ცოტა გაჭიანურებით მონაყოლი, იმნაირად აღიქვა, როგორც მისი ხასიათის ცოტაოდნად მაინც მცნობმა

პირებმა შეიძლება წარმოიდგინონ. იგი აღშფოთებისაგან პირდაპირ ცახცახებდა, საწყალობელი როუდონისა და გათახსირებული სტაინის ყოფაქცევის ამბავს რომ ისმენდა. მის თვალებში გაკვირვების ნიშანი გამოსჭვიოდა ყოველ იმ წინადადებაზე, რომლითაც ბეკი აღწერდა არისტოკრატი ნათესავების მხრით დავნასა და ქმრის გაგარეულებას. (ბეკი აუგად არ ახსენებდა მას. უფრო მწუხარების გრძნობის გრძნობით ლაპარაკობდა,ვიდრე გაბოროტებით. ბეკის იგი დიდი გატაცებით უყვარდა: და განა ის მისი შვილის მამა არ იყო?) ხოლო ბავშვთან განშორების სცენას რაც შეეხება, როცა ბეკი მას ყვებოდა, ემის სულ მთლიანად ცხვირსახოცში ჰქონდა ჩამალული სახე. ასე რომ სწორუპოვარი პატარა ტრაგიკოსი მსახიობი ჭეშმარიტად უდა მოხიბლულიყო, ასე დიდი შთაბეჭდილება რომ მოახდინა მისმა თამაშმა მაყურებელზე.

სანამ მანდილოსნები თავისთვის ჭუკჭუკებდნენ, ემილიას მუდმივი მხლებელი, მაიორი, რომელსაც, რასაკვირველია, არც სურდა მათთვის ხელის შეშლა და რაკი დაიღალა კიდეც ვიწრო, ჭრაჭუნა ტალანში სეირნობით, სადაც მისი ქუდის ხაო დაბალ ჭერსა გვიდა, ჩამოვიდა პირველ სართულზე და სასტუმრო „სპილოს“ საერთო დარბაზში ამოყო თავი - სწორედ იქ, საიდანაც კიბე იწყებოდა. ეს დარბაზი მუდამ სავსეა თამბაქოს ბოლით და უზვადაა მორწყული ლუდით. ჭუჭყიან მაგიდაზე ქონის სანთლებიანი უამრავი ბრინჯაოს შანდალი დგას მობინადრეთათვის, რომელთა კლიტეები რიგებადაა ჩამომწკრივებული სანთლების თავზე. ემიმ სახეალეწილმა გაიარა ამ ოთახში, სადაც ყოველი ჯურის ხალხი შეკრებულიყო: ტიროლელი ხელთათმანების გამყიდველნი და დუნაელი ტილოს ვაჭარნი, თავიანთი ბარდანეითურთ; სტუდენტები, ბუტერბროდებითა და ხორცით რომ ნაყრდებოდნენ; უსაქმონი, რომელნიც ბანქოსა და დომინოს თამაშობდნენ ლუდის მონთხეულ მაგიდებზე; ჯამბაზები, რომელნიც ისვენებდნენ წარმოდგენებს შორის - ერთი სიტყვით, ბაზრობის დროის გერმანული სასტუმროს მთელი fumum და strpitus[317], ფარეშმა, რა თქმა უნდა, მოართვა მაიორს ერთი თასი ლუდი. იმანაც ამოიღო სიგარა და, სანამ მისი ზრუნვის ქვეშ მყოფი პიროვნება ჩამობრძანებას ინებებდა, თავი შეიყალია ამ დამღუპველი მცენარის ბოლით და გაზეთით.

მალე მაქსი და ფრიციც დაეშვნენ კიბეზე. ქუდები გვერდზე მოეგდოთ, დეზებს მოაწკარუნებდნენ პირში კი ღერბებითა და

გაფუებული ფოჩებით დიდებულად შემკული ჩიბუხები ჰქონდათ გაჩრილი. კლიტე 90-ე ნომერზე ჩამოკიდეს და ბუტერბროდისა და ლუდის ულუფები შეუკვეთეს. ორივენი მაიორის ახლოს ჩამოსხდნენ და გააბეს მუსაიფი, რომლის ნაწილი ძალაუნებურად უილიამ დობინსაც ესმოდა. ბაასი უმთავრესად ეხებოდა „ფუქსებსა“[318] და „ფილისტერებს“[319], დუელებსა და ღრეობებს მეზობელ შოპემჰაუზენის უნივერსიტეტში, სწავლა-განათლების ამ სახელგანთქმულ ცენტრში, საიდანაც ისინი ახლახან ჩამობრძანებულიყვნენ სასწრაფო საფოსტო ეტლით, როგორც ჩანდა, ბეკისთან ერთად, რათა პუმპერნიკელის საქორწინო ზეიმს დასწრებოდნენ.

- პატარა Englanderin, ეტყობა, en bays de gannoissance[320] მოხვდა, - უთხრა მაქსმა, რომელმაც ფრანგული იცოდა, ფრიცს, თავის ამხანაგს. - გაბერილი პაპიკო რომ წაუვიდა, მერე ტურფა პატარა თანამემამულე ქალბატონი ესტუმრა. მესმოდა, ისინი ერთად როგორა ყბედობდნენ და სლუკუნებდნენ პატარა დედაკაცის ოთახში.

- კონცერტის ბილეთები უნდა ავიღოთ, - თქვა ფრიცმა. - გაქვს რამე ფული, მაქს?

- იჰ! - შესძახა თანამოსაუბრემ. - ეგ კონცერტი არის კონცერტი in nubibus[321]. ჰანსმა თქვა, მაგან ერთი კონცერტი ლაიპციგშიაც გამოაცხადა და ბურშებმა[322] ბევრი ბილეთი შეიძინესო. მაგრამ ისე წამობრძანებულა იქიდან, რომ არ უმღერია. გუშინ თვითონ ამბობდა ეტლში, ჩემი პიანისტი დრეზდენში ავად გახდაო. დარწმუნებული ვარ, არც შეუძლია სიმღერა. შენსავით ხრინწიანი ხმა აქვს, სახელოვანო ლუდიყლაპიავ!

- ხრიწიანი აქვს; მისი სარკმლიდან გავიგონე ერთ schreckliche[323] ინგლისურ ბალადას მღეროდა, სახელად - „De Rose upon de Balgony”[324].

- saufen und singen[325] ერთად არ ხერხდება, - შენიშნა ცხვირწითელმა ფრიცმა, რომელიც, ეტყობოდა, პირველ დროსტარებას ამჯობინებდა. - არა, მაგის ბილეთებს ხელს ნუ ახლებ. გუშინ trente და quarante-ში ფული მოიგო. მე დავინაზე: ერთი პატარა ინგლისელი ბიჭი ათამაშა თავის მაგივრად. შენი ფული ან იქ დავხარჯოთ, ანდა ფრანგული ღვინითა და კონიაკით გავუმასპინძლდეთ ავრელიუსის ბაღში, ოღონდ

ბილეთებს კი ნუ ვიყიდით. შენ რას იტყვი? კიდევ თითო ლუდი გადავკრათ? - და ორივემ კიდეც ამოავლეს თავიანთი ქერა ულვაშები საზიზღარ სასმელში, მერე გადაიგრიხეს და ბღენძვით გაემართნენ ბაზრობაზე.

მაიორმა დაინახა, 90-ე ნომერზე კლიტე რომ ჩამოკიდეს, ყური მოჰკრა ორი უნივერსიტეტელი დარდიმანდის მუსაიფს და ადვილად მიხვდა, რომ მათი საუბარი ბეკის შეეხებოდა. „ეს ჭინკა ძველებურ ოინებს არ იშლის!“ გაიფიქრა მან და გაეღიმა, როცა წარსული დღენი გაიხსენა, რა თავგანწირვით ეარშიყებოდა იგი ჯოზს და რა სასაცილოდ დაბოლოვდა ეს თავგადასავალი. ის და ჯორჯი მერე ხშირად იცინოდნენ ამაზე, სანამ ჯორჯის ქორწინებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ თითქოს თვითონაც არ გაება პატარა კირკეს[326] ბადეში და მასთან ისეთი კავშირი გააბა, რომლის შესახებაც ამხანაგს იქნებ კიდეც ჰქონდა აღებული ეჭვი, მაგრამ გამოტეხით თქმას კი ვერა ბედავდა. უილიამს ძალიან სტკივოდა გული, თან ეთაკილებოდა გამოკითხვა და იმ საძრახის საიდუმლოში ჩაძიება, თუმცა ერთხელ, ალბათ სინდისის ქენჯვის წყალობით, თვითონ ჯორჯმა გადაუკრა სიტყვა. ეს იყო ვატერლოოს ბრძოლის დილას, როცა ახალგაზრდები წვიმაში ერთად იდგნენ თავიანთი მოწინავე ხაზზე და მოპიდაპირე ბორცვებზე განლაგებული ფრანგების შავ დასტებს გაჰყურებდნენ.

- სულელურ ინტრიგაში გავიხლართე ერთ ქალთან. - თქვა ჯორჯმა. - კიდევ კარგი, რომ გამოვილაშქრეთ! თუ მომკლეს, იმედი მაქვს ემი მაინც ვეღარას გაიგებს. ნეტავი, ღვთის წყალობით, არც არასოდეს წამომეწყო ეგ საქმე!

და უილიამს ასიამოვნებოდა და არა ერთხელაც უნუგეშებია საბრალო ჯორჯის ქვრივი იმ ამბით, რომ მეუღლესთან გამოსალმებისა და პირველ დღესვე კატრ-ბრას ბრძოლის შემდგომ გულიანად და გრძნობით მოიხსენებდა ამხანაგთან საუბარში მამა და ცოლი. ეს ამბავი უილიამმა დიდი სიბეჯითით უფროს ოსბორნთან საუბარშიც გაიმეორა სწორედ ბერიკაცის სიცოცხლის დასასრულს და ამრიგად შვილის ხსოვნასთან მოხუცი ვაჟბატონის შერიგების საშუალებადაც გამოიყენა.

„მაშ ეგ ეშმაკის კერძი კიდევ განაგრძობს თავის ოინბაზობას? - გაიფიქრა უილიამმა. - ნეტავი ერთი ასიოდე მილით მაინც იყოს მოშორებული. სადაც მივა, ყველგან უბედურება მიაქვს!“

ამ ავ წინათგრძნობებსა და უსიამო ფიქრებში ჩაფლულ დობინს ხელებში მოექცია თავი და ცხვირწინ გაშლილი წინა კვირის „პუმპერნიკელის გაზეთს“ ჩაშტერებოდა ტყუილად, რომ ვიღაცამ ქოლგა მოუცაცუნა მხარზე. მან აიხედა და ქალბატონი ემილია დაინახა.

ეს ქალი მტარვალურად ეპყრობოდა მაიორ დობინს (ვინაიდან ადამიანთა შორის ყველაზე უფრო სუსტსაც კი ნებავს ვინმეზე გაბატონება!) - დაარბენინებდა აქეთ-იქით, ხელს უთათუნებდა და სწორედ ისევე ატარებინებდა რაიმეს, როგორც დიდ ნიუფაუნდლენდურ ნაგაზს. მაიორი, ასე ვთქვათ, სიამოვნებით გადახტებოდა წყალში, ემის რომ შეეძახა, „ისკუპე დობინო!“ და მის ხელჩანთასაც პირში გაიჩრიდა და კუდში აედევნებოდა. ეს მოთხრობა სრულიად ამაოდ დაწერილა, თუ მკითხველი აქამდე ვერ მიმხვდარა, რომ მაიორი გვარიანი ყეყეჩი ვინმე ბრძანდებოდა.

- რატომ არ მომიცადეთ, ვაჟბატონო, რომ კიბეზე ჩამოგეცილებინეთ! - ცოტა ტუჩაბზუებით უსაყვედურა ქალმა და ფრიად სარკასტული რევერანსიც უძღვნა.

- ტალანში ვერ გავიმართე, - მიუგო დობინმა სასაცილო მორჩილი გამომეტყველებით და გაეხარდა, რომ უკვე შეეძლო მკლავი შეეთავაზებინა და გაეშორებინა ამ საძაგელი გაკვამლური ადგილისათვის.

მაიორი დობინი სულაც ისე წაბრძანდებოდა, ფარეშის გასტუმრება არ მოაგონდებოდა, მაგრამ ყმაწვილი თვითონვე გამოეკიდა, სასტუმროს ზღურბლზე წამოეწია და გადაახდევინა იმ ლუდის საფასური, რომლისთვისაც პირი არ დაუკარებია. ემის გაეცინა, საძაგელი კაცი უწოდა, ფულის გადაუხდელად გაპარვას რომ აპირებდა, და შემთხვევის შესაფერად წაიოხუნჯა კიდეც თხელი ლუდის თაობაზე. ემი ხალისიან და მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა და ძალიან მკვირცხლად გადაიცქრიალა ბაზრის მოედანი. მას სურდა დაუყოვნებლივ ეხილა ჯოზი. მაიორს ეცინებოდა ქალბატონ ემილიასაგან გამომჟღავნებულ გრძნობათა მოზღვავებაზე, რადგან, მართალი მოგახსენოთ, არცთუ ხშირად მოენატრებოდა ხოლმე მას ძმის „დაუყოვნებლივ“ ნახვა.

მოხელე მეორე სართულის თავის სასტუმრო ოთახში დახვდათ. იგი ბოლთას სცემდა, ფრჩხილებს იკვნეტდა და

საბაზრო მოედანს იქით სასტუმრო „სპილოსკენ“, ამ ერთ საათში, სულ უკანასკნელი, ასჯერ მაინც გაიხედა, ვიდრე ემი ჩაკეტილი იყო მეგობართან ერთად სხვენში, ხოლო მაიორი კი თითებს უკანტუნებდა ქვემოთ საერთო დარბაზის მოსველებურ მაგიდას და ისიც, თავის მხრივ, ფრიად სულწასული ელოდა ქალბატონ ოსბორნს.

- აბა, როგორ არის საქმე? - იკითხა მან.

- საცოდავი, რა დატანჯულა! - შესძახა ემიმ.

- უფალო შემიწყალე, დიაღაც რომ გატანჯულა, - თავის კანტურით ბრძანა ჯოზმა ისე, რომ მისი მსუქანი ლოყები ჟელესავით თამთამებდა.

- ის პეინის ოთახში იყოს, პეინი კი ზევით გადავიდეს, - განაგრძო ემიმ.

პეინი გახლდათ თავდაჭერილი ინგლისელი პირისფარეში და ქალბატონ ოსბორნის მოახლე, რომელსაც მეგზური, როგორც წესია, ეკურკურებოდა და რომელსაც ჯორჯი აფრთხობდა გერმანელი ყაჩაღებისა და აჩრდილების საზარელი ამბებით. იგი დროს უმთავრესად ატარებდა ბუზღუნში, ქალბატონის მოვლაში და ლაპარაკში, რომ ხვალ უეჭველად ჩემს მშობლიურ სოფელ კლეფემს უნდა დავბრუნდეო.

- ის პეინის ოთახში იყოს, - გაიმეორა ემიმ.

- როგორ! სახლში შემოშვებას ხომ არ უპირებთ იმ დედაკაცს? - შეჰყვირა,აიორმა და ზეზე წამოიჭრა.

- რასაკვირველია, ვუპირებთ, - თქვა ემილიამ ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უფრო უმანკო იერით. - ნუ ცხარობთ და ავეჯს ნუ დაამტრევთ, მაიორო დობინ. რასაკვირველია, ვაპირებთ მის აქ დაბინავებას!

რასაკვირველია, გეთაყვა, - კვერი დაუკრა ჯოზმაც.

- საბრალო გოგო იმდენს ეწამა! - განაგრძო ემიმ. - მისი საზარელი ბანკირი გაკოტრდა და გადაიხვეწა; ქარმა, უკეთურმა სალახანამ, მიატოვა და შვილიც წაართვა - (აქ მან მომუჭა თავისი პაწია მუშტები და ფრიად მრისხანე სახით დადგა, ისე რომ მაიორი პირდაპირ მოიხიბლა ამნაირი შეუპოვარი მეომარი დიაცით ხილვით) - საცოდავი, ძვირფასი

ბეკი! სულ მარტო დარჩა და პირდაპირ იძულებული გახდა, ლუკმაპურის საშოვნად სიმღერის მასწავლებლობა დაეწყო... და ეგ არ უნდა დავაბინაოთ აქ!

- მასწავლებლად აიყვანეთ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო ოსბორნ, - შესძახა მაიორმა, - მაგრამ სახლში ნუ დააყენებთ. გევედრებით, ნუ დააყენებთ!

- ფიე! - ბრძანა ჯოზმა.

- თქვენ, რომელმაც მუდამ გულკეთილი და სათნო ადამიანი ბრძანდებით - ყოველ შემთხვევაში, ასეთი მაინც იყავით წინათ - პირდაპირ მაოცებთ, მაიორო დობინ, - შესძახა ემილიამ. - განა როდის უნდა გავუწოდოთ მას დამხმარე ხელი, თუ არა ახლა, როცა იგი ასე სავალალო ყოფაშია? სწორედ ახლაა მისი დახმარების დრო. ყველაზე ძველი ჩემი მეგობარი და ხელი არ...

- ყოველთვის არ ყოფილა ის თქვენი მეგობარი, ემილია, - ვეღარ მოითმინა მაიორმა, რადგან ძალიან იყო გაჯავრებული.

ამ გადაკრულმა სიტყვამ უკვე მოთმინების ფიალა აუვსო ემის, რომელმაც თითქმის გაალმასებით შეხედა სახეში მაიორს და უთხრა: - გრცხვენოდეთ, მაიორო დობინ! - და ეს რომ მიახალა, ფრიად გულზვავი იერით გაბრძანდა ოთახიდან და სასწრაფოდ მიიჯახუნა კარი შეურაცხყოფილი ღირსების შეგნებით.

- მაგაზე სიტყვის გადაკვრა! - წაილაპარაკა მან, როცა კარი მიიხურა. - ოჰ, რა სისასტიკეა მისი მხრით, ეს რომ მომაგონა! - და თვალი მიაპყრო ჯორჯის სურათს, რომელიც ჩვეულებისამებრ ბავშვის პორტრეტის თავზე ეკიდა. - სისასტიკე იყო მისი მხრით! თუკი მე მოგიტევე, იმას რაღა ალაპარაკებდა? არა და არა! მერე მისი საკუთარი პირით მაინც არ მომესმინა და არ ვიცოდე, რა უკეთური, უსაფუძვლო იყო ჩემი ეჭვიანობა და რა უმანკო იყავი შენ. ოჰ, დიახ, სწორედ უმანკო იყავი, ჩემო ზეციერო ანგელოზო!

იგი, აცახცახებული და გაგულისებული, ბოლთას მოჰყვა ოთახში. მივიდა, დაეყრდნო კომოდს, რომლის თავზეც სურათი ეკიდა და უცქეროდა მას. მისი თვალები თითქოს საყვედურით გადმოჰყურებდნენ და რაც უფრო მეტს უყურებდნენ, თითქოს უფრო და უფრო ღრმა გრძნობა ეტყობოდათ. სიყვარულის ყველაზე უფრო საუკუთესო, ხანმოკლე დროის ძველი, ძვირფასი, ძვირფასი მოგონებანი მოუზღვავდა. ჭრილობამ,

რომელიც წლებმა ძლივს მოაშუშა, კვლავ თავი იჩინა და მწარედ, ოჰ, რა მწარედ სდიოდა სისხლი! ემილიას არ ძალედვა მის წინაშე მდგარი მეუღლის საყვედურის ატანა. არც შეიძლებოდა აეტანა: არა და არა!

საბრალო დობინი, საბრალო ჩვენი უილიამი! იმ უბედურმა სიტყვამ დაუფუშა მრავალი წლის ნაღვაწი - სიყვარულის, ერთგულებისა და მთელი სიცოცხლის ხანგრძლივი ჯაფით აგებული შენობა, აღმართული მერე როგორ იდუმალ, ფარულბალავერზე, სადაც ჩამარხული გახლდათ ვნებანი, გრძნობათა უამრავი ჭიდილი და ბევრი ფარული მსხვერპლი. ერთი პატარა სიტყვა წამოსცდა და ძირს დაემხო იმედის საუცხოო სასახლე; ერთი სიტყვა და გაუფრინდა ის ჩიტი, რომლის მონადირებასაც მთელი თავისი სიცოცხლე ცდილობდა!

თუმცა უილიამმა ემილიას გამომეტყველებაზე შეამჩნია, რომ დიდი კრიზისის ჟამი დადგა, მაინც განაგრძო სედლისადმი ფრიად გულმხურვალე ხვეწნა-მუდარა, რებეკას უფრთხილდითო და გაცხარებით, თითქმის გიჟივით, ევედრებოდა ჯოზს, შინ არ შემოუშვათო. იგი სთხოვდა, ჯერ მისი ამბავიც მაინც გამოიკითხეო; უთხრა, როგორ მოჰყრა ყური, რომ იგი ყომარბაზებისა და სახელგატეხილი ადამიანების წრეში ტრიალებდა; გაახსენდა, რა ბოროტება ჰქონდა ჩადენილი წარსულში; იმან და კროულიმ როგორ ააცდინეს გზას და დაღუპვის კარს მიიყვანეს საბრალო ჯორჯი; მისივე აღიარებით, ახლა როგორ ცხოვრობდა ქმარგაყრილი და ალბათ სრულიად სამართლიანიმიზეზითაც. რა სახიფათო ამხანაგი იქნებოდა იგი მისი დისთვის, რომელსაც ამ წუთისოფლისა არა გაეგებოდა რა! უილიამი ემუდარებოდა ჯოზს მთელი თავისი მჭერმეტყველებითა და გაცილებით უფრო მეტი ენერგიით, ვიდრე ეს წყნარი დარბაისელი ჩვეულებრივ ამჟღავნებდა ხოლმე, რათა ამ ოჯახისათვის რებეკა მოერიდებინა.

ნაკლებ გაფიცხებული ანდა უფრო მეტად მარჯვე რომ ყოფილიყო დობინი, ეგებ კიდეც გაეჭრა ჯოზისადმი მის ხვეწნა-მუდარას. მაგრამ მოხელე არა მცირე ბოღმასა გრძნობდა მისდამი იმ ქედმაღლური დამოკიდებულების გამო, რომლითაც, მისი წარმოდგენით, მაიორი მუდამ ეპყრობოდა (თავისი შეხედულებანი ამ საკითხში მან ბატონ კირშს,

მეგზურსაც კი გაანდო, რომლის ანგარიშებსაც მაიორი დობინი ამოწმებდა გზაში, და რომელსაც თავისი ბატონის მხარე ეჭირა). ამიტომ ჯოზი ბაქიაობას მოჰყვა, თავადაც ჩინებულად შემიძლია ჩემი პატიოსანი სახელის დაცვაო. გამოაცხადა თავისი მტკიცე სურვილი, არ მინდა სხვანი ეჩრებოდნენ ჩემს საქმეშიო, და აგრეთვე, ერთი სიტყვით, განზრახვა - აჯანყებულიყო მაიორის წინააღმდეგ. ოღონდ მათ საუბარს, ცოტა არ იყოს, ხანგრძლივსა და ცხარეს, ზღვარი დაედო სრულიად უბრალოდ: სახელდობრ, სასტუმრო „სპილოდან“ ქალბატონი ბეკი მობრძანდა მებარგული მუშითურთ, რომელსაც მისი ფრიად მცირე ბარგი-ბარხანა ეტვირთა.

ქალი გულითადი პატივისცემით მოეგება მასპინძელს, ხოლო მაიორ დობინს კი თავშეკავებული, მაგრამ მეგობრული, სალამი უძღვნა. მას მაშინვე უგრძნო გულმა, რომ მაიორი მისი მტერი იყო და სწორედ მის საწინააღმდეგოდაც ლაპარაკობდა. ბეკის მოსვლით გამოწვეულმა ფაციფუცმა და ჩოჩქოლმა ემილიაც გამოიყვანა თავისი ოთახიდან. იგი მიეახლა სტუმარს და უდიდესი ალერსით ჩაესკვნა, მაიორისთვის კი ზედაც არ შეუხედავს. მხოლოდ ერთხელ გადაავლო გაჯავრებით თვალი და ისიც ისე, რომ ალბათ ამ საბრალო პატარა დიაცს, რაც დაბადებულიყო, მის დღეში ჯერ არავისთვის გადაეხედა ასე უსამართლოდ და აბუჩად აგდებით. მაგრამ მას საკუთარი მიზეზები მოეპოვებოდა და არცა ფიქრობდა დობინზე გულის მობრუნებას. მაიორი დობინიც, არა მარცხით, არამედ უფრო უსამართლობით განაწყენებული, წავიდა და სწორედ ისეთივე გულზვავი თავის დაკვრით გამოეთხოვა, როგორიც ის მომაკვდინებელი რევერანსი გახლდათ, რომლითაც პატარა დიაცმა ინება გამომშვიდობება.

მაიორის წასვლის შემდგომ ემიმ კიდევ უფრო განსაკუთრებული აღგზნება და გულმხურვალება გამოიჩინა რებეკასადმი - დაფუსფუსებდა ოთახებში და ისეთი გულმოდგინებითა და სიმარჯვით აბინავებდა სტუმარს მის ოთახში, რასაც იშვიათად ამჟღავნებდა ჩვენი წყნარი, პატარა მეგობარი. მაგრამ როცა უსამართლობას ჩაიდენენ, და მერე ისიც სუსტი არსებანი, სჯობია, იგი რაც უფრო მსწრაფლ აღსრულდება და ემისაც ეგონა, ამ მოქმედებით დიდი სულის სიმტკიცე და განსვენებული კაპიტანი ოსბორნის ხსოვნისადმი სწორედ ჯეროვანი სიყვარული და პატივისცემა გამოვიჩინეო.

ზეიმიდან ჯორჯი სადილისათვის დაბრუნდა და ჩვეულებისამებრ ოთხი კაცისთვის გაშლილი სუფრა დახვდა, ოღონდ ერთი ადგილი მაიორი დობინის ნაცვლად ვიღაც ქალბატონს დაეჭირა.

- ერიჰა! დობი სადღაა? - იკითხა ახალგაზრდა ვაჟბატონმა თავისი ჩვეული პირდაპირობით.

- მაიორი დობინი ალბათ სხვაგან სადილობს, - მიუგო დედამ; მიიხმო ბავშვი, ჩაჰკოცნა გულიანად, შუბლიდან თმა გადაუწია და ქალბატონ კროულის წარუდგინა.

- ეს არის ჩემი ბიჭი, რებეკა, - უთხრა ქალბატონმა ოსბორნმა ისეთი კილოთი, თითქოს ეკითხებოდა, განა ქვეყნიერების ზურგზე სხვა ამის მსგავსი მოიძევებაო?

ბეკიმ აღტაცებით შეხედა ბავშვს და ალერსიანად ჩამოართვა ხელი.

- ძვირფასო ბიჭუნა! - შესძახა მან. - სწორედ ჰგავს ჩემს...

გრძნობამორეულობამ აღარ დაასრულებინა სათქმელი, მაგრამემილია ისევე მიუხვდა, თითქოს სიტყვით გამოეთქვას ბეკის, რომ იგი თავის კურთხეულ პირმშოს გულისხმობდა. ოღონდ მეგობრის საზოგადოებამ ანუგეშა ქალბატონი კროული და მაინც ფრიად გემრიელად მიირთვა სადილი.

პურობის დროს, ბეკის შემთხვევა ჰქონოდა, რამდენჯერმე ჩაბმულიყო საუბარში და ჯორჯი უკვირდებოდა და ყურს უგდებდა. დესერტზე ემი გარეთ გავიდა შემდგომი განკაგულების მოსახდენად; ჯოზი თავის დიდ სავარძელში იჯდა და „გალინიანის გაზეთზე“ ყვინთავდა; ჯორჯი და ახალმოსული ერთმანეთს ახლოს ისხდნენ. ბიჭმა არა ერთხელ ნიშანდობლივად გადახედა და ბოლოს თხილის სამტრევი მაგიდაზე დადო.

- იცით, რა გითხრად! - თქვა ჯორჯიმ.

- რაო? - სიცილით ჩამოართვა სიტყვა ბეკიმ.

- თქვენ ის ქალბატონი ხართ, ნიღბით რომ გნახეთ „Rouge et Noir“-ზე!

- სუ, შე პაწაწინა ცუღლუტო! - უთხრა ბეკიმ, თან მისი ხელი აიღო და აკოცა. - ბიძაშენიც იქ იყო მაშინ და დედიკომ არ უნდა

იცოდეს!

- ოჰ, არა... სულაც არ ვიტყვი, - მიუგო პატარამ.

- ხედავ, ჩვენ უკვე ჩინებულად დავმეგობრდით კიდეც, - მიაგება ბეკიმ ემის, რომელიც კვლავ შემოვიდა.

- უნდა ვაღიაროთ, ქალბატონმა ოსბორნმა მართლაც რომ ფრიად საზრიანი და საამური ამხანაგი შემოიყვანა სახლში!

უილიამმა ჯერ კიდევ არ იცოდა მთელი ის სიმუხთლე, რასაც უმზადებდნენ, მაგრამ მაინც ფრიად გაგულისებული მოჰყვა ქალაქში უთავბოლოდ ყიალს, ვიდრე საელჩოს მესვეურ ტეიპუორმს არ წააწყდა, რომელმაც სადილად მიიპატიჟა. იმ იჯრას რომ შეექცეოდნენ, მაიორმა დობინმა დრო იხელთა და ჰკითხა ელჩს, ხომ არაფერი იცით ვინმე ქალბატონ კროულის შესახებ, რომელმაც, მგონი, რაღაც არეულობა გამოიწვია ლონდონშიო. მაშინ ტეიპუორმა, რომელმაც, რასაკვირველია, ლონდონის მთელი ჭორები ჩინებულად იცოდა და თანაც ლედი გონტის ნათესავიც გახლდათ, განცვიფრებული მაიორის ყურებს ბეკისა და მისი ქმრის ისეთი ისტორია მოახსენა, რომ სახტად დატოვა შემკითხველი და ამ მოთხრობის მთელი შინაარსიც გვითვაზა, რადგან სწორედ იმ მაგიდასთან გახლდათ, რომ მღავალი წლის წინათ სიამოვნება ჰქონდა წინამდებარე თხზულების ავტორს, ეს ამბავი მოესმინა. ტაფტო, სტაინი, კროულები და მათი თავგადასავალი - ყოველვე, რაც ბეკის და მის წინანდელ ცხოვრებას ეხებოდა, მოხსენებულ იქნა ამ ენამწარე დიპლომატის ანგარიშში. მან ყველაფერი და იმაზე კიდევ უფრო მეტიც იცოდა მთელი ქვეყნიერების შესახებ. ერთი სიტყვით, ალალი გულის მაიორს ფრიად განსაცვიფრებელი აღმოჩენები გაანდო. როცა დობინმა უთხრა, ქალბატონმა ოსბორნმა და ბატონმა სელიმ იგი თავიანთ სახლში დააბინავესო, ტეიპუორმს ისეთი სიცილი წასკდა, რომ მაიორს თავზარი დაეცა. თან დიპლომატმა იკითხა: არა სჯობია, სათუსაღოში შესთვალონ და იქიდან ერთი-ორი თავმოპარსული, ყვითელქურთუქიანი ვაჟბატონი გამოიყვანონ, რომელნიც წყვილ-წყვლიად შებორკილებულნი პუმპერნიკელის ქუჩებს ჰგვიან; საჭმელ-სასმელი და თავშესაფარი მისცენ და იმ პატარა ცუღლუტის, ჯორჯის, აღმზრდელებადაც მიიწვიონო?

ამ ცნობებმა განაცვიფრა და არა მცირად შეაძრწუნა მაიორი.

დილით, სანამ რებეკას შეხვდებოდნენ, შეთანხმდნენ, რომ ემილია მთავრის კარს გამართულ ბალზე უნდა წასულიყო იმ ღამეს და მაიორი იმედოვნებდა, იქ ვიშოვნი დროს მოსალაპარაკებლადაო. დაბინი შინ წავიდა, მუნდირში გამოეწყო და სასახლისაკენ გაუდგა გზას ქალბატონ ოსბორნის ნახვის იმედით, მაგრამ ემილია იქ არ მოსულა. როცა უილიამი სახლში დაბრუნდა, სედლის ბინაში ყველგან ჩამქრალი დახვდა შუქი და უკვე დილამდე აღარ შეეძლო ემილიას ხილვა. არ ვიცი, რა ჯურით მოსვენების ღამე უნდა ჰქონოდა დობინს, ასე თავზარდამცემი საიდუმლო რომ ლოგინში ჩაიყოლა!

დილაადრიან, როცა კი ზრდილობის წესები ამის ნებას რთავდა, მოპირდაპირე სახლში მსარური გაგზავნა ბარათით, რომელშიაც სწერდა ემილიას, საგანგებო მოსალაპარაკებელი მაქვსო. პასუხად მოუვიდა, რომ ქალბატონი ოსბორნი ფრიად უქეიფოდ გრძნობდა თავს და ოთახიდან ვერ გამოდიოდა.

არც ემის მოუხუჭავს თვალი მთელ ღამეს. ფიქრობდა იმ საგანზე, რომელიც წინათაც უთვალავჯერ უფორიაქებდა გონებას. უამრავჯერ დათმობის პირას მდგარი, კვლავ მსწრაფლ იხევდა უკან მსხვერპლის წინაშე, რომელიც, გრძნობდა, მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ქალი მიუხედავად დობინის სიყვარულისა და ერთგულებისა და მისდამი აშკარა ხათრის, პატივისცემისა და მადლიერების გრძნობისა, მაინც ვერ სძლებდა თავს. რის მაქნისია მადლის ქნა და სიკეთე; რის მაქნისია ერთგულება ანდა ღირსება? ქალწულის ერთი კულული, ქილვაშის ერთი ღერიც თვალის დახამხამებაში გადასძლევს სასწორში და სხვა დიაცებზე უფრო მეტი წონა არც ემის თვალში გააჩნდა მათ. მან სცადა, უნდოდა კიდეც მათ გადაეძლია - ვერ მოახერხა; ახლა კი ულმობელმა პატარა დედაკაცმა საბაბი იშოვნა და გადაწყვიტა, თავი გაეთავისუფლებინა.

როცა დაბოლოს, ნაშუადღევს, მაიორმა ემილიას ხილვა შესძლო, ნაცვლად გულიანი და ალერსიანი მისალმებისა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ჩვეული იყო, მხოლოდ ცივ რევერანსსა და ხელთათმანიან პაწია ხელს ეღირსა და ისიც გამოწვდის უმალვე ისევ გამოჰგლიჯეს.

რებეკაც იქვე ოთახში გახლდათ და, ხელგამოწვდილი, ღიმილით მოეგება მაიორს. ცოტა შეჩქვითებულმა დობინმა უკან დაიხია.

- მე ბოდიშს ვიხდი, ქალბატონო, - თქვა მან, - მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ამჟამად თქვენს მეგობრად არ მოვსულვარ.

- ფიე! დალახვროს ღმერთმა! აბა ეგეთი რამეები არ იყოს! - შესძახა შეშფოთებულმა ჯოზმა, რომელსაც აყალმაყალისაგან თავის დაძვრება უნდოდა.

- ნეტავი მაიორ დობინს რა აქვს სათქმელი რებეკას საწინააღმდეგოდ? - განაცხადა ემილიამ წყნარი, მკაფიო, ოღონდ ოდნავ ათრთოლებული ხმით და თვალებში ფრიად მტკიცე გამომეტყველება დაემჩნა.

- მაგისთანა რამეებს ჩემს სახლში ვერ მოვითმენ! - კვლავ ჩაერია ჯოზი. - გეუბნებით, ვერ მოვითმენ და დობინ, გთხოვთ, ბატონო ჩემო, შეწყვიტოთ ეგ ლაპარაკი! - თან აცახცახებულმა ირგვლივ მიმოიხედა, სასტიკად გაჭარხლდა, მძიმედ ამოიქშინა და კარისაკენ გაემართა.

- ძვირფასო მეგობარო! - შესძახა რებეკამ ანგელოზივით ტკბილი ხმით, - გევედრები, მოუსმინე, რას იტყვის მაიორი დობინი ჩემს წინააღმდეგ!

- გეუბნებით, მე კ ი ა რ მოვუსმენ!- იჭყივლა ჯოზმა, რაც ძალი და ღონი ჰქონდა; აიკრიფა ხალათის კალთები და გარეთ გაბაჯბაჯდა.

- მხოლოდ ორი ქალიღა დავრჩით, - თქვა ემილიამ. - შეგიძლიათ ბრძანოთ, ბატონო!

- ჩემს მიმართ ასეთი ქცევა, არა მგონია, გძვენოდეთ, ემილია, - ამაყად მიუგო მაიორმა. - ვერც, მე მგონი, მანდილოსნებისადმი უკმეხობაში დამდებს ვინმე ბრალს. ჩემთვის ვერაფერი სასიამოვნოა იმ მოვალეობის აღსრულება, რისთვისაც აქ გეახელით.

- გთხოვთ, მალე ბრძანოთ, თუ შეიძლება, მაიორო დობინ, - თქვა ემილიამ, რომელსაც უფრო და უფრო ემჩნეოდა გაწიწატება.დობინის სახის გამომეტყველება, როცა ქალმა ასეთი ბრძანებლური კილოთი დაიწყო ლაპარაკი, ვერაფერი საამო დასანახავი იყო.

- მე იმის სათქმელად მოვედი, - და ვინაიდან თქვენც აქ დარჩით, ქალბატონო კროული, პირში უნდა მოგახსენოთ, -

რომ, ჩემის ფიქრით, თქვენ...თქვენ არ უნდა ხდებოდეთ ჩემი მეგობრების ოჯახის წევრი. ქალი, რომელიც ქმარს გაეყარა, რომელიც სხვისი გვარით მოგზაურობს, რომელიც სამორინო მაგიდების ხშირი სტუმარია...

- ბალზე რომ მივედი, ეგ მხოლოდ მაშინ იყო! - მყის ჩაურთო ბეკიმ.

- ... ამხანაგად არ შეჰფერის ქალბატონ ოსბორნსა და მის ვაჟიშვილს, - განაგრძო დობინმა. - თან უნდა დავსძინო, რომ აქ მოიპოვება ხალხი, რომელიც გიცნობთ თქვენ და რომელიც აღიარებს, რომ ისეთი რამ იციან თქვენი ყოფაქცევის შესახებ, რომ არც მსურს მის თაობაზე ქალბატონი... ქალბატონი ოსბორნის წინაშე ვილაპარაკო.

- თქვენი ცილისწამება ძალიან მოკრძალებული დამოხერხებული ხასიათისაა, მაიორო დობინ, - მოახსენა რებეკამ: - ისეთ ბრალსა მდებთ, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, არც ითქმის! ასეთი რა უნდა იყოს? ქმრის ღალატს მაბრალებენ? აინუნშიაც არ მომდის; ვისაც უნდა, იმან სცადოს და აბა დამიმტკიცოს, თუ მართალია... თქვენც გეუბნებით პირდაპირ, აბა სცადეთ და დამიმტკიცედ! ჩემი პატიოსნება ისევე უმწიკლოა, როგორც ჩემი რომელიმე უსასტიკესი მტრისა, რომელსაც კი ოდესმე ავად ვუხსენებივარ. რაკი საწყალი, უმწეო, მიტოვებული და ბეჩავი ვარ, იმიტომ მბებთ ბრალს? დიახ, ეგ დანაშაული მაქვს და ყოველ ცისმარე დღესაც ვისჯები მაგის გულისთვის. გამიშვი, ემი! მარტო ის წარმოვიდგინოთ, რომ ერთმანეთს არ შევხვედრივართ და დღეს იმაზე უარესად არ ვიქნები, ვიდრე გუშინ ვიყავი. მხოლოდ ვიგულისხმოდ, რომ ღამე გათენდა და საბრალო ბოგანი კვლავ თავის გზას დაადგა. განა არ გახსოვს ის სიმღერა, ჩვენ რომ ვმღეროდით ძველ, ძველ საყვარელ დღეებში?,ას შე,დეგ დავხეტიალებ - საბრალო დევნილი, რომელსაც ზიზღით უსცერიან თავისი სიბეჩავისათვის და შეურაცხყოფენ, რადგან ეულადაა. გამიშვი, ჩემი აქ ყოფნა ხელს უშლის ამ ვაჟბატონის გეგმებს!

- დიაღაც რომ ხელს უშლის, ქალბატონო, - კვერი დაუკრა მაიორმა. - თუ მე რაიმე გავლენა მომეპოვება ამ სახლში...

- გავლენა? - არავითარი! - შეაწყვეტინა ემილიამ. - რებეკა, შენ ფეხსაც არ მოიცვლი აქედან. იმისათვის როგორ მიგატოვებ, რომ დევნილი ხარ ანდა შეურაცხყოფას მიგაყენებ, რადგან... რადგან

მაიორ დობინს ნებავს ასე! წავიდეთ, ძვირფასო! - და ორივენი კარისაკენ გაემართენ.

უილიამმა გამოაღო იგი; ოღონდ გარეთ რომ გადიოდნენ, ემილიას მოჰკიდა ხელში ხელი და უთხრა: - ეგებ ერთი წუთით შეიცადოთ და მელაპარაკოთ!

- უჩემოდ უნდა შენთან ლაპარაკი! - წამებულის იერით თქვა ბეკიმ. ემილიამ საპასუხოდ მისი ხელი ჩაბღუჯა.

- პატიოსნებას გეფიცებით, თქვენზე კრინტის დაძვრასაც აღარ ვაპირებ, - მიუგო დობინმა. - მობრძანდით, ემილია, - და ისიც მობრუნდა.

დობინმა თავის დაკვრით მიუხურა კარი ქალბატონ კროულის. ემილია სარკეს მიყრდნობილი შემოჰყურებდა: პირსახე და ბაგეები სრულიად გათეთრებოდა.

- წეღან რომ ვლაპარაკობდი, აღელვებული ვიყავი, და სიტყვა „გავლენა“ უადგილოდ ვახსენე, - თქვა მაიორმა.

- ოღონდაც! - კვერი დაუკრა ემილიამ და თან კბილს კბილზე აციმინებდა.

- მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, იმის უფლება მანცა მაქვს, რომ მომისმინოთ, - განაგრძო დობინმა.

- დიდი სულგრძელობაა თქვენის მხრივ, ჩვენდამი თქვენს ამაგს რომ მაგონებთ, - უპასუხა ქალმა.

- უფლება, რომელსაც მე ვგულისხმობ, ჯორჯის მამისაგან მაქვს მონიჭებული, - თქვა უილიამმა.

- დიახ, მისგანა გაქვთ მონიჭებული და თქვენ კი შეურაცხყავით მისი ხსოვნა. გუშინ შეურაცხყავით! ხომ იცით, რომ შეურაცყავით და არც არასოდეს გაპატიებთ მაგას, არასოდეს! - მიახალა ემილიამ და ყოველ ამ მოკლე წინადადებას, განრისხისა და აღელვებისაგან აცახცახებული, ტყვიასავით ისროდა.

- ნუთუ იმას გულისხმობთ, ემილია!... - სევდიანად უთხრა უილიამმა. - ნუთუ იმას გულისხმობთ, რომ აღელვების წუთებში წამოცდენილმა იმ სიტყვებმა უნდა დასძლიოს მთელი სიცოცხლის ერთგულ თავდადებას? მე მგონი, ჩემი მოქმედებით ჯორჯის ხსოვნისთვის იოტისოდენადაც არ

მიმიყენებია ჩრდილი და, თუ მაინცდამაინც საყვედურებზე წავა საქმე, მე მაინც არაფერი დამიმსახურებია მისი ქვრივისა და მისი შვილის დედის სასაყვედურო. ჩუფიქრდით ამას შემდეგში, როცა... როცა მოცლით იქნებით, და თქვენივე სინდისი გამათავისუფლებს მაგ ბრალდებისაგან. ის კი არა, ახლაც უკვე მათავისუფლებს მაგ ბრალდებისაგან!

ემილიამ თავი ჩაღუნა.

- ჩემი გუშინდელი ნათქვამი კი არ გაშფოთებთ, - განაგრძო მან, - ეგ მხოლოდ საბაბია, ამილია; თორემ ამთხუტმეტ წელიწადს ამაოდ მყვარებიხართ და ამაოდ გაკვირდებოდით. განა ამასობაში არ ვისწავლე ყოველი თქვენი გრძნობის ამოკითხვა და ყოველი ფიქრის ამოცნობა? ვიცი, რისი შემძლეც არის თქვენი გული - მას შეუძლია ერთგულად ებღაუჭოს მოგონებას და ელოლიავებოდეს ოცნებას, მაგრამ ჩემი სიყვარულის ღირს გრძნობას, ანდა ისეთს, რაც შეიძლებოდა სხვა უფრო სულგრძელი ქალის მხრით დამემსახურებინა, ეგ ვერ განიცდის. არა, თქვენ არა ხართ ღირსი იმ სიყვარულისა, რომლითაც მე მიყვარდით. ყოველთვის ვიცოდით, რომ ჯილდო, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე, მოგებად არ ღირდა; რომ მხოლოდ მეოცნებე ტუტუცი ვიყავი და რომ მთელ ჩემს ჭეშმარიტ ერთგულებასა და გულმხურვალებას თქვენს პაწია, უსუსური სიყვარულის ნაგლეჯებს ვანაცვლებდი. მე ვწყვეტ ამ ურთიერთობას და უკან ვიხევ. ბრალს ვერ დაგდებთ! ძალიან გულკეთილი ხართ და, რაც კი შეგეძლოთ, ცდილობდით; მაგრამ ვერ სძლიეთ თავს - ვერ შესძელით ჩემი გრძნობის სიმაღლეზე ასულიყავით, რითაც თქვენზე უფრო დიდი სულის პატრონი სხვა ვინმე უეჭველად კიდეც იამაყებდა. მშვიდობით, ემილია! მე ვუკვირდებოდი თქვენს ბრძოლას. მოდი გავათავოთ. ორივენი დავიღალეთ!

ემილია დამფრთხალი და ენაჩავარდნილი იდგა, როცა უილიამმა ასე ანაზდად გაწყვიტა ის ჯაჭვი, რომლითაც აქამდე იჭერდა მას, და თავი დამოუკიდებლად და უფრო მაღლა მდგომად რომ გამოაცხადა. დობინი იმდენ ხანს იყო მის თქერას. შერთვა არ უნდოდა, მაგრამ მისი შენარჩუნება კი ნებავდა; არაფერი ემეტებოდა მისთვის, მაგრამ მისგან კი ყველაფერს მოითხოვდა. ასეთი გარიგებანი არა იშვიათი გახლავთ სიყვარულში.

უილიამის გამოხდომამ სრულიად წაახდინა და გაანადგურა

იგი, მისი იერიში ხომ უკვე ადრევე იქნა უკუგდებული და გაბათილებული.

- მაშ ეგ ისე უნდა გავიგოთ, რომ... რომ თქვენ... თქვენ წასვლას აპირებთ, უილიამ? - იკითხა ქალმა.

დობინს მწარედ ჩაეცინა.

- ერთხელ წნათაც წავედი, - თქვა მან, - და თორმეტი წლის შემდეგ უკანვე დავბრუნდი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავით, ემილია. მშვიდობით. ამთამაშს ჩემი სიცოცხლის საკმაო ნაწილი შევალიე!

ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ, ქალბატონ ოსბორნის ოთახის კარმა სულ ცოტათი იჩინა პირი. სახელურზე მართლაც ბეკის ედო ხელი და როგორც კი დობინმა უშვალმას ცელი, მყის თვითონვე გადაატრიალა იგი და მათ შორის მომხდარიო საუბრის არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვია. „რა კეთილშონილი გულის კაცია და რა სამარცხვინოდ ატრიზავებს ეგ ქალი:, - გაიფიქრამან. ის პირდაპირ ეთაყვანებოდა დობინს; სულაც არ გრძნობდა მისდამი ბოღმას იმ როლის გამო, რომელიც მაიორმა მის წინააღმდეგ შეასრულა. ეგ აშკარა, პატიოსანი თამაში იყო. „ეჰ! ამისთანა ქმარი რომ მყოლოდა - გულიანი და ჭკვიანი კაცი, მაშინ მის ვეება ფეხებსაც აღარად ჩავაგდებდიო“, - თქვა გულში რებეკამ; მერე რაღაც მოაგონდა, შევარდა თავის ოთახში და ბარათი დაუწერა. ეხვეწებოდა, რამდენიმე დღეს კიდევ დარჩით, ნუ გაემგზავრებით და მე შემიძლია სამსახური გაგიწიოთ ე.-ს საქმეშიო.

გამოსალმება დასრულდა, საბრალო უილიამი ერთხელ კიდევ მიადგა კარს და წავიდა, ხოლო პატარა ქვრივმა, მთელი ამ საქმის მოქმედმა, გულისწადილი აისრულა: გამარჯვება მოიპოვა და თავის გუნებისად შეეძლო დამტკბარიყო იმით. დაე, მანდილოსნებს შურდეთ მისი ტრიუმფი!

სადილობის რომანტიკულ ჟამს ბატონი ჯორჯი გამოჩნდა და კვლავ თვალში ეცა „ჩვენი დობის“ იქ არ ყოფნა. იჯრა მდუმარედ მოითავეს - ჯოზს მადა არ შესუსტებოდა, მაგრამ ემის კი პირში არაფერი ჩაუშვია.

ნასადილევს ჯორჯი გადაწოლილიყო ბალიშებზე სამგვერდიან. ძველებურ, ვეება ფანჯარასთან, რომლის ერთი მხარე საბაზრო მოედანს გადაჰყურებდა, სადაც სასტუმრო „სპილო“ იდგა, იქვე

ახლოს კი დედამისი ხელსაქმობდა. ბავშვმა ქუჩის მეორე მხარეს, მაიორის სახლის წინ, რაღაც ფაცაფუცი შენიშნა.

- ერიჰა! - შესძახა მან. - აგე დობის ხაფანგი!.. - ეზოდან გარეთ აგორებენ!

ხსენებული „ხაფანგი“ მაიორის კარეტა გახლდათ, რომელიც მან ექვს გირვანქა სტერლინგად შეიძინა და რომლის გამო ოხუნჯობდნენ.

ემი ცოტა შეკრთა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

- ერიჰა! - განაგრძო ჯორჯიმ, - ახლა ფრენსისის გამოვიდა ჩემოდნებიანად და კუნცი, ცალთვალა მეეტლე, სამ Schimmel-ს[327] მოუძღვის მოედანზე. ერთი მის ჩექმებსა და ყვითელ ქურთუკს შეხედეთ!.. განა საფრთხობელად არა ჰგავს? ოჰო!.. ცხენებსაც აბამენ დობის კარეტაში. ხომ არსად მიემგზავრება?

- ჰო, სამოგზაუროდ მიდის, - მიუგო ემიმ.

- სამოგზაუროდ? მერედა როდის უნდა დაბრუნდეს?

- ის... ის აღარ დაბრუნდება. - უპასუხა ემიმ.

- არ დაბრუნდება?! - შეჰყვირა ჯორჯიმ და ზეზე წამოხტა.

- ფეხი არ დასძვრა, ვაჟბატონო! - დაიღრიალა ჯოზმა.

- ნუ წახვალ, ჯორჯი! - ძალიან სევდიანად უთხრა დედამაც.

ბავშვი შედგა. აქეთ-იქით ეცა ოთახში; მუხლები ახტებოდა და ჩამოხტებოდა ფანჯრის რაფაზე და შეშფოთებითა და ცნობისმაყვარეობის ყოველ სხვა ნიშანს ამჟღავნებდა.

ცხენები შეაბეს. ბარგი დააკრეს. ფრენსისმა თავისი ბატონის ერთად შეკრული ხმალი, ჯოხი და ქოლგა გამოიტანა და საბარგეში ჩადო, ხოლო საწერი მოწყობილობის ყუთი დასამკუთხედა ქუდის თუნუქის კოლოფი სკამქვეშ ამოდო. ფრენსისმა წითელ კამლოტგამოკრული[328], დალაქავებული, ძველი ლურჯი წამოსასხამის გამოიტანა, რომელსაც მუდამ ატარებდა მისი პატრონი ამ თხუთმეტ წელიწადს და manchen sturm erlebt[329], როგორც იმდროინელპოპულარულ სიმღერაშია ნათქვამი. ვატერლოოს ლაშქრობის დროს იგი ჯერ კიდევ ახალი იყო და კატრ-ბრას ბრძოლის ღამეს ჯორჯსა და უილიამს იფარავდა.

გამოჩნდა მოხუცი ბურკეც,სასტუმროს პატრონი; მერე - ფრენსისი, კიდევ შეკვრებით, უკანასკნელი ბარგი-ბარხანით; შემდეგ მაიორი უილიამი გამოვიდა - ბურკემ მისი კოცნა მოინდომა. მაიორს პირდაპირ ეთაყვანებოდნენ ყველა, ვისთანაც კი რაიმე საქმე ჰქონდა. ძლევს დააღწია თავი მოხუცის ალერსს.

- ღმერთმანი, მეც წავალ! - დასჭყივლა ჯორჯიმ.

- ეს გადაეცი, - უთხრა ბეკიმ, რომელიც ცნობისმოყვარეობით იყურებოდა თვითონაც, და ქაღალდი ჩაუჩურთა ხელში ბიჭს.

ჯორჯი თავქუდმოგლეჯით დაეშვა კიბეზე და ერთ თვალისდახამხამებაში გადაიქრიალა ქუჩა. ყვითელი მეეტლე უკვე წყნარად ატკაცუნებდა შოლტს.

სასტუმროს პატრონის ხვეწნა-კოცნისაგან თავდახსნილი უილიამი ეტლში ჩამჯდარიყო. ჯორჯიც შეხტა შიგ, კისერზე შემოჭდო ხელები მაიორს (როგორც ფანჯრიდა ხედავდნენ) და კითხვები სერტყვასავით დააყარა.

მერე ხელი მოისვა ჟილეტის ჯიბაზე და ბარათი გადასცა. უილიამმა ცოტა არ იყოს სულწასულად სტაცა მას ხელი, აცახცახებულმა გახსნა, მაგრამ სახის გამომეტყველება მყის შეეცვალა - ქაღალდი ორად გახია და ეტლიდან გარეთ გადმოუძახა. ჯორჯის თავზე აკოცა. ბავშვი მუშტებით ისრესდა თვალებს და ფრენსისის დახმარებით ძირს ჩამოვიდა. იგი ჯერ კიდევ ებღაუჭებოდა კარეტის კარს. Fort, Schwager![330] ყვეთელ ქურთუკიანმა მეეტლემ საზარლად გაატკაცუნა შოლტი, ფრენსისი კოფოზე შეხტა. ლურჯა ცხენები დაიძრნენ და თავჩაღუნული დობინი გააქანეს. უილიამს არც მაშინ აუღია თავი, როცა ემილიას ფანჯარას ჩაუარეს. ქუჩაში ეულად დატოვებულმა ჯორჯიმ მთელი ბრბოს წინაშე ბღრიალი მორთო.

ემის პირისფარეშს მთელ ღამეს ესმოდა მისი გულამოსკვნილი სლუკუნი; სანუგეშებლად ცოტაოდენი გარგარის მურაბა მიუტანა და მის ტირილს თვითონაც შეუერთა თავისი მოთქმა. ყველა საწყალს, ყველა ბეჩავს, ყველა პატიოსან და კარგ ადამიანს, რომელიც მას იცნობდა, ყველას უყვარდა ეს გულკეთილი, ალალი და სადა კაცი.

რაც შეეხება ემის, განა მან თავისი მოვალეობა არ არასრულა?

ნუგეშად კი ჯორჯის სურათი დარჩა.

თავი LXVII - დაბადებანი, ქორწინებანი და გარდაცვალებანი

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ბეკის ფარული გეგმა, რომელსაც დობინის ჭეშმარიტი, ერთგული სიყვარული გამარჯვებით უნდა დაეგვირგვინებინა, პატარა დედაკაცი მაინც ფიქრობდა, საიდუმლო ჯერ კიდევ უნდა შევინახოო. თანაც, რაკი საკუთარი თავის კეთილდღეობაზე უფრო მეტად სხვა არავისი ბედი აინტერესებდა, ფრიად ბევრი თავისი საქმე ჰქონდა ასაწონდასაწონი, რომელიც გაცილებით უფრო აწუხებდა, ვიდრე მაიორი დობინის გაბედნიერების ამბავი.

მან უცპად და მულოდნელად ამოირო თავი მყუდრო, ჩინებულად გაწყობილ ბინაში. გარს ისეთი ალერსიანი მეგობრები და გულკეთილი, ალალი ადამიანები ეხვია, რომელთა მსგავსი დიდი ხანია აღარ შეხვედროდა ცხოვრებაში. მართალია, ძალაუნებურად თუ მიდრეკილებით, მოხეტიალე გახლდათ, მაგრამ იყო ხანდახან მომენტი, როცა მოსვენებაც ესიამოვნებოდა; როგორც აქლემის კუზზე წამოსკუპებულ, უდაბნოში მოთარეშე თუნდ ყველაზე უფრო ჭეშმარიტარაბსაც კი ჟამდაჟამ ეამება ხოლმე ინდისხურმის ჩრდილში წყაროსთანშესვენება ანდა ქალაქში შესვლა, ბაზრებში გავლა-გამოვლა, აბანოში ნებივრობა და მეჩეთებში მოლოცვა, ვიდრე ლვლავ გაიჭრებოდეს საყაჩაღოდ. ჯოზის კარავი და ფლავი ემა ამ პატარა ისმაილტელს. მიაბა ბოძზე თავისი რაში, ჩამოკიდა აბჯარი და არხეინად მიეფიცხა მის კერას. მოხეტიალე, მოუსვენარ ცხოვრებაში შეყოვნება აუწერლად დამაშოშმინებელი და საამო გახლდათ ბეკისთვის.

რაკი თვითონ ასე ნასიამოვნები გახლდათ, მთელი ძალითა და ღონით ცდილობდა, ყველა სხვისთვისაც ეამებინა და ჩვენ ხომ ვიცით, სხვისთვის სიამოვნების მინიჭების რა დიდებული და მარჯვე ხელოვანი იყო იგი. რაც შეეხება ჯოზს, მისი გულის თითქმის ძველებურად მოგება ჯერ კიდევ სასტუმრო „სპილოს“ სხვენში გამართული მცირე მუსაიფით მოახერხა. ერთკვირაში ბენგალელი მოხელე მის ყურმოჭრილ მონად და

გახელებულ თაყვანისმცემლად იქცა. ნასადილევს აღარ ჩასთვლემდა ხოლმე, როგორც ჩვეულებადა ჰქონდა ადრე, ემილიას გაცილებით უფრო ნაკლებად სახალისო საზოგადოებაში. ბეკის დაასეირნება თავისი თავღია ეტლით, მართავდა მცირე წვეულებებს და იგონებდა სხვა და სხვა ზეიმებს მის საპატივცემოდ.

ტეიპუორმი, დიპლომატიური მისიონის მეთაური, რომელმაც ასე სასტიკად შეურაცხყო ეს მანდილოსანი, სადილად ეწვია ჯოზს და მერე ყოველდღე მობრძანდებოდა ხოლმე ბეკისთვის თავისი პატივისცემის დასადასტურებლად. სბრალო ემი, ისედაც ვერაფერი დიდი მოლაპარაკე და დობინის გამგზავრების შემდეგ ხომ სულ დაძმარებულ-დადუმებული, მთლიანად იქნა მივიწყებული, როცა ეს სღმატებილი ნიჭის ქალი გამოჩნდა. მან საფრანგეთის ელჩი ისევე მოხიბლა, როგორც მისი ინგლისელი მეტოქე. გერმანელი მანდილოსნები, რომელნიც არც არასოდეს იჩენდნენ დიდგულაზიზობას ზნეობის საკითხში და კერძოდ კი ინგლისელთა მიმართ, აღტაცებულნი იყვნენ ქალბატონი ოსბორნის მომხიბლავი მეგობრის გამჭრიახობითა და ჭკუით და თუმცა მას არც უცდია მთავრის კარს წარდგომა, იქაურმა უავგუსტოესმა და უგანათლებულესმა გვამებმა შეიტყვეს მისი მომხიბლაობის ამბავი და ფრიადი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს მისდამი. ოდეს ისიც იქნა ცნობილი, რომ იგი ძველი, კეთილშობილი ინგლისური ოჯახის წევრი იყო და რომ მეუღლედ ჰყავდა გვარდიის პოლკოვნიკი, რომლის აღმატებულება კუნძულის გუბერნატორი ბრძანდებოდა; ხოლო თავის ცოლს გაშორდა მხოლოდ წვრილმანი უთანხმოების გამო, რაიც სათვალავშიაც არ არის ჩასაგდები იმ ქვეყანაში, სადაც „ვერთერს“ კვლავ კითხულობენ და გოეთეს სათაყვანო ზნეობის წიგნად ითვლება, არავის აზრადაც არ მოსვლია, უარი რთქვა ბეკისთვის პატარა „Wahlverwandschaften“[331] სამთავროს ყველაზე უმაღლეს საზოგადოებაში მიღებაზე და მანდილოსნებმა იმას კიდევ უფრო მეტი ხალისით დაუწყეს ლაპარაკი du-ობით და ეფიცებოდნენ მარადიულ მეგობრობას, ვიდრე ამ დაუფასებელ მადლს ემილიას აფრქვევდნენ ხოლმე ადრე. სიყვარულსა და თავისუფლებას ეს მარტივი ბუნების გერმანელი იმნაირად განმარტავენ, რომ იორშკირსა და სომერსეტშორის პატიოსან ხალხს მისი ბევრი არაფერი გაეგებათ, აამიტომ ზოგ ბრძნული განწყობის განათლებულ ქალაქში, მანდილოსანს შეუძლია,

რამდენჯერაც ნებავს, იმდენჯერგაეყაროს საკუთარ ქმრებს და საზოგადოებაში კი მაინც არ გაუტყდეს სახელი.რაც ჯოზს საკუთარი ოჯახი ჰქონდა, მისი სახელი არასოდეს ყოფილა ისე საამური, როგორადაც იგი ახლა რებეკამ გადააქცია. ბეკი მღეროდა, უკრავდა, კისკისებდა, მუსაიფობდა ორ-სამ ენაზე, ყველას ეპატიჟებოდა სახლში და ჯოზს კი არწმუნებდა: თქვენს ირგვლივ თქვენი ბრწყინვალე ნიჭი და ჭკუა იზიდავს საზოგადოებასო.

რაც შეეხება ემის, რომელსაც სრულიად გამოეცალა ხელიდან საკუთარ სახლში დიასახლისობის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ანგარიშები იყო გასასტუმრებული, ბეკიმ მსწრაფლ ჰპოვა მისი დასაშოშმინებელი და მასალბუნებელი წამალი. იგი გამუდმებით ემუსაიფებოდა მისი მიზეზით გაძევებული მაიორი დობინის შესახებ და უყოყმანოდ, დაუფარავად აცხადებდა თავის აღტაცებაც ამ ჩინებული, დიდსულოვანი დარბაისლისადმი; ამასთანავე უსაყვედურებდა ემის მის ასე სასტიკად მოპყრობას. ემი იმართლებდა თავს და უმტკიცებდა, წმინდა რელიგიური ცნებების კარნახით ჩავიდინეო, და რომ ქალი, ერთხელ გათხოვილი, და ისიც ისეთ ანგელოზზე, როგორზედაც მას წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება, დაქორწინებულიყო, ქორწინდებოდა სამარადისოდ. მაგრამ რამდენიც არ უნდა ექო და ედიდებინა ბეკის მაიორი, ეს კი არ სწყინდა ემის და თვითონაც დღეში ერთი ოცჯერ მაინც ჩამოაგდებდა ხოლმე საუბარს დობინზე.

ბეკიმ ადვილად გამონახა საშუალებანი ჯირჯის და მსახურთა გულის მოსაგებადაც. ემილიას პირისფარეშს, კიდეც მოგახსენეთ, მთელი სულითა და გულით უყვარდა დიდსულოვანი მაიორი. თავდაპირველად აითვალწუნა ბეკი, როგორც მის ქალბატონსა და დობინს შორის მომხდარიგანხეთქილების მიზეზი, მაგრამ შემდეგში ნელნელა შეურიგდა ქალბატონ კროულის, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეიქმნა უილიამის ყველაზე უფრო გულმხურვალე თაყვანისმცემელი და ქომაგი. და გულითად ჭუკჭუკში, რომელსაც ორი მანდილოსანი ღამღამობით მართავდა წვეულებათა შემდგომ და ვიდრე მის პეინი „უვარცხნიდა მათ ბალანს“, როგორც იგი ეძახოდა ერთის ქერა კულულებსა და მეორის ფაფუკ, წაბლისფერ ნაწნავებს, ეს ქალიშვილიც ყოველთვის შეაწევდა ხოლმე კეთილ სიტყვას იმ ძვირფას,

კარგ ადამიანს, მაიორ დობინს. მისი ქომაგობაც ისევე არ სწყინდა ემილიას, როგოც რებეკას აღფრთოვანებული ხოტბა. ბეჭითად აწერინებდა ჯორჯის წერილებს და მინაწერში უეჭველად მოახსენებინებდა დედიკოს სიყვარულით მოკითხვას. ხოლო ღამღამობით ქმრის პორტრეტს რომ შეხედავდა, იგი აღარ უყურებდა მას საყვედურით-პირიქით, რაკი უილიამი უკვე განშორდა, ეგებ თვითონა ჰქონდა სასაყვედურო.

ემი მაინცდამაინც ვერ გრძნობდა თავს ბედნიერად იმ გმირული მსხვერპლის შემდგომ. ძალიან distraite[332], ნერვიული, მდუმარე და ძნელად საამებელი გახდა. ოჯახს არ ახსოვდა მისი ასეთი სიანჩხლე. გაიცრიცა და უქეიფოდაც გრძნობდა თავს. სცადა ხოლმე ზოგიერთი სიმღერის წამოწყება (მათგან ერთ-ერთი გახლდათ „Einsam Bin ich nicht alleine”[333]; ვებერის[334] ის ნაზი სატრფიალო სიმღერა, რომელიც ძველ დროს, ახალგაზრდა მანდილოსანნო, ოდეს თქვენ თითქმის დაბადებულიც არ იქნებოდით, ადასტურებდა, რომ თქვენზე უფროსებმაც იცოდნენ სიყვარული და სიმღერა) - ზოგიერთი სიმღერისა, მოგახსენებთ,რომელიც მაიორს მოსწონდა. ხოლო როცა იგი სასტუმრო ოთახში საღამოს ბინდბუნდში წაიღიღინებდა ხოლმე, მერე შუაზე შეწყვეტდა სიმღერას და გავიდოდა მეზობელ ოთახში და იქ, უეჭველია, მეუღლის მინიატურის ქვეშ ჰპოვებდა თავშესაფარს.

დობინის გამგზავრების შემდეგ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი რამდენიმე წიგნი, რომელთაც მისი სახელი ეწერა - მაგალითად, გერმანული ლექსიკონი, თავფურცელზე წარწერით - „უილიამ დობინი, -ე ლეგიონი“; მეგზური მისივე ინიციალებით და კიდევ ერთი-ორიოდე ტომი, რომელიც მაიორს ეკუთვნოდა. ემიმ ისინი მოაგროვა და კამოდზე დაალაგა, სადაც ორი ჯორჯის სურათების ქვეშ ეწყო სახელსაქმო კოლოფი, საწერი მოწყობილობის ყუთი, ბიბლია და ლოცვანი. ხოლო მაიორს რომ ხელთათმანები დარჩა, ფაქტია, რამდენიმე ხნის შემდგომ ჯორჯიმ იპოვნა დედამისის ზარდახშაში ქექვის დროს - კოხტად დაკეცილი ხელთათმანები გადანახული იყო ზარდახშის ეგრეთ წოდებულ საიდუმლო უჯრაში.

რაკი საზოგადოებას არ ეტანებოდა და ძალიან აღონებდა შიგ გარევა, ემის თავი და თავი სიამოვნება გახლდათ ზაფხულის საღამოებში ჯორჯისთან ერთად შორს გასეირნება (რომლის

დროსაც რებეკა ბატონი ჯოზის საზოგადოებაში რჩებოდა) და მაშინ დედა-შვილს შორის ისეთი მუსაიფი იმართებოდა მაიორის შესახებ, რომ თვით პატარა ბიჭსაც კი ეღიმებოდა. ემი ეუბნებოდა, მე მგონია, მაიორი უილიამი მთელი ქვეყნიერების ზურგზე ყველაზე უკეთესი ადამიანია - ყველაზე სათნო, ყველაზე ქველი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მამაცი და ყველაზე თავმდაბალიო. კვლავ და კვლავ უმეორებდა, როგორ უნდა უმადლოდნენ ყველაფერს, რაც კი ებადათ, ამ გულკეთილი მეგობრის მოწყალე ზრუნვას; რა მეგობრობა გაუწია მათ მთელი სიღატაკისა და უბედურების ხანაში; დაჰკანკალებდა თავს, როცა მათ არავინ არად აგდებდა; როგორ ეთაყვანებოდა მას ყველა მისი ამხანაგი, თუმცა არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს თავის სანაქებო ქცევაზე; ყველა სხვაზე უფრო მას როგორ ენდობოდა ჯორჯის მამიკო და კეთილი უილიამიც მუდამ ერთგულად მეგობრობდა.

- აი, როცა შენი მამილო პატარა ბიჭი იყო, - ეუბნებოდა იგი, - ხშირად მიამბობდა, სწორად უილიამი როგორ გამოექომაგა მას ერთი მტარვალის წინააღმდეგ, სკოლაში ერთად რომ სწავლობდნენ. და მათი მეგობრობა იმ დღიდან მოყოლებული არც შეწყვეტილა სულ ბოლომდე, როცა შენი ძვირფასი მამა დაიღუპა.

- მერე დობინმა არ მოკლა ის კაცი, ვინც მამიკო მოკლა? - ჰკითხა ჯორჯიმ. - დარწმუნებული ვარ, მოკლა ანდა მოკლავდა, ხელი რომ მიეწვდინა; ხომ, დედიკო? მეც ჯარში რომ ვიქნები, ოჰ, როგორ მეძულება ფრანგები!.. აი, სწორედ ასე!

ამნაირ მუსაიფში ატარებდა დროის უმეტეს ნაწილს დედა-შვილი. გულუბრყვილო ქალმა გულის მესაიდუმლედ ბავშვი გაიხადა. ბიჭიც ისევე დიდი მეგობარი იყო უილიამისა, როგორც ყველა სხვა, ვინც მას იცნობდა.

სხვათა შორის, ქალბატონი ბეკი რომ არ ჩამორჩენოდა ვინმეს მგრძნობიარობის გამოჩენაში, იმანაც ჩამოკიდა მინიატურა ოთახში. მის დამნახველთა უმრავლესობის განსაცვიფრებლად და გასართობად და ორიგინალის გასახარებლად, რომელიც სწორედ ჩვენი მეგობარი ჯოზი გახლდათ. პირველად რომ შემოდგა ფეხი სედლების ოჯახში, პატარა დედაკაცი ფრიად და ფრიად მცირე, უმნიშვნელო ბარგით გამოცხადდა. ალბათ კიდეც ერცხვინებოდა თავისი გაქუცული ჩემოდნებისა და კოლოფებისა და ხშირად დიდის რიხით ახსენებდა ლაიპციგში

დატოვებულ თავის ბარგს, რომელიც იმ ქალაქიდან უნდა ჩამოსვლოდა. როცა მოგზაური წამდაუწუმ თავის იმ ბრწყინვალე ბარგზე გელაპარაკება, რაც შემთხვევით თან არ ახლავს, უფრთხილდი, შვილო ჩემო, მაგისთანა მოგზაურს! ათი ერთის წინააღმდეგ - მაგნაირი კაცი თაღლითია.

არც ჯოზმა და არც ემიმ არ იცოდნენ ეს მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ბეკის მართლა ბლომად ნატიფი ტანსაცმელი ეწყო თუ არა უჩინარ ზანდუკებში. მაგრამ ვინაიდან მისი ახლანდელი სამოსი ფრიად გაქუცული გახლდათ, ემიმ თავისი გარდერობიდან უძღვნა, ანდა ქალაქის საუკეთესო მკერავთან მიიყვანა და იქ გამოაწყო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბეკი უკვე აღარც დაგლეჯილ საყელოებს ატარებდა და არც გახუნებული აბრეშუმი ჩამოჩაჩოდა ბეჭებზე.

მდგომარეობის შეცვლასთან ერთად ზნე-ჩვეულებაც იცვლება ბეკიმ - ფერუმარილის ქილას თავი დაანება. მეორე აღმგზნები, რომელსაც ნაჩვევი იყო, აგრეთვა, გვერდზე იქნა გადადებული ანდა ნაჩუმათევად თღა მიჰყოფდა მას ხელს, როგორც მაშინ, როცა ზაფხულის ერთ საღამოს, ემი და მისი ბიჭი რომ სასეირნოდ იყვნენ წასულნი, ჯოზმა დაიყოლია, ცოტაოდენი გროგი გადაეკრა. მაგრამ თვითონ ბეკი თუ აღარ სვამდა - მეგზური მაინც განაგრძობდა ყლაპვას. იმ არამზადა კირშს ბოთლისთვის რა დაანებებინებდა თავს და, როცა მოიკიდებდა, ვერც გეტყოდათ, რამდენს მოსვამდა. მას ხანდახან თვითონვე უკვირდა, ბატონი სედლის კონიაკი რა მალე ილევაო. დიახ, დიახ, ეს მტკივნეული საკითხი გახლავთ, მაგრამ ბეკი ალბათ იმდენს მაინც აღარ სვამდა, როგორც მანამდე, სანამ ამ წესიერ ოჯახში მოხვდებოდა.

ბოლოს ის ყბადაღებული ზანდუკებიც ჩამოვიდა ლაიპციგიდან - სამიოდე, არც თუ მაინცდამაინც დიდრონი და ბრწყინვალე. არც ვინმეს შეუმჩნევია, რომ ბეკის რაიმე ტანსაცმელი ანდა სამკაული ამოეღოს ჩამოსული ზანდუკებიდან. მაგრამ ერთიდან კი, ბლომად რომ იყო ამოჩურთული ქაღალდებით (სწორედ იმ ყუთიდან, როუდონ კროულიმ რომ გადაქექა ბეკის გადამალული ფულების გაშმაგებულ ძებნაში), დიდის სიხარულითამოაძვრინა სურათი, გაიკრა ოთახში და ჯოზს საგანგებოდ აჩვენა - ფანქრით ნახატი სურათი ვაჟბატონისა, რომელსაც სახე, გამორჩევით, ვარდისფრად ჰქონდა შეღებილი.

სპილოზე შებრძანებული დარბაისელი პაგოდასა და რამდენიმე ქოქოსის ხეს შორდებოდა. ეს გახლდათ აღმოსავლური ცხოვრების სურსთი.

- უფალო, შემოწყალე, ეს ხომ ჩემი სურათია! - შესძახა ჯოზმა.

ჭეშმარიტად ის ბრძანდებოდა - ახალგაზრდობითა და სილამაზით გაფურჩქვნილი, 1804 წლის მოდის ნაშურის ქურთუკში გამოწყობილი. ეს ძველი სურათი ოდესღაც რასელ-სკვერის სახლში ეკიდა.

- ეგ მე ვიყიდე, - გრძნობამორეული, აკანკალებული ხმით უთხრა ბეკიმ. - მაშინ იმიტომ შევიარე, ეგებ რამეში გამოვადგე ჩემს კეთილ მეგობრებს-მეთქი. მას შემდეგ აღარც მომიშორებია ეს სურათი.. და არც მოვიშორებ!

- ნუთუ არ მოიშორებთ? - შესძახა ჯოზმა, აუწერლად მოხიბლული და კმაყოფილი სახით. - მართლა აგრე ძალიან აფასებთ ჩემი გულისთვის?

- თქვენც ჩინებულად, მოგეხსენებათ, რომ ძალიან გაფასებ, - თქვა ბეკიმ, - მაგრამ რას ვლაპარაკობთ... რას ვიგონებთ... რას ვიყურებთ უკან? ახლა გვიანღაა!

იმ საღამოს მუსაიფი ფრიად გაუტკბა ჯოზს. ძალიან დაღლილი და შეუძლოდ მყოფი ემი შინ დაბრუნებისთანავე ლოგინში ჩაწვა. ჯოზი და მისი მშვენიერი სტუმარი კი მომხიბლავად შერჩნენ ერთმანეთს tête-à-tête და თავის ოთახში თვალმოუზუჭავად მწოლარე ემილიას ესმოდა 1815 წლის დროინდელი სიმღერები, რომელთაც რებეკა უმღეროდა ჯოზს. იმ ღამეს, საკვირველია, ემის მსგავსად არც ჯოზს მოკიდებია თვალზე რული.

ივნისი იდგა და, მაშასადამე, ლონდონში სწორედ გახურებული იყო სეზონი. ჯოზი ყოველ ცისმარე დღეს ბეჯითად კითხულობდა შეუდარებელ „გალინიანის“ (უცხოეთს მყოფი ინგლისელის საუკეთესო მეგობარს) და საუზმობისას მანდილოსნებს ანათლებდა ხოლმე იქიდან ამოკითხულინწყვეტებით. ყოველ კვირას ამ გაზეთში სამხედრო რაზმების გადაადგილ-გადმოადგილების სრული ანგარიში იბეჭდება, რითაც ჯოზი, ვითარცა ომის ასპარეზზე ნამყოფი ვაჟბატონი, ფრიად დაინტერესებული გახლდათ. ამიტომ ერთხელ ამოიკითხა კიდეც: „-ე ლეგიონის ჩამოსვლა.

გრეივზენდი, 20 ივნისი. - ამ დილით მდინარე ტემზაში შემოვიდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის გემი - „რემჩარდერ“, რომელზედაც იმყოფებოდა ამ მამაცი რაზმის 14 ოფიცერი და 132 რიგითი ჯარისკაცი. ისინი 14 წელი იყვნენმოშორებულნი ინგლისს, გაეგზავრნენ რა ვატერლოოს ბრძოლის ერთი წლის თავზე, რომელ ბრძოლაშიაც მათ დიდი მონაწილეობა მიიღეს, ხოლო შემდგომში კი თავი გამოიჩინეს ბირმის ომში. ვეტერანი პოლკოვნიკი სერ მაიკლ ო’დაუდი, აბანოს ორდენის კავალერი, მეუღლითა და დითურთ გადმობრძანდა გუშინ კაპიტნრბის პოსკის, სტაბლის, მეკროუს,მელონის; ლეიტენანტების სმითის, ჯოუნზის, თომპსონის, ფ.თომპსონის; უმცროსი ლეიტენანტების ჰიკსისა და გრედის თანხლებით. ნავმისადგომზე ორკესტრი უკრავდა ეროვნულ ჰიმნს და ხალხი ხმამაღლა ესალმებოდა მამაც ვეტერანებს,როცა ისინი მიემგზავრებოდნენ უეიტის სასტუმროში, სადაც დიდებული ნადიმი ელოდა ძველი ინგლისის დამცვლელთ. სუფრაზე ჯდომის დროს, რომელიც, რაღა თქმა უნდა, უეიტისებურად საუცხოოდ გახლდათ გაწყობილი, კვლავ გრძელდებოდა ისეთი აღტაცებული შეძახილები, რომ ლედი ო’დაუდი და პოლკოვნიკი გამობრძანდნენ აივანზე და თანამემამულეთა სადღეგრძელოდ უეიტის საუკეთესო კლარეტი მიირთვეს მოზრდილი თასით“.

მეორეჯერ ჯოზმა ამოიკითხა მოკლე ცნობა - მაიორი დობინი ჩეტემში შეუერთდა -ე ლეგიონსო; ხოლო შემდეგ კი აუწყათ პოლკოვნიკ სერ მაიკლ ო’დაუდის, აბანოს ორდენის კავალერის, ლედი ო’დაუდისა (ბელიმელონელ ქალბატონ მოლოი მელონის წინამძღვრობით) და მის გლორვინა ო’დაუდის (ლედი ო’დაუდის წინამძღვრობით) სამეფო კარს წარდგენის ამბავი. თითქმის სწორედ ამავე ხანებში გამოჩნდა დობინის გვარი პოდპოლკოვნიკთა შორის, რადგან -ე ლეგიონის მადრასიდან გამგზავრების განმავლობაში მოხუცი მარშალი ტიპტოფი მიიცვალა და ხელმწიფემ კეთილ ინება, გენერალ-მაიორობა მიენიჭებინა ინგლისში დაბრუნებულ პოლკოვნიკ სერ მაიკლ ო’დაუდისთვის და თანაც დაურთო, რომ ის კვლავ უნდა დარჩენილიყო იმ სახელგანთქმული რაზმის მეთაურად, რომელსაც ამდენხანს სარდლობდა.

ზოგი ეს ამბავი ემილიამ უკვე იცოდა. ჯორჯისა და მის მეურვეს შორის მიწერ-მოწერა სულაც არ შეწყვეტილა. გამგზავრების შენდეგ უილიამმა ერთი-ორჯერ თვითონ ემისაც

მოსწერა, მაგრამ ისე დაუდევარი, გულგრილი კილოთი, რომ საბრალო ქალმა ახლა უკვე თვითონაც იგრძნო, სრულიად დამიკარგავს იმაზე გავლენა და, როგორც თვითონვე თქვა, მართლა თავი გაითავისუფლაო. დობინმა მიატოვა იგი და ქალი დაჩაგრულად გრძნობდა თავს. აგონდებოდა მისი თითქმის აურაცხელი ამაგი, მაღალი, უზენაესი სიყვარული და დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონდა სინდისის ქენჯნისაგან. მისი ჩვეულებისამებრ დიდიხნობით ჩაჰკირკიტებდა მოგონებებს. ითვალისწინებდა იმ გრძნობის სიწმინდესა და სილამაზეს, რომელსაც აბუჩად იგდებდა და თავს აყვედრიდა, გადასაგდებად რომ გაიმეტა ასეთი განძი.

მართლაც დაჰკარგა უილიამმა იგი, შემოეხარჯა მთლიანად. დობინი ფიქრობდა, რომ მას აღარუყვარდა წინანდებურად და აღარც შეეძლო კვლავინდებურად ყვარებოდა. ისეთი ჯურის სიყვარული, რომელსაც უილიამი ამდენ წელს ერთგულად თავაზობდა, არ შეიძლება ძირს დაანარცხო და დაამსხვრიო და მერე კვლავ გაამთელო ისე, რომ ბზარი არ დაეტყოს. პატარა, დაუდევარმა მტარვალმა კი სწორედ ასე გაანადგურა მისი მიჯნურობა. „არა,- ფიქრობდა და ფიქრობდა უილიამი, - მე თვითონ ვიტყუებდი და ამაოდ ვიცთუნებდი თავს: ის რომ ჩემი სიყვარულის ღირსი ყოფილიყო, დიდი ხანია უპასუხებდა ჩემს გრძნობას. ფუჭი შეცდომა იყო, მაგრამ განა მთელი სიცოცხლე ასეთი შეცდომებისაგან არ შედგება? და ვთქვათ კიდეც მომეგო მისი გული, განა ჩემი გამარჯვების მეორე დღესვე არ გაიფანტებოდა ის ხიბლი? რას ვდარდობ და რატომ მრცხვენია ჩემი მარცხისა?“ რაც მეტს ფიქრობდა თავისი ცხოვრების ამ ხანგრძლივ პერიოდზე, მით უფრო მკაფიოდ ითვალისწინებდა თავისი ცთუნების ძალას. „წავალ, კვლავ შევებმები უღელში, - ამბობდა იგი თავისთვის, - და ცხოვრების იმ ასპარეზზე შევასრულებ ჩემს მოვალეობას, რომელშიაც ზეცამ ინება ჩემი გამწესება, თვალყურს ვადევნებ, რომ ახალწვეულთ ღილები სათანადოდ ჰქონდეთ გაპრიალებული და რომ სერჟანტები არ ცდებოდნენ მოხსენებებში. ვისადილებ ოფიცერთა საერთო სუფრაზე და ყურს მივუგდებ შოტლანდიელი დასტაქრის ანეგდოტებს. როცა დავბერდები და დავჩაჩანაკდები, გავალ პენსიაზე და გავხდები ჩემი ბებრუხანა დების დასატუქსი. მე „geliebt und gelebt“[335], როგორც გოგონა ამბობს „ვალენშტაინში“[336]. წასულია ჩემი საქმე!.. - გაისტუმრე ნახარჯი და სიგარა მომიტანე. თან გაიგე,

ამაღამ რა წარმოდგენაა თეატრში, ფრენსის, ხვალ „ბატავიელით“ მივემგზავრებით!“

ზემომოყვანილი სიტყვა, რომლის მხოლოდ ბოლო ორიოდე წინადადება გაიგონა ფრენსისმა, როტერდამის ბოომპიესზე[337] ბოლთის ცემის დროს წარმოთქვა უილიამ დობინმა. „ბატავიელი“ ნავსადგურში იდგა . მოჩანდა უკანა გემბანის ის ადგილი, სადაც იგი და ემი ისხდნენ ხოლმე ბედნიერი მგზავრობის დროს. რა უნდა ჰქონოდა სათქმელი იმ დაფსხრეკილ ქალბატონ კროულის? ფუჰ!.. ხვალ ჩავსხდებით გემში და დავუბრუნდებით ინგლისს, ოჯახსა და მოვალეობას!

ივნისის დამლევს პუმპერნიკელის მთავრის პატარა კარის მთელი საზოგადოება, გერმანელთა წესისამებრ, იფანტებოდა და ასობით მინერალურ წყლებიან სააგარაკო ადგილებს შეესეოდა, სადაც მიირთმევდნენ წყალს და დასეირნობდნენ ვირებით. თუ ფული და მიდრეკილება ჰქონდათ, ყომარბაზობდნენ redoutes-ში[338]. ასობით თავის მსგავს თანამეინახეებთან ერთად ეძგერებოდნენ საერტო სუფრებს, იყორავდნენ მუცლებს და ასეუქმად ატარებოდნენ ზაფხულს. ინგლისელი დიპლომატები ტეპლიცსა და კისინგენს წაბრძანდნენ. მათმა ფრანგმა მოქიშპეებმაც დაკეტეს თავიანთი chancellerie[339] და სანუკვარ Baulevard de Gand-ისკენ[340] გაუტიეს. უგანათლებულესი ხელმწიფის სახლის წევრებიც მინერალურ წყლებზე წაბრძანდნენ ანდა თავიანთ სანადირო აგარაკებს მიაშურეს. ყველანი, ვისაც კი წარჩინებული საზოგადოების წევრად მოჰქონდა თავი, გაემგზავრ-გამოემფზავრენ და, რასაკვირველია, მათთანერთად - კარის ექიმი დოქტორი ფონ გლაუბერი და მისი ბარონესაც. ბანაობის სეზონი ყველაზე უფრო მომგებიანი ხანა გახლდათ დოქტორის საქმიანობაში - იგი საქმეს სიამოვნებასაც უთავსებდა და საკურორტო ადგილად უმთავრესად ოსტენდს გეახლებოდათ, სადაც ბევრი გერმანელი დადიოდა და სადაც დოქტორი და მისი მეუღლეც მკურნალობდნენ, როგორც ის იტყოდა, ზღვაში „ამოვლებით“.

მისი საინტერესო პაციენტი, ჯოზი, ექიმისათვის პირდაპირ საწველი ძროხა გახლდათ და ადვილადაც დაარწმუნა ინდოელი მოხელე, რომ როგორც მისი საკუთარი, ისე მისი მომხიბლავი დის ჯანმრთელობის გულისთვის, რომელიც მართლაც ძალიან შერყეული ჩანდა, ზაფხული იმ საზიზღარ

ზღვისპირა ქალაქში გაეტარებინა. ემის თითქმის სულაც არ ენაღვლებოდა, საით წავიდოდნენ, ხოლო ჯორჯი სიხარულით შეხტა, ადგილიდან დაძვრის ამბავს რომ ყური მოჰკრა. რაც შეეხება ბეკის,მან, რაღა თქმა უნდა, მეოთხე ადგილი დაიკავა ბატონი ჯოზის ახლად ნაყიდ საუცხოო ეტლში, რომლის კოფოზე ორი მოსამსახურეც მოთავსდა. მას ეგებ ცოტა ავადაც უთქვამდა გული, იქ ისეთ მეგობრებს არ გადავეყარო, რომელნიც, შესაძლოა, ვერაფერ სასიამოვნო ამბებს დაფქვავენო; მაგრამ, იჰ! იგი იმდენად მძლავრი იყო, რომ თავს არავის დააბრიყვებინებდა. ჯოზის სახით მან ისეთი მძიმე ლუზა იშოვნა, რომ მას მხოლოდ უძლიერესი ქარიშხალი თუღა შეარყევდა. იმ სურსთის ამბავმა ხომ სულ მოუთავა ხელი ჯოზს. ბეკიმ ჩამოხსნა კედლიდან თავისი სპილო და იმ პატარა ზარდახშაში მოათავსა სათუთად, რომელიც იმდენი ხნის წინათ ემილიამ აჩუქა. ემიმაც წამოასვენა თავისი ლარები - თავისი ორი პორტრეტი - და საზოგადოება, როგორც იქნა, დაბინავდა უზომოდ ძვირ და უმარჯვო სახლში ოსტენდს.

ემილია შეუდგა აბაზანების მიღებას და მათგან იმ სარგებლის მოპოვებას, რისი გამოწურვას იქიდან შეიძლებოდა; და თუმცა ოცეულობით ნაცნობი სალამს არ აძლევდა ბეკის, ქალბატონი ოსბორნი, მასთან ერთად ყველგან მოარული და თვითონ ვერავის მცნობი, იოტისოდნადაც ვერა ხვდებოდა, რა დღეში იყო მისი მეგობარი, რომელიც ასე საზრიანად ირჩია ამხანაგად, ხოლო თვითონ ბეკიმ სულაც არ მიიჩნია საჭიროდ, აეხსნა მისთვის, რა ხდებოდა მის უმანკო თვალთა წინაშე.

ოღონდ ქალბატონი კროულის ზოგიერთი ნაცნობი კი ფრიადის ხალისით - შესაძლოა, უფრო მეტი ხალისით, ვიდრე ეს ბეკის ნებავდა - გამოეცნაურა მას. მათ შორის ბრძანდებოდნენ მაიორი ლოდერი (არც ერთ რაზმს რომ არ იყო მოწერილი) და კაპიტანი რუკი (ყოფილი მსროლელთა ლეგიონის ოფიცერი), რომელნიც ყოველ ცისმარე დღეს დაყიალობდნენ სანაპიროზე, აბოლებდნენ თამბაქოს, თვალებს აჭყეტდნენ ქალებზე და რომელნიც მსწრაფლ იქნენ მიწვეულნი ბატონი ჯოზეფ სედლის სტუმართმოყვარე სუფრასა და რჩეულ საზოგადოებაში. მართალი მოგახსენოთ, ისინი არც სცნობდნენ არავითარ უარს - ბეკი შინ იყო თუ არა, მაინც იჭრებოდნენ სახლში; შედიოდნენ ქალბატონი ოსბორნის სასტუმრო ოთახში, რომელსაც ახრჩოლებდნენ თავიანთი ტანსაცმლისა და ულვაშების სუნით, ეძახოდნენ ჯოზს „შე ძველოს“, თავს

ესხმოდნენ სასადილო სუფრას და საათობით ხარხარებდნენ და სვამდნენ იქ.

- რას უნდა ნიშნავდეს? - იკითხა ჯორჯიმ, რომელსაც თვალში არ მოსდიოდა ვაჟბატონები, - გუშინ ყური მოვკარი, მაიორი ეუბნებოდა ქალბატონ კროულის: „არა, არა, ბეკი, მაგ ძველს მარტო ნუ ისაკუთრებ! ცოტაოდენი ჩვენც გვიჭილადე, თორმე, დალახვროს ღმერთმა, ვიფეთქებ, აი!“ ნეტავი რას გულისხმობდა მაიორი, დედიკო?

- მაიორი!..ნუ ეძახი მ ა გ ა ს მაიორს! - შესძახა ემიმ. - სწორე გითხრა, არ ვიცი რა უნდა ეგულისხმებინა.

მაიორი ლოდერისა და მისი მეგობრის საზოგადოებაპირდაპირ თავზარსა სცემდა და ზიზღსა ჰგვრიდა პატარა მანდილოსანს. ისინი ლოთური ქათინაურებით უმასპინძლდებოდნენ და ურცხვად შელაციცებდნენ სუფრაზე. ხოლო კაპიტანი ისეთი წინადადებებითაც მიმართავდა, რომ ქალს ზიზღისა და უსიამოვნებისაგან გული ელეოდა, და, თუ ჯორჯი გვერდით არ ახლდა, არც იღებდა მას.

მართალი მოგახსენოთ, არც რებეკა ანებებდა რომელიმე მათგანს ემილიასთან მარტო დარჩენას. მაიორი უცოლო გახლდათ და იფიცავდა, მე მოვიგებ მის თავსო. ორი თავხედი არამზადა იბრძოდა ამ უმანკო არსების გულისთვის; მის საკუთარ სუფრაზე ექიშპებოდნენერთმანეთს. თუმცა ემილიამ არ იცოდა სალახანების ზრახვები მის მიმართ, მაინც, ძრწოლასა და უსიამოვნებას ჰგვრიდა მათი ხილვა და ნატრობდა მათგან თავის დაღწევას.

ემილია ეხვეწებოდა, ევედრებოდა ჯოზს, შინ დავბრუნდეთო; მაგრამ ის ყურსაც არ იბარტყუნებდა - ძნელი დასაძვრელი გახლდათ ადგილიდან. იგი გამობმული იყო ექიმზე და ეგებ სხვა მოწინამძღვრე ძაფებზეც. ყოველ შემთხვევაში ბეკის მაინცდამაინც გული არ მიუწევდა ინგლისისაკენ.

ბოლოს ემიმ უდიდესი გადაწყვეტილება მიიღო - დიდი ნაბიჯი გადადგა: წერილი მიწერა ზღვის გაღმა მყოფ მეგობარს; წერილი, რომლის შესახებაც კრინტი არავისთან დაუძრავს; რომელიც, შალს ამოფარებული, თვითონვე წაიღო ფოსტაში და არც არაფერი დასტყობია, ოღონდ ძალიან ალეწილი და აფორიაქებული ჩანდა, ჯორჯის რომ შეხვდა და იმ ღამესაც ბევრსა კოცნიდა და მეტისმეტად დაჰფოფინებდა თავს.

სეირნობიდან დაბრუნების შემდეგ თავისი ოთახიდან აღარ გმოსულა. ბეკის ეგონა, მაიორმა ლოდერმა და კაპიტანმა თუ დააფრთხესო.

„აქ მისი დარჩენა აღარ შეიძლება, - დაასკვნა ბეკიმ თავისთვის. - წასვლა ურჩევნია მაგ ტუტრუცანას. კიდევ იმ ყეყეჩ ქმარს მისტირის - ამ თხუთმეტი წლის წინათ მკვდარს (და არც იყო იმაზე!). ეგ ამ კაცებიდან ვერც ერთზე ვერ გათხოვდება. ასეთი ქცევა დიდი სიოხრეა ლოდერის მხრით! არა, ეგ ბამბუკის ჯოხზე უნდა გათხოვდეს და ამ საქმეს სწორედ ამავე საღამოს გავარიგებ კიდეც!“.

ამიტომ ბეკიმ ფინჯნით ჩაი მიართვა საკუთარ ოთახში ემილიას და ეს მანდილოსანი თავისი მინიატურების საზოგადოებაში იხილა ფრიად დაძმარებულ-აფორიაქებული. ფინჯანი დადგა.

- გმადლობ, - უთხრა ემილიამ.

- გამიგონე, ემილია, - დაიწყო ბეკიმ; მოჰყვა მის წინაშე ბოლთის ცემას ოთახში და თან ერთგვარი ზიზღნარევი გულკეთილობით დასცქეროდა: - შენთან მოსალაპარაკებელი მაქვს. შენ აქაურობასა და ამ ხალხის თავხედობას უნდა მოშორდე. არ მინდა, ეგენი გაწუხებდნენ და აქ კი რომ დარჩე, შეურაცხყოფას მოგაყენებენ. გეუბნები, კატორღაში გასაგზავნი არამზადები არიან. ნუ იკითხავ, საიდან ვიცნობ მათ - მე ყველას ვიცნობ. ჯოზი ვერას გიშველის. ეგ ძალიან ჩასუქებული დონდლოა და თვითონვე სჭირდება მფარველი. ამ წუთისოფელში ცხოვრებისათვის შენ ისევე უსუსური ხარ, როგორც ძუძუთა ბალღი. შენ უნდა გათხოვდე, თორემ შენც და შენი თვალისჩინი ბიჭიც დაიღუპებით. ქმარი უნდა შეირთო! და თან,რაც კი მინახავს, ყველაზე საუკეთესო დარბაისელი კაცი გთავაზობდა თავის ხელს ასჯერ მაინც. შენ კი, შე სულელო, უგულო, უმადურო პაწაწინა არსებავ, უკუაგდე!

- ვეცადე... ვეცადე, რაც კი შემეძლო!.. მართლა ვეცადე, რებეკა! - მობოდიშებით თქვა ემილიამ, - მაგრამ ვერ მოვახერხე, დამევიწყებინა... - და წინადადება პორტრეტისაკენთვალის აპყრობით დაასრულა.

- ვერ მოახერხე დაგევიწყებინა ეგ? - შესძახა ბეკიმ, - ეგ თავკერძა თაღლითი, ეგ ხეპრე, მატრაკვეცა დარდიმანდი, ეგ გაბღენძილი ბრიყვი, რომელაც არც ჭკუა გააჩნდა, არც

გაზრდილობა, არც გული და ისევე ვერ შეედრებოდა შენს ბამბუკის ჯოხიან მეგობარს, როგორც შენ ვერ შეედრები ელისაბედ დედოფალს! მაგ კაცს შენ ხომ მობეზრებული ყავდი და მიგატოვებდა კიდეც, დობინს რომ იძულებული არ გაეხადა, სიტყვისთვის არ ეღალატნა. თვითონვე გამომიტყდა მე. ის შენ ჩირადაც არ გაგდებდა არასოდეს. სულ დაგცინოდა ჩემს წინაშე და ერთი კვირის დაქორწინებულნიც არ იყავით, რომ უკვე მე მეარშიყებოდა!

- ეგ სიცრუეა, ეგ სიცრუეა, რებეკა! - შეჰყვირა საბრალო ემიმ და ზეზე წამოიჭრა.

- აბა, წაიკითხე, შე სულელო! - მიუგო ბეკიმ კვლავ გამომწვევი გულკეთილობით; სარტყლიდან ამოიღო რაღაც პატარა, დაკეცილი ქაღალდი, გაშალა და მიუგდო ემის. - მის ხელს ხომ იცნობ? ეგ მე მომწერა - უნდოდა მასთან ერთად გავიქცეულიყავი - სწორედ შენს ცხვირწინ მომცა, მისი მოკვლის წინა დღეს და ახიც არის რომ მოკლეს! - გაიმეორა ბეკიმ.

ემის აღარ ესმოდა მისი ლაპარაკი - ბარათს ჩაშტერებოდა. ის წერილი იყო, რომელიც თაიგულში ჩაუდო და მიართვა ბეკის რიჩმონდის დუკას წვეულების ღამეს. მართლაც ის ეწერა, რაც ბეკიმ თქვა: ქარაფშუტა ყმაწვილი კაცი სთხოვდა, ერთად გავიქცეთო.

ემიმ თავი ჩაჰკიდა და თითქმის უკანასკნელად, რაც ჩვენს მოთხრობაში ეკუთვნის ტირილი, შეუდგა ამ საქმეს. თავი მკერდზე ჩამოუვარდა, ხელები თვალებზე მიიფარა და ერთ ხანს გზა მისცა თავის შეგუბებულ გრძნობებს, ხოლო რებეკა იდგა და შეჰყურებდა. ვინ გასინჯავს იმ ცრემლებს და ვინ იტყვის, ტკბილი ცრემლები იყო თუ მწარე? უფრო იმას წუხდა, რომ მთელი მისი სიცოცხლის კერპი დაემხო და ლუკმა-ლუკმა დაიმსხვრა მის ფეხთა წინაშე, თუ სწყინდა, რომ მისი სიყვარული ასე აბუჩად აიგდეს ანდა უხაროდა, რომ მოისპო ის დაბრკოლება, რომელიც კდემამოსილებამ ამართა,რომ მოისპო ის დაბრკოლება, რომელიც კდემამოსილებამ აღმართა იმასა და ახალ, ნამდვილ გრძნობას შორის? „ ახლა კი აღარაფერი შემიშლის ხელს, - გაიფიქრა მან. -ახლა შემეძლება მთელი გულითა და სულით მიყვარდეს იგი. ოჰ, მეყვარება, მეყვარება კიდეც, თუ ის ნებას მომცემს და მომიტევებს!“ - მე მგონი, სწორედ ამ გრძნობამ დაჩრდილა ყველა სხვა, რომელნიც

აფორიაქებდნენ იმ ნაზ, სათუტ, პატარა გულს.

მარალი მოგახსენოთ, იმდენი არც უტირია, რამდენსაც ბეკი ელოდა. იგი ანუგეშებდა, კოცნიდა, რაიც კეთილგანწყობილების გამოვლენის იშვიათი შემთხვევა გახლდათ ქალბატონი ბეკისთვის. ბავშვივით ეპყრობოდა ემის და თავზე უსვამდა ხელს.

- მაშ ეხლა კი ავიღოთ საწერ-კალამი და მივწეროთ, ამ წუთში ჩამოდი-თქო, - უთხრა მან.

- მე... მე უკვე მივწერე ამ დილით, - თქვა ემიმ და ერთობ გაწითლდა.

ბეკი გადაფიჩინდა სიცილით.

- Un biglietto, eccolo quà![341] - შემოსძახა მან როზინასავით[342] და მთელმა სახლმა იხმო მისი მჭახე სიმღერის ხმა.

ამ პატარა სცენარის შემდეგ მესამე დილას, წვიმიანი და ქარიშხლიანი დღე იყო. ემილია თითქმის მთელ ღამეს თვალფხიზლობდა, ყურს უდებდა ქარის გრიალს და ებრალებოდა ხმელზე და ზღვაში მყოფი ყოველი მგზავრი. მაინც ადრიანად ადგა და ჯორჯისთან ერთად ნავმისადგომზე გასეირნება მოინება. თუმცა სახეში სცემდა წვიმა, იქ ბოლთის ცემას შეუდგა და გაიყურებოდა დასავლეთისაკენ, ზღვის ჩაშავებული ჰორიზონტისა და აგორებული ზვირთების იქით, რომელნიც, აზავთებულნი და აქაფებულნი, ნაპირს ასკდებოდნენ. მუსაიფის ხალისი არც ერთს არ ჰქონდა, მხოლოდ ბიჭი ხანდახან თუ გადაულაპარაკებდა ხოლმე თანაგრძნობისა და მფარველობის დამადასტურებელ ორიოდე სიტყვას თავის

მორიდებულსა და მორცხვ თანამგზავრს.

- მე მგონი, ამისთანა ამინდში ვერ წამოვიდოდა, - თქვა ემიმ.

- მე კი სანაძლეოს დავდებ ათს ერთის წინააღმდეგ, რომ წამოვიდოდა, - მიუგო ბავშვმა. - შეხე, დედა, გემის კვამლი გამოჩნდა! - და თითქოს მართლაც ის უნდა ყოფილიყო.

გემი კი მოცურავდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ის არ აღმოჩენილიყო ძედ - ეგებ წამოსვლაც არ მოინდომა!.. ერთი მეორეზე ათასნაირი შიში ეძგერებოდა მის პატარა გულს ისეთი

გაშმაგებით, როგორც ტალღები - სანაპიროს.

კვამლის შემდეგ თვითონ ხომალდიც გამოჩნდა. ჯორჯს ჩინებული ჭოგრი ჰქონდა, ძალიან მარჯვედ მოახერხა მისი დამიზნება და სათანადო სანაოსნო კომენტარებს უკეთებდა ხომალდის მოძრაობას, როცა იგი ხანჩაჰკრავდა ტალღებში ცხვირს, ხან კვლავ ამოჰყოფდა და მელ-ნელა უახლოვდებოდა ნაპირს. ნავმისადგომის ანძაზე ინგლისის ორთქლმავალი გემის მიახლოვების სიგნალი აუშვეს ფათფათით და, უნდა მოგახსენოთ, ქალბატონ ემილიას გულიც ასევე ფათფათებდა და თრთოდა.

ემიმ სცადა ჯორჯის მხარზე გადებულ ჭოგრში გაეხედა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია - მხოლოდ რაღაც შავი ლაქა უხტოდა თვალწინ.

ჯორჯიმ გამოართვა და კვლავ გულმოდგინედ დაუმიზნა ხომალდს.

- როგორ ქანაობს მთელი გემი! - შესძახა მან. - ზედ ცხვირზე ევლება ტალღა! მესაჭის გარდა მარტო ორი ადამიანი ჩანს გემბანზე. ერთი ძირს წევს, მეორე კი... მეორე... წამოსასხამიანი... ვაშა!.. ეგ დობია, ღმერთმანი!..

ჯორჯიმ ჩაკეცა ჭოგრი და შემოეცკვნა დედას. რაც შეეხება ამანდილოსანს, რა ჩაიდინა მნ, მოდით საყვარელი პოეტის[343] სიტყვებით ვთქვათ - Δαχρυόεν γελασάσα[344]. იგი დარწმუნებული გახლდათ, რომ ის უილიამი იყო. სხვა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც მისი არ-გამომგზავრების შესახებ თქვა, სულ თვალთმაქცობა გახლდათ. რასაკვირველია, გამოემგზავრებოდა; აბა სხვა რა უნდა ექნა? მან იცოდა, რომ ჩამოვიდოდა.

ხომალდი სწრაფად ახლოვდებოდა . როცა ნავმისადგომის გადმოსასვლელი ბაქნისაკენ გაემართნენ, ემის ისე უკანკალებდა მუხლები, ძლივს მორბოდა. იგი სიამოვნებით მოიყრიდა მუხლთ იქვე და სამადლობელ ლოცვას აღავლენდა. ოჰ. ფიქრობდა იგი, მთელი ჩემი სიცოცხლე ვილოცებო!

ისეთი ავდრიანი დღე გამოვიდდდდდა, რომ როცა ხომალდი ნაპირს მოადგა, უქმად მოყიალეთა ჭაჭანება არსად იყო. თვით სასტუმროს მოპატიჟენიც კი არსად ჩანდნენ გემის მცირეოდენ მგზავრთათვის. ის პატარა ცუღლუტი ჯორჯიც სადღაც

გადაიკარგა და, წითელსარჩულიან ძველ წამოსასხამმოსხმული დარბაისელი რომ გადმობრძანდა ნაპირზე, თითქმის არავინ ესწრებოდა, რომ დაენახა, რა მოხდა მაშინ იქ. მოკლედ რომ მოგახსენოთ კი აი, ეს მოხდა: გაწუწყულ-გალუმპულ თეთრ ქუდიანი, შალმოხვეული მანდილოსანი ორივე თავის პაწია ხელგაწვდილი მიეგება; მეორე წუთში სრულიად ჩაიმალა ძველი წამოსასხამის კალთებში და მთელი ძალღონით დაუწყო კოცნა ერთ-ერთ მის ხელს, მაშინ როცა ვაჟბატონი, მე მგონი, ცდილობდა, გულზე მიეკრა (რომელსაც სწორედ მანდილოსნის თავი სწდებოდა) და შეეკავებინა იგი, რათა ძირს არ დაცემულიყო. ქალი რაღაცას ჩრიტინებდა: „მიმიტევე... ძვირფსო უილიამ... მომიტევე... ძვირფასო, ძვირფასო, უძვირფასესო მეგობარო...“ და თან კოცნიდა, კოცნიდა, კოცნიდა და სხვანი... და, ერთი სიტყვით, წამოსასხამქვეშ თავშერგული ფრიად უთავბოლოდ და ტუტუცურად ირჯებოდა.

როცა ემიმ გამოყოიქიდან თავი, კვლავ მაგრაედ ჰქონდა ჩაბღუჯული უილიამის ერთი ხელი და შეხედა სახეში. იგი აღსავსე გახლდათ სევდით, ნაზი სიყვარულითა და სიბრალულით. ქალმა იგრძნო მისი სიყვარული და ჩაჰკიდა თავი.

- უკვე დროც იყო, რომ მომიწოდე, ძვირასო ემილია, - უთხრა მან.

- ამიერიდან კი აღარასოდეს წახვალ, უილიამ?

- არა, აღარ წავალ, - მოუგო მან და ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში საყვარელი პატარა სულიერი.

როცა ისინი საბაჟოს საზღვრებს გამოსცდნენ, ჯორჯი ეძგერათ - ცალ თვალზე ჭოგრი ჰქონდა მიბრჯენილი და ხმამაღალი სიცილით მიესალმა. წყვილის გარშემო სულ ცეკვავდა, კუნტრუშობდა, ათასნაირ ცუღლუტურ ონინებს სჩადიოდა და ისე მიუძღოდა შინისაკენ. ჯოზი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო. ბეკი არ ჩანდა (თუმცა ფარდებს ამოფარებული კი უთვალთვალებდა მათ). ჯორჯი გავარდა საუზმის თადარიგის დასაჭერად. ემი, რომელსაც ტალანში მის პეინმა ჩამოართვა შალი და ქუდი, ახლა უილიამს მიუბრუნდა მისი წამოსასხამის აბზინდის გასახსნელად და... და ჩვენც, გეთაყვა, ჯორჯის გავყვეთ და პოლკოვნიკის საუზმის საქმეს მივხედოთ.

ხომალდი ნავსადგურშია. მან მოიპოვა ის ჯილდო, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ელტვოდა. ჩიტუნიაც მოფრინდა დაბოლოს. აი, გაუშლია ნაზი, მიფარფატე რთები, დაუდევს თავი მის მხარზე და ელამუნება და ღუღუნებს სწორედ მის გულთან. ამას ნატრობდა იგი ყოველ ცისმარე დღესა და საათს ამ თვრამეტი წლის მანძილზე; ამისთვის ელეოდა გული. ესეც - მწვერვალი! - დასასრული - მესამე ტომის უკანასკნელი გვერდი[345]. მშვიდობით ბრძანდებოდე, პოლკოვნიკო! უფალმა დაგლოცოს, პატიოსანო უილიამ! - მშვიდობით, ძვირფასო ემილია! - კვლავ იხარე და ამწვანდი, სათნო, პაწია მუქთახორავ და შემოეწანი გარს დაკოჟრილ ბებერ მუხას, რომელსაც ეტმასნები!

რებეკა სინდისის ქენჯნას გრძნობდა გულკეთილი და ალალი არსების წინაშე, რომელმაც პირველად შეივრდომა იგი. თუ ასეთი გულისამაჩუყებელი სცენები არაფრად ეპიტნავებოდა, ამ საქმეში უკვე აღსრულებული თავისი როლით დაკმაყოფილდა და აღარ გამოჩენილაპოლკოვნიკი დობინისა და მისი მეუღლის წინაშე. თქვა : „საგანგებო საქმე მაქვს ბრიუგეშიო“, და გაემგზავრა კიდეც, მხოლოდ ჯორჯი და ბიძამისი დაესწრნენ ჯვრისწერას. ეს რომ მოითავეს და ჯორჯიც მშობლებს წაჰყვა, ქალბატონი ბეკი დაბრუნდა (მხოლოდ ორიოდრ დღით) რათა ეულად დარჩენილ უოჯახო ჯოზეფ სედლისთვის ნუგეში ეცა. ჯოზმა, მისი თქმით, კონტინენტზე ცხოვრება ირჩია და უარყო დასა და სიძესთან ცხოვრება.

ემის ძალიან უხაროდა გულში, როცა მოაგონდებოდა, რომ მანამდე მისწერა ბარათი ქმარს, სანამ ჯორჯის იმ წერილს ნახავდა ან მის არსებობას შეიტყობდა.

- ეგ ყველაფერი სულ ვიცოდი, - უთხრა უილიამმა, - მაგრამ აბა როგორ უნდა მეხმარა ასეთი იარაღი იმ საცოდავის წინააღმდეგ? სწორედ მაგიტომ მეტკინა გული, როცა...

- იმ დღეს ნუღარ ახსენებ! - შესძახა ემიმ ისეთი სინანულითა და მუდარით, რომ უილიამმა საუბარი ჩამოაგდო გლორვინასა და ძვირფას ბებრუხანა პეგი ო’დაუდზე, რომლებთანაც მჯდარიყო, როცა ემის წერილი მიუვიდა.

- წერილი რომ არ გამოგეგზავნა, - დასძინა დობინმა სიცილით, - ვინ იცის, რა გვარი იქნებოდა ახლა გლორვინა!

ამჟამად იგი გლორვინა პოსკი გახლავთ (ახლა უკვე მაიორი პოსკის მეუღლე) - გლორვინამ პირველი ცოლის გარდაცვალების შემდეგ შეირთო ის, რადგან გადაწყვიტა, არამც და არამც ლეგიონს გარეთ არ დაქორწინებულიყო. ლედი ო'დაუდიც ისე შეთვისებია რაზმს, რომ ამბობს, თუ მიკს რამე დაემართა, ღმერთმანი, დავბრუნდები ლეგიონში და აქაურ ვინმეს შევირთავო. მაგრამ გენერალმაიორი სრულიად ჯანსაღად ბრძანდება, დიდის განცხრომით სუფევს ო'დაუდსტაუნში მეძებრების ხროვითურთ და (შესაძლოა, მხოლოდ მისი მეზობლის კასლ-ჰოგარტელი ჰოგარტის გამოკლებით) თავის საგრაფოში პირველი კაცი გახლავთ. მისი აღმატებულება, ქალბატონი ო'დაუდი, კვლავ ცეკვავს ჯიგს და ირლანდიის ქორიკოზის უკანასკნელ ბალზეც მოიპრიანა ცეკვა მეჯინიბეთუხუცესთან. ორივენი, ისიც და გლორვინაც, აცხადებდნენ, დობინი ამ უკანასკნელს „სამარცხვინოდ" მოექცაო, მაგრამ, რაკი პოსკი გამოჩნდა შემთხვევით, გლორვინამ თავი ინუგეშა, ხოლო ლედი ო'დაუდის რისხვა კი საუცხოო პარიზულმა დოლბანდმა გაანელა.

როცა პოლკოვნიკმა დობინმა სამსახურს თავი დაანება, რაიც ქორწინების შემდეგ მალევე მოხდა, კოხტა, პატარა მამული აიღო იჯარით ჰემპშირში, დედოფლის კროულიდან არც თუ შორს, სადაც რეფორმის კანონის[346] გატარების შემდგომ სერ პიტი და მისი ოჯახი მუდმივად დაბინავდა. პერად გახდომის ოცნება სრულიად გაქარწყლდა, რაკი ბარონეტის ორივე ადგილი პარლამენტში გაუქმდა. ამ კატასტროფამ ჯიბეც დაუცარიელა მას და გულიც გაუფუჭა. თან ჯანმაც უღალატა და იმპერიას მსწრაფლ აღსასრულს უწინასწარმეტყველებდა.

ლედი ჯეინი და ქალბატონი დობინი ძალიან დამეგობრდნენ - განუწყვეტლივ მიმოდიოდა პონის ეტლები სასახლესა და პოლკოვნიკის მამულ ევერგრინზს შორის, რომელიც მან ოჯახითურთ უცხოეთში გამგზავრებულ მეგობარ მაიორ პონტოსაგან აიღო იჯარით. მისმა ბრწყინვალებამ ლედი ჯეინმა ქალბატონ დობინს ბავშვი მოუნათლა, რომელიც მის სახელს ატარებდა. იგი ემბაზში ღირსმა მამა ჯეიმზ კროულიმ ამოავლო, რომელსაც მამამისის სამრევლო ერგო. ასევე დიდი მეგობრობა არსებობდა ორ ყმაწვილს, ჯორჯისა და როუდონს შორის, რომელნიც არდადეგებზე ერთად ნადირობდნენ, ერთსა და იმავე კოლეჯში შევიდნენ კემბრიჯს და ერთმანეთში ქიშპობდნენ ლედი ჯეინის ასულისთვის, რომელსაც, რაღა თქმა

უნდა, ორივენი ეტრფოდნენ. ჯორჯისა და ამ ყმაწვილი ქალის ქორწინების გეგმას დიდხანს ელოლიავებოდა ორივე მანდილოსანი, თუმცა ყური მოვკარი, თვით მის კროული თავის ბიძაშვილს უფრო რჩეობსო.

როუდონ კროულის მეუღლის სახელს არც ერთ ოჯახში არასოდეს არ ახსენებდნენ. საამისო მიზეზებიცა ჰქონდათ, რადგან, საითაც კი ბატონი ჯოზეფ სედლი გაემგზავრებოდა, ის ქალიც კუდში მისდევდა და ჩანდა, რომ სიყვარულით დაბრმავებული ეს დონდლო კაცი სულ მის ყურმოჭრილ მონად იქცა. პოლკოვნიკს თავისმა ვექილებმა შეატყობინეს, თქვენმა ცოლისძმამ დიდ თანხაში დაიზღვია თავიო, საიდანაც შეიძლებოდა დაესკვნა ადამიანს, რომ იგი ვალების გასასტუმრებლად აგროვებდა ფულს. მან ხანგრძლივი შვებულება ითხოვა ოსტ-ინდოეთის კომპანიიდან და სენიც დღედადღე მართლა უფრო და უფრო ერეოდა.

ჯოზის დაზღვევის ამბავი რომ გაიგო, ემილია ძალიან შეშფოთდა და მეუღლეს სთხოვა, ბრიუსელს გამგზავრებულიყო, სადაც მაშინ ჯოზი ბინადრობდა, და მისი საქმის ვითარება გამოერკვია. პოლკოვნიკი ბრიუსელს გაემგზავრა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა (რადგან იგი ღრმად იყო ჩაფლული თავის „პენჯაბის ისტორიაში“, რომელზედაც ახლაც განაგრძობს მუშაობას, და აგრეთვე ძალიან აწუხებდა თავისი პატარა გოგონას ამბავი, რომელსაც აღმერთებს და რომელმაც, ის-ის იყო, ჩუტყვავილა მოიხადა). ჯოზს ერთ-ერთ იქაურ ვეება სასტუმროში მიაგნო. ქალბატონ კროულის, რომელსაც თავისი ეტლი ჰქონდა, წვეულებებს მართავდა და ფრიად ხელგაშლილად და ფუფუნებით ცხოვრობდა, იმავე სასტუმროში სხვა ვრცელი ბინა ეჭირა.

უილიამს, რასაკვირველია, სულაც არ ეპიტნავებოდა იმ მანდილოსნის ხილვა და არც ბრიუსელს თავისი ჩამოსვლის ამბის გახმაურება მიაჩნდა საჭიროდ. ამიტომ მხოლოდ ჯოზს გაუგზავნა ბარათი ფარეშის ხელით. ჯოზმა სთხოვა, იმავე საღამოს მისულიყო და ენახა, როცა ქალბატონი კროული soirée-ზე იქნებოდა და როცა მათ მარტო შეეძლებოდათ შეხვედრა. ცოლისძმა სავალალოდ დაძაბუნებულიყო და თანაც სასტიკად უფრთხოდა რებეკას, თუმცა დიდ ხოტბა-დიდებას კი ასხამდა: სულ ის მივლიდა, პირდაპირ განსაცვიფრებელი ერთგულებით, სიტყვით აუწერელი მრავალი ავადმყოფობის ჟამს; სწორედ

შვილობა გამიწიაო.

- მაგრამ... მაგრამ... ოჰ, ღვთის გულისთვის, ქენით სიკეთე და იცხოვრეთ ჩემ ახლოს და... და... ხანდახან მაინც მნახეთ!.. - წამოიფშლუკუნა უბედურმა.

ამაზე პოლკოვნიკს შუბლი შეეჭმუხნა.

- არ შეგვიძლია, ჯოზ, - უთხრა მან. - ამ ვითარებაში ემილიას არ შეუძლია თქვენთან სტუმრად მოსვლა.

- ვფიცავ... ბიბლიაზე დავიფიცავ, - ძლივს მოითქვა სული ჯოზეფმა და სღვთო წერილს წაეპოტინა სამთხვევათ, - რომ ქალბატონი კროული ბალღივითუმანკო და ისევე უმწიკვლოა, როგორც თქვენი საკუთარი ცოლი.

- შეიძლება, - თქვა დობინმა პირქუშად, - ოღონდ ემის მაინც არ შეუძლია აქ მოსვლა. გამოიჩინეთ ვაჟკაცობა, ჯოზ, გაწყვიტეთ ეს სამარცხვინო კავშირი. დაუბრუნდით ოჯახს. შევიტყეთ, საქმეებიაბურდული გქონიათ.

- აბურდული?! - შესძახა ჯოზმა. - ვინ მოიგონა ეგ ცილისწამება? მთელი ჩემი ფული ძალიან ხელსაყრელად არის დაბანდებული. ქალბატონი კროული... ესე იგი... მე მინდოდა მეთქვა... საუკეთესო მომგებიანი საქმეში არის დაბანდებული!..

- მაშ ვალი არა გაქვთ? რატომღა დაიზღვიეთ თავი?

- მინდოდა პატარა საჩუქარი მიმეძღვია მისთვის... თუ... თუ რაიმე დამემართებოდა. ხომ იცით, ჩემი ჯამრთელობა ისე შერყეულია... უბრალო მადლიერების გრძნობაა, ხომ იცით... და მინდა მთელი ჩემი ფული თქვენ დაგიტოვოთ... დაზღვევის ფული კი ჩემი შემოსავლიდან გადავიხდი და სწორედ სემიძლია კიდეც გადავიხადო! - შესძახა უილიამის ქალაჩუნა ცოლისძმა.

დობინი ეხვეწებოდა ჯოზს, ახლავე ეშველა თავისთვის - წასულიყო ინდოეთს, სადაც ქალბატონ კროულის არ შეეძლო გაკიდება; როგორმე გაეწყვიტა ეს კავშირი, რომელსაც უთუოდ ფრიად საბედისწერო შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მისთვის.

ჯოზმა ხელი ხელს ჩასჭიდა და შესძახა, რომ ის დაბრუნდებოდა ინდოეთს; ყველაფერს მოიმოქმედებდა,

ოღონდ დრო სჭიროდა.

- ქალბატონ კროულის კი არაფერი უნდა ვუთხრათ, თორემ ის... ის ცოცხალს არ გამიშვებს, ეგ რომ შეიტყოს! თქვენ არ იციტ, რა სასინელი დედაკაცია! - თქვა საბრალომ.

- მაშ რა გიშლით ხელს, ჩემთან ერთად წამოხვიდეთ? - მიუგო პასუხად დობინმა.

მაგრამ ჯოზს მხნეობამ უმტყუნა. სიძეს უთხრა: ხვალ დილით კიდევ განახავ: არამც და არამც არსად გაამხილო, რომ ჩემთან იყავი; ახლა კი უნდა წახვიდე, ბეკი შეიძლება დაბრუნდესო. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი დობინიც გამოეთხოვა.

უილიამს მის შემდეგ აღარც უნახავს ჯოზი. სამი თვის მერე ჯოზეფ სედლი აახენში გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ მთელი მისი ქონება ან სპეკულაციებში იყო გაფლანგული, ანდა სხვადასხვა გაფუყებული ფირმების ფასდაკარგულ აქციებში იყო დაბანდებული. მთელ მის ხელმისაწვდომ ქონებას წარმოადგენდა ორი ათასი გირვანქა სტერლინგი - სიცოცხლის დაზღვევის თანხა, რაიც თანაბრად გახლდათ განაწილებული მის საყვარელ „და ემილიას, პოლკოვნიკ უილიამ დობინის მეუღლესა და მის მეგობარსა და ავადობის ჟამს დაუფასებელ მომვლელ რებეკას, აბანოს ორდენის კავალერ პოდპოლკოვნიკ როუდონ კროულის მეუღლეს, შორის“, რომელიც აგრეთვე ანდერძის აღმასრულებადაც ინიშნებოდა.

სადაზღვევო კომპანიის რწმუნებული იფიცავდა, ამისთანა ბნელი საქმე ჯერ არასოდეს შემხვედრიაო. ლაპარაკობდა აახენს კომისიის გაგზავნის თაობაზე გარდაცვალების მიზეზების გამოსარკვევად და კომპანია უარს ამბობდა პოლისის განაღდებაზე. მაგრამ ქალბატონი ანუ ლედი კროული, როგორც იგი უწოდებდა თავს, მყის გაჩნდა ქალაქში (თავისი რწმუნებული ვექილების, თევიზ-ინელი ბატონების ბერკის, თერტელისა და ჰეიზის თანხლებით), და დაემუქრა კომპანიას, აბა სცადეთ და ნუ გადამიხდითო. ისინი მოითხოვდნენ გამოკვლევას; აცხადებდნენ, რომ ქალბატონი კროული მსხვერპლი იყო სამარცხვინო შეთქმულებისა, რაიც მის დღეში თან სდევდა მას, და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც. ფული გასტუმრებულ იქნა და ქალბატონ კროულის სახელსაც მოსცილდა ლაქა, მაგრამ პოლკოვნიკმა დობინმა სადაზღვევო კომპანიას უკან დაუბრუნა მემკვიდრეობის თავისი წილი და

მტკიცე უარი განაცხადა რებეკასთან რაიმე ურთიერთობის ქონებაზე.

ბეკი ვერ გახდა ლედი კროული, თუმცა ასე კი აცნობდა ყველას თავს. მისი აღმატებულება პოლკოვნიკი როუდონ კროული ყვითელი ციებისაგან გარდაიცვალა კოვენტრის კუნძულზე, მისი ძმის, სერ პიტის, გარდაცვალებამდე ექვსი კვირით ადრე. მას ქვეშევრდომების ღრმა სიყვარული ჰქონდა დამსახურებული და გულიანადაც იქნა დატირებული. მამული და წოდება, მაშასადამე, წილად ხვდა ახლანდელ ბარონეტ სერ როუდონ კროულის.

მანაც უარი თქვა დედის ნახვაზე, ოღონდ უხვი ჯამჯგირი კი აქვს დანიშნული მისთვის, რომელსაც, ჩანს, ისედაც დიდი შეძლება მოეპოვება. ბარონეტი სულ დედოფლის კროულიში ცხოვრობს ლედი ჯეინსა და მის ასულთან ერთად ; ხოლო რებეკა, ლედი კროული, უმთავრესად ბათსა და ჩელტნემის მიდამოებში ტრიალებს, სადაც ჩინებული ადამიანების კარგა მოზრდილ ჯგუფს იგი სრულიად უმიზეზოდ შეურაცხყოფილ მანდილოსნად მიაჩნია. მას მტრები ჰყავს. ვის არ ჰყავს? მისი ცხოვრებაა მათდამი პასუხი. იგი საღვთისმოსავო საქმეებშია ჩაბმული. დადის ეკლესიაში და თანაც ყოველთვის მსახურის თანხლებით. ყველა საქველმოქმედო სიაზე ხელს აწერს. „ღატაკი მენარინჯე გოგო“, „მიტოვებული მრეცხავი დედაკაცი“, „გაჭირებული მეფუნთუშე“ ხალისიან და ხელგაშლილ მეგობარს ჰპოვებენ მასში. ამ უბედურთა სასარგებლოდ ყოველთვის ხსნის ფარდულებს საქველმოქმედო ბაზრებში. ემი, მისი შვილები და პოლკოვნიკი ცოტა ხნის წინათ ლონდონს რომ დაბრუნდნენ, ანაზდად შეეფეთნენ მას ერთ ამისთანა ბაზარში. მან მოჩვენებითი კდემით დახარა ძირს თვალები და გაიღიმა, როცა ისინი დაფრთხნენ მის დანახვაზე: ემიმ ხელი მკლავში გამოსდო ჯორჯის (ახლა უკვე წარმოსადეგ, კოხტა ყმაწვილს) და ფეხი ააჩქარა; ხოლო პოლკოვნიკმა კი ხელში აიყვანა პატარა ჯეინი, რომელიც ქვეყნიერების ზურგზე ყველასა და ყველაფერს ურჩევნია - ურჩევნია თვით „პენჯაბის ისტორიასაც“.

„ჩემ თავსაც ურჩევნია“, ამოოხვრით ფიქრობს ემი. მაგრამ უილიამს კეთილი და ალერსიანი სიტყვის გარდა არასოდეს სხვა არა უკადრებია რა ემილიასათვის; თანაც, თუკი რაიმე წადილს მიუხვდა, მყის ეცდება მის დაკმაყოფილებას.

ეჰ? Vanitas vanitatum![347] რომელი ჩვენგანია ამ წუთისოფელში ბედნიერი? რომელი ჩვენგანი ისრულებს თავის გულის წადილს? ანდა, თუ ისრულებს, განა კმაყოფილდება?.. აბა, ბავშვებო, დავხუროთ ყუთი და თოჯინებიც შევინახოთ, რადგან ჩვენი წარმოდგენა ახლა კი დასრულდა.

[1] „მშვიდობა ომსა შინა“ (ლათ) [2] მდგომარე საუკუნის.. - ე.ი XIX საუკუნის.

[3] „ტკბილი და სასახელოა სამშობლოსათვის სიკვდილი“ (ლათ., ჰორაციუსი, ოდები, III, 2, 13).

[4] ქალვატონი გრანდი - ინგლისელი დრამატურგის ტომას მორტონის (1764 – 1838) კომედიის გმირი; ვითომდა წარჩინებული საზოგადოების ზნეობის მცველის განსახიერება, რომლის დიდი რიფი ა ხათრი აქვთ და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე შიშით ახსენებენ : „რას იტყვის ქალბატონი გრანდიო?“

[5] სენ-ჟერმენის გარეუბანი - პარიზის არისტოკრატული უბანი, სადაც ბევრ წარჩინებულსა ჰქონდა სასახლე.

[6] ის მომხიბლავი მილედი (ფრანგ:) [7] მისი ცოლითურთ - ძალიან გონებამახვილი ტანმორჩილი ქალითურთ (ფრანგ:).

[8] ოჰ, ბატონო, მათ სასტიკად გამქურდეს (ფრანგ:).

[9] ბატონი პიტი - აქ უნდა იგულისხმებოდეს უილიამ პიტ უმცროსი (1759-1806) - ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პრემიერ-მინისტრაც. ამის მამის, აგრეთვე უილიამ პიტის, პატივისცემით დაარქვეს სერ პიტს ეს სახეწლი.

[10] კორიდონი და მელიბეუსი - რომაელი პოეტის ვირგილეუსის (ძვ. წ. 70-19) „ბუკოლიკების“ გმირი მწყემსები. განმასახიერებელნი იდილიური სიყვარულისა და სათნოებისა.

[11] მილორდ, თქვენ თვითონაც ხომ მაგ ორდენის რაინდი ბრძანდებით? - რებეკა აქ გულისხმობდა იმას, რომ მარკიზი ოქროს საწმისის ესპანური ორდენის კავალერი ბრძანდება და თანაც სიტყვას გადაუკრავს:თქვენც ჩემი ქმარივით გიყვარდათ და გიყვართ სხვების გაფცქვნაო; რადგან დიდძალი ქონება, როგორც რომანიდანა ჩანს, ბანქოს მომგებიანი თამაშით ჰქონია შეძენილი.

[12] „მოდების ჟურნალი“ (ფრანგ.).

[13] წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის დაბინავების შემდგომ - წმ. ელენეს კუნძულზე ნაპოლეონ ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ (1815 წ.) - გადაასახლეს, სადაც აფრიკის შემოვლით ინდოეთს მიმავალმომავალი გემების ნავთსაყუდელიც იყო.

[14] ლაჟი - ფასიანი ქაღალდების დადგენილი კურსის დანამატი ბირჟაზე კაპიტალისტური ქვეყნებში.

[15] დისკონტი - ბანკების ან კერძო პირთა მიერ თამასუქთა განაღდება გადახდის ვადის დადგომამდე. დარჩენილი დროის შესაბამისი პროცენტების გამობრით.

[16] .მუნიოსი - ფერნანდო მუნიოსი (1808 – 1873), ესპანეთის დედოფლის ქრისტინეს (1816 – 1878) მეუღლე, რომელიც სახელმწიფო მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

[17] ოლდ-ბეილი - სისხლის სამართლის დამნაშავეთა მთავარი სამსჯავრო ლონდონში; მის გვერდით მდებარეობდა აგრეთვე ნიუგეიტის სატუსაღო, რომელთანაც ხანდახან აიგივებდნენ კიდეც ამ სახელს. აქ სწორედ ასეთ გაიგივებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

[18] მინერვა - რომაელთა სიბრძნის ღვთაება, ბერძენთა ათენას შეესატყვისებოდა.

[19] ირიდი ანუ ჰეროდე - იუდეის მეფე. მის დროს, ქრისტიანული გადმოცემების თანახმად, თითქოს ულმობლად გაწყვეტის მრავალი ახალშობილი ჩვილი, რათა არ გადარჩენილიყო ქრისტე, რომელსაც მოგვები უწინასწარმეტყველებოდნენ შემდგომში დიდი გავლენის მოპოვებას. ქრისტწეს წამებასაც მის დროს მიაწერენ.

[20] საზეიმო საუზმეები (ფრანგ.).

[21] გავოტი - ერთგვარი ძველებური ფრაგული ცეკვა და მისი შეაბამისი მუსიკა.

[22] ოჰ, ღვთაებრივი ქმნილებაა! (ფრანგ.).

[23] გრაცია - სილამაზისა და მოხდენილობის ქალღმერთი რომაელებში. გრაცია სულ სამი იყო. ბერძნები მათ ქარიტებს ეძახდნენ.

[24] სიყვარულის დედოფალი (ფრანგ.).

[25] ჩოლდრონი - ნახშირის ძველებური საზომი ერთეული. შეიცავდა 36 ბუშელს. უდრის დაახლოებით 1.66 კბ.მ.

[26] ჯეკ კეჩი - ჯალათი, რომელიც XVII ს-ის ბოლოს ცხოვრობდა. მერე მისი სახელი ინგლისში ზიგად სახელად იქცა.

[27] კაუზი - ნავსადგური კუნძულ უათზე, სადაც აგვისტოში იალქნიანი ნავების დიდი შეჯიბრი იმართებოდა.

[28] მალვაზია - მაგარი,ტკბილი ღვინო, რომელსაც პირვრლად საბერძნეთში აყენებდნენ (სახელიც იქიდანაა - ადგილია მორეაში), შემდეგ კი კანარისა და აზორის კუნძულებზეც გადაიღეს.

[29] კალომელი - ვერცხლისწყლისა და ქლორის ნარევი ერთგვარი წამალი.

[30] არროურუტი - უმთავრესად უესტ-ინდოეთშინაზარდი მცენარეების ძირებისაგან მიღებული სახამებელი, რომელსაც ავადმყოფებისა და ჩვილი ბავშვების საჭმელად ხმარობენ.

[31] სიდონზი - სარა სიდონზი (1775-1831) სახელგანთქმული ინგლისელი ტრაგიკოსი მსახიობი.

[32] სილენოსი - ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, დიონისის ანუ ბახუსის მხლებელი ბებერი სატირი; ლოთი, ავხორცი და ლაზღანდარა.

[33] დისიდენტი - ერთგვარი სექტანტი, ინგლისში გაბატონებული ეკლესიისაგან განდგომილი ცალკე სარწმუნოებრივი ჯგუფის წარმომადგენელი.

[34] ოჯახური წესრიგი, ოჯახური მეურნეობა, ოჯახობა

(ფრანგ.).

[35] კაფრარია - კაფრების ქვეყანა; კაფრები მოძველებული სახელწოდებაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის იმ ტომებისა, რომელნიც ბანტუს ენაზე ლაპარაკობენ.

[36] მამონი ანუ მამონა - ძველი სირიელების სიმდიდრისა და ვერცხლმოყვარეობის სიმბოლო.

[37] დამახინჯებული ფრანგული entrèe - პირველი ულუფა პურობის დასაწყისში მისართმევი.

[38] დამახინჯებული ფრანგული soirèe - საღამოს წვეულება.

[39] მოღლილი, მაგრამ ჯერ კიდევ დაუოკებელი, უკუდგა (ლათ., იუვენალის სატირიდან - VI, 129) [40] ბანგელო (ეს უფრო სწორია, ვიდრე ბელგალო) - ხის მსუბუქი, უმთავრესად რეთსართულიანი, აივნიანი სახლი ინდოეთსა და სხვა ცხელ ქვეყნებში.

[41] „მდინარეტა შესართავი“ და „მენესრელი ბიჭი“ - ცნობილი ინგლისელი პოეტის ტომის მურის (1779-1852) ლექსები ციკლიდან - „ირლანდიური მელოდიები“.

[42] სალმი - ნადირის შემწვარი ხორციცაგან შემზადებული ყაურმა.

[43] მსუბუქი თეთრი ღვინო (ფრანგ.).

[44] კატეხიზმო - ქრისტიანული სარწმუნოების ძირითადიმცნეების მოკლედ ჩამოყალიბებული გადმოცემა, რომელიც კითხვა-პასუხის სახით იყო წარმოდგენილი.

[45] „სინდისის ფული“ უფრო ხშირად ვინაობის გამოუცხადებლად ეგზავნებოდა ინგლისის ფინანსთა მინისტრს იმ პირთაგან, რომელნიც წინათრაიმე მიზეზით თავს არიდებდნენ ვალის ან გადასახადის გადახდას.

[46] უფალო მწყალობელო, მოწყალეო უფალო, ღმერთო ჩემო! (ფრანგ.).

[47] არქიდიაკონი - გარდა ჩვეულებრივ არქიდიაკონის მნიშვნელობისა, ინგლისურ ეკლესიაში ეს სახელი ეწოდებოდა აგრეთვე იმ მაღალი სასულიერო თანამდებობის პირს, რომელსაც ევალებოდა მთელი საეპისკოპოსოს ან მისი

ნაწილის ხელმძღვანელობა და ეპისკოპოსის შემდეგ პირველ კაცადითვლებოდა. აქ სწორე ასეთ არქიდიაკონზე უნდა იყოს ლაპარაკი.

[48] სტოუნი - წონის ინგლისური საზომი ერთეული, 14 გირვანქა, ე.ი. დაახლოებით 6.33 კგ.

[49] ლურჯი წიგნები - ინგლისის პარლამენტის ოფიციალური დოკუმენტების ლურჯყდიანი კრებულები, რომლებიც XVII ს.-ის ბოლოდან გამოდიოდა.

[50] პარლამენტის სპიკერი - თემთა პალატის თავმჯდომარე ინგლისში.

[51] მოკლე შარვალი (ფრანგ.).

[52] დალილა - ბიბლიური გადმოცემით (მსაჯულითა წიგნი, ტ. 13 16), ებრაელთა ბუმბერაზის სამსონის სატრფო, რომელმაც იგი ღალატით ჩაუგდო ხელთ ფალისტიმელებს.

[53] ევტრპიუსი - რომაელი ისტორიკასი (ახ. წ. IV ს.), ავტორი „რომის მოკლე ისტორიისა“, რომელსაც ინგლისის სკოლებში ასწავლიდნენ.

[54] ლომბარდ-სტრიტელები - ლომბარდ-სტრიტზე, ლონდონში, უმთავრესად დიდი ბანკები მდებარეობდა.

[55] ლონდონის ტაუერი - თვით „ტაუერი“ კოშკს ან კოშკებიან ციხე-სიმაგარეს ნიშნაბს . ძველად იგი მართლაც სამეფო ციხე-დარბაზს წარმოადგენდა, მაგრამ შემდგომში სახელმწიფო სატუსათოდ აქციეს და 1820 წლამდე სიკვდილით დასჯაც აქვე აღსრულდებოდა ხოლმე. ახლა მუზეუმია. ტემზის მარცხენა მხარეს მდებარეობს.

[56] სარეის მეძებრები - სარეის ანი სარის, ლომდონის სამზრეთი მდებარე ერთ-ერთო საგრაფოს, საჯინეებში გამოყვანილი მეძებრები, რომელთაც მელასე და ირემზე სანადიროდ იყენებდნენ.

[57] „მშობლის დამხმარე“ - ინგლისელი მწერალი წარის მარია ეჯუორთის (1767-1849) საბავშვო მოთხრობების წიგნი, რომელიც ძალიან პოპულარული.

[58] უფლისწული და პერდიტა - უფლისწულში აქ უელსის პრინცი.შემდგომში გეორ IV, იგულისხმებოდა, ხოლო პერდიტა

მისი სატრფო მერი რობინზონია (1758-1800), რომელსაცეს სახელი შექსპირის დრამის „ზამთრის ზღაპრის“ გმირის მიხედვით შეერქვა, რადგან ამ როლს ასრულებდა ხოლმე თეატრშჯ როგორც მსახიობი.

[59] მარიან კლარკი - ზემოხსენებული უელსის პრინცის ძმის, იორკის დუკას სატრფო.

[60] პატარა ბინები, მცირე ბინები (ფრანგ.).

[61] სალუსტიუსი - გაიუს სალუსტიუს (ძვ. წ. 86-35), რომაელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

[62] პომპეუმი - ძველული რომაული ქალაქი ახლანდელი ნეაპოლის ახლოს იტალიაში; ვეზუვის ამოხეთქვის დროს განადგურდა ახ. წ. 79 წ.. არქეოლოგიური გამოთხრების შემდეგ ბევრი საინტერესო ნაგებობა გამომზეურდა იქ.

[63] კოზუეი- რიჩარდ კოზუეი (1740-1821), უელის პრინცის კარის მხარვარი-პორტრეტისტი.

[64] თანასწორება ორლეანელი - დუკა ფილიპე ორელეანელი (1747-1793), რომელსაც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციია დროს თავი მოკვეთეს საზელმწიფო ღალატშჯ ბრალის დადებისათვის.

[65] რიჩარდ II - ინგლისის მეფე (1366-1400), მეფობდა 1377-1399 წ.წ.

[66] დრუიდი- კელტების ქურუმი ძველ გალიასა და ბრიტანეთში.

[67] მეფე ბრუტი - ინგლისის კუნძულის ზღაპრული მეფე, თითქოს რტოელი ენეასის შვილიშვილი, რომლის მიხედვითაც შეერქვა ვითომ ამ კუნძულებს ეს სახელი.

[68] პენდრაგონი - მთავარი ბელადს, ბელადთა დელადტს ნიშნავდა ძველ ბრიტანელებში.

[69] ელისაბედი - ინგლისის დედოფალი ელსაბედ I (1533-1603), ჰენრი VIII-ის ასული. მეფობდა 1558-1603 წლებში.

[70] შოტლანდიის დედოფალი - მარია სტიუერტი (1542-1587), დედის მხრით ფრანგ გიზებს ენათესავებოდა. შოტლანდიის ტახტზე ჯდო მსას და შემდეგშიაც ინგლისის ტახტს

ეპოტინებოდა. ელისაბედ I-მა შეიპყრო და მერე სიკვდილითაც დაასჯევინა მისი ტრაგიკული ბედი მრავალი რომანისა და ტრაგედიის საგანი გახდა.

[71] გიზები - ფრანგი მთავრების სახლი, კათოლიკების მოთავენი ჰუგენოტებთან ბრძოლების ხანაში.

[72] დიდი დუკა - ანრი I გიზი (1550 – 1588), ლოტარინგიის მთავარი, ამ სახლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი წევრი, რომელმაც დიდი მონაწილეობა მიიღო ბართლომეს ღამის (1572 წ. 24 აგვისტოს) ხოცვა-ჟლეტაში, როცა კათოლიკებმა უწყალოდ გაანადგურეს პარიზში შემოტყუებული ჰუგენოტები.

[73] დიდი არმადა - ესპანეთის ვეება საზღვაო ფლოტი, რომელიც ფილიპე II - ემ აღკაზმა 1588 წ. ელისაბედ I -ის ინგლისის წინააღმდეგ სალაშქროდ, მაგრამ ჯერ ქარიშხალმა აქეთ-იქით მიმოფანტა იგი, ხოლო შემდეგ ინგლისის ფლოტმა საბოლოოდ დაამარცხა და მოსპო აქედან ოწყება ინგლისის საზღვაო ძლიერების აღზევება, ესპანეთისა კი - დაქვეითება.

[74] იაკობ I ანუ ჯეიმზი I (1566-1625) - ინგლისის მეფე, მარია სტიუარტის, შოტლანდიის დედოფლის, ძე.

[75] კარლოს I ანუ ჩარლზ I (1600-1649) - იაკობ I-ის ძე, ინგლისის მეფე, რომელიც ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს პურიტანებმა სიკვდილით დასაჯეს. კათოლიკებს ემხრობოდა.

[76] ფილიპე - ფილიპე II (1527-1598) ესპანეთის მეფე, კათოლიკური სარწმუნოების თავგამოდებული ქომაგი, მეუღლე ინგლისელ დედოფალ მარია ტიუდორისა (1516-1558 წლებში) რომელსაც პროტესტანტების სასტიკი დევნისათვის „სისხლიანი“ შეარქვეს.

[77] კიბერონის საქმე - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, 1795 წ, ფრანგი ემიგრანტების რაზმი ინგლისელების შემწეობით კიბერონის ნახევარკუნძულზე გადაჯდა ბრეტანში, მაგრამ რესპუბლიკის ჯარებმა დაამარცხეს.

[78] წითელი წიგნი - ინგლისის თავად-აზნაურთა ნუსხის შემცველი წიგნი.

[79] დამოკლე - სირაკუზის (სიცილიაში) მეფის დიონისიოსის

(ძვ. წ. IVს.) მეშურნე დიდებული, რომელსაც მეფემ დროებით თავის ადგილი დაუთმო, ოღონდ მის თავზე ძუითშიშველი მახვილი დაკიდა. დამოკლეს მახვილი ამიტომ მუდმივი მომაკვდინებელი საფრთხის სიმბოლოდ ითვლება.

[80] უფლისწული ჰელი - ანუ ჰარი, კნინობითი სახელი უფლისწული ჰენრის, შემდგომში ინგლისის მრფე ჰენრი IV - ისა (1387-1422). მამამისი ჰენრი IV იყო ჯონ გონტის, ლენკესტერის მთავრის, დე. მამის გვირგვინის გასინჯვის სცენა შექსპირსა აქვს გადმოცემული (ჰენრი IV, ნაწ.II, მოქ. IV, სურათი IV).

[81] ოქსფორდს სენტ-აშელთან აკამათებდა - ე. ი. ოქსფორდის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებულს აკამათებდა საფრანგგეთის სენტ-აშელის (სენტ-აშელი სოფელი ყოფილა, სადაც ბურბონების რესტავრაციის დროს კათოლიკური სკოლა იქნა დაარსებული) სკოლაში სწავლამიღებულ პირთთან.

[82] ჰიუ ლეტიმერი (დაახლ. 1485-1555) - ინგლისური რეფორმაციის გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელიც კოცონზე დაწვეს მარიამ ტიუდორის დროს.

[83] ეგნატე ლოიოლა (1491-1556) - ესპანეთის კატოლიკური ეკლესიის ფანატიკოსი მოღვაწე, იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი.

[84] „მოგზაურები“ - არისტოკრატიული კლუბი ლონდონში, რომელიც XIX ს.-ის 20-იან წლებში დაარსდა.

[85] ბატის ღვიძლის ღვეზელი (ფრანგ.).

[86] ჩვენ ორჯერ დავფიქრდებით, კარგად დავფიქრდებით (ფრანგ.).

[87] სილერი - თეთრი შამპანიური ღვინო, რომელსაც სახელი რაიმსის ახცლოს მდებარე სოფლის მიხედვით ეწოდება.

[88] საგრაფოს ლორდ-ლეიტენანტი - სამოსამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების მესვეური ინგლისის საგრაფოში.

[89] საპუდრე ოთახი - პატარა ოთახი (უფრო საწოლის ახლოს) ინგლისელ წარჩინებულთა ოჯახებში, სადაც სადაც პუდრს

იყრიდნენ პარიკებზე XVIII ს-ში. თეკერეი ირონიით აჯილდოვებს მარკიზ სტაინს ამ ოთახის ლორდის ანუ გამგებლის თანამდებობით.

[90] მარია-ანტუანეტა (1755-1793) - ავსტრიის იმპერატორ ფრანც I-ის (1708-1765) ასული, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის (დოფინის), შემდგომში ლუი XVI-ის, მეუღლე, რომელსაც თავი მოკვეთეს 1793 წ., რევოლუციის დროს.

[91] სენტ-ჯეიმზის ანუ წ.. იაკობის ტაძარი პიკადილიზე მდებარეობდა ლომდონში და ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ არისტოკრატიულ ეკლესიად ითვლება.

[92] ბრაუნშვაიგის ვარსკლავი - ე.ი. ინგლისის მაშინდელი მეფე გეორგ IV, რომელიც ბრაუნშვაიგის ჰერცოგთა შთამომავალი იყო.

[93] საკარო სამოსი; მეფის კარს წარსადგომი მორთულობა (ფრანგ.).

[94] კინთია (და არა ცინთია) - დიანას(ბერძენთა არტემიდის) ერთ-ერთი სახელი. დიანა მთვარის ღვთაებადაც ითვლებოდა. ეს სახელი მომდინარეობს კინთოსიდან(მთაა კუნძულ დელოსზე), სადაც ეს ქალღმერთი დაიბადათავის ძმა აპოლომთან ერთად.

[95] ფებოსი - ე.ი. ბრწყინვალე, აპოლონის ერთ-ერთი სახელი, როგორც მზის შუქის ღვთაება.

[96] მომხიბლავი (ფრანგ.).

[97] „ზილფის მოტაცება“ - ცნობილი ინგლისელი პოეტის ალექსანდერ პოუპის (1688-1744) ჰეროიკულ-კომიკური პოემა. ბელინდა ამ პოემის გმირი ქალია, რომელსაც გულზე „ელვარე ჯვარი“ ეკიდა.

[98] მენტენონი - მარკიზა ფრანცუაზა დ’ობინე (1635-1719) - საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის ჯერ საყვარელი და მერე მეუღლე.

[99] პომპადური - მარკიზა (1721-1764), ლუი XV-ის საყვარელი, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზე.

[100] ჰაიდ-პარკის სასეირნო წრე - პირველად (XVII ს.-ში) სარბენ ბილიკს წარმოადგენდა, ხოლო XVIII ს.-ში მის ახლოს

წარჩინებული დუელებს მართავდნენ.

[101] მალინური მაქმანი - მალინი ბელგიის ქალაქია, რომელიც განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო მაქმანით და სხვადასხვა ქსოვილებით.

[102] მიამიტი, გულუბრტყვილო (ფრანგ.).

[103] მანდილები, ხილაბანდები (გრანგ.).

[104] რეგანი და გონერილი - შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“გმირები, ლირის უმადური და გულქვა ქალიშვილები.

[105] უფრთხილდით ქალებს! (ფრანგ.).

[106] ნიუგეიტი - ლონდონის უძველესი სატუსაღო, რომელიც მხოლოდ XX ს.-ის ს დასაწყისში იქნა დანგრეილი.

[107] ბედლამი - გიჟების ძველი საავადმყოფო ლონდონში, რომელიც XVI საუკუნეში საავადმყოფოდ, მანამდე კი მარიამ ბეთლემელის სახელობის მონასტერი იყო და სახელი „ბედლამი? იქიდან წარმოდგება.

[108] ვან-დეიკი ანტონის (1599-1641) - სახელოვანი ფლამანდელი მხატვარი, რომელიც დიდხანს მუშაობდა იტალიასა და ინგლისში.

[109] რეინოლდზი ჯოშუა (1723-1792) - ცნობილი ინგლისელი მხატვარი.

[110] კანოვა ანტონიო (1757-1822) ცნობილი ინგლისელი მოქანდაკე.

[111] ბრუტუსისებურ პარიკიანი... - შუბლიდან უკან გადავარცხნილი ერთგვარი პარიკი, რომელსაც საფრანგეთის რევოლუციის დროს ატარებდნენ ვითომდა ძველი რომაელების მიბაძვით.

[112] გრეიზ-ინი - ლონდონის ერთ-ერთი უძველესი სამოსამართლო კოლეგია.

[113] ჩემი ელენე- ელენეს,სპარტის მეფის მენელაოსის მშვენიერ მეუღლეს, რომლის გატაცების გამოც ატყდა ომი, აქ გადატანით უწოდებს რებეკას.

[114] წითელმუნდირიანები - ინგლისის რეგულარულ ჯარს

წითელი მუნდირი ეცვა.

[115] მარლო-უმცროსი და ჰარდკასლი - ინგლისელი მწერლის ოლივერ გოლდსმითის (1728-1774) კომედიის - „იგი თავს იმდაბლებს, რათა გაიმარჯვოს“ - გმირები. მარლო-უმცროსი, მაღალი საზოგადოების ქალიშვილებში მორცხვი და მოკრძალული, პირისფარეშებსა დამოახლეებში ფრიად თამამი და გაბედულია; ამიტომ მის ჰარდკასლი მოახლედ გადაიცვამს, რომ ასე დაიმორჩილოს მისი გული.

[116] პატარა ქალბატონი (ფრანგ.).

[117] სამოელის ამბავი - ეს ამბავი „ბიბლიის“ მეფეთა I წიგნშია მოთხრობილი (თავები 1-2) „ბიბლიის“ ქართული ვერსიის მეფეთა I და II წიგნებს ზოგ სხვა ენაზე სულაც სამოელის წიგნები ეწოდება.

[118] ლედი ჯეინ გრეი (1537-1554)- ინგილისის დედოფალი მცირე ხანს; როგორც მოქიშპე, სიკვდილით დაასჯევინა მარია ტიუდორმა.

[119] სემელე - ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ზევსის სატრფო, კადმოსის ასული, დიონისის დედა, რომელსაც ჰერამ, ზევსის მეუღლემ, შჯურით ჩააგონა, ზევსს მოსთხოვე, თავისი დიდებული სახით გამოგეცხადოსო; ზევსმა შეუსრულა თხოვნა, მაგრამ ქალმა მის ღვთაებრივ ელვარებას ვერ გაუძლო და დაიღუპა.

[120] ტაიბერნელები - ტაიბერნი ლონდონის უბანია ჰაიდ - პარკის ჩრდილოეთით.

[121] ბელგრეივიელები - ბელგრეივიაც უბანია ჰაიდ - პარკის სამხრეთით, არისტოკრატულ უესტ -ენდის ემხრობა.

[122] ტადმორი - ძველი ქალაქი ჩრდილო სირიის უდაბნოს ოაზიშში, უფრო ცნობილია პალმირის სახელწოდებით. ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, ახლა მხოლოდ ნანგრევებიღაა გადარჩენილი.

[123] მე, რომელიც გელაპარაკებით (ფრანგ.).

[124] ქარიშხალგამოვლილი მესაჭე - იგულისხმება უილიამ პიტ-უმცროსი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი.

[125] დანდესი ჯეიმზ (1742-1811), ჰენრი ედინგტონი (1757-1844),

ჯონ სკოტი (1751-1838), უილბერფორსი - ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწენი, პიტ-უმცროსის მეგობრები და თანამოსაგრენი.

[126] ლედი ჰესტერ სტენჰოპი (1776-1839) - უილიამ პიტ-იმცროსი მას ბიძად ეკუთვნოდა და ძალიან დაახლოვებულიც ყოფილა მასთან. ბიძის გარდაცვალების შემდეგ იმოგზაურა აღმოსავლეთში და ბოლოს სულაც იქ დარჩა. დაწერილი ჰქონია საინტერესო მემუარები.

[127] ვიწრო წრეში, პატარა წრეში, მცირე შეკრებილებაში (ფრანგ.).

[128] უქრისტიანესი მეფე - იგულისხმება, საფრანგეთის მეფე, რადგან XV ს.-ში პაპმა მიანიჭა ეს ტიტული საფრანგეთის მეფეებს.

[129] ჩინებულ განწყობილებაში, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა, ისეთ განწყობილებაში (ფრანგ.).

[130] ოლმეკი - აქ უნდა იგულისხმებოდეს ე.წ. ოლმეკის დარბაზები ლონდონში, სადაც იმართებოდა წარჩინებულთათვის წვეულებანი, კონცერტები და ლექციები. ამ დაწესებულებას ხელძღვანელობდა მაღალი საზოგადოების მანდილოსანთა კომიტეტი.

[131] დებრეტისა და ბერკის ცნობარები - ინგლისის თავად-აზნაურობის გენეალოგიური ლექსიკონ-ცნობარები.

[132] ფრანკ-მასონები - თავისუფალი მასონები („მასონი“ კალატოზს ნიშნავს), რელიგიურ-ფილოსოფიური სექტა, რომელიც ინგლისში გაჩნდა XVIII ს.-ში და შემდეგ სხვა ქვეყნებშიაც გავრეცლდა. ამ საზოგადოებას საიდუმლო უჯრედები, ე.წ. ლოჟები, მოეპოვებოდა.

[133] უსიამოვნებანი, საწყენი რამ (ფრანგ.).

[134] მხედარი, მხედნელი, ცხენების მწვრთნელი ცირკში (ფრანგ.).

[135] შეკრებილებანი (ფრანგ.).

[136] გულუბრყვილო, მიამიტი (ფრანგ.).

[137] ლაფიტი ანუ შატო-ლაფიტი, მამულის სახელია

საფრანგეთში, სადაც ამავე სახელწოდების წითელ ღვინოს აყენებენ.

[138] კაბის ნაოჭიანი სახელოები (ფრანგ.).

[139] კატონი - ცნობილი ინგლისელი მწერლის ჯოზეფ ადისონის (1672-1719) ამავე სახელწოდების ტრაგედიის გმირი; რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც რესპუბლიკურ წესწყობილებას იცავდა იულიუს კეისრის მონარქისტული მიდრეკილებების საწინააღმდეგოდ.

[140] უელსის პრინცი, ოსნაბრუკის ეპისკოპოსი და პრინცი უილიამ-ჰენრი - სამივენი ინგლისის მეფის გეორგ III-ის ვაჟიშვილები იყვნენ. ოსნაბრუკის ეპისკოპოსის კათედრა მეფის მეორე ძეს, იორკის მთავარს ეპყრა. უელსის პრინცი - შემდგომში გეორგ IV.

[141] თაბახის 1/4 ზომის (ლათ.).

[142] ბრიან დე ბუა გილბერი - უოლტერ სკოტის „აივენჰოს“ ერთ-ერთი მთავარი გმირი - ქედფიცხელი და ამაყი რაინდი, რომელმაც ჯვაროსანთა ლაშქრობის შემდგომ შავი მონა მხლებელი ჩამოიყვანა თან ინგლისში.

[143] ნარგილე - აღმოსავლური ერთგავრი დიდრონი ჩიბუხი, როლმლის გრძელი მილი წყლის ჭურჭელშია გატარებული.

[144] იათაგანი - მოხრილი თურქული ხანჯალი.

[145] არასკინო - ერთგვარი ლიქიორი; ალუბსლისადან ხდიან დალმაციაში (იუგოსლავია).

[146] ოდალისკი - მხევალი, პირისფარეში ჰარამხანაში და საერთოდ ჰარამხანაში გამომწყდეული ტყვე ქალი.

[147] ფირმანი - სულთანის ან შაჰის წერილობითი ბრძანება.

[148] ილიონი ანუ ტროა - ძველი ქალაქი მცირე აზიის ჩრდილ-დასავლეთ ნაწილში, პელესპონთან, სადაც მოხდა ცნობილი ტროის ომი.

[149] იფიგენია - ბერძენთა მთავარსარდლის აგამემნონის ასული, რომელიც მსხვერპლად შესწირეს ტროის ომის წინ.

[150] კასანდრა - ტროის მეფის პრიამოსის ასული; აგამემნონის

ტყვე, რომელიც ტროის ომის შემდეგ იგდო ხელთ და თან წამოიყვანა საბერძნეთში აგამემნონმა.

[151] ხელმწიფე ვაჟკაცთა - იგულისხმება აგამემნონი, რომელსაც სწორედ ასე იხსენიებს ხშირად ჰომეროსი.

[152] ხელმწიფე ვაჟკაცთა, მეფე კაცთა (ბერძნ.).

[153] არგოსი - არგოლიდის, ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი კუთხის (პელოპონესში), დედაქალაქი. აგამემნონის საბრძანებელი.

[154] ეგისთოსი - აგამემნონის ბიძაშვილი, რომელმაც მისი მეუღლე კლიტემნესტრა აცდუნა, შემდეგ კი ტროის ომიდან დაბრუნებული აგამამნონიც მუხანათურად გამოასალმა სიცოცხლეს.

[155] აგამემნონი - პირველი შარადის ახსნა. პირველი ნაწილია „aga“ ანუ „აღა“ – „ბატონი“ და „Memnon“ ანუ “მემნონი“ - ძველი გადმოცემების თანახმად, ეთიოპიის მეფე, ტროელთა მოკავშირე; მას მიაწერდნენ ეგვიპტის ერთ-ერთ მეფის ვეება ქანდაკებას, რომელიც მზის ამოსვლისას ერთგვარ მელოდიურ ხმას გამოსცემდა.

[156] კრიბიჯი - ბანქოს ერთგვარი ძველებური თამაშია.

[157] იძინეთ, იძინეთ, ძვირფასო ამურებო! (ფრანგ.).

[158] „იოანე პარიზელი“ - ფრანგი კომპოზიტორის ბუალდიეს (1775-1834) ოპერა.

[159] ოჰ, რა სასიამოვნოა მოგზაურობა! (ფრანგ.).

[160] კალიპსო - ნიმფა, რომელსაც თქმულების მიხედვით, კუნძულ ოგიგიაზე შვიდ წელიწადს ჰყავდა ტყვედ ტროის ომიდან შინ მიმავალი ოდისევსი ანუ ულიქსი (ასე მას რომაელები უწოდებდნენ).

[161] ბულბული (ფრანგ.).

[162] მომხიბლავი, მომაჯადოებელი (ფრანგ.).

[163] ბულბული - მეორე შარადის ახსნაა, ინგლისურად - nightingale: 1) nigh - ღამე; 2) inn - სასტუმრო, ფუნდუკი; 3) gale - ქარიშხალი.

[164] ვესტრი მარი ოგიუსტ - მაშინდელი სახელგანთქმული მოცეკვავე. ფრანგები „ცეკვის ღმერთს“ ეძახდნენ თურმე.

[165] ტალიონი მარია - ასევე სახელოვანი მოცეკვავე ქალი.

[166] გასრისა, გაჭყლიტა, გაანადგურა (ფრანგ.).

[167] კლეოპატრა - ეგვიპტის დედოფალი (ძვ. წ. 69 – 30), იშვიათი სილამაზის ქალი, რომელიც მარკუს ანტონიუსის ცოლი გახდა და მისი დამარცხების შემდეგ თავიც მოიკლა.

[168] ჰარი VIII - ინგლისის მეფე ჰენრი VIII (1491-1547).

[169] ცისტერციელები - სამონაზვნო ორდენი, რომელიც ბენედიქტელ მონაზონთა შტოს შეადგენდა. მომდინარეობს ცისტერციუმის ტყის სახელიდან, რომელიც საფრანგეთში, ქალაქ დიჟონის ახლოს მდებარეობს და სადაც დაარსდა მათი პირველი მონასტერი.

[170] ფაგი - უმცროსი მოსწავლე ინგლისის სკოლაში, რომელიც უფროსი კლასის რომელიმე მოსწავლეს ემსახურება.თავის მხრივ უფროსი მოსწავლე ვალდებული იყო გამოქომაგებოდა უმცროსს, დახმარებოდა სწავლაში, ჩაება სპორტულ თმაშობებში და სხვ. პატარა როუდონი ასეთი ფაგი გახდა ბლეკბოლის მიმართ.

[171] ასტლის ცირკი - XVIII ს.-ის ბოლოს დააარსა ვინმე ფილიპ ასტლიმ. აქ იმართებოდა მელოდრამატული წარმოდგენები და ლონდონის მოქალაქეთა საყვარელი გასართობი ყოფილა.

[172] თავაზიანობა, დაუზარებლობა, ხალისიანობა (ფრანგ.).

[173] სასურველი, საყვარელი, ტურფა მეუღლე (ლათ. - ჰორადიუსი, ოდები, II, 14, 21-22).

[174] მუდამ; განუწყვეტლივ (ფრანგ.).

[175] ჩემო საბრალო, ძვირფასო პატარავ (ფრანჰ.).

[176] ძალიან უგვანი შესახედაობა, გარეგნობა (ფრანგ.).

[177] ჯინის სუნი ასდიოდა (დრანგ.).

[178] ურჩხულმა (ფრანგ.).

[179] თავქუდმოგლეჯით; რაც კი შეიძლება მთელი სიჩქარით

(ფრანგ.).

[180] სამწუხარო ვიზიტი ჩემს ბიძასთან (ფრანგ.).

[181] ამძვირფას ბიძას (ფრანგ.).

[182] ჩემი საწყალი ტუსაღი (ფრანგ.).

[183] ღმერთო ჩემო, ქალბატონო (ფრანგ.).

[184] „უაით-ფრაიერზ“ - ე.ი. „თეთრი ძმები“, შუა საუკუნეების სამონაზვნო ორდენი კარმელიტებისა. თეთრ წამოსასხამებს ატარებდნენ და მათი სახელიც აქედან წარმოდგება.

[185] „ბელის ცხოვრება“ ანუ „ბელის ლონდონის ცხოვრება“, მაშინდელი პოპულარული სპორტული ჟურნალი, რომელმაც ვინმე ბელი სცემდა.

[186] ფრანგული წესით (წასვლა) - მასპინძელთან გამოუსალმებლად წასვლა, გაპარვა.

[187] სასტიკად გაძარცვეს, გაფცქვნეს (ფრანგ.).

[188] კრიბი ტომ. (1781-1848) - მაშინდელი პოპულარული ინგლისელი მოკრივე.

[189] მუდმივი, ხშირი სტუმრები (ფრანგ.).

[190] კუნძული კოვენტრი - ეს თეკერეის მოგონილია, ისეთი კუნძული არ მოიპოვებოდა. ინგლისის ქალაქ კოვენტრისთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ გამოთქმა „ to send ro Coventry“ (ე. ი. “კოვენტრის გაგზავნა“), რაც საზოგადოებიდან ვინმეს გაძევებას, საზოგადოებიდან მოწყვეტას ნიშნავს.

[191] სეფექალი (ფრანგ.).

[192] ნერონი - რომის იმპერატორი ახ.წ. 54-68 წლებში, განთქმული თავისი გარყვნილებით, თავაშვებულობითა და სისასტიკით.

[193] საღერბო ხარები... - გვარი „ბულოკი“ სწორედ ხარს ნიშნავს და ღერბშიაც ხარები ჰქონის მის პატრონს ჩახატული.

[194] სამოელი - იხ. შენ. გვ. 211 ამ ადგილას ზოგ გამოცემაში სამოელის მაგივრად ელი წერია.

[195] სოვერენი - ერთი გირვანქა სტერლინგის ღირებულების

ინგლისური ოქროს მონეტა.

[196] სასწავლო პროგრამა, მეცადინეობის გეგმა (ლათ.).

[197] გაბაასებანი (იტალ.).

[198] ათინა (ბერძ.).

[199] უკეთესი, ყველაზე კარგი, საუკეთესო (ბერძ.).

[200] უკეთესი, ყველაზე კარგი, საუკეთესო (ლათ.).

[201] ძალიან კარგი (ფრანგ.).

[202] მხლებელი, ფარეში (ფრანგ.).

[203] „ეოთენ“ - ამ თავის სათაურს სხვადასხვანაირად თარგმნიან, მაგ., ერთი რუსი მთარგმნელი (В. И. Штейн) თარგმნის - „На море“. ფრანგულ თარგმნაშია - „Des rivages du Levant”. აქ საერთოდ აღმოსავლეთს უნდა გულისხმობდეს ავტორი. ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „განთიადის“, „მზის ამოსვლისას“; თეკერეის მეგობრის ალექსანდერ უილიამ კინგლეიკის წიგნის სათაურია (გამოვიდა 1844). შიგ მისი აღმოსავლეთში - თურქეთსა, პალესტინასა და ეგვიპტეში - მოგზაურობაა აღწერილი. მოგზაურობის დროს ლედი ჰესტერ სტენჰოპიც უნახავს და მის ამბავსაც გადმოსცემს.

[204] ლაზარე - სახარების სნეული გლახაკი ლაზარე, რომელიც აქ ზოგადად მოთხრობის მნიშვნელობითაა ნახმარი (ლუკა 16,20; იონე 11,1-2 და სხვ.).

[205] ბეკგემონი - ჩვენებური ნარდის მსგავსი სათამაშოა.

[206] ლატიუდი (1725-1805) - ფრანგი ავანტიურისტი, ბასტილიაში იჯდა დიდხანს.

[207] ბარონი ფრიდრიხ ტრენკი (1726-1794) - პრუსიელი ავანტურისტი. მსახურობდა პრუსიის, რუსეთის, ავსტრიის ჯორებში. ფრიდრიხ II პრუსიელმა დააპატიმრებინა დამაც დიდი ხანი დაჰყო სატუსაღოში.

[208] ტანტრაბეჩი - „კბილთ საჩიჩქნელი“(საბა).

[209] ბონდ-სტრიტი - ლონდონის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა უესტ-ენდში.

[210] ბლიუხერები და უელინგტონები ...- გერმანელი სარდლოს ბლიუხერიასა და ინგლისელი დუკა უელინგტონის საპატივცემედ ასე იყო მონათლული ერთგვარი ჩექმები, რომელთა ტარებაც მათ უყვარდათ.

[211] მის პოლი - ზოგ გამოცემაში ამ ადგილას მის მერი წერია და საერთოდაც თეკერეი ხან პოლის უწოდებს ამ ქალიშვილსმ ხან მერის. ჩვენც არ შეგვიცვლია - სადაც როგორა აქვს, ისე გადმოგვაქვს.

[212] Les grandes eaux (de Versailles) – (ვერსალის) შადრევნები (ფრანგ.).

[213] დაქტორი ჯონსონი - ცნობილი ინგლისელი მწერალი სემუელ ჯონსონი.

[214] ურიცხვი, უამრავი ტანჯვა მიაყენა აქაველებს (ბერძნ.; ჰომეროსი, ილიადა, 1, 2) [215] ტარტანი - უჯრედოვანი ჭრელი ქსოვილი, რომელსაც ყმთავრესად შოტლანდიელი მთიელები ხმარობენ წამოსასხამებად და კაბებად (შოტლანდიელი კაცებიც ერთგვარ კაბებს ატარებდნენ).

[216] კარის ფხვნილი - კარის, ხორციანი ინდური საჭმელის შესანებელი, რთული შედგენილობის ცხარე საკმაზავი.

[217] სპარსული ანუ აღმოსავლური ფუფუნების საგნები, მოწყობილობა (ლათ.).

[218] მირანდა, კალიბანი - შექსპირის „ქარიშხალის“ მოქმედი პირები.

[219] მდგმურები, მობინადრენი (ფრანგ.).

[220] ინდოეთის მთელი სამივე ოლქიდან... - ოსტ-ინდოეთის კომპანიის მმართველობის დროს ინდოეთი სამ ე.წ. საპრეზიდენტოდ ანუ ოლქად იყოფოდა: მადრასის, ბომბეის და ბენგალის ოლქებად.

[221] მოირა-პლესი... ესეი-ტერასი - აქ ჩამოთვლილი მოედნებისა და ქუჩების უმრავლესობის სახელი თეკერეის მოგონილია და უმთავრესად ინდოეთის ზოფილი გენერალ-გუბერნატორების სახელების მიხედვით აქვს მონათლული.

[222] შავი ჯურღმული - 1756 წ. ინდოეთის ოჯანყების დროს ამბოხებულებმა კალკუტა რომ დაიკავეს, ფორტ უილიამის

დილეგში 146 ინგლისელი დაუტასაღეს, რომელთაგან ერთ ღამეში სიცხისა და სივიწროვისაგან 123 დაიხოცა. ამ სატუსაღოს შეერქვა კალკუტის შავი ჯურღმული და შემდეგ საერთოდ ვიწრო საპატიმროს ზოგად სახელადაც იქცა.

[223] სახლის, ოჯახის მეგობარი (ფრანგ.).

[224] სახელი რომ შევცვალოთ, თუ სახელს შევცვლით (ლათ.).

[225] სასტუმრო ოთახის სართულიდან საწოლი ოთახების სართულში...- მდიდარ ინგლისელთა სახლებში სასტუმრო და სასადილო ოთახებში ქვედა სართულშია, ხოლო საწოლები უფრო ზედა, მეორე სართულშია მოთავსებული.

[226] იუდა, სიმეონი, ბენიამინი - ბიბლიური პატრიარქის იაკობის შვილები. ნაბოლარა ბენიამინი ყველაზე უფრო უყვარდა მას და ამაზეა გადაკრული სიტყვა.

[227] ხერი - „სასანთლეთ რტოები“ (საბა) მრავალტოტიანი შანდალი, კანდელაბრი.

[228] პანტექნიკონი - ავეჯის შესაბამისი საწყობი იგულისხმება აქ.

[229] რას იზამთ, რა გაეწყობა? (ფრანგ.).

[230] ქალბატონი მერი სომერვილი (1780-1872) - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცნობილი პოპულარიზატორი ინგლისელი მწერალი.

[231] ექსეტერ-ჰოლი - ექსეტერის ბირჟის ახლოს მდებარე ვეება დარბაზი (ხუთი ათასამდე კაცს იტევდა), სადაც უმრავლესად რელიგიური შეკრებლებანი იმართებოდა.

[232] „ედინბურგის მიმოხილვა: - მაშინდელი ცნობილი ინგლისური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

[233] ბატონი პილი - იგულისმება რობერტ პილი (1788-1850). ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. ორჯერ პრემიერ-მინისტრადაც იყო.

[234] შეყვარებული (ფრანგ.).

[235] რაინზე (გერმ.).

[236] დალახვროს ღმერთმა, დასწყევლოს ღ,ერთმა (ინგლ.).

[237] ბრამას სისტემის საწერი მოწყობილობის ყუთები - ინგლისელი ჯოზეფ ბრამას მიერ (1748-1814) გამოგონილი უცხო საკეტიანი ყუთები საწერი მოწყობილობის შესაბამისად.

[238] რულეტი - აზარტული თამაში, რომლიც დაფუძნებულია მბრუნავ წრეზე მოთავსებული ბურთულების შეჩერების ადგილის გამოცნობაზე.

[239] ოცდაათი და ორმოცი - ბანქოს ერთგვარი აზარტული თამაშია. (ფრანგ.).

[240] მათუსალა- ბიბლიის მიხედვით, ღრმად მოხუცებული პატრიარქი.

[241] იმპერიალი - დილიჟანსისა და საერთოდ შორს სამგზავრო ეტლების ზედა მეორე სართული, რომელზედაც მგზავრები სხდებოდნენ.

[242] ჰაუნდზდიჩი - ლონდონის ქუჩა, სადაც თავმოყრილი იყო ძველმანით მოვაჭრე ებრაელთა დუქნები.

[243] ლეჯერის ანუ სენტ-ლევერიჯის დოღი - სამწლიანი ცხნების დოღი, დაწესებული პოლკოვნიკ სენტ-ლეჯერისაგან. იმართებოდა ლენკესტერში

[244] გუდვუდის თასი - თამაშდებოდა ივლისის ბოლოს ქალაქ ჩიჩესტერის ახლოს.

[245] ბრიჩკა - თავღია, ოთხთვლიანი, ერთსკამიანი ეტლი.

[246] ეს ვისი კარეტაა? (ფრანგ.) [247] მე მგონი, კირშისაა - ახლახან მოვკარი თვალი - სენდვიჩებს იღებდა კარეტიდან (დამახინჯებული ფრანგული).

[248] მშვენიერი მგზავრობა გვექნება, ბატონო ჯორჯ (ფრანგ.).

[249] „ბატონი გრაფი ლორდი სედლი ამალითურთ ლონდონიდან [ჩამობრძანდა]“ (გერმან.).

[250] ყაჩაღური გაზეთი - იგულისხმება „გალინიანის გაზეთი“. რომელიც პარიზში გამოდიოდა და ხშირად ნებართვის აუღებლად გადაჭდავდა ხოლმე სხვა გაზეთებს მასალას.

[251] მოცარტი ვოლდფგანგ ამადეი -სახელოვანი ავსტრიელი კომპოზიტორი(1756-1791). „დონჯუანი“ მისი ოპერა და

მოყვანილი ადგილებიც ამ ოპერიდანაა.

[252] ჩიმაროზა დომენიკო (1749-1801) - იტალიელი კომპოზიტორი.

[253] „მოდი, ძვირფასო!“ და „მცემე, მცემე“ (იტალ.).

[254] პუმპერნიკელი - ამ გამოგონილ სახელში თეკერეი ვაიმარს ფულისხმობს, საქსენ-ვაიმარ-აიზენახის სამთავრობო დედაქალაქს, სადაც თვითონაც იყო ნამყოფი.

[255] აუსტერლიცის ბრძოლაში 1805 წ. 2 ფეკემბერს ნაპოლეონმა ავსტრიისა და რუსეთის ჯარები დაამრაცხა სასტიკად.

[256] „სასტუმრო მემკვიდრე უფლისწული“ (გერმ.).

[257] ლორი, შემწვარი, კართოფილი (გერმ.).

[258] მადამ შრედერ-დევრიენი (1804-1860) -ცნობილი მომღერალი ქალი, რომელსაც განსაკუთრების ბეთჰოვენის ოპერა „ფიდელიოში“ გაუთქვამს სახელი.

[259] სკეპტიკოსი, ცინიკოსი (ფრანგ.).

[260] „არაფერია, არაფერი, ჩემო ფლორესტან“ (გერმ.).

[261] “ვიტორიას ბრძოლა“ (გერმ.).

[262] მალბრუკის ჰანგი - ფრანგული პაპულარული სიმღერა, შეთხზული ინგლისელი სარდლის დუკა მალბოროს(1650-1722) ლაშქრობის თემაზე. მალბრუკი მისი გვარის დამახინჯებული ფორმაა.

[263] „ღმერთო, ფარვიდე მეფესა“ - ინგლისის სახელმწიფო ჰიმნი (ინგლ.).

[264] ...ღრებში აზნაურობის თექვსმეტიოდე ნიშანი ჰქონდა - დანათასავებით ან მემკვიდრეობით მიღებული ტიტულების შესაფერისი ღერბების ნიშნები ძირითად ღერბშიაც აისახება ხოლმე ად ამაზეა ლაპარაკი.

[265] სობესკი იან (1624-1696) - პოლონეთის მეფე და სახელოვანი მხედარმთავარი. მისი სარდლობით 1683 წელს პოლონეთ-ავსტრიის გაერთიანებულმა მხედრობამ მართლაც დაამარცხა თურქეთი ვენასთან.

[266] ტრიფონიოსი - ბერძნული მითების მიხედვით, დელფოში და სხვა ადგილებში ტაძრების ამშენებელი. ბეოტიაში თვით მის საპატივცემოდაც ყოფილა ვითომ აგებული ტაძარი, რომლის ახლო გამოქვაბულშჯაც სახელგანთქმული ორაკული არსებობდა. აქაც ამიტომ არის ნახსენები ტრიფონიოსის გამოქვაბული.

[267] ტრიტონები - ბერძნული მითების მიხედვით, ზღვის მეორეხარისხოვანი ღვთაებანი, რომელნიც განასახიერებდნე ზღვის მღელვარე სტიქიონს.

[268] ნიაგარის ჩანჩქერი - მდ. ნიაგარის (ჩრდილო ამერიკაში) ჩსნჩქერი, ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში.

[269] პატარა მარკიტანტი(ფრანგ.).

[270] ბახუსი და არიანდა - ბერძნული მითის მიხედვით, კრეტის მეფის მინოსის ასულმა არიანდამ თესევსს შეუწყო ხელი, ლაბირინთში ზღაპრული ურჩხული მინოტევრი მოეკლა და იქიდან თავი დაეღწია. მერე კუნძულ ნაქსოსზე გაიქცნენ, სადაც თესევსმა მიატოვა იგი. აქ არიანდამ ბახუსის ანუ დიონისის მეუღლის მეუღლე გახდა.

[271] ოფიკლეიდი - სპილენძის სასულე საკრავი, ნაღარის მსგავსი.

[272] „სომნამბულა“ ანუ „სომნაბულა“ - იტალიელი კომპოზიტორის ვინჩენცო ბელინის (1801-1835) ოპერა.

[273] „პარიზული სასტუმრო“ (გერმ.).„პარიზული სასტუმროს“ მაგიერ ზოგ გამოცემაში აქ სასტუმრო „სპილო“ წერია, რომელიც მართლა იყო და ახლაც არის ვაიმარში.

[274] ბერის დიუფალი - კარლოს ანუ შარლ X-ის ძის, ბერის დუკას, ქვრივი (1798-1870). მისი მეუღლე 1820 წელს მოკლეს. ივლისის რევოლუციის შემდეგ მამამთილთან ერთად ინგლისს შეაფარა თავი.

[275] ანგულემის დუკა (1775-1844) - შარლ X-ის უფროსი ძე, ტახტის მემკვიდრე. ივლისის რევოლუციის მერე ისიც ინგლისს წავიდა.

[276] ორლეანის დუკა - ლუი-ფილიპე ორლეანელი (1773-1850), რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ დუკა იყო, მაგრამ1830 წ.

ივლისის რევოლუციის შემდეგ კი ტახტზე დასვეს, როგორც მსხვილი ბურჟუაზიის ქომაგი.

[277] შროშანთა უავგუსტოესი ტახტი - ე.ი. საფრანგეთის სამეფო ტახტი, რადგან საფრანგეთის მეფეთა ემბლემებს სამი შროშანი წარმოადგენდა.

[278] შენ (გერმ.).

[279] აკითხებდა კეისარს... - იგულისხმება ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, სარდლისა და მწერლის გაიუს იულიუს კეისრის (ძვ. წ 100-44) თხზულებანი, განსაკუთრებით კი „გალიის ომი“, რომელიც სანიმუშოდ ითვლებოდა სტილის სისადავითა და მოხდენილობით.

[280] კრონა- ფულის ერთეული ბევრ ქვეყანაში, მაგ., ავსტრიაში, საკანდინავიის ქვეყანაში, ინგლისში; სხვადასხვა ღირებულებისა იყო.

[281] ლტოლვილი უთანხმოება - უთანხმოება, განხეთქილება აქ ღვთაების სახით ჩანს წარმოდგენილი. ბერძნული მეთოლოგიის მიხედვით მას ერიდი ერქვა და ომის ღმერთის დად ითვლებოდა.

[282] ფლორინი - ფულის ერთეული, რომელიც ფლორენციაში შემოიღეს XIII ს.-ში და პირველად ოქროსი იყო. მერე ვერცხლისას ჭრიდნენ და ბევრ ქვეყანაში გავრცელდა. მერე უფრო ნიდერლანდში იხმარებოდა გულდენის სინონიმად.

[283] კრუპიე - სამორინეს(აზარტული თამაშობათა სახლის) მოსამსახურე, რომელიც თვალყურს ადევნებს თამაშს და მომგებ-წამგების ანგარიშს უსწორებს.

[284] ბატონი მოთამაშე არ არის? (ფრანგ.).

[285] არა, ქალბატონო (ფრანგ.).

[286] წითელი და შავი (ფრანგ.).

[287] თავი დამანებეთ. ხომ უნდა გაერთოს კაცი, დალახვროს ღმერთმა. მე ხომ თქვენ სამსახურში არა ვარ! (ფრანგ.).

[288] ნაპოლეონდორი - ოქროს 20 ფრანკიანი ფული, რომელსაც ნაპოლეონ Iის დროს ჭრიდნენ საფრანგეთში.

[289] არიმანი - ძველი სპარსული გადმოცერების მიხედვით, სიკვდილის ბოროტებისა და სიცრუის განმასახიერებელი ღვთაება. ჯოჯოხეთის ავსულთა მესვეური.

[290] მისავათება, დაქანცვა, სულიერი გამოფიტვა, სასოწარკვეთა (ფრანგ.).

[291] ალბიონი - ინგლისის ძველი სახელწოდება, ეს სახელი თითქოს იმიტომ შეერქვა, რომ კონტინენტიდან მისი თეთრი კლდეები მოჩანს („ალბუს“ ლათინურად თეთრს ნიშნავს) [292] დარბის მიმდევარი - ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის მესვეურის ჯონ დარბის მიმდევარი. დარბის სექტა კალვინისტების მოძღვრებას უახლოვდებოდა. დაარსდა XIX ს.-ის პირველ ნახევარში. დარბისტები წინააღმდეგი იყვნენ საეკლესიო ორგანიზაციისა.

[293] ...ფიჯის კუნძულთა ლითონის სათბურების ფონდის თაობაზე... - თეკერეი აქ მასხრად იგდებს ამას და ამის მსგავსი საქველმოქმედო საზოგადოების მუშაობას - ფიჯის კუნძულები წყნარი ოკეანის ტროპიკულ ზონაში მდებარეობს და თავისთავად სასაცილოა ლითონის სათბურებით იქაურების მომარაგებისათვის ზრუნვა.

[294] ლარები - რომაელთა წარმოდგენით, უმთავრესად სახლისა დაოჯახის მფარველი ღვთაებანი, რომელთა გამოსახულებებიც საგანგებო ყუთში - ლარარიუმში - იყო დაცული კერიის ახლოს.

[295] თრიაქი - ოპიუმი, ძლიერი ნარკოტიკული, მათრობელა ნივთიერება, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნებში ეწევიან თამბაქოს მსგავსად, ოღონდ ეს გაცილებით უფრო მავნეა ჯანმრთელობისათვის.

[296] თაღლითები, გაიძვერები (ფრანგ.).

[297] სუ - ფრანგული წვრილი ფული, ფრანკის 1/20.

[298] სამუსიკო დილა, დილის კონცერტი (ფრანგ.).

[299] „თეთრი მანდილოსანი“ (ფრანგ.).ფრანგი კომპოზიტორის ბუალდიეს (1775-1834) კომიკური ოპერა.

[300] სკუდო - ძველებური იტალიური ვერცხლის და ოქროს ფული. ახლა ხუთ ლირიანს უწოდებენ ამ სახელს.

[301] რომის მეორე მეფე - ნუმა პოკპოლიუსი, რომის ერთ-ერთი ლეგენდური მეფე, რომელსაც ბევრ სახელმწიფო და სარწმუნოებრივ რეფორმას მიაწერენ. ეგერია - ნიმფა, მისი მეუღლე, რომლის რჩევითაც, თითქოს აღასრულებდა იგი ამ გარდაქმნებს.

[302] ნიმი და პისტოლი - შექსპირის კომედიების „უინძორელი ჭორიკანების:, და „ჰენრი IV-ის“ მოქმედი პირები, ცნობილი ფოლსტაფის დამთხვეული თანამეინახენი და ამხანეგები.

[303] ...ბანქოს აჩრდილი - შექსპირის ტრაგედიიდ „მაკბეტის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, მაკბეთის თანამოსაგრე სარდალი, რომელიც მან მოაკვლევინა და შემდეგ კი თითქოს აჩრდილის სახით წარმოუდგა ნადიმზე.

[304] კარგი ბავშვი, დამჯერი ვინმე, კარგი ვინმე (ფრანგ.).

[305] პატიოსანი სიტყვა, პატიოსან სიტყვას გაძლევთ (ფრანგ.).

[306] კინგ-ჩარლზი - ერთგვარი ჯიშის ძაღლი; უფრო შავ-თეთრი, ყურებჩამოყრილი.ინგლისის მეფის ჩარლზ ანუ კარლოს II-ის ნიხედვით ჰქვია ეს სახელი, რადგან მან მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ამ ჯიშს.

[307] ტრინიტი-ჰაუზი - XVI საუკუნის დასაწყისში დაარსებული საზოგადოება, რომელიც კისრულობდა ინგლისის სანაპიროებსა და მდინარეებზე შუქურების საქმის მოწესრიგებას და განლაგებას, აგრეთვე ლოცვანების დანიშვნასა და განთავისუფლებას.

[308] შტაბი (ფრანგ.).

[309] ფარული, გადაკრული ლაპარაკი (ფრანგ.).

[310] ინგლისელო ქალო (ფრანგ.).

[311] ოთხმოცდამეთორმეტე ნომერი, გეთაყვა (დამახინჯებული ფრანგ.).

[312] მსუბუქი საუზმე (ფრანგ.).

[313] ავერნუსს ჩასასვლელი ბილიკი ძალიან იოლია - ავერნუსის ტბასთან, რომელსაც სულის მხუთავი გოგირდოვანი ოხშივარი ასდიოდა, ძველ რომაელთა წარმოდგენით, ჯოჯოხეთს ჩასასვლელი იყო. აქედაა

ლათინური გამოთქვა „Facilis descensus Averni“- “იოლია ავერნუსს ჩასასვლელი“.

[314] ლაუდანუმი - ოპიუმისაგან (იხ. ზემოთ, შენ.გვ. 427)შემზადებული წვეთები, ძლიერე გამაყუჩებელი წამალი. დიდი რაოდენობით დალევამ სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს და ამაზე გადაჰკრავს სიტყვას ჯოზი.

[315] ბატონი (გერმ.).

[316] შეყვარებულთა ჩხუბი, შეყვარებულთა უთანხმოება (ლათ.). ცნობილი ლათინური გამოთმის - „Amantium irae amoris integratio est”(ე.ი. „შეყვარებულთა ჩხუბი, უთანხმოება სიყვარულის განახლებაა“) - ნაწილი, რომელიც რომაელი კომედიოგრაფის ტერენციუსის (ძვ. წ. II ს.) კომედია „ანდროსელი ქალიდანაა“ (მოქმ. III, სურ.3).

[317] ბოლი და ხმაური, ბოლი და ორომტრიალი (ლათ.).

[318] „ფუქსები“ გერმანელ სტუდენთა წრეში - ახალბედა, გამოუცდელი, პირველკურსელი სტუდენტი.

[319] „ფილისტერი“ - მათივე ენით, ყოველი არა სტუდენტი; საერთოდ კი - თვითკმაყოფილი, ჭკუამოკლე, მოფარისევლო მოქალაქე.

[320] ნაცნობთა შორის - En pays de connaissance (დამახინჯებული ფრანგ.).

[321] ღრუბლებში (ლათ.).

[322] ბურშები - სტუდენთა კორპორაციის წევრები გერმანიაში.

[323] საშინელი, საზარელი (გერმ.).

[324] „აივნის ვარდი“, „ვარდი აივანზე“ (დამახინჯ. ინგლ.).

[325] სმა, ლოთობა და სიმღერა (გერმ.).

[326] კირკე - ბერძნული მითების მიცედვით, ჯადოქარი, კოლხეთის მეფის აიეტის და. თითქოს მან კუნძულ ეაზე (ზოგ თქმულებაში ეა კუნძულად არის წარმოდგენილი) ოდისევს ღორებად უქცია თანამგზავრები, თვითონ კი ერთ წელიწადს იქ დაიტოვა. მაცდუნებელი მზეთუნახავის სინონიმია.

[327] ლუტჯა ცხენი (გერმ.).

[328] კამლოტი - შალის ერთგვარი სქელი, მტკიცე ქსოვილი; ხანდახანბამბასაც ურევენ.

[329] იმდენი ქარიშხალი გადაეტანა, განეცადა (გერმ.).

[330] გასწიე, მეეტლევ! (გერმ.).

[331] „სულთა ნათესაობა“, „სულთა თვისება“ (გერმ.).

[332] დაბნეული, გონებადაფანტული (ფრანგ.) [333] „მარტო მე არ ვარ ეულად“ (გერმ.). - გამოცემათა უმეტესობაში ამ რედაქციითა, ერთგან კი „Einsam ich bin und allein” - ე . ი. „მარტოდ-მარტო ვარ...

[334] ვებერი კარლ მარია (1786-1826) - გერმანელი კომპოზიტორი.

[335] „მიყვარდა და ვცხოვრობდი“. (გერმ.).

[336] „ვალენშტაინი“ - დიდი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ შილერის ნაწილის („პიკოლომინი“) გმირი ქალი თეკლე მღერის.

[337] ბოომპიესი - სანაპიროს სახელია ქალაქ როტერდამში.

[338] redoute (ფრანგ.) - საერთო, სახარო დარბაზი, სადაც აზარტული თამაშობები ანდა ცეკვები იმართება.

[339] კანცელარია (ფრანგ.) [340] გენტის ბულვარი (ფრანგ.).

[341] ბარათი, აი, ის! (იტალ.).

[342] როზინა - ფრანგი დრამატურგის ბომარშეს კომედიის მიხედვით იტალიელი კომპოზიტორის ჯიაკიმო როსინის (1792-1868) მიეს შეთხზული ოპერის,“სევილიელი დალაქის“, გმირი’ გამჭრიახი და ცუღლუტი ქალიშვილი.

[343] საყვარელი პოეტი...- იგულისხმება დიდი ბერძენი პოეტი ჰომეროსი, „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორი. ეს გამოთქმა „ილიადინაა“ (VI, 484).

[344] ცრემლმორეული იცინოდა, ცრემლებს ღვრიდა და თან იცინოდა (ძვ. ბერძნ.).

[345] ...მესამე ტომის უკანასკნელი გვერდი - თეკერეის ეს რომანი პირველად სამ ტომად გამოვიდა და ამიტომ ამბობს ავტორი ასე.

[346] რეფორმის კანონი - იგულისხმება - ინგლისის საპარლამენტო რეფორმა, რომელიც 1832 წელს გატარდა და რომლითაც ე.წ. „დამპალი დაბები“ გაუქმდა.

[347] ამაოება ამაოებათა! (ლათ.).